

1-6878
4

პიტერ მალანჩუკი

აკეჰარსტის
თანამედროვე
საერთაშორისო სამართალი

მეშვიდე შესწორებული გამოცემა



აკეჰურსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი
პიტერ მალანჩუკის რედაქტირებით
მეშვიდე შესწორებული გამოცემა

AKEHURST'S MODERN INTRODUCTION TO INTERNATIONAL LAW
Peter Malanczuk
Seventh revised edition



ნიგნი გამოცემულია „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარგმნელობითი პროექტის“ (CEU Translation Project) და „Next Page Foundation“ - ის (სოფია, ბულგარეთი) მხარდაჭერით, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ლია საზოგადოების ინსტიტუტის გამომცემლობის განვითარების ცენტრისა (CPD) და ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ (OSGF) საგამომცემლო-მთარგმნელობითი პროგრამის (TP) ფინანსური ხელშეწყობით.



The edition was published with the support of the “Central European University Translation Project”, sponsored by the OSI-Zug Foundation and with the contribution of the Center for Publishing Development of the Open Society Institute-Budapest and Publishing-translation Program of the Open Society – Georgia Foundation.

მთარგმნელები

თამარ თომაშვილი, ნოდარ მანჩხაშვილი, ირინე მელიქიშვილი,
სოფიო სარჯველაძე, ეკა სირაძე, რუსუდან ტუშური, თამარ ხიდაშელი

სამეცნიერო რედაქტორი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარინა კვაჭაძე

რედაქტორები

ლალი ქადაგიძე, ანა ჭაბაშვილი

გარეკანის დიზაინი

გიორგი ტაბლიაშვილი

დაკაბადონება

ნინო გურული, გიორგი ტაბლიაშვილი

ქართული თარგმანი განხორციელდა “Routledge, a member of the Taylor and Francis Group”-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე

საავტორო უფლება © 2005 გამომცემლობა „დიოგენე“

პირველი ქართული გამოცემა 2005

ყველა უფლება დაცულია

ISBN 99940-16-60-1

გამომცემლობა „დიოგენე“ თბილისი 0179, კეკელიძის ქ.
ტელეფონი 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71
www.dioгене.ge

საგ-2007
თბილისი

საქართველოს
პარლამენტის
პრეზიდიუმი
ბიბლიოთეკა

K21647
4

1. შესავალი

საერთაშორისო სამართლის განმარტების სირთულეები	15
საყოველთაო და რეგიონალური საერთაშორისო სამართალი	16
საერთაშორისო სამართლის ნიშან-თვისებები	17
საერთაშორისო სამართალი, როგორც „სამართალი“	20
საერთაშორისო სამართლის მოქმედების სფერო	21

2. ისტორია და თეორია

ევროპული საერთაშორისო სამართლის წარმოშობა	23
1648 წლის შემდგომი პერიოდის ევროპული საერთაშორისო სამართლის თავისებურებები	24
კოლონიზაცია და არაევროპულ ძალებთან ურთიერთობა	25
დასავლეთი ნახევარსფერო	26
ნატურალისტები და პოზიტივისტები	28
სუვერენიტეტის თეორია	29
პირველ მსოფლიო ომამდელი პერიოდის სამართლებრივი შედეგები	31
ძალის გამოყენების შეზღუდვა	33
დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა	33
მონათვაჭრობის აკრძალვა	35
ომის კანონების ჰუმანიზაცია	35
საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი ფორმები	36
1899 და 1907 წლების ჰააგის სამშვიდობო კონფერენციები	36
ცვლილებები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ	37
ერთა ლიგა	37
ძალის გამოყენების შეზღუდვის მცდელობა	38
ერთა ლიგის სხვა ფუნქციები	39
მუდმივი სასამართლო	39
ერთა ლიგის სისტემის მარცხი	40
საერთაშორისო სამართლის სისტემის განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ	41
ძალის გამოყენების აკრძალვა და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა გაეროს წესდებაში	41
დეკოლონიზაცია და საერთაშორისო თანამეგობრობის სტრუქტურის ცვლილება	43
საერთაშორისო სასამართლოსადმი მესამე სამყაროს ქვეყნების დამოკიდებულება	43
უნივერსალობა და საერთაშორისო სამართლის ერთიანობის გამოცდა	46
ახალი მიღწევები თეორიაში	48

3. საერთაშორისო სამართლის წყაროები

ხელშეკრულებები	50
სამართალმემოქმედებითი ხელშეკრულებები და „საკონტრაქტო ხელშეკრულებები“	51
საერთაშორისო ხელშეკრულებათა მხარეები და „ინტერნაციონალიზებული კონტრაქტები“	52
ჩვეულება	53
რა მოწმობს ჩვეულებითი სამართლის არსებობას	54
განმეორებითობის საკითხი	54
რას ამბობენ და რას აკეთებენ სახელმწიფოები	57
ფსიქოლოგიური ელემენტი ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბებაში (<i>opinio iuris</i>)	59
„მომენტალური“ ჩვეულებითი სამართალი	59
საერთაშორისო სამართლის უნივერსალურობა და თანხმობის თეორია	61
სამართლის ზოგადი პრინციპები	63
სასამართლო გადაწყვეტილებები	64
მეცნიერები	67
საერთაშორისო სამართლის სხვა შესაძლო წყაროები	68
საერთაშორისო ორგანიზაციების აქტები	69
„რბილი სამართალი“	69
სამართლიანობა	70
წყაროთა იერარქია	71
<i>Ius cogens</i>	73
ვალდებულებები <i>erga omnes</i> და „საერთაშორისო დანაშაულებანი“	74
საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია	76
	77

4. საერთაშორისო სამართალი და მუნიციპალური სამართალი

დუალისტური და მონისტური თეორიები	80
საერთაშორისო სამართლის დამოკიდებულება მუნიციპალურ სამართალთან	81
ეროვნული სამართლებრივი სისტემების დამოკიდებულება საერთაშორისო სამართალთან	82

ხელშეკრულებები	82
ჩვეულებითი სამართალი და საერთო პრინციპები	86
დასკვნები	89
საერთაშორისო საჯარო სამართალი და საერთაშორისო კერძო სამართალი	89
5. სახელმწიფოები და მთავრობები	93
სახელმწიფოები	93
განსაზღვრული ტერიტორია	93
მოსახლეობა	94
მთავრობის მიერ განხორციელებული ეფექტური კონტროლი	95
სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარების უნარი	98
თვითგამორკვევა და სახელმწიფოდ ცნობა, როგორც დამატებითი კრიტერიუმი	99
ფედერაციული სახელმწიფოები	99
მთავრობები	100
სახელმწიფოებისა და მთავრობების ცნობა საერთაშორისო სამართალში	101
სახელმწიფოს ცნობა	101
სახელმწიფოს ცნობის სამართლებრივი შედეგები საერთაშორისო სამართალში	102
სამართლებრივი შედეგები შიდასახელმწიფოებრივ სამართალში	105
მთავრობათა ცნობა	105
<i>de jure</i> და <i>de facto</i> ცნობა	107
6. საერთაშორისო ორგანიზაციები, ინდივიდები, კომპანიები და ჯგუფები	110
საერთაშორისო ორგანიზაციები	111
არასამთავრობო ორგანიზაციები	115
ფიზიკური პირები და კომპანიები	119
მეამბოხები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები	123
ეთნიკური უმცირესობანი და მკვიდრი მოსახლეობა	124
უმცირესობანი	125
მკვიდრი მოსახლეობა	126
7. იურისდიქცია	128
იურისდიქციის სახეები	128
შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების სისხლის სამართლის იურისდიქცია	129
ტერიტორიულობის პრინციპი	130
ეროვნულობის (მოქალაქეობის) პრინციპი	130
დაცვის პრინციპი	131
უნივერსალურობის პრინციპი	132
ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით შიდასახელმწიფოებრივი	133
სასამართლოების უნივერსალური იურისდიქციის საკითხი	136
„ივანე მრისხანე“ - ჯონ დემიანიუკის საქმე	136
კონფლიქტი იურისდიქციის საკითხებთან დაკავშირებით	136
ექსტრადიქცია	137
8. იმუნიტეტის საკითხი სახელმწიფოს იურისდიქციასთან მიმართებაში	139
სუვერენული (ან სახელმწიფო) იმუნიტეტი	139
დოქტრინა სახელმწიფოს ქმედების შესახებ	143
დიპლომატიური იმუნიტეტი	145
სასამართლოების წინაშე იმუნიტეტი	146
სხვა პრივილეგიები და იმუნიტეტები	148
საკონსულო იმუნიტეტი	149
საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტი	150
იმუნიტეტის მოხსნა	151
9. ხელშეკრულებები	153
ხელშეკრულებების დადება და მათი ძალაში შესვლა	154
ხელშეკრულებების ტექსტის მიღება	154
თანხმობა ხელშეკრულების სავალდებულობაზე	154
ხელშეკრულების ძალაში შესვლა	158
დათქმები	159
რეგისტრაცია	160
ხელშეკრულებების გამოყენება	160
ხელშეკრულებათა ტერიტორიული მოქმედების სფერო	160
ხელშეკრულებები და მესამე სახელმწიფოები	160
ერთსა და იმავე საკითხზე თანმიმდევრულად დადებული ხელშეკრულებების გამოყენება	161
ბათილი ხელშეკრულებები	161
შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების კომპეტენციას ეხება.	161
იმ პირთა მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელთაც სახელმწიფოს წარმომადგენლების უფლებამოსილება არა აქვთ	162

სახელმწიფოს თანხმობის გამოხატვის უფლებამოსილების სპეციალური შეზღუდვები	162
სახელმწიფოს წარმომადგენლის იძულება	163
სახელმწიფოს იძულება ძალის მუქარით ან ძალის გამოყენებით	163
ბათილობის სხვა საფუძვლები	164
ბათილობის შედეგები	164
ხელშეკრულების შეწყვეტა	165
ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად	165
ხელშეკრულების შეწყვეტა მონაწილეთა თანხმობით	166
ხელშეკრულების დენონსაციის ან ხელშეკრულებიდან გასვლის ნაგულისხმევი უფლება	166
ხელშეკრულების შეწყვეტა ან მისი მოქმედების შეჩერება მისი დარღვევის გამო (შეწყვეტა დარღვევის გამო)	167
შესრულების შემდგომი შეუძლებლობა	168
გარემოებათა ძირეული შეცვლა (rebus sic stantibus)	169
ახალი ომპერიული ნორმის წარმოშობა(ius cogens)	170
ომის დაწყება	170
ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერების შედეგები	170
10. ტერიტორიაზე უფლების მოპოვება	171
ტერიტორიის მოპოვების ფორმები	171
დათმობა	172
ოკუპაცია	172
ხანდაზმულობა	174
ბუნების მოვლენები	175
სასამართლო გადაწყვეტილებები	175
დაპყრობა	176
თანხმობა დუმლით, აღიარება და ესტოპელი	179
ეპოქათაშორისი სამართალი	180
სამართლებრივი და პოლიტიკური არგუმენტები	182
ნაკლები უფლებები ტერიტორიაზე	183
სერვიტუტები	184
11. ტერიტორიაზე სუვერენიტეტის შეცვლის სამართლებრივი შედეგები (სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა)	187
ხელშეკრულებები	188
ტერიტორიაზე საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები	188
სხვა სახის ხელშეკრულებები	189
„მოძრავი სახელშეკრულებო საზღვრების“ პრინციპი	189
დეკლარაცია და ახალი სახელმწიფოები	190
უახლესი პრაქტიკა	192
გამოყოფა	192
ბალტიისპირეთის სახელმწიფოები	192
დაშლა	193
საბჭოთა კავშირი	193
იუგოსლავია	194
ჩეხოსლოვაკია	194
გაერთიანება	194
გერმანია	194
იემენი	195
საერთაშორისო სარჩელები	195
მოქალაქეობა	196
საზოგადოებრივი(სახელმწიფო) საკუთრება	197
კერძო საკუთრება	197
საკონტაქტო უფლებები	198
12. საზღვაო სამართალი	200
შიდა წყლები	202
ტერიტორიული ზღვა	203
მშვიდობიანი გავლის უფლება	203
ზღვისპირა სახელმწიფოს უფლებები ტერიტორიულ ზღვაზე	204
ტერიტორიული ზღვის სიგანე	205
ტერიტორიული ზღვის ათვისების ხაზი	208
მიმდებარე ზონა	209
განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა	210
ღია ზღვა	212
სახელმწიფოს ჩარევა ღია ზღვაში მყოფი გემების საქმიანობაში	213
ღია ზღვაზე ჩადენილ დანაშაულებზე მუნიციპალური სასამართლოს იურისდიქცია	217
კონტინენტური შელფი	218
ზღვის ფსკერი	220
საზღვაო საზღვრები	222

13. საჰაერო სივრცე და კოსმოსური სივრცე	225
საჰაერო სივრცე	225
კოსმოსური სივრცე	228
„კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის“ პრინციპი	234
14. ადამიანის უფლებები	236
რა არის ადამიანის უფლებები	236
ადამიანის უფლებები საერთაშორისო დონეზე	238
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება	238
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	239
ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე გაეროს ორგანოები	240
1966 წლის პაქტები	242
ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები	243
ადამიანის უფლებები რეგიონალურ დონეზე	244
ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ	244
სხვა რეგიონალური დოკუმენტები	247
ადამიანის უფლებები – საერთაშორისო ზრუნვის ობიექტი	247
15. ეკონომიკა	250
ბრეტონ ვუდის სისტემა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები	251
საერთაშორისო სავალუტო ფონდი	254
მსოფლიო ბანკი	255
GATT	256
მსოფლიო ვაჭრობის ახალი ორგანიზაცია	259
სავაჭრო შეთანხმებები საქონლით ვაჭრობის შესახებ	260
შეთანხმება მომსახურების შესახებ(CATS)	260
შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ(TRIPS)	261
ინსტიტუციური ასპექტები	261
განვითარებადი ქვეყნები და ახალი საერთაშორისო რეჟიმის სამართლებრივი ძიება	262
ექსპროპრიაცია და კომპენსაციის სტანდარტი	264
შენიღბული ექსპროპრიაცია	267
საკონტაქტო უფლებების ექსპროპრიაცია	267
განვითარების უფლება	268
16. გარემოს დაცვა	270
გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის კომპეტენცია და ბუნება	271
ჩვეულებითი სამართალი და ზოგადი პრინციპები	274
გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონვენცია(UNCED)	276
კლიმატის ცვლილების კონვენცია	277
ბიოლოგიური ვარიაციულობის კონვენცია	278
რიოს დეკლარაცია და Agenda № 21	279
დასკვნები	280
17. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა	283
საერთაშორისო სამართლის კომისია	283
სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ დამოკიდებულება	285
დამნაშავედ ცნობა	287
უსაფრთხოების საერთაშორისო მინიმალური სტანდარტები	290
წინასწარი უარყოფა	292
სარჩელის ეროვნულობა	292
შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა	297
საკუთარ სარჩელზე უარის თქმა	298
სარჩელის წარდგენის უსაფუძვლო დაგვიანება და დაზარალებული უცხოელის კანონსაწინააღმდეგო ქმედება	299
საერთაშორისო სამართალდარღვევის შედეგები	299
საპასუხო ზომები და დავების მშვიდობიანი მოგვარება	301
18. სახელმწიფოთა შორის დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა	303
დავების მოგვარების დიპლომატიური საშუალებები	305
მოლაპარაკებები	305
კეთილი სამსახური და შუამავლობა	306
ფაქტების დადგენა და გამოძიება	307
შერიგება	308
დავების გადაწყვეტის სამართლებრივი საშუალებები	311
სასამართლო განხილვა	311
საერთაშორისო სასამართლო(ICJ)	311
შემადგენლობა	312

იურისდიქცია სადავო საქმეებზე	312
პროცედურა	317
ad hoc პალატები	318
სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება	318
საკონსულტაციო დასკვნები	319
სასამართლოს შეფასება	320
არბიტრაჟი	323
საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი (სდგსც – ICSID)	325
ირან-შეერთებული შტატების საპრეტენზიო ტრიბუნალი	326
საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის თანახმად დავების გადაწყვეტა დასკვნა	328
	330

19. საერთაშორისო ომები, სამოქალაქო ომები და თვითგამორკვევის უფლება: ius ad bellum	335
კანონიერი და კანონგარეშე ომები – 1945 წლამდე განვითარებული მოვლენები	335
ძალის გამოყენების აკრძალვა გაეროს წესდებაში	338
თავდაცვა	341
პრევენციული თავდაცვა	341
თავდაცვა და პრეტენზიები ტერიტორიის მიმართ	344
თავდაცვა გემებსა და თვითმფრინავებზე თავდასხმის წინააღმდეგ	345
საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების შეიარაღებული დაცვა	345
შეიარაღებული რეპრესალიები	346
დაუყოვნებლივ მოქმედება და პროპორციულობა	347
კოლექტიური თავდაცვა	348
სამოქალაქო ომები	348
სამოქალაქო ომების კანონიერება	349
სხვა სახელმწიფოების მონაწილეობა – მემბოხეთა დახმარება	349
სხვა სახელმწიფოების მონაწილეობა – არსებული ხელისუფლების დახმარება	353
თეორია, რომ არსებული ხელისუფლების დახმარება კანონიერია	353
თეორია, რომ არსებული მთავრობის დახმარება უკანონოა	354
კოლექტიური თავდაცვა ხელისუფლების გადატრიალების წინააღმდეგ დასკვნა	355
	356
თვითგამორკვევა და ძალის გამოყენება	357
სამანდატო, სამეურვეო და არათვითმმართველი ტერიტორიები	358
სამანდატო ტერიტორიები	358
სამეურვეო ტერიტორიები	358
სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა(ნამიბია)	359
არათვითმმართველი ტერიტორიები	360
ორმაგი სტანდარტები?	363
თვითგამორკვევის უფლების დარღვევის შედეგები	364
ახალი სახელმწიფოების შექმნა	364
ტერიტორიის სამართლებრივი სტატუსი	365
ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები	366
ახალი მოსაზრებები	369
ძალის გამოყენების წინააღმდეგ თანამედროვე წესების ეფექტურობა	371

20. ომის წარმოება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა: ius in bello	373
ომის წარმოების კანონიერი და უკანონო გზები	373
ბირთვული იარაღი	377
სამართალი ნეიტრალიტეტის შესახებ და საზღვაო სამხედრო ხომალდების ეკონომიკური მიზნით გამოყენება	381
რეპრესალია	383
სამოქალაქო ომის დროს მოქმედი სამართლებრივი ნორმები	383
შეიარაღებული კონფლიქტების საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალები	385
ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი	387
ტრიბუნალის იურისდიქცია	387
ტრიბუნალის მუშაობა	390
რუანდის ტრიბუნალი	392
იქნება თუ არა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო?	392
რას ველოდით მომავალში?	393

21. გაეროს წესდება და ორგანოები	396
გაეროს წესდება და მისი განმარტების პრობლემა	396
სიტყვასიტყვითი (პიდაპირი) განმარტება	397
მხარეთა მიზნები და travaux préparatoires	398
პრაქტიკა	398
ეფექტიანობა და ნაგულისხმევი უფლებამოსილება	399
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები	400
შიდა იურისდიქცია	401
წევრობა	402

ჩინეთის წარმომადგენლობა	404
იუგოსლავიის შემთხვევა	404
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოები	405
უშიშროების საბჭო	405
გენერალური ასამბლეა	409
სამდივნო	412
ეკონომიკური და სოციალური საბჭო და სპეციალიზებული დაწესებულებები	414
22. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მშვიდობა და უშიშროება	417
დავების მშვიდობიანი მოგვარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით (VI თავი)	417
კოლექტიური უსაფრთხოება და იძულებითი ღონისძიებები (VII თავი)	419
VII თავის შესაბამისად განხორციელებული პრაქტიკა ცივი ომის დროს	423
გაეროს ჯარები კორეაში	424
მშვიდობისათვის გაერთიანების რეზოლუცია	424
როდეზია და სამხრეთ აფრიკა	426
ცივი ომის შემდგომ პერიოდში VII თავის შესაბამისად განხორციელებული პრაქტიკა	427
ქუვეითის დაპყრობა ერაყის მიერ	428
ქურთული კრიზისი	432
სომალი	435
რუანდა	438
ჰაიტი	440
იუგოსლავია	442
გაეროს სამშვიდობო ოპერაციები	449
„ძველი“ სამშვიდობო ოპერაციები ცივი ომის დროს	450
გაეროს პირველი სწრაფი რეაგირების ძალები ახლო აღმოსავლეთში (UNEP)	450
გაეროს შეიარაღებული ძალები კონგოში (ONUC)	452
ხარჯების საქმე	453
გაეროს ძალები კვიპროსზე (UNFICYP)	454
ახალი ძალები ახლო აღმოსავლეთში	456
სამშვიდობო ოპერაციების ახალი ფორმები ცივი ომის შემდეგ	457
დასკვნა	459

ს ა რ ე ქ ი ა ტ უ რ ე ზ ი

AASL	საპაერო და კოსმოსური სამართლის ნელინდეული	ChD	სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული, კანცე- ლარიის განყოფილება
AC	სააპელაციო საჩივრები (გაერთიანებული სამეფო)	CIA	ცენტრალური დაზვერვის სააგენტო
AD	საერთაშორისო საჯარო სამართლის საქმეთა ყოველ- წლიური გამოცემები და დაიჯესტი	CILSA	სამხრეთ აფრიკის შედარებითი და საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
AFDI	საერთაშორისო სამართლის ფრანგული ნელინდეული	CJHELP	საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლისა და პოლიტიკის კოლორადოს ჟურნალი
AFDMAS	საპაერო და კოსმოსური სამართლის ფრანგული ნელინ- დეული	CJPS	პოლიტიკური მეცნიერების კანადური ჟურნალი
AI	საერთაშორისო არბიტრაჟი	CI.Ct.	აშშ-ს პრეტენზიების სასამართლოს გამოცემები
AJIA	საერთაშორისო საქმეთა ავსტრალიური ჟურნალი	CLB	ბრიტანეთის თანამეგობრობის სამართლის ბიულეტენი
AJICL	საერთაშორისო და შედარებითი სამართლის აფრიკული ჟურნალი	CLP	არსებული (მიმდინარე) სამართლებრივი პრობლემები
AJIL	საერთაშორისო სამართლის ამერიკული ჟურნალი	CLR	ბრიტანეთის თანამეგობრობის სასამართლო გადაწყ- ვეტილებათა კრებული
AJPIL	საჯარო და საერთაშორისო სამართლის ავსტრიული ჟურნალი	CMLR	„საერთო ბაზრის“ სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული
ALADI	ლათინურამერიკული ინტეგრაციის ასოციაცია	Colum. JTL	ტრანსნაციონალური სამართლის კოლუმბიის ჟურნალი
AII ER	ინგლისის სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთიანი კრებული	Colum. LR	კოლუმბიის სამართლის მიმოხილვა
ANC	აფრიკის ეროვნული კონგრესი	Colum. JIL	საერთაშორისო სამართლის კოლუმბიის ჟურნალი
Ann. IDI	საერთაშორისო სამართლის ნელინდეული	Cong. Rec	აშშ-ს კონგრესის ანგარიშები
Anu. DI	საერთაშორისო სამართლის ნელინდეული	Conn. JIL	კონექტიკუტის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
APEC	აზიისა და წყნაროკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა	Cornell ILJ	კორნელის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
ARABSAT	არაბული სატელეკომუნიკაციო კავშირის ორგანიზაცია	CSCE	ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფე- რენცია
Arizona JICL	არიზონის ჟურნალი საერთაშორისო და შედარებითი სამართლის შესახებ	CTS	ხელშეკრულებათა გამოცემების კრებული
ASDI	საერთაშორისო სამართლის შვეიცარიის ნელინდეული	CWLJ	კალიფორნიის დასავლური საერთაშორისო სამართ- ლის ჟურნალი
ASEAN	სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია	CWRJIL	ქეის ვესტერნ რეზერვის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
ASIL IELJGNews1	ASIL საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამარ- თლის ინტერესთა ჯგუფის ბიულეტენი	CYIL	საერთაშორისო სამართლის კანადური ყოველწლიური გამოცემა
ASIL IELNews	ASIL საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამარ- თლის ახალი ამბები	Dalhousie LJ	დელჰაუზის სამართლის ჟურნალი
ASIL Proc.	საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოე- ბის ნაშრომები	Denning LJ	დენინგის სამართლის ჟურნალი
ASILS ILJ	სტუდენტთა (სწავლულთა) საერთაშორისო სამართლის საზოგადოებათა ასოციაციის საერთაშორისო სამარ- თლის ჟურნალი	Denver JILP	დენვერის ჟურნალი საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის შესახებ
AsYIL	საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური აზიური გამოცემა	Dept. State Bull.	სახელმწიფო დეპარტამენტის პერიოდული გამოცემა
AUJILP	ამერიკული უნივერსიტეტის ჟურნალი საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის შესახებ	DGV	გერმანული საზოგადოების საერთაშორისო სამარ- თლის ცნობარი
AULR	ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა	Dick. JIL	საერთაშორისო სამართლის დიკინსონის ჟურნალი
AVR	საერთაშორისო სამართლის ნელინდეული	Doc.	დოკუმენტ(ებ)ი
AYIL	საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური ავსტრიული გამოცემა	DOMPER	გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის მისია დომინიკელთა რესპუბლიკაში
BayVBI	ბავარიის ადმინისტრაციული ჟურნალი	Droit et Soc.	სამართალი და საზოგადოება
BCICLR	ბოსტონის კოლეჯის საერთაშორისო და შედარებითი სამართლის მიმოხილვა	Duke JCIL	დუკის შედარებითი და საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
BENELUX	ბენილუქსის ქვეყნების ეკონომიკური კავშირი (ბელ- გია, ნიდერლანდები ლუქსემბურგი)	EA	ევროპა-არქივი
BPIL	ბრიტანული პრაქტიკა საერთაშორისო სამართალში	EC	ევროგაერთიანება
Brooklyn JYL	საერთაშორისო სამართლის ბრუკლინის ჟურნალი	ECE	გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია
Brownlie BDIL I. Brownlie (ed),	საერთაშორისო სამართლის ძი- რითადი დოკუმენტები, მე-4 გამოცემა, 1995	ECOSOC	გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭო
BYIL	საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური ბრიტანუ- ლი გამოცემა	ECOWAS	დასავლეთაფრიკული სახელმწიფოების ეკონომიკური გაერთიანება
CACM	ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი	ECSC	ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება
Cardoza LR	კარდოზას სამართლის მიმოხილვა	EEA	ევროპული ეკონომიკური ზონა
CARICOM	კარიბის აუზის ქვეყნების საზოგადოება	EEC	ევროპის ეკონომიკური გაერთიანება
Cd., Cmd., Cmm., Cm.	ბრძანების დოკუმენტები (გაერთიანებული სა- მეფო), 1900-1918, 1919-1956, 1956-1986, 1986-შესაბამისად	EFTA	ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია
CEFTA	ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონა	EJIL	საერთაშორისო სამართლის ევროპული ჟურნალი
CENTO	ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია	ELQ	ეკოლოგიური სამართლის ყოველკვარტალური გამოცემა
CFCs	ქლოროფლუორკარბონი	Emory ILR	ემერის საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა
		EPIL	საჯარო საერთაშორისო სამართლის ენციკლოპედია
		EPL	გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სამართალი
		ER	ინგლისური მოხსენებები
		ESA	ევროპული კოსმოსური სააგენტო

ET	ევროპული გადასახადით დაბეგვრა	ICJYb	სულტაციომოსაზრებათა და ბრძანებათა გამოცემები
ETS	ევროპული ხელშეკრულების გამოცემები	ICLQ	საერთაშორისო სასამართლოს ყოველწლიური გამოცემა
EU	ევროკავშირი	ICRC	საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ყოველ-კვარტალური გამოცემა
Eur.-Asia Stud.	ევროპულ-აზიური სწავლება (იურიდიული მეცნიერებები)	ICSCID	ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
EURATOM	ევროპის ატომური ენერჯის საზოგადოება	ICSID Rev.	საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი
EUTELSAT	ევროპული სატელიტური კავშირების ორგანიზაცია	ICSID Rev.	ICSID-ის მიმოხილვა – საგარეო ინვესტიციების სამართლის ჟურნალი
Ex. D.	სამართლის გამოცემები, ფინანსთა სამინისტროს განყოფილება (გაერთიანებული სამეფო)	ICTY Bull.	ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის ბიულეტენი
F. 2d	ფედერალური გამოცემები (მეორე სერია) (აშშ)	IDA	საერთაშორისო განვითარების ბიუჯეტი
F. (J.C.)	ფრაიზერი, სასამართლო საქმეები, (მოტლანდია)	IFAD	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
F. Supp.	ფედერალური დანართი (აშშ)	IFC	საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
FA	საგარეო საქმეები	IFOR	ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ნატოს მშვიდობის დამამყარებელი ძალები
FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია	IHT	საერთაშორისო შერად ტრიბუნალი
FAZ	ფრანკფურტალ გემინე ცაიტუნგ (ფრანკფურტის საყოველთაო გაზეთი)	IJ	საერთაშორისო ჟურნალი
FCN	მეგობრობის, კომერციისა და ნავიგაციის ხელშეკრულება	IJECL	ესტუარული და სახმელეთო სამართლის საერთაშორისო ჟურნალი
Fla. JIL	ფლორიდის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი	IL	საერთაშორისო იურისტი
Fordham ILJ	ფორდჰემის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი	ILA	საერთაშორისო სამართლის ასოციაცია
FP	საგარეო პოლიტიკა	ILA Rep.	საერთაშორისო სამართლის ასოციაციის კონფერენციების გამოცემები
FSIA	უცხო სუვერენის იმუნიტეტის აქტი	ILC	საერთაშორისო სამართლის კომისია
FTA	კანადა-აშშ-ს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ	ILCYb	საერთაშორისო სამართლის კომისიის ყოველწლიური გამოცემა
FYIL	საერთაშორისო სამართლის ფინური ყოველწლიური გამოცემა	ILM	საერთაშორისო სამართლებრივი მასალები
GA	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა	ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
Ga. JICL	საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ჯორჯიის შტატის ჟურნალი	ILP	საერთაშორისო სამართალი და პოლიტიკა
GATS	გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ	ILQ	საერთაშორისო სამართლის ყოველკვარტალური გამოცემა
GATT	გენერალური შეთანხმება საბაჟო ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ	ILR	საერთაშორისო სამართლის გამოცემები
GEF	გარემოსდაცვითი საერთაშორისო პროგრამა (სოფლიო ბანკი)	ILT	ირლანდიური სამართლისა და ადვოკატთა ჟურნალი
Geo. LJ	ჯორჯთაუნის სამართლის ჟურნალი	IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
GNP	საერთო – ეროვნული პროდუქტი	IMO	საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
Gov.&Oppos.	მთავრობა და ოპოზიცია	Indian JIL	ინდური საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
GYIL	საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური გერმანული გამოცემა	INMARSAT	საზღვაო სატელიტური კავშირის საერთაშორისო ორგანიზაცია
Hague YIL	ჰააგის საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური გამოცემა	INTELSAT	სატელიტური კავშირის საერთაშორისო ორგანიზაცია
Harris CMIL	დ.ჯ. ჰარისი, საქმეები და მასალები საერთაშორისო სამართალზე, მე-4 გამოცემა, 1991	IO	საერთაშორისო ორგანიზაცია
Harvard ILJ	ჰარვარდის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი	IP	საერთაშორისო მშვიდობის მსყიდველი
Harvard LR	ჰარვარდის სამართლის მიმოხილვა	IPTF	საერთაშორისო პოლიციის ოპერატიული ჯგუფი
Hastings ICLR	ჰასტიუნგის საერთაშორისო და შედარებითი სამართლის მიმოხილვა	IQ	ინდონეზიის ყოველკვარტალური გამოცემა
Hastings LJ	ჰასტიუნგის სამართლის ჟურნალი	IR	საერთაშორისო ურთიერთობები
High Tech. LJ	უახლესი ტექნოლოგიების სამართლის ჟურნალი	Iran-US CTR	ირანისა და აშშ-ს პრეტენზიების ტრიბუნალის გამოცემები
HM	ჰელსინკის მონიტორი	IRRC	ნითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა
Houston JIL	ჰიუსტონის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი	Israel LR	ისრაელის სამართლის მიმოხილვა
HRLJ	ადამიანის უფლებათა სამართლის ჟურნალი	ITO	ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია
HRQ	ადამიანის უფლებათა ყოველკვარტალური გამოცემა	ITU	ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი
HV	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	IUCN	ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი
IA	საგარეო საქმეები	IYIL	საერთაშორისო სამართლის იტალიური ყოველწლიური გამოცემა
IAEA	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო	Jap. Ann. IL	საერთაშორისო სამართლის იაპონური ყოველწლიური გამოცემა
IATA	საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია	JDI	საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი	JArb.	საერთაშორისო არბიტრაჟის ჟურნალი
ICAO	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	JPR	მშვიდობის კვლევის ჟურნალი
ICC	საერთაშორისო სავაჭრო პალატა	JSpaceL	კოსმოსური სამართლის ჟურნალი
ICJ	საერთაშორისო სასამართლო	JTLP	ტრანსნაციონალური სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი
ICJ Rep.	საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებათა, საკონ-		

JWTL მსოფლიო სავაჭრო სამართლის ჟურნალი
 KB სამეფო ტახტის სასამართლო
 KCA კესინგის თანამედროვე არქივი
 LAS არაბულ სახელმწიფოთა ლიგა
 Leg. Stud. იურიდიული მეცნიერებები
 LJIL საერთაშორისო სამართლის ლეიდენის ჟურნალი
 LNOJ ერთა ლიგის ოფიციალური ჟურნალი
 LNTS ერთა ლიგის ხელშეკრულებათა გამოცემები
 LPIB საერთაშორისო ბიზნესის სამართალი და პოლიტიკა
 LOS Bull. საზღვაო სამართლის ბიულეტენი
 Loyola LAICLJ ლოს-ანჯელესის ლოიოლა საერთაშორისო და შედარებით სამართლის ჟურნალი
 LQR სამართლის ყოველკვარტალური მიმოხილვა
 MERCOSUR *Mercado Comun Del Sur* (ხელშეკრულება, რომელმაც დააფუძნა საერთო ბაზარი არგენტინას, ბრაზილიას, პარაგვაისა და ურუგვაის შორის)
 MFN ყველაზე მიღებული ერის დათქმა
 Mich. JIL საერთაშორისო სამართლის მიჩიგანის ჟურნალი
 MIGA მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო
 MINURSO გაეროს მისია დასავლეთ საჰარის რეფერენდუმის შესახებ
 Mont. LR მონტანის სამართლის მიმოხილვა
 MSF ექიმები საზღვრებს გარეშე
 NAFO ჩრდილოეთ ატლანტიკის თევზმჭერთა ორგანიზაცია
 NAFTA ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
 NATO ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია
 NCJILCR საერთაშორისო სამართლისა და კომერციული რეგულირების ჩრდილოეთ კალიფორნიის ჟურნალი
 NGOs არასამთავრობო ორგანიზაციები
 NIEO ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი
 NILR ნიდერლანდების საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა
 NJILB ჩრდილოდასავლური საერთაშორისო სამართლისა და ბიზნესის ჟურნალი
 NLJ ახალი სამართლის ჟურნალი
 Nordic JIL საერთაშორისო სამართლის სკანდინავიური ჟურნალი
 NQHR ნიდერლანდების ადამიანის უფლებათა ყოველკვარტალური გამოცემა
 NULR ჩრდილოდასავლური უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა
 NWICO ინფორმაციისა და კომუნიკაციების ახალი მსოფლიო წესრიგი
 NYIL საერთაშორისო სამართლის ნიდერლანდების ყოველწლიური გამოცემა
 NYL. Sch. ICL ნიუ-იორკის სამართლის სკოლის საერთაშორისო და შედარებით სამართლის ჟურნალი
 NYUJILP ნიუ-იორკის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალი
 NYULR ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა
 OAS ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია
 OAU აფრიკული ერთობის ორგანიზაცია
 OCSE ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
 ODA განვითარების მიზნით განუღებელი ოფიციალური დახმარება
 ODECA ცენტრალური ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია
 OECD ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
 OIC ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია
 Okla. CULR ოკლაჰომის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა
 ONUC გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები კონგოში
 ONUCA გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა ჯგუფი ცენტრალურ ამერიკაში

ONUMOZ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაცია მოზამბიკაში
 ONUSAL გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია ელ-სალვადორში
 ONUVEH გაეროს დამკვირვებელთა ჯგუფი ჰაიტიში ჩატარებულ არჩევნებზე
 OPEC ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია
 Osteur.-Recht აღმოსავლეთ ევროპის სამართალი
 Ottawa LR ოტავას სამართლის მიმოხილვა
 Pace ILR ფეისის საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა
 Palestine YIL პალესტინის საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური გამოცემა
 PCA საერთაშორისო არბიტრაჟი
 PCIJ მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო
 PCIJ Series A მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, გადანყვეტილებათა კრებული (1922 - 1930)
 PCIJ Series A/B მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, გადანყვეტილებათა, ბრძანებათა და საკონსულტაციო მოსაზრებათა კრებული (1931-1940)
 PCIJ Series B მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, საკონსულტაციო მოსაზრებათა კრებული (1922-1930)
 PD სამართლის გამოცემები, პრობაციის, განქორწინებისა და საზღვაო სამინისტროს განყოფილება, 1875-90 (გაერთიანებული სამეფო)
 Pepp. LR პაპერდინის სამართლის მიმოხილვა
 P.L. საჯარო სამართალი
 PLO პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია
 Proc. IISL კოსმოსური სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის გამოცემები
 PYIL საერთაშორისო სამართლის პოლონური ყოველწლიური გამოცემა
 QB სასამართლო გადანყვეტილებების კრებული, სამეფო ტახტის სასამართლო (გაერთიანებული სამეფო)
 RBDI ბელგიის მიმომხილველი საერთაშორისო სამართალში
 RdC საერთაშორისო სამართლის ჰააგის აკადემია
 RDI საერთაშორისო სამართლის მიმომხილველი დიპლომატიურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში
 REDI ეგვიპტის მიმომხილველი საერთაშორისო სამართალში
 Restatement (Third) ამერიკის სამართლის ინსტიტუტი, აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა სამართლის (მესამე) განაცხადი
 RFDAS ფრანგული მიმომხილველი საჰაერო და კოსმოსურ სამართალში
 RGDIP საჯარო საერთაშორისო სამართლის ზოგადი მიმომხილველი
 RIA საგარეო საქმეთა მიმოხილვა
 RIAA (გაეროს) საერთაშორისო საარბიტრაჟო გადანყვეტილებათა გამოცემები
 RIS საერთაშორისო მეცნიერებათა მიმოხილვა
 RSDI შვეიცარიის მიმომხილველი საერთაშორისო სამართალში
 RPF რუანდის პატრიოტული ფრონტი
 S. Ct. უზენაესი სასამართლოს მომხსენებელი
 San Diego LR სან-დიეგოს სამართლის მიმოხილვა
 Santa Clara LR სანტა-კლარას სამართლის მიმოხილვა
 SAYIL სამხრეთ აფრიკის ყოველწლიური გამოცემა საერთაშორისო სამართლის შესახებ
 SC გაეროს უშიშროების საბჭო
 DT. GRUPPE AAA ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის მსმენელთა და ყოფილ მსმენელთა ასოციაცია
 SDR სპეციალური სასესიო უფლება
 SELA ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემა
 SIA სახელმწიფო იმუნუიტეტის აქტი ბსიმა (რედაქტორი), გაეროს წესდება, კომენტარი 1995
 Sing. JLS იურიდიული მეცნიერების სინგაპურის ჟურნალი
 SP კოსმოსური სივრცის პოლიტიკა

Space Comm.	კოსმოსური კავშირი		
Sri Lanka JIL	შრი-ლანკას საერთაშორისო სამართლის ჟურნალი	UNITAF	ერთიანი ოპერატიული ჯგუფი
St. Loise ULJ	წმინდა ლუისის უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი	UNMIH	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია პატიში
Stanford JIL	სტენფორდის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი	UNMOT	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია ტაჯიკეთში
Suffolk TLJ	სუფოლკის ტრანსნაციონალური სამართლის ჟურნალი	UNOMIG	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია საქართველოში
SWAPO	სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ხალხთა ორგანიზაცია	UNOMIL	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია ლიბერიაში
TA	ტრანსნაციონალური ასოციაციები	UNOMUR	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია უზგანდა-რუანდაში
Temple ICLJ	ტემპლეს საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ჟურნალი	UNOSOM	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაცია სომალიში
Texas ILJ	ტეხასის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი	UNPO	წარმოუდგენელი ერებისა და ხალხთა ორგანიზაცია
TNCs	ტრანსნაციონალური კორპორაციები	UNPREDEP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრევენციული განლაგების ძალები მაკედონიის ყოფილ იუგოსლავიურ რესპუბლიკაში
Trans. Grot. Soc.	გროციუსის საზოგადოების გარიგებები	UNPROFOP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამცავი ძალები (ყოფილ) იუგოსლავიაში
TRIMS	ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ღონისძიებები	UNSF	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების ძალები დასავლეთ ახალ გვინეაში (დასავლეთ ირანი)
TRIPS	ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები	UNTAC	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ხელისუფლება კამბოჯაში
TSJ	ჟურნალი ტელეკომუნიკაციებისა და კოსმოსის შესახებ	UNTAG	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური დახმარების ჯგუფი ნამიბიაში
UKTS	გაერთიანებული სამეფოს ხელშეკრულებათა გამოცემები	UNTS	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებათა გამოცემები
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია	UNYb	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველწლიური გამოცემა
UNAMIC	გაეროს მისია კამბოჯაში	UNYOM	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იემენის დამკვირვებელთა მისია
UNAMIR	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანადგომის მისია რუანდაში	UPU	უნივერსალური საფოსტო კავშირი
UNASOG	გაერთიანებული ერების დამკვირვებელთა ჯგუფი აოუზოუს მონაკვეთზე	US	აშშ-ს სასამართლო გადაწყვეტილებები (უზუნაესი სამართლო)
UNAVEM	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზედამხედველობის მისია ანგოლაში	US-Mexico LJ	ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის სამართლის ჟურნალი
UNCC	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპენსაციის კომისია	USCMA	აშშ-ს სამხედრო სააპელაციო სასამართლო
UNCED	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია გარემოსა და განვითარების შესახებ	USTS	აშშ-ს ხელშეკრულებათა გამოცემები
UNCHR	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა ცენტრი	Vand. JTL	ტრანსნაციონალური სამართლის ვანდერბილტის ჟურნალი
UNCITRAL	საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის გაეროს კომისია	Vand. LR	ვანდერბილტის სამართლის მიმოხილვა
UNCLOS	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია საზღვაო სამართლის შესახებ	Virginia JIL	საერთაშორისო სამართლის ვირჯინიის ჟურნალი
UNCOPUOS	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტი კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ	VN	გაერთიანებული ერები
UNCRO	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნდობის აღსადგენი მისია ხორვატიაში	VRU	ოკეანისგალმა (ტრანსატლანტიკური) ქვეყნების კონსტიტუცია და სამართალი დასავლეთ ევროპული კავშირი
UNCTAD	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ	WEU	ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
UNDOF	გაეროს რეზიდენტებზე ზედამხედველობის ძალები	WHO	ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
UNDP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა	WIPO	ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია
UNEF	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსაკუთრებული დანიშნულების ძალები	Wis. ILJ	ვისკონსინის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
UNEP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა	WLR	ყოველკვირეული სასამართლო გადაწყვეტილებების კრებული
UNESCO	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის პროგრამა	WMO	მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია
UNFICYP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის-მყოფელი ძალები კვიპროსში	Wolftrum UNLPP	ვოლფრამი, გაერთიანებული ერები: სამართალი, პოლიტიკა და პრაქტიკა, 2 ტომი, 1995 (UNLPP I = UNLPP I ტომი; UNLPP II = UNLPP II ტომი)
UNGOMAP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კეთილი სამსახურის მისია ავღანეთსა და პაკისტანში	WTO	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია
UNIDO	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია	Yale JIL	იელის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
UNIFIL	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალები ლიბანში	YIEL	საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ყოველწლიური გამოცემა
UNIIMOG	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი ირანსა და ერაყში	ZaoRV	საზღვარგარეთის საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ჟურნალი
UNIKOM	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისია ერაყსა და ქუვეითში	ZLW	ბაზარი საჰაერო და კოსმიური უფლებებისათვის
UNISPACE	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია		

ა კ ე ჯ ა რ ს ტ ი ს
თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე
ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო
ს ა მ ა რ თ ა ლ ი

მეშვიდე შესწორებული გამოცემა

1. შესავალი

საერთაშორისო სამართლის განმარტების სირთულეები

ტერმინი „საერთაშორისო სამართალი“ პირველად ჯერემი ბენტამმა გამოიყენა 1780 წელს თავის ნაშრომში „მორალისა და კანონმდებლობის პრინციპების შესავალი.“ დაახლოებით 1840 წლიდან მან ინგლისურ და რომანულენოვან ლიტერატურაში შეცვალა ძველი ტერმინი „ხალხთა სამართალი“ (“law of nations” ან “droit de gens”), რომელიც რომაული ცნებიდან „იუს გენტიუმ“ და ციცირონის ნაწარმოებებიდან იღებს სათავეს.¹ გერმანულ, ჰოლანდიურ, სკანდინავიურ და სლავურ ენებში ჯერ კიდევ გამოიყენება ძველი ტერმინოლოგია (“Völkerrecht”, “Volkenrecht” და მისთ.).

ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდამდე საერთაშორისო სამართალს განსაზღვრავდნენ², როგორც სამართალს, რომელიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს არეგულირებს. მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გაბატონებული პოზიტივისტური დოქტრინის³ თანახმად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ სახელმწიფოები, რადგან მათ ჰქონდათ საერთაშორისო სამართალსუბიექტობა⁴ და საერთაშორისო უფლებები და მოვალეობები, მათ შორის – საერთაშორისო პრეტენზიების წამოყენების უფლებაც.⁵

მაგრამ ეს სრულად არ ასახავდა იმ დროის რეალობასაც კი. მაგალითად, ითვლებოდა, რომ ვატიკანი⁶, თუმცა სახელმწიფოს არ წარმოადგენდა, მაინც ფლობდა საერთაშორისო სამართალსუბიექტობას. ასევე განიხილებოდნენ მემბოხები⁷ და საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგიერთი წინამორბედი⁸. ომებსშორისი პერიოდიდან მოყოლებული, საკითხი გართულდა საერთაშორისო სამართლის მოცულობის გაფართოებისა და საერთაშორისო სამართალში ისეთი ახალი მოქმედი პირების გამოჩენის შედეგად, როგორებიცაა: სახელმწიფოთა მიერ დაარსებული სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები და კერძო პირების მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო კომპანიები, პირები და ჯგუფები, მათ შორის, უმცირესობანი და მკვიდრი მოსახლეობა⁹. ამ ახალ მოქმედ პირთაგან ზოგიერთმა შეიძინა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა ან საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები, თუნდაც ეს მხოლოდ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებებით ყოფილიყო დაშვებული.

ეს განვითარება ნათლად აისახება ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ გამოცემული აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა კანონის (მესამე) განაცხადში მოცემული საერთაშორისო სამართლის დეფინიციის ცვლილებაში. განაცხადის მიხედვით, საერთაშორისო სამართალი:

შეიცავს ზოგადი გამოყენების წესებსა და პრინციპებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ქმედებას და ურთიერთობებს *inter se*, აგრეთვე მათ ურთიერთობებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.¹⁰

ზოგი თანამედროვე სახელმძღვანელო თავს არიდებს საერთაშორისო სამართლის განმარტებას და მსჯელობას პირდაპირ მისი „წყაროების“ განხილვით იწყებს¹¹. ამის გამო სერ რობერტ ჯენინგსმა, ცნობილმა სპეციალისტმა და საერთაშორისო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, საექვო გახადა საერთაშორისო სამართლის ობიექტური განსაზღვრის საჭიროება, მისი ფაქტობრივი გამოყენების თვალსაზრისით.¹² ყოველ შემთხვევაში, სახელმძღვანელოში საკითხის წარმოდგენისას, დასაწყისშივე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ

¹ იხ. მაგალითად, Cicero, *De officiis*, lib. III, 17.69.

² იხ. თ. 4.

³ იხ. თ. 2.

⁴ იხ. თ. 6.

⁵ იხ. თ. 17 და თ. 18.

⁶ იხ. თ. 5.

⁷ იხ. თ. 6 და თ. 19.

⁸ იხ. თ. 2 და თ. 6.

⁹ იხ. თ. 6 და თ. 19.

¹⁰ *Restatement (Third)*, para. 101, 22-4; *ibid.*, para. 1, at 7.

¹¹ იხ. I. Brownlie, *Principles of Public International Law*, 4th edn 1990. საერთაშორისო სამართლის წყაროების შესახებ იხ. თ. 3.

¹² R. Y. Jennings, *International Law*, *EPIL* II (1995), 1159-78, at 1165.

¹³ იბ. M. Koskenniemi. The Future of Statehood. *Harvard ILJ* 32 (1991), 397; C. Schreuer. The Waning of the Sovereign State: Towards a New Paradigm for International Law?, *EJIL* 4 (1993), 447-71; L.A. Khan, *The Extinction of Nation-States. A World Without Borders*, 1996. იბ. აგრეთვე, თ. 2.

¹⁴ იბ. თ. 21.

¹⁵ Article 35, UN Charter, text in *Brownlie BDIL*, 1. იბ. თ. 22.

¹⁶ Article 34(1), Statute of the ICJ, *ibid.*, 438. იბ. თ. 18.

¹⁷ იბ. თ. 17.

¹⁸ იბ. თ. 5.

¹⁹ იბ. თ. 3.

²⁰ იბ. O. Schindler. Regional International Law, *EPIL* 7 (1984), 404-9; აგრეთვე, თ. 2 და თ. 3.

²¹ იბ. თ. 3.

²² იბ. თ. 2.

²³ იბ. თ. 2.

²⁴ იბ. E. McWhinney. *United Nations Law Making: Cultural and Ideological Relativism and International Law Making for an Era of Transition*, 1984; R.-J. Dupuy (ed.), *The Future of International Law in a Multicultural World*, 1984; A. Cassese, *International Law in a Divided World*, 1986.

²⁵ *Brownlie BOIL*, 36. იბ. თ. 2.

გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ზრდისა და საერთაშორისო დონეზე ახალ მოქმედ პირთა გამოჩენის მიუხედავად, აგრეთვე, იმის მიუხედავად, რომ საექვო გახდა სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ურთიერთობებში,¹³ საერთაშორისო სამართალი ძირითადად მაინც ისევ სახელმწიფოების მიერ იქმნება და გამოიყენება. საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ამ ტერიტორიული ერთეულებისა და მათი მთავრობების მხრიდან დახმარების მზადყოფნაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო,¹⁴ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება, გაეროს უშიშროების საბჭოს ყურადღება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საშიშ ფაქტებზე მიაპყროს,¹⁵ მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება მოგვევლინოს ერთ-ერთ მხარედ საერთაშორისო სასამართლოში¹⁶ ან წარადგინოს სარჩელი თავისი მოქალაქის სახელით სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ.¹⁷ ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში პიროვნებას არა აქვს პირადი უფლებები და დამოკიდებულია თავისი სახელმწიფოს პოლიტიკურ დისკრეციანზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო იურიდიული სისტემა კვლავ უპირატესად მთავრობათა სახით წარმოდგენილ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაზეა ორიენტირებული.¹⁸

საყოველთაო და რეგიონალური საერთაშორისო სამართალი

„საყოველთაო საერთაშორისო სამართალი“ მოიცავს წესებსა და პრინციპებს, რომლებიც სახელმწიფოთა უმრავლესობას შეეფარდება და ჩვეულებით საერთაშორისო სამართალს ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებს ემყარება.¹⁹ როდესაც ეს წესები სავალდებულო ხდება ყველა სახელმწიფოსათვის, მაშინ მათ ხშირად უკვე „უნივერსალურ საერთაშორისო სამართალს“ უწოდებენ. მაგრამ არსებობს რეგიონალური საერთაშორისო სამართალიც, რომელიც სახელმწიფოთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს ეხება. ასეთებია, მაგალითად, დიპლომატიური თავშესაფრის გარკვეული წესები, რომლებსაც მხოლოდ სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები აღიარებენ,²⁰ ან ევროკავშირის სამართალი. ამას გარდა, ტერმინი „პარტიკულარული საერთაშორისო სამართალი“ გამოიყენება იმ წესების აღსანიშნავად, რომლებიც მხოლოდ ორი ან რამდენიმე სახელმწიფოსთვის არის სავალდებულო. უბრალო ჩვეულებებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სახელმწიფოთა პრაქტიკაში და არა აქვთ იურიდიულად სავალდებულო ხასიათი, ხშირად საერთაშორისო თავაზიანობას უწოდებენ.²¹

რეგიონალიზმი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სამართლის უნივერსალურობას, მაგრამ ის მაინც საერთაშორისო სისტემის მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა.²² საერთაშორისო სამართლის უნივერსალურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ჯერ საერთაშორისო სამართლის კომუნისტურმა თეორიამ, შემდეგ კი – მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დეკოლონიზაციის პროცესში ბევრი ახალი სახელმწიფოს წარმოქმნამ.²³ არსებითად, ეს პრობლემები აღარ არსებობს. მაგრამ რეალობა ისიც, რომ დღეს არსებულ 185-ზე მეტი სახელმწიფოს თანამეგობრობა საკმაოდ მრავალფეროვანია სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის, ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, პოლიტიკური სტრუქტურის, კულტურული და იდეოლოგიური ორიენტაციის თვალზრისით. ეს განსხვავებებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო სამართლის ინტერპრეტაციასა და მის მოქმედებაზე.²⁴ თითქმის ყველა არსებული სახელმწიფო არის გაერთიანებული ერებისა და სხვადასხვა რეგიონალური ორგანიზაციების წევრი და სახელმწიფოებს შორის არსებობს თანხმობა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე, რომლებიც გაეროს წესდებასა და 1970 წლის კეთილმეგობრულ ურთიერთობათა დეკლარაციაშია²⁵ ასახული.

საერთაშორისო სამართლის ნიშან-თვისებები

საერთაშორისო სამართალს მთელი რიგი ნიშან-თვისებები ახასიათებს, რომელიც მას მკაფიოდ განასხვავებს თანამედროვე სახელმწიფოსა და მისი აპარატის არსებობასთან დაკავშირებული მაღალგანვითარებული ეროვნული სამართლებრივი სისტემებისაგან. თანამედროვე სახელმწიფომ, რომელიც ევროპაში აღმოცენდა მეთოთხმეტე საუკუნის შემდეგ, მოახდინა ძალის ცენტრალიზაცია და რეგულარული ჯარისა და ეფექტური ბიუროკრატიის დამკვიდრებით სახელმწიფო მონოპოლიად აქცია.²⁶ სახელმწიფო უფრო და უფრო იჭრებოდა ეკონომიკურ და სოციალურ მართვაში და ქმნიდა საზოგადოების მომწესრიგებელი სამართლებრივი ინსტიტუტების, პრინციპებისა და წესების ურთულეს სისტემას.

სამართლის დასავლური კონცეფცია, თავისი ეროვნული და ფილოსოფიური ნაირსახეობებით, როგორც სახელმწიფოს, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისა და განვითარების ძირითად ინსტრუმენტად იქცა. სისტემური თვალსაზრისით, ეს აისახება ცენტრალურ ორგანოთა სამი ფუნქციის გამიჯვნაში; ესენია: კანონშემოქმედებითი (საკანონმდებლო ორგანო), კანონდამდგენი (სასამართლოები და ტრიბუნალები) და სამართალდამცავი (ადმინისტრაცია, პოლიცია, ჯარი). შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მმართველობის ორგანოების, კერძო პირებისა და პირთა ჯგუფების დიდ რიცხვს შეეფარდება, საერთაშორისო სამართალი კი, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების იურიდიულ მოწესრიგებას ემსახურება – სახელმწიფოებისა, რომლებიც ტერიტორიული ერთეულების სახითაა ორგანიზებული, რაოდენობრივად მცირეა და, მიუხედავად ამკარა განსხვავებებისა, თავიანთ თავს „სუვერენულებსა“ და „თანასწორებს“ უწოდებენ.²⁷ ამრიგად, საერთაშორისო სამართალი არის ჰორიზონტალური სამართლებრივი სისტემა, რომლისთვისაც უცხოა უმაღლესი ხელისუფლება, ძალაუფლების ცენტრალიზაცია და, როგორც წესი, ცენტრალურ ორგანოებს მიკუთვნებული სამი ძირითადი ფუნქციის – საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ფუნქციების – გამიჯვნა. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა არ არის მსოფლიო კანონმდებელი,²⁸ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ სახელმწიფოთა მიერ იურისდიქციის აღიარების შემთხვევაში²⁹, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სამართალდამცავი უნარი შეზღუდულია როგორც იურიდიულად, ისე პოლიტიკურად.³⁰

და მაინც, სახელმწიფო, რომელიც დაარღვევს საერთაშორისო ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებული სახელმწიფოს ან, გარკვეულ შემთხვევებში, მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის.³¹ დაზარალებულ სახელმწიფოს შეუძლია საერთაშორისო სარჩელის აღძვრა. ამის განხორციელება მას სპეციალური საშუალებებით, თუ ასეთები არსებობს, მესამე მხარისათვის შუამავლობის ან შერიგებისათვის მიმართვით, არბიტრაჟის ან სასამართლო პროცესის საშუალებით შეუძლია.³² ამას გარდა, სახელმწიფოს უფლებების ხელყოფის შემთხვევაში სახელმწიფოთა თვითდახმარებას საერთაშორისო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში პიროვნებათა თვითდახმარების შეზღუდული შესაძლებლობებისგან განსხვავებით.

თუ ერთი სახელმწიფო მეორის მიმართ არაკანონიერ ქმედებას განახორციელებს და უარს ამბობს ზარალის ანაზღაურებაზე ან საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარდგომაზე, დაზარალებული სახელმწიფოს განკარგულებაში მხოლოდ ერთი (ასე იყო უკანასკნელ დრომდე) სანქცია არსებობს – თვითდახმარება.³³ თვითდახმარება სანქციის სახით ყველა იურიდიულ სისტემაში არსებობს. ძველ პრიმიტიულ სამართლებრივ სისტემებში სანქციათა უმრავ-

²⁶ იხ. H. Spruyt, *The Sovereign State and Its Competitors*, 1995. იხ. აგრეთვე, თ. 2.

²⁷ იხ. B. Bruns, *The Doctrine of Equality of States as Applied in International Organizations*, 1959; R.R. Anand, *Sovereign Equality of States in International Law*, RdC (1986), 13-228; G. Jaenicke, *States, Equal Treatment and Non-Discrimination*, EPIL 10 (1987), 456-65; J.M. Castro Rial, *States, Sovereign Equality*, *ibid.*, 477-81.

²⁸ იხ. თ. 3 და თ. 21.

²⁹ იხ. თ. 18.

³⁰ იხ. თ. 18, თ. 21 და თ. 22.

³¹ იხ. თ. 3 და თ. 17.

³² იხ. თ. 18.

³³ B.-O. Bryde, *Self-Help*, EPIL 4 (1982), 215-17.

K 21647

³⁴ იბ. თ. 19.
³⁵ იბ. თ. 17.
³⁶ იბ. თ. 22.
³⁷ იბ. თ. 3.

ლესობა ითვალისწინებდა თვითდახმარებას ამა თუ იმ ფორმით. თანამედროვე სამართლებრივ სისტემებშიც კი პირს შეუძლია თავი დაიცვას თავდასხმის შემთხვევაში, დაიბრუნოს მოპარული ქონება, გააძევოს საზღვრის დამრღვევი თავისი კუთვნილი ტერიტორიიდან, შეწყვიტოს კონტრაქტი, თუ მეორე მხარემ დაარღვია ძირითადი პირობა. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებებში თვითდახმარება უფრო გამონაკლისად იქცა, ვიდრე წესად, საერთაშორისო სამართალში კი მას წესის მნიშვნელობა ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს.

ერთ დროს სახელმწიფოებს ომის დაწყებაც კი შეეძლოთ თავიანთი იურიდიული უფლებების დასაცავად, მაგრამ დღეს ეს აღარ არის კანონიერი, გარდა ისეთი გამონაკლისებისა, როგორცაა თავდაცვა შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში.³⁴ თვითდახმარების შენარჩუნებული ფორმები არის კონტროლისძიებები, როგორებიცაა რეტორსია და რეპრესალია.³⁵

რეტორსია კანონიერი აქტია, რომელიც მიზნად ისახავს დამრღვევ სახელმწიფოზე ზემოქმედებას – მაგალითად, ეკონომიკური დახმარების შეწყვეტით (ეს კანონიერია, რადგან არ არსებობს ეკონომიკური დახმარების უზრუნველყოფის იურიდიული ვალდებულება, გარდა განსაკუთრებული, ხელშეკრულებით დაფიქსირებული შემთხვევებისა).

რეპრესალია, ჩვეულებრივ, უკანონოდ იქნებოდა მიჩნეული, რომ არა მეორე სახელმწიფოს წინმსწრები უკანონო ქმედება. მაგალითად, თუ A სახელმწიფო მოახდენს B სახელმწიფოს მოქალაქეთა ქონების ექსპროპრიაციას კომპენსაციის გარეშე, მაშინ B სახელმწიფოს შეუძლია უპასუხოს იმით, რომ იგივე ჩაიდინოს A სახელმწიფოს მოქალაქეთა ქონების მიმართ. რეპრესალია თავდაპირველი დარღვევის პროპორციული უნდა იყოს. მაგალითად, B სახელმწიფოს თავის მოქალაქეთა დაკარგულ ქონებაზე მეტი ღირებულების ქონების ექსპროპრიაციის უფლება არა აქვს და, მით უმეტეს, არა აქვს A ქვეყნის მოქალაქის დაპატიმრების ან სიკვდილით დასჯის უფლება.

რეტორსიისა და რეპრესალიის ნაკლი ისაა, რომ ამ ღონისძიებათა გამტარებელ სახელმწიფოს შეუძლია საკუთარ თავს ისეთივე ზიანი მიაყენოს, როგორც იმ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია მისი ქმედება; კერძოდ, ასე ხდება, როდესაც ერთი სახელმწიფო წყვეტს ვაჭრობას მეორე სახელმწიფოსთან. უახლოეს წარსულში ამის მაგალითი იყო ამერიკის შეერთებული შტატების თავშეკავებული პოზიცია ჩინეთში ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო სავაჭრო სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით, რადგან ეს ამერიკული კომპანიების მიერ ჩინეთის უზარმაზარი საბაზრო შესაძლებლობების გამოყენებას შეზღუდავდა. თვითდახმარების უფრო სერიოზული ნაკლი ისაა, რომ ის ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებული სახელმწიფო, რაიმე თვალსაზრისით, უფრო ძლიერი ან ავტორიტეტულია, ვიდრე დამრღვევი სახელმწიფო.

ამიტომ არ იწვევს გაკვირვებას თანამედროვე ტენდენცია იმასთან დაკავშირებით, რომ სანქციები სახელმწიფოთა დიდმა ჯგუფებმა განახორციელონ, რომლებიც ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მოქმედებენ, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.³⁶ მაგრამ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს თავისი სანქციების გამოყენება მხოლოდ განსაზღვრულ გარემოებებში შეუძლია. წარსულში ის ხშირად იყო პარალიზებული ვეტოს უფლებით, რომელსაც მისი ხუთი მუდმივი წევრი ფლობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში ვეტოს მექანიზმი არ გამოიყენება, მაგრამ მის რეზოლუციებს იურიდიულად სავალდებულო ძალა არა აქვს (მიუხედავად იმისა, რომ ისინი საჯარო აზრის საფუძველზე იქმნებოდა და შესაძლებელია მათი გამოყენება პოლიტიკური ზენონის მიზნით).³⁷ როგორც უშიშროების საბჭო, ისე გენერალური ასამბლეა, რომლებიც უფრო პოლიტიკური ორგანოებია, ვიდრე იურიდიული, თავიანთ გადაწყვეტილებებში პოლიტიკურ მოსაზრებებს ეფუძნებიან და სადავო სა-

კითხების განხილვისას მცირე ყურადღებას უთმობენ იურიდიულად მტყუან-მართლის გარჩევას.³⁸

საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც სპეციალიზებული ფუნქციები აქვთ, უფრო ეფექტური კონტროლის განხორციელება შეუძლიათ თავიანთი ნევრების მიმართ, თუ ეს უკანასკნელნი ამ ორგანიზაციებს არსებით სამსახურს უწევენ, როგორც, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდში.³⁹ სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნევრობიდან გაირიცხება, ვეღარ შეძლებს მისგან ოქროსა და უცხოური ვალუტის სესხებას საგადაამხდლო კრიზისის დაძლევის მიზნით. რეგიონალურ ორგანიზაციებს კიდევ უფრო მკაცრი ზედამხედველობის განხორციელება შეუძლიათ თავიანთ ნევრებზე; მაგალითად, ევროკავშირის სასამართლოს აქვს სავალდებულო იურისდიქცია იმ ნევრი სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც ბრალი ედებათ კავშირის სამართლის კანონების დარღვევაში.⁴⁰

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სანქციები საერთაშორისო სამართალში ნაკლებეფექტურია, ვიდრე ეროვნულ სამართალში. ვინაიდან სახელმწიფოთა რიცხვი მცირეა, ხოლო მათი ძალა – არათანაბარი, ყოველთვის არსებობს რამდენიმე სახელმწიფო, რომლებიც იმდენად ძლიერები არიან, რომ სხვა სახელმწიფოებს უძღურების, მორჩილების ან შინაგანი წინააღმდეგობების გამო მათ წინააღმდეგ სანქციების განხორციელება არ შეუძლიათ. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართალი ნაკლებეფექტურია, ვიდრე ეროვნული, არამედ მხოლოდ იმას, რომ ის სხვა გზით მოქმედებს.

საერთაშორისო სამართალში მიჩნეულია, რომ, თუ სახელმწიფომ მართლ-საწინააღმდეგო აქტი ჩაიდინა, კოლექტიური პასუხისმგებლობა ამ სახელმწიფოს მთელ საზოგადოებას აწვება. მაგალითად, ერაყის სამოქალაქო მოსახლეობა, ზოგიერთი დამცავი ღონისძიების მიუხედავად, ერაყ-ქუვეითის მეორე ომის დროს მაინც გახდა იმ სანქციების მსხვერპლი, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობამ დააწესა ერაყის მთავრობის მიერ ქუვეითში შეჭრისა და მისი ოკუპაციის საპასუხოდ.⁴¹ ამიტომ საერთაშორისო სამართალს ხშირად „პრინციულ სამართლებრივ სისტემას“ უწოდებენ, მაგრამ ეს დახასიათება მართებული არ არის. მართალია, რომ ძალაუფლებისა და პოლიტიკის ზეგავლენა საერთაშორისო სამართალში გაცილებით უფრო სწრაფად ამოსაცნობი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნულ სამართალში. ისიც მართალია, რომ საერთაშორისო სამართალი, ცენტრალური ორგანოების უქონლობის გამო, დიდადა დამოკიდებული ეროვნულ სამართლებრივ სისტემებზე (რომელთაც ხშირად „მუნიციპალურ სამართალს“ უწოდებენ).⁴² არის სხვა ნიშნებიც, რომლებითაც გასაგები ხდება საერთაშორისო სამართლის სისტემის განსხვავება წარსულის საზოგადოებების მარტივი დანესებულებების, პრინციპებისა და ნორმებისაგან. მაგრამ ეს დახასიათება არ ასახავს საერთაშორისო სამართლის (როგორც ჰორიზონტალური, დეცენტრალიზებული სამართლებრივი სისტემისა, რომელიც პირველ რიგში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს აწესრიგებს) განსხვავებას განვითარებული (ცენტრალიზებული და ინსტიტუციონალიზებული) ეროვნული სამართლებრივი სისტემებისაგან. ის ადეკვატურად არ ასახავს საერთაშორისო სამართლის შედარებით დიდ დიფერენცირებულობას თანამედროვე სფეროებში მოქმედების თვალსაზრისით, მრავალმხრივ და ცალმხრივ შეთანხმებათა რიცხვის სწრაფ ზრდას, 1945 წლიდან მოყოლებული, საერთაშორისო სამართლის ძირითადი ტრადიციული სუბიექტების რიცხვის მატებასა და საერთაშორისო დონეზე ახალ მოქმედ პირთა წარმოქმნას, განსაკუთრებით კი, იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დიდ რიცხვს, რომლებიც სახელმწიფოებმა შექმნეს მრავალი სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად.

³⁸ იბ. თ. 21 და თ. 22.

³⁹ იბ. თ. 15.

⁴⁰ Articles 169 and 170, EC Treaty.

⁴¹ იბ. The Report by C. Jochnick/R. Normand/S. Zaidi, *Unsanctioned Suffering - A Human Rights Assessment of United Nations Sanctions on Iraq*, Centre for Social and Economic Rights, 1996; R. Provost, *Starvation as a Weapon: Legal Implications of the United Nations Food Blockade Against Iraq and Kuwait*, *Colum. JTL* 30 (1992), 577-639; E.J. Garmise, *The Iraqi Claims Process and the Ghost of Versailles*, *NYULR67* (1992), 840-78; R. Normand/C. Jochnick, *The Legitimation of Violence: A Critical Analysis of the Gulf War*, *Harvard ILLJ* 35 (1994), 387-416; B. Graefrath, *Iraqi Reparations and the Security Council*, *ZaorV55* (1995), 1-68. იბ. თ. 22.

⁴² იბ. თ. 4.

⁴³ იხ. *Harris CMIL*, 1-17.

⁴⁴ The Colloquium in Commemoration of the 600th Anniversary of the University of Heidelberg, 22 and 23 September 1986, *ZaoRV* 47 (1987), 1 *et seq.* (with contributions by R. Jennings, R. Bernhardt, K. Zemanek, K. Doehring, E. Stein, J.A. Frowein, G.K.A. Ofosu-Amaah, T. Stein, R. Dolzer and S. Rosene); P. van Dijk, Normative Force and Effectiveness of International Norms, *GYL* 30 (1987), 9; W.E. Butler (ed.), *Control Over Compliance with International Law*, 1991; J. Delbrück (ed.), *The Future of International Law Enforcement. New Scenarios-New Law?*, 1993; A.P. Rubin, Enforcing the Rules of International Law, *Harvard ILJ* 34 (1993), 149-61; J. Delbrück (ed.), *Allocation of Law Enforcement Authority in the International System*, 1994, 45 H.J. Morgenthau, *Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace*, 1948. იხ. აგრეთვე, ადრინდელი ნაშრომი E.H. Carr, *The Twenty Years Crisis 1919-1939. An Introduction to the Study of International Relations*, 1940. 46 H.A. Kissinger, *Diplomacy*, 1994. იხ. აგრეთვე, თ. 2.

⁴⁷ R.St.J. Macdonald, Foreign Policy, Influence of Legal Considerations Upon. *EPIL* (1995), 442-6; S.A. Watts, *The International Rule of Law*, *GYL* 36 (1993), 15-45.

⁴⁸ B. Simma, Reciprocity, *EPIL* 7 (1984), 400-4.

⁴⁹ Symposium. *EJIL* 2 (1991), 132 *et seq.* (with contributions by S.M. Schwebel, G. Guillaume, M. Krafft and A.D. Watts); A. Cassese, The Role of Legal Advisers in Ensuring that Foreign Policy Conforms to International Legal Standards, *Mich. JIL* 14 (1992), 139; B. Mavhinney/K. Girtel, Fourth Legal Advisers' Meeting at UN Headquarters in New York, *AJIL* 88 (1994), 379-82; M.A.G. Felix, Fifth Legal Advisers' Meeting at UN Headquarters in New York, *AJIL* 89 (1995), 644-9.

⁵⁰ იხ. თ. 3.

⁵¹ იხ. თ. 3.

⁵² იხ. თ. 4.

⁵³ იხ. L. Henkin, *How Nations Behave*, 2nd edn 1979. R. Higgins, *Problems and Process: International Law and How We Use It*, 1994.

⁵⁴ იხ. M. Fromont, *Les Grands Systemes de droit contemporains*, 1987; K. Zweigert/H. Kotz, *Introduction to Comparative Law*, 2nd edn 1992; C. Varga, *Comparative Legal Culture*, 1992; *International*

საერთაშორისო სამართალი, როგორც „სამართალი“

ჰობსისა და ჰუფენდორფის ადრეულ ნაწარმოებებში, მოგვიანებით კი, ოსტინის სამართლებრივ თეორიაში, დაისვა კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ საერთაშორისო სამართალს ვუნოდოთ „სამართალი“.⁴³ აზრთა სხვადასხვაობას საფუძვლად დაედო საერთაშორისო ნორმების დარღვევის შემთხვევებში სანქციათა არარსებობა, მუნიციპალური სამართლისაგან განსხვავებით. კითხვას, არის თუ არა საერთაშორისო სამართალი „სამართალი“, ხშირად აიგივებდნენ საერთაშორისო სამართლის ეფექტურობისა და მისი აღსრულების პრობლემასთან.⁴⁴ საგარეო პოლიტიკურ თეორიებში საერთაშორისო სამართლის შეზღუდული სახით აღქმა კვლავ დომინირებს „რეალისტურ“ სკოლაში, რომელიც ხაზს უსვამს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლებისა და ეროვნული ინტერესების როლს და ისეთ სახელებთანაა დაკავშირებული, როგორებიცაა მორგენტაუ⁴⁵ და კენანი. ეს აისახა, აგრეთვე, პენრი კისინჯერის უკანასკნელ ნიგნში.⁴⁶

ცხადია, გადაჭარბებულად არ უნდა შევაფასოთ საერთაშორისო სამართლის როლი და უნარი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში, ძალაუფლების სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორების გადამწყვეტი მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე. საერთაშორისო სამართლის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში ყოველთვის შეზღუდული იყო, მაგრამ უმნიშვნელო არასოდეს ყოფილა.⁴⁷ მისი ფუნქცია მდგომარეობდა საერთაშორისო სისტემის მშენებლობაში, სახელმწიფოთა მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულებისა და თვითინტერესების შესაბამისად მათი ურთიერთობების რაციონალურად რეგულირებაში ურთიერთნაცვალგების საფუძველზე.⁴⁸ ამიტომაც, რომ სახელმწიფოთა შორის დავების დროს (ბუნებრივია, იგულისხმება კონფლიქტური სიტუაციები) ხშირად მიმართავენ საერთაშორისო სამართალს.

საგარეო საქმეთა სამინისტროები განსაკუთრებული საჭიროების გარეშე არ მიმართავენ იურიდიულ მრჩეველთა მუდმივ სამსახურს.⁴⁹ სახელმწიფოები მუდმივად დებენ და ასრულებენ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, აარსებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ხელს უწყობენ მათ მოქმედებას. საერთაშორისო სამართალში სახელმწიფო პრაქტიკის სულ უფრო მზარდი მრავალფეროვნება შეინიშნება.⁵⁰ არის საერთაშორისო სამართლის კოდიფიცირების მნიშვნელოვანი მცდელობები.⁵¹ თანამედროვე ეროვნული კონსტიტუციები, როგორც წესი, შეიცავს დებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მოქმედებას ეხება.⁵² ეს ყველაფერი იმ ემპირიულ ფაქტთანაა დაკავშირებული, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა სიფრთხილით ეკიდება საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას,⁵³ იმის გათვალისწინებითაც კი, რომ არ არსებობს დავის გადაწყვეტის სავალდებულო პროცედურა და ცენტრალიზებული აღმასრულებელი ორგანო. საერთაშორისო სამართლის დარღვევის თვალსაჩინო შემთხვევები, რომელთაც საინფორმაციო საშუალებები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე რიგით მოვლენებს, გამონაკლისია და არ უნდა აგვერიოს სახელმწიფოთა ურთიერთობის ჩვეულებრივ მსვლელობაში.

ამიტომ ძველი კამათი იმის თაობაზე, არის თუ არა საერთაშორისო სამართალი ნამდვილი „სამართალი“, კვლავ გრძელდება. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ამას თანამედროვე შედარებითი იურისპრუდენცია გვიჩვენებს, „სამართლის“ ზოგადი ცნებისა და საზოგადოებაში მისი შეფარდებითი სტატუსის შესახებ მსოფლიოში სრულიად განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს.⁵⁴ ისტორიული და კულტურული განსხვავებებიდან გამომდინარე, ეს თვალსაზრისები ხშირად სრულიად განსხვავებულ იდეებს, მეთოდებსა და ტრადიციებს ემყარება.⁵⁵ ამ განსხვავებების ფართო სპექტრის

ნანილებია, მაგალითად, ანგლო-საქსური ჩვეულებითი სამართლის ტრადიცია ინგლისში, ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებსა და შეერთებულ შტატებში; ევროპის კონტინენტური სამოქალაქო სამართლის ტრადიცია, რომელიც რომაული სამართლის ცნებებს ემყარება; სამართლის მარქსისტული კონცეფცია, რომელიც სამართალს კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოების ისტორიული ფორმაციების პროდუქტად მიიჩნევს; სამართლის ისლამური კონცეფცია, რომელიც არ მიჯნავს სახელმწიფოს, საზოგადოებასა და რელიგიას, და აზიისა და აფრიკის სპეციფიკური ტრადიციები. ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საერთაშორისო სამართლისა და ინტერპრეტაციის საკითხის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობის სწორი გაგებისათვის.

რაც შეეხება საერთაშორისო სამართლის, როგორც „სამართლის“, საკითხს, კრიტიკოსთა არგუმენტები ემყარება საკანონმდებლო ორგანოს არარსებობას და სანქციებისა და შესაბამისობის საკითხს, და არ ითვალისწინებს სახელმწიფოთა შიდა სამართლებრივ სისტემებსა და საერთაშორისო სამართლებრივ სისტემას შორის არსებულ ისტორიულ, სტრუქტურულ და ფუნქციონალურ განსხვავებებს. სამართლის ჰორიზონტალური სისტემის მოქმედება განსხვავდება ცენტრალიზებული საგან და უფრო ორმხრივ მიმართებებსა და კონსენსუსს ემყარება, ვიდრე ბრძანებას, მორჩილებასა და იძულებას. სამართლებრივი სისტემა, რომელიც სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით იქმნება, სახელმწიფოს შიდა იურიდიული სისტემისაგან განსხვავებულად მოქმედებს. ბოლოს და ბოლოს, არ არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ საერთაშორისო იურიდიული სისტემა ეროვნული სამართლის ცენტრალიზებული სისტემების ისტორიული მოდელების შესაბამისად იყოს აგებული. სინამდვილეში, საერთაშორისო სამართლის წესებსა და პრინციპებს „უბრალო ზნეობრიობისაგან“ განასხვავებს ის, რომ სახელმწიფოები მას პრაქტიკაში აღიარებენ, როგორც იურიდიულად სავალდებულოს და, ამგვარად, ითვალისწინებენ თავიანთ ურთიერთობებში, რაც ამცირებს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ სირთულეებსა და გაურკვევლობას. ცხადია, რომ საერთაშორისო სამართალი, აღსრულების თვალსაზრისით, მუნიციპალურ სამართალზე სუსტია, მაგრამ ის მაინც უაღრესად ღირებულ ცნებებს იძლევა სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების მოწესრიგების იურიდიული საფუძვლის სახით. ეს კი იმ ფაქტს ემყარება, რომ, მიუხედავად განსხვავებებისა, სახელმწიფოები არსებული საერთაშორისო საზოგადოების წევრები არიან.⁵⁶

Encyclopedia of Comparative Law. Vol. II. Chapter 1: The Different Conceptions of the Law; J. Kropholler, *Comparative Law. Function and Methods*, *EPIL* I (1992), 702-7; W.E. Butler, *Comparative Law and International Law*. *ibid.*, 699-702; M. Hill, *Comparative Law and European Law*, *ibid.*, 695-9; R.A. Danner/M. L. Berhal (eds), *Introduction to Foreign Legal Systems*, 1994.

⁵⁵ იხ. W.J. Josef. The Role of Basic Values in the Constitutional Hermeneutics of Germany and the United States. *ZaRV* 56(1996), 178-204; S.P. Sinha, *Legal Polycentricity and International Law*, 1996; P. Legrand, *European Legal Systems Are Not Converging*, *ICLQ* 45 (1996), 52-81.

⁵⁶ იხ. R. Jennings/A. Watts (eds), *Oppenheim's International Law*, Vol. I, Part 1, 9th edn 1992, 8-14; H. Mosler, *International Legal Community*, *EPIL* II (1995), 1251-5.

⁵⁷ M. Lachs. Thoughts on Science, Technology and World Law. *AJIL* 86 (1992), 673-97.

საერთაშორისო სამართლის მოქმედების სფერო

საერთაშორისო სამართლის გარდაქმნა ძირითადად ევროპის სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების (როგორებიცაა დიპლომატიური ურთიერთობები და ომები) მაკოორდინირებელი სისტემიდან სრულიად განსხვავებულ ერთეულთა სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის უნივერსალურ სისტემად ასახავს ბუნებისმეტყველებისა და ტექნოლოგიის პროგრესს,⁵⁷ რომელიც ზრდის გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულებას და ისეთი პრობლემების განხილვის საჭიროებას, რომლებიც ვეღარ გადაწყდება ეროვნულ ჩარჩოებში. ასეთებია: კომუნიკაცია, საერთაშორისო ვაჭრობა, ეკონომიკა და ფინანსები, გარემოს დაცვა და განვითარება, ლტოლვილთა მასიური ნაკადების პრობლემა. სახელმწიფოთა „სუვერენიტეტის“ პრინციპი, განსაკუთრებით მათი, რომლებიც 1960-იან წლებში დაწყებული დეკოლონიზაციის პროცესში წარმოიქმნენ, ახალი სახელმწიფოების ისტორიული გამოცდილების გამო, სულ უფრო მოძველებული ხდება ეკონომიკის გლობალიზაციისა და სახელმწიფოთა მზარდი

⁵⁸სუვერენიტეტის დოქტრინის შესახებ იხ. თ. 2.

⁵⁹იხ. თ. 5, თ. 7 და თ. 8.

⁶⁰იხ. თ. 11.

⁶¹იხ. თ. 17.

⁶²იხ. თ. 22.

⁶³იხ. თ. 19 და თ. 20.

⁶⁴იხ. თ. 9.

⁶⁵იხ. თ. 12.

⁶⁶იხ. თ. 16.

⁶⁷იხ. თ. 8.

⁶⁸იხ. თ. 6 და თ. 21.

⁶⁹იხ. თ. 15.

⁷⁰იხ. თ. 16.

⁷¹იხ. თ. 13.

⁷²იხ. თ. 12.

⁷³იხ. თ. 16.

⁷⁴იხ. თ. 13.

⁷⁵იხ. თ. 14.

⁷⁶O. Schachter, *International Law in Theory and Practice*, 1991, 1.

⁷⁷Ó M. Franck, *Fairness in International Law and Institutions*, 1995, 5.

⁷⁸იხ. L.A.N.M. Barnhoorn/K.C. Wellens (eds), *Diversity in Secondary Rules and the Unity of International Law*, 1995.

⁷⁹J. Schwietzke, Review of: E. Beyerly, *Public International Law: A Guide to Information Sources*, *ZaorV* 52 (1992), 1052-3.

⁸⁰იხ. მაგალითად, D. Wynn / A. Dashwood, *European Community Law*, 3rd edn 1993; D.A.O. Edward/R.C. Lane, *European Community Law*, 2nd edn 1995; and the articles in *EPIL* (1995), 127 *et seq.*

⁸¹იხ. თ. 6.

ურთიერდამოკიდებულების გამო.⁵⁸ ამჟამად საერთაშორისო სამართალი მოიცავს საერთაშორისო ღირებულებების ფართო და რთულ სფეროებს. ესენია ტრადიციული საკითხები, როგორებიცაა: სახელმწიფოთა სტატუსი,⁵⁹ საერთაშორისო სამართალმემკვიდრეობა⁶⁰, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა,⁶¹ მშვიდობა და უსაფრთხოება,⁶² ომის კანონები,⁶³ ხელშეკრულებითი სამართალი⁶⁴, საზღვაო სამართალი⁶⁵, საერთაშორისო წყლის დინებების სამართალი⁶⁶ და დიპლომატიურ ურთიერთობათა წარმოება,⁶⁷ ამას გარდა, ახალი საკითხები, როგორებიცაა: საერთაშორისო ორგანიზაციები,⁶⁸ ეკონომიკა და განვითარება,⁶⁹ ბირთვული ენერჯია⁷⁰, საჰაერო სამართალი და კოსმოსური სივრცე⁷¹, ღია ზღვის რესურსების გამოყენება⁷², გარემოს დაცვა⁷³, კომუნიკაციები⁷⁴ და ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დაცვა.⁷⁵ ამ განვითარების შედეგია მზარდი სპეციალიზაცია როგორც აკადემიურ, ისე იურიდიული პრაქტიკის სფეროში. როგორც ოსკარ შახტერი აღნიშნავს:

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტისთვის შეუძლებელი ხდება საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა სფეროების მოცულობისა და სირთულის დაძლევა. სულ უფრო ხშირად საერთაშორისო სამართლის პროფესიონალი იურისტი, პრაქტიკოსი იქნება ის თუ მეცნიერი, სამართლის კონკრეტული დარგის სპეციალისტად ყალიბდება. ამასთან, თითოეულ დარგს თავისი რთული და განსაკუთრებული დოქტრინა აქვს.⁷⁶

ეს სპეციალიზაცია იმ ფაქტს ასახავს, რომ საერთაშორისო სამართალი „მომნიშვნების შედეგად გართულდა“.⁷⁷ მაგრამ ამგვარი განვითარება ახლა უკვე დარგის ერთიანობის პრობლემას ქმნის,⁷⁸ საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებული ლიტერატურა უზარმაზარი მოცულობის გახდა. თუ 1785 წელს საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით საერთო ტირაჟი იყო 2 000, 1967 წელს მან 80 000-ს მიაღწია. ამჟამად ყოველწლიურად იბეჭდება 700 ნიგნი და 3000 სტატია საერთაშორისო სამართლის საკითხებზე.⁷⁹

წინამდებარე ნიგნი მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი სფეროს და ძირითადი ელემენტების შესავალი სახელმძღვანელოა. ნიგნის ფარგლებს სცდება ევროგაერთიანების სამართალიც კი, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნაწილია, მაგრამ მის უაღრესად სპეციალიზებულ სფეროდ იქცა.⁸⁰ აქ მხოლოდ ზოგიერთ ძირითად მახასიათებელზე მივუთითებთ, რათა ვაჩვენოთ ზეეროვნული ევროგაერთიანების უნიკალურობა საერთაშორისო ორგანიზაციათა სხვა ფორმებთან შედარებით.⁸¹

2. ისტორია და თეორია

საერთაშორისო სამართლის წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.¹ ზოგიერთი ავტორი, ამ თვალსაზრისით, უძველესი დროის (3000 წ. წ.-მდე) ახლო აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და სპარსეთის, რომაულ-ელინური ეპოქის პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობებსა და ამ ერთეულებს შორის დადებულ შეთანხმებებს იკვლევს.² ყველაზე გავრცელებული შეხედულების მიხედვით, საერთაშორისო სამართალს სათავე დაედო ევროპაში ვესტფალიის ზავის (1648 წ.) დადებით, რომლითაც „ოცდაათწლიანი ომი“ დასრულდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო სამართლის განვითარების მომდევნო ეტაპების შესახებაც განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. გერმანელი დიპლომატი და ისტორიკოსი ვ. გ. გრევე საერთაშორისო სამართლის ისტორიის ეტაპების შესახებ მსჯელობისას გამოთქვამს შეხედულებას, რომ მე-16 საუკუნის შემდეგ საერთაშორისო სამართლის სამი განსაზღვრული სისტემა არსებობდა, რომელთაგან თითოეული გაბატონებული ძალის ინტერესებს, იდეოლოგიასა და პოლიტიკას ემსახურებოდა. ერთიმეორეს მოსდევდა საერთაშორისო სამართლებრივი მონაცემების ესპანური (1494-1648 წწ.), ფრანგული (1648-1815 წწ.) და ინგლისური პერიოდები (1815-1919 წწ.)³ (გრევესაგან განხვავებით, შოტლანდიელები და უელსელები ამჯობინებენ, რომ ამ პერიოდს „ბრიტანული“ ეწოდოს).⁴

რუდოლფ ბერნარდის რედაქციით გამოცემულ „საჯარო საერთაშორისო სამართლის ენციკლოპედიაში“ ძირითად პერიოდებად გამოყოფილია: 1) 1648-1815 წწ.; 2) 1815 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე; 3) მსოფლიო ომებს შორის პერიოდი და 4) მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი.⁵ ევროცენტრისტული მიდგომის შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად და იმის საჩვენებლად, რომ საერთაშორისო წესებისა და პრინციპების განვითარება მხოლოდ ევროპის ტერიტორიით არ იფარგლება, რუდოლფ ბერნარდის რედაქციით გამოცემულ ენციკლოპედიაში ვხვდებით ცალკეულ სტატიებს აფრიკის, შორეული აღმოსავლეთის, ისლამური ქვეყნების, ლათინური ამერიკის, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონალური განვითარების შესახებ.⁶ ს. ჰ. ალექსანდროვიჩის შრომებმა, სადაც ეს საკითხი აზიის მაგალითზეა განხილული, ბევრი ისეთი რამ გამოავლინა, რაც მივიწყებული იყო ევროპაზე ფოკუსირების პროცესში.⁷ როგორც რ. ფ. ანანდი აღნიშნავს:

მცდარია შეხედულება, თითქოს ბოლო ოთხი-ხუთი საუკუნის მანძილზე საერთაშორისო სამართალი მხოლოდ ევროპის ტერიტორიაზე ვითარდებოდა, ან იმის მტკიცება, რომ მხოლოდ ქრისტიანული ცივილიზაციის პირობებში შეიქმნა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მართვის წესები. აჯიდ ქადური აღნიშნავს: „თითოეული ცივილიზაციის ფარგლებში მოსახლეობა ამჟღავნებდა პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბების ტენდენციას, რომლის ფუნქციონირებაც წესრიგდებოდა ამ ერთა წეს-ჩვეულებებითა და გამოცდილებით. ეს არ იყო უნიკალური მართვისა და სამართლის სისტემის მქონე ერთეული“. ცალკეული ცივილიზაციები განვითარდა ძველ ახლო აღმოსავლეთში, საბერძნეთსა და რომში, ჩინეთში, ისლამისა და დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროში, სადაც რამდენიმე ერთა ოჯახი არსებობდა ან თანაარსებობდა. თითოეული ცივილიზაციის ფარგლებში ჩამოყალიბდა წესებისა და პრინციპების ერთობლიობა ომისა თუ მშვიდობის პერიოდში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.⁸

¹ იხ. W.G. Grewe, *Epochen der Völkerrechtsgeschichte*, 1984, 19-25; A. Cassese, *International Law in a Divided World*, 1986, 37-8; H. Steiger, *Volkerrecht*, in O. Brunner/W. Conze/R. Koselleck (eds), *Geschichtliche Grundbegriffe*, Vol. 7, 1992, 97-140; W.G. Grewe (ed.), *Fontes Historiae Iuris Gentium: Sources Relating to the History of International Law*, Vol. 1: 1380 BC-1493 (1985), Vol. II: 1493-1815 (1988), Vol. III 1/1: 1815-1945 (1992); A. Nussbaum, *A Concise History of the Law of Nations*, 1962; J.H.W. Verzijl, *International Law in Historical Perspective*, 11 vols, 1968-1991; P.S. Onuf/N. Onuf, *Federal Union, Modern World, The Law of Nations in an Age of Revolutions, 1776-1814*, 1993; H. Legohérel, *Histoire du droit international public*, 1996.

² W. Preiser, *History of the Law of Nations: Ancient Times to 1648*, *EPIL* II (1995), 716-49.

³ Grewe (1984), *op. cit.*, 43; P. Kennedy, *The Rise and Fall of the Great Powers, Economic Change and Military Conflict from 1500 to 2000*, 1987; C.J. Bartlett, *The Global Conflict, The International Rivalry of the Great Powers, 1880-1990*, 2nd edn 1994.

⁴ იხ. P. Malanczuk, *Region and unitarische Struktur in Großbritannien*, 1984.

⁵ *History of the Law of Nations*, *EPIL* II (1995): S. Verosta, 1648 to 1815, 749-67; H.-U. Scupin, 1815 to the First World War, 767-93; W.G. Grewe, the First World War to the Second World War, 839-49; O. Kimminich, *Since the Second World War*, 849-61.

⁶ *History of the Law of Nations-Regional Developments*, *EPIL* II (1995): T.O. Elias, Africa, 793-802; S. Miyazaki, Far East, 802-9; A.S. El-Koshi, Islam, 809-18; A.T.Y. Serra, Latin America, 818-24; N. Singh, South and South-East Asia, 824-39.

⁷ C.H. Alexandrowicz, *An Introduction to the History of the Law of Nations in the East Indies* (16th, 17th and 18th centuries), 1967; *Treaty and Diplomatic Relations Between European and South Asian*

Powers in the Seventeenth and Eighteenth Centuries, *RdC123* (1968-1), 121 *et seq.*; J.A. Thomas, *History and International Law in Asia: A Time for Review*, in R.St.J. Macdonald (ed.), *Essays in Honour of Wang Teyu*, 1994, 813-57.

⁸ R.P. Anand, *The Influence of History on the Literature of International Law*, in R.St.J. Macdonald/D. M. Johnston (eds), *The Structure and Process of International Law*, 1983, 342.

⁹ იბ.თ. 22.

¹⁰ იბ. Grewe (1984), *op. cit.*; Anand, *op. cit.*, 344; T. Meron, *The Authority to Make Treaties in the Late Middle Ages*, *AJIL* 89 (1995), 1-20.

¹¹ იბ. ჭეშოძე.

ისტორიული მოვლენების პერიოდებად დაყოფა პირობითია და არჩეული კრიტერიუმებით განისაზღვრება. ამიტომ არ არის გამართლებული ამ პრობლემაზე გადაჭარბებული ყურადღების გამახვილება. ჩვენი მიზნებისათვის საკმარისია ზოგადად განვასხვაოთ საერთაშორისო სამართლის „კლასიკური“ სისტემა (1648-1918 წწ.), აგრეთვე „თანამედროვე“ და „ახალი“ საერთაშორისო სამართლის განვითარება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. კლასიკური სისტემა თანამედროვე სუვერენული სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ერთადერთ სუბიექტად ცნობას ეფუძნებოდა. ეს სისტემა მრავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოიცავდა, რომლებიც სამართლებრივად თანასწორად ითვლებოდნენ და ცნობდნენ სხვა სახელმწიფოების შეუზღუდავ უფლებას, ეწარმოებინათ ომი ექსპანსიის შემთხვევაში და ეროვნული ინტერესების დასაცავად. არსებითად, ეს სისტემა ასახავდა ევროპულ ძალთა ურთიერთქმედებასა და ევროპის ქვეყნების საერთაშორისო სამართლებრივი მოწყობის გავლენას დანარჩენ მსოფლიოზე ვესტფალიის ზავის შემდგომი სამი საუკუნის მანძილზე. 1919 წლის შემდეგ საერთაშორისო სისტემა ძირეულად შეიცვალა. იყო მცდელობა, მოენესრიგებინათ საერთაშორისო ერთობა და აეკრძალათ ძალის გამოყენება. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის განვითარება, პირობითად, შეიძლება შემდეგ ეტაპებად დაიყოს: ა) პირველი მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე, რაც მოიცავს საერთაშორისო ერთობის დაშლას, რუსეთის რევოლუციას და ერთა ლიგის დაშლას; ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნიდან დეკოლონიზაციამდე (1945-60 წწ.); გ) საერთაშორისო ერთობის შემდგომი გაფართოებიდან ცივი ომის დასასრულამდე, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას უკავშირდება (1960-89 წწ.). „ახალი მსოფლიო მართლწესრიგის“ დამყარების მცდელობები აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის შემდეგ პერიოდში და საერთაშორისო სამართლის განვითარების ამჟამინდელი ფაზის სირთულეები ამ წიგნის ბოლო თავში იქნება განხილული.⁹

ევროპული საერთაშორისო სამართლის წარმოშობა

დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებშიც არსებობდა საერთაშორისო სამართალი,¹⁰ მაგრამ შუა საუკუნეებში ევროპა არ იყო დაყოფილი სახელმწიფოებად, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, და, ამდენად, არ არსებობდა შესაფერისი პირობები საერთაშორისო სამართლის განვითარებისათვის. დღეს სახელმწიფო განიხილება, როგორც საკუთარ ტერიტორიაზე უდავო პოლიტიკური კონტროლის მქონე სუბიექტი, რომელიც არ ექვემდებარება გარეშე პოლიტიკურ კონტროლს. შუა საუკუნეებში მეფეები სხვა მდგომარეობაში იყვნენ: ქვეყნის შიგნით ისინი ძალაუფლებას იყოფდნენ საკუთარი ჯარის მქონე მთავრებთან, ხოლო ქვეყნის გარეთ აღიარებდნენ მეტ-ნაკლებ ერთგულებას პაპისა და საღვთო რომის იმპერატორისადმი. როცა ინგლისის, ესპანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და შვედეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოქმნის პროცესი დაიწყო და მათი შეუზღუდავი სუვერენიტეტის მოთხოვნისა და უზენაესი ხელისუფლების დაქვემდებარების უარყოფის პარალელურად ახალი საერთაშორისო სტანდარტები ვითარდებოდა, დამყარდა ახალი ურთიერთობები არაევროპულ სახელმწიფოებთანაც: ოსმალეთის იმპერიასთან, ჩინეთთან და იაპონიასთან. XV-XVI საუკუნეებში, შორეული აღმოსავლეთისკენ საზღვაო გზის გაკვალვისა და ამერიკის ხელახალი აღმოჩენის შემდეგ, შესამჩნევად გაძლიერდნენ ევროპის ზღვისპირა სახელმწიფოები. ამას მოჰყვა სუვერენული სახელმწიფოს კონცეფციის განვითარება, რომელიც თავდაპირველად XVI საუკუნეში თეორიულად ჩამოაყალიბა ბოდენმა,¹¹ ხოლო რეალურად ესპანეთში, შემდეგ კი XVII საუკუნის საფრანგეთში განხორციელდა.

1648 წლის ვესტფალიის პერიოდის ევროპული საერთაშორისო სამართლის თავისებურებები

1648 წლის ვესტფალიის ზავი¹² ევროპაში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში გარდატეხის მომენტად უნდა მივიჩნიოთ: შეიქმნა ახალი პოლიტიკური წესრიგი, რომელიც შეიცვალა მხოლოდ ნაპოლეონის ზავის შემდეგ – ვენის კონგრესის მიერ. ვესტფალიის ზავით დასრულდა გამანადგურებელი ომები კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებს შორის, რასაც შედეგად მოჰყვა პროტესტანტული სახელმწიფოებისა და სახელმწიფოს ეკლესიისგან დამოუკიდებლობის ფაქტის აღიარება. რომის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილმა სამასამდე პოლიტიკურმა ერთეულმა მოიპოვა უფლება, კავშირი დაემყარებინათ უცხო სახელმწიფოს ხელისუფლებასთან, გარკვეული შეზღუდვების დაცვით. გერმანია რამდენიმე შედარებით პატარა ერთეულად დაიშალა, ხოლო საფრანგეთი, შვედეთი და ჰოლანდია ახალ, მძლავრ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ; შვეიცარია და ჰოლანდია ნეიტრალურ სტატუსს ინარჩუნებდნენ. საღვთო რომის იმპერია დაქუცმაცდა და ეკლესიის ძალაუფლება მნიშვნელოვნად შესუსტდა. იტალიელი მეცნიერი კასეზე ვესტფალიის ზავის შემდგომ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის განხილვისას წერს: „ამ დროს განმსაზღვრელი ნიშანი იყო მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, რომლებიც არ აღიარებდნენ უზენაეს ავტორიტეტს.“¹³

ვესტფალიის ზავი აყალიბებდა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას, რომელიც ავალდებულებდა მხარეებს, უზენაესი ძალის მქონედ ელიარებინათ მისი დებულებები. ომის სადავო საკითხები მშვიდობიანად უნდა მოგვარებულიყო ან სასამართლოს უნდა განეხილა. თუ რომელიმე საკითხზე სამი წლის განმავლობაში ვერ შეთანხმდებოდნენ, ყველა სხვა მხარე უნდა გაერთიანებულიყო დაზარალებულის მხარდასაჭერად და ძალის გამოყენებით გადაეწყვიტათ კონფლიქტი. ეს სისტემა პრაქტიკულად არ განხორციელებულა. სახელმწიფოთა პოლიტიკა და ევროპულ სახელმწიფოთა ხშირად ცვალებადი სამხედრო ალიანსები სისტემის სიცოცხლისუნარიანობას ასუსტებდნენ, რაც გავლენას ახდენდა ძალთა წონასწორობის შენარჩუნებაზე,¹⁴ ეს კი მათი საგარეო ურთიერთობების ძირითადი პოლიტიკური პრინციპი იყო. მეტერნიხის თანამოაზრე ფრიდრიხ გენცი მოგვიანებით (1806 წ.) ასე განსაზღვრავდა ევროპულ ძალთა წონასწორობას: „ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ორგანიზაცია, სადაც არც ერთ წევრს არ შეუძლია მეორის სუვერენიტეტის ან ძირითადი უფლებების ხელყოფა ისე, რომ არ წააწყდეს ძლიერ წინააღმდეგობას და, ამდენად, საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ თავს.“¹⁵

მზარდი სახელმწიფოთაშორისი დიპლომატიური ურთიერთობებისა და ალიანსების ხშირი ცვალებადობის შედეგად ევროპის ტერიტორიაზე ჩაისახა და განვითარდა ცნობილი „ევროპის საჯარო სამართალი“ (*ius publicum europaeum*; *droit public de l'Europe*), რომელიც დროებით შეჩერდა ნაპოლეონის მიერ ევროპის დაპყრობის გამო. მაგრამ 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ ძირეულად შეარყია არსებული სისტემის საფუძვლები. მან თავისუფლებისა და ერთა თვითგამორკვევის იდეები წამოაყენა.¹⁶ ახალი სისტემა საფრანგეთის საზღვრებს მიღმაც უნდა განხორციელებულიყო. ის ზღუდავდა მონარქის უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ ემართა ქვეყნის ტერიტორია და მოსახლეობა.

1815 წელს ვენის კონგრესზე,¹⁷ ევროპის ძველი მოწყობის აღდგენის შემდეგ, გარკვეული პირობებისა და ისტორიული ვითარების გათვალისწინებით კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის მეორე ცდა პირველზე უფრო წარმატებული აღმოჩნდა. პარიზის შეთანხმებამ შექმნა ქრისტიან ერთა წმინდა კავშირი – ავსტრიის, რუსეთის, პრუსიის მონარქებს შორის – და ანტირევოლუციური სამხედრო ალიანსი ავსტრიას, პრუსიას, რუსეთსა და

¹² ib. A.-M. de Zayas, *Westphalia, Peace of (1648)*, *EPIL* 7 (1984), 536-9.

¹³ Cassese, *op. cit.*, 37.

¹⁴ ib. A. Vagts/D. Vagts, *Balance of Power, EPIL* 1 (1992), 313-15.

¹⁵ Verosta, 1648 to 1815, *op. cit.*, at 751.

¹⁶ ib. თ. 19.

¹⁷ F. Munch, *Vienna Congress (1815)*, *EPIL* 7 (1984), 522-5.

¹⁸ იხ. S. Verosta, Aix-La-Chapelle, Congress of (1818), *EPIL I* (1992), 94-5; Verosta, Holy Alliance, *EPIL II* (1995), 861-3.

¹⁹ A. Randelzhofer, Great Powers, *EPIL II* (1995), 618-22.

²⁰ T. Schieder, Crimean War, *EPIL I* (1992), 867-9.

²¹ 114 CIS 409. იხ. T. Schieder, Paris Peace Treaty (1856), *EPIL I* (1984), 376-8.

²² F. Munch, Berlin Congress (1878), *EPIL I* (1992), 387-9.

²³ F. Munch, Balkan Wars (1912/1913), *EPIL I* (1992), 319-21.

²⁴ იხ. S. Verosta, *Kollektivaktionen der Mächte des Europäischen Konzerts (1886-1914)*, 1988.

²⁵ J. Fisch, *Die europäische Expansion und das Völkerrecht, 1984*; F. Ermarcora, *Colonies and Colonial Regime*, *EPIL I* (1992), 662-6.

ინგლისს შორის, რომელსაც მოგვიანებით საფრანგეთიც შეუერთდა არსებული რეჟიმის მონინააღმდეგე ლიბერალური და ნაციონალისტური ძალები-საგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.¹⁸

ევროპულ სახელმწიფოთა თანამშრომლობას¹⁹ ბალკანეთის სადავო საკითხმა და თურქეთის იმპერიის დაკნინების პროცესში სტრატეგიული ინტერესების შეუთანხმებლობამ მოულო ბოლო. ყირიმის ომი,²⁰ რომელშიც რუსეთი, პიემონტ-სარდინიისა და თურქეთის მხარდაჭერით, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ალიანსმა დაამარცხა, 1856 წელს პარიზის მშვიდობიანი შეთანხმებით²¹ დასრულდა. 1878 წელს ბერლინის კონგრესზე²² ბალკანეთის პრობლემა ვერ გადაწყდა. აღმოსავლეთში ოსმალეთის იმპერიის დაქუცმაცების გამო 1912-13 წლების ომის²³ დროს სამხედრო ნადავლის განაწილებისას ევროპულ ძალებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ მწვერვალს მიაღწია, რამაც საბოლოოდ დაასამარა ევროპული შეთანხმება.²⁴

კოლონიზაცია და არაევროპულ ქალებთან ურთიერთობა

მსოფლიოს ევროპული კოლონიზაციის ეპოქაში საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ევროპის ქრისტიანული ქვეყნების ურთიერთობები არაევროპულ სახელმწიფოებთან.²⁵ ევროპის ექსპანსიის ხანაში ინგლისში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში, გამდიდრების მაძიებელი გაუმადლარი კომპანიების წყალობით, სავაჭრო და კომერციული ინტერესები ღვივდებოდა. ერთ-ერთი ასეთი კომპანია იყო, მაგალითად, ბრიტანული „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია“. ეს და მსგავსი კომპანიები მარჯვედ იყენებდნენ უფლებას, სახელმწიფოს ფუნქციები ეტვირთათ ოკეანისგალმა ტერიტორიებზე. თავდაპირველად ევროპელები მზად იყვნენ ელიარებინათ, რომ არაევროპულ სახელმწიფოებს ქვეყნის შიგნით ჰქონდათ შეუზღუდავი უფლებები საერთაშორისო სამართლის ევროპულ სისტემაში. არაევროპული სახელმწიფოებიც, თავის მხრივ, უშვებდნენ, რომ ევროპის ქვეყნებს ჰქონდათ შეუზღუდავი უფლებები თავიანთ არაევროპულ, ხშირად ევროპულისგან განსხვავებულ, საერთაშორისო სამართლის სისტემაში. ამგვარად, ევროპულ და არაევროპულ სახელმწიფოებს შორის დასაწყისში შესაძლებელი გახდა თანასწორი სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება. მაგრამ ამ ურთიერთობამ ვერ შექმნა საერთო ღირებულებებსა და ინსტიტუტებზე დაფუძნებული უნივერსალური სამართლებრივი სისტემა. ეს სახელმწიფოები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე არსებობდნენ.

ევროპელებმა აღიარეს მონგოლთა იმპერია ინდოეთში, ოსმალეთის იმპერია, სპარსეთი, ჩინეთი, იაპონია, ბირმა, სიამი (ასე უწოდებდნენ ტაილანდს 1939 წლამდე) და ეთიოპია, როგორც ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულები. მაგრამ ევროპა ვარაუდობდა, რომ ეს სახელმწიფოები წამყვან როლს არ შეასრულებდნენ გლობალური საკითხების გადაწყვეტისას. 1856 წელს პარიზში სამშვიდობო შეთანხმებას, როგორც პირველი არაქრისტიანი ერი, განსაკუთრებული სტატუსით შეუერთდა თურქეთი. მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერია ქრისტიან ერებს ძნელად ეგუებოდა, საზღვრების გამო დავობდა და დაბეჯითებით იცავდა თავის უპირატესობას. ასევე ჩინეთიც – „დედამიწის ცენტრალური იმპერია“ – უცხოელებთან კონტაქტს იზოლაციას ამჯობინებდა, ხოლო უცხოელებისგან ჯეროვანი პატივის მიგებას მოელოდა. როცა ბრიტანეთის მეფის გეორგ III (1760-1821 წწ.) მიერ წარგზავნილი დელეგაცია ტექნიკისა და ხელოვნების სიახლეების ძღვენით 1793 წელს ჩინეთში ჩავიდა და ბრიტანეთის ელჩის მიღება მოითხოვა, იმპერატორმა უპასუხა:

„თქვენ გსურთ, გამოგზავნოთ ერთ-ერთი თქვენი თანამემამულე ჩემს ღვთაებრივ კარზე სრულუფლებიან წარმომადგენლად, რათა მან თვალ-ყური ადევნოს

თქვენი ქვეყნის ვაჭრობას ჩინეთში. ეს ყოველივე უპირისპირდება ჩემი დინასტიის წეს-ჩვეულებებს და შეუძლებელს ხდის თქვენი თხოვნის დაკმაყოფილებას. ჩვენი ეტიკეტი და კანონთა კრებული იმდენად განსხვავდება თქვენი კანონებისაგან, რომ მაშინაც კი, თუ თქვენი ელჩი შეძლებს ჩვენი თვისებების გათავისებებას, თქვენ ვერ გადანერგავთ ჩვენს ჩვევებსა და ცხოვრების წესს თქვენს უცხო მინაზე. ჩემს ხელმწიფებაშია უკიდევანო ქვეყანა და ჩემი ერთადერთი მიზანია, შევინარჩუნო სრულყოფილი მმართველობა და ჩემი ვალი მოვიხადო სახელმწიფოს წინაშე. მე არაფრად ვაგდებ უცნაურ და გამოგონებულ საგნებს და თქვენი ქვეყნის ნაწარმი არ მჭირდება.”²⁶

ძალაუფლებაში სიოგუნების მოსვლის შემდეგ იაპონიამ ქრისტიან მისიონერებს ქვეყანაში შესვლა აუკრძალა და ყოველგვარი კონტაქტი განწყვიტა უცხო ქვეყნებთან. ერთადერთი გამონაკლისი დაუშვეს დანიელი ვაჭრებისთვის, რომელთაც ნება დართეს, გაეგრძელებინათ საქმიანობა ნაგასაკის სავაჭროებში. ევროპის ქვეყნებმა მხოლოდ მე-19 საუკუნეში შეძლეს მუქართა და ძალის გამოყენებით ვაჭრობის განახლება ჩინეთსა და იაპონიასთან, *inter alia*, „თავისუფალი ვაჭრობის“ სამართლებრივი პრინციპების მოშველიებით.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გაერთიანების ყველა წევრი სამართლებრივად თანასწორი იყო, რეალურად, საერთაშორისო სისტემაში დომინირებდნენ ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, შვედეთი, შტატები, რუსეთი, ავსტრია, პრუსია და შოლანდია. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნეში, ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, საერთაშორისო გაერთიანება დაპყრობებისა და გავლენის სფეროების გავრცელების შედეგად გაფართოვდა და, არსებითად, ევროპის მთელი ტერიტორია მოიცვა. 1880 წლისათვის ევროპელებმა დაიმორჩილეს უმრავლესი არაევროპული სახელმწიფო, რაც ევროპაში აღქმული იყო, როგორც თეთრი რასის უპირობო უპირატესობის გადამწყვეტი საბუთი. საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა იქცა „თეთრი რასის კლუბად“, სადაც არაევროპულ სახელმწიფოებს განევრიანება მხოლოდ თავიანთი „ცივილიზებულიობის“ დამტკიცების შემდეგ შეეძლოთ.

ისეთ ძველ სახელმწიფოებთან მიმართებით, როგორც იყო თურქეთი, სიამი (ტაილანდი), ჩინეთი და იაპონია, დასავლური სახელმწიფოები ძირითადად ე.წ. კაპიტულაციურ სისტემას ახორციელებდნენ. ამ ქვეყნებთან იდებოდა სავაჭრო და კომერციული ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისად, ევროპელები თავს არიდებდნენ ადგილობრივ იურისდიქციას და მათ ხანგრძლივი პრივილეგიები ენიჭებოდათ. არასაკმარის ცენტრალიზებული ხელისუფლების მქონე საზოგადოებების შემთხვევაში მეთოდი მარტივი იყო – დაპყრობა და ტერიტორიის მითვისება. ეს მეთოდი განსაკუთრებით ამართლებდა დაქუცმაცებული აფრიკის მიმართ.²⁷ ევროპულმა ქვეყნებმა დაინახილეს კონტინენტი და 1884-85 წლებში კოლონიალური ქვეყნების ბერლინის დასავლეთ აფრიკის კონფერენციაზე ისე გადანყვიტეს სადავო საკითხები, რომ თავიდან აიცილეს კიდევ ერთი ევროპული ომი.²⁸

მხოლოდ რამდენიმე ერმა შეძლო მედგარი წინააღმდეგობა გაენია დამპყრობელთათვის და თავიდან აეცილებინა კოლონიზაცია. ეთიოპიაში 1896 წელს იმპერატორ მენელიქის ძალებმა უკუაგდეს იტალიელები ადვას ბრძოლაში. ნიშანდობლივია ჩინეთის ბედი. 1842 წლის ოპიუმის ომის შემდეგ, რომელიც ჩინეთში ნარკოტიკებით ვაჭრობის უსაფრთხოების საბაბით წარმოებდა, ნანკინის შეთანხმებამ აიძულა ჩინეთი, ჰონკონგის კუნძული ბრიტანეთისათვის დაეთმო.²⁹ ამას მოჰყვა სხვა „უთანასწორო შეთანხმებები“, რამაც დაამკვიდრა დიპლომატიური ურთიერთობები და გაზარდა ხელმისაწვდომი სავაჭრო ნავსადგურების რიცხვი.³⁰ დასავლური ინტერვენციის პასუხად, იმპერიაში უცხოთმოძულე ჩინური სული აღდგა და ყველაფერი ცნობილი „მოკრივეთა ამბოხით“ დაგვირგვინდა. „პატრიოტულ ჰარმონიულ მუშ-

²⁶ Emperor Ch'ien-ling, cited by Verosta, 1648 to 1815. *op. cit.*, at 761.

²⁷ *ib.* T. Pakenham, *The Scramble for Africa 1876-1912*, 1992.

²⁸ F. Munch, Berlin West Africa Conference (1884/1885), *EPIL I* (1992), 389-91.

²⁹ A.D. Hughes, Hong Kong, *EPIL II* (1995), 870-3; *Harris CMIL*, 235. ჰონკონგის ჩინეთისთვის დაბრუნების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იხ. 10.

³⁰ *ib.* Wang Tiewa, International Law in China: Historical and Contemporary Perspectives, *RdC* (1990-11), 193-369; W. Morway, *Unequal Treaties, EPIL I* (1984), 514-17. იხ. აგრეთვე, თ. 9 და თ. 10.

³¹ Hamsworth, *History of the World*, Vol. 2, 1908, 823.

³² *ib. P. Mulanczuk, Monroe Doctrine, EPIL 7 (1984), 339-44.*

³³ *ib. ქვემოთ.*

³⁴ *ib. Serra (1995), op. cit.; C. Gray, International Law 1908-1983, Leg. Stud. 3 (1983), 267-82, 269 et seq.; J.A. Barberis, Les Regies specifiques du droit international en Amerique Latine, ILM 235(1992-IV), 81-227.*

ტებს,“ როგორც ჩინეთში უწოდებდნენ „მოკრივეებს“, ერთი მიზანი ჰქონდათ – „ჩინეთი ჩინელებისათვის.“ მათ ბრძოლას მთავრობაც უჭერდა მხარს. პეკინში დასავლურ წარმომადგენლობაზე თავდასხმასა და ევროპელთა მკვლელობას მოჰყვა 1900 წლის ივნისში ადმირალ სერ ედვარდ სეიმურის მეთაურობით ამბოხების სამხედრო ძალით ჩახშობა ლანგ-ფანგში. გამარჯვებულთა „მშვიდობის კომიტეტი“ უფლისწულებს ტიანსა და ფუკუოს სიკვდილი მიუსაჯა. ეს განაჩენი, სიკვდილმისჯილთა სამეფო წარმოშობის გათვალისწინებით, სამუდამო საკატორლო სამუშაოებით შეიცვალა. უფლისწული ჩუანგი, აგრეთვე, სასამართლო და სადამსჯელო საბჭოების პრეზიდენტები აიძულეს, თავი მოეკლათ. სხვა მაღალი თანამდებობის სამ პირს თავი მოჰკვეთეს. ბოლოს, 1901 წლის 7 სექტემბერს ხელმოწერილი ოქმით ჩინეთს დაეკისრა ვალდებულება, კომპენსაციის სახით გადაეხადა 450.000.000 ტაელი, ოთხპროცენტიანი ყოველწლიური დანამატით 39 წლის მანძილზე, თანხის სრულ გადახდამდე.³¹

იაპონია უფრო იღბლიანი აღმოჩნდა, რადგანაც მან XIX საუკუნეში გადანყვიტა, თავისი ფეოდალური სისტემისათვის მიესადაგებინა განვითარებული დასავლეთის ტექნოლოგია და ორგანიზაცია. ეს იყო რეაქცია ამერიკელ კომოდორ პერის გემების საარტილერიო თავდასხმაზე, 1854 წლის სავაჭრო და „მეგობრული“ ხელშეკრულების დადებაზე, რაც ევროპის მოქალაქეების მათივე ქვეყნების საკონსულოების იურისდიქციაში გადასვლას ითვალისწინებდა, და იაპონური ნავსადგურების ხშირ დაბომბვებზე. არსებულ ვითარებასთან შეგუება იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იაპონიამ შეძლო 1904-1905 წლების ომში დაემარცხებინა რუსეთი, დაეპყრო კორეა და მანჯურია და ბოლოს, 1905 წლის პორტსმუთის ზავით, მიეღწია თავისი ქვეყნის, როგორც ახალი წამყვანი სახელმწიფოს, აღიარებისთვის. თეთრი რასის მმართველობის დასასრული და დეკოლონიზაციის რთული პროცესი აზიაში დაჩქარდა მეორე მსოფლიო ომში იაპონიის აგრესიისა და თავდაპირველი წარმატებების გამო. ამან ხელი შეუწყო ევროპელი კოლონიზატორების დაუმარცხებლობის მითის მსხვრევას.

დასავლეთი ნახევარსფერო

ბრიტანეთის წინააღმდეგ ამერიკის ამბოხების შემდეგ ევროპული სახელმწიფოები ისევ წაანყდნენ ახალ პრობლემებს. 1776 წლის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ ქვეყანა საერთაშორისო სამართლის ახალ სუბიექტად აღიარა ინგლისმა. ამას მოჰყვა მე-19 საუკუნეში ლათინური ამერიკის სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება ესპანეთისა და პორტუგალიისაგან. დასავლეთ ნახევარსფეროში ევროპული ინტერვენციის წინააღმდეგ მიმართულ დოქტრინაში 1823 წელს პრეზიდენტმა მონრომ ევროპისაგან ჩამოშორების აუცილებლობა გამოაცხადა.³² თუმცა მონროს დოქტრინა სამართლებრივად არასოდეს უღიარებიათ ევროპაში, ის შეერთებული შტატების მხრიდან ლათინურ ამერიკაში მრავალი ინტერვენციის მიზეზი გახდა. მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკის ქვეყნები ევროპული საერთაშორისო სამართლის სისტემის ფარგლებში რჩებოდნენ და მნიშვნელოვნად განავითარეს კიდევ იგი. მაშინ, როდესაც შეერთებული შტატები სადავო საკითხებს საერთაშორისო არბიტრაჟის მეშვეობით წყვეტდა,³³ სამხრეთ ამერიკის ქვეყნები ცდილობდნენ, ახალი რეგიონალური ამერიკული საერთაშორისო სამართლის შექმნით დაეცვათ თავი უცხოელთა თავდასხმებისაგან და გაბატონებული ევროპული სისტემისაგან.³⁴ არსებითად, საერთაშორისო ურთიერთობებისადმი საერთო ამერიკული პოზიცია უფრო იდეალისტური და სამართალზე ორიენტირებული იყო, ვიდრე ტრადიციულად რეალისტური და ძალისმიერი

გადაწყვეტილების მომხრე ევროპული სახელმწიფოების პერსპექტივა. მაგრამ შეერთებულმა შტატებმაც, რომელიც საკუთარ თავისუფლებას მედგრად იცავდა კოლონიური ბატონობისაგან, სხვებთან ერთად ჩინეთს შეუტია და 1898 წელს ესპანეთთან ომის შედეგად ფილიპინები დაიპყრო.

ზემოთქმულიდან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ „კლასიკური პერიოდის“ საერთაშორისო სამართალი ომის დროს, მცირე ხნით, უცარი ძალის გამოყენებას ითვალისწინებდა.³⁵ ცნობილი მაგალითია მე-20 საუკუნის დასაწყისში არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის ლუის დრაგოს მარცხი. ძლიერი ევროპული ქვეყნები ძალის გამოყენებით მოითხოვდნენ მათთვის და მათი მოქალაქეებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას სხვა სახელმწიფოებისაგან („სამხედრო გემების დიპლომატია“).³⁶ ლუის დრაგომ წარუმატებლად სცადა, შეეცვალა ეს პრაქტიკა. ვენესუელამ მოითხოვა, ზოგიერთი საკითხი თავად ვენესუელის კომისიას გადაეწყვიტა: ქვეყნის შიგნით მიმდინარე სამოქალაქო ომის ზარალის ასანაზღაურებლად ბრიტანეთის, გერმანიისა და იტალიისაგან აღებული საგარეო ვალის საკითხი, ვენესუელის მთავრობის მიერ გემების ხელში ჩაგდება, ვენესუელის რკინიგზისათვის გამოყოფილი სესხის შეჩერება. კომისიამ უარი თქვა სრული კომპენსაციის გადახდაზე და 1902 წელს, ულტიმატუმის გამოცხადების შემდეგ, მოდავე ევროპულმა სახელმწიფოებმა ვენესუელის სამი გემი ჩაძირეს, დაბომბეს პუერტო კაბელო და ქვეყანას საზღვაო ბლოკადა მოუწყვეს. დრაგომ, მონროს დოქტრინაზე დაყრდნობით, საპროტესტო ნოტა გაუგზავნა შეერთებულ შტატებს. აშშ-ს რეაქცია უარყოფითი იყო. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: უცხო ქვეყნების ინტერვენცია არ განხორციელდებოდა, ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს რომ შეესრულებინათ საერთაშორისო ვალდებულებები და დაეცვათ სხვა ქვეყნის საკუთრება.³⁷

ნატურალისტები და პოზიტივისტები

სახელმწიფო პრაქტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის მიმოხილვის შემდეგ განვიხილოთ დოქტრინა, რომელიც ყოველთვის გაცილებით ნაკლებ გავლენას ახდენდა საერთაშორისო სამართლის რეალურ განვითარებაზე, ვიდრე ეს ბევრ ავტორს წარმოუდგენია.³⁸ ევროპული საერთაშორისო სამართლის ცნება აკადემიურ წრეებში შემუშავდა. ეს წრეები ქმნიდნენ სამართლებრივ ცნებებსა და სისტემატური არგუმენტებით ზურგს უმაგრებდნენ მზარდი სახელმწიფოების ინტერესებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საკუთარი ქვეყნების ამბიციებს, რაც საზღვაო სამართლის განვითარების პროცესში აისახა.³⁹ ვინაიდან ამ დოქტრინის გავლენა თანამედროვე სამართალშიც შეინიშნება, აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ ამ ავტორთა შრომები, დეტალურად დავახასიათოთ ორი ძირითადი სკოლა: ნატურალისტებისა და პოზიტივისტებისა. მიუხედავად მრავალი ცვლილებისა, მათი ნააზრევი დღესაც დასავლური საერთაშორისო სამართლის კონცეფციების საყრდენია.⁴⁰

ნატურალისტთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავს ჰოლანდიელ ჰუგო გროციუსს (1583-1645 წწ.), რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლად.⁴¹ ამ თეორიის სხვა გამორჩენილი ავტორები იყვნენ: ესპანელები ვიტორია (1486-1546 წწ.)⁴² და სუარესი (1548-1617 წწ.), იტალიელი პროტესტანტი ჯენტილი (1552-1608 წწ.),⁴³ რომელმაც ინგლისს შეაფარა თავი და ინგლისელი ზუჩე (1590-1661 წწ.). მიუხედავად მრავალი უთანხმოებისა, ყველა ეს ავტორი მიიჩნევს, რომ როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები უნდა გამომდინარეობდეს უნივერსალური და მარადიული ღირებულების მქონე სამართლიანობის პრინციპებიდან, რომლებიც წმინდა გონების კარნახით აღმოაჩინეს.

³⁵ იხ. თ. 19.

³⁶ W. Benedek, *Drago-Porter Convention* (1907), *EPIL* I (1992), 1102-3.

³⁷ იხ. თ. 17.

³⁸ დოქტრინის, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დამატებითი წყაროს შესახებ იხ. თ. 3.

³⁹ იხ. Grewe (1984), *op. cit.*, 300 *et seq.*, 471 *et seq.*, 647 *et seq.*

⁴⁰ იხ. J.P. Egidio, *Natural Law*, *EPIL* 7 (1984), 344-9; R. Ago, *Positivism*, *ibid.*, 385-93; H.J. Steiner, *International Law: Doctrine and Schools of Thought in the Twentieth Century*, *EPIL* II (1995), 1216-27; A. Verdross/H.F. Koeck, *Natural Law: The Tradition of Universal Reason and Authority*, in Macdonald/Johnston (eds), 1983, *op. cit.*, 17-50; M. Bos, *Will and Order in the Nation-State System: Observations on Positivism and International Law*, *ibid.*, 51-78.

⁴¹ იხ. T.M.C. Asser Instituut (ed.), *International Law and the Grotian Heritage*, 1983; P. Haggenmacher, *Grotius et la doctrine de la guerre juste*, 1983; A. Dufour/P. Haggenmacher/J. Toman (eds), *Grotius et l'ordre juridique international*, 1985; H. Bull/B. Kingsbury/A. Roberts (eds), *Hugo Grotius and International Relations*, 1990; C.G. Roelofsen, *Grotius and the "rotian Heritage"* in *International Law and International Relations, The Quatercentenary and its Aftermath* (ca. 1980-1990), *Grotiana* 11 (1990), 6-28; O. Yasuaki (ed.), *A Normative Approach to War, Peace, War, and Justice in Hugo Grotius*, 1993; P. Borschenberg, *Hugo Grotius "Commentarius in theses XI": An Early Treatise on Sovereignty, the Just War, and the Legitimacy of the Dutch Revolt*, 1994.

⁴² A. Truyol Serra *et al.* (eds), *Actualite de la pen.ob. juridique de Francisco de Vitoria*, 1988.

⁴³ იხ. T. Meron, *Common Rights of Mankind in Gentili, Grotius and Suarez*, *AJIL* 85 (1991), 110-17.

⁴⁴ M.v. Gelderen, *The Challenge of Colonialism: Grotius and Vitoria on Natural Law and International Relations*. *Grotiana* 14/5 (1993/4), 3-37.

⁴⁵ M.W. Janis (ed.), *The Influence of Religion on the Development of International Law, 1991*.

და არა წინასწარგანზრახული არჩევანის ან გადანყვეტილებისგან. მათი აზრით, სამართალი კი არ უნდა შეექმნათ, არამედ უნდა აღმოჩინათ.

სამართლის ამ ძირითად პრინციპებს ბუნებითი სამართალი უწოდებს. მაგრამ ვიტორიას ადრეული ცდა, ჩაემოეყალიბებინა *ius naturae*, როგორც კაცობრიობის უნივერსალური სამართალი, რომელიც ე.წ. ამერიკელი „ინდიელი“ ხალხების სამართლებრივ დაცვასაც გულისხმობდა, განუხორციელებელ თეორიულ წინადადებად დარჩა.⁴⁴ თავდაპირველად თვლიდნენ, რომ ბუნებითი სამართალი ღვთაებრივი წარმოშობისა იყო. მაგრამ გროციუსი წერდა, რომ ღმერთი რომც არ არსებულებოდა, ბუნებითი სამართალი მაინც შეიქმნებოდა. ის თვლიდა, რომ ბუნებითი სამართლის არსებობა ადამიანების საზოგადოებაში თანაარსებობისა და მათ მიერ საზოგადოების დასაცავად გარკვეული კანონების შექმნის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგია. ამ არგუმენტების თანახმად, მაგალითად, მკვლელობის აკრძალვა ბუნებითი სამართლის კანონი იყო. მიუხედავად იმისა, დაკანონდებოდა თუ არა მკვლელობის აკრძალვა, ყველა გონიერი ადამიანი აცნობიერებდა, რომ ასეთი კანონი უბრალოდ აუცილებელი იყო საზოგადოების უსაფრთხოებისათვის.

ბუნებითი სამართლის თეორიას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. იგი დასაბამს იღებს ძველ რომში და დღესაც რომის კათოლიკური ეკლესიის სამართლის ოფიციალური ფილოსოფიაა.⁴⁵ მაგრამ დღეს რომის კათოლიკური ეკლესიის მიღმა დარჩენილი მრავალი ერი მას არ აღიარებს. რელიგიური შინაარსისა და შემონახვის შეუძლებლობის გამო, ამ თეორიას ეჭვით ეკიდებიან მეცნიერების განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების პირობებში. თეორიის არსი ისაა, რომ სამართალი სამართლიანობისაგან წარმოიქმნა. ადვოკატები და მოსამართლეებიც ხომ ხშირად იხმობენ სამართლიანობას კანონმდებლობის ბუნდოვანებისა და ზოგიერთი ხარვეზის დასაძლევად. ბუნებითი სამართლის თეორიას უფრო რადიკალურ გადანყვეტილებამდე მივყავართ, კერძოდ, რომ უსამართლო კანონი კანონი არ არის და მოსამართლეს შეუძლია უგულვებლყოს იგი. მაგრამ ამგვარ დაშვებას არც ერთი თანამედროვე სამართლებრივი სისტემა არ მიიღებს. ამ თეორიის მხარდამჭერებიც კი ზუსტად ვერ აყალიბებენ ბუნებითი სამართლის პრინციპებს. მაგალითად, „არა კაც კლა“ შეიძლება მივიჩნიოთ უნივერსალური ღირებულების, საზოგადოებისათვის უდავო კანონად, მაგრამ ბუნებითი სამართლის ავტორები ვერ თანხმდებიან, ამ შემთხვევაში რამდენი გამონაკლისი შეიძლება იქნეს დასაშვებად მიჩნეული.

XVI-XVII საუკუნეებში ეს თეორია საყოველთაოდ იყო აღიარებული და შეასრულა კიდევ გარკვეული როლი საზოგადოებისათვის სამართლის პატივისცემის შთაგონებით, რადგანაც ფეოდალური სისტემის რღვევასა და ევროპის ტერიტორიის კათოლიკურ და პროტესტანტულ სამყაროებად დაყოფას შეეძლო სრული ანარქია გამოენვია. წარმოუდგენელია სხვა იდეა, რომელსაც იმხანად საერთაშორისო სამართლის სისტემა დაეყრდნობოდა. ბუნებითი სამართლის ბუნდოვანება, რომელიც დღეს ამ თეორიის დიდ ნაკლად ითვლება, გროციუსის დროს ნაკლებად შესამჩნევი იყო. თავის არგუმენტებს ის ბიბლიური ციტატებით ამყარებდა, მაგალითებს იმონებდა საბერძნეთისა და რომის ისტორიიდან. უფრო მეტიც, მის მიერ რომის სამოქალაქო სამართლიდან აღებული ანალოგიები იმჟამად აღფრთოვანებას იწვევდა, როგორც ბუნებითი სამართლის ნათელი დადასტურება, რაც მოგვიანებით მრავალმა ევროპულმა ქვეყანამ გადაიღო თავის სამართლებრივ სისტემაში.

გროციუსის სიკვდილის შემდეგ ინტელექტუალური საზოგადოება უფრო სკეპტიკური გახდა და საერთაშორისო სამართალი პატივისცემას დაკარგავდა, ისევ ბუნებითი სამართლის თეორიაზე რომ ყოფილიყო დაფუძნებული. 1700 წლისათვის ბევრმა გამოთქვა ეჭვი, რომ სამართალი უმეტესწილად პოზიტიურია და ადამიანის მიერაა შექმნილი; ამდენად, სამართალი და სა-

მართლიანობა ერთი და იგივე არ არის და კანონები განსხვავებული დროისა და ადგილის გათვალისწინებით შეიძლება იდენტური არ იყოს კანონმდებლობის ახირების გამო.

საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში, პოზიტივიზმი (როგორც ახალ თეორიას ეწოდა) საერთაშორისო სამართალს სახელმწიფოების რეალურ ქცევაზე აფუძნებდა. საერთაშორისო სამართლის პირველი დიდი პოზიტივისტი მკვლევარი იყო კიდევ ერთი ჰოლანდიელი კორნელიუს ვან ბინკერჩუკი (1673-1743 წწ.), რომელმაც თავის დროს გაუსწრო. პოზიტივიზმი სათავეს XVIII საუკუნეში იღებს, მაგრამ XIX საუკუნემდე მას საყოველთაო აღიარება არ მოუპოვებია. XX საუკუნემდე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მეცნიერული შესწავლის რამდენიმე მცდელობა განხორციელდა.

შვეიცარიელმა ავტორმა ემერიჰ დე ვატელმა (1714-67 წწ.)⁴⁶ სცადა ნატურალიზმისა და პოზიტივიზმის შეჯერება. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახელმწიფოებისათვის ბუნებითი სამართლით მინიჭებულ თანდაყოლილ უფლებებს, მაგრამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოები ბუნებითი სამართლით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშე აგებენ პასუხს, თუკი ისინი ნათლად არ დათანხმდებიან, გამოიყენონ ეს ვალდებულებები, როგორც პოზიტიური სამართლის ნაწილი. ვატელის ნააზრევმა მეტად ძლიერი და მავნე ზეგავლენა იქონია XVIII-XX საუკუნეების მრავალ ავტორსა და სახელმწიფოზე. მისი გავლენა დღესაც კი შეინიშნება. ინტელექტუალური კლიმატი, რომელიც სახელმწიფოებს უბიძგებს, დაიცვან თავიანთი უფლებები და უგულვებლყონ მოვალეობები, არეულობის ყველაზე კარგი რეცეპტია.

სუვერენიტეტის თეორია

სიტყვა „სუვერენიტეტი“ ხშირად მეორდება ვატელის მიმდევრების ნაშრომებში. საეჭვოა, რომ არსებობდეს რომელიმე სხვა სიტყვა, რომელიც ამდენ ინტელექტუალურ უხერხულობასა და საერთაშორისო უკანონობას იწვევდეს. სუვერენიტეტის თეორია თავდაპირველად სახელმწიფოს საშინაო სტრუქტურის გაანალიზების მცდელობა იყო. პოლიტიკის ფილოსოფიის მკვლევრები თვლიდნენ, რომ თითოეულ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს უზენაესი საკანონმდებლო ძალაუფლებისა და (ან) უზენაესი პოლიტიკური ძალაუფლების მქონე გარკვეული ერთეული. ეს თეორია XVI საუკუნით თარიღდება და პოლიტოლოგები, ჩვეულებრივ, მაკიაველის (1469-1527 წწ.), ჟან ბოდენის (1530-96 წწ.) და თომას ჰობსის (1588-1679 წწ.)⁴⁷ ნაშრომებს მიუთითებენ. სამართლის მკვლევარების აზრით, ყველაზე ცნობილი ავტორია ჯონ ოსტინი (1790-1859 წწ.). მან სამართალი განსაზღვრა, როგორც უზენაესი სუბიექტის ზოგადი ბრძანება, გამაგრებული სანქციის საფრთხით. იმის გამო, რომ სიტყვა „საერთაშორისო“ მის თეორიას არ ერგებოდა, ოსტინმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სამართალი საერთოდ არ არის სამართალი. ფაქტობრივად, მის თეორიას არც ერთი სამართლებრივი სისტემა არ შეეფერებოდა. შეერთებული შტატების მსგავს ფედერალური მოწყობის სახელმწიფოებში საკანონმდებლო ძალაუფლება კონსტიტუციით დანაწილებულია ფედერაციასა და წევრ შტატებს შორის, სადაც არც ერთს არა აქვს უზენაესი საკანონმდებლო ძალაუფლება. ინგლისშიც კი, სადაც დედოფალი პარლამენტში უზენაეს საკანონმდებლო ხელისუფლებას განაგებს, კანონმდებლობა არ არის სამართლის ერთადერთი წყარო, ის არც სამართლის უძველესი წყაროა.

ამ თეორიის თანახმად, უზენაესი ხელისუფლების მქონე სუბიექტი საკუთარი კანონებით თავს არ იზღუდავდა. შემდგომ, როცა ამ სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა, მას იყენებდნენ არა მარტო უზენაესი სუბიექტისა და მისი ქვემდებარეების ურთიერთდამოკიდებულების აღსანიშნავად სახელმწიფოს

⁴⁶ N.G. Onuf, *Civitas Maxima: Wolff, Vattel and the Fate of Republicanism*, *AJIL* 88 (1994), 280-303.
⁴⁷ *ib. G.H. Sabine/T.L. Thorson, A History of Political Theory*, 4th edn 1973, Part III: The Theory of the National State.

⁴⁸ *Wimbledon case*, PCIJ, series A, no. 1.25. იხ. აგრეთვე, I.V. Munch, *The Wimbledon*, *EPIL* 2 (1981), 293-6.

⁴⁹ იხ. თ. 5.

⁵⁰ იხ. L. Wildhuber, *Sovereignty and International Law*, in Macdonald/Johnston (eds), 1983, *op. cit.*, 425-52; F.H. Hinsley, *Sovereignty*, 2nd edn 1986; A. James, *Sovereign Statehood*, 1986; H. Steinberger, *Sovereignty*, *EPIL* 10 (1987), 397-418; I.D. DeLupis, *International Law and the Independent State*, 1988; R.H. Jackson, *Quasi-States: Sovereignty, International Relations and the Third World*, 1990; J. Bartelson, *A Genealogy of Sovereignty*, 1993; G. Gottlieb, *Nation Against State. A New Approach to Ethnic Conflicts and the Decline of State Sovereignty*, 1993; O. Schachter, *Sovereignty - Then and Now*, in Macdonald (ed.), 1994, *op. cit.*, 671-88; L. Henkin, *The Mythology of Sovereignty*, *ibid.*, 351-8; N. Schrijver, *The Dynamics of Sovereignty in a Changing World*, in K. Ginther/E. Denters/R.J. I. M. de Waart (eds), *Sustainable Development and Good Governance*, 1995, 80-9; M.R. Fowler/ J.M. Bunck, *Law, Power and the Sovereign State. The Evolution and the Application of the Concept of Sovereignty*, 1995; A. Chayes/A.H. Chayes, *The New Sovereignty. Compliance with International Regulatory Agreements*, 1995; K.M. Meesen, *Sovereignty*, in *Wolfrium UNLPP II*, 1193-201; A. Bleckmann, Article 2(1), in *Simma CUNAC*, 77-87.

შიგნით (საშინაო უზენაესობა), არამედ სახელმწიფოსა და მისი მმართველის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების დასახასიათებლადაც (საგარეო უზენაესობა). ეს სიტყვა კვლავინდებურად სამართლის მიმართ განუსაზღვრელი ძალაუფლების ემოციური ჟღერადობის მქონე იყო, რასაც შედეგად მოჰყვა სრული გაუგებრობა საერთაშორისო ურთიერთობებში. ის ფაქტი, რომ ქვეყნის მმართველს შეუძლია სურვილისამებრ მოექცეს საკუთარ სუბიექტებს, არ ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია სხვა სახელმწიფოს მოახვიოს თავისი სამართლებრივი და პოლიტიკური ნება.

როცა საერთაშორისო სამართლის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო სუვერენულია, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვამენ მის დამოუკიდებლობას. ეს კი ნიშნავს, რომ ის არ არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოთა ნებაზე. აქ არ იგულისხმება, რომ სახელმწიფო სამართალზე მაღლა დგას. უმჯობესი იქნებოდა, სიტყვა „სუვერენიტეტი“ შეგვეცვალა სიტყვით „დამოუკიდებლობა“. სუვერენიტეტი უფრო ემოციურია და არა ვინრო სამართლებრივი მნიშვნელობის ტერმინი. იგი აღნიშნავს „დამოუკიდებლობას“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფოებს აქვთ ძალაუფლება და სუვერენიტეტის ხაზგასმა სტიმულს აძლევს მათ, ბოროტად გამოიყენონ იგი. უფრო მეტიც, ამგვარი ხაზგასმა ბადებს ცრურწმენას, რომ „სუვერენული“ სახელმწიფოს ბუნებისათვის დამახასიათებელია ძალადობა.

XIX საუკუნის ბოლოს საერთაშორისო სამართლის მრავალმა მკვლევარმა (განსაკუთრებით გერმანიაში) შეიმუშავა სუვერენიტეტის დოქტრინა, რომელიც საერთაშორისო სამართალს საერთოდ განადგურებით დაემუქრა. 1914 წლის შემდეგ ამ დოქტრინის ნინააღმდეგ მრავალგზის გაილაშქრეს. დასავლეთის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებმა უკუაგდეს სუვერენიტეტის შესახებ ძველი დოგმები და სახელმწიფოთა განუყოფელი უფლებები. სინამდვილეში, როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის მეცნიერულმა შესწავლამ გამოავლინა, თვით სახელმწიფოები ამ დოგმებს, თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, სერიოზულად არ აღიქვამდნენ. 1923 წელს, უიმბლდონის პროცესზე, საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა პალატამ განაცხადა: „სასამართლო უარს ამბობს, დაინახოს მისი სუვერენიტეტის უარყოფა ნებისმიერ შეთანხმებაში, რომლის მიხედვით, ერთი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს ან თავი შეიკავოს გარკვეული აქტისაგან... საერთაშორისო ვალდებულებების აღების უფლება სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ-ერთი ატრიბუტია.“⁴⁸

რა თქმა უნდა, შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი შეთანხმება, რომლის ძალითაც ერთი სახელმწიფო დაიქვემდებარებს მეორეს. მაგალითად, შეთანხმების საფუძველზე ერთი სახელმწიფო შეიძლება მეორის მფარველობის ქვეშ მოხვდეს.⁴⁹ ასეთ შემთხვევაში დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და მის დაკარგვას შორის მკვეთრი ზღვარი არ არის, ყველაფერი დამოუკიდებლობის ხარისხსა და მიდგომაზეა დამოკიდებული. თვით სიტყვა „დამოუკიდებლობა“ „სუვერენიტეტის“ ემოციურ ჟღერადობას იმეორებს. მაგალითად, ისეთ ზეეროვნულ ორგანიზაციაში გაერთიანება, როგორიცაა ევროკავშირი, გასულ საუკუნეში აღქმული იქნებოდა, როგორც დამოუკიდებლობის უსათუო შეზღუდვა. მაგრამ დღეს მისი ეკონომიკური უპირატესობის მიზანშეწონილობა უფრო მისაღები ტერმინებით აღინერება. მას შემდეგ, რაც სუვერენიტეტის დასავლური დოქტრინა შეირყა მზარდი საერთაშორისო ურთიერთობების გამო, განვითარებადი ქვეყნებისათვის ახლად მოპოვებული პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.⁵⁰

კირველ მსოფლიო ომამდელი პერიოდის სამართლებრივი შედეგები

რა მთავარი სამართლებრივი შედეგები მოჰყვა ამ „კლასიკურ“ და, ძირითადად, ევროპულ საერთაშორისო სამართალს, რომელიც სახელმწიფოებს განიხილავდა, როგორც ანარქიის ვითარებაში და არა სამართლის და წესრიგის პირობებში მოქმედ ერთეულებს? უპირველესად, ამ დროს განისაზღვრა საერთაშორისო სამართლის რამდენიმე ძირითადი ნორმა და პრინციპი, მაგალითად, ტერიტორიული სუვერენიტეტის პრინციპი, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ახორციელებს ექსკლუზიურ კონტროლს და მხოლოდ მისი იურისდიქცია ვრცელდება კუთვნილ ტერიტორიაზე; ნეიტრალური წყლების ხელშეუხებლობის პრინციპი;⁵¹ ნორმა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოცემული ქვეყნის იურისდიქციის გაუვრცელებლობის შესახებ;⁵² ნორმა დიპლომატიური და წარმომადგენლობითი ურთიერთობების შესახებ;⁵³ *pacta sunt servanda* (შეთანხმებები უნდა შესრულდეს) პრინციპი და ნორმა შეთანხმებების შესახებ;⁵⁴ წესები უცხო ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლისა და მათი ქონების დაცვის შესახებ⁵⁵ და წესები ნეიტრალიტეტის შესახებ.⁵⁶

⁵¹ იხ. თ. 12.
⁵² იხ. თ. 8.
⁵³ იხ. თ. 8.
⁵⁴ იხ. თ. 9.
⁵⁵ იხ. თ. 17.
⁵⁶ იხ. თ. 20.
⁵⁷ იხ. თ. 10.

⁵⁸ იხ. P. Malanczuk, *Humanitarian Intervention and the Legitimacy of the Use of Force*, 1993, 7-11 with references.

⁵⁹ *Il Principe*, დაიწერა 1513 წელს. გამოიცა 1531 წელს. გაცილებით ნაკლები ურად-ღებაცევა მაკიაველის კლდე ერთმნიშვნელოვან პროზა, *Discorsi*.

⁶⁰ *De Rei publica* (1576), გამოქვეყნდა საფრანგეთში 1579 წელს.

⁶¹ Grewe (1984), *op. cit.*, 211-16.

⁶² F. de Martens, *Traite de droit international*, 1883, 398.

ძალის გამოყენების შეუზღუდავი უფლება

კლასიკური საერთაშორისო სამართლის ძირითადი მახასიათებელია სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებისა და ომის წარმოშობის შეუზღუდავი უფლება, რაც სახელმწიფოთა თანასწორობისა და სუვერენობის განუყოფელ ატრიბუტად ითვლებოდა. უცხოური ტერიტორიის წარმატებული ანექსია მასზე სუვერენიტეტის მოპოვების სამართლებრივი საშუალება იყო.⁵⁷ ეჭვგარეშეა, რომ ამ პერიოდისათვის გავრცელებული საერთაშორისო სამართლის კონცეფცია კოლონიზაციის პროცესის ხელშეწყობას ემსახურებოდა. სუვერენიტეტის გავრცელება შეიძლებოდა *terrae nullius*-ზე, ტერიტორიაზე, რომელიც არავის არ ეკუთვნოდა. ეს ცნება გამოიყენებოდა იმ ტერიტორიების აღსანიშნავად, რომელთაც არ ჰყავდათ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება დამპყრობლებთან შესაბრძოლებლად. რაიმე წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის საშუალებებად გამოიყენებოდა ადგილობრივ მმართველებთან დადებული ხელშეკრულებები ან ომი.

ძალის გამოყენების შეუზღუდავი უფლება აისახა აგრეთვე ინტერვენციის დოქტრინაში.⁵⁸ XVI საუკუნეში, როდესაც მაკიაველიმ⁵⁹ და ბოდენმა⁶⁰ საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე სუვერენული სახელმწიფოს თეორიას, ინტერვენციის სპეციფიკური ისტორიული დოქტრინა, რომელსაც ემხრობოდნენ ისეთი ავტორები, როგორებიც იყვნენ ვიტორია, ჯენტილი და გროციუსი, მოტივირებული იყო რელიგიური მოსაზრებებით.⁶¹ ოცდაათწლიანი ომის (1618-48) შემდეგ ეს დოქტრინები უფრო ზოგადი პოლიტიკური ინტერვენციის პრაქტიკამ შეცვალა. გრევე მოიხსენიებს გროციუსის ნაკლებად ცნობილ კომენტარებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ დიდი მწერალი ჰუმანური ინტერვენციის განსაზღვრისას გულისხმობდა რელიგიური ინტერვენციის უფლებას, რომელიც ეფუძნებოდა ბუნებითი სამართლის მიერ გათვალისწინებულ ქრისტიანთა დაცვის უფლებას. აღსანიშნავია, რომ უფრო მოგვიანებითაც არსებობდნენ ასეთი მწერლები, კერძოდ, დე მარტენსი, რომელიც 1883 წელს ამართლებდა „ცივილიზებული ქვეყნების“ ინტერვენციას, მხოლოდ „არაცივილიზებული ერების“ მიმართ რელიგიური ინტერვენციისა და ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, როდესაც „ამ ქვეყნების ქრისტიანულ მოსახლეობას დევნიდნენ და ჟლეტდნენ“.⁶²

ვოლფისა და ვატელის მიერ უფრო ადრე ფორმულირებული ინტერვენციის უარყოფის პრინციპმა მე-19 საუკუნეში ზოგადი აღიარება მოიპოვა. მიუხედა-

⁶³ Grewe (1984), *op. cit.*, at 578; The French Intervention in Syria Re-Examined, *ICLQ* 5 (1986), 182.

⁶⁴ *ib. Grewe* (1984), *op. cit.*, at 579.

⁶⁵ Scupin, *op. cit.*, at 771.

⁶⁶ T. Schieder, *Crimean War, EPIL* 7 (1984), 59, at 61.

ვად ამისა, მე-19 საუკუნის საერთაშორისო სამართლებრივი წყობა ამ პრინციპიდან გარკვეული გამონაკლისების დაშვებით ხასიათდება, კერძოდ კი, ხელშეკრულებებისა და თვითდახმარებისა და თვითშენარჩუნების პრინციპზე დაფუძნებული ინტერვენციის დაშვებით. ავსტრიის, რუსეთისა და პრუსიის მონარქების მცდელობა, 1815 წლის შემდეგ „წმინდა კავშირის“ საფუძველზე ჩამოეყალიბებინათ სამხედრო ინტერვენციის ზოგადი პრინციპი, ისეთივე უშედეგო აღმოჩნდა, როგორც ნაპოლეონ III-ისა, ინტერვენცია ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე აღიარებულიყო.

მიუხედავად ამისა, თეორიაში გაჩნდა „ჰუმანურობაზე“ დაფუძნებული ინტერვენციის ახალი დამოუკიდებელი მიზეზი, რომელიც უკავშირდებოდა პოლიტიკური ლიბერალიზმის იდეასა და ფუნდამენტური უფლებების კონცეფციას. მე-19 საუკუნის სახელმწიფო პრაქტიკა სულ უფრო მეტად ამართლებს ინტერვენციას ჰუმანიტარული მოსაზრებებით, თუმცა ხშირად ეს მხოლოდ სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზებით განხორციელებული ინტერვენციის შენიღბვას უფრო ემსახურება. ამ დოქტრინამ თავისი როლი შეასრულა ევროპული ძალების მიერ თურქეთის წინააღმდეგ საბერძნეთის აჯანყების მხარდაჭერ ინტერვენციაში 1827 წელს, სიცილიაზე 1856 წელს ბრიტანეთისა და საფრანგეთის ინტერვენციაში და ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის მიერ 1860 წელს სირიაში განხორციელებულ ინტერვენციაში, რომელიც პასუხი იყო დრუზი მუსლიმანების მიერ ათასობით ქრისტიანი მარონიტის განადგურებაზე.⁶³ ეს მოქმედებები ევროპული ძალების მიერ 1866 წელს კრეტაზე, 1875 წელს ბოსნიაში, 1877 წელს ბულგარეთსა და 1887 წელს მაკედონიაში მომხდარი აჯანყებებისა და მკვლევლობების საპასუხოდ ოტომანთა იმპერიის მიმართ ჩატარებული ინტერვენციების მხოლოდ შესავალი იყო. ჰუმანიტარული მოსაზრებებით გამართლებულ დიპლომატიურ ჩარევათა შემთხვევები მოიცავს 1863 წლის იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და შვედეთის მიერ მხარდაჭერილ ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ავსტრიის პროტესტს რუსეთის მიერ პოლონეთში აჯანყების აღსაკვეთად გამოყენებული მეთოდების წინააღმდეგ და ასევე დიდი სახელმწიფოების და, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების მრავალჯერად პროტესტს ებრაელთა შვეიცროების გამო. საუკუნის მიჯნაზე და მოგვიანებით განხორციელებულ ინტერვენციათა შორის ასევე შეიძლება მოვიხსენიოთ 1898 წელს აშშ-ს ინტერვენცია კუბაში ან ბრიტანეთისა და აშშ-ს მხრიდან ბელგიაზე განხორციელებული ზენოლა კონგოში აბორიგენი მოსახლეობის სილატაკის გამო და, აგრეთვე, 1912-13 წლებში პერუზე ზენოლა ადგილობრივი კაუჩუკის მომპოვებელთა დაუზოგავი ექსპლუატაციის გამო.⁶⁴

ამ პრაქტიკამ სახელმწიფოების მიერ ინტერვენციის გასამართლებლად დამონშებულ ოფიციალურ მიზეზებში ახალი ტენდენცია გამოამჟღავნა, მაგრამ ეს არ იყო ახალი საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმა. სინამდვილეში, სახელმწიფოები ჰუმანიტარულ ინტერვენციას თავიანთი ინტერესების შესაბამისად ახორციელებდნენ და ინტერვენციის ინსტიტუტი, როგორც სკუპინი აღნიშნავს, „სრულყოფილად ვერ ამართლებდა ასეთ მოქმედებას“.⁶⁵ ოტომანთა იმპერიაში ევროპული სახელმწიფოების მრავალჯერადი ინტერვენცია შუა აღმოსავლეთსა და თურქეთში ამ სახელმწიფოთა მრავალფეროვანი ინტერესების ფონზე უნდა განვიხილოთ. ჰუმანიტარული ინტერვენცია „ბოსფორელი მოხუცი კაცის“ დაკნინებულ იმპერიაზე ზეგავლენის დასამკვიდრებლად ამ ძალებისათვის სასურველი და მისაღები საბაზი იყო. რუსეთის მიერ 1853 წელს თურქეთის წინააღმდეგ დაწყებული ე.წ. ყირიმის ომი, რომლის ოფიციალურ საფუძველს ქრისტიანების უსაფრთხოების დაცვის უფრო მყარი გარანტიების უზრუნველყოფა წარმოადგენდა და რომელშიც რუსეთს მოულოდნელად ფრანგულ-ბრიტანული სამხედრო ალიანსი და ავსტრია დაუპირისპირდნენ, „სახელმწიფოთა ახალი „რეალპოლიტიკის“ (realpolitik)“ ნათელი დადასტურებაა.⁶⁶

დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა

ნორმატიული კონცეფციის სახით დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის იდეა⁶⁷ მოლაპარაკების, მედიაციისა და არბიტრაჟის საშუალებით ვესტფალიის

სამშვიდობო ზავის დროიდან არსებობს, თუმცა მისი წარმოშობის წყაროები უფრო ძველია. არბიტრაჟს, როგორც მესამე პირის სავალდებულო გადაწყვეტილებებით დავის აღმოფხვრის საშუალებას, აბსოლუტური მონარქები პრაქტიკაში არ იყენებდნენ. არბიტრაჟის თანამედროვე ისტორია დაიწყო 1794 წელს აშშ-სა და ბრიტანეთს შორის დადებული მეგობრობის, კომერციისა და ნაოსნობის ხელშეკრულებით (ჯეის ხელშეკრულება), რომლითაც მხარეები მორიგდნენ, მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების მიერ კონფისკაციის ან გემების აყვანის შემთხვევაში თავიანთი დაზარალებული მოქალაქეების ქონებრივი დავები საარბიტრაჟო კომისიაში გაერჩიათ.⁶⁸ 1798 წლიდან 1804 წლამდე კომისიამ 536 გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელთაგანაც რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სამართლის შემდგომი განვითარებისათვის. ეს წარმატებული გამოცდილება XIX საუკუნეში ახალი, საარბიტრაჟო დათქმის შემცველი, ხელშეკრულებებისათვის ამოსავალ წერტილად იქცა, თუმცა, ძირითადად, ვითარდებოდა ორმხრივი შეთანხმებები და დავები სუბორდინაციული პოლიტიკური ინტერესების გამო.

მონათვაჭრობის აკრძალვა

ერთი ასპექტი, რომელიც ცალკე უნდა განვიხილოთ, არის ჰუმანურობის სახელით მონათვაჭრობის აკრძალვა.⁶⁹ XVIII საუკუნისათვის ევროპელთა ვაჭრობის განვითარება შეეხო არა მარტო საქონელს, არამედ დიდი რაოდენობით ადამიანსაც. ვაჭრობა ეფუძნებოდა სამკუთხა ვაჭრობის მომგებიან პრინციპს, რომლის საფუძველზეც ხდებოდა საქონლის ტრანსპორტირება ევროპიდან აფრიკაში, იქიდან აფრიკელი მონები, რომელთაც, უმეტესწილად, არაბი ვაჭრები ყიდდნენ, ამერიკის პლანტაციებში გადაჰყავდათ, ბოლოს კი პროდუქტები და ნედლეული ამერიკიდან ევროპაში მოჰქონდათ. მონათვაჭრობა XVI საუკუნეში დაიწყო, როდესაც ესპანეთმა კერძო მენარმეებს უბოძა მონოპოლიური ლიცენზიები გარკვეული პირობებით (*asientos*) იმისათვის, რომ შემოეყვანათ აფრიკელი მონები ესპანურ ამერიკაში, რაშიც მოგვიანებით სხვა ევროპული სახელმწიფოებიც ჩაერთვნენ. მას შემდეგ, რაც 1713 წელს ბრიტანეთმა ესპანეთისგან მონოპოლია შეიძინა ესპანური კოლონიების მონებით მომარაგების საკითხში, ამ მონოპოლიას სამხრეთი ზღვის კომპანია დაეუფლა. როგორც ცნობილია, 1680-1786 წლებში მხოლოდ ბრიტანელმა ვაჭრებმა ორ მილიონამდე აფრიკელი გადაიყვანეს ამერიკაში. საერთო ჯამში, სულ მცირე, 15 მილიონი აფრიკელი იქნა დამონებული ამერიკაში გასაგზავნად.

XIX საუკუნეში დიდ ბრიტანეთსა და მის ფარგლებს გარეთ მონათვაჭრობის სანინააღმდეგო მოძრაობამ შედეგად საერთაშორისო სამართალში ამ პრაქტიკის აკრძალვა გამოიღო. შიდასახელმწიფოებრივი ზომების მიღებას მოჰყვა 1814 წელს საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული პირველი ხელშეკრულება, რომელიც მონათვაჭრობას გმობდა.⁷⁰ ეს ჰუმანური პრინციპი გაზიარებულ იქნა 1815 წლის ვენის კონგრესზე და, შესაბამისად, მრავალმხრივ ხელშეკრულებებში, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს აფრიკელებით მონათვაჭრობის შესახებ 1890 წლის ბრიუსელის კონფერენციის ზოგად აქტს. იგი რატიფიცირებულ იქნა ყველა ევროპული სახელმწიფოს, შეერთებული შტატების, სპარსეთის, თურქეთის, კონგოსა და ზანზიბარის მიერ, რამაც უზრუნველყო ეფექტური სამხედრო და სამართლებრივი ზომები მონათვაჭრობის აღსაკვეთად, თუმცა საშინაო მონათვაჭრობის სტატუსი კვლავაც ხელშეუხებელი რჩებოდა. ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მონათვაჭრობის აკრძალვის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა, როგორც ნაოს-

⁶⁷ იბ. თ. 18.

⁶⁸ 52 CTS 243. იბ. H. J. Schlochauer, *Jay Treaty*, *EPIL* 1 (1981), 108-11.

⁶⁹ A.M. Trebilcock, *Slavery*, *EPIL* 8 (1985), 481-4; O.I. Tiunov, *Pacta sunt servanda: The Principle of Observing International Treaties in the Epoch of the Slave-Ownning Society*, *St. Louis ULJ* (1994), 929-45.

⁷⁰ Additional Articles to the Paris Peace Treaty of 30 May 1814, 63 CTS 193.

⁷¹ იბ. M. Keen, *The Laws of War in the Late Middle Ages*, 1993; T. Meron, *Henry's Wars and Shakespeare's Laws: Perspectives on the Law of War in the Later Middle Ages*, 1993.

⁷² იბ. P. Malanek, *American Civil War*, *EPIL I* (1992), 129-31.

⁷³ იბ. F. Munch, *Institut de Droit International*, *EPIL II* (1995), 997-1000; R. Stodier, *International Law Association*, *ibid.*, 1207-8.

⁷⁴ იბ. თ. 20.

⁷⁵ იბ. D.W. Bowett, *The Law of International Institutions*, 4th edn 1982, 1-13; D. Vignes, *The Impact of International Organizations on the Development and Application of Public International Law*, in Macdonald/Johnston (eds), 1983, *op. cit.*, 809-55; I. Seidl-Hohenveldern/G. Loibl, *Das Recht der Internationalen Organisationen*, 5th edn 1992, 12-19.

⁷⁶ F. Meibner, *Rhine River*, *EPIL 12* (1990), 310-6.

⁷⁷ B. Vitanyi, *Scheldt River*, *EPIL 12* (1990), 341-3.

⁷⁸ I. Seidl-Hohenveldern, *Danube River*, *EPIL II* (1992), 934-7.

⁷⁹ A. Noll, *International Telecommunication Union*, *EPIL II* (1995), 1379-85.

⁸⁰ L. Weber, *Universal Postal Union*, *EPIL 5* (1983), 383-6.

⁸¹ K. Pfanner, *Industrial Property, Protection of*, *EPIL II* (1995), 964-76.

⁸² იბ. P. Katzenberger, *Literary and Artistic Works, International Protection*, *EPIL 5* (1983), 202-11.

⁸³ J.M. Mossner, *Hague Peace Conferences of 1899 and 1907*, *EPIL II* (1995), 671-7.

ნობის მაკონტროლებელმა საზღვაო-აღმასრულებელმა სააგენტომ. ამავე დროს, ბრიტანეთი სასარგებლო პოზიციაში აღმოჩნდა, ვინაიდან სხვა ქვეყნებთან ოკეანეთშორისი სასაქონლო ვაჭრობის მეთვალყურეობა შეეძლო.

ომის კანონების ჰუმანიზაცია

ომის წარმოების ჰუმანიზაცია საერთაშორისო სამართალში სათავეს იღებს მეზრდოლი მხარეების სარდლებს შორის ომში ტყვეების, დაჭრილების, ავადმყოფებისა და სამხედრო ჰოსპიტლების დაცვის შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დადებული ხელშეკრულებების დროიდან.⁷¹ ეს ინსტიტუტი განვითარდა ყირიმის ომისა (1853-56) და პირველი თანამედროვე ომის, ამერიკის სამოქალაქო ომის (1861-65) შემდეგ, რომელიც დიდი ორმხრივი დანაკარგებით გამოირჩეოდა (კავშირის ძალებიდან დაიღუპა 359 528 და დაიჭრა 275 175 ადამიანი, ხოლო კონფედერაციის ძალებიდან დაიღუპა დაახლოებით 158 000 და დაიჭრა 225 000 ადამიანი);⁷² ამ პროცესს ხელი შეუწყო, აგრეთვე, 1863 წლის შეერთებული შტატების ჯარებისთვის საველე ინსტრუქციების (ლიბერის კოდექსის) შემუშავებამ. 1864 წლის უნევის კონვენციამ, რომლის ინიციატორადაც ანრი დიუნანი გამოვიდა, გარკვეული სტატუსი შემატა დაჭრილთა დასახმარებელ სამუშაოებს. აღიარებულ იქნა ნევრ-სახელმწიფოთა ვალდებულებები წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის კონვენციის მიმართ, რომელიც 1863 წელს უნევის კანტონის სამართლის საფუძველზე კერძო სამართლის ასოციაციის სახით დაარსდა. ამას მოჰყვა 1868 წლის სანკტ-პეტერბურგის დეკლარაცია, რომელიც კრძალავდა მცირე ფეთქებადი ჭურვების გამოყენებას, თუმცა მას პრაქტიკაში იშვიათად იყენებდნენ. 1874 წლის ბრიუსელის კონფერენციამ და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის (*Institut de Droit International*)⁷³ მიერ 1880 წელს წარმოდგენილმა წინადადებებმა საფუძველი ჩაუყარა 1899 და 1907 წლის ჰააგის სამშვიდობო კონფერენციებს, რომლებზეც ჩამოყალიბდა თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების საფუძველი.⁷⁴

საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი ფორმები

XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი ელემენტარული ფორმები.⁷⁵ კომერცია მოითხოვდა მდინარეების ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო სამდინარო კომისიების დაფუძნებას, როგორც რაინის (1831-1868),⁷⁶ შელდტის (1839)⁷⁷ და დუნაის (1856-1865)⁷⁸ შემთხვევაში. ტექნოლოგიის, კავშირგაბმულობისა და კომერციის განვითარებამ შექმნა წინაპირობა სამართალსუბიექტობის მქონე საერთაშორისო ადმინისტრაციული კავშირებისათვის, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული ფუნქციების განხორციელებით შემოიფარგლებოდნენ. მათ შორის იყო გეოდეზიური კავშირი (1864), რომლის საქმიანობა ეხებოდა დედამიწის ტოპოგრაფიულ გამოკვლევას, საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირი (1856), რომელიც თანამედროვე სატელეკომუნიკაციო კავშირის წინამორბედი იყო,⁷⁹ საერთაშორისო საფოსტო კავშირი (1874),⁸⁰ ინდუსტრიული საკუთრების დაცვის ბერნის ბიურო (1883),⁸¹ ლიტერატურისა და მხატვრობის დაცვის ბერნის ბიურო (1886)⁸² და საბაჟო ტარიფების კავშირი (1890).

1899 და 1907 წლების ჰააგის სამშვიდობო კონფერენციები

„კლასიკური“ საერთაშორისო სამართლის პერიოდი ჰააგის 1899 და 1907 წლების სამშვიდობო კონფერენციებით დასრულდა.⁸³ პირველის ინიციატორი იყო მეფე ნიკოლოზ II თავისი ცნობილი სამშვიდობო მანიფესტით, ხოლო

მეორისა – პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი. 1899 წლის კონფერენციაზე შეიქმნა სამი კონვენცია და სამი დეკლარაცია, რომლებიც შეეხებოდა ომის წარმოების სამართალს, საზღვაო ომის წარმოების სამართალს და დავების მშვიდობიან გადაწყვეტას. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლოს დაარსებას ჰააგაში. კონფერენციამ ასევე მიიღო არასავალდებულო ძალის მქონე რეზოლუცია მხარეთა სამხედრო ხარჯების შეზღუდვასთან დაკავშირებით. 1907 წლის კონფერენციამ მიიღო აქტები, რომლებიც, ნაწილობრივ, იმავე საკითხებს ეხებოდა. მიუხედავად ამისა, ჰააგის კონფერენციამ თავი აარიდა იმ დროისათვის მსოფლიოში მთავარი საჭირობო საკითხების განხილვას და, აქედან გამომდინარე, ვერ შეძლო პირველი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. ამას გარდა, მისი განხილვის სფეროდან ამოღებული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კოლონიალიზმის პრობლემა. დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ საბოლოოდ მიღწეულმა კომპრომისმა, რომელიც კონფლიქტების იძულებითი არბიტრაჟით გადაწყვეტის ვალდებულებას ითვალისწინებდა, ინგლისისა და საფრანგეთის მოთხოვნით, სახელმწიფოს დაუტოვა უფლება, თვითონ გადაეწყვიტა, რა ხელყოფდა მის „სასიცოცხლო ინტერესებს“, ⁸⁴ რომლებიც ექვემდებარებოდა შიდასახელმწიფოებრივ იურისდიქციას. ⁸⁵ აქედან გამომდინარე, ის, რისი არბიტრაჟით გადაწყვეტაც სავალდებულო არ იყო, სახელმწიფო კომპეტენციას ექვემდებარებოდა.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვ. ჯ. ბრაიანის მცდელობას, გამოეწო-რებინა „სასიცოცხლო ინტერესების“ დათქმის ნაკლი, შეერთებული შტატების სენატი წინააღმდეგობით შეხვდა. 1913-14 წლების ე.წ. ბრაიანის ხელშეკრულებები ⁸⁶ მხოლოდ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაიდო, თანაც ომის დაწყების შემდეგ. შეერთებული შტატები და გერმანია ასეთ ხელშეკრულებას არ შეუერთდნენ. პირველი მსოფლიო ომი, ფორმალურად, კლასიკური საერთაშორისო სამართლის მიერ გათვალისწინებული ომის დეკლარაციით დაიწყო.

რა მოუვიდა ამ დროის განმავლობაში „ევროპული საჯარო სამართლის“ კონცეფციას? მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის კოლონიალიზმი და ევროპის ფარგლებს გარეთა ტერიტორიებთან ურთიერთობები მას თანდათან ნიადაგს აცლიდა. 1878 წლის ბერლინის კონგრესზე ექვსი ძირითადი ევროპული ქვეყანა და თურქეთი იყვნენ წარმოდგენილნი, 1884-85 წლების ბერლინის კონგრესზე კი – თორმეტი ქვეყანა, შეერთებული შტატების ჩათვლით. 1899 წლის ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობდა ოცდაშვიდი სახელმწიფო, მათ შორის, აშშ, მექსიკა, იაპონია, ჩინეთი, ერაყი და სიამი. 1907 წლის მეორე სამშვიდობო კონფერენციას ესწრებოდა ორმოცდასამი ქვეყანა, რომელთაგან ჩვიდმეტი ამერიკული სახელმწიფო იყო, ოთხი კი აზიური, თუმცა არ იყვნენ აფრიკული ქვეყნების წარმომადგენლები. ამრიგად, მიუხედავად თავისი ევროპული წარმომავლობისა, საერთაშორისო სამართალმა თანდათან უნივერსალური ხასიათი მიიღო.

ცვლილებები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში რამდენიმე ფუნდამენტური ცვლილება გამოიწვია. ვერსალის ხელშეკრულებების ⁸⁷ 231-ე მუხლის თანახმად, გერმანია ომისათვის პასუხისმგებელ ერთადერთ ქვეყანად გამოცხადდა. მან დაკარგა მოპოვებული კოლონიები და თავისი ტერიტორიების ერთი მესამედი ევროპაში. მასვე, გამარჯვებულების მიერ, დაეკისრა ზარალის ანაზღაურებაც, ⁸⁸ რაც მკაცრად გააკრიტიკა გამოჩენილმა ეკონომისმა ჯონ მეინარდ კეინსმა და რაც შემდგომ ომის მიზეზი გახდა.

⁸⁴ იხ. K.J. Parisch, *Vital Interests*, *EPIL* 10 (1987), 526-8.

⁸⁵ იხ. A. D'Amato, *Domestic Jurisdiction*, *EPIL* 1 (1992), 1090-6. იხ. აგრეთვე, თ. 18 და 21.

⁸⁶ *AJIL* 10 (1916), Supp. იხ. H.-J. Schlochauer, *Bryan Treaties (1913/1914)*, *EPIL* 1 (1992), 509-11.

⁸⁷ 225 *CLS* 188. იხ. E.v. Puttkamer, *Versailles Peace Treaty (1919)*, *EPIL* 4 (1982), 276-82.

⁸⁸ I. Seidl-Hohenveldern, *Reparations*, *EPIL* 4 (1982), 178-80.

⁸⁹ L.C. Green. *British Commonwealth*, *EPIL* 1 (1992), 495-9; W. Dale, *The Making and Remaking of Commonwealth Constitutions*, *ICLQ* 42 (1993), 67-83; W. Morvay, *Souveränitätsübergang und Rechtskontinuität im Britischen Commonwealth*, 1974.

⁹⁰ იხ. V. Kartashkin, *The Marxist-Leninist Approach: The Theory of Class Struggle and Contemporary of International Law*, in Macdonald/Johnston (eds), 1983, *op. cit.*, 79-102; T. Schwesfurth, *The Role of Political Revolution in the Theory of International Law*, *ibid.*, 913-53; *idem*, *Socialist Conceptions of International Law*, *EPIL* 1 (1984), 417-24.

⁹¹ იხ. ამ ნიგნის ინგლისური მე-6 გამოცემა, გვ. 7-19 და K. Grzybowski, *Soviet Theory of International Law for the Seventies*, *AJIL* 77 (1983), 862-72. იხ. აგრეთვე, ქვემო

⁹² იხ. C. Parry. *League of Nations*, *EPIL* 5 (1983), 192-201; *The League of Nations in Retrospect: Proceedings of the Symposium*. Organized by the United Nations Library and the Graduate Institute of International Studies, Geneva 6-9 November 1980. 1983; L. Gross, *AJIL* 80 (1986), 200-5; H. Weber. *League of Nations*, in *Wolfgram UNLPP II*, 848-53.

⁹³ A. Rustemeyer. *Wilson's Fourteen Points*. *EPIL* 1 (1984), 539-42, at 540.

⁹⁴ K.T. Samson. *International Labour Organization*. *EPIL* 11 (1995), 1150-6. *Brownlie BOIL*, 50.

ბრიტანული იმპერიის ბრიტანულ თანამეგობრობად ტრანსფორმაციამ⁸⁹ ნათლად აჩვენა ევროპული ძალების შედარებითი დაკნინება მსოფლიო არენაზე და წარმოაჩინა შეერთებული შტატები, როგორც გლობალური სახელმწიფო.

ამას გარდა, 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ ახალი და რადიკალურად განსხვავებული სახელმწიფოს წარმოქმნამ ძველი საერთაშორისო საზოგადოების ორად გაყოფა გამოიწვია. საბჭოთა კავშირმა უარყო არსებული საერთაშორისო სისტემა, თუმცა, საბოლოოდ, გარე სამყაროსთან ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობების შესანარჩუნებლად გარკვეული ფორმა გამოიხატა. ამ ახალმა რევოლუციურმა სახელმწიფომ საერთაშორისო სამართლისადმი ისეთი დამოკიდებულება გამოამჟღავნა, რომელიც სრულიად არ შეესაბამებოდა უკვე ჩამოყალიბებულ საერთო აზროვნებას.⁹⁰ ჯერ ლენინის, ხოლო მოგვიანებით სტალინის მიერ ინტერპრეტირებულ მარქსიზმზე დაფუძნებულმა ამ სახელმწიფომ უარყო ისეთი საერთაშორისო სისტემის არსებობის შესაძლებლობა, რომელიც ერთდროულად მოერგებოდა კაპიტალისტურ და სოციალისტურ სახელმწიფოებს და ბათილად ცნო უფრო ძველი ჩვეულებითი სამართალი და ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც მეფის რუსეთს ჰქონდა დადებული. ეს დამოკიდებულება მოგვიანებით შეიცვალა,⁹¹ მაგრამ საბჭოთა კავშირი მაინც დარჩა საერთაშორისო ურთიერთობების მიღმა მანამდე, სანამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს სტატუსი არ დაიმკვიდრა.

ერთა ლიგა

ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, ერთა ლიგის შექმნა სახელმწიფო-თაშორის ურთიერთობებში რევოლუციური ნაბიჯი იყო.⁹² ეს იყო გამოძახილი პრეზიდენტ ვილსონის 14 მოთხოვნიდან⁹³ ერთ-ერთზე, რომელიც „სპეციფიკურ კონვენციასა საფუძველზე მცირე თუ დიდი ერების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის თანაბარი გარანტიებისთვის ერთა ზოგადი ასოციაციის“ შექმნას გულისხმობდა. ლიგის დამაარსებელი ოცდაექვსი მუხლი ყოველი ევროპული სამშვიდობო ხელშეკრულების პირველ თავში შედიოდა, ისევე, როგორც საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის⁹⁴ კონსტიტუცია ავტომატურად ხდებოდა ამ ხელშეკრულებების მეცამეტე ნაწილი.

ძალის გამოყენების შეზღუდვის მცდელობა

ერთა ლიგის უპირველესი დანიშნულება იყო საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ მოწოდება და მშვიდობისა და უშიშროების მიღწევა მხარეთა მიერ იმ მოვალეობის გათავისებით, რომელიც ზღუდავდა ომის წარმოების უფლებას. ეს არ ითვალისწინებდა სახელმწიფოთა მიერ ომის წარმოების აბსოლუტური უფლების ერთიანად აღმოფხვრას. ლიგის წევრებს ომის დაწყებამდე, დასამშვიდებლად, სამი თვე უნდა დაეყოვნებინათ. თუ ერთა ლიგის საბჭო, საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი სასამართლო ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი განიხილავდა დავას, ომის დაწყება შეიძლებოდა სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ან საბჭოს მიერ მოხსენების ჩაბარებიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ. წევრები, რომლებიც ამ მოვალეობას გვერდს აუვლიდნენ, კონვენციის მიხედვით, „ომის დანაშაულის ჩამდენებად“ ითვლებოდნენ, რაც სხვა წევრებს აძლევდა, მაგრამ არ ავალდებულებდა, კონვენციის დამრღვევ წევრებთან ომის დაწყების უფლებას. კონვენციის მე-16 მუხლი ასეთივე მოქმედების საწინააღმდეგო საშუალებად იძლეოდა ეკონომიკური სანქციების გამოყენების უფლებას, მაგრამ მე-10 მუხლი, რომლის მიხედვითაც, მხარეებს „პატივი უნდა ეცათ და დაეცვათ

გარე აგრესიისაგან ნებისმიერი წევრის ტერიტორიული მთლიანობა და არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა“, არ ითვალისწინებდა სანქციებს. ლიგის საბჭოს, ძირითადად, ამ მოვალეობის განხორციელებისათვის მეთოდური რჩევების მიცემა მოეთხოვებოდა. ამ მუხლის ზუსტი მნიშვნელობის გაურკვევლობა შეერთებული შტატების სენატის მიერ ამ კონვენციის რატიფიცირების უარყოფის მთავარი მიზეზი გახდა.

1928 წლის პარიზის პაქტი ომის აკრძალვის შესახებ (ბრაიან-კელოგის პაქტი),⁹⁵ რომლის ინიციატორები იყვნენ შეერთებული შტატები და საფრანგეთი, შეეცადა ომის საყოველთაო აკრძალვა დაემკვიდრებინა, მაგრამ, ამავე დროს, ამ პაქტის დაცვის ეფექტური მექანიზმი არ შემუშავებულა. პაქტში არ დაზუსტებულა თავდაცვის ზოგადად განმარტებული უფლება. ბრიტანეთმა შეინარჩუნა თავისი იმპერიის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის, ხოლო შეერთებულმა შტატებმა – მონროს დოქტრინის გამოყენების უფლება. ვერც ერთა ლიგის სისტემამ და ვერც პარიზის პაქტმა ვერ შეძლეს სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენების ძველი ჩვეულებითი წესის ეფექტურად შეცვლა.

ერთა ლიგის სხვა ფუნქციები

მოგვიანებით ერთა ლიგა შეეცადა განიარაღებისაკენ მონოდებას და საიდუმლო შეთანხმებების პრაქტიკის გაუქმებას.⁹⁶ მის სხვა ფუნქციებს შორის იყო, აგრეთვე, მანდატური სისტემის, როგორც „ცივილიზაციის მიმართ ნდობის“, ჩამოყალიბება 22-ე მუხლის მიხედვით, რომელმაც საერთაშორისო მზრუნველობის ქვეშ მოაქცია დამარცხებული სახელმწიფოების ყოფილი კოლონიების ტერიტორიებზე⁹⁷ აღმოცენებული ახალი ერები. ამას გარდა, ერთა ლიგამ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ევროპაში უმცირესობათა უფლებების დაცვის ხელშეკრულებების⁹⁸ შესრულებისა და, აგრეთვე, ისეთი სოციალური საკითხების სფეროში, როგორცაა ჯანმრთელობა და შრომის სამართლიანი სტანდარტები.

მუდმივი სასამართლო

ომებს შორის პერიოდში განვითარდა არა მარტო სოციალური და ეკონომიკური ხასიათის საერთაშორისო კანონმდებლობა, არამედ საერთაშორისო სამართალწარმოებაც. 1921 წელს ჰააგაში დაარსდა საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატა,⁹⁹ რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის¹⁰⁰ საფუძველზე მოგვიანებით შექმნილი საერთაშორისო სასამართლოს წინამორბედი იყო. სასამართლომ გამოიტანა ოცდათორმეტი გადაწყვეტილება, ძირითადად, ევროპულ სახელმწიფოებს შორის არსებულ სადავო საქმეებზე, და ოცდაშვიდი რეკომენდაცია, რომლებიც საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და წესების განსამარტავად გამოიყენებოდა. ერთა ჯერ კიდევ შეზღუდულ და შედარებით ჰომოგენურ საზოგადოებაში ფუნქციონირების ფონზე ამ სასამართლოს საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა, იმაზე მეტი, რაც მოგვიანებით საერთაშორისო სასამართლომ მოიპოვა. მუდმივი საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობამ მოგვიანებით ნათელი გახადა, თუ რატომ მიიღო მუდმივმა საარბიტრაჟო სასამართლომ, რომელიც უფრო ადრე დაარსდა, მაგრამ, სინამდვილეში, რეალურად არასოდეს უარსებია, საქმეთა ძალიან მცირე რაოდენობა.¹⁰¹

⁹⁵ 1928 General Treaty for Renunciation of War as an Instrument of National Policy, 94 LNTS 57 (1929). იხ. C.D. Wallace, Kellogg-Briand Pact (1928), *EPIL* 3 (1982), 236-9.

⁹⁶ K. Zemanek, *Treaties, Secret*, *EPIL* 7 (1984), 505-6; G.E. do Nascimento Silva, *Diplomacy, Secret*, *EPIL* 1 (1992), 1033-4.

⁹⁷ იხ. D. Rauschnig, *Mandates*, *EPIL* 10(1987), 288-95.

⁹⁸ იხ. F. Capotorti, *Minorities*, *EPIL* 8 (1985), 385-95; C. Well, *Minorities in Upper Silesia Case (Minority Schools)*, *EPIL* 2 (1981), 189-91; K. Lamers, *Prince von Pless Administration (Orders)*, *ibid.*, 236-7; C. Well, *Polish Agrarian Reform (Orders)*, *ibid.*, 230-1; M. Vierheilig, *Minority Schools in Albania (Advisory Opinion)*, *ibid.*, 191-2; Weil, *German Minorities in Poland, Cases Concerning the*, *EPIL* 11 (1995), 553-5; W. Benedek, *Exchange of Greek and Turkish Populations (Advisory Opinions)*, *ibid.*, 304-5; C.V. Katte, *Greco-Bulgarian "Communities" (Advisory Opinion)*, *ibid.*, 622-3. საერთაშორისო სამართალში უმცირესობათა დაცვის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ იხ. თ. ნდათ. 19.

⁹⁹ იხ. H.-J. Schlochauer, *Permanent Court of International Justice*, *EPIL* 1 (1981), 163-79; P. Haggemacher/R. Perruchoud/H. Dipla (eds), *Cour permanente de justice Internationale 1922-1945*, Vols 5-1 and 5-11, 1989.

¹⁰⁰ იხ. თ. 18.

¹⁰¹ H.-J. Schlochauer, *Permanent Court of Arbitration*, *EPIL* 1 (1981), 157-63. იხ. აგრეთვე, თ. 18.

¹⁰² იხ. J. Delbruck, *Collective Security, EPIL 1* (1992), 646-56; K. Doehring, *Collective Security, in Wolfm UNLPP 1*, 110-5; G. Bestermoller, *Die Völkerbunds Idee-Leistungsfähigkeit und Grenzen der Kriegssichtung durch Staatsolidarität*, 1995. იხ. აგრეთვე 22.

¹⁰³ იხ. H.A. Kissinger, *Diplomacy*, 1994, Chapter 10; A. Eban, *The U.N. Idea Revisited, FA 74* (1995), 39-55.

¹⁰⁴ იხ. A.-M. de Zayas, *Spanish Civil War, EPIL 7* (1984), 434-8.

ერთა ლიგის სისტემის მარცხი

ერთა ლიგის წევრობაზე ისეთი დიდი სახელმწიფოს უარმა, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რა თქმა უნდა, მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად შექმნილი ახალი ორგანიზაცია რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. ამის შედეგად, ერთა ლიგა ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ კონტროლირებად ორგანიზაციად იქცა. რატიფიცირებაზე უარი განაცხადეს არაბეთმა და ეკვადორმა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა დანარჩენი, ზოგადად აღიარებული, სახელმწიფო სხვადასხვა დროს ერთა ლიგის წევრი იყო. თავდაპირველად ლიგის წევრობის უფლება მხოლოდ ვერსალის ხელშეკრულების ხელისმომხრე ოცდაშვიდ გამარჯვებულ ქვეყანას, „ბრიტანულ თანამეგობრობას“ (დიდი ბრიტანეთი, კანადის დომინიონები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა და ჯერ კიდევ დამოკიდებული ინდოეთი) და ცამეტ ნეიტრალურ ქვეყანას ჰქონდა. მოგვიანებით დაშვებულ იქნა ოცდაორი ახალი წევრი ყოფილი მონიანალმდევე ქვეყნების – ავსტრიისა და ბულგარეთის (1920), უნგრეთისა (1922) და გერმანიის (1926) ჩათვლით.

ერთა ლიგის მიერ შემუშავებულმა სისტემამ, სხვადასხვა პოლიტიკური თუ ინსტიტუციონალური მიზეზების გამო, მარცხი განიცადა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, ალბათ, თვითდაინტერესებული და სუვერენული სახელმწიფოების ასოციაციის კოლექტიური უშიშროების კონცეფციის წინააღმდეგობრივი ხასიათი იყო.¹⁰² ამ კონცეფციის მიხედვით, ყველა სახელმწიფო თანაბრად იყო დაინტერესებული აგრესიის აცილებით და ამ მიზნის მისაღწევად თანაბარი რისკის განევა სურდა. თუ აგრესიის აქტში დიდი სახელმწიფოა ჩართული, ამ მოსაზრების ეჭვქვეშ დაყენება თითქმის გარდაუვალია.¹⁰³ მალე საბოლოოდ გაირკვა, რომ ერთა ლიგის ორგანოების ფუნქციონირება მხოლოდ იმ ფარგლებში შეიძლებოდა, რომლებზეც მონაწილე ქვეყნები შეძლებდნენ შეთანხმებას.

ერთა ლიგა უძლური აღმოჩნდა 1932 წელს, მანჯურის ოკუპაციის დროს, იაპონიის მიერ ჩინეთში განხორციელებული აგრესიის მიმართ. ასევე უძლური იყო იტალიის მიერ აბისინიის წინააღმდეგ 1935-56 წლების აგრესიის დროს. იტალიის მიმართ ორმოცდაათამდე ქვეყნის მიერ შეზღუდული ეკონომიკური სანქციების გამოყენებამ მარცხი განიცადა. ეს იყო ძლიერი სახელმწიფოების წინააღმდეგ კონვენციური საშუალებების გამოყენების პირველი და უკანასკნელი ცდა. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს (1936-39), რომელიც მსოფლიოს მშვიდობას საფრთხეს უქმნიდა მრავალი სახელმწიფოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გამო, ერთა ლიგამ ინტერვენციის უარყოფის პრინციპი (სახელმწიფოთა მოვალეობა, არ ჩაერიონ სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში) გააძლიერა. მან ყველა საერთაშორისო სამხედრო ძალის გამოყენება მოითხოვა და დაგმო ქალაქების დაბომბვა, თუმცა ლიგის რეზოლუციას ძალიან მცირე ეფექტი ჰქონდა.¹⁰⁴ 1937 წელს იაპონიის მიერ ჩინეთის წინააღმდეგ განახლებულ აგრესიაზე რეაგირებით ერთა ლიგამ მარტოოდენ დაუცველი ქალაქების დაბომბვის დაგმობა მოახერხა. 1939 წელს გერმანიის მიერ პოლონეთზე განხორციელებულ თავდასხმას და მეორე მსოფლიო ომის დაწყებას შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ გადაიდო ასამბლეისა და საბჭოს უკვე დაგეგმილი სხდომები. ლიგის უკანასკნელი აქცია მისი რიგებიდან საბჭოთა კავშირის გარიცხვა იყო, იმის გამო, რომ მან ფინეთის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნასთან დაკავშირებით შუამდგომლობის მიღებაზე უარი განაცხადა.

ერთა ლიგის უუნარობის მართებული შეფასებისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მას მოუხდა იმ პერიოდის შეუწყნარებელ ტოტალიტარულ რეჟიმებთან დაპირისპირება. როგორც კლაივ პერი აღნიშნავს:

ერთა ლიგას წილად ხვდა უდიდესი მასშტაბის წინასწარგანზრახულ აგრესიასთან დაპირისპირება, რომელსაც თან სდევდა ყოველგვარი ჰუმანური მო-

საზრებების შეგნებული უფლებელყოფა. ამგვარი რამ უცხო იყო როგორც მანამდელი, ისე შემდგომი პერიოდებისთვისაც. იაპონიამ, იტალიამ და გერმანიამ ერთა ლიგის არსებობის მანძილზე არაერთხელ გამოიყენეს ომის დაწყების შეუზღუდავი უფლება და აბსოლუტური ინდიფერენტულობა გამოავლინეს ომისა თუ მშვიდობის სამართლებრივი ნორმებისადმი, რომლებზეც ერთადერთი პასუხი უნდა ყოფილიყო, და, როგორც აღმოჩნდა, არის კიდევ, საპასუხო საომარი მოქმედებები მეთოდებისა და მასშტაბების შეზღუდვის გარეშე.¹⁰⁵

¹⁰⁵ Parry, *op. cit.*, at 200.
¹⁰⁶ იხ. D.F. Vagts, *International Law in the Third Reich*, *AJIL* 84 (1990), 661-704; A. Carty, *Interwar German Theories of International Law: The Psychoanalytical and Phenomenological Perspectives of Hans Kelsen and Carl Schmitt*, *Cardozo RL* 16 (1995), 1235-92.
¹⁰⁷ იხ. B.J. Bernstein, *The Atomic Bombings Reconsidered*, *FA* 74 (1995), 135-52.
¹⁰⁸ იხ. თ. 20.
¹⁰⁹ იხ. თ. 20.
¹¹⁰ *AJIL* 35 (1941), 191. იხ. H.-J. Schlochauer, *Atlantic Charter* (1941), *EPIL* 1 (1992), 288-9.

საერთაშორისო სამართლის სისტემის განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

საერთაშორისო სამართლის სისტემამ ვერ შეძლო მეორე მსოფლიო ომის თავიდან აცილება, ჰიტლერის აგრესიის შეფერხება, ევროპაში ნაცისტური გერმანიის მიერ ჩადენილი ენით აუწერელი სისასტიკის შეჩერება.¹⁰⁶ ამ სისტემამ მოკავშირეთა მიერ გაანგარიშებული ხშირი დაბომბვით გერმანული და იაპონური ქალაქების განადგურებაც ვერ აიცილა თავიდან, რის შედეგადაც მრავალი სამოქალაქო პირი დაიღუპა. ვიდრე 1945 წლის 26 ივნისს გაეროს მიერ ხელმოწერილი წესდება ძალაში შევიდოდა (1945 წლის 24 ოქტომბერს), ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წყნარი ოკეანის ომი 1945 წლის აგვისტოში ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების ჩამოგდებათ დაასრულა. ისტორიკოსები დღესაც დავობენ იმის თაობაზე, თუ რა იყო ამ აქციის ჭეშმარიტი მიზანი. იყო თუ არა ატომური ბომბების ჩამოგდება აუცილებელი, რათა იაპონია კაპიტულაციას დასთანხმებოდა, რაც შესაძლებელს გახდიდა მრავალი ამერიკელი ჯარისკაცისა და თავად იაპონელი სამხედრო და სამოქალაქო პირის სიცოცხლის შენარჩუნებას, თუ ეს მხოლოდ და მხოლოდ სტალინისათვის გათვალისწინებული მუქარა იყო. ისტორიკოსებს შორის ეს საკითხი დღემდე ცხარე დავის საგნად რჩება,¹⁰⁷ ისევე, როგორც სამართალმცოდნეებს შორის – ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების ჩამოგდების საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობის საკითხი.¹⁰⁸ ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალებმა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის გერმანელი და იაპონელი ლიდერების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა აღიარეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები მიუკერძოებლობით გამოირჩეოდა, მათ ხშირად გამარჯვებულთა მართლმსაჯულებადაც მოიხსენიებენ.¹⁰⁹

ქალის გამოყენების აკრძალვა და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა გაეროს წესდებაში

ომის შემდეგ მშვიდობის დაცვის მიზნით სახელმწიფოთა ახალი გლობალური ორგანიზაციის შექმნის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1941 წლის ატლანტიკურ ქარტიაში იყო მომზადებული. ქარტიაში ასახვა პოვა რუზველტისა და ჩერჩილის მისწრაფებამ „ნაცისტური გერმანიის საბოლოო განადგურების შემდეგ ... დამყარებულიყო მშვიდობა, რომელიც ყველა ერს საკუთარ საზღვრებში მშვიდობიანი არსებობის საშუალებას მისცემდა და ხელს შეუწყობდა ყველასათვის უკეთესი სამუშაო სტანდარტების, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მაქსიმალურ თანამშრომლობას ეკონომიკურ სფეროში“.¹¹⁰

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ძალისხმევითა და ხელშეწყობით შექმნილი გაეროს ქარტია, რომელსაც თავდაპირველად 51-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლიანობის, წესრიგისა და ეფექტური კოლექ-

¹¹¹ იხ. H.-J. Schlochauer, Dumbarton Oaks Conference (1944), *EPIL* I (1992), 1115-17; W. Benediks, *The San Francisco Conference on international Organization: April-June 1945*, 1994; W.G. Grewe, *The History of the United Nations*, in *Simma CUNAC*, 1-23; H. Weber, *History of the United Nations*, in *Wolfrum UNLPI*, 572-80; B.C. Hilderbrand, *Dumbarton Oaks. The Origins of the United Nations and the Search for Postwar Security*, 1990, იხ. თ. 21 და თ. 22.

¹¹² იხ. თ. 19.

¹¹³ იხ. თ. 22.

¹¹⁴ L. Weber, *Cuban Quarantine*, *EPIL* I (1992), 882-5.

¹¹⁵ იხ. R.S. McNamara (with B. VanDeMerk), *In Retrospect: The Tragedy and Lessons of Vietnam*, 1994; იხ. აგრეთვე, თ. 19.

¹¹⁶ იხ. თ. 21 და თ. 22.

¹¹⁷ იხ. თ. 20.

¹¹⁸ B. Broms, *Suez Canal*, *EPIL* 12 (1990), 360-5. იხ. აგრეთვე, G. Marston, *Armed Intervention in the 1956 Suez Canal Crisis: The Legal Advice Tended to the British Government*, *ICLQ* 37 (1988), 773; SC Res. 118 of 13 October 1956. UN Doc. S/3675.

ტიური უსაფრთხოების სისტემის შემოღებას ისახავდა მიზნად. 1944 წელს ღუმბარტონ-ოქსის კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოების საფუძველზე ფორმულირებული გაეროს წესდება 1945 წელს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე იქნა მიღებული. იგი ძალაში 1945 წლის 24 ოქტომბერს შევიდა.¹¹¹ ქარტიის მთავარი სიახლე მე-2(4) მუხლში ძალის გამოყენების სრული აკრძალვა იყო, შეიარაღებულ თავდასხმაზე 51-ე მუხლით გათვალისწინებული კოლექტიური და ინდივიდუალური თავდაცვის უფლების გამონაკლისით.¹¹² გაერთიანებული ერების უმთავრეს ამოცანად მშვიდობის შენარჩუნება განისაზღვრა. ერთა ლიგას არ ჰქონდა ინსტიტუციონალური მექანიზმი და არ ჰყავდა მისი კონვენციებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის საჭირო აღმასრულებელი ხელისუფლება. მისგან განსხვავებით, გაეროს წესდების VII თავით კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას ჩაეყარა საფუძველი. უშიშროების საბჭოს მშვიდობისათვის საფრთხისა და მშვიდობის დარღვევის დადგენისა და აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ სავალდებულო ძალის მქონე ეკონომიკური და სამხედრო ზომების მიღების უფლებამოსილება მიენიჭა.¹¹³

გაეროს კოლექტიური სისტემა ვერ ამოქმედდა. ამის ძირითადი მიზეზი ომის შემდეგ ყოფილ მოკავშირეთა შორის დაწყებული ანტაგონიზმი იყო. ცივი ომის პერიოდში გაერომ ვერ შეძლო თავისი მთავარი ამოცანის გადამწყვეტა. ამის მაგალითად 1962 წელს აშშ-ს მიერ განხორციელებული სამხედრო კარანტინი გამოდგება, რომელიც შეერთებულმა შტატებმა იმავე წელს კუბაში იმ საბჭოთა რაკეტების დამონტაჟების საპასუხოდ გამოიყენა, რომელთა მიღწევადობის სფეროში დასავლეთ ნახევარსფეროს უდიდესი ნაწილი ექცეოდა. განხორციელებული აქციისათვის ლეგალური ხასიათის მისანიჭებლად შეერთებულმა შტატებმა არაქმედითუნარიანი გაეროს ნაცვლად ამერიკის სახელმწიფოთა რეგიონალურ ორგანიზაციას (OAS) მიმართა.¹¹⁴ გაეროს კოლექტიური სისტემის მექანიზმის უუნარობის კიდევ ერთი მაგალითია ის ფაქტი, რომ ვიეტნამის ომის დროს მიმდინარე დასავლეთ-აღმოსავლეთის კონფლიქტთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია.¹¹⁵

მთავარი ძალების სპეციალური სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური სტატუსი უშიშროების საბჭოს ხმის მიცემის პროცედურაში თავიდანვე იყო გათვალისწინებული. ამ პროცედურის მიხედვით, შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს (თავდაპირველად წარმოდგენილი იყო ტაივანის ხელისუფლების მიერ), როგორც „მუდმივ წევრებს“, ნებისმიერ არასასურველ გადაწყვეტილებაზე შეეძლოთ ვეტოს დადება.¹¹⁶ ამგვარად, წესდების მე-2(1) მუხლს, რომლის მიხედვით, ორგანიზაცია მისი ყველა წევრის სუვერენულ თანასწორობაზეა დაფუძნებული, კვალიფიკაცია მისცა იმ ფაქტმა, რომ ხუთი მუდმივი წევრი უფრო თანასწორი გახდა, ვიდრე დანარჩენი წევრი სახელმწიფოები. ხუთმა ოფიციალურმა ატომურმა სახელმწიფომ პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებაშიც შეინარჩუნა.¹¹⁷ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის, როგორც დიდი სახელმწიფოების, გარკვეული დაკნინება 1956 წლის სუეცის არხთან დაკავშირებულმა კრიზისმა უფრო ნათლად წარმოაჩინა. აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა, რომლებიც იშვიათად ახერხებდნენ უშიშროების საბჭოში საერთო პოზიციის მონახვას, ისინი აიძულეს, შეენწყვიტათ სუეცის არხის¹¹⁸ სამხედრო ოკუპაცია (იგი ისრაელის მიერ სინის ნახევარკუნძულის ოკუპაციის პარალელურად განხორციელდა), რომელიც მათი მხრიდან ეგვიპტის მთავრობის მიერ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის საპასუხო აქცია იყო.

დეკოლონიზაცია და საერთაშორისო თანამეგობრობის სტრუქტურის ცვლილება

საერთაშორისო თანამეგობრობის სტრუქტურის ცვლილება მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო. საბჭოთა კავშირმა შექმნა თავისი ჰეგემონობის ქვეშ მყოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შედარებით დამოუკიდებელი იუგოსლავიისაგან შემდგარი სოციალისტური ბანაკი.¹¹⁹ მაგრამ საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის სტრუქტურული ცვლილებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო დეკოლონიზაციის პროცესი,¹²⁰ რომელიც გაეროს წესდებასა და 1966 წლის ადამიანის უფლებათა ორი კონვენციის საერთო, პირველ მუხლში¹²¹ ჩამოყალიბებულ თვითგამორკვევის უფლებას ემყარებოდა. კოლონიურ იმპერიებს – ბრიტანეთს, საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლანდიას, პორტუგალიასა და იტალიას – ხშირად უხდებოდათ განმათავისუფლებელ მოძრაობებთან შეჯახება,¹²² რომელთა უდიდესი ნაწილი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებით დაგვირგვინდა. ამის მაგალითია სირია (1945), ლიბანი (1946), ინდოეთი და პაკისტანი (1947), ისრაელი და ბირმა (1948), ინდონეზია (1949), ლიბია (1951), ტუნისი, მაროკო, სუდანი და ჩანა (1958), მალაია (1957) და გვინეა (1958).

დეკოლონიზაციის პროცესი, ძირითადად, 1960-იან წლებში დასრულდა, რაც 1960 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის მიღებით აღინიშნა.¹²³ 60-იანი წლებისათვის სახელმწიფოთა რაოდენობის 130-მდე გაზრდამ, რომელთაგან თითქმის ნახევარი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, საზოგადოდ საერთაშორისო სისტემაზე და განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაზე უდიდესი გავლენა იქონია.

დასაწყისში გაერო კვლავ დასავლეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც ასამბლეაში წარმოდგენილ სახელმწიფოთა უმეტესობას მართავდა. ამიტომაც მოხერხდა დიდი სირთულეების გარეშე კორეის ომისათვის¹²⁴ – იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროისათვის ჩინეთის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული დავის გამო საბჭოთა კავშირი დროებით არ ესწრებოდა უშიშროების საბჭოს სხდომებს¹²⁵ – ფორმალურად მაინც, ლეგალური ხასიათის მინიჭება.¹²⁶ აზიასა და აფრიკაში მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნამ კარდინალურად შეცვალა მდგომარეობა. გენერალურ ასამბლეაში, ისევე, როგორც სხვა ორგანიზაციების ასამბლეებში, უმრავლესობის ადგილი კომუნისტური სახელმწიფოებისა და ე.წ. მესამე მსოფლიოს ახალი სახელმწიფოების ალიანსმა დაიკავა. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ქვეყნებმა წამყვანი პოზიცია შეინარჩუნეს უშიშროების საბჭოში და ისეთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სადაც ხმის მიცემის პროცედურა ამა თუ იმ ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობის მიხედვით იყო დადგენილი.¹²⁷ დასავლეთის ქვეყნებმა აშშ-ს ლიდერობით წამყვანი როლი საერთაშორისო სისტემაში სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისითაც შეინარჩუნეს.

საერთაშორისო სამართლისადმი მესამე სამყაროს ქვეყნების დამოკიდებულება

ეგრეთ წოდებული მესამე სამყაროს¹²⁸ – აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების განზოგადება უფრო რთულია, ვიდრე თავის დროზე საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებული კომუნისტური სახელმწიფოების ყოფილი ბლოკის შესახებ განზოგადებული მსჯელობა. 1964 წლის UNCTAD 1-ის შედეგად შექმნილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის არამო-

¹¹⁹ იხ. H.-J. Uibopuu, *Socialist Internationalism*, *EPIL* 9 (1986), 347-50; S.v. Schorlemer, *Blocs and Groups of States*, in *Wolfrum UNLPP I*, 69-77.

¹²⁰ იხ. A. Bleckmann, *Decolonization*, *EPIL I* (1992), 972-6; W. Morvay, *British Territories*, *ibid.*, 976-83; A. Bleckmann, *French Territories*, *ibid.*, 986-90; J.G.C. v. Aggelen, *Dutch Territories*, *ibid.*, 983-6; F. de Quadras, *Decolonization: Portuguese Territories*, *ibid.*, 990-3; M.A. Ajomo, *International Law, The United Nations and Decolonization*, in E.G. Bell/B.A. Ajibola (eds), *Essays in Honour of Judge Taslim Olawale Bias*, 1992, 77-92; P. Kunig, *Decolonization*, in *Wolfrum UNLPP I*, 390-7.

¹²¹ იხ. თ. 19.

¹²² K. Ginther, *Liberation Movements*, *EPIL* 3 (1982), 245-9. იხ. თ. 3 და თ. 19.

¹²³ GAREs. 1514 (XV) of 14 December 1960, text in *Brownlie BOIL*, 307. იხ. თ. 19.

¹²⁴ D. Bindschedler-Robert, *Korea*, *EPIL* 12 (1990), 202-8; S. Brammer, *Conflicts, Korea*, in *Wolfrum UNLPP I*, 278-85. იხ. თ. 22.

¹²⁵ იხ. თ. 21.

¹²⁶ იხ. თ. 22.

¹²⁷ იხ. თ. 15.

¹²⁸ იხ. N. Harris, *The End of the Third World. Newly Industrializing Countries and the Decline of an Ideology*, 1986; M.S. Rajan/V.S. Mani/C.S.R. Murthy, *The Nonaligned and the United States*, 1987; A.A. Fatouros, *Developing States*, *EPIL I* (1992), 1017-24; R. Heuser, *Bandung Conference* (1955), *ibid.*, 340-2; J. Betz, *Developing Countries*, in *Wolfrum UNLPP I*, 398-406.

¹²⁹ იხ. Wang Tieya, *The Third World and International Law*, in Macdonald / Johnston (eds), 1983, *op. cit.* 955 *et seq.* M. Schweitzer, *New States and International Law*, *EPIL* 7 (1984), 349-53; F.E. Synder/S. Sathirathai (eds), *Third World Attitudes Toward International Law: An Introduction*, 1987; Harris *CMIL*, 18-21; M. Kusuma-Atmadja, *The Contribution of New States to the Development of International Law*, *Santa Clara LR* 32 (1992), 889-910; M. Shahabuddeen, *Developing Countries and the Idea of International Law*, in Macdonald (ed.), 1994, *op. cit.* 721-36; M. Bedjaoui, *La vision de las culturas no occidentales sobre la legitimidad del derecho internacional contemporaneo*, *Anu. DI* 11 (1995), 23-62.

¹³⁰ იხ. თ. 15.

¹³¹ იხ. თ. 12.

¹³² იხ. თ. 15.

¹³³ იხ. თ. 12.

¹³⁴ იხ. თ. 13.

კავშირე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების 77-წევრიანი ჯგუფი არასოდეს ყოფილა „ბლოკი“, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. მათ არა აქვთ საერთო იდეოლოგია. მათი მთავრობები პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა პოზიციებს მიეკუთვნება. ამას გარდა, არსებობს მნიშვნელოვანი კულტურული და ეკონომიკური განსხვავებები. მიუხედავად ამისა, არსებობს ფაქტები, რომლებიც სამხრეთის სახელმწიფოთა უმრავლესობას შეეხება და ეს ფაქტები განაპირობებენ საერთაშორისო სამართლისადმი მათი უმრავლესობის განსხვავებულ მიდგომას.

განვითარებად სახელმწიფოთა უმრავლესობა საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბების პერიოდში უცხო სახელმწიფოთა მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და, აქედან გამომდინარე, ამ სამართლის ფორმირებაში მონაწილეობა არ მიუღია. დროდადრო მათი ლიდერები აცხადებენ, რომ იმ წესებს, რომელთა შექმნაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, მათთვის სავალდებულო ძალა არა აქვს. ეს არგუმენტი მხოლოდ იმ წესებთან მიმართებაში გამოიყენება, რომლებიც მათი ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებს ნორმათშემოქმედებით პროცესში არ მიუღიათ მონაწილეობა, მხოლოდ დამატებითი არგუმენტი იმ ძირითადი წინააღმდეგობის გასაძლიერებლად, რომ ეს წესები მოძველებულია. განვითარებად სახელმწიფოებს არც კი მოუვიდოდათ აზრად საერთაშორისო სამართლის ყველა იმ წესის უარყოფა, რომელიც მათ დამოუკიდებლობამდე ჩამოყალიბდა. ასეთი რამის გაკეთება მათთვის სასარგებლო წესების უარყოფასაც გამოიწვევდა. მათ ზოგადად აღიარეს საერთაშორისო სამართლის, როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი სისტემის, აუცილებლობა.¹²⁹

სამხრეთის ქვეყნების უმრავლესობა ღარიბია (ნავთობის ექსპორტიორი რამდენიმე ქვეყნისა და შორეული აღმოსავლეთის „ახალი ვეფხვების“ გამოკლებით) და ეკონომიკის განვითარებისკენ მიილტვის. იყვნენ ქვეყნები, რომელთაც სოციალისტური ეკონომიკის განვითარება სურდათ. ეს კომპენსაციის გარეშე უცხოელების საკუთრებაში არსებული ქონების მიტაცების ფაქტებით გამოიხატებოდა. მაგრამ ამას წარსულში წინააღმდეგობას უწევდა საერთაშორისო სამართლის ტრადიციული წესი. მესამე სამყაროს სხვა ქვეყნები მზად იყვნენ დამორჩილებოდნენ ამ ტრადიციულ წესს და მიეზიდათ უცხოური კერძო ინვესტიციები.¹³⁰ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობებში ამ, ერთ დროს ძალზე სადავო, საკითხს დღეს დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი აქტუალობა. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები ასევე მოქმედებენ საერთაშორისო სამართლის სხვა წესებისადმი მათ დამოკიდებულებაზე. მაგალითად, თუ მათი ფლოტი დამოკიდებულია ადგილობრივი თევზჭერის აკვატორიაზე, ეს, ბუნებრივია, გავლენას ახდენს საზღვაო სამართალში მათ პოზიციაზე. ზოგიერთი ასეთი სახელმწიფო ეცადა კიდევ, ადგილობრივი თევზჭერის სივრცეზე ექსკლუზიური უფლება მოეპოვებინა ტერიტორიული წყლების, განსაკუთრებული თევზჭერის ზონის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის გაფართოების ხარჯზე.¹³¹

1973 წლიდან მოყოლებული, მესამე სამყაროს სახელმწიფოები შედარებით მდიდარ ქვეყნებს უფრო მწვავედ აყენებენ თავიანთი სილატაკისა და ეკონომიკური განვითარების პრობლემების წინაშე. არ არის გასაკვირი, რომ გაეროს გენერალური ასამბლეა, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ასამბლეების მსგავსად, ამ ქვეყნების მოთხოვნათა ნამოსაყენებელ ძირითად ფორუმად იქცა. ეს მოთხოვნები შეეხებოდა „ახალ საერთაშორისო ეკონომიკურ მართლწესრიგს“,¹³² „ახალ საერთაშორისო საკომუნიკაციო წყობას“ (რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მიერ იუნესკოს დატოვების ერთ-ერთი მიზეზი გახდა), ე. წ. „კაცობრიობის საყოველთაო მემკვიდრეობის“ პრინციპის ზღვის ფსკერისა¹³³ და კოსმოსური სივრცის¹³⁴ გამოყენებასთან მისადაგებას, ასევე, საერთაშორისო სამართლის შეცვლას და ინდუსტრიული

ქვეყნების მიერ ტექნოლოგიისა და ფინანსური რესურსების სამხრეთით გადაგზავნის სამართლებრივი მოვალეობის აღიარების მცდელობის სხვა მექანიზმებსა და კონცეფციებს. საერთო ჯამში, დასავლეთის ქვეყნებმა ეს მოთხოვნები არ გაითვალისწინეს. ისინი სხვადასხვა საშუალებებით ხშირად ეხმარებიან ღარიბ ქვეყნებს ეკონომიკური განვითარების სფეროში, მაგრამ, ჩვეულებრივ, ღარიბი ქვეყნების დახმარების სამართლებრივი მოვალეობის აღიარებას ან ამ პასუხისმგებლობის თავზე აღებას ერიდებიან.¹³⁵

ამას გარდა, ბევრ განვითარებად ქვეყანას წარსულში ნამდვილი თუ წარმოსახვითი ექსპლუატაციის მწარე მოგონება ანუხეხს. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოფილი კოლონიური სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ასახსნელად მოჰყავთ.¹³⁶ ყველა მათგანი დაბეჯითებით ეწინააღმდეგება კოლონიალიზმისა და აპართეიდის ნებისმიერ შემორჩენილ ფორმას,¹³⁷ თუმცა სხვა კონტექსტში თვითგამორკვევის პრინციპის დარღვევის მიმართ მათი რეაქცია შედარებით სუსტია.¹³⁸

ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, განვითარებადი ქვეყნები ხშირად თვლიან, რომ საერთაშორისო სამართალი მათ ინტერესებს დასავლეთის ქვეყნების ინტერესებს სწირავს. აქედან გამომდინარე, ისინი სამართლის შეცვლას მოითხოვენ. სამწუხაროდ, თუ არ არსებობს კონსენსუსი, საერთაშორისო სამართლის შეცვლა მისი დარღვევის გარეშე ძნელია. სახელმწიფოებს შეუძლიათ უარი თქვან ხელშეკრულების შეცვლაზე, თუკი მათ ამას აიძულებენ. იმ სახელმწიფოებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან არსებული ჩვეულებითი სამართლის ნორმებით, შეუძლიათ ახალი ჩვეულების გამოყენება დაიწყონ, მაგრამ მანამ, სანამ ეს პრაქტიკა საყოველთაოდ აღიარებულ ახალ ჩვეულებით ნორმად გადაიქცევა, შეიძლება ძველი წესების მიმდევარმა სახელმწიფოებმა ის სამართლის დარღვევად მიიჩნიონ.¹³⁹ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება მრავალმხრივი ხელშეკრულებაა. არსებული სამართლის კოდიფიცირებისათვის მონვეული კონფერენცია შეუმჩნეველად შეიძლება გადაიქცეს ამ სამართლის შემსწორებლად.¹⁴⁰ განვითარებადი ქვეყნების მიერ უპირატესობის მინიჭების კიდევ ერთი ხერხია გაეროს გენერალური ასამბლეის, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, გამოყენება. სინამდვილეში გაეროს გენერალური ასამბლეა არ არის საკანონმდებლო ორგანო და, საეჭვოა, მის მიერ მიღებული რეზოლუციები საერთაშორისო სამართლის მტკიცებულებებად ჩაითვალოს იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებმაც ამ რეზოლუციას ხმა არ მისცეს.¹⁴¹

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის ძირითად ცვლილებებს ადგილი ჰქონდა 1945 წლიდან. დასავლეთის სახელმწიფოები იმდენად შეშფოთებულები იყვნენ მესამე სამყაროს ქვეყნების კომუნისტური სახელმწიფოების ხელში აღმოჩენის საფრთხით, რომ არამოკავშირე ქვეყნების მიერ დაყენებულ ბევრ მოთხოვნას დაეთანხმნენ. იმ წესების უმრავლესობა, რომლებსაც განვითარებადი ქვეყნები თავიანთი ინტერესების საწინააღმდეგოდ მიიჩნევდნენ, შეცვლილია ან იცვლება. შესაბამისად, როდესაც დასავლური ქვეყნების ინტერესები იცვლება, ეს ქვეყნები ისევე უჭერენ მხარს ძველი წესების ახალი, მათი ინტერესებისათვის გამოსადეგი წესებით შეცვლას, როგორც მრავალი სხვა სახელმწიფო.¹⁴² თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ არის სტატიკური. მას დინამიკური ხასიათი აქვს და მუდმივად იცვლება. ის აზრი, რომ საერთაშორისო სამართალი მესამე სამყაროს ქვეყნების ინტერესებთან მიმართებაში ტენდენციურია, სინამდვილეს უკვე არ შეესაბამება.

¹³⁵ იბ. თ. 15.
¹³⁶ იბ. თ. 11.
¹³⁷ იბ. თ. 14.
¹³⁸ იბ. თ. 19.
¹³⁹ იბ. თ. 3.
¹⁴⁰ იბ. თ. 3.
¹⁴¹ იბ. თ. 3.
¹⁴² იბ. თ. 12.

¹⁴³ A. Carty, *The Decay of International Law? A Re-appraisal of the Limits of Legal Imagination in International Affairs*, 1986.

¹⁴⁴ R. Wolfrum, *International Law of Cooperation*, *EPIL* II (1995), 1242-7.

¹⁴⁵ იხ. M. Lachs, *Legal Framework of an International Community*. *Emery ILR* 6 (1992), 329-37; H. M'osler, *International Legal Community*, *EPIL* II (1995), 1251-5.

¹⁴⁶ იხ. თ. 3.

¹⁴⁷ იხ. G. Jaenicke, *International Public Order*, *EPIL* II (1995), 1348-51.

¹⁴⁸ იხ. თ. 6.

¹⁴⁹ იხ. თ. 3.

¹⁵⁰ იხ. თ. 6 და თ. 20.

¹⁵¹ M. Miinchau, *International Relations, East-West*, in *Wolfrum UNLPP II*, 771-7. იხ. აგრეთვე, W.M. Reisman, *International Law after the Cold War*, *AJIL* 84 (1990), 859-66; E. McWhinny et al. (eds), *From Coexistence to Cooperation: International Law and Organization in the Post-Cold War Era*, 1991; G. Abi-Saab, A "New World Order"? Some Preliminary Reflections, *Hague YIL* 7 (1994), 87-94.

¹⁵² J. Betz, *International Relations. North-South*, in *Wolfrum UNLPP II*, 778-88.

¹⁵³ იხ. თ. 22.

უნივერსალუა და საერთაშორისო საგარეო პოლიტიკის განვითარება

კლასიკური სისტემის თანამედროვე სისტემად გარდასახვის ისტორიულ პროცესში საერთაშორისო სამართალმა თავისთავად დაკარგა ევროპული ხასიათი. ერთა შეზღუდული კლუბიდან ის გარდაიქმნა გლობალურ სისტემად რომელიც დღესდღეობით 185-მდე კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ჰეტეროგენულ ქვეყანას ითვლის. აქედან გამომდინარე, დასადგენია, რეალურია თუ არა სამართლის ნამდვილად უნივერსალური სისტემის არსებობა ისეთ დანაწევრებულ მსოფლოში, სადაც ინტერესებს, ღირებულებებსა და წარმოდგენებს შორის ასე დიდი განსხვავებაა. ავტორები ხშირად თვლიან, რომ საერთაშორისო სამართალი „კრიზისშია“ ან „დაღმავალ გზაზე“.¹⁴³

ძირითად ნორმატიულ ჩარჩოსთან მიმართებაში, 1945 წლის შემდეგ საერთაშორისო სამართალი ახალ ფაზაში შევიდა, რომელმაც შეზღუდა სახელმწიფოების მიერ ომის გამოყენების თავისუფლება და, ამასთანავე, სუვერენულ სახელმწიფოთა უბრალო კოორდინაცია თანამშრომლობისა და ურთიერთსარგებლობის სისტემით შეცვალა.¹⁴⁴ „საერთაშორისო სამართლებრივი საზოგადოების“¹⁴⁵ კონცეფცია საერთაშორისო სამართლის ორ ძირითად კონცეფციასთან მიმართებაში წარმოიქმნა. ესენია *jus cogens*¹⁴⁶ და საერთაშორისო საზოგადოებრივი წესრიგი.¹⁴⁷ ეს კონცეფციები საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპებსა და წესებს შეეხება, რომელთაც საერთაშორისო სამართლის სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო მაღალი სტატუსი აქვს. 1945 წლის შემდეგ საერთაშორისო სამართლებრივმა სისტემამ სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც განიცადა. მათგან ყველაზე არსებითია სახელმწიფოთა თანაარსებობიდან თანამშრომლობაზე გადასვლა არა მარტო საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მიღწევის სფეროში, არამედ სოციალური და ეკონომიკური მიზნების გავრცელების დარგშიც. ეს აისახა სხვადასხვა სფეროებში აქტიურად ჩართული გლობალური თუ რეგიონალური ორგანიზაციების სიმრავლეში, რომელთაც საკმაოდ მცირე პერიოდში საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ახალი კატეგორია ჩამოაყალიბეს.¹⁴⁸ გაერომ და მისმა სპეციალიზებულმა დანესებულებებმა, ძირითადად, სწორედ სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში შეძლეს გარკვეული პროგრესის მიღწევა. მოქმედების სფეროს ამ გაფართოებასთან დაკავშირებული იყო საერთაშორისო სამართლის გაძლიერებული კოდიფიკაცია.¹⁴⁹

1945 წლის შემდეგ, კლასიკურ საერთაშორისო სამართალთან შედარებით, კიდევ ერთი ახალი მიღწევა იყო ინდივიდის სამართლებრივი პოზიციის გაძლიერებული აღიარება. სუვერენული სახელმწიფოების მიერ ინდივიდის მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ობიექტად განხილვის ნაცვლად მეტი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო სამართალში ადამიანის სტატუსის გაზრდის იდეას. ეს აისახა ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის წესების განვითარებაში, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს აღიარებული უნივერსალური დეკლარაციის შემდგომ ადამიანთა უფლებების გლობალურ და რეგიონალურ დონეზე კოდიფიკაციასა და შენევის 1949 წლის წითელი ჯვრის კონვენციისა და 1977 წლის ორი დამატებითი ოქმის სახით შეიარაღებული კონფლიქტების ჰუმანიტარული სამართლის განვითარებაში.¹⁵⁰

აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის¹⁵¹ დასრულებამ და ჩრდილოეთ-სამხრეთის საკითხების გამწვავებამ¹⁵² გამოიწვია ნაციონალიზმის აღორძინება, დედამიწის სხვადასხვა ადგილებში ეთნიკური კონფლიქტები და სამოქალაქო ომები და გაეროს უშიშროების საბჭოს აქამდე არნახული აქტიურობა.¹⁵³ დასავლეთის ლიტერატურაში ცივი ომის დამთავრებამ „დემოკ-

რატიული ინტერვენციის“¹⁵⁴ სხვა სახელმწიფოში „არალეგიტიმური რეჟიმის“ წინააღმდეგ დემოკრატიული სისტემის ჩამოსაყალიბებლად ან მხარდასაჭერად განხორციელებული ინტერვენციისა¹⁵⁵ და ჰუმანიტარული ინტერვენციის¹⁵⁶ განხილვასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება წარმოქმნა. ინტერვენციის თეორიის ძირითადი მიდგომა ევროპულ კონსტიტუციურ სამართალში შემუშავებულ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების ეფექტურ გარანტიას შორის სტრუქტურული კავშირის არსებობის აუცილებლობაში მდგომარეობს. რა თქმა უნდა, პრობლემატურია ის საკითხი, შეძლებენ თუ არა ევროპული კონცეფციები, საბაზრო ეკონომიკასა და ადამიანთა უფლებების დაცვის კონცეფციების ჩათვლით, მსოფლიოში წამყვანი პოზიციების დაკავებას აზიის, აფრიკისა და ისლამური ქვეყნების მიდგომების ფონზე, რომლებიც, ისტორიული, საზოგადოებრივი თუ კულტურული თვალსაზრისით, ასე განსხვავდება ევროპულიაგან.

ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ მრავალმა ავტორმა, მათ შორის, ფრანკის ფუჟუიამამ¹⁵⁷ „ისტორიის დასასრული“ და დასავლური დემოკრატია და კაპიტალიზმის გამარჯვება გამოაცხადა. მაგრამ სხვა კუთხით თუ შევხედავთ, ალბათ მხოლოდ საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები იყვნენ და არიან ექსპერიმენტული სახელმწიფოები საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო საზოგადოების გრძელი ისტორიის მანძილზე. დასავლური ცივილიზაცია არ არის ცივილიზაციის ერთადერთი ფორმა და მისი ღირებულებები და მომწესრიგებელი სისტემა, სამართლის ჩათვლით, ვერ იქნება აუცილებლად შესაფერისი ან მისაღები დედამიწის სხვა ნაწილებში. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ საკითხავია, გამართლებება თუ არა სემუელ ჰანტინგტონის წინასწარმეტყველება¹⁵⁸ იმის შესახებ, რომ „ცივილიზაციის რაობა უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს, ხოლო მსოფლიოს შვიდ ან რვა ცივილიზაციას შორის არსებული ურთიერთობები წარმართავს“, რაც, თავის მხრივ, მომავალ საუკუნეში ამ ცივილიზაციათა შეტაკებას გამოიწვევს.¹⁵⁹ ასეთი წინასწარმეტყველებები არ არის ახალი (და ხშირად მცდარი), ამას თუნდაც შპენგლერის „დასავლეთ ევროპის მარცხის“ („Untergang des Abendlandes“) მაგალითი ადასტურებს.

მიუხედავად ამისა, სამართლებრივი პერსპექტივიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის უნივერსალური ხასიათი სადავო გახდა არა მარტო მწვავე თეორიული დებატების, არამედ საერთაშორისო სამართალში ეკონომიკური და პოლიტიკური რეგიონალიზმისაკენ მიმართული არსებითი ძლიერი ტენდენციების გამოც.¹⁶⁰ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ადვილი და მოითხოვს მრავალდარგოვანი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის შინაარსისა და საერთაშორისო სამართლის შემუშავების პროცესის თავისებურებების გათვალისწინებას. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უნივერსალური შეთანხმება საერთაშორისო სამართლის რამდენიმე ძირითადი პრინციპის თაობაზე მაინც არსებობს, რომლებიც გაეროს წესდების შინაარსის დადგენის ხანგრძლივი პროცესის შემდეგ მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციის სახით 1970 წელს ყველა სახელმწიფოში ერთხმად აღიარა.¹⁶¹ ეს პრინციპებია:

1. სახელმწიფოების მიერ მუქარისა და ძალის გამოყენების აკრძალვა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ; ან სხვა მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება წესდების მიზნებს;
2. სახელმწიფოთა შორის დავების მშვიდობიანი საშუალებებით გადაწყვეტა საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროებისა და სამართლიანობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე;
3. წესდების შესაბამისად, სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციის საქმეებში ჩაურევლობის მოვალეობა;

¹⁵⁴ Lukashuk. The United Nations and Illegitimate Regimes: When to Intervene to Protect Human Rights, in L.F. Damrosch/D.J. Scheffer (eds), *Law and Force in the New International Order*, 1992, 143; T.M. Franck, *Intervention Against Illegitimate Regimes*, *ibid.*, 159; A.-M. Burley, *Commentary on Intervention Against Illegitimate Regimes*, *ibid.*, 177; V. Nanda, *Commentary on International Intervention to Promote the Legitimacy of Regimes*, *ibid.*, 181; T.M. Franck, *The Emerging Right to Democratic Governance*, *AJIL* 86 (1992), 46 et seq.; ¹⁵⁵ *ib.* *op.* 14.

¹⁵⁶ D. Copp/J. Hampton/J. Roemer (eds), *The Idea of Democracy*, 1995.

¹⁵⁷ F. Fukuyama. The End of History?, *The National Interest*, 1989, no. 16, 3-18.

¹⁵⁸ S.P. Huntington. The Clash of Civilizations?, *FA* 72 (1993), 22-49.

¹⁵⁹ *ib.* E. Sakakibara, *The End of Progressivism*, *FA* 74 (1995), 8-14.

¹⁶⁰ *ib.* *EPIL* 6 (1983); S. Gonzalez Galvez, *The Future of Regionalism in an Asymmetrical System*, in Macdonald/Johnston (eds), 1983, *op. cit.* 661-83; R. Wolfrum (ed.), *Strengthening the World Order, Universalism versus Regionalism, Risks and Opportunities of Hegionalization*, 1990; J.I. Charney, *Universal International Law*, *AJIL* 87 (1993), 529-51;

¹⁶¹ UNGA Res. 2625 (XXV) of 24 October 1970, *Brownlie BDIL*, 36; V.S. Mani, *Basic Principles of Modern International Law. A Study of the United Nations Debates on the Principles of International Law Concerning Friendly Relations and Cooperation Among States*, 1993; V. Lowe/C. Warbrick (eds), *The United Nations and the Principles of International Law - Essays in Memory of Michael Akehurst*, 1994 (with contributions by I. Sinclair, Ch. Gray, J. Merrills, V. Lowe, D. McGoldrick, A. Boyle, D. Freestone, A. James, P. Thornberry, C. Warbrick and G. White); G. Arangio-Ruiz, *Friendly Relations Resolution*, *EPIL* II (1995), 485-90.

¹⁶² იხ. B. Simma, Editorial, *EJIL* 3 (1992), 215; P. Allott et al., *Theory and International Law: An Introduction*, 1991.

¹⁶³ იხ. ნ. ზეზუნაძის შესახებ იხ. B. Simma, A. Truol Y. Serra, B. Conforti, A. Carty and I. Seidl-Hohenveldern, *EJIL* 6 (1995), დ. ანზოლოტის შესახებ იხ. R. Ago, P.-M. Dupuy, G. Gaja, J. M. Ruda and A. Tanca in *EJIL* 3 (1992), 92 et seq.; გ. სკელესის შესახებ იხ. H. Thierry, A. Cassese, L. Condorelli, R. J. Dupuy and A. Tanca in *EJIL* 1 (1990), 193 et seq.

¹⁶⁴ იხ. M.S. McDougal/W.M. Reisman, *International Law in Policy-Oriented Perspective*, in Macdonald/Johnston (eds), 1983, *op. cit.*, 103-29; G.L. Dorsey, *The McDougal-Laswell Proposal to Build a World Public Order*, *AJIL* 82 (1988); M.S. McDougal, *The Dorsey Comment: A Modest Retrogression*, *ibid.*, 51-7; H.D. Lasswell/M.S. McDougal, *Jurisprudence for a Free Society*, 2 Vols. 1992.

¹⁶⁵ იხ. D. Kennedy, *A New Stream of International Law Scholarship*, *Wis. ILJ* 7 (1988), 6 et seq.; Koskenniemi, *The Politics of International Law*, *EJIL* 1 (1990), 4-32; A. Carty, *Critical International Law: Recent Trends in the Theory of International Law*, *EJIL* 2 (1991), 66 et seq.; O. de Schutter, *Les critical legal studies au pays du droit international public*, *Droit et Soc.* 22 (1992), 585-605; G. Dencho, *Politics or Rule of Law: Deconstruction and Legitimacy in International Law*, *EJIL* 4 (1993), 1-14.

¹⁶⁶ იხ. T.M. Franck, *The Power of Legitimacy Among Nations*, 1990; T.M. Franck *IS, W. Hawkins*, *Justice in the International System*, *Mich. JIL* 10 (1989), 127; J.E. Alvarez, *The Quest for Legitimacy: An Examination of the Power of Legitimacy Among Nations*, *NYUJILP* 24 (1991), 199-267; Franck, *Fairness in International Law and Institutions*, 1995. იხ. აგრეთვე, D.D. Caron, *The Legitimacy of the Collective Authority of the Security Council*, *AJIL* 87 (1993), 532-88; Caron, *Governance and Collective Legitimization in the New World Order*, *Hague YIL* 6 (1993), 29-44.

4. სახელმწიფოთა მოვალეობა, ითანამშრომლონ ერთმანეთთან წესდების შესაბამისად;
5. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი;
6. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი;
7. სახელმწიფოთა მიერ წესდების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულება.

ახალი მიღწევები თეორიაში

საბოლოოდ, გაკვრით მაინც, უნდა აღვნიშნოთ, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში თეორიაში ახალი, მეტად საინტერესო ცვლილებები მოხდა.¹⁶² ბუნებითი სამართლისა და პოზიტივიზმის¹⁶³ ძველი სკოლები, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არსებობს და, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს საერთაშორისო სამართლის აზროვნების საფუძვლებს შორის მთავარი ადგილი უკავია. ამას გარდა, „პოლიტიკაზე ორიენტირებულმა“ „ახალი ჰავენის“ სკოლამ, რომელიც იელის პროფესორმა მაირეს ს. მაკ-დუგალმა¹⁶⁴ ჩამოაყალიბა, ცივი ომის ზენიტში ყოფნის დროს, დიდი გავლენა მოიპოვა შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთაც. ეს შეხედულება საერთაშორისო სამართალს ავტორიტეტული გადაწყვეტილებების მიღების ერთგვარ უწყვეტ ნაკადად მიიჩნევს, რომელშიც სამართლებრივი არგუმენტი მხოლოდ ერთ-ერთია მრავალ სხვა ფაქტორს შორის. ამის გამო, პოზიტივისტთა მიერ ასეთი დამოკიდებულება გაკრიტიკებულ იქნა (განსაკუთრებით ევროპაში), როგორც სამართლის ძირეული კონცეფციისა და სამართლებრივი წესების უარყოფა. მიუხედავად ამისა, ხშირად საერთაშორისო სამართალში რიგით საქმეზე პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების დროს ასეთი თეორიები შედეგების მიხედვით ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება.

დასავლეთში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული „კრიტიკული სამართლის“ ახალი სკოლა გაჩნდა, რომელიც სამართლის ანალიტიკური ენის ფილოსოფიასა და ჰერმენევტიკულ თეორიაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე საერთაშორისო სამართლის ტრადიციულ პოზიტივისტურ შეხედულებებს დაუპირისპირდა.¹⁶⁵ ამ კრიტიკული სამართლის სპეციალისტების მიერ საერთაშორისო სამართლებრივი არგუმენტაციის „დეკონსტრუქცია“ უარყოფს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებლად არსებობას თავისი დაუდგენლობის, შეუსაბამობისა და გათიშულობის გამო. თომას მ. ფრანკის ნაშრომების შედეგად წამოწყებული სხვა კვლევები საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის „ლეგიტიმურობისა“ და „სამართლიანობის“ ძირითად საკითხებს განსხვავებული კუთხით განიხილავს.¹⁶⁶ ამის გარდა, იდეათა „ბაზარზე“ უფრო მეტი უტოპიური თეორია გაჩნდა¹⁶⁷ და დღესდღეობით საერთაშორისო სამართლისადმი ფემინისტური მიდგომაც არსებობს.¹⁶⁸ აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო სიახლე — საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს შორის არსებული სიცარიელის შემცირების მცდელობა.¹⁶⁹

დღეისათვის საერთაშორისო სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორია¹⁷⁰ ასპარეზიდან გაქრა და მხოლოდ ისტორიულ ინტერესს თუ იმსახურებს. ცივი ომის დამთავრებისა და საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ყოფილი კომუნისტური ქვეყნების დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლისადმი ზოგადად შეცვლილია, თუმცა ამ ცვლილების ზუსტი ხანგრძლივობისა და კონკრეტული გამოვლინებების დაფიქსირება მომავლის საქმეა.¹⁷¹ იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო სამართლისადმი ჩინეთის ინტერესის გაღვივებაზე.¹⁷² ასევე საინტერესოა იმის დადგენა, თუ როგორ ყალიბდება საერთაშორისო სამართლის ისლამური თვალსაზრისი, როგორც ცალკე მიმართულება.¹⁷³

აბსტრაქტულად რომ ვთქვათ, სამართლის თეორიის პროდუქტი მხოლოდ აკადემიურ ინტერესს წარმოადგენს და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის გაგებას უწყობს ხელს, მაგრამ სახელმწიფოების აქტიური პრაქტიკისა და ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაზე დიდად არ მოქმედებს. როგორც ჰოლანდიელმა პროფესორმა როლინგმა აღნიშნა 1960 წელს:

მთელ პოზიტიურ სამართალში დაფარულია ინტერესისა და ძალის ელემენტები. სამართალი არ არის ძალა და არც მისი ინტერესთან გაიგივება შეიძლება, მაგრამ ის გამოხატავს ყოფილ ძალისმიერ ურთიერთობას. სამართალი, პირველ რიგში, ძლიერთა ინტერესებს ემსახურება. „ევროპული“ საერთაშორისო სამართალი, ტრადიციული ხალხთა სამართალი, არ იყო გამონაკლისი ამ წესისაგან, ის მდიდარი ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდა.¹⁶⁷

საკითხავი ის არის, ვის ინტერესებს ემსახურება საერთაშორისო სამართალი დღეს უკვე მეტად გაფართოებულ, მრავალფეროვან, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში. ამ კითხვაზე პასუხი მომდევნო თავებში საერთაშორისო ურთიერთობებში „მოქმედი სამართლის“ სხვადასხვა სფეროების უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს.

¹⁶⁷ იხ. P. Allott, *Eunomia. New Order for a New World*, 1990; Allott, *Reconstituting Humanity - New international Law*, *EJIL* 3 (1992), 219-52.

¹⁶⁸ იხ. შავალითაი, H. Charlesworth/C. Chinkin/S. Wright, *Feminist Approaches to International Law*, *AJIL* 85 (1991), 613-45; D.G. Dallmeyer (ed.), *Reconceiving Reality: Women and International Law*, 1993.

¹⁶⁹ იხ. G. Doeker, *Internationale Beziehungen und Völkerrecht als Gegenstand der Forschung und Lehre*, *AVR* 19 (1980-1), 401 *et seq.*; A.-M. Slaughter Burley, *International Law and International Relations Theory: A Dual Agenda*, *AJIL* 87 (1993), 205-39; S.V. Scott, *International Law as Ideology: Theorizing the Relationship between International Law and International Politics*, *EJIL* 5 (1994), 313-25; D. Frei, *International Relations*, *EPIL* II (1995), 1359-64; A.C. Arendt/R.J. Beck/R.D.V. Lugt (eds), *International Rules. Approaches from International Law and International Relations*, 1996; V. Rittberger (ed.), *Regime Theory and International Relations*, 1993; C. Brown, *International Relations Theory: New Normative Approaches*, 1992. იხ. further C.A. Kiss/D. Shelton, *Systems Analysis of International Law: A Methodological Inquiry*, *NYIL* 17 (1986), 45-74.

¹⁷⁰ იხ. B.S. Chimni, *International Law and World Order: A Critique of Contemporary Approaches*, 1993.

¹⁷¹ იხ. Harris *CMIL*, 21-2; J.W.E. Butler (ed.), *International Law and the International System*, 1987; Quigley, *Perestroika and International Law*, *AJIL* 82 (1988), 788-97.

¹⁷² იხ. H.Chun, *Chinese Attitudes Toward International Law in the Post-Mao Era*, 1978-1987.

¹⁷³ შავალითისათვის იხ. A.A. Anan'Im, *Islamic Ambivalence To Political Violence: Islamic Law and international Terrorism*, *GYIL* 31 (1988), 307; D. A. Westbrook, *Islamic international Law and Public international Law*.

¹⁷⁴ B.V.A.. Roling, *International law in an Expanded World*, 1960, 15.

3. საერთაშორისო სამართლის წყაროები

¹ Harris CMIL, 23-68; Restatement (Third), Vol. 1, paras. 102-3, 24-39; C. Dominice, Methodology of International Law, EPIL 7(1984), 33 et seq.; R. Monaco, Sources of International Law, *ibid.*, 424 et seq.; B. Simma/P. Alston, The Sources of Human Rights Law: Custom, Jus Cogens, and General Principles, AYIL 12 (1988/9), 82-108; C. Sepulveda, Methods and Procedures for the Creation of Legal Norms in the International System of States: An Inquiry into the Progressive Development of International Law in the Present Era, GYIL 33 (1990), 432; O. Schachter, International Law in Theory and Practice, 1991, Chapter III; U. Fastenrath, Lucken im Völkerrecht, 1991; E. Riedel, Standards and Sources. Farewell to the Exclusivity of the Sources Triad in International Law?, EJIL 2 (1991), 58-84; E. Frangou-Ikonomidou (ed.), Sources of International Law, 1992; U. Fastenrath, Relative Normativity in International Law, EJIL 4 (1993), 305-40; G. Tunkin, Is General International Law Customary Law Only?, *ibid.*, 534-41; H. H. G. Post, Some Curiosities in the Sources of the Law of Armed Conflict Considered in a General International Legal Perspective, NYIL 25 (1994), 83-118.

² H.L.A. Hart, The Concept of Law, 1961, 246-7; R.Y. Jennings, International Law, EPIL 7 (1984), 284; I. Brownlie, Principles of Public International Law, 4th edn 1990, 1-3

³ *ib.* R.Y. Jennings, An International Lawyer Takes Stock, ICLQ 39 (1990), 513-29, 514.

⁴ Public International Law - A Current Bibliography of Books and Articles, the Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law in Heidelberg.

⁵ *ib.* *op. cit.* 1.

⁶ *ib.* O. Schachter, The Nature and Process of Legal Development in International Society, in R.St.J.-Macdonald

გამოთქმას „სამართლის წყარო“ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია აქვს¹. სამართლის ინგლისელი ფილოსოფოსი პ. ლ. ა. ჰარტი განასხვავებს მის გამოყენებას, ერთი მხრივ, „ნივთიერი“, ანუ „ისტორიული“, გაგებით და, მეორე მხრივ, „ფორმალური“, ანუ „იურიდიული“, გაგებით.² პირველი, არაიურიდიული გაგებით, იგი აღნიშნავს მიზეზობრივ, ანუ ისტორიულ, ზეგავლენას, რომელიც ხსნის სამართლის მოცემული ნორმის ფაქტობრივ არსებობას მოცემულ ადგილსა და დროში; მაგალითად, გვიჩვენებს, რომ ჰოლანდიური სამართლის გარკვეული თანამედროვე კანონი მომდინარეობს რომაული სამართლიდან, ან ადგენს, რომ შრომის სამართლის განვითარება პროფესიული კავშირების პოლიტიკური აქტივობის შედეგია. იურიდიული გაგებით, ამ ტერმინით აღინიშნება კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ხდება გარკვეული წესის იურიდიული ძალის აღიარება მოცემული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში. ეს კრიტერიუმები იძლევიან სავალდებულო სამართლებრივი ნორმის იურიდიულად არასავალდებულო სოციალური და მორალური ნორმებისაგან განსხვავების საშუალებას, და კანონს „de lege lata“ (არსებული კანონის თანამედროვე სახე) განასხვავებენ კანონისაგან „de lege ferenda“ (მომავალში სავარაუდო ან სასურველი კანონი).³ ამ აზრით, ტერმინ „წყაროს“ ტექნიკური მნიშვნელობა აქვს, რომელიც კანონშემოქმედების პროცესთან არის დაკავშირებული და არ უნდა აგვერიოს საინფორმაციო და კვლევა-ძიების წყაროებსა თუ საერთაშორისო სამართლის ბიბლიოგრაფიაში.⁴

განვითარებულ ეროვნულ იურიდიულ სისტემებში არსებობს გარკვეული საშუალებები, რომლებიც სამართლის ამოცნობის საშუალებას იძლევა. პირველ რიგში ესენია კონსტიტუცია, კანონმდებლობა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. დეცენტრალიზებულ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში, რომელსაც იერარქიული სტრუქტურა აკლია,⁵ ეს გაცილებით უფრო ძნელია. არ არსებობს ხელისუფლება, რომელიც საყოველთაოდ სავალდებულო კანონმდებლობას მიიღებდა⁶. არ არსებობს, აგრეთვე, საერთაშორისო სასამართლოსა და ტრიბუნალების სავალდებულო იურისდიქცია სახელმწიფოთა თანხმობის გარეშე. ამ სისტემაში თვით საერთაშორისო სამართლის სუბიექტებმა⁷ შექმნეს მათთვისვე სავალდებულო საერთაშორისო ნორმები და პრინციპები.

საუკუნეთა მანძილზე საერთაშორისო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო იყო ჩვეულებითი სამართალი, რომელიც სახელმწიფოთა პრაქტიკის საფუძველზე წარმოიქმნა.⁸ საერთაშორისო სამართლის კოდიფიცირების თანამედროვე ცდა და მრავალმხრივი შეთანხმებების დადება ბევრ მნიშვნელოვან სფეროში (მაგ., დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები⁹, ომის სამართალი¹⁰, საზღვაო სამართალი¹¹), მიზნად ისახავს სამართლისა და უნივერსალურად მისაღები ნორმების დადგენას. მაგრამ ჩვეულებითი სამართალი ჯერჯერობით ინარჩუნებს უპირატესობას საერთაშორისო ხელშეკრულებებზე ან სხვა წყაროებზე მრავალ სხვა სფეროში, როგორცაა, მაგ., სახელმწიფოთა იმუნიტეტი¹² ან სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა¹³. 1945 წლის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია დავა საერთაშორისო სამართლის წყაროებთან დაკავშირებით. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი თეორიული წინააღმდეგობების სფეროდ იქცა. კერძოდ, დღეს ძნელია მკაფიოდ გამოიჯვანა ორი ძირითადი ტრადიციული ელემენტისა – ჩვეულებებისა და ხელშეკრულებებისა. 1981 წელს რ. ჯენინგზი აღნიშნავდა:

„მეექვება, ვინმე არ დაეთანხმოს იმ აზრს, რომ არასდროს ყოფილა ამდენი გაუგებრობა და ქოჭმანი საერთაშორისო სამართლის ნამდვილობის ან წყაროების თაობაზე, ვიდრე დღეს“.¹⁴

საერთაშორისო სასამართლოს წესდების¹⁵ 38-ე მუხლის თანახმად, სასამართლო, რომლის ამოცანაა მისდამი დაქვემდებარებული დავების გადაწყვეტა, იყენებს:

- ა. როგორც ზოგად, ისე სპეციალურ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ადგენენ მოდავე სახელმწიფოთა მიერ ნათლად აღიარებულ წესებს.
- ბ. საერთაშორისო ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის მოწმობას.
- გ. ცივილიზებული ერების მიერ აღიარებულ სამართლის ზოგად პრინციპებს.
- დ. სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხვადასხვა ერების საჯარო სამართლის ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტების დოქტრინებს, როგორც სამართლებრივი ნორმის დადგენის დამხმარე საშუალებას.

ჩვეულებრივ, ეს დებულებები საერთაშორისო სამართლის წყაროთა აღიარებულ ნუსხად ითვლება.¹⁶ ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ ჩამონათვალი არ შეიცავს საერთაშორისო სამართლის ყველა წყაროს, ან შეიცავს ისეთ ასპექტებს, რომლებიც არ წარმოაჩენს ჭეშმარიტ წყაროებს. მაგრამ წყაროების ვერც ერთმა ალტერნატიულმა ჩამონათვალმა ვერ მიიღო საყოველთაო აღიარება. ამიტომ ჩვენი წინადადებაა, ჯერ საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში წარმოდგენილი წყაროები განვიხილოთ და შემდეგ გადავიდეთ საერთაშორისო სამართლის სხვა შესაძლებელ წყაროთა განხილვაზე.

ხელშეკრულებები

საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში საუბარია „ზოგად და სპეციალურ საერთაშორისო კონვენციებზე, რომლებიც მოდავე სახელმწიფოთა მიერ ნათლად აღიარებულ წესებს ადგენენ.“¹⁷ „კონვენცია“ ნიშნავს ხელშეკრულებას. ეს არის ერთადერთი მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს საერთაშორისო სამართალში და, საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს საკითხი ხაზგასასმელია, რადგან ცნობილია, რომ სტუდენტები ხშირად ურევენ ერთმანეთში კონვენციასა და კონფერენციას, ან კიდევ საერთაშორისო სამართლის კონვენციები ერევათ ბრიტანეთის კონსტიტუციური სამართლის საკონსტიტუციო ჩვეულებებში. სხვა ტერმინები, რომლებიც ხელშეკრულების სინონიმებად ან ხელშეკრულების სპეციალური ტიპების აღსანიშნავად იხმარება, შემდეგია: შეთანხმება, პაქტი, ურთიერთგაგება, ოქმი, ქარტია, წესდება, თანხმობა, დეკლარაცია, ვალდებულება, პირობა. ამ სიტყვათაგან ზოგიერთს, თავის მხრივ, ალტერნატიული მნიშვნელობები აქვს (ე.ი. მათ შეიძლება ხელშეკრულების გარდა სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეთ), რაც ტერმინოლოგიურ საკითხს კიდევ უფრო ართულებს.

ხელშეკრულებათა მნიშვნელობა საერთაშორისო სამართლის სფეროში იზრდება. გარკვეული სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ დადებული ხელშეკრულებების კრებულთა გამოცემის პრაქტიკა მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. კრებულების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე სხვადასხვა სათაურით ქვეყნდებოდა, ეკუთვნის მ. ფ. ფონ მარტენსს. 1771 წელს მან გამოაქვეყნა პირველი კრებული სახელით „Recueil des principaux traites“. 1945 წლიდან, გაეროს წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, გაეროში 33 000-ზე მეტი ხელშეკრულებაა რეგისტრირ-

¹⁴ D.M. Johnston (eds), *The Structure and Process of International Law*, 1983, 745-808; G. M. Danilenko, *Law-Making in the International Community*, 1993; K. Skubiszewski, *International Legislation*. *EPIL* 1 (1995), 1255-62;.

¹⁵ იხ. თ. 5 და თ. 6.

¹⁶ იხ. R. Bernhardt, *Customary International Law*. *EPIL* 1 (1992), 898-905.

¹⁷ იხ. თ. 8.

¹⁸ იხ. თ. 20.

¹⁹ იხ. თ. 12.

²⁰ იხ. თ. 8.

²¹ იხ. თ. 17.

²² R.Y. Jennings, *What is International Law and How Do We Tell When We*. *ib. It.*, 450/37(1981), 59-88, at 60.

²³ *Brownlie BOLL*, 438.

²⁴ იხ. M. Mendelson, *The International Court of Justice and the Sources of International Law*, in V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 63-89.

²⁵ *Op. cit.* იხ. R. Bernhardt, *Treaties*, *EPIL* 7 (1984), 459-64.

¹⁸ *United Nations Treaties Series (UNTS)*; იხ. M.J. Bowman/D.J. Harris (eds), *Multilateral Treaties: Index and Current Status, 1984 and 10th cumulative supplement, 1993*. იხ. აგრეთვე, L. Wildhaber, *Treaties, Multilateral, EPIL I* (1984), 480-4; C. Parry (ed.), *The Consolidated Treaty Series (CTS)*, 1648-1918 (annotated); Hudson, *International Legislation (1931-1950)*; C. Parry (ed.), *Index to British Treaties (1101-1918)*; *United Kingdom Treaties Series (UKTS)* (from 1892); *League of Nations Treaty Series (LNTS)*, *International Legal Materials (ILM)*.
¹⁹ იხ. თ. 15.

რებული, რომელთაგან რამდენიმე ათასი მრავალმხრივია.¹⁸ რადგან კოლექტივიზმმა *laissez-faire* შეცვალა, ამიტომ უამრავი საკითხი სამთავრობო რეგულირების საგნად იქცა, ხოლო ეროვნული საზღვრების გადაცდომის შემდეგ – სამთავრობათშორისო რეგულირების საგნადაც. თანამედროვე ტექნოლოგიამ, კომუნიკაციებმა და ვაჭრობამ სახელმწიფოები ერთმანეთზე უფრო მეტად დამოკიდებულნი გახადა, ვიდრე ოდესმე და მათში პრობლემათა ფართო სპექტრთან დაკავშირებით საერთო ნორმების მიღების სურვილი გააღვიძა. ასეთებია: დამნაშავეთა გადაცემა, გემებისა და საჰაერო ძალების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკური დახმარება, საავტორო უფლება, საგზაო ნიშანთა სტანდარტიზაცია, უცხოური ინვესტიციების დაცვა, გარემოს დაცვა და ა.შ. ასეთი წესები, ჩვეულებრივ, ხელშეკრულებების სახით ყალიბდება და ამის შედეგად 140 წლის მანძილზე საერთაშორისო სამართლის მოცულობა ძალიან გაიზარდა (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმების უმრავლესობა უაღრესად სპეციალიზებულია, ამიტომ მათ საერთაშორისო სამართლის ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში არ განიხილავენ).

ხელშეკრულებები საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი ინსტრუმენტია, ხოლო თანამშრომლობა ხშირად გულისხმობს მონაწილე სახელმწიფოთა შეფარდებით მდგომარეობას (მაგალითად, მდიდარი სახელმწიფოები აძლევენ ფულს ღარიბ სახელმწიფოებს). ამდენად, ხელშეკრულებები ხშირად ცვლილების საშუალებაა – ამ აზრს ხშირად ივიწყებენ ისინი, ვინც საერთაშორისო სამართალს ძირითადად კონსერვატიულ ძალად მიიჩნევს. საყოველთაო ტენდენციად იქცა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ხელშეკრულებათა როლის ზრდა საერთაშორისო სამართალშემოქმედებაში. ეს ნაწილობრივ მზარდი ურთიერთდამოკიდებულების შედეგი იყო, ნაწილობრივ კი – ძველი ჩვეულებითი ნორმების შინაარსსა და ძალასთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის გზა.

გარკვეულწილად ხელშეკრულებებმა ჩვეულებითი სამართლის შენაცვლება დაიწყეს. იქ, სადაც არსებობს შეთანხმება ჩვეულებითი სამართლის წესებთან დაკავშირებით, ისინი კოდიფიცირებულია ხელშეკრულებათა სახით. სადაც შეუთანხმებლობა ან გაურკვევლობაა, სახელმწიფოები ცდილობენ დავის გადაწყვეტას *ad hoc* (კონკრეტული შემთხვევისათვის მიღებული) კომპრომისების საფუძველზე, რომელიც ასევე ხელშეკრულების სახეს იღებს. მაგალითად, კაპიტალის ექსპორტიორმა სახელმწიფოებმა სათანადო იურიდიული ჩარჩოს შექმნის მიზნით დაახლოებით 1 000 ხელშეკრულება დადეს, რომლებიც იცავს და ხელს უწყობს უცხოურ ინვესტიციებს.¹⁹

სამართალშემოქმედებითი ხელშეკრულებები და „საკონტრაქტო ხელშეკრულებები“

ხელშეკრულებები საერთაშორისო სამართლის ყველა სფეროს სამსახურში მყოფი ინსტრუმენტია. ისინი ხშირად შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებული გარიგებების მსგავსია, მაგრამ შეუძლიათ ის ფუნქციებიც შეასრულონ, რომლებსაც ეროვნულ სისტემებში წესდებები, მინდობილობები, ასოციაციებისა და კომპანიების მემორანდუმები ასრულებენ. ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში პარლამენტის საკანონმდებლო აქტები სამართლის წყაროდ განიხილება, მაგრამ კონტრაქტებს არ ენიჭება ასეთი ღირებულება. კონტრაქტები მხოლოდ იურიდიული გარიგებებია (ისინი აღიარებენ უფლებებს და აწესებენ მოვალეობებს მხოლოდ საკონტრაქტო მხარეებისათვის, რომელთა რიცხვიც მცირეა, „სამართლის წყარო“ კი ისეთ სამართლის წყაროს ნიშნავს, რომელიც ადამიანთა დიდი რიცხვის მიმართ გამოიყენება). ზოგიერთი ავტორის

აზრით, ხელშეკრულებები საერთაშორისო სამართლის წყაროდ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ, თუ ისინი შინაარსობრივად ეროვნული კანონების მსგავსია, ე.ი. თუ ერთგვარ ვალდებულებებს აკისრებენ ხელშეკრულების ყველა მხარეს და ისწრაფვიან, მხარეთა ქცევა დროის დიდი პერიოდისათვის მოანესრიგონ. ასეთ ხელშეკრულებებს „სამართალშემოქმედებით ხელშეკრულებებს“ უწოდებენ. მათი მიზანია, ხელშეკრულება არსებითი უნივერსალური სამართლებრივი პრინციპების (მაგალითად, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, გენოციდის კონვენცია²⁰) საფუძველზე დაიდოს. ამ თეორიის თანახმად, კონტრაქტი-ხელშეკრულებები, ე.ი. ხელშეკრულებები, რომლებიც ჰგავს კონტრაქტებს (მაგალითად, ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ერთი სახელმწიფო მეორეს გარკვეულ თანხას ასესხებს), არ არის სამართლის წყარო, არამედ, უბრალოდ, იურიდიული გარიგებებია.

მაგრამ ეროვნულ კანონებსა და სამართალშემოქმედებით ხელშეკრულებებს შორის ანალოგიამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს ორი მიზეზის გამო. პირველი, სამართლის ეროვნულ სისტემებში კონტრაქტის დადება შეუძლია საკონტრაქტო კომპეტენციის მქონე (ე.ი. ფსიქიკურად ჯანმრთელსა და სრულწლოვან) ნებისმიერ პირს, ხოლო საპარლამენტო კანონშემოქმედებაში ადამიანთა მცირე ჯგუფი მონაწილეობს. საერთაშორისო სამართალში კი ყველა სახელმწიფოს შეუძლია დადოს ხელშეკრულება, მათ შორის, სამართალშემოქმედებითი ხელშეკრულებაც. მეორე, ეროვნული სამართლის სისტემებში გარიგება ქმნის უფლებებსა და მოვალეობებს მხოლოდ მასში მონაწილე მცირერიცხოვან მხარეთათვის, მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონები ადამიანთა დიდ რიცხვს ეხება. საერთაშორისო სამართალში ნებისმიერი ხელშეკრულება, სამართალშემოქმედებით ხელშეკრულებათა ჩათვლით, ძალაშია მხოლოდ იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ. ჩვეულებრივ, კანონშემოქმედებით ხელშეკრულებათა მხარეები უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე „კონტრაქტი-ხელშეკრულებებისა“, მაგრამ არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც ეს ყოველთვის ასე უნდა იყოს.

ერთადერთი განსხვავება „სამართალშემოქმედებით ხელშეკრულებასა“ და „საკონტრაქტო ხელშეკრულებას“ შორის შინაარსია. საბოლოო ჯამში ბევრ ხელშეკრულებას შეიძლება შერეული ხასიათი ჰქონდეს და მათი კლასიფიკაცია რთული იყოს. ერთი და იგივე ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს „კონტრაქტისმაგვარი“ და „სამართალშემოქმედებითი“ ხასიათის პირობებს. „სამართალშემოქმედებითი ხელშეკრულებისა“ და „საკონტრაქტო ხელშეკრულების“ განსხვავება ერთმანეთისგან მთლად უსარგებლო არ არის. მაგალითად, ომის დაწყების შემთხვევაში „საკონტრაქტო ხელშეკრულების“ განყვეტა უფრო სავარაუდოა, ვიდრე სამართალშემოქმედებითი ხელშეკრულებისა.²¹ მაგრამ მხოლოდ სამართალშემოქმედებითი ხელშეკრულებების მიჩნევა საერთაშორისო სამართლის წყაროდ გაურკვევლობასა და უზუსტობას შექმნიდა. ყოველ შემთხვევაში, ხელშეკრულებითი სამართალი ორივე ტიპის ხელშეკრულებებისთვის გამოიყენება.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა მხარეები და „ინტერნაციონალიზებული კონტრაქტები“

საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ხელშეკრულებების დადება შეუძლიათ მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს – სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ტრადიციულად აღიარებულ ერთეულებს.²² საერთაშორისო საქმიანი კონტრაქტი A სახელმწიფოს კომპანიასა და B სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოს შორის ერთი ან მეორე სახელმწიფოს ეროვნულ იურიდიულ სისტემას ექვემდებარება და არ არის საერთაშორისო სამართლის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება. ასევე,

²⁰ იხ. V. de Visscher. *Problemes d'interpretation judiciaire en droit international public*, 1963, 128 et seq.

²¹ იხ. თ. 9; Bernhardt (1984). *op. cit.*, 461; E. Raftopoulos, *The Inadequacy of the Contractual Analogy in the Law of Treaties*, 1990.

²² იხ. თ. 5 და თ. 6.

²³ R. Jennings, *State Contracts in International Law*, *BYIL* 32 (1961), 156 *et seq.*; K.-H. Bockstiegel, *Der Staats Vertragspartner ausländischer Privatunternehmen*, 1971; D.W. Bowett, *State Contracts with Aliens: Contemporary Developments on Compensation for Termination or Breach*, *BYIL* 59 (1988), 49 *et seq.*; E. Paasivirta, *Internationalization and Stabilization of Contracts versus State Sovereignty*, *BYIL* 60 (1989), 315 *et seq.*; M. Somarajah, *International Commercial Arbitration: The Protection of State Contracts*, 1990; G.v. Hecke, *Contracts Between States and Foreign Private Law Persons*, *EPIL* 1 (1992), 814-19; v. Hecke, *Contracts Between International Organizations and Private Law Persons*, *ibid.*, 812-14; A.F.M. Maniruzzaman, *State Contracts with Aliens. The Question of Unilateral Change by the State in Contemporary International Law*, *JArb.* 9(1992), 141-71; G.R. Delaume, *Transnational Contracts - Applicable Law and Settlement of Disputes*, 1992.

²⁴ P. Fisher, *Concessions*, *EPIL* 1 (1992), 715-21; A.Z.E. Chiali, *Protection of Investment in the Context of Petroleum Agreements*, *RdC204* (1987-IV), 13-169.

²⁵ ყველაზე მნიშვნელოვანი საარბიტრაჟო საქმეები ჩამოთვლილია v. Hecke, *op. cit.* ²⁶ იხ. თ. 9.

²⁷ M. Akehurst, *Custom as a Source of International Law*, *BYIL* 47 (1974-5), 1 *et seq.*; G.M. Danilenko, *The Theory of International Customary Law*, *GYIL* 31 (1988), 9 *et seq.*; M.H. Mendelson, *The Formation of Rules of Customary (General) International Law*, *ILA Rep.* 1988, 935-59; J.A. Barberis, *Reflexions sur la coutume Internationale*, *AFDIQ* (1990), 9-46; J. Kirchner, *Thoughts about a Methodology of Customary International Law*, *AJIL* 43 (1992), 215-39; Bernhardt (1992), *op. cit.*, 898-905; K. Wolfke, *Some Persistent Controversies regarding Customary International Law*, *NYIL* 24 (1993), 1-16; Wolfke, *Custom in Present International Law*, 2nd edn 1993; O. Elias, *The Nature of the Subjective Element in Customary International Law*, *ICLQ* 44 (1995), 501-20; J. M. Lobo de Souza, *The Role of State Consent in the Customary Process*, *ibid.*, 521-39; Meron, *The Continuing*

კერძო იურიდიული კონტრაქტები სახელმწიფოთა შორის, მაგ. საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული კონტრაქტები, ჩვეულებრივ ერთ-ერთი მხარის ეროვნული სამართლის საფუძველზე იდება.

საინტერესო პრობლემები წამოიჭრება სახელმწიფოებსა და უცხო კომპანიებს შორის დადებულ შეთანხმებებთან დაკავშირებით²³, განსაკუთრებით ნავთობის კონცესიათა სფეროში²⁴, როდესაც უცხო კომპანიას ეძლევა ნავთობის ძიებისა და ექსპლუატაციის უფლება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ჩვეულებრივ, ასეთი შეთანხმების მხარეები გარკვეული ეროვნული სამართლებრივი სისტემის საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას. მაგრამ ხანდახან, ძლიერი მრავალეროვნული კომპანიების შემთხვევაში, ასეთი კონტრაქტები იდება არა ეროვნული სამართლის ფარგლებში, არამედ საერთაშორისო სამართლის, სამართლის ზოგადი პრინციპების ან თვით კონტრაქტის პირობების საფუძველზე. ასეთი ე.წ. ინტერნაციონალიზებული კონტრაქტების დადების მიზეზია მისწრაფება – დამყარდეს მხარეებს შორის ნონასწორობა და მოხდეს თავის დაზღვევა სახელმწიფო მხარის მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების საკუთარი ეროვნული სამართლის ცვლილებების გზით დარღვევისაგან. ეს, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფილია არბიტრაჟის შესახებ მუხლით, რომლის ძალითაც დავა საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით უნდა გადაწყდეს.²⁵ არსებობს ამ საერთაშორისო კონტრაქტების იურიდიული კლასიფიკაციის ცდები, მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ პრობლემამ პრაქტიკული ღირებულება დაკარგა, რადგან ამჟამად მხარეები ჩვეულებრივ აცხადებენ, რომ ხელშეკრულება კონკრეტული ეროვნული სამართლის ფარგლებში იდება. ხელშეკრულებათა სამართალს ქვემოთ, მე-9 თავში განვიხილავთ.²⁶

ჩვეულება

საერთაშორისო სასამართლოს სტატუსტში წარმოდგენილი საერთაშორისო სამართლის მეორე წყაროა „საერთაშორისო ჩვეულება, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის მოწმობა“.²⁷ ნიკარაგუის საქმეში (Nicaragua case) საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა, რომ ჩვეულება ორი ელემენტისაგან შედგება²⁸. ესენია: ობიექტური – „საყოველთაო პრაქტიკა“ და სუბიექტური – „მიღებულია, როგორც სამართლებრივი ნორმა“, ე.წ. *opinio iuris*. კონტინენტური შელფის საქმეში (Continental Shelf (Libia v. Malta) case) სასამართლომ დაადგინა, რომ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი „პირველ ყოვლისა, სახელმწიფოთა შორის არსებულ პრაქტიკასა და *opinio iuris*-ში“ უნდა ვეძებოთ.²⁹ ამ განსაზღვრებამ რამდენიმე რთული თეორიული საკითხი წარმოშვა, როგორიცაა: როგორ შეიძლება სამართლის ნორმის შექმნა პრაქტიკის მეშვეობით? როგორ შეიძლება რაიმეს სამართლის ნორმად მიჩნევა, სანამ ის ფაქტობრივ არ განვითარდა ასეთ ნორმად?³⁰ და მაინც, ეს არის დადგენილი დოქტრინა, რომელსაც თანაბრად აღიარებენ სახელმწიფოები, საერთაშორისო ტრიბუნალები და ავტორთა უმრავლესობა.

რამდენიმე ჩვეულებითი სამართლის არსებობას

ჩვეულებითი სამართლის არსებობას სახელმწიფოთა არსებული პრაქტიკა მოწმობს, ხოლო სახელმწიფოს პრაქტიკის შესახებ ზოგადი წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ ნაბეჭდი მასალების საფუძველზე: სახელმწიფოთა ქმედებების შესახებ საგაზეთო რეპორტაჟებიდან, მთავრობის წარმომადგენლების მიერ პარლამენტში, პრესაში, საერთაშორისო კონფერენციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეხვედრებზე წარმოთქმული განცხადე-

ბებიდან, აგრეთვე, სახელმწიფო კანონებიდან და სასამართლო გადაწყვეტილებებიდან, რადგან კანონმდებლობა და სასამართლო, ისევე როგორც აღმასრულებელი ძალაუფლება, სახელმწიფოს ნაწილია. დროდადრო სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიძლება თავისი არქივის ნაწილები გამოაქვეყნოს; მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ომს იწყებს ან განსაკუთრებით მძაფრ დავაშია ჩათრეული, მან შეიძლება გამოაქვეყნოს დოკუმენტები მსოფლიოს წინაშე თავის გასამართლებლად. მაგრამ მაინც, იმ მასალების უდიდეს ნაწილს, რომლებიც შუქს მოჰყვენდა სახელმწიფოს პრაქტიკას საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, წარმოადგენს სხვა სახელმწიფოებთან კორესპონდენცია, რჩევები, რომლებსაც ყოველი სახელმწიფო იღებს თავის იურიდიულ მრჩეველთაგან. ასეთი მასალა, ჩვეულებრივ, არ ქვეყნდება; უფრო ზუსტად, უკანასკნელ ხანს ცდილობენ, გამოაქვეყნონ სხვადასხვა სახელმწიფოთა პრაქტიკის ამსახველი დაიჯესტები (მოკლე რეფერატები).³¹ ეს მასალები სამართლისათვის საიმედო მონაშობაა.³² მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთ საკმაოდ ძვირად ღირებულ ღონისძიებას არ ახორციელებენ განვითარებადი ქვეყნები და ამიტომ ემპირიული ბაზა ანალიტიკური განზოგადებებისათვის ფაქტობრივად გარკვეული ქვეყნების პრაქტიკით იფარგლება. მნიშვნელოვანი მასალა შეიძლება იქნეს მოპოვებული აგრეთვე გაეროს მიერ შექმნილი დოკუმენტური წყაროებიდან.³³

ჩვეულებითი სამართლის მონაშობა ხანდახან შესაძლებელია მოვიპოვოთ საერთაშორისო სამართლის სფეროში მომუშავე იურისტების ნაწერებიდან და ეროვნული და საერთაშორისო ტრიბუნალების განაჩენებიდან, — ისინი საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38 (1) (დ) მუხლის მიხედვით კანონის ნორმის დადგენის დამატებით საშუალებადაა აღიარებული.³⁴

ჩვეულებითი სამართალზე შეიძლება მონაშობდეს ხელშეკრულებებიც³⁵, მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ჩვეულებითი სამართლის წესებს ვადგენთ ხელშეკრულებების, განსაკუთრებით კი ორმხრივი ხელშეკრულებების, საფუძველზე. ასე მაგალითად, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებები, ჩვეულებრივ, გარკვეულ პირობებს შეიცავენ; ასე მაგალითად, ხელშეკრულებები ექსტრადიციის (დამნაშავეთა გადაცემის) შესახებ ყოველთვის მოითხოვენ, რომ არ მოხდეს პოლიტიკური დამნაშავეების ექსტრადიცია (გადაცემა).³⁶ ხანდახან ამბობენ, რომ ამ ტიპის სტანდარტული წინაპირობა ისეთი ჩვეულებრივი გახდა, რომ ჩვეულებითი სამართლის წესად შეიძლება განვიხილოთ და იგი იმ შემთხვევაშიც იგულისხმება, როდესაც ხელშეკრულება ამ დებულების თაობაზე არაფერს ამბობს. მეორე მხრივ, რატომ შეაქვთ სახელმწიფოებს ეს სტანდარტული პირობა თავიანთ ხელშეკრულებებში, თუ ეს წესი უკვე არსებობს, როგორც ჩვეულებითი სამართლის წესი? პრობლემა რთულია და საჭიროა მეტი ცოდნა ხელშეკრულების მხარეთა მიზანდასახულობის შესახებ, სანამ სტანდარტულ სახელშეკრულებო პირობას ჩვეულებითი სამართლის საფუძველად მივიჩნევთ. და მაინც, იდენტური ორმხრივი შეთანხმებების არსებობა არ გამოდგება ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი ნორმის არსებობის მონაშობად. საჭიროა ორმხრივ ხელშეკრულებათა ფართო ქსელის ჩამოყალიბება, ვიდრე იგი ჩვეულებით სამართლად აღიარებულ სახელმწიფო პრაქტიკად ჩაითვლება.³⁷

მრავალმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევაში სხვაგვარი ვითარებაა და ისინი შეიძლება გარკვევით მონაშობდნენ ჩვეულებითი სამართლის არსებობას. თუ ასეთი ხელშეკრულება აცხადებს, რომ ის ჩვეულებითი სამართლის დეკლარირებაა ან მიზნად ისახავს ჩვეულებითი სამართლის კოდიფიცირებას, იგი შეიძლება ჩვეულებითი სამართლის საფუძველად ჩაითვალოს ისეთი სახელმწიფოს წინააღმდეგაც, რომელიც არ არის ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარე. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულებას არა აქვს მიღებული ძალაში შესასვლელად საჭირო რატიფიკაციების საკმაო რაოდენობა.³⁸ შეიძ-

Role of Custom in the Formation of International Humanitarian Law. *AJIL* 90 (1996), 238-49.
³¹ *Nicaragua v. USA* (Merits), *IC J Hep.* 1986, 14, at 97. იხ. თ. 18 და თ. 19.
³² *ICJ Rep.* 1985, 29. იხ. აგრეთვე, *Advisory Opinion on the Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, *ILM* 35 (1996), 809, at 826, para. 64. ამსაქმის შესახებ იხ. თ. 20.
³³ იხ. *Restatement (Third)*, Vol. 1. Reporters' Note to para. 102, at 30.
³⁴ C. Parry/G. Fitzmaurice (eds), *British Digest of International Law, British and Foreign State Papers* (1812-1970); Moore (ed.), *Digest of International Law* (1906); Hackworth (ed.), *Digest of International Law* (1940-1944); M.M. Whiteman (ed.), *Digest of International Law* (1963-1973); State Department (ed.), *Annual Digests of United States Practice in International Law* (since 1973); M. Nash (Leich) (ed.), *Cumulative Digest of United States Practice in International Law 1981-1988*, Book II, 1994; *Foreign Relations of the United States, Diplomatic Papers, and Papers Relating to the Foreign Relations of the United States* (since 1861), and the *Restatement (Third)*. On the practice of France *nb. A. Kiss, Repertoire de la pratique française en matière de droit international public* (1962-1972); *AFDI, AJIL, AYIL, AJPI, ASDI, BYIL, CYIL, IYIL, NYIL, RBDI and ZaoRV*.
³⁵ იხ. H. Mosler, *Repetorien der nationalen Praxis in Volkerrechtsfragen - Eine Quelle zur Erschließung des allgemeinen Volkerrechts?*, *Recueil d'études de droit international en harn mage a P. Guggenheim*, 1968, 460-89.
³⁶ მაგალითად, *UN Juridical Yearbook: UN Legislative Series; List of Treaty Collections; Cumulative Index of the Treaty Series; Repertoire of the Practice of the Security Council* (1946-1951, with supplements until 1971); *Repertory of Practice of United Nations Organs; Report of International Arbitral Awards (RIAA)*.
³⁷ იხ. ქვემოთ და *The Paquete Habana* (1900), 175 US 677.
³⁸ M.E. Villiger, *Customary International Law and Treaties*, 1985.
³⁹ იხ. თ. 7.
³⁷ *Restatement (Third)*, Vol. 1, para. 102, 27; B. Kishoiyiu, *The Utility of Bilateral Investment Treaties in the For-*

mulation of Customary International Law, *NJILB* 14 (1994), 327-75.

³⁸ხელშეკრულებების რატიფიცირებისა და ძალაშია შესვლის შესახებ იხ. თ. 9.

³⁹ *Brownlie BDIL*, 388. იხ. თ. 9.

⁴⁰ იხ. თ. 18 და თ. 19.

⁴¹ იხ. D.W. Bowett, *Treaty Revision in the Light of the Evolution of Customary International Law*, *AJICLS* (1993), 84-96.

⁴² იხ. თ. 2.

⁴³ Nussbaum, *A Concise History of the Law of Nations*, 1962, 192. იხ. აგრეთვე, თ. 20.

⁴⁴ იხ. ქვემოთ.

⁴⁵ იხ. M. Kazazi, *Burden of Proof and Related Issues. A Study on Evidence Before International Tribunals, Studies and Materials on the Settlement of International Disputes* (P. Malanczuk ed.), Vol. 1, 1996.

⁴⁶ იხ. Bernhardt (1992), *op. cit.*, 900-1.

ლება ვიკითხოთ, რატომ არ უნდა სურდეთ სახელმწიფოებს ხელშეკრულების რატიფიცირება, თუ იგი უბრალოდ ხელახლა აცალიბებს ჩვეულებით სამართალს? ეს შეიძლება ავხსნათ ინერციით და საპარლამენტო დროის უქონლობით (თუ რატიფიკაცია მოითხოვს საკანონმდებლო ორგანოს მონაწილეობას, როგორც ეს ბევრ ქვეყანაშია). ამას გარდა, შესაძლებელია, რომ ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილი ახდენდეს ჩვეულებითი სამართლის კოდიფიცირებას და სახელმწიფომ უარი თქვას რატიფიკაციაზე, თუ იგი მის სხვა ნაწილებს არ ეთანხმება.

ამის კარგი მაგალითია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის ბევრი (თუმცა არა ყველა) დებულება³⁹. სახელმწიფოებისათვის ხელშეკრულება სავალდებულო არ არის, მაგრამ მათთვის სავალდებულოა ჩვეულებითი სამართალი. ამიტომ, თუ სახელმწიფო დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულება ჩვეულებითი სამართლის არასწორ ინტერპრეტაციას შეიცავს, მას შეუძლია გვერდი აუაროს ამ ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულ წესს. მაგრამ ეს შესაძლებლობა არა აქვს ამ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოებს, რადგანაც მათთვის ხელშეკრულების დებულებები სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, ხელშეკრულება სწორად ახდენს ჩვეულებითი სამართლის კოდიფიცირებას, თუ არა. მაგრამ ხელშეკრულებითი სამართალი და ჩვეულებითი სამართალი შესაძლებელია გვერდიგვერდ არსებობდნენ. *ნიკარაგუის საქმეში* საერთაშორისო სასამართლომ ჩათვალა, რომ, ხელშეკრულებითი სამართალი (ამ შემთხვევაში ეს იყო გაეროს წესდება) მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა საქმისთვის მნიშვნელოვან ხელშეკრულებაზე, მაგრამ მაინც მოახერხა გადაწყვეტილების მიღება ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, რომლის შინაარსიც წესდების შინაარსს ემთხვეოდა (ძალის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით).⁴⁰

ამას გარდა, ჩვეულებითი სამართალი შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ ადრე დადებულ ხელშეკრულებებს ეთანხმებოდეს.⁴¹ მაგალითად, საზღვაო სამართლის დეკლარაციამ, რომელიც პარიზის 1856 წლის ხელშეკრულების⁴² მონაწილე სახელმწიფოთა მიერ იყო მიღებული, შეცვალა საზღვაო ომის წარმოების გარკვეული წესები. მან აკრძალა ნეიტრალურ გემებზე მყოფი მონაწილედგის ქონების პრივატიზაცია, თუ ის კონტრაბანდას არ წარმოადგენს, და აგრეთვე მონაწილედგის გემზე მყოფი ნეიტრალური ქვეყნის ქონების პრივატიზაციაც. ის, აგრეთვე, მოითხოვდა, რომ ბლოკადები ეფექტური და სათანადო ძალით გამაგრებული ყოფილიყო, რათა არ დაეშვა მტრის ნაპირზე გადმოსვლა.⁴³ როგორც ხელშეკრულება, იგი მხოლოდ მონაწილე მხარეებზე – ავსტრიაზე, საფრანგეთზე, პრუსიაზე, სარდინიაზე, თურქეთსა და დიდ ბრიტანეთზე – ვრცელდებოდა. შემდეგ ამ დეკლარაციაში შემავალი წესები ბევრმა სახელმწიფომ აღიარა, როგორც ჩვეულებითი სამართლის წესები.

მსგავსი პრობლემები წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციათა რეზოლუციებთან, განსაკუთრებით გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.⁴⁴

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კამათი იმის შესახებ, თუ რა ქმნის ჩვეულებითი სამართლის მართებულ მტკიცებას, უნდა გავმიჯნოთ ისეთი პროცედურული საკითხებისაგან, როგორიცაა მტკიცების ტვირთი ან მტკიცების ზოგადი წესები საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე.⁴⁵ ცხადია, რომ სახელმწიფო, რომელსაც სურს, დაეყრდნოს ჩვეულებითი სამართლის გარკვეულ წესს, ვალდებულია, დაასაბუთოს შესაბამისი ღირებული სახელმწიფო პრაქტიკის არსებობა⁴⁶. მაგრამ საერთაშორისო მოსამართლე ან არბიტრი არ დაეყრდნობა პროცედურულ წესებს იმის გადასაწყვეტად, არსებობს გარკვეული ნორმა თუ არა, არამედ უფრო მოსალოდნელია, რომ ამ ნორმის ღირებულებაზე იმსჯელოს.

განმეორებითობის საკითხი

გაჩნდა აზრი, რომ ერთი პრეცედენტი არ არის საკმარისი ჩვეულებითი ნორმის დასადგენად და უნდა არსებობდეს გარკვეული განმეორებითობა დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე; ასე, თავშესაფრის საქმესთან (Asylum case) დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლომ წამოაყენა წინადადება, რომ ჩვეულებითი ნორმა უნდა დაეყრდნოს „მყარ და ერთგვაროვან ქცევას“. ⁴⁷ მაგრამ ამ განცხადებას თავშესაფრის საქმის ფაქტების ფონზე უნდა შევხედოთ, რომელთან დაკავშირებითაც სასამართლომ განაცხადა: „ფაქტები მონაშთს ისეთ გაურკვევლობასა და წინააღმდეგობას, იმდენ ყოყმანს, არათანმიმდევრულობას, განსხვავებებს დიპლომატიური თავშესაფრის მიცემის პრაქტიკასა და სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით გამოთქმულ ოფიციალურ თვალსაზრისებში..., რომ შეუძლებელია გავარკვიოთ... ნორმის სახით აღიარებული მყარი და ერთგვაროვანი ქცევა“ ⁴⁸ (ეს საქმე ეხება ვიქტორ რაულ შაია დე ლა ტორეს, პერუს 1948 წლის მარცხით დამთავრებული აჯანყების ლიდერს, რომელმაც მიიღო თავაშესაფარი ლიმაში, კოლუმბიის საელჩოში. პერუმ და კოლუმბიამ მიმართეს საერთაშორისო სასამართლოს კითხვით, ჰქონდა თუ არა კოლუმბიას უფლება, მიეცა მისთვის თავშესაფარი, თუ მას იგი პერუს ხელისუფლებისათვის უნდა გადაეცა, ან მიეცა უსაფრთხო გასვლის საშუალება). სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავშესაფრის საქმეში ჩვეულებითი წესის ჩამოყალიბებას განმეორებითობის არარსებობამ კი არ შეუშალა ხელი, არამედ პრაქტიკაში არათანმიმდევრულობის არსებობამ.

ნიკარაგუის საქმეში საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა:

„არ უნდა ველოდეთ, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკა, ამ წესების გამოყენების თვალსაზრისით, სრულყოფილი იყოს, რადგან მაშინ სახელმწიფოებმა, სრული თანმიმდევრულობით, თავი უნდა შეიკავონ ძალის გამოყენების ან ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან. სასამართლო არ თვლის, რომ ამ წესის ჩვეულებად მიჩნევისთვის აუცილებელია, რომ შესაბამისი პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს წესთან. ჩვეულებითი ნორმების არსებობის გამოსაყვანად სასამართლოს საკმარისად მიაჩნია, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკა ზოგადად თანხმობაში იყოს ნორმებთან და შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოთა ქცევა არ ეთანხმება მოცემულ ნორმას, ნორმის დარღვევად უნდა მივიჩნიოთ და არა ახალი ნორმის მიღების ნიშნად.“ ⁴⁹

თუ შევაჯამებთ, პრაქტიკის მნიშვნელოვანი არათანმიმდევრულობა (როდესაც არსებული პრაქტიკის დიდი წილი მიღებულ „წესს“ ეწინააღმდეგება) ხელს უშლის ჩვეულებითი ნორმის შექმნას. როგორც საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა თევზსარეწების საქმეში (Fisheries case), უმნიშვნელო არათანმიმდევრულობა (ე.ი. პრაქტიკის მცირე ნაწილი ეწინააღმდეგება მოცემულ წესს), არ უშლის ხელს ჩვეულებითი წესის ჩამოყალიბებას. ⁵⁰ თუმცა ასეთ შემთხვევაში ალბათ საჭირო იქნება პრობლემური ნორმის გამაგრება პრაქტიკის ძალიან დიდი მასშტაბით, რათა საპირისპირო პრაქტიკა გადაწონოს ⁵¹ (თევზსარეწების საქმე ეხებოდა ბრიტანეთის სარჩელს ნორვეგიის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე ნორვეგიის წყლების არქტიკული ნრის ჩრდილოეთით მდებარე მთელ სანაპირო ზოლზე ექსკლუზიური თევზჭერის უფლება დაანესა. სასამართლომ მხარი დაუჭირა მეთოდს და ფაქტობრივი საბაზო ხაზის ფიქსირებას). მეორე მხრივ, იქ, სადაც არ არის ჩვეულებითი სამართლის სავარაუდო წესის საწინააღმდეგო პრაქტიკა, როგორც ჩანს, პრაქტიკის მცირე რაოდენობა საკმარისია ჩვეულებითი წესის შექმნისათვის, თუნდაც პრაქტიკა სახელმწიფოთა მცირე რიცხვს მოიცავდეს და მოკლე დროის განმავლობაში ხორციელდებოდეს.

ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რისგან შედგება „საყოველთაო პრაქტიკა“. ეს დიდად არის დამოკიდებული საქმესთან დაკავშირებულ ვითარებასა და

⁴⁷ *Asylum Case*, ICJ Rep. 1950, 266-389, at 277; J.A. Barberis, *Asylum*, Diplomatic, *EPIL* (1995), 281-3, at 282; A. Grahl-Madsen, *Asylum, Territorial*, *ibid.*, 283-7; K. Hailbronner, *Hafade la Torres Cases*, *ibid.*, 683-5

⁴⁸ *Ibid.*

⁴⁹ *Nicaragua v. US (Merits)*, ICJ Rep. 1986, at 98, para. 186. *ib.* H.C.M. Charlesworth, *Customary International Law and the Nicaragua Case*, *AJIL* 11 (1984/7), 1-31; H. G. Anthony, *Appraisals of the ICJ's Decision: Nicaragua v. United States (Merits)*, *AJIL* 81 (1987), 77-183; A. D'Amato, *Trashing Customary International Law*, *ibid.*, 101-5; F.L. Kirgis, Jr., *Custom on A Sliding Scale*, *ibid.*, 146-51; J.I. Charney, *Customary International Law in the Nicaragua Case. Judgment on the Merits*, *Hague YIL* 1 (1988), 16-29; W. Czaplinski, *Sources of International Law in the Nicaragua Case*, *ICLQ* 38 (1989), 151-66; P.P. Rijpkem, *Customary International Law in the Nicaragua Case*, *NYIL* 20 (1989), 91-116; J. Crawford, *Military Activities Against Nicaragua Case (Nicaragua v. United States)*, *EPIL* III (forthcoming). On the relevance of the case for the use of force *ib.* აგრეთვე, თ. 19 დათ. 18

⁵⁰ *UK v. Norway*, ICJ Rep. 1951, 116, at 138; *ib.* L. Gundling, *Fisheries Case (U.K. v. Norway)*, *EPIL* III (1995), 381-3 დათ. 12.

⁵¹ *ib.* Akehurst (1974-5), *Custom, op. cit.*, 12-21.

⁵² The Restatement (Third), Vol. 1, para. 102.25.

⁵³ იბ. თ. 12.

⁵⁴ იბ. თ. 13.

⁵⁵ ILM 35 (1996), 830, para. 96. ამსაქმის შესახებ იბ. თ. 20.

⁵⁶ The Declaration attached to the Opinion by Judge Shi Jiuyong, *ibid.*, 832. იბ. აგრეთვე, the Separate Opinion of Judge Fleischhauer, *ibid.*, 834, at 835-6.

⁵⁷ Dissenting Opinion of Vice-President Schwebel, *ibid.*, 836-7.

⁵⁸ იბ. ქვემოთ.

⁵⁹ იბ. თ. 13 და თ. 10.

ნორმაზე. „საყოველთაო“ პრაქტიკა შეფარდებითი ცნებაა და აბსტრაქტულად ვერ განისაზღვრება. ის ყველა იმ სახელმწიფოს ქცევას უნდა მოიცავდეს, რომელიც ნორმის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს ან რომელთა ინტერესებსაც ეს ნორმა ეხება. პრაქტიკა შეიძლება საყოველთაო იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი უნივერსალურად არის მიღებული. არ არსებობს ზუსტი ფორმულა იმის დასადგენად, რამდენად გავრცელებული უნდა იყოს პრაქტიკა, მაგრამ იგი უნდა ასახავდეს იმას, რომ ეს ნორმა ფართოდ არის აღიარებული იმ სახელმწიფოთა მიერ, რომელნიც ჩართულნი არიან შესაბამის საქმიანობაში.⁵² ამიტომ საზღვაო სამართლის⁵³ მიღებისას დიდი საზღვაო სახელმწიფოებისა და ზღვისპირა სახელმწიფოების პრაქტიკას⁵⁴ მეტი მნიშვნელობა მიენიჭება, ვიდრე ხმელეთით გარშემორტყმული ქვეყნების პრაქტიკას, ხოლო კოსმოსურ სივრცეში საქმიანობის სამართალში ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრაქტიკას მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე ბურუნდისა და ჩილეს პრაქტიკას. ეს ჩანს აგრეთვე ბირთვული იარაღის კანონიერების საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლო კომისიის დასკვნაშიც, სადაც სასამართლო იმის შესახებ მსჯელობს, არსებობს თუ არა ჩვეულებითი წესი, რომელიც კრძალავს ბირთვული იარაღის გამოყენებას, და, *inter alia*, ასკვნის, რომ მას არ შეუძლია, არ გაითვალისწინოს პრაქტიკა, რომელსაც „შეკავების პოლიტიკას“ უწოდებენ და რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემხრობა უკვე მრავალი წლის განმავლობაში.“⁵⁵ აშკარაა, რომ ეს ეხება ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოთა პრაქტიკას და არა საერთაშორისო თანამეგობრობის პრაქტიკას მთლიანად.⁵⁶ მაგრამ მოსამართლე შვებელი ამბობს:

„ბირთვული პრაქტიკა არ არის ცალკე მდგომი მეორეხარისხოვანი ჯიუტი მონაწილედგვის პრაქტიკა, ეს არ არის პრაქტიკა განკიცხული მთავრობისა, რომელიც განსხვავებული საერთაშორისო აზრის უდაბნოში ლაღადებს. ეს არის მსოფლიოს ხუთი ყველაზე დიდი სახელმწიფოს პრაქტიკა, რომლებიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, რომელთაც 50 წლის მანძილზე ჰქონდათ მოკავშირეთა და სხვა სახელმწიფოთა მხარდაჭერა, რომლებიც მათ ბირთვული იარაღის თავიანთ ტერიტორიაზე განლაგების უფლებას აძლევდნენ. ამრიგად, ეს არის სახელმწიფოთა პრაქტიკა, რომელსაც მხარს უჭერს სხვა წონიან სახელმწიფოთა დიდი რიცხვი – ერთად ეს სახელმწიფოები მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მოიცავენ. ეს პრაქტიკა შეთანხმებული და გარკვეულწილად აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ. აღიარების სისტემა არ არის მკაფიო და ნათელი, მაგრამ არც უაზროა.“⁵⁷

ცხადია, საყოველთაო პრაქტიკა არ გულისხმობს ყველა სახელმწიფოსა და ყველა სხვა საერთაშორისო სუბიექტის პრაქტიკის ერთგვაროვნებას. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო შეიძლება ექვემდებარებოდეს სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკას საკუთარი სურვილების საწინააღმდეგოდაც კი, თუ პროტესტს არ აცხადებს გარკვეული ნორმის წარმოქმნის წინააღმდეგ და ასეთ ქცევას აგრძელებს.⁵⁸ ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის; ამასთან სამართალი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებს ეუნყოთ ახალი პრაქტიკის შესახებ და დროულად იყვნენ ინფორმირებულნი ნორმის გამოცემისას. ასე მაგალითად, კოსმოსური სივრცის ამთვისებელ სახელმწიფოთა პრაქტიკა, გაუშვან კოსმოსში კოსმოსური ობიექტები სხვა სახელმწიფოთა სივრცის გადაკვეთით, 1957 წლიდან არსებობს და ამ სახელმწიფოთა მდუმარე თანხმობის შედეგად ეს წესი ჩვეულებად იქცა.⁵⁹ დაზარალებულ სახელმწიფოებს ხშირად აკლდათ ტექნოლოგიური შესაძლებლობები შესაბამისი ობიექტების აღმოსაჩენად.

რას აგვოვან და რას აკეთებან სახელმწიფოები

ხანდახან ფიქრობენ, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკას მხოლოდ მათი საქმიანობა შეადგენს და არა მათ მიერ გამოთქმული აზრი. მაგალითად, *თევზსარეწების საქმესთან* დაკავშირებით მოსამართლე რიდმა განაცხადა, რომ სახელმწიფოთა მიერ საზღვაო სივრცესთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზია ვერ შექმნის ჩვეულებით ნორმას, თუ იგი არ ხორციელდება იძულებით უცხო ქვეყნის გემების მიმართ⁶⁰. მაგრამ მოგვიანებით საზღვაო სარეწების საქმეებში თოთხმეტი მოსამართლიდან ათმა დაასკვნა ჩვეულებითი ნორმის არსებობა ასეთი პრეტენზიებისათვის, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ისინი იძულებით გატარებული⁶¹ (ეს ორი პარალელური საქმე ეხებოდა ისლანდიის დადგენილების მართლზომიერებას, რომელიც ეხება ორმოცდაათმილიან ექსკლუზიურ სათევზაო ზონას, რაც უპირისპირდებოდა დიდი ბრიტანეთის და გერმანიის ტრადიციულ უფლებებს ამ ზონაში). ასევე, ნიურნბერგის ტრიბუნალი იმონებდა ერთა ლიგის ასამბლეისა და პანამერიკული კონფერენციის მიერ გამოცემულ რეზოლუციებს, რომელთა თანახმადაც, აგრესიული ომი დანაშაულია „სახელმწიფოთა ჩვეულებებისა და პრაქტიკის“ თვალსაზრისით.⁶² ამიტომ უკეთესი მიდგომაა, რომ სახელმწიფო პრაქტიკად ჩავთვალოთ არა მარტო ის, თუ რას აკეთებენ სახელმწიფოები, არამედ ისიც, თუ რას ამბობენ ისინი. ეს კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოები ურთიერთობის ახალ ფორმებს მიმართავენ. ჟემანეკი კი, სახელმწიფოთა პრაქტიკის შესახებ თავის ახლად გამოქვეყნებულ გამოკვლევებში, შემდეგ დასკვნამდე მიდის:

„ნამდვილი“ ქმედებები სულ უფრო იშვიათი ხდება, რადგან საერთაშორისო სამართალი და გაეროს წესდება სულ უფრო მეტად ზღუდავს სახელმწიფოებს ამ თვალსაზრისით. ხოლო ის, რასაც ადრე დიპლომატიური ნოტები შეიცავდნენ, ამჟამად კომუნიკაციის ახალი ფორმების მეშვეობით გადაიცემა, რაც, თავის მხრივ, საშინაო ან საგარეო პოლიტიკითაა განპირობებული. ამას გარდა, თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოება აიძულებს მთავრობებს, რომლებსაც თავიანთი მისწრაფებების მხარდაჭერა სჭირდებათ, ღიად მიმართონ საზოგადოებრიობას.“⁶³

ბოლოს, სახელმწიფოთა პრაქტიკა მოქმედებისგან თავშეკავებასაც გულისხმობს. საერთაშორისო სამართლის ბევრი ნორმა უკრძალავს სახელმწიფოებს გარკვეული ქმედებების ჩადენას და ასეთ ნორმაზე მსჯელობისას საჭიროა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ის, რას აკეთებენ სახელმწიფოები, არამედ ისიც, რას არ აკეთებენ ისინი.⁶⁴ სახელმწიფოთა დუმილიც ხშირად ყურადსაღებია, რადგან სხვა სახელმწიფოთა სარჩელთან დაკავშირებით პასიურობამ და უმოქმედობამ შეიძლება მდუმარე სახელმწიფოს გარკვეული იურიდიული მოვალეობები გამოიწვიოს, დუმილით თანხმობის დოქტრინიდან გამომდინარე.⁶⁵

ფსიქოლოგიური ელემენტი ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბებაში (*opinio iuris*)

როდესაც სახელმწიფოთა ქცევიდან ჩვეულებითი სამართლის წესები გამოგვეყავს, აუცილებელია არა მარტო იმის შესწავლა, რას აკეთებენ სახელმწიფოები, არამედ იმისაც, რატომ აკეთებენ ისინი ამას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს ფსიქოლოგიური ელემენტი ჩვეულებითი სამართლის ფორმირებაში. მხოლოდ სახელმწიფოთა პრაქტიკა არ არის საკმარისი, ნაჩვენები უნდა იყოს ისიც, რომ ამ პრაქტიკას სახელმწიფოები თავიანთი იურიდიული მოვალეობების გამო მისდევენ. ასე მაგალითად, არსებობს მრავალი საერთაშორისო ქმედება, რომელსაც ჩვეულების სახე აქვს, მაგალითად, დროებით მისალმება ღია ზღვაში უცხო გემებთან შეხვედრისას ან გარკვეული

⁶⁰ *ICJ Rep.* 1951,116,191; *Gundling, op. cit.*

⁶¹ *UK v. Iceland (Merits), ICJ Rep.* 1974,3,at47,56-8,81-8,119-20, 135,161. იხ. G Jaenicke, *Fisheries Jurisdiction Cases (U.K. v. Iceland; Federal Republic of Germany v. Iceland), EPIL* II (1995), 386-9, იხ. თ. 12.

⁶² *AJIL* 41 (1947), 172, 219-20. იხ. თ. 20 და *Nicaragua v. USA, op. cit.*, 99-104, 106-8.

⁶³ K. Zemanek, *What is "State Practice" and Who Makes It?*, in *FS Bernhardt*, 289-306, at 306.

⁶⁴ *The Draft Articles on State Responsibility for Internationally Wrongful Acts adopted by the ILC in its first reading in 1980 (Brownlie BDIL, 426)*, იხ. თ. 17.

⁶⁵ იხ. *Muller/Cottier, op. cit.*

⁶⁶ *North Sea Continental Shelf cases, ICJ Rep.* 1969, 3, at 44; G. Jaenicke, *North Sea Continental Shelf Cases, EPIL* 2 (1981), 205-8. იხ. აგრეთვე, თ. 12.

⁶⁷ იხ. L.D. Paul, *Comity in International Law, Harvard ILJ* 32 (1991), 1-79; P. Macalister-Smith, *Comity, EPIL* 1 (1992), 671-4. იხ. აგრეთვე, თ. 4.

⁶⁸ J.L. Slama, *Opinio juris in Customary International Law, Okla. CULR* 15 (1990), 603-56; Elias (1995), *op. cit.*

⁶⁹ იხ. თ. 7.

⁷⁰ იხ. *Restatement (Third)*,

Vol. 1, para. 101.25.

⁷¹ იხ. W. Karl, *Protest, EPIL* 9 (1986), 320-2.

⁷² *Lotus Case, PCIJ, series A, no. 10, 28 et seq.* იხ. K. Herndl, *Lotus. The. EPIL* 2 (1981), 173-7. იხ. აგრეთვე, თ. 12.

ცერემონიალისა და პროტოკოლის ფარგლებში, რომლებიც მხოლოდ ეტიკეტიტა და ტრადიციითაა მოტივირებული და „არა აქვს იურიდიული მოვალეობის სახე.“⁶⁶ ეს უბრალოდ სახელმწიფოთა ურთიერთპატივისცემის გამოხატვა და საერთაშორისო „ეტიკეტიტ“ ნაკარნახევი ქცევაა.⁶⁷

ამ ფსიქოლოგიური ელემენტის ტექნიკური სახელწოდებაა *opinio iuris sive necessitatis* (მოკლედ, *opinio iuris*).⁶⁸ ჩვეულებრივ იგი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს აზრი იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო სამართალი მისგან ქცევის გარკვეულ ფორმებს მოითხოვს. ამგვარი დეფინიცია გვაფიქრებინებს, რომ საერთაშორისო სამართლის ყველა წესი ვალდებულების ჩარჩოში ყალიბდება. მაგრამ ეს ასე არაა. ვალდებულებათა განმსაზღვრელ ნორმებთან ერთად არსებობს ისეთი წესებიც, რომლებიც სახელმწიფოებს ნებას რთავს გარკვეული სახის მოქმედების შესასრულებლად (მაგალითად, აღძრას საქმე სასამართლოში უცხოელების მიმართ მის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამო), მაგრამ ასეთ მოქმედებას ვალდებულების სახეს არ აძლევს.⁶⁹ ვალდებულების წესის თვალსაზრისით, *opinio iuris*-ის ტრადიციული განმარტება მართებულია; დისპოზიციური ნორმის შემთხვევაში *opinio iuris* გულისხმობს სახელმწიფოთა რმწენას იმაში, რომ ქცევის გარკვეული წესები ნებადართულია საერთაშორისო სამართალით.

ცხადია, რამდენადმე ხელოვნურია ისეთი კოლექტიური ერთეულის ფსიქოლოგიური ანალიზის მცდელობა, როგორიცაა სახელმწიფო. მართლაც, ეს რამდენადმე ეწინააღმდეგება თანამედროვე ტენდენციას, რომელიც სახელმწიფოს ფსიქოლოგიური მრწამსის ძიებას გულისხმობს. ეს უფრო მეტად გულისხმობს *opinio iuris*-ის დადგენას სახელმწიფოთა ქცევის შესწავლის საფუძველზე. ამ მიზნისათვის არ არის აუცილებელი ოფიციალური განცხადებების შეგროვება, *opinio iuris* შეიძლება დავადგინოთ მოქმედებებისა და მოქმედებებისგან თავის შეკავების შემთხვევათა ანალიზით⁷⁰. ამ თვალსაზრისით, უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო წესები განსაზღვრავენ სახელმწიფოთა ქცევას და მათ ურთიერთობებს. ამიტომ აუცილებელია არა მარტო იმის შესწავლა, რას აკეთებს ან რისგან იკავებს თავს ესა თუ ის სახელმწიფო, არამედ იმისიც, როგორ რეაგირებენ ამაზე სხვა სახელმწიფოები. თუ რომელიმე სახელმწიფოს მოქმედება იწვევს პროტესტს ამ მოქმედების არაკანონიერების გამო, ასეთმა პროტესტმა შესაძლებელია ამ შემთხვევას ფასი დაუკარგოს ჩვეულებითი სამართლის დასაბუთებულობის თვალსაზრისით.⁷¹

აღმჭურველი ნორმების არსებობა შეიძლება დადასტურდეს იმის ჩვენებითაც, რომ ზოგმა სახელმწიფომ გარკვეული სახით იმოქმედა (ან განაცხადა, რომ აქვს ასეთი მოქმედების უფლება), ხოლო სხვა სახელმწიფოებმა, რომელთა ინტერესებსაც ასეთი მოქმედება (განცხადება) შეეხო, არ გააპროტესტეს იგი, როგორც არაკანონიერი.

მავალებელი ნორმების შემთხვევაში საკმარისი არ არის იმის ჩვენება, რომ სახელმწიფოებმა ამ ნორმის შესაბამისად იმოქმედეს, და რომ ეს სხვა სახელმწიფოებმა არ გააპროტესტეს, როგორც არაკანონიერი. ნაჩვენები უნდა იყოს ისიც, რომ სახელმწიფოები ასეთ ქმედებას სავალდებულოდ მიიჩნევენ. კონკრეტული ქცევის სავალდებულო ხასიათი შეიძლება თვით სახელმწიფოების მიერ იყოს აღიარებული, ან ნაჩვენები იყოს, რომ ამ კონკრეტული დარღვევით მოქმედება დაგმობილი იყო დაზარალებული სახელმწიფოების მიერ.

განსხვავება აღმჭურველ და მავალებელ ნორმებს შორის შეიძლება ნათლად დავინახოთ *ლოტუსის საქმის* (*Lotus case*) საფუძველზე.⁷² ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტები ასეთია: ფრანგული სავაჭრო გემი შეეჯახა თურქულ სავაჭრო გემს ღია ზღვაში ლეიტენანტ დემონსის, საფრანგეთის გემის ოფიცრის სავარაუდო უყურადღებობის გამო, რის შედეგადაც თურქულ გემზე რამდენიმე კაცი დაიღუპა. საფრანგეთის იურისდიქციის მიხედვით, ლეიტენანტ დემონსს ელოდა სასამართლო პროცესი მკვლელობისათვის, მაგრამ

გასარკვევი იყო, ჰქონდა თუ არა თურქეთს მისი გასამართლების უფლება. თურქეთი ამტკიცებდა, რომ არსებობს ნებადამრთველი ნორმა, რომელიც მას დემონსის გასამართლების უფლებას აძლევს. საფრანგეთი კი საპირისპიროს ამტკიცებდა, – სახელდობრ, ასაბუთებდა, რომ არსებობს ნორმა, რომლის ძალითაც თურქეთს არ ჰქონდა მისი გასამართლების უფლება. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა პალატამ უარყო საფრანგეთის და მიიღო თურქეთის არგუმენტი, პირველ ყოვლისა, იმის საფუძველზე, რომ თუმცა სულ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი, როდესაც თურქეთის მდგომარეობაში მყოფმა სახელმწიფოებმა განახორციელეს შესაბამისი სასამართლო ქმედება, მაგრამ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეს ეხებოდა, პროტესტი არ განუცხადებიათ; მეორე – თუმცა თურქეთის მდგომარეობაში აღმოჩენილ სახელმწიფოთა უმრავლესობა თავს იკავებდა მსგავსი მოთხოვნისაგან, არ არსებობდა საბუთი, რომ ისინი ამგვარად იურიდიული მოვალეობის გამო იქცეოდნენ.

ამას გარდა, თუ სახელმწიფოები ამკარად იყოფიან ორ ჯგუფად გარკვეული მოქმედების მიმართ (მაგალითად, უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ბირთვული იარაღის გამოყენება) *opinio iuris*-ის არსებობასთან დაკავშირებით (ანუ, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება არაკანონიერია), შეუძლებელია იმის დადგენა, არსებობს თუ არა ამ საკითხზე *opinio iuris*.⁷³

opinio iuris ხშირად შემდეგნაირადაა ინტერპრეტირებული: ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა ირწმუნონ, რომ რაღაცას უკვე სამართლის ნორმის ძალა აქვს მანამ, სანამ იგი ასეთი ნორმა გახდებოდეს. მაგრამ ასეთი ინტერპრეტაცია, ჩვენი აზრით, მცდარია. მთავარი ის კი არ არის, თუ რა სჯერათ სახელმწიფოებს, არამედ ის, თუ რას ამბობენ ისინი. თუ ზოგი ქვეყანა იმ აზრისაა, რომ არსებობს გარკვეული ნორმა და სხვა სახელმწიფოებიც არ უარყოფენ ამ განცხადებას, მაშინ არსებობს იწყებს ახალი ნორმა, თუნდაც ყველა დაინტერესებული ქვეყანა ხვდებოდეს, რომ ეს ნორმა მანამდე არსებული ნორმისაგან გადახრას წარმოადგენს. ჩვეულებით სამართალში ჩადებულია ცვლილების მექანიზმი. სამართლებრივი ნორმის შეცვლის შესახებ სახელმწიფოთა შეთანხმების შემთხვევაში, ახლებურ პრაქტიკაზე დაფუძნებული ჩვეულებითი სამართლის წესი შეიძლება ძალიან სწრაფად ჩამოყალიბდეს; ასე მაგალითად, ნორმა კოსმოსური სივრცის შესახებ ძალიან სწრაფად ჩამოყალიბდა პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შემდეგ.⁷⁴ თუ ცვლილების მომხრე ან მოწინააღმდეგე ქვეყანათა რიცხვი მცირეა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი მოკლე ხანში შეუერთდებიან უმრავლესობის პრაქტიკას. სიძნელე ჩნდება მაშინ, როცა ცვლილებების მომხრე და მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა რიცხვი დაახლოებით ტოლია. ასეთ შემთხვევაში ნორმის მიღება რთულად და ნელა ხორციელდება, ხოლო ამ ნორმასთან დაკავშირებული უთანხმოება და გაურკვეველობა შესაძლებელია დიდხანს გაგრძელდეს, სანამ სახელმწიფოები კონსენსუსს არ მიაღწევენ. ასე იყო, მაგალითად, ტერიტორიული წყლების ფართთან დაკავშირებულ დავაში.⁷⁵ მეორე მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქმე ბირთვული იარაღის მუქარის კანონიერების შესახებ (*Legality of Nuclear Weapons*), რომელშიც საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა:

„ბირთვული იარაღის გამოყენების ამკრძალავი ჩვეულებითი ნორმის მიღებას *lex lata*-ს სახით აბრკოლებს დაძაბულობა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, აღმოცენების პროცესში მყოფ *opinio iuris*-სა და, მეორე მხრივ, განსხვავებული პრაქტიკის მომხრეთა პოზიციის შორის“.⁷⁶

„მომენტალური“ ჩვეულებითი სამართალი

სპეციფიკური პრობლემაა *diritto spontaneo* კატეგორიის, ანუ „მომენტალური ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის“, პრობლემა, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებს ზოგი ავტორი, მათ შორის რობერტო აგო⁷⁷ და ბინ

⁷³ იხ. *Advisory Opinion on the Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, *op. cit.*, 826, para. 67. მსაქმის შესახებ იხ. თ. 20.

⁷⁴ იხ. თ. 13.

⁷⁵ იხ. თ. 12.

⁷⁶ *Advisory Opinion on the Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, *op. cit.*, 827, para. 73; *Ibid.*, 830, para. 98.

⁷⁷ R. Ago, *Science juridique et droit international*, *RdC* (1956-11), 849-955, at 932 *et seq.*

⁷⁸ B. Cheng, United Nations Resolutions on Outer Space: "Instant" International Customary Law?, *Indian JIL* (1965), 23 et seq.

⁷⁹ *ICJ Rep.* 1969, at 4.

⁸⁰ *ib. Jennings* (1984), *op. cit.*, 285.

⁸¹ *ib. F. Munch, A Propos du Droit Spontane, Studi in Onore di Guiseppe Speduti*, 1984, 149-62.

⁸² *ib. P. Malanczuk. Space Law as a Branch of International Law, NYIL* 25 (1994), 143-80, 160-1.

⁸³ *ICJ Rep.* 1969, 43.

⁸⁴ *ICJ Rep.* 1986, 97 et seq.

⁸⁵ *Bernhardt* (1992), *op. cit.*, 902.

ჩენგი⁷⁸. ამ კატეგორიის მიღება ნიშნავს საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოთა პრაქტიკისა და დროის ფაქტორის მნიშვნელობის უარყოფასა და ჩვეულებითი სამართლის ერთადერთ წარმომქმნელ ელემენტად მხოლოდ არასავალდებულო შედეგებისა და დეკლარაციებში ასახული *opinio iuris*-ის მიჩნევას.

საერთაშორისო სასამართლომ ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმესთან დაკავშირებით ცხადი გახადა, რომ ჩვეულებითი სამართალი შედარებით მოკლე დროის განმავლობაშიც შეიძლება წარმოიქმნას.⁷⁹ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმათემოქმედებით პროცესში მომხდარმა პროცესებმა თანამედროვე ჩვეულებითი სამართლის კონცეფცია რამდენიმე თვალსაზრისით შეცვალეს, მათ შორის, უფრო სწრაფი ჩამოყალიბების, წერილობითი სახის მიღებისა და უფრო მეტი სრულყოფილების თვალსაზრისით, ვიდრე ეს ტრადიციული ჩვეულებითი სამართლისათვის არის დამახასიათებელი.⁸⁰ საკამათო საკითხად რჩება მხოლოდ *opinio iuris*-ზე დამყარებული, პრაქტიკით გაუთვალისწინებელი „მომენტალური“ ჩვეულებითი სამართლის ანუ სპონტანური სამართლის (*droit Spontane*)⁸¹ არსებობის შესაძლებლობა.⁸² *opinio iuris*, როგორც არააუცილებელი ვალდებულებები, თუნდაც ისინი ნათლად იყოს ჩამოყალიბებული სუბიექტური ელემენტის სახით, განსხვავდება ჩვეულებითი სამართლისაგან, რომელიც შედგება დეცენტრალიზებული სამართლებრივი სისტემისა და სახელმწიფოთა პრაქტიკის ობიექტური ელემენტისაგან. ამიტომ ეს *opinio iuris* არ არის საკმარისი ზოგადი ჩვეულების დასადგენად წინააღმდეგობრივ სფეროებში. ამას გარდა, თვით „ჩვეულებითის“ ცნება უკვე გულისხმობს დროით ელემენტს და, ამდენად, „მომენტალური ჩვეულებითი“ წინააღმდეგობრივი ტერმინია; მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უფრო ტერმინოლოგიური პრობლემაა, ვიდრე არსებითი.

ამ თვალსაზრისს ეთანხმება საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა. ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმეში სასამართლო ამტკიცებდა, რომ აუცილებელი მოთხოვნაა, სახელმწიფოთა პრაქტიკა, მათ შორის, დაინტერესებულ სახელმწიფოთა პრაქტიკაც, დროის მოცემულ, თუნდაც მოკლე, პერიოდში ერთგვაროვანი იყოს.⁸³ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დროითი ელემენტის შემცირება განონასწორებელია სახელმწიფოთა პრაქტიკის მოცულობისა და ხასიათის განსაზღვრით. „მომენტალური ჩვეულების“ დოქტრინაზე კიდევ უფრო ნათელი რეაქცია ჩანს სასამართლოს შემდეგ მსჯელობაში ნიკარაგუის საქმესთან დაკავშირებით:

„სახელმწიფოთა მიერ გარკვეული წესების უბრალო აღიარება არ არის საკმარისი მათი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილად მიჩნევისათვის... წესდების 38-ე მუხლის მოთხოვნით... სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სახელმწიფოს *opinio iuris* მიღებული წესის შესახებ გამყარებულია მისივე (სახელმწიფოს) პრაქტიკით“.⁸⁴

ბერნჰარდტიც უარყოფს საერთაშორისო სამართლის ტრადიციული კონცეფციის ფარგლებში „მომენტალური“ ჩვეულების არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ იგი უშვებს „გამონაკლის შემთხვევებსა და სიტუაციებს, რომლებშიც ამგვარი მომენტალური ნორმები სასარგებლო ან სულაც აუცილებელი შეიძლება აღმოჩნდეს. თუ, მაგალითად, სახელმწიფოთა თანამეგობრობა ცალსახად და განსხვავებული აზრის არსებობის გარეშე უკანონოდ მიიჩნევა გარკვეულ ქმედებებს, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი, ასეთ შემთხვევაში *opinio iuris* საკმარისი იქნება, თუნდაც პრაქტიკის ჩამოყალიბება შეუძლებელი იყოს“.⁸⁵ მართლაც, შეიძლება აღმოვჩინდეთ ასეთი საჭიროების წინაშე, მაგრამ ეს იქნება არა ჩვეულებითი სამართალი, არამედ საერთაშორისო სამართლის სხვა (ახალი) წყარო.

საერთაშორისო სამართლის უნივერსალურობა და თანხმობის თეორია

როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფოთა მცირე რიცხვის პრაქტიკაც შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ჩვეულებითი ნორმის წარმოქმნისათვის, თუ არ არსებობს ამ ნორმის სანინაალმდეგო პრაქტიკა.⁸⁶ მაგრამ რა მოხდება, თუ ზოგიერთი სახელმწიფო ამგვარი პრაქტიკით გაუმყარებელი ნორმის წინააღმდეგი იქნება? შესაძლებელია თუ არა, რომ მხოლოდ ერთი სახელმწიფოს პოზიციამ შეუშალოს ხელი ჩვეულებითი ნორმის შექმნას? ეს რომ ასე იყოს, ნორმების ძალიან მცირე რიცხვი დაგვრჩებოდა, რადგან სახელმწიფოთა პრაქტიკას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. მეორე მხრივ, თუ უმრავლესობა შექმნის ნორმებს უმცირესობის სურვილის წინააღმდეგ, შეიძლება დაუძლეველი სიძნელებები წარმოიქმნას. როგორი უნდა იყოს ამ დროს უმრავლესობა? უმრავლესობის დადგენისას გვატყვამალისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკას ერთი და იგივე ღირებულება ექნება? მეორე მხრივ კი, თუ ზოგ სახელმწიფოს სხვებზე მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, რა კრიტერიუმებს დაემყარება ამ უპირატესობის განსაზღვრა: ტერიტორიის სიდიდეს? სიმდიდრეს? სამხედრო ძალას? მსგავსი კითხვები, ოღონდ სხვა კონტექსტში, გაეროს უშიშროების საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებითაც წამოიჭრება.⁸⁷

ლოტუსის საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა პალატამ განაცხადა: „სახელმწიფოთათვის აუცილებელი სამართლებრივი ნორმები... მათი თავისუფალი ნებიდან მომდინარეობს, რომელიც აისახება კონვენციებში ან სამართლის პრინციპების გამომხატველ საყოველთაოდ აღიარებულ ქმედებებში.“⁸⁸ ამ ე.წ. თანხმობის თეორიას აკრიტიკებდნენ დასავლეთში, მაგრამ ენთუზიაზმით მიიღეს საბჭოთა იურისტებმა. საბჭოთა დოქტრინის თანახმად, საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგია და ხელშეკრულებასა და ჩვეულებას მხოლოდ ფორმა განასხვავებს; ხელშეკრულება გამონათული შეთანხმებაა, ხოლო ჩვეულება – ნაგულისხმევი შეთანხმება.⁸⁹ ამ მიდგომის უპირატესობაა სახელმწიფოთა პრაქტიკის მრავალგვარობის ახსნა; ისევე, როგორც სხვადასხვა ხელშეკრულებები ავალდებულებენ სახელმწიფოთა სხვადასხვა ჯგუფებს, ასევე ჩვეულებითი სამართლის სხვადასხვა ნორმები შეიძლება შეეფარდებოდეს სახელმწიფოთა სხვადასხვა ჯგუფებს. საერთაშორისო სასამართლო, რაღაც აზრით, საბჭოთა მიდგომას მიუახლოვდა თავშესაფრის საქმეში, როდესაც აღიარა რეგიონალური ჩვეულებების არსებობა ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა ჯგუფებში.⁹⁰

თანხმობის თეორია ხსნის სახელმწიფოთა პრაქტიკის მრავალგვარობას, მაგრამ იგი არ არის დამაჯერებელი, როდესაც ახალ სახელმწიფოთა მიმართ გამოიყენება. ორთოდოქსული წესია, რომ ახალი სახელმწიფოები ავტომატურად ექვემდებარებიან საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართალს. არსებულ საერთაშორისო სამართალთან ახალ სახელმწიფოთა დამოკიდებულების პრობლემა პირველ ყოვლისა სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის პრობლემაა და მას შემდგომ განვიხილავთ.⁹¹ რაც შეეხება ჩვეულებით სამართალს, ითვლება, რომ ახალი სახელმწიფოები პრინციპულად ვერ აარიდებენ თავს არსებულ ჩვეულებით ვალდებულებებს. სახელმწიფოს არ შეუძლია ამოიჩიოს იურიდიული სისტემის მიერ საყოველთაოდ ნებადართული უფლებები და იმავდროულად უარყოს ის მოვალეობები, რომლებიც მას არ მოსწონს. მაგრამ დეკოლონიზებულ ახალ სახელმწიფოთა თავშეკავებულმა დამოკიდებულებამ ყოფილ კოლონიურ სახელმწიფოთა მიერ შექმნილი საერთაშორისო სამართლის მიმართ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გარკვეულ სფეროებზე, მაგალითად, საერთაშორისო ეკონომიკურ სამართალსა⁹² და საზღვაო სამართალზე⁹³, რამაც იურიდიული გაურკვევლობა გამოიწვია. სულ უფრო ძნელი ხდება საჭირო ზოგადი პრაქტიკისა და *opinio iuris*-ის არსებობის დადგენა, რათა ჩვეულებითმა სამართალმა უნივერსალური ღირებულება შეინარჩუნოს.⁹⁴

⁸⁶ იხ. ზემოთ.

⁸⁷ იხ. თ. 21.

⁸⁸ PCIJ, series A, no. 10, 18.

იხ. ზემოთ.

⁸⁹ საბჭოთა დოქტრინის შესახებ იხ. თ. 2.

⁹⁰ ICJ Rep. 1950, 266, 277, 293-4, 316.

⁹¹ იხ. თ. 11.

⁹² იხ. თ. 15 და თ. 2.

⁹³ იხ. თ. 12.

⁹⁴ იხ. თ. 1 და თ. 2.

⁹⁵ B. Simma, Consent: Strains in the Treaty System, in Macdonald/Johnston (eds), *op. cit.*, 485 *et seq.*; D.W. Greig, Reflections on the Role of Consent, *AYIL* 12 (1992), 125-76; A. Pellet, The Normative Dilemma: Will and Consent in International Law-Making, *ibid.*, 22-53.

⁹⁶ *Asylum case*, *op. cit.*, 276-7; *Rights of Nationals of the United States in Morocco case*, *ICJ Rep.* 1952, 176, at 200.

⁹⁷ *Fisheries case*, *op. cit.*, at 131.

⁹⁸ იხ. ქვემოთ.

⁹⁹ იხ. Bernhardt (1992), *op. cit.*, 904; O. Elias, Some Remarks on the Persistent Objector Rule in Customary International Law, *Denning J* (1991), 37-51; C. Tomuschat, Obligations Arising for States Without or Against Their Will, *RdC* 241 (1993-IV), 195-374.

¹⁰⁰ J.I. Charney, Universal International Law, *AJIL* 87 (1993), 529-51, at 538 *et seq.*; იხ. აგრეთვე, ILA Committee on the Formation of Customary (General) International Law, *ILA Rep.* 1992, 366 *et seq.*

¹⁰¹ იხ. თ. 2.

თანხმობის ელემენტიც⁹⁵ შესაძლებელია ფიქტიური გახდეს, როდესაც საქმე სახელმწიფოებისთვის ახალი ჩვეულებითი წესების შექმნას ეხება. საერთაშორისო სასამართლომ ხაზგასმით მოითხოვა, რომ მოსარჩელე ქვეყანამ, რომელსაც სურს, დაეყრდნოს ჩვეულებით ნორმას, უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ნორმა სავალდებულოა მოპასუხე ქვეყნისათვის⁹⁶. ამისათვის კი საჭიროა იმის ჩვენება, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ეს ნორმა თავისი პრაქტიკით აქვს აღიარებული (ამასთან, ამ შემთხვევაში აღიარებად შეიძლება ისიც ჩავთვალოთ, რომ მოპასუხე ქვეყანას არ გამოუხატავს პროტესტი, როდესაც სხვა სახელმწიფოებმა გამოიყენეს ეს წესი და გავლენა იქონიეს მოპასუხის ინტერესებზე). მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ შეუძლებელი აღმოჩნდეს მოპასუხის ნორმასთან დამოკიდებულების დასაბუთების პოვნა, და, ამგვარად, არსებობს მეორე და უფრო ხშირად გამოყენებული გზა – უნდა დამტკიცდეს, რომ ეს ნორმა სავალდებულოა მოპასუხისთვის, რადგან იგი აღიარებულია სხვა სახელმწიფოთა მიერ. ასეთ შემთხვევაში ეს წესი სავალდებულოა მოპასუხე სახელმწიფოსათვის, თუ მოპასუხე სახელმწიფო ვერ შეძლებს ჩვენებას, რომ იგი ნათლად და თანმიმდევრულად უარყოფდა ამ წესს მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე; წესის დამკვიდრების შემდეგ გამოხატული უარყოფა დაგვიანებულია და არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უარყოფელი სახელმწიფო მისი სავალდებულო ხასიათისგან გათავისუფლდეს. ასე, *თევზსარეწების საქმესთან* დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლომ მოცემული წესი არ მიიჩნია საყოველთაოდ აღიარებულ წესად, მაგრამ დასძინა: „ყოველ შემთხვევაში... ეს წესი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნორვეგიის წინააღმდეგ, რადგანაც ნორვეგია ყოველთვის გამოხატავდა პროტესტს ნორვეგიის სანაპირო ზოლის მიმართ ამ ნორმის გამოყენების ყოველი ცდის დროს“.⁹⁷

„მუდმივი მოწინააღმდეგის“ პრობლემას უკანასკნელ დროს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სპეციალურ ლიტერატურაში. შესაძლებელია თუ არა, რომ სახელმწიფო, რომელიც ახალ წესს არ ეთანხმება, მაშინაც და შემდეგაც დარჩეს ამ პოზიციაზე სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის მიერ აღიარებული წესის მოქმედების გარეთ? მოითხოვენ *ius cogens*-ის⁹⁸ ახლადწარმოქმნილი ნორმები სხვა, ნაკლებმნიშვნელოვანი ნორმებისაგან განსხვავებულ კრიტერიუმებს? დღესდღეობით ეს საკითხები შორს არის გადაწყვეტისაგან.⁹⁹ მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩარნის თვალსაზრისით, რომელიც საერთოდ გვერდს უვლის „მუდმივი მოწინააღმდეგის“ ფაქტორს, გამონაკლისად გვევლინება.¹⁰⁰

სამართლის ზოგადი პრინციპები

საერთაშორისო სასამართლოს წესდების თანახმად, საერთაშორისო სამართლის მესამე წყაროა „ცივილიზებულ ერთა მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები“ (ამჟამად ყველა ერთი „ცივილიზებულად“ მიიჩნევა;¹⁰¹ ახალი ტერმინია „მშვიდობისმოყვარე“, რომელიც გაეროს წესდების მე-4 პუნქტითაა დადგენილი, როგორც ამ ორგანიზაციაში შესვლის მოთხოვნა). ეს ფრაზა ჩართულ იქნა საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის (იგი საერთაშორისო სასამართლოს წინამორბედი) სტატუტში, იმ საქმეების გადასაწყვეტად, რომლებშიც სასამართლო ხელშეკრულებებითა და ჩვეულებით ვერ იხელმძღვანელებდა. სხვა სიტყვებით, არსებობდა შიში, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულებით სამართალსა და ჩვეულებით სამართალში არსებული ხარვეზების გამო, სასამართლო ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებებს. მაგრამ არ არსებობს საერთო აზრი ამ ფრაზის გაგების თაობაზე. ზოგი ფიქრობს, რომ აქ საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები იგულისხმება; სხვების აზრით, ნაგულისხმევია ეროვნული სამართლის ზოგადი პრინციპები.

არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც ვერ ვიგულისხმებთ ორივეს; რაც უფრო ბევრი მნიშვნელობა აქვს ამ ფრაზას, მით მეტია შესაძლებლობა, ვიპოვოთ ისეთი რამე, რაც ხელშეკრულებითი სამართლისა და ჩვეულებითი სამართლის ხარვეზებს შეავსებს – ეს კი სწორედ საერთაშორისო სამართლის წესდებაში მისი ჩართვის უპირველესი მიზანია. მართლაც, საერთაშორისო ტრიბუნალები ბევრად უფრო ადრე იყენებდნენ სამართლის ზოგად პრინციპებს ორივე გაგებით, სანამ ეს ფრაზა შეტანილი იქნებოდა საერთაშორისო სასამართლოს მუდმივი პალატის სტატუტში 1920 წელს.¹⁰²

პირველი დეფინიციის თვალსაზრისით (საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები), სამართლის ზოგადი პრინციპები იმდენად სამართლის წყარო არ არის, რამდენადაც არსებული წყაროების გამოყენების მეთოდი. ეს არის ანალოგიის მეშვეობით არსებული სამართლებრივი ნორმების გავრცობა, ინდუქციური მსჯელობის მეშვეობით შედარებით კონკრეტული ნორმებიდან ზოგადი პრინციპების არსებობის გამოყვანა და ა.შ. სამართლის ზოგადი პრინციპების მეორე განმარტების მიხედვით (ეროვნული სამართლის ზოგადი პრინციპები), საერთაშორისო სამართლის ხარვეზები შესაძლებელია იმ პრინციპების შემოტანით შეივსოს, რომლებიც საერთოა ეროვნული სამართლის ყველა ან უმეტესი სისტემისათვის; სამართლის კონკრეტული ნორმები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, ხოლო ძირითადი პრინციპები ხშირად მსგავსია.¹⁰³

რეალური ვითარება უფრო რთულია. საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული ყველა ზოგადი პრინციპი არ მომდინარეობს საერთაშორისო დონეზე აღიარებული შიდასახელმწიფოებრივი იურიდიული სისტემების გადაწერვიდან.¹⁰⁴ ზოგი „ბუნებით სამართლიანობას“ ეფუძნება. იგი ყველა იურიდიული სისტემისათვის საერთოა (ასეთებია კეთილსინდისიერების,¹⁰⁵ პროცესუალური აცილების¹⁰⁶, პროპორციულობის¹⁰⁷ პრინციპები), სხვები უბრალოდ იურისტთა მიღებულ ლოგიკას იყენებენ (ასეთია, მაგალითად, წესები *lex specialis derogat legi generali*, *lex posterior derogat legi priori*¹⁰⁸), ზოგი კი „საერთაშორისო თანამეგობრობის ბუნების სპეციფიკას“ უკავშირდება, რომელიც *ius cogens* პრინციპებში აისახება¹⁰⁹. ამიტომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპების საერთაშორისო დონეზე დანერგვა რამდენიმე პროცედურული წესით შემოიფარგლება, ესენია: სამართლიანი მოსმენის უფლება, *dubio pro reo*, სამართლიანობაზე უარის თქმა,¹¹⁰ ადგილობრივ საშუალებათა ამონაწერა,¹¹¹ და ზოგიერთი ძირითადი პრინციპი: შენაძინზე ხანდაზმულობა¹¹² და სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა¹¹³. ასეთ ტრანსფორმაციას პრაქტიკულად ის საერთაშორისო მოსამართლე ან არბიტრი ახორციელებს, რომელმაც უნდა გადანაცვლოს მოცემული საქმე. ამას მოსამართლის „შემოქმედებით როლს“ უწოდებენ, რომელიც სრულებითაც არ არის საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის თავისებურება.

მეორე მხრივ, არც ისე ძნელია იმის ჩვენება, რომ გარკვეული პრინციპი საერთოა ყველა იურიდიული სისტემის ან მათი უმეტესობისათვის, როგორც ეს შეიძლება თავდაპირველად მოგვეჩვენოს. სამართლებრივი სისტემები ოჯახებად ჯგუფდება. ინგლისურენოვანი ქვეყნების სამართალი ერთმანეთის მსგავსია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მრახალშენეებს თან მიჰქონდათ სამართალი, რომელსაც იცნობდნენ; ასევე ძალიან ერთგვაროვანია ლათინური ამერიკის ქვეყანათა უმეტესობის სამართალი. თუ დავადგენთ გარკვეული პრინციპის არსებობას ინგლისის სამართალში, დიდი ალბათობით შეგვიძლია დაუშვათ, რომ იგი ასევე არსებობს ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაშიც. პრობლემა ისაა, რა ხდება მსოფლიოში არსებულ სხვა სამართლებრივ სისტემებში. პრაქტიკაში ხანდახან ხდება ხოლმე, რომ საერთაშორისო მოსამართლე ან არბიტრი იყენებს თავის ქვეყანაში აღიარებული სამართლებრივი სისტემის პრინციპებს ისე, რომ არც არკვევს, არის თუ არა ისინი მიღებული სხვა ქვეყნების მიერ. რა თქმა უნდა, ასეთი პრაქტიკა სასურველი არ არის, მაგრამ იმდე-

¹⁰² იხ. B. Cheng, *General Principles of Law as Applied by International Courts and Tribunals*, 1987; G. Hanessian. "General Principles of Law" in the Iran-US Claims Tribunal. *Colum. JIL* 27 (1989), 309; M. C. Bassiouni, A Functional Approach to "General Principles of International Law", *Mich. JIL* 11 (1990), 768-818; J.A. Westberg/B.P. Marchais. *General Principles Governing Foreign Investment as Articulated in Recent International Tribunal Awards and Writings of Publicists*, *ICSID Rev.* 7 (1992), 453-96; V.-D. Degun. *General Principles of Law (A Source of General International Law)*. *FYIL* 3 (1992), 1-102; L. Ferrari-Bravo, Considerations sur la methode de recherche des principes generaux du droit international de l'environnement. *Hague YIL* 7 (1994), 3-10; H. Mosler. *General Principles of Law*. *EPIL* (1995), 511-27.

¹⁰³ იხ. თ. 1 და თ. 4.

¹⁰⁴ იხ. H. Mosler. *The International Society as a Legal Community*. rev. edn 1980.136 et seq.

¹⁰⁵ A. D'Amato, *Good Faith*, *EPIL* 11 (1995), 599-601; J.F. O'Connor, *Good Faith in International Law*, 1991; *Nuclear Tests case (Australia v. France)*, judgment of 20 December 1974 (*ICJ Rep.* 1974, 268, para. 46). იხ. აგრეთვე, Art. 26 of the 1969 Vienna Convention on the Law of Treaties და თ. 9.

¹⁰⁶ იხ. თ. 10.

¹⁰⁷ იხ. თ. 1, თ. 17 და თ. 19.

¹⁰⁸ იხ. ქვემოთ.

¹⁰⁹ K.-J. Partsch, *International Law and Municipal Law*, *EPIL* (1995), 1188. *ius cogens*-ის შესახებ იხ. ქვემოთ.

¹¹⁰ S. Verosta, *Denial of Justice*. *EPIL* 1 (1992), 1007-10.

¹¹¹ იხ. თ. 17.

¹¹² იხ. თ. 10.

¹¹³ იხ. თ. 17.

¹¹⁴ Art. 9, Statute of the ICJ, *Brownlie BOIL*, 438. იხ. თ. 18.

¹¹⁵ D.J. Ibbetson, *The Roman Law Tradition*, 1994; იხ. აგრეთვე, თ. 2.

¹¹⁶ იხ. თ. 10.

¹¹⁷ იხ. თ. 2 და თ. 17.

¹¹⁸ იხ. თ. 6 და თ. 21.

¹¹⁹ იხ. ზემოთ.

¹²⁰ იხ. თ. 18.

¹²¹ v. Hecke. *op. cit.*, 818.

¹²² *ICJ Rep.* 1950.148. იხ. აგრეთვე, M. Shahabuddeen, *Municipal Law Reasoning in International Law*, in *Low Fitzmaurice (eds), op. cit.*, 90-103 და თ. 18 და თ. 19.

ნად გავრცელებულია, რომ მას არაკანონიერად ვერ მივიჩნევთ. საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევისას, ამომრჩეველებს სთხოვენ გაითვალისწინონ, რომ „ორგანოში წარმოდგენილი უნდა იყოს ცივილიზაციის ძირითადი ფორმები და მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემები“.¹¹⁴

სამართლის ზოგადი პრინციპები ყველაზე ეფექტური საერთაშორისო სამართლის „ახალ“ სფეროებში აღმოჩნდა. როდესაც მე-16-17 საუკუნეებში საერთაშორისო სამართლის თანამედროვე სისტემებმა დაიწყეს განვითარება, ისეთი ავტორი, როგორც იყო გროციუსი, ძირითადად რომაულ სამართალს¹¹⁵ ემყარებოდა და ახლაც შესაძლებელია იმ წესების რომაული წარმომავლობის დადგენა, რომლებიც ამჟამად ჩვეულებითი სამართლის ნაწილად იქცა (მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ტერიტორიაზე უფლების მოპოვება).¹¹⁶ მე-19 საუკუნეში გახშირდა საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესები, რომლებიც მანამდე იშვიათი იყო, და შესაბამისად გაჩნდა გარკვეული სასამართლო პროცედურების ჩატარების საჭიროება, რაც ეროვნული სამართლის პრინციპების სესხების გზით ხდებოდა (ასეთებია, მაგალითად, ტრიბუნალის კომპეტენციის პრინციპი იმ საკითხის გადასაწყვეტად, აქვს თუ არა მას იურისდიქცია მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, და ტრიბუნალის წინაშე სარჩელის ვადაში წარდგენის პრინციპი).¹¹⁷

ჩვენი საუკუნის საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო სამართლის მსგავს სისტემებში რეგულარულ მოვლენად იქცა გარკვეული ტიპის კონტრაქტები, რომლებსაც ინდივიდები ან კომპანიები დებენ სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან – მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციებში სამუშაო კონტრაქტები¹¹⁸ და ნავთობის კონცესიები.¹¹⁹ ხელშეკრულებებში და ჩვეულებით სამართალში ამ საკითხთან დაკავშირებული წესები მცირერიცხოვანია და ხარვეზების შევსება ეროვნული სამართლებრივი სისტემებიდან ნასესხები კომერციული ან ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი პრინციპებით ხდება. ასე მაგალითად, საერთაშორისო ადმინისტრაციული ტრიბუნალები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ თანამშრომელთა შორის სადავო საკითხების განსჯისას თანამიმდევრულად იყენებენ ეროვნული სამართლიდან ნასესხებ პრინციპს, რომლის თანახმადაც, თანამშრომელი ინფორმირებული უნდა იქნეს მასთან დაკავშირებული კრიტიკის შესახებ და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გასცეს პასუხი ამ კრიტიკას, სანამ მისი დამქირავებელი საერთაშორისო ორგანიზაცია ამ მიზეზით მისი გათავისუფლების თაობაზე მიიღებდეს გადაწყვეტილებას.¹²⁰ სახელმწიფოსა და უცხო კომპანიებს შორის „ინტერნაციონალიზებული“ კონტრაქტების შემთხვევაში, საარბიტრაჟო დათქმაში ზოგადი პრინციპების გათვალისწინება, უპირველეს ყოვლისა, მოტივირებულია მხარეთა სურვილით, მიენდონ არბიტრის დისკრეციას საქმისათვის მნიშვნელოვანი სამართლის წესების შემოქმედებითად დადგენაში და არ იყვნენ დამოკიდებულნი კონტრაქტის დამდები სახელმწიფოს ეროვნულ იურისდიქციაზე.¹²¹

მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო სამართლის მოქმედების სფერო მნიშვნელოვნად განსხვავდება ეროვნული სამართლის მოქმედების სფეროსაგან და ეროვნული სამართლის პრინციპები საერთაშორისო სამართლის ხარვეზების შესავსებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუ ისინი საერთაშორისო გარემოს შეესაბამებიან. როგორც მოსამართლე მაკ-ნერი აღნიშნავდა *სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საქმესთან* დაკავშირებით:

„საერთაშორისო სამართალი ამ წყაროდან სარგებლობს არა კერძო სამართლებრივი პრინციპებით, არამედ უკვე ჩამოყალიბებული და სავსებით მზა წესებით. „სამართლის ზოგადი პრინციპების“ ამგვარი გამოყენებით ძნელი იქნებოდა ასეთი პროცესის განსჯა.“¹²²

დაბოლოს, უნდა აღნიშნოს, რომ კვლავ საკამათო რჩება საკითხი, შეადგენს თუ არა საერთაშორისო სასამართლოს მოვალეობას საერთაშორისო სამართალში არსებული ხარვეზების შევსება, რათა უზრუნველყოფილი იყოს იურიდიული სისტემის „სისრულე“ კონკრეტულ გადანყვეტილებათა მისაღებად და non liquet (საქმე ნათელი არ არის) განცხადების თავიდან ასაცილებლად.¹²³ აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სასამართლოს, ბირთვული იარაღის მუქარის კანონიერების საქმესთან დაკავშირებით, არ გამოუყენებია ყველა იურიდიულ სისტემაში აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები.¹²⁴ სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, non liquet გამოაცხადა თანამედროვე საერთაშორისო სამართალსა და ფაქტებში არსებული გაურკვეველობის გამო.¹²⁵ ითვლება, რომ იურიდიულ საქმის წარმოებაში non liquet-ის ცნების გამოყენება არაჯანსაღი მოვლენაა და სასამართლოს სწორად არ ესმის თავისი მოვალეობები, როცა იგი რაიმე საქმესთან დაკავშირებით non liquet-ს აცხადებს. საერთაშორისო სამართალში ყოველთვის ვერ აღმოვაჩინებ „ნათელ და კონკრეტულ წესს, რომლის მზამზარეული გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერ საერთაშორისო სიტუაციაში, მაგრამ... ყოველი საერთაშორისო სიტუაცია შეიძლება სამართლის საფუძველზე გადაწყდეს.“¹²⁶

სასამართლო გადანყვეტილებები

საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე (1) (დ) პუნქტი მოითხოვს, რომ სასამართლომ „სამართლებრივი ნორმების დასადგენად დამხმარე საშუალებებად სასამართლო გადანყვეტილებები გამოიყენოს.“ ეს მითითება შემდეგ 59-ე პუნქტის პირობის სახეს იღებს. ეს პუნქტი ადგენს, რომ „სასამართლოს გადანყვეტილებას სავალდებულო ძალა მხოლოდ მხარეებისა და მოცემული კონკრეტული საქმისათვის აქვს...“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს ჩვეულებითი სამართლებრივი სისტემებისათვის ცნობილი ფორმალური დოქტრინა stare decisis; საერთაშორისო სამართალი არ ავალდებულებს საერთაშორისო სასამართლოებს, იხელმძღვანელონ წინა გადანყვეტილებებით, თუმცა ისინი თითქმის ყოველთვის ითვალისწინებენ მათ.¹²⁷

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სასამართლოსა და არბიტრაჟის გადანყვეტილებები შესაძლებელია ჩვეულებითი სამართლის არსებობის საბუთად გამოდგეს.¹²⁸ მაგრამ სწორი უნდა იყოს ისიც, რომ მოსამართლეებსაც შეუძლიათ ახალი ნორმის შექმნა. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო სასამართლოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბევრმა მისმა გადანყვეტილებამ საერთაშორისო სამართალში ისეთი სიახლე შეიტანა, რომელმაც თანდათანობით საყოველთაო აღიარება მოიპოვა – ასეთები იყო: მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმე (Reparation for Injuries case)¹²⁹, გენოციდის საქმე (Genocide case)¹³⁰ და თევზსარეწების საქმე (Fisheries case).¹³¹ სავარაუდოა, რომ საერთაშორისო სასამართლო (და სხვა ტრიბუნალები) გაითვალისწინებს ამ გადანყვეტილებებს შემდგომი საქმეების განხილვისას, რადგანაც სასამართლო თანმიმდევრულობა საუკეთესო საშუალებაა მიკერძოების ბრალდების თავიდან ასაცილებლად. ასე რომ, სადავოა, საერთაშორისო სასამართლოს გადანყვეტილებები სამართლის დადგენისას მხოლოდ „დამხმარე“ საშუალებებია, თუ მათ მეტი მნიშვნელობა აქვთ.¹³²

არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ეს არის ბოლო დროს წარმოქმნილი საერთაშორისო ტრიბუნალებისა და სასამართლოების განშტოებები, ისეთები, როგორცაა სხვადასხვა რეგიონალური სასამართლოები, ადამიანის უფლებების დამცველი სასამართლოები¹³³, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოები¹³⁴ და საზღვაო სამართლის ტრიბუნალი¹³⁵. ამ განშტოებებმა საერთაშორისო სამართალში

¹²³ იხ. J. Stone, *Non Lique-
tand the Function of Law
in the International Com-
munity*, BYIL 1959,145;
Fastenrath (1991), *op. cit.*;
The Declaration of Judge
Vereshchetin in the ICJ's
*Advisory Opinion on the
Legality of the Threat or
Use of Nuclear Weapons*,
op. cit., 833; The Dissen-
ting Opinions of Judge
Schwebel. *ibid.*, 836, at 840;
Judge Shahabuddeen, *ibid.*,
861, at 866; Judge Koroma,
ibid., 925, at 930.

¹²⁴ იხ. The Separate Opi-
nion of Judge Fleisch-
hauer, *ibid.*, 835.

¹²⁵ იხ. Dissenting Opinion
of Judge Higgins, *ibid.*,
934.

¹²⁶ R. Jennings/A. Watts
(eds), *Oppenheim's Inter-
national Law*, Vol. I, part 1,
9th edn 1992,13.

¹²⁷ იხ. V. Roben, *Le Prece-
dent dans la jurisprudence
de la Cour Internationale*,
GYIL 32 (1989), 382-407;
M. Shahabuddeen, *Prece-
dent in the World Court*,
1996.

¹²⁸ იხ. ზემოთ.

¹²⁹ იხ. თ. 6.

¹³⁰ იხ. თ. 9.

¹³¹ იხ. ზემოთდათ. 12.

¹³² იხ. Jennings (1984), *op.
cit.*, 287; H. Lauterpacht, *The
Development of International
Law by the International Court*,
1982.

¹³³ იხ. თ. 14.

¹³⁴ იხ. თ. 20.

¹³⁵ იხ. თ. 18.

¹³⁶ იხ. R.Y. Jennings, The International Court of Justice after Fifty Years, *AJIL* 89 (1995), 493-505, at 504.
¹³⁷ იხ. თ. 8.

¹³⁸ იხ. K. Doehring, The Participation of International and National Courts in the Law-Creating Process, *SYLL* 17(1991/2), 1-11; R.Y. Jennings, The Judiciary, International and National, and the Development of International Law, *ICLQ* 45 (1996), 1-12.

¹³⁹ იხ. თ. 12.

¹⁴⁰ A. Oraison, Reflexions sur "la doctrine des publicistes les plus qualifiés des différentes nations", *RBDI* 24 (1991), 507-80.

¹⁴¹ იხ. C. Gray/B. Kingsbury, Developments in Dispute Settlement: Inter-State Arbitration Since 1945, *BYIL* 63 (1992), 97.129.

შესაძლებელია ურთიერთსაპირისპირო გადანყვეტილებებამდე მიგვიყვანოს და არ არსებობს უმაღლესი კანონიერი ავტორიტეტული ორგანო უმაღლესი სასამართლოს სახით, რომელიც ასეთი კოლიზიების ჰარმონიზაციას მოახდენდა. საერთაშორისო სასამართლოს არ გააჩნია ასეთი სტატუსი, რადგან მას არა აქვს ოფიციალური ურთიერთობა სხვა საერთაშორისო სასამართლოებსა და ტრიბუნალებთან.¹³⁶

38-ე (1)(დ) პუნქტი ეროვნულ სასამართლოთა გადანყვეტილებებსაც მოიცავს. საერთაშორისო სამართლის ნორმათა უმეტესობა, რომლებიც ეხება, მაგალითად, დიპლომატიურ იმუნიტეტს,¹³⁷ ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილებების საფუძველზე განვითარდა. მაგრამ ეროვნულ სასამართლოთა განანყვეტილებები სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ; შეიძლება, ერთი შეხედვით ჩანდეს, რომ მოსამართლე საერთაშორისო სამართლის ნორმას იყენებს (და შესაძლებელია, მას თავადაც სჯეროდეს ამის), მაშინ, როდესაც ის შეიძლება, ფაქტობრივად, თავისი ეროვნული სამართლის რომელიმე კონკრეტულ კანონს იყენებდეს.¹³⁸

მეცნიერები

38-ე (1)(2) პუნქტი მიუთითებს სასამართლოს, გამოიყენოს „სხვადასხვა ქვეყნის საჯარო სამართლის ყველაზე მაღალი კვალიფიციკაციის სპეციალისტთა მოძღვრებები, როგორც სამართლის ნორმის დადგენის დამხმარე საშუალება“. სიტყვა „სპეციალისტ“ „მეცნიერს“ ნიშნავს. სასამართლო გადანყვეტილებების მსგავსად, მეცნიერული ნაშრომები შესაძლებელია ჩვეულებითი სამართლის არსებობის დამადასტურებელი საბუთი გახდეს, მაგრამ შეიძლება მათ დამატებითი როლიც ითამაშონ სამართლის ახალ ნორმათა შექმნაში.

წარსულში გროციუსის მსგავს ავტორებს ისეთი ზეგავლენა ჰქონდათ სამართლის ფორმირებაზე, როგორც იმედიც დღეს ვერც ერთ ავტორს ვეღარ ექნება. მაგრამ მეცნიერებს მთლიანად არ დაუკარგავთ თავინთი როლი სამართლის ჩამოყალიბებაში. ისინი კვლავ გვევლინებიან ავტორებად გარკვეული კონცეპტუალური ჩარჩოსი, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი სახის იურიდიული დებატებისთვის. მაგალითად, დიდი ხნით ადრე, ვიდრე ყიდელი დაინყებდა წერას ტერიტორიული წყლების თაობაზე, სახელმწიფოები უჩიოდნენ საკუთარი ტერიტორიული ზღვების მიდამოებში მათ უფლებათა შეზღუდვას; მაგრამ სწორედ ყიდელმა შექმნა მომიჯნავე ზონის ცნება, როგორც ასეთ სარჩელთა კანონიერების განხილვის ჩარჩო.¹³⁹ ამას გარდა, შეიძლება დავინახოთ, რომ დიპლომატიური დავის შემთხვევაში სახელმწიფოები ხშირად კვლავ სპეციალისტებს იმონებენ (თუმცა ასეთი ციტატები ყოველთვის არ ჩაითვლება არგუმენტებად), რადგან მეცნიერები, ჩვეულებრივ, სახელმწიფოთა პრაქტიკის ყოველმხრივ, ამომწურავ, ლაკონურ და (თუ ბედმა გაგვიღიმა) ობიექტურ შეჯამებას იძლევიან (რეზიუმე, რომელიც ჰარვარდის კონვენციითაა პროექტების მსგავსად, მაქსიმალურად ლაკონურია, განსაკუთრებით ხელსაყრელია ციტირებისათვის). მოკლედ, მეცნიერები ახდენენ სახელმწიფოთა, ხოლო სახელმწიფოები – მეცნიერთა ციტირებას, ყოველ შემთხვევაში მაშინ მაინც, როდესაც ეს მათ ინტერესებს შეესაბამება.

საზოგადოდ, სამყაროში, სადაც უამრავი კულტურა არსებობს, ძნელია იმ ავტორთა „მოძღვრებების“ დადგენა, რომლებიც ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა ამ ავტორების კონკრეტული წინადადებების უნივერსალური აღიარება. ამას აძნელებს აგრეთვე საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებულ ავტორთა რიცხვის საოცარი ზრდა.¹⁴⁰ მაშინ, როდესაც საერთაშორისო ტრიბუნალები ხშირად ახდენენ სახელმძღვანელოებისა და ავტორთა ციტირებას,¹⁴¹ საერ-

თაშორისო სასამართლო ამ მხრივ გაცილებით უფრო თავშეკავებული თავის გადაწყვეტილებებში¹⁴², განსხვავებით ინდივიდუალური მოსამართლეების განსხვავებული და თანმხვედრი თვალსაზრისისაგან.¹⁴³

¹⁴² S. Rosenne. *The Law and Practice of the International Court of Justice*, 2nd edn 1985. 614-6.

¹⁴³ იბ. თ. 18.

¹⁴⁴ იბ. K. Skubiszewski. Resolutions of the U.N. General Assembly and Evidence of Custom. in *Etudes en l'honneur de R. Ago*, 1987, Vol. I. 503 et seq.; B Sloan. General Assembly Resolutions Revisited (Forty Years After). *BYIL* 58 (1987). 39 et seq.; C. Economides. Les Actes institutionnels internationaux et les sources du droit international. *AFDI* (1988). 142 et seq.; J.A. Frowein. The Internal and External Effects of Resolutions by International Organizations. *ZaoRV* 49 (1989). 778-90; B. Sloan. *United Nations General Assembly Resolutions in Our Changing World*, 1991; J.A. Barberis. Les Resolutions des organisations Internationales en tant que source du droit de gens. in *FS Bernhardt*, 21-39; H.G. Schermers. International Organizations. Resolutions. *EPIL* II (1995). 1333-36.

¹⁴⁵ იბ. თ. 9.

¹⁴⁶ იბ. თ. 22.

¹⁴⁷ იბ. თ. 6.

¹⁴⁸ იბ. თ. 15.

¹⁴⁹ იბ. თ. 13.

საერთაშორისო სამართლის სხვა შესაძლო წყაროები

ვინაიდან უკვე დავამთავრეთ საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში მითითებული სამართლის წყაროთა სიის განხილვა, ახლა გავარკვიოთ, ხომ არ არის კიდევ სხვა წყაროები, რომლებიც არ შევიდა ამ ჩამონათვალში.

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტები

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვის ზრდასთან ერთად გაჩნდა მოსაზრება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტები საერთაშორისო სამართლის წყაროდ უნდა ყოფილიყო აღიარებული.¹⁴⁴ მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციათა ორგანოები მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან შედგება და ძალიან ხშირად ამ ორგანოთა აქტები, ფაქტობრივად, მათში წარმოდგენილ სახელმწიფოთა აქტებია. ასე მაგალითად, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია შესაძლებელია ჩვეულებითი სამართლის დადასტურება იყოს, რადგან იგი იმ სახელმწიფოთა მოსაზრებას ასახავს, რომელთაც მის მიღებას მისცეს ხმა. რეზოლუციას სხვა (გაეროს ფარგლებს გარეთ ჩატარებულ) კონფერენციაზე მიღების შემთხვევაშიც ალბათ ზუსტად ისეთივე ღირებულება ექნებოდა და ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მას ბევრი სახელმწიფო არ დაუჭერდა მხარს, მისი ღირებულება, როგორც ჩვეულებითი სამართლის ნორმისა, შემცირდებოდა.

ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჩვეულებრივ, ერთი ორგანო მაინც აქვთ, რომელიც წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან არ შედგება. ასეთ ორგანოთა პრაქტიკა შეიძლება სამართლის წყარო გახდეს. ასე მაგალითად, გაეროს სამდივნო ხშირად გამოდის ხელშეკრულებათა დეპოზიტორის როლში და მისმა, როგორც დეპოზიტორის, პრაქტიკამ უკვე იქონია გარკვეული გავლენა ხელშეკრულებით სამართალზე ისეთ საკითხებში, როგორიცაა, მაგალითად, დათქმები.¹⁴⁵

ხანდახან საერთაშორისო ორგანიზაცია უფლებამოსილია, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები (ხშირად ხმათა უმრავლესობით), რომლებიც სავალდებულო იქნება წევრი სახელმწიფოებისათვის. გარდა „შიდა“ საკითხებისა, როგორიცაა ბიუჯეტი, წევრად მიღება, წევრობიდან გარიცხვა და ა.შ., ამის ერთადერთი ნათელი მაგალითია გაეროს ქარტიის VII თავი, რომელიც უშიშროების საბჭოს ანიჭებს უფლებას, მისცეს მითითებები სახელმწიფოებს, მათ მიერ მშვიდობის მუქარის, მშვიდობის დარღვევის და აგრესიის გამოვლენის შემთხვევაში.¹⁴⁶ ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას უფრო ხშირად იყენებს. ეს განსაკუთრებით ეხება ევროგაერთიანებას.¹⁴⁷ მაგრამ სადავოა, რამდენად შეიძლება ასეთი გადაწყვეტილებების მიჩნევა სამართლის დამოუკიდებელ წყაროდ, რადგან გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილების მინიჭება ხდება შესაბამისი ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულებით. იგივე ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის უფლებამოსილებას, მიიღოს სავალდებულო გადაწყვეტილებები ვალუტის გაცვლის ვადების შენარჩუნების, შეცვლის თუ შემცირების შესახებ,¹⁴⁸ ან საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მმართველობის უფლებამოსილებას, მიიღოს ნავიგაციის სავალდებულო სტანდარტები ან საფრენოსნო პერსონალის კვალიფიკაციის ნორმები.¹⁴⁹

რეზოლუციათა უმრავლესობას არაფერი აქვს საერთო საერთაშორისო სა-

¹⁵⁰ იბ. ზემოთ.

¹⁵¹ Bernhardt (1992), *op. cit.*, 904.

¹⁵² იბ. Akehurst (1974-5), *Custom, op. cit.*, 5-7.

¹⁵³ იბ. T. Schweisfurth, *The Influence of the Third United Nations Conference on the Law of the Sea on International Customary Law, ZaarV-43* (1983), 566-84, 577.

¹⁵⁴ UNGARes. 1653 XVI) of 24 November 1961.

¹⁵⁵ *Legality of Nuclear Weapons Case, op. cit.*, at 826, para. 70.

¹⁵⁶ *Ibid.*, para. 71, იბ. აგრეთვე, *The Dissenting Opinion of Judge Schwebel, ibid.*, 839.

¹⁵⁷ R. Bierzanek, *Some Remarks on "Soft" International Law*, *PYIL* 17 (1988), 21-40; C.M. Chinkin, *The Challenge of Soft Law: Development and Change in International Law, ICLQ* 38 (1989), 850-66; P.-M. Dupuy, *Soft Law and the International Law of the Environment*, *Mich. ILJ* 12 (1991), 420-35; H. E. Chodosh, *Neither Treaty Nor Custom: The Emergence of Declarative International Law, Texas ILJ* 26 (1991), 87-124; W. Heusel, *"Welches" Völkerrecht: Eine vergleichende Untersuchung typischer Erscheinungsformen*, 1991; F. Francioni, *International "Soft Law": A Contemporary Assessment*, in *Lowe Fitzmaurice (eds), op. cit.*, 167-78.

მართალთან. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რეზოლუცია კიბოს მიზეზების კვლევის რეკომენდაციათა შესახებ. მაშინაც კი, როდესაც რეზოლუციები საერთაშორისო სამართალს ეხება, ისინი შესაძლებელია, უბრალოდ ცვლილებათა რეკომენდაციები იყოს და ასეთ რეზოლუციათა ტექსტი არ შეიძლება იქნეს ინტეგრირებული, როგორც არსებული სამართლის გამოხატულება. რეზოლუცია, რომელიც აცხადებს, რომ X უნდა იყოს წესი, აშკარად არ არის მოწმობა იმისა, რომ X მართლაც არის ასეთი. თუ რეზოლუცია აცხადებს, რომ X სამართლებრივი ნორმაა, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ჩვეულებითი სამართლის მოწმობა. მაგრამ ასეთ რეზოლუციათა ღირებულება იცვლება მათთვის ხმის მიმცემ სახელმწიფოთა რაოდენობის შესაბამისად. თუ ბევრმა სახელმწიფომ მისცა ხმა მის წინააღმდეგ, მისი ღირებულება, როგორც ჩვეულებითი სამართლის მოწმობისა, შესაბამისად, მცირდება.

უკვე ითქვა, რომ ნიკარაგუის საქმეში¹⁵⁰ საერთაშორისო სასამართლო ხშირად მიმართავდა საერთაშორისო ორგანიზაციითა რეზოლუციებს, როგორც „სამართლის წყაროს“, ¹⁵¹ მაგრამ საეჭვოა, რომ მას ეს რეზოლუციები წყაროებად გამოეყენებინა ტექნიკური თვალსაზრისით. საერთაშორისო ორგანიზაციის შეკრებაზე მიღებული რეზოლუცია არასდროს არ არის ჩვეულებითი სამართლის მოწმობა. იგი ჩვეულებითი სამართლის ყველა სხვა მოწმობასთან ერთად უნდა გაანალიზდეს და შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს რეზოლუცია არ არის ჩვეულებითი სამართლის მართებული გამოხატულება. ¹⁵² დაბოლოს, თუ არ არსებობს შესაბამისი პრაქტიკა, მაშინ უბრალო განცხადება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სამართალი, არ არის სამართლის მოწმობა, არამედ მხოლოდ სახელმწიფოთა შესაბამისი პოზიციების გარკვევის ცდაა. ¹⁵³

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სასამართლომ ბირთვული იარაღით მუქარის კანონიერების საქმეში 1996 წლის საკონსულტაციო დასკვნაში, 1961¹⁵⁴ წლის შემდგომი გენერალური ასამბლეის რეზოლუციებზე დაყრდნობით, განაცხადა:

„გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, თუნდაც მათ არ ჰქონდეთ სავალდებულო ხასიათი, ხანდახან შეიძლება ნორმატიული ღირებულება მიენიჭოს. გარკვეულ ვითარებაში მათ შესაძლებელია მოგვცენ მოწმობა, რომელიც მნიშვნელოვანია ნორმის არსებობის აღიარების ან opinio iuris-ის აღმოცენების დაფიქსირებისთვის. იმის დასადაგენად, თუ რამდენად არის ეს სამართლიანი გენერალური ასამბლეის მოცემული რეზოლუციისათვის, აუცილებელია დაფუძვნირდეთ მის შინაარსსა და მიღების პირობებს; ასევე აუცილებელია გაავარკვიოთ, არსებობს თუ არა opinio iuris მისი ნორმატიული ხასიათის თაობაზე; ანდა რეზოლუციითა სერიამ შესაძლებელია დაგვანახოს opinio iuris-ის თანდათანობითი ევოლუცია, რომელიც საჭიროა ახალი კანონის დასადაგენად.“¹⁵⁵

და მაინც, გენერალური ასამბლეის ბირთვული იარაღის უკანონობასთან დაკავშირებული ზოგიერთი რეზოლუციის თაობაზე, საწინააღმდეგო ხმათა და თავშეკავებულთა დიდი რაოდენობის გამო, სასამართლომ ჩათვალა, რომ ის ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მოწმობა ასეთი იარაღის გამოყენების არაკანონიერების თაობაზე opinio iuris-ის არსებობისათვის. ¹⁵⁶

„რბილი სამართალი“

საერთაშორისო ორგანიზაციითა ზოგიერთი დეკლარაციისა და რეზოლუციის სტატუსის თაობაზე წინააღმდეგობრივი აზრების არსებობა დაკავშირებულია „რბილი სამართლის“ ფენომენტთან. ¹⁵⁷ აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „რბილი სამართალი“, რომელიც განსხვავდება ტერმინისაგან „მკაცრი სამართალი“, დიდ დახმარებას ვერ გაგვიწევს იურიდიული პერსპექტივის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ „რბილი ნორმები“, სამოქმედო ინსტრ-

რუქციების თვალსაზრისით (ვთქვათ ისეთების, როგორცაა გაეროს პრინციპები ტრანსნაციონალური კომპანიების მართვის შესახებ¹⁵⁸), არც სამართლის მკაცრი ნორმებია და არც მხოლოდ სრულიად შეუფარდებელი პოლიტიკური მაქსიმები. ეს ნორმები სამართლისა და პოლიტიკის სასაზღვრო ზონაში მოქმედებს და საერთაშორისო ეკონომიკური და საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართლის სპეციფიკურ მახასიათებლებად ითვლება.¹⁵⁹ ასეთი წინაპირობები შეიძლება ვიპოვოთ, მაგალითად, ხელშეკრულებებში, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული ან საერთაშორისო კონფერენციებისა და ორგანიზაციების რეზოლუციებში, რომელთაც არა აქვთ იურიდიული ვალდებულების ძალა.

„რბილი ნორმის“ წარმოქმნა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სახელმწიფოებს ჯერჯერობით არ სურთ იურიდიული ვალდებულების აღება, მაგრამ უნდათ გარკვეული წესებისა და პრინციპების მიღება და გამოცდა, სანამ ეს წესები და პრინციპები სამართლის ნორმებად გადაიქცეოდეს. ხშირად ეს ხელს უწყობს კონსენსუსის მიღწევას, როცა ამის მიღწევა „მკაცრი სამართლის“ მეშვეობით გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა. ასეთი პრაქტიკის მაგალითია გარემოს დაცვისა და განვითარების 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციაზე მიღებული სატყეო დეკლარაცია, რომელსაც ასეთი მეტყველი სათაური აქვს: „ყველა ტიპის ტყეების მენეჯმენტის, კონსერვაციისა და განვითარების შესახებ გლობალური კონსენსუსის პრინციპების არაიურიდიული ვალდებულებების ავტორიტეტული ნუსხა.“¹⁶⁰ სახელმწიფოებს ისიც კი შეუძლიათ გადანყვიტონ, რომ შექმნან საკუთარი ორგანოებისა და სტრუქტურების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო ამოცანებს რაიმე სავალდებულო იურიდიული მოვალეობების დანესების გარეშე შეასრულებენ, როგორც ეს გაკეთდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციასთან დაკავშირებით 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტის საფუძველზე.¹⁶¹

ასეთმა დირექტივებმა, რომლებიც აშკარად არაიურიდიულად არის მიჩნეული, რეალურ პრაქტიკაში შესაძლებელია მაინც მნიშვნელოვანი ძალა შეიძინოს საერთაშორისო მოქმედებების სტრუქტურირების თვალსაზრისით.¹⁶² „რბილი სამართლის“ ნორმებს შესაძლებელია ღირებულება ჰქონდეს საერთაშორისო სამართლის სოციოლოგიური პერსპექტივის თვალსაზრისითაც, ჩვეულებითი სამართლის ან ხელშეკრულებითი სამართლის ჩამოყალიბების პროცესის თვალსაზრისით და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სისტემაში „ლეგიტიმურობის“ საკითხისათვის.¹⁶³ მაგრამ ყოველ მოცემულ მომენტში ამ კანონშემოქმედებითი პროცესის შედეგი ან არის სავალდებულო ნორმა, ან არა. ამრიგად, სამართლის ცნების თვალსაზრისით, არსებითი რჩება de lege lata ნორმისა და de lege ferenda ნორმის განსხვავება¹⁶⁴, განსხვავება არსებული სამართლებრივი ნორმების კოდიფიკაციასა და ნორმების პროგრესულ განვითარებას, იურიდიულ და არაიურიდიულ ნორმებს შორის (სავალდებულო ხასიათის თვალსაზრისით), დაბოლოს, იურიდიულ და პოლიტიკურ სისტემებს შორის. ამის გარეშე გაძნელებოდა იდეოლოგიურად ან პოლიტიკურად მოტივირებული სარჩელებისა და საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმებისა და პრინციპების განსხვავება. მესამე, ნორმათშემოქმედების პროცესში აღმოცენების სტადიაში მყოფი გარკვეული პრინციპები და ნორმები, რომლებიც ჯერჯერობით არ არის აღიარებული, როგორც იურიდიულად სავალდებულო, გარკვეულ „წინმსწრებ“ შემოქმედებას ახდენენ საამართლოსა და არბიტრაჟის გადანყვიტულობაზე.

სამართლიანობა

ამ კონტექსტში სიტყვა equity („სამართლიანობა, მიუკერძოებლობა“) იხმარება არა იმ ტექნიკური მნიშვნელობით, რომელიც მას ინგლისურ-ამერიკულ იურიდიულ სისტემებში აქვს, არამედ სიტყვა „justice“-ის („სამართ-

¹⁵⁸ იხ. თ. 6.

¹⁵⁹ იხ. I. Seidl-Hohenveldern. International Economic "Soft Law". *RdC* 163 (1979), 165 et seq.; W.E. Burhenne (ed.). *International Environmental Soft Law. Collection of Relevant Instruments*, 1993; M.A. Fitzmaurice. *International Environmental Law as a Special Field*, *NYIL* 25 (1994), 181-226, at 199-201. იხ. თ. 15 და თ. 16.

¹⁶⁰ იხ. *ILM* 31 (1992), 818 et seq.; P. Malanczuk. Sustainable Development: Some Critical Thoughts in the Light of the Rio Conference, in K. Ginther/E. Denters/P.J.I.M.de Waart (eds). *Sustainable Development and Good Governance*, 1995, 23-52. იხ. აგრეთვე, თ. 16.

¹⁶¹ იხ. T. Schweisfurth. Zur Frage der Rechtsnatur, Verbindlichkeit und völkerrechtlicher Relevanz der KSZE Schlußakte. *ZaorV* 36 (1976), 681 et seq.; I. Seidl-Hohenveldern. Internationale Organisationen aufgrund von soft law, in *FS Bernhardt*, 229-39; T. Schweisfurth. Die juristische Mutation der KSZE - Eine Internationale Organisation in statu nascendi. *ibid.*, 213-28; M. Sapiro. Changing the CSCE into the OSCE: Legal Aspects of a Political Transformation. *AJIL* 89 (1995), იხ. თ. 6.

¹⁶² იხ. აგრეთვე, M. Bothe. Legal and Non-Legal Norms - A Meaningful Distinction in International Relations?, *NYIL* 11 (1980), 65-95.

¹⁶³ იხ. თ. 2.

¹⁶⁴ იხ. ზემოთ.

¹⁶⁵ იბ. თ. 2.

¹⁶⁶ იბ. M. Akehurst, *Equity and General Principles of Law*, *ICLQ* 25 (1976), 801 *et seq.*; V. Lowe, *The Role of Equity in International Law*, *AJIL* 12 (1988/9), 125-76; C.M. Fombad, *Equity in Current International Practice*, *REDI* 45(1989), 1-27; C.R. Rossi, *Equity as a Source of International Law? A Legal Realist Approach to the Process of International Decision-Making*, 1993; M. Lachs, *Equity in Arbitration and in Judicial Settlement of Disputes*, *LJIL* 6 (1993), 323-9; T.M. Franck/D.M. Sughree, *The International Role of Equity-as-Fairness*, *Geo. LJ* 81 (1993), 563-95; P. Well, *L'Equite dans la jurisprudence de la Cour Internationale de Justice*, in *Lowe/Fitzmaurice (eds), op. cit.*, 121-44; *Equity in International Law*, *EPIL* (1995), 109-13; T.M. Franck, *Fairness in International Law*, 1995, Chapter 3: *Equity as Fairness*, 47 *et seq.*

¹⁶⁷ PCIJ, series A/B, no. 70, 76-7.

¹⁶⁸ *RIM* II, 1307 und III, 1817.

¹⁶⁹ იბ. Janis, *op. cit.*

ლიანობა“) სინონიმის სახით. ამას გარდა, ისინი, ვინც სამართლიანობას საერთაშორისო სამართლის წყაროდ მიიჩნევენ, ხშირად მიმართავენ ბუნებით სამართალს¹⁶⁵, რათა გააძლიერონ თავინთი არგუმენტაცია და თავიდან აიცილონ სუბიექტივიზმში ბრალდება. ამრიგად, არის ტენდენცია, რომ ეს სამი ტერმინი – „მიუკერძოებლობა“ (equity), „სამართლიანობა“ (justice) და „ბუნებითი სამართალი“ (natural law) – ერთმანეთს შეერწყას.

მე-16-17 საუკუნეებში ბუნებითი სამართალი საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყარო იყო. მე-19 და მე-20 საუკუნეებში არბიტრებს ხშირად ენიჭებოდათ უფლებამოსილება, გადაეწყვეტათ საქმე სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის, ასევე საერთაშორისო სამართლის საფუძველზე (ეს 1920 წლამდე უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე დღეს); ასეთი უფლებამოსილების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მოსამართლეები და არბიტრები ხანდახან სამართლიანობის იდეას იშველიებდნენ.¹⁶⁶

მდინარე მეუზის საქმეში (River Meuse case (Netherlands v. Belgium), 1937)¹⁶⁷ ჰოლანდიამ სარჩელი აღძრა იმის გამო, რომ ბელგიამ დაარღვია ხელშეკრულება, რადგან გაიყვანა არხი, რომელმაც შეცვალა მდინარე მეუზის დინება. ერთ-ერთი სადავო საკითხი ის იყო, ხომ არ დაკარგა ჰოლანდიამ ასეთი სარჩელის აღძვრის უფლება იმით, რომ უფრო ადრე თვითონაც ჩაიდინა მსგავსი რამ. ამასთან დაკავშირებით მოსამართლე ჰადსონი თავის პირად მოსაზრებაში აღიარებდა სამართლიანობის პრინციპს, როგორც საერთაშორისო სამართლის ნაწილს. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო სასამართლო პალატის წესდებაში არ არის აშკარად გამოხატული უფლებამოსილება, რომ სამართლიანობა გამოყენებულ იქნეს, როგორც სამართლისაგან განსხვავებული რამ. მაგრამ მან მიუთითა წესდების 38-ე პუნქტზე, რომელიც უშვებს ზოგადი პრინციპების გამოყენებას და დაასაბუთა, რომ სამართლიანობის პრინციპები საერთოა ყველა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში.

ამრიგად, მოსამართლეს ან არბიტრს ყოველთვის შეუძლია სამართლიანობის გამოყენება სამართლის ინტერპრეტაციისათვის ან მასში ხარვეზების შესავსებად, მაშინაც, როდესაც მას გარკვევით არ ენიჭება ამის უფლება. მაგრამ მას არ შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება *ex aequo et bono* (გადაწყვეტილება, სადაც სამართლიანობას ეძლევა უპირატესობა ყველა სხვა ნორმასთან შედარებით), თუ აშკარად არა აქვს ამის უფლება მინიჭებული.

საერთაშორისო სამართლის 38-ე(2) პუნქტი ამბობს, რომ 38-ე(1) პუნქტში ჩამოთვლილი წყაროები არ ეწინააღმდეგება სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაწყვიტოს საქმე *ex aequo et bono*, თუ მხარეებს შორის იქმნება თანხმობა ამის თაობაზე. 38-ე (2) პუნქტი არასდროს ყოფილა გამოყენებული, მაგრამ სხვა ტრიბუნალებს მინიჭებიათ უფლება, მიეღოთ გადაწყვეტილება *ex aequo et bono*; მაგალითად, ორი ლათინურამერიკული სასაზღვრო დავა ამ გზით გადაწყვიტეს არბიტრებმა 1930-იან წლებში.¹⁶⁸

როგორი დამოკიდებულებაც უნდა ყოფილიყო ამ საკითხისადმი წარსულში, საეჭვოა, არის თუ არა სამართლიანობა დღეს საერთაშორისო სამართლის წყარო. ვერ დავასკვნით, რომ მოსამართლე სამართლიანობას სამართლის წყაროდ იყენებდეს, როდესაც იგი მიუთითებს, რომ მის მიერ გამოყენებული ნორმა მიუკერძოებელი და სამართლიანია. ეროვნულ სასამართლოში ადვოკატი და მოსამართლეები, როცა სამართლის გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით ავტორიტეტული მოსაზრებები იყოფა, ხშირად მიმართავენ სამართლიანობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამართლიანობა ეროვნული სამართლის წყაროა. არც საერთაშორისო სამართლის სფეროში მომუშავე იურისტების მიერ სამართლიანობის გამოყენება უნდა იყოს ისე ინტერპრეტირებული, თითქოს სამართლიანობა საერთაშორისო სამართლის წყარო იყოს.

უკანასკნელ დროს სამართლიანობა საერთაშორისო სამართალში ორ საკმაოდ განსხვავებულ კონტექსტში იყო განხილული.¹⁶⁹ პირველი – საერთაშორის-

სო სასამართლოს მიერ სახელმწიფოთა შორის საზღვაო საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით სამართლიანობის პრინციპების გამოყენება,¹⁷⁰ მეორე – განვითარებადი ქვეყნების სადავო მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ დამყარდეს ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობა, რომელიც სამართლიანობის პრინციპებს დაეფუძნება და მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოთა შორის სიმდიდრეს სამართლიანად გაანაწილებს.¹⁷¹ სამართლიანობასთან დაკავშირებულ პრობლემათაგან ერთ-ერთი ისაა, რომ ხშირად მისი განსაზღვრა მხოლოდ გარკვეულ სისტემასთან მიმართებით არის შესაძლებელი. ამდენად, თუმცა სამართლიანობაზე გეზის აღებას აზრი აქვს ეროვნულ საზოგადოებაში, რომელსაც საერთო ეთიკური ღირებულებები აკავშირებს, ვითარება სრულიად განსხვავებულია საერთაშორისო სარბიელზე, სადაც უმეტესად ურთიერთ-წინააღმდეგობრივი ფილოსოფიური სისტემების შეჯახება ხდება.¹⁷²

წყაროთა იერარქია

რა ხდება, როდესაც საერთაშორისო სამართლის ერთი წყაროდან გამოყვანილი ნორმა ეწინააღმდეგება მეორე წყაროდან გამოყვანილ ნორმას? ¹⁷³ რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა? არსებობს საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლში ჩამოთვლილ წყაროთა გამოყენების თანმიმდევრობა. ამ მუხლის ჩამოყალიბების პროცესში წამოაყენეს წინადადება, რომ ჩამოთვლილი წყაროები სასამართლომ „მითითებული რიგით“ (ა-დ) უნდა განიხილოს. ეს წინადადება არ მიიღეს და გამოითქვა მოსაზრება, რომ სასამართლოს შეუძლია, მაგალითად, ზოგადი პრინციპები ხელშეკრულებებზე და ჩვეულებით სამართალზე ადრე გამოიყენოს“.¹⁷⁴

ხელშეკრულებითი და ჩვეულებითი სამართლის ურთიერთმიმართება განსაკუთრებით რთულია.¹⁷⁵ ამკარაა, რომ ხელშეკრულებას, როდესაც ის პირველად შედის ძალაში, ჩვეულებით სამართალზე მეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეებისათვის. ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რის გამოც სახელმწიფოები დებენ ხელშეკრულებებს, არის ის, რომ ისინი არაადეკვატურად მიიჩნევენ ჩვეულებითი სამართლის სათანადო ნორმებს. ასე, ორ ან მეტ სახელმწიფოს შეუძლია, ნაწილობრივ გააუქმოს ჩვეულებითი ნორმები განსხვავებული ვალდებულებების დამკისრებელი ხელშეკრულების დადებით, მათი სამართალშემოქმედებითი თავისუფლების ერთადერთი შემზღვეველი მოვლენა შეიძლება იყოს ნორმა *ius cogens*, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.¹⁷⁶

მაგრამ ხელშეკრულებები შესაძლებელია დასრულდეს მოძველებულობის გამო – ტერმინი, რომელიც ისეთი სიტუაციის აღსაწერად გამოიყენება, როდესაც ხელშეკრულება მუდმივად იგნორირებულია ერთი ან მეტი მხარის მიერ, სხვა მხარის თუ მხარეების მდუმარე თანხმობის ვითარებაში.¹⁷⁷ მოძველებულობა ხშირად იღებს ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმის ფორმას, რომელიც ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგოა.¹⁷⁸

ამრიგად, ხელშეკრულებები და ჩვეულებითი ნორმები თანაბარი ღირებულებისაა; დროდადრო უპირატესობა უკანასკნელს ეძლევა. ეს შეესაბამება ზოგად მაქსიმას: *lex posterior derogat priori* (მომდევნო კანონი აუქმებს წინას). მაგრამ ხელშეკრულებასა და ჩვეულებით ნორმას შორის შესაძლო კონფლიქტების გადაწყვეტისას ორი სხვა პრინციპია გასათვალისწინებელი, სახელდობრ: *lex posterior generalis non derogat priori speciali* (მომდევნო, ზოგადი კანონი არ აუქმებს წინა კონკრეტულ კანონს) და *lex specialis derogat legi generali* (კონკრეტულ კანონს უპირატესობა ენიჭება ზოგად კანონთან შედარებით).

რამდენადაც სამართლის ზოგადი პრინციპების ძირითადი ფუნქცია ხელშეკრულებით სამართალსა და ჩვეულებით სამართალში ხარვეზების შევსებაა, სამართლის ზოგადი პრინციპები დაქვემდებარებული აღმოჩნდება ხელშეკ-

¹⁷⁰ იხ. L.D.M. Nelson, *The Roles of Equity in the Delimitation of Maritime Boundaries*, *AJIL* 84 (1990), 837-58; M. Miyoshi, *Considerations of Equity in the Settlement of Territorial Boundary Disputes*, 1993; B. Kwiatkowska, *Equitable Maritime Boundary Delimitation*, in Lowe/Fitzmaurice (eds), *op. cit.*, 264-92. იხ. თ. 12.

¹⁷¹ იხ. თ. 15.

¹⁷² იხ. Akehurst (1976), *op. cit.*, C. Tomuschat, *Ethos, Ethics and Morality in International Relations*, *EPIL* II (1995), 120-7.

¹⁷³ M. Akehurst, *The Hierarchy of the Sources of International Law*, *BYIL* 47 (1974-5), 273 *et seq.*; W. Karl, *Treaties, Conflicts between*, *EPIL* 7 (1984), 467-73; W. Czaplinski /G. Danilenko, *Conflicts of Norms in International Law*, *NYIL* 21 (1990), 3-42.

¹⁷⁴ იხ. *Harris CMIL*, 25.

¹⁷⁵ იხ. Schachter, *op. cit.*, 70-6, 335-42; Villiger, *op. cit.*

¹⁷⁶ იხ. ქვემოთ.

¹⁷⁷ იხ. თ. 9.

¹⁷⁸ იხ. N. Kontou, *The Termination and Revision of Treaties in the Light of New Customary International Law*, 1994.

¹⁷⁹ Bernhardt (1992), *op. cit.*, 899.

¹⁸⁰ იბ. თ. 2.

¹⁸¹ იბ. თ. 2.

¹⁸² P. Well, *Towards Relative Normativity in International Law?*, *AJIL* 77 (1983), 413-42. is critical of the concept of "ius cogens". იბ. further J.A. Frowein, *Jus Cogens*, *EPIL* 7 (1984), 327. at 328-9; L. Hannikainen, *Peremptory Norms (ius cogens) in International Law: Historical Development, Criteria, Present Status*, 1988; H.A. Strydom, *Ius Cogens: Peremptory Norm or Totalitarian Instrument?*, *SAYIL* 14 (1988/9), 42-58; A. D'Amato, *It's a Bird. It's a Plane, It's jus cogens!*, *Com. JIL* 6 (1990), 1-6; G.M. Danilenko, *International jus cogens: Issues of Law-Making*, *EJIL* 2 (1991), 42-65; J. Paust, *The Reality of jus cogens*, *Conn. JIL* 1 (1991), 81-5; S. Kadelbach, *Zwingendes Völkerrecht*, 1992; J. Kasto, *Ius Cogens and Humanitarian Law*, 1994. ¹⁸³ *ILM* 8 (1969), 679; *AJIL* 63 (1969), 875; *Brownlie BDIL*, 388. იბ. თ. 9.

რულებისა და ჩვეულების მიმართ (ე.ი. კონფლიქტის შემთხვევაში ხელშეკრულებებსა და ჩვეულებას უპირატესობა ეძლევა სამართლის ზოგად პრინციპებთან შედარებით).

სასამართლო გადაწყვეტილებები და სამეცნიერო ნაშრომები 38-ე (1) (დ) მუხლში კვალიფიცირებულია, როგორც „სამართლებრივი ნორმების დადგენის დამხმარე საშუალებები“, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი სამართლის წყაროებსა და ქვემდებარებული ასეთებია: ხელშეკრულებები, ჩვეულებითი სამართალი და სამართლის ზოგადი პრინციპები. სასამართლო გადაწყვეტილებებს ჩვეულებრივ მეტი წონა აქვთ, ვიდრე სამეცნიერო შრომებს, მაგრამ არ არსებობს ამ თვალსაზრისით მტკიცე წესი; ბევრი რამ არის დამოკიდებული მოსამართლისა და მეცნიერის არგუმენტაციაზე.

საერთოდ საეჭვოა, არის თუ არა სამართლიანობა საერთაშორისო სამართლის წყარო. თუნდაც იყოს, ასეთი ეჭვების არსებობა მიუთითებს, რომ იგი ძალზე დაბალი რანგის წყაროა (მაგრამ თუ ტრიბუნალი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება *ex aequo et bono*, ეს ნიშნავს, რომ ტრიბუნალს უფლება აქვს, საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი იდეა სამართლიანობის შესახებ საკუთარი იდეებით შეცვალოს).

ამრიგად, საერთაშორისო სამართლის წყაროები არაა მოწესრიგებული ზუსტი იერარქიული სისტემის სახით. ისინი ერთმანეთს ავსებენ და პრაქტიკაში ხშირად გვერდიგვერდ გამოიყენება. მაგრამ, თუ კონფლიქტი წარმოიქმნება, ხელშეკრულებები პრევალირებს ჩვეულებაზე და ჩვეულება პრევალირებს ზოგად პრინციპებსა და დამხმარე წყაროებზე.¹⁷⁹

Ius cogens

საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი ავტორი ამბობდა, რომ ხელშეკრულება ბათილი იქნება, თუ ის მორალს ან საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამ წესის ლოგიკური საფუძველი იყო ის, რომ ხელშეკრულებას არ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს ბუნებით სამართალთან შედარებით.¹⁸⁰ ბუნებითი სამართლის თეორიის დაკნინებასთან ერთად ეს წესიც დაივიწყეს, თუმცა ზოგიერთი ავტორი კვლავაც მიმართავს მას.

ცოტა ხნის წინ იყო ამ წესის გაცოცხლების ცდა. თუმცა იგი აღარ არის დაფუძნებული ბუნებით სამართალზე. ყველაზე მეტად ამ წესს საბჭოთა კავშირი სწყალობდა (რომელიც არასდროს უჭერდა მხარს ბუნებითი სამართლის ნახევრად რელიგიურ თეორიას). ამჟამად ამბობენ, რომ ეს წესი ზღუდავს სახელმწიფოთა თავისუფლებას ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის შემუშავებაში, აგრეთვე, ხელშეკრულებების დადების თავისუფლებას. ამრიგად, ეს წესი საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა რეგიონალურ სისტემებზე დეზინტეგრაციის წინააღმდეგ მოქმედებს.¹⁸¹ საერთაშორისო სამართლის ამ ფუნდამენტური პრინციპის ტექნიკური სახელწოდებაა „საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმები“, სხვაგვარად – *ius cogens*.¹⁸²

1969 წელს ვენის კონვენციის 53-ე მუხლში¹⁸³ ნათქვამია:

ხელშეკრულება ძალადაკარგულია, თუ დადების დროს ეწინააღმდეგება საყოველთაო საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმას. მოცემული კონვენციის მიზნებისათვის საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმა სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული და მიღებული ნორმაა, რომლისგანაც არანაირი გადახრა არ არის დასაშვები და რომლის შეცვლა მხოლოდ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იმავე ხასიათის მომდევნო ნორმას შეუძლია.

ის, რაც ითქვა ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ, სავარაუდოა ასევე თანაბრად ვრცელდებოდეს ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის ნორმებზე. მიზეზი, რომლის გამოც ზემოთ მოყვანილ ტექსტში არ არის ნახსენები ადგილობრივი ჩვეულებითი ნორმა, ისაა, რომ კონვენციის მიზანი მხოლოდ ხელშეკრულებათა სამართლის კოდიფიკაცია იყო.

თუმცა „სავალდებულო ნორმების“ ფრთხილი განსაზღვრა მხოლოდ „მოცემული კონვენციის ამოცანებს“ უკავშირდება, იგი, სავარაუდოა, ღირებული იყოს ყველა მიზნისთვისაც. ეს განსაზღვრა უფრო მოხერხებულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. წესი ვერ გახდება იძულებითი ნორმა, სანამ მას არ „მიიღებს და აღიარებს სახელმწიფოთა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა“ – ეს მოთხოვნა იმდენად ლოგიკური და რაციონალურია, რომ ყოველგვარ კრიტიკას უძლებს; მაგრამ უეჭველად საჭიროა მისი განსაზღვრა, რადგან უკვე ყოფილა შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები ცდილობდნენ მათთვის მოუხერხებელი საერთაშორისო სამართლის ნორმების გვერდის ავლას, იმის გამო, რომ ეს ნორმები ეწინააღმდეგებოდა *ius cogens*-ის ზოგიერთ უცნაურ მაგალითს; ასეთი საფრთხე წარმატებით შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, თუ ასეთ სახელმწიფოებს მოვთხოვთ დაამტკიცონ, რომ *ius cogens*-ის სავარაუდო წესი „მიღებული და აღიარებულია სახელმწიფოთა მთელი თანამეგობრობის“ მიერ. ეს წესი უნდა იყოს მიღებული და აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მისი წევრების დიდი უმრავლესობით და არ შეიძლება ძალით მოეხვიოს თავს სახელმწიფოთა მნიშვნელოვან უმცირესობას. ამდენად საჭიროა სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა, რომელიც გადაფარავს კულტურულ და იდეოლოგიურ განსხვავებებს.

ამჟამად მხოლოდ რამდენიმე წესი უძლებს ამ გამოცდას. თუმცა კანდიდატების სახით ბევრი წესი იქნა დასახელებული. ზოგიერთი ავტორის აზრით, არსებობს მნიშვნელოვანი თანხმობა ძალის გამოყენების, გენოციდის, მონობის, ადამიანთა თვითგანსაზღვრის უფლების უხეში დარღვევისა და რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე.¹⁸⁴ სხვები ამას უმატებენ წამების აკრძალვას.¹⁸⁵

ბარსელონის საქმესთან (Barcelona Traction Case) დაკავშირებით 1970 წელს საერთაშორისო სასამართლო ბუნდოვან *obiter dictum*-ში დაემყარა „პიროვნების ძირითად უფლებებს“, რომელიც მოიცავს მონობის, რასობრივი დისკრიმინაციის, აგრესიისა და გენოციდის აკრძალვას; ეს კი მიჩნეულია, რომ „ყველა სახელმწიფოს ეხება“, თუმცა *ius cogens*-ის ცნების აშკარა აღიარების გარეშე¹⁸⁶. მაგრამ „პიროვნების ძირითადი უფლებების“ გარდა, რომლებიც აღნიშნულია ამ საქმეში, ერთადერთი, რაც დღეს საყოველთაო აღიარებას უახლოვდება, არის ნორმა აგრესიის წინააღმდეგ.¹⁸⁷ ბირთვული იარაღის კანონიერების საქმესთან (Legality of Nuclear Weapons Case) დაკავშირებით თავის საკონსულტაციო აზრში საერთაშორისო სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ, დაესვა კითხვა – არის თუ არა (შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოსაყენებელი) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უნივერსალურად აღიარებული პრინციპები¹⁸⁸ *ius cogens*-ის ნაწილი, როგორც ეს განსაზღვრულია ვენის კონვენციის 53-ე მუხლში.¹⁸⁹ აღსანიშნავია ისიც, რომ 53-ე მუხლზე მოსამზადებელი მუშაობის დროს შეუძლებელი გახდა შეთანხმების მიღწევა იმის თაობაზე, თუ რომელი საერთაშორისო ნორმები ეკუთვნის *ius cogens*-ს. საფრანგეთმა უარიც კი თქვა კონვენციის მიღებაზე 53-ე მუხლის გამო. *ius cogens*-ის ბუნდოვანებამ უბიძგა დასავლურ და ლათინურამერიკულ სახელმწიფოებს, მოეთხოვათ პროცედურული დაცვა ამავე კონვენციის 66-ე lit პუნქტში, რომლის თანახმადაც 53-ე მუხლის გამოყენებისას დავა უნდა გადაწყვიტოს საერთაშორისო სასამართლომ ან საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. სახელმწიფოთა პრაქტიკა და საერთაშორისო გადამწყვეტილებები ნამდვილად ფრთხილად ეკიდებოდნენ ამ ცნების მიღებას.

¹⁸⁴ A. Cassese, *International Law in a Divided World*, 1986, 179; Hannikainen, *op. cit.*

¹⁸⁵ იხ. R. Kuhner, *Torture*, *EPIL* 8 (1985), 510. იხ. თ. 14.

¹⁸⁶ *Barcelona Traction case (Belgium v. Spain)*, *ICJ Rep.* 1970, 3, paras. 33 and 34. იხ. თ. 14.

¹⁸⁷ იხ. თ. 19.

¹⁸⁸ იხ. თ. 20.

¹⁸⁹ *ILM* 35 (1996), 828, para. 83.

¹⁹⁰ Akehurst (1974-5).
Hierarchy, *op. cit.*, 281-5.

¹⁹¹ იბ. თ. 17.

¹⁹² იბ. თ. 1 და თ. 17.

¹⁹³ იბ. J.A. Frowein, Die Verpflichtungen *erga omnes* im Völkerrecht und ihre Durchsetzung, in R. Bernhardt *et al.* (eds), *Festschrift für Hermann Mosler*, 1983, 241 *et seq.*; P. Malanczuk, Countermeasures and Self-Defence in the ILC's Draft Articles on State Responsibility, in M. Spinedi/B. Simma (eds), *United Nations Codification of State Responsibility*, 1987, 231 *et seq.*; A.J.J. de Hoogh, The Relationship between *jus cogens*, Obligations *erga omnes* and International Crimes: Peremptory Norms in Perspective, *AJPIIL* 42 (1991), 183-214; B. Simma, Does the UN Charter Provide an Adequate Legal Basis for Individual or Collective Responses to Violations of Obligations *erga omnes*, in J. Delbrück (ed.), *The Future of International Law Enforcement: New Scenarios - New Law?*, 1993, 125 *et seq.*; C. Annacker, The Legal Regime of *Erga Omnes* Obligations in International Law, *AJPIIL* (1994), 131 *et seq.*; J.A. Frowein, Reactions by Not Directly Affected States to Breaches of Public International Law, *RdC* 248 (1994-IV), 345-437; C. Annacker, *Die Durchsetzung von erga omnes Verpflichtungen vor dem Internationalen Gerichtshof*, 1994; A.J.J. de Hoogh, *Obligations erga omnes and International Crimes: A Theoretical Inquiry into the Implementation and Enforcement of the International Responsibility of States*, 1996.

¹⁹⁴ *Barcelona Traction case*, *op. cit.*, at 47, para. 91.

¹⁹⁵ *East Timor case (Portugal v. Australia)*, judgment of 30 June 1995, *ICJRep.* 1995, 90; *ILM* 34 (1995), 1581-91, para. 29. იბ. თ. 18 და თ. 19.

¹⁹⁶ იბ. M. Spinedi, *Les Crimes internationaux de l'Etat dans les travaux de codification de la responsabilité des Etats entrepris par les Nations Unies*, 1984; R. Hofmann, *Zur Unterscheidung Verbrechen und Delikt im Bereich der Staatenverantwortlichkeit*,

თუმცა საკითხი საკამათოა. საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, *ius cogens*-ის წესი შესაძლებელია გამოყვანილ იქნეს ჩვეულებიდან, და ალბათ ხელშეკრულებებიდანაც, მაგრამ არა სხვა წყაროებიდან.¹⁹⁰

ვალდებულებები *erga omnes* და „საერთაშორისო დანაშაულებანი“

Ius cogens-ის პრობლემა დაკავშირებულია *erga omnes* ვალდებულებების ცნებასთან და საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ „საერთაშორისო დანაშაულების გამო სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის კოდიფიკაციის პროექტის მიღებასთან“.¹⁹¹ რეპრესალიების საერთაშორისო სამართლის¹⁹² თანახმად, ზოგადი წესია, რომ მხოლოდ უშუალოდ დაზარალებული სახელმწიფო არის უფლებამოსილი, იმოქმედოს მეორე სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის წინააღმდეგ. *Erga omnes* ვალდებულებები საერთაშორისო სამართლის ნორმათა სავალდებულოებას ეხება, რომელთა დარღვევა დანაშაულია არა მხოლოდ უშუალოდ დაზარალებული სახელმწიფოს მიმართ, არამედ, აგრეთვე, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრის მიმართ.¹⁹³

როგორც ზემოთ აღინიშნა, ისეთი ნორმების არსებობა, რომლებიც „ყველა სახელმწიფოს“ ეხება, აღიარებულ იქნა საერთაშორისო სასამართლოს მიერ ბარსელონის საქმეში 1970 წელს. მაგრამ ეს გადაწყვეტილება საგულისხმო დათქმას შეიცავს: „უნივერსალურ დონეზე, ადამიანის უფლებების განმარტვით დადგინებული ინსტრუმენტები არ ანიჭებს სახელმწიფოებს ასეთი დარღვევების მსხვერპლთა დაცვის უფლებას, მათი მოქალაქეობის მიუხედავად.“¹⁹⁴ ამდენად, *erga omnes* ვალდებულებების დარღვევას გარკვეული სიცხადე შეაქვს მესამე სახელმწიფოთა რეაქციის შესაძლებლობის საკითხი. ასეთი სამართლებრივი ძალით აღჭურვა ყველა სახელმწიფოს იურიდიულ ინტერესებში შედის. თუმცა სასამართლოს რამდენჯერმე მოუხდა *erga omnes* ვალდებულებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მას ჯერ არ უმსჯელია ამგვარი ვალდებულებების დარღვევის იურიდიულ შედეგებზე. ცოტა ხნის წინათ ამაზე მიუთითა მოსამართლე ვეერამანტრიმ აღმოსავლეთ ტიმორის საქმესთან (*East Timor case*) დაკავშირებით. თავის მოსაზრებაში მოსამართლემ მიუთითა, რომ სასამართლომ უარყო პორტუგალიის სარჩელი ავსტრალიის წინააღმდეგ, პორტუგალიის მიერ ინდონეზიასთან დადებული შეთანხმების გამო, რადგან იგი აღმოსავლეთ ტიმორის უფლებებს ხელყოფდა, თუმცა აღიარა, რომ თვითგამორკვევის პრინციპი *erga omnes*-ის ვალდებულება იყო.

სასამართლოს თვალსაზრისით, პორტუგალიის არგუმენტი, რომ გაეროს წესდებიდან და პრაქტიკიდან მომდინარე ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას *erga omnes* ხასიათი აქვს, უნაკლოა. ერთა თვითგამორკვევის პრინციპი აღიარებულია გაეროს წესდებით და სასამართლოს იურისპრუდენციით... ეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. მაგრამ მაინც სასამართლო თვლის, რომ ნორმის *erga omnes* ხასიათი და იურისპრუდენციასთან თანხმობაში ყოფნა ორი სხვადასხვა რამაა. როგორც უნდა იყოს დაკისრებული ვალდებულება, სასამართლო ვერ განსჯის სახელმწიფოს მოქმედების კანონიერებას, თუ ეს გულისხმობს მეორე სახელმწიფოს მოქმედების კანონიერების განსჯას, რომელიც ამ საქმეში მხარეს არ წარმოადგენს. როდესაც ეს ასეა, სასამართლოს არ შეუძლია მოქმედება, თუნდაც განსახილველი უფლება *erga omnes*-ის უფლება იყოს.¹⁹⁵

ბარსელონის საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის კომისიამ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ კანონპროექტში ორი სახის საერთაშორისო სამართალდარღვევა ჩამოაყალიბა – „საერთაშორისო დელიქტი“ და „საერთაშორისო დანაშაული“.¹⁹⁶ სახელმწიფოთა პასუხისმგებ-

ლობის სტატიების პროექტის¹⁹⁷ მე-19 პუნქტში ნათქვამია:

1. სახელმწიფოს ქმედება, რომელიც არღვევს საერთაშორისო ვალდებულებას, საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტია, მიუხედავად დარღვეულ ვალდებულებათა შინაარსისა.
2. საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტი, რომელიც სახელმწიფოს მიერ იმ საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის შედეგია, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის ფუნდამენტური ინტერესების დაცვისათვის, რომ მისი დარღვევა ამ საზოგადოების მიერ დანაშაულად არის აღიარებული, წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს.
3. მე-2 პარაგრაფისა და საერთაშორისო სამართლის ძალაში მყოფი წესების საფუძველზე, საერთაშორისო დანაშაულის შედეგი *inter alia* შეიძლება იყოს:
 - ა) საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო ვალდებულების სერიოზული დარღვევა, როგორცაა, მაგ. აგრესიის აკრძალვა.
 - ბ) იმ საერთაშორისო ვალდებულების სერიოზული დარღვევა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხალხის თვითგამორკვევის უფლების დაცვისათვის, როგორცაა, მაგ., ძალის გამოყენებით კოლონიალური ბატონობის დამყარება და შენარჩუნება.
 - გ) ადამიანის დაცვასთან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის საერთაშორისო ვალდებულების (მონობის, გენოციდისა და აპართეიდის აკრძალვის) სერიოზული დარღვევა.
 - დ) არსებითი მნიშვნელობის საერთაშორისო ვალდებულების სერიოზული დარღვევა, რომელიც ეხება ადამიანის გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, საერთაშორისო დანაშაული მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, წარმოადგენს საერთაშორისო დელიქტს.

საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) თანახმად, საერთაშორისო დანაშაული ყოველთვის შეადგენს *erga omnes* ვალდებულების უხეშ დარღვევას მაშინ, როდესაც *erga omnes*-ის დარღვევა ყოველთვის არ გულისხმობს საერთაშორისო დანაშაულს. ამდენად, „საერთაშორისო დანაშაულის“ ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე *ius cogens*-ის ცნება.¹⁹⁸ მე-19 მუხლის მნიშვნელობას იურიდიული შედეგების თვალსაზრისით მაშინ დავინახავთ, როდესაც კომისიის მუშაობა უფრო განსაზღვრულ საფეხურს მიაღწევს.¹⁹⁹ მხოლოდ ორ შენიშვნას დავამატებდით. პირველი, ტერმინოლოგია არ არის მიზანშეწონილი, რადგან არის ტენდენცია, პიროვნებათა საერთაშორისო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა²⁰⁰ აგვერიოს სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, რომელიც, როგორც ასეთი, საერთაშორისო სამართალში არ არსებობს. მეორე, გარემოს მასიური დაბინძურების აკრძალვა სახელმწიფოთა პრაქტიკით *ius cogens* ნორმადაც კი არ იქნა აღიარებული.

საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია

მე-19 საუკუნის დასასრულიდან არსებული ნორმების მკაფიო ჩამოყალიბებისა და გაუმჯობესების მიზნით იყო საერთაშორისო სამართლის კოდიფიცირების საჯარო და კერძო ცდები.²⁰¹ 1899 და 1907 წლების ჰააგის კონვენციები ეხებოდა ომისა და ნეიტრალიტეტის სამართალს²⁰², 1930 წლის ერთა ლიგის ეგიდით ჩატარებული ჰააგის კონფერენციის კოდიფიკაცია ეხებოდა მოქალაქეობის კანონებს²⁰³, ტერიტორიულ წყლებსა²⁰⁴ და სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას.²⁰⁵ მაგრამ ამ ცდების უდიდესი ნაწილი წარუმატებელი იყო. შეთანხმება მხოლოდ მოქალაქეობის კანონთან დაკავშირებით მოხერხდა. უკანასკნელ წლებში ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაციის უფრო ძლიერი ტენდენცია გაჩნდა. 1958 წელს ფენევაში ხელი მოაწერეს ოთხ

ZaorV 45 (1985). 195 *et seq.*; M. Mohr. The ILC's Distinction Between "International Crimes" and "International Delicts" and Its Implications, in Spinedi/Sinima (eds), 1987, *op. cit.* 115; Malanczuk (1987), *op. cit.* at 230 *et seq.*; J.H.H. Weiler/A. Casse/M. Spinedi (eds), *International Crimes of States. A Critical Analysis of the ILC's Draft Article 19 on State Responsibility*, 1989; G. Gilbert. The Criminal Responsibility of States, *ICLQ* 39 (1990), 345 *et seq.*; de Hoogh, *op. cit.*
¹⁹⁷ Brawlie BDIL, 426. *ib. id.* 17.

¹⁹⁸ *ib. id.* ILCyB 1976, Vol. 2, part 2. 120.

¹⁹⁹ *ib. id.* B. Simma. Bilateralism and Community Interest in the Law of State Responsibility, in Y. Dinstein/M. Tabory (eds), *International Law at a Time of Perplexity*, 1989, 821; ILC 48th Session, Provisional Summary Record of the 245 2nd Meeting. UN Doc. A/ CN.4/SR. 2452. 22 July 1996. *ib. id.* 17.
²⁰⁰ *ib. id.* 20.

²⁰¹ S. Rosenne, Codification of International Law, *EPIL* (1992). 632-40; M. Schroeder. Codification and Progressive Development of International Law within the UN, in *Wolfrum UNLPP I*, 100-9; A. Pellet, La formation du droit international dans le cadre des Nations Unies. *EJIL* 6 (1995). 401-25; H. Torrone, *L'Influence des conventions de codification sur la coutume en droit international public*, 1989.

²⁰² *ib. id.* 2 და თ. 20.

²⁰³ *ib. id.* 17.

²⁰⁴ *ib. id.* 12.

²⁰⁵ *ib. id.* 17.

²⁰⁶ იბ. თ. 12.

²⁰⁷ იბ. თ. 8.

²⁰⁸ იბ. თ. 9.

²⁰⁹ იბ. თ. 11.

²¹⁰ იბ. თ. 12.

²¹¹ იბ. თ. 12.

²¹² იბ. S. Goswami, *Politics in Law Making: A Study of the International Law Commission of the UN*, 1986; I. Sinclair, *The International Law Commission*, 1987; S. Vallat, *International Law Commission*, *EPIL* 11 (1995), 1208-16.

²¹³ იბ. S. Sucharitkul, *The Role of the International Law Commission in the Decade of International Law*, *LJIL* 3 (1990), 15-42; B. Gruefrath, *The International Law Commission Tomorrow: Improving Its Organization and Methods of Work*, *AJIL* 85 (1991), 595-612; R. Ago, *Some New Thoughts on the Codification of International Law*, in E.G. Bellof B.A. Ajibola (eds), *Essays in Honour of Judge Taslim Elias*, 1992, 36-61.

²¹⁴ იბ. M. Brus, *Third Party Dispute Settlement in an Interdependent World*, 1995, 159-63.

კონვენციას საზღვაო სამართლის შესახებ;²⁰⁶ 1961 წელს ჟენევაში ხელმოწერილი იყო კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობებისა და იმუნიტეტების შესახებ;²⁰⁷ 1963 წლის ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობებისა და იმუნიტეტების შესახებ; 1969 და 1986 წლებში ვენაში ხელმოწერილ იქნა კონვენციები ხელშეკრულებით სამართალთან დაკავშირებით,²⁰⁸ ხოლო კონვენციები სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის თაობაზე ხელმოწერილ იქნა ვენაში 1978 და 1983 წლებში.²⁰⁹ 1982 წლის მრავალმხრივი დიპლომატიური კონფერენციის ძირითადი შედეგი იყო კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ, რომელსაც ძალაში შესასვლელად ათი წელი დასჭირდა.²¹⁰

ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაციას ხელშეკრულების მეშვეობით ამკარა უპირატესობები აქვს. წესები უფრო ზუსტი და გასაგები ხდება და ახალი სახელმწიფოები უფრო დიდი ხალხით აღიარებენ იმ წესებს, რომელთა შედგენაშიც თვითონ მონაწილეობენ. მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფოების პრაქტიკის განსხვავების ფონზე კოდიფიკაცია ხშირად ნიშნავს აუცილებელ კომპრომისებს, და როგორც წესი, არსებობს ლიმიტი კომპრომისთა მხრივ, რომლის მიღებისათვის ყოველთვის მზად არიან სახელმწიფოები. შესაბამისად, კოდიფიკაცია წარმატებული იქნება, თუ იგი ნელ-ნელა განხორციელდება. დაჩქარება წარმოქმნის მარცხის რისკს, როგორც ეს მოხდა 1930 წელს ერთა ლიგის მიერ ორგანიზებულ, კოდიფიკაციისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, ხოლო საკოდიფიკაციო სქემის მარცხმა შეიძლება წარმოშვას ეჭვი მანამდე კარგად დადგენილი ჩვეულებითი ნორმების მიმართ (ასე დაემართა სამი მილის წესს ტერიტორიული ზღვის სიფართოვის შესახებ 1930 წლის კონფერენციის მარცხის შემდეგ²¹¹).

ჟენევისა და ვენის კონვენციათა მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ 1947 წელს.²¹² ეს არის ოცდაათობმეტი (დასაწყისში თხუთმეტი) საერთაშორისო სამართლის ექსპერტის მიერ შედგენილი ორგანო, არჩეული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ხუთი წლის ვადით. საერთაშორისო კომისიის წევრები მსოფლიოს ძირითად იურიდიულ სისტემებს წარმოადგენენ. საერთაშორისო სამართლის კომისიას მინდობილი აქვს არა მარტო საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია, არამედ მისი განვითარებაც (ე.ი. ნორმათემოქმედება იმ სფეროებში, სადაც ჩვეულებითი სამართალი არ არსებობს ან არასაკმარისად არის განვითარებული); პრაქტიკაში განსხვავება კოდიფიკაციასა და პროგრესულ განვითარებას შორის ხშირად ნაშლილია. სამუშაო პროგრამებისა და მუხლების პროექტების შესადგენად ინიშნება სპეციალური მომხსენებელი, რომელსაც თვით კომისია ირჩევს ან რომლის წარდგენა ხდება გენერალური ასამბლეის მიერ.

ზოგჯერ კომისია არჩევს, რომ ნორმათა კოდიფიკაცია მოხდეს არა კონვენციის პროექტის მომზადების გზით, რომელიც შემდეგ ჩართული იქნება სავალდებულო მრავალმხრივ შეთანხმებაში, არამედ უბრალოდ გენერალური ასამბლეისათვის წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში ნორმათა შეჯამების სახით. ასეთი საანგარიშო მოხსენებები არ არის ისეთივე სავალდებულო ხასიათისა, როგორც ხელშეკრულებები, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანია ჩვეულებითი სამართლისთვის; კომისიის წევრები თავიანთ სამუშაოს ფართო კვლევასა და გაეროს წევრი ქვეყნების თვალსაზრისთა გარკვევასა და ერთმანეთთან შეჯერებაზე აფუძნებენ (მაგალითად, კითხვარების დაგზავნითა და სახელმწიფოთა მიწვევით მათ მიერ წარდგენილ პროექტებზე კომენტარის გასაკეთებლად. იგივე პროცედურაა დაცული კონვენციათა პროექტების მოსამზადებელი სამუშაოებისათვის). საერთაშორისო სამართლის კომისიის მუშაობას უკანასკნელ დროს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ზოგიერთი მისი ავტორიტეტული წევრი²¹³ და ახალი თემების განხილვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს მუშაობის მეთოდების გარდაქმნა, რათა მის მიერ წარდგენილი პროექტები სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის მისაღები იყოს.²¹⁴ მაგრამ აღსანიშნავია,

რომ საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეძლო, დაეკმაყოფილებინა გენერალური ასამბლეის მოთხოვნები და დაესრულებინა საერთაშორისო სისხლის სასამართლოს წესდების პროექტი 1992-1994 წლებში, ე.ი. საკმაოდ მცირე დროის განმავლობაში.²¹⁵

²¹⁵ იხ. თ. 20.

²¹⁶ იხ. თ. 2.

არაოფიციალური ორგანოებიც ცდილობენ კოდიფიკაციაში მონაწილეობის მიღებას. ასე მაგალითად, ჰარვარდის სამართლის სკოლამ კონვენციათა არაერთი პროექტი გამოსცა. ისინი არ არის გამიზნული სახელმწიფოთა მიერ მათი რატიფიკაციისათვის, არამედ ნორმათა განმარტების ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენენ. მათი ღირებულება იმ მეცნიერთა ავტორიტეტით განისაზღვრება, რომელთაც ამ პროექტების შემუშავებაში მიიღეს მონაწილეობა. ბოლოს უნდა აღინიშნოს საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტისა და საერთაშორისო სამართლის ასოციაციის (ორივე 1873 წელს დაარსდა) მუშაობა ამ მიმართულებით.²¹⁶

4. საერთაშორისო სამართალი და მუნიციპალური სამართალი

¹ იხ. Harris CHIL, 69-101; L. Ferrari-Bravo, International Law and Municipal Law: The Complementarity of Legal Systems, in R. St. J. Macdonald/ D. M. Johnston (eds), *The Structure and Process of International Law*, 1983, 715-44; G. Pau, *Le droit interne dans l'ordre international*, 1985; G. Tunkin/ R. Wolfrum (eds), *International Law and Municipal Law*, 1988; M. Fitzmaurice/C. Flintermann (eds), *L. Erades, Interactions Between International and Municipal Law: A Comparative Case Law Study*, 1993; B. Conforti, *International Law and the Role of Domestic Legal Systems*, 1993; C. Economides, *The Relationship between International and Domestic Law*, 1993; E. Benevisi, *Judicial Misgivings Regarding the Application of International Law: An Analysis of Attitudes of National Courts*, *EJIL* 4 (1993), 159-83; Y. Iwasawa, *The Relationship Between International Law and National Law: Japanese Experiences*, *BYIL* 64 (1993), 333-9; E. Benvenisti, *Judges and Foreign Affairs: A Comment on the Institut de Droit International's Resolution on The Activities of National Courts and the International Relations of Their State*, *EJIL* 5 (1994), 423-39; P. Chandrasekhara Rao, *The Indian Constitution and International Law*, 1994; K. J. Partsch, *International Law and Municipal Law*, *EPIL* 11 (1995), 1185-202; P. Rambaud, *International Law and Municipal Law: Conflicts and Their Review by Third States*, *ibid.*, 1202-6; C. Schreuer, *International Law and Municipal Law: Law and Decisions of International Organizations and Courts*, *ibid.*, 1228-33; W. Czaplinski, *International Law and Polish Municipal Law. A Case Study*, *Hague YIL* 8 (1995), 31-46; J. J. Paust, *International Law as Law of the United States*, 1996; P. M. Eisenmann (ed.), *The Integration of International and European Community Law into the National Legal Order*, 1996.

² იხ. H. Kelsen, *Die Einheit von Völkerrecht und staatlichem Recht*, *ZaRV* 41 (1958), 234-48; Kelsen, *Principles of International Law*, 2nd edn 1966 (Tuckered.), 553-88.

„მუნიციპალური სამართალი“ საერთაშორისო იურისტების მიერ შემოღებული ტექნიკური ტერმინია და სახელმწიფოთა ეროვნულ, ანუ შიდასახელმწიფოებრივ, სამართალს აღნიშნავს. საერთაშორისო და მუნიციპალური სამართლის თანაფარდობის საკითხს მრავალი პრაქტიკული პრობლემის წარმოქმნა შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ შორის წინააღმდეგობა არსებობს.¹ რომელი ნორმა პრევალირებს კონფლიქტის შემთხვევაში? როგორ აისახება საერთაშორისო სამართლის ნორმები სახელმწიფოთა ეროვნულ სამართალში?

დუალისტური და მონისტური თეორიები

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობასთან დაკავშირებით ორი ძირითადი თეორია არსებობს, რომელთაც სპეციალურ ლიტერატურაში მთელი რიგი ვარიაციები აქვს. პირველ დოქტრინას დუალისტურ (ან პლურალისტურ) თვალსაზრისს უწოდებენ. ამ დოქტრინის თანახმად, საერთაშორისო და მუნიციპალური სამართალი ორი განსხვავებული იურიდიული სისტემაა და ეს სისტემები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს. ამ შემთხვევაში ცენტრალური საკითხი იმას ეხება, თუ რომელ სისტემას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მეორე დოქტრინა, რომელსაც მონისტურს უწოდებენ, „სამართლის“ უნიტარული აღქმით ხასიათდება და საერთაშორისო და მუნიციპალურ სამართალს ერთი იურიდიული სისტემის შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევს. მონისტური მიდგომის ყველაზე რადიკალური ვერსია კელზენს ეკუთვნის.² კელზენის აზრით, ყოველგვარი სამართლის ნამდვილობა საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმიდან (Grundnorm) მომდინარეობს. კელზენის თეორიიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას უპირატესობა აქვს მუნიციპალურ სამართალთან შედარებით და მუნიციპალური სამართალი, რომელიც საერთაშორისო სამართალს არ შეესაბამება, ავტომატურად ანულირდება და ძალას კარგავს. საერთაშორისო სამართლის ნორმები უშუალოდ გამოიყენება სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივ სამართალში.

სინამდვილეში ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული სკოლიდან არც ერთი არ ასახავს სახელმწიფოთა რეალურ პრაქტიკას. ამიტომ დუალისტებიცა და მონისტებიც იძულებულნი გახდნენ, მრავალ ასპექტში შეეცვალათ თავიანთი სანყისი პოზიციები, რის შედეგადაც მოხდა მათი ერთმანეთთან დაახლოება, თუმცა ცალსახა პასუხის მიღწევა საერთაშორისო და მუნიციპალური სამართლის თანაფარდობის თაობაზე არ მოხერხდა. შეიძლება ითქვას, რომ დუალისტური დოქტრინების იდეოლოგიური ფონი პოზიტივიზმით და სუვერენიტეტის თეორიითაა შეფერილი, ხოლო მონისტები უფრო ბუნებრივი სამართლებრივი აზროვნებისა და მსოფლიო საზოგადოების ლიბერალური იდეებისაკენ იხრებიან.³

აღსანიშნავია, რომ ამ წინააღმდეგობას ძირითადად ხაზს უსვამენ ავტორები სამოქალაქო სამართლის ქვეყნებიდან.⁴ ის ავტორები, რომლებიც საერთო სამართალს ეყრდნობიან, ამ თეორიულ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ყოველ კონკრეტულ საქმეში პრაქტიკული გადაწყვეტილების ძიებისას უპირატესობას უფრო ემპირიულ მიდგომას ანიჭებენ. 1957 წელს ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიაში წაკითხულ ლექციებში ფიცმორისი ამბობდა:

მონისტურ-დუალისტურ დაპირისპირებას რეალობა არ უდევს საფუძვლად, ის ხელოვნური და სრულიად უსაგნოა; ის უშვებს ისეთი რამის არსებობას, რაც, ფაქტობრივად, არ არსებობს, კერძოდ, საერთო სფეროს, რომელიც ამ ორი იურიდიული სისტემის ერთდროული მოქმედების სარბიელს წარმოადგენს.⁵

⁵ პოზიტივიზმი სადაბუნებითი სამართლის თეორიის შესახებ იხ. თ. 2.

⁶ შთაულის სამართლებლო სისტემათა ნაირგვარობის შესახებ იხ. თ. 1.

⁷ G. Fitzmaurice, *The General Principles of International Law Considered from the Standpoint of the Rule of Law*, *RdC* 92 (1957-II), 1, at 71.

⁸ იხ. თ. 3.

⁹ იხ. თ. 17.

¹⁰ PCIJ, series A/B, no. 46, 167. *ib. L. Weber. Free Zones of Upper Savoy and Gex Case*, I O II (1995), 483-4.

¹¹ იხ. *ILM* 8 (1969), 679; *AJIL* 63 (1969), 875; *Brownlie BOIL*, 388, at 400; იხ. თ. 9.

უმჯობესია ჩვენც გვერდი ავუაროთ ამ დოგმატურ დისკუსიას და მივუბრუნდეთ საერთაშორისო სამართლისა და მუნიციპალური სამართლის ზოგად თანაფარდობას, შემდეგ კი მოკლედ განვიხილოთ საერთაშორისო სამართლისადმი ეროვნული სამართლებრივი სისტემების სხვადასხვაგვარი მიდგომა.

საერთაშორისო სამართლის დამოკიდებულება მუნიციპალურ სამართალთან

საერთაშორისო სამართალი მუნიციპალური სამართლის სრულ იგნორირებას არ ახდენს. ასე მაგალითად, როგორც ზემოთ ვნახეთ, მუნიციპალური სამართალი ზოგჯერ გამოიყენება, როგორც მტკიცებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ან სამართლის ზოგადი პრინციპებისათვის – ეს ორივე კი საერთაშორისო სამართლის წყაროა.⁶ ამას გარდა, საერთაშორისო სამართალი გარკვეულ საკითხებს გადასაწყვეტად მუნიციპალურ სამართალს უტოვებს. მაგალითად, იმის გასარკვევად, არის თუ არა რომელიმე პიროვნება X სახელმწიფოს მოქალაქე, საერთაშორისო სამართალი პირველ რიგში X სახელმწიფოს სამართალს ითვალისწინებს, იმ პირობით, რომ X სახელმწიფოს სამართალი სრულიად ირაციონალური არ არის.⁷

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს თავის მუნიციპალურ სამართალში არსებული კანონი ან ხარვეზი საერთაშორისო სამართალზე დამყარებული პრეტენზიებისგან თავის დასაცავად. მაგალითად, თავისუფალი ზონების საქმეში (*Free zones case*) საერთაშორისო სასამართლოს მუდმივმა პალატამ განაცხადა: „ცხადია, რომ საფრანგეთი ვერ მოიშველიებს საკუთარ იურისდიქციას საერთაშორისო მოვალეობების მოცულობის შესამცირებლად.“⁸ ეს წესი განსაკუთრებით მართებულია, როდესაც, როგორც ეს ხშირად ხდება, სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება ან საერთაშორისო სამართლის რომელიმე ნორმა სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ გარკვეული კანონი, როგორც მუნიციპალური სამართლის ნაწილი. მსგავსი კანონი წარმოდგენილია ხელშეკრულებათა სამართლის ვენის კონვენციის 27-ე მუხლში:⁹ „მხარეებს არა აქვთ უფლება ხელშეკრულების შეუსრულებლობა გაამართლონ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებით“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, რასაც საერთაშორისო სამართალი ამბობს, არის ის, რომ სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავის გასამართლებლად არ შეუძლია მიმართოს საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ სამართალსა და პროცედურებს. სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების აუცილებელი შესრულება მოეთხოვება, ხოლო ის, თუ როგორ აისახება ეს ვალდებულებები შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, მისი გადასაწყვეტია. ანალოგიურად, სახელმწიფოს ზოგადი მოვალეობაა საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებთან შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისობაში მოყვანა. ამ შედეგის მიღწევისათვის საჭირო მეთოდის შერჩევას (სპეციალურ ლიტერატურაში ამას „ინკორპორაციას“, „ტრანსფორმაციას“ ან „რეცეფციას“ უწოდებენ) საერთაშორისო სამართალი საშინაო იურისდიქციას ანდობს. სახელმწიფომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როგორ ასახოს საერთაშორისო ვალდებულებები შიდა-

¹⁰ იხ. A. Cassese, *Modern Constitutions and International Law*, *RdC* 192 (1985-111), 331 *et seq.*
¹¹ იხ. F. Caporioni, *European Communities: Community Law and Municipal Law*, *EPIL* (1995), 165-70; იხ. თ. 6.

¹² იხ. მაგალითად, F.G. Jacobs/S. Roberts (eds), *The Effect of Treaties in Domestic Law* (UK National Committee of Comparative Law), 1987; M. Duffy, *Practical Problems of Giving Effect to Treaty Obligations - The Cost of Consent*, *AYIL* 12 (1988/9), 16-21; W.K. Hastings, *New Zealand Treaty Practice with Particular Reference to the Treaty of Waitangi*, *ICLQ* 38 (1989), 668 *et seq.*; R. Heuser, *Der Abschluss völkerrechtlicher Verträge im chinesischen Recht*, *ZaoRV* 51 (1991), 938-48; Zh. Li, *Effect of Treaties in Domestic Law: Practice of the People's Republic of China*, *Dalhouse LJ* 16 (1993), 100-62; *Interim Report of the National Committee on International Law in Municipal Courts [Japan]*, *Jap. Ann. IL* 36 (1993), 100-62; Ö. I. Strom/P. Finkle, *Treaty Implementation: The Canadian Game Needs Australian Rules*, *Ottawa LR* 25 (1993), 39-60; G. Buchs, *Die unmittelbare Anwendbarkeit völkerrechtlicher Vertragsbestimmungen am Beispiel der Rechtsprechung der Gerichte Deutschlands, Österreichs, der Schweiz, und der Vereinigten Staaten von Amerika*, 1993; K.S. Sik, *The Indonesian Law of Treaties 1945-1990*, 1994; C. Lysaght, *The Status of International Agreements in Irish Domestic Law*, *ILT* 12 (1994), 171-3; M. Leigh/M.R. Blakeslee (eds), *National Treaty Law and Practice*, 1995; P. Alston/M. Chiam (eds), *Treaty-Making and Australia: Globalisation versus Sovereignty*, 1995.

¹³ იხ. Lord McNair, *The Law of Treaties*, 1961, 89-91, and *Porter v. Freudenberg*, [1915] 1 KB 857, 874-80.

სახელმწიფოებრივ სამართალში და რა იურიდიული სტატუსი მიანიჭოს. როგორც რეალობა გვიჩვენებს, ამ საკითხისადმი ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიდგომა არაერთგვაროვანია.

ეროვნული სამართლებრივი სისტემების დამოკიდებულება საერთაშორისო სამართალთან

გაცილებით უფრო ძნელია, შევაჯამოთ მუნიციპალური სამართლის დამოკიდებულება საერთაშორისო სამართალთან, ვიდრე საერთაშორისო სამართლის მუნიციპალურთან დამოკიდებულება. სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ამ თვალსაზრისით დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ გავაანალიზებთ კონსტიტუციებს, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების კონსტიტუციებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ხაზს უსვამენ თავიანთ სუვერენიტეტს, დავინახავთ, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა საერთაშორისო სამართალს საკუთარ მუნიციპალურ სამართალთან შედარებით პრიმატს (უზენაესობას) არ ანიჭებს.¹⁰ მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა საერთაშორისო სამართალს უგულვებელყოფს. კონსტიტუციები შეიძლება ანალიზის საწყის წერტილად გამოვიყენოთ. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა კანონმდებლობას, ეროვნული სასამართლოსა და ადმინისტრაციული პრაქტიკის პოზიციას, რომელიც ხშირად ორაზროვანი და არათანმიმდევრულია. ეს პოზიცია ხშირად დუალისტურია, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს განსხვავებულ სისტემებად მიიჩნევს და მოითხოვს საერთაშორისო ნორმების ინკორპორირებას ეროვნულ დონეზე. ამრიგად, საერთაშორისო სამართლის ეფექტურობა, ზოგადად, ეროვნული სამართლებრივი სისტემის მიერ მიღებულ კრიტერიუმებზეა დამოკიდებული.

ეროვნული სამართლებრივი სისტემების საერთაშორისო სამართალთან მიმართების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სტატუსს, საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპების ჩათვლით. მუნიციპალური სამართლის მიმართება ევროგაერთიანებასთან ცალკე საკითხია, რომელიც ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება.¹¹

ხელშეკრულებები

ხელშეკრულებებს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში საკმაოდ განსხვავებული სტატუსი აქვთ.¹² მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ხელშეკრულებების დადებისა და რატიფიკაციის უფლებამოსილება ეკუთვნის დედოფალს პრემიერ-მინისტრის, ელჩის ან სხვა ოფიციალური პირების რჩევით, თუმცა, ე.წ. ფონსონბის წესის მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლება ხელშეკრულების რატიფიცირებას ვერ ახდენს მანამ, სანამ პარლამენტის ორივე პალატის წინაშე ხელშეკრულების წარდგენიდან 21 დღე არ გავა. ამდენად, ხელშეკრულება ავტომატურად არ იქცევა ინგლისური სამართლის ნაწილად. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, დედოფალი შეძლებდა ინგლისის კანონმდებლობის შეცვლას პარლამენტის თანხობის გარეშე, რაც ინგლისური საკონსტიტუციო სამართლის ძირითად პრინციპს ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვითაც, პარლამენტს მონოპოლია აქვს საკანონმდებლო სფეროში. არსებობს ერთი გამონაკლისი, რომელიც ეხება ხელშეკრულებებს ომის წარმოების თაობაზე.¹³ ეს გამონაკლისი, შესაძლოა, დაკავშირებულია ინგლისის საკონსტიტუციო სამართლის ნორმასთან, რომელიც დედოფალს მინისტრთა რჩევის საფუძველზე და პარლამენტის თანხობის გარეშე ომის გამოცხადების

უფლებას ანიჭებს. თუ ხელშეკრულება ინგლისურ სამართალში ცვლილებების შეტანას მოითხოვს, აუცილებელია პარლამენტის აქტი, რათა ინგლისის სამართალი ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი. თუ ასეთი აქტი არ იქნა მიღებული, ხელშეკრულება, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, მაინც სავალდებულოა და დიდი ბრიტანეთი მის შესრულებაზე პასუხს აგებს.

პარლამენტის აქტი, რომლითაც, ინგლისის სამართლის მიხედვით, ხელშეკრულება ძალაში შედის, შეიძლება გაუქმდეს პარლამენტის მომდევნო აქტით. ამ შემთხვევაში ჩნდება კონფლიქტი საერთაშორისო სამართალსა და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის, რამდენადაც საერთაშორისო სამართალი დიდი ბრიტანეთისგან კვლავ ხელშეკრულების შესრულებას მოითხოვს, ხოლო ინგლისის სასამართლოს არ შეუძლია გამოიყენოს ეს ხელშეკრულება.¹⁴ როგორც წესი, ინგლისური სასამართლოები პარლამენტის აქტის ინტერპრეტირებისას ცდილობენ აირიდონ კონფლიქტი დიდი ბრიტანეთის მიერ ადრე დადებულ ხელშეკრულებებთან.¹⁵

დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულებების ძალა საერთაშორისო სამართალში და დიდი ბრიტანეთის მუნიციპალურ სამართალში სრულიად განსხვავებულია. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ხელშეკრულება ძალაში შედის დედოფლის მიერ მისი რატიფიცირების შემდეგ, მაგრამ, მუნიციპალური სამართლის მიხედვით, ხელშეკრულება ძალაში მხოლოდ პარლამენტის აქტით შედის. სხვა სახელმწიფოებში ეს განსხვავება ასეთი ამკარა არ არის. საერთო სამართლის სახელმწიფოების უმრავლესობა, ამერიკის შეერთებული შტატების გარდა (რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ), ინგლისის ტრადიციას მიჰყვება. ეს სახელმწიფოები მკაცრად უარყოფენ საერთაშორისო ხელშეკრულებების ძალას შიდასახელმწიფოებრივ სამართალში საკანონმდებლო აქტის მიღების გარეშე. ასეა, მაგალითად, კანადასა და ინდოეთში.¹⁶ ლორდთა პალატამ კიდევ ერთხელ განამტკიცა ეს წესი 1989 წელს საერთაშორისო თუჯის საქმეში (International Tin case), რომელშიც ლორდმა ოლივერ ეილმერთონმა განაცხადა:

დიდი ბრიტანეთის საკონსტიტუციო სამართლის თანახმად, დედოფლის ძალაუფლება, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებების დადების უფლებას, არ ეხება კანონის შეცვლას, ინდივიდებისთვის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის უფლებათა მინიჭებას ან აყრას პარლამენტის ჩარევის გარეშე. ხელშეკრულებები არ არის თვითშესრულებადი. ამრიგად, ხელშეკრულება არ შეადგენს ინგლისის სამართლის ნაწილს, სანამ არ მოხდება კანონმდებლობის მიერ მისი სამართალში ინკორპორირება.¹⁷

თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში რატიფიკაციის პროცესში მონაწილეობს საკანონმდებლო ორგანო ან მისი ნაწილი; ხელშეკრულება რატიფიკაციის შემდეგ საკანონმდებლო აქტად გადაიქცევა და ერთდროულად შედის ძალაში როგორც საერთაშორისო, ისე მუნიციპალურ სამართალში. მაგალითად, შეერთებული შტატების კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს „უფლებამოსილებას, დადოს ხელშეკრულებები სენატის რჩევითა და თანხმობით, დამსწრე სენატორთა ხმების ორი მესამედით“ (მუხლი II (2)). კონსტიტუციის მიხედვით, რატიფიცირებული ხელშეკრულება ავტომატურად ხდება შეერთებული შტატების მუნიციპალური სამართლის ნაწილი. მაგრამ ამ დებულებას გარკვეული კვალიფიკაცია ესაჭიროება.¹⁸ შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანახმად, ფედერალური მთავრობის ხელშეკრულებები (შტატების ხელშეკრულებებისგან განსხვავებით) „ქვეყნის უზენაეს კანონს“ წარმოადგენს, თვით კონსტიტუციისა და ფედერალური კანონის მსგავსად (მუხლი VI). საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოქმნილი საქმეები შეერთებული შტატების იურისდიქციას და, გარკვეული შეზღუდვებით,

¹⁴ *Inland Revenue Commissioners v. Colco Dealings Ltd*, [1962] AC 1. იყენებთარინგლისისსასამართლოპარლამენტსაქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება უთოს 1972 წლის აქტს? იხ. E.C.S. Wade/W. Bradley, *Constitutional and Administrative Law*, 10th edn 1985, 136-8.

¹⁵ *Inland Revenue Commissioners v. Colco Dealings Ltd*, [1962] AC 1 (*obiter*). ეს წესი არ შემოიფარგლება იმ ხელშეკრულებებით, რომლებსაც უფლებამოსილება მინიჭა ინგლისის სამართალმა პარლამენტის წინამორბედი აქტებით. იხ. *R. v. Secretary of State for Home Affairs, ex p. Bhajan Singh*, [1975] 2 All ER 1081; *R. v. Chief Immigration Officer, Heathrow Airport, ex p. Salamat Bibi*, [1976] 3 All ER 843, 847; და *Pan-American World Airways Inc. v. Department of Trade* (1975), *ILR*, Vol. 60, 431, at 439. იხ. აგრეთვე, P.J. Duffy, *English Law and the European Convention on Human Rights*, *ICLQ* 29 (1980), 585-618; A.J. Cunningham, *The European Convention on Human Rights*, *Customary International Law and the Constitution*, *ICLQ* 43 (1994), 537-67.

¹⁶ იხ. M.W. Janis, *An Introduction to International Law*, 2nd edn 1993, 96.

¹⁷ *Australia & New Zealand Banking Group Ltd et al. v. Australia et al.*, House of Lords, judgment of 26 October 1990, *ILM* 29 (1990), 671, at 694; იხ. თ.ხ; ხელშეკრულებათა ინტერპრეტაციის შესახებ იხ. R. Gardiner, *Treaty Interpretation in the English Courts Since Fothergill v. Monarch Airlines* (1980), *ICLQ* 44 (1995), 620-9.

¹⁸ დეტალებისათვის იხ. *Restatement (Third)*, Vol. 1, part III, ch. 2.40-69; Janis, *op. cit.*, 85-94; H.A. Blackmun, *The Supreme Court and the Law of Nations*. *Yale LJ* 104 (1994), 39-49; A.M. Weisburd, *State Courts, Federal Courts and International Cases*. *Yale JIL* 20 (1995), 1-64.

¹⁹ *U.S. v. Alvarez-Machain*, ILM31 (1992), S. Ct. 2188. 119 L. edn 2d 441 (1992), at 453. *ib. Janis. op. cit.*, 91-2. მექსიკელი სახელმწიფო პროცესდამოქმედებულ ლორისაბარლოს სამართლის მიერ, *ib. აგრეთვე*, B. Baker/V. Robe. To Abduct or To Extradite; Does a Treaty Beg the Question? The Alvarez-Machain Decision in U.S. Domestic Law and International Law, *ZaoRV3* (1993), 657-88; D.C. Smith, Beyond Indeterminacy and Self-Contradiction in Law: Transnational Abductions and Treaty Interpretation in *U.S. v. Alvarez-Machain*, *EJIL* 6 (1995), 1-31; M.J. Glennon, State-Sponsored Abduction: A Comment on *United States v. Alvarez-Machain*, *AJIL* 86 (1992), 746-56; M. Halberstam, In Defense of the Supreme Court Decision in *Alvarez-Machain*, *ibid.*, 736-46; L. Henkin, Correspondence, *AJIL* 87 (1993).

²⁰ პროცესუალური სამართალიდან 1829 წლიდან მთავარი მოსამართლე ვონ მარშალის გადაწყვეტილებით საქმეში ფოსტური და ელამი ნელსონის წინააღმდეგ. 27 US (2 Pet.) 253 (1829). *ib. T. Buergerthal*, Self-Executing and Non-Self-Executing Treaties in National and International Law. *RdC235* (1992-IV), 303-400; C.M. Vazquez, The Four Doctrines of Self-Executing Treaties, *AJIL* 89 (1995), 695-723 და მ. დომინიკის კომენტარები *AJIL* 89(1996), 441.

²¹ *ib. Janis. op. cit.*, 92; L. Wildhaber, Executive Agreements, *EPIL* II (1995), 312-18.

ფედერალური სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება (მუხლი III (2)). საერთაშორისო შეთანხმებები უფლებათა ბილისა და შეერთებული შტატების კონსტიტუციის სხვა მოთხოვნების სუბიექტებად რჩება და ამ მოთხოვნების დარღვევით შიდასახელმწიფოებრივ სამართალში მათი ჩართვა დაუშვებელია. თუ შეერთებული შტატები ვერ შეასრულებს ხელშეკრულებას მისი არაკონსტიტუციურობის გამო, მას მაინც დაეკისრება საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება გამოიტანა ალვარეზ-მაჩაინის საქმესთან (*Alvarez-Machain*) დაკავშირებით. მექსიკელი ექიმი, რომელსაც ბრალად ედებოდა ამერიკელი ნარკოტიკების გამყიდველის წამება, შეერთებული შტატების აგენტებმა მექსიკაში მოიტაცეს და შეერთებული შტატების სასამართლოს გადასცეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს მოქმედება არ ექვემდებარებოდა 1978 წლის აშშ-მექსიკის ხელშეკრულებას დამნაშავეთა გადაცემის შესახებ, რადგან ამ ხელშეკრულების ენა და ისტორია „არ ადასტურებს მტკიცებას, რომ ხელშეკრულება კრძალავს გატაცებას მაშინაც კი, როდესაც გატაცების გარემოებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის“. ¹⁹ უზენაესი სასამართლოს ასეთი უხერხული ინტერპრეტაცია ავლენს საყურადღებო უპატივცემულობას საერთაშორისო სამართლისადმი. ამ გადაწყვეტილებამ მძაფრი პროტესტი გამოიწვია მექსიკის მთავრობის მხრიდან, რომელმაც ხელშეკრულების გადასინჯვა მოითხოვა.

მეორე რთული ასპექტი, განსაკუთრებით, შეერთებული შტატების სამართლის ფარგლებში, არის განსხვავება „თვითშესრულებად“ და „არა თვითშესრულებად“ ხელშეკრულებებს შორის. ²⁰ ეს ძირითადად იმას ეხება, ენიჭება თუ არა შეთანხმებას ან მის გარკვეულ პირობებს იურიდიული ძალა ეროვნული კანონმდებლობის მიერ დადასტურების გარეშე და რელევანტურია თუ არა ეს შეთანხმება, როდესაც რომელიმე მხარეს სურს დაემყაროს მას ამერიკულ სასამართლოში აღძრულ საქმეში. ამას გარდა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ შეერთებული შტატების ხელშეკრულებათა უმრავლესობა კონსტიტუციის II მუხლის მიხედვით დადებული და სენატის მიერ მონონებული კი არ არის, არამედ წარმოადგენს „სანესდებო“ ან „საკონგრესო-აღმასრულებელ შეთანხმებებს“, რომლებსაც ხელს აწერს პრეზიდენტი როგორც წარმომადგენელთა პალატის, ასევე სენატის უმრავლესობით მიღებული საკანონმდებლო პროცედურის საფუძველზე. არსებობს აგრეთვე ხელშეკრულებები, რომელთაც „აღმასრულებელი შეთანხმებები“ ეწოდება. მათ ხელს აწერს მხოლოდ პრეზიდენტი კონგრესის მონაწილეობის გარეშე. ²¹

შეერთებულ შტატებსა და იმ ქვეყნებში, რომლებიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციებს იცავენ, ხელშეკრულებებს ისეთივე სტატუსი აქვთ, რაც ეროვნული სამართლის კანონებს. ეს იმას ნიშნავს, რომ, საზოგადოდ, მომდევნო კანონს უპირატესობა აქვს წინამორბედთან შედარებით (პრინციპი *lex posterior derogat legi priori*). მაგრამ ამ სფეროში ძნელია განზოგადება, რადგან ამ წესს მნიშვნელოვანი მოდიფიკაციები აქვს სხვადასხვა ქვეყნებში.

ზოგი ქვეყნის კონსტიტუცია ხელშეკრულებას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ეროვნულ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე სამართალს. მაგრამ ეს პრინციპი თითქმის არასდროს ეხება კონსტიტუციას. ამ წესის მოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის აქვს რატიფიცირების უფლებამოსილება. ეს შეიძლება იყოს საკანონმდებლო ორგანო, რომელიც სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების ყოველგვარ ცვლილებას გამოიციხავს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო ან სასამართლოებს საკანონმდებლო მოქმედების გადასინჯვის იურიდიული უფლება აქვთ, ვითარება ხშირად სხვაგვარია. არის აგრეთვე სახელმწიფოები, სადაც საერთაშორისო

ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია აღმასრულებელი ორგანოს პრივილეგიას წარმოადგენს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მთავრობის კონტროლი საგარეო საქმეებზე. ასეა, მაგალითად, საფრანგეთში, სადაც სასამართლოს არ შეუძლია, მიანიჭოს ეროვნულ კანონს უპირატესობა, როდესაც ის საერთაშორისო ხელშეკრულებასთან კონფლიქტში აღმოჩნდება. ამგვარად, საეჭვოა მოსაზრება, რომ ფრანგული სამართლებრივი სისტემის მიმდევარი ქვეყნები ხელშეკრულებათა პრიორიტეტს აღიარებენ.²²

ჰოლანდიაში ამ მხრივ საკმაოდ უცნაური მდგომარეობაა. ჰოლანდიის 1953 წლის კონსტიტუციაში, რომელიც 1956 წელს გადაისინჯა, ცალსახადაა ნათქვამი, რომ ნებისმიერი შიდა კანონი, საკონსტიტუციო კანონის ჩათვლით, უგულებელყოფილ უნდა იქნეს, თუ ის არ შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციების გადანყვეტილებებს ან ხელშეკრულებებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა ადამიანისთვის.²³ იმის მიუხედავად, რომ ჰოლანდიაში არ არსებობს საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციური კონტროლის სისტემა,²⁴ რომელიც ამ თვალსაზრისით დიდი ბრიტანეთის ტრადიციას იზიარებს, ჰოლანდიის სასამართლომ შეიძინა უფლება, უარყოს საპარლამენტო აქტები არა მათი არაკონსტიტუციურობის გამო, არამედ იმის გამო, რომ ისინი ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებს ან ხელშეკრულებებს. მაგრამ არსებობს დამცავი მექანიზმი, რომელიც საკონსტიტუციო პროცედურებშია ჩადებული. ჰოლანდიის პარლამენტი უნდა დაეთანხმოს ხელშეკრულებას, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ისეთი უმრავლესობით, როგორც საჭიროა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის. 1983 წლის კონსტიტუციის ახალი ტექსტის 94-ე მუხლით სასამართლოებს ეს უფლებამოსილება შენარჩუნებული აქვთ, რამაც წარმოშვა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, ხომ არ შორდება ახალი ტექსტი წინამორბედ ტექსტს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონსტიტუციის თანაფარდობის თვალსაზრისით.²⁵ ჰოლანდიის უჩვეულო „მონისტური“ მიდრეკილება, რომლის შედეგად საერთაშორისო სამართალს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ძალა ენიჭება და რომელიც არა მარტო ხელშეკრულებების შემთხვევაში ვლინდება, შეიძლება აიხსნებოდეს იმ ფაქტით, რომ ჰოლანდია, პატარა ქვეყანა, რომელსაც მნიშვნელოვანი გლობალური სავაჭრო და საინვესტიციო ინტერესები აქვს, სამართალს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ურთიერთობებში.

ყოფილი სოციალისტური ქვეყნები მკაცრად „დუალისტურ“ ტრადიციას მისდევდნენ. ისინი მოითხოვდნენ სპეციალური ეროვნული საკანონმდებლო აქტის მიღებას, ვიდრე ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა და ხელისუფლების ეროვნული ორგანოები მას ანგარიშს გაუწევდნენ.²⁶ ასე რომ, ამ სახელმწიფოთა სასამართლოების მოვალეობას არ წარმოადგენდა სახელშეკრულებო ნორმებსა და მუნიციპალურ სამართალს შორის წარმოშობილი კონფლიქტების გადანყვეტა. საერთაშორისო სამართლის გამოყენება, საზოგადოდ, შეუძლებელი იყო ამ სასამართლოებში ან ადმინისტრაციულ ერთეულებში, თუ ამის თაობაზე არ არსებობდა მკაფიო მითითება შიდასახელმწიფოებრივ სამართალში.²⁷

აღმოსავლეთ ევროპაში საკონსტიტუციო რეფორმებთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. მაგალითად, 1993 წლის რუსეთის ახალი კონსტიტუცია შემდეგ რევოლუციურ ფრაზას შეიცავს (მუხლი 15 (4)):

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები და რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებები იურიდიული სისტემის ნაწილია. თუ რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულება კანონით დადგენილი წესებისგან განსხვავებულ წესებს დაადგენს, საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები იმოქმედებს.²⁸

²² იხ. Partsch, *op.cit.*, 1195
²³ ნიდერლანდების კონსტიტუცია, 66-ე მუხლი, 1956 წლის შესწორება. იხ. H.H.M. Sondaal. Some Features of Dutch Treaty Practice. *NYIL* 19 (1988): 179-257; H. Schermers. Some Recent Cases Delaying the Direct Effect of International Treaties in Dutch Law. *Mich. JIL* 10 (1989). 266 *et seq.*

²⁴ ჰოლანდიის კონსტიტუციის 120-ე მუხლში ნათქვამია: „საპარლამენტო აქტებისა და ხელშეკრულებების კონსტიტუციურობა არ უნდა გადაისინჯოს სასამართლოს მიერ“.

²⁵ Cassese, *op. cit.*, at 411. ახალ ტექსტს უკან გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ; ჰოლანდიელი ავტორები მას არ ეთანხმებიან. იხ. M.C.B. Burkens. The Complete Revision of the Dutch Constitution. *NILR* (1982), 323 *et seq.*; E.A. Alkema. Foreign Relations in the 1983 Dutch Constitution. *NILR* (1984), 307, at 320 *et seq.*; იხ. აგრეთვე, E.W. Vierdag. *Met nederlandse verdragenrecht*, 1995. უახლესი განვითარების შესახებ იხ. J. Kiabbers. The New Dutch Law on the Approval of Treaties. *ICLQ* 44 (1995). 629-42. 26 იხ. e.g. Article 24 of the 1978 USSR Law of the Procedure for the Conclusion, Execution and Denunciation of International Treaties. *ILM* 17 (1978). 1115.

²⁶ იხ. საბჭოთა კავშირის 1978 წლის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და უარყოფის პროცედურების შესახებ კანონის 24-ე მუხლი.

²⁷ სოციალისტური ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში საერთაშორისო სამართლის მოქმედების შესახებ ზოგადი კანონმდებლობის ან კონსტიტუციური პირობების უქონლობის შესახებ (გარდაგვრანის დემოკრატიული რესპუბლიკისა) იხ. K. Skubizewski, *Volkerrecht und Landesrecht: Regelungen und Erfahrungen in Mittel- und Osteuropa*. in W. Fiedler/G. Ress (eds), *Verfassungsrecht und Volkerrecht: Gedächtnisschrift für Wilhelm Karl Geck*, 1988, 777 *et seq.*

²⁸ G.M. Danilenko. The New Russian Constitution and International Law. *AJIL* 88 (1994), 451-70. იხ. აგრეთვე, A. Kolodkin, *Russia and International Law: New Approaches*, *RBDI* 26 (1993), 552-7.

²⁹ M.F. Brzezinski, Toward "Constitutionalism" in Russia: The Russian Constitutional Court, *ICLQ* 42 (1993), 673 et seq.

³⁰ ტექსტი იხ. ILM 34 (1995) ვ. ბატლერის შესავალი სიტყვით; იხ. T. Beknazar, Das neue Recht volkerrechtlicher Verträge in Russland, *ZaRV* 56 (1995), 406-26.

³¹ საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა, 1978 წ., *op. cit.*

³² E. Stein, International Law in Internal Law: Toward Internationalization of Central-Eastern European Constitutions?, *AJIL* 88 (1994), 427-50, at 447. იხ. აგრეთვე, E. Stein, International Law and Internal Law in the New Constitutions of Central-Eastern Europe, in *FS Bernhardt*, 865-84; V.S. Vereshchetin, New Constitutions and the Old Problem of the Relationship between International Law and National Law, *EJIL* 7 (1996), 29-41.

იმის მიუხედავად, რომ ეს შედარებით ფართო მნიშვნელობის მქონე ფრაზაა, რადგან მოიცავს არა მარტო ხელშეკრულებებს, არამედ „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“, ის ამ წყაროებს კონსტიტუციის მიმართ პრიორიტეტს მაინც არ ანიჭებს. მომავალი გვიჩვენებს, რას ნიშნავს ეს პრაქტიკისათვის და რა როლს შეასრულებს რუსეთის ფედერაციის ახალი საკონსტიტუციო სასამართლო ამ თვალსაზრისით.²⁹ 1995 წლის 16 ივნისს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ მიიღო ფედერალური კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების თაობაზე,³⁰ რომელმაც შეცვალა ყოფილი საბჭოთა კავშირის 1978 წლის კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, შესრულებისა და გაუქმების შესახებ.³¹

ამას გარდა, ერიკ სტეინი აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების თხუთმეტი კონსტიტუციისა და კონსტიტუციის პროექტის შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ

ამ სახელმწიფოების უმრავლესობა ახდენს ხელშეკრულებების ინკორპორირებას შიდასახელმწიფოებრივ სამართალში და, თუმცა ეს ყველა შემთხვევაში ცხადი არ არის, ხელშეკრულებებს ჩვეულებრივი კანონმდებლობის სტატუსი აქვთ. ხუთ (შესაძლოა, შვიდ) შემთხვევაში ხელშეკრულებები უზენაესია როგორც წინამორბედი, ისე მომდევნო ეროვნული კანონმდებლობის მიმართ; სამ დოკუმენტში კი ეს მაღალი რანგი მხოლოდ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს ენიჭება.³²

აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სასამართლოებისა და ადმინისტრაციების მიერ ასეთი პირობების ფაქტობრივ გამოყენებას მეტი ღირებულება ექნება, ვიდრე კონსტიტუციების მაღალფარდოვან ტექსტებს.

ჩვეულებითი სამართალი და საერთო პრინციპები

არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება მუნიციპალურ სამართალში ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლისა და საერთო პრინციპების გამოყენების წესებსა და ხელშეკრულებების გამოყენების წესებს შორის. ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით მთავრობის აღმასრულებელ და საკანონმდებლო განშტოებებს შორის შიდა კონფლიქტების პრობლემა არ არსებობს. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში აღიარების წესები ან წინასწარ არის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული, ან მათ თანდათან აყალიბებენ ეროვნული სასამართლოები. ისეთი პროცედურის შექმნა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მუნიციპალურ სამართლად გარდაქმნას დაავალდება, არაპრაქტიკულია, რადგან ამისთვის საჭირო გახდებოდა საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების ყველა ცვლილების რეგულარული განხილვა. ეს კი ისეთი შრომატევადი საქმეა, რომ მას საკანონმდებლო მიზნებით ვერც ერთი ორგანო ვერ შეასრულებს. ამასთან, ჩვეულებითი სამართალი ხელშეკრულებებზე ნაკლებ ნათელია და მისი, როგორც საერთაშორისო სამართლის წყაროს, მნიშვნელობა თანდათან მცირდება.

შიდასახელმწიფოებრივ სამართალში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ინკორპორაციის თვალსაზრისით, განსხვავება საერთო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ქვეყნებს შორის უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ხელშეკრულებათა სამართლის შემთხვევაში. შეერთებული შტატებიც კი, რომელიც ხელშეკრულებათა სამართლის თვალსაზრისით მკაფიოდ განსხვავდება საერთო სამართლის სხვა სახელმწიფოებისგან, ისეთ პრაქტიკას ახორციელებს, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და ბრიტანული თანამეგობრობის ძირითადი პრინციპების მსგავსია. კერძოდ:

ჩვეულებითი ნორმები ქვეყნის სამართლის ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული და, ამდენად, სავალდებულო ხასიათი უნდა ჰქონდეს, იმ პირობით, რომ ისინი მხოლოდ იმდენად ინკორპორირებული, რომ შეესაბამებოდეს საპარლამენტო აქტებს ან უმაღლესი ძალის მქონე წინამორბედ სასამართლო გადაწყვეტილებებს.³³

ბრიტანეთში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ავტომატურად ხდება ინგლისისა და შოტლანდიის სამართლის ნაწილი. ამას ინკორპორაციის დოქტრინას უწოდებენ. ლორდ-კანცლერმა თელბოთმა 1735 წელს ბარბუიტის საქმესთან (Barbuit case) დაკავშირებით განაცხადა: „საერთაშორისო სამართალი მთელი თავისი სისრულით წარმოადგენს ინგლისის სამართალს და ქმნის ინგლისის სამართალს“.³⁴ შეიძლება ითქვას, რომ ეს დებულება რამდენადმე უზუსტოა იმ აზრით, რომ ზედმეტად ზოგადია და არ შეეფერება სიმართლეს ხელშეკრულებების შემთხვევაში. საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით ის 1764 წლიდან 1861 წლამდე მრავალ საქმეში იყო გამოყენებული და ხელახლა იქნა ჩამოყალიბებული ლორდ დენინგის მიერ.³⁵

მაგრამ ზოგიერთ ახალ საქმესთან დაკავშირებით იმის თქმაც შეიძლება, რომ ეს საქმეები უარყოფს ინკორპორაციის დოქტრინას ტრანსფორმაციის დოქტრინის სასარგებლოდ, ანუ იმ დოქტრინის სასარგებლოდ, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წორმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს ინგლისის სამართლის ნაწილად, თუ ისინი ინგლისის საპარლამენტო აქტებითა და სასამართლო გადაწყვეტილებებითაა მიღებული.³⁶ მოკლედ რომ ვთქვათ, ინგლისის სამართლის თეორია ინკორპორაციისაკენ იხრება, მაგრამ, ვინაიდან ინგლისის სასამართლოები ინგლისის გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ძირითად მტკიცებულებად მიიჩნევენ, ამიტომ პრაქტიკა უფრო ტრანსფორმაციის თეორიას შეესაბამება. ხშირია სიტუაციები, რომლებიც ზოგადი წესიდან გამონაკლისებს ქმნიან და რომლებშიც ინგლისის სასამართლოებს არ შეუძლიათ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის გამოყენება. მაგალითად, თუ გაჩნდა კონფლიქტი საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსა და საპარლამენტო აქტებს შორის, უპირატესობა საპარლამენტო აქტებს ენიჭება.³⁷ მაგრამ, სადაც ეს შესაძლებელია, ინგლისის სასამართლოები საპარლამენტო აქტების ისე ინტერპრეტირებას ცდილობენ, რომ არ შეეწინააღმდეგონ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს.³⁸ ამას გარდა, თუ არსებობს კონფლიქტი საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსა და სავალდებულო სასამართლო პრეცედენტს შორის, რომელიც საფუძვლად უდევს ინგლისის სამართალს, უპირატესობა იურიდიულ პრეცედენტს ენიჭება.³⁹ მაგრამ ინგლისის სასამართლოებს მოქმედების საკმაო თავისუფლება აქვთ და შეუძლიათ, გადაუხვიონ ადრეულ სასამართლო პრეცედენტებს, რომლებიც საფუძვლად დაედო საერთაშორისო სამართლის ნორმას, თუ საერთაშორისო სამართალი ამასობაში შეიცვალა.⁴⁰

შეერთებული შტატების იურიდიული სისტემა იზიარებს ინგლისის საერთო სამართლის ტრადიციებს და საერთაშორისო სამართალს, ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, საერთო სამართლის ნაწილად მიიჩნევს. შეერთებული შტატების სასამართლოები მკვეთრად არ მიჯნავენ საერთაშორისო სამართლის წყაროებს, და მათი პოზიცია ხშირად ხასიათდება, როგორც, “pot pourri” მიდგომა.⁴¹ აქაური სასამართლოები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს უფრო ხშირად ინდივიდებსა და სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებში იყენებენ, ვიდრე საკუთრივ სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილ კონფლიქტებში. მაგალითად, საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმის არსებობის დასადგენად მოიძებნა საკმარისი სახელმწიფო პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც მოხერხდა სანაპიროზე მოთევზავე გემების პატიმრობიდან განთავისუფლება⁴² და ფოლკლენდის ომის დროს საერთაშორისო წყლებში ნეიტრალური გემების თავდასხმისაგან დაცვა.⁴³

³³ I. Brownlie, *Principles of Public International Law*, 4th edn 1990, 43 with references.

³⁴ 25 ER 77. მაგრამ იხ. J.C. Collier, *Is International Law Really Part of the Law of England?* *ICLQ* 38 (1989), 924-34.

³⁵ *Trendtex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*, [1977] QB 529, 553-4.

³⁶ იხ. ეიკარსტი, ამნიგის მე-6 გამოცემა, თ. 4.

³⁷ *Mortensen v. Peters* (1906), 8 F (J.C.) 93. ამ საქმის წინამორბედი მოვლენების შესახებ იხ. H.W. Briggs, *The Law of Nations*, 2nd edn 1953, 52-7. საქმე არ არის აბსოლუტურად გადაწყვეტილი, რადგან სასამართლო არ იყო დარწმუნებული ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის შესაბამისი კანონის გამოყენების მართებულობაში.

³⁸ *Maxwell's Interpretation of Statutes*, 12th edn 1969, 183-6; *Halsbury's Laws of England*, 4th edn 1983, Vol. 44, para. 908.

³⁹ *Chung Chi Cheung v. R.*, [1939] AC 160, 168; *Trendtex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*, [1977] QB 529, 557.

⁴⁰ *Trendtex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*, [1977] QB 529, 554, 557, 576-9, rejecting the contrary view in *The Hammatan*, *WLR* 1 (1975), 1485, at 1493-5. სახელმწიფო დოქტრინის აქტის ღირებულებისა და საგარეო უწყების სერტიფიკატების შესახებ იხ. ეიკარსტი, ამნიგის მე-6 გამოცემა, თ. 4.

⁴¹ იხ. Janis, *op. cit.*, 100; F.L. Kirgis, *Federal Statutes, Executive Orders and 'Self-Executing Custom'*, *AJIL* 81 (1987), 37-75; H.G. Maier, *The Authoritative Sources of Customary International Law in the United States*, *Mich. JIL* 10 (1989), 450; J.J. Paust, *Customary International Law: Its Nature, Sources and Status as Law of the United States*, *Mich. JIL* 2 (1990), 59-91.

⁴² *Paquete Habana* case, 175 US 677, 686-711 (1900).

⁴³ *Amerasia Hess v. Argentine Republic*, 830 F. 2d 421 (2d Cir. 1987).

⁴⁴ *Echeverria-Hernandez v. United States Immigration & Naturalization Serv.*, 923 F.2d 688, 692-3 (9th Cir. 1991), vacated, 946 F.2d 1481 (9th Cir. 1991).

⁴⁵ *ib. Banco Nacional de Cuba v. Sabbatino*, 376 US 398, 425-6 (1964).

⁴⁶ *ib. lb. Janis, op. cit.*, 102.

⁴⁷ *Cassese, op. cit.*, 383.

⁴⁸ L. Wildhaber/S. Breitenmoser, *The Relationship between Customary International Law and Municipal Law in Western European Countries*, *ZaorV48* (1988), 163-207, 204.

⁴⁹ *ibid.*, 206.

მაგრამ ვერ მოხერხდა ისეთი ნორმის აღმოჩენა, რომელიც შეერთებულ შტატებს იმ პირებისთვის დროებითი თავშესაფრის მიცემას მოსთხოვდა, რომლებიც სხვა ქვეყანაში წარმოებულ სამოქალაქო ომს გაუბრუნდნენ, რადგან ასეთი სახელმწიფო პრაქტიკა მხოლოდ „გასაგები ჰუმანური დამოკიდებულების“ ამსახველი იქნებოდა.⁴⁴

კონფლიქტები „საერთაშორისო საერთო სამართალსა“ და შეერთებული შტატების შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის ხშირად იმავე დონეზე განიხილება, როგორც კონფლიქტები საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის. შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს ამ თვალსაზრისით უზენაესი უფლებამოსილება აქვს როგორც ფედერალური, ისე შტატების სასამართლოებთან მიმართებაში.⁴⁵ ჯერ კიდევ სადავოა, აქვს თუ არა შეერთებულ შტატებში „საერთაშორისო საერთო სამართალს“ უპირატესობა წინამორბედ მუნიციპალურ სამართალთან შედარებით, როგორც ეს ხდება ხელშეკრულებების შემთხვევაში.⁴⁶ ყოველ შემთხვევაში, შეერთებული შტატების სასამართლოები, სხვა ქვეყნების სასამართლოების მსგავსად, ცდილობენ, გვერდი აუარონ საკანონმდებლო აქტის ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც წარმოქმნიდა კონფლიქტს ეროვნულ სამართალთან. ყოველ შემთხვევაში, ხშირად ეროვნული აღქმის საკითხია ის, თუ რას ამბობს საერთაშორისო სამართალი.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართლის ტრადიციას, აქ, საკონსტიტუციო სფეროს უახლესი ცვლილებების თვალსაზრისით, გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს. 1985 წელს წარმოდგენილ მიმოხილვაში, კესესი მიუთითებდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დეგრადაციის ტენდენციაზე არა მხოლოდ სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებში, არამედ ისეთ ქვეყნებშიც, როგორებიცაა საფრანგეთი, ესპანეთი და ჰოლანდია.⁴⁷ ეს თვალსაზრისი გადამოწმებულ იქნა ვილდჰაბერისა და ბრეიტენმოსერის მიერ ევროპული კონსტიტუციების ანალიზში. მათ შეისწავლეს გერმანიის, იტალიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, შვეიცარიის, ლიხტენშტაინის, ჰოლანდიის, ბელგიის, ესპანეთის კონსტიტუციები და დაასკვნეს, რომ:

დასავლეთ ევროპის ქვეყანათა როგორც დანერგილი, ისე დაუნერგელი სამართალი აღიარებს კონვენციურ და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს, როგორც „ქვეყნის სამართლის ნაწილს“, ხოლო იმ სახელმწიფოთა პრაქტიკა, რომელთაც არა აქვთ მკვეთრად გამოხატული დადგენილებები საერთაშორისო და მუნიციპალური სამართლის თანაფარდობის შესახებ, არ განსხვავდება იმ სახელმწიფოთა პრაქტიკისაგან, რომელთაც აქვთ ასეთი ფრაზა თავიანთ კონსტიტუციებში.⁴⁸

ეს ავტორები იმასაც გვიჩვენებენ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს ანიჭებს უპირატესობას სანესდებო შიდა სამართალთან კონფლიქტის შემთხვევაში, ხოლო ეროვნული სასამართლოები ცდილობენ, „საერთაშორისო სამართლისადმი კეთილმეგობრული დამოკიდებულების“ პრინციპის საფუძველზე მოახდინონ ჰარმონიზაცია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ვალდებულებებს შორის.⁴⁹ ამ ანალიზის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ მისი საფუძველი ორი ცენტრალური პრინციპითაა შეზღუდული: ეს არის პრინციპი *pacta sunt servanda* (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) და კეთილსინდისიერების პრინციპი (სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით). მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდება ბევრ სხვა სფეროშიც ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა და ზოგადი პრინციპების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

დეკოლონიზაციის პროცესში წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, უნდობლობით ეკიდებიან საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს, რომელიც მათი ყოფილი კოლონიური ბატონების მიერ არის შექმნილი, და მოითხოვენ ახალი ნორმების კოდიფიკაციას, რაც მათი მონაწილეობით უნდა განხორციელდეს.⁵⁰ ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მათი კონსტიტუციები იშვიათად შეიცავენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ან ზოგადი პრინციპების მკაფიოდ გამოხატულ აღიარებას.

ანალოგიურად, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები არ არიან განწყობილნი იმისათვის, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილად აქციონ საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები, რომლებიც მათი მონაწილეობით არაა შექმნილი. ახალი რუსული კონსტიტუცია განასხვავებს ხელშეკრულებების უფლებამოსილებას და „საერთაშორისო სამართლის საყოველთად აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“. სახელშეკრულებო წესებს, რომლებიც არ განასხვავებენ „თვითშესრულებად“ და „არათვითშესრულებად“ პირობებს, უფრო მაღალი სტატუსი აქვთ, ვიდრე შიდა კანონებს, მიუხედავად იმისა, წინამორბედი ხელშეკრულება თუ მომდევნო; მაგრამ ეს სტატუსი ფედერალურ კონსტიტუციაზე მაღალი არ არის.⁵¹ „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს“ ასეთივე სტატუსი არ ენიჭება, ალბათ იმიტომ, რომ ეს ნორმები საკმარისად სპეციფიკურად არ ითვლება. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, კონსტიტუცია აღიარებს, რომ ისინი გარანტირებულია „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების“ შესაბამისად.⁵² მაგრამ ამ და სხვა მსგავს დებულებათა პრაქტიკული მნიშვნელობა ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება.⁵³

⁵⁰ იბ. თ. 2

⁵¹ Danilenko, *op. cit.*, 465.

⁵² რუსეთის 1993 წლის

კონსტიტუციის მე-17 მუხლი

⁵³ იბ. Danilenko, *op. cit.*, 467.

⁵⁴ იბ. თ. 8.

დასკვნები

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ბევრ ქვეყანაში შიდა კანონმდებლობა ზოგჯერ საერთაშორისო სამართლის ნორმებს ზუსტად არ შეესაბამება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს სახელმწიფოები საერთაშორისო ნორმებს არღვევენ. ძალიან ხშირად განსხვავება ეროვნულ და საერთაშორისო სამართალს შორის მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ ახერხებს იმ უფლებების გამოყენებას, რომელთაც მას საერთაშორისო სამართალი სთავაზობს (და არ ავალდებულებს). მაშინაც კი, როდესაც მუნიციპალური სამართლის ნორმის შესრულება საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება, ამ დარღვევას იწვევს არა ამ ნორმის არსებობა, არამედ მისი გამოყენება. შესაბამისად, თუ ნორმის გამოყენება ევალება აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც მას ისე იყენებს, რომ საერთაშორისო სამართალს არ არღვევს, მაშინ ყველაფერი წესრიგშია. მაგალითად, არ არის აუცილებელი საპარლამენტო აქტი იმისათვის, რომ უცხო ქვეყნის დიპლომატები საბაჟო ვალდებულებებისაგან განთავისუფლდნენ.⁵⁴ მთავრობას ამ შედეგის მიღწევა შეუძლია საბაჟო მოხელეებისათვის მიცემული ინსტრუქციით, არ დააწესონ საბაჟო გადასახადები უცხოელ დიპლომატთა საკუთრებაზე.

საერთაშორისო საჯარო სამართალი და საერთაშორისო კერძო სამართალი

სხვადასხვა სახელმწიფოებს სხვადასხვა კანონები აქვთ. თუ X ქვეყანაში მოსამართლე განიხილავს საქმეს, რომელსაც მეტი კავშირი აქვს Y ქვეყანასთან, ვიდრე X ქვეყანასთან, მას ექნება გრძნობა, რომ უმჯობესია საქმე Y ქვეყანაში იყოს განხილული, ან (ვინაიდან ზოგ მოსამართლეს არ სურს უარი

⁵⁵ იხ. U. Drobniq, Private International Law, EPIL10 (1987), 330-5; L. Collins (ed.), *Dicey and Morris on the Conflict of Laws*, 12th edn 1993; E.F. Scoles/P. Hay, *Conflict of Laws*, 1992.

⁵⁶ იხ. თ.1.

⁵⁷ I. Strenger, *La Notion de lex mercatoria en droit du commerce international*, RdC227 (1991-11), 207-355; Ö. Å. Carboneau, *Lex Mercatoria and Arbitration*, 1993.

⁵⁸ მაგრაბ იხ. P.O. Trooboff, *The Growing Interaction between Private and Public International Law*, *Hague YIL* 6 (1993), 107-14. იხ. ავრეტე, A.F.M. Maniruzzaman, *Conflict of Law Issues in International Arbitration*, *AIJ* 9 (1993), 371-403; W. Meng, *Extraterritoriale Jurisdiktion im öffentlichen Wirtschaftsrecht*, 1994.

თქვას პირად ავტორიტეტზე, რომელიც საქმეების წარმოებას უკავშირდება) ის თვითონ განიხილავს ამ საქმეს Y სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად. ასეთმა დამოკიდებულებამ თითქმის ყველა ქვეყანაში გამოიწვია ნორმათა რთული სისტემის შექმნა, რომელიც ისეთი საქმეების წარმოებისას, სადაც უცხოური ელემენტი არსებობს, სასამართლოებს მიუთითებს, თუ როდის გამოიყენონ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი, როდის გამოიყენონ უცხო ქვეყნის სამართალი და როდის ალიარონ ან უფლებამოსილება მიანიჭონ უცხო ქვეყნის სასამართლოს განაჩენს. ასეთ კანონებს საერთაშორისო კერძო სამართალს ან კანონთა კონფლიქტს უწოდებენ.⁵⁵

საერთაშორისო სამართლის იმ სახესხვაობას, რომელსაც ამ ნიგნში განვიხილავთ, საერთაშორისო კერძო სამართლისაგან გამიჯვნის მიზნით ხშირად საერთაშორისო საჯარო სამართალს უწოდებენ. ტერმინი „საერთაშორისო სამართალი“, თუ მას ყოველგვარი განსაზღვრების გარეშე ვიხმართ, თითქმის ყოველთვის საერთაშორისო საჯარო სამართალს აღნიშნავს და არა საერთაშორისო კერძო სამართალს. საერთაშორისო სამართალი, როგორც ზემოთ ითქვა,⁵⁶ პირველ ყოვლისა, სახელმწიფოთა ურთიერთობას აწესრიგებს, მაშინ, როდესაც მეცხრამეტე საუკუნეში საერთაშორისო კერძო სამართალი მოიაზრებოდა, როგორც სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ინდივიდთა ურთიერთობების ან, ძველი „სავაჭრო სამართლის“ (lex mercatoria-ს)⁵⁷ აზრით, როგორც მოვაჭრეთა ურთიერთობების მომწესრიგებელი. სახელწოდებების მსგავსებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს; საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალს შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ ორივე მათგანი განიხილავს მოვლენებს, სადაც არსებობს საზსსლვრის გადალახვის ელემენტი.

ზოგიერთი ავტორი აყენებდა „ტრანსნაციონალური სამართლის“ იდეას, რომელიც ორივე სისტემას მოიცავს, მაგრამ სინამდვილეში ასეთი სამართალი არ არსებობს. არ არსებობს იურიდიული წესრიგი, რომელიც უზენაესი იქნებოდა სხვადასხვა ეროვნული იურიდიული სისტემებისთვის და ინდივიდთა ტრანსსაზღვრო ურთიერთობებს განიხილავდა (სახელმწიფოთა ურთიერთობებისაგან განსხვავებით). ამიტომ პრობლემა იმაში მდგომარეობს, თუ რომელი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი უნდა გამოვიყენოთ. სახელმწიფოებმა არჩიეს მიდგომა, სადაც უცხოური ელემენტის შემცველი საქმეების განხილვა საკუთარი სამართლის ფარგლებში, lex fori, აუცილებელი არ არის და მიიღეს სპეციალური საკონფლიქტო კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი ეროვნული სამართალი უნდა იყოს გამოყენებული ასეთ შემთხვევებში. მაგალითად, თუ ესპანეთის სასამართლოს გასარკვევი აქვს ფრანგულ კომპანიასა და იტალიელ მოვაჭრეს შორის დადებული ხელშეკრულებების კანონიერება, მან უნდა გამოიყენოს ესპანური საერთაშორისო კერძო სამართლის კანონები, რათა იპოვოს კონტრაქტის შესაბამისი სამართალი (ფრანგული, იტალიური, ესპანური ან სხვა, ვითარების შესაბამისად). ამ წესს საერთაშორისო ხასიათი არა აქვს და იმდენი საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემა არსებობს, რამდენი ქვეყანაცაა.

საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართლის სხვადასხვა მუნიციპალურ სისტემებს შორის კავშირი ძალიან სუსტია.⁵⁸ საერთაშორისო კერძო სამართალი წარმოიშვა რწმენიდან, რომ გარკვეულ ვითარებაში სწორი იქნებოდა უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება ან უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის საქმის გადაცემა. სიძნელე იმაშია, რომ ყოველ ქვეყანას საკუთარი წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, რა იქნებოდა მართებული. მაგალითად, ინგლისის სასამართლოები ხშირად სხვა ქვეყნის სასამართლოს აძლევენ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას; ჰოლანდიისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს სასამართლოები კი ამას იშვიათად აკეთებენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ხელშეკრულება ასეთი

უფლებამოსილების შესახებ.⁵⁹ სხვადასხვა ქვეყნების სასამართლოების იურისდიქციის განმსაზღვრელი კანონები ისეთი სამოქალაქო საქმეებისათვის, რომლებიც უცხო ელემენტს შეიცავენ, ერთმანეთისგან იმდენად განსხვავდება, რომ რაიმე საერთო მოდელის გამოვლენა შეუძლებელია. სხვა ქვეყნის სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებული კანონებიც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, 1800 წლამდე ადამიანისთვის „პიროვნული სამართალი“ (ე.ი. სამართალი, რომელიც აწესრიგებს ქორწინების კანონიერებას, შესაძლებლობას და საოჯახო სამართლის სხვა საკითხებს) განისაზღვრებოდა მისი რელიგიური კუთვნილების მიხედვით მაჰმადიანურ ქვეყნებში და ადგილმდებარეობის (მუდმივი საცხოვრებელი ადგილის) მიხედვით – დასავლეთის ქვეყნებში; ამ განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მაჰმადიანურ ქვეყნებში უფრო დიდი რელიგიური შემწყნარებლობა არსებობდა, ვიდრე ქრისტიანულ ქვეყნებში. მე-19 საუკუნეში, ნაპოლეონის მმართველობის პერიოდში, საფრანგეთმა გაიარა ინტენსიური ნაციონალისტური ფაზა და გადაწყვიტა, რომ საფრანგეთის სამართალი უნდა იყოს პიროვნული სამართალი ფრანგული ეროვნების ყველა წარმომადგენლისათვის; გარკვეული ყოყმანის შემდეგ საფრანგეთის სასამართლოებმა ამ კანონის ანალოგიით გამოიყვანეს, რომ ადამიანის პიროვნული სამართალი მისი ეროვნული სამართალი უნდა იყოს, მისი საცხოვრებელი ადგილის სამართლისგან განსხვავებით. ასევე მოხდა მოგვიანებით სხვა კონტინენტურ ქვეყნებშიც. ინგლისი საცხოვრებელი ადგილის ძველი კანონის ერთგული დარჩა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის სასამართლო გადაწყვეტილებებმა მრავალი სირთულე და ხელოვნურობა წარმოშვა საცხოვრებელი ადგილის შექენასთან და დაკარგვასთან დაკავშირებით. ამის შედეგად მივიღეთ უკიდურესი დაშორება სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონებს შორის, შესაბამისი სირთულეებით; მაგალითად, თუ ესპანური ეროვნების პირი, რომელიც ინგლისში ცხოვრობს, მიიღებს განქორწინებას ინგლისში, ეს აღიარებული იქნება ინგლისურენოვანი ქვეყნების უმრავლესობაში, მაგრამ არა კონტინენტური ქვეყნების უმრავლესობაში. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ არც ერთმა ქვეყანამ არ გამოთქვა პროტესტი საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მიერ ადგილმდებარეობის ძველი კანონის უარყოფასთან დაკავშირებით. ითვლება, რომ პროტესტის არარსებობა დუმილით თანხმობას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს აქვთ უფლება შეცვალონ თავიანთი საერთაშორისო კერძო სამართლის კანონები თავიანთი სურვილის მიხედვით.

მაგრამ, რა თქმა უნდა, განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალს შორის არ უნდა გავაზვიადოთ. არსებობს კანონები, რომლებიც მეტ-ნაკლებად იდენტურია უმეტეს ქვეყნებში. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საკუთრების გადაცემის კანონი. გადაცემის კანონიერება დამოკიდებულია იმ ადგილის კანონებზე, სადაც მდებარეობდა ეს საკუთრება ტრანსფერამდე (*lex situs* ან *lex rei sitae*). ეს მსგავსება ალბათ უფრო დამთხვევის ან კომერციული მოსახერხებლობის შედეგია, ვიდრე საერთაშორისო საჯარო სამართლის რომელიმე ნორმისა. სხვადასხვა ქვეყნების სამართალს შორის არსებული მსგავსება ყოველთვის საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმას არ ასახავს. მაგალითად, ინგლისურენოვანი ქვეყნების საკონტრაქტო სამართალი ერთმანეთის მსგავსია, ვინაიდან ინგლისურენოვანი ქვეყნების პირველი კოლონისტები ინგლისელები იყვნენ.⁶⁰ იმის დასასაბუთებლად, რომ საერთაშორისო საჯარო სამართალი სახელმწიფოებისაგან მუნიციპალურ სამართალში გარკვეული ნორმის ინკორპორირებას მოითხოვს, საკმარისი არაა იმის ჩვენება, რომ ეს კანონი ფაქტობრივად არსებობს ამ სახელმწიფოების მუნიციპალურ სამართალში; საჭიროა აგრეთვე *opinio iuris*-ის⁶¹, ანუ იმის ჩვენება, რომ საერთაშორისო საჯარო სამართალი სახელმწიფოებისგან ამ ნორმის ინკორპორირებას მოითხოვს. აქ კი ხშირად ხარვე-

⁵⁹ იხ. K. Lipstein, Recognition and Execution of Foreign Judgments and Arbitral Awards, *EPIL* 9 (1986). ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებზე მითითებით; აშშ-ს სიტუაციის შესახებ იხ. *Restatement (Third)*, Vol. 1, Chapter 8, 591 *et seq.*
⁶⁰ J.N. Matson, *The Common Law Abroad*, *ICLQ* 42 (1993), 753 *et seq.*
⁶¹ იხ. თ. 3

⁶² "comity"-ს შესახებ იხ. თ. I და თ. 3.

⁶³ იხ. H. Kozl. *Unification and Harmonization of Laws*, *EPIL* 10 (1987), 513-18.

⁶⁴ იხ. A. Dyer. *Hague Conventions on Private International Law*, *EPIL* II (1995), 663-70; Dyer, *Hague Conventions on Civil Procedure*, *ibid.*, 658-63; T.M.C. Asser Instituut (ed.), *The Influence of the Hague Conference on Private International Law*, 1993; K. Lipstein, *One Hundred Years of Hague Conferences on Private International Law*, *ICLQ* 42 (1993), 553 *et seq.* ჰააგის კონფერენციის მიერ მიღებული კონვენციის სტატუსის შესახებ იხ. ILM 35 (1996), 526. UNCITRAL-ის შესახებ იხ. G. Herrmann, *United Nations Commission on International Trade Law*, *EPIL* 5 (1983), 297-301.

ზები გვაქვს. როდესაც მოსამართლეები *lex situs*-ს ან საერთაშორისო კერძო სამართლის რომელიმე კანონს იყენებენ, ისინი არ ეცნობიან სხვა ქვეყნების პრაქტიკას, არ ცდილობენ საკუთარი გადაწყვეტილებების მათთან შეხამებას; არც იმას ვარაუდობენ, რომ მათი მოქმედება საერთაშორისო საჯარო სამართლის რომელიმე ნორმით განისაზღვრება. როდესაც რომელიმე სახელმწიფო საერთაშორისო კერძო სამართლის რომელიმე საყოველთაოდ აღიარებულ ნორმას უარყოფს, ამას სხვა სახელმწიფოთა მოსამართლეები და დიპლომატები კანონის დარღვევად არ აცხადებენ. ინგლისელი მოსამართლეები ხშირად ამბობენ, რომ მათი მოქმედება *comity*-თ, ანუ სხვა სახელმწიფოთა კანონებისა და ჩვევების აღიარებით არის ნაკარნახევი. ეს უჩვეულო სიტყვაა და ტექნიკური ტერმინის შთაბეჭდილებას ტოვებს; მაგრამ გაურკვეველია, რას გულისხმობენ, თუ საერთოდ გულისხმობენ რაიმეს, ინგლისელი მოსამართლეები მისი გამოყენებისას. პირდაპირი მნიშვნელობით ეს სიტყვა ნიშნავს „თავაზიანობას“ და ამ აზრით „*comity*“ განიხილება, როგორც რაღაც განსხვავებული ყოველგვარი სამართლისაგან; „*comity*“-ს ნორმები ჩვეულებებია, რომელთაც, ჩვეულებრივ, ასრულებენ, მაგრამ იურიდიულად სავალდებულო არ არის. ზოგჯერ ეს სიტყვა იხმარება, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის სინონიმი; ზოგჯერ – როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის სინონიმი; ზოგჯერ კი – როგორც სრულიად უაზრო გამოთქმა. ეს მშვენიერი სიტყვაა, თუ ვინმეს სურს, უფრო ბუნდოვანი გახადოს სხვაობა საჯარო და საერთაშორისო კერძო სამართალს შორის ან თავიდან აიცილოს აზროვნების სიცხადის მოთხოვნა.⁶²

აქედან გამომდინარე, მიღებულია, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები არ შეადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის ნაწილს და პირიქით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სახელმწიფოები დებენ ხელშეკრულებებს საერთაშორისო სამართლის ნორმების უნიფიცირების მიზნით; და როდესაც ასე ხდება, საერთაშორისო კერძო სამართლის შინაარსი საერთაშორისო საჯარო სამართლის რეგულირების სფეროში გადადის.⁶³ ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს 1893 წელს დაარსებული საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციის მუშაობას.⁶⁴

5. სახელმწიფოები და მთავრობები

სახელმწიფოები

საერთაშორისო სამართალი ძირითადად სახელმწიფოთა უფლებებსა და მოვალეობებს ეხება, ამიტომ საერთაშორისო სამართლის მიზნებისათვის აუცილებელია, ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმის შესახებ, თუ რა არის სახელმწიფო¹. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაცილებით ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში დისკუსიები უფრო ფაქტობრივ საკითხებს შეეხება, ვიდრე შესაბამისი სამართლებრივი კრიტერიუმების დადგენას².

სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციის | მუხლის თანახმად:

სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, შემდეგი თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს:

- ა) მუდმივი მოსახლეობა;
- ბ) განსაზღვრული ტერიტორია;
- გ) მთავრობა;
- დ) სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარი.³

პირველი სამი ელემენტი, (ა)-(გ), შეესაბამება დამკვიდრებულ საერთაშორისო პრაქტიკასა და გერმანელი გეორგ ელინეკის მიერ მე-19 საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებულ ე.წ. „სამი ელემენტის დოქტრინას“ (“Drei-Elementen-Lehre”)⁴. სანამ დამატებით კრიტერიუმებზე ვიმსჯელებდეთ, ჯერ პირველი სამი ელემენტი განვიხილოთ.

განსაზღვრული ტერიტორია

ტერიტორიის კონტროლი სახელმწიფოს არსებითი ნიშანია⁵. ესაა „ტერიტორიული უზენაესობის“ ცნების საფუძველი, რომელიც სახელმწიფოს ანიჭებს განსაკუთრებულ კომპეტენციას, გაატაროს სამართლებრივი და ფაქტობრივი ღონისძიებები ამ ტერიტორიის ფარგლებში და აუკრძალოს უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს მისი თანხმობის გარეშე ამ ტერიტორიაზე თავიანთი იურისდიქციის გავრცელება. ამასთან დაკავშირებით, პრეცედენტად ითვლება *კუნძულ პალმას საქმე* (Island of Palmas case). ეს საქმე შეეხებოდა დავას ნიდერლანდებსა და აშშ-ს შორის იმის თაობაზე, თუ რომელი სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდებოდა ფილიპინებსა და ამჟამად ინდონეზიურ კუნძულ ნანუსას შორის მდებარე კუნძულზე. მხარეებმა საკითხი განსახილველად ჰააგის საარბიტრაჟო სასამართლოს გადასცეს. ერთპიროვნულ არბიტრად მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტი მაქს ჰუბერი დაინიშნა. 1928 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებაში მოსამართლე ჰუბერმა ასე დაახასიათა ტერიტორიული უზენაესობის კონცეფცია:

ტერიტორიული სუვერენიტეტი... სახელმწიფოს მიერ თავისი საქმიანობის განხორციელების განსაკუთრებულ უფლებას გულისხმობს. ამ უფლებას თან ახლავს მოვალეობაც: სახელმწიფოს ეკისრება თავის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა უფლებების, კერძოდ, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და განუყოფლობის, ასევე უცხო ტერიტორიაზე მყოფი თავისი მოქალაქეების უფლებათა დაცვის ვალდებუ-

¹Harris CML, 102-26; J.Crawford. The Criteria for Statehood in International Law, BYIL 48 (1976-7), 93-182; J.A. Andrews, The Concept of Statehood and the Acquisition of Territory in the Nineteenth Century, LQR 94 (1978), 408-27; The Creation of of States in International Law, 1979; 30-86; H. Mosler, Subjects of International Law, EPIL 7(1984), 442-59; J.A. Barberis, *Los sujetos del derecho internacional actual*, 1984; K. Doehring, State, EPIL 10 (1987), 423-8; P.K. Menon, The Subjects of Modern International Law. Hague YIL 3 (1990), 30-86; N.L. Wallace-Bruce, *Claims to Statehood in International Law*, 1994; S. Mageria, Government, EPIL II (1995), 603-7. სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესახებ ლიტერატურა იხ. თ. 2.

²I. Brownlie, Principles of Public International Law, 4th edn 1990, 72. საერთაშორისო სამართალში გამარტივებული განმარტების საჭიროებაზე იხ. Doehring, op.cit., 423-4.

³ 165 LNTS 19.

⁴G. Jelline, *Allgemeine Staatslehre*, 3rd edn 1914, 396 et seq.

⁵M.N. Shaw, Territory in International Law, NYIL 13 (1982), 61-91; S. Torres Bernardez, Territorial Sovereignty, EPIL 10 (1987), 487-94; C.K. Rozakis, Territorial Integrity and Political Independence, ibid., 481-7. ტერიტორიის შექმნის შესახებ იხ. თ. 10.

⁹ Island of Palmas Case, RIAA II 829, at 838. ასევე იხ. P.C. Jessup, *The Palmas Island Arbitration*, AJIL 22 (1928), 735-52; R. Lagoni, *Palmas Island Arbitration*, EPIL 2 (1981), 223-4; Harris CMIL, 173-83, ასევე იხ. თ. 7 და თ. 10.

¹⁰ იხ. თ. 13.

¹¹ იხ. თ. 12.

¹² M. Bothe, *Boundaries*, EPIL 1 (1992), 443-9

¹³ იხ. E.J. de Arechaga, T. Schwesfurth, I. Brownliw, W. Hummer, R. Khan and H. D. Treviranus/R. Hilger in EPIL 1 (1992), 449 *et seq.*

¹⁴ Judgment of 20 February 1969, ICJ Rep. 1969, 3, at 33, para. 46. საქმეების შესახებ იხ. თ. 3 და თ. 12.

¹⁵ იხ. P. Malanczuk, *Israel: Status, Territory and Occupied Territories*, EPIL II (1995), 1468-508; Malanczuk, *Jerusalem*, EPIL 12 (1990), 184-95. ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის შესახებ იხ. თ. 10 და თ. 22.

¹⁶ Brownlie (1990), *op.cit.*, 73

¹⁷ იხ. Restatement (Third), Vol. 1, para. 201, at 73.

¹⁸ იხ. D. Orlov *The Small State in International Law*, Temple ICLJ 9 (1995), 115-40; J. Crawford, *Islands as Sovereign Nations*, ICLQ 38 (1989), 277 *et seq.* მინი-სახელმწიფოების წევრობაზე იხ. თ. 21

ლება როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს. ამ მოვალეობას სახელმწიფო ვერ შეასრულებს გარემოებათა შესაბამისად თავისი ტერიტორიული სუვერენიტეტის განმტკიცების გარეშე. ტერიტორიული სუვერენიტეტი მხოლოდ ნეგატიური მხრით არ უნდა შემოიფარგლოს, ანუ იგი არ უნდა გამორიცხავდეს სხვა სახელმწიფოთა საქმიანობას. ტერიტორიული სუვერენიტეტი ემსახურება ხალხთა შორის იმ სივრცის დანაწილებას, რომელზედაც ადამიანური რესურსებია დასაქმებული, რათა ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ დაცვის იმ მინიმუმით, რომლის გარანტიც საერთაშორისო სამართალია.⁶

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის ცნებაში იგულისხმება ერთ-მანეთისაგან საზღვრებით გამოყოფილი ან ტერიტორიულად დაშორებული გეოგრაფიული რაიონები, რომლებიც გაერთიანებულები არიან ერთიანი სამართლებრივი სისტემით (მაგ., დანია და გრენლანდია; საფრანგეთი და მარტინიკის კუნძულები; აღმოსავლეთი და დასავლეთი პაკისტანი ბანგლადეშის გამოყოფამდე 1971 წელს). ტერიტორია მოიცავს ხმელეთის ზევით საჰაერო სივრცეს (თუმცა ზუსტი ზედა ზღვრის შესახებ შეთანხმება არ არსებობს)⁷ და მიწის ნიაღვრის ქვეშ, რომელიც, თეორიულად, დედამიწის შუაგულს სწვდება. ის ასევე მოიცავს თორმეტი მილის სიგანის ტერიტორიულ ზღვას, რომელიც სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიას აკრავს.⁸

ამიტომ, სახელმწიფოს საზღვრების დემარკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს⁹. თუმცა აბსოლუტური სიცხადე სახელმწიფოს საზღვრებთან დაკავშირებით აუცილებელი მოთხოვნა არ არის; ბევრ სახელმწიფოს ხანგრძლივი სასაზღვრო დავა აქვს მეზობლებთან¹⁰. *ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმესთან დაკავშირებით* (North Sea Continental Shelf case) საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა:

„ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის კუთვნილება ცალსახად არ განსაზღვრავს მის საზღვრებს, და არც ისაა ცხადი, მოქმედებს თუ არა საზღვრები ტერიტორიულ უფლებებზე. არ არსებობს კანონი, რომელიც სახელმწიფოს სახმელეთო საზღვრების აუცილებელ სრულ დემარკაციას და განსაზღვრას ითხოვს, და ხშირად, სხვადასხვა ადგილებში და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, საზღვრები განსაზღვრული არ არის“¹¹.

მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო მუდმივად აკონტროლებს საკმარისად ცხადად განსაზღვრული ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგალითად, ისრაელი იმთავითვე აღიარეს სახელმწიფოდ, თუმცა მისი საზღვრების სტატუსი ჯერ კიდევ დაუდგენელი იყო ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის პერიოდში¹².

მოსახლეობა

„მუდმივი მოსახლეობის“ კრიტერიუმი ტერიტორიის კრიტერიუმთან არის დაკავშირებული და სახელმწიფოს არსებობის ფიზიკურ საფუძველს შეადგენს.¹³ მაგალითად, ანტარქტიდა მხოლოდ ამ მიზეზის გამო არ ითვლება სახელმწიფოდ. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ქვეყანაში შედის და ქვეყნიდან გადის მომთაბარეთა დიდი რაოდენობა, როგორც, მაგალითად, სომალიში, თავისთავად ხელს არ უშლის სახელმწიფოებრიობას, ვინაიდან ამ სახელმწიფოს მრავალრიცხოვანი მუდმივი მოსახლეობა ჰყავს.¹⁴

ისევე, როგორც ტერიტორია, მოსახლეობის რაოდენობაც შეიძლება ძალიან მცირე იყოს, რაც ეგრეთ წოდებული მინი-სახელმწიფოების პრობლემას ქმნის. მიუხედავად ამისა, ეს სახელმწიფოები გაეროს სრულუფლებიანი წევრები არიან.¹⁵ განსაკუთრებული შემთხვევაა ვატიკანი, რომელსაც კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული ცენტრი მართავს. მცირე მოსახლეობის მიუხე-

დავად, ვატიკანი დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს მრავალ სახელმწიფოსთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებს დებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია (თუმცა, გაეროს წევრი არ არის). თუმცა მის მრავალ სახელმწიფოებრივ ფუნქციას, ფაქტობრივად, იტალია ასრულებს.¹⁶

იმას, თუ ვინ განეკუთვნება სახელმწიფოს „მუდმივ მოსახლეობას“, მცირე გამოჩინების გარდა¹⁷, სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავისი შიდა კანონით მოქალაქეობის შესახებ. ბევრ სახელმწიფოს მრავალეროვანი მოსახლეობა ჰყავს. აქედან გამომდინარე, აბსურდული იქნებოდა ერი-სახელმწიფოს მოძველებული პოლიტიკური კონცეფციის გამოყენება, რომელიც სახელმწიფოსგან ეთნიკურ, ლინგვისტურ, ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ ერთგვაროვნებას მოითხოვს.¹⁸ ამ ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხები ხელახლა წამოიჭრება თვითგამორკვევის, უმცირესობებისა და მკვიდრი მოსახლეობის უფლებების თემის განხილვისას,¹⁹ თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამ ფაქტორების, როგორც სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი, გამოყენება აშკარად უადგილოა. სახელმწიფო ახორციელებს ტერიტორიულ იურისდიქციას თავის მოსახლეობაზე და პერსონალურ იურისდიქციას საზღვარგარეთ მყოფ თავის მოქალაქეებზე.²⁰ ამ მიზეზის გამო, არსებითი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ სამართლებრივ სისტემას, რომელიც მართავს ინდივიდებსა და სხვადასხვა ნიშნით განსხვავებულ ჯგუფებს სახელმწიფოს შიგნით.

¹⁶ib. H.F. Kock. Holy Ib., EPIL II(1995), 866-9; K. Oellers-Frahm, Grenzen hoheitlichen Handelns zwischen der Republik Italien und dem Vatikan, (1987). იხ. ვატიკანი-ისრაელის მიერ 1993 წლის 30 დეკემბერს დადებული ფუნდამენტური შეთანხმება.

¹⁷ib. თ. 17.

¹⁸ib. Th.M.Franck, Clan and Superclan: Loyalty, Identity and Community in Law and Practice. AJIL 90(1996), 359-83

¹⁹ib. თ. 6 და 19.

²⁰ib. თ. 7.

²¹ib. Magiera, op.cit.

²²LNOJ, Special Supp. No.3 (1920), 3.

²³ib. J.Salmon, Declaration of the State of Palestine, Palestine YIL 5 (1989), 48-82; F.Boyle, The Creation of the State of Palestine, EJIL 1 (1990), 301-6; J.Crawford, The Creation of the State of Palestine: Too much Too Soon? ibid., 307-13; Malanczuk (1995), op.cit., 1491-2.

მთავრობის მიერ განხორციელებული ეფექტური კონტროლი

მთავრობის მიერ ტერიტორიისა და მოსახლეობის ეფექტური კონტროლი მესამე არსებითი ნიშანია, რომელიც წინა ორთან ერთად ქმნის სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის მიზნებისათვის.²¹ მთავრობის კონტროლიდან ორი ასპექტი გამომდინარეობს: ერთი – შიდა, მეორე – საგარეო. შიდა დონეზე, სახელმწიფოს არსებობა გულისხმობს უნარს, შექმნას და შეინარჩუნოს სამართლებრივი წესრიგი კონსტიტუციური ავტონომიის თვალსაზრისით. საგარეო დონეზე, ეს გულისხმობს სახელმწიფოს უნარს, დამოუკიდებლად იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე ისე, რომ არ იყოს სხვა სახელმწიფოებზე სამართლებრივად დამოკიდებული საერთაშორისო სამართლის სისტემის ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, მთავრობის არსებობა თავისთავად საკმარისი არ არის, თუ ის ეფექტურ კონტროლს ვერ ახორციელებს. 1920 წელს იურისტთა საერთაშორისო კომიტეტმა წარმოადგინა თავისი მოხსენება ფინეთის სტატუსის შესახებ და დაადგინა, რომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ფინეთი არ იყო სუვერენული სახელმწიფო მანამ,

სანამ არ შეიქმნა სტაბილური პოლიტიკური ორგანიზაცია და სანამ სახელმწიფო ორგანოები იმდენად არ გაძლიერდნენ, რომ თავად შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი დაიწყო 1918 წლის მაისიდან, მას შემდეგ, რაც დასრულდა სამოქალაქო ომი და უცხოურმა შეიარაღებულმა ძალებმა ქვეყნის ტერიტორიის დატოვება დაიწყეს. ასე რომ, ამ დროიდან მოყოლებული, შესაძლებელი გახდა წესრიგისა და ნორმალური სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების თანდათანობით აღდგენა.²²

აქედან გამომდინარე, 1988 წელს პალესტინური ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული „პალესტინის სახელმწიფო“ რეალურად არ იყო სახელმწიფო, ვინაიდან ვერ ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც პრეტენზია ჰქონდა.²³ მიუხედავად ამისა, 1993 წლის 14 სექტემბერს ისრაელსა და პალესტინას შორის დადებულ ისტორიულ შეთანხმე-

²⁴ib. E.Benevisti, The Israeli-Palestinian Declaration of Principles: A Framework for Future Settlement, EJIL 4 (1993), 542-54; Shihudeh, Can the Declaration of Principles Bring About a "Just and Lasting Peace?", ibid., 555-63; A.Cassese, The Israel-PLO Agreement and Self-Determination, ibid., 555-63. The Arab-Israeli Accords: Legal Perspectives, 1996; P. Malanczuk, Some Basic Aspects of the Agreements Between Israel and the PLO from the perspective of International Law, EJIL 7 1996, 485-500.

²⁵ib. თ. 22.

²⁶ib. თ. 10 და M.Rotter, Government-in-Exile, EPIL II (1995), 607-11.

²⁷ib. თ. 10.

²⁸C.Haverland, Secession, EPIL 10 (1987), 384.

²⁹ib. Crawford (1979), op. cit., 103-6, 247-68 და თ. 19.

³⁰ib. თ. 19.

³¹P. Malanczuk, American Civil War, EPIL I (1992), 129-31.

ბას და შემდგომ ხელშეკრულებებს სამშვიდობო პროცესების გაგრძელების შემთხვევაში შეიძლება შედეგად მოჰყვეს პალესტინის სახელმწიფოებრიობის რაიმე ფორმით ცნობა. თუმცა ამ საკითხზე მხარეები კვლავ დაობენ და მოლაპარაკებები გრძელდება.²⁴

ტერიტორიაზე მთავრობის ეფექტური კონტროლის მოთხოვნა ყოველთვის მკაცრად არ დგას. სახელმწიფო არ წყვეტს არსებობას მაშინ, როდესაც სამოქალაქო ომის ან პოლიტიკური გადატრიალების გამო მას დროებით არ ჰყავს ეფექტური მთავრობა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლიბანის *de facto* გაყოფას ხელი არ შეუშლია მისი, როგორც სახელმწიფოს, უწყვეტად არსებობისთვის. მთავრობის არარსებობას არც სომალის საერთაშორისო სამართალსუბიექტურობისათვის შეუშლია ხელი, თუმცა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში ეს ფაქტი დახასიათებული იყო, როგორც „უნიკალური შემთხვევა“, რაც უფლებას აძლევდა გაეროს, ჰუმანიტარული ინტერვენცია განეხორციელებინა ამ ქვეყანაში.²⁵ ომის დროსაც კი, როდესაც მთელი ტერიტორია ოკუპირებულია მტრის მიერ, სახელმწიფო აგრძელებს არსებობას იმ პირობით, თუ მისი მოკავშირეები აგრძელებენ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ამის მაგალითია გერმანიის მიერ ევროპული სახელმწიფოების ოკუპაცია მეორე მსოფლიო ომის დროს.²⁶ შესაბამისად, მოკავშირეთა მიერ გერმანიისა და იაპონიის ოკუპაციას ასევე არ გამოუწვევია მათი სახელმწიფოებრიობის შეწყვეტა.²⁷

ის გარემოება, რომ მთავრობის დროებითი არაეფექტურობა მაშინვე არ ახდენს გავლენას სახელმწიფოს სამართლებრივ არსებობაზე, არა მხოლოდ სახელმწიფოსა და მთავრობის ერთმანეთისგან განსხვავების აუცილებლობას უსვამს ხაზს, იგი ასევე ასახავს საერთაშორისო სისტემის დაინტერესებას სტაბილურობასა და status quo-ს უდროო ცვლილების თავიდან აცილებაში, ვინაიდან მთავრობამ შესაძლებელია მოახერხოს თავისი ეფექტურობის აღდგენა. თუმცა იმავე მედალს მეორე მხარეც აქვს. კერძოდ, მთავრობის არსებობის მოთხოვნა მკაცრად დგას, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი გამოყოფას ცდილობს ახალი სახელმწიფოს შექმნის მიზნით. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც კრძალავს არსებული სახელმწიფოდან გამოყოფას. ასევე არ არსებობს ნორმა, რომელიც ხელს შეუშლიდა „დედასახელმწიფოს“ სათანადო ძალების არსებობისას ასეთი მოძრაობის ჩახშობაში. როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს ბრძოლა, საერთაშორისო სამართლისათვის მას სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს²⁸. ასეთი შეხედულებები (და ზოგიერთი სხვაც წინა თავიდან) შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე თვითგამორკვევის პრინციპს არღვევს. მაგრამ თვითგამორკვევის პრინციპის მოქმედების სფერო შეზღუდულია, ასე რომ, ეს შეხედულებები უმეტეს შემთხვევაში გამართლებულია²⁹. მაგრამ, ვინაიდან „დედასახელმწიფო“ აგრძელებს ბრძოლას სეპარატისტული მოძრაობის ჩასახშობად, არ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სეპარატისტული ხელისუფლება აუცილებლად შეძლებს ტერიტორიაზე კონტროლის შენარჩუნებას. მესამე სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენცია აჯანყებულთა მხარდაჭერის მიზნით აკრძალულია³⁰. ამის გამო, ტრადიციულად, სახელმწიფოები მანამ იკავებენ თავს სეპარატისტული მოძრაობის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობისაგან, სანამ ამ მოძრაობის გამარჯვება გარანტირებული არ იქნება. მაგალითად, არც ერთმა სახელმწიფომ არ ცნო სამხრეთი შტატების დამოუკიდებლობა ამერიკის სამოქალაქო ომის დროს (1861-1865)³¹. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოდ ცნობის ინსტიტუტი სახელმწიფოების მიერ გამოიყენება (ზოგჯერ ბოროტად), როგორც ერთ-ერთი მხარის მხარდაჭერის საშუალება სეპარატისტული ხასიათის სამოქალაქო ომების დროს. ამის გამო ზოგიერთმა სახელმწიფომ ბიაფრა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ ომის

ტალა აგორდა. ამ შემთხვევაში ცნობა თანაგრძნობის ნიშანი იყო. იუგოსლავიის კონფლიქტის შემთხვევაში დიდი დავა გამოიწვია სლოვენიისა და ხორვატიის ადრეულმა ცნობამ, რაც, გერმანიისა და ავსტრიის განმარტებით, ამ ქვეყანაში სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მცდელობა იყო, თუმცა ეს კამპანია სხვა სახელმწიფოთა მიერ შეფასებულ იქნა, როგორც ნაჩქარევი ქმედება, რომელმაც სინამდვილეში სტიმული მისცა სამოქალაქო ომს.³²

ეფექტური მთავრობის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული დამოუკიდებლობის იდეასთან, რასაც ხშირად „სახელმწიფო სუვერენიტეტს“³³ უწოდებენ იმ თვალსაზრისით, რომ ამგვარი მთავრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ ის არ კონტროლდება სხვა სახელმწიფოთა მთავრობების მიერ და არ ემორჩილება მათ პირდაპირ ბრძანებებს. მართლაც, ზოგიერთი ავტორის აზრით, დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრიობის დამატებითი კრიტერიუმია³⁴. თუმცა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დამოუკიდებელ და დამოკიდებულ სახელმწიფოებს შორის განსხვავება დამოკიდებულაა მათ გარეგნულ სახეზე და არა იმ პოლიტიკურ რეალობაზე, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ სიტუაციას. სანამ სახელმწიფო ასრულებს იმ ფუნქციებს, რასაც, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ასრულებენ (წარგზავნის და იღებს ელჩებს, ხელს აწერს ხელშეკრულებებს, აკეთებს და პასუხობს საერთაშორისო განცხადებებს და ა.შ.), საერთაშორისო სამართალი ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლად მიიჩნევს და უგულებელყოფს იმის ალბათობას, რომ ეს სახელმწიფო, შესაძლებელია, სხვა სახელმწიფოს მითითებებით მოქმედებდეს. დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცევა დამოკიდებულად, თუ იგი დადებს ხელშეკრულებას ან სხვაგვარად იკისრებს ისეთ სამართლებრივ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც იგი თანახმაა, იმოქმედოს სხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელობით ან სხვა სახელმწიფოს მიანდოს თავის საერთაშორისო ურთიერთობათა უმრავლესობის წარმართვა. ალბათ ხელოვნური იქნებოდა, მაგალითად, ავღანეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიჩნევა, მაშინ, როდესაც ყველამ იცოდა, რომ ავღანეთი იძულებული იყო, გაეტარებინა საბჭოთა პოლიტიკა ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით³⁵. მიუხედავად ამისა, თუ საერთაშორისო სამართალი ეცდება, მხედველობაში მიიღოს ყველა არსებული პოლიტიკური რეალობა, შეუძლებელი გახდება დამოკიდებული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ერთმანეთისაგან განსხვავება, ვინაიდან ყველა სახელმწიფო, მათ შორის უძლიერესიც, ცვალებადი ხარისხით ემორჩილება ზენოლასა და გავლენას სხვა სახელმწიფოთა მხრიდან. ამის გამო, თუმცა ეს ხშირად უფრო მეტია, ვიდრე სამართლებრივი ფიქცია, ამ თვალსაზრისით სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა „დამოუკიდებლად“ მიიჩნევა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ, ძირითადად, საერთაშორისო სამართალი ინდიფერენტულია სახელმწიფოთა შიდაპოლიტიკური სტრუქტურის მიმართ, იქნება ეს დემოკრატიისა და კანონიერების დასავლური გაგება, კომუნისტური პარტიის უზენაესობა, სახელმწიფოსა და საზოგადოების ისლამური აღქმა, მონარქია, რესპუბლიკა თუ ავტორიტარული ან არაავტორიტარული მმართველობის სხვა ფორმები³⁶. ეს წესი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და მისი ერთადერთი მოთხოვნა ისაა, რომ მთავრობა რეალურად შეიქმნას. მთავრობის შექმნის კანონიერებასა თუ უკანონობას სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საღვთო კავშირმა ნაპოლეონის ომების შემდეგ სხვაგვარად სცადა ამ საკითხის მოგვარება³⁷, რევოლუციები და სახელმწიფო გადატრიალებები აღიარებულ იქნა საერთაშორისო სამართლის მიერ. ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტია რევოლუციისა თუ გადატრიალების წარმატება. მთავრობის ფორმის არჩევა სახელმწიფოს საშინაო საქმეა და ეს თავისუფლება ჰეტეროგენურ საერთაშორისო საზოგადოებაში სახელმწი-

³² იხ. M. Waller, *The International Response to the Dissolution of the Socialist Republic of Yugoslavia*, *Ajil* 86 (1992), 569-607; P. Radan, *Secessionist Self-Determination: The Cases of Slovenia and Croatia*, *AJIA* 48 (1994), 183-95; ასევე იხ. თ. 11 და ტექსტი ქვევით.

³³ სუვერენიტეტის თეორიაზე იხ. თ. 2.

³⁴ იხ. Brownlie (1990), *op. cit.*, 73-4.

³⁵ იხ. I. Jahn-Koch, *Conflicts, Afghanistan*, in Wolfrum UNLPI, 176-88. იხ. თ. 19.

³⁶ მაგრამ დემოკრატიის მოთხოვნების ახალი თეორიებს შესახებ იხ. თ. 2.

³⁷ იხ. თ. 2.

³⁸ იხ. თ. 19.

³⁹ პაიტში კანონიერად არჩეული მთავრობის აღსაღვენად გაეროს მიერ დაფინანსებული ინტერვენციის შესახებ იხ. თ. 22.

⁴⁰ იხ. აგრეთვე, ამ წიგნის მე-3 გამოცემა.

⁴¹ იხ. Restatement (Third), Vol. 1, para. 201. Comment c, 73.

⁴² მონტევიდეოს კონვენციის მე-3 მუხლი.

⁴³ იხ. ქვემოთ.

⁴⁴ იხ. თ. 2.

ფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებელი წინაპირობაა. ამიტომ საერთაშორისო სამართალს, როგორც წესი, არ აინტერესებს, ცნობს თუ არა მოსახლეობა სათავეში მყოფი მთავრობის კანონიერებას. მას არ აინტერესებს არც მთავრობის არსებული ფორმა, არც ის, დემოკრატიულია მთავრობა თუ არა. ამ მხრივ, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის³⁸ აღიარებიდან გამომდინარე, შეიძლება გარკვეული შეზღუდვები დაწესდეს, თუმცა იმის გადამწყვეტისას, არსებობს თუ არა სახელმწიფო, ამას მნიშვნელობა არა აქვს.³⁹

სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარების უნარი

თუმცა სამართლის თეორია მხარს უჭერს ლათინურ-ამერიკული დოქტრინის მიერ მონტევიდეოს კონვენციაში⁴⁰ შემოთავაზებულ უკანასკნელ კრიტერიუმს (დ), მაგრამ ეს კრიტერიუმი პრაქტიკაში აუცილებლად არ ითვლება. მაგალითად, 1970-იან წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გერმანიამ გვინეა-ბისაუ სახელმწიფოდ ცნეს მხოლოდ პირველი სამი კრიტერიუმის საფუძველზე. თუმცა ამერიკული სამართლის ინსტიტუტის (მესამე) განაცხადში ძირითადად ეს კრიტერიუმია დატოვებული, მხოლოდ ზოგიერთი ცვლილებით:

წარმონაქმნი არ განიხილება სახელმწიფოდ, თუ მას თავისი კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში არ აქვს უფლებამოსილება და პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობა, საერთაშორისო ურთიერთობები დაამყაროს სხვა სახელმწიფოებთან.⁴¹

ფაქტობრივად, თვით მონტევიდეოს კონვენცია მე-3 მუხლში სხვაგვარ შეხედულებას გვთავაზობს:

სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა არ არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოთა მიერ მის ცნობაზე. სახელმწიფოს უფლება აქვს, ცნობამდეც დაიცვას თავისი ერთიანობა და დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს მისი დაცვა და კეთილდღეობა, აირჩიოს მმართველობის ყველაზე ხელსაყრელი ფორმა, განახორციელოს თავისი ინტერესების შესაბამისი საკანონმდებლო ხელისუფლება, შეასრულოს თავისი ფუნქციები, განსაზღვროს თავისი სასამართლოების კომპეტენცია და იურისდიქცია. ამ შემთხვევაში არსებობს ერთადერთი შეზღუდვა: ამ უფლებათა განხორციელებამ ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა სახელმწიფოთა უფლებების განხორციელებას საერთაშორისო სამართლის მიხედვით.⁴²

მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმულირება უფრო სახელმწიფოთა ცნობის სამართლებრივი შედეგების შესახებ სხვადასხვა თეორიებზე კამათის დროს არის მართებული⁴³, იგი ასევე გულისხმობს, რომ სახელმწიფოს არსებობა არ არის დამოკიდებული მის მიერ საგარეო პოლიტიკის წარმართვის უნარზე და მის ურთიერთობებზე სხვა სახელმწიფოებთან.

არსებობს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეზღუდული აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარი. ისინი მოიხსენიება, როგორც სახელმწიფოთა განსაკუთრებული კატეგორია. მაგალითად, დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში⁴⁴ კოლონიებს შეზღუდული აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარი. პრაქტიკაში, კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, ჩვეულებრივ, წინ უსწრებდა სასწავლო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კოლონიური სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში გამოცდილების მიღების მიზნით განსაზღვრულ საერთაშორისო ფუნქციებს ანიჭებდა კოლონიის ადგილობრივ ლიდერებს. კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ

პროტექტორატი.⁴⁵ პროტექტორატის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ამ დროს სახელმწიფო ინარჩუნებს კონტროლს თავის საშინაო საქმეთა უმრავლესობაზე, მაგრამ თანახმაა, პროტექციონერ სახელმწიფოს, როგორც თავის აგენტს, მიანდოს თავის საერთაშორისო ფუნქციათა უმრავლესობის განხორციელება. მიუხედავად ამისა, მათ შორის ურთიერთობა დამოკიდებულია იმ ხელშეკრულებაზე, რომელმაც სათავე დაუდო ამ ურთიერთობას და, ამის გამო, არ ხერხდება ზოგადი წესების დადგენა. პროტექტორატები, ძირითადად, კოლონიური პერიოდის თანამდევნი პროდუქტი იყო, რომელთა უმეტესობაც დღეს დამოუკიდებელია. სამეურვეო და ასოცირებულ ტერიტორიებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ იყვნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ასევე შეზღუდული ჰქონდათ საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უნარი.⁴⁶

⁴⁵ G. Hoffmann, *Protecto- rates*, *EPIL*10 (1987), 336-9.

⁴⁶ იხ. თ. 19.

⁴⁷ იხ. აგრეთვე, M.N. Shaw, *International Law*, 3rd edn 1991, 138.

⁴⁸ იხ. ქვემოთ.

⁴⁹ იხ. თ. 22.

⁵⁰ საერთაშორისო სამართლის ასპექტების შესახებ იხ. W. Rudolf, *Federal States*; *EPIL*11 (1995), 362-75; R. Dehousse, *Federalisme et Relations Internationales*, 1991.

თვითგამორკვევა და სახელმწიფოდ ცნობა, როგორც დამატებითი კრიტერიუმი

ზოგიერთი ავტორი სახელმწიფოს კრიტერიუმად მიიჩნევს ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა თვითგამორკვევა და სახელმწიფოდ ცნობა. მიუხედავად ამისა, ეს კრიტერიუმები არ ითვლება სახელმწიფოს შემადგენელ ელემენტებად და მიჩნეულია, რომ არსებითი მნიშვნელობა ტერიტორიულ ეფექტურობას აქვს.⁴⁷

იმ მიზეზთა გამო, რომლებიც მოგვიანებით იქნება განმარტებული,⁴⁸ ცნობა სხვა არაფერია, თუ არა იმის დასტური, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ზევით ჩამოთვლილ სამ მოთხოვნას. უმრავლეს შემთხვევაში ფაქტები იმდენად ნათელია, რომ ცნობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა საზღვართან დაკავშირებულ შემთხვევებში ამას შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვეს. მაგალითად, ისეთი პატარა ქვეყნების ცნობას, როგორებიც მონაკო და ვატიკანი არიან, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სხვაგვარად, ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირის გამო, ისინი ვერ ჩაითვლებოდნენ სახელმწიფოებად საერთაშორისო სამართლისათვის. მსგავსი მდგომარეობაა სეპარატისტული ბრძოლების დროსაც. ერთ-ერთი მხარის აშკარა გამარჯვება ქმნის სიტუაციას, რომელსაც საერთაშორისო სამართალი იგნორირებას ვერ გაუკეთებს. ასეთ შემთხვევაში ცნობა თუ არცნობა სამართლებრივ მდგომარეობას ვერ შეცვლის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საზღვართან დაკავშირებულ შემთხვევებში (მაგალითად, ზიმბაბვე 1965-1979 წლებში), როდესაც „დედასახელმწიფოს“ მიერ საკუთარი კონტროლის აღდგენის მცდელობა საკმაოდ სუსტია, სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ცნობას ან არცნობას სამართლებრივი მდგომარეობისათვის შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.⁴⁹

ფედერაციული სახელმწიფოები

სახელმწიფოთა გაერთიანებები, შესაძლებელია, რამდენიმე ფორმით არსებობდეს, თუმცა თანამედროვე ეტაპზე ამგვარი გაერთიანებების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფედერაციული სახელმწიფო (ანუ ფედერაცია), როგორიცაა, მაგალითად, აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის, შვეიცარიისა და გერმანიის კონსტიტუციური სისტემები⁵⁰. დღეს არ არსებობს ფედერაციული სახელმწიფოს ერთგვაროვანი მოდელი. მათი უმრავლესობა, ეფექტური ცენტრალიზაციის წყალობით, მხოლოდ სახელის მიხედვითაა „ფედერაციული“. თუმცა ფედერაციული სახელმწიფოს მთავარი დამახასიათებელი ნიშანია კონსტიტუციის მიერ ფედერალურ ორგანოებსა და ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს შორის საშინაო საქმეების წარმართვის

⁵¹ შერეულ მატრიქსში არსებული სტრუქტურის შესახებ. *Restatement (Third)*, Vol. 1, para. 202, Reporters' Notes, 76.

⁵² J.B. Moore, *A Digest of International Law*, 1906. Vol. 6, 837-41. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ. თ. 17.

⁵³ იხ. J.N. Hazard, *Soviet Republics in International Law*, *EPIL* 10 (1987), 418-23.

⁵⁴ იხ. P. Malanczuk, *European Affairs and the "Lander" (States) of the Federal Republic of Germany*, *CMLR* 22 (1985), 237-72; D. Rauschning, *The Authorities of the German Lander in Foreign Relations*, *Hague YIL* 2 (1989), 131-9; A. Kleffner-Riedel, *Die Mitwirkung der Lander und Regionen im EU-Ministerrat*, *BayVBl* 126 (1995), 104-8.

⁵⁵ *Restatement (Third)*, Vol. 1, para. 201, Reporters' Notes, 76.

⁵⁶ R. Lane/P. Malanczuk, *Verfassungskrise und Probleme des Federalismus in Kanada*, *Der Staat* 20 (1981); უკანასკნელი ბეროლის სეპარატისტული ტენდენციების შესახებ იხ. S. Dion, *The Dynamic of Secessions: Scenarios After a Pro-Separatist Vote in a Quebec Referendum*, *CJPS* 28 (1995), 533-51; Ch. F. Doran, *Will Canada Unravel?*, *FA* 75 (1996), 97-109.

⁵⁷ U. Beyerlin, *Rechtsprobleme der lokalen grenzüberschreitenden Zusammenarbeit*, 1988; N. Levrat, *Le Droit applicable aux accords de coopération transfrontière entre collectivités publiques infra-étatiques*, 1994.

⁵⁸ *RIM* 1 369, 375. იხ. H. Buleck, *Tinoco Concessions Arbitration*, *EPIL* 2 (1981), 275-6. ტინოკოს საჭიროებების ქვემოთ.

უფლებამოსილების დანაწილება, მაშინ, როდესაც საგარეო ფუნქციებს, ჩვეულებრივ, მხოლოდ ფედერალური ორგანოები ახორციელებენ.⁵¹

საერთაშორისო სამართალი მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებს ეხება, რომელთაც საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება შეუძლიათ. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის მიზნებისათვის სახელმწიფოდ ითვლება ფედერაციული სახელმწიფო და არა ფედერაციის წევრები. თუ ფედერაციის წევრი სახელმწიფოს მოქმედება შეუთავსებელია ფედერაციული სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებთან, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, პასუხისმგებელია ფედერაციული სახელმწიფო. მაგალითად, 1891 წელს, როდესაც ნიუ-ორლეანში ბრბომ ლინჩის წესით გაასამართლა იტალიელი მოქალაქეები, პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და იტალიას კომპენსაცია გადაუხადა აშშ-მ, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის პრევენცია და აღკვეთა უშუალოდ შედიოდა არა ხელისუფლების ფედერალური ორგანოების, არამედ ლუიზიანის შტატის კომპეტენციაში⁵².

მიუხედავად იმისა, რომ, მიღებული პრაქტიკის თანახმად, საგარეო საქმეებს მხოლოდ ხელისუფლების ფედერალური ორგანოები წარმართავენ, რამდენიმე ფედერაციული კონსტიტუცია ფედერაციის წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების შეზღუდულ უფლებას ანიჭებს. მაგალითად, 1944 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა უფლება მისცა ბელორუსიასა და უკრაინას (ყოფილი საბჭოთა კავშირის ორ წევრ სახელმწიფოს) საბჭოთა კავშირთან ერთად გამახდარიყვნენ გაეროს წევრები. ამ ჩანაფიქრის მიზანი და შედეგი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირი ერთის მაგივრად სამ ხმას იღებდა⁵³. ამის შემდეგ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ფედერაციის წევრ სახელმწიფოს ამ დონეზე გაეცვალა დიპლომატები. სხვა შემთხვევაა გერმანიის ბუნდესლანდის წარმომადგენლობა ბრიუსელში ევროპულ დონეზე⁵⁴. აშშ-ს კონსტიტუცია შემადგენელ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, დადონ პაქტები და ხელშეკრულებები უცხოურ სახელმწიფოებთან, განსაზღვრული მცირე გამონაკლისებით, მხოლოდ კონგრესის თანხმობით, მაგრამ შეზღუდულია ამ შეთანხმებების მოქმედების სფერო და შინაარსი. ის არ აძლევს წევრ სახელმწიფოებს ელჩების გაცვლისა (კომერციული წარმომადგენლების გარდა) და უცხო მთავრობასთან ურთიერთობების დამყარების უფლებას⁵⁵. უკანასკნელ წლებში კვებეკის პროვინციამ, კანადის ფედერალური ორგანოების მიერ საკმაოდ უხალისოდ დელეგირებული უფლების საფუძველზე, ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს კულტურულ საკითხებზე საფრანგეთსა და სხვა ფრანგულენოვან ქვეყნებთან⁵⁶. თუმცა ევროპაში ცალკეულ ერთეულებს შორის რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე პირდაპირი ტრანსსასაზღვრო ურთიერთობის რამდენიმე საინტერესო შემთხვევა იყო⁵⁷.

მთავრობები

მთავრობის გარეშე სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებს ან, უარეს შემთხვევაში, საერთოდ ვერ დაიწყებს არსებობას. მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფოს გაიგივება მთავრობასთან. სახელმწიფოს საერთაშორისო უფლებებსა და ვალდებულებებზე მთავრობის შეცვლა გავლენას არ ახდენს. ამის გამო დასავლეთ გერმანიისა და იტალიის ომის შემდგომმა მთავრობებმა ნაცისტებისა და ფაშისტური რეჟიმის მიერ ჩადენილი ბოროტებებისათვის კომპენსაცია გადაიხადეს. მსგავსი პრინციპის ილუსტრაციაა ტინოკოს საქმეც (Tinoco Case)⁵⁸. ტინოკომ, კოსტა-რიკის დიქტატორმა, რომელიც თავისი სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა, კონცესიები გადასცა ბრიტანულ კომპანიებს და დაბეჭდა ბანკნოტები, რომელთა უმრავლესობასაც ეს კომპანიები ფლობდნენ.

მისი გადადგომის შემდეგ კოსტა-რიკამ კონცესიები და ბანკნოტები ძალა-დაკარგულად გამოაცხადა. დიდმა ბრიტანეთმა კოსტა-რიკის მოქმედება ბრიტანული კომპანიების სახელით გააპროტესტა და ორმა სახელმწიფომ საქმე განსახილველად არბიტრაჟს გადასცა.⁵⁹ არბიტრმა დაადგინა, რომ ტინოკო კოსტა-რიკის რეალური მმართველი იყო და, აქედან გამომდინარე, მის მიერ გამოცემულ აქტებს შემდგომი მთავრობებისათვის სავალდებულო ძალა ჰქონდა. ის ფაქტი, რომ მისი რეჟიმი კოსტა-რიკის სამართლის მიხედვით არაკონსტიტუციური იყო და მას არ ცნობდა რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის დიდი ბრიტანეთიც, მხედველობაში არ იქნა მიღებული.

სახელმწიფოებისა და მთავრობების ცნობა საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს ცნობა ერთ-ერთი ყველაზე რთული თემაა⁶⁰. ეს პოლიტიკის, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დამაბნეველი ნაერთია, რომელშიც სამართლებრივი და პოლიტიკური ელემენტების ერთმანეთისგან განცალკევება შეუძლებელია. ცნობის ან ცნობისაგან თავის შეკავების დროს სახელმწიფოებზე პოლიტიკური შეხედულებები უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე სამართლებრივი, თუმცა მათი მოქმედებები სამართლებრივ შედეგებს იწვევს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არ არის გაცნობიერებული, რომ საერთაშორისო სამართალში ცნობის სამართლებრივი შედეგები განსხვავდება შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ცნობის სამართლებრივი შედეგებისგან.⁶¹ როგორც კი განსხვავებას გავაცნობიერებთ, სახელმწიფოდ ცნობის საკითხის გაგება გაცილებით ადვილი ხდება. ამ ორი ტიპის საქმეთა შორის აშკარა კონფლიქტი ადვილად რეგულირდება, როდესაც გაცნობიერებულია, რომ ერთი ტიპის საქმეები უკავშირდება საერთაშორისო, ხოლო მეორე – შიდასახელმწიფოებრივ სამართალს⁶².

მეორე მიზეზი, რის გამოც სახელმწიფოდ ცნობა რთულ საკითხად ითვლება, ისაა, რომ ეს მთელ რიგ ფაქტობრივ გარემოებებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, სახელმწიფოებისა და მთავრობების ცნობის გარდა შეიძლება არსებობდეს ტერიტორიული პრეტენზიების ცნობა⁶³, მეომარ ან აჯანყებულ მხარედ ცნობა⁶⁴, ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის ცნობა, როგორცაა, მაგალითად, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია⁶⁵, და უცხო სახელმწიფოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტების ცნობა.⁶⁶ მეტი სიმარტივისათვის ამ პარაგრაფში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოებისა და მთავრობების ცნობაზე.

თანამედროვე ეტაპზე მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს მთავრობის ცნობასა და სახელმწიფოს ცნობას შორის. სახელმწიფოს ცნობა ადასტურებს იმას, რომ მოცემული წარმონაქმნი აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებს. მთავრობის ცნობა გულისხმობს, რომ მოცემული მთავრობა ეფექტურად მართავს სახელმწიფოს. მთავარი განსხვავება ისაა, რომ მთავრობის ცნობას აუცილებლად მოსდევს იმ წარმონაქმნის სახელმწიფოებრიობის აღიარება, რომელსაც მოცემული რეჟიმი მართავს, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ცნობა შესაძლებელია მოცემული რეჟიმის ამ სახელმწიფოს მთავრობად ცნობის გარეშეც.⁶⁷

სახელმწიფოს ცნობა

ახალი სახელმწიფოს გაჩენისას სხვა სახელმწიფოები მისი ცნობა-არცნობის პრობლემის წინაშე დგებიან. ცნობა ახალ სახელმწიფოსთან, როგორც საერთაშორისო საზოგადოების წევრთან, ურთიერთობის დამყარების მზადყოფნას

⁵⁹ არბიტრაჟის შესახებ იხ. თ. 18.

⁶⁰ იხ. Harris CMIL, 139-51; H. Lauterpacht, *Recognition in International Law*, 1947; I. Brownlie, *Recognition in Theory and Practice*, in R.St.J. Macdonald/D.M. Johnston (eds), *The Structure and Process of International Law*, 1983, 627-42; J.A. Frowein, *Recognition*, *EPIL* 10 (1987), 340-8; Frowein, *Non-Recognition*, *ibid.*, 314-6; C. Warbrick, *Recognition of States*, *ICLQ* 42 (1992), 473-82; Part 2. *ICLQ* 42 (1993), 433-42; J. Verhoeven, *La Reconnaissance Internationale: declin ou renouveau?*, *AFDI* 39 (1993), 7-40; P.K. Menon, *The Law of Recognition in International Law: Basic Principles*, 1994.

⁶¹ სხვა ქვეყნებში ცნობის სამართლებრივი შედეგები ბრიტანეთისგან განსხვავებულია: D.P. O'Connell, *International Law*, 2nd edn 1970, 172-83. ინგლისის სამართალში ცნობის შედეგები განსხვავდება იხ. ანონის მე-6 გამოცემა, აგრეთვე, F.A. Mann, *The Judicial Recognition of an Unrecognised State*, *ICLQ* 39 (1990), 348 *et seq.*

⁶² საერთაშორისო სამართალსა და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის ურთიერთდასაზღვრების შესახებ იხ. თ. 4.

⁶³ იხ. თ. 10.

⁶⁴ E.H. Riedel, *Recognition of Belligerency*, *EPIL* 4 (1982), 167-71; Riedel, *Recognition of Insurgency*, *ibid.*, 171-3. იხ. აგრეთვე, თ. 6, და თ. 22.

⁶⁵ იხ. F.L.M. van de Craen, *Palestine Liberation Organization*, *EPIL* 12 (1990), 278-82 და თ. 6 და თ. 19.

⁶⁶ იხ. W. Meng, *Recognition of Foreign and Legislative Acts*, *EPIL* 10 (1987), 348-52; K. Lipstein, *Recognition and Execution of Foreign Judgments and Arbitral Awards*, *EPIL* 9 (1986), 322-6.

⁶⁷ იხ. *Restatement (Third)*, Vol. 1, para. 202, 84-5.

⁶⁸ Frowein(1987), *op. cit.*, 341.
⁶⁹ Lauterpacht, *op. cit.*, 47.
⁷⁰ იბ. თ. 2.

ნიშნავს. ისტორიაში ამის პირველი მაგალითი იყო 1648 წელს ესპანეთის მიერ გაერთიანებული ჰოლანდიის ცნობა, რომელმაც 1581 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მეორე საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დავა აშშ-ის სტატუსის თაობაზე, როდესაც ამ უკანასკნელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმ დროისათვის დიდი ბრიტანეთი იზიარებდა მოსაზრებას, რომ ტერიტორიის სტატუსის განსაზღვრა შეუძლებელი იყო ომით ან რევოლუციით, ყოფილი სუვერენის მიერ მისი ცნობის გარეშე. საფრანგეთის შეხედულება კი ემყარებოდა ეფექტურობის დოქტრინას, რაც საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპად იქცა მეცხრამეტე საუკუნეში.⁶⁸

სახელმწიფოს ცნობის სამართლებრივი შედეგები საერთაშორისო სამართალში

სახელმწიფოს ცნობის სამართლებრივი შედეგების საკითხმა გაცხარებული თეორიული დავა გამოიწვია. კონსტიტუციური თეორიის თანახმად, რომელსაც ანზილოტი და კელზენი ავითარებდნენ, საერთაშორისო სამართლის მიზნებისათვის სახელმწიფო ან მთავრობა მანამ არ არსებობს, სანამ მას სხვა სახელმწიფოები არ ცნობენ. ამის გამო სახელმწიფოს ცნობას „კონსტიტუციური“ (ე.ი. სადამფუძნებლო) შედეგი აქვს, იმ გაგებით, რომ ის მოცემული სახელმწიფოს ან მთავრობის „დაფუძნების“ (ანუ ჩამოყალიბების ან შექმნის) აუცილებელი პირობაა. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალში წარმონაქმნი არ ითვლება სახელმწიფოდ სხვა სახელმწიფოების მიერ მის საყოველთაოდ ცნობამდე. კონსტიტუციურ თეორიას უპირისპირდება დეკლარაციული თეორია, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს ცნობას სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება. სახელმწიფოს ან მთავრობის არსებობა წმინდა ფაქტის საკითხია, ხოლო ცნობა ამ ფაქტს მხოლოდ ადასტურებს. თუ წარმონაქმნი რეალურად აკმაყოფილებს სახელმწიფოებრიობის მოთხოვნებს, ის სახელმწიფოდ ითვლება მთელი თავისი საერთაშორისო უფლებებითა და მოვალეობებით და სხვა სახელმწიფოები ვალდებული არიან, მოექცნენ მას, როგორც სახელმწიფოს. შუალედური პოზიცია დაიკავა ლაუთერფახტმა, რომელიც კონსტიტუციური თეორიის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ სხვა სახელმწიფოები ვალდებული არიან, ცნონ სუბიექტი, რომელიც სახელმწიფოს კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.⁶⁹

კონსტიტუციურ თეორიას მოწინააღმდეგეებზე უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო სამართალი ხშირად ითვლებოდა ძირითადად ევროპული ცივილიზაციის მქონე ქვეყნებში გამოსაყენებელ სამართლად. სხვა სახელმწიფოებს „კლუბში“ მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებდნენ, თუ მათ „კლუბის“ სხვა წევრები „აირჩევდნენ“. საბოლოოდ ამ „არჩევამ“ ცნობის ფორმა მიიღო. ამას გარდა, იყო შემთხვევები (მაგალითად, საღვთო ალიანსის პერიოდში, 1815 წლის შემდეგ), როდესაც ზოგიერთი სახელმწიფო რევოლუციური მთავრობების უკანონოდ გამოცხადებას ცდილობდა, რის შედეგადაც ეს მთავრობები ცნობამდე „კლუბის“ გარეთ რჩებოდნენ.⁷⁰

დღესაც კი ცნობას ხანდახან კონსტიტუციური შედეგი აქვს, თუმცა სახელმწიფოთა პრაქტიკა თანამიმდევრული არ არის. თუ სახელმწიფოს ან მთავრობის შექმნა საერთაშორისო სამართლის დარღვევით ხდება, ითვლება, რომ სახელმწიფო ან მთავრობა არ არსებობს მანამ, სანამ მას არ ცნობენ. მაგალითად, დასავლური სახელმწიფოები დიდი ხნის განმავლობაში არ ცნობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირის მიერ მისი დაფუძნება წარმოადგენდა იმ ვალდებულებების დარღვევას, რომლებიც საბჭოთა კავშირმა იკისრა მოკავშირეებს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულებით.

ბებით გერმანიის მართვის თაობაზე. დასავლური სახელმწიფოების მიერ 1973 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოდ ცნობას, დასავლეთის სახელმწიფოების თვალსაზრისით, კონსტიტუციური შედეგი ჰქონდა. ამის შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უკანონობა გაბათილდა და საერთაშორისო სამართლის მიერ უგულვებელყოფილი წარმონაქმნი სახელმწიფოდ იქცა.⁷¹

მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში ახალი სახელმწიფოს ან მთავრობის დაფუძნება (ძალმომრეობითი დაფუძნებაც კი) საერთაშორისო სამართლის დარღვევას არ წარმოადგენს. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ზოგადი ნორმა, რომელიც კრძალავს ხალხთა ჯგუფის მიერ თავიანთი სახელმწიფოს მთავრობის დამხობას ან სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლას და ახალი სახელმწიფოს შექმნას, თუ ამ ჯგუფს ამის ძალა შესწევს.⁷² ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს ან მთავრობის არსებობა რეალობაა და ცნობა ან არცნობა, როგორც წესი, სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს. მაგალითად, ტინოკოს საქმეში არბიტრმა დაადგინა, რომ ტინოკოს რეჟიმი რეალურად კოსტა-რიკის მთავრობა იყო, ვინაიდან ეფექტურად აკონტროლებდა ქვეყანას, ხოლო იმ ფაქტს, რომ მას არ ცნობდა რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუმცა სასამართლოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ცნობას ან არცნობას უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა იმ შემთხვევაში, თუ ტინოკოს რეჟიმი ნაკლებად ეფექტური იქნებოდა, ვინაიდან „ცნობა სხვა სახელმწიფოების მიერ მთავრობის არსებობის დამამტკიცებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია“.⁷³ ანალოგიურად, სახელმწიფოს ცნობას შეუძლია დამაჯერებელი როლი ითამაშოს იმ შემთხვევაშიც, როცა გაურკვეველია, აკმაყოფილებს თუ არა სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივ მოთხოვნებს წარმონაქმნი, რომელსაც სახელმწიფოდ ყოფნის პრეტენზია აქვს. როდესაც ფაქტები აშკარაა, როგორც ეს ტინოკოს შემთხვევაში იყო, ცნობის ან არცნობის მნიშვნელობა იმდენად დიდი არაა, რომ შედეგზე გავლენა იქონიოს. ასეთ გარემოებებში ცნობას დეკლარაციული ხასიათი აქვს. მაგრამ საზღვართან დაკავშირებულ შემთხვევებში, როდესაც ფაქტები აშკარა არაა, ცნობის, როგორც დამამტკიცებელი ფაქტორის ღირებულებას, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ასეთ გარემოებებში ცნობას ნახევრად კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს.

მეორე მხრივ, ცნობის დამადასტურებელი ღირებულება მცირდება, როდესაც სხვა ქვეყნების მიერ სახელმწიფოს ცნობა ან ცნობისაგან თავის შეკავება ქვეყანაში მთავრობის კონტროლის შეფასებას არ ემყარება.

როდესაც მთავრობის vel non ცნობა განპირობებულია არა მისი სამთავრობო კონტროლის, არამედ მისი არსებობის საფუძვლის არალეგიტიმურობისა და უკანონობის აღიარებით (როგორც ტინოკოს შემთხვევაში), არცნობა კარგავს სიცხადეს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლითაც არიან დაკავებული ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის წესებს იყენებენ.⁷⁴

დღეს უპირატესობა ენიჭება შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ცნობას დეკლარაციული ხასიათი აქვს და სახელმწიფოს შექმნა არ შეუძლია⁷⁵. ეს შეხედულება ჩამოყალიბებულია 1933 წლის მონტევიდეოს კონვენციაში სახელმწიფოთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ⁷⁶ და, აგრეთვე, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების მეთორმეტე მუხლში:

სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობა არაა დამოკიდებული სხვა სახელმწიფოთა მიერ მის ცნობაზე. სახელმწიფოს ცნობამდეც აქვს უფლება, დაიცვას თავისი ერთიანობა და დამოუკიდებლობა.⁷⁷

⁷¹ *ib.* G. Ress, Germany, Legal Status After the Second World War, *EPIL II* (1995), 567-81; T. Schweisfurth, Germany, Occupation After the Second World War, *ibid.*, 582-90; T. Eitel, Germany. Federal Republic of, Treaties with Socialist States (1970-4), *ibid.*, 561-7; G.v. Well, Germany and the United Nations, in *Wolfrum UNLPP I*, 538-65. გერმანიის გაერთიანებისა და სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ. თ. 11.

⁷² *ib.* თ. 19.

⁷³ Tinoco case, *op. cit.*

⁷⁴ *ibid.*, at 381.

⁷⁵ *ib.* Frowein (1987), *op. cit.*, 342; *Restatement (Third)*, Vol. 1, para. 202. Comment b. at 77-8.

⁷⁶ მუხლი 3, იმ. ზემოთ.

⁷⁷ OAS-ის შესახებ. თ. 6.

⁷⁸ Frowein (1987), *op. cit.*, 343.

⁷⁹ *Restatement (Third)*, Vol. 1, para. 202, Reporters' Notes.

⁸⁰ იბ. აგრეთვე, C. Simmler, *Keht die Staatengemeinschaft zur Lehre von der konstitutiven Anerkennung zurück?*, *Schr.-Reihe Dt. Gruppe AAA9* (1994), 75-102.

⁸¹ იბ. თა. 10 და თ. 19.

⁸² *Restatement (Third)*, Vol. 1, 81.

⁸³ SC Res. 216 and 217 of 12 and 20 November 1965. ფროუაინი (1987). *op. cit.*, at 342. აღნიშნავს, რომ მთელი მოსახლეობის მიერ თვითგამორკვევის უნარის არქონა არცნობის გასამართლებელ მიზეზად მიიჩნეოდა. იბ. აგრეთვე, თ. 22.

⁸⁴ იბ. თ. 22.

⁸⁵ SC Res. 402 (1976). იბ. E. Klein, *South African Bantustan Policy*, *EPIL* 10 (1987), 393-7.

⁸⁶ SC Res. 541 (1983). იბ. თ. 22.

მიჩნეულია, რომ პრაქტიკაში ზემოაღნიშნული ორი თეორია ნაკლებად უწყობს ხელს სახელმწიფოს ცნობის განმარტებასა და არცნობილი წარმონაქმნების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას, აგრეთვე იმის აღიარებას, რომ პრაქტიკული განსხვავება მათ შორის დიდად მნიშვნელოვანი არ არის.⁷⁸ დეკლარაციული თეორიის მიხედვით, ფაქტობრივად, ისევე სახელმწიფოები წყვეტენ, აკმაყოფილებს თუ არა წარმონაქმნი სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებს. დეკლარაციული თეორია ვერ წყვეტს, თუ ვინ უნდა განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა წარმონაქმნი სახელმწიფოებრიობის ობიექტურ კრიტერიუმებს. სხვა სახელმწიფოს ფორმალური ცნობა ცალმხრივი აქტია, რომელიც, უმრავლეს შემთხვევაში, სახელმწიფოთა აღმასრულებელი შტოების პოლიტიკურ შეხედულებაზე და მოკიდებული და რომელსაც, ჩვეულებრივ, ეროვნული სასამართლოები მისდევენ.⁷⁹

მეორე მხრივ, კონსტიტუციური თეორიის მნიშვნელობა შესუსტდა მას შემდეგ, რაც სხვა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, სახელმწიფოდ განეხილათ სახელმწიფოებრიობის ნიშნების მქონე წარმონაქმნი.⁸⁰ სახელმწიფოთა პრაქტიკაში სახელმწიფოს ცნობის დაყოვნების მთავარ მიზეზებს შორის იყო საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა ახალი სახელმწიფო სიცოცხლისუნარიანი, ნამდვილად იყო თუ არა დამოუკიდებელი იმ სახელმწიფოსგან, რომელმაც მის შექმნას შეუწყო ხელი, და ხომ არ იყო ახალი სახელმწიფოს შექმნა ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ გაეროს ქარტიის მე-2(4) მუხლის დარღვევა.⁸¹

განსაკუთრებული განხილვის საგანია იმ ახალი სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა, რომლის გამოყოფა დედასახელმწიფოსაგან ხანგრძლივ სამოქალაქო ომს იწვევს. ასეთ შემთხვევებში ნაჩქარევმა ცნობამ შეიძლება საერთაშორისო სამართლისა და დედასახელმწიფოს უფლებების დარღვევა გამოიწვიოს. 1967-70 წლებში სახელმწიფოთა უმრავლესობამ უარი თქვა ნიგერიიდან ბიაფრის გამოსვლის აღიარებაზე. მეორე მხრივ, დეკოლონიზაციის პროცესში ტერიტორიის ახალ სახელმწიფოდ ცნობის უამრავი შემთხვევა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორიები ჯერ კიდევ კოლონიური სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა (მაგ., ალჟირი, გვინეა-ბისაუ).⁸² როდესაც შემთხვევაში, სადაც თეთრკანიანთა უმცირესობის მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა კოლონიური სახელმწიფოს თანხმობისა და მთელი მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე, გაეროს უშიშროების საბჭომ ყველა სახელმწიფოს მოუწოდა, „არ ეცნოთ ეს უკანონო აქტი“.⁸³ ეს იყო წესდების მე-7 თავის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც, წესდების 25-ე მუხლის მიხედვით, სავალდებულო იყო გაეროს ყველა წევრისთვის. სმიტის რეჟიმი არ ცნეს დიდი ხნის განმავლობაში, სანამ 1979-80 წლებში ზიმბაბვეში უმრავლესობის წარმომადგენელი მთავრობა არ შეიქმნა.

ახალი წარმონაქმნის სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებულების გაცნობიერების მაგალითებია ომის წინა პერიოდში იაპონიის მიერ შექმნილი მანჯუკუოს მარიონეტული სახელმწიფოსა და ნაცისტური გერმანიის მიერ შექმნილი ხორვატიის არცნობა, დასავლეთის ქვეყნების მიერ აღმოსავლეთ გერმანიის ხანგრძლივი არცნობა საბჭოთა კავშირის გავლენის გაძლიერების საფრთხის გამო, და საერთაშორისო საზოგადოების უარი, ეცნოთ სამხრეთ-აფრიკელთა მიწები, რომლებიც სამხრეთმა აფრიკამ სუვერენულ სახელმწიფოებად გამოაცხადა.⁸⁴ სამხრეთ აფრიკის მიერ ტრანსქეისა⁸⁵ და კვიპროსის თურქული მმართველობის მიერ სამხრეთ კვიპროსის⁸⁶ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევებში გაეროს უშიშროების საბჭომ მსოფლიოს ამ ახალ წარმონაქმნთა არცნობისკენ მოუწოდა, რასაც თითქმის მთელი საერთაშორისო საზოგადოება დაეთანხმა.

შედარებით მცირერიცხოვან შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოებრიობის პრეტენზიის მქონე წარმონაქმნებმა არსებობა დაიწყეს სხვა სახელმ-

ნიფოს მხრიდან უკანონო მუქარის ან ძალის გამოყენების შედეგად, დავის ავტორიტარული გზით გადაწყვეტა ხშირად შეუძლებელია. ბანგლადეშის გამოყოფამ პაკისტანისგან, რასაც ინდოეთის სამხედრო ინტერვენციამაც შეუწყო ხელი, ინტერვენციის კანონიერების შესახებ განსხვავებული შეხედულებების გაჩენა გამოიწვია, მაგრამ სახელმწიფოებმა აღიარეს ბანგლადეში, როგორც სახელმწიფო, რომელიც შემდგომ გაეროსა და ბრიტანეთის თანამეგობრობაშიც გაწევრიანდა.⁸⁷

აღსანიშნავია, რომ სხვა სახელმწიფოების მიერ სახელმწიფოს არცნობა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ de facto რეჟიმი მთლიანად საერთაშორისო სამართლის სფეროს გარეთ რჩება. არცნობის მიუხედავად, მათთან მიმართებაში მრავალი წესი გამოიყენება, როგორცაა, მაგალითად, ძალის გამოყენების აკრძალვა.⁸⁸ მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც გაეროს გაერთიანებულ სამხედრო ძალებს ხელმძღვანელობდა, უარი თქვა ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფოს (ასევე, ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთის მთავრობების) ცნობაზე, ამას ხელი არ შეუშლია 1953 წლის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერისათვის, რამაც ბოლო მოუღო კორეის ომს.⁸⁹ ჩრდილოეთ კორეის არცნობას ასევე არ შეუქმნია დაბრკოლება მოგვიანებით, აშშ-ს მიერ პუებლოს ინციდენტის გამო წამოწყებული კონფლიქტისთვის, როდესაც აშშ-მ მის გემზე განხორციელებული შეტევისთვის ბრალი დასდო კორეის საერთაშორისო სამართლის დარღვევაში.⁹⁰

სხვა სახელმწიფოს ცნობა ავტომატურად არ იწვევს ამ სახელმწიფოსთან სრული მოცულობის დიპლომატიური ურთიერთობების ან სხვა სახის კავშირის დამყარების ვალდებულებას.⁹¹ ეს სახელმწიფოთა პოლიტიკურ შეხედულებაზეა დამოკიდებული. დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტა, ასევე, ავტომატურად არ იწვევს სახელმწიფოს ცნობაზე უარის თქმას.

სამართლებრივი შედეგები შიდასახელმწიფოებრივ სამართალში

A სახელმწიფოს მიერ B სახელმწიფოს ცნობა, ჩვეულებრივ, A სახელმწიფოს სასამართლოების მიერ B სახელმწიფოს სამართლის გამოყენებასა და მისი სუვერენული აქტების აღსრულებას გულისხმობს.⁹² არცნობის შემთხვევაში ეროვნული სასამართლოები არ მიიღებენ უცხო სახელმწიფოს ან მთავრობის სახელმწიფოებრივი ხასიათის სარჩელსა და პრეტენზიას. რაც შეეხება კერძო პირებს (მაგალითად, თუ არცნობა ვრცელდება უცხოურ სახელმწიფოში დაბადების, გარდაცვალებისა და ქორწინების რეგისტრაციაზე), ასეთ შემთხვევებში სიტუაცია განსხვავდება ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიხედვით.

შვეიცარიისა და გერმანიის სასამართლოები ყოველთვის იყენებდნენ უცხოურ ტერიტორიაზე მოქმედ სამართალს, მაშინაც კი, როდესაც ეს ტერიტორია ცნობილი არ იყო სახელმწიფოდ. თავდაპირველად ინგლისური და ამერიკული სასამართლოები აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებდნენ იმ უცხოური სახელმწიფოს სამართალსა და სუვერენულ აქტებს, რომელსაც არ ცნობდნენ მათი მთავრობები. მიუხედავად ამისა, აშშ-სა და ბრიტანეთში მოხდა ცვლილებები, რომელთა შედეგად, სასამართლოებს არცნობილი წარმონაქმნის სამართლის გამოყენება შეეძლოთ, თუ აღმსრულებელი ხელისუფლება დაადასტურებდა, რომ ეს არ დააზარალებდა საგარეო პოლიტიკას სხვა სფეროებში.⁹³

მთავრობათა ცნობა

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, ცნობისას ან ცნობისაგან თავის შეკავებისას თავიანთი შეხედულებებით იხელმძღვანელონ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალი მთავრობა უკვე არსებული

⁸⁷ იხ. *Restatement (Third)*, Vol. 1, 81-2 with further references; და თ. 19.

⁸⁸ Frowein (1987), *op. cit.*, 342 and 347.

⁸⁹ იხ. თ. 22.

⁹⁰ *Restatement (Third)*, Vol. 1, 81. იხ. J. Kokott, Pueblo Incident. *EPIL* 11 (1989), 268-71.

⁹¹ Frowein (1987), *op. cit.*, 343. იხ. აგრეთვე, თ. 8.

⁹² იხ. *Harris CML*, 151-72.

⁹³ იხ. ამინის მემორანდუმი, თ. 5. იხ. აგრეთვე, The Statement of Interest, dated 29 November 1995, of the US Department of State in *Meridien International Bank Ltd v. Government of Liberia* which declared that allowing the (second) Liberian National Transitional Government (LNTG II) access to American courts was consistent with US foreign policy. M. Nash (Leich), *AJIL* 90 (1996), 263-5.

⁹⁴ იხ. ზემოთ.

⁹⁵ M. Whiteman, *Digest of International Law*, Vol. 2, 1963, at 85.

⁹⁶ J.A. Boyd, *Digest of United States Practice of International Law*, 1977, 19.

სახელმწიფოს სათავეში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით მოვიდა. ცნობენ სახელმწიფოს მეთაურს, ასე რომ, ცნობის პრობლემა არ ჩნდება, როდესაც რევოლუცია სახელმწიფოს მეთაურს არ ხელყოფს (მაგალითად, სამხედრო გადატრიალება საბერძნეთში 1967 წელს, როდესაც დაამხეს მხოლოდ პრემიერ-მინისტრი, მაგრამ არა მეფე). ცნობის პრობლემა არც მაშინ დგას, როდესაც სახელმწიფოს მეთაური კონსტიტუციურად იცვლება, მაგალითად, როდესაც ბრიტანეთის მონარქის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილს იკავებს მისი უფროსი ვაჟი, ან როდესაც ირჩევენ აშშ-ს ახალ პრეზიდენტს. სახელმწიფოები ცნობას ხშირად პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებენ. მაგალითად, აშშ ხშირად განიხილავდა ცნობას მოწონების ნიშნად. პრეზიდენტ ვილსონის დროს აშშ-მ უარი თქვა ლათინური ამერიკის იმ რეჟიმების ცნობაზე, რომლებიც ხელისუფლებაში არაკონსტიტუციური გზით მოვიდნენ, როგორც, მაგალითად, ტინოკოს რეჟიმი კოსტა-რიკაში.⁹⁴

ცნობაზე უარი ხშირად განპირობებულია რწმენით, რომ ახალი სახელმწიფო ან მთავრობა ეფექტურად ვერ აკონტროლებს იმ ტერიტორიას, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს, თუმცა არცნობა შეიძლება სხვა ფაქტორებმაც გამოიწვიოს.

მაგალითად, ერთ დროს აშშ უარს ამბობდა უცხო მთავრობების ცნობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მიუღებლად მიაჩნდა ისინი. აშშ-სთვის ცნობა მოწონების ნიშანი იყო. მეორე მხრივ, დიდი ბრიტანეთი, ჩვეულებრივ, ცნობდა ყველა მთავრობას, რომელიც რეალურად აკონტროლებდა თავის ტერიტორიას, მიუხედავად იმისა, მისაღებად მიაჩნდა თუ არა ეს მთავრობები.

იმ მიზეზის გამო, რომ არცნობა ხშირად უცხოური მთავრობების მიუღებლობის ნიშანი იყო, ცნობას ხშირად არასწორად აიგივებდნენ უცხოური მთავრობის მოწონებასთან, იმ შემთხვევებშიც კი, როცა ასეთი რამ განზრახული არ იყო. მსგავსი მცდარი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად ზოგიერთმა სახელმწიფომ მთავრობათა არცნობის პოზიცია დაიკავა (თუმცა კვლავ ცნობს სახელმწიფოებს ან თავს იკავებს მათი ცნობისგან). ამ პოლიტიკას მექსიკაში ჩაეყარა საფუძველი და ცნობილია, როგორც ესტრადას დოქტრინა. 1930 წელს მექსიკის საგარეო ურთიერთობათა მინისტრმა განაცხადა: „მექსიკის მთავრობა არ აკეთებს არავითარ განცხადებებს ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან თვლის, რომ ამგვარი კურსი შეურაცხმყოფელია“.⁹⁵

ეს განცხადება ნათლად ასახავს, რომ სახელმწიფოში მთავრობის შეცვლა ამ სახელმწიფოს შიდა საქმეა და არ ეხება საერთაშორისო სამართალსა და სხვა სახელმწიფოებს, მიუხედავად იმისა, ქვეყნის კონსტიტუციის ნორმების შესაბამისად განხორციელდა თუ არა ეს ცვლილება. უკანასკნელ წლებში მსგავს პოლიტიკას ატარებს რამდენიმე სახელმწიფო, საფრანგეთის, ესპანეთისა და შეერთებული შტატების ჩათვლით. 1977 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბიულეტენში აღნიშნული იყო:

უკანასკნელ წლებში აშშ-ს პრაქტიკა იყო მთავრობათა შეცვლის შემთხვევაში ცნობის როლის შემცირება და მისი გამოყენებისათვის თავის არიდება და (ამის ნაცვლად) იმის გადანყვეტა, გვესურს თუ არა ახალ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.⁹⁶

1980 წელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამ პოლიტიკას გაატარებს დიდი ბრიტანეთიც:

გადავწყვიტეთ, რომ ამიერიდან აღარ ვცნობთ მთავრობებს.

ბრიტანეთის მთავრობა ცნობს სახელმწიფოებს...

თუ უკვე ცნობილ სახელმწიფოში მოხდება არსებული რეჟიმის არაკონსტიტუციური ცვლილება, სხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რა სახის ურთიერთობები ექნებათ ამ რეჟიმთან და არის თუ არა ან

რამდენადაა ეს რეჟიმი უფლებამოსილი, განიხილებოდეს მოცემული სახელმწიფოს მთავრობად. ბევრ ჩვენს პარტნიორსა და მოკავშირეს უკავია პოზიცია, რომ ისინი არ ცნობენ მთავრობებს და, აქედან გამომდინარე, მსგავს შემთხვევებში ცნობის პრობლემაც არ დგას. ამისგან განსხვავებით, ბრიტანული მთავრობების მიერ გატარებული პოლიტიკის მიხედვით, ჩვენ უნდა მივიღოთ და გამოვაცხადოთ ახალი მთავრობის ფორმალურად „ცნობის“ გადაწყვეტილება.

ხშირად ეს პრაქტიკა არასწორად იყო გაგებული და, საწინააღმდეგო განმარტებების მიუხედავად, ჩვენს „ცნობაში“ ხშირად მთავრობის მოწონებას გულისხმობდნენ. მაგალითად, ისეთ გარემოებებშიც კი, როდესაც არსებობს სამართლიანი საზოგადოებრივი შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ახალი რეჟიმი არღვევს ადამიანის უფლებებს, ... ეს საკმარისი არ არის იმის სათქმელად, რომ „ცნობა“ უბრალოდ ნეიტრალური ფორმალობა იყო.

შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ პრაქტიკული უპირატესობა აქვს იმ მრავალი ქვეყნის პოლიტიკის გატარებას, რომლებიც არ ცნობენ მთავრობებს. მათ მსგავსად, ჩვენც გავაგრძელებთ იმის განსაზღვრას, თუ რა ხასიათის ურთიერთობები უნდა ვიქონიოთ ხელისუფლების სათავეში არაკონსტიტუციური გზით მოსულ რეჟიმთან. ამ საკითხის გადაწყვეტისას ვიხელმძღვანელებთ იმის შეფასებით, შეუძლია თუ არა მოცემულ რეჟიმს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ეფექტური მართვა და შეძლებს თუ არა ის ამ კონტროლის გაგრძელებას.⁹⁷

ერთი შეხედვით, ესტრადას დოქტრინა მთლიანად აუქმებს მთავრობათა ცნობის მთელ სისტემას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, ის ალბათ, უბრალოდ, ზუსტად გამოხატულ ცნობას ცვლის ნაგულისხმევი ცნობით. ცნობა შეიძლება მკაფიოდ არ იყოს გამოცხადებული, მაგრამ იგულისხმებოდეს უცხოურ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობების ან სხვა სახის კავშირების არსებობიდან.⁹⁸ რეალურად, მთავრობის ნაგულისხმევი ცნობა მიღებული პრაქტიკაა. თუმცა ცნობის შესახებ მხოლოდ იმ აქტების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომლებშიც აშკარად ჩანს მთავრობის ცნობის განზრახვა. დიპლომატიური ურთიერთობების სრული მოცულობით დამყარება ალბათ ერთადერთი არაორაზროვანი აქტია, რომელიც პირდაპირ გულისხმობს მთავრობის ცნობას. ნებისმიერი სხვა ფორმით დამყარებული კონტაქტი ავტომატურად ცნობას არ ნიშნავს.⁹⁹

წარსულში ესტრადას დოქტრინის მხარდამჭერ სახელმწიფოთა უმრავლესობა ამ დოქტრინას საკმარისი თანმიმდევრულობით არ იყენებდა. ადრე თუ გვიან, ისინი ვერ უძლებდნენ უცხოური მთავრობის ცნობის ცდუნებას მისთვის მხარდაჭერის დემონსტრირების ან მისი კეთილგანწყობის მოპოვების იმედით.¹⁰⁰

DE JURE და DE FACTO ცნობა

de jure და de facto ცნობას შორის განსხვავება საკითხის ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი ასპექტია. დასაწყისისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოთქმები “de jure ცნობა” და “de facto ცნობა”, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდაა გავრცელებული, ტექნიკურად არასწორია. “de jure ცნობა” რეალურად ნიშნავს de jure მთავრობის ცნობას. სიტყვები de jure და de facto ახასიათებს მთავრობებს და არა ცნობის აქტს. ტერმინოლოგიურად იგულისხმება, რომ de facto მთავრობას არ აქვს de jure მთავრობის მსგავსი სამართლებრივი საფუძველი. მაგრამ შეუძლებელია სამართლებრივი ნორმების ისეთი ერთობლიობის პოვნა, რომელიც ამ სამართლებრივ საფუძველს განსაზღვრავს.

de jure და de facto ცნობას შორის განსხვავება, როგორც წესი, მაშინ წარმოჩნდება, როდესაც საქმე მთავრობებს ეხება. ზოგჯერ ამბობენ, რომ სახელმწიფო შეიძლება ცნონ მხოლოდ de jure, თუმცა არსებობს რამდენიმე სახელმწიფოს მაგალითი, რომლებიც მხოლოდ de facto ცნეს. მაგალითად, 1945-49 წლებში, როდესაც ინდონეზია დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა ჰოლანდიის

⁹⁷ *House of Lords Debates*, Vol.408, cols 1121-2, announcement made on 28 April 1980.

⁹⁸ ბრიტანეთში არსებული პრაქტიკის შესახებ ამოწმის მე-6 გამოცემა, თ.წ., და M. Aristodemou. *Choice and Evasion in Judicial Recognition of Governments: Lessons from Somalia*, *EJIL* 5 (1994): 532-55; S. Talmon, *Recognition of Governments: An Analysis of the New British Policy and Practice*, *BYIL* 63 (1992): 231-97, and the literature cited above. ახალ ზელანდიაში არსებული პრაქტიკისთვის იხ. S. Davidson. *Recognition of Foreign Governments in New Zealand*, *ICLQ* 40 (1991): 162 *et seq.*

⁹⁹ Frowein (1987), *op. cit.* 342. იხ. აგრეთვე, J.A. Frowein, *De facto Regime*, *EPIL* 1 (1992): 966-8.

¹⁰⁰ Ch. Rousseau, *Drill international public*, 1977, Vol. 3:555-7.

¹⁰¹ იხ. აგრეთვე, თ. 10 და თ. 11.

¹⁰² იხ. თ. 10.

¹⁰³ იხ. ზემოთ.

¹⁰⁴ Frowein (1987), *op. cit.*, 342.

¹⁰⁵ *Ibid.*, 345.

¹⁰⁶ *Restatement (Third)*, Vol. 1, 80.

¹⁰⁷ იხ. Frowein (1987), *op. cit.*, 343-4; 345-6; J. Dugard, *Recognition and the United Nations*, 1987; V. Gowlland-Debbas, *Collective Responses to the Unilateral Declarations of Independence of Southern Rhodesia and Palestine: An Application of the Legitimizing Function of the United Nations*, *BYIL* 61 (1990), 135 *et seq.* გაეროს წევრობასთან დაკავშირებით, თ. 21.

¹⁰⁸ იხ. European Community: Declaration on Yugoslavia and on the Guidelines on the Recognition of New States, *ILM* 31 (1992), 1485-7; A. Pellet, *The Opinions of the Badinter Arbitration Committee. A Second Breath for the Self-Determination of Peoples*, *EJIL* 3 (1992), 178-85; L.S. Eastwood, *Secession: State Practice and International Law after the Dissolution of the Soviet Union and Yugoslavia*, *Duke JCL* 3 (1993), 299-349; M.M. Kelly, *The Rights of Newly Emerging Democratic States Prior to International Recognition and the Serbo-Croatian Conflict*, *Temple ICLJ* 23 (1993), 63-88; R. Rich, *Recognition of States: The Collapse of Yugoslavia and the Soviet Union*, *EJIL* 4 (1993), 36-65; D. Turk, *Recognition of States: A Comment*, *ibid.*, 66-71; P. Hilpold, *Die Anerkennung der Neustaaten auf dem Balkan*, *AVR* 31 (1993), 387-408; Weller, *op. cit.*; Radan, *op. cit.*; S. Hille, *Mutual Recognition of Croatia and Serbia (& Montenegro)*, *EJIL* 6 (1995), 598-610. იხ. აგრეთვე, თ. 11 და თ. 22.

¹⁰⁹ *ILM* 14 (1975), 1292-1325. იხ. M. Coccia/K. Oellers-Frahm, *Helsinki Conference and Final Act on Security and Cooperation in Europe*, *EPIL* 11 (1995), 693-705. იხ. აგრეთვე, თ. 3 და თ. 6.

¹¹⁰ Charter of Paris for a New Europe, *ILM* 30 (1991), 190-228.

¹¹¹ Guidelines on the Recognition of New States, *op. cit.*, at 1487. თვითგამორკვევის პრინციპის შესახებ, თ. 19.

წინააღმდეგე, ის რამდენიმე სახელმწიფომ *de facto* ცნო. ასევე არსებობს რამდენიმე ტერიტორიული პრეტენზიის *de facto* ცნობის მაგალითი. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა მხოლოდ *de facto* ცნო საბჭოთა კავშირის მიერ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ანექსია 1940 წელს.¹⁰¹ სახელმწიფოებისა და ტერიტორიული პრეტენზიების *de facto* ცნობა ზუსტად იმავე პრობლემებთანაა დაკავშირებული და ზუსტად იმავე წესებით რეგულირდება, რითაც მთავრობების *de facto* ცნობა. როდესაც სახელმწიფოს არაორაზროვანი განცხადებით ცნობენ, ყოველთვის უნდა იგულისხმებოდეს, რომ მოხდა *de jure* ცნობა, თუ სახელმწიფო, რომელმაც ცნო სხვა სახელმწიფო, არ განაცხადებს, რომ ცნობს *de facto*. როდესაც ცნობა არ არის ზუსტად გამოხატული, მაგრამ იგულისხმება, ამ შემთხვევაში მცნობელი სახელმწიფოს განზრახვა ხშირად ბუნდოვანია: რას აპირებდა იგი, *de facto* თუ *de jure* ცნობას?

როგორც არ უნდა იყოს *de facto* და *de jure* ცნობას შორის განსხვავების საფუძველი, მათი შედეგები თითქმის ერთნაირია. მიუხედავად ამისა, თუ სახელმწიფოს ან მთავრობის შექმნას (ან ტერიტორიული ცვლილების განხორციელებას) საფუძვლად ედო საერთაშორისო სამართლის დარღვევა, მართლწინააღმდეგობის გამოსწორება მხოლოდ *de jure* ცნობას შეუძლია, ამ შემთხვევაში *de facto* ცნობა საკმარისი არ არის.¹⁰² თუ, სასამართლოს თავმჯდომარე ტაფტის მსგავსად (ტინოკოს საქმე),¹⁰³ ვინმე თვლის, რომ ცნობას დამადასტურებელი ღირებულება აქვს, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ სავარაუდოდ, *de jure* ცნობას უფრო მეტი დამამტკიცებელი ძალა აქვს, ვიდრე *de facto* ცნობას. თუმცა, ალბათ, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არაა.

განსხვავება *de jure* და *de facto* ცნობას შორის ყოველთვის იყო სირთულეების წარმოქმნის მიზეზი, ამიტომ სახელმწიფოთა ცნობის თითქმის ყველა შემთხვევაში ეს ტერმინები არ გამოიყენება.¹⁰⁴ მათ აღარც მთავრობათა ცნობის შემთხვევებში იყენებენ.¹⁰⁵ განაცხადი (მესამე) ამ ბუნდოვან ტერმინებს თავს არიდებს.¹⁰⁶

1945 წლის შემდეგ დიდი მნიშვნელობა შეიძინა ისეთმა საკითხმა, როგორცაა გაეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა სახელმწიფოებისა და მთავრობების ცნობაზე.¹⁰⁷ აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ კი, საბჭოთა კავშირსა და ყოფილ იუგოსლავიაში, მიმდინარე მოვლენებმა 1991 წლის 16 დეკემბერს ევროპის კავშირი და მასში შემავალი სახელმწიფოები აიძულა, საერთო პრინციპებით ეხელმძღვანელათ ამ რეგიონებში მდებარე ახალი სახელმწიფოების ფორმალური ცნობისას.¹⁰⁸ ეს წესები იწყება 1975 წლის ჰელსინკის აქტსა¹⁰⁹ და 1990 წლის პარიზის ქარტიამი¹¹⁰ ასახული პრინციპების, განსაკუთრებით კი, თვითგამორკვევის პრინციპის¹¹¹ განმტკიცებით. ევროპის კავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები

ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკის მიღებული სტანდარტებისა და პოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით, ცნონ ის ახალი სახელმწიფოები, რომლებიც რეგიონში მიმდინარე ისტორიული ცვლილებების ფონზე შეიქმნენ დემოკრატიულ საფუძველზე, აიღეს შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებები და კეთილსინდისიერად დაემორჩილნენ სამშვიდობო პროცესებსა და მოლაპარაკებებს.

ევროპის კავშირის სახელმძღვანელო პრინციპებში ჩამოყალიბებულია სახელმწიფოთა ცნობისა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისათვის აუცილებელი მოთხოვნები. ესენია:

- გაეროს წესდების დებულებების, ჰელსინკის დასკვნით აქტსა და პარიზის ქარტიამი მითითებული ვალდებულებების, განსაკუთრებით კი, კანონიერების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა;

- ეთნიკური და ეროვნული ჯგუფებისა და უმცირესობათა უფლებების გარანტიები ეუთოს ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად;
- პატივისცემა საზღვრების მიმართ, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებითა და ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე;
- განიარაღების, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, რეგიონალურ უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ვალდებულების აღება;
- შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოს უფლებამონაცვლეობასა და რეგიონალურ დავებთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაჭრის ვალდებულება, აუცილებლობის შემთხვევაში არბიტრაჟისათვის მიმართვის ჩათვლით.¹¹²

გამორიცხულია „იმ წარმონაქმნების ცნობა, რომლებიც აგრესიის შედეგია“ და ასევე მხედველობაშია მისაღები „ცნობის შედეგები მეზობელი სახელმწიფოებისთვის“. თუ „იმ წარმონაქმნების ცნობა, რომლებიც აგრესიის გამოყენების შედეგად შეიქმნენ“, შეესაბამება ძალის გამოყენებით შექმნილი ტერიტორიის არცნობის პრინციპს¹¹³, მაშინ გაურკვეველია, რა იგულისხმება ფრაზაში, რომ ევროპის კავშირი აპირებს მხედველობაში მიიღოს „ცნობის შედეგები მეზობელი სახელმწიფოებისთვის“. ყოველ შემთხვევაში, ეს პრინციპები, რომელთაც ბადინტერის საარბიტრაჟო კომისია იყენებდა, ემსახურებოდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკის განსაზღვრას ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოების ცნობასთან დაკავშირებით. აქ არ ჩავუღრმავდებით ცნობის რთული პროცესის დეტალებს და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, სერბების მიერ მართვადი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის შემთხვევაში, 1995 წელს ევროპის კავშირმა მისი ცნობის ერთ-ერთ პირობად იუგოსლავიის დაშლის შედეგად შექმნილი ყველა სახელმწიფოს მიერ ერთმანეთის ცნობა წამოაყენა.

სახელმძღვანელო ხასიათი აქვს ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკის, მაკედონიის შემთხვევას. მაკედონიაში 1991 წლის 8 სექტემბერს ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის თაობაზე, რომელიც დადასტურებულ იქნა 1991 წლის 17 ნოემბერს¹¹⁴. საბერძნეთი შეშფოთებული იყო ახალი სახელმწიფოს სახელწოდებითა და მის დროშაზე „ვერჯინას ვარსკვლავის“ გამოსახულებით, ვინაიდან საკუთარი მაკედონიის პროვინციაზე ახალი სახელმწიფოს პრეტენზიებისა ეშინოდა.¹¹⁵ ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკა, მაკედონია 1993 წლის 8 აპრილს გაეროში მიიღეს, თუმცა დავა მისი სახელწოდების შესახებ გადაუწყვეტელი დარჩა.¹¹⁶ საბოლოოდ, საბერძნეთსა და ახალ მაკედონიას შორის დავა დასრულდა 1995 წლის 13 სექტემბრის დროებითი შეთანხმებითა და 1995 წლის 13 ოქტომბრის მემორანდუმით.¹¹⁷ ამის შედეგად, საბერძნეთმა მოხსნა მაკედონიაზე დანესებული ემბარგო, ხოლო ევროპის კომისიამ უარი განაცხადა სარჩელზე, რომელიც მან 1994 წლის 22 აპრილს წარადგინა ევროპის გაერთიანების სასამართლოზე და რომლითაც მოითხოვდა, ემბარგო ევროგაერთიანების სამართლის დარღვევად გამოცხადებულიყო.¹¹⁸ 1996 წლის 8 აპრილს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა და მაკედონია ერთმანეთის ორმხრივ ცნობაზე შეთანხმდნენ. ამის შედეგად იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა ჯერ საფრანგეთმა, შემდეგ კი ბრიტანეთმა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებმაც ცნეს, მათ შორის გერმანიამაც 1996 წლის 17 აპრილს.¹¹⁹ იუგოსლავიის „სამართალმემკვიდრეობის“ რთულ საკითხს უფრო ფართოდ შემდეგ თავებში განვიხილავთ.¹²⁰

¹¹² *Ibid.*, at 1487.

¹¹³ იბ. თ. 10.

¹¹⁴ The Advisory Opinion No. 6 of 11 January 1992 of the Arbitration (Badinter) Commission of the European Community (Carrington) Conference on Peace in Yugoslavia concerning the status of Macedonia is in *ILM* 31 (1992), 1507.

¹¹⁵ იბ. D.M. Poulakides, Macedonia: Far More Than a Name to Greece, *Hastings ICLR* 18 (1995), 397-443.

¹¹⁶ UN Doc. GA 47/225.

¹¹⁷ *ILM* 34 (1995), 1461 (Introductory Note by P.C.Szasz).

¹¹⁸ ECJ Case No. C-120/94 R, Order of 29 June 1994.

¹¹⁹ FAZ of 18 April 1996, 1.7. The Agreement between Macedonia and the Federal Republic of Yugoslavia is in *ILM* 35 (1996), 1246. ბორვატიისა და იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობების ნორმალიზაციის შესახებ იბ. *ibid.*, 1219.

¹²⁰ იბ. თ. 11 და თ. 22.

6. საერთაშორისო ორგანიზაციები, ინდივიდები, კომპანიები და ჯგუფები

¹ თუმცა *The Restatement (Third)*, Vol. 1, part II, 70, ინდივიდებთან დაკავშირებით უარყოფს ტერმინს „სუბიექტები“, ვინაიდან ამ ტერმინის გამოყენება უფრო შეზღუდულია იმ თვალსაზრისით, რომ ასეთ ერთეულებს აქვთ მხოლოდ უფლებები და მოვალეობები და, გარკვეულწილად, მოკლებულნი არიან სამართლებრივ სტატუსსა და ინდივიდუალურ საერთაშორისო სამართალში. იხ. აგრეთვე, *Harris CMLL*, 126-38; H. Hosier, *Subjects of International Law, EPIL* 7 (1984), 442-59; J.A. Barberis, *Los sujetos del derecho internacional actual*, 1984; P.K. Menon, *The Subjects of Modern International Law, Hague YIL* 3 (1990), 30-86; I. Brownlie, *Principles of Public International Law*, 4th edn 1990, 58 *et seq.*; Conference on Changing Notions of Sovereignty and the Role of Private Actors in International Law, *AUJILP* 9 (1993-4), 1-213. იხ. აგრეთვე, ქვემოთ მოთხოვნილი ლიტერატურა.

² მე-19 საუკუნეში არსებული მონათვაჭრობისა და მისი აკრძალვის შესახებ იხ. თ. 2.

³ L. Oppenheim, *International Law. A Treatise*, 2nd edn 1912, Vol I (Peace), 19.

⁴ Brownlie (1990), *op.cit.*, 58.

⁵ *Reparations for Injuries Case, ICJ Rep.* 1949, 178. იხ. ქვემოთ.

როცა იურისტები ამბობენ, რომ ერთეული წარმონაქმნი იურიდიული პირია ან სამართლის სუბიექტია (ეს ტერმინები ურთიერთჩანაცვლებადია),¹ ისინი გულისხმობენ, რომ მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სამართლებრივ ურთიერთობებში და ჰქონდეს იურიდიული უფლება-მოვალეობანი. თანამედროვე მუნიციპალური სამართლის სისტემებში ყველა ფიზიკურ პირს (ინდივიდს) აქვს სამართალსუბიექტობა, მაგრამ წარსულში მონა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს. ის მხოლოდ საკუთრების ნაწილი იყო.² კომპანიებსაც აქვთ სამართლის სუბიექტის ნიშან-თვისებები, ცხოველებს კი – არა; იმის მიუხედავად, რომ დღეს არსებობს კანონები ცხოველთა დასაცავად (მაგალითად, ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ამკრძალველი კანონი), ეს კანონები ცხოველებს რაიმე უფლებებს არ ანიჭებს.

XIX საუკუნეში საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მხოლოდ სახელმწიფო მიიჩნეოდა. საერთაშორისო სამართალი თითქმის ისევე განიხილავდა ინდივიდებს, როგორც მუნიციპალური სამართალი – ცხოველებს. 1912 წელს ი. ოპენჰეიმი საერთაშორისო სამართლისადმი მიძღვნილ თავის ცნობილ ტრაქტატში წერდა: „რადგან ხალხთა სამართალი ცალკეული სახელმწიფოებისა და არა ცალკეული პიროვნებების თანხმობას ემყარება, ამიტომ სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლის ერთადერთი და ექსკლუზიური სუბიექტები არიან“.³ სახელმწიფოები დღესაც საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტებად განიხილებიან, თუმცა გასულ საუკუნეში მდგომარეობა შეიცვალა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ფიზიკურმა პირებმა და კომპანიებმაც შეიძინეს გარკვეული საერთაშორისო სამართალსუბიექტობა. მაგრამ თუ მათ მიერ შეძენილი სამართალსუბიექტობის ზუსტი არსის განსაზღვრას შევეცდებით, სამართლის საკმაოდ სადავო და წინააღმდეგობებით აღსავსე სფეროში შევიჭრებით.

საერთაშორისო სამართლის სისტემაში ახალი მოქმედი პირების დამატებით წარმოქმნილი პრობლემა აისახა სამართალსუბიექტობის ნიშნების ძირითად კონცეფციაში, რომლის ცენტრალური საკითხები, პირველ რიგში, დაკავშირებულია საერთაშორისო სამართლის დარღვევის ბრალდების წამოყენების, ეფექტური საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისა და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობის უნართან.⁴ კერძოდ, საერთაშორისო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში სამართლის სუბიექტები თავიანთი ბუნებისა და უფლებების მიხედვით განსხვავდება. მათი ბუნება და უფლებები საზოგადოების მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული“.⁵ სწორედ საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს და მათი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ნიშნებს.

სამართალსუბიექტობა შეიძლება შეუზღუდავი იყოს იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია სუბიექტისთვის ყველა საერთაშორისო უფლება-მოვალეობის მინიჭება. ეს ეხება მხოლოდ სახელმწიფოებს – საერთაშორისო სამართლის პირველად, ძირითად და უნივერსალურ სუბიექტებს. სახელმწიფოს აქვს ექსკლუზიური იურისდიქცია თავის ტერიტორიაზე და პერსონალური იურისდიქცია თავისი მოქალაქეების მიმართ. საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების, მაგალითად, სახელმწიფოთა მიერ შექმნილი საერთა-

შორისო ორგანიზაციების სამართალსუბიექტობა კონკრეტული საერთაშორისო უფლება-მოვალეობებითაა განსაზღვრული. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალსუბიექტობა შეზღუდულია, რადგან ისინი შექმნილია სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებებით, რომლებიც ამ ორგანიზაციების ამოცანებსა და უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს. ასეთი მეორადი სუბიექტები მოქმედებენ *ultra vires*, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მოქმედება იურიდიულად ბათილია, თუ ისინი მოქმედებენ ხელშეკრულებით მიღებული უფლებამოსილების გადაჭარბებით.⁶

ადამიანის უფლებების განვითარებასთან ერთად ცალკეულმა პირებმა საერთაშორისო სამართალში გარკვეული სტატუსი მოიპოვეს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ხელშეკრულების დადება ან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის წესების შექმნა. ამ საკითხების გარდა ქვემოთ განვიხილავთ, აგრეთვე, მრავალეროვნული კომპანიების, მემბროების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, ეთნიკური უმცირესობებისა და მკვიდრი მოსახლეობის საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

საერთაშორისო ორგანიზაციები

ტერმინი „საერთაშორისო ორგანიზაცია“, ჩვეულებრივ, ორი ან მეტი სახელმწიფოს შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას აღნიშნავს.⁷ იგი განსხვავდება ტერმინისგან „არასამთავრობო ორგანიზაცია“, რომელიც გამოიყენება ფიზიკური პირების ან მათი ჯგუფების მიერ შექმნილი ორგანიზაციებისათვის (როგორებიცაა „საერთაშორისო ამნისტია“ და გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „Greenpeace“), თუმცა ზოგჯერ სახელმწიფოები ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას განსაზღვრულ ფუნქციებს ანიჭებენ. ამის ნათელი მაგალითია ნათელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ომის სამართლის შესახებ ჟენევის კონვენციების⁸ შესრულების ზედამხედველობაში. ეს საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფოების მიერ შექმნილ ორგანიზაციებთან ერთად. არასამთავრობო ორგანიზაციებს ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.⁹

საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების შინაარსით, 1815 წლიდან არსებობენ,¹⁰ მაგრამ მათ მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიძინეს პოლიტიკური მნიშვნელობა. მათი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის იდეა კი შედარებით ახალია.

საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში¹¹ ხშირად ნათქვამია, როგორც, მაგალითად, გაეროს წესდების 104-ე მუხლში, რომ „ორგანიზაციას წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შეუძლია ისარგებლოს იმ სამართლებრივი უფლებებით, რაც აუცილებელია მისი ფუნქციებისა და მიზნების აღსრულებისათვის“.¹² ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაცია სარგებლობს წევრი ქვეყნის შიდა სამართლით განსაზღვრული სამართლებრივი უფლებებით. მას შეუძლია ფლობდეს ქონებას, დაამყაროს კონტაქტები და ა.შ. წესდებაში არ არის შესაბამისი მუხლი, რომელიც გაეროს ცალსახად მიანიჭებდა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ საერთაშორისო სამართალსუბიექტობას. მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაეროს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის გარკვეული ხარისხი აქვს. მაგალითად, წესდების 43-ე მუხლი გაეროს უფლებას აძლევს, დადოს განსაზღვრული ტიპის ხელშეკრულებები წევრ ქვეყნებთან.¹³ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის გარეშე გაერო ამ უფლებით ვერ ისარგებლებდა.

სახელმწიფოები საერთაშორისო ორგანიზაციებს გარკვეული მიზნით ქმნიან და მათ შეზღუდულ უფლებებს ანიჭებენ. ამის გამო სამართალსუ-

⁶ F. Morgenstern, *Legality in International Organizations*, *BYIL* 48 (1976-7), 241-58; E. Osieke, *Ultra Vires Acts in International Organizations - The Experience of the International Labour Organization*, *ibid.*, 259-80; აგრეთვე თ. 18 და თ. 22.

⁷ H.G. Schermers, *International Institutional Law*, 3rd edn 1995; D.W. Bowett, *The Law of International Institutions*, 4th edn 1982; R.-J. Dupuy (ed.), *A Handbook on International Organizations*, 1988; C. Archer, *International Organizations*, 2nd edn 1992; I. Seidl-Hohenveldern/G. Loibl, *Das Recht der Internationalen Organisationen einschließlich der Supranationalen Gemeinschaften*, 5th edn 1992; W.J. Feld, *International Organizations: A Comparative Approach*, 3rd edn 1994; V. Rittberger, *International Organizations, Theory of*, in *Wolfrum UNLPPII*, 760-70; R.J. Bindschedler, *International Organizations. General Aspects*, *EPIL* (1995), 1289-309; R. Wolfrum, *International Administrative Unions*, *ibid.*, 1041-7; H.G. Schermers, *International Organizations. Membership*, *ibid.*, 1320-4; L. Louis-Jacques/J.S. Korman, *Introduction to International Organizations*, 1996.

⁸ D. Bindschedler-Robert, *Red Cross*, *EPIL* 5 (1983), 248-54; A. Schloegel, *Geneva Red Cross Conventions and Protocols*, *EPIL* II (1995), 531-41; A. Schloegel, *IRC*, in *Wolfrum UNLPPII*, 814-9. იხ. აგრეთვე, თ. 20.

⁹ იხ. ქვემოთ.

¹⁰ იხ. თ. 2.

¹¹ ამ ხელშეკრულებების ბუნებასთან დაკავშირებული დებატების შესახებ იხ. E. Suy, *The Constitutional Character of Constituent Treaties of International Organizations and the Hierarchy of Norms*, in *FS Bernhardt*, 267-77; Ōsato, *Evolving Constitutions of International Organizations*, 1996. გაეროს ქარტიასთან დაკავშირებით იხ. თ. 21.

¹² Article 104, UN Charter, text in *Brownlie BOIL*, I. იხ. I. Seidl-Hohenveldern, Article 104, in *Simma NØN*, 1125-36; R. Wolfrum, *International Organizations, Headquarters*, *EPIL* II (1995), 1309-12.; P.H.F. Bekker, *The Legal Position of Intergovernmental Organizations*, 1994; A.S. Muller, *International Organizations and their Host States - Aspects of their Legal Relationship*, 1995; H.-J. Schultz, *Host State Agreements*, in *Wolfrum UNLPPII*, 581-91. დიდ ბრიტანეთში არსებული სამართლებრივი სიტუაციის შესახებ იხ. G. Murston, *The Origin of the Personality of International Organisations in United King-*

dom Law, ICLQ 40 (1991), 366; I. Cheyne, Status of International Organisations in English Law, *ibid.*, 981.

¹³ იხ. თ. 22.

¹⁴ K. Zemanek, International Organizations, Treaty-Making Power, *EPIL* 11 (1995), 1343-6.

¹⁵ იხ. თ. 22.

¹⁶ შუამავლობის, როგორც დავის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალების შესახებ იხ. თ. 22.

¹⁷ *ICJ Rep.* 1949, 174. იხ. E. Klein, Reparations for Injuries Suffered in Service of UN (Advisory Opinion), *EPIL* 2 (1981), 242-4.

¹⁸ იხ. თ. 18.

ბიექტობა შეიძლება მივიჩნიოთ არა აბსოლუტურ, არამედ ფარდობით კონცეფციად. უნაყოფოა საკითხის დასმა იმის თაობაზე, აქვთ თუ არა, საზოგადოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებს სამართალსუბიექტობა. უფრო მართებულია კითხვა: „რა განსაკუთრებული უფლებების, მოვალეობებისა და შესაძლებლობების გამოყენებაა დასაშვები?“ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს უფლება, დადოს ხელშეკრულება, მაგალითად, მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხზე.¹⁴ შეიძლება ორგანიზაციები ერთმანეთისაგან უფლებებით განსხვავდებოდნენ. გაეროს აქვს სამხედრო მოქმედებების უფლება (გარკვეულ გარემოებებში)¹⁵, მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციას კი – არა.

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს დასკვნას, რომელიც საერთაშორისო სასამართლომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმესთან (*Reparation for Injuries case*) დაკავშირებით გამოიტანა. ეს საქმე აღიძრა 1948 წელს პალესტინაში გაეროს შუამავლის¹⁶ გრაფ ბერნადოტის მკვლელობასთან დაკავშირებით. გაერო თვლიდა, რომ ისრაელმა არ მიიღო საჭირო ზომები ამ მკვლელობის თავიდან ასაცილებლად და არ დასაჯა მკვლელები. ამიტომ გაერომ საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული კომპენსაცია მოითხოვა. გაურკვეველი რჩებოდა ძირითადი საკითხი – ჰქონდა თუ არა გაეროს ასეთი მოთხოვნის კანონიერი უფლება. ამიტომ სასამართლოზე წამოიჭრა ასეთი კითხვა:

თუ გაეროს აგენტი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაზარალდა ისეთ გარემოებებში, რომლებიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იწვევს, აქვს თუ არა უფლება გაეროს, როგორც ორგანიზაციას, საერთაშორისო პრეტენზია წამოაყენოს *de jure* ან *de facto* მთავრობის მიერ (ა) გაეროსა და (ბ) მსხვერპლისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე?

სასამართლომ კითხვის ორივე ნაწილს დადებითად უპასუხა.¹⁷ საქმის განხილვა იმის აღნიშვნით დაიწყო, რომ გაეროს აქვს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გარკვეული ნიშნები, რომელთა გარეშეც ის ვერ შეძლებდა მასზე დაკისრებული მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებას. სასამართლოს აზრით, ორგანიზაციის სამართალსუბიექტობა ამ ტიპის სარჩელის აღძვრის უფლებასაც მოიცავს. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოითხოვოს მის მიმართ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაცია. მაგრამ ორგანიზაციის აგენტისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციის საკითხის გადაჭრა უფრო ძნელი აღმოჩნდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მიერ ასეთი მოთხოვნების წამოყენების უფლება იგულისხმება, რადგან იგი ვერ იმუშავებს ერთგული და კვალიფიცირებული აგენტების გარეშე და აგენტებიც, თავის მხრივ, არ გასწევენ ერთგულ სამსახურს, თუ დარწმუნებული არ იქნებიან, რომ მათ ორგანიზაცია დაიცავს (სასამართლო ზოგადად მსჯელობდა და არა კონკრეტულად ბერნადოტის საქმეში არსებულ ფაქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს საჩივრის უფლება აქვს, საერთაშორისო სასამართლო მის საჩივარს ვერ დააკმაყოფილებს, რადგან, საერთაშორისო სასამართლოს წესდების 34-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში მხოლოდ სახელმწიფოებს შეუძლიათ სადავო საქმეებში მონაწილე მხარეებად ყოფნა.¹⁸ ბერნადოტის საქმე მოლაპარაკებით დასრულდა. ისრაელი კომპენსაციის გადახდაზე დათანხმდა, თუმცა განაცხადა, რომ ამას თავის მოვალეობად არ თვლიდა).

სასამართლოს მსჯელობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლისათვის, რადგან ის გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება ხშირად ცალსახად არ განსაზღვრავს ამ ორგანიზაციის უფლებებს. ორგანიზაციას ხშირად ასეთი ნაგულისხმები უფლე-

ბებიც აქვს, რაც მისი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისთვის აუცილებელია.¹⁹ საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალსუბიექტობას სხვა საკითხებიც უკავშირდება. კერძოდ, ორგანიზაციებს შეუძლიათ ისარგებლონ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით,²⁰ საკუთარ თავზე აიღონ საერთაშორისო პასუხისმგებლობა და ვალდებულებები²¹ (რაც საკმაოდ რთულია, როგორც გვიჩვენა 1985 წელს კალის საერთაშორისო საბჭოს სავაჭრო ხელშეკრულების წარუმატებლობამ და საბჭოს წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულმა წინააღმდეგობებმა²²), დასვან სამართალმემკვიდრეობის საკითხი (ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მეორით შეცვლისას).²³ სახელმწიფოებთან ორგანიზაციების ურთიერთობა კიდევ მრავალი საკითხის სამართლებრივ განმარტებას მოითხოვს.

დღეს 500-მდე სრულიად განსხვავებული ტიპის საერთაშორისო ორგანიზაცია არსებობს. მათი ასეთი სიუხვე ტრანსნაციონალური პრობლემების გადაჭრის მიზნით სახელმწიფოთა თანამშრომლობის მზარდ სურვილს ასახავს. ამ ორგანიზაციათა კლასიფიკაცია ხორციელდება, მაგალითად, ამ ორგანიზაციების ამოცანებისა და ფუნქციების მიხედვით, ან იმის მიხედვით, თუ რა ნიშნით ხდება განწევრიანება — გლობალურით თუ რეგიონალურით.

გაერო უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციაა, რომელშიც თითქმის ყველა სახელმწიფო შედის. მას 21-ე თავში განვიხილავთ.²⁴ გაეროს შემადგენლობაში შედის უამრავი ე.წ. ვიწრო სპეციალიზაციის სააგენტო,²⁵ მათ შორის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია (WHO), მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU), საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ორგანიზაცია (WIPO), ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (IAEA), მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO) და მრავალი სხვა ორგანიზაცია,²⁶ როგორც ეს გაეროს წესდების 57-ე მუხლშია აღნიშნული. ამას გარდა, აქ არსებობს მრავალი საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაცია, რომელთაც მე-15 თავში განვიხილავთ.²⁷ აქვეა საერთაშორისო ორგანიზაციების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც კოსმოსის კვლევითა და გამოყენებითაა დაკავებული.²⁸

ამას გარდა, არსებობს რამდენიმე რეგიონალური პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთაც გაეროსთან ამა თუ იმ სახით თანამშრომლობა ევალებათ, რაც წესდების 52-ე მუხლითაა განსაზღვრული.²⁹ დღესდღეობით ინსტიტუციონალური რეგიონალური თანამშრომლობისა და გაერთიანების მრავალი სახეობა არსებობს ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე.³⁰ ევროპის რეგიონალურ ორგანიზაციებს შორისაა ევროკავშირი³¹ და ევროსაბჭო, რომელშიც 1996 წელს 39 სახელმწიფო იყო განწევრიანებული, შემდეგ კი მას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც შეუერთდნენ (დღესდღეობით ევროსაბჭოში 43 ქვეყანაა გაერთიანებული — რედ. შენ.). ევროსაბჭოს თაოსნობით, *inter alia*, ჩამოყალიბდა ადამიანთა უფლებების დაცვის რეგიონალური სისტემა ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენციის ფარგლებში.³² 1975 წელს შექმნილ „ჰელსინკის პროცესს“ უკანასკნელ წლებში გამოეყო და ახალ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაცია, რომელშიც აშშ და კანადაც განწევრიანდნენ.³³ ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოთა ბლოკსაც ჰქონდა რეგიონალური ორგანიზაციები და გაერთიანებები.³⁴ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, რუსეთმა, ბელორუსიამ და უკრაინამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა შექმნეს. ამ ქვეყნების მიერ დადებული ხელშეკრულების პრეამბულაში ვკითხულობთ: „საბჭოთა კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა,

¹⁹ M. Zuleeg, *International Organizations, Implied Powers*, *EPIL* II (1995), 1312-14. იხ. აგრეთვე, თ. 21.

²⁰ იხ. თ. 8.
²¹ K. Gonthier, *International Organizations, Responsibility*, *EPIL* II (1995), 1336-40. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ იხ. თ. 17.

²² M. Herdegen, *The Insolvency of International Organizations and the Legal Position of Creditors: Some Observations in the Light of the International Tin Council Crisis*, *NILR* 35 (1988), 135-44; H.G. Schermers, *Liability of International Organizations*, *LJIL* 1 (1988) 3-14; I. Seidl-Hohenveldt, *Piercing the Corporate Veil of International Organizations: The International Tin Council Case in the English Court of Appeals*, *GYZL* 32 (1989), 43-54; I.A. Mallory, *Conduct Unbecoming: The Collapse of the International Tin Agreement*, *AJILP* 5 (1990), 835-92; C.F. Amerasinghe, *Liability to Third Parties of Member States of International Organizations: Practice, Principle and Judicial Precedent*, *AJIL* 85 (1991), 259-80; M. Hirsch, *The Responsibility of International Organizations Toward Third Parties. Some Basic Principles*, 1995.

²³ H.J. Hahn, *International Organizations. Succession*, *EPIL* II (1995), 1340-3; O.M. Ribbenlink, *Opmling van Internationale organisaties van Volkenbond - Vereingde Naties tot ALALC-ALADI*, 1988; P. Myers, *Succession Between International Organizations*, 1993. სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ იხ. თ. 11.

²⁴ იხ. თ. 21.

²⁵ იხ. თ. 21.

²⁶ სხვადასხვა ორგანიზაციების შესახებ იხ. *EPIL* and Wolfram *UNLPP*.

²⁷ იხ. თ. 15.

²⁸ იხ. თ. 13.

²⁹ იხ. თ. 22.

³⁰ P.v. Dijk, *Regional Cooperation and Organization: Western Europe*, *EPIL* 6 (1983), 330-6; F.V. Garcia-Amdor, *American States*, *ibid.*, 308-14; E.G. Bello, *African States*, *ibid.*, 301-8; R. Khan, *Asian States*, *ibid.*, 314-9; I.A. Shearer, *Pacific Region*, *ibid.*, 319-24.

³¹ იხ. ქვემოთ.

³² A.H. Robertson, *Council of Europe*, *EPIL* 1 (1992), 843-50. იხ. აგრეთვე, J.-F. Flauss, *Les Conditions d'admission des pays d'Europe centrale et orientale au sein du Conseil de l'Europe*, *EJIL* 5 (1994), 401-22; R. Bernhardt *et al.*, *Report on the Conformity of the Legal Order of the Russian Federation with Council of Europe Standards*, *HBL* 15 (1994), 249-300; *Russia Joins the Council of Europe*, *ILM* 35 (1996).

808, ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენციის შესახებ ნ. თ. 14.

³⁵ A. Bloed (ed.), *The Conference on Security and Cooperation in Europe: Analysis and Basic Documents, 1972-1993*, 2nd edn 1993; D. McGoldrick, *The Development of the CSCE after the 1992 Conference*. ICLQ 42 (1993), 411 et seq.; A. Bloed (ed.), *The Challenges of Change: The Helsinki Summit of the CSCE and its Aftermath*, 1994; J. Borawski, *The Budapest Summit Meeting, HM 6/1* (1995), 5-17; W. Hoyneck, *From the CSCE to the OSCE. The Challenges of Building New Stability*, H 163, (1995), 11-22; M. Oswald, *Potentialities for the CSCE in the Changing International System*, AJIL 49 (1995), 361-78. ნ. აგრეთვე, თ. 3.

³⁶ B. Meissner, *Regional Cooperation and Organization: Socialist States*, EPIL 6 (1983), 324-30.

³⁷ ILM 31 (1992), 138.

³⁸ Alma-Ata Declaration and Protocol, ILM 31 (1992), 147. ნ. M.R. Lucas, *Russia and the Commonwealth of Independent States: The Role of the CSCE*, HMS 4 (1994), 5-3; S.A. Voitovich, *The Commonwealth of Independent States: An Emerging Institutional Model*, EJIL 3 (1993), 403-17.

³⁹ Commonwealth of Independent States Charter, ILM 34 (1995), 1279. ნ. აგრეთვე, *the Council of Heads of States Decisions on Settlement of Conflicts, Peacekeeping Forces and Military Training of 19 January 1996*, ILM 35 (1996), 783.

⁴⁰ FAZ of 3 April 1996, 1.3. *The Treaty on the Formation of the Community of Belarus and Russia* is reprinted in ILM 35 (1996), 1190.

⁴¹ ამ ორგანიზაციების შესახებ ნ. EPIL. ბრიტანეთის თანამეგობრობის შესახებ ნ. აგრეთვე, თ. 2.

⁴² L.S. Kaplan, *NATO and the United States: The Enduring Alliance*, 1994; W. Goldstein (ed.), *Security in Europe: Role of NATO after the Cold War*, 1994; P. Williams, *North Atlantic Treaty Organization*, 1994. M. Rühle/N. Williams, *NATO Enlargement and the European Union*, *The World Today* 51 (1995), 84-8. ნ. აგრეთვე, A. Bloed (ed.), *The Changing Functions of the Western European Union (WEU)*, 1994.

⁴³ R. Wolfrum, *International Organizations. Financing and Budgeting*, EPIL 11 (1995), 1284-9.

⁴⁴ F. Capotorti, *Supranational Organizations*, EPIL 5 (1983), 262-9.

აღარ არსებობს.⁴⁵ დსთ-ს შემდგომ 8 წევრი დაემატა (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მას მხოლოდ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო არ შეუერთდნენ⁴⁶ (საქართველო დსთ-ს წევრი გახდა 1993 წლის სექტემბერში – რედ. შენ.). 1993 წელს დსთ-ს 7-მა წევრმა ხელი მოაწერა დსთ-ს წესდებას, რომელიც მოგვიანებით რატიფიცირებულ იქნა კიდევ ხუთი სახელმწიფოს მიერ (ამჟამად იგი ძალაშია ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გარდა).⁴⁷ 1996 წლის აპრილში რუსეთმა, ბელორუსიამ, ყაზახეთმა და ყირგიზეთმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც „ინტეგრირებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ შექმნის სურვილი გამოაცხადეს. რუსეთმა და ბელორუსიამ დადეს ხელშეკრულება, რომლითაც ჩამოაყალიბეს „სუვერენულ რესპუბლიკათა თანამეგობრობა“.⁴⁸

მსოფლიოს სხვა ძირითადი პოლიტიკური რეგიონალური ორგანიზაციები: ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია და არაბულ სახელმწიფოთა ლიგა. ისლამურმა ქვეყნებმაც ჩამოაყალიბეს თავიანთი ორგანიზაციები ისლამის კონფერენციაზე 1973 წელს, ხოლო სპარსეთის ყურეში არაბეთის ნავთობმწარმოებელმა სახელმწიფოებმა ირან-ერაყის ომის შემდეგ გადაწყვიტეს, შეექმნათ სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო, რომელიც ირანის ისლამურ რესპუბლიკას დაუპირისპირდებოდა. ბრიტანეთის თანამეგობრობა, რომელსაც ადრე ბრიტანეთის იმპერია ერქვა, მრავალფეროვანი ფუნქციონალური თანამშრომლობის მრავალ უნიკალურ მაგალითს გვთავაზობს. მათ შორისაა, მაგალითად, თანამეგობრობის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი, რომელსაც ორგანიზაციული ან კონსტიტუციური სტრუქტურა არა აქვს, და თანამეგობრობის სამდივნო, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქციები არ გააჩნია.⁴⁹

ასეთი რეგიონალური პოლიტიკური ორგანიზაციები ხშირად თანამშრომლობენ სხვადასხვა დონის თავდაცვით ალიანსებთან, როგორცაა ნატო, ამჟამად დაშლილი ვარშავის ბლოკი და დასავლეთ ევროპის კავშირი, აგრეთვე, ახლახანს ვადაგასული CENTO პაქტი. ისინი ცივი ომის შვილები იყვნენ და ახლა დაკარგეს ადრინდელი მნიშვნელობა ისეთ ორგანიზაციებთან შედარებით, რომლებიც სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს ისახავენ მიზნად. ნატო ამჟამად რეკონსტრუქციის პროცესშია. რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ის აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს იერთებს, რაც ამ სახელმწიფოების ევროკავშირში განევრიანების საკითხს უკავშირდება.⁴⁰

საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობა ტრადიციული ტიპისაა. ეს ნიშნავს, რომ ისინი ძირითადად დაფუძნებული არიან სახელმწიფოთა სამთავრობათშორისო თანამშრომლობაზე, რომლებიც ინარჩუნებენ კონტროლს ორგანიზაციის ფინანსებსა და გადაწყვეტილების მიღებაზე.⁴¹ წევრ სახელმწიფოთა მაღალი დონის ინტეგრაციის საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციების ახალი ტიპის აღსანიშნავად გაჩნდა ტერმინი „ზენაციონალური ორგანიზაცია“.⁴² ზენაციონალური ორგანიზაციებისა და ტრადიციული ფორმის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების განმასხვავებელი კრიტერიუმების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სუვერენიტეტის გადასვლა ზენაციონალური ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოდან საერთაშორისო დონეზე უფრო ბევრის მომცველია ამ ორგანიზაციაში დელეგირებული უფლებების ხასიათიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, და შემდეგი ელემენტების ერთიანობით ხასიათდება:

1. ორგანიზაციების ორგანოები დაკომპლექტებულია ისეთი პირებით, რომლებიც არ არიან მთავრობის წარმომადგენლები;

2. ორგანოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობით;⁴³
3. მათ აქვთ იურიდიულად სავალდებულო აქტების მიღების უფლება;
4. ზოგიერთ აქტს პირდაპირი იურიდიული ძალა აქვს ფიზიკურ პირებსა და კომპანიებთან მიმართებაში;
5. ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება და მისი ორგანოების მიერ მიღებული ზომები ახალ სამართლებრივ წესრიგს ქმნის;
6. სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ორგანიზაციის ორგანოების მიერ მიღებული აქტების კანონიერება დამოუკიდებელი სასამართლოს მხრიდან გადასინჯვას ექვემდებარება.⁴⁴

ერთადერთი მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამჟამად ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, ევროგაერთიანებაა, ან, როგორც მას მაასტრიხტის ხელშეკრულების დადების შემდეგ უწოდებენ, „ევროკავშირი“ (ეს ტერმინი ბუნდოვანი გახდა მაასტრიხტის შემდეგ. ტერმინით „ევროპის გაერთიანება“ დღეს მხოლოდ ყოფილი ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და მისი ხელშეკრულება აღინიშნება).⁴⁵ გაერთიანების ორგანოებს, განსაკუთრებით ევროპის გაერთიანების ორგანოებს, წევრ ქვეყნებზე, ფიზიკურ პირებსა და კომპანიებზე უშუალო ზემოქმედების დიდი (და მზარდი) უფლებები აქვთ. ევროპის გაერთიანების დამფუძნებელმა ხელშეკრულებამ და გაერთიანების ორგანოთა მიერ შექმნილმა „მეორადმა“ სამართალმა ამ ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნეს დამოუკიდებელი სამართლებრივი წესრიგი, რომელიც ამიერიდან ვერ განეკუთვნება ზოგადი საერთაშორისო სამართლის კატეგორიებს. ევროპის გაერთიანების სამართალს აბსოლუტური უპირატესობა აქვს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონებთან შედარებით. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მეტ-ნაკლებად სამთავრობათშორისო თანამშრომლობაზე არიან დამოკიდებული, როდესაც სახელმწიფოები ინარჩუნებენ ორგანიზაციებზე კონტროლის უფლებას და არ ემორჩილებიან დამოუკიდებელ ორგანოთა გადაწყვეტილებებს. ფაქტობრივად, „ზენაციონალური ორგანიზაციის“ კრიტერიუმად აღებულია ევროპის გაერთიანების მაგალითი, რომელიც ხშირად აღინიშნება, როგორც *sui generis* (უნიკალური) ერთეული სახელმწიფოთა მიერ შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციების თანამედროვე სტრუქტურაში.⁴⁶

საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო სპექტრმა გამოიწვია დუბლირება სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. გაჩნდა კოორდინაციის, ხარჯებისა და ეფექტურობის პრობლემები. მიუხედავად ამისა, უეჭველია, რომ საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის შემდგომი განვითარება არა მხოლოდ სახელმწიფოთა აქტივობაზე იქნება დამოკიდებული, არამედ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებზეც, რომლებიც ამ სახელმწიფოებმა შექმნეს, რათა დაეძლიათ ეროვნული მთავრობების მიერ საერთაშორისო პრობლემების ეფექტურად მოგვარების უუნარობა.⁴⁷ ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი ისაა, რომ ადმინისტრაციები და ბიუროკრატები, მათ შორის საერთაშორისო ხასიათისა, შექმნისთანავე ცდილობენ თავიანთი ინტერესების ცხოვრებაში გატარებას. საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო სამართალშემოქმედებაში მე-3 თავში განვიხილეთ.⁴⁸

⁴³ H.G. Schermers, *Voting Rules in International Conferences and Organizations*, *EPIL* 5 (1983), 395-8; K. Zeinane, *Majority Rule and Consensus Technique in Law-Making Diplomacy*, in R.S.J. Macdonald/D.M. Johnston (eds), *The Structure and Process of International Law*, 1983, 875-88.

⁴⁴ H.G. Schermers, *International Organizations. Legal Remedies against Acts of Organs*, *EPIL* II (1995), 1318-20.

⁴⁵ Text of the Treaty on European Union and Final Act in ILM 31 (1992), 247; ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს, ILM 32 (1993), 1693. იხ. R.B. Lake (ed.), *European Union Law After Maastricht*, 1996; J.A. Winter et al. (eds), *Reforming the Treaty on European Union*, 1996. დამატებითი ლიტერატურისთვის იხ. თ. 1.

⁴⁶ L. Hancker, *Constitutionalism. the Community Court and International Law*, *NYLJ* 25 (1994), 259-98; B. de Witte, *Rules of Change in International Law: How Special is the European Community?*, *ibid.*, 299-336.

⁴⁷ G. Guillaume, *The Future of International Organizations*, 1995.

⁴⁸ იხ. თ. 3.

არასამთავრობო ორგანიზაციები

დღეს საინფორმაციო გამოშვებებში ხშირადაა საუბარი ისეთი კერძო საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ, როგორებიცაა „საერთაშორისო

⁴⁹ იბ. J.S. Ignarski, Amnesty International. EPIL I (1992), 151-3; P.R. Buehr. Amnesty International and Its Self-imposed Limited Mandate, *NQHR* 12(1994), 5 et seq.

⁵⁰ H. H.-K. Rechenberg. Non-Governmental Organizations. *EPIL* 9(1986), 276-82; Y. Beigbeder. *Le Role international des organisations à gouvernements*, 1992; C. Ritchie. *The Relation Between the State and NGOs*, *ÖA* 46(1994), 210; E. Hufner, Non-Governmental Organizations, in *Wolfgram UNLPPH*, 927-35; L. Gordenkerff. Weiss (eds), *NGOs, the UN, and Global Governance*, 1996; P. Willetts (ed.), *"The Conscience of the World". The Influence of Non-Governmental Organizations in the UN System*, 1996.

⁵¹ იბ. ქვემოთ.

⁵² H. Thoolen/B. Verstappen, *Human Rights Missions: A Study of the Fact-Finding Practice of Non-Governmental Organizations*, 1986; T.v. Boven, *The Role of Non-Governmental Organizations in International Human Rights Standard-Setting: A Prerequisite of Democracy*, *CWILJ* 20 (1989), 207-25; P.H. Kooijmans, *The Non-Governmental Organizations and the Monitoring Activities of the United Nations in the Field of Human Rights*, in *The Role of Non-Governmental Organizations in the Protection of Human Rights*, *Symposium International Commission of Jurists*, 1990, 15-22; H.J. Steiner. *Diverse Partners: Non-Governmental Organizations in the Human Rights Movement*, 1991; C.E. Welch. *Protecting Human Rights in Africa - Strategies and Roles of Non-Governmental Organizations*, 1995. ადამიანის უფლებების შესახებ იბ. თ. 14.

⁵³ Agenda 21. Chapter 27.5: *Strengthening the Role of Non-Governmental Organizations; Partners for Sustainable Development*. Agenda 21-ისა და რობს კონფერენციის შედეგების შესახებ იბ. თ. 16.

⁵⁴ H.G. Schermers, *International Organizations, Observer Status*, *EPIL* II (1995), 1324-5; B. Bartram/D.P. Lopez, *Observer Status*, in *Wolfgram UNLPPH*, 936-46.

ამნისტია“,⁴⁹ გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია `Greenpeace~ და „ექიმები საზღვრების გარეშე“ (MSF). ეს ორგანიზაციები მიეკუთვნებიან ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს (NGO), რადგან ისინი არ დაფუძნებულა მთავრობებს ან სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმებებით და მათი წევრები კერძო მოქალაქეები ან კორპორაციები არიან.⁵⁰ საერთაშორისო ორგანიზაციები მრავლად შეიქმნა გასული ათი წლის განმავლობაში და საკმაოდ განსხვავებული სფეროები მოიცავს – პოლიტიკური, სამართლებრივი, სასამართლო, სოციალური და ეკონომიკური სფეროები, ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული დახმარება, განათლება, ქალები, გარემო და სპორტი. საერთაშორისო ბიზნესის სფეროშიც მრავალი მნიშვნელოვანი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს, რომელიც შექმნილია კონკრეტული სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით. ასეთი ორგანიზაციებია, მაგალითად, პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC), საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია (IATA), პროფკავშირებისა და დამქირავებელთა საერთაშორისო ფედერაციები. გარკვეული თვალსაზრისით, მრავალეროვნული კომპანიებიც შეიძლება მივიჩნიოთ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებად, მაგრამ ვინაიდან ისინი ძირითადად მოგებაზე არიან ორიენტირებულნი და საერთაშორისო ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, მათი ერთობლიობა განსხვავებულ სფეროს ქმნის, რომელსაც ქვემოთ ცალკე შევხებით.⁵¹

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში ძირითადად არაფორმალურია. დამატებითი ექსპერტიზითა და პროცედურებისთვის მეტი გამჭვირვალობის მინიჭების გზით ეს ორგანიზაციები გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო კანონშემოქმედებაზე, და კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ნორმების შესრულების ზედამხედველობისა და მათი დარღვევის ფაქტების მოძიების საქმეში, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებების სფეროში.⁵² მაგალითად, 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულ გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაში (UNCED), რომელსაც 170 ქვეყანა და 103 მთავრობის ხელმძღვანელი ესწრებოდა, 2000 არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობდა, ხოლო ე.წ. „მსოფლიო ფორუმზე“ ამ ორგანიზაციებმა 30-ზე მეტი ხელშეკრულება დადეს, რომელთა მიზანიც მთავრობებზე ზემოქმედება იყო. ამ ორგანიზაციების „პარტნიორული როლი“ Agenda 21-ში⁵³ აღიარეს და, მოგვიანებით, მათ გაეროს განვითარების მხარდამჭერ ახალ კომისიაში მუშაობის უფლება მიეცათ. თუმცა ამ კომისიის საქმიანობაში მონაწილეობისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები ჯერ მკაფიოდ დადგენილი არ არის.

ფორმალურად, გლობალურ დონეზე არ არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებასა და წესდებასთან დაკავშირებით. არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ძირითადია იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც ორგანიზაცია იქმნება. ეს კი პრობლემებს ქმნის საერთაშორისო საქმიანობისას, რადგან სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული სამართალი განსხვავებულია. სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ შეთანხმება არასამთავრობო ორგანიზაციის საკონსულტაციო და დამკვირვებლის სტატუსისა⁵⁴ (ასეთი გამონაკლისი შემთხვევა მოხდა 1991 წელს, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა წითელი ჯვრის ორგანიზაციას) და, აქედან გამომდინარე, მუშაობის საერთაშორისო სტატუსის მინიჭების შესახებ. მაგრამ, ამის მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მაინც ვერ გახდება. გაეროს წესდების 71-ე მუხლის შესაბამისად, გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOC) მიიღო რამდენიმე რეზოლუცია, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსულტაციებს

შეეხებოდა. საერთაშორისო საქმეებში მათი როლის აღიარებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1994 წელს დაახლოებით 1000 არასამთავრობო ორგანიზაციას მიენიჭა საკონსულტაციო სტატუსი, მაშინ, როცა 1948 წელს ასეთი სტატუსი მხოლოდ 41-ს ჰქონდა.⁵⁵

ამ საუკუნის დასაწყისიდან ისეთი ორგანოები, როგორცაა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი (რომელიც თვითონ არასამთავრობო ორგანიზაციაა),⁵⁶ ცდილობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციათა საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ ეს უშედეგო აღმოჩნდა სუვერენიტეტის დოქტრინის გამო. მიუხედავად ამისა, რეგიონალურ დონეზე, ევროპის საბჭოს სტრუქტურის ფარგლებში, შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსი, რომელიც განისაზღვრა კონვენციაში „არასამთავრობო ორგანიზაციების სამართალსუბიექტობის აღიარების შესახებ“.⁵⁷ კონვენცია, რომელსაც 1986 წელს მოაწერეს ხელი და რომელიც ძალაშია 1991 წლიდან, მის წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციების სამართალსუბიექტობასა და სათანადო უფლებამოვალეობებს აღიარებს.

არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა ყოველთვის უპრობლემო როდია. 1995 წელს გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Greenpeace-მა წამოიწყო ბრძოლა კომპანია Shell-ის წინააღმდეგ, რათა ხელი შეეშალა ჩრდილო ატლანტიკაში ნავთობის პლატფორმის („Brent-Spar“) ჩაძირვისათვის, იმის მიუხედავად, რომ Shell-ს ამის უფლება ბრიტანეთის მთავრობისგან ჰქონდა მიღებული. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ეფექტური სატელევიზიო გადაცემებით Greenpeace-მა დაარწმუნა მომხმარებლები (მაგალითად, გერმანია), ბოიკოტი გამოეცხადებინათ Shell-ის პროდუქციისთვის. კომპანია Shell-მა დათმო პოზიცია (ბრიტანეთის მთავრობის სამარცხვინოდ). თუმცა ტექნიკური ექსპერტიზის მონაცემები ირწმუნებოდნენ, რომ პლატფორმის ჩაძირვა ეკონომიკურად გამართლებულიც იყო და გარემოს დაცვის თვალსაზრისით დასაშვებაც (მოგვიანებით Greenpeace-მა ბოდიში მოუხადა Shell-ს მის საწინააღმდეგო კამპანიაში ცრუ ინფორმაციის გამოყენებისათვის). ცოტა ხნის შემდეგ გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ წამოიწყო მეორე ეფექტური კამპანია ფრანგების მიერ წყნარ ოკეანეში ატომური იარაღის გამოცდის განახლების წინააღმდეგ. ამას წინ უსწრებდა 10 წლის წინანდელი Rainbow Warrior-ის საქმის პრეცედენტი, როცა პირველად ისტორიაში სუვერენული სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაცია საქმის საარბიტრაჟო სასამართლოში გადაცემაზე შეთანხმდნენ.

ხომალდ რეინბოუ უორიორის საქმე (Rainbow Warrior case) შემდეგში მდგომარეობდა: მრავალი წლის განმავლობაში საფრანგეთი აწარმოებდა ატომური იარაღის მინისქვეშა გამოცდას ფრანგული პოლინეზიის კუნძულ მოროროაზე. ქვეყანა ირწმუნებოდა, რომ ეს გამოცდა რეალურ გავლენას არ ახდენდა გარემოზე.⁵⁸ Greenpeace-ი 15 წელზე მეტხანს ატარებდა ამ გამოცდების საწინააღმდეგო კამპანიას. საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების წინააღმდეგობის მიუხედავად, Greenpeace-ი ცდილობდა გაეგზავნა გემები მოროროას მოსაზღვრე წყლებში, სადაც ნავიგაცია აკრძალული იყო ფრანგების მიერ 1975-1982 წლებში. 1985 წელს ორგანიზაციამ კვლავ სცადა რამდენიმე გემის გაგზავნა ატომური იარაღის გამოცდის ადგილის მახლობლად. ამ გემებს შორის იყო ბრიტანეთში რეგისტრირებული გემი „რეინბოუ უორიორი“. 1985 წლის 10 ივლისს საფრანგეთის სამხედრო უშიშროების სამსახურის საიდუმლო ოპერაციის შედეგად ეს გემი ორი აფეთქებით ჩაძირეს ახალი ზელანდიის ოკლენდის ნავსადგურში, რასაც ეკიპაჟის წევრის სიკვდილი მოჰყვა.⁵⁹ ახალ ზელანდიაში დაჭერილ ორ ფრანგ აგენტს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს გაუფრთხილებელი მკვლევლობისათვის და შვიდი წელი ზარალის განზრახ მიყენებისთვის. საფრანგეთის მთავრობამ არ ისურვა,

⁵⁵ P. Macalister-Smith, Non-Governmental Organizations, Humanitarian Action and Human Rights, in *FS Bernhardt*, 477-501, at 485; იხ. აგრეთვე, The United Nations Partnership with the Non-Governmental Sector (ECOSOC, UNESCO, UNICEF, GATT), *ØÅ* 46 (1994), 214; L.A. Kimball, *General Developments, YIEL* 5 (1994), 135-6 ECOSOC-ის შესახებ იხ. თ. 21.

⁵⁶ იხ. თ. 3.

⁵⁷ ETS.no. 124.

⁵⁸ იხ. აგრეთვე, თ. 20 ატომური იარაღის გამოცდასთან დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლოში აღძრული საქმეების შესახებ.

⁵⁹ იხ. M. Pugh, *Legal Aspects of the Rainbow Warrior Affair, ICLQ* 36 (1987), 655.

⁶⁰ იხ. აგრეთვე, თ. 7.

⁶¹ *Rainbow Warrior (New Zealand v. France) Case, IJR 74 (1987), 241; United Nations Secretary-General: Ruling Pertaining to the Differences between France and New Zealand arising from the Rainbow Warrior Affair, ibid., 256; ILM 26 (1987), 1346.*

⁶² არბიტრაჟის შესახებ იხ. თ. 18.

⁶³ *Rainbow Warrior Arbitration, IJR82 (1990), 499-90.* საარბიტრაჟო სასამართლოში შედიოდნენ ხ. დე არეზაგა, სერ კ. კითი და პროფესორი ჯ. დ. ბრედინი. იხ. J.S. Davidson, *The Rainbow Warrior Arbitration Concerning the Treatment of the French Agents Mafart and Prieur, ICLQ 40 (1991), 446 et seq.*

⁶⁴ *Greenpeace Press Release, Lewes, UK, 2 October 1987.*

ახალი ზელანდიისთვის გადაეცა საქმეში მონაწილე სხვა ოფიცრები და დაინ-
ყო მოლაპარაკება სამხედრო სამსახურის ბრძანებით მოქმედი ორი აგენ-
ტის განთავისუფლებისა და საფრანგეთში დაბრუნების თაობაზე.⁶⁰

ახალმა ზელანდიამ 1986 წლის მაისში შეწყვიტა მოლაპარაკებები. საფ-
რანგეთმა ეკონომიკური სანქციები დაანესა ახალი ზელანდიიდან ევროპაში
საქონლის ექსპორტის შეფერხების მიზნით. 1986 წლის ივნისში ორივე სა-
ხელმწიფო ყველა სადავო საკითხის გაეროს გენერალური მდივნისათვის
გადაცემაზე შეთანხმდა. პერეს დე კუელიარმა საკმაოდ სწრაფად, 1986 წლის
ივლისში მიიღო გადაწყვეტილება.⁶¹ საფრანგეთს დაევალა ახალი ზელანდიი-
სათვის ბოდიშის მოხდა საერთაშორისო სამართლის სანინალმდეგო აქტი-
სათვის, კომპენსაციის სახით 7 მილიონი აშშ დოლარის გადახდა (ახალი ზე-
ლანდია 9 მილიონ დოლარს ითხოვდა, საფრანგეთი კი მას 4 მილიონ დოლარს
სთავაზობდა) და ევროგაერთიანების ქვეყნებში ახალი ზელანდიის ექსპორტ-
ზე დაწესებული სანქციების შეწყვეტა. ახალ ზელანდიას კი დაკავებული
აგენტების საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებისათვის გადაცემა დაე-
ვალა. ეს აგენტები სამი წლის განმავლობაში უნდა ჰყოლოდათ საფრანგეთის
პოლინეზიის კუნძულ ჰაოზე მდებარე სამხედრო საპყრობილეში. მათ ეკრძა-
ლებოდათ კუნძულის დატოვება „ნებისმიერი მიზეზით, თუ ეს ორ სახელმ-
წიფოს შორის მოლაპარაკებით არ იყო განსაზღვრული“. დაბოლოს, გენერა-
ლურმა მდივანმა მხარეებს ამ საქმესთან დაკავშირებული სხვა სადავო სა-
კითხების საარბიტრაჟო სასამართლოში გადაწყვეტა დაავალა.⁶²

ორ მეგობარ სახელმწიფოს შორის წამოჭრილი ამ ყველაზე თვალსაჩინო
დავის გადაჭრისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებს თავდაპირველად ორივე
სახელმწიფოს მთავრობები დაემორჩილნენ, მაგრამ 1987 წლის ბოლოს და,
მოგვიანებით, 1988 წლის დასაწყისში საფრანგეთმა, მეორე მხარესთან
შეთანხმების გარეშე, ორივე აგენტს სამედიცინო მიზეზებით კუნძულ ჰაოდან
საფრანგეთში დაბრუნების უფლება მისცა. ეს 1990 წლის 30 აპრილს საარ-
ბიტრაჟო ტრიბუნალისთვის საქმის გადაცემის მიზეზი გახდა.⁶³ ტრიბუნალმა
ერთმანეთისაგან განასხვაა აგენტთა რეპატრიაციის ორი შემთხვევა. პირველ
შემთხვევაში, 1987 წლის 13 დეკემბერს აგენტების რეპატრიაციისათვის
საფრანგეთი ახალი ზელანდიის წინაშე მოვალეობების დარღვევაში დამ-
ნაშავედ არ ცნეს. მაგრამ ეს ქვეყანა დამნაშავედ ცნეს 1988 წლის 12 თებერ-
ვალს გაცემული ბრძანების გამო, რომლითაც აგენტებს კუნძულ ჰაოდან
დაბრუნების ნება დაერთო. მეორე შემთხვევის გამო საფრანგეთს პასუხის-
მგებლობა დაეკისრა. მას 1988 წლის 5 და 6 მაისს აგენტების დაბრუნებისათვის
ახალი ზელანდიის თანხმობის მოპოვება უნდა ეცადა. ტრიბუნალმა, ბიბლიური
მეფე სოლომონის მსგავსად, ასეთი რეკომენდაცია მისცა ორივე მთავრობას
– მათ უნდა შეექმნათ ფონდი ორივე სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის
მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით, რისთვისაც საფრან-
გეთს 2 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა.

რაც შეეხება კერძო პრეტენზიებს, 1985 წლის ნოემბერში საფრანგეთმა
მიალნია შეთანხმებას ეკიპაჟის დაღუპული წევრის ოჯახთან – მოუხადა ბო-
დიში, გადაუხადა კომპენსაცია 2,3 მილიონი ფრანკის ოდენობით და სადაზლ-
ვევო თანხა. 1985 წლის დეკემბერში საფრანგეთმა იურიდიული უფლება მისცა
გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Greenpeace-ს და ორივე მხა-
რემ გადაწყვიტა, დაეწყოს ზარალზე მოლაპარაკება. მხარეებმა საბოლოო
შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და 1986 წლის 10 ივლისს საქმე სამი არბიტრისგან
შემდგარ ტრიბუნალს გადაეცა. 1987 წლის 2 ოქტომბერს ტრიბუნალმა საფ-
რანგეთს დაავალა გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის 8
159 000 აშშ დოლარის გადახდა მიყენებული ზარალისათვის (5 მილიონი
დოლარი გემის დაკარგვისა და 1,2 მილიონი აშშ დოლარი დანარჩენი ზარალი-
სათვის).⁶⁴

არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მათი უმრავლესობა მსოფლიოს ინდუსტრიულ ნაწილშია დაფუძნებული და თან ძირითადად რამდენიმე ქვეყანაშია კონცენტრირებული (დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში და აშშ-ში). ეს კი გეოგრაფიულ დისბალანსზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები დემოკრატიულია და ასოციაციების თავისუფლების გარანტიას იძლევიან, არასამთავრობო ორგანიზაციებს ხანდახან მთავრობები იყენებენ (და ხშირად არასწორადაც) საერთაშორისო საქმეებში, *inter alia*, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად სამთავრობათშორისო ორგანიზაციებთან სავალდებულო თანამშრომლობის თავსმოხვევის გზით.

წარმოიშვა საკითხი, მართლა სასურველია თუ არა, რომ ტერიტორიის არმქონე ერთეულებმა მოიპოვონ უნივერსალურ დონეზე ფორმალური საერთაშორისო სტატუსი, რამაც შეიძლება მათ სიძლიერეს ძირი გამოუთხაროს მომავალში. ხომ არ აჯობებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააგრძელონ მოქმედება თავის დამოუკიდებლობაზე დაყრდნობით, როგორც სოციალურმა ხიდიმ სახელმწიფო-დომინანტურ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემასა და ფიზიკურ პირებს შორის.⁶⁵ დღეს საყოველთაოა აღიარებული არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსტრუქციული როლი, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა დაცვის, ინფორმაციის, ანალიზისა და სახალხო მხარდაჭერის უზრუნველყოფის სფეროში, აგრეთვე მათი აქტიური მონაწილეობა ჰუმანიტარულ ოპერაციებსა და განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევის საქმეში. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ახლო მომავალში კანონმდებლობით პროცესში ჩაერთვებიან. როგორც ერთმა თანამედროვე მწერალმა აღნიშნა, „ეს ალბათ არასასურველი იქნება, რადგან ისინი არ არიან დემოკრატიულად აღჭურვილი უფლებით საზოგადო სიკეთის გასააზრებლად, და ხშირად უარყოფენ საერთო კეთილდღეობას თავიანთი განსაკუთრებული ინტერესების შესრულებისას“.⁶⁶

ფიზიკური პირები და კომპანიები

მე-17 საუკუნეში, როცა ყველა კანონი ბუნების კანონებისაგან წარმოშობილად მიაჩნდათ,⁶⁷ არ არსებობდა მკვეთრი ზღვარი საერთაშორისო და მუნიციპალურ სამართალს შორის.⁶⁸ ამიტომ ადვილი იყო იმის დაშვება, რომ ადამიანს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული სამართალსუბიექტობა ჰქონდა.⁶⁹ მაგრამ მე-19 საუკუნეში, როცა პოზიტივიზმი წამყვან ფილოსოფიად იქცა, მხოლოდ სახელმწიფოები ითვლებოდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად.

დღეს უკვე იგრძნობა იმის აღიარების მზარდი ტენდენცია, რომ ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს⁷⁰ გარკვეული ხარისხის საერთაშორისო სამართალსუბიექტობა აქვთ, მაგრამ ეს საკითხი მთლიანობაში ჯერ კიდევ წინააღმდეგობებით სავსეა. საბჭოთა იურისტები ამტკიცებდნენ, რომ ფიზიკურ პირს შეიძლება ბრალი დაედოს საერთაშორისო სამართლის დანაშაულის ჩადენაში (მაგალითად, ომის დანაშაულები),⁷¹ მაგრამ, ჩვეულებრივ, უარყოფდნენ ფიზიკური პირებისა და კომპანიების საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ უფლებებს. დასავლეთის ქვეყნებში მეცნიერები და მთავრობები, ჩვეულებრივ, მზად არიან აღიარონ, რომ ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს გარკვეული დონის საერთაშორისო სამართალსუბიექტობა აქვთ, მაგრამ ეს სამართალსუბიექტობა საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალსუბიექტობასთან შედარებით შეზღუდულია. მაგალითად, ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს შეიძლება ჰქონდეთ სპეციალური ხელშეკრულებით განსაზღვრული მრავალგვარი უფლება, მაგრამ არაფერ თვლის, რომ მათ, სახელმწიფოების

⁶⁵ ამ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების შესახებ იხ. Macalister-Smith (1995), *op. cit.*, at 500-1.

⁶⁶ M. Brus, Third Party Dispute Settlement in an Interdependent World, 1995., 202. თუმცა იხ. O. Shelton, Participation of Nongovernmental Organizations in International Judicial Proceedings, *AJIL* 88(1994), 611.

⁶⁷ იხ. თ. 2.

⁶⁸ იხ. თ. 4.

⁶⁹ C.A. Norgaard, The Position of the individual in *International Law*, 1962; R.A. Mullerson, Human Rights and the Individual as a Subject of International Law, *EJIL* 1(1990), 33-43; K.J. Partsch, Individuals in International Law, *EPIL* 11(1995), 957-62; P.K. Menon, The Legal Personality of Individuals, *Sri Lanka JIL* 6(1994), 127-56;

⁷⁰ O. Kokkini-Iatridou/P.J.J.M. de Waut, Foreign Investments in Developing Countries - Legal Personality of Multinationals in International Law, *NYLJ* 14(1983), 87-131; P. Fisher, Transnational Enterprises, *EPIL* 8(1985), 515-19; A.A. Fatouros, National Legal Persons in International Law, *EPIL* 10(1987), 299-306; I. Seidl-Hohenveldern, Corporations in and under international Law, 1987; United Nations Centre on Transnational Corporations, *Transnational Corporations in World Development: Trends and Prospects*, 1988; P. Mercier, *Les Entreprises multinationales en droit international*, 1993; R. Higgins, International Law and Foreign Corporations, in *New Diplomacy in the Post Cold War World: Essays for Susan Strange*, 1993; D.W. Bachmann, *Transnational Corporations*, in *Woifrum UNLPII*, 1239-47; P.T. Muchlinski, *Multinational Enterprises and the Law*, 1995.

⁷¹ იხ. თ. 20.

⁷² იხ. თ. 14.

⁷³ ამ შეზღუდვის სანი-
ნალმდგომოსაზრებები
იხ. E. Lauterpacht, *Aspects of
the Administration of Interna-
tional Justice*, 1991. იხ. ავ-
რეთვე, თ. 18.

⁷⁴ იხ. თ. 18.

⁷⁵ იხ. თ. 18.

⁷⁶ იხ. თ. 22.

⁷⁷ იხ. თ. 18.

⁷⁸ ტექსტი ILM 27 (1988),
281. იხ. თ. 15 და თ. 18.

⁷⁹ მაგალითად, ინვეს-
ტიციებთან, დემპინგის
წინააღმდეგ ბრძოლას-
თან და კომპენსაციებთან
დაკავშირებულ დავებში
(Article 1904 FTA). იხ. J.
G.Castel, *The Settlement of
Disputes under the 1988
Canada-United States Free
Trade Agreement*, *AJIL* 83
(1989), 118-28.

⁸⁰ იხ. თ. 15. და თ. 18.

მსგავსად, ტერიტორიების მოპოვება, ელჩების დანიშვნა და ომის გამოცხა-
დება შეუძლიათ. ზოგადად, ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების
შემთხვევაში, უაზროა სამართალსუბიექტობა მივიჩნიოთ აბსოლუტურ კონ-
ცეფციად. ის კონკრეტულ უფლება-მოვალეობებად უნდა დაიყოს.

საკმაოდ ბევრი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა არსებობს ფიზი-
კური პირებისა და კომპანიების სასარგებლოდ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ
ეს ნორმები განსაზღვრავს მათ უფლებებს, ისევე, როგორც ცხოველებისადმი
სასტიკი მოპყრობის ამკრძალავი მუნიციპალური სამართალი ცხოველებს
უფლებებს არ ანიჭებს. საჭიროა ხელშეკრულების ყურადღებით წაკითხვა
იმის გასარკვევად, უფლებები პირდაპირ საერთაშორისო სამართალითაა
განსაზღვრული, თუ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდე-
ბულნი არიან მუნიციპალური სამართალით განსაზღვრული უფლებები
მიანიჭონ კონკრეტულ ფიზიკურ პირებსა თუ კომპანიებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმები (რომელთაც მე-14
თავში განვიხილავთ⁷²) კარგი მაგალითია იმისა, თუ რა ძნელია გაარკვიო, ანიჭებს
თუ არა საერთაშორისო სამართალი უფლებებს ფიზიკურ პირებს, თუ ისინი
მხოლოდ სარგებლობენ ამ სამართალით. ამ კონტექსტში კიდევ უფრო დიდი
პრობლემაა კლასიფიკაციის პრობლემა, რადგან სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი
ვალდებულებები ისეთი ბუნდოვანი და იდეალისტური ენითაა გამოხატული, რომ
გაურკვეველია, რეალურად იგულისხმება თუ არა მათს დანაპირებში რაიმე
ვალდებულება, თუ ეს მხოლოდ მათი მორალური მისწრაფებებია.

იმის დასამტკიცებლად, რომ ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს საერთა-
შორისო სამართალით განსაზღვრული უფლებები აქვთ, შეიძლება ვაჩვენოთ,
რომ ხელშეკრულება, რომელიც უფლებებს შეეხება, ფიზიკურ პირებსა და
კომპანიებს საკუთარი უფლებების დასაცავად საერთაშორისო ტრიბუნალის
გამოყენების შესაძლებლობებს აძლევს. საერთაშორისო ტრიბუნალების
უმრავლესობა დახურულია ფიზიკური პირებისა და კომპანიებისათვის.
მაგალითად, საერთაშორისო სასამართლოს წესდების 34-ე მუხლით, სასამარ-
თლოზე მხოლოდ სახელმწიფოები შეიძლება იყონ სადავო საქმეთა მონაწი-
ლეები.⁷³ მაგრამ არის გამონაკლისებიც. მაგალითად, რეკონსტრუქციისა და
განვითარების საერთაშორისო ბანკმა (მსოფლიო ბანკმა) შექმნა საერთა-
შორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალი სახელმწიფოთა და სხვა სახელმწიფოების
მოქალაქეთა შორის ინვესტირების გამო წარმოქმნილი სადავო საკითხების
მოსამხილად.⁷⁴ ირან-ამშ-ს საპრეტენზიო ტრიბუნალში იმ ფიზიკურ პირებსა
და კომპანიებს, რომლებიც ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან,
გარკვეულ პირობებში სამართალსუბიექტობა აქვთ ტრიბუნალის წინაშე.⁷⁵
1991 წელს სპარსეთის ყურის მეორე ომში ერაყის დამარცხების შემდეგ ჟე-
ნევაში გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი გაეროს საკომპენსაციო
კომისიის (UNCC) პროცედურა იმასაც კი ცდილობს, რომ ერაყისგან დაზა-
რალებული ფიზიკური პირების საჩივრებს უპირატესობა მიანიჭოს დიდი კომ-
პანიების საჩივრებთან შედარებით (თუმცა ამ ორგანოს, რეალურად, საარ-
ბიტრაჟო ან სასამართლო ორგანოს სტატუსი არა აქვს).⁷⁶ 1993 წელს ჰააგაში
მუდმივმა საარბიტრაჟო სასამართლომ შეცვალა თავისი პროცედურა, რათა
დაემვა ისეთი სასამართლო პროცესები, სადაც „მხოლოდ ერთი მხარეა სა-
ხელმწიფო“.⁷⁷ 1988 წლის კანადა-ამშ-ს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულე-
ბით (FTA),⁷⁸ მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ორივე ქვეყნის მოქალაქე
ნაფიცი მსაჯულების დანიშვნა, რომელთაც კონკრეტულ შემთხვევებში
სავალდებულო გადანყვეტილებების მიღება შეეძლება.⁷⁹ ეს პროცედურა
ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (NAFTA)⁸⁰ ნაწი-
ლიც გახდა. მეორე მხრივ, წინადადება იმის შესახებ, რომ დაზარალებულმა
კერძო მხარეებმა (რომლებიც უშუალოდ არიან დაზარალებული GATT-ის წე-
სების დარღვევის გამო) უშუალოდ მიმართონ ამ ორგანიზაციის დავების

მონესრიგების სისტემას⁸¹ საკუთარი მთავრობის დისკრიმინაციისაგან გათავისუფლების მიზნით, არ იქნა გათვალისწინებული WTO-ს დავების გადაჭრის მექანიზმის რეფორმაში.⁸² ანალოგიურად, ევროგაერთიანებაში ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს შეუძლიათ საჩივარი აღძვრან ევროგაერთიანების სასამართლოში. მაგრამ ეს არ არის კარგი მაგალითი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაერთიანების ძალაუფლება წევრი ქვეყნების მთავრობებსა და მოქალაქეებზე იმდენად დიდია, რომ „გაერთიანების სამართალი“ თითქმის საერთაშორისო და ფედერალური სამართლის ჰიბრიდია.⁸³ აღსანიშნავია, აგრეთვე, საზღვაო და გარემოს სამართლის მაგალითებიც.⁸⁴

ადამიანის უფლებების სფეროში ფიზიკურ პირს გარკვეულ პირობებში შეუძლია გამოიყენოს საერთაშორისო დავის გადანყვეტის პროცედურა,⁸⁵ მაგრამ ეს დამოკიდებულია იმ ხელშეკრულებებზე, რომელთაც მისი მთავრობა დათანხმდება; ამასთან, ასეთი თანხმობა შეიძლება შეზღუდული ან უკუგდებული იყოს. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებების შესახებ სადავო საკითხები უმრავლეს შემთხვევაში შეიცავს ფიზიკურ პირთა მიერ საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ აღძრულ საჩივრებს, ხოლო ინვესტიციებთან დაკავშირებულ საერთაშორისო დავებში, როგორც წესი, უცხო ქვეყანაა ჩართული. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დიპლომატიური დაცვის ჩვეულებითი სამართლისა და უცხოელების მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პირობებში,⁸⁶ X სახელმწიფოს მოქალაქის საჩივარი, მაგალითად, Y სახელმწიფოს მხრიდან უკანონო მოპყრობის ან საკუთრების უკანონო ექსპროპრიაციის გამო, არა X სახელმწიფოს იმ დაზარალებული მოქალაქის (ან კომპანიის) საჩივარია, რომელიც ზარალს განიცდის, არამედ თვით X სახელმწიფოს საჩივარია. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ამის საწინააღმდეგო სპეციალური შეთანხმება არ არსებობს, მაშინ სახელმწიფოს შეუძლია, დავა დიპლომატიურად გადანყვეტოს ან საჩივარი აღძვრას საერთაშორისო ფორუმზე Y სახელმწიფოს წინააღმდეგ. კომპენსაციას X სახელმწიფო იღებს, ხოლო საერთაშორისო სამართალი არ მოითხოვს მისგან დაზარალებული ფიზიკური პირისთვის (ან კომპანიისთვის) თანხის გადახდას. X სახელმწიფოს უფლება აქვს, უარი თქვას საჩივარზე ან მიაღწიოს ისეთ შეთანხმებას, რომელშიც არ იქნება გათვალისწინებული დაზარალებული ფიზიკური პირის (ან კომპანიის) ინტერესები. ეს სისტემა, იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო საქმეებზე სახელმწიფოების კონტროლის შენარჩუნებას ცდილობს, გარკვეულ შემთხვევებში მაინც ფიზიკურ პირებსა და დამოკიდებულნი: ფიზიკურ პირს შეუძლია საჩივრის უფლებაზე უარის თქმა; ფიზიკურმა პირმა ჯერ Y სახელმწიფოს ეროვნული სამართლით განსაზღვრული დაცვის ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს,⁸⁷ და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს X სახელმწიფოს საერთაშორისო საჩივრის აღძვრის უფლება; Y სახელმწიფოს მიერ გადასახდელი კომპენსაციის სიდიდე ფიზიკური პირისთვის მიყენებულ ზარალით განისაზღვრება.⁸⁸

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ფიზიკურ პირს (ან კომპანიას) უნდა შეეძლოს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებების მოპოვება სახელმწიფოსთან (ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან) ხელშეკრულებების დადებით, რომელშიც შევა დებულება ხელშეკრულებების საერთაშორისო სამართლით რეგულირების შესახებ. ამ წინადადებას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები წარმოშვა, განსაკუთრებით 1973 წლის ნავობის კრიზისამდე ნავთობის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რის შესახებ ზემოთ უკვე ვიმსჯელებთ სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის „ინტერნაციონალიზებული კონტაქტების“ ხასიათთან მიმართებით.⁸⁹ მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც ხელშეკრულებების ბედს მასპინძელი სახელმწიფო წყვეტს, ხოლო თვით ხელშეკრულებები უცხო ქვეყანას საერთაშორისო სამართალსუბიექტობას არ ანიჭებს.⁹⁰ მასპინძელი სახელმ-

⁸¹ იხ. თ. 15, თ. 18 და Brus, *op. cit.*, 207-8.

⁸² მოკლე მიმოხილვისთვის იხ. Brus, *ibid.* 28-37. იხ. აგრეთვე, თ. 15.

⁸³ იხ. ტექსტი ზემოთ და თ. 1.

⁸⁴ საზღვაო სამართლის შესახებ იხ. თ. 12 და თ. 18.

⁸⁵ იხ. თ. 14.

⁸⁶ იხ. თ. 17.

⁸⁷ იხ. თ. 17.

⁸⁸ კრიტიკული დისკუსიისთვის იხ. L. Henkin, 'Nationality--at the Turn of the Century, in *FS Benhardt*, 89-102, at 92 *et seq.*

⁸⁹ იხ. თ. 3.

⁹⁰ განსხვავებული მოსაზრებებისთვის იხ. M. Herdgen, *Internationales Wirtschaftsrecht*, 2nd edn 1995, 58; იხ. აგრეთვე, 205 *et seq.*

⁹¹ იხ. P. Kennedy, *Preparing for the Twenty-First Century*, 1993, Chapter 3. სადაც აღნიშნულია, რომ დიდი მრავალეროვნული კორპორაციების „გლობალური შესაძლებლობები მეტია, ვიდრე მათი გლობალური პასუხისმგებლობა“ (ილ 47). მათი ინტერესები „უფრო ინტერნაციონალურია, ვიდრე ნაციონალური (ილ 49), ხოლო „უსაზღვრებო მსოფლიოს რეალური, ლოჯიკა“ ისაა, რომ მას არავინ მართავს, გარდა, შესაძლოა, მრავალეროვნული კომპანიების მმართველებისა, რომლებიც პასუხს აგებენ თავიანთი აქციონერების წინაშე, რომლებიც, თავის მხრივ, ახალ სუვერენებად იქცნენ და თავიანთ ინვესტიციებს ახორციელებენ იმ კომპანიებში, რომლებიც მეტ მოგებას იძლევიან“ (ილ 55).

⁹² A. Cassese, *International Law in a Divided World*, 1986, 103.

⁹³ იხ. E.-U. Petersmann, *Codes of Conduct*, EPIL 1(1992), 627-32.

⁹⁴ იხ. ILM 23 (1984), 626; *ICSID Rev. 4* (1989), 135. იხ. W. Spröbe, *Negotiations on a United Nations Code of Conduct on Transnational Corporations*, *GYIL* 33 (1990), 331.

⁹⁵ *YIEL* 4 (1993), 103.

⁹⁶ *YIEL* 5(1994), 136.

⁹⁷ იხ. თ. 2.

ნიფოს მხრიდან საერთაშორისო დონეზე უცხოური კომპანიის ცალმხრივად აყვანა შეუძლებელია, რადგან ეს ამ კომპანიის მშობლიური სახელმწიფოს უფლებების დარღვევა იქნებოდა.

რამდენიმე, ნამდვილად გლობალური მრავალეროვნული კომპანიისგან (როგორებიცაა IBM, ITT და Unilever) შემდგარ, გავლენიან ჯგუფსაც კი, რომლებიც ბევრ სახელმწიფოზე პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო ძლიერი არიან და მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება ეკონომიკის გლობალიზაციის გამო კომუნიკაციური და ფინანსური რევოლუციის პირობებში,⁹¹ სახელმწიფოები არ ანიჭებენ საერთაშორისო სუბიექტის სტატუსს.⁹² სახელმწიფოებს ურჩევნიათ, შეინარჩუნონ კონტროლი ასეთ კორპორაციებზე, ვიდრე ისინი თავიანთ თანასწორად აღიარონ, თუმცა პრაქტიკაში საკმაოდ ძნელია ასეთი გლობალური კომპანიების ეროვნულ დონეზე საქმიანობის, განსაკუთრებით მათი მოწილეებისა და ფილიალების მიერ მთელ მსოფლიოში შექმნილი ოპერატიული სტრუქტურების ფართო ქსელის რეგულირება.

ტრანსნაციონალური კომპანიების მნიშვნელობა აისახება ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციაზე, აგრეთვე, სპეციალიზაციის ახალი ფორმებისა და შრომის საერთაშორისო განაწილებაზე, რაც პირდაპირ ინვესტიციებს ითხოვს უცხოეთის ბაზარზე. გარკვეული ეკონომიკური მიზეზების გამო ზოგი სახელმწიფო უფრო კეთილდადა განწყობილი მის ტერიტორიაზე დაფუძნებული მრავალეროვნული კომპანიების მიმართ, ვიდრე ის სახელმწიფოები, სადაც ეს კომპანიები მოქმედებენ. განვითარებადი ქვეყნები განსაკუთრებულად გამოთქვამენ შემფოთებას ეროვნულ ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კომპანიების გავლენის გაძლიერების გამო; აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულებების გამო, რომლებიც კომპანიას მასპინძელი ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევის საშუალებას აძლევს. მეორე მხრივ, ინდუსტრიული ქვეყნები უფრო მეტად ზრუნავენ თავიანთი მრავალეროვნული კომპანიების მიერ უცხო ქვეყნებში განხორციელებული ინვესტიციების დაცვასა და მათი საქმიანობის სამართლებრივ გარანტიებზე.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოები, მაგალითად, ვაჭრობის საერთაშორისო პალატა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და OECD, შეთანხმდნენ მოქმედების წესების რეკომენდაციული ხასიათის მქონე კოდექსის ფორმულირებაზე.⁹³ გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელმძღვანელობის კოდექსის პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციული ცენტრის მუშაობის შესახებ 1997 წლიდან გაჭიანურებული მოლაპარაკებები იმართება.⁹⁴ ამასობაში საკითხმა დაკარგა თავისი ადრინდელი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან განვითარებად ქვეყნებს ახლა უკვე საკუთარი ტრანსნაციონალური კომპანიები აქვთ და თითქმის ყველა მათგანი დაინტერესებულია თავის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. გარდა ამისა, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ცივი ომის დასრულების შემდეგ ცვლილებები მოხდა. 1993 წელს გაეროს მიერ შენევაში შექმნილი ტრანსნაციონალური კომპანიების პროგრამის⁹⁵ შედეგად 1994 წელს ECOSOC-მა დააარსა საერთაშორისო ინვესტიციების კომისია, ხოლო ტრანსნაციონალურ კომპანიებს ვაჭრობისა და განვითარების საბჭოს მრჩეველთა სტატუსი მიენიჭა.⁹⁶

ამას გარდა, არსებობს კიდევ რამდენიმე ხელშეკრულება, რომლებიც უფლებების დაცვის სხვადასხვა საშუალებებს გვთავაზობს. ფიზიკური პირები საერთაშორისო ტრიბუნალში კი არ ჩივიან, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკურ ორგანოში, რომელიც განიხილავს საჩივარს შესაბამისი დამნაშავე სახელმწიფოს წინააღმდეგ (მაგალითად, 1919 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ეროვნულ უმცირესობებს, მათი დისკრიმინაციის შემთხვევაში, უფლება მისცა, ეჩივლათ ერთა ლიგის საბჭოში).⁹⁷ ფიზიკური პირი პროცესის ინიციატორია, მაგრამ

შემდეგ მას ვერ აკონტროლებს და ვერც აქტიურ მონაწილეობას იღებს. თუ პოლიტიკური ორგანო უარს იტყვის საქმის გაგრძელებაზე, მაშინ ფიზიკურ პირს არ ექნება დაცვის საშუალებები; მაგრამ განხილვის შემთხვევაში ორგანოს უფრო ეფექტურად შეუძლია ფიზიკური პირის ინტერესების დაცვა, ვიდრე საერთაშორისო ტრიბუნალს. მიუხედავად ყველაფრისა, უფლებების დაცვის ეს არაპირდაპირი სისტემა უფრო ხელსაყრელია კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის, უფრო მეტიც, ეს სისტემა პოპულარულია თვით სახელმწიფოებს შორის, რადგან ის საჩივართა სწრაფად განხილვის საშუალებას იძლევა. მაგრამ საეჭვოა, ითვლება კი ასეთი სისტემით დაცული ფიზიკური პირის ინტერესები საერთაშორისო სამართლით მინიჭებულ უფლებად? სადავოა ისიც, თუ რა იგულისხმება იურიდიულ უფლებებში. იურისტების უმრავლესობა ალბათ დაგვეთანხმება, რომ ასეთ შემთხვევებში უფლებები ენიჭება პოლიტიკურ ორგანოს და არა ფიზიკურ პირს.

მსგავსი პრობლემები ჩნდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ თანამშრომელთა დაქირავებასთან დაკავშირებით, რაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით კი არ რეგულირდება, არამედ ორგანიზაციების მიერ შემუშავებული წესებით, რომელთა ინტერპრეტაცია ხდება ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპების მიხედვით. საერთაშორისო ადმინისტრაციული ტრიბუნალები, რომლებიც ორგანიზაციებსა და მთავრობებს შორის წარმოქმნილ სადავო საკითხებს წყვეტენ, ხშირად სამართლის ამ ნაწილს აღწერენ, როგორც „ორგანიზაციათა შიდა სამართალს“, მაგრამ არაფერს ამბობენ იმის შესახებ, „შიდა სამართალი“ საერთაშორისო სამართლის ნაწილია თუ სამართლის ცალკე სისტემა.⁹⁸

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური პირებისა და კომპანიების (რა თქმა უნდა, საერთაშორისო ორგანიზაციების) საერთაშორისო სამართალსუბიექტობა ჯერ კიდევ შედარებით იშვიათი და შეზღუდულია. უფრო მეტიც, ამ სტატუსს მათ მხოლოდ სახელმწიფოები ანიჭებენ. სახელმწიფოები აფუძნებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, დებენ ხელშეკრულებებს და იღებენ ჩვეულებით ნორმებს ფიზიკური პირებისა და კომპანიებისათვის საერთაშორისო უფლებების მინიჭების შესახებ. მხოლოდ სახელმწიფოებს ან სახელმწიფოების მიერ შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ საერთაშორისო სამართლით რეგულირებადი კონტრაქტის დადება ფიზიკურ პირებთან და კომპანიებთან. შესაბამისად, როცა ზოგიერთი სახელმწიფო აცხადებს, რომ ფიზიკური პირები საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან, ხოლო სხვა სახელმწიფოები ამას უარყოფენ, შეიძლება ორივე მხარე სწორი იყოს. პირველ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები ანიჭებენ ფიზიკურ პირებს საერთაშორისო უფლებებს, მაშინ ამ სახელმწიფოსთან მიმართებაში მოცემული პირები საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად გვევლინებიან. მეორე ჯგუფის სახელმწიფოებს პრაქტიკული მიზნებით შეუძლიათ, ხელი შეუშალონ ფიზიკურ პირებს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის მიღებაში იმით, რომ არ მინიჭონ მათ საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებები.

⁹⁸ იხ. M. Akehurst. *The Law Governing Employment in International Organizations*, 1967, especially 3-10, 249-63; S. Bastid. *United Nations Administrative Tribunal*, EPIL 5 (1983), 281-7; C.F. Amerasinghe. *The Law of (the International Civil Service as Applied by International Administrative Tribunals*, 2 vols, 2nd edn 1988; C.F. Amerasinghe (ed.), *Documents on International Administrative Tribunals*, 1989; G. Vandersanden, *Administrative Tribunals, Boards and Commissions in International Organizations*, EPIL I (1992), 27-31; R. Bernhardt, *International Organizations*, *Internal Law and Rules*, EPIL II (1995), 1314-18. იხ. აგრეთვე, თ. 18.

⁹⁹ იხ. თ. 1 და თ. 19.

მეამბოხეები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები

საერთაშორისო სამართალი სამოქალაქო ომის დროს აჯანყებულებს განსაზღვრული უფლება-მოვალეობების მქონე სუბიექტებად აღიარებს, რადგან ისინი გარკვეულ ტერიტორიას აკონტროლებენ და შეიძლება სახელმწიფოს ახალი მთავრობაც კი შექმნან.⁹⁹ ასეთი მიდგომა აისახება სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის

¹⁰⁰ *Bromlie BOIL*, 426.

¹⁰¹ იბ. თ. 17.

¹⁰² იბ. თ. 2.

¹⁰³ იბ. *Cassese, op. cit.*, 90 et seq.

¹⁰⁴ K. Ginther, *Liberation Movements*, *EPIL* 3 (1982), 245-9; S.v. Schorlemer, *Liberation Movements*, in *Wolfram UNLPP II*, 854-64. იბ. აგრეთვე, თ. 19.

¹⁰⁵ იბ. თ. 20.

¹⁰⁶ იბ. თ. 5.

¹⁰⁷ იბ. ზემოთ.

¹⁰⁸ F.v. de Craen, *Palestine Liberation Organization*, *EPIL* 12 (1990), 278-82.

¹⁰⁹ იბ. ზემოთ.

¹¹⁰ Documents on the Controversy Surrounding the Closing of the Palestine Liberation Organization Observer Mission to the United Nations, *ILM* 27 (1988), 712-834; US District Court for the Southern District of New York Decision in *United States v. Palestine Liberation Organization*, *ILM* 27 (1988), 1055-91. იბ. აგრეთვე, *United Nations Headquarters Agreement Case, ICJ Rep.*, 1988, 12-35; T. Fischen, *Closing the PLO Observer Mission to the United Nations in New York*, *GYIL* 31 (1988), 595-620; R. Pinto, *La Fermeture du bureau de l'OLP aupres de l'Organisation des Nations Unies a New York*, *JDI* 116 (1989), 329-48; W.M. Reisman, *The Arafat Visa Affair; Exceeding the Bounds of Host State Discretion*, *MIL* 83 (1989), 519-27; S. Sadiq Reza, *International Agreements*; *United Nations Headquarters Agreement - Dispute Over the United States Denial of a Visa to Yassir Arafat*, *Harvard ILJ* 30 (1989), 536-48.

¹¹¹ იბ. P. Thornberry, *International Law and the Rights of Minorities*, 1991; Y. Dinstein/M. Tabory (eds), *The Protection of Minorities and Human Rights*, 1991; I.M. Cuthbertson/J. Leibowitz (eds), *Minorities: The New Europe's Old Issue*, 1993; D.E. Gurr, *Minorities at Risk A Global View of Ethnopolitical Conflicts*, 1993; C. Hillgruber/M. Jestaedt, *The European Convention on Human Rights and the Protection of National Minorities*, 1994; P. Malanczuk, *Minorities and Self-Determination*, in N. Sybesma-Kno/J.v. Bellingen (eds), *Naar een nieuwe interpretatie van het Recht op Zelfbeschikking*, 1995, 169-93; F. Capotorti, *Minorities*, in *Wolfram UNLPP II*, 892-903; L.-A. Sicilianos (ed.), *New Forms of Discrimination*, 1995; A. Phillips/A. Rosas (eds), *Universal Minority Rights*, 1995; H. Hannum, *Autonomy, Sovereignty and Self-Determination. The Accommodation of Conflicting Rights*, rev. edn 1996.

¹¹² იბ. თ. 19.

მიერ შემუშავებული დებულების მე-14 და მე-15 მუხლებშიც.¹⁰⁰ ამ მუხლების შესაბამისად, რადგან ძველი მთავრობა ჯერ კიდევ ფლობს ძალაუფლებას, აჯანყებულთა უკანონო ქმედებანი საერთაშორისო სამართლით (რომელიც სხვა სახელმწიფოების პასუხისმგებლობასაც შეიცავს) ამ სახელმწიფოს ქმედებად არ განიხილება. მაგრამ, თუ აჯანყებულები მოვლენ ხელისუფლებაში, მათი ქმედებანი ამ სახელმწიფოს ქმედებებად ჩაითვლება (რეტროაქტიული აზრით).¹⁰¹

დეკოლონიზაციის პროცესში¹⁰² გაჩნდა ახალი პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა კოლონიალიზმის, უცხოური ან რასისტული ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობების (რომელთაც წარმომადგენლობითი ორგანიზაციები ჰქონდათ, მაგალითად, SWAPO, ANC და PLO) საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს.¹⁰³ ასეთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების¹⁰⁴ შემთხვევაში სიტუაცია განსხვავდება ტრადიციული კატეგორიის აჯანყებულთა სიტუაციისგან, თუმცა პრაქტიკაში მათი განსხვავება ხშირად შეუძლებელია. ამ საკითხთან დაკავშირებით წარსულში სახელმწიფოები ხშირად ხვდებოდნენ კონფლიქტურ სიტუაციაში, მაგრამ დღეს ამ საკითხმა თავისი დიდი მნიშვნელობა დაკარგა. ცხადი გახდა, რომ ზემოთ ნახსენები სამი ტიპის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს საერთაშორისო სტატუსი ენიჭება არა იმდენად ტერიტორიის კონტროლის გამო, რამდენადაც იმ პოლიტიკური მიზნების საერთაშორისო აღიარების გამო, რომლებიც მიმართულია კოლონიალიზმის, რასისტული ჩაგვრის ან უცხოელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებისკენ. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ ირკვევა, რომ ამბოხებულთა საერთაშორისო თანამეგობრობის სუბიექტობის ან მათი ბრძოლის სამართლიანობის აღიარებისთვის ძირითადი მნიშვნელობა მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის კონტროლის მომავალ პერსპექტივას აქვს, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი გამოითქვა წითელი ჯვრის ფენევის 1977 წლის დამატებითი ოქმების თაობაზე მოლაპარაკების დროს.¹⁰⁵

სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ ასეთი განმათავისუფლებელი მოძრაობების აღიარების პრობლემა საერთაშორისო სამართლით სახელმწიფოთა მიერ სახელმწიფოთა აღიარების მსგავსია.¹⁰⁶ ზოგიერთ მოძრაობას გაეროს დამკვირვებლის სტატუსიც კი მიენიჭა.¹⁰⁷ 1988 წელს, PLO-ს საქმესთან დაკავშირებით,¹⁰⁸ ამან უთანხმოება გამოიწვია მასპინძელ ქვეყანასთან – აშშ-სთან,¹⁰⁹ რომელმაც წამოაყენა ანტიტერორისტული აქტი, რომელიც ნიუ-იორკში PLO-ს ოფისის დახურვას ითვალისწინებდა. აშშ-ს სასამართლომ განაცხადა, რომ მისი მთავრობა ამ ქმედებით აშშ-სა და გაეროს შორის დადებულ ხელშეკრულებას არღვევდა.¹¹⁰

ეთნიკური უმცირესობანი და მკვიდრი მოსახლეობა

მსოფლიოს მრავალ ნაწილში, და არა მარტო ბალკანეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, ეთნონაციონალიზმის გაღვივებასთან ერთად კვლავ ცენტრალურ საკითხად იქცა საერთაშორისო სამართალში ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ჯგუფების სტატუსი.¹¹¹ ამას მოწმობს მათი ბრძოლა საკუთარი უფლებების დაცვის გასაუმჯობესებლად როგორც გლობალურ, ისე რეგიონალურ დონეებზე. ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ უმცირესობათა და მკვიდრი ხალხების თვითგამორკვევის საკითხს უფრო დეტალურად მე-19 თავში განვიხილავთ.¹¹² ერთადერთი საკითხი, რომელსაც ამ ჯგუფებთან დაკავშირებით ამ თავში განვიხილავთ, მათ მიერ საერთაშორისო სამართალ-სუბიექტობის მოპოვებას შეეხება.

უმცირესობანი

როგორც ვნახეთ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგის წინაშე ევროპაში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის პრობლემა დადგა.¹¹³ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეთნიკურ, ენობრივ და კულტურულ უმცირესობათა წევრებს გარკვეული უფლებები მიენიჭათ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ მათი ენისა და თვითმყოფადობის დაცვას გულისხმობდა, რაც ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების ზოგადი პროცესის ნაწილი იყო.¹¹⁴ სახელმწიფოები მზად იყვნენ, ელიარებინათ თავიანთ ტერიტორიაზე ასეთი უმცირესობების არსებობა, მაგრამ თავს იკავებდნენ ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც უმცირესობებში დამოუკიდებლობის მოპოვების მიდრეკილებებს გააძლიერებდა. ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგად კვლავ წამოიჭრა უმცირესობებისთვის სხვადასხვა დონეზე სამართლებრივი სტატუსის მინიჭების საკითხი. გლობალურ დონეზე, არსებობს გაეროს დეკლარაცია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების შესახებ.¹¹⁵ რეგიონალურ დონეზე, უნდა აღინიშნოს ეუთოს პროცესზე ეროვნული უმცირესობებისათვის უმაღლესი კომისრის პოსტის შექმნა,¹¹⁶ აგრეთვე, სხვა ინიციატივები, როგორცაა ევროპის საბჭოს მიერ 1992 წელს მიღებული წესდება რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ¹¹⁷ და 1995 წლის ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონვენცია.¹¹⁸ ამას გარდა, 1996 წლის 5 მარტის კონვენცია (რომელიც ძალაში შედის თორმეტი რატიფიკაციის შემდეგ) რატიფიცირებულია ოთხი სახელმწიფოს მიერ და ხელმოწერილია 28 სახელმწიფოს მიერ.¹¹⁹

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის ტერმინებით „უმცირესობის“ განმარტება გამალიზიანებელ საკითხად რჩება, რადგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ჯერ კიდევ არ არსებობს. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ვერც ერთმა აბსტრაქტულმა განსაზღვრებამ ვერ მოიცვა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში უმცირესობად კვალიფიცირებული 3000-დან 5000-მდე ჯგუფი. ყველაზე ხშირად იმონმებენ კაპოტორტის, გაეროს სპეციალური მომხსენებლის განმარტებას, რომელიც შესულია მის 1977 წლის მოხსენებაში „ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წევრთა უფლებების შესწავლის შედეგები“ :

არადომინანტური მდგომარეობის მქონე ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად ჩამოუვარდება სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობას, და რომლის წევრებს – ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს – ახასიათებთ დანარჩენი მოსახლეობისაგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი თვისებები და ავლენენ, თუნდაც არაპირდაპირ, ერთიანობის გრძნობას, რომელიც საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიისა და ენის გადარჩენისკენაა მიმართული.¹²⁰

უმცირესობათა საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საკითხი უფრო რთულია, ვიდრე ფიზიკური პირებისა და კომპანიების საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საკითხი. ორი ძირითადი მიზეზის გამო უმცირესობათა პრობლემას საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური და იურიდიული ასპექტები აქვს. პირველ რიგში, ეს პრობლემა დაკავშირებულია თვითგამორკვევის პრინციპის¹²¹ მნიშვნელობასა და მის სამართლებრივ შედეგებთან და გულისხმობს, სახელმწიფოს თვალსაზრისით, უმცირესობის მიერ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დაწყების საშიშროებას, რამაც შეიძლება გარკვეული ტერიტორიისა და მოსახლეობის ნაწილის კონტროლის დაკარგვა გამოიწვიოს. მეორე მიზეზი ისაა, რომ უმცირესობათა პრობლემა დაკავშირებულია უმცირესობის სამშობლოს მხრიდან იმ მეზობელი სახელმწიფოს ინტერვენციასთან, რომელზეც სახლობს „დასაცავი“ უმცირესობა, როგორც იყო, მაგალითად, სუდეტელი გერმანელების შემთხვევაში, როცა ჰიტლერი ჩეხოსლო-

¹¹³ იბ. თ. 2.

¹¹⁴ იბ. თ. 14 და თ. 19.

¹¹⁵ ILM 32 (1993), 911; A. Phillips/A. Rosas (eds), *The UN Minority Rights Declaration*. 1993; P. Thornberry, *The UN Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities: Background, Analysis, Observations, and an Update*, in Phillips/Rosas (eds), 1995, *op. cit.*; I.O. Bokotia, *L'Organisation des Nations Unies et la protection des minorités*, 1992.

¹¹⁶ E. Klein (ed.), *The Institution of a Commissioner for Human Rights and Minorities and the Prevention of Human Rights Violations*, 1994.

¹¹⁷ G. Gilbert, *The Legal Protection Accorded to Minority Groups in Europe*, NYIL 23 (1992), 67-104.

¹¹⁸ ILM 34 (1995), 351-9, I. P. Thornberry/M.A.M. Estebanez, *The Work of the Council of Europe in the Protection of Minorities*, RIA 46 (1995), 28-32; A. Ronquist, *The Council of Europe Framework Convention for the Protection of National Minorities*, HM6 (1995), 38-44; M.A. Martin Estebanez, *International Organizations and Minority Protection in Europe*, 1996.

¹¹⁹ ILM 35 (1996), 807.

¹²⁰ F. Capotorti, *Study on the Rights of Persons belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities*, 1991, 96.

¹²¹ იბ. თ. 19.

¹²² იხ. N.S. Rodley, *Conceptual Problems in the Protection of Minorities: International Legal Developments*, HRQ 17(1995), 48-71.

¹²³ H.-J. Heintze, *Völkerrecht und Indigenous Peoples*, ZaöRV 50 (1990), 39-70; I. Brownlie, *Treaties and Indigenous Peoples*, 1992. G. Alfredsson, *Indigenous Populations, Protection*, EPILII (1995), 946; *Indigenous Populations, Treaties With*, *ibid.*, 951; E. Spiry, *From "Self-Determination" to a Right to "Self-Development" for Indigenous Groups*, GYL 38 (1995), 129-52; W.M. Reisman, *Protecting Indigenous Rights in International Adjudication*, MIL 89 (1995), 350-62; S.J. Anaya, *Indigenous Peoples in International Law*, 1996.

¹²⁴ იხ. M.C. v. Wail v. Pruaig, *The Position of UNPO in the International Legal Order*, in C. Brölmann/R. Lefebvre/M. Zieck (eds), *Peoples and Minorities in International Law*, 1993, 313 et seq.

¹²⁵ Sub-Commission on Prevention of Discrimination and Protection of Minorities, ILM 34 (1995), 541; იხ. E. Guyim, *The UN Draft Declaration on Indigenous Peoples: Assessment of the Draft Prepared by the Working Group on Indigenous Populations*, 1994; C.M. Brölmann/M.Y.A. Zieck, *Some Remarks on the Draft Declaration on the Rights of Indigenous Peoples*, UIL 8 (1995), 103 et seq.; R.T. Coulter, *The Draft UN Declaration on the Rights of Indigenous Peoples: What Is It? What Does It Mean?* NQHR 13 (1995), 123-38..38.

¹²⁶ ILM 34 (1995), 535.

¹²⁷ M. Cobo, *Study of the Problem of Discrimination Against Indigenous Populations*, UN Doc. E/CN.4/Sub.2/1983/21/Add. 8, paras. 379 and 381.

¹²⁸ A. Cristescu, *The Right to Self-Determination, Historical and Current Development on the Basis of United Nations Instruments*, UNP Sales No. 80.XIV.3, para. 279. იხ. აგრეთვე, J. Crawford (ed.), *The Rights of Peoples*, 1992.

¹²⁹ იხ. C.M. Brölmann/M.Y.A. Zieck, *Indigenous Peoples*, in Brölmann/Lefebvre/Zieck (eds), *op. cit.*, 187 et seq., at 196.

ვაკიაში შეიქრა. შემთხვევითი არ არის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო სამართალში უმცირესობათა უფლებები აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებები, რომლებიც ეკუთვნის უმცირესობის ცალკეულ ფიზიკურ პირებს, და არა როგორც ჯგუფური უფლებები, რომლებიც მრავალწევრიან წარმონაქმნს ეკუთვნის.¹²²

მკვიდრი მოსახლეობა

ბოლო წლებში წინა პლანზე წამოიწია ე.წ. „მკვიდრი მოსახლეობის“ კატეგორიასთან დაკავშირებულმა სპეციალურმა საკითხმა.¹²³ ამის მაგალითია აბორიგენები ავსტრალიაში, ინდიელები (მკვიდრი ამერიკელები) ამერიკაში, ინუიტები (იგივე ესკიმოსები), მაორები ახალ ზელანდიაში და სამები (ლაფები) სკანდინავიასა და რუსეთში. ორმოცზე მეტ სახელმწიფოში ამ კატეგორიას 100-დან 200 მილიონამდე ადამიანი მიეკუთვნება. მკვიდრ ხალხთა საჩივრების განსახილველად ჰააგაში შეიქმნა დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც წარმომადგენლობის არმქონე ერთა და ხალხთა ორგანიზაცია (UNPO)¹²⁴ ჰქვია. ასეთი ჯგუფების შესწავლის უახლესი შედეგებია გაეროს ადამიანის უფლებების კომისიაზე 1994 წლის 26 აგვისტოს მიღებული მკვიდრ ხალხთა უფლებების გაეროს დეკლარაციის პროექტი¹²⁵ და კომისიის მიერ 1995 წლის 3 მარტს დეკლარაციის პროექტზე მომუშავე ჯგუფის დაფუძნება.¹²⁶

მკვიდრი მოსახლეობის განმარტების სირთულეები, ძირითადად, იმავე ხასიათისაა, რაც უმცირესობების შემთხვევაში. ეფექტური განსაზღვრება ჩამოაყალიბა 1983 წელს გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ჯ. რ. მარტინეს კობომ თავის მოხსენებაში „მკვიდრი მოსახლეობის დისკრიმინაციის პრობლემის შესახებ“:

მკვიდრ გაერთიანებად, ხალხად ან ერთად ჩათვლება ის, ვინც ისტორიულად მომდინარეობს ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა ერების შემოსვლამდე არსებული საზოგადოებიდან და თავს ამ ტერიტორიაზე ამჟამად გაბატონებული საზოგადოების ნაწილად ან მისგან განსხვავებულად მიიჩნევს. ადგილობრივი მოსახლეობა საზოგადოების არადომინანტური ნაწილია და ცდილობს დაიცვას, განავითაროს და მომავალ თაობას გადასცეს წინაპართა ტერიტორია და ეთნიკური თავისებურებები, რომლებიც მისი, როგორც ხალხის, არსებობის საფუძველია, მისი კულტურული ფასეულობების, სოციალური ინსტიტუტებისა და სამართლებრივი სისტემების შესაბამისად...

მკვიდრი მოსახლე ისაა, რომელიც ამ მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნება, საკუთარ თავს მკვიდრად თვლის (ჯგუფური ცნობიერება) და აღიარებულია მკვიდრი მოსახლეობის მიერ, როგორც ერთ-ერთი წევრი (ჯგუფური აღიარება).¹²⁷

სამართლის თვალსაზრისით, ამ განმარტების მიუხედავადაც კი რთულია ზღვრის გაკლება „მკვიდრ ხალხსა“ და „უმცირესობას“, ან „მკვიდრ ხალხსა“ და თავისთავად ბუნდოვან და სადავო „ხალხს“ შორის. ა. კრისტესკუმ სცადა ნათელი მოეფინა ამ საკითხისათვის: „ტერმინი „ხალხი“ აღნიშნავს ნათლად მაიდენტიფიცირებელი ნიშნებისა და საკუთარი თვისებების მქონე სოციალურ ერთიანობას. ის აუცილებლად უკავშირდება რომელიმე ტერიტორიას, თუნდაც ეს ხალხი უკანონოდ იყოს განდევნილი ამ ტერიტორიიდან და ხელოვნურად იყოს ჩანაცვლებული სხვა მოსახლეობით“.¹²⁸ უმცირესობათა შემთხვევაში რიცხვითი სიმცირის კრიტერიუმში „უმცირესობას“ „ხალხისგან“ განასხვავებს, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს უკანასკნელი. მაგრამ „მკვიდრი ხალხის“ დეფინიცია „უმცირესობის“ ელემენტებსაც შეიცავს და „ხალხისაც“.¹²⁹ რა თქმა უნდა, დეფინიციის პრობლემა არ უნდა გავაზვიადოთ, რადგან ხშირად ასეთი ტერმინების იურიდიული მნიშვნელობა ნათელი ხდება

კონკრეტული კონტექსტის მეშვეობით. საეჭვოა, ქმნიან თუ არა „მკვიდრი ხალხები“, რომელთაც სპეციალური ყურადღება მიაქცევს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს ფარგლებში,¹³⁰ გამორჩეულ სამართლებრივ კატეგორიას. პრობლემების გადაწყვეტის მიზნით „მკვიდრი ხალხის“ განმარტებაში გაჩნდა მინაზე დამოკიდებულების აუცილებელი მითითების წინადადება.¹³¹ მაგრამ თითქმის შეუძლებელია არ გამოვიყენოთ ასეთივე მსჯელობები სხვა ჯგუფებთან, მაგალითად, ქურთებთან, სომხებთან, შოტლანდიელებთან და უელსელებთან დაკავშირებითაც. ერთადერთ ნამდვილად არსებულ კრიტიკრიუმად შეიძლება ჩავთვალოთ წმინდად სუბიექტური და პოლიტიკური კრიტიკრიუმი, კერძოდ, ის, რომ „მკვიდრი ხალხი“ არ განიხილება, როგორც უბრალო „უმცირესობა“ და არც უფრო შორსმომავალი უფლებების მოთხოვნა შეუძლია. ასეთი უფლებების მოთხოვნებმა უკანასკნელ წლებში გარკვეული თანაგრძნობა მოიპოვა. 1992 წლის რიოს გარემოსა და განვითარების დეკლარაციის 22-ე მუხლში ვკითხულობთ:

მკვიდრი ხალხები და მათი გაერთიანებები, აგრეთვე, სხვა ადგილობრივი გაერთიანებები, გადამწყვეტ როლს ასრულებენ გარემოს დაცვის საქმეში, მათი გამოცდილებიდან და ცოდნიდან გამომდინარე. ყველა სახელმწიფომ უნდა ცნოს და, საჭიროებისამებრ, მხარი დაუჭიროს მათი კულტურისა და ინტერესების თვითმყოფადობას, მისცეს მათ მუდმივი განვითარების მიღწევაში ეფექტური მონაწილეობის საშუალება.¹³²

გაეროს ზემოხსენებული დეკლარაციის პროექტი მკვიდრი ხალხების შესახებ, როგორც ჩანს, უფრო წინ გადადგმული ნაბიჯია, ვიდრე უმცირესობის წევრების დაცვის დოკუმენტები, რადგან აღიარებს მკვიდრი ხალხების ჯგუფურ უფლებებს. ამ პროექტის თანახმად, მკვიდრი ხალხი, „ღირსებისა და უფლებების მხრივ, სხვა ხალხების თანაბარია“ (პრეამბულა) და მათ თვითგამორკვევის უფლება უნდა ჰქონდეთ. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მაინც პროექტია და, მეორეც, თუნდაც გენერალურ ასამბლეაზე დამტკიცებულ დეკლარაციად იქცეს, ის მაინც საერთაშორისო ორგანიზაციის რეზოლუცია იქნება და არა აუცილებელი სამართლებრივი ნორმა.¹³³ მაშასადამე, ფიზიკური პირებისა და კომპანიების მსგავსად, უმცირესობათა და მკვიდრ ხალხთა საერთაშორისო სამართალსუბიექტობაც სახელმწიფოთა მიერ მინიჭებული უფლებებია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს იურიდიული პირები *de lege ferenda* თვითგამორკვევის მოთხოვნების გამო საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ პრობლემათა განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან. მკვიდრი ხალხები და უმცირესობანი არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით და ჯერ არ მიუღწევიათ ფიზიკურ პირებზე მაღალი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსისათვის.

¹³⁰ *Ibid.*, 197 *et seq.*, discussing ILO Conventions 107 and 169 and the 1992 UN Draft Declaration on the Rights of Indigenous Peoples, *op. cit.*

¹³¹ *Ibid.*, at 196.

¹³² *ILM* 31 (1992), 876-80, at 880. რიოს დეკლარაციის შესახებ იხ. თ. 16.

¹³³ იხ. თ. 3.

7. იურისდიქცია

იურისდიქციის სახეები

¹ იხ.: Harris CMIL, 250-86; F.A. Mann, The Doctrine of Jurisdiction in International Law, Rdc 111 (1964-1), 9-162; M. Akhurst, Jurisdiction in International Law, BYIL 46(1972-3), 145-257; D.W. Bowett, Jurisdiction: Changing Patterns of Authority over Activities and Resources, BYIL 53 (1982), 1; F.A. Mann, The Doctrine of Jurisdiction Revised After Twenty Years, Rdc 186 (1984-III), 9-116; Restatement (Third), Vol. 1, 230 *et seq.*; B.H. Oxman, Jurisdiction of States, EPIL 10 (1987), 277-83; G. Marston, Maritime Jurisdiction, EPIL 11 (1989), 221-4; L. Henkin, Rdc 216 (1989-IV), 277-330; R.S.J. Martha, The Jurisdiction to Tax in International Law: Theory and Practice of Legislative Fiscal Jurisdiction, 1989; T. Mundiya, Extraterritorial Injunctions against Sovereign Litigants in US Courts: The Need for a Per Se Rule, ICLQ 44 (1995), 893-904; F. Munch, Consular Jurisdiction, EPIL 1 (1992), 763-5. იხ. საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა: H. Fox, Jurisdiction and Immunities, in V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), Fifty Years of the International Court of Justice, 1996, 210-36; ² A. D'Amato, Domestic Jurisdiction, EPIL 1 (1992), 1090-6. ასევე იხ. თ. 21. ³ იხ. თ. 12.

სიტყვა „იურისდიქციის“ გამოყენებისას სიფრთხილე გვმართებს. ის საკმაოდ შთამბეჭდავად უღერს, და მაინც ბევრს მიაჩნია, რომ არასრული წარმოდგენა გვაქვს მის შესახებ; ხშირად ძალზე დიდია ცდუნებაც, რომ ეს სიტყვა თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარეშე გამოიყენონ. სინამდვილეში მას მრავალი მნიშვნელობა აქვს.¹ ზოგჯერ ის უბრალოდ ტერიტორიას აღნიშნავს; მაგალითად, ბავშვის მეურვეობის საკითხთან დაკავშირებით, ბრიტანულმა სასამართლომ, შესაძლოა, მხარეებს უბრძანოს, რომ ბავშვი არ გაიყვანონ „სასამართლოს იურისდიქციის გარეთ“, რაც გულისხმობს „უშუალოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიის გარეთ.“ გაერთიანებული ერების წესდებაში ნახმარ ფრაზას „შიდა იურისდიქცია“ სპეციალური მნიშვნელობა აქვს.² მაგრამ, უფრო ხშირად, „იურისდიქცია“ იმ ძალაუფლების გამოსახატავად გამოიყენება, რომელსაც სახელმწიფო კერძო პირების, საკუთრების ან მოვლენების მიმართ ახორციელებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც თავად ტერმინი ბუნდოვანია, რადგანაც აღნიშნული უფლებამოსილება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანონების მისაღებად კერძო პირის, საკუთრებისა და მოვლენების მიმართ (საკანონმდებლო ან დამდგენი იურისდიქცია), სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება კი საშუალებას იძლევა, განხილულ იქნეს საქმეები კერძო პირების, საკუთრებისა და მოვლენების შესახებ (სასამართლო ან სამართალშეფარდების იურისდიქცია), ან აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოახდინოს ფიზიკური ჩარევა, როგორცაა, პირის დაპატიმრება, საკუთრების ჩამორთმევა და ა.შ. (სამართალდამცავი ორგანოების იურისდიქცია).

მნიშვნელოვანია ძალაუფლების ამ სამი ჯგუფის განსხვავება, განსაკუთრებით მეორე და მესამე ჯგუფებისა, რომელთა განსხვავებაც პრაქტიკაში ძალიან რთულია. მაგალითად, პირი, რომელიც მკვლელობას ჩაიდენს ინგლისში და საფრანგეთში გაიქცევა, შეიძლება გასამართლდეს ინგლისის სასამართლოს მიერ, მაგრამ ინგლისის პოლიცია ვერ განახორციელებს რაიმე ქმედებას საფრანგეთის ტერიტორიაზე პირის დაკავების მიზნით. ინგლისის პოლიციამ საფრანგეთის მთავრობას უნდა მიმართოს თხოვნით აღნიშნული პირის დაკავებისა და ინგლისში მისი გასამართლების მიზნით (ასეთი განსხვავება დაპატიმრებისა და გასამართლების პროცედურებთან დაკავშირებით თვალსაჩინოა, როდესაც დანაშაული ხმელეთზეა ჩადენილი; იგივე უფლება, შესაძლებელია, უგულებელყოფილ იქნეს, როდესაც დანაშაული ჩადენილია ხომალდზე³). ყოველივე ზემოთ ნათქვამი ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს უფლება არ აქვს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელოს სახელმწიფოებრივი ქმედება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. მაქს ჰუბერმა პალმის კუნძულების საქმეში (Island of Palmas case) აღნიშნა:

სუვერენიტეტი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში აღნიშნავს დამოუკიდებლობას. სახელმწიფოს მიერ დედამიწის გარკვეული ნაწილის მართვა სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად მის მიერ სახელმწიფოებრივი ფუნქციების განხორციელების უფლებას წარმოდგენს. ბოლო საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოთა ეროვნული მოწყობის განვითარების შედეგად საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა სახელმწიფოს ექსკლუზიური კომპეტენციის პრინციპი, რომელსაც სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიასთან

მიმართებაში ახორციელებს, რამაც გარკვეულ წილად დაბრკოლება შეუქმნა საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების მოგვარებას.⁴

მრავალი მაგალითი არსებობს იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ სახელმწიფოები ქვეყნის საზღვრებს გარეთ თავიანთი სამართალდამცავი ორგანოებისათვის უფლებამოსილების აღიარების მოპოვებას.⁵ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე (ლიად თუ საიდუმლოდ) ქმედების განხორციელება, როგორცაა ისრაელის მიერ ნაცისტის აიხმანის მოტაცება არგენტინიდან 1960 წელს,⁶ ამერიკის წარმომადგენლების მიერ ალვარეს-მახეინის მოტაცების ფაქტი (Alvarez-Machain Case),⁷ ან საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ხომალდ „რეინბოუ უორიორის“ ჩაძირვა ახალი ზელანდიის ნავსადგურში (Rainbow Warrior Case),⁸ (მართალია, მრავალი მათგანი დღემდე დავის საგანია⁹) ტერიტორიული მთლიანობისა და ჩაურევლობის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს.¹⁰ არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, შელახოს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა დამნაშავეს დაკავების მიზნით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პირი ისეთი საერთაშორისო დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი, როგორცაა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადაზიდვა. ამის მაგალითს წარმოადგენს გენერალ მანუელ ნორიეგას საქმე, რომელიც პრეზიდენტ ბუშის ბრძანების საფუძველზე 1989 წლის 20 დეკემბერს პანამაში მომხდარი სამხედრო ინტერვენციის დროს შეიპყრეს და გასამართლების მიზნით (არცთუ დამაჯერებელ სამართლებრივ არგუმენტებზე დაყრდნობით) ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიყვანეს.¹¹

შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების სისხლის სამართლის იურისდიქცია

ამ თავის დარჩენილი ნაწილი შეეხება იურისდიქციის სფეროში არსებულ შეზღუდვებს, რომელსაც საერთაშორისო სამართალი შიდასახელმწიფოებრივ/მუნიციპალურ სასამართლოებს უწესებს. ძალზე იშვიათია შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო სამართალი მუნიციპალურ სასამართლოს საქმის განხილვას ავალდებულებდეს; ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალში არსებული ნორმები უფრო აკრძალვებს შეეხება. თუკი შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო თავის იურისდიქციას საერთაშორისო აკრძალვების დარღვევით განახორციელებს, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე დაზარალებული პირის სახელმწიფოს შეუძლია მის წინააღმდეგ საერთაშორისო სარჩელი აღძრას. მოპასუხე სახელმწიფო თავს ვერ იმართლებს იმით, რომ მისი იურისდიქცია ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა, ან სამართალწარმოება სამართლიანად და მიუკერძოებლად ჩატარდა. უმეტეს შემთხვევაში საერთაშორისო სამართალი არც კრძალავს და არც ნებას რთავს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს, განიხილონ საქმეები; ის შესთავაზებს იურისდიქციას, რომლის აღიარებაც ადგილობრივი სასამართლოებისათვის არ არის სავალდებულო. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების იურისდიქციის საკითხი ადგილობრივი – შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით წყდება და საერთაშორისო სამართალი თავს უფლებას აძლევს, სახელმწიფოებისათვის მხოლოდ რამდენიმე შეზღუდვა დაანესოს.

სუვერენული (სახელმწიფო) იმუნიტეტის და დიპლომატიური ხელშეუხებლობის საკითხების გარდა, რომელსაც მომდევნო თავში განვიხილავთ,¹² საერთაშორისო სამართალი სამოქალაქო საქმის წარმოებისას არ აწესებს რაიმე შეზღუდვებს სასამართლოების იურისდიქციაზე.¹³ ის მხოლოდ ზღუ-

⁴ Island of Palmas Case, RIAA II 829, at 838; ამ საქმესთან დაკავშირებით ასევე იხ. თ. 5 და თ. 10.

⁵ მაგ., იხ.: A.F. Lowenfeld, U.S. Law Enforcement Abroad: The Constitution and International Law, AJIL 83 (1980), 880; Continued, AJIL 84 (1990), 444-93; E.A. Nadelmann, Cops Across Borders: The Internationalization of U.S. Criminal Enforcement, 1993; ⁶ RGDIP (1960), 772;

⁷ იხ. თ. 4; ILA Committee on Extraterritorial Jurisdiction, ILA Rep. 1994, 679 et seq;

⁸ იხ. თ. 6.

⁹ გარკვეული მოსაზრების თანახმად, მსგავსი ხასიათის ქმედებები (გატაცება და ა.შ.) დამტკიცებულია გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოები აღამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გასამართლებას აპირებენ; B. Stern, L'Extraterritorialité revisitée: ou il est question des affaires Alvarez-Machain, Pate de bois et de quelques autres, AFDI 38 (1992), 239-313, at 288;

¹⁰ იხ. T. Oppermann, Intervention, EPIL II (1995), 1436-9;

¹¹ ასევე იხ. V.P. Nanda, The Validity of United States Intervention in Panama under International Law, AJIL 84 (1990), 494-503, at 502; S.B. v. Ellington, United States v. Noriega as a Reason for International Criminal Court, Dick. JIL 11 91993), 451-75; R. Rayfuse, International Abduction and the United States Supreme Court: The Law of the Jungle Reigns, ICLQ 42 (1993), 882 et seq;

¹² იხ. თ. 8.

¹³ იხ. Akehurst, op.cit. 170-7; ასევე იხ. I. Brownlie, Principles of Public International Law, 4th edn 1990, 299; ბრაუნლი მიიჩნევს, რომ უცხოელ პირზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქციის მოთხოვნას შორის არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, რადგანაც სამოქალაქო იურისდიქციის აღსრულება სისხლის სამართლებრივ დასჯადობას მოიცავს;

¹⁴ ტერიტორიის საკითხთან დაკავშირებით იხ. თ. 5.

¹⁵ მაგ., იხ. Lotus case, PCIJ, series A, no. 10 (იხ. თ. 3, გვ. და თ. 12); Akehurst, op.cit., 152-6; ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ „შედეგობრივი დოქტრინის“ ეკონომიკურ ურთიერთობებში ფართო ექსტრატერიტორიალური იურისდიქციის მიზნით გამოყენებისათვის იხ. O. Schachter, International Law in Theory and Practice, 1991, 261-4 and 116-17;

¹⁶ იხ. თ. 17.

¹⁷ იხ. Blackmer v. United States, 284 US 421 (1932), რომელიც საფრანგეთში თავშესაფრის მიმღებ ამერიკის მოქალაქეს დაევალა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნება სისხლისამართლებრივ საქმეში ჩვენების მიცემის მიზნით;

¹⁸ Restatement (Third), para. 421 (1), (2)(d), at 305;

¹⁹ Ibid. para 422 (1), at 313;

²⁰ იხ. Huntigton v. Attril, (1983) AC 150.

დავს იურისდიქციას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, როდესაც სახელმწიფოთა იურისდიქციის საფუძველს ქვემოთ მოცემული პრინციპები წარმოადგენს (აქედან ზოგიერთი უფრო ფართოდ არის გავრცელებული).

ტერიტორიულ პრინციპი

ყოველი სახელმწიფო აღიარებს თავის იურისდიქციას იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომელიც მის ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი,¹⁴ მათ შორის უცხო მოქალაქეების მიერ. ზოგჯერ დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება ერთ სახელმწიფოში დაინდოს და მეორეში დამთავრდეს: მაგალითად, მამაკაცმა შეიძლება გაისროლოს საზღვრის გადაღმა და მოკლას ადამიანი მეორე მხარეს. მსგავს შემთხვევებში ორივე სახელმწიფოს აქვს იურისდიქციის უფლება; სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ქმედება დაინდო, იურისდიქციის უფლება აქვს სუბიექტური ტერიტორიულობის პრინციპით, ხოლო სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ქმედება დამთავრდა, იურისდიქციას ახორციელებს ობიექტური ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე (მას ხშირად „შედეგის დოქტრინას“ უწოდებენ, რადგანაც ზიანის მომტანი შედეგი, მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქმედება მოქმედებით განხორციელდა თუ უმოქმედობით, აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგა).¹⁵

პროვნულობის (მოქალაქეობის) პრინციპი

სახელმწიფო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს, თუ რამდენად აქვს ან არ აქვს პირს აღნიშნული სახელმწიფოს მოქალაქეობა. საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებისათვის ადგენს კონკრეტულ შეზღუდვებს იმ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომლებიც არსებითია მოქალაქეობის დადგენისას.¹⁶ სახელმწიფოს შეუძლია გაასამართლოს თავისი მოქალაქეები დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილი იქნა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას (აქტიური მოქალაქეობის პრინციპი). ეს წესი საყოველთაოდაა აღიარებული და კონტინენტური სამართლის სახელმწიფოები მას ხშირად იყენებენ. ინგლისურ სასამართლოებს ინგლისური სამართლის თანახმად და აღნიშნულ წესზე დაყრდნობით შეუძლიათ პირის გასამართლება მხოლოდ რამდენიმე სახის დანაშაულის შემთხვევაში, როგორცაა სახელმწიფო ღალატი, მკვლელობა და მრავალცოლიანობა. ამავდროს, დიდი ბრიტანეთი არ ეწინააღმდეგება ამ პრინციპის ფართო გამოყენებას სხვა სახელმწიფოების მიერ. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები ასევე აღიარებენ მოქალაქეობას, როგორც იურისდიქციის საფუძველს.¹⁷ აშშ-ს სამართლის ინსტიტუტის განმარტება (*Third Restatement*) განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება სამართალწარმოებაზე, თუკი პირი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა,¹⁸ მაგრამ ამერიკის სასამართლოებს „შეუძლიათ პასუხისგებაში მისცენ პირი მხოლოდ ამერიკის კანონების დარღვევისათვის, და არა უცხო ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევისათვის.“¹⁹ ამის მსგავსად, ინგლისის სასამართლოები, როგორც წესი, არ იყენებენ უცხო ქვეყნის სისხლის სამართლის კანონებს.²⁰ ზოგიერთი სახელმწიფო იურისდიქციას მოქალაქეებზე ავრცელებს მოქალაქეობისაგან განსხვავებული პირადი კავშირის საფუძველზე (მაგალითად, ბრალდებული დიდი ხნის მანძილზე იურისდიქციის განმახორციელებელ სახელმწიფოში ცხოვრობდა) და სხვა სახელმწიფოებს მსგავსი ხასიათის იურისდიქციის უფლებასთან დაკავშირებით პროტესტი არ გამოუხატავთ.

ზოგიერთი სახელმწიფო, როგორცაა მექსიკა, ბრაზილია და იტალია, იურისდიქციის უფლებას ახორციელებს პასიური მოქალაქეობის პრინციპის საფუძველზე, როდესაც პასუხისგებაში აძლევენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს

უცხოეთში ჩადენილი დანაშაულისათვის, რომლის დანაშაულებრივმა ქმედებამ გავლენა იქონია აღნიშნული სახელმწიფოს მოქალაქეებზე. ამ პრინციპთან დაკავშირებით, *inter alia*, 1980 წელს დაჭრის საქმეში (Cutting case) მექსიკის სასამართლომ გაავრცელა სისხლის სამართლებრივი იურისდიქცია ამერიკის მოქალაქეზე ტეხასის გაზეთში მექსიკელი მოქალაქის მიმართ ცილისმნამებლური ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის.²¹ იმ დროისათვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პროტესტი გამოხატა ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ მოგვიანებით საქმე შეწყდა, რადგანაც დაინტერესებულმა პირმა, მექსიკის მოქალაქემ უკან გამოითხოვა სარჩელი. წარსულში ამერიკა და დიდი ბრიტანეთი მუდმივად ეწინააღმდეგებოდნენ ამ პრინციპს. მართლაც, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთი სახელმწიფოს მოქალაქე მეორე სახელმწიფოში ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი გახდა, ნამდვილად არ ეხება დაზარალებული პირის სახელმწიფოს ზოგად ინტერესებს. მეორე მხრივ, თუკი სახელმწიფოს, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი, არ სურს ან არ ძალუძს დამნაშავეს გასამართლება, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს დაიცვას თავისი მოქალაქეები, როგორც კი ეჭვმიტანილი მისი დაქვემდებარების (კონტროლის) ქვეშ აღმოჩნდება. უკანასკნელ ხანს ამერიკაში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო პასიური მოქალაქეობის პრინციპის გავრცელებას ტერორისტული ხასიათის და სხვა სერიოზული დანაშაულებების შემთხვევებში.²² აშშ-ს სამართლის ინსტიტუტის „სამართლის“ განმარტება გვეუბნება:

აღნიშნული პრინციპი არ გამოიყენება ჩვეულებრივი სამართალდარღვევებისა და დანაშაულების დროს, არამედ მისი ფართო გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მოქალაქეების წინააღმდეგ მათი მოქალაქეობის გამო ხორციელდება ტერორისტული ანდა სხვა ორგანიზებული თავდასხმები, ან კიდევ ადგილი აქვს სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლების ან სხვა ოფიციალური პირების მკვლელობას.²³

დაცვის პრინციპი

დაცვის პრინციპი საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება ზიანის მომტანი ქმედებისაგან იმ შემთხვევაშიც, თუკი ქმედება ჩადენილია უცხოელის მიერ საზღვარგარეთ, მაგალითად, სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვა, ჯაშუშობა, ყალბი ფულის მოჭრა ან საიმპერაციო წესების დარღვევის დაგეგმვა. სახელმწიფოთა უმრავლესობა იყენებს ამ პრინციპს. თუმცა არსებობს საშიშროება, რომ სახელმწიფოებმა თავიანთი უსაფრთხოება ძალზე „ფართოდ“ განმარტონ. მაგალითად, თუკი A სახელმწიფოში დაბეჭდილი გაზეთი აკრიტიკებს B სახელმწიფოს, გონივრული არ იქნება იმის განცხადება, რომ B სახელმწიფოს აქვს უფლება, გაასამართლოს რედაქტორი ანტისამთავრობო აგიტაციისათვის.²⁴ რა თქმა უნდა, დაცვის პრინციპი არ მოიცავს სასიკვდილო განაჩენის გამოტანას (ჯილდოს მიღების დაპირებით). ასეთი შემთხვევა იყო ირანში 1989 წლის 14 თებერვალს, როდესაც ირანის ლიდერმა აიათოლა ჰომეინიმ გამოსცა სასიკვდილო განაჩენი ფაქტვას მეშვეობით მწერალ სალმან რუშდის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ თავის „სატანისტურ ლექსებში“ გამოჩენილი მკრეხელობისათვის, რამაც თავის მხრივ მუსლიმანური სამყაროს რისხვა გამოიწვია.

აღნიშნული დაცვის პრინციპი განსხვავდება „დიპლომატიური დაცვისაგან (იმუნიტეტისაგან)“, რაც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფოს დიპლომატიური ჩარევის უფლებამოსილებას ან კიდევ თავისი მოქალაქეების ნაცვლად მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო სარჩელის აღძვრას.²⁵

²¹ Moore, Digest of International Law, Vol. 2, 1906, 228-42.

²² იხ. 1986 წლის ანტიტერორისტული აქტი, რომელიც მიღებულ იქნა აკილელაურას ინციდენტის შემდგომ, და US V. Yunis (No.2), 681 F. Supp. 869 (1988); 82 ILR 344, სასამართლომ ამ საქმის განხილვისას გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს პასიური მოქალაქეობის პრინციპს, მაგრამ სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის მოთხოვნისას ის ძალზე სადავოა. აკილელაურას ინციდენტის შემდგომ ღია ზღვაზე ტერორისტული ქმედების საწინააღმდეგოდ მიღებულ საერთაშორისო შეთანხმებებთან დაკავშირებით იხ. თ. 12.

²³ Restatement (Third), para 402, Comment g and Reporter's Note 3, at 240;

²⁴ Ibid., Comment f, at 240, აღნიშნავს, რომ „დაცვის პრინციპი არ უწყობს ხელს უცხო ქვეყნის მოქალაქეების პოლიტიკური ნების გამოხატვის წინააღმდეგ მიმართული კანონების გამოყენებას.“ ასევე იხ.: I. Cameron, The Protective Principle of International Criminal Jurisdiction, 1994;

²⁵ იხ. თ. 17.

²⁶ Lotus Case, op.cit;

²⁷ იბ. თ. 20.

²⁸ იბ. თ. 12.

²⁹ Akehurst, op.cit., 161-2. ასევე იბ. თ. 13.

³⁰ იბ. M.C. Bassiouni, Hostages, EPIL 8 (1985), 264-8; M. Feinrider, Kidnapping, Ibid., 355-8; R.A. Freidlander, Terrorism, EPIL 9 (1986) 371-6; A. Cassese, The International Community's "Legal" Response to Terrorism ICLQ 38 (1989), 589-608; G.Guillaume, Terrorisme et droit International, RdC 215 (1989-III), 287-416; J.J. Lambert, Terrorism and Hostages in International Law - A Commentary on the Hostages Convention 1979, 1990; P. Hortatos, International Law and Crimes of Terrorism Against the Peace and Security of Mankind, 1993; H.H. Han, Terrorism & Political Violence: Limits & Possibilities of Legal Control, 1993; G. Gilbert, The Law and International Terrorism, NYIL 26 (1995), 3-32;

³¹ Restatement (Third), para. 404, at 254;

³² Ibid., Comment a.;

³³ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული Res. 3068 (XXVIII), 1973 წლის 30 ნოემბრის რეზოლუცია, ILM 13 (1974), 50. იბ. J. Delbruck, Apartheid, EPIL 1 (1992), 192-6;

³⁴ ILM 23 (1984), 1027, ცვლილებები იბ. ILM 24 (1985), 535. ასევე იბ. თ. 14.

უნივერსალურობის პრინციპი

ზოგიერთი სახელმწიფო იურისდიქციას ახორციელებს ყველა დანაშაულთან მიმართებაში, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფი უცხოელების მიერ ჩადენილ დანაშაულებს მიმართ (როგორც წესი, სერიოზული დანაშაულების შემთხვევაში მაინც). ინგლისურენოვანი სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ მსგავსი ხასიათის უნივერსალური იურისდიქცია, ჩვეულებრივ, აკრძალულია საერთაშორისო სამართალში. მუდმივმა საერთაშორისო სასამართლომ *ლოტუსის საქმის* (Lotus Case) განხილვისას თავი შეიკავა აღნიშნული ხასიათის იურისდიქციის მისაღებობის საკითხზე მსჯელობისგან.²⁶ თუმცა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებმა ინდივიდუალურად გამოთქვეს მოსაზრება, რომ აღნიშნული პრინციპი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. „უნივერსალურობის პრინციპმა“, შესაძლოა, უსამართლო შედეგები გამოიწვიოს, როდესაც კერძო პირი ისჯება ქმედებისათვის, რომელიც კანონიერია მისი ჩადენის ადგილას, სხვაგან კი დასჯადია. „უნივერსალურობის პრინციპი“ ნაკლებად სადავო ხდება, როდესაც საქმე ეხება ყველა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დანაშაულებს; ინგლისურენოვანი სახელმწიფოებიც კი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ უნივერსალურობის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება, აღიარებენ, რომ საერთაშორისო სამართალი უფლებას აძლევს სახელმწიფოებს, „უნივერსალურობის პრინციპი“ გამოიყენონ გარკვეულ ქმედებებთან მიმართებაში, კერძოდ, თუკი ქმედება საერთაშორისო საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს და აღნიშნული ქმედება დასჯადია ყველა სახელმწიფოში, როგორცაა, ომის დანაშაულები,²⁷ მეკობრეობა,²⁸ თვითმფრინავის გატაცება²⁹ და საერთაშორისო ტერორიზმის სხვადასხვა ფორმა.³⁰

ამერიკის შეერთებული შტატები აშშ-ს სამართლის ინსტიტუტის „სამართლის“ განმარტება ასევე აღიარებს, რომ

სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება ისეთი სამართალდარღვევების განსაზღვრასა და მისადაგებაზე, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოების საყოველთაო შეშფოთების საგანს წარმოადგენს, როგორცაა მეკობრეობა, მონათვაჭრობა, თვითმფრინავზე თავდასხმა ან მისი გატაცება, გენოციდი, ომის დანაშაულები და ტერორისტული ქმედებები.³¹

აშშ-ს სამართლის ინსტიტუტის „სამართლის“ განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნული სამართალდარღვევები უნივერსალური იურისდიქციის დაქვემდებარებაში ხვდება, როგორც ჩვეულებითი სამართლის ნორმა.³² გარკვეული სამართალდარღვევები შესაძლოა, გახდეს უნივერსალური იურისდიქციის ქვემდებარე საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე. მაგალითად, 1973 წლის საერთაშორისო კონვენცია „აპართეიდის“ დანაშაულის დაგმობისა და აკრძალვის შესახებ³³ ან 1984 წლის კონვენცია ნამებისა და სხვა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ³⁴, რომლებიც უნივერსალურ იურისდიქციას ითვალისწინებენ. მაგრამ მსგავსი ხასიათის ხელშეკრულებები სავალდებულოა მხოლოდ წევრი სახელმწიფოებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი აღიარება ჩვეულებითი სამართლის ნორმების მეშვეობით ხდება.

უნივერსალური იურისდიქცია ფარო გაგებით წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, დასჯადი გახადოს გარკვეული დანაშაულები, მათი ჩადენის ადგილისა და ჩამდენი პირის მოქალაქეობის მიუხედავად, ტერიტორიული ან მოქალაქეობრივი კავშირისა და განსაკუთრებული ინტერესის მქონე სახელმწიფოს არსებობის გარეშეც. თუმცა მსგავსი ხასიათის ფართო უნივერსალური იურისდიქცია მრავალ პრობლემას წარმოშობს. აღსანიშნავია, რომ უნივერსალური იურისდიქციის აღიარება (ყოველ შემთხვევაში, ნაგულისხმევი უნი-

ვერსალური იურისდიქციის აღიარება) მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოხდა იმ მრავალმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულებს ეხება. ასეთია, მაგალითად, ომის დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც ერთი სახელმწიფოს სასამართლოებს შეეძლოთ გაესამართლებინათ დამნაშავე, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ჩადენილი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1949 წლის უენევის კონვენციების წევრი სახელმწიფოების ვალდებულება – დასაჯონ ომის დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენი პირები.³⁵ მაგალითად, აიხმანის საქმეში (Eichmann Case) გატაცების კანონიერების საკითხის გარდა, აღიარებულ იქნა ისრაელის სასამართლოების იურისდიქცია ომის დანაშაულსა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულები ჩადენილ იქნა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ისრაელი სახელმწიფოდ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, და, შესაბამისად, დაზარალებული პირები არ იყვნენ ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქენი.³⁶ მსგავსი ხასიათის დანაშაულები ამკარად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. მათი დასჯადობა პირდაპირ არის გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლით (და, შესაბამისად, უნივერსალური ხასიათის დანაშაულებს მოიცავს). ამ სახის დანაშაულებზე ვრცელდება როგორც შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების, ასევე საერთაშორისო ტრიბუნალების იურისდიქცია, როგორცაა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებისათვის შექმნილი ტრიბუნალები ანდა შექმნის პროცესში მყოფი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო.³⁷ ვინრო განმარტების ფარგლებში, რა თქმა უნდა, ისინი არ ეფუძნებიან იურისდიქციის უნივერსალურობის პრინციპს, რომელიც სახელმწიფოებს აძლევს უფლებას, გაასამართლონ პირები თავიანთი კანონმდებლობის მიხედვით ისეთი ქმედებებისათვის, რომელიც უკანონოდ არ არის მიჩნეული საერთაშორისო სამართალში.³⁸ მეორე მხრივ, მეკობრეობის, მონათვაჭრობის, ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გარდა, საერთაშორისო საზოგადოების შემფოთების საგანი გახდა უკანასკნელ წლებში კონვენციებით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულების გავრცელება, როგორცაა თვითმფრინავის გატაცება, ტერორიზმი, მძევლად აყვანა, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადაზიდვა, ვალუტის გაყალბება და სხვა. ზემოაღნიშნული დანაშაულების რიცხვის გაზრდამ უნივერსალური იურისდიქციის სამართლებრივი საფუძვლის გართულება გამოიწვია.³⁹ როგორც წესი, მსგავსი ხელშეკრულებები მოიცავს ვალდებულებას, გასამართლდეს ბრალდებული ან განხორციელდეს მისი ექსტრადიცია მეორე სახელმწიფოში (*aut dedere aut iudicare*)* და იურისდიქციის საკითხი წყდება არსებული ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების მიხედვით.⁴⁰ მაგრამ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ხელშეკრულებებით (რომლებიც სავალდებულოა მხოლოდ წევრი სახელმწიფოებისათვის) რეალური „უნივერსალური იურისდიქციის“ შექმნა არანეგრი სახელმწიფოებისათვის.

³⁵ იხ. თ. 20
³⁶ Eichmann v. Att. Gen. of Israel (1962), 36 ILR 277;
³⁷ იხ. თ. 20. ამნენსთარგმნის პროცესში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება ძალაში შევიდა და აღნიშნულმა სასამართლომ ფუნქციონირება დაიწყო – რედ.
³⁸ იხ. Brownlie (1990), op. cit 305;
³⁹ იხ. Schachter, op. cit. 268. G. Gilbert, Crimes Sans Frontières. Jurisdictional Problems in English Law. BYIL 63 (1992), 415-42;
* ტერორისტული აქტების მომრავლებასთან ერთად ამ პრინციპის გამოყენების საკითხი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სავალდებულო გახდა – (განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ – რედ. შენ.)
⁴⁰ იხ. M. Chapter Bassiouni/ E.M. ise, Aut Dedere aut Judicare: The Duty to Extraterritorial or Prosecute in International Law, 1995;

ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების უნივერსალური იურისდიქციის საკითხი

უკანასკნელი წლების მანძილზე ზოგ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა ტენდენცია, რომელიც გულისხმობს უნივერსალური იურისდიქციის გავრცელებას ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. თუმცა აქვე უნდა განისაზღვროს, რა ზეა საუბარი: სისხლის სამართლებრივი თუ არასისხლის სამართლებრივი საქმეების იურისდიქციაზე (სამართალდარღვევა

⁴¹ იხ. Restatement (Third), para. 404, Comment b, 255;

⁴² 630 F. 2d 876, 890 (2d cir. 1980);

⁴³ საქმესთან დაკავშირებით იხ. სიმპოზიუმი – ფილარტიგა-იურისდიქცია, ადამიანის უფლებები: *Filartiga v. Pena-Irala*, Ga. JICL 11 (1981), 305-41, F. Hassan. A Conflict of Philosophies: The *Filartiga* Jurisprudence, ICLQ 32 (1983), 250-8;

⁴⁴ იხ. A.-M. Burley, The Alien Tort Statute and the Judiciary Act of 1789: A Badge of Honor, AJIL 83 (1989), 461-93;

⁴⁵ *Siderman de Blake v. Republic of Argentina*, 965 F.2d 699 (9th Cir. 1992);

⁴⁶ იხ. თ. 8.

⁴⁷ იხ. r.b. Lillich, Damages for Gross Violation of International Human Rights Awarded by US Courts, HRQ 15 (1993), 207, at 220-1;

⁴⁸ იხ. თ. 8.

და ზიანისათვის კომპენსაციის საკითხი სამოქალაქო სამართალწარმოებაში). როგორც წესი, უნივერსალური იურისდიქცია საერთაშორისო სამართლის ფარგლებში არ არის შეზღუდული მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით; სახელმწიფოებს შეუძლიათ მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურების მიზნით სხვა საშუალებების გამოყენება, რათა დაიცვან საყოველთაოდ აღიარებული ინტერესები.⁴¹

პირველი მსგავსი საქმე, რომელიც ეროვნულ დონეზე გადაწყდა, იყო 1980 წლის საქმე *ფილარტიგა პენა-ირალას წინააღმდეგ (Filartiga v. Pena-Irala)*, რომლის თანახმადაც, პარაგვაის მოქალაქემ ამერიკის შეერთებულ შტატებში სარჩელი შეიტანა ყოფილი პარაგვაელი პოლიციელის წინააღმდეგ (რომელიც სარჩელის შეტანის მომენტისათვის უკანონოდ ცხოვრობდა ნიუ-იორკში) სამი წლით ადრე პარაგვაიში მოსარჩელის ძმის წამებისა და მკვლელობისათვის. ამერიკის მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლომ აღიარა, რომ „სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხის გარკვევისათვის წამება, მეკობრეობისა და მონათვაჭრობის მსგავსად, წარმოადგენს *hostis humane generis*-ს, ანუ კაცობრიობის საწინააღმდეგო ქმედებას.“⁴² გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ წამება, ჩადენილი ოფიციალური ხელისუფლების მფარველობით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქმედება შეუძლებელია პირდაპირ მიენეროს სახელმწიფოს, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას და ამერიკაში მყოფი წამების დანაშაულის ჩამდენი უცხოელები შეიძლება პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემული ამერიკულ სასამართლოებში, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა.⁴³ აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სარჩელი ეყრდნობოდა ამერიკის შეერთებული შტატების წესდებას უცხოელთა სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ, რომლის თანახმადაც, საოლქო სასამართლოები განიხილავენ „უცხოელის მიერ სამოქალაქო სამართლის დარღვევაში ჩადენილ მხოლოდ ისეთ ქმედებას, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართალს ან ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულებას.“ ეს გადაწყვეტილება გახდა ერთგვარი საყრდენი ადამიანის უფლებების სფეროში და მხარი დაუჭირა პრეზიდენტ კარტერის საგარეო პოლიტიკას ადამიანის უფლებებთან მიმართებაში. მაგრამ მომდევნო მცდელობები წამების გარდა ადამიანის სხვა უფლებების დარღვევის ფაქტებთან მიმართებაში იურისდიქციის გაფართოების მიზნით წარუმატებლობით დამთავრდა.⁴⁴ სადღეისოდ გაურკვეველი რჩება საკითხი, თუ რამდენად გახდა წამება უნივერსალური იურისდიქციის საფუძველი საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში.⁴⁵

აგრეთვე აღსანიშნავია ამერიკის მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლოს მიერ 1992 წლის 22 მაისს მიღებული გადაწყვეტილება *ზიდერმანის*⁴⁶ (*Siderman*) საქმესთან დაკავშირებით, რადგანაც ის მოიცავს „იურისდიქციისა“ და „სახელმწიფო იმუნიტეტის“ კონცეფციების ურთიერთქმედებას. სახელმწიფო იმუნიტეტის თანახმად, უცხო სახელმწიფოზე არ ვრცელდება მეორე სახელმწიფოს სამართალწარმოება (რაზეც უფრო დეტალურად მომდევნო თავში ვისაუბრებთ).⁴⁷ 1982 წელს ზიდერმანების ოჯახმა სარჩელი შეიტანა არგენტინის წინააღმდეგ ხოზე ზიდერმანის წამებისა და ოჯახის ქონების ექსპროპრიაციისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა 1976 წელს მომხდარი სამხედრო გადატრიალებისას. რაც შეეხება წამების საკითხს, 1984 წელს კალიფორნიის ცენტრალური ოლქის საოლქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ოჯახისთვის მიყენებული ზარალისთვის მოსარჩელეს 2.7 მილიონი აშშ დოლარი მიაკუთვნა (არგენტინამ მონაწილეობა არ მიიღო ამ სასამართლო პროცესში).⁴⁸ თუმცა 1985 წელს საოლქო სასამართლომ გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არგენტინის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გამოიყენა იმუნიტეტის უფლება, რომელიც მოცემულია ამერიკის აქტში უცხო სუვერენის (სუვერენული სახელმწიფოს) იმუნიტეტის შესახებ (FSIA).⁴⁹ უცხო სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი იმუნიტეტის გამოყე-

ნება ზემოაღნიშნულ აქტზე დაყრდნობით ყველა შესაძლო შემთხვევაში, რადგან აქტი ადგენს განსაზღვრულ გამონაკლისებს. 1992 წელს ამერიკის სააპელაციო სასამართლომ საპირისპიროდ შეცვალა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და უკან დაუბრუნა ხელახალი განხილვისათვის იმ საფუძველზე, რომ არსებობდა *prima facie* იურისდიქცია (რაც იმას გულისხმობს, რომ საქმის დამტკიცება თავის სასარგებლოდ ვეალება არგენტინას, რათა მან „მტკიცებულებების გადაწონით“⁵⁰ აჩვენოს, რომ აქტში მოცემული გამონაკლისები არ მიესადაგება აღნიშნულ საქმეს).

სააპელაციო სასამართლო შეეცადა, შემდეგნაირად განემარტა თავისი არგუმენტები: წამების აკრძალვა წარმოადგენს *ius cogens*-ის ნორმის დარღვევას. თუმცა, ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ის უნდა დამორჩილებოდა ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას,⁵¹ რომლის თანახმად, არგენტინის სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი დაცვა ვერ დაეყრდნობოდა ამ პრინციპს, როგორც *ius cogens*-ის ნორმის დარღვევის ზოგად გამონაკლისს“, ასევე ხელშეკრულებაში არსებულ სექცია 1604 FSIA-ის გამონაკლისს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიღო იურისდიქცია „ნაგულისხმევ მოთხოვნაზე უარის თქმის“ შესახებ 1605(ა)(1) ქვეგანყოფილების მიხედვით, რადგანც არგენტინა ეძებდა ამერიკის სასამართლოების გადაწყვეტილებებში ანალოგიას ხოზე ზიდერმანის მიმართ გადაუდებელ სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული საკმარისად ჩაითვალა არგენტინის იმუნიტეტის ნაგულისხმევად მოსახსენებლად ზიდერმანის ოჯახის საქმეში. რაც შეეხება საქმის სხვა დეტალებს, მათი შესწავლის საჭიროება არ არსებობს. ეს საქმე აშკარად გვიჩვენებს ამერიკაში ადამიანის უფლებების სფეროში საქმის წარმოებასთან და უცხო სუვერენის იმუნიტეტთან დაკავშირებით არსებულ საკანონმდებლო სირთულეებს.

რადგანაც დაზარალებულ პირებს ამერიკაში უცხო სუვერენის იმუნიტეტის შესახებ არსებული კანონმდებლობის გამო უჭირდათ ადამიანის უფლებების საყოველთაო დარღვევების შემთხვევაში სარჩელის შეტანა უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ, უკანასკნელი წლების მანძილზე ახალი პრაქტიკა დამკვიდრდა. კერძოდ, სარჩელის თანახმად, მოპასუხე მხარეს წარმოადგენს ინდივიდუალური პირი, რომელიც სახელმწიფოებრივ ქმედებას ახორციელებდა. ასეთია მარკოსის საქმე⁵² (*Marcos case*) და არგენტინელი გენერლის კარლოს გუილერმო სუარეს-მასონის, ჰაიტის ექსპრეზიდენტის პროსპერ ავრილის, გვატემალის ყოფილი თავდაცვის მინისტრის გენერალ ჰექტორ ალესანდრო გრამაჯო მორალესის, ინდონეზიელი გენერლის პანჯიტანის, ეთიოპიის მთავრობის წარმომადგენლის ნეგოვოს და სერბეთის ლიდერის რადოვან კარაჯიჩის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელები.⁵³ არსებული სიძნელებების საპასუხოდ 1992 წლის 12 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო 1991 წლის აქტი წამების მსხვერპლის დაცვის შესახებ. ამ აქტის მეშვეობით დაზარალებულ პირს საშუალება ეძლევა, სარჩელი შეიტანოს ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით კერძო პირის წინააღმდეგ, კერძოდ, იმ პირის წინააღმდეგ, ვინც „პირდაპირი ან აშკარა უფლებამოსილებით, ან ნებისმიერი უცხო ქვეყნის კანონის ძალით“ განახორციელა წამება ან ყოველგვარი სამართალწარმოების გარეშე მოკლა ადამიანი.⁵⁴ ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენებამ უცხო სუვერენის ხელშეუხებლობასა და „სახელმწიფოს ქმედებასთან“ მიმართებაში უნდა დაგვანახვოს მისი რეალური არსი (რაზეც მომდევნო თავში ვისაუბრებთ⁵⁵), თუკი მსგავსი ქმედებები უშუალოდ მიესადაგება უცხო სახელმწიფოს.

⁵⁰ *Siderman case, op. cit.* 713;

⁵² *ob. R. G. Steinhardt, Fulfilling the Promise of Filartiga: Litigating Human Rights Claims Against the Estate of Ferdinand Marcos, Yale JIL 20 (1995), 65-103.*

⁵³ *ob. G. Ress, Final Report, International Committee on State Immunity, ILA Rep. 1994, 466-7, nn 62 and 63 with references;*

⁵⁴ Section 2(a), P.L. 102-256, 102d Congress, 106 Stat. 73;

⁵⁵ *ob. თ. 8.*

⁵⁶ L.J. Del Pizzo, Not Guilty p But not Innocent: An Analyzes of the Acquittal of John Demjanuk and its Impact on the Future of Nazi War Crimes Trials, BCICLR 18 (1995), 137-78;

⁵⁷ ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებითი მომდევნო გვერდი

⁵⁸ Del Pizzo, *op. cit.*, 138;

⁵⁹ Ibid, 139;

⁶⁰ Ibid, 140;

„ივანე მრისხანე“ – ჯონ დემიანიუკის საქმე

კანონის უზენაესობასა და პატივისცემაზე დამყარებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემა მოიცავს გასამართლებისა და მტკიცებულებების მოპოვების მკაცრ წესებს, რაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნის ომში დანაშაულებების ჩამდენთა ეფექტურ გასამართლებას, როგორც არის ჯონ დემიანიუკის საქმე.⁵⁶ დემიანიუკს „ივანე მრისხანე“ შეარქვეს, როგორც გაზის კამერების სადისტ ხელმძღვანელს. მას ბრალად ედებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტური გერმანიის პერიოდში, პოლონეთში, ტრებლინკის ტყვეთა ბანაკებში ათასობით ებრაელის მკვლელობა.

1977 წელს სასამართლო განხილვა გაიმართა დემიანიუკისათვის ამერიკის მოქალაქეობის ჩამოსართმევად, რომელიც მან ომის დროს მიიღო თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დამალვით. მას შემდეგ, რაც ისრაელმა ამერიკასთან დადებული ხელშეკრულების⁵⁷ საფუძველზე მისი ექსტრადიცია მოითხოვა, ჯერ კიდევ სრულად არ იყო სადებორტაციო პროცედურები გავლილი, როდესაც 1983 წელს დემიანიუკი ისრაელს გადასცეს და 1986 წელს იგი იქაური სასამართლოს წინაშე წარდგა. 1988 წელს იერუსალიმის საოლქო სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ჩამოხრჩობით.⁵⁸ დემიანიუკმა სააპელაციო სარჩელი შეიტანა, რომელშიც მიუთითა, რომ ის სხვა პირში შეეშალათ. მან ხუთი წელი გატარა ერთკაციან საკანში თელ-ავივის მახლობლად, სანამ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1991 წელს, პოსტსაბჭოური არქივების გახსნისას აღმოჩენილ იქნა ახალი მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც სრულიად სხვა პირი – ივან მარჩენკო – აღმოჩნდა ე.წ. „ივანე მრისხანე“. 1993 წელს ისრაელის უზენაესმა სასამართლომ⁵⁹ მოხსნა დემიანიუკის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები. თუმცა მას ბრალად დაედო ტრავნიკის შენაერთში ბადრაგად მუშაობა, ათასობით ებრაელის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება, და პოლონეთში, სობიბორის ბანაკში აქტიური საქმიანობა.

ჰოლოკოსტს გადარჩენილთა მცირე ჯგუფმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, დემიანიუკის წინააღმდეგ აღეძრათ ახალი საქმე ტრავნიკსა და სობიბორში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე. საბოლოო გადაწყვეტილებით, საქმე არ იქნა აღძრული. ამერიკის შეერთებული შტატების მეექვსე ოლქის სააპელაციო სასამართლომ ხელახლა გახსნა დემიანიუკის ექსტრადაციის საქმე და ნება დართო მას, ამერიკაში დაბრუნებულიყო. 1993 წელს სასამართლომ აღმოაჩინა, რომ ექსტრადიციის დროს დაირღვა პროცედურული ნორმები და მისი გამამართლებელი მტკიცებულებები დამალულ იქნა მართლმსაჯულების სპეციალური გამოძიების განყოფილების მიერ. ექსტრადიციის საკითხი გაბათილებულ იქნა. 1994 წელს უზენაესმა სასამართლომ⁶⁰ საქმის ხელახალ განხილვაზე უარი განაცხადა და დემიანიუკს ნება დართეს, ოჰაიოს შტატში დაბრუნებულიყო. ეს ძვირადღირებული, 17-წლიანი პროცესი, რომელშიც ორი მეგობრული ქვეყანა მონაწილეობდა, რომლებიც ნაცისტი დამნაშავეების გასამართლებისადმი სერიოზული მიდგომით გამოირჩეოდნენ, უშედეგოდ დამთავრდა.

კონფლიქტი იურისდიქციის საკითხებთან დაკავშირებით

შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ხშირად რამდენიმე სახელმწიფოს ეროვნულ სასამართლოებს თანმხვედრი იურისდიქცია გააჩნიათ – ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს გასამართლება და დასჯა შესაძლებელია რამდენიმე სახელმწიფოს მიერ. ერთი სახელმწიფოს შიგნით პირის გასამართლება ან მისი უდანაშაულოდ ცნობა ზღუდავს ამავე პირის გასამართლებას სხვა ქვეყნებში, მაგრამ არა ყველგან. საერთაშორისო სამართალი დუმს ამ საკითხთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება მდგომარეობის გართულება გამოიწვიოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდეს-

საც პირის დასაცავად საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები გამოიყენება.⁶¹

ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებული დავა მოქალაქეობის პრინციპისა და შედეგობრიობის (ობიექტური ტერიტორიულობის პრინციპი) პრინციპის თანხვედრის შესახებ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედების ან უმოქმედობის ჩადენის საკითხთან მიმართებაში (სუბიექტური ტერიტორიულობის პრინციპი) ხშირად გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. გასაკუთრებით, თუ მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობები ერთი გარკვეული ქმედების დაშვებას, აკრძალვას ან მოთხოვნას სხვადასხვაგვარად უდგებიან. მსგავსი დელიკატური ხასიათის საკითხები ხშირად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებშიც წამოიჭრება. ამის მაგალითია მრავალი სახელმწიფოს მიერ ამერიკული კომპანიების უცხოური ფილიალების მონოპოლიური საქმიანობისა და უსაფრთხოების ზომების განმამტკიცებელი ამერიკული კანონმდებლობისათვის ე.წ. „ექსტრატერიტორიული ძალის“ მინიჭებაზე უარის თქმა.⁶² მსგავსი ხასიათის შემთხვევას წარმოადგენს ევროპის გაერთიანების მიერ თავის მოქალაქეებზე გაერთიანების საზღვრებს გარეთ წესების გავრცელება. ეკონომიკური სანქციების სადავო საკითხი ხელახლა წამოიჭრა 1996 წელს, როდესაც ამერიკამ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებით კუბის გათავისუფლებისა და დემოკრატიული სოლიდარობის (ლიბერტადის) აქტი (ჰელმს-ბარტონის აქტი) მიიღო.⁶³ ამ აქტს პრეზიდენტმა კლინტონმა კუბის საჰაერო ძალების მიერ 1996 წელს ფლორიდაში რეგისტრირებული ამერიკულ-კუბური ორგანიზაციის ორი პატარა თვითფრინავის ჩამოგდების საპასუხოდ მოაწერა ხელი.⁶⁴ აღნიშნული აქტის საფუძველზე მესამე სახელმწიფოს მოქალაქენი, რომლებსაც რაიმე საქმიანობა აკავშირებთ კუბის მიერ ექსპროპრირებულ ამერიკის საკუთრებასთან, კერძოდ, იყენებენ ან სარგებელს იღებენ საკუთრებიდან, შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცნენ ამერიკის სასამართლოებში და შესაძლოა ამ მოქალაქეებს ამერიკაში შესვლაც კი აეკრძალოთ. ამერიკის იურისდიქციის ფართო გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მომხდარ ქმედებებზე საერთაშორისო პროტესტს იწვევს,⁶⁵

რადგან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხელმონერილი მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს. ამ რთული და პრაქტიკაში მზარდი სამართლებრივი საკითხის განხილვა სცდება სასწავლო წიგნის ფარგლებს.⁶⁶

ექსტრადიციის

დაბოლოს, აღსანიშნავია სახელმწიფოთა შორის სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საკითხებში არსებული ურთიერთთანამშრომლობა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.⁶⁷ რა იგულისხმება თანამშრომლობაში ექსტრადიციის დროს? დამნაშავემ შესაძლოა თავშესაფარი ეძიოს ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც არ გააჩნია მისი გასამართლების იურისდიქცია, ან, თუ სახელმწიფოს არ სურს ან არ ძალუძს მისი გასამართლება ყველა მტკიცებულებისა და მოწმის საზღვარგარეთ ყოფნის გამო. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საერთაშორისო სამართალში შემოღებულ იქნა ექსტრადიციის პრაქტიკა; პირების ექსტრადირება (ანუ გადაცემა) ხდება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის, ჩადენილი დანაშაულისათვის დასჯის მიზნით. ექსტრადიციის საკითხი მოიცავს ისეთი მსჯავრდებულების გადაცემასაც, რომლებმაც თავი აარიდეს დასჯას.

მრავალი საინალმდეგო აზრის არსებობის მიუხედავად, ექსტრადიციის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში არ არსებობს გადაცემის მოვა-

⁶¹ იხ. თ. 14.

⁶² A.T.S. Leenen, *Extraterritorial Law*, NYIL 5 (1984), 139-66; P.M. Barlow, *Aviation Antitrust. The Extraterritorial Application of the United States Antitrust Laws and International Air Transportation*, 1988; J.-G. Castel, *Extraterritoriality in International Trade, Canada and United States of America Practices Compared*, 1988. I. Seidl-Hovenveldern, *Extraterritorial Respect of States Acts*, Hague YIL 1 (1988); F.A. Mann, *The Extremism of American Extraterritorial Jurisdiction*, ICLQ 39 (1990), 410 *et seq*; A. Bianchi, *Extraterritoriality and Exports Controls: Some Remarks on the Alleged Antinomy Between European and U. S. Approaches*, GYIL 35 (1992), 366; P. M. Roth, *Reasonable Extraterritoriality: Correcting the "Balance of Interests"*, ICLQ 41 (1992), 245 *et seq*; W. Meng, *Extraterritoriale Jurisdiktion im Offentlichen Wirtschaftrech*, 1994; A. Roberston /M. Demetriou, "But that was another Country...". *The Extraterritorial Application of the US Antitrust Laws in the US Supreme Court*, ICLQ 43 (1994);

⁶³ ILM 35 (1996) 357. ასევე იხ. ირანისა და ლიბიის სასანქციო აქტი, მიღებული გერმანიის მიერ 1996 წელს, ILM (1996) 1273;

⁶⁴ აგრეთვე, იხ. თ. 13.

⁶⁵ იხ. European Union Demarches in ILM 35 (1996), 397; ასევე იხ. OAS Inter-American Judicial Committee, ILM 35 (1996), 1322.

⁶⁶ იხ. A. F. Lwenfeld, *Congress and Cuba: The Helmsburton Act*, AJIL 90 (1996), 419-34; საინალმდეგო მოსაზრება იხ. B.M. Chagret, *Title III of the Helms-Burton Act Consistent with International Law*, *ibid.* 434-40; ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით იხ. A.F. Lwenfeld, *Conflict, Balancing of Interest and the Exercise of Jurisdiction to Prescribe; Reflection on the Insurance Antitrust Case*, AJIL 89 (1995), 42-53; P.R. Trimble, *The Supreme Court an International Law: The Demise of Restatement Section 403*, *ibid.*, 53-7. L. Kramer, *Extraterritorial Application of American Law after the Insurance Antitrust Case: A Reply to Professors Lowenfeld and Trimble*, *ibid.*, 750-8.

⁶⁷ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლებრივ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ იხ. R.

Geiger, EPIL 9 (1986), 248-55. 241-8; 235-41; Restatement (third), Vol.1, 525 et seq.; 591 et seq.; D. McClean, Mutual Assistance in Criminal Matters: The Commonwealth Initiative, ICLQ 37 (1988), 177; D. McClean, Judicial Assistance, 1992; W.C. Gilmore, Mutual Assistance in Criminal and Business Regulatory Matters, 1995.

⁶⁶ იბ. Weis, The Draft UN Convention on Territorial Asylum, BYIL 50 (1979), 151. საელჩოებსა და სამხედრო ხომალდებზე თავშესაფრის თხოვნის სპეციალურ საკითხთან დაკავშირებით იბ. D.P. O'Connell, International Law, 2nd edn 1970, Vol. 2, 734-40. J.A. Barberies, Asylum, Diplomatic, EPIL I (1992), 281-3. A. Grah-Madsen, Asylum, Territorial, ibid., 283-7;

⁶⁹ იბ. A.V. Lowe/C. Warbrick, Extraterritorial Jurisdiction and Extradition, ICLQ 36 (1986), 398-423; I.A. Shearer, Extradition in International Law, 1971; I. Stanbrook/C. Stanbrook, The Law and Practice of Extradition, 1980. ასევე, იბ. ამავე წიგნის მე-6 გამოცემა, 107-10. Restatement (Third), Vol. 1, 556 et seq; L.C. Green, Terrorism, the Extradition of Terrorists and the "Political Offence" Defence, GYIL 31 (1988), 337-71; G. Gilbert, Aspects of Extradition Law, 1991; B. Swart, Refusal of Extradition and the United Nations Model Treaty on Extradition, GYIL 36 (1993), 36-59; G. Gilbert, Extradition, ICLQ 42 (1993), 442 et seq; T. Stein, Extradition, EPIL II (1995), 327-34; Extradition Treaties, ibid, 334-7;

⁷⁰ Lockerbie Case, Order of 14 April 1992, ICJ Rep. 1992, 114; ILM 31 (1992), 662. C.C. Joyner/W.P. Rothbaum, Libya and the Aerial Incident at Lockerbie; What Lesson for International Extradition Law, Mich. Jil 14 91993) 222.

⁷¹ იბ. თ. 18. ასევე, იბ. თ. 20 სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დამნაშავეთა გადაცემაზე ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალებისათვის.

ლეობაც. ხშირად საუბარია იმაზე, რომ თავშესაფრის უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება ექსტრადიციის საკითხი; სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს აქვს უფლება, თავშესაფარი მისცეს გამოქცეულ დამნაშავეს, თუკი სახელმწიფო ვალდებული არ არის გადასცეს ის ხელშეკრულების საფუძველზე. თავშესაფრის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას – მისცეს თავშესაფარი; პირს არ აქვს თავშესაფრის დაჟინებული მოთხოვნის უფლება.⁶⁸ მეორე მხრივ, საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც უკრძალავს სახელმწიფოს დამნაშავეს გადაცემას ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში.⁶⁹

ექსტრადიციის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში დამნაშავეს გადაცემის შესახებ ვალდებულების პრობლემა წამოიჭრა უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე ლიბიის წინააღმდეგ სანქციის მიღებისას. საკითხი ეხებოდა შოტლანდიაში, ლოკერბის მახლობლად, ტერორისტული აქტის შედეგად თვითმფრინავის ჩამოგდებას. ლიბიამ საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ.⁷⁰ საერთაშორისო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილება ამ საქმესთან დაკავშირებით არ მიუღია ამ წიგნის წერის პერიოდისათვის. აღნიშნული საქმე გარკვეულწილად ეხება უშიშროების საბჭოს სამართლებრივი უფლებამოსილების საზღვრებს და საერთაშორისო სასამართლოს როლს. ეს საკითხი მოგვიანებით უფრო ფართოდ იქნება განხილული.⁷¹

8. იმუნიტეტის საკითხი სახელმწიფოს იურისდიქციასთან მიმართებაში

არსებობს გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და ერთეულებისა, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, იმუნიტეტით სარგებლობენ მუნიციპალურ სასამართლოებში. ორ ძირითად კატეგორიას წარმოადგენენ უცხო სახელმწიფოები (სუვერენული ან სახელმწიფო იმუნიტეტი) და მათი დიპლომატიური წარმომადგენლები (დიპლომატიური იმუნიტეტი); სხვა არსებული კატეგორიებიდან მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტი. მართალია, უკანასკნელი ორი შემთხვევა სახელმწიფო იმუნიტეტის საკითხთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისინი თავისი შინაარსით მაინც განსხვავდებიან და ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

სუვერენული (ან სახელმწიფო) იმუნიტეტი

საერთაშორისო სამართალში სახელმწიფო იმუნიტეტი მოიცავს სამართლებრივ წესებსა და პრინციპებს, რომელიც განსაზღვრავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს (ე.წ. „ფორუმი სახელმწიფო“) იურისდიქციისაგან (საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება) თავისუფლების პირობებს.¹ პრაქტიკაში, სახელმწიფოს იმუნიტეტის საკითხი, რომელიც ორი განსხვავებული მიმართულებით წამოიჭრება, შიდა-სახელმწიფოებრივი სასამართლოების უფრო ფართო განსჯის საგანია, ვიდრე ნებისმიერი სხვა საერთაშორისო სამართლის საკითხი.² პირველ რიგში ის ეხება უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტს მეორე სახელმწიფოს ადგილობრივი სასამართლოების წინაშე, როდესაც საქმე ეხება, მაგალითად, კონტრაქტს ან სამოქალაქო სახის დავას. მეორე საკითხი ეხება უცხო სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო საკუთრების მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენებისაგან თავის შეკავებას, განსაკუთრებით ადგილობრივი სასამართლოების გადანაცვლებების აღსრულებისას, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოს მიერ სახელმწიფოს საელჩოს საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება.³ სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ არსებული წესები ჩვეულებითი სამართლის ნაწილია და ზოგჯერ ინკორპორირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც, როგორცაა 1972 წლის ევროპის კონვენცია სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ.⁴ ეროვნულ დონეზე კი პრეცედენტული სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოებმა მიიღეს სპეციალური კანონები, როგორცაა 1976 წლის ამერიკის შეერთებული შტატების უცხო სუვერენის იმუნიტეტის აქტი (FSIA),⁵ 1978 წლის გაერთიანებული სამეფოს აქტი სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ⁶ ან 1985 წლის ავსტრალიის უცხო სახელმწიფოთა იმუნიტეტის აქტი.⁷ სამოქალაქო სამართლის სისტემის სახელმწიფოების სასამართლოების მიერ ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე იმუნიტეტის შესახებ დოქტრინამ ფართო განვითარება პოვა. მართალია, გარკვეული მსგავსება შეინიშნება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრინციპებს შორის,⁸ მაგრამ ორივე დონე უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან მეთოდოლოგიური მიზეზების გამო (თუკი, რა თქმა უნდა, არ ავირჩევთ „მონისტურ“ მიდგომას საერთაშორისო და მუნიციპალურ სამართალს შორის არსებული დამოკიდებულების მიმართ⁹).

იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოები დამოუკიდებელნი და სამართლებრივად თანასწორნი არიან,¹⁰ არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი იურისდიქციის განხორციელება მეორე სახელმწიფოს მიმართ ამ უკანასკნელის თანხ-

¹ *ib. CMIL*, 286-319; *Restatement (third)*, Vol. 1, 390 *et seq.*; *S. Sucharitkul*, *Immunities of Foreign States Before National Authorities*, *RdC* 149 (1976), 87; *I. Sinclair*, *The Law of Sovereign Immunity: Recent Developments*, *RdC* 167 (1980), 113; *UN Materials on the Jurisdictional Immunities of States and Their Property*, *UN Doc. ST/LEG/SER.B/20* (1982), 297-321; *J. Crawford*, *International Law and Foreign Sovereigns: Distinguishing Immune Transactions*, *BYIL* 54 (1983), 75; *g.in. Badr*, *State Immunity: An Analytical and Prognostic View*, 1984; *H. Steinberger*, *State Immunity*, *EPIL* 10 (1987), 428-46; *P.D. Trooboff*, *Foreign State Immunity: Emerging Consensus on Principles*, *RdC* 200 (1986-V), 236-43; *R. Jennings*, *The Place of the Jurisdictional Immunity of States in International and Municipal Law*, 1987; *C. Schreuer*, *State Immunity: Some Recent Developments*, 1988; *W. Tsutsui*, *Subjects of International Law in the Japanese Courts*, *ICLQ* 37 (1988), 325-36; *M.W. Gordon*, *Foreign State Immunity in Commercial Transactions*, 991; *R. Donner*, *Some Recent Caselaw concerning State Immunity Before National Courts*, *FYIL* 5 (1994), 388-428; *A. Zimmermann*, *Sovereign Immunity and Violations of International Jus Cogens – Some Critical Remarks*, *Mich. JIL* 16 (1995), 433-40; *H. Fox*, *Jurisdiction and Immunities*, in *V. Lowe/M. Fitzmaurice* (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 210-36;

² *L. Bouchez*, *The Nature and Scope of State Immunity from Jurisdiction and Execution*, *NYIL* 10 (1979), at 4;

³ გერმანიის შემთხვევაში *ib. German Bundesverfassungsgericht*, *Decision of 3 December 1977*, *BverfGE* 46, 342; *H. Steinberger*, *Immunity Case (German Federal Constitutional Court, 1977)*, *EPIL* II (1995), 943-5; ასევე *ib. Ch. J. Oehler*, *German Sovereign Immunity Defense*, *Fla. JIL* 6 (1991), 445-74;

⁴ *ILM* 11 (1972), 470. *ib. H. Damian*, *European Convention on State Immunity*, *EPIL* II (1995), 197-201;

⁵ *PL*, 94-583 (1976), 90 *Stat.* 2891, *ILM* 15 (1976), 1388; ცვლილებებით *ib. PL*, 100-699 (1988). ასევე *ib. M.B. Feldman*, *The United States*

Foreign Sovereign Immunities Act of 1976; A Founder's View, ICLQ 35 (1986), 302; G.R. Delaume, The Foreign Sovereign Immunities Act and Public Debt Litigation: Some Fifteen Years Later, AJIL 88 (1994), 257; ⁶ILM 17 (1978), 1123, *ob. F.A. Mann, The State Immunity Act 1978, BYIL 50 (1973), 43; H. Fox, A 'Commercial Transaction' Under the State Immunity Act 1978, ICLQ 43 (1994), 193; D. Hockl, The State Immunity Act 1978 and its interpretation by the English Courts, AJPI 48 (1995), 121-59; ⁷ILM 25 (1986), 715; ⁸იხ. ჯენინგსის მიერ მომზადებული ანალიზი, *op. cit.* ⁹ იხ. თ. 4.*

¹⁰ იხ. თ. 1.
¹¹ Mighell v. Sultan of Johre, (1984) 1QB 149 (ცოლად მოყვანის დაპირების არ შესრულება). სულთანის რომ ძალით დაებრუნებინათ უკან, მას ალბათ გაასამართლებდნენ მმართველობის დროს ჩადენილი პირადი (არაოფიციალური) ხასიათის ქმედებებისათვის. ქვემოთ იხ. ანალოგიური შემთხვევა დიპლომატიკის მიმართებაში. ყოფილი მეთაურების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ინგლისური კანონმდებლობა მოცემულია სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ 1978 წლის აქტის მე-14(1) და მე-20 სექციებში. ასევე იხ. J.A. Zarberis, Representatives of States in International Relations, EPIL 10(1987), 353-8; C.A. Whomersley, Some Reflections on the Immunity of the Individuals for Official Acts, ICLQ 41 (1992), 848 *et seq.*; A. Watts, The Legal Position in International Law of Heads of States, Heads of Governments and Foreign Ministers, RdC 247 91994-III);

¹² იხ. მოქმედი იურიდიული მრჩეველის წერილი, J.B. Tate to Department of Justice, May 19, 1952, *Dept. State Bull.* 26 984 (1952), 1985.
¹³ 1978 State Immunity Act, *op. cit.* აქტი აგრეთვე უზრუნველყოფს სხვა გამონაკლისი შემთხვევების არსებობას, იხ. სექციები 3-11;

¹⁴ იხ. ინტერამერიკული კონვენციის პროექტი სახელმწიფო იმუნიტეტის იურისდიქციის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ამერიკის იურიდიული კომიტეტის მიერ 1983 წლის 21 იანვარს, ILM 22(1983), 292;
¹⁵ იხ. J.V. Feinerman, Sovereign Immunity in the Chinese Case and its implications for the Future of the International Law, in R.St.J. Macdonald (ed.), *Essays in Honour of Wang Tieya*, 1994, 251-84;
¹⁶ ILM 11(1972), 470. AJIL 66

მობის გარეშე; კერძოდ, როგორც წესი, ერთი სახელმწიფოს სასამართლოებს არ შეუძლიათ იურისდიქციის განხორციელება მეორე სახელმწიფოს მიმართ.

ისტორიულად მმართველი (მეფე) გაიგივებული იყო სახელმწიფოსთან და დღესაც უცხო სახელმწიფოს მეთაური აბსოლუტური იმუნიტეტით სარგებლობს, იმ ქმედებების მიმართაც კი, რომლებიც მან არასამსახურებრივი (პირადი) მიზნისათვის განახორციელა.¹¹ თავდაპირველად, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, გამოიყენებოდა სახელმწიფოს აბსოლუტური იმუნიტეტის დოქტრინა, რომელიც მოიცავდა სახელმწიფოს ქმედებების ყველა სახეს და მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისს აღიარებდა. სადღეისოდ არსებული ტენდენციები ან, ყოველ შემთხვევაში, მრავალი სახელმწიფოს პრაქტიკა იმისკენ არის მიმართული, რომ მიიღოს განსაზღვრული იმუნიტეტი – რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სახელმწიფო იმუნიტეტით მხოლოდ სახელმწიფოებრივ ქმედებებთან დაკავშირებით სარგებლობს (*iure imperii*), და არა კომერციული ხასიათის ქმედებებთან დაკავშირებით (*iure gestionis*). ასეთი მკაფიო განსხვავება გამოხატავს სახელმწიფოების ეკონომიკური საქმიანობის ზრდას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

დიდი ხნის მანძილზე ინგლისურენოვანი სახელმწიფოები მიმართავდნენ აბსოლუტური იმუნიტეტის წესს, რომლის თანახმად, სახელმწიფოები სარგებლობდნენ იმუნიტეტით ყოველგვარი ქმედებისას, მათ შორის, კომერციული ხასიათის საქმიანობაშიც. აღსანიშნავია, რომ საერთო სამართლის სისტემამ, სამოქალაქო სამართლის სისტემისაგან განსხვავებით, უფრო დიდხანს შეინარჩუნა აბსოლუტური სუვერენიტეტის თეორია, თუმცა 1952 წელს ამერიკამ უარი განაცხადა აბსოლუტური იმუნიტეტის წესზე და მიიღო კანონი განსაზღვრული იმუნიტეტის შესახებ.¹² ინგლისური სასამართლოები 1952 წლის შემდეგაც განაგრძობდნენ აბსოლუტური იმუნიტეტის წესის გამოყენებას თავისი პატივისცემის გამოსახატავად ინგლისის სასამართლოს მანამდელი გადანყვეტილებების მიმართ, როდესაც ეს წესი გამოიყენებოდა; 70-იან წლებში სასამართლოები თანდათან გადაიხარნენ განსაზღვრული იმუნიტეტის წესისაკენ, მაგრამ ძველ და ახალ სასამართლო გადანყვეტილებებს შორის არსებულმა განსხვავებამ გარკვეული გაუგებრობა შემოიტანა ინგლისურ სამართალში. 1978 წელს საქმეში ჩაერია დიდი ბრიტანეთის პარლამენტი და მიიღო აქტი სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ, რომლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ უცხო სახელმწიფო არ სარგებლობს იმუნიტეტით კომერციული ხასიათის ურთიერთობებში.¹³ სხვა სახელმწიფოები, როგორცაა კანადა, პაკისტანი და სამხრეთ აფრიკა, მოქმედებდნენ და კანონებს იღებდნენ შეზღუდული იმუნიტეტის თეორიის საფუძველზე. სხვა სახელმწიფოებში სასამართლოების მიერ ამ საკითხის გადანყვეტა იმავე მიმართულებით განვითარდა. დღესდღეისობით სახელმწიფოთა უმრავლესობა განსაზღვრული იმუნიტეტის წესს მისდევს, თუმცა აბსოლუტური იმუნიტეტის წესი ჯერ კიდევ გამოიყენება ზოგი სახელმწიფოს მიერ, განსაკუთრებით, სამხრეთ ამერიკაში.¹⁴ საბჭოთა იმპერიის რღვევასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად, ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებიც აბსოლუტური იმუნიტეტის თეორიას ეყრდნობოდნენ, საგრძნობლად შემცირდა. განსაკუთრებულ შემთხვევად რჩება ჩინეთი.¹⁵

საერთაშორისო მექანიზმები, მაგალითად, 1972 წლის ევროპის კონვენცია სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ, რომლის რატიფიცირებაც თითქმის სახელმწიფოთა იძულებით მოხდა,¹⁶ ან 1982 წელს საერთაშორისო სამართლის ასოციაციის მიერ მიღებული მონრეალის კონვენციის პროექტი,¹⁷ მხოლოდ განსაზღვრული იმუნიტეტის პრინციპს ეყრდნობა. 1992 წელს გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტში სახელმწიფოს იმუნიტეტისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ნივთების მიმართ იმუნიტეტის საკითხში კონსენსუსის მიღწევის საფუძველზე უპირატესობა მიენიჭა იმუ-

ნიტეტის შეზღუდულ თეორიას.¹⁸ თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეზღუდული თეორიის მნიშვნელოვანი სხვაობები სახელმწიფოთა პრაქტიკაში დაძლეულ იქნა. სწორედ ეს ფაქტი მიანიშნებს ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ ხელშეკრულების მიღებისა და მისი კოდიფიცირების აუცილებლობაზე, რაზეც მრავალი საერთაშორისო ორგანო მუშაობს.¹⁹ არც იმის მტკიცებაა შესაძლებელი, რომ იმუნიტეტის შეზღუდული თეორია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი გახდა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, სხვა სახელმწიფოებს იმუნიტეტი მხოლოდ ეროვნული სასამართლოების წინაშე მიანიჭონ, თუკი უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სარჩელი *de jure imperii*-ს ემყარება და გადაწყვეტილების აღსრულებისას იმუნიტეტის გამოყენება შეეხება უცხო სახელმწიფოს საკუთრებას, რომელიც საჯარო (არაკომერციული) მიზნებისათვის გამოიყენება.²⁰ რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს საკუთრებასთან დაკავშირებულ ქმედებას *de jure gestionis*, ამ თვალსაზრისით, იმუნიტეტის მინიჭება სახელმწიფოს სურვილზეა დამოკიდებული, ის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს.

ზოგ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ კვალიფიციური იმუნიტეტის წესი თავისთავად მოიცავს მოსაზრებას, თითქოს სახელმწიფოებისათვის მიუღებელია კომერციულ საქმიანობაში ჩართვა. ეს ასე არ არის. პოლიტიკური შეხედულების თანახმად, ხელისუფლების მიერ განხორციელებულ და კომერციულ საქმიანობას შორის არსებული განსხვავება ემყარება არა ქმედებათა მიკუთვნებას სახელმწიფოსადმი, არამედ ადგილობრივი სასამართლოს უფლებამოსილებას, განიხილოს მსგავსი ქმედებებიდან წარმოშობილი უთანხმოებები. ქმედება, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება განხორციელოს მხოლოდ სახელმწიფომ, მაგალითად, საკუთრების ექსპროპრიაცია ან ბირთვული იარაღის გამოცდა, როგორც წესი, მოიცავს საერთაშორისო პოლიტიკის დელიკატურ საკითხებს, რის გამოც მიუღებელი ხდება მათი განხილვა ადგილობრივი სასამართლოების მიერ. ამ მოსაზრებამ შეიძლება აიძულოს ადგილობრივი სასამართლო, უარი განაცხადოს საქმის განხილვაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზემოაღნიშნული უცხო სახელმწიფო არ წარმოადგენს მხარეს სამართალწარმოებაში.²¹ მაგრამ არსებობს ქმედებები, რომელთა განხორციელება თანაბრად შეუძლიათ სახელმწიფოებსა და კერძო პირებს, მაგალითად, პურის მარცვლის შესყიდვაზე ხელშეკრულების გაკორმება, რაც უშუალოდ ადგილობრივი სასამართლოების განხილვის საგანს წარმოადგენს. ადგილობრივი სასამართლოს მიერ მსგავსი საქმის განხილვაზე უარის თქმა გაუმართლებელ სიძნელეებს გამოიწვევდა.

შედარებით უფრო სერიოზულ არგუმენტს კვალიფიციური იმუნიტეტის წესის წინააღმდეგ წარმოადგენს სახელმწიფოსა და კომერციულ ქმედებებს შორის ზუსტი განსხვავების არარსებობა, რამაც სახელმწიფო იმუნიტეტის თეორია კიდევ უფრო გაართულა, ვიდრე ეს აბსოლუტური სუვერენიტეტის დროს იყო.²² თუკი საქმე შეეხება სახელმწიფოს მიერ „კლასიკური“ ხასიათის ფუნქციების შესრულებას, როგორცაა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჯარის გამოყენება, მაშინ საკითხი შედარებით ადვილი მოსაგვარებელია. 1989 წელს ამერიკის უზენაესმა სასამართლომ არგენტინის რესპუბლიკა ამერადა ჰესის სანაოსნო კორპორაციის წინააღმდეგ საქმის (*Argentine Republic v. Amerada Hess Shipping Corp. case*) განხილვისას არგენტინას მიანიჭა იმუნიტეტი კერძო პირის სარჩელის მიმართ, რომლის ტანკერსაც ფოლკლენდის ომის დროს თავს დაესხა არგენტინის თვითმფრინავი ღია ზღვაში.²³ სასამართლომ ასევე უარყო სარჩელი სუვერენის იმუნიტეტის წინააღმდეგ. ამ სარჩელის თანახმად, არგენტინის ქმედება ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს.

მდგომარეობა შედარებით რთულდება, როდესაც უცხო სახელმწიფოები საჯარო მიზნების მისაღწევად კერძო კომერციული საქმიანობის ფორმას

(1972), 923. *ib. Damian, op. cit.*

¹⁷ *ib. I.L.A. Rep.*, 1994, 454 (by G. Ress). 1982 წლის მონრეალის კონვენციის პროექტი *ib. at* 488;

¹⁸ ILM 30(1991), 1565. საერთაშორისო სამართლის კომისიის მუშაობის შესახებ *ib. D. W. Greig, Forum State Jurisdiction and Sovereign Immunity under the International Law Commission's Draft Articles, ICLQ 38 (1989).* 243-76; Specific Exceptions to Immunity under the International Law Commission's Draft Articles, *ibid* 560-88; C. Kessedjian/C. Schreuer, *Le Project de la Commission du Droit International des Nations-Unies sur les immunités des Etats*, RGDIP (1992), 299-341; M. Byers, *State Immunity: Article 18 of the International Law Commission's Draft, ICLQ 44 (1995)*, 882-93;

¹⁹ ზემოაღნიშნული მაგალითების გარდა ასევე აღსანიშნავია Institut de Droit International, 14th Commission, Contemporary Problems Concerning the Immunity of States in Relation to Questions of Jurisdiction and Enforcement, Basel Resolution of 31, August 1991, *Ann. IDI 64 (1991-1)*, 430, or the Afro-Asian Consultative Commission;

²⁰ Steinberger (1987), *op. cit.*, at 432;

²¹ მაგალითისთვის *ib. Buttes Gas and Oil Co. v. Hammer (No.3)*, (1982) AC 888;

²² Steinberger (1987), *op. cit.*, 443;

²³ *Argentina Republic v. Amerada Hess Shipping Corp.*, 109 S. Ct. 683 (1989).

²⁴ აღნიშნული მიდგომა აღიარა აშშ-მ (1976 Foreign Sovereign Immunities Act, section 1603(d)) and in the UK (*Trentex Trading Corporation v. Central Bank of Nigeria*, (1977) QB 529, 558, 579; *I Congreso del Partido*, (1981) 3 WLR 328, 335, 337, 345, 349, 350, 351; section 3(3) SIA;

²⁵ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქმეების განხილვა იხ. M. Herdegen, *Internationales Wirtschaftsrecht*, 2nd. Edn 1995, 69 et seq.

²⁶ მაგ. იხ. H. Ogunniran, *The Successive Demise of the Doctrine of State Immunity from Tort Liability: A Comparative Appraisal with Emphasis on the Nigerian Experience*, AJCL 4 (1992), 369-94; M.H.J. Krent, *Reconceptualizing Sovereign Immunity*, Vand. LR 45 (1992), 1529-80;

²⁷ იხ. თ. 7. აგრეთვე, იხ. W.F. Pepper, *Iraq's Crimes of State Against Individuals and Sovereign Immunity*, Brooklyn JIL 18 (1992), 313-84;

²⁸ იხ. R. Res, *op.cit.*, 452 et seq;

²⁹ სხვა გამოხატულებები იხ. I. Brownlie, *Principles of Public International Law*, 4th edn 1990, Chapter XV; sections 6 and 7 SIA;

³⁰ *The Parlement Belge* (1880), 5 PD 197;

³¹ *The Cristina*, (1938) AC 485; *The Arantzazu Mendi*, (1939) AC 256;

³² *USA and France v. Dollfus Mieg et Campagnie*, (1952) AC 582;

³³ *Juan Ysmael & Co. v. Republic of Indonesia*, (1955) AC 72;

ირჩევენ. ზოგიერთი სახელმწიფო *de jure imperii*-სა და *de jure gestionis*-ს განასხვავებს თავად ქმედების ბუნებიდან გამომდინარე (ობიექტური ტესტი)²⁴, სხვანი კი თავად მიზნიდან გამომდინარე მოქმედებენ (სუბიექტური ტესტი). მაგალითად, ჯარისათვის ფეხსაცმლის შექმნა პირველი ტესტის მიხედვით კომერციულ ქმედებად ჩაითვლება, ხოლო მეორე ტესტის მიხედვით – სახელმწიფოებრივ ქმედებად, თუმცა, სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, რჩება მნიშვნელოვანი სიძნელეები და წინააღმდეგობები (ან გაურკვეველი საკითხები),²⁵ მათ შორის, კომერციული დათქმა საჯარო ვალის სფეროში / უცხოურ ცენტრალურ ბანკთან სასამართლო პროცესის დროს და კომერციული საქმიანობისა და სამოქალაქო დელიქტების იმუნიტეტთან მიმართებაში,²⁶ უცხო სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისგან (მაგალითად, წამებისგან) თავდაცვის მიზნით იმუნიტეტის გამოყენების შესაძლებლობა.²⁷ ეს ასევე ეხება საკითხს, თუ რამდენად შეუძლიათ კერძო პირებს იმუნიტეტის გამოყენება (უცხო სახელმწიფოებისა და მათი ორგანოებისაგან განსხვავებით).²⁸

ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტური იმუნიტეტის წესის მიხედვით, ძველი პრობლემატური საკითხი, რომელიც დღესდღეობით ნაკლებად ქმნის საფრთხეს, თუ რამდენად წარმოადგენს ნაციონალიზებული საწარმო სახელმწიფოს ნაწილს (და, შესაბამისად, უჩნდება თუ არა სახელმწიფო იმუნიტეტის მსგავსი იმუნიტეტით სარგებლობის უფლება), მრავალ საერთაშორისო ხასიათის დავას იწვევს. მსგავსი ხასიათის დავების თავიდან აცილება შესაძლებელია კვალიფიციური იმუნიტეტის წესის გამოყენებით. შესაბამისად, ნაციონალიზებული საწარმოების მიერ განხორციელებული ქმედებების უმრავლესობას მიეცემა კომერციული საქმიანობის სახე და მოეხსნება იმუნიტეტი, რის გამოც ნაციონალიზებული საწარმოების სახელმწიფოსადმი მიკუთვნების საკითხი აზრს დაკარგავს.

აქამდე განხილული მაგალითები უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ წარდგენილ სამართლებრივ სარჩელებს ეხებოდა. იმუნიტეტი ასევე მოიცავს საკუთრებასთან დაკავშირებულ საქმეებს, როდესაც უცხო სახელმწიფოს აქვს გარკვეული ინტერესი, მიუხედავად იმისა, რომ მესამე სახელმწიფო შეიძლება არც კი წარმოადგენდეს დავის მხარეს (კვალიფიციური იმუნიტეტის წესის თანახმად, სახელმწიფო არ სარგებლობს იმუნიტეტით, თუკი ის საკუთრებას კომერციული მიზნებისათვის იყენებს).²⁹ მაგალითად, თუ A უჩივლებს B-ს და დავის საგანს წარმოადგენს B-ს უფლება იმ საკუთრებაზე, რომელიც უცხო/მესამე სახელმწიფომ დაიქირავა B-საგან, უცხო/მესამე სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს და შეაჩეროს სამართალწარმოება, რადგანაც A-ს საკუთილდღეოდ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება უცხო/მესამე სახელმწიფოს ინტერესი დააზარალოს საკუთრებასთან მიმართებაში. ეს წესი მაშინ მოქმედებს, თუკი უცხო/მესამე სახელმწიფო ამტკიცებს ამ ნივთზე საკუთრების უფლებას³⁰ ან საკუთრების უფლებასთან გათანაბრებულ უფლებას, როგორცაა მფლობელობა³¹ ან კიდევ უპირატესი მფლობელობის უფლება.³²

რა თქმა უნდა, სასამართლოს არ შეუძლია უცხო სახელმწიფოს შეაწყვეტინოს ორ კერძო პირს შორის არსებული საქმის განხილვა უბრალოდ საკუთრებასთან დაკავშირებით არსებული ინტერესის გამო, მით უმეტეს, ნივთმტკიცებების გარეშე. მეორე მხრივ, უცხო/მესამე სახელმწიფოსადმი მოთხოვნა – დაამტკიცოს საკუთრებაზე უფლება, უაზროს ხდის იმუნიტეტის იდეას, რადგანაც ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო იძულებული იქნება, აღიაროს სასამართლოს იურისდიქცია. მაგალითისათვის, ინგლისის სასამართლოები შუალედური დინების პრინციპით ხელმძღვანელობენ უცხო სახელმწიფოსაგან საკუთრების უფლებასთან არსებული ინტერესის *prima facie* ვარგისიანობასთან დაკავშირებით; უცხო/მესამე სახელმწიფომ უნდა „სასამართლოს წინაშე წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი მტკიცებულება, რომ მის მიერ აღძრული სარჩელი არ არის ილუზიური ხასიათისა ან/და არ ეყრდნობა არარსებულ უფლებას.“³³

დაბოლოს, ყველაზე რთულ შეკითხვას წარმოადგენს თავად „სახელმწიფოს“ განმარტება იმუნიტეტის საკითხთან მიმართებაში. თუკი ბრიტანეთის სახელმწიფო დაემონუმება, რომ ის გარკვეულ ერთეულს აღიარებს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, მაშინ ინგლისის სასამართლოები ამ უკანასკნელს იმუნიტეტს უბოძებენ.³⁴ სიძნელეები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება: მაგალითად, თავად ის ფაქტი, რომ რურიტანია შეიძლება სუვერენულ სახელმწიფოდ იქნეს აღიარებული, არ ნყვეტს ყველა არსებულ საკითხს, მაგალითად, თუ რამდენად წარმოადგენენ რურიტანიის ისეთი პოლიტიკური ერთეულები, როგორიცაა პროვინციები და ქალაქ-საბჭოები, სახელმწიფოს შემადგენელ ერთეულს მათზე სუვერენული იმუნიტეტის გავრცელების მიზნით. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული საქმეები არაერთგვაროვანია.³⁵ შესაბამისად, დაისმის კითხვა, უნდა მივიჩნიოთ თუ არა რურიტანიაში არსებული ნაციონალიზებული საწარმოები და სხვა მსგავსი ორგანოები სახელმწიფოს ნაწილად სუვერენული იმუნიტეტის ბოძების მიზნით? ამ შემთხვევაშიც კი გარემოებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება ერთი კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნული იურისდიქციის ფარგლებშიც კი.

³⁴ Section 21 SIA;
³⁵ Brownlie (1990), *op.cit.*;
 Section 14 SIA;
³⁶ J.-P. Fonteyne, *Acts of State*, EPIL I (1992), 1702; Restatement (Third), Vol. 1, 366 *et seq.*
³⁷ იბ. თ. 4.
³⁸ Lipstein, *Recognition of Governments and the Application of Foreign Law*, Trans. Grot. Soc. 35 (1949), 157.

დოქტრინა სახელმწიფოს ქმედების შესახებ

ზოგიერთი სახელმწიფოს პრაქტიკაში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სუვერენული იმუნიტეტის პრინციპთან ახლო მდგომი პრინციპია ე.წ. „სახელმწიფოს ქმედების“ დოქტრინა.³⁶ ამ დოქტრინის თანახმად, არ შეიძლება ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა მეორე სახელმწიფოში იმ ქმედების გამო, რომელიც მან საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში განახორციელა (აღნიშნული დოქტრინის ფართო ვერსიის თანახმად, ეს წესი მაშინაც მოქმედებს, როდესაც სახელმწიფოს ქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს). დოქტრინა გარკვეულწილად კერძო საერთაშორისო სამართალს მოიცავს.³⁷ ინგლისში იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოების გადაწყვეტილებების ალტერნატიულ საფუძველს აღნიშნული დოქტრინა და კერძო საერთაშორისო სამართალი წარმოადგენდა. ასეთი შემთხვევების შედეგად ხშირად ხდება სახელმწიფოს ქმედების დოქტრინისა და კერძო საერთაშორისო სამართლის ერთმანეთში არევა (თუკი რურიტანია მოახდენს რურიტანიაში არსებული საკუთრების ექსპროპრიაციას, ინგლისის სასამართლოების მიერ აღნიშნული ექსპროპრიაციის ფაქტი იმის გამო იქნება მისაღები, რომ ის კანონიერია იმ სახელმწიფოს კანონების თანახმად, სადაც საკუთრება მდებარეობს (კერძო საერთაშორისო სამართალი), თუ იმიტომ, რომ ექსპროპრიაცია უცხო სახელმწიფოს მიერ იქნა განხორციელებული (დოქტრინა სახელმწიფოს ქმედების შესახებ)?³⁸). არსებობს გარკვეული განსხვავება: ერთი მხრივ, დოქტრინა სახელმწიფოს ქმედების შესახებ უფრო ფართო ხასიათისაა, ვიდრე კერძო საერთაშორისო სამართალი, რადგანაც ის მოიცავს უცხო სახელმწიფოს მიერ თავისსავე ტერიტორიაზე ჩადენილ ქმედებას, რომელიც მისსავე კანონებს ეწინააღმდეგება; მეორე მხრივ, დოქტრინა უფრო ვიწრო რეგულირების სფეროა, ვიდრე კერძო საერთაშორისო სამართალი, რადგანაც მხოლოდ სახელმწიფოს ქმედებას მოიცავს და არა ორ კერძო პირს შორის ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობას.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენად წარმოადგენს დოქტრინა სახელმწიფოს ქმედების შესახებ საჯარო საერთაშორისო სამართლის ნაწილს. ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებების არსებობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დოქტრინა, რეალურად, განსხვავებული ხასიათის ორ შემთხვევას მოიცავს:

1. პირველი შემთხვევაა, როდესაც კერძო პირის წინააღმდეგ შეტანილია

³⁹ M. Akehurst, Jurisdiction in International Law, BYIL 46 (1972-3), 145, 240-4;

⁴⁰ იბ. თ. 20.

⁴¹ იბ. თ. 6.

⁴² M. Pugh, Legal Aspects of the Rainbow Warrior Affair, ICLQ 36 (1987), 655-69, at 660-3;

⁴³ Banco Nacional de Cuba v. Sabbatino (1964), 376 US 398. აღნიშნულ საქმეში გადაწყდა, რომ აშშ-ს სასამართლოებს არ შეეძლოთ განეხილათ კუბის მიერ ამერიკის საკუთრებაში მყოფი შაქრის პლანტაციების ნაციონალიზაციის საკითხი; აღნიშნული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მიღებულ იქნა კონგრესის აქტი. იხ. K.R. Simmonds, ICLQ 14 (1965), 452 and J.P. Fonteyne, EPIL 10 91987), 381-83;

⁴⁴ თანამედროვე მდგომარეობის შესახებ იხ. M.W. Janis, *An Introduction to International Law*, 2nd edn 1993, 359-66;

⁴⁵ Akehurst, *op.cit.* 240-57 and the 6th edn of this book, at 47;

სარჩელი ან ასამართლებენ ერთი სახელმწიფოს სასამართლოში იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, როგორც მეორე სახელმწიფოს სამსახურში მყოფმა პირმა ან მისმა ქვეშევრდომმა. ასეთ შემთხვევაში დოქტრინა სახელმწიფოს ქმედების შესახებ სუვერენის იმუნიტეტის პრინციპის შედეგსა და საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებულ ნორმას წარმოადგენს. ყველა უცხო სახელმწიფოს მოსამსახურე თუ მისი ქვეშევრდომი (ან კიდევ ყოფილი მოსამსახურე ან ქვეშევრდომი) სარგებლობს იმუნიტეტით სასამართლოს წინაშე იმ ქმედებისათვის, რომელიც მათ უცხო სახელმწიფოს სახელით ჩაიდინეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალწარმოება არაპირდაპირი გზით სახელმწიფოს შეეხება, რადგანაც სახელმწიფო მოვალედ ჩათვლის თავს, დაეხმაროს ზემოაღნიშნულ პირს და გაათავისუფლოს ის ზარალის ანაზღაურებისაგან. ამავდროს, მსგავსი საქმეები მოიცავს ისეთ დელიკატურ საკითხებს, როგორიცაა საერთაშორისო პოლიტიკა, რის გამოც საქმის წარმოება ადგილობრივი სასამართლოების მიერ მიუღებელი ხდება. თუმცა დოქტრინაში სახელმწიფოს ქმედების შესახებ აბსოლუტურ იმუნიტეტს გარკვეული გამოწვევები გააჩნია;³⁹ მაგალითად, სამართალწარმოების დროს დოქტრინის გამოყენება არ შეიძლება ისეთი დანაშაულების დასაცავად, როგორიცაა ომის დანაშაული, მშვიდობის ანდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.⁴⁰ მაგალითად, ხომალდ *მებრძოლი ცისარტყელას* საქმეში (*Rainbow Warrior Case*)⁴¹ საფრანგეთის ორ ქვეშევრდომს მსგავსი ხასიათის დანაშაულები არ ჩაუდენია. ეს შემთხვევა უფრო იმ საქმეთა რიცხვს მიეკუთვნება, როდესაც ვერ ხერხდება იმუნიტეტის მტკიცება ადგილობრივი იურისდიქციის მიმართ (ზემოთ აღნიშნული საქმის შემთხვევაში – ახალი ზელანდიის) იმ ოფიციალურ წარმომადგენლებთან მიმართებაში, რომლებმაც უკანონოდ შეაღწიეს მეორე სახელმწიფოში ოფიციალური მიზნით – ჩაედინათ უკანონო ქმედება. საფრანგეთის სახელმწიფომ, მას შემდეგაც კი, რაც ზელანდიის სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა საფრანგეთის სახელმწიფო პასუხისმგებლობა არსებული შეტაკებისათვის, ოფიციალური განაცხადის მეშვეობით არ მიანიჭა თავის ორი ქვეშევრდომს იმუნიტეტი.⁴²

2. მეორე შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო განახორციელებს ექსპროპრიაციას მის ტერიტორიაზე არსებული საკუთრების მიმართ და მიჰყიდის კერძო პირს, რომელსაც ედავება ყოფილი მესაკუთრე მეორე სახელმწიფოს სასამართლოში. ამ შემთხვევაში განსხვავებული პრინციპი გამოიყენება; მყიდველი არ არის ვალდებული, იყიდოს საკუთრება იმავე ძალით, რომლითაც საჯარო მოსამსახურე ან ქვეშევრდომი იძულებულია, განახორციელოს სახელმწიფო ბრძანებები. სასამართლო პრაქტიკა, რომელიც სახელმწიფოს ქმედების დოქტრინას ეხება, ამერიკაში განვითარდა. აღსანიშნავია, რომ წამყვან საქმეში სასამართლომ სახელმწიფოს ქმედების დოქტრინა განიხილა არა როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმა, არამედ როგორც ამერიკის კონსტიტუციური სამართლის ნორმა, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარეობდა.⁴³ სასამართლომ უცხო სახელმწიფოს საქმიანობის ეჭვქვეშ დაყენებით ხელისუფლებას არ უნდა შეუქმნას პრობლემები საგარეო ურთიერთობების სფეროში. ამერიკაში ეს წესი განვითარდა სახელმწიფოს მიერ უცხო საკუთრების ექსპროპრიაციის პრეცედენტის განვითარებასთან ერთად, რაც, თავისთავად, არღვევს საერთაშორისო სამართალს. თუმცა სასამართლო პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი იმ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომლებიც არსებობს ამერიკის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლებრივი ჩარევისას გამოყენებული პოლიტიკური საშუალებების მიმართ.⁴⁴ ინგლისის სასამართლოები ზემოაღნიშნულ დოქტრინას სხვა ფორმით მიმართავენ.⁴⁵ ცივილური სამართლის სახელმწიფოები, როგორიცაა საფრანგეთი და

გერმანია, და მათი სამართლებრივი ტრადიციების მიმდევარი სხვა სახელმწიფოები, როგორც წესი, არ მიმართავენ სახელმწიფოს ქმედების იდეას (დოქტრინას), არამედ იყენებენ ნორმათა კოლიზიის პრინციპს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ ნაციონალიზების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღიარების განსაზღვრისას.

დიპლომატიური იმუნიტეტი

დიპლომატიური იმუნიტეტის წესები⁴⁶ ხალხში უკმაყოფილებას იწვევს მაგრამ ყოველთვის სრულდება სახელმწიფოთა მიერ, რადგანაც ამ წესების დაცვისას მათ საერთო ინტერესი ამოძრავებთ. შესაძლოა, სახელმწიფომ საზოგადოებრივი აზრის გამო შეზღუდოს უცხო ქვეყნის დიპლომატებისათვის მინიჭებული იმუნიტეტი. თუმცა ხელისუფლება ცდილობს, ნაკლებად მოხდეს მსგავსი ზეწოლის ქვეშ, რათა არ შეიქმნას პრეცედენტი, რომელსაც მისივე დიპლომატების წინააღმდეგ გამოიყენებენ. ყოველი სახელმწიფო არის „წარმგზავნი სახელმწიფო“ (ესე იგი, სახელმწიფო გზავნის დიპლომატიურ მისიას უცხო სახელმწიფოში) და „მიმღები სახელმწიფო“, შესაბამისად, დიპლომატიური იმუნიტეტის წესები უფრო კარგად მუშაობს, ვიდრე ნებისმიერი ნორმა ექსპროპრიაციის შესახებ, რომლის დროსაც ხშირად უპირატესობა ძლიერ სახელმწიფოებს გააჩნიათ. დიპლომატიური იმუნიტეტის ნორმები „უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების შესანარჩუნებლად და აღიარებულია მთელ მსოფლიოში ერების მიერ მრწამსის, კულტურისა და პოლიტიკური წყობილების მიუხედავად.“⁴⁷ ამ წესების მნიშვნელოვანი დარღვევა, როგორც იყო ირანის ქმედება ამერიკელი დიპლომატების მიმართ – მათი მძევლად აყვანის ფაქტი 1980-81 წლებში, მართალია ძალზე იშვიათია, მაგრამ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას, რაც განპირობებულია მსგავსი შემთხვევების იშვიათობით.⁴⁸

დიპლომატიური იმუნიტეტის შესახებ თანამედროვე სამართლის დიდი ნაწილი მოცემულია 1961 წლის ვენის კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ.⁴⁹ სახელმწიფოების კონვენციასთან მიერთება უნივერსალურ ხასიათს ატარებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია. კონვენციის უმეტესი ნაწილი ასახავს არსებულ ჩვეულებით სამართალს, და, შესაბამისად, წარმოადგენს ჩვეულებითი სამართლის ნორმას იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც კონვენციის წევრები არ არიან.

დიპლომატიური ურთიერთობები ორი დაინტერესებული სახელმწიფოს თანხმობის საფუძველზე ვითარდება.⁵⁰ მათი დარღვევა შესაძლებელია ცალმხრივად (მეორე სახელმწიფოს უკანონო ან არამეგობრული ქმედების უარყოფითი შეფასების მიზნით); როდესაც A სახელმწიფო წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობებს B სახელმწიფოსთან, ის არა მარტო უკან გაიხმობს თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობას/მისიას, არამედ მოითხოვს B სახელმწიფოსაგან, რომ მანაც გაიხმოს უკან თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა. მისიის მეთაურის დანიშვნისას საჭიროა მიმღები სახელმწიფოს თანხმობა (როგორც წესი, ეს პირი ელჩად იწოდება), მაგრამ არა მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების დანიშვნისას (თუმცა აქაც არსებობს ზოგიერთი გამონაკლისი). მიმღებმა სახელმწიფომ შეიძლება ნებისმიერ დროს გამოაცხადოს დიპლომატი *persona non grata*-დ, ანუ მიუღებელ პირად, რაც აიძულებს წარმგზავნ სახელმწიფოს, უკან გაიხმოს ზემოაღნიშნულ პირი; მსგავსი ნაბიჯი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმუნიტეტის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში სანქციის სახედ, თუმცა მიმღები სახელმწიფო აბსოლუტური უფლებით სარგებლობს და შეუძლია ეს ნაბიჯი სხვა შემთხვევებშიც გადადგას. ვენის კონვენციის მე-11 მუხლი განსაზღვრავს, რომ „მიმღებმა სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს, რომ წარმომადგენლობის სიდიდე გონივრულ

⁴⁶ Harris CML. 319-46; Restatement (Third), Vol. I, 455 *et seq*;

⁴⁷ *Tehran Hostages Case (USA v. Iran)*, ICJ Rep. 1980, 3, at 24. *nb. op. cit.* 17;

⁴⁸ *ib. ქვემოთ.*

⁴⁹ 500 UNTS 95, AJIL 55 (1961), 1064, Brownlie BDIL, 217. M. Hardy, *Modern Diplomatic Law*, 1968; E. Denza, *Diplomatic Law: Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations* (1961), EPIL 9 (1986), 393-8; J. Brown, *Diplomatic Immunity: State Practice under the Vienna Convention on Diplomatic Relations*, ICLQ 37 (1988), 53-88; G.V. McClanahan, *Diplomatic Immunity – Principles, Practices, Problems*, 1989; S.E. Nahlik, *Development of Diplomatic Law. Selected Problems*, RdC 222 (1990-III), 187-363; C.J. Lewis, *State and Diplomatic Immunity*, 3rd edn 1990; F. Orrego Vicuna, *Diplomatic and Consular Immunities and Human Rights*, ICLQ 40 (1991), 34-4; M. Reichsteig, *Wiener Ubereinkommen uber diplomatische und konsularische Beziehungen: Entstehungsgeschichte, Kommentierung, Praxis*, 1994;

⁵⁰ Article 2, 1961 Vienna Convention. L. Gore-Booth (ed.), *E. Satow's Guide to Diplomatic Practice*, 6th edn 1988; B. Sen, *A Diplomat's Handbook of International Law and Practice*, 3rd edn 1988; L. Dembinski, *The Modern Law of Diplomacy*, 1989; D.D. Newsom, *Diplomacy Under a Foreign Flag: When Nations Break Relations*, 1990; A. James, *Diplomatic Relations and Contacts*, BYIL 62 (1991), 347 *et seq*; H. Blomeyer-Bartenstein, *Diplomatic Relations, Establishment and Severance*, EPIL I (1992), 1070-2. Y.Z. Blum, *Diplomatic Agent and Missions*, *ibid.*; E. Denza, *Diplomatic Agents and Missions, Privileges and Immunities*, *ibid.*, 1040-5; J. Salmon, *Manuel de droit diplomatique*, 1994.

რაოდენობასა და ნორმას შეესაბამებოდეს“ – ეს ნორმა სასურველ ინოვაციას წარმოადგენს.

კონვენციის მე-3(1) მუხლის თანახმად:

დიპლომატიური მისიის ფუნქციებს *inter alia* წარმოადგენს:

- ა) წარმგზავნი სახელმწიფოს წარმოდგენა მიმღებ სახელმწიფოში.
- ბ) წარმგზავნი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა მიმღებ სახელმწიფოში, საერთაშორისო სამართლით დაშვებულ ფარგლებში.
- გ) მიმღები სახელმწიფოს მთავრობასთან მოლაპარაკებების წარმართვა.
- დ) მიმღებ სახელმწიფოში სამართლებრივი საშუალებების შესაბამისად არსებული პირობებისა და განვითარების დადგენა და წარმგზავნი სახელმწიფოს მთავრობისათვის მოხსენება.
- ე) მეგობრული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა წარმგზავნი და მიმღებ სახელმწიფოს შორის, მათ შორის ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების სფეროში.

თანამედროვე მსოფლიოში ექსპორტის ხელშეწყობა დიპლომატიური მისიების ძირითად მიზანს წარმოადგენს. აგრეთვე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ურთიერთობებს (რასაც საზოგადოებაში პროპაგანდად აღიქმება) – პრაქტიკა, რომლის შედეგსაც ხშირად მიმღები სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა წარმოადგენს (ასეთი ჩარევა აკრძალულია კონვენციის მე-4(1) მუხლის მიხედვით).

ისტორიულად დიპლომატიებსა და სხვა წარმგზავნილებს სჭირდებათ პრივილეგიები და იმუნიტეტები მიმღებ სახელმწიფოში თავიანთი ფუნქციების უკეთ შესასრულებლად. ვენის კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია: „ამგვარი პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მიზანია არა ინდივიდუალური სარგებლობის მიღება, არამედ წარმგზავნი სახელმწიფოს დიპლომატიური მისიის მიერ ფუნქციების უკეთესად შესრულების უზრუნველყოფა.“ შესაბამისად, დიპლომატიური იმუნიტეტის შემთხვევაში ორმაგი სტანდარტი არსებობს. მსგავსი სტანდარტები საჭიროა დიპლომატიური უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელებისათვის, რადგანაც დიპლომატები ქვეყნის ქვეშევრდომებს წარმოადგენენ. „წარმომადგენლობითი ბაზა“ წინა საუკუნეების მანძილზე დიპლომატიური იმუნიტეტის საფუძველს წარმოადგენდა, რაც სადღეისოდ სადავოა; ამ წესის თანახმად, დიპლომატები, სახელმწიფოს მსგავსად არ სარგებლობენ იმუნიტეტით სახელმწიფოს კომერციული ქმედებების განხორციელებისას, თუმცა რეალურად დიპლომატები სარგებლობენ მსგავსი ხასიათის იმუნიტეტით. თანამედროვე მოსაზრების თანახმად, იმუნიტეტს „ფუნქციური დატვირთვა“ აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ საჭიროების შემთხვევაში „უზრუნველყოფს დიპლომატიური მისიის ფუნქციების სრულყოფილ განხორციელებას.“

სასამართლოების წინაშე იმუნიტეტი

ვენის კონვენციის მე-3(1) მუხლის თანახმად:

დიპლომატიური აგენტი უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით მიმღები სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. იგი ასევე უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით აღნიშნული სახელმწიფოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისას, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ა) როდესაც რეალური ქმედება უკავშირდება მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ კერძო უძრავ ქონებას, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც იგი აღნიშნულ ქონებას წარმგზავნი სახელმწიფოს სახელით და მისიის მიზნებისათვის იყენებს.

ბ) როდესაც ქმედება დაკავშირებულია მემკვიდრეობით ურთიერთობასთან, რომელშიც დიპლომატიური აგენტი მონაწილეობს... როგორც კერძო პირი...
გ) როდესაც ქმედება დაკავშირებულია ნებისმიერ პროფესიულ თუ კომერციულ საქმიანობასთან, რომელსაც დიპლომატიური აგენტი მიმღებ სახელმწიფოში თავისი ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ ახორციელებს.

⁵¹ *BPIL* 1964, 74.

⁵² იხ. ქვემოთ.

⁵³ ვენის 1961 წლის კონვენცია 39(2)-ე მუხლი.

იმავე იმუნიტეტით სარგებლობენ დიპლომატის ოჯახის წევრები, თუ ისინი მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან. იმუნიტეტის არსებობა არ გულისხმობს, რომ დიპლომატთა მიზეზით დაზარალებული პირები დაცვის გარეშე რჩებიან. დიპლომატის დანიანაურება, როგორც წესი, დამოკიდებულია მის დადებით ქმედებებზე, რაც მას აიძულებს, თავი შეიკავოს იმუნიტეტის ბოროტად გამოყენებისაგან; ის ალბათ ისურვებს, რომ კერძო ხასიათის დავა მალევე მოაგვაროს, ვიდრე მის შესახებ მისი უფროსობისათვის გახდება ცნობილი. სხვა შემთხვევაში, დაზარალებულ პირს ან მიმღები სახელმწიფოს მთავრობას შეუძლია მიმართოს ელჩს თხოვნით მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლისათვის იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით, რასაც ძალზე ხშირად აქვს ადგილი. დაზარალებულ მხარეს შეუძლია ასევე დიპლომატის წინააღმდეგ საქმე აღძრას წარმგზავნ სახელმწიფოში. სარჩელთა უმრავლესობა დაკავშირებულია საგზაო შემთხვევებთან და ხშირად დიპლომატებისაგან მოითხოვენ მათი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევას, სადაზღვევო კომპანიები კი არ ცდილობენ თავიანთი კლიენტების იმუნიტეტით სარგებლობას.⁵¹ იმუნიტეტის ბოროტად გამოყენების განსაკუთრებულ შემთხვევებში დიპლომატი შესაძლებელია *persona non grata*-დ გამოცხადდეს.⁵²

ვენის კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დამახასიათებელი თვისება გახლავთ ის, რომ იგი არ ანიჭებს სრულ იმუნიტეტს დიპლომატიური მისიის მთელ პერსონალს. დიპლომატიურ აგენტებთან ერთად, კონვენციაში საუბარია ასევე ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის (მაგ. კლერკები, არქივის თანამშრომლები, რადიოტექნიკოსები) და მომსახურე პერსონალის (მაგ. მძღოლები, მდივნები) შესახებ. დაქვემდებარებული პერსონალის აღნიშნული ორი კატეგორია სარგებლობს სრული იმუნიტეტით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისას, მაგრამ იმუნიტეტი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებაში მხოლოდ მათ ოფიციალურ ქმედებებზე ვრცელდება. იგივე შეიძლება ითქვას იმ დიპლომატიური აგენტების შესახებ, რომლებიც მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები ან მასში მუდმივად მცხოვრები პირები არიან (იხ. ვენის კონვენციის მუხლი 38(2) პერსონალის სხვა წარმომადგენლების შესახებ, რომლებიც მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები ან მასში მუდმივად მცხოვრები პირები არიან). აღნიშნული შეზღუდვა ინგლისური სამართლისათვის სიახლეს წარმოადგენდა, თუმცა იგი უცნობი არ იყო სხვა ქვეყნებისათვის. ეს შეზღუდვა იმუნიტეტის ფუნქციონალურ დატვირთვაზე მეტყველებს, იმდენად, რამდენადაც დაქვემდებარებული პერსონალის ფუნქციები დიპლომატების ფუნქციებთან შედარებით უმნიშვნელოა, რის გამოც ნაკლებია მიმღებ სახელმწიფოში კერძო მოსარჩელეთა ინტერესების განიროვის საჭიროება დიპლომატიური მისიის დაქვემდებარებული პერსონალის მიერ საკუთარი მოვალეობების ეფექტური შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

როდესაც ინდივიდს უწყდება დიპლომატიური მისიის პერსონალის წევრობა, მისი იმუნიტეტის მოქმედება გონივრული ვადის მანძილზე გრძელდება, რათა მას ქვეყნის დასატოვებლად დრო მიეცეს. ამის შემდეგ მის წინააღმდეგ შეიძლება შეტანილ იქნეს სარჩელი იმ კერძო ქმედებების გამო, რომელიც მან თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ჩაიდინა, მაგრამ არა ოფიციალური ქმედებებისათვის.⁵³

⁵⁴ იბ. თ. 17.

⁵⁵ იბ. თ. 7.

⁵⁶ R. Higgins. The Abuse of Diplomatic Privileges and Immunities: Recent United Kingdom Experience. AJIL 79 (1985), 641; M. Herdgen, The Abuse of Diplomatic Privileges and Countermeasures not Covered by the Vienna Convention on the Diplomatic Relations. Some observations in the Light of the Recent British Experience ZaaoRV 46 (1986), 734. პრივილეგიებისა და იმუნიტეტის ბოროტად გამოყენებისა და აღკვეთის პრაქტიკა იბ. Higgins, UK Foreign Affairs Committee Report on the Abuse of Diplomatic Immunities and Privileges: Government Response and Report, AJIL 90 (1986), 135-40. I. Cameron, First Report of Foreign Affairs Committee of the House of Commons, ICLQ 34 (1985), 610-20; A. Akinsanya, The Dikko Affair and Anglo-Nigerian Relations, *ibid.*, 602-9;

⁵⁷ L.A.N.M. Barnhoorn, Diplomatic Law and Unilateral Remedies. NYIL 25 (1994), 39-81;

⁵⁸ მუხლი 23, 1961 წლის ვენის კონვენცია;

⁵⁹ მუხლი 34;

⁶⁰ მუხლი 35;

სსსპ პრივილეგიები და იმუნიტეტი

დიპლომატიები სამართალწარმოებისას მათ მიმართ მოქმედი იმუნიტეტის გარდა, სხვა პრივილეგიებითა და იმუნიტეტებითაც სარგებლობენ (სიტყვების „პრივილეგია“ და „იმუნიტეტი“ მნიშვნელობები იმდენად ახლოსაა, რომ მათი ერთმანეთისაგან განსხვავება, ფაქტობრივად, შეუძლებელია). სიმარტივის თვალსაზრისით, საუბარი შემოიფარგლება *stricto sensu* დიპლომატიური აგენტებით, რომლებიც არ არიან მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები ან მასში მუდმივად მცხოვრები პირები (დიპლომატიურ მისიასთან მიმაგრებული სხვა პირების შედარებით შეზღუდული იმუნიტეტის შესახებ, იხ. ვენის კონვენციის 37-ე და 38-ე მუხლები).

ამგვარად, დიპლომატიური მისიის ადგილსამყოფელი და დიპლომატიის პირადი საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. მიმღები სახელმწიფოს აგენტებს უფლება არა აქვთ ასეთ ადგილებში წარმგზავნი სახელმწიფოს ნებართვის გარეშე შევიდნენ და ამასთანავე ვალდებული არიან, ზიანისაგან მათ დასაცავად საჭირო ზომები მიიღონ.⁵⁴ მეორე მხრივ, დიპლომატიური მისიის ადგილსამყოფელი არ სარგებლობს ექსტრატერიტორიულობით; აქ ჩადენილი ქმედებები მიმღები და არა წარმგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება და ის დამნაშავეები, რომლებიც ასეთ შენობას შეაფარებენ თავს, როგორც წესი, მიმღები სახელმწიფოს პოლიციას გადაეცემა.⁵⁵ წარმგზავნი სახელმწიფოს არ აქვს დიპლომატიური მისიის ტერიტორიაზე ადამიანების დაპატიმრების უფლება.

არქივები, დოკუმენტები და დიპლომატიური მისიის ან დიპლომატიის საკუთრებაში არსებული სხვა ქონება ხელშეუხებელია. მისია უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარმგზავნი სახელმწიფოსთან დაუბრკოლებელი კავშირის ყველა სათანადო საშუალებით, დიპლომატიური კურიერებისა და კოდირებული ან დაშიფრული შეტყობინებების ჩათვლით (მაგრამ მისიას უფლება არა აქვს, რადიო მიმღები სახელმწიფოს თანხმობის გარეშე გამოიყენოს). მისიის ოფიციალური კორესპონდენცია ხელშეუხებელია. აგრეთვე დაუშვებელია დიპლომატიური ჩანთის გახსნა ან დაკავება. დიპლომატიური ჩანთა მხოლოდ დიპლომატიურ დოკუმენტებს ან ოფიციალური საქმიანობისათვის განსაზღვრულ ნივთებს შეიძლება შეიცავდეს; პრობლემა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ იქნეს თავიდან აცილებული ასეთი პრივილეგიების ბოროტად გამოყენება იარაღის, ნარკოტიკული საშუალებების ან თუნდაც ცოცხალი არსებების გადაყვანის მიზნით.⁵⁶ საეჭვო დიპლომატიური ჩანთების ინსპექტირებისა (გარდა ინფრა-ნითელი სხივებით შემოწმებისა) და გახსნის განსაკუთრებული უფლების გამოყენებამ შეიძლება შესაბამისი რეპრესალიები გამოიწვიოს.⁵⁷ დიპლომატიური მისიის შენობებში მოსასმენი აპარატების დამონტაჟება, რის შესახებაც ვენის კონვენციაში არაფერია ნათქვამი, ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებს, თუმცა ალბათ ზედმეტად გავრცელებულია იმისათვის, რომ უკანონოდ ჩაითვალოს.

დიპლომატიური მისიის კუთვნილი შენობა-ნაგებობანი გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან, გარდა ისეთისა, რომლებიც კონკრეტული მომსახურებისათვის გადაიხდება (მაგ. წყლის კომუნალური გადასახადი).⁵⁸ დიპლომატიები ასევე გათავისუფლებულნი არიან ყველა გადასახადისაგან, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.⁵⁹ მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, ნება დართოს, რომ მისიის ოფიციალური საქმიანობისათვის და დიპლომატიისა და მისი ოჯახის პირადი სარგებლობისათვის განსაზღვრული ნივთების იმპორტირება ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე მოხდეს;⁶⁰ 1961 წლამდე აღნიშნული წესი სავალდებულო ნორმას არ წარმოადგენდა და მისი შესრულება მიმღები სახელმწიფოს თავაზიანობის გამომჟღავნების საფუძველზე ხდებოდა.

ვენის კონვენციის 29-ე მუხლის მიხედვით, დიპლომატიები არ უნდა

დაექვემდებარონ რაიმე სახის დაპატიმრებას ან დაკავებას. აგრეთვე სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული დიპლომატიების თავდასხმისაგან დასაცავად. ტერორისტები ხშირად ესხმიან თავს დიპლომატებს, მაგრამ მიმღები სახელმწიფოები თითქმის ყოველთვის მაქსიმალურად ცდილობენ ასეთი საფრთხისაგან დიპლომატიების დაცვას. ირანის ხელისუფლების მიერ იმ „მილიტანტების“ მოქმედების დადებითად შეფასება, რომლებმაც 1979 წელს ირანში ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიები შეიპყრეს, საერთაშორისო სასამართლოს მიერ მართებულად იქნა აღნერილი, როგორც „უნიკალური“ ქმედება⁶¹ და ერთხმად იქნა დაგმობილი სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს მიერ.⁶² ირანი შეეცადა, საკუთარი საქციელი იმით გაემართლებინა, რომ აშშ და მისი დიპლომატიები არაკანონიერ ქმედებებს ახორციელებდნენ ირანის წინააღმდეგ (მაგ. ირანის შიდა საქმეებში ჩარევა, რომელიც აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მხარდაჭერით 1951 წელს დაიწყო, როდესაც ჩამოაგდეს მოსადეგის მთავრობა ამერიკისა და ბრიტანეთის ინტერესების დასაცავად ნავთობის სფეროში), თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ბრალდებები, მათი დამტკიცება შესაძლებელი რომც ყოფილიყო, არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს ირანის სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური იმუნიტეტის დარღვევის გასამართლებლად; დიპლომატიურ იმუნიტეტთან დაკავშირებული წესების დაცვა აბსოლუტური მოვალეობაა, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შესრულდეს.⁶³

საკონსულო იმუნიტეტი

კონსულები, დიპლომატთა მსგავსად, სხვა სახელმწიფოში საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენენ, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, კონსულებს არ ეხებათ პოლიტიკური ურთიერთობები. ისინი არაპოლიტიკური ფუნქციების ფართო სპექტრს ასრულებენ: პასპორტებისა და ვიზების გაცემა, თავიანთი სახელმწიფოების სანაოსნო და კომერციული ინტერესების დაცვა და ა.შ. საკონსულოები ხშირად განლაგებულია პროვინციულ ქალაქებში, ისევე როგორც დედაქალაქებში.

1963 წელს გაეროს მიერ ორგანიზებულმა ვენის კონფერენციამ შეიმუშავა ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ⁶⁴, რომლის მონაწილეს გარკვეული დროის შემდეგ მრავალი სახელმწიფო გახდა. როგორც საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, 1963 წლის კონვენციამ საკონსულო ურთიერთობების კოდიფიკაცია მოახდინა;⁶⁵ თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ კონვენციით კონსულებისათვის მინიჭებული იმუნიტეტების სპექტრი უფრო ფართოა, ვიდრე ის იმუნიტეტები, რომლითაც ისინი მანამდე ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე სარგებლობდნენ. კონვენცია რომც არ ასახავდეს საკონსულო ჩვეულებით სამართალს, ის დანამდვილებით ასახავს ომის შემდგომ დადებულ ორმხრივ საკონსულო ხელშეკრულებებს. ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს 36-ე მუხლში, რომელიც კონსულებს უფლებას აძლევს, კავშირი იქონიონ წარმგზავნი სახელმწიფოს მოქალაქეებთან მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული მოქალაქეები სისხლისსამართლებრივი დანაშაულისათვის წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან ან სასჯელს იხდიან.

ხშირ შემთხვევაში, კონვენცია კონსულებისა და დიპლომატიების სტატუსს აიგივებს, მაგრამ ეს არც არის გასაკვირი, რადგან დღესდღეობით სულ უფრო ხშირია ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ საკუთარი დიპლომატიური და საკონსულო მომსახურების გაერთიანება. ის პირები, რომლებიც მოქმედებენ ერთდროულად, როგორც დიპლომატიები და როგორც კონსულები, დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ. კონვენციის მიხედვით, კონსულები, რომლებიც

⁶¹ იხ. თიერანის მძევალთა საქმე. *op.cit.*, at 42;

⁶² *Ibid.*, 29-45; SC Res. 460. 21 December 1979, UN Chronicle, 1980, no 1, 13 at 14. B.V.A. Roling, Aspects of the Case concerning United States Diplomatic and Consular Staff in Tehran, *NYIL* 11 (1980), 125 *et seq*; G.T. McLaughlin/L.A. Teclaff, The Iranian Hostages Agreements, *Fordham ILJ* 4 (1980), 223-64; K. Oellers-Frahm, United States Diplomatic and Consular Staff in Tehran Case, *EPIL* 2 (1981), 282-6; W. Christopher *et al.* American Hostages in Iran: The Conduct of a Crisis, 1985; S.A. Riesenfeld, United States-Iran Agreement of January 19, 1981 (Hostages and Financial Arrangements), *EPIL* 8(1985). აგრეთვე იხ. თ. 17.

⁶³ *Tehran Hostages Case, op. cit.*, at 38-41; ⁶⁴ 596 UNTS 261;

⁶⁵ *Ibid.*, at 24; E. Kussbach, Vienna Convention on Consular Relations (1963), *EPIL* 9(1986), 388-93; F. Matscher, Marriages Performed by Diplomatic and Consular Agents. *ibid.*, 258-62; L.T. Lee, *Consular Law and Practice*, 2nd edn 1991; C. Economides, *Consular Treaties, EPIL* I (1992), 768-70; F. Munch, *Consular Jurisdiction, ibid.*, 763-5;

⁶⁶ UNTS 15. P.C. Szaz, International Organizations, Privileges and Immunities, EPIL II (1995), 1324-33; P.H.F. Bakker, *The Legal Position of Intergovernmental Organizations: A Functional Necessity Analysis of their Legal Status and Immunities*, 1994; Restatements (Third), Vol. 1. 492 et seq; M. Wenckstern, *Eine Analyse der Immunitätsbestimmungen internationaler Organisationen und der völkerrechtlichen Praxis*, 1994;

არ საქმიანობენ, როგორც დიპლომატები, ბევრი ისეთი პრივილეგიითა და იმუნიტეტით სარგებლობენ, როგორცაა დიპლომატები, მაგრამ იმუნიტეტი მიმღები სახელმწიფოს სასამართლოების სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართ მხოლოდ მათ ოფიციალურ ქმედებებზე ვრცელდება. ამასთან ერთად, მათ უფლება აქვთ, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი ნივთების იმპორტირება საბაჟო გადასახადის გადაუხდელოდ მხოლოდ მათი თანამდებობაზე პირველად დანიშვნისას მოახდინონ.

საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტი

საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტის საკითხი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განუსაზღვრელია. პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები რეგულირდება ხელშეკრულებით, როგორცაა 1946 წლის კონვენცია გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ, ან კიდევ სათაო ოფისსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის შეთანხმება.⁶⁶ საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტი ფუნქციურ დატვირთვას ატარებს და უშუალოდ ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარეობს, რაც შესაბამის ხელშეკრულებაშია მოცემული. ორგანიზაციის იმუნიტეტი მოცემული ხელშეკრულების შესრულების გარანტიაა. მსგავსი ხასიათის იმუნიტეტი არ არის სუვერენიტეტის გამოხატულება; ამ შემთხვევაში არაპირდაპირი ფორმით ხდება წევრი სახელმწიფოების ინტერესების დაცვა. შესავლის მიზნით მოკლედ განვიხილოთ კონვენციური დებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იმუნიტეტით სარგებლობის შესახებ.

გაერო სასამართლო პროცედურების მიმართ აბსოლუტური იმუნიტეტით სარგებლობს (1946 წლის კონვენციის მე-2 ნაწილის მიხედვით); წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ფუნქციების შესრულებას შეაფერხებდა ექსცენტრიკული მოსარჩელების მოთხოვნები და მიკერძოებული სასამართლოების გადანყვეტილებები. მისი ადგილსამყოფელი, ქონება, არქივები და დოკუმენტები ხელშეუხებელია (მე-3 და მე-4 ნაწილი). ის გათავისუფლებულია პირდაპირი გადასახადებისაგან და ბაჟისაგან (მე-7 ნაწილი); მასში მომსახურე პირები განთავისუფლებული არიან საშემოსავლო გადასახადებისაგან (მე-18 ნაწილი); წინააღმდეგ შემთხვევაში, მომსახურე პერსონალის ხელფასი დაიბეგრებოდა იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც ისინი მსახურობენ, და გაეროს ბიუჯეტში შენატანის განმარტოვებული სახელმწიფოები მოახდენდნენ არაპირდაპირ გადახდას იმ სახელმწიფოების მიმართ, სადაც გაეროს თავისი ძირითადი ოფისები გააჩნია (ამერიკის შეერთებული შტატები და შვეიცარია). გენერალური მდივანი და მისი მოადგილე დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ (მე-19 ნაწილი); წევრი სახელმწიფოები არ იყვნენ მზად, რომ ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლებისთვისაც მიენიჭებინათ მსგავსი იმუნიტეტი, ამიტომაც ეს უკანასკნელნი შეზღუდული იმუნიტეტით სარგებლობენ, ესე იგი იმუნიტეტი მხოლოდ სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელებასა და სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლებაზე ვრცელდება (მე-18 ნაწილი). გენერალურმა მდივანმა უნდა მოუხსნას თავის წარმომადგენელს იმუნიტეტი, თუკი ეს აფერხებს სამართლიანობის დადგენას და შეიძლება განხორციელდეს გაეროს ინტერესების დაუზიანებლად (მე-20 ნაწილი). გაერომ უნდა „მიიღოს დებულებები დავების მოგვარების მიზანშეწონილი ფორმების შესახებ“, თუკი მის წინააღმდეგ მიმართული იქნება რაიმე სარჩელი (29-ე ნაწილი); მან უკვე გააკეთა ეს, როდესაც თავი დაიცვა სამოქალაქო სამართალდარღვევებისაგან საარბიტრაჟო შეთანხმების განხორციელებით და ა.შ.

გაეროს შეხვედრებზე მისი წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები თითქმის იმავე პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ, როგო-

რითაც დიპლომატიები. კერძოდ, მათი იმუნიტეტი მხოლოდ სამსახურებრივ საქმიანობაზე ვრცელდება, ხოლო რაც შეეხება საბაჟო გადასახადებს, იმუნიტეტი მხოლოდ პირად ბარგთან მიმართებაში ვრცელდება.⁶⁷

იმუნიტეტის მოხსნა

შიდა სასამართლოების წინაშე იმუნიტეტით სარგებლობა არ გულისხმობს იმას, რომ იმუნიტეტის მქონე პირი ადგილობრივ სამართალზე უფრო მაღლა დგას. ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები მისთვის სავალდებულო რჩება (ეს სიმართლეს შეესაბამება, მაშინაც კი, როდესაც საუბარი ეხება სასამართლოს წინაშე იმუნიტეტით სარგებლობის უფლებას. მაგრამ ზოგიერთი სახის იმუნიტეტი, რომელიც ამ თავში განვიხილეთ, მაგალითად იმუნიტეტით სარგებლობა გადასახადებთან მიმართებაში, ვალდებულების მიმართ იმუნიტეტის ქონაა და არა ვალდებულების შესრულების მიმართ იმუნიტეტის ქონა). შესაბამისად, შესაძლებელია სუვერენული და დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნა.⁶⁸ იმუნიტეტის მოხსნის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელი ხდება ვალდებულებების შესრულება. იმუნიტეტი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობს და, შესაბამისად, მისი მოხსნა მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს. სახელმწიფოს შეუძლია საკუთარ დიპლომატს მოუხსნას იმუნიტეტი ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.⁶⁹ შესაბამისად, დიპლომატის მოხსნა არაეფექტურია, თუ კი არ იქნა დამონმებული უფლებამოსილი ზემდგომი პირის მიერ.⁷⁰ იმუნიტეტის მოხსნა შესაძლებელია ან „სასამართლოს წინაშე“ (მას შემდეგ, რაც სასამართლოში სამართალწარმოება დაწყებულია), ან კიდევ სასამართლომდე შეთანხმების საფუძველზე.⁷¹

“სასამართლოს წინაშე“ იმუნიტეტის მოხსნა შეიძლება ორი ფორმის იყოს: გამოსატული (კერძოდ, აშკარა გამოსატული სასამართლოში, რომ იმუნიტეტი მოხსნილია) ან კიდევ ნაგულისხმევი (კერძოდ, მოპასუხე მხარის მიერ საქმის წარმოების დაწყება სასამართლოს იურისდიქციის საკითხის აღძვრის გარეშე). 1961 წლის ვენის კონვენციის 32(2)-ე მუხლის თანახმად, იმუნიტეტის მოხსნა ყოველთვის გამოსატული ფორმით უნდა მოხდეს. სადავოა, თუ რამდენად ასახავს ეს დებულება ჩვეულებითი სამართლის ნორმას; ამ პრინციპის გამოყენება ანალოგიით სუვერენის იმუნიტეტის მიმართ შედარებით უფრო ძნელი იქნება.

თუკი სახელმწიფო ან დიპლომატი მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს, ითვლება, რომ ისინი უარს ამბობენ მინიჭებულ იმუნიტეტზე, თუკი, აღნიშნული დავიდან გამომდინარე, მეორე მხარეს საპასუხო სარჩელი შემოტანა სურს. მაგალითად, როდესაც ინგლისის კანონის თანახმად, კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოებმა სუვერენის იმუნიტეტი მიიღეს, სახელმწიფო, რომელმაც პირს მიჰყიდა საქონელი და შემდგომ მასვე უჩივლა თანხის გადაუხდელობის გამო, თავადაც მოიხსნის იმუნიტეტს იმ სარჩელთან მიმართებაში, რსომელსაც, მაგალითად, მყიდველი/კერძო პირი შეიტანს აღნიშნული სახელმწიფოს წინააღმდეგ საქონლის უვარგისობის გამო. რაც შეეხება სახელმწიფოს სარჩელს ნასესხები ფულის დაბრუნებასთან დაკავშირებით – ის არ მოიცავს იმუნიტეტის ნაგულისხმევ მოხსნას ცილისწამების საპირისპირო სარჩელის დროს, რადგანაც საპირისპირო სარჩელი დავის ძირითად საგანს არ ეხება.⁷²

პირველი ინსტანციის სასამართლოში იმუნიტეტის მოხსნა ასევე მოიცავს ამავე სასამართლოს სააპელაციო ინსტანციას; თუ კი სახელმწიფო მოიგებს საქმეს პირველ ინსტანციაში, მას არ შეუძლია თავისი იმუნიტეტის აღდგენა მეორე მხარის მიერ საქმის ზემდგომ ინსტანციაში წაღების შემთხვევაში.⁷³ იმუნიტეტი სასამართლოს წინაშე ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმუნიტეტს

⁶⁷ სექციები 11-16; განსაკუთრებული შემთხვევისათვის. Applicability of Article VI, Section 22, of the Convention on the Privileges and Immunities of the United Nations (Advisory Opinion), ICJ rep. 1989, 177-221. აგრეთვე იხ. Richter. EPIL I (1992), 823-5;

⁶⁸ განხილვისას შემოვიფარგლებით სახელმწიფო და დიპლომატიური იმუნიტეტით, რადგანაც წესები ამორისა ხის იმუნიტეტთან მიმართებაში უფრო სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული. ამავე დროს, სახელმწიფო და დიპლომატიური იმუნიტეტის მარეგულირებელი წესები შესაძლოა ანალოგიის მეშვეობით გამოყენებულ იქნას სხვა იმუნიტეტთან მიმართებაშიც.

⁶⁹ R. v. Kent (1941) 1 KB 454;

⁷⁰ R. v. Madan, (1961) 2 QB 1; Section 2(7) SIA;

⁷¹ Section 2(2) and 17(2) SIA;

⁷² High Commissioner for India v. Ghost, (1960) 1 QB 134; აგრეთვე იხ. მუხლი 32(3), ვენის კონვენცია; Section 2(6) SIA;

⁷³ Section 2(6) SIA;

⁷⁴ მუხლი 32(4), ვენის კონვენცია; Section 13(3) SIA.
⁷⁵ Sinclair, *op.cit.*, 218-42 (განსაკუთრებით 242), 255-7, 263-5; H. Fox, *Enforcement Jurisdiction, Foreign State Property and Diplomatic Immunity*, ICLQ (1985), 114.

სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ; განსხვავებული იმუნიტეტია საჭირო სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში, რადგანაც ის შეიძლება უცხო სახელმწიფოს საკუთრების ან დიპლომატიის მიმართ გადაუხდელი ვალის დაფარვის მიზნით აღსრულდეს.⁷⁴ სახელმწიფოები, რომლებიც სასამართლოს წინაშე მოიხსნიან იმუნიტეტს, მზად უნდა იყვნენ, აღასრულონ მათ საზიანოდ მიღებული გადაწყვეტილება; წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო თავიდანვე არ დაუშვებს იმუნიტეტის დაკარგვის შესაძლებლობას. უმეტეს ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოები არ სარგებლობენ სუვერენული იმუნიტეტით კომერციულ საქმიანობებთან მიმართებაში, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებად საკუთრებაზე არ ვრცელდება აღნიშნული იმუნიტეტი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას, რის გამოც იმუნიტეტის მოხსნის საკითხი არც კი დგება.⁷⁵

9. ხელშეკრულებები

სახელმწიფოები ხელშეკრულებებს დებენ ყველა შესაძლებელ საკითხზე¹. საერთოდ, ყველა ხელშეკრულება, მისი საგნის მიუხედავად, ერთი და იმავე წესებით რეგულირდება და, აქედან გამომდინარე, სახელშეკრულებო სამართალს საკმაოდ ზოგადი და ფორმალური ხასიათი აქვს; ის მიზნის მიღწევის საშუალებაა და არა თავად მიზანი. ამავე მიზეზთა გამო, სახელშეკრულებო სამართლის უდიდეს ნაწილზე სახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტი გავლენას არ ახდენს. ყოველი სახელმწიფო ასობით ხელშეკრულების მონაწილეა და დაინტერესებულია ხელშეკრულებათა ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფით ისევე, როგორც ყველა სახელმწიფოს აქვს საერთო ინტერესი – სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების ხელშესაწყობად დაიცვას დიპლომატიური იმუნიტეტის წესები.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულება არ არის ერთადერთი საშუალება, რომლითაც სახელმწიფო კისრულობს სამართლებრივ ვალდებულებას. ცალმხრივ ვალდებულებას საერთაშორისო სამართალში სავალდებულო ძალა აქვს იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც განზრახული ჰქონდა, მისი პირობა იურიდიულად სავალდებულო ყოფილიყო². სახელმწიფოს შეუძლია იმავე გზით დაკარგოს სამართლებრივი უფლება მასზე ცალმხრივად უარის თქმით, იმ პირობით, რომ მისი განზრახვა – იმოქმედოს ასე, – აშკარაა.

ხელშეკრულებათა განხილვისას ამოსავალი წერტილია ვენის 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1980 წლის 27 იანვარს³. წინასწარ გამოიკვლია და დოკუმენტის პროექტი შეადგინა საერთაშორისო სამართლის კომისიამ⁴, რომლის კომენტარი კონვენციის ინტერპრეტაციისათვის სასარგებლო სახელმძღვანელოა. იგი გვიჩვენებს, რამდენად ასახავს კონვენციის სხვადასხვა მუხლები ჩვეულებით სამართალსა და სახელმწიფოთა შეთანხმებულ შეხედულებებს⁵. 1969 წლის შემდეგ კონვენციის მრავალი დებულება დაი მოწმეს სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სახელმწიფოთა პრაქტიკაში, როგორც ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ჩვეულებითი ნორმების ზუსტი განაცხადი.

მიუხედავად ამისა, კონვენცია მხოლოდ იმ ხელშეკრულებებს ეხება, რომლებიც მისი ძალაში შესვლის შემდეგ დაიდო (მუხლი 4). ამის გამო მისი, როგორც კონვენციის ღირებულება, თავდაპირველად საკმაოდ შეზღუდული იყო. კონვენციის მნიშვნელობა ისაა, რომ მის დებულებათა უმრავლესობა ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაციას ახდენს, თუმცა არის ისეთი დებულებებიც, რომლებიც „პროგრესული განვითარება“ უფროა, ვიდრე სამართლის კოდიფიკაცია. თუ სხვაგვარად არაა დადგენილი, ამ თავში აღნიშნული დებულებები წინათ არსებული სამართლის კოდიფიცირებას ახდენენ.

ვენის 1969 წლის კონვენციის 2(1)(ა) მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებას კონვენციის მიზნებისათვის, როგორც „საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც იდება სახელმწიფოებს შორის წერილობითი ფორმით და რეგულირდება საერთაშორისო სამართლით, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა ასეთ შეთანხმებას ერთი, ორი ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტი, მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა.“ ეს დეფინიცია გამორიცხავს სახელმწიფოთა შორის ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით რეგულირდება ან საერთოდ არ ისახავს მიზნად იურიდიული ურთიერთობების წარმოშობას. ხელშეკრულებათა დეფინიციიდან ამ ორი ტიპის შეთანხმების გამორიცხვა სამართლიანია, მაგრამ ვენის კონვენციაში მოცემული განსაზღვრება სადავოა იმდენად,

¹ Harris *CMIL*, 729-812; *Restatement (Third)*, Vol. 1, part III, 144 *et seq.*; Lord McNair, *The Law of Treaties*, 2nd edn 1961; Ö. Elias, *The Modern Law of Treaties*, 1974; S. Rosenne, *Vienna Convention on the Law of Treaties*, *EPIL* 7 (1984), 525-33; R. Bernhardt, *Treaties*, *Ibid.*, 459-64; L. Wildhaber, *Treaties, Multilateral*, *Ibid.*, 480-4; S.K. Chatterjee, *International Law of Treaties: Substance or Shadow?*, *Indian JIL* 27 (1987), 13; T.M. Franck, *Taking Treaties Seriously*, *AGIL* 82 (1988), 67-8; S. Rosenne, *Developments in the Law of Treaties 1945-1986*, 1989; A.Z. Hertz, *Medieval Treaty Obligation*, *Com. JIL* 6 (1991), 425-43; J. Klabbers, *Informal Agreements in International Law: Towards a Theoretical Framework*, *FYIL* 5 (1994), 267-387; P. Reuter, *Introduction to the Law of Treaties*, 3rd edn 1995; E.W. Vierdag, *The International Court of Justice and the Law of Treaties*, in V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 145-66; Klabbers, *The Concept of Treaties*, 1996. იხ. აგრეთვე, თ. 3.

² ატომური იარაღის გამოცდის საქმე (ავსტრალია საფრანგეთის წინააღმდეგ).

³ *ILM* 8 (1969), 679, *AJIL* 63 (1969), 875. იხ. I. Sinclair, *The Vienna Convention on the Law of Treaties*, 2nd edn 1984.

⁴ იხ. თ. 3.

⁵ *AJIL* 61 (1967), 285.

⁶ ILM 25 (1986), 543. იხ. E. Klein/M. Pechstein, *Das Vertragsrecht internationaler Organisationen*, 1985; G. Gaja, A "New" Vienna Convention on Treaties Between States and International Organizations or Between International Organizations: A Critical Commentary, *BYIL* 58 (1987), 253 et seq.; P.K. Menon, *The Law of Treaties between States and International Organizations*, 1992; K. Zemanek, *International Organizations, Treaty-Making Power*, *EPIL* 11 (1995), 1343-6.

⁷ იხ. ლიტერატურა თ. 6.
⁸ S. Rosenne, *Treaties, Conclusion and Entry into Force*, *EPIL* 1 (1984), 464-7; E.W. Vierdag, *The Time of the "Conclusion" of a Multilateral Treaty: Article 30 of the Vienna Convention on the Law of Treaties and Related Provisions*, *BYIL* 59 (1988), 75 et seq.

რამდენადაც იგი გამორიცხავს სახელმწიფოთა შორის ზეპირ შეთანხმებებს და, ასევე, ნებისმიერი სახის ხელშეკრულებას საერთაშორისო ორგანიზაციებს ან სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ამგვარ შეთანხმებებს ჩვეულებრივ ხელშეკრულებებს უწოდებენ და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ისინი არ განიხილება როგორც ხელშეკრულებები კონვენციის მიზნებისათვის არის ის, რომ მათი მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის ნორმები რამდენადმე განსხვავდება სახელმწიფოთა შორის წერილობითი ხელშეკრულებების მარეგულირებელი ნორმებისაგან. ამ მიზეზის გამო ისინი არ მოექცნენ კონვენციის მოქმედების სფეროში, რათა თავიდან აეცილებინათ კონვენციის გართულება. სპეციალურ კონვენციას სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ხელი მოაწერეს 1986 წელს, მაგრამ იგი ჯერ არ შესულა ძალაში⁶. ნებისმიერ შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებები განიხილება, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის ნაწილი⁷, ხოლო რაც შეეხება ზეპირ ხელშეკრულებებს, ისინი დღეს ძალიან იშვიათია.

ხელშეკრულებების დადება და მათი ძალაში შესვლა

როდესაც იურისტები ხელშეკრულების დადებაზე საუბრობენ, ისინი გულისხმობენ არა მისი მოქმედების შეწყვეტას, არამედ ხელშეკრულების ძალაში შესვლას ან შედგენას⁸.

ხელშეკრულების ტექსტის მიღება

1969 წლის ვენის კონვენციის მე-9 მუხლი ადგენს:

1. ხელშეკრულების ტექსტი მიიღება მის შედგენაში მონაწილე ყველა სახელმწიფოს თანხმობით, მე-2 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;
2. საერთაშორისო კონფერენციაზე ხელშეკრულების ტექსტი მიიღება დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა ხმების ორი მესამედით, თუ ხმების იმავე უმრავლესობით არ გადაწყვიტეს, გამოიყენონ სხვა წესი.

მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ასახავს იმას, რაც რეალურად ხდება თანამედროვე კონფერენციებზე (ერთსულოვნება ადრე ჩვეული მოვლენა იყო), მაგრამ ყოველი კონფერენცია საკუთარ წესებს ადგენს ხმის მიცემის პროცედურასთან დაკავშირებით, რადგან არ არსებობს ჩვეულებითი სამართლის ზოგადი ნორმა, რომელიც მოაწესრიგებდა ამ პროცედურას; ამიტომ მე-9(2) მუხლი პროგრესული განვითარების შედეგი უფროა, ვიდრე კოდიფიკაცია.

ტექსტის მიღება, თავისთავად, ვალდებულებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ხელშეკრულება ძალაში არ შედის მანამ, სანამ ორი ან მეტი სახელმწიფო არ განაცხადებს თანხმობას ამ ხელშეკრულების სავალდებულოობაზე. ამგვარი თანხმობის გამოხატვა, ჩვეულებრივ, ტექსტის მიღების შემდეგ ხდება და სრულიად დამოუკიდებელი პროცესია.

თანხმობა ხელშეკრულების სავალდებულოობაზე

ვენის კონვენციის მე-11 მუხლი ადგენს:

სახელმწიფოს თანხმობა ხელშეკრულების სავალდებულოობაზე შეიძლება გამოიხატოს ხელმოწერით, დოკუმენტების გაცვლით, რომლებიც ქმნიან ხელ-

შეკრულებას, რატიფიკაციით, მიღებით, დამტკიცებით ან შეერთებით, ან ნე-ბისმიერი სხვა საშუალებით, შეთანხმებისამებრ.

⁹ იბ. თ. 4.
¹⁰ იბ. 1969 წლის ვენის კონვენციის მუხ. 2(1)(ბ) და მუხ. 16.

სამწუხაროდ, თანხმობის გამოხატვის მეთოდების მრავალფეროვნებამ სამართალში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია. ხელმოწერა და რატიფიკაცია, ტრადიციულად, თანხმობის გამოხატვის ყველაზე გავრცელებული საშუალებებია. ზოგიერთ შემთხვევაში დიპლომატიები, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ ხელშეკრულების დასადავად, უფლებამოსილი არიან, ხელშეკრულების ხელმოწერით სავალდებულო გახადონ იგი თავიანთი სახელმწიფოებისათვის. სხვა შემთხვევებში მათი უფლებამოსილება უფრო შეზღუდულია და ხელშეკრულება სავალდებულო არ ხდება სახელმწიფოს მეთაურის მიერ მის რატიფიკირებამდე. ზოგიერთი ქვეყნის (ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით, თუმცა ასე არ არის დიდ ბრიტანეთში) კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მეთაურმა ხელშეკრულების რატიფიკირებამდე უნდა მიიღოს საკანონმდებლო ორგანოს ან მისი ნაწილის (მაგალითად, აშშ-ში – სენატის) თანხმობა⁹.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რატიფიკაცია ხდება სახელმწიფოებს შორის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლით ან დეპოზიტართან მათი დეპონირებით¹⁰. მრავალმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში, სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მრავალ სახელმწიფოს შორის აშკარად არაპრაქტიკულია, ამიტომ ამის ნაცვლად ხელშეკრულება ჩვეულებრივ ადგენს, რომ სარატიფიკაციო სიგელები შესაბამისად უნდა გადაეცეს ხელშეკრულების მიერ დეპოზიტარად დანიშნულ სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას. სარატიფიკაციო სიგელები, შეერთების, დათქმის, დენონსაციის შესახებ დოკუმენტები და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მსგავსი შეტყობინებები სახელმწიფოებისაგან ეგზავნება დეპოზიტარს, რომელიც შესაბამის სახელმწიფოებს ამგვარი შეტყობინებების მიღებას ამცნობს.

ხელმოწერასა და რატიფიკაციას შორის არსებული კავშირი მხოლოდ ისტორიის ანალიზის შედეგად ხდება გასაგები. იმ დროს, როდესაც კომუნიკაციის ნელი საშუალებები დიპლომატიის მიერ თავის სუვერენთან კონტაქტს ართულებდა, რატიფიკაცია აუცილებელი იყო დიპლომატიის მიერ მიღებული ინსტრუქციების გადამეტების თავიდან ასაცილებლად. სუვერენი, ხელშეკრულების ტექსტის მიღებისა და იმის შემოწმების შემდეგ, რომ მის წარმომადგენლებს არ გადაუმეტებიათ ინსტრუქციებისათვის, ვალდებული იყო, მოეხდინა მათი ხელმოწერების რატიფიკირება. მიუხედავად ამისა, 1800 წლისათვის რატიფიკირების ვალდებულების იდეა უკვე მოძველებული იყო. რატიფიკაციას სხვა მიზნისათვის იყენებდნენ – რომ სახელმწიფოს მეთაურს აზრის შეცვლისათვის საჭირო დრო მისცემოდა. დემოკრატიის განვითარებამ საზოგადოებრივ აზრს შესაძლებლობა მისცა გამოეყვინა საგრძნობი ძალა. განსაკუთრებით ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც საიდუმლოდ მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები, თუ ხელშეკრულება ცვლილებებს იწვევდა შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, ან თუ შესაბამისი სახელმწიფოს კონსტიტუცია საკანონმდებლო ორგანოს თანხმობას მოითხოვდა რატიფიკაციისათვის.

მე-19 საუკუნეში ცვლილებები მოხდა. ამ დროისათვის მრავალმა სახელმწიფომ მიიღო კონსტიტუცია, რომელიც ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის საკანონმდებლო ორგანოს თანხმობას მოითხოვდა, თუმცა სახელმწიფოებმა ასევე მრავალი რუტინული ხელშეკრულების დადება დაიწყეს, რომელთა განხილვისათვის საკანონმდებლო ორგანოებს დრო არ ჰქონდათ. ამიტომაც დამკვიდრებული თანამედროვე პრაქტიკა მხოლოდ ხელმოწერას საკმარისად მიიჩნევს ხელშეკრულების სავალდებულოობისათვის. ამ პრაქტიკის შესახებ ბევრი რამ შეიძლება ითქვას. დიდ ბრიტანეთშიც კი, სადაც რატიფიკაციისათვის არ არის საჭირო საკანონმდებლო ორგანოს თანხმობა, ბევრი

¹¹ ასეთი დაცვის გაკეთება თავისუფლად შეიძლება, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ის ძალაში შევა დაუყოვნებლივ ან განსაზღვრულ დღეს უახლოეს მომავალში.

¹² 1969 წლის ვენის კონვენციის 2(1)(გ) მუხლი განსაზღვრავს უფლებამოსილებებს, როგორც „საბუთს, რომელსაც გაცემს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო და რომლის შექმნით ერთი ან რამდენიმე პირი ინიშნება ამ სახელმწიფოს წარმომადგენლად მოლაპარაკებათა გამართვის, ხელშეკრულების ტექსტის მიღების ან მისი აუთენტურობის დადგენის, ხელშეკრულების სავალდებულოებაზე ამ სახელმწიფოს თანხმობის გამოხატვის ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერისხვაქტის განხორციელების მიზნით“.

ხელშეკრულება, რომელიც რატიფიკაციას ექვემდებარება, არასოდეს რატიფიცირდება, რაც, უბრალოდ, ნებისმიერი დიდი ადმინისტრაციული მანქანისათვის დამახასიათებელი ინერციის შედეგია. ხელშეკრულებები იდება პოპულარული ერთუზიანზმის სულისკვეთებით, რომელიც მალე ქრება. ასე რომ, აღარ არსებობს ზენოლა რატიფიკაციისათვის.

ხელშეკრულების საგანზე ნაკლებადაა დამოკიდებული მისი რატიფიცირების საჭიროება. შეიძლება ვინმეს წარმოუდგენია, რომ პოლიტიკურად მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს ყოველთვის სჭირდება რატიფიკაცია, მაგრამ პრაქტიკა თანმიმდევრული არ არის. მაგალითად, გადაუდებელ შემთხვევებში ხანდახან გვერდს უვლიან რატიფიკაციას, ვინაიდან ამისთვის დრო, უბრალოდ, არ არის. ჩვეულებრივ, ხელშეკრულებები ზუსტად ადგენენ, აუცილებელია თუ არა რატიფიკაცია, რაც ართულებს იმის გარკვევას, თუ რომელი წესი უნდა გამოვიყენოთ, როცა ხელშეკრულებაში ამაზე არაფერია ნათქვამი. ზოგიერთი იურისტის აზრით, ზოგადი წესის მიხედვით, ხელშეკრულებას სჭირდება რატიფიკაცია. სხვა იურისტთა მოსაზრებით, ზოგადი წესი არის ის, რომ ხელშეკრულებას არ სჭირდება რატიფიკაცია. მაგრამ თითოეული ჯგუფი აღიარებს, რომ ზოგადი წესიდან უამრავი გამონაკლისი არსებობს. ასე რომ, პრაქტიკაში ამ ორ თეორიას შორის განსხვავების შედეგები შედარებით უმნიშვნელოა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვენის კონვენცია „ნეიტრალურ“ პოზიციას იკავებს. ყველაფერი დამოკიდებულია მხარეთა განზრახვაზე. მე-12(1) და მე-14(1) მუხლები ადგენენ დირექტივებს მხარეთა განზრახვის გამოვლენისათვის. მე-12(1) მუხლი ადგენს:

ხელშეკრულების სავალდებულოობაზე სახელმწიფოს თანხმობა გამოიხატება სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის გზით, თუ:

- ა) ხელშეკრულება ხელმოწერას ასეთ ძალას ანიჭებს;
- ბ) მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ხელმოწერას ასეთი ძალა აქვს¹¹; ან
- გ) სახელმწიფოს განზრახვა – ხელმოწერას მიანიჭოს ასეთი ძალა, გამომდინარეობს მისი წარმომადგენლის უფლებამოსილებიდან¹² ან გამოითქვა მოლაპარაკების დროს.

მე-14(1) მუხლი ადგენს:

სახელმწიფოს თანხმობა მისთვის ხელშეკრულების სავალდებულოობაზე გამოიხატება რატიფიკაციით, თუ:

- ა) ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ასეთი თანხმობა გამოიხატება რატიფიკაციით;
- ბ) მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ რატიფიკაციის აუცილებლობაზე;
- გ) სახელმწიფოს წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას.
- დ) სახელმწიფოს განზრახვა – ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას, გამომდინარეობს მისი წარმომადგენლის უფლებამოსილებიდან ან გამოითქვა მოლაპარაკების დროს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების შესრულებამ შეიძლება წარმოშვას ნაგულისხმევი რატიფიკაცია. კერძოდ, თუ სახელმწიფო წარმატებით სარგებლობს არარატიფიცირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებით, მას აღარ შეუძლია განაცხადოს, რომ ხელშეკრულება მისთვის სავალდებულო არ არის.

ხელმოწერისა და რატიფიკაციის გარდა, სახელმწიფო ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება გახდეს ხელშეკრულებასთან შეერთებით. ერთი მხრივ,

შეერთებასა და მეორე მხრივ, ხელმოწერასა და რატიფიკაციას შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ „შეერთებული“ სახელმწიფო მონაწილეობას არ ღებულობს იმ მოლაპარაკებებში, რომელთა საფუძველზეც იქმნება ხელშეკრულება, მაგრამ იგი მიწვეულია მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულებასთან შესაერთებლად. შეერთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იგი გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან, თუ ხელშეკრულების ყველა მონაწილე თანახმაა, რომ სახელმწიფოს მიეცეს შეერთების უფლება. შეერთებას ისეთივე ძალა აქვს, როგორც ხელმოწერასა და რატიფიკაციას ერთად.

ხელმოწერა, რატიფიკაცია და შეერთება ხელშეკრულების სავალდებულოობაზე თანხმობის გამოხატვის ტრადიციული მეთოდები იყო. თუმცა თანამედროვე გარემოებებმა რამდენადმე გაართულა სიტუაცია.

ჯერ ერთი, თანამედროვე ეტაპზე ხელშეკრულებები ხშირად იდება ორ სახელმწიფოს შორის კორესპონდენციების გაცვლით (რასაც, ჩვეულებრივ, ნოტების გაცვლას უწოდებენ). ნოტა ხელმოწერილია მისი გამგზავნი სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ და ორი ხელმოწერა, ჩვეულებრივ, საკმარისია ხელშეკრულების სავალდებულოობაზე სახელმწიფოთა თანხმობის დასადაგენად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ნოტების გაცვლა მოითხოვს რატიფიკაციას, თუ გაირკვევა, რომ შესაბამის სახელმწიფოებს ასეთი განზრახვა ჰქონდათ.

მეორე, განსაზღვრული ხელშეკრულებების დიდი ხნის განმავლობაში ხელმოსაწერად ღიად დატოვების თანამედროვე პრაქტიკამ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ან არ მონაწილეობდნენ ხელშეკრულების პროექტის შემუშავებაში, ნაშალა განსხვავება, ერთი მხრივ, შეერთებასა და მეორე მხრივ, ხელმოწერასა და რატიფიკაციას შორის. მაგალითად, ვენის კონვენციის 81-ე მუხლი ადგენს, რომ კონვენცია ღია იქნება ხელმოსაწერად სახელმწიფოთა განსაზღვრული კატეგორიისათვის, რომელთაგან ყველა არ ესწრებოდა ვენის კონფერენციას. 83-ე მუხლი ადგენს, რომ კონვენცია „ღიად რჩება ხელმოსაწერად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც განეკუთვნება 81-ე მუხლში მოხსენიებულ ამა თუ იმ კატეგორიას“.

მესამეც, თანამედროვე ეტაპზე მიღება და დამტკიცება ხანდახან რატიფიკაციის (ან, ალტერნატიულად, შეერთების) მაგივრად იხმარება. თუმცა ამ სიახლეს ტერმინოლოგიური დატვირთვა უფრო აქვს, ვიდრე არსებითი. საერთაშორისო დონეზე მიღება და დამტკიცება იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც რატიფიკაცია და შეერთება; კერძოდ, მიღება და დამტკიცება სახელმწიფოს აძლევს დროს, უფრო დეტალურად შეაფასოს ხელშეკრულება, სანამ დათანხმდება მის სავალდებულოობაზე. ამ ტერმინების პოპულარობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ისინი სახელმწიფოს საკუთარი კონსტიტუციის იმ მუხლების გვერდის ავლის შესაძლებლობას აძლევენ, რომლებიც რატიფიკაციისათვის საკანონმდებლო ორგანოს თანხმობას მოითხოვენ. ვენის კონვენციის 14(2)მუხლი აღიარებს რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების მსგავსებას, ადგენს რა, რომ „სახელმწიფოს თანხმობა ხელშეკრულების სავალდებულოობაზე გამოიხატება იმავე პირობებით მიღებით ან დამტკიცებით, როგორც რატიფიკაციის დროს.“

დაბოლოს, ხდება ხოლმე, რომ ხელშეკრულების ტექსტს ადგენს საერთაშორისო ორგანიზაციის რომელიმე ორგანო (მაგალითად, გაეროს გენერალური ასამბლეა) და იგი წევრი ქვეყნებისათვის ცხადდება ღიად „შეერთებისათვის“, „რატიფიკაციისათვის“, „მიღებისა“ და „დამტკიცებისათვის“. ამ შემთხვევაში ტერმინოლოგიური გაუგებრობა პიკს აღწევს, ვინაიდან „შეერთება“, „რატიფიკაცია“, „მიღება“ და „დამტკიცება“ მონაცვლეობით იხმარება. სხვადასხვა ხელშეკრულებაში სხვადასხვა ტერმინი იდენტური პროცესების აღსაწერად გამოიყენება.

¹³ მუხ. 24. განსაკუთრებული შემთხვევა იხ. R. Platzoder, Substantive Changes in a Multilateral Treaty Before its Entry into Force: The Case of the 1982 United Nations Convention on the Law of the Sea, *EJIL* 4 (1993), 390-402. იხ. აგრეთვე, თ. 12.
¹⁴ 1969 წლის ვენის კონვენციის მუხ. 25(2).

ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ჩვეულებრივ, ხელშეკრულება ძალაში შედის მაშინვე, როგორც კი მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა სახელმწიფო მის სავალდებულოობაზე თანხმობას განაცხადებს¹³. მაგრამ მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოებს ყოველთვის შეუძლიათ, გადაუხვიონ ამ ზოგად წესს, თვით ხელშეკრულებაში სათანადო დებულების ჩართვით.

ამგვარად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა შეიძლება გადაიდოს თვით ხელშეკრულების დებულებით, იმისათვის, რომ მხარეებს მიეცეთ დრო ხელშეკრულების მოთხოვნებთან ადაპტირებისათვის (მაგალითად, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში აუცილებელი ცვლილებების შესატანად). ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ძალაში შესვლას ფიქსირებულ დღეს ან უკანასკნელი რატიფიკაციის შემდეგ განსაზღვრულ დღეებს ან თვეებს.

როდესაც ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში ძალიან ბევრი სახელმწიფო მონაწილეობს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ყველა მოახდენს მის რატიფიკირებას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის ზოგადი წესის გამოყენება, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულება ძალაში არ შედის მანამ, სანამ მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა სახელმწიფო არ მოახდენს მის რატიფიკირებას. შესაბამისად, ამგვარი ხელშეკრულება ხშირად ადგენს, რომ იგი ძალაში შედის სახელმწიფოთა ზუსტად განსაზღვრული რაოდენობის მიერ მისი რატიფიკირების შემდეგ (ეს რაოდენობა ხშირად მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობის ერთი მესამედის ტოლია, ვინაიდან ხელშეკრულება აზრს დაკარგავდა, თუ იგი სახელმწიფოთა ძალიან მცირე რაოდენობის მიერ იქნებოდა რატიფიკირებული). მაშინაც კი, როდესაც არსებობს სარატიფიკაციო სიგელების მინიმალური რაოდენობა, ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, ძალაშია მხოლოდ იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიკირება. ხელშეკრულება ძალაში არ შედის სხვა სახელმწიფოებისათვის მანამ, სანამ ისინი, თავის მხრივ, ასევე არ მოახდენენ მის რატიფიკირებას.

ხელშეკრულებას შეიძლება მიეცეს უკუძალა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები აშკარად აპირებენ მიაწიონ ხელშეკრულებას უკუძალა. ასევე, ხელშემკვრელი სახელმწიფოები შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულების დროებით გამოყენებაზე მის ხელმოწერასა და რატიფიკაციას შორის, რაც საკმაოდ მოსახერხებელი საშუალებაა მაშინ, როცა ხელშეკრულება ეხება გადაუდებელ პრობლემას, მაგრამ სჭირდება რატიფიკაცია. თუმცა, ვენის კონვენციის თანახმად, „თუ ... ხელშემკვრელი სახელმწიფოები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, ხელშეკრულების დროებითი გამოყენება სახელმწიფოს მიმართ წყდება, თუ ეს სახელმწიფო აცნობებს სხვა სახელმწიფოებს, რომელთა შორისაც ხელშეკრულება დროებით გამოიყენება, თავის გადანყვეტილებას, რომ არ აპირებს გახდეს ხელშეკრულების მონაწილე“¹⁴.

ვენის კონვენციის მე-18 მუხლი ადგენს:

სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ქმედებებისაგან, რომლებიც გამოაცლიდა ხელშეკრულებას მის ობიექტებსა და მიზნებს, თუ:

- ა) მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და გაცვალა ხელშეკრულების წარმომქმნელი დოკუმენტები რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების პირობით მანამ, სანამ იგი აშკარად არ გამოთქვამს თავის განზრახვას, რომ არ სურს გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე;
- ბ) გამოხატა თანხმობა მისთვის ხელშეკრულების სავალდებულოობაზე იმ პირობით, რომ ასეთი ძალაში შესვლა მეტისმეტად არ გაჭიანურდება.

ჩვეულებით სამართალში ეს წესი გარკვეული ძალით სარგებლობს, მაგრამ თავად საკითხი რამდენადმე სადავოა.

დათქმვა

სახელმწიფო შეიძლება მზად იყოს, მიიღოს ხელშეკრულების დებულებათა უმრავლესობა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო პროტესტი განაცხადოს ხელშეკრულების სხვა დებულებების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფოები ხელშეკრულების მხარედ გახდომისას ხშირად აკეთებენ დათქმებს¹⁵. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ხელმოწერისას გააკეთა დათქმა, რომელიც სიკვდილით დასჯას ეხებოდა¹⁶. ვენის კონვენციის მე-2(1)(დ) მუხლი დათქმას განსაზღვრავს, როგორც:

„ცალმხრივ განცხადებას, რომელსაც აკეთებს სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დროს ან მასთან შეერთებისას და რომლითაც მას სურს, გამორიცხოს ან შეცვალოს ხელშეკრულების ზოგიერთ დებულებათა იურიდიული ძალა ამ სახელმწიფოს მიმართ.“

დათქმის იურიდიული ძალა დამოკიდებულია იმაზე, მიიღებენ თუ არა მას სხვა დაინტერესებული სახელმწიფოები. ორმხრივი ხელშეკრულებების მიმართ გაკეთებული დათქმა პრობლემებს არ ქმნის, ვინაიდან იგი ფაქტობრივად ახალი წინადადებაა, რომელიც განაახლებს მოლაპარაკებებს ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით და სანამ ხელშეკრულების პირობების თაობაზე არ იქნება მიღწეული შეთანხმება, ხელშეკრულება არ დაიდება. მრავალმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში პრობლემა გაცილებით რთულია, ვინაიდან დათქმა შეიძლება მიიღოს რამდენიმე სახელმწიფომ და უარყოფს სხვებმა.

ტრადიციული წესის თანახმად, სახელმწიფოს არ შეეძლო ხელშეკრულებისათვის დათქმის გაკეთება, თუ დათქმა არ იქნებოდა მიღებული ყველა იმ სახელმწიფოს მიერ, რომელმაც ხელი მოაწერა (მაგრამ არა აუცილებლად მოახდინა რატიფიკაცია) ან შეუერთდა ხელშეკრულებას. მიუხედავად ამისა, ამ წესს ძირი გამოუთხარა საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრებამ გენოციდის საქმესთან დაკავშირებით¹⁷. სასამართლომ განაცხადა, რომ, მიუხედავად ტრადიციული თეორიის „უდავო ღირებულებისა“, იგი არ მიესადაგება ხელშეკრულების განსაზღვრულ ტიპებს. უფრო ზუსტად, ის არ მიესადაგებოდა გენოციდის კონვენციას, რომელიც მოწოდებული იყო ინდივიდთა დასაცავად, ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის ორმხრივი უფლებების მინიჭების ნაცვლად. ამის გამო სასამართლომ ურჩია, რომ:

„სახელმწიფო, რომელმაც გააკეთა დათქმა, რომელზედაც პროტესტი განაცხადა [გენოციდის] კონვენციის ერთმა ან რამდენიმე მონაწილემ, მაგრამ მიიღეს სხვებმა, ჩაითვლება კონვენციის მონაწილედ, თუ დათქმა შეესაბამება კონვენციის ობიექტსა და მიზანს“.

რადგან სხვადასხვა სახელმწიფო შეიძლება სხვადასხვა დასკვნამდე მივიდეს დათქმის შესაბამისობის თაობაზე, სასამართლოს მოსაზრების პრაქტიკული შედეგი ისაა, რომ დათქმის გამკეთებელ სახელმწიფოს ხელშეკრულების მონაწილედ მხოლოდ სახელმწიფოთა ნაწილი მიიჩნევა.

ვენის კონვენციის მე-19-21-ე მუხლები იცავს სასამართლოს მიერ გენოციდის საქმესთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ პრინციპებს, მაგრამ დათქმის თაობაზე მიდის ტრადიციული წესის მომხრეებთან, აღიარებს რა, რომ ყოველი დათქმა შეუთავსებელია ხელშეკრულებათა განსაზღვრულ ტიპებთან, თუ იგი ერთსულოვნად არ იქნება მიღებული. საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ ამ საკითხის მხარდასაჭერად წამოყენებულ წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების დადებითი პასუხი მოჰყვა და ალბათ მე-19-21-ე მუხლებში მოცემული წესები მომავალშიც იქნება დაცული, იმ სახელმწიფოების მიერაც კი, რომლებიც არ არიან ხელშეკრულებით სამართლის ვენის კონვენციის მონაწილეები.

¹⁵ D.W. Bowett, Reservations to Non-Restricted Multilateral Treaties, *BYIL* 48 (1976-7), 67-92; R.L. Bindschedler, Treaties, Reservations, *EPIL* 7 (1984), 496-9; R. Kuhner, *Vorbshatte zu multilateralen völkerrechtlichen Verträgen*, 1986; F. Horn, *Reservations and Interpretative Declarations to Multilateral Treaties*, 1988; R.W. Edwards, Jr., Reservations to Treaties, *MJCh. JIL* 10 (1989), 362; C. Redgewell, *Universality or Integrity? Some Reflections on Reservations to General Multilateral Treaties*, *BYIL* 64 (1993), 245-82.

¹⁶ ადამიანის უფლებათა თაობაზე დადებული ხელშეკრულების დათქმები *იბ. თ.* 14.

¹⁷ *ICJ Rep.* 1951, 15, at 29. *იბ.*, E. Klein, *Genocide Convention (Advisory Opinion)*, *EPIL* 11 (1995), 544-6.

¹⁸ Article 102(1) UN Charter (text in *Brownlie BOIL*, 1).
 ob. M. Brandon, *Analysis of the Terms "Treaty" and "International Agreement" for Purposes of Registration under Article 102 of the United Nations Charter*, *AJIL* 47 (1953), 46-69; U. Knapp, *Article 102*, in *Simma CUNAC*, 1103-16.
¹⁹ K. Zemanek, *Treaties, Secret*, *EPIL* 7 (1984), 505-6.
²⁰ იბ. თ. 3.
²¹ გაეროს წესდების მუხ. 102(2).
²² M.B. Akehurst, *Treaties, Territorial Application*, *EPIL* 7 (1984), 510-11.
²³ იბ. თ. 21.
²⁴ H. Ballreich, *Treaties, Effect on Third States*, *EPIL* 7 (1984), 476-80; C. Tomuschat/H.-P. Neuhold/J. Kropholler, *Völkerrechtlicher Vertrag und Drittstaaten*, 1988.
²⁵ გაეროს წესდების ბუნება და მისი განმარტება იბ. თ. 21.

რეგისტრაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102(1)-ე მუხლი ადგენს:

ორგანიზაციის ნებისმიერი წევრის მიერ ამ წესდების ძალაში შესვლის შემდეგ დადებული ყოველი ხელშეკრულება... პირველი შესაძლებლობისთანავე რეგისტრირებული და გამოქვეყნებული უნდა იქნეს სამდივნოს მიერ.¹⁸

102-ე მუხლი არ მოიცავს არანეგერ სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს, მაგრამ ისინი ხშირად ნებაყოფლობით ეგზავნება სამდივნოს „შესანახად და რეგისტრაციაში გასატარებლად.“ ვენის კონვენციის 102-ე მუხლი პირველად ისახავს მიზნად, ამგვარმა გადაცემამ სავალდებულო ხასიათი შეიძინოს. 102-ე მუხლი გამიზნული იყო სახელმწიფოთა შორის საიდუმლო შეთანხმებების თავიდან ასაცილებლად საკუთარი მოქალაქეებისა და იმ სახელმწიფოებისათვის შეტყობინების გარეშე, რომელთა ინტერესებზეც შეიძლება გავლენა მოეხდინა ამგვარ გარიგებას¹⁹. 102-ე მუხლის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ ხელშეკრულებები გაეროს ხელშეკრულებათა სერიის (UNTS) ქვეყნდება, რომელიც სასარგებლო ცნობარია²⁰. თუ სახელმწიფო არ მოახდენს ხელშეკრულების რეგისტრაციას, როგორც ხანდახან ხდება ხოლმე, ხელშეკრულება არ არის ბათილი, მაგრამ „ამგვარი ხელშეკრულების არც ერთ მონაწილეს... არ შეუძლია დაიმონმოს ასეთი ხელშეკრულება... გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არც ერთი ორგანოს წინაშე“.²¹

ხელშეკრულებების გამოყენება

ხელშეკრულებათა ტერიტორიული მოქმედების სფერო

ვენის კონვენციის 29-ე მუხლი ადგენს: „თუ ხელშეკრულება რაიმე სხვა განზრახვას არ ცხადყოფს ან სხვაგვარად არ არის დადგენილი, მაშინ ხელშეკრულება თითოეული მონაწილისათვის სავალდებულოა მთელი მისი ტერიტორიის მიმართ.“²² აღნიშნული წესი ხშირად იცვლება ხელშეკრულებაში არსებული სპეციალური დებულებით. მაგალითად, ადრინდელი ხელშეკრულებები ხშირად შეიცავდნენ „კოლონიურ დათქმას“, რომელიც ადგენდა, რომ ხელშეკრულება ავტომატურად გამოიყენება მხოლოდ თითოეული მონაწილის მეტროპოლიური (ე.ი. არაკოლონიური) ტერიტორიის მიმართ, მაგრამ თითოეულ მონაწილეს უნდა ჰქონდეს თავის ერთ ან მეტ კოლონიაზე მისი გავრცელების დისკრეციული უფლება. კოლონიური დათქმის ერთ-ერთი უპირატესობა იყო ის, რომ ის გულისხმობდა კოლონიის მკვიდრთა სურვილის გათვალისწინებას, კოლონიის მიმართ ხელშეკრულების მოქმედების გავრცელებამდე.

ხელშეკრულების ინტერპრეტაცია მოკლედ ეხება ვენის კონვენციის 31(3)-ე მუხლებს და მას მოგვიანებით განვიხილავთ, როდესაც გაეროს წესდების ინტერპრეტაციას შევეხებით.²³

ხელშეკრულებები და მისამე სახელმწიფოები

ზოგადი წესის თანახმად, ხელშეკრულება არ ქმნის მესამე სახელმწიფოთათვის (ე.ი. სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ არიან ხელშეკრულების მონაწილეები) არც უფლებებს და არც მოვალეობებს²⁴.

მაგრამ ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისები, რომლებიც დეტალურადაა დადგენილი კონვენციის 35(7)-ე მუხლებით. ზოგჯერ ვარაუდობენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების (რომელიც თავად ხელშეკრულებაა) მე-2(6) მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებებს მათი თანხმობის გარეშე²⁵. ფაქტობრივად, მე-2(6) მუხლი აცხადებს:

ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები, მოქმედებენ ამ პრინციპების [პრინციპებისა, რომლებიც ჩამოყალიბებულია წესდების მე-2 მუხლში] თანახმად იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის“.²⁶

რეალურად, მე-2(6) მუხლი არც გულისხმობს არანევერ სახელმწიფოებზე რაიმე ვალდებულების დაკისრებას. ის, უბრალოდ, აცხადებს იმ პოლიტიკას, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გაატარებს არანევერ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში.

²⁶ გაეროს წესდების მუხ. 2(6).
²⁷ იხ. ვენის კონვენციის მუხ. 39-41-ე ხელშეკრულების შესწორებისა და შეცვლის თაობაზე და მუხ. 58(1), 59 ხელშეკრულების მოქმედების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ.

²⁸ M. Schroeder, *Treaties, Validity, EPIL* 7 (1984), 511-4; B. Conforti/A. Labella, *Invalidity and Termination of Treaties: The Role of National Courts, EJIL* 1 (1990), 44-66.

²⁹ იხ. L. Wildhaber, *Treaty-Making Power and Constitution: An Interpretational and Comparative Study*, 1971.

ერთსა და იმავე საკითხზე თანმიმდევრულად დადებული ხელშეკრულების გამოყენება

ზოგჯერ ხელშეკრულების მონაწილე შემდგომში იმავე საკითხზე დადებული სხვა ხელშეკრულების მონაწილე ხდება, ამასთან, ამ ორი ხელშეკრულების დებულებები ურთიერთმეუთავსებელია. ამ მდგომარეობას ართულებს ის ფაქტი, რომ მეორე ხელშეკრულების მონაწილე ან მონაწილეები შეიძლება იყვნენ ან არ იყვნენ პირველი ხელშეკრულების მხარეები. ვენის კონვენციის 30-ე მუხლი დეტალურ წესებს ადგენს აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე პრობლემების მოსაგვარებლად²⁷.

ბათილი ხელშეკრულება

ვენის კონვენციის 42-ე მუხლი ადგენს:

ხელშეკრულების ნამდვილობა ან ხელშეკრულების სავალდებულობაზე სახელმწიფოს თანხმობა შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ ამ კონვენციის გამოყენების საფუძველზე²⁸.

აღნიშნული წესი სახელმწიფოებს არ აძლევს საშუალებას, თავი აარიდონ ხელშეკრულების არახელსაყრელ დებულებებს ამ ხელშეკრულების ბათილად გამოცხადების გზით.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების კომპეტენციას ეხება

მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუცია ადგენს, რომ სახელმწიფოს მეთაურს არ შეუძლია ხელშეკრულების დადება (ან რატიფიცირება მაინც) საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე²⁹. მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მეთაური უგულებელყოფს ამ წესს ხელშეკრულების მხარედ გახდომისას? არის თუ არა ხელშეკრულება ნამდვილი? ამ საკითხზე განსხვავებული აზრები არსებობს. ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობა თვლის, რომ ხელშეკრულება ნამდვილია, თუმცა აღნიშნული დასკვნა იმ შემთხვევაში დაიყვანება, როცა სადავო კონსტიტუციური ნორმა საყოველთაოდაა ცნობილი, რაც საკმაოდ არაზუსტი კვალიფიკაციაა და პრაქტიკაში ძნელად გამოსაყენებელია. მეორე მიმდინარეობა თვლის, რომ ხელშეკრულება ნამდვილია, მაგრამ ამ თვალსაზრისის მომხრეთა ერთი ნაწილი მზადაა, დაუშვას გამოაკლისები იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების ერთმა მხარემ იცოდა, რომ მეორე მხარე კონსტიტუციური ნორმის დარღვევით მოქმედებდა. სახელმწიფოთა უმრავლესობა უპირატესობას მეორე შეხედულებას ანიჭებს, რაც ასახულია ვენის კონვენციის 46-ე მუხლში:

1. სახელმწიფოს არა აქვს უფლება დაიმონმოს ის გარემოება, რომ მისი თანხმობა ხელშეკრულების სავალდებულოობაზე გამობატული იყო შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ამა თუ იმ დებულების დარღვევით, ხელშეკრულების დადების კომპეტენციას რომ ეხება, როგორც ამ თანხმობის ბათილობის საფუძველი, თუ ასეთი დარღვევა არ იყო აშკარა და არ ეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნორმას.

2. დარღვევა აშკარაა, თუ იგი ობიექტურად ცხადი იქნება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ საკითხში კეთილსინდისიერად და ჩვეულებრივი პრაქტიკის შესაბამისად მოქმედებს.

იმ პირთა მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელთაც სახელმწიფოს წარმომადგენლების უფლებამოსილება არა აქვთ

46-ე მუხლი ძირითადად სახელმწიფოში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებულ ურთიერთობებს შეეხება. თუმცა 46-ე მუხლი აცხადებს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედება ხელშეკრულების დადებისას სავალდებულოა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მეორე საკითხია იმის გადამწყვეტა – აღმასრულებელი ხელისუფლების რომელი კონკრეტული წევრია უფლებამოსილი, იმოქმედოს სახელმწიფოს სახელით. აბსურდული იქნება იმის დაშვება, რომ სახელმწიფოს იმდენადვე ავალდებულებს დაბალი რანგის მოხელის მოქმედება, რამდენადაც საგარეო საქმეთა მინისტრისა.

შესაბამისად, ვენის კონვენციის მე-7(1) მუხლი ადგენს:

... ხელშეკრულების სავალდებულოობაზე სახელმწიფოს თანხმობის გამოხატვისთვის, სახელმწიფოს წარმომადგენლად ითვლება პირი, თუ:

- ა) იგი წარმოადგენს შესაბამის უფლებამოსილებას ან
- ბ) შესაბამისი სახელმწიფოს პრაქტიკა ან სხვა გარემოებანი ცხადყოფს, რომ ის მზად იყო, მიეჩნია ეს პირი სახელმწიფოს წარმომადგენლად ამ მიზნისათვის და არ მოითხოვდა მისგან უფლებამოსილების წარდგენას.

მე-7(2) მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოს მეთაურები, მთავრობის მეთაურები და საგარეო საქმეთა მინისტრები თავიანთი ფუნქციებით, სპეციალური უფლებამოსილების წარუდგენლად ითვლებიან თავიანთი სახელმწიფოების წარმომადგენლებად ყველანაირი აქტის შესრულებისას, რომელიც ხელშეკრულების დადებას შეეხება.

მე-8 მუხლი ადგენს:

ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული მოქმედება, განხორციელებული იმ პირის მიერ, რომელიც მე-7 მუხლის თანახმად, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს უფლებამოსილ წარმომადგენლად, არ ჩაითვლება იურიდიული ძალის მქონედ, თუ მას შემდგომ არ დაადასტურებს ეს სახელმწიფო.

სახელმწიფოს თანხმობის გამოხატვის უფლებამოსილების სპეციალური შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ პირი, მე-7 მუხლის თანახმად, შეიძლება უფლებამოსილი იყოს, სახელმწიფოს სახელით დადოს ხელშეკრულება, ზოგჯერ მის უფლებამოსილებას უწესდება სპეციალური შეზღუდვა. მაგალითად, მას შეიძლება დავალებული ჰქონდეს, არ დადოს ხელშეკრულება, თუ იგი არ შეიცავს კონკრეტულ დებულებას, რომელსაც მისი სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამგვარ შეზღუდვას

უგულებელყოფს? 47-ე მუხლი ადგენს:

თუ წარმომადგენლის უფლებამოსილება – გამოხატოს სახელმწიფოს თანხმობა კონკრეტული ხელშეკრულების სავალდებულოობაზე – სპეციალური შეზღუდვის საგანი გახდა, მაშინ დაუშვებელია მის მიერ ასეთი შეზღუდვის დაუცველობის, როგორც გამოხატული თანხმობის ბათილობის, დამონმება, თუ მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს არ აცნობეს შეზღუდვის თაობაზე, წარმომადგენლის მიერ ასეთი თანხმობის გამოხატვამდე.

³⁰ H.G. de Jong. Coercion in the Conclusion of Treaties, *NYIL* 15 (1984), 209-47.

³¹ იბ. თ. 2 დათ. 19.

³² თევზსაჭერი გემების იურიდიული ირლანდის ნინალმდეგ (დიდი ბრიტანეთი ირლანდის ნინალმდეგ), ამ საქმესთან დაკავშირებით იბ. თ. 3 დათ. 12.

სახელმწიფოს წარმომადგენლის იძულება

ვენის კონვენციის 51-ე მუხლი ადგენს:

სახელმწიფოს თანხმობას მისთვის ხელშეკრულების სავალდებულოობაზე, რომელიც მიღწეულ იქნა წარმომადგენლის იძულებით, მის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებით ან მუქარით, იურიდიული ძალა არა აქვს.³⁰

სახელმწიფოს იძულება ძალის მუქარით ან ძალის გამოყენებით

პირველ მსოფლიო ომამდე ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი შეზღუდვებს არ უდგენდა სახელმწიფოთა უფლებას – დაეწყოს ომი³¹. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება, რომლის დადებასაც სახელმწიფოს მიმართ მუქარით ან ძალის გამოყენებით მიაღწიეს, ნამდვილად ითვლებოდა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშკარად შეინიშნებოდა მზარდი ტენდენცია – აგრესია კანონგარეშედ მიჩნეულიყო, რამაც შედეგად ის მოიტანა, რომ აგრესორის მიერ თავს მოხვეული ხელშეკრულებები ბათილად ცხადდება. შესაბამისად, ვენის კონვენციის 52-ე მუხლი ადგენს:

ხელშეკრულება ბათილია, თუ მის დადებას მიაღწიეს მუქარით ან ძალის გამოყენებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით.

52-ე მუხლი თანამედროვე სამართლის ზუსტი განაცხადია³². იქ, სადაც ლაპარაკია „ძალისმიერ მუქარაზე ან ძალის გამოყენებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებული... პრინციპების დარღვევით“, იგულისხმება წესდების მე-2(4) მუხლი, რომელიც კრძალავს „ძალისმიერ მუქარას ან ძალის გამოყენებას... ნებისმიერი... ფორმით, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან“. კომუნისტური სახელმწიფოები და მესამე მსოფლიოს მილიტარისტული სახელმწიფოები ხშირად ასაბუთებდნენ, რომ მე-2(4) მუხლში სიტყვა „ძალა“ გულისხმობს როგორც სამხედრო ძალას, ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის შედეგად თავს მოხვეულ ხელშეკრულებებს იურიდიული ძალა არ ჰქონდა. დასავლეთის სახელმწიფოები ამას არ ეთანხმებოდნენ. საერთაშორისო სამართლის კომისიამ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალთან დაკავშირებით თავის კომენტარში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და განაცხადა, რომ „ძალის“ მნიშვნელობა „პრაქტიკას უნდა დავეუტოვოთ განსასაზღვრად წესდების სათანადო დებულებების ინტერპრეტაციის საფუძველზე“. მიუხედავად ამისა, დადგენილია, რომ კომუნისტური სახელმწიფოებისა და მესამე მსოფლიოს მილიტარისტული სახელმწიფოების მიერ „ძალის“ ინტერპრეტაცია უკიდურესად დამახინჯებულია. წესდების მე-2(4) მუხლს მოქმედებაში მოჰყავს წესდების პრეამბულაში ჩამოყალიბებული პრინციპი, რომ „შეიარაღე-

³² W. Morway, *Unequal Treaties*, *EPIL* 7 (1984), 514-7; C.v. Kattel, *Denunciation of Treaty of 1865 between China and Belgium (Orders)*, *EPIL* 1 (1992), 1010; C. Ku, *Change and Stability in the International System: China Secures Revision of the Unequal Treaties*, in R.St.J. Macdonald (ed.), *Essays in Honour of Wang Tieya*, 1994, 447-62. იბ. აგრეთვე, B.W. Morse/K.A. Hamid, *American Annexation of Hawaii; An Example of the Unequal Treaty Doctrine*, *Conn. JIL* 5 (1990), 407-56; L. Caflich, *Unequal Treaties*, *GYL* 35 (1992), 52.

³³ იბ. თ. 10.

³⁴ იბ. თ. 3.

ბული ძალები უთუოდ საერთო ინტერესებისათვის უნდა გამოიყენებოდეს“, ამიტომ ბრაზილიური შესწორება – მე-2(4) მუხლის მოქმედება გავრცელებულიყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზენოლაზე – უარყოფილ იქნა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე, რომელმაც 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შეადგინა.

ამგვარ ხელშეკრულებებს სხირად „არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებებს“ უწოდებენ, თუმცა ეს ტერმინი ასევე გამოიყენება უსამართლო პირობების მქონე ხელშეკრულებებისთვისაც, მიუხედავად მათი დადების გარემოებებისა³³. სახელმწიფოები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები ბათილია, იშვიათად განსაზღვრავენ ტერმინებს. კომუნისტური და მესამე მსოფლიოს მილიტარისტული სახელმწიფოების მიერ გამოთქმული სანინააღმდეგო შეხედულებების მიუხედავად, „ძალის“ წინააღმდეგ მოქმედ თანამედროვე წესებს უკუძალა არ აქვთ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ხელშეკრულების დადებას ძალის გამოყენებით იმ დროს მიაღწიეს, როცა ძალა არ იყო მიჩნეული კანონგარეშედ, ხელშეკრულების ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს კანონში შემდგომ შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ძალას კანონგარეშედ, ხოლო ძალის გამოყენებით მიღწეულ ხელშეკრულებებს ბათილად აცხადებენ³⁴.

ბათილობის სხვა საფუძვლები

ვენის კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს თანხმობა ხელშეკრულების სავალდებულოობაზე შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი შეცდომის გამო (48-ე მუხლში ჩამოთვლილ განსაზღვრულ გარემოებებში), ხელშეკრულებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოს მოტყუებითი მოქმედების ზეგავლენით (49-ე მუხლი), ან ხელშეკრულებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოს მიერ მისი წარმომადგენლის მოსყიდვით (მუხლი 50). გაურკვეველია, არსებობდა თუ არა ბათილობის ეს საფუძვლები საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში. ხელშეკრულება ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება *ius cogens* ნორმას (მუხლი 53).³⁵

ბათილობის შედეგები

ბათილობის შედეგები ბათილობის საფუძვლის ხასიათის მიხედვით განსხვავდება. ვენის კონვენციის მე-8 და 53-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში ხელშეკრულება ბათილია ან ხელშეკრულების სავალდებულოობაზე გამოთქმულ თანხმობას „იურიდიული ძალა არა აქვს“, რაც ერთსა და იმავეს ნიშნავს. 46-50-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში ვენის კონვენცია აცხადებს, რომ სახელმწიფოს შეუძლია უბრალოდ დაასახელოს ხელშეკრულების გამაბათილებელი ფაქტორი, როგორც ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. ამ ფორმულის არსი ისაა, რომ ხელშეკრულება უფრო სადავოა, ვიდრე ბათილი. ხელშეკრულებას იურიდიული ძალა აქვს მანამ, სანამ სახელმწიფო არ განაცხადებს, რომ ის ბათილია. ამგვარი განცხადების გაკეთების უფლება სახელმწიფომ შეიძლება განსაზღვრულ გარემოებებში დაკარგოს (მუხლი 45). მე-8 და 53(3)-ე მუხლებში მითითებული ხელშეკრულების გამაბათილებელი ფაქტორები უფრო სერიოზულია, ვიდრე 46-50-ე მუხლებში აღნიშნული. ასე რომ, ამგვარი განსხვავება ლოგიკურია, მაგრამ სადავოა, არის თუ არა ეს წესი იმდენად ნათლად ჩამოყალიბებული ჩვეულებით სამართალში, რამდენადაც ამას ვენის კონვენცია ვარაუდობს.

თუმცა, ორივე შემთხვევაში ვენის კონვენციის 68-ე მუხლი ადგენს, რომ მხარე, რომელიც ხელშეკრულების ნამდვილობას საეჭვოს ხდის, ვალდებულია ამის შესახებ ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს შეატყობინოს და მისცეს სანინააღმდეგო აზრის გამოთქმისთვის საკმარისი დრო, რაიმე ღო-

ნისძიების განხორციელებამდე (თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკ-
ლისები). თუ საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა, და აქედან გამომდინარე, დავა
არ გადაწყდა 12 თვეში, 66-ე მუხლი 53-ე მუხლის თაობაზე წამოჭრილ დავებ-
ზე იურისდიქციას ანიჭებს საერთაშორისო სასამართლოს, ხოლო სხვა და-
ვებზე, კონვენციის დანართის საფუძველზე შექმნილ სპეციალურ შემა-
თანხმებელ კომისიას. აღნიშნული დებულებები ამკარად სასურველია ბათი-
ლობის საფუძველთან დაკავშირებული დავების თავიდან ასაცილებლად,
მაგრამ ისინი, წინააღმდეგო არსებულ ჩვეულებით სამართალთან შედარებით, სიახ-
ლეს წარმოადგენენ; კერძოდ, ჩვეულებითი სამართლის თანახმად, საერთა-
შორისო სასამართლოებსა და შემათანხმებელ კომისიებს არა აქვთ იურის-
დიქცია ყველა საქმეზე, რომლებიც ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავ-
შირებულ განცხადებებს ეხება, იმ საქმეების გარდა, რომლებზედაც მხარეები
შეთანხმდებიან, გადასცენ სასამართლოს ან შემათანხმებელ კომისიას.

³⁶ M.B. Akehurst, *Treaties, Termination*, *EPIL* (1984), 507-10; A. Vamvoukos, *Termination of Treaties in International Law. The Doctrines of Rebus Sic Stantibus and Desuetude*, 1985; R. Plender, *The Role of Consent in the Termination of Treaties*, *BYIL* 57 (1986), 133-68; L.-A. Sicilianos, *The Relationship Between Reprisals and Denunciation or Suspension of a Treaty*, *EJIL* 4 (1993), 341-59; N. Kontou, *The Termination and Revision of Treaties in the Light of New Customary Law*, 1994. თუმცა იხ. M.J. Bowmann, *The Multilateral Treaty Amendment Process - A Case Study*, *ICLQ* 44 (1995), 540-59.

³⁷ იგივე ნორმა გამოიყენება ხელშეკრულების მოქმედების შეწყობასთან დაკავშირებით (ვენის კონვენცია, მუხ. 57, 58(1)).

ხელშეკრულების შეწყვეტა

ვენის კონვენციის 26-ე მუხლი ადგენს: „ყოველი მოქმედი ხელშეკრულება
სავალდებულოა მისი მონაწილეებისათვის და კეთილსინდისიერად უნდა
შესრულდეს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს არ შეუძლია, სურ-
ვილისამებრ გაითავისუფლოს თავი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-
ლებებისაგან. ეს რომ შეეძლოს, სამართლებრივი ურთიერთობები უკიდუ-
რესად არამტკიცე იქნებოდა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს სიტყვა „მოქ-
მედი“. ზოგიერთი ხელშეკრულება უვადოდ გრძელდება. თუ არ იარსებებს
დებულებები ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, სამართალი უკიდუ-
რესად მოუქნელი გახდება. სამართლის ნორმებს, რომლებიც ხელშეკრუ-
ლების შეწყვეტას შეეხება, მოუქნელობისა და არამდგრადობის ორ უკიდუ-
რესობას შორის შუალედური პოზიცია უკავიათ³⁶. ეს დებულებები საკმაოდ
წარმატებულია, ვინაიდან ყოველი სახელმწიფო ასობით ხელშეკრულების
მონაწილეა და დაინტერესებული იმით, რომ პრაქტიკაში უსაფრთხოებასა
და მოქნილობას შორის სათანადო ბალანსი არსებობდეს. ვენის კონვენციის
42(2)-ე მუხლი ცდილობს დაიცვას სამართლებრივი ურთიერთობების უსაფ-
რთხოება. აქ ნათქვამია, რომ „ხელშეკრულების შეწყვეტა, მისი დენონსაცია
ან ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლა ხდება თვით ხელშეკრულების ან
ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების შედეგად. ეს წესი გამოიყენება,
აგრეთვე, ხელშეკრულების მოქმედების შესაჩერებლად“.

ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულების დეპულგატია შესაბამისად

ვენის კონვენციის 54-ე მუხლში ნათქვამია: „ხელშეკრულების შეწყვეტა ან
ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლა შეიძლება ხელშეკრულების დებუ-
ლებათა შესაბამისად“.³⁷ მართლაც, თანამედროვე ხელშეკრულებათა უმრავ-
ლესობა შეიცავს დებულებებს ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხელშეკრუ-
ლებიდან გასვლის შესახებ. ზოგჯერ ხელშეკრულება ავტომატურად წყდება
განსაზღვრული დროის შემდეგ ან გარკვეულ გარემოებაში; სხვა ხელშეკ-
რულებები თითოეულ მხარეს უბრალოდ აძლევს დისკრეციულ უფლებას –
გავიდეს ხელშეკრულებიდან, ჩვეულებრივ, შეტყობინებისათვის განსაზღვ-
რული დროის მიცემის შემდეგ.

³⁸ AJIL 61 (1967), 388.

³⁹ იხ. აგრეთვე, ვენის კონვენციის მუხ. 59.

⁴⁰ იხ. K. Widdows, The Unilateral Denunciation of Treaties Containing No Denunciation Clause, BYIL 53 (1982), 83-114.

⁴¹ ნიკარაგუის საქმე (იურისდიქცია), ამ საქმესთან დაკავშირებითი. თ. 3, 18 და 19.

⁴² Ibid.

ხელშეკრულების შეწყვეტა მონაწილეთა თანხმობით

ვენის კონვენციის 54-ე მუხლი ადგენს: „ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლა შეიძლება ნებისმიერ დროს ყველა მონაწილის თანხმობით“. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ზუსტად იმავე გზით, რა გზითაც დაიდო; აქედან გამომდინარე, რატიფიცირებული ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ სხვა რატიფიცირებული ხელშეკრულებით, ოღონდ ეს უკანასკნელი ძალაში მხოლოდ ხელმოწერით არ უნდა იყოს შესული. მაგრამ ეს ფორმალისტური შეხედულება დღესდღეობით უკვე მიუღებელია. მართლაც, საერთაშორისო სამართლის კომისიის აზრით, ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება იგულისხმებოდეს კიდევ, თუ მხარეთა მოქმედებიდან აშკარა იყო, რომ ისინი ხელშეკრულებას აღარ მიიჩნევდნენ ძალის მქონედ³⁸. ხელშეკრულების შეწყვეტის ასეთ მეთოდს „ხელშეკრულების მოძველებას“ უწოდებენ³⁹.

ხელშეკრულების დენონსაციის ან ხელშეკრულებიდან გასვლის ნაგულისხმავი უფლება

ვენის კონვენციის 56-ე მუხლი ადგენს:

1. ხელშეკრულება, რომელიც არ შეიცავს დებულებას მისი შეწყვეტის თაობაზე და არ ითვალისწინებს დენონსაციას ან ხელშეკრულებიდან გასვლას, არ ექვემდებარება დენონსაციას და დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა, თუ
 - ა) დადგენილი არ არის, რომ მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ დაეშვათ დენონსაციის ან ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობა ან
 - ბ) ხელშეკრულების ხასიათი არ გულისხმობს დენონსაციის ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.
2. მონაწილე არანაკლებ თორმეტი თვით ადრე აცნობებს თავის განზრახვას ხელშეკრულების დენონსირების ან ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, პირველი პუნქტის შესაბამისად.

56-ე მუხლის ფორმულირებიდან ჩანს, რომ ხელშეკრულების დენონსაციის ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ შეიძლება იგულისხმებოდეს, თუ ხელშეკრულება შეიცავს სპეციალურ დებულებას დენონსაციის, ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი შეწყვეტის შესახებ.

გაურკვეველია, რამდენად აისახება 56-ე მუხლში ჩვეულებითი სამართალი⁴⁰. ეს განსაკუთრებით 1(6) პუნქტს ეხება, რომელიც ვენის კონფერენციაზე 56-ე მუხლის ტექსტს დაუმატეს 26 ხმით 25-ის წინააღმდეგ, ხოლო ოცდაჩვიდმეტმა თავი შეიკავა. 56-ე მუხლის დებულებები (განსაკუთრებით 1(6) პუნქტი) ბრიტანელ იურისტ-თეორიტიკოსთა უმეტესობის შეხედულებას ასახავს, თუმცა ბევრი ევროპელი იურისტი თვლის, რომ ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში არ შეიძლებოდა არსებულები ხელშეკრულების დენონსაციის ან ხელშეკრულებიდან გასვლის ნაგულისხმევი უფლება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სასამართლომ ნიკარაგუა-შეერთებული შტატების წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებით აღიარა, რომ 56-ე მუხლი ჩვეულებითი სამართლის ზუსტი ფორმულირება⁴¹.

ალიანსისა და კომერციულ ხელშეკრულებათა განსაზღვრული ტიპები ხშირად მოჰყავთ ისეთ ხელშეკრულებათა ძირითად მაგალითად, რომელშიც დენონსაციისა და გამოსვლის უფლება შეიძლება თვით ხელშეკრულების ხასიათში იგულისხმებოდეს. 56(1)(6)-ე მუხლის მნიშვნელობის შესაბამისად, ალბათ ასეთივე დასკვნის გაკეთება შეიძლება იმ ხელშეკრულებების შემთხვევაშიც, რომლებიც იურისდიქციას საერთაშორისო სასამართლოებს ანიჭებენ⁴².

ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი დენონსაციისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ნაგულისხმევი უფლებით სარგებლობისას მოითხოვს შეტყობინებას მისაღებ ვადაში. 52(2)-ე მუხლი უფრო აზუსტებს ამ წესს. ის მოითხოვს შეტყობინებას არანაკლებ თორმეტი თვით ადრე.

⁴³ S. Rosenne, *Breach of Treaty*, 1985; D.N. Hutcheson, *Solidarity and Breaches of Multilateral Treaties*, *BYIL* 59 (1988), 151 *et seq.*; R. Morrison, *Efficient Breach of International Agreements*, *Denver JILP* 23 (1994), 183-222; M.M. Gomaa, *Suspension or Termination of Treaties on Grounds of Breach*, 1996.

⁴⁴ იბ. თ. 20.

ხელშეკრულების შეწყვეტა ან მისი მოქმედების შეჩერება მისი დარღვევის გამო (შეწყვეტა დარღვევის გამო)

ვენის კონვენციის მე-60(1) მუხლი ადგენს: „ორმხრივი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა ერთ-ერთი მონაწილის მიერ მეორე მონაწილეს უფლებას აძლევს დაიმონწმოს ეს დარღვევა, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის ან მთლიანად ხელშეკრულების ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების საფუძველი“.⁴³ დაზარალებული სახელმწიფოს უფლება – შეწყვიტოს ან შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება – ხელშეკრულების დარღვევისათვის ერთ-ერთ უმთავრესი, მაგრამ არა ერთადერთი სანქციაა; არაფერი უშლის ხელს დაზარალებულ სახელმწიფოს, მოითხოვოს კომპენსაცია მე-60(1) მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობის სანაცვლოდ ან მასთან ერთად.

პრობლემა რთულდება, თუ ხელშეკრულება მრავალმხრივია. აშკარაა, რომ A სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების დარღვევამ უფლება არ უნდა მისცეს B სახელმწიფოს, მოახდინოს ხელშეკრულების დენონსაცია, ვინაიდან ეს სამართლიანი არ იქნება C, D, E და ა.შ. სახელმწიფოების მიმართ. შესაბამისად, მე-60(2) მუხლი ადგენს:

ერთ-ერთი მონაწილის მიერ მრავალმხრივი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა უფლებას აძლევს:

ა) სხვა მონაწილეებს, ერთსულოვნად მიღწეული შეთანხმებით, შეაჩერონ ან შეწყვიტონ ხელშეკრულების ან მისი ნაწილის მოქმედება

I. ერთმანეთს და ხელშეკრულების დამრღვევ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში;

II. ყველა მონაწილეს შორის.

ბ) მონაწილეს, რომელიც დარღვევის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა, დაიმონწმოს ეს დარღვევა, როგორც მთლიანად ხელშეკრულების ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების საფუძველი მასა და ხელშეკრულების დამრღვევ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში;

გ) ნებისმიერ სხვა მონაწილეს, ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს გარდა, დაიმონწმოს ეს დარღვევა, როგორც მთლიანად ხელშეკრულების ან მისი ნაწილის მოქმედების შეწყვეტის საფუძველი საკუთარი თავის მიმართ, თუ ხელშეკრულება ისეთი ხასიათისაა, რომ ერთი მონაწილის მიერ მისი დებულებების არსებითი დარღვევა ძირითადად ცვლის თითოეული მონაწილის მდგომარეობას მის მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შემდგომი შესრულების თვალსაზრისით.

მე-2(გ) პუნქტში განხილული ტიპის ხელშეკრულების მაგალითია ხელშეკრულება განიარაღების შესახებ⁴⁴. ერთ-ერთი მონაწილის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების დარღვევა, რა თქმა უნდა, სერიოზულ საფრთხეს უქმნის სხვა მონაწილეებს. მაგრამ უნდა მისცეს თუ არა ამ ფაქტმა უფლება ერთ-ერთ დაზარალებულ მხარეს, მსგავსი საფრთხე შეუქმნას სხვა დაზარალებულ მხარეებს? უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა, აღნიშნული პრობლემა მე-2(ა) პუნქტის შესაბამისად მოწესრიგებულიყო? ნებისმიერ შემთხვევაში გაურკვეველია, ნამდვილად ასახავს თუ არა მე-2(გ) პუნქტი ჩვეულებით სამართალს.

საზოგადოდ, შეთანხმებულია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ წარმოიქმნება, თუ დარღვევა არსებითი (ე.ი. სერიოზული) არ არის. მე-60(3) მუხლში არსებითი დარღვევა განსაზღვრულია, როგორც „(ა) ხელშეკრულებაზე ისეთი უარის თქმა, რომელიც დაუშვებელია ამ კონვენციით; ან (ბ)

დებულების დარღვევა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნების განხორციელებისთვის.“

აღნიშნული დეფინიცია არასრულყოფილია, ვინაიდან იგი ვერ ცხადყოფს, რომ ხელშეკრულების არსებითი დებულების დარღვევა არ წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას, თუ ეს დარღვევა სერიოზული არ იყო. თუ სახელმწიფო დადებს ხელშეკრულებას 5000 ტონა კალის გადაცემის თაობაზე და გადასცემს მხოლოდ 4999 ტონას, ამ შემთხვევაში მე-60(3) მუხლის ზუსტი ინტერპრეტაცია გულისხმობს, რომ მეორე მხარეს შეუძლია მოახდინოს ხელშეკრულების დენონსაცია, ვინაიდან ხელშეკრულება უმნიშვნელოდ დაირღვა. ეს კი საღ აზრს ეწინააღმდეგება.

დარღვევა ხელშეკრულებას ავტომატურად არ წყვეტს; ის დაზარალებულ მონაწილეს ან მონაწილეებს უბრალოდ აძლევს დისკრეციულ უფლებას – შეწყვიტონ ან შეაჩერონ ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო 45-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებული მხარე ამ უფლებით ვერ ისარგებლებს,

თუ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტები:

- ა) ის არაორაზროვნად დათანხმდა, რომ ხელშეკრულება, გამომდინარე შემთხვევიდან, ძალის მქონეა, ძალაშია ან მოქმედებს ან
- ბ) ის, თავისი ქცევიდან გამომდინარე, დუმილით ეთანხმება იმას, რომ ხელშეკრულება ძალის მქონეა, ძალაშია ან მოქმედებს.

დაზარალებული მონაწილის ან მონაწილეთა უფლება – შეწყვიტონ ან შეაჩერონ ხელშეკრულების მოქმედება, – შეიძლება მოდიფიცირებულ იქნეს ან გამოირიცხოს თავად ხელშეკრულებით⁴⁵.

შესრულების შემდგომი შეუძლებლობა

ვენის კონვენციის 61-ე მუხლი ადგენს:

1. მონაწილეს უფლება აქვს, დაიმონმოს ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი, თუ ეს შეუძლებლობა გამონვეულია იმ ობიექტის სამუდამოდ დაკარგვის ან სამუდამოდ მოსპობის შედეგად, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად. თუ ასეთი შეუძლებლობა დროებითია, მისი დამონმება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების შესაჩერებლად.
2. მონაწილეს არა აქვს უფლება, დაიმონმოს შესრულების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის, ხელშეკრულებიდან გასვლის ან მისი მოქმედების შეჩერების საფუძველი, თუ ეს შეუძლებლობა გამონვეულია ამ მონაწილის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ან სხვა საერთაშორისო ვალდებულების დარღვევით, რომელიც მან იკისრა ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა მონაწილის წინაშე.

ამ შემთხვევისათვის მაგალითების დამონმება რთული არ არის. მაგალითად, იმ ხელშეკრულების შესრულება, რომელიც ადგენს, რომ ამა თუ იმ მდინარის წყალი გამოყენებული უნდა იქნეს სარწყავად, შეუძლებელი იქნება, თუ მდინარე დაშრება. ვენის კონვენციის თანახმად, ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა ავტომატურად კი არ წყვეტს ხელშეკრულებას, არამედ მხარეს უბრალოდ აძლევს დისკრეციულ უფლებას, შეწყვიტოს იგი. თუმცა ეს შეხედულება სადავო იყო ჩვეულებით სამართალში.

გარემოებათა ძირეული შეცვლა (*rebus sic stantibus*)

მონაწილე არაა ვალდებული, შეასრულოს ხელშეკრულება, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ გარემოებები ძირეულად შეიცვალა. გასულ საუკუნეებში იურისტ-თეორეტიკოსები ამ წესის ახსნას ცდილობდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ყოველ ხელშეკრულებაში იგულისხმება პირობა, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულება ძალაშია მანამ, სანამ უცვლელია ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებები (*rebus sic stantibus*). ამგვარი განმარტება მიუღებელია, ვინაიდან ის ფიქციას ეფუძნება და აღნიშნული წესის გამოყენების ფარგლებს სცილდება. ამჟამად ეს წესი მხოლოდ გამონაკლის სიტუაციებში გამოიყენება. სხვაგვარად იგი გამოყენებულ იქნებოდა, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სახის არახელსაყრელი ვალდებულებების თავიდან აცილების საბაბი.

ვენის კონვენციის 62-ე მუხლი აღნიშნულ წესს ძალიან ვიწრო ჩარჩოებში აქცევს:

1. არ შეიძლება ხელშეკრულების დადებისას არსებულ გარემოებათა მონაწილეების მიერ განუჭვრეტელი ძირეული შეცვლის, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლის, დამონმება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ა) ასეთი გარემოებები არსებით საფუძველს უქმნიდა მონაწილეთა თანხმობას მათთვის ხელშეკრულების სავალდებულოობაზე; და ბ) გარემოებათა შეცვლის შედეგები ძირეულად ცვლის იმ ვალდებულებათა მოქმედების სფეროს, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება შესრულებას ხელშეკრულების შესაბამისად.
2. გარემოებათა ძირეული შეცვლის, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლის, დამონმება არ შეიძლება, ა) თუ ხელშეკრულება ადგენს საზღვარს; ან ბ) თუ ასეთი ძირეული შეცვლა, რომელსაც იმონმებს ხელშეკრულების მონაწილე, გამონწვეულია ამ მონაწილეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ან სხვა საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის შედეგად, რომელიც მან იკისრა ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა მონაწილის წინაშე.
3. თუ, წინა პუნქტის შესაბამისად, მონაწილეს აქვს უფლება დაიმონმოს გარემოებათა შეცვლა, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი, მაშინ მას შეუძლია აგრეთვე დაიმონმოს ეს შეცვლა, როგორც ხელშეკრულების მოქმედების შეჩერების საფუძველი.

თევზაჭერი გემების იურისდიქციის საქმესთან (*Fisheries Jurisdiction Case*) დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ 62-ე მუხლი „ბევრ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც აღნიშნულ საკითხზე არსებული ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაცია“⁴⁶.

ზოგიერთი იურისტ-თეორეტიკოსი თვლის, რომ გარემოებათა ძირეული შეცვლა ავტომატურად წყვეტს ხელშეკრულებას. სხვათა აზრით, ეს სახელმწიფოს ხელშეკრულების შეწყვეტის დისკრეციულ უფლებას აძლევს. ვენის კონვენცია ამ მიდგომას ირჩევს. უფრო მეტიც, 45-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის დისკრეციული უფლება შეიძლება განსაზღვრულ გარემოებებში დაიკარგოს.⁴⁷

უდავოა, ხელშეკრულებებს ხშირად სჭირდება შეცვლა და ცვალებად პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა. მაგრამ *rebus sic stantibus* მოუხერხებელი მეთოდია ამ მიზნის მისაღწევად. იგი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება და მის გამოყენებას მოჰყვება არა ხელშეკრულების შეცვლა, არამედ მისი შეწყვეტა. ცვლილებების შეტანა, შეწყვეტისგან განსხვავებით, მხოლოდ შეთანხმების საფუძველზე შეიძლება და ამ შემთხვევაში ყველა სახელმწიფო არაა მომზადებული, დაეთანხმოს შესწორებებს, რომლებიც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ხანდახან ისინი შიშობენ, რომ ერთ სახელმწიფოსთან დათმობაზე წასვლა ნააქეზებს სხვა სახელმწიფოებს – მოითხოვონ

⁴⁶ დიდი ბრიტანეთი ისლანდიის წინააღმდეგ (იურისდიქცია) ამსტერდამის საერთაშორისო იბ. თ. 3 და 12. იხ. აგრეთვე, თავისუფალი ზონების საქმე (*Free Zones Case*)
⁴⁷ იხ. ზემოთ.

⁴⁸ იხ. თ. 22.

⁴⁹ იხ. ვენის კონვენციის მუხ. 71(2). ზოგადად *ius cogens* ნორმის შესახებ იხ. თ. 3.

⁵⁰ იხ. თ. 19.

⁵¹ J. Delbruck, War, Effect on Treaties, *EPIL* 4 (1982), 310-15.

⁵² იხ. თ. 3.

⁵³ იხ. ზემოთ.

მსგავსი ცვლილებები სხვა ხელშეკრულებებში. მაგრამ სახელმწიფოთა სურვილი, მოიპოვონ სხვა სახელმწიფოთა კეთილგანწყობა, ხშირად უბიძგებს მათ, ნავიდნენ აუცილებელ დათმობებზე. უფრო მეტიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს, რეკომენდაცია გაუწიოს ხელშეკრულებათა პირობების შეცვლას წესდების მე-14 მუხლის თანახმად, რომელიც ადგენს: „გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია, რეკომენდაცია გაუწიოს ნებისმიერი სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარების ზომებს, მისი წარმოშობის მიუხედავად, რომელსაც შეეძლო დაერღვია საერთო კეთილდღეობა ან სახელმწიფოებს შორის მეგობრული დამოკიდებულება“.⁴⁸

ახალი იმპერატიული ნორმის წარმოშობა (*ius cogens*)

ვენის კონვენციის 64-ე მუხლი ადგენს: „თუ წარმოიქმნება ზოგადი საერთაშორისო სამართლის ახალი იმპერატიული ნორმა, მაშინ ნებისმიერი არსებული ხელშეკრულება, რომელიც ამ ნორმას არ შეესაბამება, ბათილია და წყდება“.⁴⁹ მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების ბათილობას უკუძალა არა აქვს.⁴⁹

ომის დაწყება

ვენის კონვენცია არ ეხება ხელშეკრულებაზე ომის⁵⁰ დაწყების შესაძლო ზემოქმედების შედეგებს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ამ კონვენციის დებულებები წინასწარ არ წყვეტს არც ერთ იმ საკითხს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ... სახელმწიფოთა შორის სამხედრო მოქმედების დაწყების შედეგად“ (მუხლი 73). პრობლემა უკიდურესად რთულია⁵¹. თავდაპირველად ომი განიხილებოდა, როგორც მეომარ სახელმწიფოებს შორის ყველა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, მაგრამ დღეს ეს წესი ნაწილობრივ უარყოფილია. ალბათ თავად ნორმა კი არ შეიცვალა, რამდენადაც იმ ხელშეკრულებათა ბუნება, რომელთაც აღნიშნული წესი ეხება. იმის თქმა, რომ ომი წყვეტდა ყველა ხელშეკრულებას მეომარ სახელმწიფოებს შორის, გონივრული იყო მაშინ, როცა ხელშეკრულებათა უმრავლესობა ორმხრივი „ხელშეკრულება-გარიგებები“ იყო. ეს წესი უნდა შეიცვალოს, ვინაიდან მრავალი ხელშეკრულება მრავალმხრივი „ნორმატიული ხელშეკრულება“⁵², რომლის მონაწილეებიც მარტო მეომარი კი არა, ნეიტრალური სახელმწიფოებიც არიან.

ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლის ამ რთული სფეროს მნიშვნელობა ორი მიზეზის გამო შემცირდა. ჯერ ერთი, ამჟამად სამხედრო მოქმედებებში მონაწილე სახელმწიფოები იშვიათად აღიარებენ, რომ იმყოფებიან ომის მდგომარეობაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ომისაგან განსხვავებით, სამხედრო მოქმედებები, ჩვეულებრივ, მონინალმდეგეებს შორის დადებული ხელშეკრულებების შეწყვეტას არ იწვევს. მეორეც, საზავო ხელშეკრულებები და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ომების შეწყვეტასთანაა დაკავშირებული, როგორც წესი, ადგენენ, რა ბედი უნდა ენიოთ მეომარ სახელმწიფოებს შორის ომამდე დადებულ ხელშეკრულებებს. ასე რომ, ამ საკითხზე ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენება აუცილებელი არ არის.

ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერების შედეგები

ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერების შედეგებთან დაკავშირებული ნორმები ჩამოყალიბებულია ვენის კონვენციის 70-ე, 71(2)-ე და 72-ე მუხლებში, რომელთაც აქ აღარ განვიხილავთ. ვენის კონვენციის იმ პროცედურის დამდგენი ნორმების უმრავლესობა, რომელიც დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების ბათილობისას, ასევე გამოიყენება *mutatis mutandis* ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერების მიმართ. განსაკუთრებით ეს 65-68-ე მუხლებს ეხება⁵³.

10. ტერიტორიაზე უფლების მოპოვება

„ტერიტორიაზე უფლების მოპოვება“ არის მოკლე გზა ტერიტორიაზე სუვერენიტეტის განსასაზღვრად.¹ სუვერენიტეტს – სიტყვას, რომელიც ხშირად გადაჭარბებულად გამოიყენება,² აქ უფრო ვიწრო მნიშვნელობა ექნება მინიჭებულს; სუვერენიტეტი ტერიტორიაზე ნიშნავს „უფლებას, განახორციელო ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოს ფუნქციები, სხვა სახელმწიფოების მონაწილეობის გამორიცხვით“.³ თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ეს უფლება შეუზღუდავი იყოს. სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ ხელშეკრულების ან ადგილობრივი ჩვეულების ძალით მოიპოვონ მცირე უფლებები ამ ტერიტორიაზე, მაგალითად ისეთი, როგორცაა უფლება ტერიტორიაზე გამავალ გზაზე. სახელმწიფოს ისეთი უფლებაც კი, როგორცაა თავისი ტერიტორიის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის უფლება, რაც ხშირად მოიხსენიება, როგორც ტერიტორიაზე სუვერენიტეტის განხორციელების გამოსავლენი ტესტი, შეიძლება შეზღუდული იყოს ხელშეკრულებით. მაგალითად, 1955 წლის დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულებით, ავსტრია დათანხმდა, რომ არ შევიდოდა პოლიტიკურ ან ეკონომიკურ კავშირში გერმანიასთან.⁴ ასევე, 1713 წლის უტრეხტის ხელშეკრულებით, დიდმა ბრიტანეთმა განაცხადა თანხმობა, გიბრალტარზე სუვერენიტეტის გასხვისების შემთხვევაში პირველი შეთავაზება ესპანეთისთვის გაეკეთებინა.⁵

ტერიტორიის მოპოვების ფორმები

ტრადიციული მოსაზრების თანახმად, ტერიტორიაზე სუვერენიტეტის მოპოვების რამდენიმე ფორმა არსებობს. ამ ფორმების კლასიფიკაცია თავიდან ნასესხები იყო რომის სამართლის წესებიდან ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესახებ, რაც გასაკვირი არც არის, რადგან ტერიტორიის ფლობის უფლება გარკვეულად ჰგავს ქონების ფლობის უფლებას; მე-16-17 საუკუნეებში, როდესაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალმა დაიწყო ჩამოყალიბება, აბსოლუტური მონარქიის თეორიები სახელმწიფოს ტერიტორიას განიხილავდა, როგორც მონარქის კერძო საკუთრებას. მაგრამ არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომელთა მიერ კერძო სამართლის კონცეფციების ამგვარი გამოყენება წარმოშობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დამახინჯებულ გაგებას. კერძოდ, იგი გულისხმობს, რომ ტერიტორიის გადაცემა ხდება უკვე არსებულ სახელმწიფოებს შორის, ისევე როგორც ქონების გადაცემა ხდება რეალურად არსებულ პირებს შორის. არცთუ ისე შორეულ წარსულში კი ტერიტორიის გადაცემის (უფრო ზუსტად, ტერიტორიაზე სუვერენიტეტის გადაცემის) ყველაზე ხშირ ფორმას წარმოადგენდა კოლონიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება.⁶ რადგან ტერიტორია სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილია,⁷ სახელმწიფოს წარმოშობა და ტერიტორიის გადაცემა განუყოფელია – სახელმწიფო არის მისი ტერიტორია. ქვემოთ ტერიტორიის მოპოვების ფორმების ტრადიციულ სიაზე ახალი სახელმწიფოების წარმოშობის მორგების მცდელობა იქნება; მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ ახალი სახელმწიფოების წარმოშობის ფორმები ყოველთვის არ შეესაბამება ამ სიას.

სხვა საყურადღებო საკითხი ტერიტორიის მოპოვების ფორმებზე საუბრისას არის ის, რომ ისინი სრულად მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც ტერიტორიაზე საკუთრების უფლება გაურკვეველია. მაგალითად, შოტლანდიის

¹ G. Schwarzenberger, *Title to Territory: Response to a Challenge*. AJIL 51 (1967), 308-24; J.A. Andrews, *The Concept of Statehood and the Acquisition of Territory in the Nineteenth Century*. LQR 94 (1978), 408-27; R.Y. Jennings, *The Acquisition of Territory in International Law*, 1962; Y.Z. Blum, *Historic Titles in International Law*, 1965; M.N. Shaw, *Territory in International Law*, NYIL 13 (1982), 61-91; S.T. Bernardez, *Territorial Sovereignty*, EPIL 12 (1987), 487-94; Bernardez, *Territory, Acquisitio*. *ibid.*, 496-504; Harris CML, 173 *et seq.*; R. Jennings/A. Watts (eds), *Oppenheim's International Law*, 9th edn 1992, 679 *et seq.*; G. Distefano, *La Notion de titre juridique et les différends territoriaux dans l'ordre international*, RGDIP 99 (1995), 335-66.

² იბ. თ. 2.

³ *Island of Palmas Case* (1928), RIAA 11 829, 838. ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე თ. 5 და 6.

⁴ ტექსტი 217 UNTS 223 (1955); იხ. G. Strourzh, *Austrian State Treaty* (1955), EPIL 1 (1992), 301-5.

⁵ ხელშეკრულების ტექსტი 28 CTS 295 (1713-4). გიბრალტარის სტატუსისთვის იხ. Harris CML, 209-10; H.S. Levie, *Gibraltar*, EPIL 11 (1995), 596-9; P. Gold, *Stone in Spain's Shoe? Search for a Solution to the Problem of Gibraltar*, 1994; S.J. Lincoln, *The Legal Status of Gibraltar: Whose Rock is it Anyway?* Fordham ILJ 18 (1994), 285-31.

⁶ J. G. Starke, *The Acquisition of Title to Territory by Newly Emerged States*. BYIL 41 (1965-66), 411-16; იბ. თ. 2.

⁷ იბ. თ. 5.

⁸ Island of Palmas Case, op.cit.
⁹ იხ. ქვემოთ.

¹⁰ J. Simsarian, The Acquisition of Legal Title to Terra Nullius, Political Science Quarterly 53 (1938), 111-28.

¹¹ Clipperton Island Case (1932) (France v. Mexico), RIAA XI 1105, 1110-11. იხ. აგრეთვე Harris CMLL, 183-6; I.V. Münch. Clipperton Island Arbitration, EPIL 1 (1992), 622-3; S.T. Bernardez, Territory, Abandonment, EPIL 10 (1987), 494-6.

¹² იხ. Harris CMLL, 196-201; P. Beck, The Falkland Islands as an International Problem, 1988; M. Evans, The Restoration of Diplomatic Relations Between Argentina and United Kingdom, ICLQ 40 (1991), 473 et seq.; A. Donchev (ed), International Perspectives on the Falkland Conflict: A Matter of Life and Death, 1992; R. Dolzer, The Territorial Status of the Falkland Islands (Malvinas): Past and Present, 1992; A. Norman, The Falkland Islands. Their Kinship Isles, The Antarctic Hemisphere and the Freedom of the Two Great Oceans, ტ. 1-4, 1986-1993 ფოლკლენდის, სამხრეთ ჯორჯიისა და სამხრეთ სენდვიჩის კუნძულების სუვერენიტეტის ფორმულისა და ურთიერთობების შესახებ არგენტინა-დიდი ბრიტანეთის 1989 წლის ერთობლივი განცხადებისათვის იხ. ILM 29 (1990), 1291. იხ. აგრეთვე ორივე მხარის '995 წლის ერთობლივი დეკლარაცია სამხრეთ-დასავლეთ ატლანტიკაში ოფშორული საქმიანობის შესახებ. ILM 35 (1996), 301. იხ. აგრეთვე თ. 19.

კუნძულები იმდენი ხნის მანძილზეა დიდი ბრიტანეთის ნაწილი, რომ ყველა სახელმწიფო აღიარებს მათ, როგორც გაერთიანებული სამეფოს ნაწილს, და არაავინ თვლის საჭიროდ, გაარკვიოს, თუ რა გზით მოიპოვა დიდმა ბრიტანეთმა ეს ტერიტორიები.

დათმობა

დათმობა არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისთვის ტერიტორიის გადაცემა, ძირითადად ხელშეკრულების დადების გზით. თუ არსებობდა ნაკლოვანებები დამთმობი სახელმწიფოს საკუთრების უფლებაში, იმ სახელმწიფოს უფლება, რომელსაც ტერიტორია გადაეცა, იმავე ნაკლოვანებების მატარებელია; ეს გამოიხატება ლათინური ანდაზით: *nemo dat quod non habet* (არავინ იძლევა იმას, რაც არ აქვს). მაგალითად, პალმის კუნძულის (Island of Palmas) საქმეში⁸ ესპანეთმა ფილიპინების კუნძულები შეერთებულ შტატებს 1898 წლის პარიზის ხელშეკრულებით დაუთმო; ხელშეკრულებაში პალმის კუნძული განიხილებოდა, როგორც ფილიპინების ნაწილი. მაგრამ, როდესაც შეერთებულმა შტატებმა მოინდომა კუნძულზე საკუთრების უფლების განხორციელება, აღმოაჩინა, რომ ის ჰოლანდიის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. შემდგომ არბიტრაჟში შეერთებულ შტატებსა და ჰოლანდიას შორის, შეერთებული შტატები აცხადებდა, რომ კუნძული 1898 წლამდე ესპანეთს ეკუთვნოდა და, შესაბამისად, აშშ-მ კუნძულზე უფლება ესპანეთისგან დათმობის გზით მოიპოვა. არბიტრმა, მაქს ჰუბერმა, დაადგინა, რომ ესპანეთს თავიდან რომც განხორციელებინა სუვერენიტეტი კუნძულზე (მოსაზრება, რომელიც მან ღიად დატოვა), კუნძულს მაინც ჰოლანდია მართავდა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, ამდენად, მან შეცვალა ესპანეთი, როგორც კუნძულის სუვერენი.⁹ რადგან ესპანეთს არ ჰქონდა უფლება კუნძულზე 1898 წელს, შეერთებული შტატები ვერ მიიღებდა ამ უფლებას ესპანეთისაგან.

ტერიტორიული ცვლილებების გარდა, რაც მოჰყვება საზავო ხელშეკრულებას, ტერიტორიის დათმობა (ისე, როგორც საფრანგეთმა დაუთმო ლუიზიანა შეერთებულ შტატებს 60 მილიონ ფრანკად 1803 წელს, ან ბრიტანეთის მიერ ჰელგოლანდის კუნძულის დათმობა გერმანიისათვის ზანზიბარის სანაჯვლოდ 1890 წელს) იშვიათი მოვლენაა და განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა, შეერთებული შტატების მიერ 1971 წელს გედის კუნძულების ჰონდურასისთვის გადაცემა.

ოკუპაცია

ოკუპაცია არის *terra nullius*-ის, ანუ იმ ტერიტორიის, დაკავება, რომელიც ოკუპაციის მომენტისათვის არ ეკუთვნოდა არც ერთ სხვა სახელმწიფოს.¹⁰ ტერიტორია შეიძლება არასდროს ეკუთვნოდა რომელიმე სახელმწიფოს ან ის წინა სუვერენის მიერ იყოს მიტოვებული. ტერიტორიის მიტოვება მოითხოვს არა მარტო ტერიტორიაზე ძალაუფლების განხორციელების შეუძლებლობას, არამედ ტერიტორიის მიტოვების განზრახვასაც.¹¹ ეს შიდა კანონმდებლობაში დაახლოებით ისეთ განსხვავებას შეესაბამება, როგორიცაა განსხვავება ქონების დაკარგვასა და მის თავიდან მოშორებას შორის. დღეს უკვე იშვიათად მოიძებნება მსოფლიოს ნაწილი, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც *terra nullius*, რადგან დედამიწის თითქმის მთელი სახმელეთო სივრცე არსებული სახელმწიფოების სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება. მაგრამ უმეტესი დავა ტერიტორიებზე სათავეს იღებს გასულ საუკუნეებში, როდესაც ტერიტორიები ხშირად მოიპოვებოდა ოკუპაციის გზით, მაგალითად, დავა არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის ფოლკლენდის კუნძულების ფლობაზე.¹²

გასულ საუკუნეებში საერთაშორისო სამართლის ევროპელი სპეციალისტები ზოგჯერ უარს აცხადებდნენ, ელიარებინათ, რომ არაევროპულ საზოგადოებებს შეეძლოთ შეექმნათ სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლებრივი გაგებით, და არაევროპელი ხალხების მიერ დასახლებულ ტერიტორიებს განიხილავდნენ, როგორც *terra nullius*-ს.¹³

ტერიტორია ოკუპირებულია, როდესაც მასზე რეალური (ეფექტური) კონტროლი ხორციელდება. რეალური კონტროლის მოთხოვნა საერთაშორისო სამართალში მკაცრდება არაოკუპირებული ტერიტორიების რაოდენობის შემცირების შესაბამისად. მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც დაუკავებელი ტერიტორიის უმეტესობა იქნა აღმოჩენილი,¹⁴ რეალური კონტროლის განმარტება საკმაოდ თავისუფალი იყო; მართლაც, ტერიტორიის უბრალო აღმოჩენა აძლევდა სახელმწიფოს „საწყის უფლებას“, რაც ნიშნავდა დაკავების შესაძლებლობას გონივრულ ვადაში, რომლის განმავლობაშიც სხვა სახელმწიფოებს არ ჰქონდათ უფლება, მოეხდინათ ამ ტერიტორიის ოკუპაცია. დროის სვლასთან ერთად, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები სულ უფრო და უფრო იცვლება რეალური კონტროლის დადგენის მხრივ.¹⁵ თუმცა, თანამედროვე პერიოდშიც კი, რეალური კონტროლი შეფარდებითი კონცეფციაა; ის იცვლება იმის შესაბამისად, თუ როგორია შესაბამისი ტერიტორიის ბუნება. მაგალითად, გაცილებით იოლია რეალური კონტროლის დამყარება უდაბურ და დაუსახლებელ კუნძულზე, ვიდრე ველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჯარების შეყვანა ალბათ აუცილებლად გახდება საჭირო, მაშინ, როცა პირველში ამის საჭიროება არ არსებობს. რეალური კონტროლი შეფარდებითი ცნებაა სხვა მხრივაც, რაც აღინიშნა კიდევ მართლმსაჯულების მუდმივი სასამართლოს მიერ აღმოსავლეთ გრენლანდიის საქმეში (*Eastern Greenland case*):

სხვა გარემოება, რომელიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, არის ის, თუ... რამდენად აცხადებს სხვა სახელმწიფო პრეტენზიას სუვერენიტეტზე. სასამართლომდე მისულ საქმეთა უმეტესობაში, რომლებიც ტერიტორიული სუვერენიტეტის საკითხებს ეხება, ჭარბობს სუვერენიტეტზე ორი ურთიერთსა-წინააღმდეგო მოთხოვნა, და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რომელი მოთხოვნაა უკეთესად არგუმენტირებული... ბევრ შემთხვევაში სასამართლო დაკმაყოფილებულა მცირედით სუვერენული უფლებების ფაქტობრივი განხორციელების დასადაგენად, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე სახელმწიფოს არ შეუძლია წარმოადგინოს უკეთესად დასაბუთებული სარჩელი. ფაქტობრივად, ეს შეეხება სუვერენიტეტის მოთხოვნებს ტერიტორიებზე ნაკლებად დასახლებულ ან მოუნყობელსახელმწიფოებში.¹⁶

(ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ დანიას გააჩნდა სუვერენიტეტი გრენლანდიის მთელ ტერიტორიაზე და უარყო ნორვეგიის მოთხოვნა, რომ ამ ტერიტორიის ნაწილი, ცნობილი, როგორც ერიკ როდეს მიწა (*Erik Raudes Land*), იყო *terra nullius*-ი, ნორვეგიის მიერ 1931 წელს ოკუპაციაზე დეკლარაციის გამოცემის მომენტისათვის.)

ზოგიერთ საქმეში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის მოპოვებისათვის არ არის საკმარისი რეალური კონტროლის განხორციელება, მას ასევე უნდა ჰქონდეს „სუვერენობის სურვილი“.¹⁷ შესაბამისად, კერძო პირების ცალკეულ საქმიანობას მცირე მნიშვნელობა აქვს, თუ მათ არ შეუძლიათ აჩვენონ, რომ ისინი მოქმედებენ

თავისი მთავრობის მიერ მინიჭებული გარკვეული უფლებამოსილების შესაბამისად ან რომ მთავრობამ რაიმე სხვა გზით განამტკიცა იურისდიქცია მათი მეშვეობით.¹⁸

¹³ იხ. თ. 2., მაგრამ ასეთი მიდგომა გაცილებით უფრო იშვიათი იყო, ვიდრე ზოგჯერ ფიქრობენ: იხ. *The Wester Sahara Case*, ICJ Rep. 1975. 12. 390; *Harris CMIL*, 190-2; K. Oellers-Frahm, *Western Sahara (Advisory Opinion)*, EPIL 2 (1981), 291-3; P.D. O'Connell, *International Law*, 2nd edn 1970 ტ. 1, 408-9.

¹⁴ E.A. Frhr.v.d.Heydte, *Discovery, Symbolic Annexation and Virtual Effectiveness in International Law*, AJIL 29 (1935), 448-71; A.-M. de Zayas, *Territory, Discovery*, EPIL 10 (1987), 504-7. იხ. აგრეთვე *Harris CMIL*, 181. n. 3.

¹⁵ იხ. A.S. Keller O.J. Lissitzyn/F.J. Mann, *Creation of Rights of Sovereignty through Symbolic Acts 1400-1800* (1938).

¹⁶ *Eastern Greenland Case* (1933), PCIJ, series A/B, no. 53, at 46. იხ. I.v. Münch, *Eastern Greenland Case*, EPIL 11 (1995), 7-9; *Harris CMIL*, 186, n. 2.

¹⁷ *Ibid.*, 45, მაგრამ იხ. I. Brownlie, *Principles of Public International Law*, 4th edn, 1990. 142-4, 145-6, 150

¹⁸ *Fisheries Case*, ICJ Rep. 1951. 116. 184, per Judge McNair. ამ საქმესთან დაკავშირებით იხ. თ. 3 და თ. 12; *Harris CMIL*, 182-3.

¹⁹ 610 UNTS 205; Harris CMLL. 222-32. იხ. თ. 13.

²⁰ ტექსტი 402 UNTS 71; AJIL 54 (1960), 477; ILM 19 (1980), 860. იხ. Harris CMLL. 211-7; F. Francioni/T. Scovazzi. International Law for Antarctica, 1987; C. Joyner/S.K. Chopra (eds). The Antarctic Legal Regime. 1988; R. Lefebvre. The Exercise of Jurisdiction in the Antarctic Region and the Changing Structure of International Law: The International Community and Common Interests. NYIL 21 (1990), 81-138; E.J. Sahurie, The International Law of Antarctica, 1992; R. Wolfrum/U.-D. Klemm, Antarctica. EPIL 1 (1992), 173-82; A. Berg. Antarctica Cases (U.K. v. Argentina: U.K. v. Chile). *ibid.*, 182-3; A. Watts. International Law and Antarctic Treaty System, 1992; K.R. Simmonds. The Antarctic Conventions. 1993; M.C.W. Pinto, Governance of Antarctica. in R.St.J. Macdonald (ed.). Essays in Honour of Wang Tieya. 1994. 587-609. რაც შეეხება არქტიკას, რე არქტიკულმა სახელმწიფომ (კანადა, დანია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია, რუსეთი, შვედეთი, აშშ) დააფუძნა არქტიკის საბჭო, როგორც სამთავრობათაშორისო ფორუმი, 1996 წლის 19 სექტემბერს. იხ. ILM 35 (1996), 1382.

²¹ G.D. Triggs (ed). The Antarctic Treaty Regime: Law, Environment and Resources. 1987; M. Howard. The Convention of Antarctic Marine Living Resources: A Five Year Review. ICLQ 38 (1989), 104-50; A.D. Watts. The Convention on the Regulation of Antarctic Mineral Resource Activities. 1991; J. Verhoeven/P. Sands/M. Bruce (eds). The Antarctic Environment and International Law. 1992; C.C. Joyner, Antarctica and the Law of the Sea, 1992; M.T. Infante. Maritime Conventions in Antarctica. GYIL 35 (1992), 249; C. Redgwell. Environmental Protection in Antarctica: The 1991 Protocol. ICLQ 43 (1994), 599-756; იხ. აგრეთვე დოკუმენტები, დაბეჭდილი ILM 35 (1996) 1165-89.

²² ამ პრინციპზე დისკუსიისათვის იხ. თ. 13.

²³ იხ. D. Johnson. Acquisitive Prescription in International Law. BYIL 27 (1950), 332-54; R. Pinto. La Prescription en droit International. RdC 87. 1995-1), 390-452; C.A. Reischbauer. Prescription. EPIL 10 (1987), 327-30.

²⁴ W. Kurf, Protet, EPIL 9 (1986), 320-2.

ზოგჯერ ქვეყნები თანხმდებიან, არ განაცხადონ პრეტენზიები კონკრეტულ ტერიტორიებზე, ასე რომ ეს ტერიტორიები ფაქტობრივად *terra nullius*-ად რჩება. ამის მაგალითები შეიძლება ვნახოთ „კოსმოსის, მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით, ექსპლუატაციისა და გამოყენების დროს სახელმწიფოთა მოქმედების მმართველი პრინციპების შესახებ“ 1967 წლის ხელშეკრულების (კოსმოსის ხელშეკრულება)¹⁹ მე-2 მუხლსა და 1959 წლის ანტარქტიდის ხელშეკრულებაში.²⁰ 1959 წლამდე რამდენიმე სახელმწიფო აცხადებდა პრეტენზიას ანტარქტიდის სხვადასხვა ნაწილებზე, მაგრამ ერთი სახელმწიფოს მოთხოვნა ემთხვეოდა სხვა სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილ ტერიტორიას, მაშინ, როდესაც არც ერთი მათგანი არ ხვდებოდა შესაბამისი სახელმწიფოების რეალური კონტროლის ქვეშ. 1959 წლის ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა ანტარქტიდით დაინტერესებული ყველა სახელმწიფოს მიერ და არც ერთ მონაწილე მხარეს არ შეეძლო, შეენეციტა ხელშეკრულებაში მონაწილეობა პირველი 30 წლის განმავლობაში. ხელშეკრულება ადგენს ანტარქტიდაზე მოძრაობისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას; მხარეები შეთანხმდნენ, ითანამშრომლონ ერთმანეთთან და არ გამოიყენონ ანტარქტიდა სამხედრო მიზნებისათვის. ანტარქტიდაში სუვერენიტეტზე არსებულ მოთხოვნებზე ხელშეკრულება გავლენას არ ახდენს, მაგრამ მისი მე-6 მუხლი ადგენს:

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განხორციელებული მოქმედება ან საქმიანობა არ გახდება ანტარქტიდაში ტერიტორიული სუვერენიტეტის მოთხოვნის, აღიარების, ხელშეწყობის ან უარყოფის საფუძველი, ასევე არ შექმნის ანტარქტიდაში სუვერენიტეტზე რაიმე უფლებებს. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ იქნება აღიარებული არც ერთი ახალი მოთხოვნა ისევე, როგორც არ დაიშვება უკვე არსებული მოთხოვნების გაფართოება ანტარქტიდაში ტერიტორიული სუვერენიტეტის თაობაზე.

ამავე დროს, ანტარქტიდა მოხვდა საერთაშორისო ხელშეკრულების რეჟიმის მოქმედებაში, რომელიც მიმართულია მისი რესურსებისა და გარემოს დაცვისაკენ.²¹ ეროვნული იურისდიქციის მიღმა მყოფ სხვა ტერიტორიებთან ერთად, ისეთი, როგორცაა ლია ზღვა, ლია ზღვის ფსკერი და კოსმოსი, ანტარქტიდა უკვე მოიაზრება, როგორც „საერთაშორისო საზოგადოების“ კუთვნილი ტერიტორია, რომელიც „კაცობრიობის საერთო საკუთრების“²² ორახროვანი პრინციპით იმართება.

ხანდაზმულობა

ოკუპაციის მსგავსად, ხანდაზმულობა²³ ეფუძნება ტერიტორიაზე რეალურ კონტროლს. და ისევე, როგორც ოკუპაციის შემთხვევაში, მას თან უნდა ახლდეს „სუვერენად ყოფნის სურვილი და განზრახვა“. განსხვავება ხანდაზმულობასა და ოკუპაციას შორის ის არის, რომ ხანდაზმულობით ხორციელდება სხვა სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის მოპოვება, მაშინ როდესაც ოკუპაცია *terra nullius*-ის მოპოვებაა. შესაბამისად, რეალური კონტროლი, რომელიც აუცილებელია ხანდაზმულობის გზით ტერიტორიაზე უფლების მოსაპოვებლად, უნდა გრძელდებოდეს გაცილებით მეტხანს, ვიდრე რეალური კონტროლი, რომელიც საჭიროა ოკუპაციის შემთხვევაში; ყოფილი სუვერენის მიერ უფლების დაკარგვა თავისთავად არ იგულისხმება.

ტერიტორიის მიმღები სახელმწიფოს მიერ რეალური კონტროლი უნდა განხორციელდეს იმ სახელმწიფოს თანხმობით, რომელმაც დაკარგა ეს ტერიტორია; პროტესტს²⁴ ან სხვა აქტებსა და განცხადებებს, რომლებიც ცხადყო-

ფენ თანხმობის არარსებობას, როგორც წესი, შეუძლიათ აღკვეთონ ტერიტორიაზე უფლების მოპოვება ხანდაზმულობის გზით.²⁵ ეს ხსნის, თუ რატომ მიანიჭა არბიტრმა პალმის კუნძულის საქმეში (Island of Palmas case) კუნძულზე ჰოლანდიელების მოქმედებასთან დაკავშირებით ესპანეთის პროტესტის არარსებობას ასეთი დიდი მნიშვნელობა.²⁶

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპაცია და ხანდაზმულობა შეიძლება განვასხვავოთ ერთმანეთისაგან თეორიაში, განსხვავება, როგორც წესი, ძნელად შესამჩნევია რეალურ ცხოვრებაში, რადგან სადავო საკითხებიდან ერთ-ერთი მთავარია საკითხი – ტერიტორია *terra nullius*-ი იყო, თუ იგი „მეორე“ სახელმწიფოს ავანსცენაზე გამოჩენამდე „პირველი“ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებოდა. მაგალითად, სასამართლოს დადგენილება პალმის კუნძულის საქმეზე არ ხდის ნათელს, იმყოფებოდა თუ არა კუნძული ესპანეთის სუვერენიტეტის ქვეშ, როდესაც ჰოლანდიელებმა მასზე კონტროლის განხორციელება დაიწყეს. მრავალი საქმე, რომელთაც სახელმძღვანელოებში განიხილავენ, როგორც ოკუპაციის შემთხვევებს, თანაბრად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ხანდაზმულობის საქმე და პირიქით. საერთაშორისო სასამართლოები, როდესაც საქმე აქვთ ურთიერთსაინააღმდეგო მოთხოვნებთან, ხშირად გადანყვეტილებას იმ მხარის სასარგებლოდ იღებენ, რომელსაც შეუძლია დაამტკიცოს სადავო ტერიტორიაზე რეალური კონტროლის განხორციელების უფრო მაღალი ხარისხი, ტერიტორიის მოპოვების კონკრეტული ფორმის მიუთითებლად. მაგალითად, აღმოსავლეთ გრენლანდიის საქმეში (Eastern Greenland case)²⁷ მართლმსაჯულების მუდმივმა სასამართლომ გადანყვეტილება დანიის სასარგებლოდ მიიღო, რადგან დანია უფრო მეტ რეალურ კონტროლს ახორციელებდა აღმოსავლეთ გრენლანდიაზე, ვიდრე ნორვეგია, თუმცა არ დაუკონკრეტებია ფორმა, რომლითაც დანიამ სუვერენიტეტი მოიპოვა.

²⁵ Brownlie (1990), *op. cit.*, 153 *et seq.* იხ. აგრეთვე, Harris CMLL, 195-6, nn 3 და 4.

²⁶ Island of Palmas Case, *op. cit.*, at 868.

²⁷ Eastern Greenland Case, *op. cit.*

²⁸ *ib.* The Anna Case (1805), 165 ER 809.

²⁹ *ib.* A. L. W. H. Munkman, Adjudication and Adjustment - International Judicial Decision and the Settlement of Territorial and Boundary Disputes. BYIL 46 (1972-73), 1-116.

³⁰ *ib.* H. Post, Adjudication as Mode of Acquisition of Territory? Some Observations on the Iraq Kuwait Boundary Demarcation in Light of the Jurisprudence of the International Court of Justice, in V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), Fifty Years of the International Court of Justice, 1996. 237-63. იხ. თ. 18.

³¹ Tabu Arbitration, Award of the Egypt-Israel Tribunal, ILM 27 (1988), 1427. იხ. E. Lauterpacht, The Tabu Case: Some Recollections and Reflections, Israel I.R. 23 (1989), 443-68; R. Lapidoth, Tabu Arbitration, EPIL 12 (1990), 365-7; Lapidoth, Some Reflections in the Tabu Award, GYIL 35 (1992), 224. არბიტრაჟის სხვა საქმისათვის იხ. D. W. Bowett, The Dubai/Sharjah Boundary Arbitration of 1981, BYIL 65 (1994), 103-34.

გუნების მოვლენები

სახელმწიფოს შეუძლია ტერიტორია მოიპოვოს ბუნების მოქმედების შედეგად, მაგალითად, როდესაც მდინარე შეიცვლის კალაპოტს ან ვულკანური კუნძულები წარმოიშობა სახელმწიფოს შიდა წყლებში ან ტერიტორიულ ზღვაში. ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათი და უმნიშვნელოა, ასე რომ დანერვილებითი წესების განხილვა საჭიროებას არ წარმოადგენს.²⁸

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს გადაწყვეტილებები ხანდახან მოიხსენიება, როგორც ტერიტორიის მოპოვების ერთ-ერთი ფორმა, მაგრამ მათი ასეთი სტატუსი გარკვეულწილად საეჭვოა.²⁹ სასამართლოს მიზანია მხარეების უკვე არსებული უფლებების დადასტურება და არა ახალი უფლებების შექმნა; ამდენად, თეორიაში, სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ მიანიჭებს სახელმწიფოს იმ ტერიტორიას, რომელსაც იგი არ ფლობდა. ზოგიერთი ასეთი საქმე ახლო წარსულში საერთაშორისო სასამართლოშიც იქნა შეტანილი.³⁰ სხვა უახლესი მნიშვნელოვანი ანალოგიური საქმე გადანყვეტიდა საარბიტრაჟო სასამართლომ ტაბას (Tabu) დავაში ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, რომელიც შეეხებოდა მიწის პატარა ნაწილს აკაბის ყურის დასავლეთ სანაპიროზე, სადაც ისრაელმა სამხედრო ოკუპაციის პერიოდში სასტუმრო ააშენა.³¹

მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები ქმნიან სასაზღვრო კომისიებს იმისთვის, რომ აღნიშნონ შეთანხმებული საზღვრები, მაგრამ ამავე დროს ამ კომისიებს ანიჭებენ უფლებამოსილებას, შეცვალონ შე-

³² სასაზღვრო დაგეგმვებზე ზოგადად იხ. M. Borch, E.J. de Aréchege, T. Schweisfurth, I. Brownlie, W. Hummer, R. Khan და H.-D. Treviranus ჩანაწერები EPIL I (1992), 443-79.

³³ Final Report on the Demarcation of the International Boundary Between the Republic of Iraq and the State of Kuwait Boundary Demarcation Commission, ILM 32 (1993), 1425; D.H. Finnie, Shifting Lines in the Sand: Kuwait's Elusive Frontier with Iraq, 1992; M.H. Mendelson/S.C. Hulton, The Iraq-Kuwait Boundary, BYIL 64 (1993), 135-95; J. Bulloch, United Nations Demarcation of the Iraq-Kuwait Border, 1993; J. Klappers, No More Shifting Lines? The Report of the Iraq-Kuwait Boundary Demarcation Commission, ICLQ 43 (1994), 904-13. Post, *op. cit.* იხ. თ. 22.

³⁴ E. Kusslich, Conquest, EPIL I (1992), 756-9. Debellatio-ს წინააღმდეგობრივი კონცეფციის, როგორც ომის დასრულების და ტერიტორიის მოპოვების ერთ-ერთი საშუალების შესახებ, როდესაც ერთ-ერთი აგრესორი სახელმწიფო დამარცხდა, იხ. K.-U. Meyn, Debellatio, EPIL I (1992), 969-71

³⁵ იხ. L. Oppenheim, International Law, Vol. 2, 7th edn (H. Lauterpacht ed.), 1952, 432-656; R.L. Bindschedler, Annexation, EPIL I (1992), 168-72.

³⁶ ლიტერატურისთვის იხ. თ. 5.

³⁷ იხ. Andrews, *op. cit.* დათ. 2.

³⁸ იხ. თ. 19.

³⁹ იხ. თ. 9.

თანხმებული საზღვრები (მაგალითად, ერთი სამოსახლოს ორ ნაწილად გაყოფის თავიდან აცილების მიზნით). თუმცა სასაზღვრო კომისიის ასეთი უფლებამოსილება მისი დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და ტერიტორიის გადაცემა ასეთ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც არაპირდაპირი დათმობის ნაირსახეობა.³² განსხვავებული საკითხია საზღვრის დელიმიტაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს, როგორც ეს მოხდა კომისიის მიერ ერაყსა და ქუვეითს შორის საზღვრის დემარკაციის შემთხვევაში სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ.³³

დაპყრობა

ჩვეულებრივ, ომში დამარცხებული სახელმწიფო ხელშეკრულების საფუძველზე უთმობდა გამარჯვებულ სახელმწიფოს ტერიტორიას, ზაგრამ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, მხოლოდ დაპყრობის ფაქტსაც, ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე, შეეძლო წარმოეშვა უფლება ტერიტორიაზე.³⁴ თუმცა ტერიტორიის მოპოვება დაპყრობით უკანონოდ ითვლებოდა, სანამ ომი არ დასრულდებოდა. თუ დამარცხებული სახელმწიფო დადებდა ზავს, რომლის თანახმადაც ტერიტორია გადაეცემოდა გამარჯვებულ მხარეს, ან აღიარებდა გამარჯვებული სახელმწიფოს უფლებას ტერიტორიაზე, ნათელი იყო, რომ ომი დასრულდა. ზავის არარსებობის შემთხვევაში აუცილებელი იყო სხვა მტკიცებულება იმისთვის, რომ ომი ნამდვილად დასრულდა, იმის ჩვენებით, რომ მონიწიანადმდევე სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან ყოველგვარი წინააღმდეგობა შეწყვეტილია; ამდენად, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ პოლონეთის დაპყრობა უკანონო იყო, რადგან პოლონეთის მოკავშირეები აგრძელებდნენ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას.³⁵ სამართლებრივად გერმანია მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის მერმარ დამპყრობელს წარმოადგენდა და მისი უფლებები გაცილებით შეზღუდული იყო იმასთან შედარებით, რაც მას შეიძლებოდა ჰქონოდა, დაპყრობა რომ კანონიერი ყოფილიყო. და კიდევ, დამპყრობელი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ტერიტორიას, როდესაც მას განზრახული აქვს ამის გაკეთება; 1945 წელს მოკავშირეებმა პირდაპირ უარყვეს გერმანიის დაპყრობის განზრახვა, მიუხედავად იმისა, რომ მათ დაკავებული ჰქონდათ გერმანიის მთელი ტერიტორია და დამარცხეს მისი ყველა მოკავშირე.³⁶

მეცხრამეტე საუკუნეში (და ეს მოსალოდნელიც იყო) საერთაშორისო სამართალი უშვებდა სახელმწიფოებისათვის ტერიტორიების მოპოვების შესაძლებლობას დაპყრობით, რადგან ამ პერიოდში ჩვეულებითი სამართალი არ ადგენდა არანაირ შეზღუდვებს სახელმწიფოებისათვის ომის წარმოებაში.³⁷ მეოცე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სახელმწიფოებისათვის ომის დაწყების უფლების შეზღუდვის საკითხში, რამაც თავის კულმინაციას გაეროს წესდებაში მიაღწია. როგორც წესი, დღეს ძალის გამოყენება უკანონო ქმედებად ითვლება, გარკვეული გამონაკლისებით, მაგალითად ისეთით, როგორიცაა თავდაცვის უფლება.³⁸ რა ეფექტი მოახდინა სამართალში ამ რევოლუციურმა ცვლილებამ დაპყრობით ტერიტორიის მოპოვების შესაძლებლობაზე?

როგორც ვნახეთ, საკითხისადმი საუკეთესო მიდგომა ის არის, რომ აგრესორის მიერ დადებული ხელშეკრულება დღეს ბათილად იყოს ცნობილი.³⁹ რადგან აგრესორ სახელმწიფოს არ შეუძლია მოიპოვოს ტერიტორია სხვა სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის დაპყრობითა და ტერიტორიის დათმობაზე ხელშეკრულების ხელმოწერაზე მისი იძულებით, აქედან უნდა გამომ-

დინარეობდეს, რომ აგრესორს *a fortiori* არ შეუძლია მოიპოვოს ტერიტორია მხოლოდ დაპყრობით. ზოგიერთი ავტორი მართლაც ამტკიცებს, რომ ასეთი ანექსია არ შეიძლება კანონიერად იქნეს აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერაც კი.⁴⁰ ეს შეხედულება სტიმსონის დოქტრინით (the Stimson Doctrine) მომზადდა. 1931 წელს იაპონიის ჯარებმა შექმნეს მანჯუკუოს მარიონეტული სახელმწიფო მანჯურიაში, რომელიც მანამდე ჩინეთის ნაწილს წარმოადგენდა. თითქმის ყველა სახელმწიფომ ამხილა იაპონია აგრესიაში, ხოლო შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა სტიმსონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა არ აღიარებდა აგრესიის შედეგად შექმნილ მდგომარეობას.⁴¹ მომდევნო წელს ერთა ლიგის ასამბლეამ გამოსცა რეზოლუცია, რომელშიც აცხადებდა, რომ „ერთა ლიგის წევრები მოვალენი არიან, არ აღიარონ არც ერთი მდგომარეობა, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რაც შეიძლება განხორციელებული იყოს საშუალებებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთა ლიგის ხელშეკრულებას ან პარიზის პაქტს“.⁴² 1970 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპის თანახმად, „ტერიტორიის მოპოვება მუქარის ან ძალის გამოყენებით არ შეიძლება კანონიერად იქნეს აღიარებული“.⁴³

ეს რეზოლუციები გულისხმობდა, რომ არსებობს აღიარებაზე უარის თქმის ვალდებულება, მაგრამ სახელმწიფოები ყოველთვის ამის შესაბამისად არ მოქმედებენ. მაგალითად, იტალიის მიერ 1936 წელს ეთიოპიის დაპყრობა დიდმა ბრიტანეთმა სამი წლის შემდეგ *de jure* აღიარა; დიდმა ბრიტანეთმა ასევე აღიარა (თუმცა მხოლოდ *de facto*) 1940 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დაპყრობა.⁴⁴ როგორც ჩანს, სტიმსონის დოქტრინის ერთადერთი ეფექტი იყო აღიარების მიღების შეფერხება და არა საერთოდ უარის თქმა მასზე. ანექსიის გზით განხორციელებული ტერიტორიული ცვლილების აღიარებაზე უარის თქმის პრაქტიკის მაგალითს წარმოადგენდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოები. მოსაზრება, რომ ძალის უნებართვო გამოყენებაზე დაფუძნებული ანექსია უკანონო ქმედებაა და არ იქნება აღიარებული, დადასტურდა ახლო წარსულში ერაყის მიერ ქუვეითის ანექსიასთან დაკავშირებული მოვლენებით. გაეროს უშიშროების საბჭომ 1990 წლის 9 აგვისტოს 662/1990 რეზოლუციაში ერთხმად გამოაცხადა ანექსია უკანონოდ და ბათილად და მოუწოდდა ყველა სახელმწიფოსა და ორგანიზაციას, არ ეღიარებინათ იგი და თავი შეეკავებინათ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო, როგორც ანექსიის ირიბი აღიარება.⁴⁵

მაგრამ მანამ, სანამ საერთაშორისო თანამეგობრობა მზად იქნება, თანმიმდევრულად აღკვეთოს აგრესორების მიერ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედების შედეგებით სარგებლობა, იდეას, რომ აგრესორი ვერ მოიპოვებს კანონიერ უფლებას ტერიტორიაზე, შეუძლია წარმოშვას სერიოზული უთანხმოება სამართალსა და რეალობას შორის.

იდეალურ შემთხვევაში რეალობა სამართალს უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ სახელმწიფოები არ არიან მზად, შეცვალონ ფაქტები, ამდენად, ერთადერთი ალტერნატივაა სამართლის მოყვანა რეალობასთან შესაბამისობაში. ერთ-ერთი იდეით, ეს შეიძლება აღიარების გზით განხორციელდეს: აგრესორის უფლება უკანონოა, რადგან ის აგრესიას ეფუძნება, მაგრამ ამის გამოსწორება შეიძლება, თუ სხვა სახელმწიფოები *de jure* აღიარებენ მის უფლებას. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში აღიარებას შეიძლება განმსაზღვრელი ეფექტი ჰქონდეს.⁴⁶

სწორია, რომ *de jure* აღიარება გამორიცხავს მაღიარებელი სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების მოთხოვნისა და ტერიტორიაზე უფლების უკანონობაზე მითითების შესაძლებლობას. თუმცა, მიუხედავად ძალადობრივი დაპყრობისა, ტერიტორიაზე უფლების მოპოვების დასამტკიცებლად სხვა სახელ-

⁴⁰ საერთაშორისო სამართალში აღიარების ძირითადი პრინციპებისათვის იხ. თ. 5.

⁴¹ იხ. Q. Wright, The Stimson Note of January 7, 1932, AJIL 26 (1932), 342-8; A.D. McNair, The Stimson Doctrine of Non-Recognition, BYIL 14 (1933) 65-74; W. Meng, Stimson Doctrine EPIL 4 (1982), 230-5.

⁴² იხ. თ. 2.

⁴³ იხ. თ. 2.

⁴⁴ იხ. W.J. Hough, The Annexation of the Baltic States and Its Effect on the Development on the Law Prohibiting Forcible Seizure of Territory, NYL Sch. JICL 6 (1985), 301-533; B. Meissner, Baltic States, EPIL 1 (1992), 328-37. იხ. აგრეთვე თ. 11.

⁴⁵ იხ. Harris CMLL, Appendix IV, 1010-17; J.A. Frowein, Gulf Conflict (1990/1991), EPIL 11 (1995), 643-7; R. Schofield, Kuwait and Iraq: Historical Claims and Territorial Disputes, 2nd edn 1993; Schofield (ed.), The Iraq-Kuwait Dispute. Vols 1-7, 1994. იხ. თ. 22.

⁴⁶ იხ. ამ სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემა, აქ 149.

⁴⁷ იბ. R.Y.Jennings. Nullity and Effectiveness in International Law. Cambridge Essays in International Law (1965), 64-87; C.de Visscher, Les Effectivités en droit international public. 1967, 101-111; K. Doehring, Effectiveness. EPIL 11 (1995), 43-8.

⁴⁸ Fisheries Case. op.cit.

⁴⁹ Friendly Relations Declaration 1970, Brownlie BDIL, 36-45, 40. იბ. თ. 2 და 19.

⁵⁰ იბ. თ. 20.

⁵¹ იბ. აგრეთვე, Harris CMLL, 20.

⁵² იბ. P. Malanczuk. Das Golan-Gesetz in Lichte des Annexionsverbots und der occupatio bellica. ZöRv 42 (1982), 261-94; Malanczuk, Jerusalem. EPIL 12 (1990), 184-95; idem, Israel. Status, Territory and Occupied Territories. EPIL 11 (1995), 1468-508. იბ. აგრეთვე Harris CMLL, 205-8.

⁵³ იბ. თ. 19.

⁵⁴ C. Haverland, Secession, EPIL 10 (1987), 384-9.

⁵⁵ იბ. თ. 11. ტიბეტის სტატუსის შესახებ ჩინეთის მმართველობის ქვეშ წინააღმდეგობრივ საკითხზე იბ. M.C. v. W. v. Praag, The Status of Tibet: History, Right and Prospects in International Law. 1987; A.D. Hughes, Tibet. EPIL 12 (1990), 375-7. აღმოსავლეთ ტიმორის შესახებ, რომელიც ოკუპირებულია ინდონეზიის მიერ იბ. თ. 3, თ. 18 და თ. 19.

მნიშვნეობის მიერ აღიარების კონცეფცია თავისთავად არ არის საკმარისი ახსნა. ტერიტორიაზე უფლების აღიარების რეალური საფუძველი ეფექტურობის პრინციპია⁴⁷, რომელიც ემყარება გარკვეული დროის გასვლასა და სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნას, რომლის საჭიროებაც მაშინ დგება, თუ დროის გარკვეულ პერიოდში შეუძლებელი ხდება, მიაღწიო უკანონო მდგომარეობის გაუქმებას. უბრალოდ დროის გასვლა და მშვიდი ფლობა, რომლის დროსაც სხვა სახელმწიფოების რეაგირება ან უმოქმედობა თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორია, წარმოშობს საჭირო „ისტორიულ კონსოლიდაციას“, როგორც ამაზე მიუთითა საერთაშორისო სასამართლომ *თევზჭერის საქმეში* (Fisheries case).⁴⁸

მაგრამ როგორ არის საქმე ომის „უდანაშაულო“ მხარეებთან დაკავშირებით? შეუძლიათ თუ არა მათ ტერიტორიის მოპოვება დაპყრობით? 1970 წელს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია სახელმწიფოებს შორის გაეროს წესდებისეულ მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ თვლის, რომ მათ ეს არ შეუძლიათ.⁴⁹

სახელმწიფოს ტერიტორია არ უნდა იყოს ობიექტი სამხედრო ოკუპაციისა, რომელიც მოჰყვება ძალის გამოყენებას გაეროს წესდების დებულებების დარღვევით. ერთი სახელმწიფოს ტერიტორია არ შეიძლება მოიპოვოს სხვა სახელმწიფომ მუქარით ან ძალის გამოყენებით.

ამ სიტყვებით დეკლარაცია სერიოზულად მიჯნავს ერთმანეთისაგან სამხედრო ოკუპაციას და ტერიტორიის მოპოვებას. სამხედრო ოკუპაცია (ეს იგივეა, რაც საომარი ოკუპაცია)⁵⁰ უკანონოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენებას გაეროს წესდების დებულებების დარღვევით; *ნებისმიერი* მუქარა ან ძალის გამოყენება, მიუხედავად იმისა, ეწინააღმდეგება თუ არა იგი გაეროს წესდების დებულებებს, უკანონოა⁵¹ ტერიტორიის მოპოვებას.

1967 წლის ივნისში, არაბეთსა და ისრაელს შორის საომარი მოქმედებების შემდეგ, უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას არც ერთი მხარე არ დაუდანაშაულებია აგრესიაში: რეზოლუციის პროექტები, რომლებიც ისრაელს ადანაშაულებდნენ აგრესიაში, ჩავარდა. მაგრამ უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ ხმათა უმრავლესობით რამდენჯერმე განაცხადა, რომ ისრაელი არ არის უფლებამოსილი არც ერთ ტერიტორიაზე, რომელიც მან დაიკავა 1967 წელს,⁵² რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ტერიტორიის ძალით მოპოვების თანამედროვე აკრძალვა ყველა სახელმწიფოზე ვრცელდება და არა მხოლოდ აგრესორ სახელმწიფოებზე. თუმცა, როგორც აგრესორის მიერ დაპყრობაზე დაფუძნებული, უფლება შეიძლება კანონიერი გახდეს ეფექტურობის პრინციპის თანახმად; ასევე შეიძლება კანონიერი გახდეს არააგრესორი სახელმწიფოს მიერ დაპყრობის შედეგად მოპოვებული უფლებაც.

ტერიტორიის დაპყრობის გზით მოპოვების ამკრძალავი თანამედროვე წესები მხოლოდ საერთაშორისო ომებზე ვრცელდება და არა სამოქალაქო ომებზე.⁵³ ამდენად, საერთაშორისო სამართლის ნორმები არ ირღვევა, როდესაც სახელმწიფოს მოსახლეობის ერთი ნაწილი შექმნის ახალ სახელმწიფოს სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ,⁵⁴ როგორც ეს მოხდა ალჟირში 1956-62 წლებში; ან თუ გაყოფა განხორციელდება მმართველი მთავრობის თანხმობით, როგორც ეს მოხდა 1993 წელს ერიტრეის მიერ ეთიოპიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში.⁵⁵

თანხმობა დუმილით, აღიარება და ესტოპელი

თანხმობა დუმილით, აღიარება და ესტოპელი⁵⁶ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტერიტორიის მოპოვებაში, თუმცა ისინი პირდაპირი მნიშვნელობით არ წარმოადგენენ ტერიტორიის მოპოვების ფორმებს. იმ შემთხვევაში, როდესაც თითოეულ მოდავე მხარეს შეუძლია აჩვენოს, რომ ახორციელებს განსაზღვრულ კონტროლს სადავო ტერიტორიაზე, საერთაშორისო სასამართლო საქმეს იმ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტს, რომელსაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლება აღიარა სხვა მოსარჩელემ ან მოსარჩელებმა. ასეთი აღიარება შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი განცხადებით, ან შეიძლება გამომდინარეობდეს დუმილით თანხმობიდან (ანუ, თუ არ იქნება გაპროტესტებული მოწინააღმდეგის მიერ კონტროლის განხორციელება). სახელმწიფოს აღიარება არ ნიშნავს აუცილებლად მის მიერ წამოყენებული ყველა ტერიტორიული მოთხოვნის უპირობოდ აღიარებას. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აღიარება ან თანხმობა ნაკლებეფექტურია ან საერთოდ არაეფექტურია, თუ მას თან არ ერთვის დაინტერესებული (აღიარებული) სახელმწიფოს მიერ რაიმე სახის კონტროლის განხორციელება სადავო ტერიტორიაზე; იგნორირება სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლებაზე გაკეთებული უბრალო ზეპირი მოთხოვნისა, რომელიც კონტროლის რაიმენაირი ფორმით მაინც არ არის განმტკიცებული, არ ნიშნავს დუმილით თანხმობას.⁵⁷

ხანდახან ამბობენ, რომ აღიარება ან თანხმობა წარმოშობს ესტოპელს. ესტოპელი მტკიცებულების შესახებ ინგლისური კანონმდებლობის ტექნიკური ნორმაა; როდესაც ერთი მხარე აკეთებს განცხადებას ფაქტის შესახებ და მეორე მხარე შემდგომ მოქმედებებს ამ ფაქტზე დაყრდნობით აგებს, სასამართლოები არ აძლევენ პირველ მხარეს უფლებას, უარყოს მის მიერ გაკეთებული განცხადების ნამდვილობა, თუ ამ ფაქტების ბათილად აღიარებით შეიძლება ზიანი მიაღდეს მეორე მხარეს. ეს წესი საერთაშორისო სამართლის კონტექსტში ნიშნავს, რომ სახელმწიფოს, რომელმაც ერთხელ აღიარა მეორე სახელმწიფოს უფლება გარკვეულ ტერიტორიაზე, არ მიეცემა ამ უკანასკნელის უფლების უარყოფის საშუალება, თუ ამ სახელმწიფომ აღიარებაზე დაყრდნობით განახორციელა კონკრეტული მოქმედებები, მაგალითად, ააშენა გზები სადავო ტერიტორიაზე, რადგან გზების მშენებლობა ამ სახელმწიფოსთვის მხოლოდ ფულის ფლანგვა იქნება და სხვა არაფერი, თუ აღმოჩნდება, რომ მისი უფლება უსაფუძვლოა. საერთაშორისო სამართლის დამოკიდებულება ესტოპელის მიმართ ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის. ზოგჯერ საერთაშორისო სამართალი ეფუძნება ინგლისური სამართლის მოთხოვნებს ფაქტებზე დაყრდნობისა და ზარალის არსებობის შესახებ,⁵⁸ ზოგჯერ კი არა.⁵⁹ დიდი ყურის საქმეში (Gulf of Main case) საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ „ზიანის ელემენტი... *stricto sensu* განასხვავებს ესტოპელს დუმილით თანხმობისაგან“;⁶⁰ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზიანი წარმოადგენს ესტოპელის, მაგრამ არა დუმილით თანხმობის, აუცილებელ შემადგენელ ელემენტს. თუმცა ესტოპელსა და დუმილით თანხმობას ერთმანეთის მსგავსი ეფექტი აქვს. როგორც სასამართლომ განაცხადა, თანხმობა და ესტოპელი „ერთი და იმავე წესის სხვადასხვა ასპექტია“, რამდენადაც ორივე კონცეფცია „კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარეობს“.⁶¹

შეიძლება ითქვას, რომ ესტოპელს საერთაშორისო სამართალში ზოგჯერ ის ეფექტი აქვს, რომ შეუძლებელს ხდის მხარისათვის, შეეწინააღმდეგოს მის მიერვე ადრე გაკეთებულ განცხადებას, მოქმედებასა თუ აქტებს ისევე, როგორც ამას ითვალისწინებს ინგლისური სამართალი;⁶² სხვა შემთხვევაში კი ის უბრალოდ მტკიცებულებით დატვირთვას ატარებს (ანუ ის უბრალოდ მხა-

⁵⁶ იხ. I.C.MacGibbon. The Scope of Acquiescence in International Law, BYIL (1954), 143-86; D.W.Bowett. Estoppel Before International Tribunals and its Relation to Acquiescence, BYIL 33 (1957), 176-202; J.P.Müller/T. Cottier. Acquiescence, EPIL 1 (1992), 14-16. „დუმილით თანხმობის“ დოქტრინა ძნელი განსხვავებელია ისეთი დაკავშირებული კონცეფციებისაგან, როგორცაა „ესტოპელი“, „ხანდაზმულობა“ და „უარი“, იხ. A.M. Trebilcock, Waiver, EPIL 7 (1984), 533-6; T. Nöcker/G. French. Estoppel: What's the Government's Word Worth? An Analysis of German Law, Common Law Jurisdictions, and of the Practice of International Arbitral Tribunals, IL 24 (1990), 409-37; J.P.Müller/T. Cottier. Estoppel, EPIL 11 (1995), 116-19; I. Sinclair. Estoppel and Acquiescence, in Law/Fitzmaurice (eds), *op. cit.*, 104-20. იხ. აგრეთვე თ. 3. აღიარებაზე იხ. თ. 5.

⁵⁷ Island of Palmas Case, *op. cit.*, 843. იხ. აგრეთვე Frontier Land Case (Belgium v. The Netherlands), ICJ Rep. 1959, 209; Harris CML, 194, n.2.

⁵⁸ იხ. მოსამართლე ფიცმორისი (განსხვავებული აზრი) Preah Vihear Temple საქმეში. ICJ Rep. 1962, 6. 63-4; A. Rustemeyer. Temple of Preah Vihear Case, EPIL 2 (1981), 173-4.

⁵⁹ აღმოსავლეთ გრენლანდის საქმე. *op. cit.*, at 68; Lord McNair. The Law of Treaties, 1961, 485.

⁶⁰ ICJ Rep. 1984, 246, 309. ამ საქმესთან დაკავშირებით იხ. თ. 18 და K. Oellers-Frahm. Gulf of Main Case, EPIL 11 (1989), 131-5.

⁶¹ Ibid., 305. თანაფარდობასა და კეთილსინდისიერების პრინციპზე იხ. თ. 3.

⁶² Preah Vihear Temple Case, *op. cit.*, Eastern Greenland Case, *op. cit.*

⁶³ *Minquiers and Ecrehos Case (France v. UK)*, ICJ Rep. 1953, 47, 71; *Harris CMIL*, 187-90; K. Herndl, *Minquiers and Ecrehos Case*, *EPIL* 2 (1981), 192-4.

⁶⁴ *Preah Vihear Temple Case*, *op.cit.*

⁶⁵ იბ. ზემოთ.

⁶⁶ *Eastern Greenland Case*, *op.cit.*, at 68.

⁶⁷ *Friendly Relations Declaration*, *op.cit.*, 40, იბ. თ. 2.

⁶⁸ H. Lauterpacht, *Recognition in International Law*, 1947, 395.

⁶⁹ Lauterpacht, *ibid.*, 428-30.

⁷⁰ Jennings (1962), *op.cit.*, 34-9, 42.

რისათვის რთულს ხდის, შეენინა აღმდგოს მის მიერ ადრე განხორციელებულ ქმედებებს).⁶³ ტაილანდსა და კამბოჯას შორის დავაში პრი ვიეარის (*Preah Vihear*) ტაძრის შესახებ (მდებარეობს დანგრევის მთებში, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის საზღვრის ნაწილს ქმნის) საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ სიამის ხელისუფალნი მრავალი წლის მანძილზე აცხადებდნენ თანხმობას, რადგან არ გაუპროტესტებიათ რუკა, რომელიც ერთობლივმა კომისიამ 1908 წელს მიიღო და რომლის თანახმადაც ტაძარი კამბოჯის მხარეს მოხვდა.⁶⁴

როგორც უკვე ვნახეთ, თანხმობა და აღიარება გადამწყვეტ როლს ასრულებს ხანდაზმულობის შემთხვევებში.⁶⁵ მაგრამ ისინი ანალოგიურად მისაღება ტერიტორიის მოპოვების სხვა ფორმებისთვისაც. მაგალითად, აღმოსავლეთ გრენლანდიის საქმეში ნორვეგია აცხადებდა, რომ აღმოსავლეთ გრენლანდია ოკუპაციის გზით მოიპოვა. ეს მოთხოვნა გულისხმობდა, რომ აღმოსავლეთ გრენლანდია *terra nullius* იყო, სანამ მასზე ნორვეგია განაცხადებდა პრეტენზიას. ნორვეგიამ საქმე წააგო, რადგან დანია ნორვეგიაზე უფრო მეტ კონტროლს ახორციელებდა აღმოსავლეთ გრენლანდიაზე და ნორვეგიამ თავისი წინა ქმედებებით აღიარა დანიის უფლება მთელი გრენლანდიის ტერიტორიაზე.⁶⁶ დუმილით თანხმობა და აღიარება ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დათმობის შესახებ ხელშეკრულებების განმარტებისას.

სახელმწიფოები აღარ არიან უფლებამოსილნი, დაპყრობის გზით მოიპოვონ უფლება ტერიტორიაზე, თუმცა ტერიტორიის ასეთი გზით მოპოვება შეიძლება კანონიერი გახადოს დაპყრობილი სახელმწიფოს აღიარებამ. დაპყრობით მოპოვებული ტერიტორიის აღიარებით დაკანონების თავიდან ასაცილებლად გენერალურმა ასამბლეამ „მეგობრული ურთიერთობების შესახებ“ 1970 წლის დეკლარაციაში განაცხადა, რომ „ტერიტორიის არანაირი მოპოვება არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად, თუ ის მუქარით ან ძალის გამოყენებით განხორციელდა“.⁶⁷ მაგრამ გასარკვევი რჩება, წაიღებენ თუ არა უკან თავიანთ აღიარებებს სახელმწიფოები, მიუხედავად ტერიტორიის ასეთი გზით მოპოვებისა. თუმცა ამ კონტექსტში აღიარება სპეციალურ წესებს ემორჩილება. უპირველეს ყოვლისა, მას უნდა ჰქონდეს პირდაპირ გაკეთებული განცხადების ფორმა და არ უნდა იყოს ნაგულისხმევი აღიარება.⁶⁸ მეორე, მას არ შეუძლია კანონიერი გახადოს ტერიტორიის მოპოვება დაპყრობით, თუ ის არ არის *de jure* აღიარება; თუ სახელმწიფო აცხადებს, რომ იგი დაპყრობას მხოლოდ *de facto* აღიარებს, ის ამით ფაქტობრივად აცხადებს, რომ განიხილავს დამპყრობის უფლებას, როგორც არასრულფასოვანს. ასეთი განცხადება კი თავის მხრივ არ აძლევს აგრესორს ტერიტორიაზე სრულყოფილი უფლების მოპოვების საფუძველს. მესამე, დაპყრობილი სახელმწიფოს მიერ აღიარებას უნდა ახლდეს სხვა სახელმწიფოების აღიარებაც, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ტერიტორიის მოპოვება ძალის გამოყენებით ხელყოფს მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას,⁶⁹ ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ სხვა სახელმწიფოების მიერ აღიარება საჭიროა იმის დასამტკიცებლად, რომ დამარცხებული სახელმწიფოს აღიარება მის თავისუფალ ნებას გამოხატავს და იგი ყოველგვარი იძულების გარეშეა მიღებული. ტერიტორიის მოპოვების სხვა ფორმების არსებობის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მონინა აღმდგე სახელმწიფოების აღიარებას, თუმცა სხვა სახელმწიფოების აღიარებასაც აქვს გარკვეული მტკიცებულებითი ღირებულება.⁷⁰

ეპოქათაშორისი სამართალი

წესები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მართავდნენ ტერიტორიის მოპოვების საკითხს, იცვლებოდა. ამან წარმოშვა „ეპოქათაშორისი სამარ-

თლის“ პრობლემა: რომელი საუკუნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ტერიტორიაზე უფლების კანონიერების დასადგენად? საერთოდ აღიარებული პრინციპია, რომ ტერიტორიის მოპოვების კანონიერება დამოკიდებულია იმ კანონზე, რომელიც ტერიტორიის აღიარებული მოპოვების მომენტიდან მოქმედებდა; საკითხის ასეთი გადაწყვეტა სხვა არაფერია, თუ არა სამართლის ზოგადი პრინციპის აღიარება, რომ კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა.⁷¹

თუმცა აღიარებული შეხედულება გარკვეულწილად ხელყოფილ იქნა პალმის კუნძულის საქმეში, სადაც მოსამართლე მაქს ჰუბერმა განაცხადა:

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ უფლებების შექმნა და უფლებების არსებობა. პრინციპი, რომელიც უფლების შემქმნელ აქტს ამ უფლების წარმოშობის მომენტიდან მოქმედ კანონს უკავშირებს, მოითხოვს, რომ უფლების არსებობა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი განგრძობადი მანიფესტაცია, შეესაბამებოდეს კანონის ევოლუციით მოთხოვნილ პირობებს.⁷²

ამდენად, რადგან კანონის მოთხოვნები ტერიტორიის შენარჩუნებისათვის უფრო და უფრო მკაცრდება, სახელმწიფომ უფრო მეტი უნდა გააკეთოს, რომ შეინარჩუნოს უფლება – მან უნდა გააგრძელოს მოძრაობა იმისთვის, რომ დარჩეს ადგილზე. მაქს ჰუბერის გადანყვეტილება სწორად ასახავდა ფაქტებს; ეს-პანელთა მოქმედების გააქტიურება პალმის კუნძულზე აუცილებელი იყო, რათა თავიდან აეცილებინათ ხანდაზმულობის გზით ჰოლანდიელების მიერ ტერიტორიაზე უფლების მოპოვება. მაგრამ ზოგადმა ტერმინებმა, რომლებითაც ჰუბერმა თავისი აზრი გამოხატა, ფაქტობრივად უარყო წესის მოქმედება, რომლის თანახმადაც, ტერიტორიის მოპოვების კანონიერება დამოკიდებულია იმ კანონზე, რომელიც მისი მოპოვების მტკიცების პერიოდში მოქმედებდა.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მტკივნეულია დაპყრობის გზით მოპოვებული უფლებების შემთხვევაში. დღეს დაპყრობას არ შეუძლია წარმოშვას უფლება, წარსულში ეს შესაძლებელი იყო. ისმის კითხვა: კარგავს თუ არა ძალას დაპყრობით მოპოვებული ძველი უფლება? თუ ასეა, შედეგები შეიძლება ძალიან შემაშფოთებელი გახდეს. ამ მოსაზრებას ლოგიკურ დასასრულამდე თუ მივიყვანთ, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ჩრდილოეთ ამერიკა ინდიელ ტომებს უნდა დაუბრუნდეს, ხოლო ინგლისმა უელსი უელსელებს უნდა გადასცეს. ამდენად, გასაკვირი არ არის გენერალური ასამბლეის მიერ 1970 წელს გაკეთებული განცხადება, რომ ტერიტორიის დაპყრობის გზით მოპოვებაზე თანამედროვე აკრძალვა არ უნდა იქნეს იმდაგვარად გაგებული, რომ ხელყოს ტერიტორიაზე უფლებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა „წესდებამდე პერიოდში და კანონიერია საერთაშორისო სამართლის თანახმად“. ⁷³ მეორე მხრივ, თუ A სახელმწიფომ მე-19 საუკუნეში დაიპყრო B სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, ამ უკანასკნელმა შეიძლება თავი უსამართლობის მსხვერპლად ჩათვალოს და გაუჩნდეს კანონის დარღვევის სურვილი, თუ მას განუცხადებენ, რომ დღეს აკრძალულია ტერიტორიის დაპყრობა მისი უკან დაბრუნების მიზნით.

1961 წელს ინდოეთის შეჭრა გოაში აჩვენებს ასეთ შემთხვევებში მართლმსაჯულების განხორციელების სირთულეს. პორტუგალიამ გოა მეთექვსმეტე საუკუნეში დაიპყრო, ხოლო ინდოეთმა მისი უფლება ამ ტერიტორიაზე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1947 წელს აღიარა. მიუხედავად ამისა, უშიშროების საბჭოს დებატებზე, რომლებიც გოაში შეჭრას მოჰყვა, ინდოეთი ამტკიცებდა, რომ პორტუგალიის უფლება, კოლონიური დაპყრობის შედეგი, ძალადაკარგულია. ასეთი მიდგომა სწორია საერთაშორისო სამართლის მე-20 საუკუნის, მაგრამ არა მე-16 საუკუნის გაგებით. გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობის სიმპათიები ინდოეთის მხარეს იყო და არც გენე-

⁷¹ *ib. Western Sahara Case*. ICJ Rep. 1975, 12. *ib. აგრეთვე Harris CMIL*, 182, n.5.

⁷² *Island of Palmas Case, op. cit.*, 845-6.

⁷³ *Friendly Relations Declaration, op. cit.*; გაეროს წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. *ib. თ.* 2. ძალის გამოყენების აკრძალვაზე *ib. თ.* 19. ძალის გამოყენების მუქარით მიღებულ უთანასწორო ხელშეკრულებებზე *ib. ტექსტი ქვემოთ და თ.* 9.

⁷⁴ უშიშროების საბჭოს დებატების ამონაწერებისათვის იხ. Harris CMLL, 202-5.

⁷⁵ A. Siehr, Conflicts, Indian Subcontinent, in Wolfrum UNLPP I, 243-54; at 245-6; S. Vohra, The Northern Frontier of India: The Border Dispute with China, 1993; X. Liu, Sino-Indian Border Dispute and Sino-Indian Relations, 1994. იხ. აგრეთვე, თ. 19.

⁷⁶ T. Schweisfurth, Boundary Disputes between China and USSR, EPIL I (1992). 453-60; R. Khan, Boundary Dispute in Indian Subcontinent, *ibid.*, 473-5.

რალურ ასამბლეასა და არც უშიშროების საბჭოს არ დაუგმია ინდოეთის მოქმედება.⁷⁴ მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ ისინი ინდოეთის ქმედებას კანონიერად მიიჩნევდნენ. როდესაც კანონი წარმატებით მოქმედებს უმეტეს შემთხვევებში, მაგრამ ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლობას წარმოშობს, ალბათ საუკეთესო გამოსავალია ასეთ კონკრეტულ შემთხვევებში კანონის დარღვევებზე თვალების დახუჭვა. ზოგიერთ მუნიციპალურ სამართლებრივ სისტემაში ხელისუფლება ხშირად დიდ სიფრთხილეს იჩენს იმის გადაწყვეტისას, დაიწყოს თუ არა სამართლებრივი დევნა. როგორც ჩანს, გაეროც ანალოგიურად გამოეხმაურა ინდოეთის შეჭრას გოაში.

ინდოეთის შეჭრას გოაში ცინიკური გაგრძელება მოჰყვა. ერთი წლის შემდეგ ჩინეთი ჰიმალაის ინდოეთის კუთვნილ ზოგიერთ ტერიტორიაზე შეიჭრა, განაცხადა რა, რომ ეს ტერიტორიები თავიდან უკანონოდ იქნა წართმეული ჩინეთისათვის კოლონიური ხელისუფლების (ბრიტანეთის) მიერ; რომ ბრიტანეთის უფლება იურიდიული ძალის მქონე არ იყო, რადგან კოლონიურ დაპყრობას ეფუძნებოდა; რომ, ასევე, ძალადაკარგული იყო ბრიტანეთისაგან ინდოეთზე სამართალმემკვიდრეობით გადასული უფლება; და რომ ჩინეთი უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა ძალა, რათა დაებრუნებინა ხსენებული ტერიტორიები ისევე, როგორც თავის მხრივ ინდოეთი მოიქცა გოას შემთხვევაში.⁷⁵ მტკიცება, რომ წინა საუკუნეებში განხორციელებული დაპყრობები უკანონოა, ისეთ არგუმენტს წარმოადგენს, რომელიც ორმხრივად სახიფათოა, და შესაბამისად, ქვეყნების უმრავლესობაც არ აღიარებს მას. კომუნისტური ჩინეთიც კი გაცილებით ნაკლებ დანტერესებას ამჟღავნებდა დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნებაში, ვიდრე მისი მეზობლების მხრიდან იმის აღიარებაში, რომ საზღვრები მათსა და ჩინეთს შორის იმპერიალისტური აგრესიის შედეგად იყო დადგენილი; როგორც კი ასეთი აღიარება მიიღო (მაგალითად, პაკისტანისა და ბირმის მხრიდან), ჩინეთი მზად იყო მოლაპარაკებებისათვის ახალი საზღვრების შესახებ, რომლებიც პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ძველი საზღვრებისაგან. ინდოეთი და საბჭოთა კავშირი მზად რომ ყოფილიყვნენ ასეთი აღიარებისათვის, ისინი ალბათ შეძლებდნენ, თავიდან აეცილებინათ სასაზღვრო დავები ჩინეთთან.⁷⁶

სამართლებრივი და პოლიტიკური არგუმენტები

ტერიტორიულ დავებში სამართლებრივი და პოლიტიკური არგუმენტები ხშირად ერთმანეთის გვერდით გამოიყენება, ისე რომ ხანდახან ძნელიც კი არის მათი განსხვავება. ამისთვის საკმარისი მიზეზები არსებობს: სახელმწიფომ, რომელიც მხოლოდ სამართლებრივ არგუმენტებს იყენებს, შეიძლება დაბადოს ეჭვი, რომ მისი მოთხოვნა პოლიტიკურად დაუსაბუთებელია, და პირიქით, სახელმწიფომ, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ არგუმენტებს იყენებს, შეიძლება დაბადოს ეჭვი, რომ მისი მოთხოვნა სამართლებრივად უსაფუძვლოა. უფრო მეტიც, ტერიტორიული დავები განსაკუთრებულ ვნებებს აღვიძებს: ადამიანები ბრძოლისა და სიკვდილისათვის არიან მზად მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი ტერიტორიის ერთი მტკაველიც კი არ დათმონ, რამდენად უსარგებლოც არ უნდა იყოს იგი – ასეთ გარემოებებში ნაკლებად უნდა გვეკონდეს იმის იმედი, რომ ადამიანები შეძლებენ განასხვავონ ერთმანეთისაგან, თუ რა არის კანონი და რა შეიძლებოდა იგი ყოფილიყო. ხანდახან ბუნდოვანება მიზანმიმართულიცაა. როგორც ჯენინგსი აღნიშნავდა: „თუ პოლიტიკურ არგუმენტს შეიძლება დაუდო სამართლებრივი სარჩული, ხოლო სამართლებრივი განსხვავება *meum*-სა და *tuum*-ს შორის ბუნდოვანია, მოსარჩილეს საშუალება ეძლევა, შეუქმნას სხვებს და, რაც უფრო მთავარია, საკუ-

თარ თავს წარმოდგენა იმაზე, რომ ის უკვე ფლობს სარჩელს კანონიერი უფლების თვალსაზრისით“.⁷⁷

ძირითადი პოლიტიკური არგუმენტები, რომლებიც ტერიტორიულ დავებში გამოიყენება, არის გეოგრაფიული მომიჯნავეობის, ისტორიული ხანგრძლივობისა და თვითგამორკვევის პრინციპები.⁷⁸ ამ პრინციპების არსი და ფუნქცია ადვილად გასაგები გახდება ჩრდილოეთ ირლანდიის მდგომარეობის მოკლე განხილვით.⁷⁹ საყოველთოდ არის აღიარებული, რომ ჩრდილოეთ ირლანდია, საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, დიდი ბრიტანეთის ნაწილს შეადგენს; მაგრამ ირლანდიის რესპუბლიკა ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ ირლანდია მას უნდა შეუერთდეს, რადგან ირლანდიის ეს ორი გაყოფილი ნაწილი ბუნებრივ გეოგრაფიულ მთლიანობას ქმნის (გეოგრაფიული მომიჯნავეობა) და რომ ისინი 1922 წლამდე საუკუნეების მანძილზე იმართებოდა, როგორც ერთი პოლიტიკური ერთეული (ისტორიული ხანგრძლივობა); დიდი ბრიტანეთი კი პასუხობს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის უმეტესობას სურს, დიდი ბრიტანეთის ნაწილად დარჩეს (თვითგამორკვევა).

ამ პრინციპებს თავისთავად არ შეუძლია შექმნას კანონიერი უფლება ტერიტორიაზე. *პალმის კუნძულის საქმეში*, მოსამართლემ მომიჯნავეობის პრინციპთან დაკავშირებით განაცხადა:

შეუძლებელია, აჩვენო პოზიტიური საერთაშორისო სამართლის ნორმის არსებობა, რომელიც ადგენს, რომ ტერიტორიული წყლების მიღმა მდებარე კუნძული სახელმწიფოს მხოლოდ იმის გამო უნდა ეკუთვნოდეს, რომ მისი ტერიტორია terra firma-ს (უახლოესი კონტინენტი ან მნიშვნელოვანი ზომის კუნძული) ქმნის.⁸⁰

თუმცა ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ამ პრინციპებს არ აქვთ სამართლებრივი დატვირთვა:

მომიჯნავეობა სხვა არაფერია, თუ არა მტკიცებულება, რომელიც რეალური ოკუპაციის გარკვეულ ვარაუდს წარმოშობს, და რომელიც შეიძლება მონიშნავდეს მიერ სუვერენული ფლობის დამადასტურებელი უკეთესი მტკიცებულებით გაბათილდეს.⁸¹

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო სასამართლოებს შეუძლიათ, გეოგრაფიული მომიჯნავეობის პრინციპი სასაზღვრო ზოლის საქმეებთან დაკავშირებით გაითვალისწინონ. ასევე, სავარაუდოდ, შეუძლიათ თვითგამორკვევისა და ისტორიული ხანგრძლივობის პრინციპების გათვალისწინებაც; როდესაც წარმოიშობა რეალური ეჭვი სახელმწიფოს მიერ ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელების შესახებ, მოსახლეობის ერთგულებას ან ფაქტს, რომ ეს ტერიტორია ტრადიციულად უფრო დიდი ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილს შეადგენდა, შეუძლია მოსარჩელე სახელმწიფოს მიერ ეფექტური კონტროლის განხორციელების მტკიცებულება შეადგინოს.

ნაკლები უფლებები ტერიტორიაზე

აქამდე ჩვენ ვიხილავდით სიტუაციებს, როდესაც სახელმწიფო ტერიტორიაზე სრულ ან განსაკუთრებულ სუვერენიტეტს ახორციელებდა. მაგრამ არსებობს უფრო მცირე უფლებები ტერიტორიაზე, რომლებიც თუმცა იშვიათია, მაგრამ მაინც იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას. ორი სახელმწიფო შეიძლება შეთანხმდეს, განახორციელოს ერთობლივი სუვერენიტეტი გარკვეულ ტერიტორიაზე. ეს ცნობილია, როგორც კონდომინიუმი (თანამფლო-

⁷⁷ Jennings (1962), *op. cit.*, 73.
⁷⁸ იხ. H. Kelsen, *Contiguity as a Title to Territorial Sovereignty*, in W. Schätzel/H.-J. Schlohauer (eds), *Festschrift für H. W. Wehberg*, 1956, 200-10. თვითგამორკვევის უფლებაზე იხ. თ. 19.

⁷⁹ R. Macallister-Smith, *Northern Ireland*, EPIL 12 (1990), 249-64; I.S. Lustick, *Unsettled States, Disputed Lands: Britain and Ireland, France and Algeria, Israel and the West Bank-Gaza*, 1993; P. Arthur, *The Anglo-Irish Joint Declaration: Towards a Lasting Peace?* Gov. & Oppos. 29 (1994), 218-30; K. Boyle/T. Hadden, *The Peace Process in Northern Ireland*, IA 71 (1995), 169-83.

⁸⁰ *Island of Palmas Case*, *op. cit.*, at 854.

⁸¹ Jennings (1962), *op. cit.*, 73. იხ. აგრეთვე *The Eastern Greenland Case*, *op. cit.*, 45-52.

⁸² P. Schneider, *Condominium*, EPIL 1 (1992), 732-5.

⁸³ S. Less, *New Hebrides*, EPIL 12 (1990), 241-7.

⁸⁴ J.A. Frowein, *Lake Constance*, EPIL 12 (1990), 216-9.

⁸⁵ C. Rumpf, *Territory. Lease*, EPIL 10 (1987), 507-9.

⁸⁶ A.D. Hughes, *Hong Kong*, EPIL 11 (1995), 870-3; Harris CMIL, 235, n. 4; ხელშეკრულებაზე (პროექტზე) იხ. ILM 23 (1984), 1366-87; G. Ress, *The Legal Status of Hong Kong after 1997. The Consequences of the Transfer of Sovereignty According to the Joint Declaration of December 19, 1984*, ZaöRV 46 (1986), 647; D.R. Fung, *The Basic Law of the Hong Kong Special Administrative Region of the People's Republic of China*, ICLQ 37 (1988), 701; J.-P. Bédin, *Hong Kong 1997: fin de siècle, fin d'un monde*, 1993; J.Y.S. Cheng, *Sino-British Negotiations on Hong Kong During Chris Patten's Governorship*, AJIA 48 (1994), 229-45; A. Goodlad, *Hong Kong: Britain's Legacy, China's Inheritance*, *The World Today* 50 (1994), 112-15.

⁸⁷ იხ. W. Rudolf, *Macau*, EPIL 12 (1990), 223-5; P. Fifoot, *One Country, Two Systems - Mark II: From Hong Kong to Macao*, IR 12 (1994), 25-58.

⁸⁸ T. Oppermann, *Cyprus*, EPIL 1 (1992), 923-6. კვიპროსის რესპუბლიკის დაარსების შესახებ სა-ღერძნოს, თურქეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული 1960 წლის ხელშეკრულების მიერ მინიჭებულ უფლებაზე დიდი ბრიტანეთისათვის შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო ბაზები კვიპროსის ტერიტორიაზე, იხ. Harris CMIL, 234, n. 3. იხ. აგრეთვე თ. 22.

⁸⁹ U. Fastenrath, *Servitudes*, EPIL 10 (1987), 389-92.

⁹⁰ *Right of Passage Case (Portugal v. India)*, ICJ Rep. 1960. 6; Harris CMIL, 235-8; L. Weber, *Right of Passage over Indian Territory Case*, EPIL 2 (1981), 244-6. იხ. აგრეთვე *The North Atlantic Fisheries Arbitration Case (1910)* (U.S. v. Great Britain), RIAA XI 167. ამონაწერი Harris CMIL, 232-3.

ბელობა)⁸² და ემსგავსება თანასაკუთრების უფლებას შიდა სამართალში. წყნარი ოკეანის ახალი ჰებრიდის კუნძულები (დღევანდელი ვანუატუ) ფრანგულ-ინგლისური კონდომინიუმი იყო 1980 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.⁸³ დღეისათვის ამ კონცეფციის მართებულობა ჯერ კიდევ არის გერმანიით, შვეიცარიითა და ავსტრიით შემოფარგლული კონსტანსის ტბაზე (*Boden* იხ. *Lac de Constance*) სუვერენიტეტის განაწილების შესახებ დავის საგანი.⁸⁴

ხანდახან სახელმწიფო თავისი ტერიტორიის ნაწილს იჯარით გადასცემს სხვა სახელმწიფოს; ფაქტობრივად ეს სუვერენიტეტის დროებით დათმობაა, რადგან სახელმწიფოს, რომელსაც ტერიტორია იჯარით გადაეცა, შეუძლია განახორციელოს სრული სუვერენიტეტი ტერიტორიაზე იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მოქმედებს იჯარის ხელშეკრულება.⁸⁵ ჰონკონგის ბრიტანული კოლონიის ნაწილს გაერთიანებული სამეფო ფლობს ჩინეთთან იჯარის ხელშეკრულების ძალით, რომლის მოქმედების ვადა 1997 წელს გადის, როდესაც ჰონკონგი უნდა დაუბრუნდეს ჩინეთს ორ სახელმწიფოს შორის 1984 წელს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.⁸⁶ ანალოგიურად, 1987 წელს პორტუგალია დათანხმდა, 1999 წელს დაუბრუნოს მაკაუ ჩინეთს⁸⁷ (დღეს ეს ტერიტორიები უკვე ჩინეთის საკუთრებაშია – რედ. შენ.).

ასევე შეიძლება სახელმწიფოს ხელშეკრულებით მიენიჭოს უფლება, მართოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი. მაგალითად, 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით გაერთიანებულ სამეფოს მიენიჭა უფლება, ემართა თურქეთის კუნძული კვიპროსი (1915 წელს დიდი ბრიტანეთის მიერ კვიპროსის ანექსია თურქეთმა ლოზანის 1923 ხელშეკრულებით აღიარა).⁸⁸

სერვიტუტები

სერვიტუტი წარმოიშობა, როდესაც ტერიტორია, რომელიც ერთ სახელმწიფოს ეკუთვნის, რაიმე კონკრეტული გზით იძულებულია მოემსახუროს სხვა სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის ინტერესებს.⁸⁹ სახელმწიფო, რომელიც სარგებლობს სერვიტუტის შედეგებით, შეიძლება უფლებამოსილი გახდეს, გააკეთოს რაიმე ამ ტერიტორიაზე (მაგალითად, გამოიყენოს მასზე გავლის უფლება ან გადაიტანოს წყალი ირიგაციისათვის); ასევე, სახელმწიფოს, რომელსაც აწევს სერვიტუტის ტვირთი, შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, შეიკავოს თავი გარკვეული მოქმედებებისაგან (მაგალითად, არ გააძლიეროს ან არ განალაგოს სამხედრო ძალები შესაბამის ტერიტორიაზე). სერვიტუტები, ჩვეულებრივად, ხელშეკრულებით წარმოიშობა, მაგრამ ისინი ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის ნორმებიდანაც.⁹⁰

ტერმინი „სერვიტუტი“ ნასესხებია რომის საკუთრების სამართლიდან. მრავალი ავტორი აკრიტიკებს მის გამოყენებას საერთაშორისო სამართალში იმის საფუძველზე, რომ ე.წ. საერთაშორისო სერვიტუტები არ ექვემდებარება იმავე წესებს, რასაც ექვემდებარებოდა სერვიტუტები რომის სამართალში. რომის სამართალში (და შიდა სამართლის თანამედროვე სისტემების შესაბამის ინსტიტუტებში) სერვიტუტებისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი ნიშანი იყო ის, რომ ისინი „მიწასთან ერთად მოძრაობდა“, რაც ნიშნავს, რომ სერვიტუტი გადადიოდა „სერვიტუტით დატვირთული“ მიწის მესაკუთრის უფლებების ყველა მემკვიდრეზე, ხოლო „სერვიტუტით მოსარგებლე“ მიწის მესაკუთრის მემკვიდრეები უფლებამოსილნი იყვნენ, ესარგებლათ სერვიტუტის შედეგებით. მოქმედებს თუ არა იგივე წესები ე.წ. საერთაშორისო სერვიტუტებზე?

არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც სამართალმემკვიდრე სახელმწიფო წინამორბედი სახელმწიფოს მიერ აღიარებული ტერიტორიული ვალდებულებების მატარებელი გამხდარა. მაგალითად, ზედა სავოიისა და

გეს ოლქის თავისუფალი ზონების (Free Zones of Upper Savoy and District of Gex case) საქმეში მართლმსაჯულების მუდმივმა სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთი ვალდებული იყო, შეესრულებინა სარდინიის მიერ მიცემული პირობა – შეენარჩუნებინა თავისუფალი საბაჟო (უბაჟო) ზონა ტერიტორიაზე, რომელიც მოგვიანებით საფრანგეთმა შეიძინა სარდინიისგან.⁹¹

„მინასთან ერთად მოძრავი“ საერთაშორისო სერვიტუტების შედეგებით სარგებლობის ანალოგიურად დაფიქსირებული მაგალითები ძნელი საპოვნელია. მაგრამ თუ ვალდებულება „მიჰყვება მინას“, როგორც ეს მოხდა „თავისუფალი ზონების“ საქმეში, ლოგიკა მოითხოვს, რომ უფლებასაც ასევე შეუძლია, „გაჰყვეს მინას“. უფრო მეტიც, ძალიან მოუხერხებელი იქნებოდა, თუ ასეთი უფლებები დაიკარგებოდა სუვერენიტეტის შეცვლის გამო; როდესაც კონკრეტული მხარის მოსახლეობა ეკონომიკურად არის დამოკიდებული წყლის მოპოვებაზე, ვთქვათ, მეზობელი ტერიტორიიდან, მისი სასიცოცხლო პირობები (გამოკვება) არ შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს ამ ტერიტორიათაგან ერთ-ერთზე სუვერენიტეტის შეცვლის გამო.

საერთაშორისო სერვიტუტები ზოგჯერ შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს სასარგებლოდ, არამედ რამდენიმე სახელმწიფოს, ან თუნდაც მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს სასარგებლოდ. მაგალითად, 1856 წელს რუსეთმა აიღო სახელშეკრულებო ვალდებულება, არ გაედლიერებინა ბალტიის ზღვაში ალანდის კუნძულების შეიარაღება; კუნძულები სტოკჰოლმთან ახლოს მდებარეობს, მაგრამ შვედეთი არ ყოფილა ხელშეკრულების წევრი.⁹² 1918 წელს ეს კუნძულები ფინეთის ნაწილი გახდა, რომელმაც იქ შეიარაღების გაძლიერება დაიწყო. შვედეთმა, რომელმაც საფრთხე იგრძნო ამ მოქმედებისაგან, იჩივლა ერთა ლიგის საბჭოში. საბჭომ დანიშნა იურისტების კომისია, რომელსაც უნდა გაეკეთებინა მოხსენება ამ საკითხის სამართლებრივ ასპექტებზე. კომიტეტმა მოახსენა საბჭოს, რომ ფინეთი გახდა რუსეთის ვალდებულებების სამართალმემკვიდრე, და რომ შვედეთი უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა 1856 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები, იმის მიუხედავად, რომ არ იყო ხელშეკრულების მონაწილე, რადგან ხელშეკრულება შეიქმნა ევროპაში ძალაუფლების ბალანსის დასაცავად და, შესაბამისად, მისი დაცვა შეეძლო მოეთხოვა ნებისმიერ „პირდაპირ დაინტერესებულ“ სახელმწიფოს, მათ შორის შვედეთსაც.⁹³

სერვიტუტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდინარეებთან და არხებთან დაკავშირებით.⁹⁴ მეთვრამეტე საუკუნეში სახელმწიფოები არ აძლევდნენ უცხოეთის გემებს უფლებას, ესარგებლათ მათ სახმელეთო ტერიტორიაზე არსებული სანაოსნო ხაზებით. ამან დიდი სირთულეები შექმნა, განსაკუთრებით ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მდინარის ზედა წელზე მდებარეობდნენ. ასე რომ, 1815 წლიდან დადებულ იქნა სხვადასხვა ხელშეკრულებები, რომლებიც მსოფლიოს დიდი მდინარეების უმეტესობას ნაოსნობისათვის ღიად აცხადებდა ან ყველა სახელმწიფოს გემებისათვის, ან მდინარის მოსაზღვრე ყველა სახელმწიფოს გემებისათვის, ან ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოს გემებისათვის (ხელშეკრულებები განსხვავდება დებულებებში). კონსტანტინოპოლის კონვენციამ, რომელსაც 1888 წელს მოაწერეს ხელი თურქეთმა და ცხრა სხვა სახელმწიფომ, სუეცის არხი ყველა სახელმწიფოს გემებისათვის ღიად გამოაცხადა.⁹⁵ იგივე წესი იქნა გამოყენებული პანამის არხის მიმართ შეერთებული შტატების მიერ დიდ ბრიტანეთსა და პანამასთან 1901 და 1903 წლებში დადებულ ხელშეკრულებებში.⁹⁶ ეგვიპტე აღიარებს, რომ იგი თურქეთის 1888 წლის კონვენციური ვალდებულებების სამართალმემკვიდრეა. მან არხის ნაციონალიზაციის შემდეგ, 1957 წელს, შეიტანა განცხადება გაეროს სამდივნოში, რომლითაც ხელახლა დაადასტურა თავისი განზრახვა, „პატივი სცეს კონს-

⁹¹ PCIJ, series A/B, no. 46; L. Weber, Free Zones of Upper Savoy and Gex Case, EPIL 11 (1995), 483-4.

⁹² T. Modée, Aaland Islands, EPIL 1 (1992), 1-3.

⁹³ LNOJ, Special Supplement No. 3, 1920, 18-9, *ob. Harris CMLL*, 234, n. 2 და თ. 3.

⁹⁴ R. Lagoni, Canals, EPIL 1 (1992), 523-7; J.A. Barberis, International Rivers, EPIL 11 (1995), 1364-8.

⁹⁵ Harris CMLL 240-2; B. Broms, Suez Canal, EPIL 12 (1990), 360-5. *ob. აგრეთვე*, თ. 2.

⁹⁶ M. Hartwig, Panama Canal, EPIL 12 (1990), 282-9; J. Major, Prize Possession: The United States and the Panama Canal, 1903-1979, 1993. *On the Kiel Canal, ob. The Wimbledon Case (1923) (France, Italy, Japan and the UK v. Germany)*, PCIJ, series A. n. 1; Harris CMLL, 239-40. *ob. თ. 2.*

⁹⁷ AJIL 53 (1957), 673; Harris
CMIL, 241.

ტანტინოპოლის ხელშეკრულების დებულებებსა და სულისკვეთებას“ და თანხმობა საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის აღიარებაზე ეგვიპტესა და კონვენციის სხვა მხარეებს შორის კონვენციასთან დაკავშირებით წარმოშობილ ყველა სადავო საკითხზე.⁹⁷

11. ტერიტორიაზე სუვერენიტეტის შეცვლის სამართლებრივი შედეგები (სახელმწიფოს მართალმემკვიდრეობა)

ტერმინი „სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა“ საერთაშორისო სამართლის იმ ნაწილის დასახასიათებლად გამოიყენება, რომელიც ტერიტორიაზე სუვერენიტეტის შეცვლის სამართლებრივ შედეგებს ეხება.¹ როდესაც ერთი სახელმწიფო მოიპოვებს ტერიტორიას მეორე სახელმწიფოსაგან, „წინამორბედი სახელმწიფოს“ რომელი უფლებები და მოვალეობები გადადის „სამართალმემკვიდრე სახელმწიფოზე“? რა ბედი ეწევა არსებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობას, საერთაშორისო სარჩელებს, იმ პირთა მოქალაქეობას, რომელთაც შეეხო ეს ცვლილება, სახელმწიფო და კერძო საკუთრებას, სახელშეკრულებო უფლებებს, ეროვნულ არქივებსა და ეროვნულ ვალებს? პრობლემას ის ართულებს, რომ სამართალმემკვიდრეობა შეიძლება მრავალი ფორმით წარმოიქმნას. სახელმწიფომ შეიძლება დაკარგოს თავისი ტერიტორიის ნაწილი ან მთელი ტერიტორია. შესაბამისად, ტერიტორიის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს ერთი ან რამდენიმე უკვე არსებული სახელმწიფოს გაფართოება, ან ერთი ან რამდენიმე ახალი სახელმწიფოს წარმოქმნა. ეს განსხვავებები უმნიშვნელოვანესია, რადგან სხვადასხვა სიტუაციებზე სამართლის სხვადასხვა წესები ვრცელდება; მაგალითად, ახალი სახელმწიფოს შექმნის სამართლებრივი შედეგები განსხვავდება უკვე არსებული სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოების სამართლებრივი შედეგებისაგან.

შესაძლო სიტუაციების კლასიფიკირების მნიშვნელობა გაზრდილია ასეთი კლასიფიკაციის გაკეთების სირთულით. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ იუგოსლავიის შექმნასთან დაკავშირებით იბადებოდა კითხვა – იგი ახალ სახელმწიფოს წარმოადგენდა თუ უბრალოდ საქმე სერბიის გაფართოებას ეხებოდა? იუგოსლავიის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები ნამდვილად განსხვავდებოდა. და კიდევ, ყოფილი იუგოსლავიის ამასწინანდელი დაშლის შემდეგ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა (სერბია/მონტენეგრო) ახალ სახელმწიფოდ უნდა იქნეს მოაზრებული თუ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის გაგრძელებად, არ არის ადვილად საპასუხო კითხვა (იხ. ქვემოთ). ასეთი პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთი უსაფრთხო გზა იმის გარკვევაა, ეს სახელმწიფო თავს ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოდ აცხადებს თუ უკვე არსებული წინამორბედი სახელმწიფოს გაგრძელებად. და მეორე, რამდენად არის მისი მოთხოვნა აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერ?

სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის სამართლის სტატუსი სწორად იქნა დასახასიათებელი, როგორც „ქაოტური“.² 1970-იან წლებში, დეკოლონიზაციის პროცესის მიერ სტიმულირებულ³ საერთაშორისო სამართლის კომისიას ჰქონდა სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის სამართლის ძირითადი საკითხების კოდიფიკირების მცდელობა, რაც გამოიხატა ორი კონვენციის პროექტებში: ვენის 1978 წლის კონვენცია ხელშეკრულებებზე სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ⁴ და ვენის 1983 წლის კონვენცია სახელმწიფო საკუთრებაზე, არქივებსა და ვალებზე სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ.⁵ საკოდიფიკაციო მცდელობა ზოგადად მიმოიხილება, როგორც უშედეგო (თუმცა ღირებული გამოკვლევები ჩატარდა სხვა-

¹ D.P. O'Connell. *State Succession in Municipal and International Law*, 2 vols, 1967; *Restatement (Third)*, Vol. 1, paras. 208-210; W. Fiedler, *State Succession*, *EPIL* 10 (1987), 446-56; Harris *CMIL*, 813-6; P.K. Menon, *The Succession of States in Respect to Treaties, State Property, Archives and Debts*, 1991; M. Bothe/C. Schmidt, *Sur quelques questions de succession posées par la dissolution de l'URSS et celle de la Yugoslavia*, *RGDIP* 96 (1992), 811-42; D.F. Vaegts, *State Succession: The Codifiers' View*, *Virginia JIL* 33 (1933), 275-97; O. Schachter, *State Succession, The Once and Future Law*, *ibid.*, 253060; E.D. Williamson/J.E. Osborn, *A.U.S. Perspective on Treaty Succession and Related Issues in the Wake of the Breakup of the USSR and Yugoslavia*, *ibid.* 261 *et seq.*; W. Czaplinski, *La Continuité, l'identité et la succession d'Etats – Evaluation de cas récents*, *RBDI* 26 (1993), 374-92; R. Mullerson, *The Continuity and Succession of States by Reference to the Former USSR and Yugoslavia*, *JCLQ* 42 (1993), 473-93; M.N. Shaw, *State Succession Revisited*, *FYIL* 5 (1994), 34-98; S. Bolderson/A. Verdonk, *Treaty Status in the Commonwealth of Independent States. The Baltic States and the Former Czechoslovakia*, *ET* 34 (1994), 50-60; R.R. Williams, *The Treaty Obligation of the Successor States of the Former Soviet Union, Yugoslavia and Czechoslovakia: Do They Continue in Force?*, *Denver JILP* 23 (1994), 1-42; G. Burdenu (ed.), *Dissolution, continuation et succession en Europe de l'Est*, 1994; *Annual Meeting of the Dutch Society of International Law*, 1995; O.M. Ribbelink, *On the Uniting of States in Respect of Treaties*, *NYIL* 26 (1995), 139-69.
² S. Oeter, *German Unification and State Succession*, *ZaöRV* 51 (1991), 349-83, at 352 *et seq.*
³ იხ. თ. 2.
⁴ *ILM* 17 (1978), 1488; *AJIL* 72 (1978), 971. იხ. H. D. Treviranus.
⁵ *ILM* 23 (1983), 306.

⁶ 1978 წლის ენის კონვენციის მუხლები 11 და 12.
⁷ იხ. თ. 10.
⁸ იხ. Kaikobad, Some Observations on the Doctrine of Continuity and Finality of Boundaries, BYIL 54 (1983), 119, 126-36.
⁹ იხ. Touval, The OAU and African Borders, IOJ (1967), IOJ and Case Concerning the Continental Shelf (Tunisia/Libya), ICJ Rep. 1982, 18, 65-6 (para. 84), 131. იხ. აგრეთვე თ. 19.

დასხვა მუხლების პროექტების მომზადების პროცესში), რისი ძირითადი მიზეზიც იყო ის, რომ პროცესი ფოკუსირებული იყო უფრო „ახლად შექმნილი სახელმწიფოების“ კონკრეტულ პრობლემებსა და ინტერესებზე და უგულვებელყოფდა სხვა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ხელშეკრულებების პროექტების დებულებები ასევე ყოველთვის არ ასახავდა სახელმწიფოთა შორის არსებულ რეალურ პრაქტიკას. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არც ერთ კონვენციას არ მიუღია ძალაში შესვლისათვის საჭირო 15 ქვეყნის მიერ რატიფიცირება. 1978 წლის კონვენციას ხელი მოაწერა ოცმა ქვეყანამ და რატიფიცირება მხოლოდ სამმა სახელმწიფომ გაუკეთა (ეთიოპია, ერაყი და იუგოსლავია); შეუერთდა შვიდი სახელმწიფო (დომინიკის რესპუბლიკა, ეგვიპტე, ესტონეთი, მაროკო, სეიშელის კუნძულები, ტუნისი და უკრაინა). ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, სლოვენია და სლოვაკეთი რეგისტრირებულია, როგორც სამართალმემკვიდრე სახელმწიფოები. 1983 წლის კონვენციას ხელი მოაწერა მხოლოდ ექვსმა სახელმწიფომ. თუმცა ქვეყნების სამართალმემკვიდრეობის საკითხი მოულოდნელად აქტუალური გახდა იემენისა და გერმანიის გაერთიანების, საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის დაშლისა და ეთიოპიიდან ერიტრეის გამოყოფის ფონზე.

ხელშეკრულებები

ტერიტორიაზე საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები

„დისპოზიციური“ ხელშეკრულებების შემთხვევაში (ეს არის ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ტერიტორიაზე საკუთრების უფლებებს), ყოველთვის წარმოიშობა უფლებებისა და მოვალეობების სამართალმემკვიდრეობის საკითხი. ასეთი ხელშეკრულებები „დაკავშირებულია მიწასთან“ და მათზე გავლენას არ ახდენს ტერიტორიაზე სუვერენიტეტის შეცვლა.⁶ სერვიტუტები⁷ ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს ისევე, როგორც სასაზღვრო ხელშეკრულებები. თუ ხელშეკრულება ახდენს ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების დელიმიტაციას, და თუ საზღვრის ერთ მხარეს მდებარე ტერიტორია გადაეცემა მესამე სახელმწიფოს, ეს უკანასკნელი ვალდებულია, დაიცვას სასაზღვრო ხელშეკრულების პირობები. სასაზღვრო ხელშეკრულებების ავტომატური სამართალმემკვიდრეობის წესი უფრო ფართო პრინციპის ნაწილია, რომლის თანახმადაც სახელმწიფო, რომელიც ტერიტორიას მოიპოვებს, ავტომატურად ხდება ამ ტერიტორიის საზღვრების სამართალმემკვიდრე, მიუხედავად იმისა, საზღვრები ხელშეკრულებით არის განსაზღვრული თუ ტერიტორიაზე საკუთრების მოპოვებისა და ტერიტორიის მოპოვების შესახებ ჩვეულებითი სამართლის ნორმების თანახმად.⁸

ამ წესის მოქმედების ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ახლად შექმნილი სახელმწიფო მემკვიდრეობაში იღებს ყოფილი კოლონიური სახელმწიფოს მიერ დადგენილ საზღვრებს. ეს შედეგი აღიარებულ იქნა თითქმის ყველა ახლად შექმნილი სახელმწიფოს მიერ, რომელთაც არ სურდათ, თავიანთი საზღვრები ეჭვქვეშ დაეყენებინათ. ხშირად კოლონიური საზღვრები, კერძოდ კი, აფრიკაში, არაბუნებრივი იყო, არ ემთხვეოდა ეთნიკურ დაყოფას და კვეთდა ტერიტორიას, რომელიც ბუნებრივ ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მაგრამ, რადგან ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ დათანხმებოდნენ საზღვრების რადიკალურ ცვლილებაზე, მათ ეყოთ საღი აზრი და შეინარჩუნეს თავიანთი არსებული საზღვრები, რითაც თავიდან აიცილეს შემდგომი გაურკვეველობები და კონფლიქტები.⁹

1964 წელს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციამ (OAU) მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოაცხადა, რომ „ყველა ნევრი სახელმწიფო იღებს ვალდებუ-

ბულებას, პატივი სცეს მის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტისათვის არსებულ საზღვრებს“. ეს რეზოლუცია ასახავს ე.წ. *uti possidetis* პრინციპს, რომელმაც თავდაპირველი განვითარება პოვა სამხრეთ ამერიკაში, ამ რეგიონის სახელმწიფოების მიერ ესპანეთისა და პორტუგალიის მმართველობისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში, როდესაც ცდილობდნენ, დაეცვათ ტერიტორიული ინტეგრაცია მათ შორის არსებულ ყოფილ ადმინისტრაციულ საზღვრებში.¹⁰ ბურკინა-ფასოსა და მალის შორის ტერიტორიული დავის დროს საერთაშორისო სასამართლომ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის დადგომის მომენტისათვის არსებული საზღვრების დაცვის ვალდებულება შემდეგი განცხადებით აღიარა:

„ეჭვს არ ბადებს, რომ მანამდე არსებული ვალდებულება სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის დროს საერთაშორისო საზღვრების დაცვაზე საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმიდან გამომდინარეობდა, მიუხედავად იმისა, ასახულია თუ არა ეს ნორმა *uti possidetis* ფორმულაში“.¹¹

ანალოგიურად, ევროგაერთიანების ინიციატივითა და შეერთებული შტატებისა და ყოფილი სსრკ-ს მხარდაჭერით 1991 წელს დაარსებულმა იუგოსლავიის არბიტრაჟის კომისიის კონფერენციამ იუგოსლავიის დაშლის გამო წამოჭრილ საკითხებზე პოზიციის დასაფიქსირებლად დაადგინა:

თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრები გახდება სახელმწიფო საზღვრები, რომელთაც იცავს საერთაშორისო სამართალი. ეს დასკვნა გამომდინარეობს ტერიტორიის *status quo*-ს პატივისცემის პრინციპიდან, კერძოდ კი *uti possidetis* პრინციპიდან. მიუხედავად იმისა, რომ *uti possidetis* პრინციპი თავდაპირველად ამერიკასა და აფრიკაში დეკოლონიზაციის საკითხების მოსაწესრიგებლად გამოიყენებოდა, დღეისათვის იგი აღიარებულია ზოგად პრინციპად, როგორც ამას საერთაშორისო სასამართლო აცხადებს.¹²

კომისიამ ასევე განავრცო, რომ „ყველა გარე საზღვარი ხელშეუხებელი უნდა იყოს“ გაეროს წესდებასა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებზე, მათ შორის, ვენის 1978 წლის კონვენციის მე-11 მუხლზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ნებაყოფლობითი ურთიერთშეთანხმებით და რომ „არსებული საზღვრების ძალისმიერ შეცვლას არ შეუძლია წარმოშვას რაიმე სამართლებრივი შედეგები“.¹³

აფრიკაში ეთიოპიიდან ერიტრეის გამოყოფამ, რასაც წინ უსწრებდა ოცდაათწლიანი ომი და გაეროს ზედამხედველობით და ეთიოპიის ახალი მთავრობის (რომელმაც შეცვალა საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილი პოლკოვნიკ მენგისტუს რეჟიმი) თანხმობით ჩატარებული რეფერენდუმი, დასაბამი მისცა „აფრიკის საზღვრების ხელშეუვალობისა“ და *uti possidetis* პრინციპის აღიარებას.¹⁴ ერიტრეა გაეროს მიერ 1993 წლის 28 მაისს აღიარებულ იქნა აფრიკის ორმოცდამეთერთმეტე სახელმწიფოდ.

სხვა სახის ხელშეკრულებები

სხვა სახის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით წესები მომხდარი ტერიტორიული ცვლილებების შინაარსის მიხედვით იცვლება.

„მოძრავი სახელშეკრულებო საზღვრების“ პრინციპი

როდესაც სახელმწიფო კარგავს ტერიტორიას, იგი კარგავს ხელშეკრულებით მინიჭებულ იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც დაკარგული ტერიტორიების მიმართ გამოიყენებოდა. ასე მაგალითად, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა ნიგერიას დამოუკიდებლობა მიანიჭა, დიდი ბრიტანეთი აღარ

¹⁰ I. Brownlie, *African Boundaries: A Legal and Diplomatic Encyclopedia*, 1979, 9-12; Y. Makonnen, *State Succession in Africa: Selected problems*, RDC 200 (1968-v), 92-234; F. Woodbridge, *Uti possidetis Doctrine*, EPIL 10 (1987), 519-21; R. McCorquidale, *Self-Determination Beyond the Colonial Context and its Potential Impact on Africa*, AJICL 4 (1992), 592-608; J. Klabbers/R. Lefeber, *Africa: Lost Between Self-Determination and Uti Possidetis*, in C. Brömmann/R. Lefeber/M. Zieck (eds), *Peoples and Minorities In International Law*, 1993, 37-76; P. Malanczuk, *Minorities and Self-Determination. Reflections in International Law in General Including Some Recent Developments In Europa*, in N. Sybesma-Kno/J. Van Bellinghen (eds), *Naar een nieuwe interpretatie van het recht op Zelfbeschikking*, 1995, 169-93, 188 *et seq.*

¹¹ ICJ Rep. 1986, 566.

¹² Opinion No. 3 of 11 January 1992, ILM 31 (1992), 1499, at 1500. *ob. ასევე* თ. 19.

¹³ *Ibid.*

¹⁴ *ob. Malanczuk (1995).op. cit.*: R. Goy, *L'Indépendance de l'Erythrée*, AFDI 39 (1993), 337-56; E. Gayim, *The Eritrean Question: The Conflict between the Right of Self-Determination and the Interests of States*, 1993.

¹⁵ იხ. ხელშეკრულების სამართალზე ვენის 1969 წლის კონვენციის მუხლები 29, 61 და 62 (ILM (1969), 679; AJIL 63 (1969), 875); მუხლი 15, ვენის 1978 წლის კონვენცია, op.cit.

¹⁶ იხ. Bos, op.cit., 12. ასევე იხ. ქვემოთ.

¹⁷ იხ. თ. 2.

¹⁸ მუხლი 17, ვენის 1978 წლის კონვენცია.

იყო ვალდებული, ინგლის-ამერიკის ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, გადაეცა შეერთებული შტატებისათვის დამნაშავეები ნიგერიიდან, ასევე აღარ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა შეერთებული შტატებისაგან იმ დამნაშავეების გადაცემა, რომელთაც დანაშაული ნიგერიის ტერიტორიაზე ჩაიდინეს (თუმცა დიდი ბრიტანეთის მიერ დადებული ხელშეკრულებები, ჩვეულებრივ, აგრძელებს მოქმედებას იმ ტერიტორიების მიმართ, რომელიც დარჩა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში ნიგერიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შემდეგ).

როდესაც უკვე არსებული სახელმწიფო მოიპოვებს ახალ ტერიტორიას, ის არ ხდება წინამორბედი სახელმწიფოს ხელშეკრულებების სამართალმემკვიდრე; მაგრამ მის მიერ დადებული ხელშეკრულებები, ჩვეულებრივ, იწყებს მოქმედებას ახლად მოპოვებულ ტერიტორიებზე. მაგალითად, არსებობს საფრანგეთისა და ბელგიის სასამართლოების მრავალი გადაწყვეტილება, რომლებიც ადგენს, რომ საფრანგეთის ხელშეკრულებების მოქმედება ვრცელდება ელზასსა და ლორენზე მას შემდეგ, რაც ისინი გადაეცა საფრანგეთს 1919 წელს. ეს წესი კოდიფიცირებულ იქნა ვენის 1978 წლის კონვენციის მე-15 მუხლში.

ზემოაღნიშნულმა წესებმა გამოხატულება პოვა ე.წ. „მოდრავი სახელშეკრულებო საზღვრის“ პრინციპში, რომელიც იმ დროს უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც არსებული სახელმწიფო სუვერენიტეტს თავისი ტერიტორიის ნაწილზე სხვა სახელმწიფოს გადასცემს (რაც განსხვავდება დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონფედერაციის ან ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ სახელმწიფოში გაერთიანების შემთხვევებისაგან). ეს იმას ნიშნავს, რომ წინამორბედი სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულებები აღარ მოქმედებს დაკარგულ ტერიტორიაზე მაშინ, როდესაც სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს ხელშეკრულებების მოქმედება მათზე ავტომატურად ვრცელდება. სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ეს წესი ასახავს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალს და ცნობს მხოლოდ ერთ გამონაკლისს – თუ კონკრეტული ტერიტორიის მიმართ კონკრეტული ხელშეკრულების გამოყენება ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების მიზნებსა და ობიექტს.¹⁵ ეს წესი მაინც ეწინააღმდეგობრივია, რადგან იგი ძალიან სწორხაზოვანია ისეთ შემთხვევებზე გასავრცელებლად, როდესაც ერთი სახელმწიფო სრულიად წყვეტს არსებობას სხვა სახელმწიფოში გაერთიანებით. კერძოდ, ეს საკითხი წამოჭრა გერმანიამ 1978 წლის კონვენციის განხილვის დროს, გულისხმობდა რა ორი გერმანიის შესაძლო საბოლოო გაერთიანებას.¹⁶

დეკოლონიზაცია და ახალი სახელმწიფოები

დეკოლონიზაციის შედეგად წარმოშობილი ახალი სახელმწიფოების მიმართ¹⁷ ვენის კონვენცია შემდეგ წესებს ადგენს:

1. ახალ სახელმწიფოს შეუძლია იყოს იმ მრავალმხრივი ხელშეკრულების სამართალმემკვიდრე, რომლის წევრიც იყო წინამორბედი სახელმწიფო. ამისთვის მან წერილობით უნდა შეატყობინოს დეპოზიტარს განზრახვა, რომ თავს ხელშეკრულების სამართალმემკვიდრედ განიხილავს. არსებობს რამდენიმე გამონაკლისი ამ წესიდან. მაგალითად, ახალ სახელმწიფოს არ შეუძლია იყოს მრავალმხრივი ხელშეკრულების სამართალმემკვიდრე, თუ ეს შეიძლება ეწინააღმდეგებაში მოვიდეს ხელშეკრულების მხარეების ინტერესებთან. ახლად წარმოქმნილი სახელმწიფო არ არის ვალდებული იყოს მრავალმხრივი ხელშეკრულების სამართალმემკვიდრე, თუ მას თავად არ სურს ეს.¹⁸
2. ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს წევრი ორმხრივი

ხელშეკრულებისა, რომელიც წინამორბედა სახელმწიფომ დადო სხვა სახელმწიფოსთან, თუ ორივე – ეს სახელმწიფო და ახლად წარმოქმნილი სახელმწიფო აცხადებს ამაზე თანხმობას.¹⁹ თუმცა, შეთანხმება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებითაც. მაგალითად, თუ ორივე მხარე მოითხოვს ან ერთმანეთს ანიჭებს უფლებებს ხელშეკრულების საფუძველზე, მათ მომავალში არ მიეცემათ უფლება, უარყონ სამართალმემკვიდრეობის დადგომა.²⁰ ასეთი ნაგულისხმევი თანხმობა ხშირია, რადგან მხარეები, როგორც წესი, აცნობიერებენ, რომ წინამორბედი სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულებების გამოყენება მათ ორმხრივ ინტერესებში შედის.

¹⁹ მუხლი 24.

²⁰ ესტონეთის არსის გასარკვევად იხ. თ. 3 და თ. 10.

²¹ იხ. თ. 5.

²² მუხლი 34, 1978 წლის ვენის კონვენცია.

²³ მუხლი 31.

ცნობილია, რომ კოლონიებს, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ხშირად ჰქონდათ მინიჭებული ხელშეკრულებების დადების შეზღუდული უფლებამოსილება.²¹ დამოუკიდებლობის მოპოვება ზეგავლენას არ ახდენს ამ უფლებამოსილების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებებზე. მაგალითად, ინდოეთი გაეროში 1945 წელს განევრიანდა, მაგრამ დამოუკიდებლობა 1947 წლამდე ვერ მოიპოვა. დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტს არანაირი გავლენა არ მოუხდენია ინდოეთის გაეროში წევრობაზე (თუმცა პაკისტანი განხილულ იქნა, როგორც ახალი სახელმწიფო და იგი იძულებული იყო, მიემართა გაეროსათვის განცხადებით ახალ წევრად მიღებაზე). ამასთან, საკითხი – გახდა თუ არა ინდოეთი გაერთიანებული სამეფოს ხელშეკრულებების სამართალმემკვიდრე – გაცილებით უფრო რთულია.

შეიძლება პარადოქსულად და შეუთავსებლადაც კი მოგვეჩვენოს, რომ ორმხრივი ხელშეკრულების მიმართ სამართალმემკვიდრეობისათვის საჭიროა მეორე მხარის თანხმობა, ხოლო მრავალმხრივის მიმართ სამართალმემკვიდრეობა სხვა მხარეებისაგან ასეთ თანხმობას არ მოითხოვს. მაგრამ პარადოქსი და შეუსაბამობა უფრო მოჩვენებითია, ვიდრე რეალური. მრავალმხრივი ხელშეკრულებების მხარეთა უმეტესობა მიესალმება ამ ხელშეკრულებებში რაც შეიძლება მეტი სახელმწიფოს მონაწილეობას, და მათი თანხმობა ახალი სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობაზე შეიძლება ჩაითვალოს, როგორც წინასწარ მოცემული. ამიტომაც, რომ კონვენციის მე-17 მუხლი არ აკეთებს არანაირ მინიშნებას თანხმობაზე. თუმცა მე-17 მუხლი მოითხოვს სხვა მხარეების თანხმობას, თუ ნათელია, რომ მათი თანხმობის გარეშე დამდგარი სამართალმემკვიდრეობა შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ხელშეკრულების ნევრების ინტერესებთან.

ასეთი წესები მოქმედებს, თუ ახალი სახელმწიფო წინამორბედ სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული (ვთქვათ, კოლონია). ახალი სახელმწიფო, რომელიც წინამორბედი სახელმწიფოს მეტროპოლიური (მთავარი სახელმწიფოს) ტერიტორიიდან გამოყოფის გზით (რაც ნიშნავს „არაკოლონიურს“) ან წინამორბედი სახელმწიფოს მეტროპოლიის ტერიტორიის ორ ან მეტ ახალ სახელმწიფოდ დაშლის შედეგად შეიქმნა, ავტომატურად ხდება წინამორბედი სახელმწიფოს უმეტესი ხელშეკრულებების სამართალმემკვიდრე.²² როდესაც ახალი სახელმწიფო ორი ან მეტი მანამდე არსებული სახელმწიფოს გაერთიანებით იქმნება, წინამორბედი სახელმწიფოების მიერ დადებული ხელშეკრულებები აგრძელებს მოქმედებას იმ ტერიტორიის მიმართ, სადაც ისინი გაერთიანებამდე მოქმედებდა, რა თქმა უნდა, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით.²³

მე-17 და 24-ე მუხლების თანახმად, ახალი სახელმწიფო არ არის ვალდებული, გახდეს წინამორბედი სახელმწიფოს ხელშეკრულებების სამართალმემკვიდრე, თუ მას ეს არ სურს. სახელმწიფოს შეუძლია დაიწყოს არსებობა „სუფთა დაფიდან“. „სუფთა დაფის“ დოქტრინა ჩამოყალიბდა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში 1945 წლამდე. 1945 წლის შემდგომ მომხდარმა ცვლილებებმა გარკვეული ეჭვის ქვეშ დააყენა დოქტრინის არსებობა, რადგან ზოგიერთი ქვეყანა, რომელმაც დამოუკიდებლობა 1945 წლის შემდეგ

²⁴ opinio juris-ისა და განმეორებადობის აუცილებლობაზე საერთაშორისო ჩვეულებებითი სამართლის ნორმის შექმნისათვის იხ. თ. 3.

²⁵ იხ. Z. Meriboute, La Codification de la succession d'état aux traités, 1984, 141-64 (secession), 182-6 (merger), 206-17 (disintegration).

²⁶ B. Meissner, Baltic States, EPIL I (1992) 328-37. იხ. აგრეთვე თ. 10.

²⁷ ლიტვამ 1990 წლის 11 მარტს, ესტონეთმა 1991 წლის 20 აგვისტოს და ლატვიამ ურთი დღის შემდეგ, იხ. R. Yakemtchouk, Les Républiques baltes en droit international – Echec d'une annexion opérée en violation de droit international, AFDI 37 (1991), 259; A. Spruds (ed), The Baltic Path to Independence: An Interlational Reader of Selected Articles, 1994.

²⁸ იხ. Bos, *op. cit.* 27-9

²⁹ კონცეფციისათვის იხ. B. Schloh, Dismemberment, EPIL I (1992), 1083-5.

³⁰ იხ. ზოგადად C. Haverind, Secession, EPIL 10 (1987), 384-9.

³¹ მაგრამ იხ. Mullerson, *op. cit.*, 483 ფინეთსა და ესტონეთს შორის შეთანხმებასთან დაკავშირებით რიგი ხელშეკრულებების ან მათი ნაწილის დროებითი გამოყენების შესახებ.

მოიპოვა, თვლიდა, რომ ის ავტომატურად ხდებოდა წინამორბედი სახელმწიფოს ხელშეკრულებების სამართალმემკვიდრე. აღიარებულია, რომ ავტომატური სამართალმემკვიდრეობის პრაქტიკა არ არის საკმარისი „სუფთა დაფის“ დოქტრინის გასაბათილებლად, რადგან:

1. 1945 წლის შემდგომ დამოუკიდებლობამოპოვებული მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო მისდევდა ამ პრაქტიკას მაშინ, როცა უმეტესობა აღიარებდა „სუფთა დაფის“ დოქტრინას;
2. ზოგიერთმა იმ ქვეყანამ, რომლებიც ავტომატური სამართალმემკვიდრეობის პრაქტიკას მისდევდნენ, იგი მათი წინამორბედის მიერ დადებული მხოლოდ ზოგიერთი ხელშეკრულების მიმართ გამოიყენეს და არა ყველას მიმართ;
3. ქვეყნები მისდევდნენ ავტომატური სამართალმემკვიდრეობის პრაქტიკას, რადგან იგი თავისთვის უფრო ხელსაყრელად ჩათვალეს და არა იმიტომ, რომ ეს სავალდებულო იყო.²⁴

„სუფთა დაფის“ დოქტრინის აღიარებით 1978 წლის ვენის კონვენციის მე-17 და 24-ე მუხლები, ალბათ, შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებთან.

34-ე და 31-ე მუხლების დებულებები, რომლებიც, შესაბამისად, სახელმწიფოების დაშლასა და გაერთიანებას ეხება, ასევე შესაბამისობაშია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებთან, თუმცა დაშლისა და გაერთიანების მაგალითები იმდენად იშვიათი იყო, რომ არ იძლევა კატეგორიული განცხადებების გაკეთების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, 34-ე მუხლის დებულებები სახელმწიფოთა გამოყოფასთან დაკავშირებით, ალბათ, უფრო ეწინააღმდეგება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, რომელიც, როგორც ჩანს, გამოყოფილ სახელმწიფოს არსებობის „სუფთა დაფიდან“ დაწყების უფლებას აძლევდა.²⁵

შანსლესი პრაქტიკა

გამოყოფა

ბალტიისპირეთის სახელმწიფოები

ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა (ესტონეთი, ლატვია და ლიტვა),²⁶ რომლებიც საბჭოთა კავშირის მიერ 1940 წელს იყო ანექსირებული, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1990-1991 წლებში.²⁷ მრავალმა სახელმწიფომ აღიარა მათი დამოუკიდებლობა, მათ შორის საბჭოთა კავშირმა, 1991 წლის 6 სექტემბერს და ისინი გაეროში განევრიანდნენ. 1978 წლის კონვენციის ჩრილში გაურკვეველია, არიან თუ არა ბალტიისპირეთის სახელმწიფოები ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რადგან კონვენცია არ იძლევა „დამოკიდებული ტერიტორიის“ განმარტებას.²⁸ სახელმწიფოებს განსხვავებული მიდგომა აქვთ იმის მიმართ, უნდა იყონ თუ არა ბალტიისპირეთის ქვეყნები აღიარებული ახალ სახელმწიფოებად საბჭოთა კავშირიდან მათი გამოყოფის გამო, ისევე, როგორც იმ საკითხზე, ეს სახელმწიფოს „დაშლის“²⁹ შემთხვევათა თუ სახელმწიფოდან „გამოყოფის“³⁰. თავად ბალტიისპირეთის სახელმწიფოები არ მიიჩნევენ თავს ყოფილი სსრკ-ს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოებად და უარი განაცხადეს, სავალდებულოდ ეღიარებინათ ნებისმიერი დოქტრინა ყოფილი სსრკ-ს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების სამართალმემკვიდრეობაზე.³¹

საბჭოთა კავშირი

1985 წელს, მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დაიწყო პროცესი, რომელსაც 1991 წლის აგვისტოში არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სსრკ-ს დაშლა მოჰყვა. სადავოა, არის თუ არა სამართლიანი რუსეთის ფედერაციის მოთხოვნა, ჩაენაცვლოს ყოფილ საბჭოთა კავშირს.³³ თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ ყოფილმა საბჭოთა კავშირმა დაასრულა არსებობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) დაარსებასთან ერთად, რომელიც ეფუძნებოდა აღმა-ათის დეკლარაციას, რომელსაც 1991 წლის 21 დეკემბერს თერთმეტმა საბჭოთა რესპუბლიკამ მოაწერა ხელი.³⁴ დსთ-ს ქვეყნებმა თავი იმის გარანტიად გამოაცხადეს, რომ შიდაკონსტიტუციური პროცედურის თანახმად, „უარს აცხადებენ ყოფილი სსრკ-ს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან (დახლოებით 16 000 დოკუმენტი)³⁵ გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებებზე“ და მხარს უჭერენ გაეროში (უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრობის ჩათვლით) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საბჭოთა კავშირის „რუსეთით ჩანაცვლებას“.³⁶ ამასთან დაკავშირებით შესაბამისი განცხადება რუსეთმა გაეროს გენერალურ მდივანს 1991 წლის 24 დეკემბერს ჩააბარა.³⁷ არავის გამოუთქვამს საწინააღმდეგო მოსაზრება გაეროში რუსეთის მიერ სსრკ-ს ადგილის დაკავების თაობაზე. 1992 წლის 17 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა დიპლომატიურ მისიებს მოსკოვში, რომ რუსეთის ფედერაცია კისრულობს ვალდებულებას, გააგრძელოს სსრკ-ს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება და რომ რუსეთის მთავრობა შეასრულებს დეპოზიტარის ფუნქციებს შესაბამისი ხელშეკრულებების მიმართ სსრკ-ს მთავრობის ნაცვლად.³⁸ წინააღმდეგობრივია საკითხი, ევროკავშირის მიერ „აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში ახალი სახელმწიფოების აღიარების სახელმძღვანელოს“³⁹ საფუძველზე შემუშავებული პოზიცია ნიშნავს თუ არა ცალსახად მის მიერ რუსეთის ფედერაციის იმ მოთხოვნის აღიარებას, რომელიც ყოფილი სსრკ-ს ჩანაცვლებას გულისხმობს.⁴⁰ ყოველ შემთხვევაში, დასავლეთის სახელმწიფოების მთავარი მიზანი სსრკ-ს დაშლასთან დაკავშირებით იყო იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედების უზრუნველყოფა, რომელთაც უპირველესი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ერთ-ერთი ასპექტი იყო რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე განლაგებული ბირთვული იარაღის კონტროლირება. მაშინ, როდესაც რუსეთმა თავი საბჭოთა კავშირის, როგორც ბირთვული ზესახელმწიფოს, სამართალმემკვიდრედ⁴¹ გამოაცხადა და „გაუფრცელებლობის“ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი გახდა,⁴² დანარჩენმა სამმა სახელმწიფომ განაცხადა, რომ მათ სურთ, მოიპოვონ არაბირთვული სახელმწიფოს სტატუსი.⁴³ ევროპაში კონვენციური შეიარაღებული ძალების შესახებ 1961 წლის კონვენციასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციამ განაცხადა, რომ 1990 წლის 19 ნოემბრის შემდეგ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ტერიტორიებზე დარჩენილი ყველა შესაბამისი შეიარაღება და აღჭურვილობა დროებით ხელშეკრულების დებულებების მოქმედების ქვეშ ხვდებოდა. ამავე დროს, ბალტიისპირეთის ქვეყნები ამოღებული იყო ხელშეკრულების ტერიტორიული მოქმედების სფეროდან.⁴⁴

³² მაღის ფედერაციის 1950 წლის, გაერთიანებული არაბეთის რესპუბლიკის 1961 წლისა და ბანგლადეშის 1971 წლის საკმეტთან დაკავშირებით იხ. Ribbelink, Preadviezen, op.cit., 81 et seq.
³³ იხ. Mullerson, op.cit. Bos, op.cit.; Bos, op. cit., 30 et seq.; Ribbelink, Preadviezen, op. cit. 85 et seq.; Bothe/Schmidt, op.cit.; T. Schweisfurth, Vom Einheitsstaat (UdSSR) zum Staatenbund (GUS), ZaöRV 52 (1992), 541-702. იხ. ზოგადად W. Fiedler, Continuity, EPIL 1 (1992), 806-9.
³⁴ ILM31 (1992), 138. იხ. ასევე თ. 6.
³⁵ იხ. Lukašuk, Rußland als rechtsnachfolger in völkerrechtliche Verträge der UdSSR, Osteuer-Recht 39 (1993), 235.
³⁶ ILM31(1992), 151. იხ. Y. Blum, Russia Takes Over the Soviet Union's Seat at the United Nations, EJIL 3 (1992), 354-51; M.P. Scharf, Musical Chairs: The Dissolution of States and Membership in the United Nations, Cornell ILJ 28 (1995), 260-69. იხ. აგრეთვე, თ. 21.
³⁷ UN doc. 1991/Russia.
³⁸ AJIL 90 (1996), 448
³⁹ იხ. თ. 5.
⁴⁰ იხ. T. Schweisfurth, Ausgewählte Fragen der Staatensukzession im Kontext der Auflösung der UdSSR, AVR 32 (1994), 99-129, 105; Bos, op. cit., 33.
⁴¹ G. Bunn/J. B. Rhineland, The Arms Control Obligations of the Former Soviet Union, Virginia JIL ss (1993), 323-50; L.S. Wolosky/J.M. Malis/D.A. Schwimmer, START, START II and Ownership of Nuclear Weapons: The Case for a "Primary" Successor State, Harvard ILJ 34 (1993), 581-95.
⁴² იხ. თ. 20.
⁴³ დეტალებისათვის იხ. Bos, op.cit., 34
⁴⁴ სხვა ხელშეკრულებებზე და დსთ-ს სხვა სახელმწიფოების პოზიციაზე შემდგომი ინფორმაციისათვის იხ. Bos, op. cit., 35 et seq.

⁴⁵ იხ. მაგ., M. Weller, The International response to the Dissolution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia, AJIL 86 (1992), 569-607; Y.Z. Blum, UN Membership of the "New" Yugoslavia: Continuity or Break?, *ibid.*, 830-33; Agora: UN Membership of the Former Yugoslavia, AJIL 87 (1993), 240-51; W. Hummer, Probleme der Staatennachfolge am Beispiel Jugoslawiens, RSDI 4 (1993), 425-59. იხ. აგრეთვე ზემოხსენებული ლიტერატურა დათმ. 21 დათ. 22.

⁴⁶ იხ. UN Doc. S/23877 of 5 May 1992.

⁴⁷ იხ. აგრეთვე თმ. 21 დათ. 22.

⁴⁸ UN Doc GA Res. 46/238: 46/236 და 46/237.

⁴⁹ UN Doc. S/Res 757, 30 May 1992; UN Doc. S/Res 777 (1992).

იხ. Ribbelink, *preadviezen, op. cit.*, 95 *et seq.*

⁵⁰ იხ. თ. 5.

⁵¹ იხ. UNYB 1992, 139; Czaplinski, *op. cit.*

⁵² იხ. Bos. *op. cit.*, 42 *et seq.*; H. Tichy, Two Recent Cases of State Succession - An Austrian Perspective, AJPL 44 (1992), 125. იხ. აგრეთვე, Art. 5 of the 1996 Agreement on the Normalization of Relations between Croatia and the Federal Republic of Yugoslavia, ILM 35 (1996), 1219, and Art. 4 of the 1996 Agreement between Macedonia and Yugoslavia, *ibid.*, 1246.

⁵³ იხ. M. Hoškova, Die Selbstauflösung der CSFR - Ausgewählte rechtliche Aspekte, ZaoRV 53 (1993), 697. The separation of Czechoslovakia is a pertinent case in which the predecessor state was extinguished; იხ. generally U. Fastenrath, State Extinction, EPIL 10 (1987), 465-7.

⁵⁴ არაბეთის გარეთიანებლი რესპუბლიკის (ევგოპტე და სირია) 1958, ტანზანიის 1964 (ტანზანიკა და ზანზიბარი) და ვიეტნამის 1976 უფრო ადრეულ საწყებობათვის იხ. Ribbelink, *preadviezen, op. cit.*, 71 *et seq.*; იხ. აგრეთვე Ribbelink (1995), *op. cit.*, 139-69.

⁵⁵ გერმანიის საკითხის საბოლოო მოწესრიგებაზე 1990 წლის 12 სექტემბრის ხელშეკრულების ტექსტი, 1186. Documents Relating to Germany's Unification are reprinted in ZaoRV 51 (1991), 494. იხ. აგრეთვე Taking Reichs Seriously: German Unification and the law of State Succession, Harvard LR 104 (1990), 588-606; J.A. Frowein, Germany Reunited, ZaoRV 51 (1991), 333-48; Oeter (1991), *op. cit.*; G.E. Wilms, The Legal Status of Berlin after the Fall of the Wall and German Reunification, ZaoRV 51 (1991), 470-93;

იუგოსლავია

არანაკლებ რთულია იუგოსლავიის შემთხვევა.⁴⁵ სლოვენისა და ხორვატიის, როგორც ყოფილი იუგოსლავიის პირველი სუბიექტების, მიერ 1991 წლის 25 ივნისს დამოუკიდებლობის გამოცხადება (ამ განცხადებების განხორციელება მოგვიანებით 1991 წლის 8 ოქტომბრამდე გადაიდო) აღიარებულ იქნა ევროკავშირისა და რიგი სხვა სახელმწიფოების მიერ 1992 წლის იანვარში, რასაც მოჰყვა ბოსნია-ჰერცეგოვინის აღიარება 1992 წლის 7 აპრილს. 1992 წლის 27 აპრილს სერბიამ და ჩერნოგორიამ შექმნეს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა (დღეისათვის სერბიისა და ჩერნოგორიის კონფედერაციული რესპუბლიკა - რედ. შენიშვნა), რომელმაც ღიად განაცხადა სურვილი, ჩანაცვლებოდა ყოფილ იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციულ რესპუბლიკას.⁴⁶ 1992 წლის 1 მაისს ევროკავშირმა განაცხადა თავისი მზადყოფნა, ეღიარებინა მაკედონია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მხოლოდ ყველა მხარისათვის მისაღები სახელით (საბერძნეთის მიერ წამოჭრილი პროტესტის გათვალისწინებით).⁴⁷

ამის შემდგომ მალე, კერძოდ კი 1992 წლის 22 მაისს, სლოვენის, ბოსნია-ჰერცეგოვინისა და ხორვატიის ახალშექმნილი რესპუბლიკები გაეროში განწევრიანდნენ.⁴⁸ თუმცა უშიშროების საბჭომ უარი განუცხადა იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას მოთხოვნაზე - ავტომატურად გამხდარიყო ყოფილი იუგოსლავიის გაეროში წევრობის სამართალმემკვიდრე, და განწევრიანებაზე ახალი განცხადების წარმოდგენა მოსთხოვა იმ მიზეზით, რომ ყოფილი იუგოსლავიამ არსებობა შეწყვიტა.⁴⁹ უფრო დიდი დისკუსია გამოიწვია ნიუ-იორკში საკითხმა, ვის რომელი დროშა უნდა აღემართა გაეროს შენობის წინ. ანალოგიური უარყოფითი დამოკიდებულება სერბიისა და ჩერნოგორიის მოთხოვნაზე, ჩანაცვლებოდა ყოფილ იუგოსლავიას, გამოხატა იუგოსლავიის კონფერენციის ფარგლებში შექმნილმა საარბიტრაჟო კომისიამ.⁵⁰ დიდი სახელმწიფოებიდან მხოლოდ რუსეთმა და ჩინეთმა გამოთქვეს მზადყოფნა, ეღიარებინათ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მოთხოვნა. გენერალურ ასამბლეაზე კენიამ, სვაზილენდმა, ტანზანიამ, ზიმბაბვემ, ზამბიამ და იუგოსლავიამ არ მისცეს ხმა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციას.⁵¹ ხოლო ყოფილი იუგოსლავიის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოების პრაქტიკა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით კიდევ უფრო არათანმიმდევრული იყო.⁵²

ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შედეგად 1993 წლის 1 იანვარს ორი ახალი სახელმწიფო შეიქმნა, რაც ძირითადად 1978 წლის კონვენციის დებულებების თანახმად განხორციელდა. ჩეხეთის რესპუბლიკამ და სლოვაკეთმა თავი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოებად გამოაცხადეს, ასევე გამოხატეს მზადყოფნა, ეღიარებინათ წინამორბედი სახელმწიფოს შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებები.⁵³

გაერთიანება⁵⁴

გერმანია

გერმანიის გაერთიანება 1990 წლის 3 ოქტომბერს თითქმის უნიკალური შემთხვევაა.⁵⁵ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთ გერმანია) კონსტიტუციის 23-ე მუხლით დადგენილი პროცედურის თანახმად განისაზღვრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (აღმოსავლეთ გერმანია, რომელმაც არსებობა შეწყვიტა) შერწყმა მაშინ, როდესაც ფედერაციულმა

რესპუბლიკამ გააგრძელა არსებობა. Grundgesetz-ის 146-ე მუხლის თანახმად, ახალი კონსტიტუციის მიღების არსებული ალტერნატიული ვარიანტი შეუძლებლად იქნა მიჩნეული – აზრი, რომელიც გაიზიარა ევროგაერთიანების კომისიამაც, რადგან შეიძლებოდა წამოჭრილიყო პრობლემა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მოიაზრებოდა გაერთიანებული გერმანია საერთაშორისო სამართლის ახალ სუბიექტად.⁵⁶

გერმანია თვლიდა, რომ სამართალმემკვიდრეობა „მოდრავი სახელშეკრულებო საზღვრების“ წესის⁵⁷ საფუძველზე შედგა, თუმცა აღმოსავლეთ გერმანია საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს წარმოადგენდა (ჰქონდა რა სუი გენერის ხასიათი, როგორც განაცხადა ფედერაციულმა რესპუბლიკამ) და გაერთიანებას მოჰყვა ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოში სრული ჩართვა და არა უბრალოდ ტერიტორიის ნაწილის გადაცემა.⁵⁸ მაგრამ „მოდრავი სახელშეკრულებო საზღვრების“ პრინციპი რეალურად სრულად არ იყო გამოყენებული პროცესში. პრაქტიკულად, მოლაპარაკებები ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელშეკრულებო პარტნიორებთან იმართებოდა აღმოსავლეთ გერმანიის მიერ დადებული ხელშეკრულებების ბედთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის გაგრძელებას არ წამოუჭრია გერმანიისათვის რაიმე კონკრეტული პრობლემა გაეროს შემთხვევაში, გარდა გაერთიანებული გერმანიის უარისა, დაეფარა აღმოსავლეთ გერმანიის დავალიანება ორი სამშვიდობო ოპერაციისათვის ახლო აღმოსავლეთში (UNDOF და UNIFIL).⁵⁹ გაერო ამტკიცებდა, რომ გერმანია ვალდებული იყო, გადაეხადა წინამორბედი სახელმწიფოს ვალები იმდენად, რამდენადაც მან მემკვიდრეობით მიიღო ამ სახელმწიფოს ქონებრივი უფლებები და ინტერესები. გაერთიანების დღიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეუერთდა, გაეროში ჩვეულებრივ საქმიანობდა სახელწოდებით „გერმანია“.⁶⁰ უფრო მეტი სირთულეები გამოაშკარავდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ, ევროგაერთიანებასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც გაერთიანებამ აღიარა „მოდრავი სახელშეკრულებო საზღვრების“ პრინციპი, რაც ნიშნავდა, რომ გაერთიანების ტერიტორია გაფართოვდა და გაერთიანების სამართლის ტერიტორიული მოქმედება ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაზე გავრცელდა, მან არ აღიარა, რომ აღმოსავლეთ გერმანიის მიერ დადებულმა ყველა ხელშეკრულებამ ავტომატურად შეწყვიტა მოქმედება. უფრო მეტიც, გაერთიანება აღმოჩნდა მდგომარეობაში, როცა მას უნდა ემტკიცებინა, რომ მისი მონაწილეობა აღმოსავლეთ გერმანიის ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებებში საჭირო იყო მაშინ მაინც. საქმე ეხებოდა საკითხებს, რისი გადაწყვეტის განსაკუთრებული კომპეტენცია გადაცემული იყო გაერთიანების ორგანოებზე. ამის ალტერნატივა შეიძლებოდა ყოფილიყო ევროპის გაერთიანების ხელშეკრულებებში განვირინებისა და მათში დამატებების შეტანის დროში განეწილი და ძალიან გართულებული პროცესი.

იხილეთ

1990 წელს იემენის გაერთიანებამ ორი ქვეყნის ერთ ქვეყნად გაერთიანების განსხვავებული ფორმა მიიღო.⁶¹ მათ განაცხადეს, რომ გაერთიანებული იემენი განიხილება ყველა იმ ხელშეკრულების მხარედ, რომელიც დადებული ჰქონდა ერთ-ერთ წინამორბედ სახელმწიფოს, იმ დღიდან, როდესაც ორთაგან პირველი გახდა ხელშეკრულების მხარე.

K. Hailbronner, Legal Aspects of the Unification of the Two German States, EJIL 2 (1991), 18-41; F.G. v.d. Dunk/P.H. Kooijmans, The Unification of Germany and International Law, Mich. JIL 12 (1991), 510-37; J.A. Frowein, The Reunification of Germany, AJIL 86 (1992), 152-63; R. Wittkowsky, Die Staatensukzession in voierrechtliche Verträge unter besonderer Berucksichtigung der Herstellung der staatlichen Einheit Deutschlands, 1992; U. Fastenrath, Der deutsche Einigungsvertrag im Lichte des Rechts der Staatenachfolge, AJIL 44 (1992), 1-54; F. Elbe, Resolving the External Aspects of German Unification. The "Two-Plus-Four" Process, GYIL 36 (1993), 371-84; Bos. *op. cit.*, 48 *et seq.*; Ribbelink, Preadviezen. *op. cit.*, 76 *et seq.*; R. Bernhardt, Germany, Unification of, EPIL II (1995), 590-5. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ოკუპირების სტატუსის შესახებ იხ. თ. 5 და თ. 10.

⁵⁶ იხ. T. Giegerich, The European Dimension of German Reunification: East Germany's Integration into the European Communities, ZsRV 51 (1991), 384-450; J.-P. Jacques, German Unification and the European Community, EJIL 2 (1991), 1-17; P.J. Kuypers, The Community and State Succession in Respect of Treaties, in D. Cunin/T. Heukels (eds), International Dynamics of European Integration, Vol. II, 1994, 619-40; J.F. Weiss, Succession of States in Respect of Treaties Concluded by the European Communities, SEW 10 (1994), 661-79.

⁵⁷ იხ. ზემოთ.

⁵⁸ Bos. *op. cit.*, 48 *et seq.*

⁵⁹ იხ. Ribbelink, Preadviezen. *op. cit.*, 77 *et seq.* გაეროს სამშვიდობო ქმედების შესახებ იხ. თ. 22.

⁶⁰ იხ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის 1990 წლის 3 ოქტომბრის წერილი გაეროს გენერალური მდივნისადმი, ILM 30 (1991), 457.

⁶¹ იხ. R. Goy, La Réunification du Yémen, AFDI 36 (1990), 249-65. იემენის რესპუბლიკის დაარსებაზე იხ. ILM 30 (1991), 820.

⁶⁰ იხ. ზემოთ.

⁶¹ RIAA VI 120, იხ. E. H. Riedel, Lighthouses Cases, EPIL 2 (1981) 171-2. მაგრამ ამ და სხვა საქმეებში გამოყენებული საყოველთაოდ აღიარებული წესი უფლებებელთა იქნა მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ Lighthouses Arbitration. ILR 23 (1956), 81, 90-3.

⁶² საერთაშორისო სამართლის თანამდებობაზე დასაბუთო 17.

⁶³ იხ. L. Barrington, The Domestic and International Consequences of Citizenship in the Soviet Successor States. Eur-Asia Stud. 47 (1995), 731-63; G. Ginsburg, The Issue of Dual Citizenship Among the Successor States. Osteur.-Recht 41 (1995), 1-29.

⁶⁴ A/CN.4/L.507. V. Mikulka was appointed as Special Rapporteur.

საერთაშორისო სარჩელები

საერთაშორისო სარჩელები უკანონო აქტებისათვის კომპენსაციაზე განიხილება, როგორც „პერსონალური“ და არ იწვევს მოსარჩელე სახელმწიფოს უფლებების ან მოპასუხე სახელმწიფოს მოვალეობების სამართალმემკვიდრეობას. სარჩელებზე გავლენას არ ახდენს მოსარჩელე ან მოპასუხე სახელმწიფოს გაფართოება და შემცირება; ახალი სახელმწიფოები არსებობას „სუფთა დაფიდან“ იწყებენ;⁶² და მოსარჩელე ან მოპასუხე სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტა იწვევს სარჩელის მოსპობას. ამ უკანასკნელი მოსაზრების მაგალითია ბრაუნის (Brown) სარჩელი. ბრაუნს, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს, 1895 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უარი ეთქვა მართლმსაჯულების განხორციელებაზე, მაგრამ დავის მოგვარებამდე ბურების ომი დაიწყო და რესპუბლიკა გაერთიანებულმა სამეფომ დაიპყრო. შეერთებულმა შტატებმა სარჩელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ შეიტანა, მაგრამ არბიტრმა დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფო არ გამხდარა საერთაშორისო სარჩელებზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვალდებულებების სამართალმემკვიდრე.⁶³

მოქალაქეობა

ხანდახან აცხადებენ, რომ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის შეცვლის დროს წინამორბედი სახელმწიფოს სუბიექტები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ავტომატურად კარგავენ თავიანთ ძველ მოქალაქეობას და სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს მოქალაქეობას იძენენ.⁶⁴ მაგრამ რას ნიშნავს ტერიტორიაზე „მაცხოვრებლები“? ტერიტორიაზე დაბადება არის საკმარისი თუ აქტიური ცხოვრება განიხილება, როგორც ძირითადი კრიტერიუმი? თუ ორივე – დაბადებაც და ცხოვრებაც აუცილებელია? თუ ისინი ერთმანეთის ალტერნატივას წარმოადგენენ? თუ ცხოვრება მიიღება მხედველობაში, მაშინ რა დრო ან პერიოდებია საჭირო, რათა განისაზღვროს, არის პირი რეზიდენტი თუ არა? პრაქტიკაში ასეთი საკითხები შეიძლება მხოლოდ ხელშეკრულებებით ან ქვეყნის შიდა კანონმდებლობით მოწესრიგდეს. ხელშეკრულებები ხანდახან შესაბამის პიროვნებებს აძლევენ არჩევანის ნებას, დაიტოვონ ძველი მოქალაქეობა ან მიიღონ სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს მოქალაქეობა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება უამრავი გაურკვევლობა.⁶⁵ ასე რომ 1993 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, თავის დღის წესრიგში ჩაერთო საკითხი სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობისა და მისი გავლენის შესახებ იურიდიული და ფიზიკური პირების მოქალაქეობაზე. სამუშაო ჯგუფის მიერ 1995 წელს წარმოდგენილი პირველადი გადაწყვეტილება იწყება წინაპირობით, რომ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობიდან წარმოშობილ სიტუაციაში ნებისმიერ პირს, რომლის მოქალაქეობაზეც გავლენას ახდენს ტერიტორიაზე საერთაშორისო სტატუსის შეცვლა, აქვს მოქალაქეობის უფლება, და ეს სახელმწიფოები ვალდებული არიან, აღკვეთონ ასეთი პირების მოქალაქეობის გარეშე დატოვება, როგორც სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის ყველაზე სერიოზული პოტენციური შედეგი. სხვა პოტენციური არასასურველი შედეგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ორმაგ მოქალაქეობასთან, ოჯახების გაყოფასთან, როგორც მისი წევრების მიერ სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეობის მიღების ერთ-ერთ შედეგთან, სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულებასთან, პენსიებსა და ცხოვრების უფლებასთან.⁶⁶

საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრება

როდესაც ერთი სახელმწიფო სრულად ეუფლება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიას, ის ხდება მთელი საზოგადოებრივი ქონების მემკვიდრე (რაც წარმოადგენს სახელმწიფოს კუთვნილ მთელ ქონებას, რომელიც განსხვავდება მისი მოქალაქეების ან მაცხოვრებლების კუთვნილი ქონებისაგან), სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ეს ქონება.⁶⁷

მეორე მხრივ, თუ სახელმწიფო უბრალოდ კარგავს თავისი ტერიტორიის რაღაც ნაწილს, მაშინ სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს მემკვიდრეობით წინამორბედი სახელმწიფოს საზოგადოებრივი საკუთრების გაცილებით მცირე ნაწილი გადაეცემა. საზოგადოებრივი საკუთრების უმეტესი ნაწილი, რაც განლაგებულია წინამორბედი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მესამე სახელმწიფოებში, რჩება წინამორბედი სახელმწიფოს საკუთრებაში მაშინ, როდესაც იმ ქონების უმეტესი ნაწილი, რაც განლაგებულია გადაცემულ ტერიტორიაზე, გადადის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს საკუთრებაში.⁶⁸

კერძო საკუთრება

კერძოსაკუთრებითი ურთიერთობები ავტომატურად არ წყდება ტერიტორიის გადაცემასთან ერთად. თუ სამართალმემკვიდრე სახელმწიფო შემდგომში გადაწყვეტს ახლად მოპოვებულ ტერიტორიაზე განლაგებული პირად საკუთრებაში მყოფი ქონების ექსპროპრიაციას, მისი უფლებამოსილების საზღვრები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა მესაკუთრე. თუ მესაკუთრეს აქვს (ან მოიპოვავს) სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს მოქალაქეობა, სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს უფლება, ექსპროპრიაცია გაუკეთოს ამ ქონებას, შეუზღუდავია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად (თუმცა ის შეიძლება შეზღუდული იყოს ადმიანის უფლებების დამცავი ხელშეკრულებებით). მეორე მხრივ, თუ მესაკუთრე წინამორბედი ან მესამე სახელმწიფოს მოქალაქეა, სამართალმემკვიდრე სახელმწიფომ უნდა დაიცვას უცხოელების მოპყრობის მინიმალური საერთაშორისო სტანდარტები; ექსპროპრიაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებისთვის და მას უნდა ახლდეს კომპენსაცია.⁶⁹

ყოველ შემთხვევაში, ასეთი წესია ტრადიციულად აღიარებული დასავლეთის ქვეყნებში. თუმცა მესამე სამყაროს უმეტესი ქვეყანა უარყოფს ამ წესს. მაშინაც კი, როდესაც ისინი მზად იყვნენ ელიარებიანთ, რომ ეს „დასავლური“ წესები ვრცელდება ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში დამოუკიდებლობის შემდეგ განხორციელებულ ინვესტიციებზე, ისინი აცხადებდნენ, რომ განსხვავებული მიდგომა ვრცელდებოდა დამოუკიდებლობამდე განხორციელებულ ინვესტიციებზე, იმ დროს, როდესაც ეს ქვეყნები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, დაეცვათ საკუთარი ინტერესები. ასეთი ინვესტიციები, მათი განცხადებით, უთანასწორო პირობებით ხორციელდებოდა და კოლონიური ექსპლუატაციის ფორმას გამოხატავდა. ზოგიერთი დასავლელი ავტორი ცდილობს ამ შეხედულების უარყოფას იმ მოსაზრებით, რომ წესი, რომელიც მოითხოვს კომპენსაციას ექსპროპრიაციის შემთხვევაში, განსაზღვრულია „გაუმართლებელი გამდიდრების აღმკვეთად“⁷⁰ და ამდენად ზოგიერთ შემთხვევაში ექსპროპრიაციისათვის გადახდილი კომპენსაციის თანხის შემცირება ლოგიკურია, იმის გათვალისწინებით, რომ ექსპროპრირებული უცხოელი უკანონოდ გამდიდრდა წარსულში.⁷¹ სამსუხაროდ, სიტყვები „უკანონო გამდიდრება“ და „ექსპლუატაცია“ იმდენად სუბიექტურია, რომ მათი გამოყენების წესების მუდმივ განხილვას მოითხოვს; გამდიდრება, რომელიც ერთი მხარისათვის კანონიერია, მეორისთვის შეიძლება უკანონო-

⁶⁷ Haile Selassie v. Cable & Wireless Ltd. (1939) ChD 182.

⁶⁸ II, CYB 1981, Vol. 2, part 2, 25-71; Peter Pazmany University case (1933), PCIJ, series A/B, no. 61, 237. იხ. V.-D. Degan, State Succession. Especially in Respect of State Property and Debts, FYIL 4 (1993), 3-21; S. Oeter, State Succession and Struggle over Equity. Some Observations on the Laws of State Succession with Respect to State Property and Debts in Cases of Separation and Dissolution of States, GYIL 38 (1995), 73-102.

⁶⁹ United States v. Percheman (1833), 32 US 51, 86-8; German Settlers case (1923), PCIJ, series B, no. 6; Certain German Interests in Polish Upper Silesia (1926), PCIJ, series A, no. 7, 21-2; Chorzow Factory Case (1928), PCIJ, series A, no. 17, 46-8. ორ უკანასკნელ შემთხვევაში საკითხი ხელშეკრულებით გადაწყდა, მაგრამ სასამართლო დაადგინა, რომ ჩვეულებითი სამართლის წესისთვის იყო, როგორც ექსპროპრიაციისათვის. უცხოელების მოპყრობის მინიმალური სტანდარტებისათვის, ექსპროპრიაციაზე სპეციალური მითითებით, იხ. თ. 15 და თ. 17.

⁷⁰ C. Schreuer, Unjust Enrichment, EPIL 9 (1986), 381-3.

⁷¹ მაგ. Friedmann, AJIL (1963), 276, 295.

⁷² იბ. თ. 15.

⁷³ [1905] 2 KB 291.

⁷⁴ PCIJ, Series B, no. 6.

⁷⁵ სახელმწიფოს კონტრაქტებზე ზოგადი იბ. თ. 3 და თ. 6.

⁷⁶ გერმანიის ვაერთიანების შედეგებზე, მაგ., იბ. F. Drinhausen, Die Auswirkungen der Staatsukzession auf Verträge mit privaten Partnern, 1995.

⁷⁷ იბ. P. Fisher, Concessions Cases, EPIL 1 (1992), 715-21

⁷⁸ Mavrommatis Case (1924), PCIJ, series A, no. 2, 28. იბ.

K. Doehring, Mavrommatis Concessions Cases, EPIL 2 (1981), 182-5. ეს არის დასავლეთის სახელმწიფოების მიერ აღიარებული წესი, მაგრამ უაზოვილიმესამეცხროსწამეტი სახელმწიფოების მიერ.

ნოს წარმოადგენდეს. დასავლელი ინვესტორები ძნელად აბანდებენ ინვესტიციებს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ქვეყნები უკანონოდ გამდიდრდნენ ძველი ინვესტიციების ხარჯზე. ამდენად საექვოა, დიდხანს დარჩება თუ არა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ინტერესებში ტრადიციული წესების შერბილებული გამოყენება, ხოლო უცხოური ინვესტიციების სფეროში მომხდარი უახლესი ცვლილებები აჩვენებს, რომ ეს ნამდვილად ასეა.⁷²

საკონტრაქტო უფლებები

დეკოლონიზაციის თანამედროვე პერიოდამდე კი ზოგიერთი ავტორი ეჭვის ქვეშ აყენებდა იმ საკითხს, იყო თუ არა სამართალმემკვიდრე სახელმწიფო წინამორბედი სახელმწიფოს საკონტრაქტო უფლებების მემკვიდრე. მაგალითისთვის, დასავლეთ რენდის ცენტრალური ოქროს საბადო მეფის წინამორბედი (West Rand Central Gold Mining Co. v. The King)⁷³ საქმეში ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მეფე არ გამხდარა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საკონტრაქტო ვალდებულებების სამართალმემკვიდრე მას შემდეგ, რაც დიდმა ბრტანეთმა მისი ანექსია მოახდინა. ეს საქმე გაკრიტიკებულ იქნა და საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ საკითხი German Settlers-ის საქმეში სხვაგვარად გადაწყვიტა.⁷⁴

ხანდახან აცხადებენ, რომ, ლოგიკის თანახმად, სამართალმემკვიდრე სახელმწიფო არ უნდა იყოს ვალდებული, შეასრულოს კონტრაქტი, რომლის წევრიც ის არ არის.⁷⁵ მაგრამ, თუ უცხოელმა საკუთარი სახსრებით მოუტანა სარგებლობა ტერიტორიას და გასწია საქმიანობა კონტრაქტის შესასრულებლად, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ სამართლიანობის საკითხია, რომ სახელმწიფომ, რომელმაც მოიპოვა სუვერენიტეტი ამ ტერიტორიაზე, მისცეს მას ნება, ისარგებლოს თავისი ინვესტიციის ნაყოფით. ამ ანალიზის საფუძველზე, სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს ვალდებულებები არა კონტრაქტული, არამედ კვაზიკონტრაქტულია – ტერმინი, რომელიც ასახავს სიტუაციას, როდესაც არ არსებობს კონტრაქტი, მაგრამ კანონი ავალდებულებს მხარეებს, ისე მოქცენენ, როგორც კონტრაქტის არსებობის შემთხვევაში უნდა მოქცეულიყვნენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო გამდიდრება. მნიშვნელობა არ აქვს, სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს ვალდებულებები კონტრაქტულია თუ კვაზიკონტრაქტული, რადგან შედეგი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. სახელმწიფომ ან უნდა მისცეს უფლება უცხოელს, ისარგებლოს თავდაპირველი კონტრაქტიდან გამომდინარე სიკეთით, ან თუ სახელმწიფოს სურს, რომ ჩამოართვას უცხოელს მოგების ნაწილი ან მთლიანი მოგება, მან უნდა მოახდინოს ექსპროპრირებული უფლებების კომპენსაცია.⁷⁶

საკონტრაქტო უფლებებიდან პრობლემა ძირითადად კონცესიებთან და ეროვნულ ვალებთან დაკავშირებით წარმოიშობა. კონცესია არის სახელმწიფოს მიერ კომპანიის ან პირისათვის მინიჭებული უფლება, განახორციელოს სამენარემო საქმიანობა სახელმწიფოსა და კონცესორს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სპეციალური პირობებით. სამენარემო საქმიანობა ძირითადად გამოიხატება ნავთობის ან სხვა მინერალების მოპოვებაში, ან საზოგადოებისათვის კომუნალური მომსახურების გაწევაში (გაზის, წყლის, ელექტროენერჯის მიწოდება, არხებისა და რკინიგზის გაყვანა და ა.შ.).⁷⁷ კონცესიური უფლებები ნახევრად მესაკუთრულია, ნახევრად – კონტრაქტული. პრაქტიკა ამასთან დაკავშირებით ცალსახა არ არის, მაგრამ საუკეთესო მიდგომა ის არის, რომ სამართალმემკვიდრე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს კომპენსაცია კონცესორს, თუ იგი გააუქმებს წინამორბედი სახელმწიფოს მიერ გაცემულ კონცესიას.⁷⁸

ეროვნულ ვალებთან დაკავშირებული პრობლემა უფრო კომპლექსურია და

აქ შეიძლება მხოლოდ ზოგადად იქნეს განხილული.⁷⁹ თუ A სახელმწიფო მოახდენს B სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ანექსიას, ის ხდება B სახელმწიფოს უცხოელი კრედიტორებისადმი ვალდებულებების სამართალმემკვიდრე B სახელმწიფოს ეროვნულ ვალებთან დაკავშირებით. თუ B სახელმწიფო დაკარგავს თავისი ტერიტორიის ნაწილს, სწორი იქნება, თუ სამართალმემკვიდრე სახელმწიფო(ები) აიღებს B სახელმწიფოს ვალების ნაწილს, წინააღმდეგ შემთხვევაში, B სახელმწიფოს, შემცირებული ტერიტორიითა და ეკონომიკური რესურსებით, გაუჭირდება დაფაროს თავისი ვალები. მაგალითად, როდესაც ბრიტანეთის კოლონიებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ისინი გახდნენ პასუხისმგებლები ადგილობრივი კოლონიური ადმინისტრაციის მიერ აღებული ვალეზზე, მაგრამ არა ბრიტანეთის ეროვნულ ვალეზზე (მაშინაც კი, როდესაც ისინი კოლონიები იყვნენ, მათ არ მიუღიათ მონაწილეობა ბრიტანეთის ეროვნული ვალის დაფარვაში).⁸⁰ თუმცა, როდესაც 1922 წელს ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო შეიქმნა, მან აიღო ბრიტანეთის ეროვნული ვალეზის ნაწილი;⁸¹ სხვა მხრივ დამოუკიდებლობა ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოში გადასახადების გადამხდელებს გაათავისუფლებდა მათი წინა ვალდებულებისგან, გადაეხადათ ეროვნული ვალის პროცენტი და დაამძიმებდა გაერთიანებული სამეფოს დანარჩენ ტერიტორიაზე დარჩენილ გადასახადების გადამხდელთა ვალდებულებას.

ანალოგიურად, თუ B სახელმწიფო დაკარგავს მთელ ტერიტორიას რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლის გზით, სამართლიანია, რომ B სახელმწიფოს ვალეზზე პასუხისმგებლობა სამართალმემკვიდრე სახელმწიფოებს შორის გადანაწილდეს. ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს იმის გადანყვეტა, ვალის რა ნაწილი უნდა გადაიხადოს თითოეულმა სახელმწიფომ. პრაქტიკაში ეს პრობლემა შეიძლება მხოლოდ ხელშეკრულების მეშვეობით გადაწყდეს.⁸² მაგალითად, ყოფილი სსრკ-ს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ვალეზის უმეტესი ნაწილი ისევე, როგორც უმეტესი ქონება, რუსეთის ფედერაციაზე გადავიდოდა. სხვა სახელმწიფოები მცირე პროცენტებზე დათანხმდნენ და დარჩენილი თანხა ბალტიის ქვეყნებსა და საქართველოს გადაეცა⁸³ (უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტმა 2001 წლის 16 თებერვალს რატიფიცირება გაუკეთა რუსეთის ფედერაციასთან ე.წ. „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც უარი განაცხადა თავის წილზე ყოფილი სსრკ-ს აქტივებსა და პასივებში – რედ. შენიშვნა).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნებმა სახელმწიფო საკუთრების, არქივებისა და ვალეზის მიმართ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობაზე 1983 წლის ვენის კონვენციის⁸⁴ ხელმოწერასა და რატიფიცირებაზე უარი ძირითადად იმ მიზეზით განაცხადა, რომ კონვენცია მხოლოდ სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი ვალეზს ეხება და არაფერს ამბობს ფიზიკური პირების ან კომპანიებისადმი ვალეზზე.

⁷⁹ იხ. H.-E. Folz, *State Debts*, EPIL 8 (1985), 484-8; P.R. Williams, *State Succession and the International Financial Institutions, Political Criteria v. Protection of Outstanding Financial Obligations*, ICLQ 43 (1994), 776-808; Degan, *op. cit.* სირთულეების შესაფასებლად, სახელშეკრულებო საფუძველზეც კი, იხ. H.J. Hahn, *Value Maintenance in the Young Loan Arbitration. History and Analysis*, NYIL 14 (1983), 3-93.

⁸⁰ იხ. ასევე ILCYb 1981, Vol.2, Part 2, 91-105, კოლონიების სამართლებრივი პოზიციაზე ეროვნული ვალეზის მძრა.

⁸¹ O'Connell, *op.cit.*, Vol. 1, 40
⁸² იხ. ILCYb 1981, Vol. 2, part 2, 72-113.

⁸³ იხ. P. Juillard, *La Dette extérieure de l'ancienne Union Soviétique: succession ou continuation?* in Burdeau (ed.), *op. cit.*, 201 *et seq.*, discussing the Memorandum of 28 October 1991, the Treaty of 4 January 1992 and the Joint Declarations of 2 April 1993.

⁸⁴ 1983 წლის ვენის კონვენცია, *op.cit.*

12. საზღვაო სამართალი

¹ Harris *CMIL* 347-459; *Restatement (Third)*, Vol. 2, part V, 3-98; R.P. Anand, *Origin and Development of the Law of the Sea*. History of International Law Revisited, 1983; D.P. O'Connell, *The International Law of the Sea* (I.A. Shearer ed.), Vol. 1, 1982; Vol. 2, 1984; M.N. Nordquist/S. Rosenne/LB. Sohn (eds), *United Nations Convention on the Law of the Sea 1982. A Commentary*, 5 vols. 1985-90; E.D. Brown/R.R. Churchill (eds), *The UN Convention on the Law of the Sea: Impact and Implementation*, 1987; R.R. Churchill/A.V. Lowe, *The Law of the Sea*, 2nd edn 1988; 6. Jaenicke, *Law of the Sea*, *EPIL* II (1989), 174-91; E.D. Brown, *Law of the Sea. History*, *Ibid.*, 191-6; R. Platzer, *Conferences on the Law of the Sea*, *EPIL* I (1992), 748-55; I. Treves, *Codification du droit international et pratique des Etats dans le droit de la mer*, *Rdc* 223 (1990-IV), 13-302; R.-J. Dupuy/D. Vignes (eds), *A Handbook on the New Law of the Sea*, 2 vols, 1991-2; T. Kuribayashi/E.L. Miles (eds), *The Law of the Sea in the 1990s: A Framework for Further International Cooperation*, 1992; E.D. Brown, *The International Law of the Sea. Introductory Manual*, 1994; R. Wolfrum, *Law of the Sea*, in *Wolfgram UNLPPH*, 834-47; for a useful collection of documents issued each year by international organizations see: A.H.A. Soons/B. Kwiatkowska et al. (eds), *International Organizations and the Law of the Sea. Documentary Yearbook*.
² *AJIL* 52 (1958), 834, 842, 851 and 858; Brownlie *BOIL*, 87-123.
³ UNTS 450, 169.
⁴ *ILM* 21 (1982), 1261.

სამართლებრივი მიზნებიდან გამომდინარე, წყალი, რომელიც დედამიწის ზედაპირის 70 პროცენტს ფარავს, სამ ზონადაა დაყოფილი, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ წესებს ექვემდებარება.¹ ეს ზონებია: (1) შიდა წყლები, (2) ტერიტორიული ზღვა და (3) ღია ზღვა. უკანასკნელ ხანს მდგომარეობა მეტად გაართულა იმ ზღვისპირა სახელმწიფოების პრეტენზიებმა, რომლებიც თავიანთი ტერიტორიული ზღვის მიმდებარე ღია საზღვაო სივრცეზე გარკვეულ დამატებით უფლებებს მოითხოვენ (მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი).

საზღვაო სამართალი უმთავრესად კოდიფიცირებულ იქნა ჟენევაში 1958 წელს გაერთიანებული ერების კონფერენციაზე (UNCLOS I), რომელიც საზღვაო სამართალს მიეძღვნა. კონფერენციაზე ოთხი კონვენცია შეიმუშავეს: კონვენცია ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ, კონვენცია ღია ზღვის შესახებ,² კონვენცია ღია ზღვაში თევზჭერისა და ზღვის ცოცხალი რესურსების კონსერვაციის შესახებ და კონვენცია კონტინენტური შელფის შესახებ. რატიფიცირების შემდეგ ამ კონვენციებს შესაბამისად შეუერთდა ორმოცდაექვსი, ორმოცდაჩვიდმეტი, ოცდათექვსმეტი და ორმოცდაათოთხმეტი სახელმწიფო, ხოლო ოცდათვრამეტი სახელმწიფო დავების სავალდებულო გადაწყვეტის ნებაყოფლობითი პროტოკოლის მხარედ იქცა.³ პირველი ორი კონვენციის დებულებების უმეტესობითა და, აგრეთვე, კონტინენტური შელფის შესახებ კონვენციის ზოგიერთი დებულებით მოხდა ჩვეულებითი სამართლის კოდიფიცირება. ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ ეს კონვენციები სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ამ კონვენციებს ხელი მოაწერეს, მათი დებულებების უმრავლესობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვეულებითი სამართლის მტკიცებულებებად სხვა სახელმწიფოების მიმართაც (მაგრამ ზოგიერთი დებულება, რომელიც 1958 წელს ჩვეულებითი სამართლის ნაწილს შეადგენდა, დღეისათვის ამ ფუნქციებს ვეღარ ასრულებს, ვინაიდან, როგორც ვნახავთ, ჩვეულებითი სამართლის ნორმების ნაწილი 1958 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა).

1958 წლის კონფერენციამ შეთანხმებას ვერ მიაღწია ზოგიერთ საკითხზე (განსაკუთრებით, ტერიტორიული ზღვის სიგანის საკითხზე; 1960 წელს მეორე კონფერენციამ (UNCLOS II) აგრეთვე ვერ მიაღწია ამ საკითხზე შეთანხმებას). უფრო მეტიც, ზოგიერთი სახელმწიფო უკმაყოფილო იყო 1958 წლის კონვენციების ზოგიერთი დებულების გამო; ამას გარდა, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ახალი წესების შემოღების საჭიროება შექმნა. საბოლოოდ, 1973 წელს შედგა საზღვაო სამართლის მესამე კონფერენცია (UNCLOS III), რომელსაც საზღვაო სამართლის ახალი ყოვლისმომცველი კონვენცია უნდა შეემუშავებინა. ცხრა წლის განმავლობაში ინტენსიური შეხვედრების შედეგად (რომლებშიც 144 სახელმწიფო და რვა სპეციალიზებული სააგენტო მონაწილეობდა), კონფერენციამ 1982 წელს საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის საბოლოო ტექსტი შეიმუშავა.⁴ კონფერენციის ასეთი ხანგრძლივობის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ ბევრი საკითხი ურთიერთდაკავშირებული იყო; სახელმწიფოები მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერდნენ მხარს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით წამოყენებულ წინადადებას, თუ სხვა სახელმწიფოები მხარს დაუჭერდნენ მეორე საკითხთან დაკავშირებით წამოყენებულ წინადადებას („საბუთებით გარიგების“ პრინციპი). ამას ხშირად

მოწყვებოდა სიტუაცია, როდესაც ერთ საკითხზე გადაწყვეტილების მიუღებლობა სხვა საკითხების პარალიზებასაც იწვევდა. მეტიც, სადაც შესაძლებელი იყო, UNCLOS III (წინა ორი კონვენციისაგან განსხვავებით) ცდილობდა, კონსენსუსით მიეღო გადაწყვეტილებები⁵ და არა ხმათა უმრავლესობით, რამაც კიდევ უფრო შეანელა კონვენციის მსვლელობა.

1982 წელს კონვენციის საბოლოო ვარიანტზე მუშაობა დასრულდა. 1984 წლის 9 დეკემბერს მას 159-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. მისი 308-ე (1) მუხლის თანახმად, კონვენცია ძალაში უნდა შესულიყო „მესამოცე სარატიფიკაციო სიგელის მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ“. თუმცა დასავლეთის ბევრმა სახელმწიფომ უარი განაცხადა კონვენციის ხელმოწერას ან რატიფიცირებაზე, ვინაიდან ეს სახელმწიფოები უკმაყოფილონი იყვნენ IX თავის იმ დებულებებით, რომლებიც ზღვის ფსკერის ექსპლუატაციას შეეხებოდა.⁶ იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც კონვენციას ხელი არ მოაწერეს, იყვნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი და გერმანია.⁷ ბელგიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ლუქსემბურგმა და ევროგაერთიანებამ განაცხადეს, რომ ზღვის ფსკერის წიაღის ათვისების რეჟიმი არასრულყოფილი იყო და ცვლილებები სჭირდებოდა. საყოველთაოდ მისაღები კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში თითქოსდა მიუღწევლად იქცა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის განუწყვეტელი დავების გამო. 1982 წლის კონვენცია საბოლოოდ 1994 წლის 16 ნოემბერს ამოქმედდა, მესამოცე სარატიფიკაციო სიგელის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.⁸ მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებიდან მხოლოდ ისლანდიამ მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება. 1995 წლისათვის კიდევ ცამეტმა დასავლურმა სახელმწიფომ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, შეუერთდა მას ან უფლებამონაცვლეობის საფუძველზე გახდა მისი მონაწილე, რის შედეგადაც მონაწილეთა რაოდენობამ 81-ს მიაღწია.⁹ საყოველთაოდ მისაღები თანხმობის მიღებისა და განვითარებული ქვეყნების პოზიციების გათვალისწინების მიზნით გაეროს გენერალურმა მდივანმა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან კონსულტაციები წამოიწყო, რომლებიც 1990-1994 წლებში მიმდინარეობდა.¹⁰ ამან გამოიწვია კონვენციის IX თავთან დაკავშირებით შეთანხმების მიღება, რომელმაც უზრუნველყო ზღვის წიაღის ათვისების რეჟიმის მოდიფიცირება, რასაც საყოველთაო აღიარება მოჰყვა.¹¹ შეთანხმება გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1994 წლის 29 ივლისს მიიღო 121 ხმით, არც ერთი არ აღმოჩნდა წინააღმდეგი და თავი 7-მა შეიკავა.¹² 1995 წლის 23 იანვრისათვის შეთანხმებას ხელი მოაწერა 71-მა სახელმწიფომ, შეერთებული შტატების ჩათვლით,¹³ და ევროგაერთიანებამ. ამასთანავე 12-მა სახელმწიფომ, მათ შორის გერმანიამ და იტალიამ, ამ შეთანხმების იურიდიული ძალა აღიარა.

ამდენად, დღეს უკვე საკმაოდ კარგი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ ნელ-ნელა გაქრეს საზღვაო სამართალთან დაკავშირებული მრავალი გაურკვეველობა, რომელიც 1982 წლამდე არსებობდა. 1982 წლის კონვენციის ზოგიერთი დებულება საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების კოდიფიკაციას ახდენს; განსაკუთრებით ეს ეხება 1958 წლის კონვენციების იდენტურ დებულებებს. მაგრამ 1982 წლის კონვენციის დებულებების ნაწილი მაინც სცილდება ჩვეულებითი სამართლის მანამდე არსებულ დებულებებს. ისიც შესაძლებელია, რომ მომავალში სახელმწიფოებმა, იმათაც კი, რომლებიც (ჯერ) არ არიან 1982 წლის კონვენციის მონაწილეები, 1982 წლის კონვენციის დებულებების საფუძველზე ჩვეულებითი სამართლის ახალ ნესები შექმნან.¹⁴ თუმცა არ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ 1982 წლის კონვენციის დებულებები ამგვარი გზით ჩვეულებითი სამართლის ნორმებად იქცევა. ერთი შეხედვით, 1982 წლის კონვენციის ბევრი დებულება ალბათ არ წარმოადგენს იმ ქვეყნების მოქმედ სამართალს, რომლებიც არ არიან მისი მონაწილეები;¹⁵ ისინი მიუთითებენ იმ მიმართულებებზე, რომლებითაც უნდა განვითარდეს კანონები მომავალში.

⁵ იხ. E. Suy, *Consensus, EPILI* (1992), 759-61.

⁶ იხ. ქვემოთ.

⁷ ხელი მოეწერა მხოლოდ ფინალურ აქტს (*ILM* 21 (1982), 1245) და არა კონვენციას.

⁸ M.H. Nordquist/J.N. Moore (eds), *Entry into Force of the Law of the Sea Convention*, 1995; იხ. აგრეთვე R. Platzoder, *Substantive Changes in a Multilateral Treaty Before its Entry into Force: The Case of the 1982 United Nations Convention on the Law of the Sea, EJIL* 4 (1993), 390-402.

⁹ იხ. The Report of the UN Secretary-General, UN Doc. A/50/713. *UN Chronicle* 1996, no. 1, 76. 1995 წლის 5 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 50/23 132 ხმით ერთი (თურქეთი) წინააღმდეგ, სამმა თავი შეიკავა. რეზოლუცია ყველა ქვეყანას მოუწოდებდა, შეერთებოდნენ კონვენციას.

¹⁰ კონსულტაციების შედეგებისთვის იხ. D.H. Anderson, *Efforts to Ensure Universal Participation in the United Nations Convention on the Law of the Sea, ICLQ* 42 (1993), 654-64; Anderson, *Further Efforts to Ensure Universal Participation in the United Nations Convention on the Law of the Sea, ICLQ* 43 (1994), 886-93.

¹¹ იხ. J.R. Stevenson/B.H. Oxman, *The Future of the United Nations Convention on the Law of the Sea, AJIL* 88 (1994), 488-99; B.H. Oxman, *The 1994 Agreement and the Convention, ibid.*, 687-96; L.B. Sohn, *The 1994 Agreement on Implementation of the Seabed Provisions of the Convention on the Law of the Sea. International Law Implications of the 1994 Agreement, ibid.*, 696-705; D.H. Anderson, *Legal Implications of the Entry into Force of the UN Convention on the Law of the Sea, ICLQ* 44 (1995), 313-26; G. Jaenicke, *The United Nations Convention on the Law of the Sea and the Agreement Relating to the Implementation of Part XI of the Convention, in FS Bernhardt*, 121-34. იხ. აგრეთვე, D.H. Anderson, K. Davidson and K. Rattrey, *ZaoRV* 55 (1995), 275 *et seq.*; A. de Marffy-Mantuano, *The Procedural Framework of the Agreement Implementing the 1982 United Nations Convention on the Law of the Sea, AJIL* 89 (1995), 814-24.

¹² GA Res. 48/263.

¹³ იხ. President's Transmittal of the UN Convention on the Law of the Sea and the Agreement Relating to the Imple-

mentation of Part XI to the U.S. Senate with Commentary [October 7, 1994]. ILM 34 (1995), 1393. ამშ-ს პოზიციის შესახებ იხ. M.G. Schmidt. *Common Heritage or Common Burden? The United States Position on the Development of a Regime for Deep Sea-Bed Mining in the Law of the Sea Convention*, 1989; Panel on the Law of Ocean Uses. United States Interests in the Law of the Sea Convention. *MLL* 88 (1994), 167; J.I. Charney. The 1994 Agreement on Implementation of the Seabed Provisions of the Convention on the Law of the Sea. U.S. Provisional Application of the 1994 Deep Seabed Agreement, *ibid.*, 705-14; G. Galdorisi, The United Nations Convention on the Law of Sea: A National Security Perspective. *AJIL* 89 (1995), 208-13.

¹⁴ იმ საქმის მაგალითი, სადაც ეს უკვე მოხდა, იხ. ტექსტი კონტინენტური ძელის შესახებ, ქვემოთ.

¹⁵ R. Bernhardt. Custom and Treaty in the Law of the Sea, *RdC* 205 (1987-V), 251-394; R. Wolfrum. The Emerging Customary Law of Marine Zones: State Practice and the Convention on the Law of the Sea, *NYIL* 18 (1987), 121 *et seq.*, T.A. Clingan. The Law of the Sea in Perspective: Problems of States not Parties to the Law of the Sea Treaty. *GYIL* 30 (1987), 101; T. Schweisfurth. The Influence of the Third United Nations Conference on the Law of the Sea on International Customary Law. *ZaorV* 43 (1983), 566-84.

¹⁶ იხ. თ. 16.

¹⁷ Part XII of the 1982 Convention, Articles 192-237. იხ. თ. 18.

¹⁸ იხ. ქვემოთ.

¹⁹ იხ. V.D. Degan, *Internal Waters*, *NYIL* 17 (1986), 3-44; P. Badura. Ports, *EPIL* 11 (1989), 262-6; D.H.N. Johnson. Navigation, Freedom of, *ibid.*, 233-5; B. Vitanyi. Navigation on Rivers and Canals, *ibid.* 235-40; R. Lagoni, *Internal Waters*, *EPIL* 11 (1989), 1034-6; Lagoni, *Internal Waters, Seagoing Vessels in*, *ibid.*, 1036-41; Lagoni, *Canals*, *EPIL* 11 (1989), 523-7.

²⁰ იხ. Article 2, 1982 Convention.

²¹ იხ. A.F. de Zayas. Ships in Distress. *EPIL* 11 (1989), 287-9.

²² იხ. Article 8(2) 1982 Convention.

²³ იხ. R. Lagoni, *Merchant Ships*, *EPIL* 11 (1989), 228-33.

²⁴ იხ. W.K. Geck, *Warships*, *EPIL* 4 (1982), 346-52.

²⁵ იხ. G.C. Rodriguez Iglesias, *State Ships*, *EPIL* 11 (1989), 320-3.

ახლა კი, რადგან კონვენცია საყოველთაოდ მისაღები და განმტკიცებულია, მიზანშეწონილია მისი დებულებების გაცნობაც.

1982 წლის კონვენციის 311-ე (1) მუხლის თანახმად, მხარე-სახელმწიფოებს შორის ამ კონვენციას უპირატესობა ენიჭება 1958 წლის კონვენციებთან შედარებით. ძველი კონვენციების თითქმის ყველა დებულება აქ ან გამოკლებულია, ან მოდიფიცირებულია, ან შეცვლილია. ახალ კონვენციაში შექმნილია ყოვლისმომცველი სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც ოკეანების გამოყენებას შეეხება და მოიცავს მთელ საზღვაო სივრცეს, ოკეანისზედა საჰაერო სივრცეს, ზღვის ფსკერსა და ზღვის ნიაღვს. კერძოდ, კონვენცია ეხება სახელმწიფოთა უფლებებსა და მოვალეობებს ტერიტორიული ზღვის და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებში, საერთაშორისო სრუტეებში ტრანზიტით გავლის, თევზსაჭერი რესურსების, ასევე ზღვის ფსკერის ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და მოპოვების უფლებებს, ნავიგაციისა და ფრენის უფლებებს, ზღვის ფსკერის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ ზღვის ფსკერის ნიაღვის ათვისების საკითხებს და საზღვაო სამეცნიერო გამოკვლევებს. როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, კონვენცია ასევე უზრუნველყოფს გარემოს დაცვის ყოვლისმომცველ რეჟიმს სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე¹⁶ და აყალიბებს დავების გადაწყვეტის სისტემას, რომელიც უმეტეს შემთხვევებში გადაწყვეტილების სავალდებულოობას გულისხმობს.¹⁷

შიდა წყლები

შიდა წყლები შეიცავს პორტებს, ნავსადგურებს, მდინარეებს, ტბებსა და არხებს (აგრეთვე იმ წყლებს, რომლებიც ტერიტორიული ზღვის სივრცის საზღვრებზე გამოყენებულ ხმელეთზე მდებარეობს¹⁸). შიდა წყლები ზოგადად არის ნახსენები 1958 წლის კონვენციაში ტერიტორიული ზღვის შესახებ და 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციაში; შესაბამისი ნესები ძირითად საერთაშორისო ჩვეულებით სამართალშიც არსებობს.¹⁹ 1982 წლის კონვენციის მე-8(1) მუხლის თანახმად, შიდა წყლები განსაზღვრულია, როგორც ხმელეთის იმ ნაწილზე მდებარე წყლები, საიდანაც იწყება ტერიტორიული ზღვის სივრცის ათვისება. ეს მუხლი 1958 წლის კონვენციის მე-5 მუხლს შეესაბამება.

ნათელია, რომ ზღვისპირა სახელმწიფოს სუვერენიტეტი შიდა წყლებზეც ვრცელდება.²⁰ ზღვისპირა სახელმწიფოს შეუძლია, შეზღუდოს უცხო გემების შესვლა მის შიდა წყლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გემი განსაცდელშია (მაგალითად, თავშესაფარს ეძებს შტორმის დროს ან ძლიერაა დაზიანებული)²¹ ან როდესაც მშვიდობიანი გავლის უფლება აქვს.²² მიუხედავად იმისა, რომ ზღვისპირა სახელმწიფოს უფლება აქვს, უცხოურ სავაჭრო გემებს თავის პორტში შესვლა აუკრძალოს, ქვეყნების უმრავლესობა მაინც ცდილობს, ხელი შეუწყოს ვაჭრობას და უცხოურ გემებს პორტში შესვლის ნებას აძლევს. მნიშვნელოვანია არა ის, აქვს თუ არა გემს პორტში შესვლის უფლება, არამედ პორტში მოხვედრის შემდეგ მისი სამართლებრივი სტატუსი. აქ, ისევე, როგორც საზღვაო სამართლის ყველა დარგში, უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, სავაჭრო გემები,²³ მეორე მხრივ, სამხედრო ხომალდები²⁴ და უცხო სახელმწიფოს სხვა არაკომერციული დანიშნულების გემები.²⁵

ზოგადად, ზღვისპირა სახელმწიფოს თავისი შიდა წყლებში შეუძლია სრული ძალით აამოქმედოს თავისი კანონები უცხოური სავაჭრო გემების წინააღმდეგ (ამას გარდა, 1982 წლის კონვენციის 218-ე და 220-ე მუხლების თანახმად, ზღვისპირა სახელმწიფოები ვალდებული არიან, ქმედითი ზომები მიიღონ შიდა წყლების დაბინძურების წინააღმდეგ). ამ პრინციპს აქვს გამონაკლისებიც, რომელთა უმეტესობა უფრო მოჩვენებითია, ვიდრე

რეალური. ეს გამონაკლისებია:

1. ზღვისპირა სახელმწიფოს სასამართლოს იურისდიქცია²⁶ არ არის განსაკუთრებული. ალმის სახელმწიფოს²⁷ სასამართლოს ასევე შეუძლია გაასამართლოს ხალხი გემის გემბანზე ჩადენილი დანაშაულისათვის.
2. ზღვისპირა სახელმწიფო არ ერევა კაპიტნის მიერ ეკიპაჟის მიმართ გამოტანილი დისციპლინარული სასჯელის აღსრულებაში.
3. თუ ეკიპაჟის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაული არ მოქმედებს ზღვისპირა სახელმწიფოს ან მისი რომელიმე მცხოვრების კეთილდღეობაზე, ზღვისპირა სახელმწიფო, ჩვეულებრივ, ალმის სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს უფლებას აძლევს, თავად გადაწყვიტონ საკითხი და არ ასამართლებს დამნაშავეს თავის სასამართლოში.
4. განსაცდელში მყოფი გემები გარკვეულ იმუნიტეტს ატარებენ;²⁸ მაგალითად, ზღვისპირა სახელმწიფოს არ შეუძლია, ისარგებლოს გემის განსაცდელით და დააკისროს სანავსადგურო ან მსგავსი გადასახადები, რომლებიც აღემატება განუხლები სამსახურის ღირებულებას.

²⁶ იბ. თ. 7.

²⁷ იბ. ქვემოთ.

²⁸ იბ. თ. 8.

²⁹ იბ. Article 30, 1982 Convention.

³⁰ იბ. თ. 9.

³¹ იბ. S.P. Sharma, Territorial Sea, *EPIL* 11 (1989), 328-33; 6. Marston, The Evolution of the Concept of Sovereignty Over the Bed and Subsoil of the Territorial Sea, *BYIL* 48 (1976-7), 321-32.

³² იბ. Article I of the 1958 Convention.

ზღვისპირა სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს თავისი სრული ძალაუფლება იმ უცხოური კომერციული გემების მიმართ, რომლებიც ნებართვის გარეშე იმყოფებიან შიდა წყლებში, მაგრამ მისი ძალაუფლება უცხოეთის სამხედრო ხომალდებთან მიმართებაში უფრო სუსტია, ვიდრე სავაჭრო გემებთან მიმართებაში. სამხედრო ხომალდები საკანონმდებლო იმუნიტეტით სარგებლობენ, მაგრამ ზღვისპირა სახელმწიფოს შეუძლია მათ შიდა წყლების დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვოს.²⁹ საერთოდ, უცხოეთის სამხედრო ხომალდებს მოეთხოვებათ, დაიცვან ზღვისპირა სახელმწიფოს კანონები ნავიგაციისა და ჯანდაცვის შესახებ. მაგრამ სანაპიროს სახელმწიფოს ორგანოებს უცხოურ გემზე ფეხის დადგმაც კი არ შეუძლიათ, ასევე არ შეუძლიათ ჩაატარონ ნებისმიერი აქტი გემის კაპიტნის ან ალმის სახელმწიფოს სხვა ორგანოს ნებართვის გარეშე. ეკიპაჟის წევრებს აქვთ იმუნიტეტი ზღვისპირა სახელმწიფოს ნებისმიერი ბრალდების ან დანაშაულისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს ნაპირზე, თუ დანაშაულის ჩადენის დროს ფორმაში იმყოფებოდნენ ან სამსახურებრივ დავალებას ასრულებდნენ. თუმცა ზღვისპირა სახელმწიფოს შეუძლია უარყოს ეს იმუნიტეტი.³⁰

ტერიტორიული ზღვა

ტერიტორიული ზღვა (ასევე, ცნობილი, როგორც ტერიტორიული წყლები ან საზღვაო სარტყელი) შიდა წყლებიდან რამდენიმე მილზე ვრცელდება.³¹ ტერიტორიული ზღვის სიგანე ყოველთვის ითვლებოდა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ სადავო საკითხად და მის განხილვამდე სასარგებლო იქნება იმის შესწავლა, თუ რა უფლებები აქვთ ზღვისპირა და სხვა სახელმწიფოებს ტერიტორიულ ზღვაზე. ამ გზით შესაძლებელი გახდება ინტერესთა კონფლიქტის გააზრება, რომელიც სახელმწიფოებს შორის წამოიჭრა ტერიტორიულ ზღვასთან დაკავშირებით; ინტერესთა ეს კონფლიქტი სამართლებრივ წინააღმდეგობებში იჩენს თავს.

მშვიდობიანი გავლის უფლება

1982 წლის კონვენციის მე-2 (1) მუხლის³² თანახმად, ზღვისპირა სახელმწიფოს სუვერენიტეტი მის ტერიტორიულ ზღვაზეც ვრცელდება. მაგრამ ზღვისპირა სახელმწიფოს სუვერენიტეტი მეტად მნიშვნელოვან შეზღუდვებს ექვემდებარება; უცხოურ გემებს აქვთ ტერიტორიულ ზღვაზე მშვიდობიანი გავ-

³³ ib. F. Ngantcha, *The Right of Innocent Passage and the Evolution of the Law of the Sea*, 1990; D.H.N. Johnson, *Innocent Passage, Transit Passage*, *EPIL* II (1995), 994-7.

³⁴ G. Hafner, *Fishing Boats*, *EPIL* II (1995), 400-1.

³⁵ I.A. Shearer, *Submarines*, *EPIL* II (1989), 326-8.

³⁶ Article 14, 1958 Convention; Article 19, 1982 Convention.

³⁷ Article 15, 1958 Convention; Article 24, 1982 Convention.

³⁸ Article 16, 1958 Convention; Articles 25, 44 and 45, 1982 Convention.

³⁹ Article 18, 1958 Convention; Article 26, 1982 Convention.

⁴⁰ *ICJ Rep.* 1949, 4, 29-30. *ib.* R. Bernhardt, *Corfu Channel Case*, *EPIL* I (1992), 831-4.

⁴¹ *ILM* 24 (1985), 1715.

⁴² *ib.* *LOS Bull.*, No. 14, at 12.

⁴³ რაც ცალსახად დადასტურა რუსეთის ფედერაციამ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. *ib.* UN Secretary-General Report on the Law of the Sea, UN Doc. A/47/623 of 24 November 1992, at 10, para. 16.

⁴⁴ Article 6 of the 1992 Law of the People's Republic of China on the Territorial Sea and the Contiguous Zone. *ib.* H.-S. Kim, *The 1992 Chinese Territorial Sea Law in the Light of the UN Convention*, 10.043 (1994), 894-904. On the uncertainties remaining under the 1982 Convention *ib.* *Wolfrum UNLPP* II 839.

⁴⁵ R. Wolfrum, *Coastal Fisheries*, *EPIL* II (1989), 61-3.

⁴⁶ *ib.* აგრეთვე, თ. 13.

⁴⁷ *ib.* R.C. Lane, *Cabotage*, *EPIL* I (1992), 519-21.

⁴⁸ *ib.* თ. 22.

ლის უფლება.³³

გავლა მშვიდობიანია, თუ საფრთხეს არ უქმნის ზღვისპირა სახელმწიფოს სიმშვიდეს, წესრიგს ან უსაფრთხოებას; თევზჭერი გემებ³⁴ი უნდა იცავდნენ ზღვისპირა სახელმწიფოში თევზჭერის შესაზღუდად მოქმედ კანონებს, წყალქვეშა ნაგებობები³⁵ კი ზედაპირზე უნდა ცურავდნენ და დროშა ანეული უნდა ჰქონდეთ³⁶. ზღვისპირა სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს მშვიდობიანი გავლა და გემი ტერიტორიული ზღვის ფარგლებში ყველა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უნდა გააფრთხილოს.³⁷ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუშალოს არამშვიდობიან გავლას. ამას გარდა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია თავისი ტერიტორიული ზღვის გარკვეულ ნაწილში მშვიდობიანი გავლის შეზღუდვა. იმ შემთხვევაში, თუ სივრცე „ისეთი სრუტე არ არის, რომელიც გამოიყენება ღია ზღვის ორ სხვადასხვა ნაწილს ან ღია ზღვის ნაწილსა და უცხო სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვას შორის ნავიგაციისათვის“³⁸, უცხოეთის გემებს გადასახადები არ უნდა დაეკისროთ, გარდა მომსახურების ხარჯებისა.³⁹

დასავლეთის სახელმწიფოები მშვიდობიანი გავლის უფლების სამხედრო ხომალდებზე განვრცობასაც მოითხოვენ, მაგრამ სხვა სახელმწიფოები ამაზე უარს აცხადებენ. კორფუს არხის დავაში⁴⁰ საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა, რომ სამხედრო ხომალდებს აქვთ საერთაშორისო სრუტეებში მშვიდობიანი გავლის უფლება, მაგრამ არ მიიღო გადაწყვეტილება ზოგადად ტერიტორიულ ზღვაზე გავლის უფლებასთან დაკავშირებით, უენევის კონვენციით, წინა პარაგრაფში ნახსენები წესები (გადასახადების დაკისრების გამონაკლისით) თითქოს ვრცელდება „ყველა გემის მიმართ მოქმედი წესების“ სახელით, რაც სამხედრო ხომალდებსაც გულისხმობს; მაგრამ საბჭოთა კავშირმა და ექვსმა სოციალისტურმა ქვეყანამ, კოლუმბიასთან ერთად, კონვენციის რეზერვაციით სამხედრო ხომალდების მშვიდობიანი გავლის უფლება უარყო. თუმცა 1984 წელს სსრკ-მ მაინც აღიარა სამხედრო ხომალდების მშვიდობიანი გავლის უფლება.⁴¹

მშვიდობიანი გავლის მარეგულირებელი საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმების ინტერპრეტაციის შესახებ საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს 1989 წლის ერთობლივი განცხადების⁴² თანახმად, სსრკ-მ შეცვალა საკუთარი კანონი, რომელიც სამხედრო ხომალდების მშვიდობიანი გავლის უფლებას ზღუდავდა.⁴³ მაგრამ ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ ჩინეთის მიერ 1992 წელს მიღებული ახალი კანონის თანახმად, ტერიტორიული ზღვის 12-მილიან ზონაში შესასვლელად სამხედრო ხომალდებმა ნებართვა უნდა მიიღონ.⁴⁴

ზღვისპირა სახელმწიფოს უფლებები ტერიტორიულ ზღვაზე

ზღვისპირა სახელმწიფოს სუვერენიტეტი ტერიტორიულ ზღვაზე შემდეგ უფლებებს გულისხმობს:

1. თევზჭერის განსაკუთრებული უფლება და ტერიტორიული ზღვის ფსკერის რესურსების ექსპლუატაციის უფლება.⁴⁵
2. ტერიტორიული ზღვის საჰაერო სივრცის განსაკუთრებული გამოყენების უფლება; გემებისაგან განსხვავებით, უცხოურ თვითმფრინავს არა აქვს მშვიდობიანი გავლის უფლება.⁴⁶
3. ზღვისპირა სახელმწიფოს გემებს აქვთ განსაკუთრებული უფლება განახორციელონ საქონლისა და მგზავრების ტრანსპორტირება ზღვისპირა სახელმწიფოს ერთი ნაწილიდან მეორეში (კაბოტაჟი).⁴⁷
4. თუ ზღვისპირა სახელმწიფო ომის დროს ნეიტრალურია,⁴⁸ მებრძოლმა მხარეებმა არ უნდა ჩართონ ის საბრძოლო მოქმედებებში და არ უნდა

დააკავონ სავაჭრო გემები ტერიტორიულ ზღვაზე.

5. ზღვისპირა სახელმწიფოს შეუძლია აამოქმედოს ნავიგაციასთან, ჯანმრთელობასთან, საბაჟოსთან და იმიგრაციასთან დაკავშირებული დებულებები, რომელთაც უცხოეთის გემები უნდა დაემორჩილონ.

6. ზღვისპირა სახელმწიფოს აქვს გარკვეული ძალაუფლება დააკავოს მშვიდობიანი გავლის უფლების მქონე სავაჭრო გემი ან ასეთი გემის გემბანზე მყოფი პირები.⁴⁹ ასეთი ან მსგავსი ძალაუფლება არ არსებობს სამხედრო ხომალდებთან მიმართებით, რომლებიც, თავის მხრივ, გარკვეული მიზნებიდან გამომდინარე, ალმის სახელმწიფოების მცურავ კუნძულებად განიხილება; მაგრამ, 1982 წლის კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად, „თუ რომელიმე სამხედრო ხომალდი არ იცავს ზღვისპირა სახელმწიფოს მიერ დადგენილ დებულებებს ტერიტორიულ ზღვაზე მშვიდობიანი გავლის შესახებ და არ ემორჩილება ზღვისპირა სახელმწიფოს მითითებებს, ამ სახელმწიფოს უფლება აქვს, სამხედრო ხომალდს ტერიტორიული ზღვის დატოვება მოსთხოვოს“. იგივე წესია მოცემული ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ 1958 წლის კონვენციის 23-ე მუხლში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეიძლება მცურავ კუნძულს უბრძანონ, წავიდეს და სადმე სხვაგან იცუროს!⁵⁰

⁴⁹ Articles 19 and 20, 1958 Convention; Articles 27 and 28, 1982 Convention.

⁵⁰ R. v. Keyn (1876), 2 ExD 63.

⁵¹ *Chung Chi Cheung v. R.*, [1939] AC 160.

⁵² თევზჭერის მარეგულირებელი კანონების შესახებ იხ. ქვემოთ.

უცხოეთის სამხედრო ხომალდის ეკიპაჟი შეიძლება გასამართლდეს ალმის სახელმწიფოს სასამართლოს მიერ იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილ იქნა სამხედრო ხომალდზე მის მიერ ტერიტორიულ ზღვაში ყოფნის პერიოდში, მაგრამ ეკიპაჟის წევრებს იმუნიტეტი აქვთ ზღვისპირა სახელმწიფოს იურისდიქციის წინაშე მანამ, სანამ ალმის სახელმწიფო იმუნიტეტს არ მოხსნის.⁵¹

ტერიტორიული ზღვის სიღანე

XVI-XVII საუკუნეებში ზოგიერთი სახელმწიფო ექსტრავაგანტურ პრეტენზიებს გამოთქვამდა ზღვის დიდ სივრცეებთან დაკავშირებით. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს პრეტენზიები უგულვებელყვეს და XVIII საუკუნეში ზოგადად შეთანხმდნენ, რომ ტერიტორიული ზღვის სიღანე იმ სიდიდისა უნდა იყოს, რამდენსაც ქვემეხიდან გასროლილი ჭურვი გასწვდება (ქვემეხის გასროლის წესი). ნაპოლეონის ომების დროს ეს პრაქტიკა უფრო დაიხვეწა და ტერიტორიული ზღვის სიღანემ 3 საზღვაო მილს მიაღწია (1 საზღვაო მილი 1,835 მეტრის ეკვივალენტურია). სამმილიანი წესი უფრო რაციონალურია ქვემეხის გასროლის წესთან შედარებით, მაგრამ ეს ალბათ უფრო ქვემეხის გასროლის წესის შემცველი იყო.

XIX საუკუნეში 3-მილიანი წესი მისაღები გახდა სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის, თუმცა სკანდინავიური ქვეყნები 4-მილიანი ტერიტორიული ზღვის წესის შემოღებას მოითხოვდნენ, ესპანეთი და პორტუგალია კი – 6-მილიანისა. XX საუკუნეში ამ წესზე თანდათანობით უარი თქვეს. ერთა ლიგის მიერ 1930 წელს ორგანიზებულ კონფერენციაზე, რომელიც კოდიფიკაციის წარუმატებელი მცდელობა გამოდგა, ამ წესს სახელმწიფოთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, მაგრამ 1958 წლის ყენევის კონფერენციაზე 86 სახელმწიფოდან მას მხოლოდ 21-მა დაუჭირა მხარი.

რატომ უარყო ამდენმა სახელმწიფომ 3-მილიანი წესი? ან რატომ გართულდა ახალ წესთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა? პასუხი ორსავე კითხვაზე ასეთია: ფართო ტერიტორიული ზღვა ზოგიერთი სახელმწიფოს ინტერესებში შედის, ზოგიერთი სახელმწიფოს ინტერესებს კი ეწინააღმდეგება.

ინტერესებს შორის ყველაზე აშკარა კონფლიქტი თევზჭერასთან დაკავშირებით იჩენს თავს.⁵² სანაპიროსთან მიახლოებული საზღვაო სივრცეები განსაკუთრებით მდიდარია თევზით, ხოლო თანამედროვე თევზსაჭერი ტექნიკის

გაუმჯობესებამ, რომელსაც მაცვივრების განვითარებაც დაემატა, შესაძლებელი გახდა თევზსაჭერი გემების მიერ დიდი რაოდენობით თევზჭერა თავიანთი სამშობლოდან მოშორებული სახელმწიფოების სანაპიროებთან. დღეისათვის სახელმწიფოებს უფლება აქვთ, მოითხოვონ განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონები ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ,⁵³ მაგრამ ეს წესი უფრო ახალია; 1960 წლამდე ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოებს შეეძლოთ გაეზარდათ სათევზაო ლიმიტი, ტერიტორიული ზღვის საზღვრების გაფართოება იყო. ამის შედეგად, ღარიბი სახელმწიფოები, რომლებიც ადგილობრივ თევზჭერაზე იყვნენ დამოკიდებული (ვინაიდან არ შეეძლოთ მოეპოვებინათ დისტანციური თევზჭერისათვის საჭირო დიდი ტრაულერები და სამაცივრე დანადგარები), ტერიტორიული ზღვის გაფართოებას მოითხოვდნენ, რათა უცხოური თევზსაჭერი გემები თავიანთი ნაპირებიდან დაეცილებინათ, განსაკუთრებით, როდესაც ამ სახელმწიფოებს საფრთხე ემუქრებოდათ უცხოური გემების მხრიდან, რაც, საბოლოოდ, თევზის მარაგის ამონურვას იწვევდა. მეორე მხრივ, მდიდარი, დიდი და ტექნოლოგიურად დანინაურებული თევზსაჭერი ფლოტის მქონე სახელმწიფოები, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, შეერთებული შტატები და იაპონია, ვინრო ტერიტორიულ ზღვას უჭერდნენ მხარს; ზარალი, რომელიც მათ სხვა სახელმწიფოების მიერ თავიანთ ნაპირებთან ახლოს თევზჭერით განიცადეს, გადაიფარა იმ სარგებლით, რომელიც მათ სხვა ქვეყნების ნაპირებთან თევზჭერით მოიპოვეს.

ეკონომიკური ინტერესები, რომლებიც სახელმწიფოთა შეხედულებებზე ახდენს გავლენას, მხოლოდ თევზჭერას არ ეხება; მაგალითად, ვინაიდან თვითმფრინავს ტერიტორიული ზღვის საჰაერო სივრცეში მშვიდობიანი გავლის უფლება არა აქვს, ამიტომ ზოგიერთი სახელმწიფო უარს ამბობს ტერიტორიული ზღვის გაფართოებაზე, განსაკუთრებით სრუტეებთან, იმ საბაბით, რომ ეს ფრენის მანძილს გაზრდის, რაც დიდძალ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ინტერესთა ძირითადი დაპირისპირება უსაფრთხოების საკითხებთანაცაა დაკავშირებული. მესამე სამყაროს სახელმწიფოები ფართო ტერიტორიულ ზღვას ითხოვდნენ, რადგან, მათი აზრით, სამმილიანი წესი ძლიერ სახელმწიფოებს საშუალებას მისცემდა, სამმილიანი ზონის საზღვართან ახლოს სამხედრო-საზღვაო მანევრების ჩატარებით ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოეხდინათ სუსტ ქვეყნებზე სამხედრო კრიზისების დროს. მეორე მხრივ, დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებიც, ტრადიციულად, საზღვაო ძალაუფლებასა და საზღვაო ვაჭრობაზე არიან დამოკიდებულნი, ეშინოდათ, რომ ტერიტორიული ზღვის გაფართოება, განსაკუთრებით, თუ ეს დაკავშირებული იყო სამხედრო ხომალდებისათვის მშვიდობიანი გავლის აკრძალვასთან, მათ სტრატეგიულად წამგებიან მდგომარეობაში ჩააყენებდა. მათ ასევე ეშინოდათ, რომ გადიდებული ნეიტრალური ტერიტორიული ზღვები მტრის (იგულისხმებოდა რუსეთი) წყალქვეშა ნავების მიერ ომიანობის დროს თავშესაფრებად იქნებოდა გამოყენებული (ეს ნეიტრალური სახელმწიფოების სამართლებრივი უფლებების დარღვევა იქნებოდა, მაგრამ, შესაძლოა, ნეიტრალური სახელმწიფო სუსტი აღმოჩენილიყო მათ შესაჩერებლად).

1958 წლის ჟენევის კონფერენციაზე დიდმა ბრიტანეთმა კომპრომისის სახით ტერიტორიული ზღვის ექვსმილიანი ზოლის დანესების წინადადება წამოაყენა. ეს წინადადება მოგვიანებით უარყოფილ იქნა შეერთებული შტატების წინადადების სასარგებლოდ, სადაც გათვალისწინებული იყო ტერიტორიული ზღვის 6-მილიანი სარტყელი პლუს 6-მილიანი ზოლი, სადაც ზღვისპირა სახელმწიფოს თევზჭერის განსაკუთრებული უფლება ექნებოდა, ხოლო სხვა სახელმწიფოებს უფლება ჰქონდათ, თევზჭერა შეუზღუდავად გაეგრძელებინათ, თუ ისინი რეგულარულად ენეოდნენ თევზჭერას წინა 5 წლის განმავლობაში. სხვა სახელმწიფოებმა წამოაყენეს წინადადება ტერიტორიული

ზღვის 12 მილამდე გაზრდის თაობაზე. შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა; შეერთებული შტატების წინადადებაზე უფრო მეტი მხარდაჭერა მიიღო (მომხრე 45, წინააღმდეგი 33, თავი შეიკავა 7-მა), მაგრამ ხმების ორი მესამედი მაინც ვერ დააგროვა, რაც აუცილებელი იყო კონფერენციის წესების თანახმად. 1960 წლის კონფერენციაზე (UNCLOS II) ამ პრობლემის გადაწყვეტა სცადეს. შეერთებულმა შტატებმა, მხარდაჭერის მიღების იმედით, 1958 წელს წამოყენებული წინადადება შეცვალა; თევზჭერის ტრადიციული უფლება გარე ექვსმილიან ზონაში სხვა სახელმწიფოებისათვის მუდმივი კი არ იყო, არამედ 10 წლამდე შეიზღუდა. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა 54-მა, 28 წინააღმდეგი იყო, 7-მა თავი შეიკავა. გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ხმების ორი მესამედი ვერც ამჯერად შეგროვდა.

ამ საკითხთან დაკავშირებული კონფერენციების წარუმატებლობის გამო გართულდა იმის თქმა, თუ რას ამბობდა ჩვეულებითი სამართალი ტერიტორიული ზღვის სიგანეზე. თითქმის ყველა სახელმწიფო ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ საერთაშორისო სამართალი აწესებს შეზღუდვებს ტერიტორიული ზღვის სიგანეზე (1958 წლის კონფერენციაზე პერუმ წამოაყენა წინადადება, რომლის თანახმად, თითოეულ სახელმწიფოს ეძლეოდა უფლება წამოეყენებინა პრეტენზია ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას მიზანშეწონილად მიაჩნდა, ანუ მოეთხოვა ტერიტორიული ზღვის ისეთი სიგანე, რომელიც მას ხელს აძლევდა. ამ წინადადებაზე ვერ მოიპოვა მხარდაჭერა და არც კენჭი უყრიათ); თუმცა სახელმწიფოები მაინც განაგრძობდნენ დავას ტერიტორიული ზღვის სიგანის ლიმიტის თაობაზე.

1982 წლის კონვენციის მიღებამ დიდი გავლენა იქონია სახელმწიფო პრაქტიკაზე. მესამე მუხლის თანახმად, „ყველა სახელმწიფოს უფლება აქვს, დაანესოს ტერიტორიული ზღვის ლიმიტი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 12 საზღვაო მილს“. 1982 წლამდე 25 სახელმწიფო 12 მილზე მეტ ლიმიტს მოითხოვდა, ხოლო 30 სახელმწიფო – 12 მილზე ნაკლებს. 1982 წლის კონვენციის მიღების შემდეგ სახელმწიფოები 12-მილიანი ლიმიტის შემოღებაზე შეთანხმდნენ. 1988 წელს შეერთებულმა შტატებმა თავისი ტერიტორიული ზღვა 12 მილამდე გააფართოვა, ხოლო 1983 წლის 10 მარტს ოკეანეების პოლიტიკის შესახებ პრეზიდენტ რეიგანის განცხადების შემდეგ აღიარა სხვა სახელმწიფოების პრეტენზიები 12-მილიან ლიმიტამდე. ამრიგად, 1994 წლის 1 იანვრისთვის 128 სახელმწიფომ მოითხოვა 12-მილიანი ან უფრო ნაკლები ტერიტორიული ზღვა და მხოლოდ 17-მა მოითხოვა უფრო დიდი სივრცე.⁵⁴

ძირითადადმა საზღვაო სახელმწიფოებმა, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, თავიანთი პოზიცია UNCLOS III-ზე გამოხატეს. ისინი არ აღიარებდნენ 1982 წლის კონვენციის მე-3 მუხლს, ვიდრე არ იქნებოდა მიღებული სპეციალური რეჟიმი საერთაშორისო სრუტეებთან დაკავშირებით. ტერიტორიული ზღვის გაფართოება 12 მილამდე ნიშნავდა იმას, რომ ზოგიერთი საერთაშორისო სრუტე (მაგ. დუვრის სრუტეები), რომელზედაც ღია ზღვაზე გავლის პრინციპი ვრცელდებოდა, ზღვისპირა სახელმწიფოების ტერიტორიული ზღვის ფარგლებში მოექცეოდა. ჩვეულებრივი წესისამებრ, უცხოურ თვითმფრინავს ტერიტორიული ზღვის სივრცეზე მშვიდობიანი ფრენის უფლება არა აქვს, მაგრამ ძირითად საზღვაო სახელმწიფოებს სურდათ, ამ წესიდან გამონაკლისი დაეშვათ საერთაშორისო სრუტეებთან მიმართებაში. მათ ასევე სურდათ, საერთაშორისო სრუტეებზე გავლა გემებისათვის უფრო სარგებლიანი გაეხადათ, ვიდრე ჩვეულებრივი წესები, რომლებიც ტერიტორიულ ზღვაზე მშვიდობიან გავლას შეეხებოდა. მაგალითად, მათ სურდათ, რომ წყალქვეშა ნაგებობები საერთაშორისო სრუტეებზე წყალქვეშ გასულიყვნენ – ასეთი რამ, ჩვეულებრივ, ტერიტორიულ ზღვაზე აკრძალულია. 1982 წლის კონვენციის 34-35 მუხლები, ძირითადად, დიდი საზღვაო სახელმწიფოების მოთხოვნებს შეესაბამება და არაფერს ამბობს წყალქვეშა ნაგებობის საკითხზე.⁵⁵

⁵⁴ *ILM* 34 (1995), 1401; The Report of the UN Secretary-General, *op. cit.* 7-8; J.A. Roach/R.W. Smith, *Excessive Maritime Claims*, 1994.

⁵⁵ იხ. *MIL* 74 (1980), 48-121; O'Connell (1982), *op. cit.* 299-337; *BYIL* 49 (1978), 418; P. de Vries Lentsch, *The Right of Overflight over Strait States and Archipelagic States; Developments and Prospects*, *NYIL* 14 (1983), 165-225; H. Caminos, *The Legal Regime of Straits in the 1982 UN Convention on the LOS*, *RdC* 205 (1987-V), 12-245; D.H.N. Johnson, *Straits*, *EPIL* 11 (1989), 323-6; S.N. Nandan/D.H. Anderson, *Straits Used for International Navigation: A Commentary on Part 111 of the United Nations Convention on the Law of the Sea 1982*, *BYIL* 60 (1989), 159 *et seq.*

⁵⁶ იხ. W.M. Reisman/G.S. Westerman, *Straight Baselines in International Maritime Boundary Delimitation*, 1992; P.B. Deazley, *Baselines, EPLI* (1992), 354-7; D.D. Caron, *When Law Makes Climate Change Worse: Rethinking the Law of Baselines in Light of a Rising Sea Level*, *ELQ* 17 (1990), 621-53.

⁵⁷ *ICJ Rep.* 1951, 116; თ.3.

ტერიტორიული ზღვის ათვისების საზი

ტერიტორიული ზღვის ათვისების წესები „სანაპირო ხაზების“⁵⁶ ცნებას ეფუძნება და 1982 წლის კონვენციის 5-11, 13 და 14 მუხლებშია მოცემული. ჩვეულებრივ, სანაპირო ხაზი, საიდანაც იწყება ტერიტორიული ზღვის სივრცის ათვისება, იზომება წყლის უკიდურესი მიქცევის ხაზიდან (ეს არის ხაზი ნაპირზე, რომელსაც ზღვა აღწევს უკიდურესი მიქცევისას). ეს წესი კოდიფიცირებულია ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ 1958 წლის კონვენციის მე-3 მუხლში, ასევე 1982 წლის კონვენციის მე-5 მუხლში.

ზოგიერთ გეოგრაფიულ პირობებში დასაშვებია ზღვის სწორი ხაზების გავლება ერთი კონცხიდან მეორემდე, ან კუნძულიდან კუნძულამდე, ამ სწორი ხაზებიდან ტერიტორიული ზღვის ასათვლელად. ჟენევის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად:

1. იმ ადგილებზე, სადაც სანაპირო ხაზი ღრმადაა შეჭრილი ან იკვეთება, ან თუ სანაპირო ხაზთანახლოს კუნძულების ჯაჭვი მდებარეობს, შესაძლებელია ათვისების სწორი ხაზების გამოყენება ხაზის გავლებით იმ წერტილებიდან, საიდანაც იზომება ტერიტორიული ზღვის სივრცე.
2. სანაპირო ხაზი არ უნდა გასცდეს სანაპიროს ძირითად მიმართულებას.
3. ...
4. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სწორი ათვისების ხაზების მეთოდი პირველი პარაგრაფის თანახმად, ცალკეული ხაზების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოცემული რეგიონის განსაკუთრებული ეკონომიკური თავისებურებები, რომელთა რეალურობა და მნიშვნელობა ნათლად არის განპირობებული მათი ხანგრძლივი პრაქტიკული გამოყენებით.

მე-4 მუხლი იმეორებს საერთაშორისო სასამართლოს მიერ *მეთევზეთა საქმეში* ჩამოყალიბებულ პრინციპს, მაგრამ მას უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს სასამართლომ გააკეთა სანაპირო რეგიონის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით. იმ დროისათვის სასამართლოს ასეთმა გადაწყვეტილებამ ინოვაციის ხასიათი შეიძინა, მაგრამ მოგვიანებით მე-4 მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპი საყოველთაოდ იქნა მიღებული, და 1964 წლიდან დიდი ბრიტანეთი (*მეთევზეთა საქმეში* დამარცხებული მხარე) ათვისების სწორ ხაზებს იყენებს შოტლანდიის დასავლეთ სანაპიროებზე.

კონვენციის მე-5 მუხლი:

1. წყლები ათვისების ხაზის მიმდებარე ხმელეთზე... სახელმწიფოს შიდა წყლების ნაწილს შეადგენენ.
2. იქ, სადაც მე-4 მუხლის თანახმად გავლებული ათვისების სწორი ხაზები იმ შიდა წყლებს შემოფარგლავს, რომლებიც ადრე ტერიტორიულ ან ზღვად ითვლებოდა, მშვიდობიანი გავლის უფლება... უნდა არსებობდეს.

1982 წლის კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლები ძირითადად 1958 წლის კონვენციის იდენტურია.

1958 წლის კონვენციით ყურეები დეტალურად არის განსაზღვრული და რეგულირებული (1982 წლის კონვენციის მე-10 მუხლი). *მეთევზეთა საქმეში*⁵⁷ დიდი ხნით ადრე, ტერიტორიული ზღვის სივრცის დადგენის წესი იყო ყურის ხაზიდან სწორი ათვისების ხაზის გავლება. მაგრამ ასეთი ხაზების სიგრძის მაქსიმუმთან დაკავშირებით დიდი წინააღმდეგობები არსებობდა. შესაბამისი შეთანხმების შემდეგ, ჟენევის კონფერენციამ განსაზღვრა მაქსიმალური სიგრძე 24 მილის ოდენობით; ეს ლიმიტი ასევე განმეორებულია 1982 წლის კონვენციის მე-10 მუხლში.

1958 წლის კონვენციის მე-7 მუხლის (და 1982 წლის კონვენციის მე-10

მუხლის)⁵⁸ მოქმედება ისტორიულ ყურეებზე არ ვრცელდება. ისტორიულია ისეთი ყურე, რომელსაც ზღვისპირა სახელმწიფო თავის შიდა წყლებად მიიჩნევს არა რაიმე ზოგადი კანონის ძალით, არამედ სპეციალური ისტორიული უფლებით. მაგალითად, კანადა მოითხოვს ისტორიულ უფლებებს ჰუძონის ყურეზე, რომლის საერთო ფართობი 580 000 კვადრატულ მილს შეადგენს და რომელიც შესასვლელთან 55 მილის სიგანისაა. 1962 წელს გაეროს სამდივნოს მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, თითქოს ჩანს, რომ, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით სამართლიანად მოითხოვოს ყურეზე უფლება, თუკი იგი დაასაბუთებს, რომ „გარკვეული დროის განმავლობაში“ მოითხოვდა, ჩაეთვალათ ყურე ქვეყნის შიდა წყლებად და ეფექტურად ახორციელებდა თავის ძალაუფლებას, სხვა სახელმწიფოები კი მის მოთხოვნას დუმილით დაეთანხმნენ.

1973 წლიდან ლიბიამ სირტის (იმავე სიდრის) ყურის ისტორიულად აღიარება მოითხოვა.⁵⁹ ეს ყურე 290 მილის სიგანისაა. მაგრამ პერიოდი, რომელიც 1973 წლიდან იწყება, არ მიიჩნევა „დროის გარკვეულ მონაკვეთად“ და ლიბიის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. შეერთებული შტატები სირტის ყურეს ღია ზღვად მიიჩნევდა და სამხედრო-საზღვაო მანევრებს ატარებდა 1981 და 1986 წლებში, თუმცა ორსავე შემთხვევაში ეს მანევრები ლიბიასთან შეიარაღებული შეტაკებით დასრულდა. ამასთანავე, ყურადსაღებია ისიც, რომ შეერთებულ შტატებს არ სჭირდებოდა მანევრირება სირტის ყურესთან ყურის, როგორც ღია ზღვის, სამართლებრივი სტატუსის დასაცავად. აშშ-ს შეეძლო ყურის სტატუსის დაცვა სრულიად უბრალოდ – ლიბიის მოთხოვნაზე პროტესტის გამოცხადებით.⁶⁰

ფონზეკის ყურის დავასთან დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს ისტორიული ყურე იყო, რომელზეც ერთობლივი სუვერენიტეტი ჰქონდათ სალვადორს, ჰონდურასსა და ნიკარაგუას, მაგრამ თითოეული სახელმწიფოს განსაკუთრებული სუვერენიტეტიდან გამოირიცხა არსებული სამმილიანი სარტყელი. ყურეში, ისევე, როგორც სამმილიანი სარტყელში, ნებადართული იყო მშვიდობიანი გავლის უფლება.⁶¹

ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ 1958 წლის კონვენციის მე-10 (2) მუხლის თანახმად, „კუნძულის ტერიტორიული ზღვა ამ მუხლების შესაბამისად აითვლება“.⁶² ბრიტანეთის მთავრობამ (რომელსაც მხარი დაუჭირეს ფილიპინებმა და ინდონეზიამ) ეს იმ პრაქტიკის ფარულ დაგმობად ჩათვალა, რომელიც ითვალისწინებდა ტერიტორიული ზღვის ათვისებას არქიპელაგის წერტილის ირგვლივ გავლებული სწორი ხაზებიდან.⁶³ ფაქტობრივად, 1958 წლის კონვენციამ გვერდი აუარა არქიპელაგების საკითხს, ვინაიდან დისკუსიები ძირითადად ცალკეული სადავო ფაქტების განხილვაში გადაიზრდებოდა, ზოგად პრინციპებთან დაკავშირებული შეთანხმებები კი ვერ მიიღწეოდა. 1982 წლის კონვენციის 46-54 მუხლებით, სამართლიანადაა მიჩნეული ისეთი ქვეყნების პრეტენზიები, როგორებიცაა ფილიპინები და ინდონეზია, გარკვეულ შემთხვევებში (მაგალითად, სხვა სახელმწიფოთა გემებისა და თვითმფრინავების ტრანზიტთან დაკავშირებით), მაგრამ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პოზიცია მაინც გაურკვეველი რჩება.

მიმდებარე ზონა

ისტორიულად, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფოები ტერიტორიული ზღვის მიმდებარე ღია ზღვის სივრცეზე განსაკუთრებულ უფლებებსა და ტერიტორიული ზღვის განსხვავებული სიგანის დაწესების უფლებას მოითხოვდნენ. ორ მსოფლიო ომს შორის ფრანგმა მწერალმა გიდელმა ჩამოა-

⁵⁸ იხ. C.J. Bouchez, *Bays and Gulfs*, *EPIL* (1992), 357-9.

⁵⁹ Y.Z. Blum, *Sidra, Gulf of*, *EPIL* 12 (1990), 343-5.

⁶⁰ იხ. Y.Z. Blum, *The Gulf of Sidra Incident*, *AJIL* 80 (1986), 668.

⁶¹ *Land, Island and Maritime Frontier Dispute Case*, *ICJ Rep.* 1992, 351. იხ. A. Gioia, *The Law of Multinational Bays and the Case of the Gulf of Fonseca*, *NYIL* 24 (1993), 81-138.

⁶² იხ. H.W. Jayewardene, *The Regime of Islands in International Law*, 1990; D.W. Bowett, *Islands*, *EPIL* II (1995), 1455-7; იხ. აგრეთვე, R. Symmons, *The Maritime Zones Around the Falkland Islands*, *ICLQ* 37 (1988), 283; B. Kwiatkowska/A.H.A. Soons, *Entitlement to Maritime Areas of Rocks Which Cannot Sustain Human Habitation or Economic Life of Their Own*, *NYIL* 21 (1990), 139-84; C.R. O'Keefe, *Palm-Fringed Benefits: Island Dependencies in the New Law of the Sea*, *ICLQ* 45 (1996), 408-20. ფოლკლენდის კუნძულების შესახებ იხ. თ. 10 და თ. 19.

⁶³ L.F.E. Goldie, *Archipelagos*, *EPIL* II (1995), 239-44; M. Munawar, *Ocean States, Archipelagic Regimes in the Law of the Sea*, 1995.

⁶⁴ F. Wooldridge, *Contiguous Zone*, EPIL 1 (1992), 779-83.
⁶⁵ J.-P. Queneuduc, *Les Rapports entre zone de peche et zone economique exclusive*, *GYIL* 32 (1989), 138-55; F.O. Vicuna, *The "Presential Sea": Defining Coastal States' Special Interests in High Seas Fisheries and Other Activities*, *BYIL* 35 (1992), 264; J. Carroz, *Fishery Zones and Limits*, *EPIL* 1 (1995), 397-400.

ყალიბა მიმდებარე ზონის თეორია, როგორც სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების გადაწყვეტის რაციონალიზაციის საშუალება.⁶⁴ იმ დროისათვის ბრიტანეთის მთავრობა მიმდებარე ზონას ტერიტორიული ზღვის გაფართოების ფარულ საშუალებად აცხადებდა, და ამ საკითხთან დაკავშირებული შეთანხმების მიუღწევლობა ერთა ლიგის 1930 წლის საკოდიფიკაციო კონფერენციის წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. მას შემდეგ ოპოზიცია შესუსტდა და ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ 1958 წლის კონვენციის 24-ე მუხლში ჩამოყალიბდა შემდეგი:

1. ტერიტორიული ზღვის მიმდებარე ღია ზღვის ზონაში ზღვისპირა სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს თავისი კონტროლი, რომელიც საჭიროა:
 - ა) ტერიტორიული ზღვის ფარგლებში საბაჟო, ფისკალური, საიმპერაციო ან სანიტარული წესების დარღვევების აღსაკვეთად;
 - ბ) ტერიტორიულ ზღვაში ზემოაღნიშნული წესების დამრღვევთა დასასჯელად;
2. მიმდებარე ზონა არ უნდა აღემატებოდეს 12 მილს იმ ხაზიდან, საიდანაც ტერიტორიული ზღვის სიგანე აითვლება.

1982 წლის კონვენციის 33-ე (1) მუხლი ძირითადად იგივეა, რაც 1958 წლის კონვენციის 24-ე (1) მუხლი. 1982 წლის კონვენციის 33-ე (1) მუხლის თანახმად, „მიმდებარე ზონა არ უნდა აღემატებოდეს 24 საზღვაო მილს იმ ხაზიდან, საიდანაც იწყება ტერიტორიული ზღვის სიგანის ათვლა“; სხვა სიტყვებით, თუ სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვა 12 მილს შეადგენს, მას შეუძლია ჰქონდეს კიდევ 12-მილიანი მიმდებარე ზონა.

ჩვეულებითი სამართლის ნორმები მიმდებარე ზონისა და ამ ზონაში სახელმწიფოს უფლებების შესახებ მეტწილად გაურკვეველია; მაგრამ საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან 1986 წელს მხოლოდ 27-მა სახელმწიფომ მოითხოვა მიმდებარე ზონა (რომლის სიგანეც საკმაოდ განსხვავდებოდა – ერთი სახელმწიფო მოითხოვდა 6 მილს, ერთი – 10 მილს, სამი – 12 მილს, ოთხი – 18 მილს, ჩვიდმეტი – 24 მილს და ერთი – 41 მილს). შეერთებული შტატების შემთხვევაში ტერიტორიული ზღვა და მიმდებარე ზონა გაერთიანდა 1988 წელს, როდესაც ტერიტორიული ზღვა 3-დან 12 მილამდე გაფართოვდა.

განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა

დაახლოებით 1960 წლიდან ზოგიერთი სახელმწიფო ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონის დაწესებას ითხოვდა.⁶⁵ *მეთევზეთა საქმეში*, რომელშიც ერთმანეთს დიდი ბრიტანეთი და ისლანდია დაუპირისპირდნენ, საერთაშორისო სასამართლომ 1974 წელს დაასკვნა, რომ 1960 წლიდან ჩამოყალიბდა ჩვეულებითი სამართალი, რომელიც სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა, მოეთხოვათ 12-მილიანი განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონა (12-მილიანი სიგანე ტერიტორიულ ზღვასაც მოიცავდა; ამრიგად, თუ სახელმწიფო 3-მილიან ტერიტორიულ ზღვას მოითხოვდა, მას კიდევ 9 მილის სიგანეზე განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონის ფლობის უფლება ჰქონდა). სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ ზღვისპირა სახელმწიფოს ჰქონდა თევზზე უპირატესი უფლება 12-მილიანი ზონის ფარგლებს გარეთ სივრცეზეც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ეკონომიკურად დამოკიდებული იყო ადგილობრივ თევზჭერაზე (როგორც ისლანდია). მაგრამ სახელმწიფოს არ შეეძლო შეეზღუდა სხვა სახელმწიფოების მიერ ასეთ სივრცეში თევზჭერა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელმწიფოები ტრადიციულად ამ ტერიტორიაზე თევზაობდნენ და თუ მათი მოსახლეობის

ნაწილი ეკონომიკურად იქაურ თევზჭერაზე იყო დამოკიდებული.⁶⁶

ამასთანავე, სულ მალე ცხადი გახდა, რომ UNCLOS III დაადგენდა 12-მილიან ტერიტორიულ ზღვას, 188-მილიანი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონით, რაც მთლიანობაში 200 მილს შეადგენდა.⁶⁷ 1982 წლის კონვენციის 56-ე (1) (ა) მუხლი ზღვისპირა სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს ანიჭებს ზღვის ყველა ეკონომიკურ რესურსზე, ზღვის ფსკერისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დამუშავებაზე; ეს მოიცავს არა მხოლოდ თევზს, არამედ ზღვის წიაღში არსებულ მინერალებსაც,⁶⁸ რის გამოც ეს ზონა ზღვისპირა სახელმწიფოთა კონტროლის ქვეშ მოექცა (ცნობისათვის, ცოცხალი საზღვაო რესურსების დაახლოებით 90% ნაპირიდან 200 მილის ფარგლებში მოიპოვება). გარკვეულწილად, სიტყვას „განსაკუთრებული“ შეცდომაში შევყავართ, ვინაიდან 1982 წლის კონვენციის 62-ე და 69-71 მუხლების თანახმად, ზღვისპირა სახელმწიფომ, რომელსაც არ შეუძლია განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში თევზის ან სხვა ცოცხალი რესურსების მოპოვება, შეთანხმების საფუძველზე იგი სხვა სახელმწიფოებს უნდა გაუნაწილოს; ამასთანავე, მას შეუძლია მოითხოვოს გადასახადი მის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში უცხო გემების მიერ თევზჭერისათვის.⁶⁹ ზღვისპირა სახელმწიფოს ასევე აქვს შეზღუდული უფლება, შეაჩეროს დაბინძურება და გააკონტროლოს სამეცნიერო გამოკვლევები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.⁷⁰ თუმცა განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში უცხოური სახელმწიფოები სარგებლობენ ცურვისა და ფრენის თავისუფლებით და ასევე, წყალქვეშა კაბელებისა და მილების გაყვანის უფლებით.⁷¹

1976 წლიდან სახელმწიფოების უმრავლესობა კონვენციისაგან მოელოდა შედეგს 200-მილიანი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მოთხოვნასთან დაკავშირებით. 1986 წელს 138 ზღვისპირა სახელმწიფოდან 101-მა მოითხოვა 200 მილის ფარგლებში თევზჭერის განსაკუთრებული უფლებები (13-მა მოითხოვა 200-მილიანი ტერიტორიული ზღვა, 67-მა – 200-მილიანი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, ხოლო 21-მა – 200-მილიანი განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონა); 12 სახელმწიფომ მოითხოვა, რომ ტერიტორიული ზღვა, განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონა ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა ყოფილიყო 12 მილზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 200 მილისა. იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც განსაკუთრებულ თევზსაჭერ უფლებებს მოითხოვდნენ 200 მილის ფარგლებში, იყო აშშ, სსრკ, იაპონია და ევროგაერთიანების ქვეყნები (დიდი ბრიტანეთის ჩათვლით).⁷² აღსანიშნავია, რომ ისინი თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდნენ დიდ თევზსაჭერ ზონებს. იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც 200-მილიან თევზსაჭერ ზონებს მოითხოვდნენ, ხელშეკრულებები გააფორმეს სხვა სახელმწიფოებთან. ხელშეკრულება თევზჭერის ნებას იმ შემთხვევაში რთავდა, თუ ეს სახელმწიფოები მზად იყვნენ სანაცვლოდ რაიმე შემოეთავაზებინათ.⁷³

200-მილიანი თევზსაჭერი ზონის მოთხოვნის პრაქტიკა, რომელიც სულ ახალია, უკვე მეტად გავრცელებულია და შესაძლოა, არც ჩაითვალოს უკანონოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1974 წელს საერთაშორისო სასამართლოს⁷⁴ მიერ ჩამოყალიბებული წესით, იგი უკვე შეცვლილია ჩვეულებითი სამართლით, რომელიც სახელმწიფოებს უფლებას ანიჭებს, მოითხოვონ 200 მილის ფარგლებში განსაკუთრებული თევზჭერის უფლებები. 1982 წელს საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ „განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კონცეფცია... შეიძლება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნაწილად ჩაითვალოს“⁷⁵ და 1985 წელს აღიარა, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა შეიძლება აღემატებოდეს 200 მილს.⁷⁶

1994 წლის 1 მარტისათვის 93-მა სახელმწიფომ მოითხოვა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, ამასთან, არც ერთს არ მოუთხოვია 200 მილზე მეტი. ზოგიერთმა ასეთ ზონაში საქმიანობის შეზღუდვაც მოითხოვა, იმის გარდა, რაც დანესებულია 1982 წლის კონვენციით.⁷⁷ დედამიწის ზურგზე ყველაზე

⁶⁶ *Fisheries Jurisdiction Case (UK v. Iceland) (Meritis)*, ICJ Rep. 1974, 3, at 23-9. იხ. თ. 3.

⁶⁷ P. Peters/A. H. A. Soons/L. A. Zina, *Removal of Installations in the Exclusive Economic Zone*. NYIL 15 (1984), 167-207; R. W. Smith, *Exclusive Economic Zone Claims: An Analysis and Primary Documents*, 1986; D. Attard, *The Exclusive Economic Zone in International Law*, 1987; M. Dahmani, *The Fisheries Regime of the Exclusive Economic Zone*, 1987; F. Orrego Vicuna, *The Contribution of the Exclusive Economic Zone to the Law of Maritime Delimitation*, GYL 31 (1988), 120-37; F. Vicuna, *The Exclusive Economic Zone: Regime and Legal Nature under International Law*, 1989; B. Kwiatkowska, *The 200 Mile Exclusive Economic Zone in the New Law of the Sea*, 1989; S. Oda, *Exclusive Economic Zone*, EPIL II (1995), 305-12. 68 იხ. აგრეთვე, ქვემოთ.

⁶⁹ Article 62(4)(a), 1982 Convention.

⁷⁰ Articles 211(5) and (6), 220, 246-55.

⁷¹ Article 58. იხ. R. Lagoni, *Cables, Submarine*, EPIL I (1992), 516-9.

⁷² იხ. R. R. Churchill, *EEC Fisheries Law*, 1987; M. Fitzmaurice, *Common Market Participation in the Legal Regime of the Baltic Seas Fisheries*, GYL 33 (1990), 214-35.

⁷³ იხ. AFD/1978, 851, 858-65, or R. P. Barston/P. Birnie, *Maritime Dimension*, 1980, 45-6.

⁷⁴ იხ. ზემოთ.

⁷⁵ *Continental Shelf Case (Tunisia v. Libya)*, ICJ Rep. 1982, 18, at 74.

⁷⁶ *Continental Shelf Case (Libya v. Malta)*, ICJ Rep. 1985, 13, at 33, 35.

⁷⁷ ILM 34 (1995), 1402; R. S. K. Um, *EEZ Legislation of ASEAN States*, ICJLQ 40 (1991), 170 et seq.

⁷⁶ იხ. ზემოთ.

⁷⁷ იხ. ზემოთ.

⁸⁰ Article I, 1958 Convention on the High Seas; იხ. აგრეთვე, Article 86, 1982 Convention; T. Treves, High Seas, *EPIL* 11 (1995), 705-10.

⁸¹ იხ. ზემოთ.

⁸² Article 4, 1958 Convention; L. Calfish, Land-Locked and Geographically Disadvantaged States, *EPIL* 11 (1989), 169-74; S. Vasciannie, *Land-Locked and Geographically Disadvantaged States in the International Law of the Sea*, 1990.

⁸³ Article 3, 1958 Convention. Articles 87, 90 and 125 of the 1982 Convention contain provisions similar to Articles 2, 3 and 4 of the 1958 Convention.

⁸⁴ ILM 11 (1994), 1461.

⁸⁵ იხ. UN Doc. A/CONF.164/33 (1995), და შენიშვნა A/JL.90 (1996), 270-2.

⁸⁶ *UN Chronicle* 1936, no. 1.77. იხ. აგრეთვე, United States: Fisheries Act of 1995, ILM 35 (1996), 379; W.T. Burke, *The New International Law of the Fisheries*, 1994; C. Dominguez Diaz, Towards a New Regime for High Sea Fisheries?, *Hague YIL* 7 (1994), 25-34; R. Wolfrum, Fisheries, international Regulation, *EPIL* 11 (1995), 383-6; D.H. Anderson, The Straddling Stocks Agreement of 1995 - An Initial Assessment, ICLQ 45 (1996), 463 *et seq.*

⁸⁷ იხ. D.D. Caron, Ships, Nationality and Status, FP/M1 (1989), 289-97; Flags of Vessels, *EPIL* 11 (1995), 405-7.

დიდი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონით შეერთებული შტატები სარგებლობს ატლანტიკის, წყნარი და ჩრდილო ყინულოვან ოკეანეებში, იმის ჩათვლით, რაც გარს აკრავს აშშ-ს კუნძულოვან ტერიტორიებს.

ზღვისპირა სახელმწიფოს შეუძლია დააკავოს უცხო ქვეყნების გემები, თუ ისინი ზღვისპირა სახელმწიფოს უფლებებს არღვევენ განსაკუთრებულ თევზსაჭერ ან ეკონომიკურ ზონაში.⁷⁸ ზღვისპირა სახელმწიფოს უცხოური გემების დაკავების გარკვეული უფლება აქვს მისი მიმდებარე ზონის ფარგლებშიც.⁷⁹

ღია ზღვა

ტერმინი „ღია ზღვა“ გულისხმობს ზღვის ყველა იმ ნაწილს, რომელიც არ შედის სახელმწიფოს ტერიტორიულ ან შიდა წყლებში.⁸⁰ ღია ზღვის თავისუფლად გამოყენება ყველა ქვეყნის გემებს შეუძლია, ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად. ღია ზღვის თავისუფლება, *inter alia*, მოიცავს ნავიგაციის თავისუფლებას, თევზჭერის თავისუფლებას, წყალქვეშა კაბელებისა და მილების გაყვანის უფლებას და ღია ზღვის საჰაერო სივრცეზე თავისუფალი ფრენის უფლებას (ზოგი თავისუფლება იზღუდება იმ შემთხვევაში, თუ ზღვისპირა სახელმწიფო მოითხოვს განსაკუთრებულ თევზსაჭერ ზონას ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას⁸¹). არაზღვისპირა სახელმწიფოებსაც შეუძლიათ ასეთივე თავისუფლებით სარგებლობა. მათ ენიჭებათ უფლება, ღია ზღვაზე თავიანთი დროშით იცურონ;⁸² არაზღვისპირა და ზღვისპირა სახელმწიფოები იმის თაობაზე უნდა შეთანხმდნენ, რომ არაზღვისპირა სახელმწიფოებს მიეცეთ უფლება, გამოიყენონ მეზობელი ზღვისპირა სახელმწიფოს პორტები და ჰქონდეთ მის ტერიტორიაზე გავლის უფლება.⁸³ გაეროს გენერალური ასამბლეის 1991 წლის 20 დეკემბრის 46/212 რეზოლუციით განმტკიცდა არაზღვისპირა სახელმწიფოების უფლებები, რის შედეგადაც მათთვის დასაშვები გახდა სატრანზიტო სახელმწიფოების ტერიტორიაზე გავლა ტრანსპორტის ყველა სახეობით.

საერთაშორისო შეთანხმებების ძალით გარკვეული შეზღუდვები იქნა დაწესებული თევზჭერის თავისუფლებასთან დაკავშირებით. ასეთ შეთანხმებათა რიცხვს განეკუთვნება თევზსაჭერი გემების შესახებ FAO-ს 1993 წლის შეთანხმება,⁸⁴ გაეროს 1995 წლის შეთანხმება საზღვაო სამართლის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია 1982 წლის 10 დეკემბრის გაეროს კონვენციის თევზთა მარაგის კონსერვაციასა და მართვასთან დაკავშირებულ დებულებებთან.⁸⁵ 1996 წლისათვის შეთანხმებას 31-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი.⁸⁶

ზოგადად, როგორც წესი, გემი ღია ზღვაზე მხოლოდ საერთაშორისო სამართალს და ალმის სახელმწიფოს კანონმდებლობას ემორჩილება.⁸⁷ ამიტომაც მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის გემზე აღმართული დროშა. „ალმის სახელმწიფო“ რეალურად იმ სახელმწიფოს ნიშნავს, რომლის ეროვნებასაც გემი ატარებს; ეს არის ეროვნულობის ნიშანი, რომელიც გემს ქვეყნის დროშით ნავიგაციის საშუალებას აძლევს. სამხედრო ხომალდების ეროვნება პრობლემას არ ქმნის, რაც არ ითქმის სავაჭრო გემებზე. პატარა გემების გარდა, ყველა ქვეყანაში სავაჭრო გემების ეროვნებას რეგისტრაციის მეშვეობით ადგენენ; გემი ფრანგული ეროვნებისაა, თუ იგი რეგისტრირებულია საფრანგეთში. ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის თანახმად:

1. გემებმა უნდა იცურონ მხოლოდ ერთი სახელმწიფოს დროშით. გემმა არ უნდა შეცვალოს დროშა... გარდა საკუთრების გადაცემის ან რეგისტრაციის შეცვლის შემთხვევებისა.

2. გემს, რომელიც ორი ან მეტი სახელმწიფოს დროშით დაცურავს და მათ საჭიროების შესაბამისად იყენებს, არა აქვს უფლება, მოითხოვოს არც ერთი სხვა სახელმწიფოს ეროვნება და ითვლება ეროვნების არმქონე გემად.

ეს წესები მეორდება 1982 წლის კონვენციის 92-ე მუხლში. ყველა სახელმწიფოს გემის რეგისტრაციისათვის განსხვავებული პირობები აქვს. ტრადიციული გემთმფლობელი სახელმწიფოები, როგორცაა, მაგ., დიდი ბრიტანეთი, მკაცრ მოთხოვნებს აყალიბებენ გემთფლობელების, ეკიპაჟის და გემის აგების ადგილთან დაკავშირებით. სხვა სახელმწიფოები – ეგრეთ წოდებული „ხელსაყრელი ალმის“ სახელმწიფოები – მზად არიან, რეგისტრაციაში გაატარონ ნებისმიერი გემი გარკვეული გადასახადის ფასად.⁸⁸

ხელსაყრელი ალმის წესი მეტწილად იმისათვის გამოიყენება, რომ თავი აარიდონ გადასახადებისა და დანებს ხელფასების გადახდას. მაგრამ ეს წესი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ბოროტი მიზნებისთვისაც. საზღვაო სამართლის დიდი ნაწილი დაცულია ისეთ ხელშეკრულებებში, როგორცაა გემების განათება, უსაფრთხოების დებულებები, მონათვაჭრობა, სავალდებულო დაზღვევა, „მეკობრული“ რადიოსადგურები, დაბინძურება და თევზჭერის კონსერვაცია, რასაც, რა თქმა უნდა, სავალდებულო ძალა მხოლოდ ხელშეკრულებების მონაწილე მხარეებისათვის აქვს.⁸⁹ გემთმფლობელისათვის იოლია, თავი აარიდოს ასეთი ხელშეკრულებების შესრულებას გემის იმ სახელმწიფოში რეგისტრირებით, რომელიც ასეთ ხელშეკრულებაში არ მონაწილეობს.

ხელსაყრელი ალმის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1967 წლიდან ლიბერია, რეგისტრირებული ტონაჟის მიხედვით, უდიდეს გემთმფლობელ სახელმწიფოდ ითვლება (თუმცა ლიბერიამ ყველა ძირითადი ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა). ხელსაყრელი ალმის სახელმწიფოთა უმრავლესობა განვითარებადია, თუმცა ამ ცოტა ხნის წინ ასეთი ქვეყნების უმრავლესობამ ხელსაყრელი ალმის აკრძალვა მოითხოვა. განვითარებულ სახელმწიფოთა შეხედულებები ამ საკითხზე ორად არის გაყოფილი; საფრანგეთი წინააღმდეგია ამ პრინციპისა, მაგრამ შეერთებული შტატები არა; მანამ, სანამ აშშ-ს გემთმფლობელები აშშ-ს იმის საშუალებას აძლევენ, რომ მოახდინოს მათი გემების რეკვიზიცია ომის დროს, მთავრობას ნაკლებად ადარდებს, სად არის მისი გემი რეგისტრირებული, და ბევრი მოქმედი გემი წამგებიანი იქნებოდა, თუ აშშ-ს სავალდებულო სახელფასო განაკვეთების გადახდას დააძალებდნენ.

1958 წლის ჟენევის კონფერენციაზე ხელსაყრელი ალმის პრინციპი ფეთქებადი საკითხი იყო. ლია ზღვის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლი დიდ დამოკიდებულებას წავიდა: „[ალმის] სახელმწიფოსა და გემს შორის არსებითი კავშირი უნდა იყოს; კერძოდ, სახელმწიფო ეფექტურად უნდა ახორციელებდეს მისი დროშით მცურავ გემებზე ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და სოციალურ კონტროლს“. თუ გემი უცხოელების საკუთრებაშია, ეს არ გამორიცხავს ალმის სახელმწიფოს მხრიდან გემზე ადმინისტრაციული, ტექნიკური და სოციალური კონტროლის უფლებას. მაგრამ კონვენცია იყენებს სიტყვას „კერძოდ“, და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თავად ასეთი კონტროლი არ აღმოჩნდეს საკმარისი არსებითი კავშირის დასამყარებლად.

რა ხდება მაშინ, როცა არ არსებობს არსებითი კავშირი გემსა და ალმის სახელმწიფოს შორის? ახდენს თუ არა ეს რაიმე გავლენას გემის ეროვნებაზე? და კვლავ, მე-5 მუხლი ცუდად არის შედგენილი, ვინაიდან ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა.⁹⁰

სახელმწიფოს ჩარევა ლია ზღვაში მყოფი გემების საქმიანობაში

როგორც წესი, მხოლოდ ალმის სახელმწიფოს შეუძლია თავისი იურისდიქციის განხორციელება ლია ზღვაში მყოფ გემზე (დაკავებასთან და სხვა ფიზიკური სახის ჩარევასთან დაკავშირებით).⁹¹ რაც შეეხება სამხედრო ხომალდებს, აქ ერთი გამონაკლისი არსებობს, რომელიც კონვენციებში აღნიშვნის გარეშეც აშკარაა; ომის დროს, მეზობელი მხარეების სამხედრო ხომალდს შეიძლება თავს დაესხას მტრის სამხედრო ხომალდი. სავაჭრო გემების შემ-

⁸⁸ J.S. Ignarski, *Flags of Convenience*, *EPIL* II (1995), 404-5.

⁸⁹ იხ. მაგ., G. Breuer, *Maritime Safety Regulations*, *EPIL* 11 (1989), 224-8.

⁹⁰ 1958 წლის მე-5 მუხლის დებულებები ოდნავი სახეცვლილებით მეორდება 1982 წლის 91 და 94(1) მუხლებში. იხ. აგრეთვე, H.W. Wefers Beltink, *Open Registry, the Genuine Link and the 1986 Convention on Registration Conditions for Ships*, *NYIL* 18 (1987), 69-119.

⁹¹ Articles 6, 8, 9, 1958 Convention; Articles 92, 95, 96, 1982 Convention. იხ. G. Marston, *Maritime Jurisdiction*, *EPIL* 11 (1989), 221-4.

⁹² [1948] AC 351.

⁹³ F. Wooldridge, *Hot Pursuit*, *EPIL* II (1995), 881-4; Gilmore, *Hot Pursuit: The Case of R. v. Mills and Others*, *ICLQ* 44 (1995), 949-58.

⁹⁴ *AJIL* 70 (1976), 95.

⁹⁵ *RIAA* III 1609, 1615; P. Seidl, *I'm Alone*, *EPI* 2 (1981), 133-4.

თხვევაშიც იგივე ზოგადი წესი მოქმედებს; თუმცა არსებობს ძალიან ბევრი გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ერთი სახელმწიფოს სამხედრო ხომალდს შეუძლია ჩაერიოს მეორე ქვეყნის სავაჭრო გემის საქმიანობაში:

1. მოქალაქეობის არმქონე გემები. ღია ზღვა თავისუფალია ყველა სახელმწიფოსათვის, მაგრამ *Asya*-ს საქმესთან⁹² დაკავშირებით საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ღია ზღვაში მოქალაქეობის არმქონე გემის ჩამორთმევა კანონიერია. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება, ალბათ, სწორი იყო დავის ფაქტებიდან გამომდინარე, საიდუმლო საბჭოს მიზეზებმა მაინც არ უნდა მიგვიყვანოს ლოგიკურ დასკვნამდე; შესაძლებელია, რომ მოქალაქეობის არმქონე გემის თვითნებური კონფისკაცია ან განადგურება მისცემდა საკმაო საფუძველს გემთმფლობელთა ეროვნულ სახელმწიფოს საერთაშორისო დავის წამოსაწყებად.

2. ცხელ კვალზე დევნა.⁹³ როგორც ვნახეთ, სანაპირო სახელმწიფოს აქვს უცხო სავაჭრო გემის თავის შიდა წყლებში, ტერიტორიულ ზღვაზე და მიმდებარე ზონაში დაკავების უფლება. ცხელ კვალზე დევნის უფლება შემოღებულ იქნა იმისთვის, რომ აღეკვეთათ გემის მიერ დაკავებისგან თავის დაღწევა ღია ზღვაში.

ეს წესი დეტალურად არის ახსნილი ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის 23-ე მუხლით, რომლის უმნიშვნელოვანეს დებულებები ასეთია:

1. უცხოური გემის მიმართ ცხელ კვალზე დევნა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სანაპირო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს აქვთ საკმაო საბუთი იმისა, რომ გემმა დაარღვია ამ სახელმწიფოს კანონები და დებულებები. ამგვარი დევნა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც გემი ან მისი რომელიმე ნავი იმყოფება მდევნელი სახელმწიფოს შიდა წყლებში, ტერიტორიულ ზღვაზე ან მიმდებარე ზონაში და შეიძლება იდევნებოდეს ტერიტორიული ზღვის ან მიმდებარე ზონის გარეთ, თუკი დევნა იყო შეწყვეტილი... თუ უცხო გემი ტერიტორიული ზღვის მიმდებარე ზონაში იმყოფება, მიმდებარე ზონის შესახებ კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულ იქნა ამ ზონისათვის დაწესებული უფლებები.
2. ცხელ კვალზე დევნა წყდება, როგორც კი დევნილი გემი შევა მისი ან მესამე სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში.
3. დევნა იწყება მხოლოდ გაჩერების შესახებ ვიზუალური ან სმენითი სიგნალის შემდეგ ისეთი მანძილიდან, რომელსაც ხედავს ან ისმენს უცხო გემი.
4. ცხელ კვალზე დევნის უფლება აქვს მხოლოდ სამხედრო ხომალდს ან თვითმფრინავს, ან სპეციალურად უფლებამოსილ სხვა სახელმწიფოს გემს ან თვითმფრინავს.

ეს წესები თითქმის იმავე სიტყვებით გამოორებულია 1982 კონვენციის 111-ე მუხლში (პარაგრაფები 1, 3, 4 და 5). ცხელ კვალზე დევნა შეიძლება ასევე დაიწყოს სანაპირო სახელმწიფოს განსაკუთრებული თევზსაჭერი ზონიდან, თუ კი უცხო გემი იქ არალეგალურ თევზჭერას ეწეოდა.⁹⁴ 1982 წლის კონვენციის 111-ე (2) მუხლი შეიცავს მსგავს დებულებებს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისათვის. *მარტოხელას საქმეში (I'm Alone case)*⁹⁵ ცხელ კვალზე დევნისას არ არსებობს დევნილი გემის ჩაძირვის უფლება; მაგრამ უნებლიე ჩაძირვა დაკავების პროცესში შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს.

3. *მიახლოების უფლება*. ზოგადი წესის თანახმად, სავაჭრო გემები ღია ზღვაში კონტროლს მხოლოდ აღმის სახელმწიფოს სამხედრო ხომალდების მხრიდან ექვემდებარებიან. თუ სავაჭრო გემი აკრძალულ რამეს სჩადის, ის ეცდება გაქცევას თავისივე სახელმწიფოდან სხვა სახელმწიფოს დროშით ან საერთოდ უდროშოდ. შედეგად, თუ სამხედრო ხომალდი დაეწევა სავაჭრო გემს ღია ზღვაში, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, რომ სავაჭ-

რო გემი იმავე ეროვნებისაა, რაც სამხედრო ხომალდი, ამ უკანასკნელს შეუძლია ჩაატაროს გამოძიება სავაჭრო გემზე მისი ეროვნების დასადგენად. ეს უფლება განმტკიცებულია ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის 22-ე და 1982 წლის კონვენციის 110-ე მუხლით.

4. ხელშეკრულებები ხშირად ანიჭებს მხარეებს ერთმანეთის სავაჭრო გემების დაკავების უფლებას. ამის მაგალითები მოიძებნება თევზჭერის კონსერვაციის ან ნყალქვეშა კაბელების დაცვის შესახებ ხელშეკრულებებში. ასეთი დებულებები გარკვეულწილად მისაღები იყო ისეთი ხელშეკრულებებისათვის, როგორცაა მონათვაჭრობის აკრძალვა;⁹⁶ მაგრამ ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის 110-ე მუხლი აცხადებს, რომ მონათვაჭრობაში ეჭვმიტანილი ან ჩართული უცხოური გემის ჩხრეკა უკვე ჩვეულებითი სამართლის ნორმად იქცა. 1985 წლის ოქტომბერში ტერორისტების მიერ იტალიურ კრეისერ „აქილეს ლაუროს“ მიძევლად აყვანის⁹⁷ შემდეგ იტალია ინიციატივით გამოვიდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO)⁹⁸ წინაშე. ეს დასრულდა საზღვაო ნავიგაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო აქტების აღკვეთის შესახებ 1988 წლის რომის კონვენციისა და კონტინენტურ შელფზე ფიქსირებული პლატფორმის უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო აქტების აღკვეთის შესახებ 1988 წლის რომის ოქმის მიღებით.⁹⁹ უფრო მეტიც, ფსიქოტროპულ და ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო გადაზიდვის წინააღმდეგ გაეროს 1988 წლის კონვენციის 73-ე (3) მუხლის თანახმად, მხარე-სახელმწიფომ, რომელსაც საკმაო ეჭვი აქვს იმისა, რომ მეორე მხარის გემი ჩართულია უკანონო გადაზიდვაში, ნებართვა უნდა სთხოვოს ალმის სახელმწიფოს ამ გემის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მისაღებად.¹⁰⁰ მე-17 (9) მუხლი კონვენციის მონაწილეებს აძლევს საშუალებას, შეუერთდნენ ორმხრივ ან რეგიონულ შეთანხმებებს, რათა გაატარონ ან გააძლიერონ მე-17 მუხლის დებულებების ეფექტურობა.

მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფოებს, უმრავლეს შემთხვევებში, დაკავების მხოლოდ ურთიერთშეთანხმებული უფლება აქვთ; დაკავების შემდეგ დამნაშავეები ალმის სახელმწიფოს სასამართლოს უნდა გადაეცინენ (თეორიულად, ხელშეკრულებას შეეძლო უზრუნველყო სასამართლოს შეთანხმებული ძალაუფლება, ასევე დაკავების უფლება, ასეთი მაგალითები მაინც იშვიათია, მაგრამ იხ. 1982 წლის კონვენციის 109-ე და 110-ე (გ) მუხლები, რომლებიც უკანონო გადაცემებს ეხება¹⁰¹).

„თევზჭერაზე ომის“ შესახებ დავის ერთ-ერთი მაგალითია კანადასა და ევროკავშირის შორის დავა 1995 წელს იმ ზომების გამო, რომლებიც კანადამ დააწესა ესპანური ტრაულერების მიმართ კანადის ეკონომიკური ზონის 200-მილიანი ლიმიტის ფარგლებს გარეთ, იმ სივრცეში, სადაც ჩრდილო ატლანტიკის თევზსაჭერი ორგანიზაციის ხელშეკრულება (NAFO) მოქმედებდა. კონფლიქტი დაიწყო კანადის მიერ ესპანურ ტრაულერ „ესტაისთვის“ თევზჭერის უფლების ჩამორთმევით კანადის კონსერვაციის დებულებების მიერ დაწესებული 60-დღიანი მორატორიუმის შეუსრულებლობისათვის. გემი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს, როდესაც მესაკუთრეებმა გადაიხადეს თავდები 500 000 კანადური დოლარის ოდენობით.¹⁰² კანადის სანაპირო თევზჭერის დაცვის აქტის დებულებების 1994 წლის 12 მაისის დამატებები და კანადის მიერ ღია ზღვაზე ცალმხრივად მიღებული ზომები, მათ შორის გემის დაკავება და უცხოური ტრაულერის ბადეების მქონე კაბელების დაზიანება მჭრელებით, უდავოდ უკანონო იყო, თუმცა მიმართული იყო საერთო ინტერესების დაცვისაკენ. NAFO-ს შეთანხმება სახელმწიფო მხარეებს ანიჭებს გარკვეული კონტროლისა და ინსპექტირების უფლებებს ერთმანეთის თევზსაჭერ გემებზე, მაგრამ მხოლოდ ალმის სახელმწიფოს აქვს შესაბამისი ზომების განხორციელების უფლება. კონფლიქტი მოგვარდა 1995 წლის 20 აპრილს კანადასა და ევროგაერთიანებას შორის შეთანხმებით.¹⁰³ ამასთან-

⁹⁶ იხ. თ. 2.

⁹⁷ A. Cassese, Achilla Laura Affair, *EPIL* 1 (1992), 10-4. იხ. აგრეთვე, თ. 7.

⁹⁸ იხ. თ. 6.

⁹⁹ ILM 27 (1988), 668 (1988 Convention) and 685 (1988 Protocol). იხ. N. Ronzitti (ed.), *Maritime Terrorism and International Law*, 1990. იხ. further C.C. Joyner, *The 1988 IMO Convention on the Safety of Maritime Navigation*, *GYIL* 31 (1988), 230-62; F. Francioni, *Maritime Terrorism and International Law*, *BYIL* 31 (1988), 289-306; G. Plant, *The Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation*, *ICLO* 39(1990), 27 *et seq.*

¹⁰⁰ ILM 28 (1989), 493.

¹⁰¹ იხ. J. Fawcett, *Broadcasting, International Regulation*, *EPIL* 1 (1992), 506-9.

¹⁰² *Financial Times*, 27 March 1995, 6; P.G.G. Davies, *The EC/Canadian Fisheries Dispute in the Northwest Atlantic*, *ICLQ* 44 (1995), 927-38.

¹⁰³ ILM 34 (1995), 1260.

¹⁰⁴ *ICJ Communiqué no. 95/8 of 29 March 1995; Order of 2 May 1995, ICJ Communiqué no. 95/12 of 2 May 1995*

¹⁰⁵ *Á. D. Rubin, The Law of Piracy, 1988; Rubin, Piracy, EPIL 11 (1989), 259-62; C. Touret, La Piraterie au vingtième siècle, 1992*

¹⁰⁶ *Article 22, 1958 Convention; Article 110, 1982 Convention.*

¹⁰⁷ *Article 19, 1958 Convention; Article 105, 1982 Convention.*

¹⁰⁸ *ib. t. 7.*

¹⁰⁹ *ib. t. 20.*

¹¹⁰ *ib. ICLQ 10 (1961), 785, 791-8; O'Connell (1984), op. cit., 803-6; G. Plant, Civilian Protest Vessels and the Law of the Sea, NYIL 14 (1983), 133-63.*

ნავე, 1995 წლის მარტში ესპანეთმა კანადის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოში აღძრა საქმე, რომელიც ამ სახელმძღვანელოს შედგენის დროისათვის არ იყო გადაწყვეტილი.¹⁰⁴

5. მეკობრეობა¹⁰⁵ კარგად არის განმარტებული ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის 14-21-ე და 22-ე მუხლებში, აგრეთვე 1982 წლის კონვენციის 100-10 მუხლებში. ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, მეკობრეობა შემდეგი ქმედებებით გამოიხატება:

1. ძალადობის ნებისმიერი მოქმედება ან ძარცვა პირადული მიზნებისათვის კერძო გემის ან თვითმფრინავის ეკიპაჟის ან მგზავრების მიერ, რომელიც მიმართულია:
 - ა) ღია ზღვაზე მეორე გემის ან თვითმფრინავის, ან მის გემბანზე მყოფი პირების ან საკუთრების წინააღმდეგ;
 - ბ) ისეთი გემის, თვითმფრინავის, პირების ან საკუთრების წინააღმდეგ, რომელიც არ იმყოფება არც ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ.
2. გემის ან თვითმფრინავის ნებისმიერი ნებაყოფლობითი მონაწილეობა ნებისმიერ მოქმედებაში, იმ ფაქტების გააზრებით, რომ იგი ხდება მეკობრე გემი ან თვითმფრინავი.
3. ნებისმიერი მოქმედება, რომელიც იწვევს ან განზრახვით ხელს უწყობს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით ან მე-2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ ქმედებებს.

1982 წლის კონვენციის 101-ე განსაზღვრება თითქმის იდენტურია. თუ სამხედრო ხომალდს საკმაო საბუთი აქვს იმისა, რომ სავაჭრო გემი ჩართულია მეკობრეობაში, მას შეუძლია გააჩეროს იგი ღია ზღვაში გამოძიების ჩატარების მიზნით, სავაჭრო გემის ეროვნების მიუხედავად.¹⁰⁶ თუ ეჭვი გამართლდება, შესაძლოა სავაჭრო გემის ჩამორთმევა და გემბანზე მყოფი პირების დაკავება და გასამართლება.¹⁰⁷ ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, დააკავოს და გასამართლოს მეკობრეები შეზღუდვების გარეშე, რომლებსაც ხშირად გულისხმობს მუნიციპალური სასამართლოს იურისდიქცია სისხლის სამართლის საქმეებზე.¹⁰⁸

ლეიშანი მეკობრეობაში ხშირად გულისხმობდა ყველა ქმედებას, რომელსაც საერთაშორისო სამართალი მეკობრეობად თვლიდა. მაგალითად, აჯანყება (გემის ჩამორთმევა ეკიპაჟის ან მგზავრების მიერ) არ არის მეკობრეობა საერთაშორისო სამართალით: ღია ზღვის შესახებ ყენევის კონვენციის მე-15 (1) (ა) მუხლის თანახმად (1982 წლის კონვენციის 101-ე (ა) (ი) მუხლი), ღია ზღვაში მეკობრეობა „სხვის წინააღმდეგ“ უნდა იყოს მიმართული. ცხადია, ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობით აჯანყება ხასიათდება, როგორც მეკობრეობა, თუმცა, ვინაიდან აჯანყება არ არის მეკობრეობა საერთაშორისო სამართლის თანახმად, აჯანყებულთა კონტროლის ქვეშ მყოფი გემი შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ აღმის სახელმწიფოს მიერ და არა რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულებით სხვა სახელმწიფოებს ენიჭებათ დაკავების უფლება).

6. მებრძოლთა უფლებები. ომის დროს მებრძოლი მხარის კუთვნილ სამხედრო ხომალდს შეუძლია ჩამოართვას მტერს სავაჭრო გემი და ასევე, სხვადასხვა გარემოებებში, ნეიტრალური სავაჭრო გემები, რომლებიც მტერთან ვაჭრობდნენ.¹⁰⁹

7. თავდაცვა. იმ შემთხვევაში კი, თუ ომი არ არის, სახელმწიფოები ზოგჯერ მოითხოვენ, ჩაერიონ უცხოეთის სავაჭრო გემებზე თავდაცვის მიზნით, თუმცა კანონი ასეთ შემთხვევებზე არაფერს ამბობს. მაგალითად, საფრანგეთმა თავდაცვის მიზნით ის უცხოური სავაჭრო გემები გააჩერა, რომლებიც ატარებდნენ იარაღს 1950-იან წლებში ალჟირის რევოლუციური მოძრაობისათვის, მაგრამ ასეთი ჩამორთმევა დაგმობილ იქნა, როგორც უკანონო მოქმედება, უმეტესი აღმის სახელმწიფოების მიერ.¹¹⁰ მეორე მხრივ,

როდესაც უცხოური სავაჭრო გემი ჩართულია ინციდენტში, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებს ნავთობით მასობრივი დაბინძურების ფარულ საფრთხეს უქმნის, სანაპირო სახელმწიფოს შეუძლია ჩამოართვას ან გაანადგუროს გემი დაბინძურების აღკვეთის მიზნით;¹¹¹ ლიბერიის მთავრობამ 1967 წელს გააპროტესტა გაერთიანებული სამეფოს მიერ Torrey Canyon-ის, ლიბერიული ნავთობტანკერის დაბომბვა, რომელიც ინგლისის არხში რიფებს შეეჯახა.¹¹² ამ ორ სიტუაციას შორის სხვაობაა გადაუდებლობის თვალსაზრისით. საფრანგეთს შეეძლო დაეცა, ვიდრე იარაღით დატვირთული გემები საფრანგეთის ტერიტორიულ ზღვაში შევიდოდნენ, მაშინ, როდესაც დაზიანებული ნავთობტანკერის დაუყოვნებელი განადგურება ხშირად ერთადერთი გზაა სანაპიროების დაბინძურებისაგან დასაცავად. Torrey Canyon-ის ინციდენტი გახდა მიზეზი ღია ზღვაზე ნავთობით დაბინძურების შემთხვევებში 1969 წელს ინტერვენციის შესახებ კონვენციისა¹¹³ და ნავთობით დაბინძურების გამო მიყენებული ზარალისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ კონვენციის¹¹⁴ მიღებისა.

8. გაეროს მიერ ნებადართული ქმედებები.¹¹⁵

¹¹¹ Hague Academy of International Law, Colloquium, 1973, 39-50. იხ. აგრეთვე, Article 221 of the 1982 Convention and O'Connell (1984), *op. cit.*, 1006-8; Article 33 of the Draft Articles on State Responsibility, in *Brownlie BOIL*, 436; იხ. თ. 17.

¹¹² R.H. Stansfield, *Torrey Canyon, The*, EPIL 11(1989), 333-5.

¹¹³ UNTS 970, 212.

¹¹⁴ UNTS 973, 3; იხ. თ. 16.

¹¹⁵ იხ. თ. 22.

¹¹⁶ იხ. თ. 7.

¹¹⁷ *Lotus Case* (1927), PCIJ, series A, no. 10. იხ. თ. 3.

ღია ზღვაზე ჩადენილ დანაშაულებზე მუნიციპალური სასამართლოს იურისდიქცია

მეკობრეობის განსაკუთრებული მაგალითისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლის ნორმები სისხლის სამართლის იურისდიქციის¹¹⁶ შესახებ მოქმედებს იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც ჩადენილ იქნა ღია ზღვაზე. ამ მიზნით გემი ალმის სახელმწიფოს ტერიტორიად განიხილება. მაგალითად, თუ ინგლისელი ფრანგული გემიდან ესვრის ვინმეს გერმანულ გემზე, იგი გასამართლდება ინგლისში (ეროვნულობის პრინციპი), საფრანგეთსა (სუბიექტური ტერიტორიულობის პრინციპი) და გერმანიაში (ობიექტური ტერიტორიულობის პრინციპი).

ამასთანავე, წინააღმდეგობები წარმოიქმნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კოლიზიისას ზღვაზე. *ლოტუსის საქმეში* (Lotus case) ფრანგული გემი „ლოტუსი“ ღია ზღვაში შეეჯახა თურქულ გემს. ამის შედეგად თურქულ გემზე მყოფი ხალხი ჩაიძირა; როდესაც „ლოტუსი“ თურქულ პორტს მიუახლოვდა, ლეიტენანტი დემონსი, რომელიც მართავდა „ლოტუსს“ შეჯახებისას, დააკავეს და გაასამართლეს ადამიანების მკვლელობისთვის. საფრანგეთმა პრეტენზია განაცხადა, რომ თურქეთის ქმედება ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს, მაგრამ საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ლეიტენანტი დემონსი შეიძლებოდა გასამართლებულიყო არა მხოლოდ მისი ალმის სახელმწიფოს – საფრანგეთის მიერ, არამედ თურქეთის მიერაც, ვინაიდან მისი მოქმედების შედეგი თურქეთის გემზე ვრცელდებოდა.¹¹⁷ ასეთმა გადაწყვეტილებამ, რომელიც ობიექტური ტერიტორიულობის პრინციპს ეფუძნებოდა, შეშფოთება გამოიწვია მეზღვაურებს შორის და *ლოტუსის საქმეში* დადგენილი წესის სანააღმდეგოდ დიდი კამპანიის შემდეგ ღია ზღვის შესახებ 1958 წლის კონვენციის მე-11 (1) მუხლში ასე ჩამოყალიბდა:

ღია ზღვაში გემის შეჯახების ან ნავიგაციის სხვა ინციდენტის შემთხვევაში, რომელიც ინვეს დამნაშავეს ან გემზე მომსახურე სხვა პირის სისხლის სამართლის ან დისციპლინარულ პასუხისმგებლობას, სისხლის სამართლებრივი ან დისციპლინარული პასუხისმგებლობა ასეთ პირებს შეიძლება მხოლოდ დროშის ან პიროვნების მოქალაქეობის სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაეკისროს.

ეს დებულება, რომელიც მეორდება 1982 წლის კონვენციის 97-ე (1) მუხლში, აბრუნებს *ლოტუსის საქმესთან* დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას.

¹¹⁸ იხ. H. Kelsen, *On the Issue of the Continental Shelf*, 1986; 6.J. Tanja, *The Legal Determination of International Maritime Boundaries*, 1990; S.V. Scott, *The Inclusion of Sedentary Fisheries Within the Continental Shelf Doctrine*, ICLQ 41 (1992), 788-807; C.L. Rozakis, *Continental Shelf*, *EPIL* (1992), 783-92; U.-D. Klemm, *Continental Shelf, Outer Limits*, *ibid.*, 804-6; *International Boundary Cases: The Continental Shelf*, 2 vols, 1992; S.A. Alexandras *Delimitation of the Continental Shelf in an Enclosed Sea*, *Hague YIL* 5 (1992), 3-32; C.R. Symmons, *The 1992 Protocol to the 1988 Anglo-Irish Agreement on the Continental Shelf*, *ICLQ* 42 (1993), 970-5; B. Kwiatkowska, *A Regional Approach Towards the Management of Marine Activities*, *ZaoRV* 55 (1995), 479-519, at 488 *et seq.*; G. Marston, *The Incorporation of Continental Shelf Rights into United Kingdom Law*, *JCLO* 45 (1996), 13-51. იხ. აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის 1995 წლის კანონი კონტინენტური შელფის შესახებ, *ILM* 35 (1996), 1498.

¹¹⁹ იხ. ზემოთ.

ბას, რადგან გადანყვეტილება ეხებოდა შეჯახებებს და „ნავიგაციის სხვა ინციდენტებს“. მაგრამ ლოტუსის საქმეში ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები ობიექტურ ტერიტორიულ პრინციპთან მიმართებაში, ზოგადად იურისდიქციის საკითხებსა და ჩვეულებითი სამართლის ბუნებასთან დაკავშირებით ძალაში რჩება.

კონტინენტური შელფი

1945 წლამდე ღია ზღვაზე თავისუფლება ნიშნავდა იმას, რომ თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, გამოეყენებინა ზღვის ფსკერი და წიაღი. ამ უფლებით ყველა სახელმწიფო სარგებლობდა; არც ერთ სახელმწიფოს არ მოუთხოვია ღია ზღვის ფსკერზე ან მის წიაღზე განსაკუთრებული უფლება.

თუმცა ნორმები ნელ-ნელა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ნავთობის მოპოვება ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად პრაქტიკული გახდა ოფშორული ნავთობდანადგარების გამოყენებით. 1945 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა გაავრცელა განცხადება, რომ შეერთებულ შტატებს ჰქონდა მისი კონტინენტური შელფის ფარგლებს გარეთ ზღვის ფსკერის ნავთობის მოპოვებისა და დამუშავების განსაკუთრებული უფლება. ტერმინი „კონტინენტური შელფი“ გარკვეულ განმარტებას მოითხოვს.¹¹⁸ მსოფლიოს უმეტეს ნაწილებში ზღვის ფსკერი ნაპირიდან ოდნავ იხრება საკმაოდ დიდ მანძილზე, ვიდრე იგი დიდი ოკეანის ფსკერს შეუერთდებოდა. ამ ოდნავ დახრილ ზღვის ფსკერს, რომელიც დაფარულია მეჩხერი წყლით, გეოლოგებმა კონტინენტური შელფი უწოდეს. ის ძველად მშრალი მიწა იყო. პრეზიდენტ ტრუმენის განცხადებით, კონტინენტური შელფი განსაზღვრული იყო, როგორც ზღვის ფსკერის ისეთი ოფშორული სივრცე, რომლის სიღრმეც არ აღემატებოდა 100 იზოტოპს.

პრეზიდენტ ტრუმენის განცხადება რამდენიმე სახელმწიფომ გადაილო და ნავთობისა და გაზის ოფშორული ბურღვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კარიბისა და სპარსეთის ყურეში. ამას არ მოჰყოლია პროტესტი სხვა სახელმწიფოების მხრიდან, ჩილესა და პერუს გარდა, რომელთა განცხადებებიც პრეზიდენტ ტრუმენის განცხადებას ბევრად აღემატებოდა თავიანთი მოცულობით. ჩილეს და პერუს გეოლოგიურად არა აქვთ კონტინენტური შელფი, მათი სანაპიროების ფსკერი უცებ ვარდება დიდი ოკეანეების სიღრმეში. ამასთანავე, კონტინენტური შელფის მოთხოვნის ნაცვლად, ისინი მოითხოვდნენ სუვერენიტეტს ზღვის ფსკერსა და მის წიაღზე 200 მილის მანძილზე; მათ ასევე მოითხოვეს სუვერენიტეტი მის მიმდებარე წყლებსა და საჰაერო სივრცეზე. ეს მოთხოვნები საერთოდ უგულებელყოფილ იქნა შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების განცხადებებით.

1945 წლის შემდეგ კონტინენტური შელფის ისტორია ახალი ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბების კლასიკურ მაგალითად იქცა. შეერთებული შტატების მოქმედებამ შექმნა პრეცედენტი, რომელიც სხვა სახელმწიფოებმაც მიიღეს – და, რიგ შემთხვევებში, კიდევ ცდილობდნენ გაეფართოვებინათ. ზღვის ფსკერის დამუშავებისა და მოპოვების შესახებ მოთხოვნა ბევრმა სახელმწიფომ გადაილო, ზოგს არ გაუპროტესტებია და, ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმების ჩამოყალიბებას; ხოლო მის ზევით საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის მოთხოვნას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია და არც ახალი ჩვეულებითი სამართლის ნორმა ჩამოყალიბებულა, ვინაიდან ამ პრინციპს ბევრი ქვეყანა დაუპირისპირდა (თავად 200-მილიანი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა,¹¹⁹ რომელიც შედარებით ახალი ცნებაა, სანაპირო სახელმწიფოს სუვერენიტეტზე უფრო უმნიშვნელო უფლებებს ანიჭებს, ვიდრე ჩილესა და პერუს მოთხოვნები).

1958 წლამდე ჩვეულებითი სამართალი კონტინენტური შელფის შესახებ ჯერ კიდევ მეტად გაურკვეველი და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო; კონტინენტური შელფის შესახებ 1958 წლის კონვენციამ ნორმებს კონკრეტულობა და დეტალურობა შემატა. პირველი მუხლი კონტინენტურ შელფს ასე განსაზღვრავს: „ნაპირთან მიმდებარე ზღვის ფსკერი და ტერიტორიული ზღვის გარეთ, წყალქვეშა სივრცის ნიალი, 200 მილის ან უფრო მეტი სიღრმით, სადაც მიმდებარე წყლები იძლევა ამ სივრცეებში ბუნებრივი რუსერსების დამუშავების საშუალებას“.

მე-2 მუხლის თანახმად:

1. სანაპირო სახელმწიფო ახორციელებს სუვერენულ უფლებებს კონტინენტურ შელფზე ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და დამუშავების მიზნით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებები განსაკუთრებულია იმ მხრივ, რომ, თუ სანაპირო სახელმწიფო არ ამუშავებს კონტინენტურ შელფს და არ მოიპოვებს იქ ბუნებრივ რესურსებს, არავის არა აქვს ასეთი საქმიანობის უფლება სანაპირო სახელმწიფოს თანხმობის გარეშე.
3. სანაპირო სახელმწიფოს უფლებები კონტინენტურ შელფზე არ არის დამოკიდებული ფაქტობრივ თუ ეროვნულ კუთვნილებაზე ან აშკარად გამოსატულ განცხადებაზე.
4. ამ მუხლებში ნაგულისხმევი ბუნებრივი რესურსები შედგება ზღვის ფსკერისა და ნიალის მინერალებისაგან, სხვა არაცოცხალი რესურსებისა და მეორადი წარმოშობის ცოცხალი ორგანიზმებისაგან, ანუ ორგანიზმებისაგან, რომლებიც ან არ მოძრაობენ ზღვის ფსკერზე, ან არ შეუძლიათ იმოძრაონ, გარდა მათთვის დამახასიათებელი მუდმივი ფიზიკური კონტაქტისა ზღვის ფსკერთან ან მის ნიალთან.

მე-3 მუხლის თანახმად, „სანაპირო სახელმწიფოს უფლებები კონტინენტურ შელფზე არ მოქმედებს ღია ზღვის იურიდიულ სტატუსზე ან ამ წყლების საჰაერო სივრცეზე“.

მე-5 მუხლის თანახმად, კონტინენტური შელფის დამუშავებამ და მოპოვებამ არ უნდა გამოიწვიოს ნავიგაციის, თევზჭერის კონსერვაციის ან სამეცნიერო გამოკვლევების შეფერხება (პუნქტი 1). 1-ლი პუნქტის თანახმად, სანაპირო სახელმწიფოს შეუძლია ააგოს დანადგარები კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსების დამუშავების მიზნით. დანადგარები შესაძლოა ზღვის ზედაპირზე იყოს განლაგებული, მაგრამ მათ არ გააჩნიათ კუნძულის სამართლებრივი სტატუსი (მაგ., არ გააჩნიათ საკუთარი ტერიტორიული ზღვა), თუმცა სანაპირო სახელმწიფოს შეუძლია თითოეული დანადგარის გარშემო დაანესოს უსაფრთხოების ზონა 500 მეტრის რადიუსზე, ასევე შემუშავებულია დებულებები, რომლებიც არეგულირებენ დანადგარების უსაფრთხოების პირობებს (მაგ., უნდა არსებობდეს მათი არსებობის შესახებ გაფრთხილების ადეკვატური სისტემა, ასევე უნდა მოხდეს მათი უგულუბელყოფა გამოუყენებლობის შემთხვევაში).

კონტინენტური შელფის შესახებ ჟენევის კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები მცირეოდენი ცვლილებით მეორდება 1982 წლის კონვენციის 77-ე და 78-ე მუხლებში. ჟენევის კონვენციის მე-5 მუხლის დებულებები განსხვავებული ფორმითაა დაცული 1982 წლის კონვენციის მე-60 და მე-80 მუხლებში. 1982 წლის კონვენციის 76-ე მუხლი განსხვავდება კონტინენტური შელფის შესახებ კონვენციის 1-ლი მუხლისაგან.

როგორია კონტინენტური შელფის გარე საზღვრები სამართლებრივი თვალსაზრისით? აქვს თუ არა მას რაიმე გარე საზღვრები, ან ვრცელდება თუ არა სანაპირო სახელმწიფოების განსაკუთრებული უფლებები ზღვის ფსკერსა და მის ნიალში შუა ოკეანემდე, ოკეანის სიღრმის მიუხედავად? ეს სასიცოცხლო საკითხია, ვინაიდან მომავალში ზღვის ფსკერმა (ოკეანის ფსკერმა) შესაძლოა დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინოს. ოკეანის ფსკერი ბევრგან დაფარულია მანგანუმის მადნით, რომლის საშუალო დიამეტრი დაახლოებით

¹²⁰ *North Sea Continental Shelf Cases*, ICJ Rep. 1969, 3-257, at 31, 47, 53. იხ. თ. 3; *Arbitration Between the UK and Northern Ireland and the French Republic on the Delimitation of the Continental Shelf*, Cmnd. 7438 (1979), ILM 18 (1979), 397-494; *Continental Shelf (Libya v. Malta) Case*, ICJ Rep. 1985, 13-187; *Continental Shelf (Tunisia v. Libya) Case*, ICJ Rep. 1982, 18-323; G. Jaenicke, *EPIL* 2 (1981), 205-8; U.-D. Klemm, R. Oellers-Frahm, *EPIL* 1 (1992), 792-5; 795-8; 798-804.

¹²¹ იხ. ზემოთ.

¹²² *ICJ Rep.* 1985, at 33, 35. იხ. D.N. Hutchinson, *The Seaward Limit to Continental Shelf Jurisdiction in Customary International Law*, *BYIL* 56 (1985), 11118.

¹²³ იხ. B.H. Oxman, *The High Seas and the International Seabed Area*, *Mich. JIL* 10 (1989), 526-42; F. Zegers Santa Cruz, *Deep Sea-Bed Mining Beyond National Jurisdiction in the 1982 UN Convention on the Law of the Sea: Description and Prospects*, *GYIL* 31 (1988), 107-19; W.G. Vithlum, *International Sea-Bed Area*, *EPIL* II (1995), 1372-76.

¹²⁴ *Brownlie BOIL*, 124-8.

¹²⁵ იხ. R. Wolfrum, *International Sea-Bed Authority*, in *Wolfrum UNLPPH*, 789-96.

4სმ-ს აღწევს და შეიცავს 50 პროცენტ მანგანუმს, სპილენძის, ნიკელის, კობალტისა და სხვა მადნების შესაძლო შემცველობით. გამოკვლეულია, რომ წყნარი ოკეანის ფსკერზე ასეთი მადნეულის რაოდენობა 1 500 000 მილიონ ტონას შეადგენს, რომლებიც ზოგჯერ თითო კვადრატულ მილზე 100 000 ტონის ოდენობით არის კონცენტრირებული.

კონტინენტური შელფის შესახებ 1958 წლის უენევის კონვენციის I მუხლი გამოყენების შესაძლებლობას განიხილავს, როგორც კონტინენტური შელფის გარე საზღვრის დადგენის კრიტერიუმს. ეს შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ კონტინენტური შელფი, სამართლებრივი თვალსაზრისით, შუა ოკეანემდე გაგრძელდეს; მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია საფუძველს მოკლებულია რამდენიმე მიზეზის გამო. უენევის კონვენცია კონტინენტურ შელფს განიხილავს, როგორც „ნაპირთან მიმდებარე წყალქვეშა სივრცეს“ და, ამდენად, შუა ოკეანე არ შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე სანაპირო სახელმწიფოს მიმდებარე სივრცედ. და კვლავ, *North Sea Continental Shelf*-ის დავასთან¹²⁰ დაკავშირებით, საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონტინენტური შელფი სახმელეთო ტერიტორიის ნაგრძელებსაა, ზღვის ფსკერი კი ძალიან ღრმაა და ძალიან დაშორებულია ნაპირს, რომ იგი სახმელეთო ტერიტორიის გაგრძელებად ჩაითვალოს. დაბოლოს, გეოლოგიური, ისევე როგორც სამართლებრივი თვალსაზრისით იმის განცხადება, რომ ზღვის ფსკერი კონტინენტური შელფის ნაწილია, ისევე აბსურდულია, როგორც იმის მტკიცება, რომ აფრიკა ავსტრალიის ნაწილია. 1982 წლის კონვენციის 76-ე (1) მუხლის თანახმად:

სანაპირო სახელმწიფოს კონტინენტური შელფი შედგება წყალქვეშა სივრცის ფსკერისა და მისი წიაღისაგან, რომელიც აგრძელებს ზღვას და სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელებაა კონტინენტური ზღვრის უკიდურეს წერტილამდე, ან ტერიტორიული ზღვის ათვისების საწყისი ხაზებიდან 200 მილის მანძილზე, თუ კონტინენტური ზღვრის უკიდურესი გარე წერტილი ამ მანძილს არ აღემატება.

76-ე მუხლი ასევე შეიცავს მეტად რთულ და წინააღმდეგობრივ დებულებებს კონტინენტური ზღვრის უკიდურესი გარე წერტილის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კონტინენტური ზღვარი მოიცავს არა მხოლოდ კონტინენტურ შელფს, არამედ კონტინენტურ დახრილსაც, რომელიც კონტინენტური შელფის გარეთ ღრმად იხრება, და კონტინენტურ, მაღლივ, ოდნავ დახრილ სივრცეს კონტინენტურ შელფსა და ზღვის ფსკერს შორის. მინიმალური ზღვარი 200 მილის ოდენობით, რომელიც გადმოღებულ იქნა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დებულებებიდან,¹²¹ უთუოდ შეადგენს საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმას.¹²²

ზღვის ფსკერი

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1970 წლის 17 დეკემბრის №2749 (XXV) რეზოლუციის თანახმად (108 ხმა, 14-მა თავი შეიკავა), ზღვის ფსკერი კაცობრიობის საერთო საკუთრებად გამოცხადდა¹²³ და ჩამოყალიბდა სხვადასხვა პრინციპები, რომლებიც მისი რესურსების შემდგომ გამოყენებას არეგულირებდა.¹²⁴ ეს პრინციპი დეტალურად არის გადმოცემული 1982 წლის კონვენციის III და IV დამატებების 133-91 მუხლებში. 1982 წლის კონვენციის თანახმად, ზედამხედველობა ზღვის ფსკერზე (ანუ ზღვის ფსკერი კონტინენტური შელფის გარეთ, როგორც ეს განსაზღვრულია 76-ე მუხლით) დაეკისრებოდა ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოს, რომელიც დაამუშავებდა ფსკერს და მის წიაღს ან მისცემდა ლიცენზიებს სხვა სახელმწიფოებს ან კომერციულ კომპანიებს¹²⁵ (ორგანოს ძალაუფლება მხოლოდ ზღვის ფსკერსა და ზღვის წიაღზე ვრცელდება); 1982 წლის კონვენციის 135-ე მუხლი აცხა-

დებს, რომ 1982 წლის კონვენციის დებულებები ზღვის ფსკერისა და ორგანოს შესახებ არ მოახდენს გავლენას მიმდებარე წყლების (ღია ზღვის) ან მის გარეთ საჰაერო სივრცის იურიდიულ სტატუსზე. ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანო ასევე მიიღებს შემოსავალს კონტინენტური შელფის 200 მილის ფარგლებს გარეთ დამუშავებისათვის; სანაპირო სახელმწიფო კი მიიღებს ამგვარი შემოსავლის დანარჩენ ნაწილს.¹²⁶ ორგანო მის მიერ მიღებულ შემოსავალსა და სარგებელს მთლიანობაში კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოიყენებს და მხედველობაში მიიღებს განვითარებადი სანაპირო ან სახმელეთო სახელმწიფოების საჭიროებებს.

განვითარებადი სახელმწიფოები იმედოვნებდნენ, რომ ფინანსურ სარგებელს მიიღებდნენ ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოდან და ამიტომაც მიესალმნენ 1982 წლის კონვენციის IX ნაწილს, როგორც გამარჯვებას „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის“¹²⁷ დამყარების სანაცვლოდ. მაგრამ განვითარებული სახელმწიფოები, რომლებიც დახვეწილი ტექნოლოგიებისა და უდიდესი კაპიტალის მფლობელი ქვეყნები არიან, დაჟინებით მოითხოვდნენ იმ თანხებისა და ძალისხმევის სამართლიან ანაზღაურებას, რომელსაც ისინი დახარჯავდნენ ამ რესურსების გამოსაყენებლად. ინტერესთა დაპირისპირებამ დააზარალა 1982 წლის კონვენციის რიგი დებულებები ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოს ფუნქციების, უფლებამოსილებების, სტრუქტურისა და კენჭისყრის პროცედურების შესახებ და დაძაბა ურთიერთობები მომპოვებელ კომპანიებსა და ორგანოს შორის. 1981 წლამდე თითქოს ჩანდა, რომ საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონფერენცია მიაღწევდა კომპრომისს განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესებთან დაკავშირებით.¹²⁸ მაგრამ 1981 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რეიგანმა მოითხოვა ზოგიერთი ცვლილების შეტანა ზღვის ფსკერისა და ორგანოს შესახებ 1980 წლის პროექტის დებულებებში, რათა ეს დებულებები უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო განვითარებული სახელმწიფოებისათვის. კონფერენციამ შეიტანა ეს ცვლილებები 1980 წლის პროექტში, რომ იგი მისაღები გამხდარიყო განვითარებული სახელმწიფოებისათვის, მაგრამ დასავლური ქვეყნები (მათ შორის შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო) მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ და უარი განაცხადეს 1982 წლის კონვენციის ხელმოწერასა და რატიფიკაციაზე.¹²⁹

თუმცა, პრეზიდენტ რეიგანის არჩევამდე 1981 წელს, შეერთებული შტატები იმდენად ვერ ითმენდა შეუთანხმებლობასა და ჩავარდნებს, რომ შემოიღო კანონი, რომლის თანახმადაც შეერთებული შტატების კომპანიებს შეეძლოთ ზღვის ფსკერის დამუშავების დაწყება.¹³⁰ მსგავსი კანონები მიღებულ იქნა აგრეთვე სხვა განვითარებული სახელმწიფოების – მაგ., საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, იაპონიის, გაერთიანებული სამეფოსა და სსრკ-ს მიერ. ამ სახელმწიფოთა უმრავლესობა (სსრკ-ს გარდა), შეთანხმდა, რომ ერთი „შემთანხმებელი სახელმწიფოს“¹³¹ კომპანიას არ ჰქონდა უფლება, ისეთ ადგილებში ემუშავა, რომლებიც ლიცენზირებული იყო სხვა „შემთანხმებელი სახელმწიფოს“ მიერ. ეს კანონები არ იყო მიმართული ზღვის ფსკერის ნებისმიერ ნაწილზე რაიმე უფლებების დაწესებისაკენ, რომლის ძალითაც იგი განსაკუთრებული გახდებოდა იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც არ ჰქონდათ მიღებული ამგვარი კანონები. უფრო მეტიც, ეს კანონები ძალაში რჩება, ვიდრე ძალაში შევა კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ. ისინი მთავრობის მიერ ზღვის ფსკერის დამუშავებიდან მიღებულ შემოსავალს გაუნაწილებენ განვითარებად სახელმწიფოებს ან გადასცემენ ზღვის ფსკერის მართვის საერთაშორისო ორგანოს. ამის მიუხედავად, ეს კანონები დაგმეს განვითარებადმა სახელმწიფოებმა, როგორც გენერალური ასამბლეის 2749 (XXVI) რეზოლუციის¹³² დარღვევა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1982 წლის კონვენციის XI ნაწილის განხორციელების შესახებ 1994 წლის შეთანხმებამ შეცვალა ზღვის ფსკერის მოპოვების

¹²⁶ Article 82, 1982 Convention.

¹²⁷ *ib. id.*, 15.

¹²⁸ *ib. id.* The 1980 draft of the 1982 Convention in *ILM* 19 (1980), 1129.

¹²⁹ *ib. id.* ზემოთ.

¹³⁰ *ILM* 19 (1980), 1003.

¹³¹ *ILM* 23 (1984), 1354.

¹³² *ib. id.* *AJIL* 73 (1979), 30-8.

¹³³ იხ. ზემოთ.

¹³⁴ იხ. Marffy-Manluano, *op. cit.*, 821-4.

¹³⁵ იხ. S.P. Jagota, *Maritime Boundary*, 1985; P. Well, *The Law of Maritime Delimitation - Reflections*, 1989; L. Cafilisch, *Maritime Boundaries, Delimitation*, *EPIL* 11 (1989), 212-9; D.M. Johnston/M.J. Valencia, *Pacific Ocean Boundary Problems: Status and Solutions*, 1991; M. Habibur Raiman, *Delimitation of Maritime Boundaries*, 1991; E.M.D. Evans, *Maritime Delimitation and Expanding Categories of Relevant Circumstances*, *ICLO* 40 (1991), 1 *et seq.*; D.H. Anderson, *Recent Boundary Agreements in the Southern North Sea*, *ICLQ* 41 (1992), 414-23; M.D. Evans, *Delimitation and the Common Maritime Boundary*, *BYIL* 64 (1993), 283-332; E. Franckx, *Maritime Claims in the Arctic: Canadian and Russian Perspectives*, 1993; P.J.I. Charney/L.M. Alexander, *International Maritime Boundaries*, 2 vols, 1993; E.A. Ahnsh, *The International Law of Maritime Boundaries and the Practice of States in the Mediterranean*, 1993; G.H. Blake (ed.), *World Boundaries*, Vol. 5: *Maritime Boundaries*, 1994; J.I. Charney, *Progress in International Maritime Boundary Delimitation Law*, *AJIL* 88 (1994), 227.

¹³⁶ Decision of 10 June 1992, *ILM* 31 (1992), 1145; M.D. Evans, *Less Than an Ocean Apart: The St Pierre and Miquelon and Jan Mayen Islands and the Delimitation of Maritime Zones*, *ICLQ* 43 (1994), 678; *ICJ Rep.* 1995, 6, *ILM* 34 (1995), 1204; *ICJ Rep.* 1994, 112, *ILM* 33 (1994), 1461; *op. cit.*, 488 *et seq.*; Kwiatkowska, *Equitable Maritime Boundary Delimitation*, in V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 264-92.

რეჟიმი თითქმის ყველა მხარის სასარგებლოდ.¹³³ ცვლილებებისათვის ძირითადად ორგვარი მიზეზი არსებობდა. პირველი, ცხადი გახდა, რომ ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში საკმაოდ დაინიშნა ფასებმა ლითონზე, რამაც გამოიწვია ზღვის ფსკერის მოპოვებაზე კომერციული ინტერესების შესუსტება. ბიუროკრატიული სტრუქტურა, რომელიც XI ნაწილში ჩამოყალიბებულ დეტალურ დებულებებს ეყრდნობოდა, უკვე აღარ იყო საჭირო. მეორე, ცივი ომის დასრულებამ და საბაზრო პრინციპებზე გლობალურად გადასვლამ ინტერესები შეცვალა. შეცვლილი რეჟიმის დეტალები და შეთანხმების დებულებების გამოყენებასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემები (ვიდრე ძალაში შევა, ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 25-ე მუხლის თანახმად)¹³⁴ სცდება წინამდებარე წიგნის ფარგლებს.

საზღვაო საზღვრები

ბოლო წლებში ბევრი დავა¹³⁵ წარმოიქმნა საზღვაო სივრცეებს შორის საზღვრებთან დაკავშირებით საერთაშორისო ტრიბუნალებსა და საერთაშორისო სასამართლოებში.¹³⁶ ტერიტორიული ზღვის შესახებ 1958 წლის ჟენევის კონვენციის მე-12 (1) მუხლის თანახმად:

იქ, სადაც ორი სახელმწიფოს ნაპირები ურთიერთსაპირისპირო მხარესაა ან ერთმანეთს ესაზღვრება, არცერთს ამ სახელმწიფოთაგან, შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, არა აქვს უფლება, გააფართოოს თავისი ტერიტორიული ზღვა იმ საშუალო ხაზს მიღმა, რომლის ყოველი წერტილი თანაბარი მანძილით არის დაცილებული ათვლის საწყისი ხაზებიდან, საიდანაც იწყება ორივე სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვის გაზომვა. ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვის დელიმიტაცია ისტორიული პირობების ან რაიმე საგანგებო გარემოებების გათვალისწინებით, ამ დებულებებისაგან განსხვავებული წესებით.

იგივე წესები მოცემულია 1982 წლის კონვენციის მე-15 მუხლში. მიმდებარე ზონის შემთხვევაში, ტერიტორიული ზღვის შესახებ ჟენევის კონვენციის 24-ე (3) მუხლი იმავე წესს ითვალისწინებს, რასაც მე-12 (1) მუხლი, გარდა იმისა, რომ იგი არ შეიცავს მე-12 მუხლში მოცემულ უკანასკნელ წინადადებას. 1982 წლის კონვენცია არ შეიცავს არც ერთ დებულებას, რომელიც განსაზღვრავს საპირისპირო ან მიმდებარე სახელმწიფოთა მიერ სადავო ზონის დელიმიტაციის საკითხს.

კონტინენტური შელფის შესახებ 1958 წლის ჟენევის კონვენციის თანახმად,

იმ შემთხვევაში, როდესაც კონტინენტური შელფი ესაზღვრება ისეთი ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიებს, რომელთა ნაპირებიც ერთმანეთის საპირისპირო მხარესაა, ასეთ სახელმწიფოთა კონტინენტური შელფის საზღვრები მათ შორის შეთანხმებით უნდა განისაზღვროს. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ან როდესაც სხვა სასაზღვრო ხაზი გამართლებულია რაიმე სპეციალური გარემოებებით, საზღვარია ის საშუალო ხაზი, რომლის ყოველი წერტილი თანაბარი მანძილით არის განლაგებული ათვლის საწყისი ხაზის უახლოესი წერტილებიდან, საიდანაც იწყება თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვის სივრცის გაზომვა.

მე-6 (2) მუხლი იმავე წესს მიმართავს, „როდესაც იგივე კონტინენტური შელფი ორი სახელმწიფოს მიმდებარე საზღვრებს ესაზღვრება“.

ტერიტორიული ზღვის შესახებ ჟენევის კონვენციამდე მე-12 (1) და 24-ე (3) მუხლების ძალით უმთავრესი მნიშვნელობა თანაბარი მანძილის პრინციპს ენი-

¹³⁷ *North Sea Continental Cases*, *op. cit.*, 16-8.
¹³⁸ *ibid.*, especially 46-54.
¹³⁹ *ILR*, Vol. 54, 6, 8-10, 54-9, 101-3, 123-4.
¹⁴⁰ იბ. თ. 3.

ჭება. საპირისპიროდ, კონტინენტური შელფის შესახებ ჟენევის კონვენციის მე-6 მუხლი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს დელიმიტაციას შეთანხმების საფუძველზე. ტერიტორიული ზღვის შესახებ ჟენევის კონვენციის მე-12 (1) მუხლისა და კონტინენტური შელფის შესახებ ჟენევის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „განსაკუთრებული გარემოებები“ თანაბარი მანძილის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს, მაგრამ პრაქტიკულად, „განსაკუთრებული გარემოებების“ გამონაკლისი უფრო ხშირად გამოიყენება კონტინენტური შელფის და არა ტერიტორიული ზღვის დელიმიტაციისათვის, ვინაიდან კონტინენტური შელფი ტერიტორიული ზღვის უფრო დიდ მანძილზე ვრცელდება; თანაბარი მანძილის პრინციპზე დაფუძნებული საზღვაო საზღვრები ხშირად ირღვევა კუნძულებისა და ნაპირების შეზენიქილობის გამო, და ასეთი დარღვევები მით უფრო იზრდება, რაც უფრო შეწეულია იგი ზღვისკენ.¹³⁷ ამგვარი დარღვევები ასატანია, თუ იგი საშუალებას აძლევს ერთ სახელმწიფოს, რამდენიმე მილით გააფართოოს თავისი ტერიტორიული ზღვა სხვა სახელმწიფოს ხარჯზე, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ ერთ სახელმწიფოს ეძლევა საშუალება, გააფართოოს თავისი კონტინენტური შელფი ასეულობით მილის მანძილზე სხვა სახელმწიფოს ხარჯზე.

ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმესთან (*North Sea Continental Shelf case*) დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ კონტინენტური შელფის შესახებ ჟენევის კონვენციის მე-6 (2) მუხლის დებულებები არ იყო ჩვეულებითი სამართლის ნორმები და, ამრიგად, არც იყო სავალდებულო დასავლეთ გერმანიისათვის, რომელიც არ გახლდათ კონვენციის მონაწილე მხარე. თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ შესაბამისი ჩვეულებითი სამართლის ნორმა მოითხოვდა, რომ მხარეებს (დასავლეთ გერმანიას, დანიას და ნიდერლანდებს) უნდა მოელაპარაკათ და მიეღწიათ შეთანხმებისათვის თანასწორუფლებიანი დელიმიტაციის შესახებ.¹³⁸ აღსანიშნავია, რომ ინგლისის არხის კონტინენტური შელფის დელიმიტაციასთან დაკავშირებით გაერთიანებულ სამეფოსა და საფრანგეთს შორის უფრო მოგვიანებით წარმოქმნილი დავის გადაწყვეტილების თანახმად, არსებობს გარკვეული განსხვავება ჩვეულებით სამართალსა და კონტინენტური შელფის შესახებ¹³⁷ ჟენევის კონვენციის მე-6 მუხლს შორის; გაერთიანებული სამეფოც და საფრანგეთიც კონვენციის მხარეები იყვნენ, მაგრამ მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, რომ არხის კუნძულების და სილის კუნძულების განლაგება კონვენციის მე-6 მუხლის „განსაკუთრებულ გარემოებებს“ შეესაბამება და რომ საზღვრები თანასწორობის პრინციპით უნდა იყოს დაცული (რაც საშუალო ხაზის (თანაბარი მანძილის) პრინციპიდან გადახვევა იქნებოდა).¹³⁹

თანაბარი მანძილის პრინციპის დეგრადაცია უკვე გამოვლინდა 1982 წლის კონვენციის 83-ე (1) მუხლით, რომლის თანახმადაც: „საპირისპირო ან მოსაზღვრე სახელმწიფოების კონტინენტური შელფის საზღვრების დელიმიტაცია უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლით სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით, როგორც ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლით, რათა მიღწეულ იქნეს თანასწორი გადაწყვეტილება“. 1982 წლის კონვენციის 74-ე (1) მუხლი იმავე წესს ითვალისწინებს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დელიმიტაციისათვის.¹⁴⁰ 83-ე (1) და 74-ე (1) მუხლები დაუკონკრეტებელია, მაგრამ იგი აუცილებელია; მთლიანად დელიმიტაციის საკითხი მძაფრი წინააღმდეგობების წყარო იყო UNCLOS III-ზე. სასამართლო და საარბიტრო გადაწყვეტილებები ალბათ მომავალში უფრო გაარკვევენ „თანასწორი გადაწყვეტილების“ ცნებას, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, მეტად ნელი პროცესია; ის, რაც თანასწორი იქნება ერთ გეოგრაფიულ სიტუაციაში, არ იქნება თანასწორი სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ სიტუაციაში და არსებობს საშიშროება, რომ თითოეული განხილული დავა თავისთავად განსაკუთრებული იქნება, ამასთანავე, ვერ გამოდგება პრეცედენტად სხვა დავებისათვის.

¹⁴¹ იხ. G. Marston, Abandonment of Territorial Claims: The Cases of Bouvet and Spratly Islands, *BYIL* 57 (1986), 337-56; H. Chiu, Spratly Archipelagos, *EPIL* 12 (1990), 357-60; J. Greenfield, *China's Practice in the Law of the Sea*, 1992; 1992 UN Secretary-General Report, *op. cit.*, paras. 31-7; J.I. Charney, *China and the South China Sea Disputes: Conflicting Claims and Potential Solutions in the South China Sea*, 1995; Charney, *Central East Asian Maritime Boundaries and the Law of the Sea*, *AJIL* 89 (1995), 724-49.

1982 წლის კონვენციის მე-12 (3) მუხლის თანახმად, „კლდეებს, რომლებზეც არ არსებობს სიცოცხლე ან ეკონომიკური ცხოვრება, არ შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა ან კონტინენტური შელფი“. ეს ინოვაცია სასურველად ითვლება სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის (მაგრამ ალბათ არა გაერთიანებული სამეფოსათვის, რომელიც 200 მილიან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას მოითხოვს Rockall-ის გარშემო. ეს არის ჰებრიდეებიდან 180 მილის დასავლეთით მდებარე უკაცრიელი კლდე). ამასთანავე, 121-ე მუხლის თანახმად, ასეთ კლდეებს თავიანთი ტერიტორიული ზღვა და მიმდებარე ზონა აქვს.

ჯერაც გადაუჭრელ რეგიონურ დავათაგან რამდენიმე ყველაზე სერიოზული დავა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონშია. განსაკუთრებით ეს ეხება სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მდებარე სპრატლის კუნძულებს.¹⁴¹

13. საჰაერო სივრცე და კოსმოსური სივრცე

საჰაერო სივრცე

1900-1914 წლებში მეცნიერ-იურისტებმა წამოაყენეს სხვადასხვა თეორიები საჰაერო სივრცის სამართლებრივი სტატუსის შესახებ (სამართლებრივი რეჟიმი)¹. თუმცა 1914 წელს უკვე აშკარა იყო, რომ სახელმწიფოებს სურდათ სრული სუვერენიტეტი თავიანთი ტერიტორიის ზემოთ განლაგებულ საჰაერო სივრცეზე, რომელსაც არ შეზღუდავდა მშვიდობიანი გავლის უფლება; სულ მალე წარმოიშვა მსგავსი შინაარსის ჩვეულებითი სამართლის ნორმაც. სახელმწიფოები დღესაც ინარჩუნებენ ასეთ მიდგომას. პირველი მსოფლიო ომის დროს სხვადასხვა ქვეყნები აქტიურად იყენებდნენ სამხედრო თვითმფრინავებს დაბომბვისა და დაზვერვისათვის. ამის შედეგი ის იყო, რომ სახელმწიფოები, უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე, მხარს არ უჭერდნენ სხვაგვარი შინაარსის ნორმას (ალსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს უპირატესად ნეიტრალური სახელმწიფოები იყენებდნენ უფლებას, განედევნათ მეომარი სახელმწიფოების საჰაერო სამხედრო ხომალდები საკუთარი საჰაერო სივრციდან, რათა თავიდან აეცილებინათ საჰაერო ბრძოლები). ამის შემდეგ წარმოიშვა ჩვეულებითი სამართლის ნორმა, რომლის საფუძველზეც თვითმფრინავებს უფლება აქვთ, იფრინონ ღია ზღვის ზემოთ, მაგრამ არა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან ტერიტორიული ზღვის ზემოთ.² ეს ნესი განამტკიცა 1944 წლის ჩიკაგოს კონვენციამ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, რომლის თანახმად, „ყოველ სახელმწიფოს აქვს სრული და ექსკლუზიური სუვერენიტეტი თავისი ტერიტორიის ზემოთ“.³

თუ სახელმწიფოს თვითმფრინავები უნებართვოდ შედიან სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში, მაშინ ისინი არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. 1950-60-იან წლებში რამდენიმე საჰაერო ინციდენტი მოხდა, როდესაც უნგრეთი, სსრკ და ჩეხოსლოვაკია თავს დაესხნენ და ჩამოაგდეს აშშ-ს სამხედრო თვითმფრინავები, ან მათ მიწაზე დაშვება აიძულეს და დააპატიმრეს მათი ეკიპაჟები.⁴ აშშ ამტკიცებდა, რომ ძალის გამოყენება გაუმართლებელი იყო, რადგან მის თვითმფრინავებს გზა აებნათ და განზრახვის გარეშე დაარღვიეს სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცე. საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) არ მიიღო აშშ-ს შეტანილი საჩივრები, რადგან მოპასუხე სახელმწიფოებმა არ აღიარეს სასამართლოს იურისდიქცია.⁵ სასამართლომ აგრეთვე უარყო თავისი იურისდიქცია საქმეებზე, რომლებიც შეიტანეს ისრაელმა, აშშ-მ და გაერთიანებულმა სამეფომ ბულგარეთის წინააღმდეგ. აღნიშნული საქმეები ეხებოდა 1955 წელს ბულგარეთის მიერ ისრაელის რეგულარული სავაჭრო თვითმფრინავის ჩამოგდებას, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები ისხდნენ.⁶

1960 წლის მაისში საბჭოთა კავშირმა ჩამოაგდო აშშ-ს მზვერავი თვითმფრინავი U2 თავის ტერიტორიაზე. საჰაერო სივრცის დარღვევაზე პროტესტის ნიშნად სსრკ-მ უარი განაცხადა აშშ-სთან ერთად სამიტში მონაწილეობაზე.⁷ აშშ-ს არ გაუპროტესტებია U2-ის ჩამოგდება. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ სახელმწიფოებს ყოველთვის ჰქონდათ საჰაერო სივრცის დამრღვევ თვითმფრინავებზე თავდასხმის უფლება. 1953 წელს ლისიციმმა⁸ წამოაყენა მოსაზრება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოთა პრაქტიკიდან გამომდინარეობდა ჩვეულებითი სამართლის შემდეგი ნესი: „ტერიტორიულმა სუვერენიმ არ უნდა მიაყენოს გაუმართლებელი ზიანი საჰაერო სივრცის დამრღ-

¹ Harris CMIL, 217-22; P.S. Dempsey, *Law and Foreign Policy in International Aviation*, 1987; K.-G. Park, *La protection de la souverainete aeriennne*, 1991; B. Cheng, *Air Law*, EPIL 1 (1992), 66-72; I.H.P. Diederiks-Verschoor, *An Introduction to Air Law*, 5th edn 1993; S. Shubber, *The Contribution of the International Court of Justice to Air Law*, in V.Lowel M. Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 316-26.

² იხ. K. Hailbronner, *Air-Space over Maritime Areas*, EPIL 1 (1992), 90-4 და თ. 12.

³ იხ. 15 UNTS 295; L. Weber, *Chicago Convention, Epil 1* (1992), 571-3.

⁴ *U.S. v. Hungary*, ICJ Rep. 1954, 99-105; *Aerial Incident of October 1952*, ICJ Rep 1956, 9-11; *Aerial Incident of 10 March*, იხ. იქვე, 6-8; *Aerial Incident of 4 September 1954*, ICJ Rep. 1958, 158-61; *Aerial Incident of 7 November 1954*, ICJ Rep. 1959, 276-8. იხ. K. Hailbronner, *Aerial Incident Cases (U.S. v. Hungary; U.S. v. Czechoslovakia; U.S. v. U.S.S.R.)*, EPIL 1 (1992), 50-2.

⁵ იხ. თ. 18.

⁶ *Aerial Incident of 27 July 1995 (Israel v. Bulgaria)*, ICJ Rep. 1995, 127-204. იხ. K. Hailbronner, *Aerial Incident of 27 July 1955 Cases (Israel v. Bulgaria, U.S. v. Bulgaria, U.K v. Bulgaria)*, EPIL 1 (1992), 52-4.

⁷ იხ. *AJIL* 54 (1960), 836 და *AJIL* 56 (1962), 135; *Column. LR* (1961), 1074. შპიონაჟის შესახებ იხ. J. Kish, *International Law and Espionage*, 1995.

⁸ *AJIL* 47 (1953), 559, 586. იხ. J. N. Hyde, Oliver J. Lissitzyn (1912-1994), *AJIL* 89 (1995), 88-90.

⁹ იხ. თ. 6 და თ. 21.

¹⁰ JLM 22 (1983), 1185, 187.

¹¹ იხ. იქვე, 1148.

¹² იხ. იქვე, 1110, 1114, 1118, 1129.

ვევ თვითმფრინავებს. გაუმართლებელი ზიანი ნიშნავს, რომ მიყენებული ზიანი არ უნდა იყოს იმაზე დიდი, ვიდრე საჰაერო სივრცის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს“. ეს ძალზე მოქნილი პრინციპია. ამ წესის თანახმად, სახელმწიფოს არ შეუძლია თავს დაესხას საჰაერო სივრცის დამრღვევ თვითმფრინავს, თუ არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თვითმფრინავი საფრთხეს უქმნის აღნიშნული სახელმწიფოს უსაფრთხოებას (აშკარაა, ამ წესის თანახმად თავდასხმის საფრთხის ქვეშ უფრო მეტად აღმოჩნდებიან სამხედრო და არა სამოქალაქო თვითმფრინავები); ამავე წესიდან გამომდინარეობს, რომ ტერიტორიულმა სუვერენმა თავდაპირველად უნდა გააფრთხილოს თვითმფრინავი, შეცვალოს მიმართულება ან მიწაზე დაეშვას და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს შეტევა. თუმცა არის გამონაკლისიც: როდესაც არსებობს ეჭვი, რომ თვითმფრინავი სერიოზულ და დაუყოვნებელ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას და, როდესაც შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების მიცემა.

ლისიციინის მოქნილი მიდგომა კვლავ ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც სამხედრო თვითმფრინავები კვეთენ სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცეს ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. თუმცა გარკვეული უთანხმოება არსებობს ამ წესის გამოყენების თაობაზე იმ შემთხვევებში, როდესაც სამოქალაქო თვითმფრინავი კვეთს საჰაერო სივრცეს სახელმწიფოს თანხმობის გარეშე. ზოგიერთი სახელმწიფო თვლის, რომ ლისიციინის მოქნილი წესის გამოყენება სამოქალაქო თვითმფრინავებთან მიმართებაშიც შეიძლება, ხოლო სხვა სახელმწიფოები (და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO), გაეროს სპეციალიზებული სააგენტო)⁹ მიიჩნევენ, რომ თავდასხმის განხორციელება სამოქალაქო ავიაციაზე არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ სამოქალაქო თვითმფრინავი კვეთს სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცეს სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, მაშინ აღნიშნულ ხომალდს შეიძლება უბრძანონ ტერიტორიის დატოვება ან მიწაზე დაშვება; თუ თვითმფრინავი არ დაემორჩილება ამ ბრძანებას, მაშინ სახელმწიფოს, რომლის საჰაერო სივრცეც დაირღვა, შეუძლია პროტესტი განუცხადოს მეორე სახელმწიფოს, რომელშიც თვითმფრინავია რეგისტრირებული. მართალია, საზღვრის დამრღვევ თვითმფრინავზე თავდასხმა არ შეიძლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას აქვს სამართლებრივი უფლება, დაარღვიოს სხვა სახელმწიფოს საზღვარი.

1981 წლის სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა „ყოველთვის თავი უნდა შეიკავონ იარაღის გამოყენებისაგან სამოქალაქო თვითმფრინავების შეპყრობის დროს“.¹⁰ 1983 წელს სსრკ-მ ჩამოაგდო კორეის სამოქალაქო ლაინერი, რომელმაც დაარღვია სსრკ-ს საჰაერო სივრცე. გაეროს უშიშროების საბჭომ შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი¹¹, რომელიც გმობდა სსრკ-ს ქმედებას, მაგრამ რეზოლუციის მიღება ვერ მოხერხდა, რადგან საბჭოთა კავშირმა ვეტოს უფლება გამოიყენა (ცხრა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა რეზოლუციას, წინააღმდეგი იყო პოლონეთი, ხოლო ჩინეთმა, გვინეამ, ნიკარაგუამ და ზიმბაბვემ თავი შეიკავეს). რეზოლუციის პროექტის პრეამბულა შეიცავდა დებულებებს, რომლებიც „განამტკიცებდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომლებიც კრძალავს ისეთი სახის ძალადობას, რაც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებას „აღნიშნული წესი გულისხმობს, რომ თავდასხმა სამოქალაქო მფრინავობიექტებზე ყოველთვის აკრძალულია (ეს აკრძალვა არ ვრცელდება სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცის დამრღვევ სამხედრო თვითმფრინავებზე). ამ „აბსოლუტურ“ ნორმას მხარი დაუჭირეს აშშ-მ, სამხრეთ კორეამ, ავსტრალიამ, ტოგომ, ეკვადორმა და პორტუგალიამ;¹² კანადამ, ზაირმა, დასავლეთ გერმანიამ და ფიჯიმ მხარი ლისიციინის წესს დაუჭირეს, თუმცა აღნიშნეს, რომ სსრკ-ს ქმედება „არაპროპორ-

ციული“ იყო არსებულ გარემოებებში.¹³ აღსანიშნავია, რომ სსრკ-ც კი არ თვლიდა, რომ მას ჰქონდა შეუზღუდავი უფლება, ჩამოეგდო სხვა სახელმწიფოს სამოქალაქო თვითმფრინავი, რომელმაც დაარღვია საჰაერო სივრცე. სსრკ ამტკიცებდა, რომ მან სამხრეთ კორეის სამოქალაქო ლაინერი აშშ-ს სადაზვერვო თვითმფრინავად ჩათვალა და რომ სამხრეთ კორეის თვითმფრინავი საექვოდ იქცეოდა და არ დაემორჩილა საბჭოთა კავშირის შესაბამისი უწყების ბრძანებას, რომ მინაზე დაშვებულიყო.¹⁴

1984 წელს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ დამატება (მუხ. *3bis*) შეიტანა 1944 წლის საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციაში¹⁵ (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუცია). აღნიშნული დამატების თანახმად, „თავისი სუვერენიტეტის განხორციელებისას ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, რომ სამოქალაქო თვითმფრინავს, რომელიც მის ტერიტორიაზე მიფრინავს ნებართვის გარეშე, მოსთხოვოს მინაზე დაშვება მითითებულ აეროპორტში“. თუმცა იქვე აღნიშნულია: „ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ნებისმიერი სახელმწიფო თავს შეიკავებს, გამოიყენოს იარაღი სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ და შეუქმნას საფრთხე ბორტზე მყოფ ადამიანებს [ასეთი მფრინავი ობიექტის] ხელში ჩაგდების შემთხვევაში“.¹⁶

ირანსა და ერაყს შორის ომის დროს (1980-88),¹⁷ 1988 წლის 3 ივლისს, სპარსეთის ყურეში ირანულ სამხედრო გემებთან შეტაკებისას აშშ-ს სამხედრო გემმა, რომელსაც ეგონა, რომ ჰაერიდანაც დაესხნენ თავს, შეცდომით ჩამოაგდო ირანული სამოქალაქო თვითმფრინავი. დაიღუპა 290 მგზავრი (ექვსი სახელმწიფოს მოქალაქეები) და ეკიპაჟის წევრები. მართალია, აშშ-მ არ აღიარა საერთაშორისო სამართლით დაკისრებული პასუხისმგებლობა, მაგრამ შესთავაზა მსხვერპლთა ოჯახებს *ex gratia* კომპენსაცია (ანუ კომპენსაცია, როდესაც მხარე არ აღიარებს, რომ არსებობს კომპენსაციის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება).¹⁸ ირანმა უარი განაცხადა ასეთი კომპენსაციის მიღებაზე და 1989 წელს სარჩელი შეიტანა საერთაშორისო სასამართლოში (ICJ) კომპენსაციის თაობაზე.¹⁹ 1996 წლის 22 თებერვალს ირანმა და აშშ-მ მოაგვარეს ირანის 655-ე რეისის თვითმფრინავის ჩაძირვასთან დაკავშირებული დავა იმის გამო, რომ მოგვარდა ირანის მიერ აღძრული სხვა სარჩელები აშშ-ს წინააღმდეგ, რომელთაც განიხილავდა ირანისა და აშშ-ს საპრეტენზიო ტრიბუნალი (*Iran-United States Claims Tribunal*).²⁰ დავების მოგვარების შესახებ შეთანხმების თანახმად, ყოველი ირანელი მსხვერპლის ნათესავი მიიღებდა 300 000 აშშ დოლარს (ყოველი გარდაცვლილისათვის, რომელიც ხელფასს იღებდა) და 150 000 აშშ დოლარს (ყოველი გარდაცვლილისათვის, რომელიც არ იღებდა ხელფასს).²¹

1996 წლის 24 თებერვალს კუბის სამხედრო ავიაციის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს აშშ-ში რეგისტრირებული ორი სამოქალაქო თვითმფრინავი. ამის პასუხად გაეროს უშიშროების საბჭოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც დაგმო ეს ქმედება ჩიკაგოს კონვენციის *3bis* მუხლის საფუძველზე და მოუწოდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას, გამოეძიებინა აღნიშნული შემთხვევა.²² 1996 წლის 12 მარტს პრეზიდენტმა კლინტონმა დაამტკიცა კუბის წინააღმდეგ სანქციები 1996 წლის კუბის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული სოლიდარობის აქტით (ჰელმა-ბურტონის აქტი).²³

საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ძირითადი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოები ჩამოყალიბებულია 1944 წლის ჩიკაგოს კონვენციასა და ICAO-ს (ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფო ამ ორგანიზაციის წევრია) წესებში.²⁴ ICAO ძირითადი საერთაშორისო ფორუმია, რომელსაც წვლილი შეაქვს საერთაშორისო საჰაერო სამართლის და, შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი საჰაერო სამართლის განვითარებაში. ამ ორგანიზაციას აქვს კვაზისამართალშემოქმედებითი ფუნქციები (განსხვავდება „რეკომენდა-

¹³ იხ. იქვე, 1117, 1120, 1133.

¹⁴ იხ. იქვე, 1126-8, cf. 1074; J.H.H. Willer, *Korean Airlines Incident*, *EPIL* 11 (1989), 167-8. იხ. აგრეთვე the 1993 ICAO Report on the Competition of the Fact-Finding Investigation with Regard to the 31 August 1983 Destruction of Korean Airlines Aircraft, *ILM* 33 (1994), 310.

¹⁵ იხ. 15 UNTS 295, შესწორებული ტექსტი იხ. 1175 UNTS 297.

¹⁶ იხ. *ILM* 23 (1984), 705.

¹⁷ იხ. I.F. Dekker/H.H.G. Post (eds), *The Gulf War of 1980-1988*, 1992.

¹⁸ *AJIL* 83 (1989), 912-3. აგრეთვე იხ. ICAO Resolution and Report Concerning the Destruction of Iran Air Bus, 3 July 1988, *ILM* 28 (1989), 896-943.

¹⁹ *ILM* 28 (1989), 842; Aerial Incident of 3 July 1989 (*Iran v. USA*) Case, Order of 13 December 1989, *ICJ Rep.* 1989, 132, *ILM* 29 (1990), 123.

²⁰ იხ. თ. 18, შენიშვნა 78.

²¹ იხ. *ILM* 35 (1996), 553; *AJIL* 90 (1996), 278.

²² იხ. *ILM* 35 (1996), 493; *AJIL* 90 (1996), 448-54.

²³ იხ. თ. 7.

²⁴ იხ. K. Hailbroner, *International Civil Aviation Organization*, *EPIL* II (1995), 1070-4. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის სხვა ინსტიტუტებთან დაკავშირებით იხ. S. J. Fawcett, *Insmsat*, *ibid.*, 991-4; K. Hailbroner *International Air Transport Association*, *ibid.*, 1047-50; L. Weber, *European Civil Aviation Conference*, *ibid.*, 137-9; *European Organization for the Safety of Air Navigation (eurocontrol)*, *ibid.*, 270-3.

²⁵ J. Ducrest, Legislative and Quasi-Legislative Functions of ICAO: Towards Improved Efficiency, *AASL* 20 (1995), 343-66.

²⁶ J. Naveau, *International Air Transport in a Changing World*, 1989; P. Mendes de Leon (ed.), *Air Transport Law and Policy in the 1990s*, 1991; L. Weber, *Air Transport Agreements*, *EPIL* 1 (1992), 75-8. აგრეთვე იხ. M. Milde, *Air Transport, Regulations of Liability*, *ibid.* 78-82; P.M. de Leon, *Cabotage in International Air Transport*, 1992; M. Ziliacs, *International Air Transport Law*, 1992; United States Model Bilateral Air Transport Agreement, *ILM* 35 (1996), 1479.

²⁷ K.-H. Bockstiegel, Italy-United States Air Transport Arbitration (1965), *EPIL* 11 (1995), 1508-10; Bockstiegel, France-United States Air Transport Arbitration (1978), *ibid.*, 459-61; K. Opellers-Frahm, France-United States Air Transport Arbitration (1978), *ibid.*, 461-3; J. Skillbeck, *ICLQ* 44 (1995), 171-9; J.J. van Haersolte-van Hof, *LJIL* 8 (1995), 203. S.M. Witten, *AJIL* 89 (1995), 174-92. არბიტრაჟის შესახებ იხ. თ. 18.

²⁸ იხ. თ. 12.

²⁹ იხ. M. Milde, *Aircraft EPIL* 1 (1992), 86-7; K. Hailbronner, *State aircraft*, *EPIL* 11 (1989), 317-20.

³⁰ იხ. თ. 12.

³¹ იხ. M. Akehurts, *Hijacking*, *Indian JIL* (1974), 81-9.

³² E. McWhinney, *Aerial Piracy and International Terrorism: the Illegal Diversion of Aircraft and International Law*, 2nd edn 1987; K. Hailbronner, *Civil Aviation, Unlawful Interference with*, *EPIL* 1 (1992), 583-6; M.N. Leich, *Aircraft Crimes, Multilateral Conventions - Montreal Protocol*, *AJIL* 82 (1988), 569-71.

³³ იხ. თ. 7 და თ. 12.

³⁴ თვითმფრინავის ბორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისა და სხვა უკანონო ქმედებების შესახებ კონვენცია, *ILM* 2 (1963), 1042.

³⁵ თვითმფრინავის უკანონო ხელში ჩაგდებას აღკვეთის შესახებ კონვენცია, *ILM* 10 (1971), 133.

³⁶ კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების ნინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების აღკვეთის შესახებ, *ILM* 10 (1971), 1151.

³⁷ იხ. დასავლეთის მთავრობების მეთაურთა 1978 წლის ბონის დეკლარაცია, *ILM* 17 (1978), 1285; R.A. Friedlander, *Terrorism*, *EPIL* 9 (1986), 371-6. ლოკერბის საქმე იხ. თ. 18.

³⁸ M. Laches, *The International Law of Outer Space*, *RdC* 113 (1964-III), 7.

³⁹ K.-H. Bockstiegel, *Prologue*, in T.L. Zwaan (ed.), *Space Law: Views of the Future*, 1988, 1. იხ. აგრეთვე, Harris *CMLL*, 222-

ციების მიცემისაგან“), რაც მას საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბოს „საერთაშორისო სტანდარტები“ საჰაერო ნავიგაციის სფეროში.²⁵ 1944 წლის შემდეგ იყო მცდელობა, რომ შექმნილიყო მრავალმხრივი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ნევრი-სახელმწიფოების სამოქალაქო ავიაციას სხვა ნევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფრენის ნებას დართავდა, მიუხედავად იმისა, ეს განრიგით გათვალისწინებული ფრენა იქნებოდა თუ არა. ამ მცდელობამ მარცხი განიცადა. ამჟამად საერთაშორისო კომერციული ფრენის უფლება, როგორც წესი, ეფუძნება ორმხრივ შეთანხმებას, რომელიც ნებას რთავს ერთი სახელმწიფოს საფრენ აპარატს, გადაკვეთოს სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცე (ჩვეულებრივ, ეს უფლება ითვალისწინებს ანალოგიურ საპასუხო უფლებას, ანუ შეთანხმება წარმოადგენს თანასწორი კომერციული ღირებულების მქონე უფლებების ბარტერს).²⁶ სახელმწიფოებს შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც საჰაერო ტრანსპორტს შეეხება შეეხება, ხშირად არბიტრაჟის წესით განიხილავენ.²⁷

თვითმფრინავების შესახებ ბევრი წესი იმეორებს წესებს გემების შესახებ.²⁸ მაგალითად, თვითმფრინავის მოქალაქეობას²⁹ განსაზღვრავს მისი რეგისტრაციის სახელმწიფო და არ შეიძლება, რომ თვითმფრინავი ერთდროულად ორ სახელმწიფოში იყოს რეგისტრირებული. თვითმფრინავზე ჩადენილი დანაშაულისათვის პირის გასამართლების უფლება ანალოგიურია უფლებისა, რომელიც წარმოიშობა გემზე დანაშაულის ჩადენის დროს.³⁰ თვითმფრინავი განიხილება რეგისტრაციის სახელმწიფოს ტერიტორიად მაშინაც კი, როდესაც მიფრინავს („მფრინავი კუნძული“). თუმცა არა მარტო რეგისტრაციის სახელმწიფოს, არამედ იმ სახელმწიფოსაც, რომლის ტერიტორიაზეც მიფრინავს თვითმფრინავი, შეუძლია დამნაშავის გასამართლება ბორტზე ჩადენილ დანაშაულისათვის. ასეთი იურისდიქცია ანალოგიურია „ალმის სახელმწიფოსა“ და „სანაპირო სახელმწიფოს“ იურისდიქციისა, რომელიც წარმოიშობა შიდა წყლებში ან ტერიტორიულ ზღვაში ჩადენილ დანაშაულთა მიმართ.³¹

სამოქალაქო ავიაციის ნინააღმდეგ მიმართული ძირითადი დანაშაულებებია თვითმფრინავის გატაცება, საბოტაჟი და ფრენის იძულება, რათა დამნაშავეებმა თავშესაფარი სხვა სახელმწიფოში მიიღონ.³² აღნიშნული დანაშაულები, ტექნიკური თვალსაზრისით, მეკობრეობას არ წარმოადგენს,³³ რადგან ამ დანაშაულებში იშვიათად არის ჩართული ორი თვითმფრინავი ან არ ხდება რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის გარეთ. 1960 წლის შემდეგ მიღებულ იქნა კონვენციები, რომლებიც ეხება სამოქალაქო ავიაციის ნინააღმდეგ დანაშაულებს: 1963 წლის ტოკიოს კონვენცია,³⁴ 1970 წლის ჰააგის კონვენცია³⁵ და 1971 წლის მონრეალის კონვენცია.³⁶ ბევრმა სახელმწიფომ მოახდინა აღნიშნული კონვენციების რატიფიცირება. მაგრამ არ არსებობს საერთაშორისო ორგანო, რომელსაც დაეკისრებოდა იძულებითი აღმსრულებლის ფუნქცია სახელმწიფოების მიერ თვითმფრინავების გატაცებისა და საერთაშორისო ტერორიზმის აღკვეთის საქმეში თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში.³⁷

კოსმოსური სივრცე³⁸

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში კოსმოსური სამართალი საერთაშორისო სამართლის ეგზოტიკურ დარგად მიაჩნდათ.³⁹ 1957 წელს კოსმოსში „სპუტნიკ 1-ის“ გაშვების შემდეგ კოსმოსური მონაცემების გამოყენება სულ უფრო და უფრო გახშირდა არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო მიზნებისათვისაც, როგორცაა ტელე- და რადიოკომუნიკაციები, მეტეოროლოგია და ა.შ.⁴⁰ მონაცემთა დისტანციური მართვა გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, რესურსების მართვასა და გარემოს დაცვის მონიტორინგში. ზოგიერთმა სახელმწიფომ, მათ შორის აშშ-მ, გაერთიანებულმა სამეფომ და შვედეთმა,

მიიღო ეროვნული კანონები კოსმოსურ სივრცეში საქმიანობის შესახებ.

კოსმოსური სივრცის შესახებ საკანონმდებლო ბაზის შექმნის პროცესს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.⁴¹ 1958 წლის შემდეგ კოსმოსური სამართლის ფორმირების პროცესს სპეციალური საერთაშორისო ორგანო ხელმძღვანელობდა. ეს ორგანოა გაეროს კომიტეტი კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ (UNCOPUOS), რომელსაც ორი ქვეკომიტეტი აქვს – სამეცნიერო და ტექნიკური ქვეკომიტეტი და სამართლებრივი ქვეკომიტეტი. კომიტეტის ადმინისტრაციული დანაყოფია გაეროს ოფისი კოსმოსური სივრცის საქმეების შესახებ (United Nations Office for Outer Space Affairs), რომლის შტაბ-ბინა ვენაში მდებარეობს. UNCOPUOS-ის ფუნქციებიდან გამომდინარე, სამართალშემოქმედებითი პროცესი კოსმოსური სივრცის სამართალში უფრო მეტად თანამიმდევრულია, ვიდრე საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებში. UNCOPUOS არის კლუბი, რომელშიც მონაწილეობს გაეროს წევრი სახელმწიფოების მხოლოდ მეოთხედი.

UNCOPUOS არ არის ერთადერთი ორგანო, რომელიც კოსმოსურ სამართალს შეეხება. ძირითადი კოსმოსური სახელმწიფოები თვლიან, რომ კოსმოსური სივრცის სამხედრო გამოყენება სცდება UNCOPUOS-ის კომპეტენციას და ეს საკითხი უნდა ექვემდებარებოდეს ფორუმს, რომელიც უნდა განიხილავდეს განიარაღებისა და იარაღის კონტროლის საკითხებს.⁴² მართალია, თავდაპირველად შეიძლება წინააღმდეგობრივად მოგვეჩვენოს, მაგრამ საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის (International Telecommunications Union) (ITU) ეკუთვნის რადიოსიხშირეებისა და კოსმოსური კომუნიკაციებისათვის გეოსტაციონარულ ორბიტაზე (დედამიწის ეკვატორიდან 36,000 კმ-ით დაშორებული ხელსაყრელი ორბიტა) სატელიტური ადგილმდებარეობის წესების შექმნის კომპეტენცია.⁴³ ამ ორგანიზაციის წევრობა თითქმის გლობალურია, რაც გამოწვეულია ტელეკომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის ტექნიკური აუცილებლობით.⁴⁴

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1959 წლიდან⁴⁵ დაიწყო კოსმოსურ სივრცეში საქმიანობის შესწავლა და 1961 წელს მიიღო 1721-ე რეზოლუცია, რომლითაც განსაზღვრა კოსმოსური სივრცის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები.⁴⁶ 1963 წელს მიიღეს დეკლარაცია კოსმოსური სივრცის გამოკვლევასა და გამოყენებაში სახელმწიფოების საქმიანობის სამართლებრივი პრინციპების შესახებ⁴⁷, რასაც მოჰყვა ოთხი მრავალმხრივი ხელშეკრულების დადება⁴⁸ კოსმოსში საქმიანობის შესახებ 1967 წლიდან 1975 წლამდე: 1967 წლის ხელშეკრულება მთვარესა და სხვა კოსმოსურ ობიექტებზე სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ (კოსმოსური სივრცის ხელშეკრულება),⁴⁹ 1968 წლის ხელშეკრულება ასტრონავტების გადარჩენის, ასტრონავტებისა და კოსმოსურ სივრცეში გაშვებული ობიექტების დაბრუნების შესახებ (გადარჩენის ხელშეკრულება),⁵⁰ 1972 წლის კონვენცია კოსმოსში გაშვებული ობიექტების მიერ გამოწვეული ზარალისათვის პასუხისმგებლობის შესახებ⁵¹ და 1974 წლის კონვენცია კოსმოსში გაშვებული ობიექტების რეგისტრაციის შესახებ (რეგისტრაციის ხელშეკრულება).⁵² გარდა ამისა, 1979 წელს მიღებულ იქნა ხელშეკრულება მთვარესა და სხვა კოსმოსურ ობიექტებზე საქმიანობის შესახებ (მთვარის ხელშეკრულება).⁵³ არსებობს ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებს კოსმოსში საქმიანობის კონკრეტულ სფეროებს, როგორცაა 1963 წლის ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყლის ქვეშ ატომური იარაღის გამოცდის შესახებ,⁵⁴ 1977 წლის კონვენცია გარემოს დაცვის სამოდიფიკაციო ტექნიკის სამხედრო ან სხვაგვარად მტრულად გამოყენების აკრძალვის შესახებ⁵⁵ და კონვენცია და წესები საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის შესახებ.

რესურსების ერთობლივად გამოყენების ტექნიკურ საჭიროებას,⁵⁶ ისევე როგორც კოსმოსურ სივრცეში საქმიანობისათვის საჭირო უზარმაზარი

32; S.M.Williams, *Derecho internacional contemporaneo: La utilizacion del espacio ultraterrestre*, 1990; K.-H. Boeckstiegel (ed.), *Handbuch des Weltraumrechts*, 1991; H.A. Wassenberg, *Principles of Outer Space Law in Hindsight*, 1991; P.-M.Martin, *Le Droit de l'espace*, 1991; C.Q.Christol, *Space Law: Past, Present and Future*, 1991; S.Gorove, *Developments in Space Law: Issues and Policies*, 1991; N.Jasentuliyana, *Space Law: Development and Scope*, 1992; M.Andem, *International Legal Problems in the Peaceful Exploration and Use of the Outer Space*, 1993; M. Couston, *Droit spatial economique, Regimes applicables a l'exploration de l'espace*, 1993; I.H. Ph. Diedericks-Verschuur, *An Introduction to Space Law*, 1993; L.Peyrefitte, *Droit de l'espace*, 1993; P. Malanchuk, *Space Law as a Branch of International Law*, NYIL 25 (1994), 143-80; S.Gorove, *United States Space Law – National and International Regulation*, 1982-1996; Gorove, *Cases on Space Law: Texts, Comments and References*, 1996.

⁴¹ იხ. R. Gibson, *Space*, 1992.

⁴² G.M. Danilenko, *Outer Space and Multilateral Treaty-Making Process*, *High Tech. LJ* 4 (1990), 217; M. Benko/K.U. Schrogel, *International Space Law in the Making*, 1994.

⁴³ B. Cheng, *The Military Use of Outer Space and International Law*, Vol. 1, 1992, 63-75; W.v. Kries, *Anti-Missile Defense for Europe and the Law of outer Space*, ZLW 42 (1993), 271.

⁴⁴ P.Malanchuk, *Telecommunications Satellites and International Law*, *RBDI* 21 (1998), 262-72; F.Lyall, *Law and Space Communications*, 1990.

⁴⁵ A. Noell, *International Telecommunications Union, EPIL II* (1995), 1379-85; P.Malanchuk, *Telecommunications, International Regulation of*, *EPIL 9* (1986), 367-71; P.Malanchuk, *Information and Communication, Freedom of*, *EPIL II* (1995), 976-91.

⁴⁶ *International Co-operation in the Peaceful Uses of Outer Space*, UN GA Res. 1472 (XIV), 12 December 1959. აგრეთვე იხ. *Resolution on the Question of the Peaceful Use of Outer Space*, UN GA Res. 1348 (XIII), 13 December 1958.

⁴⁷ UN GA Res. 1721 (XVI), 20 December 1961. იხ. Kopal, *The Role of the United Nations Declarations of Principles in the Progressive Development of Space Law*, *JspacEL* 16 (1988), 5.

⁴⁸ UN GA Res. 1962 (XVIII), 13 December 1963.

⁴⁹ B. C. M. Reijnen, *The United Nations Space Treaties Analyzed*, 1992.

⁵⁰ 610 UNTS 205 (1967); ILM 6

(1967), 386. N. M. Matte, *Outer Space Treaty*, *EPIL* 11, (1989), 251-3; M. Lachs, *The Treaty on Principles of the Law of the Outer Space*, 1967-92, *NILR* 39 (1992), 291-302.

⁵⁰ *ib. AJIL* 63 (1969), 382.

⁵¹ *ib. ILM* 10 (1971), 965.

⁵² 1023 UNTS 15 (1976).

⁵³ *ILM* 18 (1979), 1434-41. *ib. N. Mateesco-Matte, The Moon Agreement: What Future?* *AFDMS* 12 (1993), 345.

⁵⁴ 480 UNTS 43.

⁵⁵ 1108 UNTS 151.

⁵⁶ S. M. Williams, *The Law of the Outer Space and Natural Resources*, *ICLQ* 36 (1987), 142-51; B.E. Helm, *Exploring the Last Frontiers for Mineral Resources: A Comparison of International Law Regarding the Deep Seabed, Outer Space, and Antarctica*, *Vand JTL* 23 (1990), 819-49. D. A. Barritt, *A Reasonable Approach to Resource Development in Outer Space*, *Loyola LAICLJ* 12 (1990), 615-42.

⁵⁷ R. Muller/M. Muller, *Cooperation as a Basic Principle of Legal Regimes for Areas beyond National Sovereignty—with Special Regard to Outer Space Law*, *GYL* 31 (1988), 553.

⁵⁸ *ib. ნინა გვერდზე.*

⁵⁹ P. Malanzuk, *Satelliten-Fernerkundung der Erde: politische und rechtliche Aspekte*, in K. Kaiser/Frhr. v. Welck (eds), *Weltraum und internationale Politik*, 1987, 57-71.

⁶⁰ K. J. Madders, *European Space Agency*, *EPIL* II (1995), 295-300.

⁶¹ S. J. Fawcett, *Intelsat*, *EPIL* II (1995), 1000-04. R. Wolfrum, *Eutelsat*, *ibid.*, 300-2; M. Snow, *the International Communication Satellite Organization, Economic Challenges Facing an International Organization*, 1987; *International Maritime Organization: Amendments to the Agreement of INMARSAT*, *ILM* 27 (1988), 691.

⁶² K. S. Pederson, *Is it Time to Create a World Space Agency?*, *SP* 9 (1993); M. Bourelly et al. *Faut-il créer une organisation mondiale de l'espace?* 1992.

⁶³ K.-H. Bockstiegel/M. Benko (eds.), *Space Law, Basic Legal Documents*, 1990, Vol. 1, B. IV.

⁶⁴ UN Doc. A/AC. 105/C.22/L. 1992 of 30 March 1993, submitted by Columbia.

⁶⁵ E. Galloway, *Consensus Decision-Making by the United Nations Committee on the Peaceful Uses of Outer Space*, *JSpaceL* 7 (1979), 3. საერთაშორისო სამართალში კონსენსუსით გადაწყვეტილებების შესახებ *ib. E. Suy, Consensus*, *EPIL* I (1992), 759-61; K. Zemanek, *Making Rule and Consensus Technique in Law-Making Diplomacy*, in R. St. J. Macdonald/D.M. Hohnston (eds), *The Structure and Process of*

ფინანსური და ტექნიკური მოთხოვნები, უფრო მეტად საერთაშორისო თანამშრომლობა⁵⁷ სჭირდება, ვიდრე საერთაშორისო სამართლის სხვა დარგი. რეგულირება სჭირდება სატელიტური კომუნიკაციებისა⁵⁸ და დისტანციური მართვის სფეროს.⁵⁹ კოსმოსური მატერიალური და პროცედურული სამართლის განვითარებას თან ერთვის კოსმოსური სივრცის საერთაშორისო ორგანიზაციის (ESA) ინიციატივები⁶⁰, განსაკუთრებით კი სატელიტური კომუნიკაციების სისტემებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება გლობალურ და რეგიონალურ ქსელებს (INTELSAT, INMARSAT, EUTELSAT, ARABSAT).⁶¹ წარმოიშვა იდეა, რომ შექმნილიყო გლობალური კოსმოსური სივრცის სააგენტო.⁶²

განვითარების პირველ ეტაპზე კოსმოსური სამართალი უფრო მეტად მომავალზე იყო გათვლილი, რადგან კოსმოსურ სივრცეში საქმიანობა იმ დროს ძალიან შეზღუდული იყო. კოსმოსური სამართლის განვითარების პროცესს ხელს უწყობდა ის, რომ ორი ზესახელმწიფო – აშშ და საბჭოთა კავშირი – ენეოდა კოსმოსურ სივრცეში საქმიანობას. ძირითადი კოსმოსური სახელმწიფოები ცდილობენ, შესაძლებლობის ფარგლებში შეინარჩუნონ მონოპოლიური მდგომარეობა და ტექნოლოგიური უპირატესობა, რაც დღესაც არ შეცვლილა. ამასობაში სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ჩაერთო პირდაპირ ან ირიბად კოსმოსურ საქმიანობაში, ან თვლის, რომ მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა საჭიროებს ამ სფეროში პოზიციის მოპოვებას. განვითარებად სახელმწიფოებსა და ინდუსტრიულ სახელმწიფოებს შორის ინტერესთა კონფლიქტის გამო შეუძლებელი ხდება კონსენსუსის მიღწევა კოსმოსური სამართლის კანონშემოქმედებით სფეროში.

1976 წელს ბოგოტის დეკლარაციით რვა ეკვატორულმა სახელმწიფომ მოითხოვა სუვერენიტეტი გეოსტაციონარული ორბიტის სეგმენტებზე, რომლებიც განლაგებულია მათი ტერიტორიის ზემოთ. საერთაშორისო თანამეგობრობამ წინააღმდეგობა გაუწია აღნიშნულ ინიციატივას.⁶³ ეკვატორულმა სახელმწიფოებმა მოგვიანებით უარი თქვეს ამ წამოწყებაზე; UNCOPOUS-ის დღის წესრიგში დგას საკითხი, უნდა არსებობდეს თუ არა ITU-ს წესების გარდა საეკვატორული სამართლებრივი რეჟიმი გეოსტაციონარული ორბიტისათვის, რაც გაითვალისწინებდა განვითარებადი სახელმწიფოებისთვის ხელშემწყობ უფლებებს.⁶⁴

ხელშეკრულებათა უმეტესობა კონსენსუსით დამტკიცდა, რათა უზრუნველყოთ ძირითადი სახელმწიფოების მონაწილეობა.⁶⁵ კონსენსუსის წესით დამტკიცდა UNCOPOUS-ის მომზადებული გენერალური ასამბლეის რეზოლუციების უმეტესობა, გარდა სატელიტური ტელევიზიის გადაცემის შესახებ პრინციპებისა. ეს უკანასკნელი დაამტკიცა უმრავლესობამ დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ 1982 წელს იმიტომ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი თქვეს უცხოური სატელიტური გადაცემის მიმღები სახელმწიფოს „წინასწარი თანხმობის“ მოთხოვნის აღიარებაზე.⁶⁶ UNCOPOUS ამის შემდეგ დაუბრუნდა კონსენსუსის წესს, მაგალითად, 1986 წლის პრინციპები დისტანციური მართვის შესახებ⁶⁷ ან პრინციპები კოსმოსში ატომური ენერჯის წყაროების გამოყენების შესახებ.⁶⁸

ინტერესთა კონფლიქტი აშკარა გახდა 1979 წელს მთვარის შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების დროს⁶⁹, რომლის მიზანია დაამყაროს საერთაშორისო რეჟიმი მინერალური რესურსების ექსპლუატაციაზე. ამ ხელშეკრულებას ძირითადად კოსმოსურმა სახელმწიფოებმა წინააღმდეგობა გაუწიეს.⁷⁰ ეს წესი მიიღო სახელმწიფოთა მხოლოდ მცირე ჯგუფმა, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი კოსმოსური შესაძლებლობები, და საფრანგეთმა.⁷¹ ახალი სამყაროს ეკონომიკურმა წესრიგმა,⁷² რომელსაც მხარს უჭერდა ყოფილი ე.წ. მესამე სამყარო, აგრეთვე გავლენა მოახდინა კოსმოსური სამართლის სფეროზე. განვითარებადი სახელმწიფოების მოთხოვნები კოსმოსური სივრცის ტექნოლოგიების გამოყენებიდან სარგებლის მიღების თაობაზე აისახა UNCOPOUS-ში ხანგრძლივი დავით შემდეგ საკითხზე: „იმ პრინციპების

გამოყენების სამართლებრივი ასპექტების განხილვა, რომელთა თანახმად კოსმოსურ სივრცეში კვლევა და მისი გამოყენება უნდა განხორციელდეს ყველა სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი განვითარებად სახელმწიფოთა სარგებლისა და ინტერესების გათვალისწინებით.⁷³

კოსმოსური სამართლის ძირითადი სამართლებრივი ჩარჩოები ჩამოყალიბებულია 1967 წლის კოსმოსური სივრცის ხელშეკრულებაში.⁷⁴ ხელშეკრულების თანახმად, კოსმოსური სივრცე ღიაა სახელმწიფოს მიერ კვლევისა და გამოყენებისათვის (მუხ. 1) და არ შეიძლება, რომ რომელიმე სახელმწიფომ მოახდინოს მისი ანექსია (მუხ. 2). კოსმოსის გამოკვლევა და გამოყენება უნდა მოხდეს ყველა სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ (მუხ. 3). კოსმოსში საქმიანობამ არ უნდა დააბინძუროს დედამიწა ან სხვა კოსმოსური ობიექტები და ხელს არ უნდა უშლიდეს სხვა სახელმწიფოების საქმიანობას კოსმოსში (მუხ. 9). სახელმწიფოებმა უნდა გაამჟღავნონ თავიანთი საქმიანობა კოსმოსში (მუხ. 10-12). არასამთავრობო ორგანიზაციებს სჭირდებათ სახელმწიფოს ნებართვა კოსმოსში საქმიანობისათვის და ნებართვის გამცემი სახელმწიფო პასუხისმგებელია ორგანიზაციის ნებისმიერ საქმიანობაზე (მუხ. 6). სახელმწიფო, რომელიც კოსმოსში უშვებს ობიექტს ან ამის ნებართვას გასცემს, პასუხისმგებელია ნებისმიერი ზარალისათვის, რასაც ეს ობიექტი გამოიწვევს (მუხ. 7). სახელმწიფოები უნდა დაეხმარონ გასაჭირში მყოფ ასტრონავტებს; თუ ასტრონავტი იძულებულია დაეშვას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაშინ ეს სახელმწიფო ვალდებულია, ასტრონავტი გადასცეს წარმოშობის სახელმწიფოს (მუხ. 5). კოსმოსში გაშვებული ობიექტის მფლობელობა არ არის დამოკიდებული მის მდებარეობაზე კოსმოსში ან დედამიწაზე; თუ ასეთ ობიექტს იპოვიან, იგი უნდა გადაეცეს წარმოშობის სახელმწიფოს (მუხ. 8). მე-7, მე-5 და მე-8 მუხლებში ჩამოყალიბებული პრინციპები უფრო დეტალურადაა განხილული 1968 წლის გადარჩენის შესახებ ხელშეკრულებაში, 1972 წლის პასუხისმგებლობის კონვენციასა და 1974 წლის რეგისტრაციის შესახებ კონვენციაში.

კოსმოსური სივრცის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, მთვარე და სხვა კოსმოსური ობიექტები „მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული“. რაც შეეხება დედამიწის ორბიტის გარშემო მოძრავ კოსმოსურ ხომალდებს, მეოთხე მუხლი ითვალისწინებს, რომ ატომური იარაღი და მასობრივი განადგურების იარაღი არ უნდა განლაგდეს დედამიწის ორბიტის გარშემო. განსხვავება წესებს, რომლებიც გამოიყენება დედამიწის ორბიტაზე მოძრავი კოსმოსური ხომალდების მიმართ, და იმ წესებს შორის, რომლებიც გამოიყენება კოსმოსური ობიექტების მიმართ, ამართლებს მოსაზრებას, რომ შეიძლება დედამიწის ორბიტაზე კოსმოსური ხომალდების სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება, თუ არ იქნება გამოყენებული ატომური იარაღი ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღი; ეს ხომალდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაზვერვისათვისაც. კოსმოსური სივრცის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირი (რომელიც, როგორც „დახურული საზოგადოება“, ყველაზე მეტს კარგავდა, თუ სატელიტური საშუალებიდან დააკვირდებოდნენ) ამტკიცებდა, რომ სატელიტების გამოყენება სადაზვერვო მიზნებისათვის უკანონო იყო და ხელშეკრულებით უნდა აკრძალულიყო; აშშ არ დაეთანხმა ამას. სადაზვერვო სატელიტების გამოყენების უპირატესობა ის არის, რომ მათი საშუალებით შეიძლება შემონმდეს განიარაღების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ხარისხი; წარსულში ინსპექტირების თავიდან აცილების გზით სახელმწიფოები არ ასრულებდნენ განიარაღების მოთხოვნებს.⁷⁵

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საჯარო სამართალი არ აკისრებს პასუხისმგებლობას სახელმწიფოებს მათი მოქალაქეების მოქმედებისათვის⁷⁶, კოსმოსური სამართლის (კოსმოსური სივრცის შესახებ ხელშეკრულების VI თავი) თანახმად, ნევრ-სახელმწიფოებს აკისრიათ პასუხისმგებლობა მოქა-

International Law, 1983, 857-87.

⁶⁶ J. A. Frowein, *Satellite Broadcasting*, EPIL 11 (1989), 273-6. D. Fisher, *Prior Consent to International Direct Satellite Broadcasting*, 1991.

⁶⁷ იხ. წინა გვერდზე.

⁶⁸ M. Benka/ G. Guber/K. Schrogl, the UN Committee on the Peaceful Uses of Outer Space; Adoption of Principles Relevant to the Use of Nuclear Power Sources in Outer Space and Other Recent Developments, ZLW (1993), 35.

⁶⁹ იხ. ტექსტი ზემოთ.

⁷⁰ 1979 წ. მთვარის შესახებ ხელშეკრულება, მუხ. 11.

⁷¹ ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1984 წლის 12 ივლისს, იხ. C.Q. Christol, *The Moon Treaty Enters into Force*, AJIL 79 (1985), 163-8.

⁷² იხ. თ. 15.

⁷³ იხ. UN Doc. A/AC.105/573 of 14 April 1994, 8 et. seq.

⁷⁴ *op. cit.*

⁷⁵ იხ. თ. 20.

⁷⁶ იხ. თ. 17.

⁷⁷ H. Bittinger, *Private Space Activities: Questions of International Responsibility*, *Proc. IISL* 30 (1987), 191. P. Malanzuc, *The Actors: States, International Organizations, Private Entities*, in G.Lafferendie (ed.), *An Outlook for Outer Space Law in the Coming 30 Years* (forthcoming).

⁷⁸ B. A. Hurwitz, *State Liability for Outer Space Activities in Accordance with 1972 Convention on International Liability for Damage Caused by Space Objects*, 1992.

⁷⁹ იბ. თ. 12.

⁸⁰ საერთაშორისო სამართალში დავების გადაწყვეტის პროცედურების ფორმირების შესახებ იბ. *ILA Rep.* 1984, 325, 334.

⁸¹ იბ. თ. 18.

⁸² უფრო დანერგული იხ. Bockstiegel (1993), *Settlement of Disputes, op. cit.*, 3 *et seq.*

ლაქების მოქმედებზე ისევე, როგორც არასამთავრობო ერთეულების საქმიანობაზე. კოსმოსური საქმიანობა სულ უფრო მეტად კომერციულ და კერძო ხასიათს იძენს. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა ბევრი პრობლემის განმარტება, რაც შემდეგ დეფინიციებს მოიცავს: „პასუხისმგებელი“ სახელმწიფო და იმ სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლების საზღვრები, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას.⁷⁷

კოსმოსურ სამართალში სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხი⁷⁸ განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან 1972 წ. პასუხისმგებლობის შესახებ კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოს „აბსოლუტურ“ პასუხისმგებლობას მიყენებული ზარალისათვის, რომელსაც ამ სახელმწიფოს კოსმოსური ობიექტი მიაყენებს დედამიწის ზედაპირს ან მფრინავ ობიექტს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც კი კომპენსაციას იხდის. მართალია, ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ 1958 წ. ღია ზღვის შესახებ ჟენევის კონვენციაში 22(3) მუხლში არის მსგავსი პრეცედენტი⁷⁹, მაგრამ ასეთი დებულება მაინც სიახლეა საერთაშორისო სამართალში, რომელიც არ ცნობდა სახელმწიფოთა პირდაპირ მკაცრ პასუხისმგებლობას, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზარალის მიმყენებელი პირების არაპირდაპირი სამოქალაქო პასუხისმგებლობისა.

პასუხისმგებლობის შესახებ კონვენციის XXII მუხლის თანახმად, მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც საქმიანობას ეწევა კოსმოსში, პასუხისმგებელია სახელმწიფოს ნაცვლად, თუ გაკეთდა შესაბამისი განცხადება და, ამასთან, ნევრი სახელმწიფოების უმრავლესობა პასუხისმგებლობის შესახებ და კოსმოსური სივრცის შესახებ კონვენციების მონაწილეა. ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ (ESA) და ეუტელსატმა (Eutelsat) ასეთი განცხადებები უკვე გააკეთეს. ერთობლივი პასუხისმგებლობის რეჟიმის თანახმად, „საერთაშორისო ორგანიზაციებს უპირატესობა აქვთ სახელმწიფოებთან შედარებით“. კომპენსაციის მიღება უშუალოდ ნევრი სახელმწიფოსაგან ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ ორგანიზაცია ვერ გადაიხდის შეთანხმებულ ან განსაზღვრულ კომპენსაციას 6 თვეში.

კოსმოსის პრაქტიკული მიზნებით გამოყენების გაზრდასთან ერთად აქტუალური ხდება დავების მოგვარება, რომლებიც წარმოიშობა კოსმოსში საქმიანობასთან დაკავშირებით.⁸⁰ არსებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები კოსმოსური სივრცის შესახებ არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც გაითვალისწინებდა სავალდებულო გადანყვეტილებას მხარეებისათვის სახელმწიფოთაშორისი დავის არსებობისას. ფაქტობრივად, ეს ხელშეკრულებები არ სცილდება დავების მოგვარების არასავალდებულო მეთოდებს, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც გაეროს წესდების 33-ე მუხლით გათვალისწინებული არჩევანის თავისუფლება, როდესაც სახელმწიფოები ვერ შეთანხმდებიან საერთაშორისო არბიტრაჟზე ან სასამართლო განხილვაზე.⁸¹ გაერომ წამოაყენა წინადადება, რომ კოსმოსური სივრცის შესახებ 1967 წლის კონვენციას საერთაშორისო სასამართლო დავების მოგვარების სავალდებულო მექანიზმად გაეთვალისწინებინა, მაგრამ ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა სსრკ-მ.

1972 წ. პასუხისმგებლობის შესახებ კონვენციაც არ არის გამონაკლისი, მაგრამ მასში არის გარკვეული წინსვლა, რადგან შეიცავს დებულებებს დავების მოგვარების შესახებ. კონვენცია ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიის შექმნას, თუ დიპლომატიური მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა. კონვენციის დებულებები საპრეტენზიო კომისიის შესახებ ასახავს საერთაშორისო არბიტრაჟის თაობაზე დებულებებს; განსხვავება ისაა, რომ კომისიის გადანყვეტილება საბოლოოა, თუ მხარეები ასე შეთანხმდნენ. ამრიგად, ეს პროცედურა სხვა არაფერია, თუ არა მორიგება.⁸² პასუხისმგებლობის შესახებ კონვენციის დავების მოგვარების დებულებები არასდროს გამოყენე-

ბულა. კოსმოს 954-ის საქმე, როდესაც 1978 წ. კანადის ჩრდილო-დასავლეთით ატომურ ელემენტებზე მომუშავე საბჭოთა სატელიტი ჩამოვარდა და ავსტრიის სიდიდის ტერიტორია დააბინძურა, დიპლომატიური მოლაპარაკებებით გადაწყდა.⁸³

შესაძლებელია, წარმოიშვას დავები სახელმწიფოებსა და კერძო კომპანიებს შორის, თუმცა არსებული ტენდენციის თანახმად, ასეთი დავის არსებობისას საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის პროცედურებს გამოიყენებენ. კერძო კომპანიებს შორის წამოჭრილი დავისას, ანუ კომერციული არბიტრაჟისათვის ამკარად უმჯობესია არსებული ეროვნული და საერთაშორისო პროცედურების გამოყენება.⁸⁴

ჩვეულებითი სამართალი ნაკლებ მნიშვნელოვანია კოსმოსურ სივრცეში საქმიანობისათვის.⁸⁵ ეს არცაა გასაკვირი, რადგან კოსმოსური სამართალი საერთაშორისო სამართლის ახალი დარგია, განსაკუთრებით კი საერთაშორისო საზღვაო სამართლთან შედარებით.⁸⁶ თუმცა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ 1957 წლის შემდეგ ჩვეულებითი კოსმოსური სამართალი მეტნაკლებად განვითარდა. ეს ეხება კოსმოსური სივრცის შესახებ ხელშეკრულების ძირითად პრინციპებს, რომლებიც მიიღო ყველა კოსმოსურმა სახელმწიფომ პრაქტიკით და *opinio iuris*-ით რატიფიკაციის შემდეგ; სახელმწიფოები, რომლებსაც არ მოუხდენიათ ხელშეკრულების რატიფიკირება, არ გამოხატავენ ამკარა წინააღმდეგობას. ეს პრინციპები მოიცავს კოსმოსურ კვლევასა და კოსმოსის გამოყენების თავისუფლებას ყველა სახელმწიფოსათვის; გაურკვეველია, ჩვეულებითი სამართლის ნორმები მოიცავს თუ არა პასუხისმგებლობის, კოსმოსში გაშვებულ კოსმოსურ ხომალდებზე სახელმწიფოების იურისდიქციისა და კონტროლის პრინციპებს.⁸⁷

სპუტნიკ 1-ის შემდეგ ბევრმა ხელოვნურმა სატელიტმა გადალახა სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიები. წლების განმავლობაში სახელმწიფოები არ მიიჩნევდნენ აღნიშნულ ქმედებებს მათი საჰაერო სივრცის დარღვევად. სატელიტების გამშვები სახელმწიფოების ქმედებამ სხვა სახელმწიფოების ცოდნასთან ერთად წარმოშვა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ახალი წესი; სახელმწიფოებს შეუძლიათ სატელიტების განლაგება ორბიტაზე სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ზემოთ, თუმცა ეს უფლება თავისთავად არ მოიცავს იმას, რომ კოსმოსურ ხომალდს შეუძლია გაიაროს სხვა სახელმწიფოების საჰაერო სივრცე კოსმოსში გასასვლელად. ამრიგად, კოსმოსური სამართლის ნორმები განსხვავდება საჰაერო სივრცის ნორმებისაგან (იხ. ზემოთ).

კოსმოსსა და საჰაერო სივრცეს შორის ზუსტი საზღვარი არ არის დადგენილი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მინიმალური სიმაღლე, რომელზეც სატელიტს შეუძლია მოძრაობა ორბიტაზე, ორჯერ აღემატება თვითმფრინავების ფრენის მაქსიმალურ სიმაღლეს.⁸⁸ ძნელია ჩვეულებითი ნორმის შექმნა, რომელიც კოსმოსურ ხომალდს ნებას დართავს, გადალახოს სხვა სახელმწიფოს საჰაერო სივრცე.⁸⁹ ასეთი წესი, სულ ცოტა, შემდეგს უნდა ითვალისწინებდეს: სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რომ უცხო სახელმწიფოს კოსმოსური ხომალდი ხშირად არ გადაკვეთს მის საჰაერო სივრცეს.

კოსმოსური სამართალი საერთაშორისო სამართლის ახალი და სწრაფად განვითარებადი დარგია.⁹⁰ გადაუჭრელია მრავალი საკითხი: კოსმოსისა და საჰაერო სივრცის საზღვარი (UNCOPUOS-ის დღის წესრიგში კვლავ დგას ეს საკითხი), კოსმოსური ობიექტის განსაზღვრება და მათზე განსახორციელებელი იურისდიქცია, კონტროლი და საკუთრება⁹¹ და საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი პრობლემები.⁹² პილოტირებული კოსმოსურმა ფრენებმა და კოსმოსური სადგურების პროექტებმა წამოსწიეს საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხები.⁹³ გარდა ამისა, ახალი პრობლემები წარმოიშვა ზოგიერთი საქმიანობის კომერციულად გადაქცევისა და კერძო ოპერატორების გაჩენის შედეგად.⁹⁴ აღნიშნული პრობლემის

⁸³ Bockstiegel/Benko (eds), 1990 *op. cit.*, Vol. 1, A. VI. 2.

⁸⁴ Bockstiegel (1993) Settlement of Disputes, *op. cit.*, 9 *et seq.* Private Our Space Activities and Dispute Settlement, *TJ* 1 (1994), 327-37, *ib. id.* 18.

⁸⁵ V. S. Verashchetin/ G. M. Danilenko, Custom as a Source of International Law of Outer Space, *JspaceL* 13(1985), 22-35; აგრეთვე *ib. id.* 3.

⁸⁶ *ib. id.* 12.

⁸⁷ V. S. Verashchetin/ G. M. Danilenko, *op. cit.*, 25.

⁸⁸ P. M. Martin, Les Definition absentes du droit de l'espace, *RFDA* 46 (1992), 105-17.

⁸⁹ V. S. Verashchetin/ G. M. Danilenko, (1993) Space Law, *op. cit.*, 12.

⁹⁰ Malanchuk (1994), Space Law, *op. cit.*

⁹¹ B. Cheng, Spacecraft, Satellites and Space Objects, *EPIL* 11 (1989), 309-17; C.Q. Christol, The Aerospace Plane: Its Legal and Political Future, *SP* (1993), 35.

⁹² P. D. Nesgos, Commercial Space Transportation: A New Industry Emerges, 16 *AASL* 16 (1991), 393-422; B. Stockfish, Space Transportation and the Need for New International Legal and Institutional Regime, *AASL* 17 (1992), 323-68.

⁹³ K.-H. Bockstiegel (ed.), *Space Stations—Legal Aspects of Scientific and Commercial use in a Framework of Transportation Cooperation*, 1985; A. J. Young, *Law and Policy in the Space Stations' Era*, 1989.

⁹⁴ Qizhi He, Certain Legal Aspects of Commercialization of Space Activities, *AASL* 15 (1990), 33-42.

⁹⁵ J. Klucka, *The Role of Private International Law in the Regulation of Outer Space*, *ICLQ* 39 (1990), 918-22 და თ. 4.

⁹⁶ P. Malanczuk, *Satellite Communications and the GATT*, *Space Comm.* 9 (1992), 231-0. P. Malanczuk/H. de Vlaam, *International Trade in Telecommunication Services and the Results of the Uruguay Round of GATT*, *TSVJ* 3 (1996), 269-90.

⁹⁷ მოხსენება სამართლის ქვეკომისიის 33-ე სამუშაო სესიაზე (21 მარტი-5 აპრილი), UN Doc. A/AC.105/573 of 14 April 1994, 17. I. H. P. Diederiks-Verschoor, *Environmental Protection in Outer Space*, *GYZL* 30(1987), 144.

⁹⁸ იხ. კოსმოსური საქმეების კომისიის მიერ 1993 წ. მომზადებული მოხსენება, UN Doc. A/AC.105/547 და Add. 1. აგრეთვე იხ. თ. 16.

⁹⁹ P. Malanczuk, Report on the UN/IAF workshop on the "Organizing Outer Space Activities in Developing Countries" (Graz, October 1993) *JspaceL* 21 (1993), 175-8.

¹⁰⁰ UN Doc. A/AC.105/575 of 9 May 1994.

¹⁰¹ იხ. თ. 10.

¹⁰² B. Sheng, *Astronauts*, *EPIL* (1992), 278-81.

¹⁰³ S. Erin, *Law and Vacuum: The Common Heritage of Mankind Doctrine in Outer Space Law*, *BICLR* 7 (1984), 403-31.

¹⁰⁴ მუხ. 1, *Op. cit.*

¹⁰⁵ მოლაპარაკებების შესახებ იხ. Casasse, *op. cit.*, 387-91.

¹⁰⁶ Malanczuk (1994) *Space Law*, *op. cit.*, 171-5.

მოსაგვარებლად აუცილებელია საერთაშორისო კერძო სამართლის ზოგიერთი დარგის უფრო მეტად განვითარება, კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების სამართლისა და დაზღვევის პრობლემებისა.⁹⁵ ხსენებულ საკითხებს შევხვდებით ევროპის თანამეგობრობის სამართალსა და საერთაშორისო სავაჭრო სამართალში.⁹⁶

კოსმოსში საქმიანობის გააქტიურების შემდეგ აქტუალური გახდა გარემოს დაცვის პრობლემები, განსაკუთრებით კი ადამიანის მიერ კოსმოსის დაბინძურება.⁹⁷ თვით ახლახან წარმოშობილი „მდგრადი განვითარების“ კონცეფციაც კი ახდენს გავლენას კოსმოსურ სამართალზე 1992 წლის რიოს კონფერენციის (გარემოსა და განვითარების შესახებ კონფერენცია (UNCED)) შემდგომ პროცესებთან დაკავშირებით და თავისი ნვლილი შეაქვს 21-ე დღის წესრიგის (Agenda 21) იმპლემენტაციაში, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვის მონიტორინგის და მდგრადი განვითარების შემდეგ სფეროებში: მინის გამოყენების დაგეგმვა და მონიტორინგი, ტყის გაჩეხვა, დესერტიფიკაცია, წყლის რესურსების შეფასება და გარემოს დაცვის დინამიკის სამეცნიერო შესწავლა.⁹⁸

ცივი ომის დამთავრების შემდეგ ძირითად კოსმოსურ სახელმწიფოებს თანამშრომლობის ახალი სტიმული გაუჩნდათ. განვითარებადი სახელმწიფოებიც სულ უფრო მეტად თანამშრომლობენ კოსმოსური სივრცის გამოყენების საქმეში.⁹⁹ ყოველივე აღნიშნულის შედეგად წარმოიშვა იდეა, რომ ჩატარდეს გაეროს მესამე კონფერენცია კოსმოსური სივრცის კვლევისა და მშვიდობიანი გამოყენების შესახებ (პირველი UNISPACE ჩატარდა 1968 და 1982 წლებში).¹⁰⁰

„კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის“ პრინციპი

კოსმოსურ სამართალს ბევრი საერთო აქვს საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებთან, რომლებიც არეგულირებს ეროვნული იურისდიქციის გარეშე განლაგებული დედამიწის ტერიტორიის სამართლებრივ რეჟიმს, როგორცაა ღია ზღვა, ოკეანის ფსკერი და ანტარქტიდა.¹⁰¹ რა თქმა უნდა, კოსმოსური სივრცის სამართლებრივი რეჟიმი ღია ზღვის სამართლებრივი რეჟიმის „ანალოგურია“, გარდა იმ სპეციალური წესებისა, რომლებიც მხოლოდ ღია ზღვასთან მიმართებაში გამოიყენება.¹⁰²

აქვე უნდა შევეხოთ „წინააღმდეგობრივ“ პრინციპს.¹⁰³ ეს ცნება საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების შედეგად წარმოიშვა და აისახა საზღვაო სამართალში, საჰაერო სამართალში და ანტარქტიდის სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებში. ეს პრინციპი პირველად აღინიშნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1962 წ. (XVIII) რეზოლუციაში (1963 წ. 13 დეკემბერი)¹⁰⁴ სწორედ კოსმოსურ სამართალთან მიმართებაში (ბევრად უფრო ადრე, ვიდრე საზღვაო სამართლის შესახებ მოლაპარაკებების კონტექსტში). 1967 წლის კოსმოსური სივრცის ხელშეკრულების პირველ მუხლში კი მოხდა ამ ტერმინის ინკორპორირება, რომლის თანახმად, კოსმოსური სივრცის გამოყენება და კვლევა მთელი კაცობრიობის სასარგებლოდ უნდა მოხდეს. მთვარის შესახებ ხელშეკრულების მე-11 მუხლი უფრო ამკარად გამოხატავს საერთო მემკვიდრეობის პრინციპს. იმავე ხელშეკრულების მე-7 მუხლი აერთიანებს ორივე ცნებას და განმარტავს, რომ მთვარის გამოყენება და კვლევა უნდა იყოს მთელი კაცობრიობის კომპეტენციაში და უნდა განხორციელდეს ყველა სახელმწიფოს სასარგებლოდ და ინტერესების დაცვით, მიუხედავად სახელმწიფოს ეკონომიკური და სამეცნიერო განვითარების „ხარისხისა“.¹⁰⁵

ხსენებული პრინციპის სამართლებრივი შინაარსი გაურკვეველია.¹⁰⁶ პირველ რიგში, ამკარაა, რომ ამ პრინციპიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები სულაც არ არის სპეციფიკური. მეორე მხრივ, აღნიშნული პრინციპის ჩვეულებითი სამართლის ნორმად მიჩნევა უსაფუძვლოა. თუ განვიხილავთ

1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციის საფუძველს, ვნახავთ, რომ ძირითადი საზღვაო ზესახელმწიფოები წინააღმდეგობას უწევდნენ კონვენციის XI ნაწილის (ოკეანის ფსკერზე სამთამადნო სამუშაოები) მიღებას და ამ თავის გამო არ ახდენდნენ კონვენციის რატიფიცირებას. სწორედ ამიტომ საეჭვოა, რომ „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის“ პრინციპი საერთაშორისო საჯარო ჩვეულებითი სამართლის ნორმაა.¹⁰⁷ XI თავის ბევრი დებულება სამართლის უცნობი სფეროს კოდიფიკაციის მცდელობასწარმოადგენდა. ეს ნორმები არ არის ჩვეულებითი სამართლის ნაწილი და, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდეს აღნიშნული პრინციპის მხარდაჭერი სახელმწიფოებისათვის.

მთვარის შესახებ ხელშეკრულება ნაკლებად ასახავს „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის“ პრინციპს. თანაც მისი რატიფიცირება სულ რამდენიმე არაძირითადმა კოსმოსურმა სახელმწიფომ მოახდინა. ამიტომ ძნელია, „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის“ პრინციპი საჯარო ჩვეულებითი სამართლის ნორმას მივაკუთვნოთ. ხელშეკრულებითი სამართლის თანახმად, ხელშეკრულება სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელშეკრულების სავალდებულო ძალა მიერთებით ან რატიფიცირებით აღიარეს. ხელშეკრულება არ წარმოშობს ვალდებულებას არანეერ სახელმწიფოთათვის. სულ სხვა საკითხია, რომ შეთანხმების დებულებები შეიძლება ასახავდეს ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, ან მოგვიანებით გახდეს ჩვეულებითი ნორმა. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმა არ არის სავალდებულო იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ ნორმას.¹⁰⁸

ამრიგად, „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის“ პრინციპმა, რომელიც მოქმედებს ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ბუნებრივი რესურსების მიმართ, საერთაშორისო სამართლის განვითარებაში ახალი ტენდენციები შეიტანა, მაგრამ იგი კვლავ წინააღმდეგობრივი და პოლიტიკურად ბუნდოვანი პრინციპია (1996 წელს მალტამ წინადადება წამოაყენა, რომ გაეროს გენერალურ ასამბლევას განეხილა საკითხი გაეროს სამეურვეო საბჭოსათვის¹⁰⁹ კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაზე მეურვეობის გადაცემის შესახებ, რათა უზრუნველყო საყოველთაო მნიშვნელობის საკითხზე აუცილებელი კოორდინირებული მიდგომა¹¹⁰). „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის“ პრინციპმა აღიარება მხოლოდ რამდენიმე ხელშეკრულებაში პოვა და ძალიან ცოტა სახელმწიფო უჭერს მას მხარს. ეს მოსაზრება ჭეშმარიტია კოსმოსურ სამართლთან მიმართებაშიც, თუნდაც ვინმემ მოახდინოს რადიო სიხშირეებისა და გეოსტაციონარულ ორბიტაზე სატელიტის მდებარეობის კვალიფიკაცია „შეზღუდულ ბუნებრივ წყაროებად“, რაც თანაბრად უნდა განაწილდეს, „ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის შესახებ“ კონვენციის თანახმად.¹¹¹

¹⁰⁷ იხ. თ. 12.

¹⁰⁸ იხ. თ. 3.

¹⁰⁹ იხ. თ. 19.

¹¹⁰ V. Morris/M.-C. Bourloyannis-Vrailas, *The Work of the Sixth Committee at the Fiftieth Session of the UN General Assembly*, *AJIL* 90 (1996), 491-500.

¹¹¹ მუხ. 33.

14. ადამიანის უფლებები

¹ Harris CMIL, 600-728; Restatement (Third), Vol. 2, 152-83; I. Brownlie (ed.), Basic Documents on Human Rights, 3rd edn, 1992; T. Meron (ed.), Human Rights in International Law: Legal and Policy Issues, 2 vols 1984; B.G. Ramcharan, The Concept and Present Status of the International Protection of Human Rights Forty Years After the Universal Declaration, 1989; A. Cassese, Human Rights in a Changing World, 1990; L. Henkin, The Age of Rights, 1990; R.B. Lillich, International Human Rights: Problems of Law, Policy and Practice, 2nd edn 1991; R. Blackburn/J. Taylor (eds), Human Rights for the 1990s, 1991; M.T. Kamminga, Inter-State Accountability for Violations of Human Rights, 1992; H. Hannum, Guide to International Human Rights Practice, 2nd edn 1992; R.P. Claude/B.H. Weston (eds), Human Rights in the World Community, 1992; P. Alston (ed.), The United Nations and Human Rights: A Critical Appraisal, 1992; F. Ermacora/M. Nawak/H. Tretter, International Human Rights, 1993; D.P. Forsythe, Human Rights and Peace - International and National Dimensions, 1993; C. Muzaflar, Human Rights and the New World Order, 1993; S. Davidson, Human Rights, 1993; R. Provost, Reciprocity in Human Rights and Humanitarian Law, BYIL 65 (1994), 383 et seq.; J. Henkin/J.L. Hargrove (eds), Human Rights: An Agenda for the Next Century, 1994; L. Henkin, Human Rights, EPIL II (1995), 886-93; S.P. Marks, Human Rights, Activities of Universal Organizations, ibid., 893-902; B. Simma, Human Rights, in C. Tomuschat (ed.), The United Nations at Age Fifty, 1995, 263-80; The United Nations and Human Rights, 1948-1994 (UN Blue Book Series), 1995; M.C. Bassiouni, The Protection of Human Rights in the Administration of Justice, 1995; H. Hannum/R.B. Lillich, International Human Rights: Problems of Law, Policy and Process, 3rd edn 1995; M. O'Flaherty, Human Rights and the UN: Practice Before the Treaty Bodies, 1996. H. Steiner/P. Alston, International Human

ადამიანის უფლებები¹, ადამიანისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონე ფუნდამენტური და განუყოფელი უფლებები, დიდი ხანია მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. საერთაშორისო სამართლის ადრეული ესპანური სკოლის წარმომადგენლები (მაგალითად, ვიტორია და სუარესი) აქტიურად მონაწილეობდნენ დისკუსიაში იმის შესახებ, თუ რა უფლებები უნდა მიეკუთვნოს ადამიანს ნებისმიერ პირობებში. აქ, ცხადია, ძირითადი აქცენტი ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ ესპანელი კოლონიზატორების მოპყრობაზე კეთდებოდა.² სახელმწიფოთა პრაქტიკაში, უკვე 1815 წელს დიდი ბრიტანეთი შეეცადა, დაერწმუნებინა სხვა სახელმწიფოები, მიეღოთ მონათა ვაჭრობის ამკრძალველი ხელშეკრულება.³ მე-20 საუკუნის განმავლობაში მრავალი ხელშეკრულება დაიდო უსამართლო მოპყრობისაგან პიროვნების დასაცავად. ამ მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 1919 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებები, რომლებიც სამანდატო ტერიტორიაზე მცხოვრებთა,⁴ აგრეთვე, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ სამართლიანი მოპყრობის გარანტიებს უზრუნველყოფდა. შეიქმნა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანი მსოფლიოში სამუშაო პირობების გაუმჯობესება იყო.⁵

1945 წლამდე საერთაშორისო საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო გარკვეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთისაკენ ან ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებისა და უცხოელების დაცვისაკენ.⁶ საზოგადოდ, სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის ურთიერთობა შიდასახელმწიფოებრივი საქმე იყო. მეორე მსოფლიო ომმა შეცვალა უწინდელი წარმოდგენები და შემოიტანა „ოთხი თავისუფლების“ იდეა (სიტყვისა და აზრის თავისუფლება, აღმსარებლობის თავისუფლება, სილარობისაგან დაცვის უფლება და აგრესიისგან დაცვის უფლება). აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად ამ ოთხ უფლებას თვლიდა, რაც მან 1941 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი მიმართვაში აღნიშნა. მოგვიანებით მისი წინადადება ატლანტიკის პირველ ქარტილაში აისახა.⁷ ნაციონალ-სოციალისტების მმართველობისას ადამიანის უფლებები გამუდმებით ირღვეოდა. მხოლოდ 1945 წელს, გაერთიანებული ერების წესდების ხელმოწერის შემდეგ გახდა შესაძლებელი ყველა ადამიანის ინდივიდუალური უფლებების უფრო სრულყოფილად დაცვა.

რა არის ადამიანის უფლებები

ადამიანის (ან ფუნდამენტური) უფლებების კონცეფცია საკმაოდ დინამიკურია. ის მუდმივად იცვლება და ფართოვდება, რაც დასავლეთის სახელმწიფოების კონსტიტუციური განვითარების ისტორიამაც გვიჩვენა. მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონცეფციის ძირითადი არსის შენარჩუნებას, კერძოდ, იმ იდეას, რომ ყოველ ადამიანს აქვს განუყოფელი და სამართლებრივად დაცული უფლებები, რომლებიც მას სახელმწიფოს ჩარევისა და მთავრობის მიერ ძალაუფლების გადაჭარბებისგან იცავს. ამ ე.წ. სამოქალაქო უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ნუსხას ეკუთვნის, მაგალითად, რელიგიის თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება.

სამწუხაროდ, დისკუსია ადამიანის უფლებების შესახებ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ გაართულა ამ უფლებათა სხვადასხვა „თაობებზე“ მსჯელობის

ახალმა ტენდენციამ. განსხვავება ამ სამოქალაქო უფლებებში მართლაც შესამჩნევია: პირველ თაობას ეკუთვნის ადამიანის დაცვა სახელმწიფო ჩარევისაგან, მეორე თაობას ეკუთვნის სოციალური უფლებები, მაგალითად, შრომისა და განათლების უფლება. მაგრამ ქვემოთ ვნახავთ, რომ არსებობს უფლებების ორი სახესხვაობა. უკანასკნელ ხანს საუბრობენ მესამე თაობის უფლებებზე, რომელთა შორისაა მშვიდობის უფლება, თვითგამორკვევის უფლება⁸, კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის პრინციპი⁹, განვითარების უფლება¹⁰, უმცირესობათა უფლებები¹¹ და სუფთა გარემოს შენარჩუნების უფლება.¹²

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების თაობებზე დაყოფა მიუღებელია, რადგანაც ამით აზრს კარგავს ადამიანის უფლებების, როგორც ინდივიდის ძირითადი უფლებების, კონცეფცია. ამასთანავე, უცნობია, თუ ვინ არის ე.წ. მესამე თაობის უფლებების სუბიექტი, ვის ეხება მშვიდობის უფლება, სუფთა გარემოს შენარჩუნების უფლება და ა.შ. ამ, უეჭველად, მნიშვნელოვანი საკითხების გაერთიანება ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ დისკუსიასთან გაუმართლებელია. ასევე გაურკვეველია, დაემატება თუ არა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს იმ ახალი უფლებებისა და ფასეულობების ნუსხა, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების წინაშე პიროვნების მოვალეობებთან. ასეთებია, მაგალითად, სამხედრო სამსახური ან გადასახადების გადახდა.¹³ ამ საკითხის უფრო ნათლად წარმოდგენისთვის განვიხილოთ იმპლემენტაციის პრობლემა. ეროვნულ სასამართლოებსა და საერთაშორისო ხასიათის სასამართლო ორგანოებს შეუძლიათ მხოლოდ სამოქალაქო უფლებების ეფექტური დაცვა სახელმწიფოს ჩარევისაგან. გამოძიება ჩატარდება იმის მიუხედავად, იყო თუ არა კონკრეტული უფლება შელახული სახელმწიფოს მხრიდან. დაზარალებულ პირს აქვს დაცვისა და კომპენსაციის უფლება. სოციალური და ეკონომიკური უფლებების დარღვევის შემთხვევებში საკმაოდ ძნელია სავალდებულო გადაწყვეტილების მიღება, რადგანაც მათი ცხოვრებაში გატარება შიდასახელმწიფოებრივ ფინანსებსა და რესურსებს, აგრეთვე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო პოლიტიკურ ნებას მოითხოვს. შემთხვევითი არ არის, რომ სამოქალაქო და სოციალური უფლებების დამცავი მექანიზმები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ დონეზე განსხვავდება. სამწუხაროდ, მესამე თაობის უფლებების უზრუნველსაყოფად მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების შედეგად წარმოშობილი დამცავი მექანიზმები მოქმედებენ.¹⁴

ამ მხრივ ჩვენ ვსაუბრობთ ისეთ ფართო პრობლემაზე, როგორიცაა ადამიანის უფლებების საერთაშორისო განმარტება.¹⁵ დასავლური ტრადიციების მიმდევარი სახელმწიფოების კონსტიტუციური მოდელი განმანათლებლთა გავლენის შედეგად შეიქმნა. აქ განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. ეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები წარმოადგენენ ადამიანის ფუნდამენტურ-ლიბერალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც ნეგატიურ უფლებებს, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოსა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ადამიანის უფლებებისადმი სოციალისტური მიდგომა იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ, და უპირატესობა ენიჭება არა ინდივიდუალურ თავისუფლებებს, არამედ კოლექტიურ ასპექტებსა და სოციალ-ეკონომიკურ უფლებებს. განვითარებად სახელმწიფოებში ყურადღება მეტწილად სიღარიბისა და ეკონომიკური განვითარების პრობლემას ეთმობა. სამწუხაროდ, განვითარებად ქვეყნებში უპირველესი საკითხი ადამიანის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. მხოლოდ ამ პრობლემის გადაჭრის შედეგად გახდება შესაძლებელი ისეთ სამოქალაქო უფლებებზე საუბარი, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება. სრულიად სანინააღმდეგო შეხედულება აქვთ მუსულმანურ ქვეყნებს აღმსარებლობის თავისუფლებისა და ქალთა უფლებების შესახებ. შეიძლება

Rights in Context. Law, Politics, Morals, 1996. On international humanitarian law. nb. st. 20.

² nb. st. 2.

³ nb. st. 2.

⁴ nb. st. 19.

⁵ nb. st. 2.

⁶ nb. st. 2 და st. 17.

⁷ nb. st. 2.

⁸ nb. st. 19.

⁹ nb. st. 13.

¹⁰ nb. st. 15.

¹¹ nb. st. 6 და st. 19.

¹² nb. st. 16.

¹³ nb. R. Bernhardt, *The International Enforcement of Human Rights, General Report* in R. Bernhardt/J. A. Jolowicz (eds), *International Enforcement of Human Rights*, 1987, 143-58, at 145 with reference to K.-J. Partsch.

¹⁴ nb. st. 1 და st. 18.

¹⁵ nb. L. Kühnhardt *Die Universalität der Menschenrechte*, 1987; PH. Kooijmans, *Human Rights, Universal Values*, 1993; C. Muzaffar, *Human Rights and the New World Order*, 1993; G.J.H.v. Hoof, *Human Rights in a Multi-Cultural World: The Need for Continued Dialogue*, in R. S.J. Macdonald (ed.), *Essays in Honour of Wang Tieya*, 1994, 877-91; A.E. Mayer, *Universal Versus Islamic Human Rights: A Clash of Cultures or a Clash with a Construct*, *Mich. JIL* 15 (1994), 307-404; A.A. An-Na'im, *Human Rights in Cross-Cultural Perspectives. A Quest for Consensus*, 1995. nb. აგრეთვე, st. 2.

¹⁶ D.A. Bell, *The East Asian Challenge to Human Rights: Reflections on an East West Dialogue*, *HRQ* 18 (1996), 641-67.

¹⁷ T. Oppermann, *Intervention*, *EPIL* II, (1995), 1436-9.

¹⁸ იბ. თ. 2.

¹⁹ იბ. თ. 6.

²⁰ იბ. მაგალითად, I. Brownlie, *The Human Right to Food*, 1987; J. Delbruck, *The Right to Education as an International Human Right*, *GYL* 35 (1992), 92.

ითქვას, რომ ადამიანის უფლებების დასავლური მოდელი უნივერსალური ხასიათისაა. თუმცა მას ხშირად სდებენ ბრალს ინდივიდუალიზმსა და დეკადენტურობაში. მიუხედავად ამისა, ბოლო ხანებში აზიის უმრავლეს ქვეყანაში სწორედ დასავლური მოდელის გამოყენება შეიმჩნევა.¹⁶

საერთაშორისო თანამეგობრობაში არსებული კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განსხვავებების გამო ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევა რთულდება. არსებობს კი საერთო ფილოსოფია ქრისტიანების, მუსულმანების, მარქსისტების და სხვათა მიერ უნივერსალურ დონეზე აღიარებულ ტექსტებში? ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მსგავსი შეხედულება ადამიანთა უფლებების სფეროში კულტურული რელატივიზმის საფრთხეს ბადებს. როგორც ჩანს, ამ დროისათვის არსებული (შედარებით ახალი) საერთო მიდგომა ადამიანის უფლებების სამართლის განვითარებაში საკმაოდ ზოგადია. კერძოდ, ყოველი ადამიანი იმსახურებს უსაფრთხოებას, და საერთაშორისო თანამეგობრობა ვალდებულია, უზრუნველყოს ეს უფლება. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მრავალი სახელმწიფო შიდასახელმწიფოებრივ საქმედ მიიჩნევს თავის მოქალაქეებთან ურთიერთობების გარკვევას. ისინი უარყოფენ თანამეგობრობის წევრი უცხო ქვეყნების უფლებას, რეაგირება მოახდინონ ამ სახელმწიფოებში ადამიანის უფლების დარღვევაზე, თუნდაც მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დარღვევა განსაკუთრებულ დონეს აღწევს, როგორც, მაგალითად, დაუსაბუთებელი ინტერვენციის დროს.¹⁷ ამ დროს სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპი¹⁸ ყოველთვის უპირისპირდება ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის მიზნებს. რეგიონალურ დონეზე განსხვავებული სიტუაციაა. აქ ადამიანის უფლებების დამცავი კონვენციები წევრ-სახელმწიფოთა უფრო ერთგვაროვან, დემოკრატიულ ტრადიციებსა და ფასეულობებს (როგორცაა კანონის უზენაესობა) ემყარება. ევროპა ამის საუკეთესო მაგალითია. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ადამიანის უფლებების განვითარება საერთაშორისო დონეზე, რადგანაც მას გააჩნია მძლავრი პოტენციური იმისა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს, რაც არსებული სისტემის საფუძველია. თუმცა, ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმებისა და დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, უპასუხოდ რჩება კითხვა: ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარეობს თუ უბრალოდ პრივილეგიებიდან.¹⁹ ასევე არსებობს კლასიფიკაციის პრობლემაც, რადგანაც უმეტეს შემთხვევებში სახელმწიფოთა ვალდებულებები გაუგებარი და იდეალისტური ენიტაა გამოხატული, რის შედეგადაც გაურკვეველი რჩება, აღიარებენ თუ არა ისინი თავიანთ სამართლებრივ მოვალეობებს და განასხვავებენ თუ არა მათ უბრალო მორალური ვალდებულებებისაგან.

ადამიანის სამოქალაქო უფლებების დაცვა სახელმწიფოს ინტერვენციისაგან დღესაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. სწორედ ამ სფეროში შეინიშნება საერთაშორისო სამართლისა და სამართალდამცავი მექანიზმების განვითარების განსაკუთრებული პროგრესი. ქვემოთ სწორედ ამ უფლებებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ამით სულაც არ უარყოფთ იმას, რომ მრავალ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს ისეთივე ან მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თავისუფლების უფლებას.²⁰

ადამიანის უფლებები საერთაშორისო დონეზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიზნად ისახავს „ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას, ნახალისებასა და განვი-

თარებას რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.²¹ გაეროს წესდების 55-ე მუხლის თანახმად, „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს... ადამიანის საყოველთაო პატივისცემასა და მისი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას ყველასათვის – რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.“²² 56-ე მუხლის თანახმად, „ორგანიზაციის ყველა წევრი იღებს ვალდებულებას, ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, როგორც ერთობლივად, ისე დამოუკიდებლად, იმოქმედოს 55-ე მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად.“²³ „ვალდებულების აღება“ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. მართალია, ეს მოთხოვნა პირდაპირ კი არ არის მოცემული (უფლებები არ არის განმარტებული), არამედ მათი შესრულება მომავლისთვისაა გამიზნული. გაუგებარი ენა სახელმწიფოებს თავისუფალი არჩევანის უფლებას უტოვებს იმის გადასაწყვეტად, თუ რა საშუალებებითა და რამდენ ხანში უნდა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. სამწუხაროდ, ამის შედეგად ზოგიერთ ქვეყანაში პროგრესი საერთოდ არ შეინიშნება, სხვაგან კი ადამიანის უფლებების საკეთილდღეო ცვლილებები ოდნავაა შესამჩნევი. აღსანიშნავია, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც საკუთარი ნებით დგებიან განზე, როცა საქმე ადამიანის უფლებების დაცვას ეხება, 56-ე მუხლს არღვევენ; სწორედ ამით აიხსნება გაეროს წევრი ქვეყნების მიდგომა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ, სადაც აპართეიდის რეჟიმი არსებობდა. საერთაშორისო სასამართლომ *ნამიბიის საქმის (Namibia Case)* განხილვისას შემდეგი საკონსულტაციო დასკვნა გამოიტანა: „რასის, კანის ფერის, ეროვნული, ეთნიკური თუ სხვა განსხვავების გამო გამოყოფა, შეზღუდვა და ლიმიტირება კანონმდებლობის მეშვეობით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების და გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების უხეში დარღვევაა.“²⁴ რა სახის ვალდებულება არ უნდა დაეკისროს სახელმწიფოს გაეროს წესდების 55-ე და 56-ე მუხლებით, ნათელია, რომ მოცემული დებულებები ცალკეულ პირებს ანიჭებს არა საერთაშორისო უფლებებს, არამედ მხოლოდ პრივილეგიებს. ისეთ სახელმწიფოებში, როგორცაა, მაგალითად აშშ, სადაც გაეროს წესდება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნაწილი მხოლოდ რატიფიკაციის შედეგად ხდება, სასამართლოები თავიანთ გადაწყვეტილებებში, როგორც წესი, ადგენენ, რომ 55-ე და 56-ე მუხლები ძალზე ბუნდოვანია, რათა არადაინტერესებულ პირს რაიმე უფლება შეუქმნას. წესდება სხვა დებულებებსაც შეიცავს, რომლებშიც ადამიანის უფლებებია ნახსენები.²⁵ სამწუხაროდ, ეს დებულებები ძალზე სუსტია და არც რეალური მექანიზმები არსებობს მათ ასამუშავებლად. ასევე აღსანიშნავია წესდების მე-2(7) მუხლი, რომლის თანახმად: „წინამდებარე წესდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ ანიჭებს უფლებას, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად რომელიმე სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციას განეკუთვნება...“²⁶ ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ დებულების თანამედროვე ინტერპრეტაცია შესაძლებელს ხდის გაეროს ორგანოების მიერ იძულებითი ზომების გამოყენებას წევრი სახელმწიფოების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

²¹ Article 1, UN Charter, *Brownlie BDIL*, 1. იხ. აგრეთვე, თ. 21.
²² Article 55. იხ. K.J. Partsch, Article 55(c), in *Simma CUNAC*, 776-93.
²³ Article 56. იხ. R. Wolfrum, Article 56, *ibid.*, 793-5.
²⁴ *Namibia Case* (1971), *ICJ Rep.* 1971, 16-345, at 57, para. 131. იხ. J. Delbruck, *Apartheid, EPIL* (1992), 192-6. იხ. აგრეთვე, თ. 18 და თ. 19.
²⁵ იხ. Articles 13(1), 73 and 76.
²⁶ იხ. თ. 21.
²⁷ UN GA Res. 217 A(III), UN Doc. A/ 810, at 71; *Brownlie BDIL*, 255. იხ. N. Robinson, *The Universal Declaration of Human Rights*, 1958; A. Verdoort, *Naissance et signification de la Declaration Universelle des Droits de l'Homme*, 1964; A. Eide (ed.), *The Universal Declaration of Human Rights: A Commentary*, 1992; A. Eide et al. (eds), *The Universal Declaration of Human Rights*, 1992; J.C. Salcedo, *Human Rights, Universal Declaration* (1948), *EPIL* II (1995), 922-6; K.-J. Partsch, *Human Rights in General*, in *Wolfrum UNLPP*, 603-11.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია რეზოლუციას, რომელიც მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს. დეკლარაციის მომხრე იყო 48 წევრი, თავი შეიკავა რვამ (ესენი იყვნენ კომუნისტური ქვეყნები, საუდის არაბეთი და სამხრეთი აფრიკა).²⁷ დეკლარაციაში ასახული დებულებები შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ის დებულებები, რომლებიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სახელით დამკვიდრდა. ამ მუხლების თანახმად, აკრძალულია მონობა, არაჰუმანური

²⁸ იბ. თ. 3.

²⁹ *AJIL* 63 (1969), 674. იბ. აგრეთვე, *Filartiga v. Penarala, ILM* (1980), 966,971 and 973, და თ. 7.

³⁰ იბ. C.-A. Fleischhauer, Article 13, in *Simma CUNAC*, 265-79.

³¹ იბ. A. Eidert Opsahl (eds), *The Human Right Organs of the United Nations*, 1985; R. Lagoni. Article 62, in *Simma CUNAC*, 843; K.J. Partsch, Article 55(c), *ibid.*, 776-93; Partsch, Article 68, *ibid.*, 888-92. ECOSOC-ის შესახებ იბ. თ. 21.

და ღირსების შემლახველი ქცევა, თვითნებური დაპატიმრება, პირადი ცხოვრების თვითნებური ხელყოფა, დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, ნოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე. ამას გარდა, აქ დეკლარირებულია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართალწარმოების უფლება, თავისუფალი გადაადგილებისა და ცხოვრების უფლება, ქორწინების, ქონების ფლობის, პოლიტიკური თავშესაფრის უფლება, მოქალაქეობისა და მისი შეცვლის უფლება, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციებით სარგებლობის უფლება, თავისუფალი არჩევანისა და თანასწორი შესაძლებლობების უფლება. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები: სოციალური უსაფრთხოების უფლება, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება, ცხოვრების ნორმალური დონის უფლება, განათლებისა და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. პრეამბულას მოსდევს შემდეგი სიტყვები:

„გენერალური ასამბლეა აქვეყნებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომლის შესრულებასაც უნდა ესწრაფოდეს ყველა ხალხი და სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ამ დეკლარაციის გათვალისწინებით, ისწრაფოდეს, სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას, მათ საყოველთაო და ეფექტურ აღიარებას ეროვნული თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა, ასევე ამ სახელმწიფოების ურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებში.“

მრავალი არასპეციალისტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, პატივი სცენ დეკლარაციაში მოცემულ უფლებებს. იმ სახელმწიფოთა უმრავლესობა, რომელთაც მხარი დაუჭირეს საყოველთაო დეკლარაციას, მას შორეულ და იდეალისტური სახის განაცხადად მიიჩნევენ, რომელიც რაიმე სახის ვალდებულებას არ ბადებს. დეკლარაცია უმეტესწილად სარეკომენდაციო ხასიათისაა და „მიისწრაფვის, ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათ საყოველთაო და ეფექტურ აღიარებას.“ მაშასადამე, დეკლარაცია ადამიანის უფლებათა უბრალო ჩამონათვალაა, რომლის აღსრულების მოვალეობასაც სახელმწიფოები გაეროს წესდების 55-ე და 56-ე მუხლებით კისრულობენ. ჩვენთვის ნათელია, რომ წესდება სახელმწიფოს ფართო არჩევანის უფლებას ანიჭებს, თუ რა სისწრაფით და რა საშუალებებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. შესაძლებელია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ან მისი გარკვეული ნაწილი (მაგალითად, წამების აკრძალვა²⁸) სავალდებულო გახდეს, როგორც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმა. მაგალითად, გაეროს 1968 წლის თეირანის კონფერენციაზე ადამიანის უფლებათა შესახებ მიიღეს რეზოლუცია, რომელიც *inter alia* აცხადებს, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია... სავალდებულოა საერთაშორისო საზოგადოების წევრებისათვის.“²⁹

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე ბაეროს ორგანოები

გაეროს წესდების მე-13 მუხლის თანახმად, გენერალური ასამბლეა იკვლევს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ადამიანის უფლებათა საკითხებზე.³⁰ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ორგანოა ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC), რომელიც შედგება გენერალური ასამბლეის მიერ არჩეული 54 წევრისაგან³¹. წესდების 62-ე მუხლის მიხედვით, ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა

და ძირითად თავისუფლებათა შესახებ, მოამზადოს კონვენციების პროექტები და მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენციები. იგი ასევე ისმენს სხვადასხვა ორგანოების მოხსენებებს.

მეცნიერული კვლევებისა და გაეროს 55-ე და 56-ე მუხლების ცხოვრებაში გატარებისა და ხელშეკრულებათა პროექტების მომზადების მიზნით გაერომ 1946 წელს დააარსა ადამიანის უფლებათა კომისია (ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დამხმარე ორგანო, რომელიც შედგება გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი 43 წევრისაგან). არსებობის პირველი ოცი წლის მანძილზე კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება, განეხილა გაეროს გენერალური მდივნისადმი მიწერილი საჩივრები. სამხრეთ აფრიკაში არსებული ვითარების გამო ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1967 წლის რეზოლუციით ადამიანის უფლებათა კომისია უფლებამოსილი გახდა, „განეხილა ყველა სახის ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ფართო დარღვევების შესახებ“ და შეესწავლა „ადამიანის უფლებათა აშკარა და მუდმივი დარღვევების შემცველი საქმეები.“³² ეს გახდა კონკრეტული სახელმწიფოების წინააღმდეგ ad hoc (მაგალითად, ირანში 1990 წელს) ან მუდმივი სამუშაო ჯგუფების (მაგალითად, ჩილეს სამხედრო რეჟიმის დროს) მეშვეობით საზოგადოებრივი გამოძიებების ჩატარების საფუძველი.

1971 წელს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია,³³ რომლითაც დისკრიმინაციის ამკრძალველ და უმცირესობათა უფლების დამცავ ქვეკომისიას დაევალია მუშა ჯგუფის ჩამოყალიბება კერძო პეტიციების განსახილველად, რომლებიც შეეხებოდა „მუდმივი ხასიათის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს.“ მას შემდეგ კომისიას შესაძლებლობა მიეცა განეხილა ამგვარი საჩივრები და გაეცა რეკომენდაციები. თუმცა კომისიას ნაკლებად თუ გამოუყენებია ეს შეზღუდული უფლებები. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს პროცედურა დაკავშირებულია არა კერძო საჩივრებთან, არამედ „შემთხვევებთან“, თუმცა პროცედურა ეხება ყველა სახელმწიფოს და ყველა იმ უფლებას, რომელიც ჩამოთვლილია 1948 წლის დეკლარაციაში. ხშირ შემთხვევაში პროცედურა არაეფექტურია; კერძო ხასიათის შესწავლის შემდეგ კეთდება განაცხადი ქვეკომისიაში. არ არსებობს კომისიის გადანყვეტილებათა აღსრულების მექანიზმი, მის გადანყვეტილებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. კომისიას არ გააჩნია ტერიტორიაზე მოქმედების ან მონმეთა დაკითხვის უფლება.³⁴

გაეროს დაქვემდებარებაში იმყოფება ადამიანის უფლებების ცენტრი, რომელიც ფენევაში მდებარეობს. ცენტრს მხოლოდ 50 ექსპერტი ჰყავს და მისი ბიუჯეტი 11 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, რაც გაეროს ბიუჯეტის დაახლოებით 0.7 პროცენტია.³⁵ 1993 წელს ვენაში გამართული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციის³⁶ შემდეგ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ წინააღმდეგობების მიუხედავად შეძლო ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ჩამოყალიბება.³⁷ რეზოლუციის მესამე პუნქტში საკმაოდ რთული ენით არის გადმოცემული უმაღლესი კომისარიატის უფლება-მოვალეობები. გენერალური ასამბლეის გადანყვეტილების თანახმად, უმაღლესმა კომისარიატმა უნდა შეათავსოს ერთი შეხედვით განსხვავებული და ამავე დროს ძნელი მოვალეობები:

ა) იმოქმედოს გაეროს წესდების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, საერთაშორისო სამართალში არსებული ადამიანის უფლებების დამცავი სხვა დოკუმენტების შესაბამისად, იმ ვალდებულებების ჩათვლით, რომელთა მიზანია სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და იურისდიქციის პატივისცემა, რათა ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას, იმის გათვალისწინებით, რომ, გაეროს წესდების პრინციპებისა და მიზნების ფარგლებში, ადამიანის უფლებების დაცვა საერთაშორისო საზოგადოების უპირველესი საზრუნავია.

³² 1967 ECOSOC Res. 1235 (XLII).

³³ 1971 ECOSOC Res. 1503 (XXVIII).

³⁴ M. Nowak, Country-Oriented Human Rights Protection by the UN Commission on Human Rights and its Sub-Commission, *NYIL* 22 (1991), 91-162; J.R. Crook, The Fiftieth Session of the UN Commission on Human Rights, *AJIL* 88 (1994), 806-21; *AJIL* 90 (1996), 126-38.

³⁵ იხ. თ. 21.

³⁶ იხ. Vienna Declaration and Programme of Action of 25 June 1993, UN Doc. A/CONF. 157/23; *ILM* 32 (1993), 1661.

³⁷ UN GA Res. 48/141 of 20 December 1993, *ILM* 33 (1994), 303. იხ. A. Clapham, Creating the High Commissioner for Human Rights: The Outside Story, *EJIL* 5 (1994), 556-68.

³⁸ *Ibid.*, at 305.

³⁹ იბ. Z. Kedzia. The United Nations High Commissioner for Human Rights, in *FS Bernhardt*, 435-52.

⁴⁰ *Brownlie BDIL*, 262, 270. იბ. E.W. Vierdag, Some Remarks about Special Features of Human Rights Treaties, *NYIL* 25 (1994), 119-42; G.C. Jonathan, Human Rights Covenants, *EPIL* II (1995), 915-22.

⁴¹ State of Ratifications of Major Human Rights Conventions as of 31 July 1996, *NQHR* 14 (1996), 360 *et seq.* იბ. აგრეთვე, H. Hannum/D.D. Fisher (eds), *United States Ratification of the International Covenants on Human Rights*, 1993; L. Henkin, U.S. Ratification of Human Rights Conventions: The Ghost of Senator Bricker, *AJ OJ* (1995), 341-9.

⁴² M.J. Bossuyt, *Guide to the "Travaux Préparatoires" of the International Covenant on Civil and Political Rights*, 1987; P.R. Ghandi. The Human Rights Committee and Derogation in Public Emergencies, *GYIL* 32 (1989), 321-61; W.A. Schaba, The Omission of the Right to Property in the International Covenants, *Hague YIL* 4 (1991), 135-70; M. Nowak, *UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary*, 1993; D. McGoldrick, *The Human Rights Committee. Its Role in the Development of the International Covenant on Civil and Political Rights*, 2nd edn 1994. C. Tomuschat, *International Covenant on Civil and Political Rights*, Human Rights Committee, *EPIL* II (1995), 1115-19.

⁴³ C. Tomuschat, *Human Rights. States Reports*, in *Wolfgram UNLPP* I, 628-37.

⁴⁴ K.J. Partsch. Human Rights, Interstate Disputes. *ibid.*, 612-18.

⁴⁵ იბ. თ. 17.

ბ) თავის ქმედებებში ხელმძღვანელობდეს იმ პრინციპით, რომ ადამიანის უფლებები – სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური – უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულია, და რომ, მნიშვნელოვანი ეროვნული და რეგიონალური თავისებურებებისა და განსხვავებული ისტორიული, კულტურული თუ რელიგიური საწყისების გათვალისწინებით, ნებისმიერი სახელმწიფო მოვალეა, ხელი შეუწყოს და დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, მიუხედავად თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული სისტემისა.

გ) აცნობიერებდეს ხალხების თანაბარი და უწყვეტი განვითარების ხელშეწყობის, აგრეთვე განვითარების უფლების დეკლარაციით გათვალისწინებული განვითარების უფლების საყოველთაო აღიარების დიდ მნიშვნელობას.³⁸

1994 წელს ეკვადორის ელჩი აიალა ლასო დაინიშნა პირველი კომისრის თანამდებობაზე, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის რანგში. მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად შესაძლებელია ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტურობის ამაღლება მსგავსი ხასიათის ორგანოს შექმნით, მაგრამ ეს ნამდვილად სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია.³⁹

1966 წლის პაქტები

1966 წლის 16 დეკემბერს, თორმეტწლიანი დისკუსიების შემდეგ, გაერომ დაამთავრა მუშაობა ორი ხელშეკრულების პროექტზე, რომელთა ძირითად მიზანსაც ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში გამოხატული პრინციპებისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭება და დაკონკრეტება წარმოადგენდა. ორივე ხელშეკრულება – საერთაშორისო პაქტი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ – 1976 წელს შევიდა ძალაში.⁴⁰ 1996 წლის 31 ივლისისათვის ამ პაქტებს 134 სახელმწიფო შეუერთდა.⁴¹

ორივე პაქტი ნაწილობრივ ასახავს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას და ითვალისწინებს შედარებით სუსტი მონიტორინგის სისტემას. საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ შეიქმნა ადამიანის უფლებების კომიტეტი, რომელიც შედგება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების მიერ არჩეული 18 წევრისაგან.⁴² გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრების არჩევა პიროვნული თვისებების საფუძველზე ხდება და არა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლობის მიხედვით. ერთადერთი სავალდებულო მექანიზმი, რომელსაც საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ითვალისწინებს, მოხსენებების წარდგინების სისტემაა (მუხლი 40). კერძოდ, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, წარადგინონ მოხსენებები ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ხუთ წელიწადში ერთხელ.⁴³ ამ მოხსენებების შესწავლა და შესწორება ხდება კომიტეტის მიერ, რომელსაც შეუძლია დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა. ფაკულტატიური ხასიათის პროცედურა (მუხლი 41) ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მეორე სახელმწიფოს მისცეს უფლება, საჩივარი შეიტანოს კომიტეტში მის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევის გამო (1996 წლის ივლისში ამ პროცედურას მხოლოდ 45-მა მონაწილე სახელმწიფომ დაუჭირა მხარი).⁴⁴ მაგრამ ამ პროცედურის განსახორციელებლად საჭიროა ორივე სახელმწიფოს თანხმობა და ყველა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი ხასიათის საშუალების გამოყენება.⁴⁵ ეს პროცედურა არ გამოირჩევა თავისი შესაძლებლობებით, რადგანაც მხოლოდ მდგომარეობის გაუვნებელყოფას ითვალისწინებს და არ არსებობს სასამართლო ორგანოს მიერ მიღებული სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება. მეორე

კრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა სახის დათქმები (1994 წლის 1 ნოემბრისათვის 127-მა მონაწილე სახელმწიფომ 150 დათქმა გააკეთა), რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს პაქტის ეფექტურ იმპლემენტაციას.⁴⁶

არსებობს აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი კერძო საჩივრების განსახილველად; სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა კომიტეტს შეუძლია მხოლოდ ახსნა-განმარტება მოსთხოვოს და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაცია.⁴⁷ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა 1996 წლისთვის 81-ს შეადგენდა. წელიწადში დაახლოებით 1000 საჩივარი შედის. აქედან მხოლოდ 40-დან 50-მდე საჩივრის რეგისტრაცია ხდება. ადამიანის უფლებათა კომიტეტში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე 600-მდე საჩივარი შევიდა, რომელთაგან ნახევარზე მეტს მიღებაზე უარი ეთქვა. 1989 წლის ფაკულტატიური ოქმი, რომელიც ძალაში 1996 წელს შევიდა და მხოლოდ 29 მონაწილე სახელმწიფო ჰყავს, კრძალავს სიკვდილით დასჯას.⁴⁸ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიხედვით, საქმეთა განხილვა მოხსენებების საფუძველზე ხდება. ხელშეკრულება არ ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი საჩივრებისა და კერძო პეტიციების განხილვას. თავდაპირველად სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი ანგარიშები განიხილებოდა მუშა ჯგუფის მიერ, რომელიც ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ დაარსდა და სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან არჩეული 15 წევრისაგან შედგებოდა. 1987 წლის შემდეგ ფუნქციონირებს 18 დამოუკიდებელი წევრისაგან შემდგარი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, რომელიც ანგარიშვალდებულია ECOSOC-ის მიმართ.⁴⁹ კომიტეტი ამზადებს „ზოგადი ხასიათის კომენტარებს“ და გამოთქვამს ზოგად მოსაზრებებს საერთაშორისო პაქტში ასახული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პაქტში ფორმულირებულ უფლებებს (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტისაგან განსხვავებით) არ გააჩნია პირდაპირი სავალდებულო ხასიათი, ის აღწერილია, როგორც პროგრამა, რომელიც დამოკიდებულია სახელმწიფოთა კეთილ ნებასა და რესურსებზე (შესაძლებლობებზე). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე მუხლის თანახმად, „პაქტის მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით გადადგას ნაბიჯები ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციისათვის“, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ასუსტებს იურიდიულ მოვალეობას.

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

1948 წლის შემდეგ გაეროს ეგიდით ადამიანის უფლებების დამცავი მრავალი ხელშეკრულება იქნა მიღებული. ესენია: 1948 წლის კონვენცია გენოციდის თავიდან აცილებისა და აკრძალვის შესახებ⁵⁰ (121 რატიფიკაცია 1996 წლისთვის), 1965 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ⁵¹ (147 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული და ამ კონვენციის მონაწილე მხოლოდ 22-მა სახელმწიფომ აღიარა მე-14 მუხლით გათვალისწინებული კომიტეტის უფლებამოსილება), 1979 წლის კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ⁵² (153 რატიფიკაცია), 1984 წლის კონვენცია ნამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი ქცევის ან სასჯელის შესახებ⁵³ (96 რატიფიკაცია). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კონვენცია ძალაშია შესული, თუმცა მათში მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამის ნათელი მაგალითია 1989

⁴⁶ *ib. The General Comment No. 24 (52) adopted by the Human Rights Committee under Article 40(4) in 1994, ILM 34 (1995), 839. იხ. აგრეთვე, L. Lijnzaad, Reservations to UN Human Rights Treaties: Ratify and Ruin?*, 1994; T. Giegerich, Vorbehalte zu Menschenrechtssabkommen: Zulässigkeit, Gültigkeit und Prüfungs-kompetenz von Vertragsgremien, *ZaoRV55* (1995), 713; J.P. Gardner (ed.), *Human Rights as General Norms and a State's Right to Opt out: Reservations and Objections to Human Rights Conventions*, 1996; I.Cameron/F. Horn, Reservations to the European Convention on Human Rights: The Bellios Case, *GYIL* 33 (1990), 69-129; იხ. აგრეთვე, თ. 9.

⁴⁷ იხ. C. Tomuschat, Making Individual Communications an Effective Tool for the Protection of Human Rights, in *FS Bernhardt*, 615-34; *idem*, Human Rights and Individual Complaints, in *Wolftrum UNLPP I*, 619-27.

⁴⁸ G.J. Naldi, United Nations *ib. ks* to Abolish the Death Penalty, *ICLQ*40 (1991), 948 *et seq.*; W.A. Schabas, *The Abolition of the Death Penalty in International Law*, 1993; C. Schreuer, Capital Punishment and Human Rights, in *FS Bernhardt*, 563-77.

⁴⁹ იხ. P. Alston, The Committee on Economic, Social and Cultural Rights, in Alston (ed.), 1992, *op. cit.*, 473; A. Eidel/C. Krause/A. Rosas (eds), *Economic, Social and Cultural Rights - A Textbook*, 1994; B. Simma, Die Internationale Kontrolle des VN-Paktes über wirtschaftliche, soziale und kulturelle Rechte: neue Entwicklungen, in *FS Bernhardt*, 599-614; M.C.R. Craven, *The International Covenant on Economic, Social, and Cultural Rights - A Perspective on Its Development*, 1995.

⁵⁰ 78 UNTS 277; ILM (1989), 754; იხ. L.J. LeBlanc, *The United States and the Genocide Convention*, 1990; G. Andropoulos, *Genocide. Conceptual and Historical Dimensions*, 1994.

⁵¹ 660 UNTS 13; *Brownlie BDIL*, 310.

⁵² 1249 UNTS 13; ILM19 (1980), 33; ILM35 (1996), 485; ILM 35 (1996), 401; Cook (ed.), *Human Rights of Women: National and International Perspectives*, 1994; D.J. Sullivan, Women's Human Rights and the 1993 World Conference on Human Rights, *AJIL* 88 (1994), 152.

⁵³ ILM23 (1984), 1027; amended text in *ILM* 24 (1985),

535. იხ. J. H. Burgers/H. Danelius, *The UN Convention Against Torture: A Handbook on the Convention against Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment*, 1988; A. Cassese (ed.), *The International Fight Against Torture*, 1991; K. Ginther, *The European Convention for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment*, *EJIL* 2 (1991), 123-31; M. Evans/R. Morgan, *The European Convention for the Prevention of Torture: Operational Practice*, *EPIL* 41 (1992), 590 *et seq.*; J. Murdoch, *The Work of the Council of Europe's Torture Committee*, *EJIL* 5 (1994), 220-48; M. Evans/R. Morgan, *The European Torture Committee: Membership Issues*, *ibid.*, 249-58.
⁵⁴ *ILM* 28 (1989), 1448. იხ. S. Detrick (ed.), *The United Nations Convention on the Rights of the Child - A Guide to the 'Travaux Préparatoires'*, 1992; P. Alston, *The Best Interests of the Child: Reconciling Culture and Human Rights*, 1994; G. v. Buuren, *The International Law on the Rights of the Child*, 1995; L. J. LeBlanc, *The Convention on the Rights of the Child: United Nations Lawmaking on Human Rights*, 1995.

⁵⁵ იხ. G. Goodwin-Gill, *The Refugee in International Law*, 1983; D. A. Martin (ed.), *The New Asylum Issues: Refugee Law in the 1980s*, 1988; R. Hofmann, *Refugee Law in the African Context*, *ZaorV* 52 (1992), 318-33; G. Loescher, *Beyond Charity: International Cooperation and the Global Refugee Crisis*, 1993; K. Musaló, *Irreconcilable Differences? Divorcing Refugee Protections from Human Rights Norms*, *Mich. JIL* 15 (1994), 1179-241; United Nations High Commissioner For Refugees, *The State of the World's Refugees - In Search of Solutions*, 1995; P. Weis (ed.), *The Refugee Convention 1951*, 1995; V. Gowlland-Debbas, *The Problem of Refugees in the Light of Contemporary Law Issues*, 1995.

⁵⁶ იხ. თ. 6 და თ. 19.

⁵⁷ იხ. Y. Dinstein, *The Implementation of International Human Rights*, in *FS Bernhardt*, 331-53.

⁵⁸ იხ. *Restatement (Third)*, Vol. 2, para. 702. იხ. აგრეთვე, L. L. L. (1991), *op.cit.*, Chapter II; Ö Meron, *Human Rights and Humanitarian Law as Customary Law*, 1989; O. Schachter, *International Law in Theory and Practice*, 1991, 335-42.

⁵⁹ იხ. B. Simma/P. Alston, *The*

ნლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ.⁵⁴ ამ კონვენციის რატიფიცირება 187-მა სახელმწიფომ მოახდინა, რითაც იგი უნივერსალური ხასიათის ხელშეკრულებად იქცა. არც ერთი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულება არ იქნა რატიფიცირებული ამდენი სახელმწიფოს მიერ ასეთ მოკლე პერიოდში (ამ კონვენციამ სულ 6 წელიწადში უზარადაზარი აღიარება მოიპოვა).

ამას გარდა, ადამიანის უფლებების დამცავი მრავალი სხვა ხელშეკრულება იქნა მიღებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, იუნესკოსა და გაეროს სხვა სპეციალიზებული სააგენტოების მიერ, რომელთა რაოდენობა დიდია და მათ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. უფრო მეტიც, არსებობს მრავალი საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფების, კერძოდ, ლტოლვილების⁵⁵, ეროვნული უმცირესობების, მკვიდრი მოსახლეობის, მომთაბარე ტომებისა⁵⁶ და შრომისუუნაროთა უფლებებს იცავს. განსაკუთრებული კატეგორიაა ჟენევის წითელი ჯვრის კონვენციები და დამატებითი ოქმები, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედებას განსაზღვრავენ შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ხელშეკრულებების შესრულების მექანიზმები განსხვავებულია, მაგრამ, ზოგადად, არც ერთი არ არის ეფექტური.⁵⁷ ის, თუ რამდენად შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებების დამცავი დოკუმენტების განვითარება საერთაშორისო დონეზე, რამაც გამოიწვია მისი გადაზრდა ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულო საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად, ჯერ კიდევ დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ამ მოსაზრებას ეთანხმებიან ამერიკელი მეცნიერები.⁵⁸ მართალია, ამ მოსაზრებამ ვერ პოვა ზოგადი აღიარება⁵⁹ და თუკი გავითვალისწინებთ კულტურული სხვაობების, უნივერსალურობისა და დასაწყისში განხილულ სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრობლემას, ადამიანის უფლებების ჩვეულებითი ხასიათი საექვო გახდება. დღეს ყველა ერთხმად აღიარებს მრავალი არსებული ორგანიზაციის ქმედებათა კოორდინაციის, ადამიანის უფლებების შესახებ არსებული საერთაშორისო დოკუმენტებისა და კანონშემოქმედებითი პროცესის დახვეწის საჭიროებას, რათა თავიდან ავიცილოთ ხელშეკრულებებს შორის არსებული განსხვავებანი.⁶⁰

ადამიანის უფლებები რეგიონალურ დონეზე

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ

კონფლიქტური იდეოლოგიებისა და ინტერესების, ასევე, ორმხრივი უნდობლობის გამო ხშირად ძნელია შეთანხმების მიღწევა ადამიანის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. შეთანხმების მიღწევა რეგიონალურ დონეზე უფრო ადვილია, როდესაც მეტია იმის ალბათობა, რომ სახელმწიფოები ერთმანეთს ენდობიან და საერთო ფასეულობები და ინტერესები ექნებათ. 1950 წელს ევროპის საბჭომ,⁶¹ საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელმაც მომდევნო წლებში ევროპის ყველა არაკომუნისტური სახელმწიფო გააერთიანა, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ევროპული კონვენციის პროექტი მოამზადა. მოგვიანებით, 1953 წლის 3 სექტემბერს, კონვენცია ძალაში შევიდა (ეს კონვენცია 1996 წლის 31 ივლისისათვის რატიფიცირებულ იქნა ევროპის საბჭოს 33 წევრის მიერ).⁶² კონვენციას დაემატა რამდენიმე ოქმი (დამატებითი ხელშეკრულებები).⁶³ აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ მრავალი ყოფილი სოციალისტური სახელმწიფო შეუერთდა ევროსაბჭოსა და მის კონვენციას. რუსეთის ფედერაცია ევროსაბჭოს 39-ე წევრი 1996 წლის 28 თებერვალს

გახდა. იგი აგრეთვე შეუერთდა ყველა ევროპულ კონვენციას, გარდა სიკვდილით დასჯის ამკრძალავი ოქმისა.⁶⁴ ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები დიდად არ განსხვავდება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისაგან. განსხვავება მხოლოდ კონვენციის დამატებითი ოქმის პირველ მუხლსა და საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლს შორის შეიმჩნევა: ევროპული კონვენცია უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს პირადი ქონების თაობაზე. არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი იძლევა ამ საკითხის თაობაზე რაიმე განმარტებას. ევროპულ კონვენციაში მოცემული ადამიანის უფლებების დეტალური აღწერა განპირობებულია მისი სავალდებულო ხასიათით. თუმცა კონვენცია არ გამორიცხავს გარკვეული მიზეზების გამო მისი მოქმედების შეწყვეტას. კერძოდ, კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად: „ომისა და საგანგებო ვითარების დროს, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს, ... ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისგან განსხვავებული ქმედების განხორციელება.“⁶⁵

ევროპულ კონვენციას არა აქვს საყოველთაო დეკლარაციის 22-5 მუხლების შესაბამისი დებულებები, რომლებიც ეხება სოციალური დაცვის უფლებას, შრომის უფლებას, შრომის სამართლიანი პირობების უფლებას და ცხოვრების ადეკვატური დონის უფლებას. ეს უფლებები დეტალურადაა განხილული სხვა ხელშეკრულებაში, კერძოდ, ევროპის სოციალურ ქარტიამი, რომელიც 1961 წელს შეიქმნა და 1965 წელს შევიდა ძალაში (20 რატიფიკაცია 1996 წლისთვის).⁶⁶ ევროპული კონვენციის აღსრულების მექანიზმები მიუღებელია სოციალური ქარტიისათვის, რომელიც ნაკლებად იურიდიულ და მეტწილად პოლიტიკური ხასიათის ბერკეტებს იყენებს.⁶⁷ სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი მიღებულ იქნა 1988 წელს⁶⁸ (5 რატიფიკაცია 1996 წლისთვის). 1995 წელს ქარტიამი პირველი შესწორება შეიტანეს⁶⁹ (10 რატიფიკაცია 1996 წლისთვის). 1995 წლის 9 ნოემბერს ევროპის საბჭომ მიიღო სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც კოლექტიური საჩივრების განხილვის საშუალებას იძლევა.⁷⁰ მსგავსი სისტემა აქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არსებულ დებულებებსაც.⁷¹ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს, ასევე სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ, საჩივრით მიმართონ ექსპერტთა დამოუკიდებელ კომიტეტს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა კომისია,⁷² რომელიც შედგება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ არჩეული პირებისაგან (მინისტრთა კომიტეტი გენერალური ასამბლეის მსგავსი ორგანოა). ადამიანის უფლებათა კომისია განიხილავს საჩივრებს, რომლებშიც მოპასუხე მხარეს კონვენციის დამრღვევი სახელმწიფო წარმოადგენს. საჩივრის შეტანის უფლება აქვს კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს, თუმცა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფოები ნაკლებად არიან დაინტერესებული სხვა სახელმწიფოს მოქალაქის უფლებების დაცვით, თუ, რა თქმა უნდა, თავად მათი ინტერესები არ ილახება.⁷³ კონვენციის 25-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს თანხმობის საფუძველზე კომისიას შეუძლია განიხილოს თავად ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული კერძო პირის, პირთა ჯგუფის ან არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივარი. დღეისათვის კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფო აღიარებს კერძო პეტიციის უფლებას⁷⁴, როგორც მას დღესდღეობით ეძახიან, თუმცა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთს არ მიუღია იგი 1966 წლამდე, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მან კონვენციის რატიფიცირება 1953 წელს მოახდინა.⁷⁵ მის მიღებაზე თანხმობა ევროპის საბჭოში განევრიანების *de facto* პირობას წარმოადგენს. მაგრამ არსებობს დაბრკოლებები, რომელთა გადალახვაც აუცილებელია, სანამ კომისია საჩივარს განიხილავს, და ეს დაბრკოლებები

Sources of Human Rights Law; Custom, Jus Cogens, and General Principles, *AYIL* 12 (1992), 82, at 98.

⁶⁴ *ib. T. Meron, Human Rights Law-Making in the United Nations*, 1986; A.A. Trindade, Co-Existence and Co-ordination of Mechanisms of International Protection of Human Rights (At Global and Regional Levels), *RdC* 202 (1987-II), 13-435; J.S. Gibson, *International Human Rights Law: Progression of Sources, Agencies and Law*, *Suffolk TLJ* 4 (1990), 41-60; M.G. Schmidt, *Individual Human Rights Complaints Procedures Based on United Nations Treaties and the Need for Reform*, *ICLQ* 41 (1992), 645 *et seq.*; R.B. Lillich, *Towards the Harmonization of International Human Rights Law*, in *FS Bernhardt*, 453-76.

⁶⁵ A.H. Robertson, Council of Europe, *EPIL* (1992), 843-50. *ib. აგრეთვე*, თ. 6.

⁶⁶ *Brownlie BOIL*, 328. *ib. P. van Dijk/GJ.H. van Hoof, Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 2nd edn 1990; V. Berger, *Case Law of the European Court of Human Rights*, Vol. II: 1988-1990, 1992; M. Delnan-Marty/C. Chodkiewicz (eds), *The European Convention for the Protection of Human Rights*, 1992; R.S.J. Macdonald/F. Matscher/H. Petzold (eds), *The European System for the Protection of Human Rights*, 1993; R. Bedard, *Human Rights and Europe*, 3rd edn 1993; J.G. Merrills, *The Development of International Law by the European Court of Human Rights*, 2nd edn 1993; A.H. Robertson/J.G. Merrills, *Human Rights in Europe*, 3rd edn 1993; L. Clements, *European Human Rights: Taking a Case under the Convention*, 1994; L. Heffernan (ed.), *Human Rights-A European Perspective*, 1994; J.A. Frowein, *European Convention on Human Rights (1950)*, *EPIL* II (1995), 188-96; D.J. Harris/M. O'Boyle/C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 1995; M. Janis/R. Kay/A. Bradley, *European Human Rights Law. Text and Materials*, 1995; I. Cameron/M.K. Eriksson, *An Introduction to the European Convention on Human Rights*, 2nd edn 1995; P. Kempees (ed.), *A Systematic Guide to the Case Law of the European Court of Human Rights 1960-1994*, 1996.

⁶⁷ *Brownlie BDIL*, 347.

⁶⁸ Protocol No. 6. *ib. D.P. Forsythe* (ed.), *Human Rights in the New Europe: Problems and Progress*, 1994; A.M. Gross, *Reinforcing*

the New Democracies: The European Convention on Human Rights and the Former Communist Countries - A Study of the Case Law. *EJIL* 7 (1996), 103-11.

⁶⁵ *ib. R. Higgins, Derogations under Human Rights Treaties, BYIL* 48 (1976-7), 281-320, at 301-7, 319-20; J.M. Fitzpatrick, *Human Rights in Crisis: The International System for Protecting Rights During States of Emergency*, 1994.

⁶⁶ *ib. ILM* 34 (1995), 1714.

⁶⁷ 529 UNTS 89, ETS No. 35. *ib. D.J. Harris, The European Social Charter*, 1984; K. Drzewicki *et al.* (eds), *Social Rights as Human Rights: A European Challenge*, 1994; W. Strasser, *European Social Charter, EPIL* II (1995), 291-4.

⁶⁸ *ILM* 27 (1988), 575.

⁶⁹ *ILM* 31 (1992), 155. *ib. M. Mober, The Turin Protocol of 22 October 1991: A Major Contribution to Revitalizing the European Social Charter, EJIL* 3 (1992), 363-70.

⁷⁰ *ILM* 34 (1995), 1453.

⁷¹ *ib. თ. 2 და თ. 6.*

⁷² H.G. Schermers (ed.), *The Influence of the European Commission of Human Rights*, 1992; C.A. Nørgaard, *European Commission of Human Rights, EPIL* II (1995), 154-9.

⁷³ G. Nolte/S. Oeter, *European Commission and Court of Human Rights, Inter-State Applications, EPIL* II (1995), 144-54.

⁷⁴ *ib. T.Zwart, The Admissibility of Human Rights Petitions: The Case Law of the European Commission of Human Rights and the Human Rights Committee*, 1994; I. Cameron, *Turkey and Article 25 of the European Convention on Human Rights, ICJQ* 37 (1988), 887.

⁷⁵ *ib. A.J. Cunningham, The European Convention on Human Rights. Customary International Law and the Constitution, ICJQ* 43 (1994), 537-67; R.R. Churchill/J.R. Young, *Compliance with Judgments of the European Court of Human Rights and Decisions of the Committee of Ministers: The Experience of the United Kingdom, 1975-1987, BYIL* 62 (1991), 283-346.

⁷⁶ *ib. B. Robertson, Exhaustion of Local Remedies in International Human Rights Litigation - The Burden of Proof Reconsidered, ICJQ* 39 (1990), 191 *et seq.*

⁷⁷ *ib. თ. 18.*

⁷⁸ W.J.G. van der Meersch, *European Court of Human Rights, EPIL* II (1995), 201-17.

⁷⁹ *ILM* 33 (1994), 943; *Brownlie BDIL*, 372. *ib. R. Bernhard, Reform of the Control Machinery under the European*

უფრო მძიმეა კერძო პეტიციების შემთხვევაში. მაგალითად, თუკი არსებობს შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, ჯერ მათი ამოწურვა უნდა მოხდეს, ვიდრე დაინტერესებული პირი ან კონვენციის მონაწილე სახელმწიფო საქმის განსახილველად კომისიასა მიმართავდეს;⁷⁶ კერძო პეტიციებს შეიძლება უარი ეთქვას სხვა მიზეზითაც, თუ საჩივარი ანონიმური ხასიათისაა ან დარღვეულია პეტიციის ფორმა.

მისაღები საჩივრის შემთხვევაში კომისია ატარებს გამოძიებას და დავის გადაჭრას მორიგებით ცდილობს.⁷⁷ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა, კომისია საჩივარს თან ურთავს თავის მოხსენებას და საქმე გადაეგზავნება მინისტრთა კომიტეტს. თუკი საქმე სასამართლოს არ გადაეგზავნა (იხილეთ ქვემოთ), მინისტრთა კომიტეტს ხმათა ორი მესამედით შეუძლია გადაწყვიტოს, რომ კონვენცია დაირღვა და დამნაშავე სახელმწიფომ მდგომარეობა უნდა გამოასწოროს. უკიდურეს შემთხვევაში, უკანასკნელ დამსჯელ ზომას წარმოადგენს ორგანიზაციიდან სახელმწიფოს გარიცხვა – საშიშროება, რომელმაც საბერძნეთს ევროსაბჭოდან გამოსვლისკენ უბიძგა 1969 წელს (საბერძნეთი ისევ მიიღეს ევროპის საბჭოში 1974 წელს ქვეყანაში დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენის შემდგომ).

კომისიის მიერ საქმის მოსმენის შემდეგ კომისიას, რიგ შემთხვევებში კი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს, შეუძლია საქმე განსახილველად გადასცეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს. ამისათვის კი საჭიროა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ აღიაროს სასამართლოს იურისდიქცია, კონვენციის 24-ე მუხლის მიხედვით. დღეს კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფო აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას.⁷⁸ სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა და მისი სისრულეში მოყვანა ხდება მინისტრთა კომიტეტის მიერ (მუხლი 54).

დაგროვილი საჩივრებისა და განხილვის პროცესში მყოფი საქმეების დიდი რაოდენობა პროცესის რეფორმირების საჭიროებაზე მიანიშნებს. ამას თან ერთვის აღმოსავლეთ ევროპაში ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის პროცესი. ვარაუდობენ, რომ ევროპის კონვენციის მონაწილეთა რაოდენობა 2000 წლისთვის 40-45-მდე გაიზრდება. მარტო 1981 წელს კომისიაში შეტანილი განცხადებების რაოდენობა 404-ს შეადგენდა, რაც 1993 წლისთვის 2 037-მდე გაიზარდა. 2 672 საქმე განხილვის სტადიაში იყო 1994 წელს, აქედან 1 500 საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. როგორც წესი, საჭიროა მინიმუმ 5 წელი, რომ სასამართლომ ან მინისტრთა კომიტეტმა მიიღოს გადაწყვეტილება ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე.

1994 წლის 11 მაისს ევროპის საბჭომ გადაწყვიტა, მიეღო ოქმი № 11, რომლის მიზანიცაა კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესება და ამისთვის ახალი სასამართლოს შექმნა, რომელიც ძველ სასამართლოსა და კომისიას ჩაანაცვლებს.⁷⁹ ახალი სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდა როგორც სახელმწიფოთა შორის დავებზე, ასევე კერძო პირთა საჩივრებზე. სასამართლოში საქმის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ კერძო პირს, პირთა ჯგუფს ან არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის უფლებებიც დაარღვია კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ. ახალი სისტემის თანახმად, საჩივარი პირდაპირ სასამართლოს გადაეცემა, ყოველგვარი წინასწარი პროცედურის გარეშე. ოქმის ძალაში შესვლისთვის საჭიროა ყველა წევრი სახელმწიფოს რატიფიკაცია. ამ ოქმის ამუშავება მოხდება უკანასკნელი რატიფიკაციის მომდევნო წელს (1996 წლის 31 ივლისისათვის ოქმი 81 სახელმწიფომ მიერ იქნა რატიფიცირებული), მაგრამ სასამართლოს დაევალა ოქმის ამოქმედების მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, სასამართლოს პლენუმის, დიდი სხდომის, კოლეგიისა და კომიტეტების რესტრუქტურირების გათვალისწინებით.

სსკვა რეგიონალური დოკუმენტები

მართებული იქნება იმის აღნიშვნა, რომ ევროპის ადამიანის უფლებების კონვენცია ყველაზე სრულყოფილი და განვითარებული საერთაშორისო მექანიზმია ადამიანის უფლებების დაცვის დარგში. არსებობს ადამიანის უფლებების დაცვის სხვა, რეგიონალური ხასიათის ხელშეკრულებებიც, რომლებიც ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ევროპის კონვენცია, თუმცა კი ეს ხელშეკრულებები ნაწილობრივ ემთხვევა ევროპული კონვენციის მოდელს. ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენცია მიღებულ იქნა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიერ (OAS), რომელიც 1978 წელს შევიდა ძალაში, ხოლო 1996 წლის 31 ივლისისთვის მისი მონაწილე სახელმწიფოების რიცხვი 25-ს შეადგენდა.⁸⁰ კონვენციის საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ორგანოები და კონვენციამ გარკვეულ პროგრესსაც მიაღწია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში დასავლეთ ნახევარსფეროში.⁸¹ 1981 წლის ადამიანისა და ხალხთა აფრიკული ქარტია რატიფიცირებულ იქნა აფრიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAU) წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ.⁸² ამ ქარტიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პიროვნების უფლებებს. მაგრამ მათი ასამუშავებელი მექანიზმი საკამოდ სუსტია. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, ადამიანის უფლებების დამცავი მექანიზმების შემუშავება მიმდინარეობს აზიასა და არაბულ ქვეყნებში.⁸³

დაბოლოს, აღსანიშნავია ის საქმიანობა, რომელსაც ევროპის უშიროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (CSCE, დღეს OSCE)⁸⁴ ახორციელებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, რაც 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტითა და 1989 წლის ვენის შეხვედრით დაიწყო და უმაღლეს საფეხურს მიაღწია 1990 წლის ახალი ევროპის პარიზის ქარტიითა და 1992 წლის ჰელსინკის დოკუმენტებით, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი⁸⁵ და განისაზღვრა დემოკრატიულ ორგანიზაციათა და ადამიანის უფლებათა ოფისის სამოქმედო დებულებები. ოფისი ვარშავაში მდებარეობს და მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების დახმარებას გარდამავალ პერიოდში.⁸⁶

ადამიანის უფლებები – საერთაშორისო ზრუნვის ობიექტი

ჭეშმარიტებაა ის, რომ საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ბევრი რამ არის გასაკეთებელი და საერთო კონსენსუსის მიღწევა ამ უფლებების შინაარსსა და მათი დაცვის მექანიზმებზე საკამოდ ძნელია.⁸⁷ ისიც მართალია, რომ, როგორც *travaux preparatoires*-მა გვიჩვენა, გაეროს წესდება დასაწყისში უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიროების შენარჩუნებას, ვიდრე ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას.⁸⁸ მაგრამ დღესდღეობით უდავოა, რომ გაეროს პრაქტიკის განვითარებასთან ერთად, უფრო დიდი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ ადამიანის უფლებების დარღვევების სერიოზული შემთხვევები გაეროს სხვადასხვა ორგანოებმა განიხილონ, როგორც საერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი საზრუნავი. ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები აღარ წარმოადგენს სახელმწიფოთა ექსკლუზიურ იურისდიქციას და, გაეროს წესდების მე-2(7) მუხლის მიუხედავად, მათი მოგვარება შეიძლება არა მხოლოდ გაეროს ფარგლებში, არამედ სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებითაც.

ამგვარად, სახელმწიფოს შიგნით ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიება, განხილვა და დაგმობა (*droit de regard*) შესაძლებელი გახდა

Convention on Human Rights: Protocol No. 11, *AJIL* 89 (1995), 145-54.

⁸⁰ C.M. Quiroga, *The Battle of Human Rights, Systematic Violations and the Inter-American System*, 1988; C. Grossman, *Proposals to Strengthen the Inter-American System of Protection of Human Rights*, *GYL* 32 (1989), 264-79; S. Davidson, *The Inter-American Court of Human Rights*, 1992; C.M. Cerna, *The Structure and Functioning of the Inter-American Court of Human Rights*, *BYIL* 63 (1992), 135-230; T. Buergenthal, *American Convention on Human Rights*, *EPIL* (1992), 131-6; T.J. Farer, *Inter-American Commission on Human Rights*, *EPIL* II (1995), 1004-7; T. Buergenthal, *Inter-American Court of Human Rights*, *ibid.*, 1008-11; B. Santoscoy, *La Commission interamericaine des droits de l'homme et le developpement de sa competence par le systems des petitions individuelles*, 1995.

⁸¹ *ib.* *ILM* 34 (1995), 1188.

⁸² *ib.* M. Hamalengwa/C. Flinterman/E.V.O. Dankwa (eds), *The International Law of Human Rights in Africa - Basic Documents and Annotated Bibliography*, 1988; K. Mbaye, *Les Droits de l'homme en Afrique*, 1992; R. Cohebt/G. Hyden/W.P. Nagan (eds), *Human Rights and Governance in Africa*, 1993; F. Ouguerouz, *La Charte africaine des droits de l'homme et des peuples*, 1993; F. Ouguerouz, *La Charte Africaine des droits de l'homme et des peuples*, 1993; W. Benedek, *Durchsetzung von Rechten des Menschen und der Volker in Afrika auf regionaler und nationaler Ebene*, *ZaoRV* 54 (1994), 150; U.O. Umozurike, *Six Years of the African Commission on Human and Peoples' Rights*, in *FS Bernhardt*, 635-45; E.G. Bello, *Human Rights, African Developments*, *EPIL* II (1995), 902-10.

⁸³ R. Daoudi, *Human Rights Commission of the Arab States*, *EPIL* II (1995), 913-15.

⁸⁴ *ib.* *ib.* *ib.*

⁸⁵ E. Klein (ed.), *The Institution of a Commissioner for Human Rights and Minorities and the Prevention of Human Rights Violations*, 1994.

⁸⁶ *Charter of Paris*, *ILM* 30 (1991), 190; the 1992 Helsinki Summit Documents are in *ILM* 31 (1992).

⁸⁷ *ib.* C. Tomuschat, *Human Rights in a World-Wide Framework - Some Current Issues*, *ZaoRV* 45 (1985), 547.

⁸⁸ *ib.* J. Delbrück, *A Fresh Look at Humanitarian Intervention Under the Authority of the United*

Nations, Indiana LJ67 (1992), 887, 892.

⁸⁹ იხ. T.M.Franck, *Of Gnats and Camels: Is There a Double Standard at the United Nations?*, AJIL 78 (1984), 811, at 819 et seq.; Schachter, *op. cit.*, 345-8.

⁹⁰ *Belgium v. Spain* (Second Phase), ICJ Rep. 1970, 3, par. 33-4. ამ შემთხვევისათვის იხ. თ. 3. აგრეთვე, იხ. S.M. Schwebel, *The Treatment of Human Rights and of Aliens in the International Court of Justice*, in: V.Lowe/M. Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 327-50.

⁹¹ იხ. თ. 3.

⁹² R. Kühner, *Torture*, EPIL 8 (1985), 510-13.

⁹³ იხ. თ. 3.

⁹⁴ იხ. Simma/Alston, *op. cit.*, at 105-6.

⁹⁵ იხ. B.Simma, *Self-Contained Regimes*, NYIL 16 (1985), 12, discussing the view of W. Riphagen (*The former Special Rapporteur of the ILC on State Responsibility*).

⁹⁶ იხ. თ. 3 და თ. 17.

⁹⁷ For strong reservations on the concept of "self-contained regimes", იხ. G.Aranjo-Ruiz, *Fourth Report on State Responsibility*, UN Doc. A/CN.4/444/Add. 2, 1 June 1992.

სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვის გარეშე, თუმცა ეს საკითხი დიდი ხანია დავის საგანს წარმოადგენს, განსაკუთრებით ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის, მაშინ, როცა დასავლური სახელმწიფოების კრიტიკოსები საუბრობენ „ორმაგი სტანდარტის“ არსებობაზე, რომელსაც გაეროს ორგანოები ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით იყენებენ.⁸⁹ ამ განვითარებამ წარმატება მოიპოვა, იმისგან დამოუკიდებლად, იმოქმედებს თუ არა ეს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებაზე, იმ მორალური, პოლიტიკური და რეგიონალური მნიშვნელობის გამო, რომელიც მიენიჭა ადამიანის უფლებების იდეას, 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასა და შესაბამის საერთაშორისო და რეგიონალურ ხელშეკრულებებს. საერთაშორისო სასამართლოს მიერ *ბარსელონის საქმის (Barcelona Traction Case, 1970)*⁹⁰ განხილვისას ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ „ადამიანს აქვს უფლებები და ძირითადი თავისუფლებები“, როგორცაა მონობისაგან, რასისტული დისკრიმინაციისაგან, გენოციდისაგან დაცვა და *erga omnes* ვალდებულების შესრულება. საერთაშორისო სამართლის კომისიამ შემდეგი განცხადება გააკეთა სახელმწიფო ვალდებულებების შესახებ პროექტის მე-19 მუხლზე დაყრდნობით: „ადამიანის უფლებების დამცავი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალდებულებების სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს მონობა, გენოციდი და აპართეიდი, როგორც „საერთაშორისო დანაშაულის“ ფორმა“.⁹¹ ადამიანის ასეთი ძირითადი თავისუფლებები, რომლებშიც, შესაძლოა, წამებისაგან დაცვაც შედის,⁹² შეიძლება *ius cogens*⁹³ იყოს. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკამ ცხადყო, რომ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა საყოველთაო საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებაა. თუმცა ეს ვალდებულება შეიძლება არ იყოს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი, მაგრამ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპი.⁹⁴ ჯერ კიდევ ადრეა იმაზე მსჯელობა, თუ ადამიანის რომელი უფლებები და თავისუფლებებია ძირითადი და ფუნდამენტური და რით განსხვავდებიან ისინი სხვა უფლებებისა და თავისუფლებებისაგან.

გაეროს ორგანოებისა და მონაწილე სახელმწიფოების უფლება, „ხელი მოჰკიდონ“ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების განხილვას, რაც გულისხმობს *droit de regard*-ს და კრიტიკის უფლებას, უნდა განვასხვაოთ იმ საშუალებებისაგან, რომლებიც მესამე სამყაროს სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ ამ ფაქტების წინააღმდეგ ჩვეულებითი სამართლის ძალით. საქმე ისაა, რომ ადამიანის უფლებების შესახებ არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს თავისებური მოქმედების მექანიზმები აქვთ და მონაწილე სახელმწიფოების ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოვალეობები განსხვავდება მათ მიერ გაკეთებული დათქმებისა და ოქმებისგან. ამას პირდაპირ მივყავართ კითხვამდე, არის თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულება „თვითშემცველი რეჟიმი“,⁹⁵ რომელმაც შეიძლება არ მისცეს მონაწილე სახელმწიფოს უფლება, გამოიყენოს საყოველთაო საერთაშორისო სამართალი, მაგალითად, განახორციელოს მშვიდობიანი ზემოქმედების ზომები (სავაჭრო ხასიათის ზომები ან სანქციები) მეორე სახელმწიფოში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის მიზნით, რაც, მართალია, არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მაგრამ *erga omnes* ვალდებულებაა.⁹⁶ საერთაშორისო სასამართლომ ვერ შეძლო ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა. არც საერთაშორისო სამართლის კომისია იძლევა ცალსახა განმარტებას.⁹⁷ დღესდღეობით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დამოკიდებულია ადამიანის უფლებების შესახებ არსებული ხელშეკრულებებისა და მათი პროცედურების ინტერპრეტაციაზე.

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს მესამე სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალებისა და სხვა ძალისმიერი ზომების გამოყენება ადამიანის

უფლებების დამრღვევ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლება (იმ უფლებებისგან განსხვავებით, რომელსაც სახელმწიფო უცხო ქვეყანაში მყოფი თავისი მოქალაქის დასაცავად გამოიყენებს⁹⁸) უხეშად ირღვეოდა ძლიერი სახელმწიფოების მიერ სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად. საკითხი საკმაოდ სადავოა. უფრო მეტად მისაღებია მოსაზრება, რომ ძალის გამოყენების ერთპიროვნული უფლება ჰუმანიტარული ინტერვენციის მიზნით აკრძალულია და უკანონო ქმედებას წარმოადგენს გაეროს წესდებით.⁹⁹ ნიკარაგუა აშშ-ს წინააღმდეგ საქმის (Nicaragua v.USA) განხილვისას საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა: „ძალის გამოყენება არ შეიძლება იყოს მისაღები მეთოდი ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად.“¹⁰⁰ მსგავსი სახის ინტერვენცია, უპირველეს ყოვლისა, უშიშროების საბჭოს ნებართვას მოითხოვს, როგორც ეს მოხდა სომალის შემთხვევაში 1992 წელს.¹⁰¹

⁹⁸ იბ. თ. 19

⁹⁹ იბ. P. Malanczuk, *Humanitarian Intervention and the Legitimacy of the Use of Force*, 1993 და თ. 19. იბ. აგრეთვე, F.R. Teson, *Humanitarian Intervention: An Inquiry into Law and Morality*, 1988; M.S. Rodley, *Human Rights and Humanitarian Intervention: The Case Law of the World Court*, *ICLQ* 38 (1989), 321-33; M.S. Rodley (ed.), *To Loose the Bands of Wickedness: International Intervention in Defence of Human Rights*, 1992; R.B. Lillich, *Humanitarian Intervention Through the United Nations: Towards the Development of Criteria*, *ZaoRV* 3 (1993), 557-75; N. Chandrasana, *Use of Force to Ensure Humanitarian Relief - A South Asian Precedent Examined*, *ICLQ* 42 (1993), 664 *et seq.*; V. Schweigmann, *Humanitarian intervention under International Law: The Strife for Humanity*, *LJIL* 6 (1993), 91-110; M. Heiberg (ed.), *Subduing Sovereignty: Sovereignty and the Right to Intervene*, 1994; Y.K. Tyagi, *The Concept of Humanitarian Intervention Revisited*, *Mich.JIL* 16 (1995), 883-910; U. Beyerlin, *Humanitarian Intervention*, *EPIL* (1995), 926-33; G.J. Tanja, *Humanitarian Intervention and Humanitarian Assistance*, in *Law in Humanitarian Crises*, Vol. II: Office for Official Publications of the European Communities, 1995, 67-96. იბ. აგრეთვე, თ. 2 და თ. 22.

¹⁰⁰ *ICJ Rep.*, 1986, 14, 135.

¹⁰¹ იბ. თ. 22.

15. ეკონომიკა

¹Restatement (Third), vol. 2, part VIII: Selected Law of International Economic Relations, 261-337; J.H. Jackson/W.J. Davey, *International Economic Relations*, 2nd edn 1989; E.-U. Petersmann, *Constitutional Functions and Constitutional Problems of International Economic Law*, 1991; I. Seidl-Hohenveldern, *International Economic Law*, 2nd edn 1992; H. Fox, *International Economic Law and Developing Countries. An Introduction*, 1992; M. Hilff/E.-U. Petersmann (eds), *National Constitutions and International Economic Law*, 1993; J.H. Jackson/W.J. Davey/A.O. Sykes, Jr., *Legal Problems of International Economic Relations: Cases, Materials and Text*, 3rd edn 1995; J.H. Jackson, *Economic Law, International*, *EPIL* 11 (1995), 20-32; E.-U. Petersmann, *International Economic Order*, *ibid.*, 1129-37; S. Zamora/R. Brand (eds), *Basic Documents of International Economic Law*, 2 vols, 1990; P. Kunig/N. Lau/W. Meng, *International Economic Law*, 2nd edn 1993.

² იხ. G.Schwarzenberger, *The Province and Standards of International Economic Law*, I, *ILO* 2 (1948), 402-20.

³ იხ. აგრეთვე, M.W. Janis, *An Introduction to International Law*, 2nd edn 1993, 273.

⁴ ინტეგრირებული მოდომის შესახებ იხ. M. Herdegen, *Internationales Wirtschaftsrecht*, 2nd edn 1995, 3.

⁵ D. Carreau/P. Juillard/ff. Flory, *Droit international economique*, 2nd edn 1980, 11.

⁶ Restatement (Third), W2, 261.

⁷ იხ. R.W. Benthum, *The Law of Development: International Contracts*, *GYIL* 32 (1989), 418; F.V. Garcia-Amador, *The Emerging International Law of Development: A New Dimension of International Economic Law*, 1990; A. Carty (ed.), *Law and Development*, vol. 2: *Legal Cultures*, 1992; P. Ebow Bendzi-Simpson (ed.), *The Law and Economic Development in the Third World*, 1992; S.K. Chatterjee, *International Law of Development*, *EPIL* 11 (1995), 1247-51; R. Prichard (ed.), *Economic Development, Foreign Investment and the Law*, 1996.

⁸ იხ. J. Combacau, *Sanctions*, *EPIL* 9 (1986), 337-41; M.P. Malloy, *Economic Sanctions*

საერთაშორისო ეკონომიკური სამართლებრივი ურთიერთობები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა, სადაც რეალურად მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და პრინციპები და საერთაშორისო ინსტიტუტები. ეს ურთიერთობები არა მარტო ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას ასახავს, არამედ საერთაშორისო სამართლის ტრადიციული ხედვის ცვლილებასაც იწვევს.¹ „საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის“ კონცეფცია, რომელიც უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ყალიბდებოდა,² ურთიერთქმედებების უზარმაზარ არეალს მოიცავს და ჩვენი წიგნის ინტერესთა სფეროს სცილდება. მაგრამ მისი სრულიად უყურადღებოდ დატოვება შეცდომა იქნებოდა, ვინაიდან ეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის შესახებ არასრული შთაბეჭდილების შექმნას გამოიწვევდა.³

მეცნიერები დღესაც განაგრძობენ დავას ტერმინ „საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის“ ზუსტ განმარტებასთან დაკავშირებით. აქ მთავარი პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფოთა მუნიციპალური სამართლის ნორმებთან მჭიდრო ურთიერთკავშირი საკითხის სრულყოფილად შესწავლას ართულებს.⁴ არსებობს შეზღუდული მიდგომაც, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო წესებს, რომლებიც აწესრიგებს, ერთი მხრივ, ქვეყნის ტერიტორიაზე დაფუძნებული უცხოური კომპანიის მიერ ადგილობრივი საწარმოო ფაქტორების (ადამიანებისა და კაპიტალის) მართვის საკითხებს და, მეორე მხრივ, საქონელთან, მომსახურებასთან და კაპიტალთან დაკავშირებულ საერთაშორისო ურთიერთობებს.⁵ ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ მიღებული სამართლის განმარტება ასეთ მიდგომას გვთავაზობს:

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამართალი, თავისი ყველაზე ფართო მნიშვნელობით, მოიცავს მთელ საერთაშორისო სამართალსა და ყველა საერთაშორისო შეთანხმებას, რომლებიც არეგულირებს ისეთ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც სცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს ან ზემოქმედებს ორ ან მეტ ქვეყანაზე, როგორებიცაა, მაგალითად, საქონლის, თანხების, ადამიანების, არამატერიალური აქტივების, ტექნოლოგიების გაცვლა.⁶

ეს საკითხი რამდენიმე ქვესაკითხს შეიცავს, რომელთა შორისაა სამართალი საწარმოს დაფუძნების, უცხოური ინვესტიციების, ეკონომიკური ურთიერთქმედების, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ. შეგვიძლია დაფუძნებით მრავალი სხვა ქვესაკითხიც, მაგალითად, ეკონომიკური განვითარების⁷ ან ეკონომიკური სანქციების⁸ საერთაშორისო სამართალი. ამ წიგნის მიზანი საერთაშორისო საჯარო სამართლის შესწავლაა⁹, ამიტომ ამ თავში საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ასპექტია განხილული. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სხვა სამართლებრივი ასპექტები, როგორებიცაა ეროვნული ეკონომიკური კანონების სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე გამოყენების პრობლემა¹⁰, სახელმწიფო იმუნიტეტი¹¹, საერთაშორისო საწარმოების როლი¹², საჰაერო ტრანსპორტი¹³, ტელეკომუნიკაციები¹⁴, გარემოს დაცვა¹⁵ და დიპლომატიური დაცვა¹⁶, სხვა თავებშია მოხსენიებული სხვადასხვა კონტექსტით. ამ თავში არ განვიხილავთ საერთაშორისო კომერციულ სამართალსაც, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო კომერციულ ურთიერთქმედებებში მონაწილე ვაჭრებისა და სხვა კერძო მხარეების ურ-

თიერთობებთან და საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟთან.¹⁷

საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი მეტწილად საერთაშორისო (ორმხრივ და მრავალმხრივ) ხელშეკრულებებს ემყარება, სადაც დაცულია კომერციული პრინციპი *qui pro quo*. ჩვეულებით საერთაშორისო სამართალს ამ სფეროში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. ჩვეულებითი სამართალი სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, თავიანთი შეხედულებისამებრ განახორციელონ საშინაო და საგარეო ეკონომიკური და მონეტარული საქმიანობა.¹⁸ ის რამდენიმე შეზღუდვა, რომელთაც ჩვეულებითი სამართალი სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთქმედებებს უწესებს, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის (მაგ., უცხოელებისა და მათი საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით) ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარეობს.¹⁹ მაგრამ ჩვეულებითი სამართალი არ იძლევა კომერციული საქმიანობის თავისუფლების, უპირატესი ქვეყნის²⁰ ან ვალუტის კონვერტირებადობის პრინციპების დაცვის გარანტიას.

ბრეტონ ვუდსის სისტემა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისთვის საერთაშორისო ვაჭრობის სისტემა ძირითადად ემყარებოდა ლიბერალურ ეროვნულ კანონებს (მაგ., ოქროს სტანდარტისა და ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის შესახებ), ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებსა და ე.წ. "FCN ხელშეკრულებებს" მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ.²¹ ამ სისტემამ არსებობა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შეწყვიტა, ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში კი ის პროტექციონიზმმა და ვალუტათა არასტაბილურობამ შეცვალა. 1941 წელს შექმნილმა „ატლანტიკურმა ქარტიამ“ წამოაყენა ლიბერალური საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმის იდეა, რომელსაც, ძირითადად, აშშ და დიდი ბრიტანეთი უჭერდნენ მხარს და რომლის მიზანსაც ბაზარზე მოქმედების თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დამყარებული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება წარმოადგენდა.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების თანამედროვე სისტემა მრავალმხრივი სისტემაა, რომელიც 1944 წელს ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე ჩამოყალიბდა.²² ორი ძირითადი საკითხი, რომლებიც ამ კონფერენციამ განიხილა, იყო ტარიფებისა და საერთაშორისო ვაჭრობის სხვა ბარიერების შემდგომი შემცირება და ისეთი გლობალური ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანდა ეკონომიკურ კონფლიქტებს იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც, თუნდაც ნაწილობრივ, ბრალი ედებოდათ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში. კონფერენციის მუშაობის შედეგად დაფუძნდა სამი ძირითადი საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელთა მიზანსაც ფულის მიმოქცევისა და ვაჭრობის დარეგულირება წარმოადგენდა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, რომელსაც მსოფლიო ბანკსაც უწოდებენ, და, მოგვიანებით, გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე, რომელსაც ქვემოთ დანვრილებით განვიხილავთ.

ახალ სისტემას საფუძვლად უდევს შედარებითი უპირატესობის თეორია, რომელიც ბრიტანელმა ეკონომისტებმა დეივიდ რიკარდომ და ჯონ სტიუარტმა ჩამოაყალიბეს ადამ სმიტის ბაზრის თეორიის საერთაშორისო ურთიერთობებისადმი მისადაგების შედეგად. შედარებითი უპირატესობის თეორია უშვებს, რომ შეუზღუდავი საერთაშორისო ვაჭრობა და შედეგად მიღებული შრომის საერთაშორისო განაწილება მომგებიანია ყველა მონაწილე ქვეყნის ეკონომიკისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრეტონ ვუდსის სისტემაში წარ-

and US Trade, 1990; N. Schrijver, The Meaning and Operation of Sanctions and Other Measures Short of the Use of Force, 6a. *JICL* 22 (1992), 41-53; J.A. Frowein, Article 41, in *SinmaCUNAC*, 621-8.

⁹ იბ. თ. 1.

¹⁰ იბ. თ. 7.

¹¹ იბ. თ. 8.

¹² იბ. თ. 6.

¹³ იბ. თ. 13.

¹⁴ იბ. თ. 13.

¹⁵ იბ. თ. 16.

¹⁶ იბ. თ. 17.

¹⁷ იბ. B.M. Cremades, Commercial Arbitration, *EPIL* 1 (1992), 674-7.

¹⁸ E.-U. Petersmann, Rights and Duties of States and Rights and Duties of Their Citizens, in *FS Bernhardt*, 1087, at 1094. იბ. აგრეთვე, S. Zamora, Is There Customary International Economic Law?, *GYIL* 32 (1989), 9.

¹⁹ იბ. ქვემოთ.

²⁰ იბ. ქვემოთ.

²¹ იბ. G. Herrmann, Commercial Treaties, *EPIL* 1 (1992), 677-83; D. Blumenwitz, Treaties of Friendship, Commerce and Navigation, *EPIL* 7 (1984), 484-90.

²² H. Coing, Bretton Woods Conference (1944), *EPIL* 1 (1992), 494-5; S.A. Silard, Financial Institutions, Intergovernmental, *EPIL* II (1995), 378-81; E.-U. Petersmann, Economic Organizations and Groups, International, *ibid.*, 32-8; R.F. Mikesell, *The Bretton Woods Debates*, 1994; P.B. Kenen (ed.), *Managing the World Economy: Fifty Years after Bretton Woods*, 1994; The Bretton Woods Commission (ed.), *Bretton Woods: Looking to the Future*, 1994; J. Cavanagh/D. Wysham/M. Arruda (eds), *Beyond Bretton Woods: Alternatives to the Global Economic Order*, 1994. 10

²³ Articles 1(3), 55(a) and (b), 56 of the Charter. *ib. op.* 21.

²⁴ H.G. Schermers, *Weighted Voting*, *EPIL* 5 (1983), 398-9.

²⁵ H.J. Hahn, *Organisation for Economic Co-operation and Development*, *EPIL* 5 (1983), 214-22.

²⁶ A.-M.d.Zayas, *European Recovery Program*, *EPIL* II (1995), 282-5.

²⁷ P.-I. Stoll, *Economic Commissions, Regional*, in *Wolfgram UNLPP*, 434-50; W. Meng, *Economic Co-operation under the UN-System*, *ibid.*, 451-60; R. Lagoni, *ECOSOC*, *ibid.*, 461-9; *ECOSOC-ის შესახებ* *ib. op.* 21.

²⁸ G. Corea, *United Nations Conference on Trade and Development*, *EPIL* 5 (1983), 301-7; R. Marxen, *UNCTAD*, in *Wolfgram UNLPP*, 1274-83; *UN Chronicle* 1996. no. 2.58-60.

²⁹ S. Marchisio/A. di Blase, *The Food and Agricultural Organization* (FAO), 1991; J.P. Dobbert, *Food and Agriculture Organization of the United Nations*, *EPIL* II (1995), 413-9; H.-J. Schutz, FAO, in *Wolfgram UNLPP*, 499-522.

³⁰ *ib. op.* H. Sahlmann/B. Blank, *UNDP*, in *Wolfgram UNLPP* II, 1284-90.

³¹ P.C. Szasz, *United Nations Industrial Development Organization*, *EPIL* 5 (1983), 329-36; B.L. Rau-Mentzen/G.v. Koppenfels, *UNIDO*, in *Wolfgram UNLPP* II, 1329-34.

³² W. Benedek, *International Fund for Agricultural Development*, *EPIL* II (1995), 1146-9; P.M. Frankenfeld, *IFAD*, in *Wolfgram UNLPP* I, 694-701.

მოდგენილი საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმი ბაზარზე დაუბრკოლებელ შესვლას და საერთაშორისო ვაჭრობისა და მონეტარული ურთიერთქმედებების ბარიერების შემცირებას დასაქმების დონისა და რეალური შემოსავლის გაზრდის, აგრეთვე, საწარმოო ფაქტორების ოპტიმალური გამოყენებისთვის საჭირო ძირითად საშუალებებად აქცევს. ამას ემატება მონეტარული სტაბილურობის, როგორც მყარი ეკონომიკური ზრდის წინაპირობის, მიღწევის სურვილი. ამას გარდა, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი მიზნად ისახავს რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და ზოგიერთი პრივილეგირებული სახელმწიფოს მხრიდან უსამართლო კონკურენციის თავიდან აცილებას. მიუხედავად ამისა, ეს ლიბერალური პრინციპები ხშირად ეწინააღმდეგება ქვეყნების თანასწორობის უზენაეს პრინციპს, რომელიც მოცემულია გაეროს ქარტიის მე-2 (1) პუნქტში, და სახელმწიფოთა უფლებას, თვითონ აირჩიონ თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები, გაეროს ქარტიაში აღნიშნული სოციალური და ეკონომიკური ვალდებულებების მიუხედავად, რომელთაც სახელმწიფოებს საერთაშორისო გაერთიანებების წევრობა ავალდებს.²³

კომუნისტური სახელმწიფოები უარს ამბობდნენ ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებში განვრვიანებაზე იმ საბაბით, რომ ეს ინსტიტუტები კაპიტალისტურ, ანუ საბაზრო, ეკონომიკის ფილოსოფიას ემყარებოდა. განვითარებადი ქვეყნები თავდაპირველად კრიტიკულად განეწყვნენ ამ დასავლური ინსტიტუტების მიმართ, ვინაიდან ფვლიდნენ, რომ ეს ინსტიტუტები ნაკლებ ყურადღებას დაუთმობდნენ მესამე მსოფლიოს სიღარიბესა და ეკონომიკურ პრობლემებს, მაგრამ თანდათან პოზიცია შეცვალეს, ამ ინსტიტუტებს შეუერთდნენ და დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ემყარება პრინციპს: „ერთი სახელმწიფო – ერთი ხმის უფლება“. თუმცა ინდუსტრიული ქვეყნების გავლენა კვლავინდებურად დიდია ისეთ ცენტრალურ ინსტიტუტებში, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, სადაც გადანყვეტილების მიღებისას ხმების რაოდენობა ორგანიზაციაში დაბანდებული კაპიტალის პროპორციულია და, ამდენად, ირღვევა ქვეყნების თანასწორობის უზენაესი პრინციპი.²⁴

ბრეტონ ვუდსის სისტემის ფარგლებში შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)²⁵, რომელმაც 1960 წელს ჩაანაცვლა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის რეკონსტრუქციის მარშალის გეგმასთან დაკავშირებით დაარსებული ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.²⁶ OECD აერთიანებს დასავლეთი სამყაროს ოცდაექვს უდიდეს ინდუსტრიულ სახელმწიფოს, რომლებიც მსოფლიო პროდუქციის ნახევარზე მეტს აწარმოებენ და მსოფლიო ვაჭრობის 70 პროცენტზე მეტს ახორციელებენ. ეს, პირველ რიგში, თანამშრომლობისადმი მიძღვნილი ფორუმია, რომლის ძირითად მიზანსაც მისი წევრების ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაცია წარმოადგენს. ამას გარდა, გაერომ (სადაც ECOSOC-ის ფარგლებში მოქმედებს ხუთი რეგიონული ეკონომიკური კომისია – ევროპის, აზიისა და შორეული აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკის, აფრიკისა და დასავლეთ აზიის კომისიები²⁷) დააარსა ეკონომიკურ სფეროში მომუშავე რამდენიმე ვიწრო სპეციალიზაციის ორგანიზაცია, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, განვითარებადი ქვეყნების ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, 1964 წელს შექმნილი გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციაა (UNCTAD)²⁸. გაეროს ფარგლებში არსებობს ისეთი ორგანიზაციებიც, რომელთა მიზანია ღარიბ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლება და მრეწველობის განვითარება. ასეთი ორგანიზაციებია, მაგალითად, საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)²⁹, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)³⁰, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)³¹ და აგრარული განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)³². არსებობს, აგრეთვე, რამდენიმე არცთუ მთლად წარმატებული ორ-

განიზაცია, რომელთა საქმიანობა მიმართულია ფასების დონის სტაბილურობის შენარჩუნებისკენ, რაც, ძირითადად, იმ ქვეყნების ინტერესებს შეესაბამება, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა დიდადაა დამოკიდებული ნედლეულის (მაგ., ყავა, ჩაი, ნიალისყული) ექსპორტზე.³³

არსებობს რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციებიც, რომელთა შორისაა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (OPEC)³⁴, ევროპის გაერთიანებები (ECSC, EEC და Euratom), რომლებიც დღეს ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებენ,³⁵ ბენილუქსის ეკონომიკური კავშირი,³⁶ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA)³⁷ და 1992 წელს დაარსებული ევროპის ეკონომიკური ზონა (EEA)³⁸ (შეთანხმებას ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ, რომელიც ევროგაერთიანების სამართლის პრინციპების მიხედვით შეიქმნა, ხელი მოაწერეს EC-მ და ECSC-მ, ამ ორგანიზაციების წევრმა სახელმწიფოებმა და EFTA-ს შვიდმა წევრმა სახელმწიფომ. მოგვიანებით რეფერენდუმის შედეგად ამ შეთანხმებას გამოეთიშა შვეიცარია. ევროკავშირში ფინეთის, ავსტრიისა და შვედეთის გაწევრიანებასთან ერთად, EFTA თითქმის მთლიანად ევროპის ინტეგრაციამ შთანთქა). ამას გარდა, არსებობს 1988 წლის კანადა-შეერთებული შტატების შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (FTA),³⁹ რომელიც საფუძვლად დაედო ჩრდილოამერიკულ შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (NAFTA).⁴⁰ ეს შეთანხმება, რომელიც კანადას, მექსიკასა და შეერთებულ შტატებს შორის დაიდო 1992 წელს, თავისუფალ სავაჭრო სივრცეს ქმნის ლათინური ამერიკის ქვეყნების შეერთების პერსპექტივით და ევროკავშირისა და იაპონიისთვის კონკურენციის განევის მიზნით. ლათინურ ამერიკაშიც არსებობს რამდენიმე შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და რამდენიმე სუბრეგიონული ეკონომიკური ორგანიზაცია,⁴¹ მათ შორის, ანდების პაქტი,⁴² CACM, ALADI, SELA, CARICOM⁴³ და MERCOSUR (დაარსებული არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაისა და ურუგვაის მიერ).⁴⁴ 1994 წლის 17 დეკემბერს MERCOSUR-ის ინსტიტუციური სტრუქტურის დამატებითა ოქმმა,⁴⁵ შესაძლოა, განვითარებად ქვეყნებში პირველად, ინტეგრაციის პროცესის დაწყება გამოიწვიოს. 1996 წლის ივნისში MERCOSUR-ს ჩილეც შეუერთდა. აფრიკაში ფუნქციონირებს 1975 წელს დაარსებული დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური გაერთიანება (ECOWAS),⁴⁶ 1991 წელს დაარსებული აფრიკის ეკონომიკური გაერთიანება⁴⁷ და 1993 წელს დაარსებული აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ერთიანი ბაზარი.⁴⁸ რაც შეეხება წყნარი ოკეანის აუზს, 1989 წელს სინგაპურში შეიქმნა აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის (APEC)⁴⁹ ორგანიზაცია, რომელშიც მრავალი სახელმწიფო გაწევრიანდა, კერძოდ, ავსტრალია, ჰონკონგი, ჩინეთი, ინდონეზია, იაპონია, კანადა, ბრუნეი, მალაიზია, ფილიპინები, ახალი ზელანდია, სინგაპური, სამხრეთი კორეა, ტაივანი, ტაილანდი, მექსიკა, პაპუა-ახალი გვინეა და აშშ. 1992 წელს ჩეხეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა და სლოვაკეთმა შექმნეს ცენტრალური ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონა (CEFTA).⁵⁰ 1993 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ (დსთ),⁵¹ რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა, ხელი მოაწერა „ხელშეკრულებას ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ“.⁵² იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც 1993 წლის 24 სექტემბერს ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას, იყვნენ რუსეთი, ბელარუსი, სომხეთი, მოლდოვა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და აზერბაიჯანი. უკრაინა და თურქმენეთი ასოცირებული წევრები გახდნენ. 1993 წლის ოქტომბერში ხელშეკრულებას საქართველოც შეუერთდა. თავისუფალ სავაჭრო ზონებში გაერთიანების ასეთი მცდელობები ყოველთვის დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნას არ იწვევს. მაგრამ არსებობს იმის საშიშროება, რომ დიდი სავაჭრო ბლოკების შექმნის ტენდენცია მსოფლიო ეკონომიკის რეგიონალიზაციას გამოიწვევს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააძლიერა 1994 წლის ენერგეტიკულმა ქარტიამ,⁵³ რომელიც მონანილე 49 ქვეყნისა და ევროგაერ-

³³ იხ. B.S. Chirni, *International Commodity Agreements: A Legal Study*, 1987; Tomuschat, *Commodities*, Common Fund, *EPIL* I (1992), 683-6; *Commodities, International Regulation of Production and Trade*, *ibid.*, 686-92; R. Wolfrum, *Commodity Agreements*/Common Fund, in *Wolfrum UNLPI*, 138-47. 10
³⁴ I.F.I. Shihata/A.R. Parra, *Organization of Petroleum Exporting Countries*, *EPIL* 5 (1983), 224-8. იხ. აგრეთვე, O. Elwan, *Organization of Arab Petroleum Exporting Countries*, *EPIL* 6 (1983), 281-7.

³⁵ იხ. თ. 1 და თ. 6.

³⁶ E.D.J. Kruijtbosch, *Benelux Economic Union*, *EPIL* I (1992), 373-7; P. Pescatore, *Belgium-Luxembourg Economic Union*, *ibid.*, 367-71.

³⁷ W. Karl, *European Free Trade Association*, *EPIL* II (1995), 237-40.

³⁸ იხ. A. Evans, *The Law of the European Community Including the EEA Agreement*, 1994; T. Blanchet/R. Piipponen/M. Westman-Clement, *The Agreement on the European Economic Area (EEA)*, 1994.

³⁹ ტექსტი (1988), 281. იხ. S.A. Baker/S.B. Batran, *The Canada-United States Free Trade Agreement*, *IL* 23 (1989), 37-80; *Canada-United States Free Trade Agreement Binational Secretariat: Background Note on the FTA Binational Secretariat and A Status Report of All Cases Filed with the Secretariat under Chapters 18 and 19*, 30 (1991), 181; M.J. Hahn, *Free Trade Agreement between the United States and Canada* (1988), *EPIL* II (1995), 469-73.

⁴⁰ ტექსტი (1993), 289 and 605. იხ. F.L. Ansley, *North American Free Trade Agreement: The Public Debate*, *Ga JICL* 22 (1992), 469; M.D. Baer/S. Weintraub (eds), *The NAFTA Debate: Grappling with Unconventional Trade Issues*, 1994; D.C. Alexander/S.J. Rubin (eds), *NAFTA and Investment*, 1995; F. M. Abbott, *Law and Policy of Regional Integration: The NAFTA and Western Hemispheric Integration in the World Trade Organisation*, 1995.

⁴¹ M. Minker, *Central American Integration: Evolution, Experience and Perspectives*, *GYL* 32 (1989), 195-240; O. Ribbelink, *Institutional Aspects of Regional Economic Integration: Latin America*, *Hague YLA* (1991), 86-105; K.R. Simmonds, *Caribbean Cooperation*, *EPIL* I (1992), 533-6; K.R. Simmonds, *Central American Common Market*, *ibid.*, 548-50.

⁴² ტექსტი ILM 28 (1989), 1165. იხ. P. Nikken, *Andean*

Common Market. *EPIL* 1 (1992), 155-9.

⁴¹ The Caribbean Community (CARICOM) established by a treaty in 1973, replaced the Caribbean Free Trade Association (CARIFTA) founded in 1962. Text of the CARCOM Treaty in *ILM* 12 (1973), 1033.

⁴² Mercado Común del Sur, *ILM* 30 (1991), 1041

⁴³ *ILM* 34 (1995), 1244.

⁴⁴ ტექსტი (1975), 1200. განახლებული ტექსტი *ILM* 35 (1996), 660. იხ. J.E. Okolo, ECOWAS Regional Cooperation Regime. *GYL* 32 (1989), 111; S. Ajulo, Economic Community of West African States. *EPIL* 1 (1995), 16-20.

⁴⁵ *ILM* 30 (1991), 1241. იხ. K.v. Walraven, Some Aspects of Regional Economic Integration in Africa. *Hague VILA* (1991), 106-26; M. Ndulo, Harmonization of Trade Laws in the African Economic Community. *ICLQ* 2 (1993), 101 et seq.

⁴⁶ ტექსტი იხ. *ILM* 33 (1994), 1067; იხ. აგრეთვე, *ILM* 34 (1995), 864.

⁴⁷ იხ. P. K. Linnen, APEC Quo Vidis?. *AAJ* 89 (1995), 824-34. *ILM* 35 (1996), 1102 and 1111.

⁴⁸ *ILM* 34 (1995), 3.

⁴⁹ იხ. თ. 6.

⁵⁰ *ILM* 34 (1995), 1298 იხ. S. Peers, From Cold War to Lukewarm Embrace: The European Union's Agreements with the CIS States. *ICLO* 44 (1995), 820-47

⁵¹ ტექსტი (1995), 360. შესწორებები (1995), 1158; ხელშეკრულებების სტატუსისთვის იხ. *ILM* (1995), 593. იხ. აგრეთვე, The Energy Charter Treaty. *ILM* (1995), 556.

⁵² J. Gold, International Monetary Fund. *EPH* 11 (1995), 1271-8; *Restatement (Third)*, Vol. 2, 313-37; P. Raverl, IMF, in *Wolfgram UNLPP* 1, 724-33. იხ. აგრეთვე, R. W. Edwards, Jr., *International Monetary Collaboration*, 1985. R.C. Tennekoon, *The Law and Regulation of International Finance*, 1991; B. Stein (ed.), *International Financial Market Regulation*, 1994

⁵³ UNITS 99, TIAS No. 1501 (1947) [original article - amended text in 726 UNITS 266, TIAS No. 6748 (1976)] (first amendment); TIAS No. 8937 (1978) [second amendment].

⁵⁴ J. Gold, *Exchange Rates in International Law and Organization*, 1989. Gold, *Legal Effects of Fluctuating Exchange Rates*, 1990.

თიანების მხრიდან დიდი მრავალმხრივი ინვესტიციების განხორციელებას გულისხმობს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ძირითადი იდეები, რომლებმაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნა გამოიწვია, ცნობილი ეკონომისტების ჯონ მენარდ კეინსისა (დიდი ბრიტანეთი) და ჰარი დექსტერ უაითის (აშშ) მიერ წამოყენებულ წინადადებებს ემყარება.⁵⁴ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების IV პუნქტის თანახმად, საერთაშორისო სავალუტო სისტემის ძირითადი მიზანია „ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც აადვილებს ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გაცვლას და ხელს უწყობს განუხრელ ეკონომიკურ ზრდას“.⁵⁵ ამას გარდა, I პუნქტში, *inter alia*, ჩამოთვლილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემდეგი მიზნები:

(II) საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება და დაბალანსებული ზრდა და, ამის შედეგად, ფონდის ყველა წევრ ქვეყანაში დასაქმების დონისა და რეალური შემოსავლების ამაღლების, აგრეთვე, საწარმოო რესურსების განვითარების ხელშეწყობა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის უპირველესი მიზანი.

(III) ...

(IV) ქვეყნებს შორის ანგარიშსწორების მრავალმხრივი სისტემის ჩამოყალიბებისა და მსოფლიო ვაჭრობის დამაბრკოლებელი სავალუტო შეზღუდვების აღმოფხვრის ხელშეწყობა.

1995 წელს სავალუტო ფონდში უკვე 179 ქვეყანა იყო განეწიანებული, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოების ჩათვლით. ფონდის წევრის უფლებები და ვალდებულებები ემყარება „კვოტას“, რომელიც მის ეკონომიკურ და ფინანსურ პოზიციას ასახავს და, ამას გარდა, ფონდში შესატანი ფინანსური კონტრიბუციის სიდიდეს განსაზღვრავს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელშიც თითოეული წევრი წარადგენს ერთ მმართველსა და ერთ მოადგილეს (როგორც წესი, ფინანსთა მინისტრს ან ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელს). აღმასრულებელთა საბჭოში შედის, სულ მცირე, 20 აღმასრულებელი დირექტორი, რომელთაგან ხუთს ნიშნავენ, თხუთმეტს კი ირჩევენ. დირექტორის დანიშვნის უფლება აქვს იმ სახელმწიფოს, რომელსაც კვოტების მაქსიმალური რაოდენობა – ხუთი კვოტა აქვს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და იაპონია). გარკვეულ პირობებში სხვა წევრებსაც აქვთ არა უმეტეს ორი დირექტორის დანიშვნის უფლება. კენჭისყრისას ხმების რაოდენობა კვოტების რაოდენობის პროპორციულია, რაც გადაწყვეტილების მიღებისას რეალურ ძალაუფლებას დასავლეთის სახელმწიფოების ჯგუფს ანიჭებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდს მრავალი ფუნქცია აქვს, მაგრამ მათგან უმთავრესია სავალუტო კურსების რეგულირება და ზედამხედველობა,⁵⁶ საერთაშორისო ურთიერთქმედებების ანგარიშსწორებისა და ტრანსფერების მრავალმხრივი სისტემის რეგულირება და კოორდინაცია და მრავალი სახის ფინანსური საქმიანობა. რაც შეეხება ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობას, ბრეტონ ვუდსის სისტემა ემყარებოდა აშშ დოლარის ფიქსირებულ ოქროს პარიტეტს, რომელთანაც იყო დაკავშირებული სხვა ქვეყნების ვალუტაც. ასეთი მიდგომა, ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, უკუაგდეს 1971 წელს, რამაც გამოიწვია 1976 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმებაში ცვლილების შეტანა, რომელიც წევრ ქვეყნებს უფლებას აძლევდა, დაენსებინათ მცურავი სავალუტო კურსი სავალუტო ფონდის მეთვალყურეობის ქვეშ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა

ფონდის წევრი ქვეყნების დახმარება საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დაძლევაში.⁵⁷ სავალდებულო ლიკვიდურობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ე.წ. „სესხების სპეციალური უფლება“ (SDR). ესაა აქტივი, რომელსაც ფონდი თავის წევრ ქვეყნებს სარეზერვო აქტივის სახით ან ამ ქვეყნების ვალუტის გაძლიერების მიზნით აძლევს. ამ აქტივის ღირებულება დამოკიდებულია ხუთი უმნიშვნელოვანესი ვალუტის (აშშ დოლარი, გერმანული მარკა, იაპონური იენი, ფრანგული ფრანკი და ინგლისური ფუნტი სტერლინგი) სპეციალურად მითითებული რაოდენობის „კალათაზე“ და ამ ვალუტათა კურსებზე. SDR-ის გამოყენება ფონდის წევრებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ „მყარი“ ვალუტა თავიანთი ეროვნული ვალუტის სანაცვლოდ, მაგრამ ეს მექანიზმი ძალიან რთულია, ამიტომ მას აქ არ აღვწერთ.

იმის შედეგად, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები, დასავლეთის ქვეყნები და კერძო ბანკები დიდი რაოდენობით სესხებდნენ აძლევდნენ იმ ქვეყნებს, რომელთაც თავიანთი უზარმაზარი საგარეო ვალის დაბრუნების უნარი დაკარგეს, 70-იან წლებში საერთაშორისო ვალუტთან დაკავშირებული მძიმე კრიზისი წარმოიშვა, რომელიც დღესაც გრძელდება.⁵⁸ ამასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა სადავო საკითხი სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ასეთი დიდი ვალის მქონე ქვეყნებისთვის შეთავაზებული სესხების „პირობითობის“ თაობაზე. სავალუტო ფონდსა და მევალე ქვეყანას შორის დადებული ე.წ. „სარეზერვო შეთანხმების“ მიხედვით (იხ. პუნქტი XXX lit.d.), მევალე ქვეყანამ ფორმალურად უნდა იკისროს ვალდებულება სასესხო ბალანსის დეფიციტის შემცირებისკენ მიმართული გარკვეული ეკონომიკური რეფორმების გატარების თაობაზე. ასეთია სავალუტო ფონდიდან სესხის მიღების პირობა, მაგრამ ამ პირობას ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების ძალა არა აქვს. ამიტომ, თუ ვალის მქონე ქვეყანა ამ პირობას არ შეასრულებს, ეს საერთაშორისო სამართლის დარღვევის აქტი არ იქნება.⁵⁹ მიუხედავად ამისა, ამიერიდან ამ ქვეყანას სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებისგან ვალის აღება გაუჭირდება, ამიტომ ის იძულებულია პირობა შეასრულოს. ქვეყნის მიერ ასეთი ვალდებულებების აღებას ხშირად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისთვის არასასურველი სოციალური შედეგები მოჰყვება. სადავოა ისიც, აქვს თუ არა რაიმე რეალური შედეგი ქვეყნისთვის ამგვარად თავს მოხვეულ რეფორმებს. სამხრეთის მრავალი ქვეყანა თვლის, რომ მეურვეობის ქვეშ მოჰყვა, და ამას საკუთარი სუვერენიტეტის დარღვევად აღიქვამს.⁶⁰

მსოფლიო ბანკი

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი) 1944 წელს ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე დაარსდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად.⁶¹ მისი „შეთანხმების პუნქტების“ I პუნქტში ნათქვამია, რომ მსოფლიო ბანკის მიზანია წევრი ქვეყნების ტერიტორიების რეკონსტრუქციისა და განვითარების ხელშეწყობა, კერძო უცხოური ინვესტიციების განვითარება გარანტიების გზით, აგრეთვე, სესხებში ან კერძო ინვესტიორების მიერ განხორციელებულ სხვა ინვესტიციებში თანამონაწილეობის გზით, სათანადო მიზნებისთვის ფინანსების უზრუნველყოფა (გარკვეული პირობებით), საერთაშორისო ვაჭრობის გრძელვადიანი დაბალანსებული ზრდისა და საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის შენარჩუნების ხელშეწყობა, საკუთარ სასესხო პოლიტიკაში უფრო სასარგებლო და გადაუდებელი პროექტებისთვის პრიორიტეტის მინიჭება და საკუთარი საქმიანობის განხორციელება იმ გავლენის გათვალისწინებით, რომელსაც საერთაშორისო ინვესტიციები ახდენს წევრი ქვეყნების კომერციულ გარემოზე.⁶² თავდაპირველად მსოფლიო ბანკი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეკონსტრუქციით იყო დაკავებული, დღეს კი მისი ძირითადი საქმიანობაა განვითარებადი ქვეყნე-

⁵⁷ M. Garritsen de Vries, *Balance of Payments Adjustment, 1945-1986: The IMF Experience*, 1987.

⁵⁸ იხ. F.P. Feliciano/R. Dolzer, *The International Law of External Debt Management - Some Current Aspects*, *IIA Rep.* 1988, 419; P.M. Keller/N.E. Weersinghe, *Multilateral Official Debt Rescheduling: Recent Experiences*, 1988; F. Gianviti, *The IMF and External Debt*, (1989-111), 205-86; P. Adams, *Odious Debts: Loose Lending, Corruption, and the Third World's Environmental Legacy*, 1991; D.H. Cole, *Debt-Equity Conversions, Debt-for-Nature Swaps, and the Continuing World Debt Crisis*, *Cohon, JTL* 30 (1992), 57; V.P. Nanda/G.W. Shepherd, Jr./E. McCarthy-Anolds (eds.), *World Debt and the Human Condition. Structural Adjustment and the Right to Development*, 1993; H.J. Hahn, *Foreign Debts*, *EPIL* II (1995), 428-35; M. Bothe, *Debt Crisis*, in *Wolfrum UNLPP I*, 366-79; A. Reinisch, *State Responsibility for Debts*, 1995.

⁵⁹ Herdegen, *op. cit.*, 229.

⁶⁰ W. Meng, *Conditionality of IMF and World Bank Loans: Tutelage over Sovereign States?*, *VRU* 21 (1988), 263; H. M. G. Denters, *IMF Conditionality - Juridische aspecten van betalingsbalanssteun door het IMF*, 1993; J.-M. Sorel, *Sur quelques aspects juridiques de la conditionnalité du F.M.I. et leurs conséquences*, *EJIL* 7 (1996), 67-88.

⁶¹ I.F. Shihata, *The World Bank in a Changing World. Selected Essays*, 1991; D.D. Bradlow/S. Schlemmer-Schulte, *The World Bank's New Inspection Panel: A Constructive Step in the Transformation of the International Legal Order*, *ZaorV* 54 (1994), 392-415; H. Golsong, *International Bank for Reconstruction and Development*, *EPIL* II (1995), 1057-64; C.v. Monbart, *IBRD*, in *Wolfrum UNLPP I*, 656-64; A. Broches, *Selected Essays - World Bank, ICSID, and Other Subjects of Public and Private International Law*, 1995; P. Kunig, in *Wolfrum UNLPP II*, 1052-8.

⁶² 2 UNITS 134 (1947), შესწორებული ტექსტი იხ. 606 UNITS 294 (1967).

⁶³ იხ. J.W.Head, Evaluation of the Governing Law for Loan Agreements of the World Bank and Other Multilateral Banks, *MIL* 90(1996), 214-34.

⁶⁴ B.S. Brown, *The United States and the Politicization of the World Bank. Issues of International Law and Policy*, 1992; D. Bandow/I. Vasquez (eds), *Perpetuating Poverty. The World Bank, the IMF, and the Developing World*, 1994.

⁶⁵ H. Golsong, International Finance Corporation, *EPIL* II (1995), 1142-4; A. Graf Keyserlingk, IFC, in *Wolftrum UNLPP* I, 702-4.

⁶⁶ H. Golsong, International Development Association, *EPIL* II (1995), 1127-9; D.H. Frankenfeld, IDA, in *Wolftrum UNLPP* I, 686-93.

⁶⁷ იხ. თ. 18.

⁶⁸ Convention Establishing the Multilateral Investment Guarantee Agency (MIGA), *ILM* 24 (1985), 1598. იხ. S.K. Chatterjee, The Convention Establishing the Multilateral Investment Guarantee Agency, *ICLO* 36 (1986), 76-91; H.G. Petersmann, Die Multilateral Investigations-Garantie-Agentur (MIGA), *ZaoRV* (1986), 758; I.F.I. Shihata, The Multilateral Investment Guarantee Agency (MIGA) and the Legal Treatment of Foreign Investment, *RdC* 203 (1987-III), 99-320; Shihata, *MIGA and Foreign Investment: Origins, Operations, Policies and Basic Documents of the Multilateral Investment Guarantee Agency*, 1988; S.A. Riesenfeld, Foreign Investments, *EPIL* II (1995), 435-9; D.W. Bachmann, MIGA, in *Wolftrum UNLPP* II, 884-91.

⁶⁹ Text of the Charter in Cmd. 7375. იხ. G. Jaenicke, Havana Charter, *EPIL* II (1995), 679-83.

ბისთვის გრანტების გაცემა იმ პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც საჭიროა სამხრეთის ზოგადი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.⁶³

მსოფლიო ბანკის წევრობისთვის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობა, ამიტომ ამ ორ ორგანიზაციას ერთი და იგივე წევრები ჰყავს. ამ ორგანიზაციების მთავარი ორგანოების სტრუქტურა და კენჭისყრის სისტემაც მსგავსია, ე.ი. მსოფლიო ბანკში, ისევე, როგორც სავალუტო ფონდში, დასავლეთის ძლიერ ინდუსტრიულ ქვეყნებს პრივილეგიურებული პოზიციები უკავიათ. არსებითად, მსოფლიო ბანკი მოქმედებს, როგორც ფინანსური შუამავალი, რომელიც გაცემს იმ ფულად სახსრებს, რომელთაც საბაზრო ოპერაციების შედეგად იღებს, ან იძლევა წევრი ქვეყნების მიერ კომერციული საინვესტიციო არხებით მიღებული სესხების გარანტიას. ამას გარდა, მსოფლიო ბანკი გაცემს სესხებს საკუთარი კაპიტალური მარაგიდან, მაგრამ ეს მისი საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. წარსულში არაერთგზის გამოთქმული მწვავე კრიტიკული მოსაზრებების პასუხად, რომლებიც გამოწვეული იყო მსოფლიო ბანკის მიერ წმინდა ეკონომიკური კრიტიკის გამოყენებით,⁶⁴ დღეს ბანკი უფრო მგრძობიარეა მის მიერ დაფინანსებული პროექტების შედეგების მიმართ, როგორც სოციალური, ისე გარემოს დაცვის ფვალსაზრისით.

მსოფლიო ბანკთან არსებობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)⁶⁵ და საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA).⁶⁶ ეს სამი ორგანიზაცია ეწმსოფლიო ბანკის ჯგუფს შეადგენს. თუ მსოფლიო ბანკი დაკავებულია წევრი ქვეყნებისთვის ან მთავრობის გარანტიების მქონე კომპანიებისთვის სესხების გაცემით სათანადო სარგებლის განაკვეთით, IFC კერძო კომპანიებს კაპიტალით უზრუნველყოფს მსესხებელი ქვეყნის მთავრობის გარანტიების გარეშე. IDA გაცემს შეღავათიან სესხებს (რომლებიც უაღრესად ხელსაყრელი პირობების გამო გრანტების ტოლფასია) უღარიბესი ქვეყნებისთვის, რომლებიც ვეღარ ახერხებენ ნორმალურ საბაზრო პირობებში ფინანსების მოძიებას, და კერძო კომპანიებისთვის, რომელთაც სათანადო სამთავრობო გარანტიები აქვთ. მსოფლიო ბანკის ჯგუფთან მჭიდროდ თანამშრომლობენ ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID)⁶⁷ და მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (MIGA).⁶⁸

GATT

ბრეტონ ვუდსის კონფერენციისა და გაეროს შექმნის შემდეგ დაიწყო ახალი ორგანიზაციის – საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის – ქარტიის პროექტზე მუშაობა, რომელიც 1947 წელს ჰავანაში დასრულდა.⁶⁹ მაგრამ აშშ-ს კონგრესმა, რომელიც შიშობდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ამერიკის ინტერესები შეიზღუდებოდა, ქარტიის ხელმოწერაზე უარი განაცხადა, რის გამოც ქარტია არასოდეს შესულა ძალაში. მის ნაცვლად შეიქმნა GATT, მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელსაც ITO-ს მფარველობის ქვეშ უნდა ემოქმედა და რომელიც ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიზნით მოქმედ ცენტრალურ ინსტიტუტად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ არც ეს ხელშეკრულება შესულა ძალაში, ის მაინც მოქმედებს წინასწარი შეთანხმების ოქმის ბაზაზე, რომელსაც 1947 წელს ოცდასამმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი ITO-ს დაარსების მოლოდინში. მომდევნო 40 წლის განმავლობაში GATT-ს 130-ზე მეტი სახელმწიფო შეუერთდა, რომელთა ნაწილი ფორმალურად გახდა „ხელისმომწერი მხარე“, ნაწილი კი *de facto* იცავს GATT-ის წესებს. GATT-მა თანდათან საერთაშორისო ორგანიზაციის სახე მიიღო, თუმცა მას სათანადო კონსტიტუციური ბაზისი არა აქვს, ხოლო GATT-ის სამდივნო მას არასოდეს მოიხსენიებს,

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას.

GATT-ის მიზანი იყო მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციისკენ მიმართული ზოგადი ვაჭრობის პრინციპებისა და ნორმების ჩამოყალიბება, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა ვაჭრობის დამაბრკოლებელი საბაჟო და სხვა სახის ბარიერების შემცირება და სხვადასხვა ქვეყნებისადმი დისკრიმინატორული მიდგომის აღმოფხვრა.⁷⁰ GATT-ის დადგენილებები, რომელთაც ათზე მეტი ცალკეული შეთანხმებაც დაემატა, რამდენიმე ასეული გვერდის მოცულობის ურთულეს ტექსტს შეადგენს, რომელშიც ამ სფეროს სპეციალისტებსაც კი უჭირთ გარკვევა. ხელშეკრულება რამდენჯერმე შეიცვალა შემდგომი ოქმების ხელმოწერის შედეგად. ამ ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი IV ნაწილის (ვაჭრობა და განვითარება) დამატება, რომელიც ხელისმომწერი მხარეებისგან ნაკლებგანვითარებული ქვეყნებისადმი განსაკუთრებულ მიდგომას და მათთვის უპირატესობის მინიჭებას მოითხოვს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა დღეს ამა თუ იმ სახით GATT-ის მონაწილეა, თუმცა, UNCTAD-ისგან განსხვავებით, GATT ჯერ კიდევ „მდიდართა კლუბად“ ითვლება, რომელიც ინდუსტრიული ქვეყნების ინტერესების დასაცავადაა შექმნილი.⁷¹

GATT-ის წევრებმა ხელი მოაწერეს დამატებით შეთანხმებებს იმ მიზნით, რომ განემარტათ, ამოქმედებინათ ან (ტექსტილისა და სოფლის მეურნეობის შემთხვევაში) შეეცვალათ GATT-ის ის დებულებები, რომლებიც ძალაში სხვა დებულებებისგან დამოუკიდებლად შევიდა. ამის მაგალითია 1962 წლის ბამბეულის შეთანხმება, რომელიც 1973 წელს ბამბეულის მრავალმხრივმა შეთანხმებამ შეცვალა, და 1967 წლის შეთანხმება დემპინგის საწინააღმდეგო კოდექსის შესახებ, რომელიც 1979 წელს გადაიხედა. ამას გარდა, აღსანიშნავია 1979 წლის შეთანხმება GATT-ის იმ დებულებების ინტერპრეტირების შესახებ, რომლებიც ექსპორტის სუბსიდირებას და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადს ეხება, აგრეთვე, სხვა შეთანხმებებიც, რომლებიც ვაჭრობის ტექნიკურ ბარიერებთან, იმპორტის ლიცენზირების პროცედურებთან და სახელმწიფო შესყიდვებთანაა დაკავშირებული.

პრივილეგირებული ქვეყნის (MFN) პირობა GATT-ის ძირითადი პრინციპია.⁷² მისი მიზანია სავაჭრო პარტნიორებს შორის დისკრიმინაციის აღმოფხვრა, რისთვისაც GATT-ის ყველა წევრი ვალდებულია, შეთანხმების ყველა წევრს პრივილეგირებული პირობები შეუქმნას ტარიფებთან ან სხვა შეღავათებთან დაკავშირებით, როცა საქმე კონკრეტულ „საქონელს“ ეხება.⁷³ პრივილეგირებული ქვეყნის პირობა არ გამოიყენება ისეთი კომერციული ურთიერთობისას, სადაც არ მონაწილეობს „საქონელი“ (რაც ფიზიკურ ერთეულს აღნიშნავს), მაგალითად, ტრანსპორტში, პატენტების, ლიცენზირებისა და სხვა უფლებების ტრანსფერისას ან კაპიტალის მოძრაობისას. მას შემდეგ, რაც საქონელი საბაჟო შემოსემებს გაივლის, GATT-ის წევრები ვალდებული არიან, მას ისევე მიუდგინონ, როგორც „მსგავს“ (რის განსაზღვრაც ხშირად უაღრესად რთულია) ადგილობრივი წარმოების საქონელს.⁷⁴ ეს იმისთვის ხდება, რომ ადგილობრივი კანონების გამოყენებამ იმპორტირებული საქონლის დისკრიმინაცია არ გამოიწვიოს, მით უმეტეს, რომ ეს საქონელი მაინც დაექვემდებარება ტარიფის შემცირებას და ვაჭრობის ლიბერალიზაციის სხვა ქმედებებს, ოღონდ ამჯერად ეს არალეგალურად მოხდება.

GATT-ის შეთანხმებაში არსებობს პრივილეგირებული ქვეყნების პრინციპის სხვა გამონაკლისებიც, რომლებიც საქონელთანაა დაკავშირებული. თუ სახელმწიფოს უცხოური კონკურენციისგან საკუთარი მწარმოებლების დაცვა სურს, GATT-ის დებულება მას ამის უფლებას აძლევს, იმ პირობით, რომ ამისთვის სახელმწიფო მხოლოდ საბაჟო ტარიფებს გამოიყენებს. ეს ვაჭრობის რეალური პირობების გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას უზრუნველყოფს. შესაძლებელია ამ ტარიფების შემდგომი შემცირება შეთანხმების საფუძ-

⁷⁰ GATT Treaty, 55 UNTS 187. *ob. J.H. Jackson. World Trade and the Law of GATT*, 1969; T.J. Schoenbaum. *Antidumping and Countervailing Duties and the GATT; An Evaluation and a Proposal for a Unified Remedy for Unfair International Trade*, *GYL* 30 (1987), 177; *Restatement (Third)*, Vol. 2, 263-312; K.R. Simmonds/B.H.W. Hill. *Law and Practice under the GATT*, 1988; E.-U. Petersmann. *Mid-Term Review Agreements of the Uruguay Round and the 1989 Improvements to the GATT Dispute Settlement Procedures*, *GYL* 32(1989), 280; R.E. Hudec. *The GATT Legal System and World Trade Diplomacy*, 2nd edn 1990; W. Benedek, *Die Rechtsordnung des GATTaus volkerrechtlicher Sicht*, 1990; G.R. Winham. *The Evolution of International Trade Agreements*, 1992; R.E. Hudec, *Enforcing International Trade Law: The Evolution of the Modern GATT Legal System*, 1993; GATT Secretariat. *Analytical Index: Guide to GATT Law and Practice*, 6th edn 1994; P. Hallstrom. *The GATT Panels and the Formation of International Trade Law*, 1994; P.J. Kuyper. *The Law of GATT as a Special Field of International Law*, *NYL* 25 (1994), 227-57; H.v. Houtte. *The Law of International Trade*, 1995; G. Janicke, *General Agreement on Tariffs and Trade* (1947), *EPIL* 11(1995), 502-610.

⁷¹ *ob. G.M. Engblom. International Trade Centre UNCTAD/GATT II* (1995), 1385-8; J.E. Hurders, *Discriminatory Measures in Economic and Trade Relations*, in *Wolfgram UNLPI*, 424-33.

⁷² E.Ustor. *Most-Favoured-Nation Clause*. *EPIL* 8 (1985), 411-6.

⁷³ Article I GATT.

⁷⁴ Article III.

⁷⁵ H. Ballreich, Customs Union, *EPIL I* (1992), 920-3.

⁷⁶ P. Fischer, Free Trade Areas, *EPIL II* (1995), 473-8.

⁷⁷ Article IX GATT

⁷⁸ *ib.* M.J. Hahn, *Die einseitige Aussetzung von GATT-Verpflichtungen als Repressalie*, 1996.

⁷⁹ E.-J. Mestmacker, Free Trade In Services: Regional and Global Perspectives, in D. Friedmann/E.-J. Mestmacker (eds), *Rules for Free International Trade in Services*, 1990, 9, at 17.

ველზე, რაც, შესაძლოა, ორმხრივი შეთანხმებით დასრულდეს, რომელიც ითვალისწინებს ტარიფების შენარჩუნებას კონკრეტული დონის ქვემოთ. პრივილეგირებული ქვეყნების წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ GATT-ის წევრები საბაჟო კავშირს⁷⁵ ან თავისუფალ სავაჭრო სივრცეს⁷⁶ შექმნიან, ან თუ განვითარებად ქვეყნებს შეღავათიან პირობებს შესთავაზებენ.

ისეთი ქმედებების აღმოფხვრის მიზნით, სადაც ირღვევა ზემოხსენებული ძირითადი პრინციპები, რომლებიც გაძლიერებულია ვალდებულებებით კონსულტაციებისა და დავების მოგვარების პროცედურების გამოყენების შესახებ, GATT კრძალავს რაოდენობრივი შეზღუდვების გამოყენებას (მაგალითად, იმპორტისა და ექსპორტის კვოტებს, იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზიების შეზღუდულ გამოყენებას ან სასაქონლო ურთიერთქმედებებში ანგარიშსწორების კონტროლს), როგორც პროტექციონიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობას.⁷⁷ აქ არის გამონაკლისებიც, მაგალითად, XIV პუნქტში მითითებული საგადამხდელო ბალანსის სერიოზული სირთულეების შემთხვევაში. განვითარებად ქვეყნებს, რომელთაც საგადამხდელო ბალანსის მუდმივი პრობლემები აქვთ, დიდი პრივილეგიები ეძლევათ რაოდენობრივი შეზღუდვების წესებთან დაკავშირებით. ამავე მიზეზიდან გამომდინარე, არსებობს სხვა წესებიც, რომლებიც შეეხება ექსპორტის სუბსიდირებას, საშინაო გადასახადებსა და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ საწარმოებს. მაგრამ GATT-ის დებულება უშვებს რამდენიმე ზოგად გამონაკლისსაც, რომლებიც, მაგალითად, ეროვნული თავდაცვის მიზნებს ემყარება. ყველაზე მეტ სირთულეს ქმნის წესი, რომელიც GATT-ის წევრებს უფლებას აძლევს, გარკვეულ პირობებში დაანესონ იმპორტის შეზღუდვები ან გაზარდონ ტარიფები, რათა თავიდან აიცილონ ან შეამცირონ ადგილობრივი მწარმოებლებისთვის „სერიოზული ზარალის“ მიყენება. ეს წესი XIX პუნქტში, ე.წ. „გადარჩენის პირობაშია“ მოცემული.

GATT-ის შეთანხმებაში ჩადებული სტრუქტურული ზენოლის, ნორმატიული წინააღმდეგობრიობებისა და წევრების მხრიდან სავაჭრო დავებში ცალმხრივი აგრესიული კონტრზომების ხშირი გამოყენების მიუხედავად⁷⁸, GATT-ის სისტემა საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებს, როგორც სატარიფო პროტექციონიზმის საწინააღმდეგოდ მიმართული ინსტრუმენტი. ეს, ნაწილობრივ, მისი გამოყენების მოქნილი, ნახევრადსამართლებრივი და ნახევრად პოლიტიკური, ბუნების შედეგია. GATT-ის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ტარიფების დონე ძირითად სავაჭრო ქვეყნებში – 40 პროცენტისა (1947) 5-10 პროცენტამდე (1986). GATT-ის წევრებს შორის მოლაპარაკებების შვიდი რაუნდი შედგა, 1947 წლის ჟენევის რაუნდიდან 1973-79 წლების ტოკიოს რაუნდამდე. ამ მოლაპარაკებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა (მსოფლიო ექსპორტი 1848 წელს 56 000 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, 1960 წელს – 128 000 მილიონს, 1970 წელს – 312 000 მილიონს და 1980 წელს – 1 985 000 მილიონს), რომლის თითქმის 90 პროცენტს დღეს GATT-ის ქვეყნები აწარმოებენ. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჭრობის ეს განუხრელი ზრდა ძირითადად ინდუსტრიულ ქვეყნებში ხდება. GATT-მა სისტემაში განვითარებადი ქვეყნების შენარჩუნება მათთვის პრივილეგიების მიცემის გზით მოახერხა, თუმცა ვერ დააკმაყოფილა ამ ქვეყნების მოთხოვნები სავაჭრო პრივილეგიებთან დაკავშირებით.

არაერთი სხვა პრობლემა დადგა GATT-ის წინაშე. ტარიფების შემცირების სადმი მრავალმხრივი მიდგომის პროგრესი 50-იან და 60-იან წლებში მეტწილად იმით იყო განპირობებული, რომ ამ პერიოდში აშშ აქტიურად იცავდა თავისუფალი ვაჭრობის იდეას, აგრეთვე იმითაც, რომ ტარიფებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები საკმარისად გამჭვირვალეა და ტრანსაქციულ ხარჯებს არ ითხოვს.⁷⁹ მომდევნო ათწლეულში მრავალმხრივი ინსტრუმენტები ვეღარ უმკლავდებოდნენ უფრო რთულ საკითხებს, მაგალითად, არასატარიფო ბარიერებს, სახელმწიფო შესყიდვებსა და სუბსიდიებს. ამას გარდა, 70-იანი

ნლებიდან მოყოლებული, ეკონომიკურმა პრობლემებმა ხელი შეუწყო არასატარიფო პროტექციონიზმის ახალი ფორმების გავრცელებას, რომელთა შორისაა, მაგალითად, ე.წ. „ნებაყოფლობითი თვითშეზღუდვა“ და ექსპორტის შეზღუდვის სხვა, ე.წ. „საშუალებო ზომები“. მოვლენების ასეთმა განვითარებამ, უფრო რეგიონული ეკონომიკური ორიენტაციის ტენდენციებთან ერთად, რომლებიც, მაგალითად, ლათინურ ამერიკასა და ევროპაში გამოიკვეთა, გაართულა GATT-ის ძირითადი პრინციპების შესრულება და მსოფლიოს ლიბერალური სავაჭრო სისტემის შექმნა, ამ სისტემაში ქვეყნების მაქსიმალური რაოდენობის ჩართვით.⁸⁰

ამ პრობლემებმა გამოიწვია GATT-ის მოლაპარაკებების მერვე რაუნდის ჩატარება, რომელიც 1986 წელს დაიწყო „ურუგვაის დეკლარაციით“.⁸¹ ამ მოლაპარაკებებს საკმაოდ ამბიციური მიზნები ჰქონდა, მათ შორის, GATT-ის სრული რესტრუქტურირაცია, არასატარიფო სავაჭრო ბარიერების შემცირების ჩათვლით, და ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის ეფექტიანობის გაზრდა GATT-ის წესების შეუსრულებლობის ან მათი თავიდან არიდების შემთხვევების შემცირების მიზნით. ამას გარდა, განზრახული იყო ახალი სამოქმედო სფეროების დამატება, რომელთა შორის იყო მომსახურებით ვაჭრობა, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (TRIPS) და ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომები (TRIMS). ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების მიზნების განმსაზღვრელი პრინციპები 1988-89 წლების მონრეალის საშუალებო შეთანხმებაში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ურუგვაის რაუნდში მოლაპარაკებებს თხუთმეტი სხვადასხვა ჯგუფი აწარმოებდა, რომლებიც შემდგომში ექვს დიდ ჯგუფში გაერთიანდნენ. ამ მოლაპარაკებებზე საკითხების სამი ჯგუფი განიხილეს:

1. ბაზარზე შესვლის გაადვილებისკენ მიმართული ზომები GATT-ისთვის ტრადიციულ სფეროებში (სოფლის მეურნეობა, ქსოვილები, სახელმწიფო შესყიდვები და გამონაკლისები, მაგალითად, ადგილობრივი მენარმეობის დაცვასთან, დემპინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან და სუბსიდიებთან დაკავშირებით);
2. ახალი საკითხები (მომსახურება, TRIPS და TRIMS);
3. ინსტიტუციური ასპექტები (დავების მოგვარება, ზედამხედველობა და ორგანიზება).

მსოფლიო ვაჭრობის ახალი ორგანიზაცია V

შვიდ-ნახევარი წლის გაჭიანურებული მოლაპარაკებების შემდეგ, GATT-ის ურუგვაის რაუნდი 1994 წლის 15 აპრილს დასრულდა, როცა 125 მონაწილე ქვეყნიდან 111-მა ხელი მოაწერა საბოლოო დოკუმენტს. საბოლოო შეთანხმება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO)⁸² შესახებ, რომელიც 104-მა ქვეყანამ აღიარა, 1995 წლის 1 იანვარს ამოქმედდა. მასში მონაწილეობს 81 ქვეყანა, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის 90 პროცენტზე მეტს აწარმოებენ, აშშ-ს, ევროკავშირისა და იაპონიისგან შემდგარი „ტრიადის“ ჩათვლით. WTO-ს შეთანხმებას დართულ 27 მრავალმხრივ შეთანხმებას შორისაა გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS).

WTO ინსტიტუციურად აერთიანებს GATT-ს, სხვადასხვა დამატებით შეთანხმებებს „კოდექსის“ შესახებ და დავების მოგვარების სისტემის რეფორმას. მისი მიზანია ერთი სამართლებრივი სისტემის შექმნა, რომელიც გააერთიანებს GATT-ს (1947 წელს მიღებული სახით), მოლაპარაკებათა რამდენიმე მრავალმხრივი რაუნდის შედეგებსა და ურუგვაის რაუნდის ახალ შეთანხმებებს („GATT 1994“). ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში ან თუნდაც მხოლოდ

⁸⁰ T. Oppermann/J. Molsberger (eds), *A New GATT for the Nineties and Europe* 92, 1991.

⁸¹ Ministerial Declaration of 20 September 1986, in GATT, *Basic Instruments and Selected Documents*, 33rd Suppl., 1987, 19 *et seq.*; E.-U. Petersmann/M. Hilf (eds), *The New GATT Round of Multilateral Trade Negotiations. Legal and Economic Problems*, 2nd edn 1991; J.H. Jackson, *Restructuring the GATT Legal System*, 1990; IP. Stewart (ed), *The GATT Uruguay Round: A Negotiating History (1988-1992)*, 3 vols, 1993.

⁸² The Final Act Embodying the Results of the Uruguay Round is reprinted in (1994), 1; WTO Agreement. *Ibid.*, 13. 1994 წლის 15 აპრილს მიღებული ფინალური თავისთვის იხ. *ibid.*, 1125. იხ. აგრეთვე, P.-T. Stoll, *Die WTO, ZaoRV 54* (1994), 241-337; E. McGovern, *International Trade Regulation*, 1995; W. Benedek, GATT - The Uruguay Round - WTO, in *Wolfrum UNLPP I*, 532-47; W. Benedek, *Die neue Welthandelsorganisation (WTO) und ihre Internationale Stellung*, WV43 (1995), 13 *et seq.*; T.J. Dillon, *The World Trade Organization: A New Legal Order for World Trade?* *Mich. JIL* 16 (1995), 349-402; P. Hilpold, *Die Neuregelung der Schutzmaßnahmen im GATT/WTO-Recht und ihr Einfluss? auf "Grauzonenmaßnahmen"*, *ZaoRV 55* (1995), 89-127; E.-U. Petersmann, *The Transformation of the World Trading System through the 1994 Agreement Establishing the World Trade Organization*, 6 (1995), 161-221; P.J. Kuijper, *The Conclusion and Implementation of the Uruguay Round Results by the European Community*, 222-44; M. Hilf, *The ECJ'S Opinion 1/94 on the WTO-No Surprise, but Wise?*, *ibid.*, 245-59; v. Houtte, *op. cit.*; M.J. Hahn, *Eine kulturelle Bereichsausnahme im Recht der WTO?*, *ZaoRV 56* (1996), 315.

⁸³ იხ. P.M. Moore, The Decisions Bridging the GATT 1947 and the WTO Agreement, *AJIL* 90 (1996), 317-38.

⁸⁴ Article II, XII, XVII, XVIII, XXIV, XXV, XXVIII and XXXV of GATT.

⁸⁵ G. Sacerdoti, The International Regulation of Services: Basic Concepts and Standards of Treatment, in G. Sacerdoti (ed.), *Liberalization of Services and Intellectual Property in the Uruguay Round of GATT*, 1990, 6; K.P. Sauvant/J. Weber, *The International Legal Framework for Services*, 1992; M.E. Footer, *Global and Regional Approaches to the Regulation of Trade in Services*, *ICLQ* 43 (1994), 661-77.

⁸⁶ N. Hopkinson, *Completing the GATT Uruguay Round: Renewed Multilateralism or a World of Regional Trading Blocs?*, 1992.

⁸⁷ Petersmann (1995), *Rights and Duties*, *op. cit.*, 1111.

გარდამავალ პერიოდში იარსებებს ოპერაციების ორი სისტემა, ვინაიდან ის ქვეყნები, რომელთაც WTO-ში განწევრიანება არ სურთ ან, მიუხედავად მათი წევრობისა, ძველი სისტემის ხელისმომწერ მხარედ დარჩენას ამჯობინებენ, პასუხს აგებენ მხოლოდ მათ მიერ აღიარებული GATT-ის თავდაპირველი შეთანხმების ("GATT 1947") შესრულებაზე.⁸³

WTO-ს წევრობა შეზღუდულია იმ ქვეყნებითა და საბაჟო ტერიტორიებით (მაგ., ევროგაერთიანება ან ჰონკონგი), რომლებიც აღიარებენ როგორც GATT-ის გეგმას საავტორო შეღავათების შესახებ, ისე GATS-ის გეგმას მომსახურების შეღავათების შესახებ. ამ მოთხოვნის მიზანია „უბილეთო მგზავრის“ პრობლემის თავიდან აცილება, რასაც ადგილი ჰქონდა GATT-ის პრაქტიკაში, როცა ბევრი წევრი განსაკუთრებულ უფლებებს მოითხოვდა, თვითონ კი არანაირ შეღავათებს არ უზრუნველყოფდა, ამასთან, ხშირად ითხოვდა GATT-ის ვალდებულებებიდან განვითარებადი ქვეყნებისთვის გამონაკლისების დაშვებას, რაც მოხდა, მაგალითად, პრივილეგირებული ქვეყნების პრინციპის შემთხვევაში.

სავაჭრო შეთანხმებაჰი საქონლით ვაჭრობის შესახებ

ურუგვაის რაუნდზე მიღებული შეთანხმებები საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, ძირითადად, GATT-ის ძველ შეთანხმებებს იმეორებს, რამდენიმე ცვლილების გარდა. აქვეა GATT-ის მნიშვნელოვანი პუნქტების შვიდი „განმარტება“.⁸⁴ ამას გარდა, ცამეტი მრავალმხრივი შეთანხმება შეიცავს სოფლის მეურნეობის, სანიტარული და ფსიქოსანიტარული ზომების, ქსოვილების, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების, ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ზომების (TRIMS), საბაჟო შეფასებების, დემპინგის საწინააღმდეგო ზომების, სატრანსპორტო ინსპექციის, ადგილობრივი კანონების გათვალისწინების, იმპორტის ლიცენზირების პროცედურების, სუბსიდიებისა და კომპენსაციებისა და ადგილობრივი წარმოების დაცვის საკითხებს. ასეთი დეტალური შეთანხმებები იმ მიზნით დაიდო, რათა სისტემა უფრო ეფექტიანი გამხდარიყო და შეზღუდულიყო მთავრობების არჩევანი სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც, საერთაშორისო დავების სისტემის გაძლიერებასა და ეროვნული სასამართლოებისთვის ცალსახა ინსტრუქციების შექმნასთან ერთად, უფრო პროგნოზირებად სავაჭრო და საინვესტიციო პირობებს შექმნის კერძო კომპანიებისთვის.

შეთანხმება მომსახურების შესახებ (GATS)

GATS-ის მიღებამდე მომსახურებით ვაჭრობის წესები შედგებოდა მხოლოდ ორმხრივი შეთანხმებებისგან, რომლებიც მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთა მიმართ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა, აგრეთვე, რეგიონული ან ორმხრივი შეთანხმებებისგან თავისუფალი სავაჭრო სივრცის ან საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ.⁸⁵ ასეთი შეთანხმების მნიშვნელოვანი მაგალითია ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ, რომლის 59-66 პუნქტები მომსახურებას შეეხება. GATT-ის მოლაპარაკებებში მომსახურების საკითხის შეტანა ამ სფეროს ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდამ განაპირობა. ვაჭრობის ერთეულებს თუ გამოვიყენებთ, მომსახურება დღეს უფრო დიდი პროპორციითაა წარმოდგენილი, ვიდრე, მაგალითად, სოფლის მეურნეობა (1990 წელს მსოფლიო ექსპორტის მოცულობამ 4300 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც 60 პროცენტი წარმოებულ საქონელზე მოდის, 19 პროცენტი – მომსახურებაზე, 11 პროცენტი – ნიაღისეულზე და მხოლოდ 10 პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე).⁸⁶ დღეს მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის 20 პროცენტი და მსოფლიო წარმოების მოცულობის 60 პროცენტი იმ სფეროს ეკუთვნის, სადაც GATS-ის შეთანხმება მოქმედებს.⁸⁷

GATS რამდენიმე ფენისგან შედგება. პირველ რიგში, არსებობს ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც ყველა სექტორის ყველა მომსახურებას მოიცავს, გარდა იმ მომსახურებისა, რომელსაც უზრუნველყოფს მთავრობა კომერციული მიზნით ან სხვა მიმწოდებლებთან კონკურენციის მიზნით. ძირითადი დებულებების ნაწილი საქონლით ვაჭრობის შესახებ GATT-ის შესაბამისი დებულებების მსგავსია. ამას გარდა, არსებობს მრავალი „ვალდებულება“ და „ეროვნული გეგმა“, რომელთა არსებობა იმ ფაქტითაა გამოწვეული, რომ მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ბარიერების უმრავლესობა არა სასაზღვრო ზომების (როგორც საქონლით ვაჭრობის შემთხვევაში), არამედ შიდა სამართლის კანონების შედეგია, რაც უარყოფითად მოქმედებს, მაგალითად, ტურიზმზე, უცხოელი კონსულტანტების ან მშენებლების მოწვევაზე, აგრეთვე, ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური ბანკის ფილიალის ფუნქციონირებაზე. მოსალოდნელია GATS-ის ფარგლებში მოლაპარაკებათა რაუნდების მოწყობა მომსახურებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით. დაბოლოს, ინდივიდუალური (უფრო მგრძობიარე) მომსახურების სექტორს შეეხება GATS-ის რამდენიმე პუნქტი, მაგალითად, ფინანსური მომსახურების,⁸⁸ ტელეკომუნიკაციების,⁸⁹ საჰაერო სატრანსპორტო მომსახურების, საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების და მომსახურების სფეროში მომუშავე ფიზიკური პირების გადაადგილების შესახებ.

⁸⁸ The Second Protocol to the GATS and Related Decisions, (1996), 199.

⁸⁹ P.Malanckzuk/H. de Vlaam. International Trade in Telecommunications Services and the Results of the Uruguay Round of GATT, *TSJ* 3 (1996), 269-90.

⁹⁰ Annex 1C of the WHO Agreement.

⁹¹ იბ.თ.6.

⁹² Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, Annex 2 of the WTO Agreement, (1994), 112. იბ.თ. 18.

შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ (TRIPS)

შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ (TRIPS)⁹⁰ კერძო უფლებებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს მოიცავს, მათ შორის, საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების დაცვას, საფირმო ნიშნებს, გეოგრაფიულ ნიშნებს, ინდუსტრიულ დიზაინს, პატენტს და საიდუმლო ინფორმაციას. ეს შეთანხმება, ნაწილობრივ, GATT-ის ტრადიციულ სამართლებრივ პრინციპებს ემყარება (მაგ., პრივილეგირებული ქვეყნების პრინციპი და ეროვნული რეჟიმის პრინციპი), მაგრამ, ამავე დროს, მას მრავალმხრივი ვაჭრობის სისტემაში მრავალი ახალი ელემენტი შემოაქვს ამ სისტემასთან ინტელექტუალური საკუთრების არსებული საერთაშორისო შეთანხმებების დაკავშირების გზით.

ინსტიტუციური ასპექტები

WTO-ს უმაღლესი ორგანოა სამუშაო კონფერენცია, რომელშიც ყველა წევრი სახელმწიფო მონაწილეობს და რომელიც, სულ მცირე, ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება. კონფერენციებს შორის უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს გენერალური საბჭო ასრულებს, სადაც ასევე ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი მონაწილეობს. ამას გარდა, არსებობს სპეციალური საბჭოები, საქონლით ვაჭრობის საბჭო, მომსახურებით ვაჭრობის საბჭო, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საბჭო, აგრეთვე, სხვა დამხმარე ორგანოები, კერძოდ, ვაჭრობისა და განვითარების კომიტეტი, საგადაამხდლო ბალანსის შეზღუდვების კომიტეტი და ბიუჯეტისა და ფინანსების კომიტეტი. დასასრულ, არსებობს სამდივნო, რომელსაც გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ WTO-ს, GATT-ისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლებრივი ინდივიდუალობა ახასიათებს.⁹¹

უამრავი მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებისთვის ერთიანი ინსტიტუციური საფუძვლის შექმნასთან ერთად ახალი სისტემა უზრუნველყოფს დავების მოგვარების ახალ ინტეგრირებულ რეჟიმს⁹² და სავაჭრო პოლიტიკის გადა-

⁹³ Annex 3 of the WTO Agreement.

⁹⁴ A.F. Lowenfeld, Remedies Along with Rights: Institutional Reform in the New GATT, *AJIL* 88 (1994), 477-88. კონტრზომების შესახებ იხ. 17.

⁹⁵ On the problems of definition იხ. J. Betz, Developing Countries, in *Wolfgram UNLPP I*, 398-406.

⁹⁶ R. Caldera, The Juridical Basis of a New International Order, *RdC* 196 (1986-1), 387; D.C. Dicke (ed.), *Foreign Debts in the Present and a New International Economic Order*, 1986; Dicke (ed.), *Foreign Investment in the -Present and a New International Economic Order*, 1987; T. Oppermann E.-U. Petersmann (eds), *Reforming the International Economic Order*, 1987; J. Makarczyk, *Principles of a New International Economic Order*, 1988; D. Dicke/E.-U. Petersmann (eds), *Foreign Trade in the Present and a New International Order*, 1988; H. Fox (ed.), *International Economic Law and Developing States: Some Aspects*, 1988; M. Buljic, *Principles of International Development Law: Progressive Development of the Principles of International Law Relating to the New Economic Order*, 2nd edn 1993; U.E. Heinz, *International Economic Order*, in *Wolfgram UNLPP II*, 749-59; J. Betz, *International Relations, North-South*, *ibid.*, 778-88; Tomuschat, *New International Economic Order*, *EPIL* III.

⁹⁷ იხ. თ. 12.

⁹⁸ იხ. თ. 13.

⁹⁹ იხ. თ. 6.

¹⁰⁰ P.-T. Stall, Transfer of Technology, in *Wolfgram UNLPP II*, 1229-38.

¹⁰¹ I. Osterdahl, *Freedom of Information in Question: Freedom of Information in International Law and the Calls for a New World Information and Communication Order* (NWICO), 1992; P. Malanczuk, *Information and Communication, Freedom of*, *EPIL* II (1995), 976-91; J. Delbruck, *World Information and Communication Order*, in *Wolfgram UNLPP II*, 1466-84.

¹⁰² R. St. J. Macdonald, The Principle of Solidarity in Public International Law, *Etudes de droit en l'honneur de Pierre Lalive*, 1993, 275-307.

¹⁰³ UNDoc. WCONF.151/PC.51

ხედვის მექანიზმს⁹³ ყველა მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებისთვის. დავების მოგვარების ახალი სისტემა, დავების მოგვარების ორგანოსა და მუდმივი სააპელაციო ორგანოს ჩათვლით, უფრო „იურიდიზირებული“, ვიდრე მისი წინამორბედი, და მისმა შექმნამ მნიშვნელოვნად გააძლიერა საერთაშორისო სავაჭრო კონფლიქტების გადაჭრის სამართლებრივი და სავალდებულო ელემენტები. ამ სისტემას მეტი ძალა აქვს და შეუძლია შეზღუდოს ქვეყნების მიერ ძალის პოლიტიკის ან ცალმხრივი კონტრზომების განხორციელება.⁹⁴

განვითარებადი ქვეყნები და ახალი საერთაშორისო რეჟიმის სამართლებრივი კიება

„ახალი საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმის“ (NIEO) მოთხოვნა გაჩნდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ცხოვრების დონეებს შორის არსებული დიდი განსხვავებისა და განვითარებადი ქვეყნების მისწრაფების შედეგად⁹⁵, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში, სადაც ამ ქვეყნებს მუდმივად სუსტი პოზიცია უკავიათ, არსებული დისბალანსის გამოსწორებისკენ.⁹⁶ NIEO-ს პროგრამა მრავალ სხვადასხვა სახის პრეტენზიას მოიცავს, რომლებმაც თავი იჩინა კონფლიქტებში, რომლებიც დაკავშირებული იყო 1982 წლის ზღვის კონვენციის კანონით⁹⁷ განსაზღვრულ ზღვის ფსკერის ექსპლუატაციის რეჟიმთან, „კაცობრიობის პრინციპების ერთობლივ მემკვიდრეობასთან“⁹⁸ და საერთაშორისო კომპანიების კონტროლის შესახებ გამართულ დისკუსიებთან⁹⁹, აგრეთვე, ტექნოლოგიების გაცვლისა¹⁰⁰ და „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი მსოფლიო რეჟიმის“ (NWICO)¹⁰¹ მოთხოვნალებასთან. განვითარებადი ქვეყნებისთვის ფინანსების ნაკადის გაზრდის აუცილებლობა საყოველთაოდაა აღიარებული, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც საგარეო ვალის მძიმე ტვირთი აწევთ, ან იმ მცირე შემოსავლიანი ქვეყნებისთვის, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებული დახმარებაზე. ეს აუცილებლობა სიღარიბის გლობალური ზრდითა და ცხოვრების დონის შემცირებითაა ნაკარნახევი. მაგრამ ქვეყნების სოლიდარობის ამ იდეის სამართლებრივი მხარის მრავალი ასპექტი ჯერ კიდევ ძალიან ბუნდოვანია.¹⁰²

ჩრდილოეთის მიერ სამხრეთისთვის განეული დახმარება, რომელსაც ფულადი ტრანსფერების სახე აქვს და რომელსაც განვითარებადი ქვეყნები მოითხოვენ, როგორც „უფლებას“, ვერ აღწევს საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დანესებულ და OECD-ს წევრების მიერ მოწონებულ¹⁰³ მიზანს – მშპ-ს 0,7 პროცენტს, თუმცა ამ მიზნის მიღწევა სამართლებრივ ვალდებულებას არ წარმოადგენს. ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, აშშ და შვეიცარია, საერთოდ უარყოფს 0,7-პროცენტის ნორმას, როგორც მორალურ პრინციპს, იმ საბაბით, რომ ასეთი მიზნის არსებობა გაუმართლებელია, ვინაიდან ამ დროს ძირითადი ყურადღება დახმარების რაოდენობას ეთმობა და არა ხარისხს. რეალურად, მხოლოდ რამდენიმე დონორი ქვეყანა ასრულებს 0,7-პროცენტის ნორმას. ერთი რამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ამ დახმარებას მოჰყვა საპირისპირო მიმართულების წმინდა ნაკადი განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ქვეყნებისკენ, რაც კაპიტალის გაყოფისა და სარგებლის მაღალი განაკვეთების შედეგია, და, აგრეთვე, საქონლის ფასების შემცირება.¹⁰⁴ მოგვყავს მონაცემები, რომლებიც გარკვეულ შთაბეჭდილებას შეგვიქმნის იმ დისბალანსსა და უთანასწორობაზე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს განვითარებად ქვეყნებზე. 1994 წელს დედამინის 5,6-მილიარდიანი მოსახლეობის 15 პროცენტი მდიდარ ქვეყნებში ცხოვრობდა (სადაც საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულზე \$24170-ს შეადგენს), 28 პროცენტი – საშუალო სიმდიდრის ქვეყნებში (\$2550), ხოლო 57 პროცენტი – ღარიბ ქვეყნებში

(\$390). ეს ნიშნავს, რომ კაცობრიობის ნახევარზე მეტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. მსოფლიო ბანკის 1994 წლის მონაცემების მიხედვით, ლარიბ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანის საშუალო შემოსავალი დღეში \$1-ია. მსოფლიოს ქვეყნების ერთი მეექვსედი მსოფლიოს სიმდიდრის ოთხ მეხუთედს განაგებს.¹⁰⁵ ამ მხრივ ყველაზე რთული მდგომარეობაა აფრიკაში, რომელსაც ამის გამო „დაკარგულ კონტინენტს“ უწოდებენ.¹⁰⁶ მსოფლიოს ორმოცდარვა უღარიბესი ქვეყნიდან ოცდაცამეტი აფრიკაში მდებარეობს. აფრიკის 365-მილიონიანი მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი აბსოლუტურ სიღატაკეში ცხოვრობს და ეს რიცხვი ზრდას განაგრძობს.¹⁰⁷

სამხრეთის ქვეყნების უმრავლესობის წინაშე მდგარი უმძიმესი ამოცანების გაცნობიერების შედეგად საბაზრო ეკონომიკის მქონე ინდუსტრიულ ქვეყნებში 60-იანი წლებიდან გარკვეული თანაგრძობა გაჩნდა განვითარებადი ქვეყნების მიერ NIEO-ს, ახალი საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმის სამართლებრივი ძიების, ზოგიერთი ასპექტის მიმართ. NIEO-ს შექმნის ზოგადმა იდეამ გამოხატულება პოვა „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმის შექმნის დეკლარაცია“¹⁰⁸ და „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმის შექმნისკენ მიმართული ქმედებების პროგრამაში“,¹⁰⁹ რომლებიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონსენსუსის საფუძველზე 1974 წლის 1 მაისს, თუმცა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა უკმაყოფილება გამოხატეს თავიანთი დამატებითი შენიშვნების რეგისტრირების გზით.¹¹⁰

მიუხედავად ამისა, მომდევნო დოკუმენტმა, 1974 წლის 12 დეკემბრის „ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტიამ“, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც შეთანხმება სამართლებრივი ვალდებულებების შესახებ, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებები წარმოაჩინა.¹¹¹ გენერალურმა ასამბლეამ ეს ქარტია რეზოლუციის სახით მიიღო. მას ხმა მისცა 120-მა ქვეყანამ ექვსის (ბელგია, დანია, გერმანია, ლუქსემბურგი, დიდი ბრიტანეთი და აშშ) წინააღმდეგ; ათმა ქვეყანამ (ავსტრია, კანადა, საფრანგეთი, ირლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, ჰოლანდია, ნორვეგია და ესპანეთი) თავი შეიკავა. ამგვარად, თექვსმეტმა ქვეყანამ, მათ შორის, OECD-ში შემავალმა თხუთმეტმა ქვეყანამ, რომლებზეც მსოფლიო ვაჭრობისა და განვითარების დახმარების ორი მესამედი მოდის, ქარტიას მხარი არ დაუჭირა, ვინაიდან, მათი აზრით, ქარტიის დებულებების დიდი ნაწილი ზედმეტად მომთხოვნი იყო. ამის შედეგად ქარტიამ, რომელიც, ანალოგიური დოკუმენტების მსგავსად, სადაც ლაპარაკია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებებზე, სამართლებრივ ვალდებულებებს არ განსაზღვრავს, მნიშვნელოვნად დაკარგა ძალა. განვითარებადი და ინდუსტრიული ქვეყნების პოზიციების დაახლოების უფრო განონასწორებული მცდელობა იყო „ახალ საერთაშორისო ეკონომიკურ რეჟიმთან დაკავშირებული საჯარო სამართლის პრინციპების შემდგომი განვითარების დეკლარაცია“, რომელიც საერთაშორისო სამართლის ასოციაციამ მიიღო სეულში 1986 წელს, მაგრამ ეს მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის რეზოლუცია იყო.¹¹²

ქარტიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფოს უფლებას საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე, აგრეთვე, მის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების უფლებას, განსაკუთრებით, საერთაშორისო კომპანიების მიერ ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში. დოკუმენტი შეიცავს დებულებებს, რომელთა მიზანია ამ დოკუმენტის გადაქცევა განვითარებადი ქვეყნებისთვის სასარგებლო ცვლილებების ინსტრუმენტად, განსაკუთრებით, საერთაშორისო ვაჭრობასთან, ტექნოლოგიების გაცვლასთან, პრივილეგირებულ მიდგომასთან, საქონლის ფასების დაცვასთან და უცხოურ დახმარებასთან დაკავშირებით. აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა იმ პრინციპებთან დაკავშირებით, რომლებიც უცხოური ინვესტიციების ექსპროპრიაციის შემთხვევაში კომპენსაციის გადახდას შეეხება.

Of 5 July 1991, 3.

¹⁰⁵ იხ. L. Gundling, Economic and Technical Aid, *EPIL* (1995), 9-13. იხ. აგრეთვე, H. Eggerstedt/H.-H. Tanke, Capital Assistance, in *Wolfgram UNLPP* 1, 87-93; P.-T. Stall, Technical Assistance, *ibid.*, 1209-19; E. Opoku Awuku, Trans-Regional Model of North-South Trade: The Lome Convention, *Hague YIL* 8 (1995), 17-30.

¹⁰⁶ K. Melchers, *VN* 44 (1996), 147-53 at 149.

¹⁰⁷ იხ. The World Bank Report, *Adjustment in Africa. Reforms, Results and the Road Ahead*, 1994; H.S. Wilson, *African Decolonization*, 1994; F. Ansprenger, *Afrika - der verlorene Kontinent?*, *Internationale Politik* 51 (1996), 1-10.

¹⁰⁸ იხ. *UN Chronicle*, 1996, no. 2, 4-9, at 5. იხ. აგრეთვე, V. Daudet, *Les Nations Unies et le développement: Le cas de l'Afrique*, 1994.

¹⁰⁹ UNGA Res. 3201 (S-VI).

¹¹⁰ UNGA Res. 3202 (S-VI).

¹¹¹ ILM 13 (1974), 744.

¹¹² UNGA Res. 3281 (XXIX).

იხ. E.-U. Petersmann, *Cluster of Economic Rights and Duties*, *EPIL* (1992), 561-6; იხ. აგრეთვე, R.L. Lawrence, *A Special Session of the UN General Assembly Rethinks the Economic Rights and Duties of States*, *AJIL* 85 (1991), 192-200; S.K. Chatterjee, *The Charter of Economic Rights and Duties of States: An Evaluation of 15 Years*, *ICLQ* 40 (1991), 669 *et seq.*

¹¹³ *ILA Rep.* 1986, 2.

¹¹³ იბ. თ. 17.

¹¹⁴ N.J. Schrijver/W.D. Verwey. *The Taking of Property under International Law: A New Legal Perspective?*, 15 (1984), 3-96; R. Dolzer, *Eigentum, Enteignung und Entschädigung im geltenden Völkerrecht*, 1985; M. Somnarajah, *The Pursuit of Nationalized Property*, 1986; R.B. Lillich (ed.), *The Valuation of Nationalized Property in International Law*, Vol. IV, 1987; S.K.B. Asante, *International Law and Foreign Investment: A Reappraisal*, *ICLQ* 37 (1988), 588; Dolzer, *Expropriation and Nationalization*, *EPIL* II (1995), 319-27.

¹¹⁵ იბ. O'Keefe. *JWTL* 8 (1974); G. Schwarzenberger, *Foreign Investments and International Law*, 1969, 84-9; R. Oelsson, *Nationalization of the Suez Canal Company*, *Colum. LR* 57 (1957), 755.

¹¹⁶ *Norwegian Ships case* (1921), *RIM* 1307,338; *Spanish Zone of Morocco case* (1925), *RIAA* II 615. 647; *Shufeldts claim* (1930), *RIAA* 111079, 1095; *Mariposa's claim* (1933), *RIAA* VI 338; *de Sabla's claim* (1933), *RIAA* 358.366; *Arabian-American Oil Co. v. Saudi Arabia*, *ILR* 27(1958), 117,144. 168, 205; *American International Group, Inc. v. Islamic Republic of Iran* (1983), *AJIL* 78 (1984), 454; *Sedco, Inc. v. National Iranian Oil Company and Iran* (1986), *ILM* 25 (1986), 629. 632-5,641-7.

¹¹⁷ A. Drucker, *On Compensation Treaties Between Communist States*, *Law Times* 229 (1960), 279-80, 293-4; *ILM* 31 (1992), 94; *ILM* 35 (1996), 1251.

¹¹⁸ იბ. ქვემოთ.

¹¹⁹ *Browlie BDIL*, 235. იბ. N. Schrijver. *Sovereignty over Natural Resources. Balancing Rights and Duties*. 1997.

ექსპროპრიაცია და კომპენსაციის სტანდარტი

უცხოელთა საკუთრების ექსპროპრიაციის წესები შესულია ე.წ. მინიმალურ საერთაშორისო სტანდარტში, რომელსაც ემყარება უცხოელთა მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტრადიციული წესები.¹¹³ ეს საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია და მას წარსულში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა.¹¹⁴ მრავალი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური კომპანიები დომინირებენ, მაგრამ ეს პრობლემა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებით არ შემოიფარგლება.

დასავლეთის ქვეყნების აზრით, მინიმალური საერთაშორისო სტანდარტი ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით ორ კანონს უნდა შეიცავდეს. პირველ რიგში, ექსპროპრიაცია საზოგადოებრივ მიზნებს უნდა ემსახუროდეს (მაგალითად, ეს არ უნდა იყოს სახელმწიფოთა დაპირისპირების შედეგი ან მმართველთა პირადი კეთილდღეობის გაზრდის საშუალება).¹¹⁵ ამას გარდა, მაშინაც კი, როდესაც ექსპროპრიაციას საზოგადოებრივი მიზნები აქვს, ის უნდა განხორციელდეს საკუთრების სრული ღირებულების კომპენსაციასთან ანუ, როგორც ხშირად ამბობენ, „დაუყოვნებელ, ადეკვატურ და ეფექტურ კომპენსაციასთან“ ერთად¹¹⁶ (რა თქმა უნდა, კომპენსაცია არ გადაიხდება იმ შემთხვევაში, როცა საკუთრების ექსპროპრიაცია მისი მფლობელის მიერ ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგია, იმ პირობით, რომ ეს კანონმდებლობა ზედმეტად მკაცრი არაა და თუნდაც მინიმალურ საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება).

მეორე მხრივ, კომუნისტური მთავრობები ხშირად აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს უნდა შეეძლოს წარმოების საშუალებების ექსპროპრიაცია, დისტრიბუცია და გაცვლა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. კომუნისტური სახელმწიფოები ერთმანეთთან დებდნენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ერთმანეთის საექსპროპრიაციო პროგრამების შედეგად წარმოქმნილ პრეტენზიებსა და ვალდებულებებს აკმაყოფილებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეტენზიები და ვალდებულებები მანამ არსებობს, სანამ მათ არ დააკმაყოფილებენ. ცნობილი იყო იმ კომპენსაციის სიდიდეც, რომელსაც კომუნისტური ქვეყნები ერთმანეთს უხდიდნენ.¹¹⁷

მემარცხენე მთავრობების მქონე განვითარებადი ქვეყნები მხარს უჭერდნენ კომუნისტების ამ პოზიციას, რომელიც ექსპროპრიაციის ლეგალიზაციას გულისხმობდა. მაგრამ სხვა განვითარებადი ქვეყნები, უცხოური ინვესტიციების მიზიდვის მიზნით, ხელს აწერდნენ ხელშეკრულებებს ინვესტიციების დაცვის შესახებ.¹¹⁸ მიუხედავად ამისა, ეს ქვეყნები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლისადმი დასავლეთის ქვეყნების მიდგომას. ამგვარად, განვითარებადი ქვეყნები დასავლეთის სახელმწიფოებისა და კომუნისტური სახელმწიფოების პოზიციებს შორის მერყეობდნენ. ამ ქვეყნების უმრავლესობას შეეძლო, მოკლევადიან პერიოდში დიდძალი მოგება მიეღო კომპენსაციის გარეშე უცხოელთა საკუთრების ექსპროპრიაციის გზით, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ასეთი ქმედება მხოლოდ ზარალს მოიტანდა, ვინაიდან მომავალში კერძო ინვესტიციების მოზიდვას დააბრკოლებდა (ან ეს ქვეყნები იძულებულნი იქნებოდნენ, ბევრად მეტი ფასი გადაეხადათ კერძო ინვესტიციების სანაცვლოდ, დიდი პოლიტიკური რისკის კომპენსირების მიზნით).

ამ დაპირისპირებებისა და წინააღმდეგობების ნაწილი აისახა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1962 წლის 14 დეკემბერს მიღებულ 1803-ე (XVII) რეზოლუციაში „ბუნებრივი რესურსების მუდმივი მფლობელობის შესახებ“.¹¹⁹ ეს რეზოლუცია ხაზს უსვამს იმას, რომ უცხოელების მიერ წარმოების საშუალებების ფლობა სახელმწიფოს სუვერენიტეტს და, უფრო კონკრეტულად, ეკონომიკური დაგეგმვის ძალაუფლებას არ უნდა ამცირებდეს. ამას გარდა,

რეზოლუციაში ისიცაა ნათქვამი, რომ სახელმწიფოს უცხოური კაპიტალის იმპორტის შეზღუდვის ან აკრძალვის უფლება აქვს. ეს ის პრინციპებია, რომლებიც დასავლელმა იურისტებმა, შესაძლოა, დაივიწყონ, მაგრამ ვერასოდეს უარყოფენ. დასავლელი იურისტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეზოლუციის მე-4 პარაგრაფს, სადაც ნათქვამია:

ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია და რეკვიზიცია უნდა ემყარებოდეს საზოგადოებრივ სარგებლიანობას, უსაფრთხოებას ან ეროვნულ ინტერესებს, რომელთაც უპირატესობა ენიჭება როგორც ქვეყნის მოქალაქეთა, ისე უცხოელთა ინდივიდუალურ ან კერძო ინტერესებთან შედარებით. ასეთ შემთხვევებში მფლობელმა უნდა მიიღოს სათანადო კომპენსაცია, რომელსაც ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს.

ეს ყველაფერი დასავლეთის პოზიციას გამოხატავს, თუ ფრაზის „სათანადო კომპენსაცია“ ორპარაგრაფს არ ჩავთვლით (ჭეშმარიტია ის, რომ კომპენსაციას „საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს“, მაგრამ ჩნდება კითხვა საერთაშორისო სამართლის შესაბამისი კანონების შინაარსის შესახებ). რეზოლუციის ღირებულებას, როგორც საერთაშორისო სამართლის მტკიცებულებას, ამცირებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული შესწორება, რომელიც იწყებოდა ფრაზით „კომპენსაციის საკითხი ... უნდა ... გადაწყდეს სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად“ (საერთაშორისო სამართლის მოხსენიების გარეშე), უარყვეს მხოლოდ ოცდაცხრამეტი ხმით ოცდარვის წინააღმდეგ, ხოლო ოცდაერთმა თავი შეიკავა.

გენერალური ასამბლეის მიერ 70-იან წლებში მიღებული რეზოლუციები კიდევ უფრო დასცილდა დასავლეთის ქვეყნების პოზიციას. კერძოდ, 1974 წლის სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და მოვალეობების ქარტიის მე-2(2)(გ) პუნქტში ნათქვამია, რომ „სახელმწიფომ [რომელიც ექსპროპრიაციას ახორციელებს] უნდა გადაიხადოს სათანადო კომპენსაცია ... მისი ყველა შესაბამისი კანონისა და წესის, აგრეთვე, ყველა იმ გარემოების მიხედვით, რომელთა გათვალისწინებასაც სახელმწიფო მართებულად ჩათვლის“.¹²⁰ ეს რეზოლუცია, 1962 წელს საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული შესწორებისგან განსხვავებით, აღიარებს, რომ სათანადო კომპენსაცია გადახდილ უნდა იქნეს; ხოლო ის, თუ რას ნიშნავს „სათანადო“, სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს (რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი საერთაშორისო სამართლის შესახებ ამ კონტექსტში). აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპენსაცია ძალიან დაბალი იქნება. მაგრამ საეჭვოა, რომ მე-2(2)(გ) პუნქტი გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სამართლის მტკიცებულებად დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც ამ პუნქტს მხარი არ დაუჭირეს.¹²¹ მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ 3281-ე (XXIX) რეზოლუცია საერთოდ არ გამოდგება საერთაშორისო სამართლის მტკიცებულებად, ვინაიდან არ ითხოვს იმის განმარტებას, თუ რა არის საერთაშორისო სამართალი (გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციის პირველი პროექტიდან ამოიღო წინადადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეს რეზოლუცია მიზნად ისახავდა საერთაშორისო სამართლის კოდიფიცირებას); აქ მხოლოდ ისაა ნათქვამი, თუ როგორ წარმოუდგენია მრავალ ქვეყანას ეს სამართალი.¹²²

ამ დავის შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ეს სფერო მნიშვნელოვანმა სამართლებრივმა გაურკვევლობამ მოიცვა. მაგრამ დღეს ამ საკითხმა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობის დიდი ნაწილი დაკარგა, ოთხი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, განვითარებადმა ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ უცხოელთა საკუთრების ნაციონალიზაცია და ექსპროპრიაცია, როგორც ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ასე საჭირო უცხოური კაპიტალის მოზიდვასა და ხელსაყრელი საინვესტიციო

¹²⁰ *Brownlie BDIL*, 240; *ILM* 14 (1975), 251, 255.
¹²¹ Article 2(2)(c) მიღებულ იქნა 104 ხმით 16-ის წინააღმდეგ, 6-მათათვის კავა; იხ. აგრეთვე, თ. 3.
¹²² იხ. თ. 3 და აგრეთვე, *Texaco v. Libya*, *ILR* 17 (1978), 1, 27-31, *ILR*, Vol. 53, 389, at 483-95; I. Brownlie, *Legal Status of Natural Resources in International Law*, *RdC* 162 (1979), 245, 255-71.

¹²¹ *ILM* 35 (1996), 1130; M. Bamz, *Volkerrechtlicher Eigentumschutz (durch Investitionsschutzabkommen)* (practice of Germany since 1959), 1983; E. Denza/S. Brooks, *Investment Protection Treaties: United Kingdom Experience*, ICLQ 39 (1990), 908 *et seq.*; P. Peters, *Dispute Settlement Arrangements in Investment Treaties*, *NYIL* 22 (1991), 91-162; M.I. Khalil, *Treatment of Foreign Investment in Bilateral Investment Treaties*, *ICSID Rev* 7 (1992), 272; K.J. Vandeveld, *United States Investment Treaties: Policy and Practice*, 1992; B. Kishaiyan, *The Utility of Bilateral Investment Treaties in the Formulation of Customary International Law*, *NJILB14* (1994), 327-75; R. Dolzer/M. Stevens, *Bilateral Investment Treaties*, 1995; B. Sen, *Investment Protection and New World Order*, *ZaovR* 48 (1988), 419; R.B. Lillch, *Joint Ventures and the Law of International Claims*, *Mich. J* 10 (1989), 430; M. Somarajah, *Law of International Joint Ventures*, 1992; I.F.I. Shihata, *The Legal Framework for Foreign Investment: The World Bank Guidelines*, 1993; M. Somarajah, *The International Law on Foreign Investment 1994*; M.A. Gelst, *Toward a General Agreement on the Regulation of Foreign Direct Investment. Law and Policy in International Business*, 26 (1995), 677-717; T.L. Brewer, *International Investment Dispute Settlement Procedures. The Evolving Regime for Foreign Direct Investment*, 633; P.E. Comeaux/N.S. Kinsella, *Protecting Foreign Investment Under International Law: Legal Aspects of Political Risk*, 1996.

¹²² *ib. id.* P.M. Norton, *A Law of the Future or a Law of the Past? Modern Tribunals and the International Law of Expropriation*, *AJIL* 85 (1991), 474; J. Westbrook/B. Marchais, *General Principles Governing Foreign Investment as Articulated in Recent International Tribunal Awards and Writings of Publicists*, *ICSID Rev* 7 (1992), 453-96; C.F. Amerasinghe, *Issues of Compensation for the Taking of Alien Property in the Light of Recent Cases and Practice*, ICLQ 41 (1992), 22 *et seq.*

¹²³ M. Fitzmaurice/M. Pellonpa, *Taking of Property in the Practice of the Iran-United*

კლიმატის შექმნას აბრკოლებს. მეორე, კომუნისტური ქვეყნების სისტემის მარცხმა მნიშვნელოვნად შეამცირა განვითარებადი ქვეყნების მიდრეკილება ასეთი ქმედებებისკენ. მესამე, ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ აღიარა დასავლური სტანდარტები ინდუსტრიულ ქვეყნებთან ინვესტიციების დაცვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების დადებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის შინაარსთან დაკავშირებული დავა აკადემიურის რანგში გადავიდა.¹²³ მეოთხე, ახლო წარსულში მიღებულმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებმა დაადასტურა, რომ საერთაშორისო სამართალი უცხოური საკუთრების ექსპროპრიაციის შემთხვევაში სრულ კომპენსაციას მოითხოვს.¹²⁴ ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ირან-აშშ-ს პრეტენზიების ტრიბუნალს, რომელიც 1979 წლის ირანის რევოლუციის დროს ამერიკული ინვესტიციების ნაციონალიზაციას განიხილავს, თუმცა ტრიბუნალის სამი სხვადასხვა პალატის პოზიციები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა.¹²⁵

იმ სახელმწიფოებს შორის წამოჭრილი დავების შემთხვევაში, რომელთაც ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები უკავიათ კომპენსაციების გადახდასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება, როგორც წესი, კომპრომისის გზით მიიღება; სახელმწიფო, სადაც მოხდა ექსპროპრიაცია, იხდის ჩამორთმეული საკუთრების ღირებულების ნაწილს. კომპრომისს, ჩვეულებრივ, გლობალური შეთანხმების ან „ერთიანი გადახდის შესახებ შეთანხმების“ სახე აქვს, რომელსაც ასე იმიტომ უწოდებენ, რომ ის მოიცავს ყველა პრეტენზიას, რომელთაც ერთი სახელმწიფო გამოთქვამს მეორე სახელმწიფოში განხორციელებული ნაციონალიზაციის კონკრეტულ პროგრამასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური პრეტენზიების ცალ-ცალკე განხილვის ნაცვლად.¹²⁶ გლობალური შეთანხმებების ნაკლი, დასავლეთის ქვეყნების აზრით, ისაა, რომ გადაიხდება საკუთრების ღირებულების მხოლოდ ნაწილი; მეორე მხრივ, თუ პრეტენზიები ძველი სისტემით ანუ არბიტრაჟის მეშვეობით მოგვარდება, მრავალი მათგანი დამამტკიცებელი საბუთების ნაკლებობის გამო დაიკარგება, ამასთან, ასობით პრეტენზიის ცალ-ცალკე განხილვა უზარმაზარ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

თუმცა ხშირად საარბიტრაჟო ტრიბუნალსაც კი უჭირს ჩამორთმეული საკუთრების რეალური ღირებულების განსაზღვრა; მაგალითად, სანარმოს ღირებულება მის მომგებიანობას ემყარება, რაც ადგილობრივ ფაქტორებზეა დამოკიდებული და წლიდან წლამდე იცვლება. თეორიულად, კომპენსაციის სიდიდის დადგენის მიზნით შესაძლებელია აქციათა ფასების გამოყენება, მაგრამ ყველამ კარგად იცის, როგორ მერყეობს ეს ფასები. ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კომპენსაციის სიდიდე საკუთრების საბაზრო ღირებულებას უნდა ემყარებოდეს. შემოსავლის მომტანი საკუთრების, მაგალითად, ქარხნის შემთხვევაში, თანამედროვე არბიტრაჟი ცდილობს, არ დაკმაყოფილდეს უბრალო „წმინდა საბუღალტრო ღირებულებით“ (ინვესტიციების მოცულობას მინუს ვალუტის ღირებულების შემცირება), არამედ დაადგინოს რეალური საბაზრო ღირებულება, ფირმის რეპუტაციისა და ბიზნეს-კონტაქტების ჩათვლით. *სტარელის სამშენებლო კორპორაციის საქმეში* (Starrell Housing Corporation case), ირან-აშშ-ს პრეტენზიების ტრიბუნალმა საბაზრო ღირებულების განსაზღვრის ამოსავალ პუნქტად შემდეგი ფორმულირება გამოიყენა:

ესაა ფასი, რომელსაც პოტენციური მყიდველი გადაუხდის პოტენციურ გამყიდველს, როცა ორივე მხარე სრულ ინფორმაციას ფლობს, ორივეს მაქსიმალური ფინანსური მოგების მიღება სურს და არც ერთი არ განიცდის ზენოლას ან მუქარას.¹²⁷

ამასთან დაკავშირებული ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი საკითხი იმაში მდგომარეობს, უნდა გავითვალისწინოთ თუ არა „მოქმედი სანარმოს“ (სანარმოს, რომელსაც რეალურად მოაქვს შემოსავალი) შემთხვევაში მომავალში მოსალოდნელი მოგება, მიმდინარე საბაზრო ღირებულებასთან ერთად (ბო-

ლოს და ბოლოს, ინვესტორები ხომ გარკვეულ რისკს სწევნ მოგების მიღების მიზნით). არსებობს ტენდენცია, თუნდაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ექსპროპრიაცია საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელდა, მიმდინარე ღირებულებასთან ერთად დაკარგული მოგების კომპენსაციისა.¹²⁸ კიდევ ერთი საკამათო საკითხი იმასთანაა დაკავშირებული, რამდენად შეიძლება ასეთ შემთხვევებში ე.წ. „ფულის ნაკადის დისკონტის მეთოდის“ გამოყენება, რომელიც სამომავლო მოგების დადგენასა და ხარჯებისა და კომერციული რისკის განვების სანაცვლოდ გარკვეულ დისკონტს ითვალისწინებს.¹²⁹

შენიღებული ექსპროპრიაცია

სახელმწიფოები ხშირად ცდილობენ, თავი აარიდონ სხვა სახელმწიფოების მხრიდან არასასურველ რეაგირებას, ამიტომ ექსპროპრიაციას შენიღბულად ახორციელებენ – მაგალითად, კომპანიას „დროებითი“ სამთავრობო კონტროლის ქვეშ ათავსებენ, რაც შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ასეთი ხრიკები წარმატებას იშვიათად აღწევს. ნებისმიერი აქტი, რომელიც უცხოელის მიერ საკუთრებიდან მოგების მიღებას აბრკოლებს, საერთაშორისო სამართლით განისაზღვრება, როგორც ექსპროპრიაცია, თუნდაც მფლობელობა ფორმალურად არც შეიცვალოს. ნაკლებად ცალსახაა პოზიცია ისეთი აქტების მიმართ, რომლებიც საკუთრების ღირებულებას ამცირებს, მაგრამ მფლობელის მიერ ამ საკუთრების გამოყენებას არ აბრკოლებს (მაგალითად, დევალვაცია, სავალუტო კურსის კონტროლი, მოგების სხვა ქვეყანაში გადაგზავნის შეზღუდვა, გადასახადების გაზრდა, საიმპორტო ლიცენზიის, ვაჭრობისა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა). ასეთი აქტები დაშვებულია საერთაშორისო სამართლის მიერ, თუ მათი მოტივი მართებულია. მოტივის უმართებულობის დამტკიცების უმარტივესი გზა იმის ჩვენება, რომ კონკრეტული აქტი უცხოელების ან უცხოელთა გარკვეული ჯგუფის დისკრიმინაციას ახდენს.¹³⁰

საკონტრაქტო უფლებების ექსპროპრიაცია

აქამდე მხოლოდ საკუთრების ექსპროპრიაციას განვიხილავდით, მაგრამ არ არსებობს იმის ლოგიკური მიზეზი, თუ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ იგივე პრინციპები „შექმნილი უფლებების“ სხვა ფორმებისთვის, მაგალითად, იმ უფლებებისთვის, რომელთაც იძლევა კონტრაქტი უცხოელსა და მოპასუხე სახელმწიფოს შორის.¹³¹ მაგრამ ასეთი კონტრაქტები, როგორც წესი, მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობას ექვემდებარება, ამიტომ წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, უნდა გასწიოს თუ არა უცხოელმა, მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი კონტრაქტის ხელმოწერის შედეგად, ამ კანონმდებლობის არახელსაყრელ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკი, თუკი ხელსაყრელი ცვლილებების შედეგად ის მოგებას იღებს. ამ კითხვას შეცდომაში შევყავართ. როდესაც უცხოელი მოპასუხე სახელმწიფოში საკუთრებას ყიდულობს, ამ საკუთრებასთან დაკავშირებულ მის უფლებებს მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობა განაგებს, ისევე, როგორც ამ სახელმწიფოსთან დადებულ კონტრაქტს; მაგრამ ცოტა ვინმე თუ დათანხმდება იმას, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეუზღუდავი ძალაუფლება ჰქონდეს და საკუთრების უფლებების ჩამორთმევა შეეძლოს. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს საკონტრაქტო უფლებების ჩამორთმევის ძალაუფლება? ის აზრი, რომ უცხოელი ნებაყოფლობით უშვებს კონტრაქტების მაკონტროლებელი კანონების არახელსაყრელი ცვლილებების რისკის არსებობას, იშვიათად იქნა მიყვანილი ლოგიკურ დასკვნამდე, მაგრამ ის კანონ-

States Claims Tribunal. *NYLJ* 19 (1988), 53-178; J.A. Westberg, *Applicable Law, Expropriatory Takings and Compensation in Cases of Expropriation: ICSID and Iran-United States Claims Tribunal Case Law Compendium*, *ICSID Rev* 8 (1993), 1-28; A. Mouri, *The International Law of Expropriation as Reflected in the Work of the Iran-United States Claims Tribunal*, 1994; G.H. Aldrich, *What Constitutes a Compensate Taking: The Decisions of the Iran-United States Claims Tribunal*, *AJIL* 88 (1994), 585-610; G.H. Aldrich, *The Jurisprudence of the Iran-United States Claims Tribunal*, 1996, 171-276. *ib. id.* 18.
¹²⁹ *ib. id.* R.B. Lillich/B.H. Weston. *International Claims: Their Settlement by Lump Sum Agreements*, 1995; Warbrick, *Addendum: Protection of Nationals Abroad: Lump-Sum Settlements*, *ICLQ* 40 (1991), 492 *et seq.* For recent examples of such settlements by the United States with Albania, Cambodia and Vietnam.

¹²⁷ *Starrett Housing Corp. v. Islamic Republic of Iran*, *Iran-US C7121* (1989-1)112, at 201.

¹²⁸ *ib. id.* მაგალითად, *Phillips Petroleum Company of Iran v. The Government of the Islamic Republic of Iran*, *ibid.*, 79, at 122.

¹²⁹ P. Malanczuk, *International Business and New Rules of State Responsibility? - The Law Applied by the United Nations (Security Council) Compensation Commission for Claims against Iraq*, in K.-H. Bückstiegel (ed.), *Perspectives of Air Law, Space Law and International Business Law for the Next Century*, 1996, 117-64.

¹³⁰ *ib. id.* Christie, *What Constitutes a Taking of Property under International Law?*, *BYIL* 33 (1962), 307; Aldrich, *op. cit.*

¹³¹ *ib. id.* 3.

¹³² იხ. Randolph, Foreign Bondholders and Repudiated Debts of Southern States, *AJIL* 25 (1931), 63.

¹³³ იხ. P.J.M. de Wilt/ P. Peters/ E. Centers (eds), *International Law and Development*, 1988; S.R. Chowdury/ E.M.G. Deters/ P.J.M. de Wilt (eds), *The Right to Development in International Law*, 1992; E.H. Riedel, *Right to Development in Wolfgram UNLPP II*, 1103-10.

¹³⁴ იხ. თ. 19.

¹³⁵ იხ. თ. 14.

¹³⁶ I.L.A Declaration 1986, *op. cit.*

¹³⁷ UNGA Res. 41/128 of 4 December 1986.

¹³⁸ J.D. Kovar, *A Short Guide to the Rio Declaration*, *CJIELPA* (1993), at 126.

მდებლობის შეზღუდულ ზეგავლენას განიცდიდა. სახელმწიფოს მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევა ამ სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობას არ იწვევს, თუ ამ ქმედებას ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სახე არა აქვს. მაგალითად, თუ სახელმწიფო სავაჭრო კონტრაქტს დადებს და უხარისხო საქონელს მიანოდებს, ეს საერთაშორისო სამართლის დარღვევა არ იქნება, ვინაიდან ეს ისეთი ქმედებაა, რისი გაკეთება კერძო პირსაც შეეძლო. მაგრამ თუ სახელმწიფო თავის სასამართლოს კონტრაქტის დარღვევის ადეკვატურ დასაბუთებას არ მიაწვდის ან თუ მიიღებს კანონს, რომელიც დადებულ კონტრაქტს გააუქმებს, მაშინ ის ბოროტად იყენებს საკუთარ ძალაუფლებას და საერთაშორისო სამართალს არღვევს.

ისტორიულად, სამართლის ამ განშტოებაზე დიდად იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ შეერთებული შტატების სამხრეთი შტატები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვალების გადახდას ვერ ახერხებდნენ. ამ პრეცედენტით უყოყმანოდ სარგებლობდნენ სხვა შტატები და, საბოლოოდ, ჩამოყალიბდა წესი, რომლის თანახმად, სახელმწიფო პასუხს არ აგებს მისი პოლიტიკური ქვედანაყოფების მიერ დადებულ კონტრაქტებზე (ეს გამონაკლისია იმ ზოგადი წესიდან, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აკისრებს მისი პოლიტიკური ქვედანაყოფების ყველა ქმედებაზე).¹³²

განვითარების უფლება

ახალი საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმის პროგრამა მჭიდროდაა დაკავშირებული მოთხოვნასთან, აღიარებულ იქნეს განვითარების უფლება,¹³³ როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც გამომდინარეობს თვითგამორკვევის უფლებიდან¹³⁴ და ხშირად ინტერპრეტირებულია მდიდარი ქვეყნების მიერ ღარიბი ქვეყნების დახმარების სამართლებრივი ვალდებულების თვალსაზრისით. დასავლეთის ქვეყნები განვითარების კოლექტიური უფლების აღიარებას წინააღმდეგობას უწევენ, ნაწილობრივ, ფინანსურ ტრანსფერებზე ამ უფლების არასასურველი სამართლებრივი ზემოქმედების გამო, აგრეთვე, იმის გამოც, რომ ეს უფლება ადამიანის უფლებების დასავლურ კონცეფციას¹³⁵ არ შეესაბამება.

განვითარების უფლებას მხარი დაუჭირა 1986 წლის საერთაშორისო სამართლის ასოციაციის სეულის დეკლარაციამ¹³⁶, ხოლო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ იმავე წელს მიიღო განვითარების უფლების დეკლარაცია¹³⁷ 146 ხმით ერთის (აშშ) წინააღმდეგ; დასავლეთის შვიდმა სახელმწიფომ (დანია, გერმანია, ფინეთი, ისლანდია, ისრაელი, იაპონია და დიდი ბრიტანეთი) თავი შეიკავა. 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე განვითარებადმა ქვეყნებმა, შეერთებული შტატების, კანადისა და ევროგაერთიანების წინააღმდეგობის მიუხედავად, მოახერხეს რიოს (სავალდებულო) დეკლარაციის მე-3 პრინციპში განვითარების უფლების ჩართვა. აღსანიშნავია, რომ შეერთებულმა შტატებმა დოკუმენტს ასეთი განცხადება დაურთო:

შეერთებული შტატები უერთდება რიოს დეკლარაციას კონსენსუსის საფუძველზე, მაგრამ ინარჩუნებს თავის პოზიციას ე.წ. განვითარების უფლების წინააღმდეგ. განვითარება უფლება არ არის. ეს ის მიზანია, რომლის მიღწევასაც ყოველი ჩვენგანი ესწრაფვის და რომლის განხორციელებაც დიდადაა დამოკიდებული ადამიანის უფლებების უნივერსალურ დეკლარაციაში წარმოდგენილი უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაზე.¹³⁸

ანალოგიურ გამარჯვებას მიაღწიეს განვითარებადმა ქვეყნებმა 1993 წლის

ვენის ადამიანის უფლებების კონფერენციაზე, რომლის დეკლარაციაში კიდევ ერთხელაა ხაზგასმული, რომ განვითარების უფლება „უნივერსალური და აუცილებელი უფლება და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების განუყოფელი ნაწილია“. მაგრამ აქ ისიცაა ნათქვამი, რომ „განვითარება ხელს უწყობს ადამიანის მიერ მისი ყველა უფლებით სარგებლობას, თუმცა განვითარების არარსებობა არ უნდა იქნეს გამოყენებული საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების შეზღუდვის დასამტკიცებლად“.¹³⁹

ახალ საერთაშორისო ეკონომიკურ რეჟიმთან დაკავშირებულმა დებატებმა უკანასკნელ ხანს აქტუალობა დაკარგა სოციალისტურ ქვეყნებში გეგმური ეკონომიკის მარცხისა და 90-იან წლებში მთელ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის მოდელის გავრცელების შედეგად. მიუხედავად ამისა, როგორც მომდევნო თავში ვიხილავთ, იგივე პრობლემები გაჩნდა ახალ კონტექსტში, კერძოდ, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, რომელიც გარემოს დაცვისა და „უწყვეტი განვითარების“ კონცეფციასთან მის კავშირს შეეხება. პრობლემას ახალი განზომილება შემატა ამ კონცეფციასთან „კარგი მმართველობის“ (კარგი მენეჯმენტის თვალსაზრისით) პრინციპების დაკავშირების მცდელობამ. ამ პრინციპებს შორისაა:

გააზრებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული მეთოდები, მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა, ფინანსური ანგარიშვალდებულება, განვითარებისთვის ხელსაყრელი საბაზრო გარემოს შექმნა, კორუფციასთან ბრძოლა, აგრეთვე, კანონისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა.¹⁴⁰

მაგრამ ეს ყველაფერი საერთაშორისო სამართლის (შესაძლო) სამომავლო განვითარებას უფრო ეხება, ვიდრე დღევანდელ საერთაშორისო სამართალს.

¹³⁹ Principle 10 of the 1993 Vienna Declaration.

¹⁴⁰ Ginther/P.J.I.M. de Wuart. Sustainable Development as a Matter of Good Governance: An Introductory View, in Ginther/Denters/de Wuart (eds), *op. cit.* 1, with reference to Boutros Boutros-Ghali, *An Agenda for Peace*, 1992, para. 59. იხ. აგრეთვე, Boutros-Ghali, *An Agenda for Development*, 1995.

16. გარემოს დაცვა

¹ იხ. Harris *CML*, 242-9; R.-J. Dupuy (ed.), *The Future of the International Law of the Environment*, 1985; *Restatement (Third)*, Vol. 2, 99-143. A. Kiss/D. Shelton (eds), *International Environmental Law*, 1991, Supplement, 1994; W. Lang/H. Neuhold/K. Zemanek (eds), *Environmental Protection and International Law*, 1991; D.B. Magraw, *International Law and Pollution*, 1991; E. Brown-Weiss (ed.), *Environmental Change and International Law*, 1992; P. Birnie/A.E. Boyle, *International Law and the Environment*, 1992; P. Sands (ed.), *Growing International Law*, 1993; M.A. Fitzmaurice, *International Environmental Law as a Special Field*, *NYIL* 25 (1994), 181-226; E.J. Urbani/C.P. Rubin (eds), *Transnational Environmental Law and its Impact on Corporate Behaviour*, 1994; H. Hohmann, *Precautionary Legal Duties and Principles of Modern International Environmental Law*, 1994; L. Giindling, *Environment. International Protection*, *EPIL* II (1995), 96-107; M. Kälin, *Environmental Protection*, in *Wolfson UNLPP* I, 487-98; P. Sands/R. Tarasofsky/M. Weiss (eds), *Principles of International Environmental Law*, 1995; J. Kasto, *Modern International Law of the Environment*, 1995; V.R. Nanda, *International Environmental Law and Policy*, 1995. For collections of documents იხ. B. Pfister/B. Simma, *International Protection of the Environment, Treaties and Related Documents*, 1975 *et seq.*; H. Hohmann (ed.), *Basic Documents on International Environmental Law*, 3rd edn 1992; P. Sands, *Principles of International Environmental Law*, Vol. II: Documents in International Environmental Law, 1995; W. Birnie/A. Boyle (eds), *Basic Documents on International Law and the Environment*, 1995; W.E. Burhenne (ed.), *International Environmental Law: Multilateral Treaties*, 8 mis, 1996.

² Stockholm Declaration on the Human Environment, Report of the United Nations Conference on the Human Environment, UN Doc. A.Cnf. 48/14/Rev.1 (1972); 11 (1972), 1416.

³ Resolution 37/7: Official Records of the General Assembly, Thirty-Sixth Session, Supplement No 51 (A/36/51): ILM 22 (1983), 455. იხ. W.E. Burhenne/

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, სულ უფრო იზრდებოდა გარემოს დაცვის საჭიროება, რამაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სხვა დასახვა ძალისა და შედეგის მქონე შესაბამისი კანონების შექმნა გამოიწვია.¹ რა შეეხება საერთაშორისო დონეს, 1972 წელს სტოკჰოლმში ჩატარებულ გაერო კონფერენციაზე,² რომელიც გარემოს დაცვის საკითხებს მიეძღვნა, დასაბამი მიეცა გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალს, როგორც საერთაშორისო სამართლის ცალკე და უახლეს სფეროს. სტოკჰოლმის კონფერენციის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი მრავალი განაცხადი გაკეთდა, მაგ. შორის, 1982 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული ბუნების დაცვის მსოფლიო შეთანხმება.³ ამას გარდა, შეიქმნა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები გარემოს დაცვის მრავალ სფეროშიც.

1987 წლის ბრუნდელანდის „გარემოს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის ანგარიშში“⁴ საზოგადოებრივია, რომ კაცობრიობის გადარჩენისკენ მიმართული საყოველთაო ინტერესის გააქტიურებისთვის და, აგრეთვე, რეგულაციების ამოწურვისა და გარემოს დაბინძურების შემცირებისთვის საჭირო საერთაშორისო თანამშრომლობა და საყოველთაო პასუხისმგებლობა. ამას გარდა, ანგარიშში დიდი ყურადღება ეთმობა კავშირს გარემოს დაცვასა და განვითარება შორის, „უწყვეტი განვითარების“ ბუნდოვანი კონცეფციის პირობებში. უწყვეტი განვითარება კომისიამ განმარტა (საკმაოდ ბუნდოვნად) და აბსტრაქტულად), როგორც „განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს და არ ამცირებს მომავალი თაობების მიერ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარს“. ამ კონცეფციის ორი ძირითადი ელემენტი განსაზღვრული იყო, როგორც (1) „მოთხოვნები“, განსაკუთრებით, კაცობრიობის უღარიბესი ნაწილის მოთხოვნები, რომელთაც განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს“ და (2) „შეზღუდვები, რომლებიც განპირობებულია ტექნოლოგიისა და საზოგადოების ორგანიზების დღევანდელი მდგომარეობით და ამცირებს გარემოს მიერ დღევანდელი სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარს“.⁵ ამ პროცესის კულმინაცია იყო გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენცია (UNCED) რომელიც რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა 1992 წელს, სტოკჰოლმის კონფერენციიდან ოცი წლის შემდეგ.

რა თქმა უნდა, გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციამდეც ვითარდებოდა, მაგრამ სტოკჰოლმში ერთსულოვნად მიღებული დეკლარაციის 21-ე და 22-ე პუნქტები გარემოს დაცვის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედად ითვლება. 21-ე პუნქტი ყველა სახელმწიფოს აკისრებს იმის უზრუნველყოფას, რომ „მიიურისდიქციასა და კონტროლს დაქვემდებარებულმა ქმედებებმა არ დააზარალონ სხვა სახელმწიფოებისა და ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში გარეთ მდებარე სხვა ტერიტორიების გარემო“. მაგრამ, ამავე დროს, ამ პრინციპში დადასტურებულია „სახელმწიფოს სუვერენული უფლება, გარემოს დაცვის ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად გამოიყენოს საკუთარი რესურსები“ გაეროს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით.⁶ კონკრეტულ საკითხებში ამ პრინციპის ქმედითუნარიანობის ასამაღლებლად საჭიროა უფლებებისა და ვალდებულებების უფრო დეტალურად ჩამოყალიბება. ეს გაცნობიერებულია 22-ე პუნქტში, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებს, „განავითარონ საერთაშორისო სამართლის ის სფერო, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას მისი იურისდიქციისა და

კონტროლის ფარგლებში განხორციელებული ქმედებებით სხვა სახელმწიფოების გარემოსთვის მიყენებული ზარალის გამო".⁷ მაგრამ ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სწორედ ის სფეროა, სადაც სახელმწიფოები ყოველთვის უხალისოდ თანხმდებიან ვალდებულებების აღებას.⁸

გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის კომპეტენცია და ბუნება

გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი ძირითადად ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო სამართლის სხვა ინსტრუმენტებს ემყარება. რაც შეეხება ცალკეულ საკითხებს, სტოკჰოლმის კონფერენციის შემდეგ უნდა გამოვყოთ გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის განვითარების ორი ფაზა. პირველი ფაზაა გაეროს გარემოს დაცვის პროგრამისა (UNEP) და გარემოს დაცვისკენ მიმართული ქმედებების გეგმის ჩამოყალიბება, რასაც ინდუსტრიული საქმიანობისა და ქვეყნების სიღარიბის შედეგად წყლის, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების საწინააღმდეგო სამართლებრივი ინსტრუმენტების შექმნა მოჰყვა.

რაც შეეხება ზღვის გარემოს დაცვას,⁹ ამ დარგში ყოველისმომცველი გლობალური ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ არსებობს. გაეროს 1982 წლის საზღვაო კონვენციაში¹⁰ ამ სფეროს, აგრეთვე, ზღვისპირა და აღმის სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი და აღმასრულებელი ძალაუფლების გადანაწილების მხოლოდ ზოგადი პრინციპებია მოცემული. ამის შედეგად, გლობალური სახელშეკრულებო რეჟიმი ზღვის დაბინძურების დარეგულირების ცალკეულ წყაროებს ემყარება. არსებობს ზღვის დაბინძურებასთან დაკავშირებული რამდენიმე კონვენცია, მათ შორის, 1954 წლის საერთაშორისო კონვენცია ნავთობით წყლის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ,¹¹ 1969 წლის საერთაშორისო კონვენცია ნავთობით დაბინძურებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ,¹² 1969 წლის საერთაშორისო კონვენცია ღია ზღვაში ინტერვენციის შესახებ ნავთობით დაბინძურების შემთხვევაში¹³ და 1971 წლის საერთაშორისო კონვენცია ნავთობით დაბინძურების შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციის საერთაშორისო ფონდის შექმნის შესახებ.¹⁴ ნავთობით ზღვის დაბინძურების განსაკუთრებით დიდი მასშტაბის შემთხვევებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე 1990 წელს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ (IMO) მიიღო ახალი კონვენცია ნავთობით ზღვის დაბინძურების, მზადყოფნის, რეაგირებისა და თანამშრომლობის შესახებ.¹⁵

ამას გარდა, ნარჩენებით ზღვის დაბინძურების პრობლემას შეეხება 1972 წლის კონვენცია ნარჩენებითა და სხვა მასალებით ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ¹⁶ და 1973 წლის საერთაშორისო კონვენცია გემების მიერ ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ.¹⁷ რეგიონულ დონეზე მრავალი ანალოგიური დოკუმენტი არსებობს, რომლებიც დაკავშირებულია ჩრდილოეთ ატლანტიკისა და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის დაცვასთან. ამ დოკუმენტებს შორისაა 1972 წლის კონვენცია გემებისა და თვითმფრინავების მიერ ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ,¹⁸ 1974 წლის კონვენცია ხმელეთზე მდებარე წყაროებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ¹⁹ და კონვენცია ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკის საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ.²⁰ არსებობს აგრეთვე მრავალმხრივი ხელშეკრულებებიც დაბინძურების ყველა წყაროსთან დაკავშირებით, მაგალითად, 1976 წლის კონვენცია ხმელთაშუა ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ,²¹ 1974 წლის კონვენცია ბალტიის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ²² და 1978 წლის ქუვეითის რეგიონული კონვენცია დაბინძურებისგან საზღვაო გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.²³ მრავალი (ძირითადად რეგიონული) ხელშეკ-

W.A. Irwin. *The World Charter for Nature*. 2nd edn 1986.

⁷The World Commission on Environment and Development, *Our Common Future*, 1987. იხ. აგრეთვე, *Environmental Protection and Sustainable Development: Legal Principles and Recommendations adopted by the Experts Group on Environmental Law of the World Commission on Environment and Development*, 1986; A. Hurrell/B. Kingsbury, *The International Politics of the Environment: Actors, Interests and Institutions*, 1992; M.A.L. Miller, *The Third World in Global Environmental Politics*, 1995.

⁸*Our Common Future*, *op. cit.*, at 43. For a discussion იხ. P. Malanczuk, *Sustainable Development: Some Critical Thoughts in the Light of the Rio Conference*, in K. Ginther/E. Deniers/P.J.I.M. de Waart (eds), *Sustainable Development and Good Governance*, 1995, 23-52; K. Hossain, *Evolving Principles of Sustainable Development*, *ibid.*, 15-22; W. Lang (ed.), *Sustainable Development and International Law*, 1995; P. Sands, *International Law in the Field of Sustainable Development*, *BYIL* 65 (1994), 303-81; S. Lin/L. Kurukulasuriya (eds), *UNEP's New Way Forward: Environmental Law and Sustainable Development*, 1995; *Second Report of the ILA International Committee on Legal Aspects of Sustainable Development*, *Helsinki Conference* 1996.

⁹ Principle 21, *Stockholm Declaration*, *op. cit.*, at 5.

⁷ Principle 22.

⁸ იხ. G. Bettem, *Civil Liability for Transboundary Pollution*, 1993. On liability and responsibility, იხ. 17.

⁹ J.J.A. Salmon, *Marine Environment, Protection and Preservation*, *EPIL* 11 (1989), 200-7; J.H. Bates/C. Benson (eds), *Marine Environmental Law*, 1993; C.M. de la Rue (ed.), *Liability for Damage to the Marine Environment*, 1993; D. Brubaker, *Marine Pollution and International Law: Principles and Practice*, 1993; J.J.A. Salmon, *International Watercourses, Pollution*, *EPIL* 11 (1995), 1388-92.

¹⁰ 1982 წლის კონვენციაში ზღვის დაცვასა და შენარჩუნებას ორმოცდაექვსი მუხლით მოხდა (192-237). იხ. W.v. Reenen, *Rules of Reference in the New Convention on the Law of the Sea in Particular in Connection with the Pollution of the Sea by Oil from Tankers*, *NYIL* 12 (1981), 3-44; B. Kwitkowska, *Marine-Based Pollution in the Exclusive Economic Zone: Reconciling Rights, Freedoms and Responsibilities*, *Hague YIL* (1988), 111; R.P.M. Lofthuis, *The Efficacy of the Anti-Pollution Legislation Provisions of the*

1982 Law of the Sea Convention: A View from South East Asia, ICLQ 41 (1992), 137-51. nb. თ. 12.

¹¹ 327 UNTS 3.
¹² ILM 9 (1970), 45.

¹³ *Ibid.*, 25.

¹⁴ Cmd. 7383, nb. R.B. Mitchell, *International Oil Pollution at Sea: Environmental Policy and Treaty Compliance*, 1994; W. Chao, *Pollution from the Carriage of Oil by Sea*, 1996.

¹⁵ ILM 30 (1991), 733.

¹⁶ ILM 11 (1972), 1294.

¹⁷ ILM 12 (1973), 1319.

¹⁸ ILM 11 (1972), 262.

¹⁹ ILM 14 (1975), 352.

²⁰ YIEL 3 (1992), 759.

²¹ ILM 15 (1976), 290. nb. S. Milenkovic, *Mediterranean Pollution Conventions*, EPIL 9 (1986), 264-6;

²² ILM 13 (1974), 546. nb. M. Fitzmaurice, *International Legal Problems of the Environmental Protection of the Baltic Sea*, 1992.

²³ ILM 17 (1978), 511.

²⁴ nb. B. Kwiatkowska, *Conservation of Living Resources of the High Seas*, EPIL 1 (1992), 761-3; R. Wolfum, *Fisheries, International Regulation*, EPIL 11 (1995), 383-6 და თ. 12.

²⁵ nb. თ. 12.

²⁶ ILM 31 (1992), 1313.

²⁷ UN Doc. ST/LEG/SER.B/12. 438. nb. J.A. Frowine, *Lake Conservation*, EPIL 12 (1990), 216-19.

²⁸ 940 UNTS 211. nb. G Nolte, *Moselle River*, EPIL 12 (1990), 228-30.

²⁹ ILM 34 (1995), 851.

³⁰ 994 UNTS 3.

³¹ ILM 16 (1977), 242.

³² ILM 16 (1977), 265.

³³ nb. A. Rest, *The Sandoz Conflagration (ant) the Rhine Pollution: Liability Issues*, GYL 30 (1987), 160-76; W.E. Huik, *Experience of the Netherlands Regarding the Case-Law of the Chamber of Appeal of the Central Commission for Navigation of the Rhine*, NYIL 19 (1988), 3-51; F. Meibner, *Rhine River*, EPIL 12 (1990), 310-6.

³⁴ ILM 34 (1995), 864.

³⁵ nb. თ. 3.

³⁶ 1994 ILC Report, UN GAOR, 49th Sess., Supp. No. 10. nb. A. Nollkaemper, *The Legal Regime for Transboundary Water Pollution: Between Discretion and Constraint*, 1993; E. Benvenisti, *Collective Action in the Utilization of Shared Freshwater: The Challenge of International Water Resources*, MIL 90 (1996), 384-415.

³⁷ ILM 18 (1979), 1442. nb. Flintermann/B. Kwiatkowska/J.G. Lamers (eds), *Transboundary Air Pollution 1986*; A. Kiss, *Air Pollution*, EPIL (1992), 72-4.

³⁸ ILM 27 (1988), 701.

³⁹ *Ibid.*, 707.

⁴⁰ ILM 33 (1994), 1540.

⁴¹ nb. M.J. Forster, *Plant Protection, International*, EPIL 9

რულება ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვასაც შეეხება.²⁴ მაგრამ ასეთმა შეთანხმებებმა თავიანთი მნიშვნელობა დაკარგა 200-მილიანი ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის დაწესებასთან ერთად, რომელიც ამ ასპექტებს ზღვისპირა სახელმწიფოების იურისდიქციას მიაკუთვნებს.²⁵

რაც შეეხება მდინარეებსა და ტბებს, აქაც მრავალი სამართლებრივი ინსტრუმენტი არსებობს, მათ შორის, 1992 წლის კონვენცია საერთაშორისო მდინარეებისა და ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ.²⁶ ევროპაში აღსანიშნავია 1960 წლის კონვენცია კონსტანცის ტბის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ,²⁷ 1961 წლის მოზელის დაბინძურებასთან ბრძოლის საერთაშორისო კომისიის საწესდებო ოქმი,²⁸ შეთანხმებები ბელგიას, საფრანგეთსა და ჰოლანდიას შორის მდინარე მოისთან და მდინარე შელდთან დაკავშირებით,²⁹ აგრეთვე, მდინარე რაინის განმენდის საერთაშორისო მცდელობები, რომელთა შორისაა 1963 წლის შეთანხმება დაბინძურებისგან რაინის დაცვის საერთაშორისო კომისიასთან დაკავშირებით,³⁰ 1976 წლის კონვენცია ქიმიური ნარჩენებისგან რაინის დაცვის შესახებ,³¹ 1976 წლის კონვენცია ქლორიდებით დაბინძურებისგან რაინის დაცვის შესახებ³² და 1987 წლის რაინის სამოქმედო გეგმა.³³ სხვა რეგიონებში გარემოს დაცვის უახლესი მაგალითია შეთანხმება კამბოჯას, ლაოსს, ტაილანდსა და ვიეტნამს შორის მდინარე მეკონგის უწყვეტი განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ.³⁴ ამას გარდა, საერთაშორისო სამართლის კომისიის³⁵ მიერ ამ სფეროში საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციამ გარკვეულ პროგრესს მიაღწია 1994 წლის საერთაშორისო მდინარეების არასანაოსნო გამოყენების კანონპროექტის³⁶ შექმნით.

ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი ხელშეკრულება არსებობს – 1979 წლის ჟენევის კონვენცია ჰაერის დაბინძურების შესახებ, რომელშიც მონაწილეობს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა, აშშ და კანადა.³⁷ კონვენციაში რამდენიმე ცვლილება იქნა შეტანილი 1984 წლის ოქმით (რომელიც დაკავშირებულია ევროპაში ჰაერის დაბინძურების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი პროგრამის დაფინანსებასთან),³⁸ 1985 წლის ოქმით (რომელიც დაკავშირებულია ატმოსფეროში გოგირდის გამოყოფისა და გავრცელების არის არანაკლებ 30 პროცენტით შემცირებასთან),³⁹ 1988 წლის ოქმით ატმოსფეროში აზოტის ფანგების გამოყოფისა და გავრცელების არის კონტროლის შესახებ, 1991 წლის ოქმით აქროლადი ორგანული ნაერთების შესახებ და 1994 წლის ოქმით ატმოსფეროში გოგირდის გამოყოფის შემდგომი შემცირების შესახებ.⁴⁰

კიდევ ერთი სფერო, სადაც საერთაშორისო შეთანხმებები არსებობს, ბუნების დაცვა და სახეობების შენარჩუნებაა.⁴¹ ამ შეთანხმებებს შორისაა 1971 წლის კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის წაობების, განსაკუთრებით კი წყლის ფრინველების ბინადრობის ადგილების დაცვის შესახებ,⁴² 1972 წლის კონვენცია მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ,⁴³ 1973 წლის კონვენცია ველური ფლორისა და ფაუნის გადაშენების პირას მდგარი წარმომადგენლებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ,⁴⁴ 1979 წლის კონვენცია გარეული ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ⁴⁵ და 1979 წლის კონვენცია ევროპის ველური ბუნების დაცვის შესახებ.⁴⁶ არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი შეიქმნა ვეშაპებზე ნადირობასთან დაკავშირებითაც.⁴⁷

ამას გარდა, სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება და განადგურება რამდენიმე ხელშეკრულებით რეგულირდება, რომელთა შორისაა 1989 წლის ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების საერთაშორისო გადაზიდვებისა და განადგურების კონტროლის შესახებ⁴⁸ და 1991 წლის აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის ბამაკოს კონვენცია სახიფათო ნარჩენების აფრიკაში იმპორტირების აკრძალვისა და აფრიკის ფარგლებში ნარჩენების კონტროლის შესახებ.⁴⁹

რამდენიმე ხელშეკრულება დაიდო ატომური ენერჯის მშვიდობიან გა-

მოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის საკითხებზე. მაგრამ ამ ხელშეკრულებებში განხილულია მხოლოდ პირთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის და არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხები. ასეთი ხელშეკრულებებია, მაგალითად, 1960 და 1963 წლების კონვენციები ატომური ენერგეტიკის სფეროში მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ,⁵⁰ 1963 წლის ვენის კონვენცია ატომური ენერჯიის გამოყენებით მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ⁵¹ და 1971 წლის კონვენცია ბირთვული მასალების საზღვაო გადაზიდვის სფეროში სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ.⁵² ეს ხელშეკრულებები არასაკმარისად ქმედითი აღმოჩნდა ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ; ახალი ხელშეკრულებები მხოლოდ ამ კატასტროფის მერე დაიდო.⁵³ მიუხედავად ამისა, 1996 წელს უკრაინის ეს სანარმო მუშაობას განაგრძობდა, ეკონომიკური მოსაზრებებით.

დასასრულ, არსებობს აგრეთვე სპეციალური 1977 წლის კონვენცია გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე ტექნიკის სამხედრო ან მსგავსი მიზნებით გამოყენების აკრძალვის შესახებ.⁵⁴ ეს საკითხი კვლავ აქტუალური გახდა სპარსეთის ყურის მეორე ომთან დაკავშირებით, როდესაც ერაყს ბრა-ლი დაედო სამხედრო მოქმედებების დროს გარემოს არასასურველ გამოყენებაში (ნავთობის საბადოების დანვა, სპარსეთის ყურეში ნავთობის დაქცევა).⁵⁵ ამას გარდა, ამ სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს უნებურად მდებარე გაეროს საკომპენსაციო კომისია განიხილავს.⁵⁶

მეორე ფაზა ახალი პრობლემების წარმოქმნით დაიწყო, რომელთა შორისაა ოზონის შრის შემცირება ატმოსფეროში ქლოროფტორნახშირწყალბადის გამოყოფის შედეგად. ამ საკითხთანაა დაკავშირებული 1985 წლის 22 მარტის ვენის კონვენცია ოზონის ფენის დაცვის შესახებ.⁵⁷ იმ პრობლემებს შორის, რომლებიც საბოლოოდ რიოს კონფერენციაზე⁵⁸ განიხილეს, იყო კლიმატის ცვლილება გლობალური დატობის („სათბურის ეფექტის“)⁵⁹ შედეგად, ბიოლოგიური ვარიაციულობის შენარჩუნება და აფრიკაში ტყისა და უდაბნოს განადგურების პრობლემები.⁶⁰ 1991 წელს მიიღეს ანტარქტიკის გარემოს დაცვის ხელშეკრულების ოქმი, რომლის ობიექტი დაწესებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების, ნარჩენების განადგურებისა და ზღვის დაბინძურების საკითხებთან.⁶¹ ამას გარდა, GATT/WTO-ს ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებებში უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა კავშირს გარემოს დაცვასა და საერთაშორისო ვაჭრობის დარეგულირებას შორის.⁶² ყურადღება მიექცა, აგრეთვე, „კოსმოსური ნაგვის“ პრობლემას და კოსმოსური საქმიანობის შედეგად გარემოსთვის ზიანის მიყენების საშიშროებას.⁶³

როგორც UNCED-ის მომზადების პროცესში განხორციელებულმა სახელ-შეკრულებო საქმიანობის აღწერამ გვიჩვენა, გარემოს დაცვის სფეროში დღეს ასზე მეტი მრავალმხრივი ხელშეკრულება მოქმედებს.⁶⁴ მათ რიცხვში არ შედის მრავალი დოკუმენტი, რომელიც წყლის საერთო რესურსებსა და ეპიდემიების ბუნებრივ რისკს შეეხება. აქ არ შედის აგრეთვე ევროგაერთიანების წესდებაც.⁶⁵ გლობალური და რეგიონული შეთანხმებების ნახევარზე მეტი ზღვისა და ზღვის ბინადართა დაცვას შეეხება. მეორე უდიდესი ჯგუფი დაკავშირებულია ბუნების შენარჩუნებასთან, დედამიწის რესურსებსა და ეკოსისტემებთან, ხოლო მესამე უმნიშვნელოვანესი კატეგორია გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებებსა და პროცესებს განიხილავს. მაგრამ ეს ყველაფერი სრულ მდგომარეობას ჯერ კიდევ არ ასახავს. უფრო მრავალმხრივი გამოთვლები გვიჩვენებს 870 ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის არსებობას, რომლებიც, თუნდაც ნაწილობრივ, გარემოს დაცვას შეეხება.⁶⁶

ამას გარდა, ხელშეკრულებებთან, საერთაშორისო სამართლის კლასიკურ ინსტრუმენტებთან ერთად, არსებობს ე.წ. „რბილი სამართლის“ ინსტრუმენტების საკმაოდ წინააღმდეგობრივი კატეგორია, რომელიც გარემოს დაცვის

(1986), 303-5; P.H. Sand, *Wildlife Protection*, *ibid.*, 409-14; M.C. Maffie, *Evolving Trends in the International Protection of Species*, *GYL* 36 (1993), 131-86.

⁵⁰ 996 UNTS 245.

⁵¹ ILM 11 (1972), 1358.

⁵² ILM 12 (1973), 1085; P. Matthews, *Problems Related to the Convention on the International Trade in Endangered Species*, *ICLQ* 45 (1996), 421-30.

⁵³ ILM 19 (1980), 15.

⁵⁴ Cmd. 8738.

⁵⁵ *ib.*, D.D. Curran *The International Whaling Commission and the North Atlantic Marine Mammal Commission: The Institutional Risks of Coercion in Consensual Structures*, *AJIL* 89 (1995), 154 *et seq.*

⁵⁶ ILM 28 (1989), 652. *ib.* G.J. Timagenis, *Waste Disposal*, *EPIL* 9 (1986), 401-6; M. Bothe, *International Regulation of Transboundary Movement of Hazardous Waste*, *GYL* 33 (1990), 422; B. Kwiatkowski/A.H.A. Soons, *Transboundary Movements of Hazardous Wastes and Their Disposal: Emerging Global and Regional Regulation*, *Haque YIL* 5 (1992), 68-136; S.D. Murphy, *Prospective Liability Regimes for the Transboundary Movement of Hazardous Wastes*, *AJIL* 88 (1994), 24.

⁵⁷ ILM 30 (1991), 775.

⁵⁸ 956 UNTS 252; *ILM* 2 (1963), 685.

⁵⁹ *ILM* 2 (1963), 727.

⁶⁰ 974 UNTS 255.

⁶¹ *ib.* P. Sands, *Chernobyl: Law and Communication. Transboundary Nuclear Air Pollution - The Legal Materials*, 1988; P. Cameron/L. Hancher/W. Kilin, *Nuclear Energy Law after Chernobyl*, 1988; A.E. Boyle, *Nuclear Energy and International Law: An Environmental Perspective*, *BYIL* 60 (1989), 257 *et seq.*; M.M. El Baradei/E.I. Nwogugu/J.M. Rammes (eds), *The International Law of Nuclear Energy*, 2 Vols, 1993; M.T. Kamminga, *The IAEA Convention on Nuclear Safety*, *ICLQ* 44 (1995), 872-82; OECD, *Regulatory and Institutional Framework for Nuclear Activities*, 1995; *Chernobyl: Ten Years After*, *UN Chronicle* 33 (1996), 78-9.

⁶² ILM 16 (1977), 88.

⁶³ *ib.* *op.* 20.

⁶⁴ *ib.* *op.* 22.

⁶⁵ *ILM* 26 (1987), 1550, as amended by the Montreal Protocol in 1990, *ILM* 30 (1991), 539, with further amendments in 1991 and 1992. *ib.* R.E. Benedict, *Ozone Diplomacy: New Directions in Safeguarding the Planet*, 1990; V.P. Nanda, *Stratospheric Ozone Depletion: A Challenge for International Environmental Law and Policy*, *Mich. JIL* 10 (1989), 482; *Environment: Ozone Layer*, *UN*

Chronicle 33(1996), 73-4.

⁵⁸ იხ. ქვემოთ.

⁵⁹ W. Lang, Auf der Suche nach einem wirksamen Klima-Regime, *WTR* 31(1993), 13-21; იხ. აგრეთვე, W.R. Cline, *The Economics of Global Warming*, 1992.

⁶⁰ იხ. ქვემოთ.

⁶¹ *ILM* 30(1991), 1460. იხ. თ. 10.

⁶² იხ. K. Andersen/R. Blackhurst (eds), *The Greening of World Trade Issues*, 1992; J. Schultz, *The GATT/WTO Committee on Trade and the Environment - Toward Environmental Reform*, *AJIL* 89(1995), 423-39; H. Ward, *Common But Differentiated Debates: Environment, Labour and the World Trade Organization*, *ICLQ* 45(1996), 592-632. იხ. თ. 15.

⁶³ იხ. თ. 13.

⁶⁴ The third session of the UNCED Preparatory Committee, in Decision I, Annex IIIA/CONF.151/PC/94.

⁶⁵ იხ. A.C. Kiss/D. Shelton, *Manual of European Environmental Law*, 1993; P. Sands, *Principles of International Environmental Law*. Vol. III: Documents in European Community Environmental Law, 1995; S. Hollins/R. Macrory, *A Source Book of European Community Environmental Law*, 1995.

⁶⁶ E. Weiss, Introductory Note, United Nations Conference on Environment and Development, (1992), 814.

⁶⁷ იხ. თ. 3.

⁶⁸ P.H. Sand, *International Law on the Agenda of the United Nations Conference on Environment and Development: Towards Global Environmental Security?*, *Nordic JIL* 60(1991), 5, at 8.

⁶⁹ P.H. Sand, *Lessons Learned in Global Environmental Governance*, 1990, 35; იხ. further P. Maliniczuk, *Towards Global Environmental Legislation*, in United Nations Office for Outer Space Affairs (ed.), *Proceedings of the UNIAF Workshop on "Organising Space Activities in Developing Countries: Resources and Mechanisms"* (Graz, 15-17 October 1993), 1994, 45-60.

⁷⁰ O. Schachter, *International Law in Theory and Practice*, 1991, 362, with reference to the new concept of the 1972 Stockholm Conference.

⁷¹ იხ. G. Handl, *Environmental Security and Global Change: The Challenge to International Law*, *YIEL* 1(1990), 3-33.

⁷² Sand (1991), *op. cit.*, 33.

⁷³ იხ. P.H. Sand (ed.), *The Effectiveness of International Environmental Agreements - A Survey of Existing Legal Instruments*, 1992; M.E. O'Connell, *Enforcing the New International Law of the Environment*, *GYL* 35(1992), 293; L.E. Susskind, *Environmental Diplomacy: Negotiating More Effective Global Agreements*, 1994.

საერთაშორისო დიპლომატიის დამახასიათებელ თვისებად ითვლება.⁶⁷ ეს ინსტრუმენტები, რომელთაც დეკლარაციების, რეზოლუციებისა და რეკომენდაციების სახე აქვს, როგორც, მაგალითად, 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციას, ფორმალურად არასავალდებულოა. მიუხედავად ამისა, მათ დიდი პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, როგორც პოლიტიკური ქმედებების წამყვან პრინციპებს და საწყის ნერტილს გარემოს დაცვის იმ საერთაშორისო სავალდებულო პრინციპებისა და წესების ჩამოყალიბებისთვის, რომელთაც მოგვიანებით ხელშეკრულების ან საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სახე მიეცემა. ამასთანავე, „არსებობს მნიშვნელოვანი საზღვარი იმ საერთაშორისო ტექნიკური ნორმებისთვის, რომლებიც მოქმედებენ იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებიც, თავისთავად, გარემოს დაცვას არ ეხება, მაგრამ რომელთა შემოღებაც გარემოს დაცვის სტანდარტების დანერგვას ითხოვს“.⁶⁸ ასეთი ნორმებია, მაგალითად, ხმაურისა და გამონახობლქვის რაოდენობრივი შეზღუდვები თვითმფრინავებისა და ავტომობილებისთვის.

გარემოს დაცვის დიპლომატიამი ხელშეკრულების დადების მეთოდი შეიძლება აღინეროს, როგორც საფეხურებრივი მიდგომა, რომელმაც მარცხი განიცადა სექტორული და სექტორთშორისი, რეგიონული და გლობალური პოლიტიკური პროგრამების ინტეგრაციის საქმეში.⁶⁹ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ არსებობს ყოველმხრივი სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დაიცავდა გარემოს ან „ბიოსფეროს“, როგორც მთლიანს, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.⁷⁰ „ეკოლოგიური უსაფრთხოების“⁷¹ ახალი კონცეფცია ჯერ კიდევ არ იქცა თანმიმდევრულ და ყოვლისმომცველ ნორმატიულ დოკუმენტად, ამიტომ სხვადასხვა სახელშეკრულებო რეჟიმებს შორის კავშირი ჯერ კიდევ სათანადოდ განსაზღვრული არ არის. გარემოს დაცვის არსებული საერთაშორისო სამართლის ბუნება აღინერება, როგორც „გარემოს დაცვის მრავალი სხვადასხვა რეჟიმის ერთობლიობა, მაგრამ არა სისტემა“.⁷² კიდევ ერთი პრობლემაა გლობალური თვალსაზრისით გარემოს დაცვის ხელშეკრულებების ეფექტურობა.⁷³ რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ (ECE) 1991 წელს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციის მიღებით.⁷⁴

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულებების დადების პროცესი საკმაოდ ნელია. ჩვეულებრივ, მრავალმხრივი ხელშეკრულების სრულად ამოქმედებისთვის ორიდან თორმეტ წლამდე პერიოდი საჭირო. საშუალოდ, ეს პერიოდი დაახლოებით ხუთ წელიწადს შეადგენს.⁷⁵ მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ხელშეკრულება მოქმედებას უფრო ადრე იწყებს, როგორც, მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის კონვენცია და ოზონის ფენის კონვენცია, რომელთა ამოქმედებასაც მხოლოდ ორი წელი დასჭირდა. აქ მთავარი სირთულე ისაა, რომ გარემოს დაცვის სფეროში ასეთი მოკლე პერიოდიც კი ძალიან გრძელია იმ შემთხვევებში, რომლებიც სწრაფ რეაგირებას მოითხოვს. მაგალითად, როგორც მონრეალის ოქმის შემთხვევაში აღმოჩნდა, ატმოსფეროში ქლოროფტორნახშირწყალბადის გამოყოფის შემცირების ნორმები, რომლებიც 1987 წლის სექტემბერში დანერგა, ამ ხელშეკრულების ამოქმედების მომენტისთვის უკვე მოძველდა და განახლებას ითხოვდა. ამის გამო მომდევნო, 1989 წლის ოზონის ფენის დაცვის შესახებ ჰელსინკის დეკლარაციის ამოქმედებისთვის მანამდე უცნობი „სწრაფი რეაგირების“ პროცედურა გამოიყენეს.⁷⁶

ჩვეულებითი სამართალი და ზოგადი პრინციპები

ისევე, როგორც კოსმოსური სამართლისა⁷⁷ და საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის შემთხვევებში,⁷⁸ გარემოს დაცვის ჩვეულებითი სამართალი

ლიც, უკეთეს შემთხვევაში, რუდიმენტულია.⁷⁹ ის, ტრადიციულად, რამდენიმე საქმეს ემყარება, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თევზსაჭერი გემის „თრეილ სმელტერის“ საარბიტრაჟო სასამართლო (Trail Smelter arbitration) კანადასა და შეერთებულ შტატებს შორის, რომელიც 1926 წელს დაიწყო და 1941 წელს დასრულდა.⁸⁰ ამ სასამართლოს გადაწყვეტილება ხშირად მოიხსენიება, როგორც ფუნდამენტური სამართლებრივი დებულების საფუძველი. ამ გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას თავისი ტერიტორიის ისეთი გამოყენება, რომელიც სერიოზულ ფიზიკურ ზიანს მიაყენებს სხვა სახელმწიფოს გარემოს. ეს დებულება განამტკიცა სხვა საქმეებმაც, მათ შორის, „ლაკ ლანოუ“ (Lac Lanoux) საქმემ⁸¹ და „გათ დემის“ (Gut Dam) საქმემ.⁸² 1996 წლის „ბირთვული იარაღის მუქარისა და გამოყენების სამართლებრივობის შესახებ საკონსულტაციო თვალსაზრისში“ საერთაშორისო სასამართლომ პირველად, უფრო ზოგადი ტერმინების გამოყენებით, დაადასტურა, რომ:

სასამართლო აღიარებს, რომ გარემო აბსტრაქცია არ არის, ის კაცობრიობის, მათ შორის, მომავალი თაობების სასიცოცხლო სივრცეს, ცხოვრების დონესა და ჯანმრთელობასაც კი წარმოადგენს. თვით არსებობა იმ ზოგადი ვალდებულებისა, რომლის თანახმად, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას, რომ მისი იურისდიქციისა და კონტროლის ფარგლებში განხორციელებულმა ქმედებებმა დააზიანონ სხვა სახელმწიფოების ან ეროვნულ კონტროლს გარეთ მდებარე ტერიტორიების გარემო, დღეს საერთაშორისო სამართლის ნაწილია.⁸³

იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს ეს განცხადება სამართლებრივ ვალდებულებას არ განსაზღვრავს,⁸⁴ ის, როგორც ვარაუდობენ, ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის სამომავლო განვითარებას.

არსებობს, აგრეთვე, მრავალი ზოგადი კონცეფცია და პრინციპი, რომლებიც გამოიყენეს ან რომელთა გამოყენების წინადადებაც წამოაყენეს სახელმწიფოთაშორის ზიანთან დაკავშირებით, მაგალითად, პრინციპი “Sic utere tuo ut alienum non laedas” („გამოიყენე შენი საკუთარი ისე, რომ სხვა არ დააზარალო“), „უფლებების ბოროტად გამოყენების“ პრინციპი, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, „კეთილმეზობლობის“ (bon voisinage) პრინციპი და მრავალი სხვა.⁸⁵ მაგრამ ასეთი პრინციპებისა და კონცეფციების სამართლებრივი სტატუსი ყოველთვის ცხადი არ არის. ეს პრინციპები და კონცეფციები, თავისთავად, არ გამოდგება ორმხრივი პრეტენზიების დაკმაყოფილებისთვის ან თუნდაც ოპერატიული გზით გარემოს დაცვის სათანადო კანონის კომპეტენციის, შემცველობისა და ფუნქციების განსაზღვრისთვის.

1972 წლიდან მოყოლებული, მრავალმა არაოფიციალურმა და ოფიციალურმა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებაში. მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამართლის ასოციაცია, გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP)⁸⁶ და ბუნების დაცვის საერთაშორისო გაერთიანება (IUCN). ამ ორგანიზაციების აქტივობა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ 1979 წელს მიღებული რეზოლუცია მდინარეებისა და ტბების დაბინძურებასთან დაკავშირებით და 1987 წელს მიღებული რეზოლუცია ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1982 წელს მიღებული რეზოლუცია გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სამართლის ასოციაცია დღესაც დაკავებულია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სამართლის კოდიფიცირებით სხვადასხვა სამართლებრივი კატეგორიების ფარგლებში, როგორებიცაა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა კოდექსის პროექტი, საერთაშორისო მდინარეებში ნავიგაციის ამკრძალველი პუნქტები, იმ ქმედებების არასასურველი შედეგისთვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი

⁷⁹ ILM 30 (1991), 800.

⁸⁰ Sand (1990), *op. cit.*, 15 with reference to a 1971 UNITAR study and other literature.

⁸¹ Sand, *ibid.*, 15.

⁸² *ib. cit.*, 13.

⁸³ *ib. cit.*, 15.

⁸⁴ *ib. cit.* W. Lang, *Diplomacy and International Environmental Law-Making: Some Observations*, *YIEL* 3 (1992), 108, who notes that today international environmental law is mostly treaty-based.

⁸⁵ *Trail Smelter case* (1931-1941), *RIAA* III 1905. *ib. K.J. Madders, Trail Smelter Arbitration*, *EPIL* 2 (1981), 276-80.

⁸⁶ *Affaire du Lac Lanoux case*, *RIAA* XII 281 (1963). *ib. D. Rauschnig, Lac Lanoux Arbitration*, *EPIL* 2 (1981), 166-8.

⁸⁷ *US v. Canada*, *ILM* 8 (1969), 118; *G. Handl, Gut Dam Claims*, *EPIL* II (1995), 653-6.

⁸⁸ *ILM* 35 (1996), 809, at 821, para. 29; *M. Fitzmaurice, Environmental Protection and the International Court of Justice*, in *V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 293-315 და *ib. cit.*, 18.

⁸⁹ *ib. cit.*, 18.

⁹⁰ *ib. J. Lambers, Pollution of International Waterways*, 1984, 556-80.

⁹¹ *M. Kilian, UNEP in Wolfrum UNLPP* II, 1296-1303.

⁸⁷ იბ. თ. 17.

⁸⁸ იბ. G. Biggs, *The Montevideo Environmental Law Programme*, *hull* 87 (1993), 328-34.

⁸⁹ Schachter, *op. cit.*, 364.

⁹⁰ იბ. D.H. Getches, *Foreword: The Challenge of Rio*, *CJIELP* 4 (1993), 1-19; M.F. Strong, *Beyond Rio: Prospects and Portents*, *ibid.*, 21-36; T.E. Wirth, *The Road from Rio - Defining a World Order*, *ibid.*, 37-44; M.P.A. Kindall, *Talking Past Each Other At The Summit*, *ibid.*, 69-79; P.H. Sand, *International Environmental Law after Rio*, *EJIL* 45 (1993), 337 et seq.; U. Beyerlin, *Rio-Konferenz 1992: Beginn einer neuen globalen Umweltrechtsordnung?*, *ZaoRV* 54, 1994, 124-47; Mulanczuk (1995), *Sustainable Development*, *op. cit.*; *idem*, *Die Konferenz der vereinten Nationen Über Umwelt und Entwicklung (UNCED) und das Internationale Umweltrechts*, in *FS Bernhardt*, 985-1002.

⁹¹ მსოფლიო ფორუმზე არასამთავრობო ორგანიზაციები მოლაპარაკებას ანარმოებდნენ 30-ზე მეტი „ხელშეკრულების“ შესახებ.

⁹² P.H. Sand, *UNCED and the Development of International Environmental Law*, *YIEL* 3 (1992), 17.

⁹³ Sand (1992), *op. cit.*, 14 et seq.

⁹⁴ UNGA Res. 44/228 of 22 December 1989.

პუნქტები, რომლებიც საერთაშორისო სამართლით აკრძალული არ არის, და საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედებებისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი პუნქტების პროექტები.⁸⁷ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარება საერთაშორისო სამართლის დეკადის (1990-99) პროგრამაში ჩართო და მხედველობაში მიიღო 1990 წლის გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის სინეზა ფორუმის დასკვნები. 1990-95 წლების „გარემოს დაცვის ერთიანი სისტემის საშუალებდო პროგრამა“ (SWMTEP) შეიცავს გაეროს ქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვის სამართალთან და ინსტიტუტებთან. ამ სფეროში UNEP-ის მუშაობა ემყარება 1981 წლის მონტევიდეოს გარემოს დაცვის სამართლის განვითარებისა და პერიოდული გადახედვის პროგრამას.⁸⁸ ეს დოკუმენტები, ძირითადად, სახელმწიფოებისგან მოითხოვენ სხვებისთვის ზარალის მიყენების თავიდან აცილებას, შერბილებასა და კომპენსაციას, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოებისთვის შესაძლო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; მაგრამ არის თუ არა, რეალურად, ეს პრინციპები ჩვეულებითი სამართლის ნაწილი, ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება.⁸⁹

გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენცია (UNCED)

170-ზე მეტი ქვეყანა და 103 მთავრობის ხელმძღვანელი მონაწილეობდა გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების უმაღლესი დონის კონფერენციაში, რომელიც რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა 1992 წლის 3-14 ივნისს.⁹⁰ ეს იმ დროისთვის ყველაზე წარმომადგენლობითი კონფერენცია და განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო, რომელსაც მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვა მოღვაწეები ესწრებოდნენ.⁹¹ საყოველთაოდაა აღიარებული, რომ კონფერენციამ თავისი წვლილი შეიტანა გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის განვითარებაში „სამართალში უწყვეტი განვითარების“ კონცეფციის ფორმალური დამკვიდრებით“.⁹² მართლაც, უწყვეტი განვითარება რიოს კონფერენციის ძირითადი თემა იყო, რომლის მნიშვნელობასთან დაკავშირებითაც სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, მაგალითად, შეერთებულ შტატებსა და სხვა ინდუსტრიულ სახელმწიფოებს შორის, ან აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის სახელმწიფოებს შორის, ან განვითარებად ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონფლიქტი კონფერენციის ძირითადი საკითხი იყო. იმის მიუხედავად, რომ სამხრეთისა და ჩრდილოეთის დაპირისპირება მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლებად მწვავე იყო, კონფერენციაზე ცხადად გამოიკვეთა პოზიციების შემდგომი პოლარიზაციის ტენდენცია, რაც „მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ახალი ორპოლუსიანი მოდელის“ შექმნით გამოიხატა.⁹³

1989 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში, რომელიც რიოს კონფერენციის მოწვევას შეეხება, კონფერენციის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დასახელებულია „გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა გაეროს გარემოს დაცვის კონფერენციის დეკლარაციის, აგრეთვე, განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული საჭიროებებისა და სირთულეების გათვალისწინებით, და გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოთა ზოგადი უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესაძლებლობის შესწავლა საერთაშორისო სამართლის არსებული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების გათვალისწინებით“.⁹⁴ ამას გარდა, რეზოლუციის თანახმად, კონფერენციას უნდა შეეფასებინა „გაეროს სისტემის

უნარი, ხელი შეუწყოს გარემოს დაცვის სფეროში დავების თავიდან აცილება-სა და დარეგულირებას, გასცეს რეკომენდაციები სათანადო ზომების შესახებ, იმ არსებული ორმხრივი და საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინებით, რომლებიც დავების გადანყვეტას შეეხება“.⁹⁵ საბოლოოდ, კონფერენციაზე მიღებულ იქნა რიოს დეკლარაცია, რომელიც გარემოს დაცვისა და განვითარების ოცდაშვიდ არასავალდებულო პრინციპს შეიცავს.⁹⁶ კონფერენციამ მიიღო, აგრეთვე, რთული და ასევე არასავალდებულო Agenda № 21, 800-გვერდიანი ყოვლისმომცველი გეგმა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს გარემოს დაცვისა და განვითარების პრობლემების გადაჭრას მომდევნო საუკუნეში. ამას გარდა, კონფერენციამ მიიღო კლიმატის შეცვლისა და ბიოლოგიური ვარიაციულობის კონვენციები. გარკვეული სირთულეების მიუხედავად, მხარეებმა მიიღეს დოკუმენტი მრავლისმეტყველი სათაურით: „სამართლებრივად არასავალდებულო დებულება ყველა ტიპის ტყეების მართვის, შენარჩუნებისა და უწყვეტი განვითარების საკითხებში გლობალური კონსენსუსის პრინციპების შესახებ“. ყველაზე სადავო საკითხები შეეხებოდა განვითარების უფლებას, განვითარებად ქვეყნებში ტყის მოხმარების შეზღუდვისა და ტყის საფარის გაზრდის მოთხოვნას და ფინანსურ ტრანსფერებს. აფრიკის ქვეყნების დაჟინებული მოთხოვნით, კონფერენციამ მიიღო მათი წინადადება გაუდაბნოების კონვენციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გამართვის შესახებ.⁹⁷

კლიმატის ცვლილების კონვენცია

კლიმატის ცვლილების კონვენციის შესახებ მოლაპარაკებები გაიმართა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დაარსებულ სამთავრობათშორისო მოლაპარაკებების კომიტეტში.⁹⁸ კონვენციას ხელი მოაწერეს 154-მა სახელმწიფომ და ევროგაერთიანებამ და 1994 წლის 21 მარტს, ორმოცდაათი სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ, ის ძალაში შევიდა. 1995 წლისთვის კონვენციის რატიფიკაცია 125-ზე მეტმა სახელმწიფომ მოახდინა. კონვენციის ძირითადი მიზანია ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევი ყველა გაზის, და არა მხოლოდ ნახშირორჟანგის, კონცენტრაციის სტაბილიზება. კონვენციაში ჩამოყალიბებულია ძირითადი პრინციპები, რომლებიც შეეხება სამართლიანობას, სახელმწიფოთა „საერთო, მაგრამ დიფერენცირებულ პასუხისმგებლობას“, გამაფრთხილებელ ზომებს, განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებულ საჭიროებებსა და გარემოებებს, უწყვეტ განვითარებასა და საერთაშორისო ვაჭრობას. ეს კონვენცია უფრო შედეგიანი იყო, ვიდრე მისი წინამორბედები, მაგალითად, მონრეალის ოქმი და დიდ მანძილზე ჰაერის დაბინძურების კონვენცია. მაგრამ შეერთებული შტატებისა და OPEC-ის ქვეყნების წინააღმდეგობის შედეგად კონვენციაში არ არის მკაცრად განსაზღვრული სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების გამოყოფის რაოდენობრივი შეზღუდვები ყველა კონკრეტულ დონეზე და დროის კონკრეტულ მონაკვეთში. განვითარებული ქვეყნები 2000 წლისთვის „ანთროპოგენული გამონახობლქვის ადრინდელ დონეზე დაბრუნების“ მნიშვნელობის აღიარებით დაკმაყოფილდნენ. თუმცა ისინი უფრო მკაცრ მოთხოვნებზე დათანხმდნენ 1990 წლის გამონახობლქვის მოცულობის დონეზე ინდივიდუალურად ან ერთობლივად დაბრუნების მიზნით. ევროგაერთიანებამ წარმოადგინა დებულება, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მიზანი – 2000 წელს ნახშირორჟანგის გამოყოფის 1990 წლის დონემდე შემცირება. შეერთებული შტატები პირველი ინდუსტრიული ქვეყანა (და მსოფლიოში მეორე – მავრიკიის შემდეგ) იყო, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება (1992 წლის 7 ოქტომბერს),⁹⁹ მაგრამ მხოლოდ 1993 წლის აპრილში განაცხადა, რომ 2000 წლისთვის გამონახობლქვის მოცულობას 1990 წლის დონემდე შეამცირებდა.¹⁰⁰

⁹⁵ *Ibid.*

⁹⁶ რიოს დოკუმენტი იხ. *ILM* 31 (1992), 818 *et seq.* (except Agenda 21); N.A. Robinson (ed.), *Agenda 21 & UNCED Proceedings*, 1992; S. Johnson (ed.), *The Earth Summit: The United Nations Conference on Environment and Development (UNCED)*, 1992.

⁹⁷ The Convention to Combat Desertification in those Countries Experiencing Serious Drought and/or Desertification, Particularly in Africa, 17 June 1994, (1994), 1328; W.C. Burns, *The International Convention to Combat Desertification: Drawing a Line in the Sand?*, *Mich. JIL* 16 (1995), 831-82.

⁹⁸ *ILM* 31 (1992), 849; *YIELI* (1990), 101-4; 2 (1991), 111-5; 3 (1992), 228-31 (T. Goldman and S. Hajost as reporters); E.P. Barnatt-Brown/S.A. Hajost/J.H. Sterne, Jr., *A Forum for Action on Global Warming: The UN Framework Convention on Climate Change*, *CJIELPA* (1993), 103-18; D. Bodansky, *Managing Climate Change*, *YIEL* 3 (1992), 60-74; M.J. Lalonde, *The Role of Risk Analysis in the 1992 Framework Convention on Climate Change*, *Mich. JIL* 15 (1994), 215-54.

⁹⁹ *ASILIELGNews*, 3/2 (1993), 2.

¹⁰⁰ *ASILIELGNews* 4/1 (1993), 2; S. Oberthur/H. Ott, *First Conference of the Parties*, IPL 25 (1995), 144-56.

¹⁰¹ ILM 30 (1991), 1735.

¹⁰² United Nations Framework Convention on Climate Change Conference of the Parties: Decisions Adopted by the First Session (Berlin, 28 March-7 April, 1995). Introductory Note by M. Carlson and A. Peterson. *ILM* 34(1995), 1671-1711.

¹⁰³ კონვენციის ტექსტი იხ. *ILM* 31 (1992), 818; იხ. M. Chandler, *The Biodiversity Convention: Selected Issues of Interest to the International Lawyer*. *CJELP4* (1993), 141-75; R.L. Margulies, *Protecting Biodiversity: Recognizing International Intellectual Property Resources*, *Mich. JIL* 14 (1993), 322; M. Bowman/C. Redgwell (eds), *International Law and the Conservation of Biological Diversity*, 1995; F. McConnell, *The Biodiversity Convention. A Negotiating History*, 1996.

¹⁰⁴ J.v. Wijk/G. Junne, *Intellectual Property Protection of Advanced Technology - Changes in the Global Technology System: Implications and Options for Developing Countries*, The United Nations University, INTECH Working Paper No. 10, October 1993.

კონვენცია განსაზღვრავს პროცესს, რომლის მეშვეობითაც მხარეებს, საბუნებისმეტყველების გამოყენების გაზრდის ეროვნული კატალოგისა და ჰაერის დაბინძურების პოლიტიკისა და ზომების შესახებ რეგულარული ანგარიშის საფუძველზე, შეუძლიათ თვალი ადევნონ და გააკონტროლონ კლიმატის ცვლილებები ჰაერის დაბინძურების შედეგად. განვითარებული ქვეყნები დათანხმდნენ, დააფინანსონ განვითარებადი ქვეყნების ანგარიშები, აგრეთვე, განვითარებადი ქვეყნების სხვა პროექტები, რომელთაც კონვენციის ფინანსური მექანიზმი – მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის გლობალური გარემოს დაცვის სამსახური (GEF)¹⁰¹ მოიწონებს. ამას გარდა, არსებობს მეცნიერულ კვლევასთან, ინფორმაციის გაცვლასთან, განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ზოგადი ვალდებულებებიც. კონვენციაში ნაწარაუდევია მომავალში დამხმარე ორგანოს შექმნა, რომელიც განაგრძობს მეცნიერული შეფასების უზრუნველყოფას და ტექნოლოგიის განვითარების მიმართულებების განსაზღვრას (პუნქტი 9). ფინანსურ მექანიზმთან დაკავშირებული დავა სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის სამთავრობათშორისო მოლაპარაკებების კომიტეტის შემდგომ სხდომებზეც განახლდა. მხარეების პირველ კონფერენციაზე, რომელიც 1995 წლის აპრილში შედგა ბერლინში, ვერ მოხერხდა მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, რაც, ნაწილობრივ, ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების, მაგალითად, საუდის არაბეთისა და ქუვეითის, პოზიციის შედეგი იყო. მონაწილეები შეთანხმდნენ, გაეგრძელებინათ მოლაპარაკებები ძირითადი კონვენციის (რომლის მიღებაც 1997 წელს იყო ნაწარაუდევია) დამატებითი ოქმის ან სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტის შესახებ.¹⁰²

ბიოლოგიური ვარიაციულობის კონვენცია

ბიოლოგიური ვარიაციულობის კონვენცია მომზადდა გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მფარველობის ქვეშ სამთავრობათშორისო მოლაპარაკებების კომიტეტის მიერ და წარდგენილ იქნა ხელმოსაწერად რიოს კონფერენციაზე.¹⁰³ 1993 წლის ივნისისთვის მას 163-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. კონვენცია ძალაში შევიდა 1993 წლის 29 დეკემბერს, ოცდაათი სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ. კონვენციის მიზანია ბიოლოგიური ვარიაციულობის შენარჩუნება და უწყვეტი გამოყენება, მისი გამოყენების შედეგად მიღებული მოგების თანაბარი და სამართლიანი განაწილება და ბიოტექნოლოგიის დარეგულირება. გადაშენების პირას მდგარი სახეობებისა და ბიოლოგიური მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების ეროვნული სიების შექმნასთან დაკავშირებით მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ამის ნაცვლად შეთანხმდნენ ისეთ მიდგომაზე, რომელიც ითვალისწინებს ბიოლოგიური ვარიაციულობისთვის საჭირო ეროვნული გეგმების, პროგრამებისა და ზომების ეროვნული მონიტორინგის უზრუნველყოფას სავალდებულო საერთაშორისო ანგარიშგების პირობებში.

ტექნოლოგიის ფლობა და ტრანსფერი „უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებით, შეღავათებისა და პრივილეგიების ჩათვლით“, მაგრამ მხოლოდ „ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე“. პატენტების ტრანსფერი უნდა ემყარებოდეს „პირობებს, რომლებიც აღიარებს და შეესაბამება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადეკვატურ და ეფექტურ დაცვას“.¹⁰⁴ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებები „ხელს უწყობს და არ ეწინააღმდეგება“ კონვენციის მიზნებს, აუცილებელია თანამშრომლობა. სახელმწიფოს ენიჭება მის გენეტიკურ რესურსებზე დამყარებული ბიოტექნოლოგიების გამოყენების შედეგებისა და სარგებლის ფლობის უპირატესი უფლება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. განვითარებული ქვეყნები ვალდებული არიან, მიაწოდონ „ახალი და დამატებითი

ფინანსური რესურსები“ განვითარებადი ქვეყნების იმ „წინასწარ შეთანხმებული მთლიანი ზრდადი ხარჯების“ დასაფარავად, რომლებიც გამოწვეულია კონვენციის მოთხოვნების შესრულებით და შეთანხმებულია კონვენციის ფინანსურ მექანიზმთან. ეს უკანასკნელი კონვენციის მხარეების კონფერენციის დაქვემდებარებაშია. GEF დროებით ფინანსური მექანიზმის ფუნქციებს შეასრულებს, იმ პირობით, რომ ის „სრულ რესტრუქტურისაზიას“ განახორციელებს.

ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ხელი არ მოაწერა რიოს ბიოლოგიური ვარიაციულობის კონვენციას, შვედეთი უნდა იყოს. მისი ასეთი პოზიცია განპირობებულია ქვეყნის ბიოტექნოლოგიისა და ფარმაკოლოგიის დარგების ზენოლით, რომლებიც ტროპიკული ქვეყნების რესურსებით არიან დაინტერესებული. შვედეთულმა შტატებმა განაცხადა, რომ დებულებები ინტელექტუალური საკუთრების, დაფინანსების მექანიზმისა და ბიოტექნოლოგიის შესახებ „საკმაოდ არაკორექტული“ იყო.¹⁰⁵ მიუხედავად ამისა, 1993 წლის ივნისში შვედეთულმა შტატებმა კონვენციას ხელი მოაწერა და განაცხადა, რომ თავის ფორმალურ პოზიციას ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით კონვენციის განმარტებით დოკუმენტში გამოხატავდა.¹⁰⁶ ამას გარდა, შვედეთულმა შტატებმა სხვა ხელისმომწერებს მოუწოდა, განეხორციელებინათ ისეთი პოლიტიკა, რომელიც არ შეზღუდავდა ბიოტექნოლოგიური პროდუქციის განვითარებას, კომერციალიზაციასა და მარკეტინგს, და აღნიშნა, რომ შვედეთული შტატები მხარს უჭერს ეკონომიკურ სტიმულებს, როგორცაა გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული მოგების სამართლიანი და თანასწორი განაწილება, და ყველაფერს იღონებს იმისთვის, რათა შედგეს ბიოლოგიური უსაფრთხოების ოქმის შექმნის საჭიროების განხილვა, და რომ ბიოლოგიური უსაფრთხოების კანონები მეცნიერულად დასაბუთებული და ლოგიკურად ჩამოყალიბებული უნდა იყოს. კონვენცია განსახილველად გადაეცა შვედეთული შტატების სენატს, რომელმაც 1993 წლის 30 ნოემბერს მისი რატიფიცირება განახორციელა.¹⁰⁷

¹⁰⁵ ASIL EUGNewsI. 3/1 (1992), 2.
¹⁰⁶ ASILIELNews. 4/1 (1993), 1.
¹⁰⁷ ASILIELNews. 5/1 (1994), 2.
¹⁰⁸ JLM 31 (1992), 874. ob. F.K. Boon, The Rio Declaration and Its Influence on International Environmental Law. *Sing. JLS*(1992), 347-64; J.D.Kovar, A Short Guide to the Rio Declaration, (1993), 119-40; Malanczuk (1995), Sustainable Development, *op. cit.*
¹⁰⁹ M. Botte/H. Hohmann, *JIEL* 3 (1993), 174 *et seq.*; Hohman, *op. cit.*, D. Freestone (ed.), *The Precautionary Principle and International Law*, 1995.

რიოს დეკლარაცია და Agenda № 21

რიოს დეკლარაცია, 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის მომდევნო საფეხური, ისეთი დიდი და რთული კომპრომისი იყო სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის, რომ მოსამზადებელმა კომისიამ 1992 წლის აპრილში დეკლარაციის ტექსტის განხილვის შემდეგ ის გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე განსახილველად აღარ წარადგინა.¹⁰⁸ დეკლარაციის ოცდაშვიდ პრინციპში განხილულია, *inter alia*, სახელმწიფოთა საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობა გარემოს გლობალურ დეგრადაციაში ამ სახელმწიფოთა წვლილის გათვალისწინებით, წარმოებისა და მოხმარების არასასურველი შედეგების შემცირებისა და აღმოფხვრის, აგრეთვე, სათანადო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების აუცილებლობა, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პროფილაქტიკა, განვითარების უფლება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ინდივიდის უფლება, ფლობდეს ხელისუფლების განკარგულებაში მყოფ ინფორმაციას, სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარედან მომდინარე ექსტრემალური ბუნებრივი პირობების საპასუხოდ ცალმხრივი სავაჭრო ზომების განხორციელების თავიდან აცილება, აგრეთვე, ქალებისა და მკვიდრი მოსახლეობის როლი.¹⁰⁹

Agenda №21 წარმოადგენს გარემოს დაცვისა და განვითარებისკენ მიმართული ქმედებების არასავალდებულო გეგმას, რომლის ოთხ პარაგრაფში განხილულია სექტორული საკითხები – ატმოსფერო, ოკეანეები, სუფთა წყალი და მიწის რესურსები, სექტორთშორისი საკითხები – სიღარიბე, დემოგრაფია და ადამიანთა ჯანმრთელობა, გეგმის შესრულების საშუალებები, ფი-

¹¹⁰ Robinson (ed), *op. cit.*

¹¹¹ Bothe/Hohmann *op. cit.*, 177.

¹¹² Agenda 21, Chapter 33, para. 20.

¹¹³ Introductory statement made by the Secretary-General of the Conference at the fourth session of the Preparatory Committee. UN Doc. A/CONF.151/PC/97/ Add. 1 of 4 March 1992, 4.

¹¹⁴ იბ. თ. 15.

¹¹⁵ იბ. Beyerlin, *op. cit.*, 132-3.

ნანსებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის, აგრეთვე, ინსტიტუციური და სამართლებრივი საკითხების ჩათვლით.¹¹⁰ აქვეა მოხსენიებული მნიშვნელოვანი ჯგუფები – ქალები, ბავშვები, ადგილობრივი მოსახლეობა და არასამთავრობო ორგანიზაციები. ყოველმხრივი მიდგომის მიუხედავად, Agenda-ში გამოტოვებულია ისეთი წინააღმდეგობრივი საკითხები, როგორებიცაა მოსახლეობის ზრდა, სამომხარებლო მოდელები და განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალეები. მაგრამ ყველაზე სადავო საკითხები დაკავშირებულია საკვანძო თავთან, რომელშიც ფინანსირების წყაროებია განხილული, კერძოდ, „ახალი და დამატებითი“ ფინანსური წყაროები, რომელთაც გამუდმებით ეძებენ განვითარებადი ქვეყნები, ნაწილობრივ, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების პოზიციასთან კონკურენციის პირობებში,¹¹¹ აგრეთვე, დაფინანსების სათანადო მექანიზმები. სამხრეთში 21-ე Agenda-თი გათვალისწინებული ამოცანების შესრულების საშუალო წლიურმა ხარჯმა, UNEP-ის გარემოს დაცვის ფონდისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონვენციებისა თუ ოქმების დაფინანსების ხარჯებს თუ არ ჩავთვლით, 1993-2000 წლებში 600 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა ამ თანხის დიდი ნაწილი თავად განვითარებადი ქვეყნების ვალია: წელიწადში დაახლოებით 125 მილიარდი აშშ დოლარი ინდუსტრიული ქვეყნების მიერაა გაცემული გრანტის ან უალრესად შეღავათიანი კრედიტის სახით.¹¹²

ამ რიცხვების საფუძველი საკმაოდ ბუნდოვანია, ხოლო თვით ეს რიცხვები მხოლოდ იმიტომაა აღებული ხარჯების მაჩვენებლად, რომ საკმარისი სიზუსტით გამოთვლურს ჩატარება შეუძლებელია.¹¹³ 125 მილიარდი აშშ დოლარი ძირითადი დონორი ქვეყნების მიმდინარე მშპ-ს ერთ პროცენტზე ნაკლებია, მაგრამ ეს მაინც მნიშვნელოვანი თანხაა, ოფიციალურ განვითარების დახმარებასთან (ODA) ერთად, რომელთან დაკავშირებითაც მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ მიაღწია UNSTAD-ის ნორმას, რაც მშპ-ს 0,7 პროცენტს შეადგენს.¹¹⁴ არსებობდა იმის რეალური მოლოდინიც, რომ 21-ე Agenda-ს ასამოქმედებლად საჭირო წელიწადში რამდენიმე მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სავალდებულო გადახდის გარდა, ჩრდილოეთის ქვეყნებიდან კიდევ მოხერხდებოდა დამატებითი თანხის ამოღება, იმის გათვალისწინებით, რომ მრავალ განვითარებად ქვეყანას არ ძალუძს ასეთი დიდი თანხების სწრაფად ათვისება და ეფექტიანად გამოყენება. Agenda №21-ში ფინანსური საკითხების სრული მოგვარება არ მოხერხდა. ეს საკითხები რეგულარული განხილვის მიზნით დაუკავშირდა 38-ე პარაგრაფში ჩამოყალიბებულ ინსტიტუციონალური რეფორმების წინადადებებს და უწყვეტი განვითარების კომისიის შექმნას.

დასკვნები

კონფერენციის რეალურ შედეგებთან დაკავშირებით მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს: იმედგაცრუებიდან ზომიერად პოზიტიურ რეაქციებამდე. ორი დოკუმენტი, რომლებიც რიოს კონფერენციაზე მიიღეს, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების ინსტრუმენტები, კლიმატის შესახებ კონვენცია და ბიოლოგიური ვარიაციულობის შესახებ კონვენციაა. რიოს არასავალდებულო დეკლარაცია, ტყის პრინციპები და Agenda № 21, იშვიათი გამონაკლისით, მხოლოდ პოლიტიკური და მორალური ხასიათის ვალდებულებებისგან შედგება.¹¹⁵ კერძოდ, ტყის პრინციპებში, რომლებიც ხასიათდება, როგორც „სამართლებრივად არასავალდებულო“, მაგრამ „ბრძანებითი“, ასახულია ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის ცალსახა სამართლებრივი შედეგების მიღწევასთან დაკავშირებული სირთულეები.

რიოს დეკლარაციის პრინციპი 1, რომლის თანახმად, ადამიანი „უწყვეტ

განვითარებაზე ზრუნვის ცენტრში დგას“ და „უფლება აქვს იცხოვროს ჯანმრთელი და პროდუქტიული ცხოვრებით ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში“, პრინციპი 3 „თაობათშორისი თანასწორობის“ შესახებ და პრინციპი 4, რომელშიც გარემოს დაცვა „განვითარების პროცესის განუყრელ ნაწილად“ არის გამოცხადებული, მხოლოდ პროგრამული ხასიათის პრინციპებია.¹¹⁶ თითქმის შეუძლებელია „თაობათშორისი თანასწორობის“, როგორც შესაძლო სამართლებრივი კონცეფციის საფუძვლისა და მნიშვნელობის დადგენა.¹¹⁷ სხვა პრინციპები ისე ჟღერს, თითქოს ისინი არსებული ჩვეულებითი სამართლის კვლავ დადასტურებას ცდილობენ. მაგრამ სხვა ქვეყნების გარემოსადმი ზიანის მიყენებისას ჩვეულებითი სამართალი თითქმის არ გამოდგება.¹¹⁸ პრინციპი 2 ადასტურებს სხვა ქვეყნების გარემოსადმი ზიანის მიყენების აკრძალვას, რაც უკვე ჩამოყალიბებულია სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპში, რომელიც დღეს ჩვეულებითი სამართლის იმ ნაწილად ითვლება, სადაც ასახულია ტერიტორიული სუვერენიტეტისა და მთლიანობის პრინციპი, მაგრამ მხოლოდ „მნიშვნელოვანი“ ზიანის შემთხვევაში.¹¹⁹ ამას გარდა, რიოს დეკლარაციის მე-18 და მე-19 პრინციპებში მოცემული სახელმწიფოთა ურთიერთვალდებულებები ინფორმაციისა და შეტყობინებების გაცვლასთან დაკავშირებით ის პროცედურული წესებია, რომლებიც ჩვეულებით საერთაშორისო სამართალშია მიღებული. რაც შეეხება ხალხის მონაწილეობას (პრინციპი 10), „წინასწარი ზომების მიდგომას“ (პრინციპი 15), პრინციპს „დამნაშავე იხდის“ (პრინციპი 16) და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (პრინციპი 17), საეჭვოა, რომ ამ პრინციპებს საერთაშორისო სამართლის პრინციპების სტატუსი ჰქონდეთ. ამ ეჭვს ბადებს ურთულესი საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ზოგადი ჩვეულებითი სამართალი გამომდინარეობდეს ხელშეკრულებებში მოცემული წესების განვითარებიდან.¹²⁰

უფრო მეტიც, თუმცა კლიმატის შესახებ კონვენცია და ბიოლოგიური ვარიაციულობის შესახებ კონვენცია გარკვეულ ვალდებულებებსაც შეიცავს, მათი ნორმატიულობის მასშტაბები შეზღუდულია. ბიოლოგიური ვარიაციულობის კონვენციაში მოცემული ვალდებულებები ხშირად აბსტრაქტულია და შეზღუდულია ისეთი დამატებებით, როგორიცაა „რამდენადაც შესაძლებელია“¹²¹ ან „კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე“.¹²² ეს შესაბამისობაშია გარემოს გლობალური დაცვის სფეროში არსებული საკანონმდებლო პროცესის ხასიათთან. დღეისთვის კლიმატისა და ბიოლოგიური ვარიაციულობის კონვენციებს ორი პრინციპული ნაკლი აქვთ: მათი ნორმატიული მიზნები არასაკმარისად გლობალურია იმისთვის, რომ შეიქმნას ყოვლისმომცველი საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დაიცავს პლანეტის ატმოსფეროსა და სასიცოცხლო რესურსებს, ამასთანავე, ეს კონვენციები მხოლოდ ჩარჩოა, რომელთა ეფექტიანი ამოქმედებისთვის უფრო დაწვრილებითი წესების შექმნაა საჭირო.

ამგვარად, რიოს კონფერენციის სამართლებრივი შედეგები, რეალური ვალდებულებების თვალსაზრისით, საკმაოდ მწირია. უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა „უნყვეტი განვითარების“ მნიშვნელობის განსაზღვრისა და ეფექტიანი გადანყვეტილებების მიღების მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ასპექტებს.¹²³ ინსტიტუციური რეფორმების შორსმომავალი წინადადებები, მათ შორის, გარემოს დაცვის მსოფლიო საკანონმდებლო ორგანოს, „ეკოლოგიური უსაფრთხოების“ საბჭოს ან გარემოს დაცვის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა,¹²⁴ არასაკმარისი სერიოზულობით განიხილეს რიოს კონფერენციაზე. მიღებული ინოვაციები გაცილებით ზომიერია. 21-ე Agenda-ს 38-ე პარაგრაფში წამოყენებული წინადადებების თანახმად 1993 წელს შეიქმნა გაეროს უწყვეტი განვითარების კომისია.¹²⁵ ეს კომისია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC)¹²⁶ „ფუნქციონალურ კომისიას“ წარმოადგენს და შედგება ორმოცდაცამეტი სახელმწიფოს წარმომად-

¹¹⁶ *ibid.*, 133.

¹¹⁷ *ib.* E.B. Weiss, *In Fairness to Future Generations: International Law, Common Patrimony, and Intergenerational Equity*, 1989; G.P. Supanicti, *The Legal Basis of Intergenerational Responsibility: An Alternative View - The Sense of Intergenerational Identity*. WE 3 (1992), 94 *et seq.*

¹¹⁸ Lang (1992). *op. cit.*, 108; Schachter, *op. cit.*, 364.

¹¹⁹ Beyerlin, *op. cit.*, 126 and 133 with further references.

¹²⁰ *Ibid.*, 134 with references.

¹²¹ Articles 5, 7, 8, 9, 11, 14. Biodiversity Convention.

¹²² Article 6.

¹²³ L.A. Kimball, *Toward Global Environment: The Institutional Setting*, YIEL 3(1992), 19-42.

¹²⁴ *ib.*, 18.

¹²⁵ Eagerly Awaited Commission Established. BPL 23 (1993), 58-60; Commission on Sustainable Development - First Substantive Session. *ibid.*, 190-201.

¹²⁶ *ib.*, 21.

¹²⁷ Commission on Sustainable Development. Key-note Address by US Vice-President Al Gore, *EPL* 23 (1993), 183, at 184.

¹²⁸ A.E. Boyle (ed.), *Environmental Regulation and Economic Growth*, 1995.

¹²⁹ *UN Chronicle* 33 (1996), no. 2.72. 130R. Wolfum (ed.), *Enforcing Environmental Standards. Economic Mechanisms as Viable Means?*, 1996.

¹³⁰ On new mechanisms to enforce international environmental standards. R. Wolfum (ed.), *Enforcing Environmental Standards. Economic Mechanisms as Viable Means?*, 1996.

გენლისგან, რომელთაც სამწლიანი ვადით ირჩევენ გეოგრაფიული განაწილების პრინციპის შესაბამისად. კომისიას ევალუა რიოს დოკუმენტების, განსაკუთრებით 21-ე Agenda-ს ამოცანების შესრულების ზედამხედველობა და ფინანსური რესურსებისა და მექანიზმების შემდგომი ზომებისა და საკითხების განხილვა.

იმის იმედი, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები განვითარებადი ქვეყნებისთვის ფინანსებისა და ტექნოლოგიების ნაკადის მნიშვნელოვანი გაზრდის ვალდებულებას იკისრებდნენ, არ გამართლდა. იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამაა დამოკიდებული რიოს კონფერენციაზე დაწყებული პროცესის შემდგომ განვითარებაზე, ერთი რამ უკვე ცხადია: კონფერენციის შედეგად არ გადადგმულა არც ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი გლობალური გარემოს დაცვის სფეროში და არც სამხრეთის ქვეყნების განვითარების თვალსაზრისით შეცვლილა რამე. რიოში ჩრდილოეთის ქვეყნებმა მიაღწიეს გარემოს დაცვის სამართლის ისეთი საფუძვლის შექმნას, რომელიც მისაღებია ინდუსტრიული ქვეყნებისთვის, მაგრამ არანაირ რეალურ შედეგს არ ითვალისწინებს სამხრეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის. აქ ძირითადი მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ, როცა რიოს კონფერენციას შეეძლო, მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად ქცეულიყო, სინამდვილეში მან უწყვეტი განვითარების დილემის ამოხსნა ვერ შეძლო და მხოლოდ შედეგითიანი პოზიციების შექმნა მოახერხა მომავალი მოლაპარაკებებისთვის.

რაც შეეხება საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს, Agenda № 21-ის პრიორიტეტს გამოყოფს: (1) არსებული საერთაშორისო სამართლის გადახედვა და შეფასება; (2) განხორციელების მექანიზმებისა და შესაბამისობაში მოყვანის ზომების შემდგომი განვითარება; (3) საერთაშორისო საკანონმდებლო პროცესში ყველა ქვეყნის რეალური მონაწილეობა და (4) დავების გადაჭრის მეთოდების რანგი და ეფექტიანობა. „გარემოს დაცვის გლობალური კანონმდებლობის“ სფეროში სწორედ ამ პრიორიტეტებით აღინერება გაეროს უწყვეტი განვითარების ახლად შექმნილი კომისიის პროგრამა. აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ასეთი აზრი გამოთქვა უწყვეტი განვითარების კომისიის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილ მოხსენებაში:

მივმართავ განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებს: ჩვენ არაპროპორციულად დიდ ზემოქმედებას ვახდენთ დედამიწის გარემოზე. ჩვენი მოსახლეობა კაცობრიობის მეოთხედზე ნაკლებს შეადგენს, მაგრამ ჩვენ მსოფლიო ნედლეულის სამ მეოთხედს ვიყენებთ და მყარი ნარჩენების სამ მეოთხედს ვქმნით. უფრო გასაგები რომ იყოს, ამ აზრს ასე გამოვხატავ: შეერთებულ შტატებში დაბადებული ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში 30-ჯერ უფრო ძლიერ ზემოქმედებას მოახდენს დედამიწის გარემოზე, ვიდრე ინდოეთში დაბადებული ადამიანი. მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს აკისრიათ პასუხისმგებლობა გარემოზე თავიანთი არაპროპორციულად დიდი ზემოქმედების გამო.¹²⁷

გარემოს დაცვის გლობალური სამართლის შექმნის მომავალი რიოში დაწყებული პროცესის წარმატებაზეა დამოკიდებული, იმ პროცესისა, რომლის მიზანსაც გარემოს დაცვის სამართლისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამების ჭეშმარიტი ინტეგრაცია წარმოადგენს.¹²⁸ 1997 წლის ივნისში გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია კიდევ ერთხელ განიხილავს Agenda-ს № 21-ს.¹²⁹ დასასრულს, გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში საერთაშორისო სამართლის წვლილი მხოლოდ დამხმარე შეიძლება იყოს.¹³⁰ ფინანსები მომავალი ათწლეულების ძირითად საკითხად რჩება. გაეროს სისტემის ინსტიტუციური რეფორმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

17. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა

სახელმწიფოს მიერ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმის ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას გვაქვს „საერთაშორისო სამართალდარღვევა.“¹ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის სამართლის ძირითადი ამოცანაა იმის გარკვევა, ჩაიდინა თუ არა სახელმწიფომ სამართალდარღვევა, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგოს; რა სამართლებრივ შედეგებამდე მიგვიყვანა სახელმწიფოს ქმედებამ (დაეკისროს ადრინდელი მდგომარეობის აღდგენა თუ კომპენსაციის გადახდა) და რა სახით უნდა დაეკისროს მას პასუხისმგებლობა (დაზარალებული სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ვალდებულების დაკისრება; რეპრესალია ან რეტორსია).²

ზოგჯერ სიტყვა „პასუხისმგებლობის“ ნაცვლად „ვალდებულება“ იხმარება, რაც ლიტერატურული ენისათვის დამახასიათებელი ფორმალობაა. „ვალდებულება“ ხშირად კომპენსაციის გადახდის მოვალეობას გულისხმობს. მაგრამ ის შეიძლება გულისხმობდეს სახელმწიფოს მოვალეობასაც, რომელიც ჩნდება სახელმწიფოს ისეთი სახიფათო საქმიანობის შედეგად, რომელსაც ზიანის მომტან შედეგებამდე მიყვავართ, მაგრამ რომელიც საერთაშორისო სამართლით აკრძალული არ არის. ასეთი შემთხვევაა, მაგალითად, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს საზღვართან ახლოს ატომური ელექტროსადგურის ამოქმედება (რაც კანონიერი ქმედებაა), რომელიც დაზიანების შემთხვევაში მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიის რადიოაქტიურ დაბინძურებას გამოიწვევს (მსგავსი საზიანო შედეგები კომპენსაციას საჭიროებს).

საერთაშორისო სამართლის კომისია

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო საკითხია, რომელზეც საერთაშორისო სამართლის კომისიას უმუშავია.³ ამ საკითხით დაინტერესებული ავტორები აღნიშნავენ:

იმ დროს, როდესაც კომისიის მიერ შესწავლილი ყველა ყოფილი თუ მიმდინარე საკითხი საერთაშორისო სამართლის უმთავრეს ნორმებს შეეხება, სახელმწიფო პასუხისმგებლობის საკითხი თავისი შინაარსის მიხედვით მოიცავს „მედლის მეორე მხარეს“, სამართლის ნორმებისა და შედეგების ერთობლიობას, რომელიც სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას შეეხება. არც ერთი საკოდიფიკაციო პროექტი არ მოითხოვს საერთაშორისო სამართლის ისეთ ღრმა თეორიულ და იდეოლოგიურ შესწავლას, როგორც სახელმწიფო პასუხისმგებლობის საკითხი.⁴

სახელმწიფო პასუხისმგებლობისადმი საერთაშორისო სამართლის კომისიის მიდგომამ დროთა განმავლობაში აბსტრაქტული და რთული ხასიათი შეიძინა. თავდაპირველად ეს საკითხი უფრო ვიწრო ხასიათს ატარებდა: პირველი ექვსი მოხსენება გააკეთა სპეციალურმა მომხსენებელმა, ე. ვ. გარსია ამადორმა 1956-61 წლებში. მოხსენებები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ან საკუთრებისათვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფო პასუხისმგებლობას ეხებოდა. მოგვიანებით ასეთი ვიწრო მიდგომა უკუაგდეს, ნაწილობრივ იმის გამო, რომ იმ დროისათვის ეს საკითხი საკმაოდ სადავო იყო. 1962-63 წლებში ხელმეორე განხილვის შემდეგ საერთაშორისო სამართლის

¹ იხ. *Harris CMIL*, 460-599; *Restatement (Third)*, Vol. 2, 184-229; R. Wolfrum, *Internationally Wrongful Acts*, *EPIL* II (1995), 1398-1403. იხ. აგრეთვე, I. Brownlie, *State Responsibility*, 1983, Part I; J. Quigley, *Complicity in International Law: A New Direction in the Law of State Responsibility*, *BYIL* 57 (1986), 77-132; K. Zemanek, *Responsibility of States: General Principles*, *EPIL* 10 (1987), 362-73; R. M. Dupuy, *The International Law of State Responsibility: Revolution or Evolution?*, *Mich. JIL* (1989), 105; J. Wolf, *Gibt es im Völkerrecht einen einheitlichen Schadensbegriff?*, *ZaoRV* 49 (1989), 403; H. Fox, *State Responsibility and Tort Proceedings Against a Foreign State in Municipal Courts*, *NYLJ* 20 (1989), 3-34; I. Brownlie, *Principles of Public International Law*, 4th edn 1990, 381-552; A. Reinisch, *State Responsibility for Debts*, 1995; P. Malanczuk, *International Business and New Rules of State Responsibility? - The Law Applied by the United Nations (Security Council) Compensation Commission for Claims Against Iraq*, in K.-H. Bockstiegel (ed.), *Perspectives of Air Law, Space Law and International Business Law for the Next Century*, 1996, 117-64.

² იხ. თ. 1.

³ იხ. თ. 3.

⁴ M. Spinedi/B. Simma (eds), *United Nations Codification of State Responsibility*, 1987, Introduction; K. Zemanek/J. Salmon, *Responsabilité internationale*, 1987; S. Rosenne, *The International Law Commission's Draft Articles on State Responsibility*, 1991.

⁵ D. Alland/J. Combacau. "Primary" and "Secondary" Rules in the Law of State Responsibility: Categorizing International Obligations, *NYIL* 16 (1985), 81-109.

⁶ M. Akehurst, *International Liability for Injurious Consequences Arising Out of Acts Not Prohibited by International Law*, *NYIL* 16 (1985), 3-16; M.C.W. Pinto, *Reflections on International Liability for Injurious Consequences Arising out of Acts Not Prohibited by International Law*, *ibid*, 17-48; G. Handl, *Liability as an Obligation Established by a Primary Rule of International Law: Some Basic Reflections on the International Law Commission's Work*, *ibid*, 49-79; L.F.E. Goldie, *Concepts of Strict and Absolute Liability and the Ranking of Liability in Terms of Relative Exposure to Risk*, *ibid*, 175-248; O'Keefe, *Transboundary Pollution and the Strict Liability Issue: The Work of the International Law Commission on the Topic of International Liability for Injurious Consequences Arising Out of Acts Not Prohibited by International Law*, *DuVer JILPW* (1990), 145-208; S. Erichsen, *Das Liability-Projekt der ILC*, *ZaRV* 52 (1991), 94-144; F. Scovazzi, *International Responsibility for Environmental Harm*, 1991; A. Rest, *Ecological Damage in Public International Law: International Environmental Liability in the Drafts of the UN International Law Commission and the UNECE Task Force*, *EPL* 22 (1992), 31-41; P. Thomas, *Environmental Liability*, 1993; J. Barboza, *International Liability for the Injurious Consequences of Acts Not Prohibited by International Law and Protection of the Environment*, *RdC* 247 (1994-111), 291-406; S.D. Murphy, *Prospective Liability Regimes for the Transboundary Movement of Hazardous Wastes*, *AJIL* 88 (1994), 24; R. Lefebvre, *Transboundary Environmental Interference and the Origin of State Liability*, 1996.

⁷ M. A.E. Boyle, *State Responsibility and International Liability for Injurious Consequences of Acts Not Prohibited by International Law: A Necessary Distinction?*, *ICLQ* 39 (1990), 1-26; M. A. Fitzmaurice, *International Environmental*

კომისიამ გადანყვიტა, აღარ შემოეფარგლა საკითხის შესწავლა მხოლოდ კონკრეტული თემით, მაგალითად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის დადგენით, და დაენყო საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების დარღვევისათვის სა-ხელმწიფოს პასუხისმგებლობის წესების შემუშავება, რომელთა შორისაა პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებასთან დაკავშირებული სა-ხელმწიფოთა ვალდებულებების დარღვევისათვის. ამას გარდა, საერთაშორისო სამართლის კომისიამ გადანყვიტა მიიღო, მოეხდინა არა „პირველადი“ ნორმების განმარტება და კოდიფიკაცია (რადგანაც მათი კოდიფიკაცია არაპრაქტიკული იქნებოდა და საჭირო გახდებოდა მთელი საერთაშორისო სამართლის ნორმების კოდიფიკაცია), არამედ ყურადღება დაეთმო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის, როგორც თავისთავადი აბსტრაქტული სფეროს, „მეორე რიგის“ ნორმებისათვის.⁵ 1975 წელს კომისიამ შეიმუშავა ზოგადი მუხლობრივი პროექტი: პირველი ნაწილი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის „საწყისებს“ შეეხებოდა, მეორე ნაწილი – სახელმწიფოს პასუხისმგებლობის „შინაარსს, ფორმასა და ხარისხს“, მესამე ნაწილი – სახელმწიფოს პასუხისმგებლობის „იმპლემენტაციასა“ და დავების მოგვარებას.

ამას გარდა, საერთაშორისო სამართლის კომისიამ გააგრძელა საკოდიფიკაციო მუშაობა „ისეთი ქმედების საზიანო შედეგების პასუხისმგებლობაზე, რომელიც საერთაშორისო სამართლით აკრძალული არ არის“.⁶ ეს პროექტი გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხასიათის პრობლემებით მსოფლიო საზოგადოების მზარდი დაინტერესების შედეგი იყო. საერთაშორისო სამართლის კომისიამ ამ საკითხის ცალკე შესწავლა გადანყვიტა. 1978 წელს დაინიშნა ახალი სპეციალური მომხსენებელი – რ. ქვენთინ-ბაქსთერი, რომელიც 1984 წელს ხულიო ბარბოზამ შეცვალა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით რაიმე პროგრესი არ შეიმჩნევა. დღესდღეობით შექმნილია რამდენიმე მუხლის პროექტი, რომელთა გამოყენების ზუსტი სფერო გაურკვეველია. ხშირად ჟღერს კითხვა, თუ რამდენად მართებული იყო ამ საკითხის გამოყოფა საერთაშორისო ხასიათის სამართალდარღვევათა სრული სიიდან.⁷

კომისიამ ბევრად უფრო მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხში. სპეციალურმა მომხსენებელმა რობერტო აგომ 1969 წლის შემდეგ რვა მოხსენება გააკეთა, რომელთა საფუძველზეც საერთაშორისო სამართლის კომისიამ 1980 წლისთვის დაამუშავა პროექტის პირველი ნაწილი, რომელიც 35 მუხლისაგან შედგება და ამომწურავ პასუხს იძლევა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის თაობაზე.⁸ პირველი ნაწილი ხუთი თავისაგან შედგება და განსაზღვრავს, თუ რა მიზეზებისა და ვითარების საფუძველზე მიიჩნევა სახელმწიფოს ქმედება სამართალდარღვევად. პირველი თავი (ზოგადი დებულებები) განსაზღვრავს პროექტის ისეთ ზოგად პრინციპებს, როგორიცაა სამართალდარღვევის ჩამდენ სახელმწიფოზე პასუხისმგებლობის დაკისრება, საერთაშორისო ქმედების სუბიექტური და ობიექტური შედგენილობა. პროექტის მე-3 მუხლის თანახმად:

საერთაშორისო სამართალდარღვევასთან საქმე გვაქვს, როდესაც:

- ა) ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) საერთაშორისო სამართლის მიხედვით ამ სახელმწიფოს ქმედებად ითვლება; და
- ბ) ეს ქმედება ამ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევაა.

მეორე თავი („სახელმწიფოს ქმედება“ საერთაშორისო სამართლის მიხედვით) სუბიექტურ ელემენტს შეეხება და განსაზღვრავს პირობებს, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფოს კონკრეტული საქციელი მოცემული სახელმწიფოს ქმედებად ჩაითვლება. მესამე თავი ობიექტურ მხარეს შეეხება (საერთა-

შორისო ვალდებულებების დარღვევა), მეოთხე თავი (თანამონაწილეობა სამართალდარღვევაში) განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთი სახელმწიფო მონაწილეობას იღებს მეორე სახელმწიფოს მიერ სამართალდარღვევის განხორციელებაში. ასევე განხილულია პასუხისმგებლობის დადგომის საკითხი. დაბოლოს, მეხუთე თავი (სამართალდარღვევის გამომრიცხავი პირობები) ჩამოთვლის სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის საფუძველზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამომრიცხავ გარემოებებს.⁹ ასეთ გარემოებებად ჩაითვლება დაზარალებული სახელმწიფოს თანხმობა, სამართალდარღვევის საპასუხო კანონიერი ზომები, *force majeure* და მოულოდნელი შემთხვევა, უბედურება, აუცილებლობა და თავდაცვა.

80-იანი წლების შემდეგ საერთაშორისო სამართლის კომისიამ მუშაობა გააგრძელა პროექტის მეორე ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის „შინაარსს, ფორმასა და ხარისხს.“ ეს ნაწილი მოიცავს სპეციალური მომხსენებლების უილიამ რიჰაგენისა და გაეტანა არანჯიო-რუიციის მოხსენებებს საერთაშორისო ხასიათის სამართალდარღვევების შედეგად დამდგარი სამართლებრივი შედეგების თაობაზე.¹⁰ რაც შეეხება 1995 წლის მდგომარეობას, საერთაშორისო სამართლის კომისიამ თითქმის დაამთავრა მუშაობა მეორე ნაწილზე (გენერალურ ასამბლეაში წარსადგენად) და მესამე ნაწილის პროექტის განხილვა დაიწყო; ორივე ნაწილი პირველივე მოსმენით დამტკიცდა 1996 წელს.¹¹ თუმცა საერთაშორისო „დანაშაულის“ საკითხი (პროექტის პირველი ნაწილის მე-19 მუხლი)¹² დღემდე სადავო საკითხად რჩება.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ დამოკიდებულება

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის თანამედროვე სამართლის ძირითადი ასპექტები უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ სახელმწიფოს უკანონო ქმედებებისა და ე.წ. მინიმალური სტანდარტების შესახებ არსებულ სასამართლო პრაქტიკას ემყარება.¹³ სამართლის ეს დარგი, გარკვეულწილად, გასაღებია საერთაშორისო სამართლის კომისიის საპროექტო მუხლების გასაგებად. ისეთი სპეციფიკური საკითხი, როგორცაა უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრების ექსპროპრიაცია, სამართლის ამ დარგის ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ „ახალ საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგთან“ დაკავშირებით ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მიმდინარე დავის დროს ცალკე საკითხად გამოიყო, რაც უკვე განვიხილეთ მე-15 თავში.¹⁴ მე-14 თავში¹⁵ ასახული ადამიანის უფლებების დამცავი თანამედროვე ნორმები არც ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა (ეს ნორმები კრძალავენ პიროვნების მიმართ უდიერ მოპყრობას, მისი მოქალაქეობის მიუხედავად). ორ საუკუნეზე მეტია, რაც საერთაშორისო სამართალმა შეიმუშავა საერთაშორისო უსაფრთხოების მინიმალური ზომები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაცავად გამოიყენება.¹⁶ სახელმწიფო არ არის ვალდებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე თავის ტერიტორიაზე დაუშვას, მაგრამ თუ დაუშვა, მაშინ მას ცივილიზებულად უნდა მოეპყრნენ. *A fortiori* სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართალდარღვევას ადგილი ექნება, თუ ეს სახელმწიფო ზიანს მიაყენებს უცხო ქვეყნის მოქალაქეს თავის საზღვრებს გარეთ (მაგალითად, თუ უტოპიის სახელმწიფო უბრძანებს რურიტანიის სახელმწიფოში განლაგებულ თავის სამხედროებს, თავს დაესხან რურიტანიის მაცხოვრებლებს). დღესდღეობით არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამთავრობო საქმიანობის განხორციელება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.¹⁷

საერთაშორისო სამართლის კომისიის აზრით, მსგავსი ხასიათის ვალდე-

Law as a Special Field. *NYIL* 25 (1994), 181-226, at 203 *et seq.*

⁹ *IL CYB* 1980, Vol. 2, part 230-4. *Brownlie BDIL*, 426-37.

¹⁰ იხ. S.P. Jajola, State Responsibility: Circumstances Precluding Wrongfulness. *NYIL* 16 (1985), 249-77; P. Malanczuk, Countermeasures and Self-Defence as Circumstances Precluding Wrongfulness in the International Law Commission's Draft Articles on State Responsibility, in Spinedi/Simma (eds), *op. cit.*, 197-286; A. Gattini, *Zufall and force majeure im System der Staatenverantwortlichkeit anhand der ILC Kodifikationsarbeit*, 1991.

¹¹ იხ. 1985 ILC Report. UN Doc. A/40/10, 52-3.

¹² S. Rosenstock, The Forty-Seventh Session of the International Law Commission. *AIL* 90 (1996), 106; B. Rudolf, *WV* 44 (1996), 226.

¹³ იხ. თ. 3.

¹⁴ R.B. Ullrich, *The Human Rights of Aliens in Contemporary International Law*, 1984; D.F. Vagts, Minimum Standard. *EPIL* 8 (1985), 382-5; S.S. Schwebel, The Treatment of Human Rights and of Aliens in the International Court of Justice, in: V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 327-50.

¹⁵ იხ. თ. 15.

¹⁶ იხ. თ. 14.

¹⁷ R. Arnold, *Aliens*. *EPIL* 1 (1992), 102-7; K. Doehring, *Aliens, Admission*, *ibid.*, 107-9; *Aliens, Expulsion and Deportation*, *ibid.*, 109-12; *Aliens, Military Service*, *ibid.*, 112-16; I. Seidl-Hohenveldern, *Aliens Property*, *ibid.*, 116-19.

¹⁸ იხ. M. Akehurst, *Jurisdiction in International Law*. *BYIL* 46 (1972-3), 145-51 და თ. 7.

¹⁸ ი. ზემოთ.

¹⁹ W.K. Geek, *Diplomatic Protection*, *EPIL* I (1992), 1045-67; R. Dolzer, *Diplomatic Protection of Foreign Nationals*, *ibid.*, 1067-70.

²⁰ დაევის გადაწყვეტის მეთოდების შესახებ ი. 18.

²¹ ი. თ. 6.

²² *Barcelona Traction, Light and Power Company, Limited*, *ICJ Rep.* 1970, 3, at 44-5. ამ საქმის შესახებ იხ. აგრეთვე ი. 3 ²³ *RIAA* III 1609.

ბულებები ძირითად ნორმათა სიას მიეკუთვნება.¹⁸ საერთაშორისო უსაფრთხოების მინიმალური ზომების შეუსრულებლობა იწვევს საერთაშორისო პასუხისმგებლობას, ხოლო დაზარალებული მოქალაქის მშობლიურ სახელმწიფოს შეუძლია დიპლომატიური დაცვის უფლების გამოყენება,¹⁹ ე. ი. დიპლომატიური გზების მეშვეობით პასუხისმგებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა კომპენსაციის ან სხვა სახის სატისფაქციის მისაღებად. როგორც წესი, მსგავსი სარჩელების მოგვარება მოლაპარაკების გზით ხდება. ასევე, ორივე მხარის თანხმობით საქმე შეიძლება გადაწყდეს არბიტრაჟის ან სასამართლო ორგანოს მეშვეობით.²⁰

მოპასუხე სახელმწიფოს მოვალეობები წარმოეშობა არა დაზარალებული პირის მიმართ, არამედ ამ პირის სახელმწიფოს მიმართ.²¹ თეორიის თანახმად, მოსარჩელე სახელმწიფო დანაკარგს თავად განიცდის, როდესაც მის მოქალაქეს ადგება ზიანი. შესაბამისად, მოსარჩელე სახელმწიფოს სრული თავისუფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას. დაზარალებულ სახელმწიფოს შეუძლია თავი შეიკავოს ან საერთოდ არ წარმოადგინოს სარჩელი დამნაშავე სახელმწიფოს მიმართ; დაზარალებული პირის სახელმწიფო შეიძლება დათანხმდეს სარჩელის სამართლიან ანაზღაურებაზე; იგი არ არის ვალდებული, მიღებული კომპენსაცია გადაუხადოს თავის დაზარალებულ მოქალაქეს (თუმცა, რეალურად, კომპენსაციის გადახდა მაინც ხდება). მაშასადამე, დაზარალებული მოქალაქე ამ საკითხში თავისი სახელმწიფოს კეთილ ნებაზე დამოკიდებული. დიპლომატიური დაცვის ეს ასპექტი ნათლად იქნა წარმოჩენილი საერთაშორისო სასამართლოს მიერ *ბარსელონის საქმის (Barcelona Traction Case)* განხილვისას:

საერთაშორისო სამართლით დადგენილი საზღვრების დაცვით სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს დიპლომატიური დაცვის უფლება იმ მოცულობითა და საშუალებებით, რომლებსაც თავად მიიჩნევს მიზანშეწონილად, რადგან იგი საკუთარ უფლებას ახორციელებს. ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა შეიძლება ჩათვალოს, რომ სახელმწიფო არასათანადოდ იცავს მის უფლებებს, მაგრამ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს მის უფლებათა დამცავი მექანიზმი. ამგვარ პირებს მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ მიმართონ შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით... სახელმწიფო ერთპიროვნულად წყვეტს, დაიცვას თუ არა თავისი მოქალაქე, რა საშუალებებით დაიცვას და როდემდე. საუბარია სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებაზე, რომელიც შეიძლება დამოკიდებული იყოს პოლიტიკურ თუ სხვა სახის მოსაზრებებზე. სახელმწიფოს სარჩელი განსხვავდება კერძო პირის ან კორპორაციული ორგანიზაციის სარჩელისაგან, და იგი (სახელმწიფო) მოქმედების სრული თავისუფლებით სარგებლობს.²²

თუმცა საერთაშორისო სამართალი მაინც არ ტოვებს პიროვნებას ყურადღების გარეშე. როგორც წესი, კომპენსაცია, რომელსაც მოსარჩელე სახელმწიფო მიიღებს, გამოითვლება იმ ზარალის მიხედვით, რაც მიადგა კერძო პირს, და არა მოსარჩელე სახელმწიფოს. მაგრამ ეს პირობაც ყოველთვის არ სრულდება. მაგალითად, საქმეში „*მე მარტო ვარ*“ (*I'm Alone case*, 1935)²³ ამერიკამ ჩაძირა ბრიტანული გემი, რომელიც ამერიკაში სპირტიანი სასმელების კონტრაბანდას ეწეოდა. საარბიტრაჟო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გემის ჩაძირვა უკანონო ქმედება იყო, მაგრამ ზარალის ანაზღაურება არ დააკისრა მოპასუხე მხარეს, რადგანაც გემი ამერიკის მოქალაქეების საკუთრება იყო და კონტრაბანდის გადასატანად გამოიყენებოდა. ამერიკას დიდი ბრიტანეთისთვის ბოდიშის მოხდა და 25 000 ამერიკული დოლარის გადახდა დაევალა, ბრიტანული ალმის უპატივცემულობის კომპენსირებისათვის.

დამნაშაველ ცნობა

სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარ ქმედებებზე და შეცდომებზე. ამ შემთხვევაში „სახელმწიფოში“ იგულისხმება სამთავრობო აპარატი, მოსახლეობის გარეშე. თუ პოლიცია თავს დაესხა უცხოელს, ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საქმეა; კერძო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი.²⁴ სახელმწიფოს სამთავრობო აპარატში იგულისხმება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი. საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მიღებული მუხლები სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ განმარტავენ, რომ

1. იმ სახელმწიფო ორგანოს ქმედება, რომელსაც ეს სტატუსი ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, ითვლება ამ სახელმწიფოს ქმედებად, თუ ეს ორგანო სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა (მე-5 მუხლის პროექტი);
2. სახელმწიფო ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება ითვლება ამ სახელმწიფოს ქმედებად, მიუხედავად იმისა, ეკუთვნის თუ არა ეს ორგანო საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო ან სხვა ხელისუფლებას, ახორციელებს საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი ხასიათის ფუნქციას, სახელმწიფოს სტრუქტურაში დაქვემდებარებული პოზიცია უკავია თუ მმართველი (მე-6 მუხლის პროექტი);
3. ტერიტორიული სამთავრობო ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება ამ სახელმწიფოს ქმედებად ითვლება, თუ ეს ორგანო სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა (მე-7(1) მუხლის პროექტი); და
4. იმ ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად და არ ეკუთვნის სახელმწიფოს მთავრობის ცენტრალურ ან ადგილობრივ სტრუქტურებს, ამ სახელმწიფოს ქმედებად ჩაითვლება, თუ ეს ორგანო სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა (მე-7(2) მუხლის პროექტი).

სახელმწიფო მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი თავისი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ ქმედებაზე, თუ ქმედება შეიძლება სახელმწიფოს მივაკუთვნოთ (საკითხი, თუ რამდენად შეიძლება ესა თუ ის ქმედება მივაკუთვნოთ სახელმწიფოს, უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოს პასუხისმგებლობისათვის მისი ბრალის დადგენის საჭიროების სადავო საკითხისაგან²⁵). მიკუთვნების იდეა გარკვეულ პრობლემებს ბადებს, როდესაც ოფიციალური პირი გადააჭარბებს ან არ დაემორჩილება ინსტრუქციებს. უსამართლო იქნება, თუ სახელმწიფო დაკისრებულ მოვალეობას ინსტრუქციების გამკაცრებით შეზღუდავს (მაგალითად, თავიდან აიცილოს საგზაო შემთხვევის პასუხისმგებლობა მძღოლთა უბრალო გაფრთხილებით). სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად სახელმწიფო პასუხისმგებელია იმ ქმედებაზე, რომელიც მისმა თანამდებობის პირმა ჩაიდინა ინსტრუქციების გადაჭარბების ან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, როდესაც ეს პირი მოქმედებდა პირდაპირი უფლებებით ან ბოროტად იყენებდა სახელმწიფოს მიერ მისთვის ბოძებულ ძალაუფლებასა და მექანიზმებს. ამის საუკეთესო მაგალითია იომანის სარჩელი (Youman's claim),²⁶ რომელშიც სასამართლო ეცადა, პასუხისმგებლობა სახელმწიფოსათვის დაეკისრებინა. საქმის ვითარება ასეთი იყო: მექსიკის ხელისუფლებამ მის ტერიტორიაზე მყოფი ამერიკელების ბრბოსაგან დასაცავად ჯარის ნაწილი გაგზავნა. ჯარმა, რომელსაც ლეიტენანტი მეთაურობდა, დაცვის მაგიერ ცეცხლი გაუხსნა ამერიკელებს. მექსიკას დააკისრა პასუხისმგებლობა, რადგანაც ჯარი მისი ორგანიზებული სამხედრო ერთეული იყო, რომელსაც ოფიციალური პირი მეთაურობდა. მეორე მხრივ, თუ ჯარი არ

²⁴ G. Sperduti, *Responsibility of States for Activities of Private Law Persons*, *EPIL* 10 (1987), 373-50.

²⁵ *ib. M. Bedjoui, Responsibility of States, Fault and Strict Liability*, *EPIL* 10 (1987), 358-62; A. Gattini, *La Notion de faute a la lumiere du projet de convention de la Commission du Droit International sur la responsabilite internationale*, *EHIL* 3 (1992), 253-84; F. Kalshoven, *State Responsibility for Wartime Acts of the Armed Forces*, *ICLQ* 40 (1991), 827 *et seq.*

²⁶ *RIAA* IV 110 (1926).

²⁷ Cf. *Morton's* claim (1929), *RIIA* IV 428.

²⁸ *ib. ILC* draft articles 8 and 11.

²⁹ *ib. ILC* draft articles 14 and 15 and the *Tehran Hostages* case below. *იბ. აგრეთვე*.

³⁰ *ib. H. Blomeyer-Bartestein. Due Diligence, EPIL* (1992), 1110-15; R. Mazzechi. The Due Diligence Rule and the Nature of the International Responsibility of States, *GYIL* 35 (1992), 9.

³¹ *The Times*, 14 January 1969.

³² *Home Missionary Society* claim (1920), *RIIA* VI 42; M. Akhurst. State Responsibility for the Wrongful Acts of Rebels - An Aspect of the Southern Rhodesian Problem, *BYIL* 43 (1968-9), 49.

³³ *ib. თ. 8.*

³⁴ J.L. Brierty. The Theory of Implied State Complicity in International Claims, *BYIL* 9 (1928), 42. Compare Neer's claim (1926), *RIIA* IV 60, with *Janusz's* claim (1926), *RIIA* IV 82.

³⁵ S. Verosta. Denial of Justice, *EPIL* (1992), 1007-10.

³⁶ Mazzei's claim (1903), *RIIA* X 525.

³⁷ J.B. Moore. *A Digest of International Law*, Vol. 6, 1906. 989.

შეასრულებდა სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ მოვალეობას, მისი ქმედებები უნდა განხილულიყო, როგორც კერძო პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული.²⁷

საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მიღებული პროექტის მე-10 მუხლი სწორედ მსგავს შემთხვევებს ეხება:

სახელმწიფო ორგანოს, სამთავრობო ტერიტორიული ორგანოს ან სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ორგანოს ქმედება ითვლება სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებად მაშინაც კი, თუ ორგანო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ კომპეტენციას გადააჭარბებს ან დაკისრებული ინსტრუქციების საპირისპიროდ იმოქმედებს.

როგორც წესი, სახელმწიფო არ აგებს პასუხს კერძო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კერძო პირი სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა ან სახელმწიფო მოხელის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებდა და მისთვის მსგავსი ძალაუფლების მინიჭება გამართლებული იყო.²⁸ არსებობს სპეციალური ნორმები, რომლებიც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს აჯანყების დროს.²⁹ თუმცა კერძო პირთა დამოუკიდებელ ქმედებას შეიძლება თან ახლდეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება, რაზეც პასუხისმგებლობა სახელმწიფოს დაეკისრება მსგავს ქმედებას შეიძლება ჰქონდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ექვსი ფორმიდან ერთ-ერთის სახე:

1. კერძო პირთა ნაქეზება უცხოელებზე თავდასასხმელად.
2. კერძო პირთა დასაცავად სახელმწიფოს მიერ ზომიერი წინდახედულობისაგან ("due diligence") თავის შეკავება, მაგალითად, გარდაუვალი ამბოხების დროს პოლიციელთა მიერ უცხოელთა დაუცველობა.³⁰ 1969 წელს დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა, აენაზღაურებინა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საელჩოსთვის დემონსტრანტების მიერ მიყენებული ზარალი; დემონსტრაციის პროპაგანდა რამდენიმე დღით ადრე დაიწყო და საელჩოზე მსგავსი თავდასხმის განხორციელება მოსალოდნელი იყო. ამ აქციის მონაწილეთა მთავარი სამიზნე იყო „როდეზიის სახლი“, ხოლო საელჩოს იმ დღეს მხოლოდ ერთი პოლიციელი იცავდა.³¹ თუ რა იგულისხმება „ზომიერ წინდახედულობაში“, ეს თავად საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული – უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც არეულობის დროს ქვეყნის განმარტოებულ და მოშორებულ ადგილზე იმყოფება, არ უნდა მოელოდეს პოლიციისაგან ისეთივე დაცვას, როგორსაც რომელიმე მშვიდობიანი ქვეყნის დედაქალაქში მყოფი მოქალაქეები იღებენ.³² მაგრამ სპეციალური ზომები უნდა იქნეს მიღებული დიპლომატიური წარმომადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.³³
3. დამნაშავე პირთა დასჯის წარუმატებელი მცდელობა.³⁴
4. დაზარალებული უცხოელის მიერ დამნაშავისაგან ადგილობრივი სასამართლო ორგანოს მეშვეობით კომპენსაციის მიღებაში ხელშეწყობის წარუმატებელი მცდელობა. სწორედ ასეთ შემთხვევებს უწოდებენ „სამართლიანობის აღდგენის უფლების წართმევას“ – "denial of justice"³⁵. ეს ტერმინი მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება.
5. სახელმწიფოს მიერ რაიმე მოგების მიღება კერძო პირის ქმედების შედეგად – მაგალითად, ნაძარცვი საკუთრების მითვისება.³⁶
6. სახელმწიფოს მიერ კერძო პირის ქმედების მხარდაჭერა, რაც გამოიხატება ქმედების მოწონებაში, აგრეთვე, განცხადების გაკეთება იმის შესახებ, რომ ეს პირი სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა.³⁷

თეირანის მძევალთა საქმე (Tehran Hostages Case) ზემოთქმულის ილუსტრაცია

ტრიტებისთვის ძალიან მოსახერხებელია. აშშ-ის ინტერესების გამტარებელი შაჰ რეზა ფეჰლევის ჩამოგდების შემდეგ ირანში აიათოლა ჰომეინის რეჟიმი დამყარდა. სახელმწიფო ირანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა. 1979 წლის 4 ნოემბერს თეირანში გამართული დემონსტრაციის მონაწილენი თავს დაესხნენ ამერიკის საელჩოს. ირანელთა სპეცსამსახურებმა საელჩოს დახმარება არ გაუწიეს, თუმცა მონოდეზული იყვნენ, ეს გაეკეთებინათ. დემონსტრანტებმა დაიკავეს საელჩო, მძევლად აიყვანეს საელჩოს პერსონალი და სტუმრები, გაძარცვეს საელჩოში დაცული არქივები. მძევალთა უმრავლესობა 14 თვეზე მეტხანს ჰყავდათ დაკავებული, 1981 წლის 20 იანვრამდე, რაც დიპლომატიური ურთიერთობებისათვის უპრეცედენტო ფაქტია. აშშ-ის მიერ 1980 წლის 24-25 აპრილს განხორციელებული მძევალთა გამოხსნის წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ (ამერიკულ ვერტმფრენებს ტექნიკური სიძნელეები შეხვდათ ირანის უდაბნოში) საქმე ალჟირის შეთანხმებით დამთავრდა, რომელიც ალჟირის მთავრობის შუამავლობით დაიდო, რის შედეგადაც 1981 წელს ჰააგაში შეიქმნა ირანისა და აშშ-ის ტრიბუნალი, რომელსაც ორივე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი 4 000-ზე მეტი სარჩელის განხილვა დაევალა.³⁸

საინტერესოა საერთაშორისო სასამართლოს აზრი ამ საქმეში სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ (აშშ-მ საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, ხოლო ირანმა უარი განაცხადა ამ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე).³⁹ საერთაშორისო სასამართლომ საქმის განხილვა ორ ეტაპად დაყო: პირველი ეტაპის დროს სასამართლომ დაადგინა, რომ ირანის სამხედრო პირები მოქმედებდნენ, როგორც კერძო პირები. საფუძვლიანი ფაქტების უქონლობის გამო ვერ დამტკიცდა, რომ ეს პირები ირანის სახელმწიფოს „მოხელის“ სტატუსით მოქმედებდნენ. ირანს არანაირი პირდაპირი პასუხისმგებლობა არ დაეკისრა. თუმცა ირანს პასუხისმგებლობა დაეკისრა ამერიკის საელჩოსთვის საერთაშორისო უსაფრთხოების მინიმალური ზომების მიუღებლობის გამო. მეორე ეტაპზე სასამართლომ ირანს პირდაპირი პასუხისმგებლობა დააკისრა, კერძოდ, მძევალთა აყვანისთვის ხელის შეწყობის, სახელმწიფოს მიერ მსგავსი სიტუაციიდან სარგებლის მიღების და სამხედრო პირთა თავაშვებული ქცევისადმი უყურადღებობის გამო. საერთაშორისო სასამართლომ ყურად არ იღო ირანის მიერ 1979 წლის დეკემბერსა და 1980 წლის მარტში გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად, ამერიკის საელჩოს დარბევა სხვა არაფერი იყო, თუ არა ირანის საპასუხო რეაქცია აშშ-ის მიერ მის შიდასახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევაზე. ეს ფაქტი სიმართლეს რომც შეესაბამებოდეს, ვერანაირად გაამართლებს ირანის საქციელს. დიპლომატიურ სამართალში გათვალისწინებულია უცხოელი დიპლომატებისა და საკონსულო წარმომადგენლობების უკანონო ქმედებებისგან მასპინძელი სახელმწიფოს უფლებების დაცვის ზომები (ამ პირთა *persona non grata*-დ გამოცხადება და მათ მიერ სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვების მოთხოვნა).⁴⁰ საერთაშორისო სასამართლომ აღიარა ირანის პასუხისმგებლობა და დაავალა მძევალთა განთავისუფლება, ამერიკის საელჩოს აღდგენა და კომპენსაციის გადახდა,⁴¹ რომლის რაოდენობაც, თუ მხარეები თავად ვერ მორიგდებოდნენ, საქმის განხილვის მომდევნო ეტაპზე გადაწყდებოდა. მოგვიანებით, ეს საქმე ორივე მხარის მიერ მოლაპარაკებების საფუძველზე დადებული ალჟირის შეთანხმებით მოგვარდა.⁴²

დაბოლოს, დღესდღეობით არსებობს სპეციალური ნორმები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციის ან სახელმწიფოს რომელიმე ორგანოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებისთვის პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ (საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მიღებული პროექტის მე-12 და მე-13 მუხლები).

³⁸ იბ. თ. 18.

³⁹ *Tehran Hostages case, Order, ICJ Rep. 1979, 7-21; Judgment, ICJ Rep. 1980, 3-65; ამ საქმის შესახებ იხ. აგრეთვე, თ. 8.*

⁴⁰ იხ. L.A.N.M. Barnhoorn, *Diplomatic Law and Unilateral Remedies, NYLJ 25 (1994), 39-81.*

⁴¹ იხ. ქვემოთ.

⁴² იბ. თ. 18.

⁴³ იხ. Vagts, *op. cit.*

⁴⁴ იხ. F.V. Garcia-Amador, *Calvo Doctrine, Calvo Clause, EPIL 1 (1992), 521-3; W. Benedek, Drago-Porter Convention (1907), ibid, 1102-3. იხ. აგრეთვე, თ. 2.*

⁴⁵ მაგალითად, *G Roy, MIL 55 (1961), 863.*

⁴⁶ იხ. თ. 14.

⁴⁷ *RIAA IV 60.61-2.*

⁴⁸ *Yomans claim, იხ. ზემოთ.*
⁴⁹ *Robertsclaim (1926), RIAA IV 77; Tehran Hostages case, op. cit, at 42; J.C. Hsiung, Law and Policy in China's Foreign Relations, 1972, 186.*

⁵⁰ *ibid.*

⁵¹ *R Zafim case (1925), RIAA VI 160; Hsiung, op. cit.*

შსაფრთხოების საერთაშორისო მინიმალური სტანდარტები

როდესაც პიროვნება უცხო სახელმწიფოში ცხოვრობს ან ქონებას იძენს, მიიჩნევა, რომ იგი აღიარებს ამ სახელმწიფოს კანონებსა და ჩვეულებებს; პიროვნების მშობლიურ სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი სარჩელით განაცხადოს, რომ მას მსგავს სიტუაციაში საკუთარ სახელმწიფოში უკეთ მოეპყრობოდნენ. სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს წესს, რომლის თანახმადაც, ყოველმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მინიმალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები.⁴³ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ამერიკა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები მხარს უჭერდნენ მინიმალური უსაფრთხოების სტანდარტების შემოღების იდეას. რაც შეეხება ოპოზიციურ ძალებს, კერძოდ ლათინური ამერიკის ქვეყნებს, მათი აზრით, სახელმწიფოს ერთადერთი მოვალეობაა უცხოელთა დასაცავად ისეთივე ზომების გამოყენება, როგორსაც თავისი მოქალაქეების დასაცავად იყენებს (ეროვნული სტანდარტი).⁴⁴ ორი დაპირისპირებული ბანაკის წევრ სახელმწიფოთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, როგორც წესი, მსგავსი უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები გამოიყენებოდა.

ისტორია ხშირად მეორდება. ასე მოხდა 1960-70-იან წლებშიც, როდესაც მესამე სამყაროს ქვეყნების იურისტებმა საერთაშორისოს მაგიერ ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტების გამოყენება მოითხოვეს.⁴⁵ მაგრამ ეროვნული სტანდარტის გამოყენება უცხოელებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ძალის მქონე უფლებებს მიანიჭებდა. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მაშინ უცხოელები არჩევნებში მონაწილეობის უფლებით უნდა სარგებლობდნენ, შეეძლოთ გარკვეული თანამდებობის დაკავება, ან სოციალური დაზღვევის მიღება. ამას კი თითქმის არც ერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ასევე, სახელმწიფოს უფლება იქნებოდა უცხოელების წამებით მოკვლა იმ მოტივით, რომ წამებით კლავდა თავის მოქალაქეებსაც – დასკვნა, რომელიც საღი აზრისა და სამართლიანობისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იქნებოდა. თუკი მინიმალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები უცხოელს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს მოქალაქეების წინაშე, იქნებ დროა, თავად ამ სახელმწიფომ გადახედოს თავის კანონმდებლობას. ადამიანის უფლებების საერთაშორისო მოძრაობა მიზნად ისახავს გააფართოოს უცხოელთა დასაცავად გამიზნული მინიმალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების მოქმედების არეალი და მასპინძელი სახელმწიფოს მოქალაქეებსაც შეეხოს, თუმცა ადამიანის უფლებების დამცავ დეკლარაციებსა და კონვენციებში⁴⁶ მოცემული ნორმები ხშირად არსებითად განსხვავდება ტრადიციული მინიმალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებისგან. მინიმალური საერთაშორისო სტანდარტის ცნების კრიტიკოსთა დავას იწვევს არა თავად ნორმის არსებობა, არამედ მისი შინაარსი. შეუძლებელია მათ არ დაეთანხმო მას შემდეგ, რაც ნაიკითხავ ნეერის სარჩელის (Neer claim) შესახებ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებას:

უცხოელის მიმართ სახელმწიფოს უდიერი მოპყრობა ჩაითვლება საერთაშორისო დანაშაულად, თუ სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება, მოვალეობის შეუსრულებლობა ან დისფუნქცია წარმოადგენს მინიმალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების ისეთ დარღვევას, რომლის დანახვაც ყოველგონიერ და საქმეში ჩაუხედავ ადამიანს შეუძლია.⁴⁷

მინიმალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების ზოგიერთი ნორმა შედარებით უფრო მიღებულია. ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია, თუ უცხოელს უკანონოდ მოკლავენ,⁴⁸ დააპატიმრებენ,⁴⁹ ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებენ,⁵⁰ საკუთრებას წაართმევენ ან დაუზიანებენ⁵¹, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია თავის გამარ-

თლება, მაგალითად, იმით, რომ მისი ქმედება მიმართული იყო სამართლიანობისა და წესრიგის შენარჩუნებისკენ (დამნაშავეთა დაპატიმრება და დასჯა, აჯანყების ჩასახშობად ძალის გამოყენება და ა.შ.). მეორე მხრივ, გადაჭარბებული სიმკაცრე სამართლიანობისა და წესრიგის შენარჩუნების მცდელობისას შეიძლება მინიმალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებით დაშვებულ ზღვარს სცილდებოდეს (დასჯა სასამართლო განხილვის გარეშე, საქმის განხილვამდე დიდი დროით დაკავება, პოლიციის მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დროს საბედისწერო ქრილობის მიყენება, მძიმე სასჯელის დაწესება უმნიშვნელო დანაშაულისათვის და ა.შ.).

სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა სამართალწარმოების არაეფექტურობის გამო, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოები კორუმპირებულები ან დაინტერესებულნი არიან საქმის ვითარებით, საქმის განხილვას უვადოდ გადადებენ, ან უსამართლო განაჩენს გამოიტანენ. მსგავსი სამართალდარღვევები გვაქვს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას უცხოელთა წინააღმდეგ.

სხვა სფეროებში მინიმალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო სადავოა. ასეთია, მაგალითად, დეპორტაციის საკითხი.⁵² 1914 წლის შემდეგ სახელმწიფოთა უმრავლესობა ფართოდ იყენებდა დეპორტაციის უფლებას. დიდი ბრიტანეთი აღიარებს მეორე სახელმწიფოს უფლებას, გამოაძევოს დიდი ბრიტანეთის მოქალაქენი რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე.⁵³ მეორე მხრივ, დიდი ბრიტანეთი აცხადებს, რომ დეპორტაციის უფლება არ უნდა იქნეს „ბოროტად გამოყენებული თვითნებური სამართალწარმოების განსახორციელებლად“⁵⁴, რაც საკმაოდ ბუნდოვანი ფორმულირებაა. რა თქმა უნდა, ხშირად ძნელია იმის განსაზღვრა, კანონიერია თუ არა დეპორტაცია, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელმწიფო არ ასახელებს გაძევების შესაძლო მიზეზებს. სახელმწიფოს მიერ თავისი ნებით გაცხადებული დეპორტაციის მიზეზები შეიძლება უკანონო აღმოჩნდეს. მაგალითად, აზიელთა შემთხვევა, როდესაც ისინი უგანდის სახელმწიფოდან გააძევეს 1972 წელს.⁵⁵

ჰააგაში განლაგებული ირანისა და აშშ-ის ტრიბუნალის მიერ განხილულ სარჩელებს ხშირად „გაძევების საქმეებს“ უწოდებენ და ამ მხრივ ისინი განსაკუთრებით საინტერესოა. ამერიკელთა დიდმა ნაწილმა შეიტანა სარჩელი ირანის წინააღმდეგ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით. მათ ირანის დატოვება რევოლუციის დროს მოუწიათ ირანის მთავრობის მიერ წამოწყებული, მონონებული და ნებადართული ქმედებების გამო. ტრიბუნალმა ყოველი კერძო სარჩელის განხილვისას მოითხოვა რაიმე დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ მსგავსი ხასიათის ქმედება სახელმწიფოს მიერ იყო განხორციელებული. ფაქტების რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა „ანტი-ამერიკანიზმის“ დასამტკიცებლად.⁵⁶ ტრიბუნალმა პასუხისმგებლობა რევოლუციური მოძრაობის დროს მომხდარი ქმედებებისათვის ახალ მთავრობას დააკისრა, რადგანაც „სახელმწიფოს ახალ მთავრობასა და რევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციას შორის უწყვეტი ჯაჭვი არსებობდა.“⁵⁷ თუმცა სასამართლო სხდომამ ვერ შეძლო იმის განსაზღვრა, არსებობდა თუ არა რევოლუციური მოძრაობის ისეთი ძლიერი ფაქტორი, რომელმაც აიძულა ამერიკელები, დაეტოვებინათ ქვეყნის საზღვრები. ირანის ახალ სახელმწიფოს არ დაეკისრა რაიმე პასუხისმგებლობა „რევოლუციის მომხრეთა“ მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, რადგანაც სახელმწიფო პასუხს არ აგებს „ადრე არსებული სახელმწიფოს მომხრეთა მიერ განხორციელებულ ქმედებებზე.“⁵⁸ სამწუხაროდ, ტრიბუნალმა არადაამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება მიიღო ორი ამერიკელის მიმართ, რომელთაც ირანის დატოვება პირადი უსაფრთხოების გამო მოუწიათ. მათ ვერ შეძლეს იმის დამტკიცება, რომ ადგილი ჰქონდა მათ წინააღმდეგ სახელმწიფოს დაკვეთით განხორციელებულ

⁵² Doehring (1992), *op. cit.*

⁵³ EPIL 1964, 210.

⁵⁴ *Ibid.*, 1966, 115.

⁵⁵ იხ. M. Akehurst, *The Uganda Asians. NU*, 8 November 1973, 1021.

⁵⁶ *Jack Rankin v. Islamic Republic of Iran*, Award 326-10913-2, para. 30.

⁵⁷ Article 15 of the ILC's Draft Articles on State Responsibility.

⁵⁸ *Alfred L. W. Short v. Islamic Republic of Iran*, Award 312-11135-3, paras. 33 *et seq.*

⁵⁹ *Kenneth P. Yeager v. Islamic Republic of Iran*, Award 324-10199-1, para. 42.

⁶⁰ H.W.A. Thirlway, Preliminary Objections, *EPIL* 1 (1981), 183-7. *იხ. აგრეთვე*, თ. 18.

⁶¹ *ob. A. Watts, Nationality of Claims: Some Relevant Concepts*, in: V.Lowe/M.Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 424-39.

⁶² PCIJ, Series A/B, No. 76, at 16. *იხ. E.H. Riedel, Panevezys-Saldutiskis Railway Case*, *EPIL* 2 (1981), 224-5.

⁶³ P. Weis, *Nationality and Statelessness in International Law*, 2nd edn 1979; A. Randelzhofer, *Nationality*, *EPIL* 8 (1985), 416-24; R. Donner, *The Regulation of Nationality in International Law*, 2nd edn 1994; H.G. Schermers, *The Bond between Man and State*, in *FS Bernhardt*, 187-98; L. Henkin, "Nationality" at the Turn of the Century, *ibid.*, 89-102. *იხ. აგრეთვე*, *Nationality Decrees in Tunis and Morocco Case*, PCIJ, series B, no. 4 (1923); W. Benedek, *Nationality Decrees in Tunis and Morocco (Advisory Opinion)*, *EPIL* 2 (1981), 197-9; S. Hall, *Nationality, Migration Rights and Citizenship of the Union*, 1995.

ქმედებას. მეორე მხრივ, კომპენსაცია მიიღო ამერიკის სხვა მოქალაქემ, რომელიც რევოლუციონერთა გვარდიამ მეულესთან ერთად თავის ბინაში შეიპყრო და სასტუმროში წაიყვანა, მოგვიანებით კი იქიდანაც გააძევეს სხვა ამერიკელებთან ერთად.⁵⁹ ამ საქმესთან დაკავშირებით ტრიბუნალმა არ გამოიტანა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იმის შესახებ, იყო თუ არა რევოლუციური გვარდია ახალი ხელისუფლების ორგანო, რადგანაც ტრიბუნალმა დაადგინა, რომ, საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მიღებული პროექტის მე-მ(ბ) მუხლის თანახმად, ყველა შემთხვევაში არსებობდა სახელმწიფო პასუხისმგებლობა იმ პირთა *de facto* ქმედებისათვის, ვინც სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა.

წინასწარი უარყოფა

დაზარალებული უცხოელის სარჩელმა შეიძლება ვერ მიიღწიოს საერთაშორისო ტრიბუნალს, თუ წინასწარვე იქნა უარყოფილი.⁶⁰ „წინასწარი უარყოფა“ სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი ტერმინია, რომელიც იმდენად პოპულარულია, რომ საერთაშორისო ტრიბუნალების გარდა დიპლომატიური მოლაპარაკებების დროსაც გამოიყენება. წინასწარი უარყოფის გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი არსებობს: სარჩელის ეროვნულობასთან დაკავშირებული ნორმების დარღვევა, შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების საშუალებათა არარსებობა, უფლებაზე უარის თქმა, უმიზეზოდ საქმის გადადება, დაზარალებული პირის დაუშვებელი ქმედება.

სარჩელის ეროვნულობა

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სარჩელი არ მიიღება, თუ არ დამტკიცდა, რომ დაზარალებული პირი მოსარჩელე სახელმწიფოს მოქალაქეა. სარჩელთა ეროვნულობის პრინციპი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართალში.⁶¹ საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა პალატამ *პანევეჟის-სალდუტინსკის რკინიგზის საქმის* (*Panevezys-Saldutinskis Railway case*) განხილვისას განაცხადა (ეს სარჩელი ესტონეთმა 1937 წელს ლიტვის წინააღმდეგ აღძრა და სარკინიგზო კომპანიის ექსპროპრიაციისთვის კომპენსაციის საკითხს შეეხებოდა):

სახელმწიფო თავისი მოქალაქის სარჩელის წარდგენით საკუთარ უფლებას ახორციელებს... ამ უფლების გამოყენება სახელმწიფოს მხოლოდ თავისი მოქალაქეების მიმართ შეუძლია, რადგანაც სპეციალური შეთანხმების უქონლობის შემთხვევაში სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის სწორედ მოქალაქეობის პრინციპი მოქმედებს, რომლის მეშვეობითაც ეს სახელმწიფო დიპლომატიურ დაცვას ახორციელებს.⁶²

ეს ძირითადი პრინციპი გასაგებია, მაგრამ გაუგებარი რჩება ამ პრინციპის დეტალური ნორმები. რას გულისხმობს მოქალაქეობის პრინციპი? მოქალაქეობა შეიძლება განიმარტოს, როგორც სახელმწიფოსადმი მიკუთვნება გარკვეული საერთაშორისო სამართლებრივი მიზნით.⁶³ საერთაშორისო სამართალში გაბატონებული ზოგადი წესის თანახმად, სახელმწიფო თავად განმარტავს, თუ ვინ არის მისი მოქალაქე. მაგრამ სახელმწიფოს თავისუფალი არჩევანი შეიძლება შეზღუდული იყოს რაიმე ხელშეკრულებით, მაგალითად, საერთაშორისო ხელშეკრულებით მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირების თაობაზე. საერთაშორისო ჩვეულებით სამართალშიც კი, არჩევანის გაკეთებისას სახელმწიფო არ არის სრულიად დამოუკიდებელი. ამკარაა, რომ საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს იმ ბრიტანულ კანონს, რომელიც ბრიტანეთის მოქალაქეებად გამოაცხადებს საფრანგეთის ყველა მცხოვრებს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ცდილობს მოქალაქეობის პრინციპთან დაკავშირებით სახელმწიფოთა ფართო უფლებამოსილებების შეზღუდვას. მოქალაქეობის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის კანონები საერთო დებულებებით ხასიათდება.⁶⁴

მოქალაქეობის მიღების ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზებია:

1. დაბადების ადგილი. ზოგიერთი სახელმწიფოს მოქალაქეობა ავტომატურად ვრცელდება მის ტერიტორიაზე დაბადებულ ბავშვზე (მინის პრინციპი - *ius soli*); ან ახლადდაბადებული ბავშვი იძენს მშობლების მოქალაქეობას (სისხლის პრინციპი - *ius sanguinis*); ზოგიერთი სახელმწიფო მოქალაქეობის შექმნის ორივე ზემოთ ხსენებულ ფორმას ითვალისწინებს (გარკვეული გამონაკლისებით).

2. ქორწინება.

3. შვილად აყვანა.

4. ნატურალიზაცია. ზოგადად, აქ საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქე იძენს მეორე ქვეყნის მოქალაქეობას საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა ეს ტერმინი ფართო მნიშვნელობითაც გამოიყენება ყველა სახის მოქალაქეობის საკითხის აღსანიშნავად, რაც დაბადებასთან არ არის დაკავშირებული (იხ. ქვემოთ „ნების გარეშე ნატურალიზაცია“). სხვადასხვა სახელმწიფოებში მოქალაქეობის მიღების პროცედურები განსხვავებულია. მაგალითად, შვეიცარია, რომელსაც მუდმივ უცხოელ მაცხოვრებელთა რაოდენობის შემცირება სურს, მოქალაქეობის მისაღებად თავის ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივ ვადას მოითხოვს, ისრაელში კი ნებისმიერ ებრაელს შეუძლია მოქალაქეობის მიღება განსაკუთრებული მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე.

5. ტერიტორიის გადასვლა ერთი სახელმწიფოს მმართველობიდან მეორეში.⁶⁵

მოქალაქეობის დაკარგვის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:

1. როდესაც ბავშვს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ *ius soli*-სა და *ius sanguinis*-ს პრინციპების გამოყენების საფუძველზე, მას ზოგჯერ უფლება აქვს, სრულწლოვანების მიღწევისას უარი განაცხადოს რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეობაზე.

2. ახალი მოქალაქეობის მიღება ხშირად წინა სახელმწიფოს მიერ აღიქმება, როგორც წინა სახელმწიფოს მოქალაქეობაზე უარის თქმა. დღეს მრავალი სახელმწიფო, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, ასეთ პირებს ძველი მოქალაქეობის დაბრუნების საშუალებას აძლევს; ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დიდი ბრიტანეთის მრავალი ერთგული მოქალაქე იცვლის მოქალაქეობას სავაჭრო საქმიანობის მიზნით.

3. მოქალაქეობის ჩამორთმევა. დიდ ბრიტანეთში მხოლოდ ნატურალიზაციით მიღებული მოქალაქეობის დაკარგვა შესაძლებელია, ისიც იშვიათ შემთხვევებში. ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობით მოქალაქეობის ჩამორთმევის მეტი საფუძველია გათვალისწინებული; კერძოდ, ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნებში, როგორც ნაცისტური გერმანია იყო, ძალიან ბევრმა მოქალაქეობა რასის ან პოლიტიკური მოსაზრებების გამო დაკარგა.

4. ტერიტორიის გადასვლა ერთი სახელმწიფოს მმართველობიდან მეორეში.⁶⁶

სახელმწიფოთა კანონმდებლობაში არსებული განსხვავებების გამო პიროვნებას შეიძლება ორმაგი ან რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობა ჰქონდეს,

⁶⁴ იხ. R. Plender, *British Commonwealth, Subjects and Nationality Rules*, *EPIL* 8 (1985), 53-9; K.S. *Sik Nationality and International Law in Asian Perspective*, 1990; R. Bernhardt, *German Nationality*, *EPIL* II (1995), 555-9; Brownlie (1990), *op. cit.*, 386 *et seq.*; Franck, *Clan and Superclan: Loyalty, Identity and Community in Law and Practice*, *AJIL* 90 (1996), 359-83.

⁶⁵ იხ. თ. 11.

⁶⁶ KM Meesen, *Option of Nationality*, *EPIL* 8 (1985), 424-8. იხ. აგრეთვე, თ. 11.

⁶⁷ F.L. Lohr, *Passports*, *EPIL* 8 (1985), 428-31.

⁶⁸ H.v. Mangoldt, *Stateless Persons*, *EPIL* 8 (1985), 490-4; T. Jürgens, *Diplomatischer Schutz und Staatenlos*, 1987.

⁶⁹ *ib.* Malanczuk (1996), *International Business. op. at.*, 135-8.

⁷⁰ *Salem case*, *RIAA* II 1161.

⁷¹ *IL CYb* 2 (1958), 66-7.

⁷² *Reparation for Injuries case*, *ICJ Rep.* 1949, 174, 186 (*abiter*).

⁷³ *Merge case*, *ILR* 22 (1955), 443; *Iran-United States Claims Tribunal. Decision in Case No. A/13, ILM* 23 (1984), 489; *AJIL* 74 (1980), 163.

⁷⁴ *BYIL* 53 (1982), 492-3; *BYIL* 54 (1983), 520-1.

ასევე შეიძლება მოქალაქეობის არმქონე პირი იყოს. ორმაგი და რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობა არასასურველ კონცეფციად განიხილებოდა; ახალი ქვეყნის მოქალაქეობის მიღება ავტომატურად იწვევდა ძველი მოქალაქეობის დაკარგვას. თვით ის ფაქტი, რომ ეს წესი მივიწყებულია მრავალი სახელმწიფოს მიერ, აშკარად მიაჩნებოდა იმაზე, რომ ორმაგი ან რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობა არც ისე არასასურველია, როგორც ეს ხალხს მიაჩნდა. ადამიანების მიგრაციის ზრდასთან ერთად, ორი და რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობა უფრო პოპულარული ხდება.

მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობა დროდადრო იზრდება ტოტალიტარული რეჟიმის მქონე სახელმწიფოთა არსებობის გამო, რომლებიც პირებს მოქალაქეობას რასის და პოლიტიკური შეხედულების გამო ართმევენ. ეს ყველაზე არასასიამოვნო მოვლენაა. მოქალაქეობის არმქონე პირებს, სადაც არ უნდა წავიდნენ, არ გააჩნიათ სახელმწიფოში შესვლის, არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ისინი არ დაიშვებიან გარკვეულ სამუშაოებზე და ხშირად დეპორტაციის კანდიდატები ხდებიან. სახელმწიფო პასპორტებს მხოლოდ თავის მოქალაქეებზე გასცემს,⁶⁷ რის გამოც მოქალაქეობის არმქონე პირებს უჭირთ საკუთარი სურვილისამებრ მოგზაურობა. უკანასკნელი წლების მანძილზე სახელმწიფოების მიერ მრავალი ხელშეკრულება იქნა მიღებული მოქალაქეობის არმქონე პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (მაგალითად, მოქალაქეობის არმქონე პირთა უზრუნველყოფა სპეციალური სამოგზაურო დოკუმენტებით), შესაბამისად შეიცვალა ამ სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობაც.⁶⁸

სარჩელის ეროვნულობის კონტექსტის გათვალისწინებით, საერთაშორისო სამართალი პირთა მოქალაქეობის საკითხში სახელმწიფოს დისკრეციის შეზღუდვისაკენ იხრება. მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ ტრადიციული მიდგომა მოქმედებს; არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მათ მაგიერ სარჩელის აღძვრა. ქუვეითის წინააღმდეგ მებრძოლი ერაყის დამარცხების შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ჩამოყალიბებულმა საკომპენსაციო კომისიამ ნათლად უარყო ზემოთ ნახსენები წესი ჰუმანიტარული ხასიათის მიზეზთა გამო.⁶⁹

ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში ორი პრობლემა არსებობს. პირველი: ორი სახელმწიფოდან რომელი იცავს პიროვნების უფლებებს მესამე სახელმწიფოს წინაშე? მეორე: შეიძლება თუ არა, რომ ამ ორი სახელმწიფოდან ერთმა უჩივლოს მეორეს? მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა ორივე სახელმწიფოს შეუძლია,⁷⁰ თუმცა ამ აზრს ყველა არ ეთანხმება.⁷¹ რაც შეეხება მეორე კითხვას, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ყველა მსგავსი სარჩელი მიუღებელია.⁷² მაგრამ უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადი მოქალაქეობის სახელმწიფოს (ეს ის სახელმწიფოა, რომელთანაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს უფრო მყარი კავშირები აქვს) შეუძლია პირი დაიცვას პირის მეორე მოქალაქეობის სახელმწიფოსაგან (რასაც ქვემოთ განვიხილავთ).⁷³ დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ ძველი, საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით ხელმძღვანელობს.⁷⁴

საყოველთაოდ აღიარებული წესის მიხედვით, სახელმწიფოს არ შეეძლო თავისი მოქალაქის დაცვა ამ მოქალაქის მეორე მოქალაქეობის სახელმწიფოსაგან. ლათინური ამერიკის ქვეყნები ხშირად არღვევდნენ ამ წესს და ცდილობდნენ მხოლოდ თავიანთი მოქალაქეობა ელიარებინათ იმ პირთა მიმართ, ვისი სახელითაც შეჰქონდათ სარჩელი ან ვის წინააღმდეგაც შეიძლება სარჩელი ყოფილიყო აღძრული. მაგალითად, მექსიკის კონსტიტუციის თანახმად, მექსიკის მოქალაქეობას ნატურალიზაციით იძენდა ყველა უცხოელი, ვინც შეიძენდა მინის ნაკვეთს ან მექსიკაში დაბადებული ბავშვის მამა იყო. აშშ-მ პროტესტი გამოთქვა ამ წესის წინააღმდეგ 1886 წელს. აშშ-ს აზრით, ნატურალიზაცია „ნებაყოფლობითი აქტია“ და მისი ასეთი განსაზღვრა

არ შეიძლება. ამ აზრს მხარი დაუჭირა საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალმა და 1934 წელს მექსიკას თავის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა მოუხდა. ამას გარდა, მექსიკაში უკანონოდ დაბადებული ბავშვის მამობა განიმარტა, როგორც “*un accidente en la vida de los hombres*” (“შემთხვევითობა კაცობრიობის ცხოვრებაში”), და არა როგორც მექსიკელი ხალხის მიმართ მუდმივი სიყვარულის დასტური.

მრავალი წელი გავიდა, სანამ საერთაშორისო სამართალმა შეძლო იმ სახელმწიფოთა უფლებამოსილებების შეზღუდვა, რომლებიც ცდილობდნენ მათთან საფუძვლიანი კავშირის არმქონე პირთა თავიანთ მოქალაქეებად გასაღებას. ამ მხრივ არსებითი იქნება ნოტებომის საქმის განხილვა (Nottebohm case).⁷⁵ გერმანიის მოქალაქე ნოტებომი მინის ნაკვეთს ფლობდა გვატემალაში. 1939 წელს ის მიხვდა, რომ თუ გვატემალა ომში მოკავშირეთა მხარეს დადგებოდა, გერმანული მოქალაქეობა ხელს შეუშლიდა მის (ნოტებომის) საქმიანობას. სწორედ ამ მიზეზის გამო ის რამდენიმე კვირით თავის ძმასთან გაემგზავრა ლიხტენშტეინში და ლიხტენშტეინის მოქალაქეობა ითხოვა. იმ დროს გერმანიაში არსებული კანონმდებლობის თანახმად, ნოტებომმა ავტომატურად დაკარგა გერმანიის მოქალაქეობა. ამის შემდეგ ნოტებომი გვატემალაში დაბრუნდა. როდესაც გვატემალამ გერმანიას ომი გამოუცხადა, ის ინტერნირებულ იქნა, ხოლო მისი საკუთრება კონფისკაციას დაექვემდებარა. ლიხტენშტეინმა სარჩელი შეიტანა საერთაშორისო სასამართლოში გვატემალის წინააღმდეგ, მაგრამ წააგო. საერთაშორისო სასამართლომ საქმის განხილვისას განაცხადა, რომ დაცვის უფლების განხორციელება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს. რაც შეეხება ნოტებომსა და ლიხტენშტეინს, მათ შორის მსგავსი კავშირი არ არსებობდა. სასამართლოს გადანყვეტილება არ არის მთლიანად გასაგები, რადგანაც სასამართლომ ნოტებომის მოქალაქეობა კი არ უარყო, არამედ ლიხტენშტეინის შესაძლებლობა, დაეცვა იგი გვატემალის წინაშე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნოტებომის საქმე, ზემოთ ხსენებული მექსიკური კანონმდებლობის საქმის მსგავსად, მოქალაქეობის საკითხს ეხებოდა, უფრო სწორად, ნატურალიზაციის საკითხს. საინტერესოა, თუ როგორ განსაზღვრავს ამ საკითხს საერთაშორისო სასამართლო მოქალაქეობის დაბადებით ან ქორწინებით მიღების შემთხვევაში. მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია ნიადაგის პრინციპის საფუძველზე, სახელმწიფოსთან მნიშვნელოვანი კავშირის გარეშეც; მიესადაგება თუ არა ასეთი მოქალაქეობა ნოტებომის საქმის შედეგად ჩამოყალიბებულ წესს? იქნებ უფრო მართებული იქნება, თუ ეს საკითხი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის მიხედვით გადანყდება? მოქალაქეობის მიღება დაბადებით, *ius soli*-ს საფუძველზე მთელ მსოფლიოშია მიღებული, მაგრამ ნატურალიზაციის შესახებ მექსიკისა და ლიხტენშტეინის კანონების სისწორე სასამართლოებმა ეჭვქვეშ დააყენეს ჩვეულებით სამართალთან შეუსაბამობის მიზეზით.

ჰააგაში მდებარე ირანისა და აშშ-ის ტრიბუნალმა ასევე განიხილა რამდენიმე საქმე, რომლის მოსარჩელე მხარეები ორი მოქალაქეობით სარგებლობდნენ. კერძოდ, ირანისა და ამერიკის მოქალაქეობის მქონე პირები კომპენსაციას ირანისაგან მოითხოვდნენ. ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ მსგავსი სარჩელების განხილვა ნოტებომის საქმისა და სხვა მნიშვნელოვანი პრეცედენტების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო; ერთი სიტყვით, ტრიბუნალს ირანის წინააღმდეგ მიმართული ისეთი სარჩელების განხილვის უფლება ჰქონდა, სადაც ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში ძირითადი და რეალური მოქალაქეობის სახელმწიფოს ამერიკა წარმოადგენდა. კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ეს დავა უნდა გადაჭრილიყო, მოიცავდა საცხოვრებელ ადგილს, ოჯახურ კავშირებს, ინტერესების სერიოზულობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასა და ა.შ.⁷⁶

⁷⁵ *Liechtenstein v. Guatemala*, ICJ Rep. 1953, 111-25 (Jurisdiction), ICJ Rep. 1955, 4-65 (Judgment). *ob. H. v. Mangoldt. Nottebohm Case*, EPIL 2 (1981), 213-6. ⁷⁶ *ob. Case No. A/18. op. cit.*, RE. Mahoney, The Standing of Dual Nations Before the Iran-United States Claims Tribunal, *Virginia* 24 (1984), 695; P. McGarvey-Rosendahl, A New Approach to Dual Nationality, *Houston* 11 (1986), 305; D.J. Bederman, *Saghi v. Islamic Republic of Iran*, AWD 544-298-2, Iran-United States Claims Tribunal, January 22, 1993. *MIL* 87 (1993), 447-52; Bederman, Nationality of Individual Claimants before the Iran-United States Claims Tribunal, *ICLQ* 42 (1993), 119 *et seq.*; Bederman, Historic Analogues of the UN Compensation Commission, in R.B. Lillich (ed.), *The United Nations Compensation Commission: Thirteenth Sokol Colloquium*, 1995, 257-310; D.S. Mathias, The Weighing of Evidence in a Dual National Case at the Iran-United States Claims Tribunal, *NYIL* 26 (1995), 171-89.

⁷⁷ იხ. A.A. Fatouros. National Legal Persons in International Law, *EPIL* 10 (1987), 299-306.

⁷⁸ *Belgium v. Spain*, Judgment (Second Phase), *ICJ Rep.* 1970, 3-357, at 42.

⁷⁹ *Ibid.*, 31-50. იხ. FA Mann, The Protection of Shareholder's Interests in the Light of the Barcelona Traction Case. *All* 67 (1973), 259-74, 74.

⁸⁰ *ICJ Rep.* 1970, at 48.

⁸¹ *ibid.*, 72-5, 191-2, 240-1, 257.

⁸² იხ. M. Jones. Claims on Behalf of Nationals Who are Shareholders in Foreign Companies, *BYIL* 26 (1949), 225.

⁸³ *Elettronica Sicula S.p.A. (ELSI)* case. *ICJ Rep.* 1989, 15-121; *ILM* 28 (1989), 1109. იხ. Gill. *AJIL* 84 (1996), 249-58; G. Schuster. *Elettronica Sicula Case*. *EPIL* II (1995), 55-8.

⁸⁴ იხ. თ. 18.

კომპანიის სახელით სარჩელის წარდგენა შეუძლია იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეცაა ეს კომპანია.⁷⁷ კომპანიას მიეკუთვნება იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა (ეროვნულობა), რომლის კანონმდებლობის საფუძველზეც ის შეიქმნა და რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია მისი ოფისი. როგორც საერთაშორისო სასამართლომ ბარსელონის საქმის (Barcelona Traction Case) განხილვისას აღნიშნა (ეს საქმე შეეხებოდა ესპანეთის მიერ იმ კანადური კომპანიისათვის მიყენებულ ზარალს, რომელსაც ბელგიელი მენილეები მართავდნენ): იმის მიუხედავად, რომ კომპანია უცხო ქვეყანაში საქმიანობდა და მას უცხოელი მენილეები მართავდნენ, სარჩელის შეტანის უფლება, მოქალაქეობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მშობელ ქვეყანას ჰქონდა.⁷⁸ მაშასადამე, სასამართლომ ნოტეობომის გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო. თუ არ არსებობს „მნიშვნელოვანი კავშირი“ საწარმოსა და მის სამშობლოს შორის, სახელმწიფოს შეიძლება აეკრძალოს საწარმოს მაგიერ სარჩელის წარდგენა. ბარსელონის საქმის განხილვისას სასამართლომ იმის თქმა სურდა, რომ საწარმოს მოქმედება უცხო ქვეყანაში და მისი მართვა უცხო მენილეების მიერ სრულიადაც არ ასუსტებს მნიშვნელოვან კავშირს საწარმოსა და მშობელ სახელმწიფოს შორის.

როგორც წესი, სახელმწიფოს არ აქვს უფლებამოსილება, სარჩელი წარადგინოს თავისი მოქალაქეების მაგიერ, რომლებსაც ზარალი მიაყენეს უცხო სახელმწიფოს საწარმოში ჩადებული წილის გამო. საერთაშორისო სასამართლომ ბარსელონის საქმის განხილვისას ერთი გამონაკლისი აღიარა: საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში, მენილეთა სახელმწიფოს შეუძლია სარჩელის წარდგენა იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რაც მისმა მოქალაქეებმა განიცადეს საწარმოს დაზარალების გამო.⁷⁹ ამ შემთხვევაში ეს წესი არ გამოდგებოდა, რადგანაც საწარმო არ იყო ლიკვიდირებული. როცა ზარალს განიცდის სახელმწიფო, რომლის მოქალაქეობაც აქვს კომპანიას, მენილეთა მშობელი სახელმწიფო უკეთეს პოზიციაშია სარჩელის აღძვრის თვალსაზრისით. საერთაშორისო სასამართლომ ეს საკითხი ღიად დატოვა ბარსელონის საქმეში⁸⁰, ხოლო ცალკეულ მოსამართლეთა *obiter dicta*-ს ერთმანეთისაგან განსხვავებულ დასკვნებამდე მიყვავართ.⁸¹ მსგავს ვითარებაშიც კი საჭირო იქნება საწარმოს ლიკვიდაციის ან ფასის დაკარგვის ფაქტის დამტკიცება, რის გამოც მისი მართვა არაეფექტური ხდება.⁸²

ამ მხრივ საინტერესოა საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხილული ელსი-ს საქმე (ELSI case), რომელშიც აშშ-მ იტალიის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი კომპენსაციის მიღების თაობაზე ამერიკელთა მიერ მართული იტალიური კორპორაციის ექსპროპრიაციის გამო. მოსამართლე ოდამ, ბარსელონის საქმეზე დაყრდნობით, თავისი განსხვავებული აზრი გამოთქვა. კერძოდ, 1948 წელს ვაჭრობასა და ნაოსნობაში თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების დებულებები არ ითვალისწინებდა იმ საწარმოს მენილეთა უფლებების დაცვას, რომელიც მეორე სახელმწიფოს კანონების შესაბამისად იმართება.⁸³

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ირანისა და აშშ-ის ტრიბუნალის მიერ განხილული ყველაზე დიდი სარჩელები (მათი საკომპენსაციო თანხა 250 000 ამერიკულ დოლარს აღემატებოდა) ამერიკული კომპანიების მიერ იყო წარდგენილი. კომპანიები ხშირ შემთხვევაში უზარმაზარ საწარმოებს წარმოადგენდნენ, რომელთა აქციებსაც ათასობით ადამიანი ფლობდა. ერთ-ერთი ასეთი კომპანია იყო კორპორაცია „ჯენერალ მოტორსი“. ტრიბუნალს უნდა განეხილა საკითხი, იყო თუ არა მრავალეროვნული კომპანია დანამდვილებით (და არა მარტო ფორმალურად) ამერიკული, როგორც ამას ტრიბუნალის მიერ დადგენილ სარჩელთა მომგვარებელი დეკლარაცია ითვალისწინებდა.⁸⁴ ტრიბუნალმა შეადგინა შედარებით სრულყოფილი კრიტერიუმების ნუსხა და ივარაუდა, რომ კომპანია ამერიკელებისა იყო, თუ:

1. მენილეთა უმრავლესობას ჰქონდა მისამართი ამერიკაში; და
2. კომპანიას შეეძლო შემდეგი 3 დოკუმენტის წარდგენა:
 - ა) ამერიკის კომპეტენტური შტატის კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სახელმწიფო მოწმობა კომპანიის დაფუძნებისა და არსებობის შესახებ;
 - ბ) იმ მნიშვნელოვანი განცხადებების ასლები, რომლებსაც კომპანია ყოველწლიურად წარუდგენს ამერიკის ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის გაცვლის კომისიას და რომელიც არსებით ინფორმაციას შეიცავს ძირითად აქციონერთა შესახებ; და
 - გ) კომპანიის ოფიციალური თანამდებობის პირის მიერ დამონმებული განცხადება იმ აქციონერთა პროცენტულ რაოდენობაზე, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება და მისამართი აქვთ ამერიკაში.⁸⁵

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენდა მესამე სახელმწიფოში განლაგებული „მართვადი საწარმოები“ (საწარმოები, რომლებსაც ირანი ან ამერიკა მართავდა).

შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონაწილი

დაზარალებული პირი (ან კომპანია) ვალდებულია, ამონაწილს მოპასუხე სახელმწიფოში არსებული ადამიანის უფლებების სამართლებრივი დაცვის საშუალებები, სანამ საერთაშორისო სარჩელის შეტანის უფლებას მიიღებდეს.⁸⁶ საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის 22-ე მუხლის თანახმად,

როდესაც სახელმწიფოს ქმედების შედეგად მიღებული მდგომარეობა არ შეესაბამება უცხოელთა მიმართ (ფიზიკური პირი იქნება თუ იურიდიული პირი) გათვალისწინებულ საერთაშორისო ვალდებულებას, მაგრამ ვალდებულებით დაშვებულია ასეთივე ან მსგავსი შედეგის დადგომა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სხვა ქმედებით, მაშინ საერთაშორისო ვალდებულება ჩაითვლება დარღვეულად, თუ დაინტერესებული უცხოელი ამონაწილს მისთვის ხელმისაწვდომ შიდასახელმწიფოებრივ ზომებს და ვერ მიაღწევს ვალდებულებით გათვალისწინებულ ან მის ეკვივალენტურ მოპყრობას.

ამ წესის მისაღებად მრავალი მოსაზრება არსებობდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ეს წესი ეხმარება სახელმწიფოებს მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებაში, რასაც მრავალი ყოველდღიური უთანხმოება ემუქრება. სახელმწიფოს დადანაშაულება საერთაშორისო სამართალდარღვევაში საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა. თუ ზარალი პირდაპირ სახელმწიფოს ადგება (მაგალითად, თავს დაესხნენ მის სამხედრო გემს ან დიპლომატებს), მაშინ, ალბათ, საჭირო არ არის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონაწილს: სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობები შეირყა და ეს უკვე სახელმწიფოს ღირსების საქმეა.

რა თქმა უნდა, შიდასახელმწიფოებრივი სამართალდამცავი საშუალებების ამონაწილს საჭირო არ არის, თუ ისედაც ნათელია, რომ სასამართლო არ დააკმაყოფილებს დაზარალებული პირის სარჩელს.⁸⁷ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები უნაყოფოა, ეს წესი მკაცრად გამოიყენება. ამის მაგალითია ამბათიელოსის საქმე (Ambatielos case).⁸⁸ ამბათიელოსი ბერძენი გემთმფლობელი იყო. მან ხელშეკრულება დადო ბრიტანეთის მთავრობასთან გემების შესყიდვის თაობაზე, მოგვიანებით კი იგივე მთავრობა ხელშეკრულების დარღვევაში დაადანაშაულა. ინგლისის უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ამბათიელოსმა ვერ შეძლო ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმის გამოძახება და წააგო; მისი აპელაცია უარყოფილ იქნა

⁸⁵ *Flexi-Van Leasing Inc. v. Islamic Republic of Iran*, Order of 15 December 1982; *General Motors Corporation v. Government of the Islamic Republic of Iran*, Order of 18 January 1983; confirmed by the Full Tribunal in *Islamic Republic of Iran v. United States of America*, DEC 45-A20-FT, *Iran-US CTR* 11 (1986-II), 271. იხ. აგრეთვე, *Staker, Diplomatic Protection of Private Business Companies: Determining Corporate Personality for International Law Purposes*. *BYIL* 61 (1990), 155 *et seq.*

⁸⁶ *K. Doehring, Local Remedies, Exhaustion of, EPIL* 1 (1981), 136-40; *C.F. Amerasinghe, Local Remedies in International Law*, 1990; *S. Schwebel, Arbitration and the Exhaustion of Local Remedies*, in *W.E. Ebke/J.J. Norton (eds), Festschrift in Honor of Sir Joseph Gold*, 1990, 373; *M.H. Adler, The Exhaustion of Local Remedies Rule After the International Court of Justice's Decision in ELSI*, *ICLQ* 39 (1990), 641 *et seq.*; *C.F. Amerasinghe, Arbitration and the Rule of Local Remedies*, in *FS Bernhardt*, 665.

⁸⁷ მაგალითად, *Brown v. Claim* (1923), *RIAA* VI 120.

⁸⁸ *Greece v. UK*, *RIAA* XII 83, *ILR* 23 (1956), 306. იხ. *N. Wihler, Ambatielos Case*. *EPIL* 1 (1992), 123-5.

⁸⁹ *Switzerland v. USA, ICJ Rep. 1959, 6, at 26-9, nb. L. Weber, Interhandel Case, EPIL II (1995), 1025-7.*

⁹⁰ *Op. cit.*, 42-4, 94.

⁹¹ A.M. Trebilcock, *Waiver, EPIL 7 (1984), 533-6.*

⁹² *Barcelona Traction case, ICJ Rep. 1964, 22-3 (Preliminary Objections)*, *nb. აგრეთვე*, თ. 6.

⁹³ *Geck, op. cit., Dolzer, op. cit. nb. აგრეთვე*, თ. 2.

⁹⁴ K.-H. Bockstiegel/M. Benko (eds), *Space Law: Basic Legal Documents*, Vol. II, D.II.4.2. *nb. აგრეთვე*, თ. 13.

სააპელაციო სასამართლოს მიერ. მოგვიანებით, საბერძნეთს საშუალება მიეცა, თავისი მოქალაქის მაგიერ სარჩელი წარედგინა, მაგრამ საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, რომ ამბატიელოსმა არ გამოიყენა ყველა შიდასახელმწიფოებრივი სამართალდამცავი საშუალება, რადგანაც ვერ გამოიძახა საქმისთვის გადამწყვეტი მოწმე და ვერც სააპელაციო სასამართლოდან ლორდთა პალატაში საქმის გადატანა შეძლო.

მსგავსი გადანყვეტილება გამოიტანეს *ინტერჰენდელის საქმეშიც* (Interhandel case⁸⁹). ეს საქმე შვედურ კომპანიას ეხებოდა. მას ამერიკაში გარკვეული საკუთრება ჰქონდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოართვეს. მიზეზი გერმანულ კომპანია „ი. გ. ფარბენთან“ კავშირი გახლდათ. შვედური კომპანია ცხრა წლის მანძილზე ცდილობდა სამართლიანობის აღდგენას ამერიკის სასამართლოებში. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, იგი ამერიკის ვერც ერთი სასამართლოსაგან ვერ მიიღებდა დამაკმაყოფილებელ გადანყვეტილებას. შვედეთმა საქმე საერთაშორისო სასამართლოში აღძრა. საერთაშორისო სასამართლომ განიხილა სარჩელი და გადანყვეტილების მიღებას აპირებდა, როდესაც ამერიკის უზენაესმა სასამართლომ საქმის ახალი განხილვის დანიშვნა ბრძანა. საერთაშორისო სასამართლო იძულებული გახდა, უარი ეთქვა საქმის განხილვაზე, რადგანაც შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ იქნა ამონურული. ამბობენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ საშუალებების ამონურვა არ არის საჭირო, თუ ეს პროცესი ძალიან განელილია; ღმერთმა უწყის, თუ რა ვადა იგულისხმება „ძალიან განელილ ვადაში“, განსაკუთრებით, *ინტერჰენდელის საქმის* შემდეგ. ამ მხრივ ELSI-ს საქმესთან დაკავშირებით მიღებული გადანყვეტილება არ გამოდგება, რადგან შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვაში „ყველა გონივრული საშუალების ამონურვა იგულისხმება.“⁹⁰

საკუთარ სარჩელზე უარის თქმა

თუ სახელმწიფომ უარი განაცხადა საკუთარ სარჩელზე, მას არ შეუძლია ამავე სარჩელის ხელახლა წარდგენა.⁹¹ ზემოთ უკვე ითქვა, რომ სარჩელის წარდგენის უფლება სახელმწიფოს ეკუთვნის და არა კერძო პირს, ამიტომაც კერძო პირის მიერ სარჩელზე უარის თქმა არანაირ ზეგავლენას არ იქონიებს სახელმწიფოს უფლებაზე.⁹²

ერთ დროს ლათინური ამერიკის სახელმწიფოებსა და უცხოელებს შორის დადებული ხელშეკრულებანი შეიცავდა „კალვოს პუნქტს“ (არგენტინელი იურისტისა და მოლვანის, ამ პუნქტის ავტორის პატივსაცემად), რომლის თანახმადაც, უცხო ქვეყნის მოქალაქენი თანხმდებოდნენ, არ მოეთხოვათ თავიანთი სახელმწიფოსაგან დიპლომატიური დაცვა.⁹³ საერთაშორისო ტრიბუნალები არ აღიარებენ მსგავს პუნქტებს, რადგანაც დიპლომატიური დაცვის განხორციელების უფლება სახელმწიფოს ეკუთვნის და არა კერძო პირს. ასე რომ, კერძო პირის მიერ ისეთ უფლებაზე უარის თქმა, რომელიც მას არ ეკუთვნის, არანაირ გავლენას არ ახდენს სახელმწიფოს გადანყვეტილებაზე. შეზღუდული უფლებების არსებობა პიროვნებას გარკვეულ უპირატესობებს ანიჭებს.

სახელმწიფომ შეიძლება წინასწარ უარი განაცხადოს მომავალი ხელშეკრულების შესრულებისას წარმოქმნილ სირთულეებთან დაკავშირებულ სარჩელზეც, რათა თანამშრომლობის გაზრდასთან ერთად შეამციროს სავარაუდო საკომპენსაციო მოთხოვნების ოდენობა. მაგალითად, ხელშეკრულება მუდმივად დაკოპლექტებული სამოქალაქო ხასიათის კოსმოსური სადგურის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროპის კოსმოსური სააგენტოს ნევრ-სახელმწიფოებს, იაპონიასა და კანადას შორის ითვალისწინებს „პარტნიორი სახელმწიფოებისა და მონაწილე სანარმოების ორმხრივ უფლებას, უარი განაცხადონ რაიმე ვალდებულებებზე, კოსმოსური სადგურის საშუალებით გამოკვლევების გამოყენებისა და კოსმოსური სივრცის მოხმარების მიზნით.“⁹⁴

სარჩელის წარდგენის უსაფუძვლო დაგვიანება და დაზარალებული უცხოელის კანონსაწინააღმდეგო ქმედება

სარჩელი არ განიხილება, თუ მოსარჩელე სახელმწიფო უმიზეზოდ დაავიანებს მის წარდგენას.⁹⁵ ამას გარდა, ზოგჯერ სახელმწიფოს არ შეუძლია სარჩელის წარდგენა იმ ზარალის გამო, რომელიც პირმა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიიღო.⁹⁶ თუმცა ეს წესი მაშინ მოქმედებს, თუ მიყენებული ზარალი პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების პირდაპირპროპორციულია.⁹⁷ სახელმწიფოს არ შეუძლია უცხო ქვეყნის მოქალაქე სიკვდილით დასაჯოს მანქანის დაყენების წესების დარღვევის გამო. უფრო რთულადაა საქმე, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქე დამნაშავეა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, როგორც ეს ხშირად ხდება სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოებში (გაჯოხვის ფაქტები სინგაპურში და სიკვდილით დასჯის ფაქტები მალაიზიაში).

საერთაშორისო სამართალდარღვევის შედეგები

თუ დამტკიცდა, რომ სახელმწიფომ საერთაშორისო სამართალდარღვევა ჩაიდინა, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს, აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. სწორედ ამ წესის კოდიფიცირებას ცდილობს საერთაშორისო სამართლის კომისია პროექტის მეორე ნაწილში, რომელიც „სახელმწიფოს პასუხიმგებლობის შინაარსს, ფორმასა და ხარისხს“ შეეხება. პროექტის მე-5 მუხლი იძლევა დაზარალებული სახელმწიფოს განმარტებას, რომლის უფლებაც შეზღუდულ იქნა მეორე სახელმწიფოს მიერ ჩადენილი სამართალდარღვევით. რაც შეეხება პროექტის მე-19 მუხლში მოცემულ განმარტებას საერთაშორისო დანაშაულის შესახებ⁹⁸ (რაც განსხვავდება უბრალო გადაცდომისაგან), იგი უფრო ფართო ხასიათისაა და დაზარალებულ სახელმწიფოსთან ერთად „ყველა სხვა დანარჩენ სახელმწიფოსაც“ მოიცავს.⁹⁹ მაგალითად, თუ A სახელმწიფომ ჩაიდინა დელიქტი, კომპენსაციის გარეშე მოახდინა B სახელმწიფოს მოქალაქის საკუთრების კონფისკაცია, მხოლოდ B სახელმწიფოს შეუძლია საერთაშორისო სარჩელის წარდგენა ან საპირისპირო ზომების მიღება. სხვა სახელმწიფოებს არ აქვთ ჩარევის უფლება, რადგანაც მათი უფლებები არ დარღვეულა. მეორე მხრივ, თუ A სახელმწიფომ ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული, მაგალითად, დაიმონა B სახელმწიფოს მოსახლეობა (მონობა საერთაშორისო დანაშაულია, რომელიც ლახავს საერთაშორისო საზოგადოების ფუნდამენტურ ინტერესებს და, მაშასადამე, ყველა სახელმწიფოს ინტერესებს), არა მარტო B სახელმწიფოს, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ყველა წევრ-სახელმწიფოს შეუძლია საპასუხო ქმედების განხორციელება. თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ განსჯის საგნად რჩება და არ არის საბოლოოდ მოწესრიგებული საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ.

საერთაშორისო პასუხიმგებლობის პირველი სამართლებრივი შედეგი ისაა, რომ სამართალდამრღვევი სახელმწიფო ვალდებულია, შეწყვიტოს უკანონო ქმედება.¹⁰⁰ უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართლის კომისიის თანახმად, დაზარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია, მოითხოვოს „ზარალის სრული ანაზღაურება“,¹⁰¹ რესტიტუციის, კომპენსაციის, სატისფაქციისა ან/და მსგავსი ქმედების განმეორებით ჩადენაზე უარის თქმის დარწმუნებითა და გარანტიით... როგორც მარტო, ასევე სხვა სახელმწიფოს ხელშეწყობით.“¹⁰² ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ მოსარჩელე სახელმწიფოსა და მისი მოქალაქის მიერ განხორციელებული წინასწარგანზრახული ქმედება ან დაუდევრობა.¹⁰³ სამართალდამრღვევი სახელმწიფო ვერ მოიხმობს შიდა-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას სრული რეპარაციისაგან თავის არიდების მიზნით.¹⁰⁴ რესტიტუციის, კომპენსაციისა და სატისფაქციის უფლებები გარკვეულ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. რესტიტუცია გულისხმობს, რომ

⁹⁵ *Centini's claim* (1903), *RIM* X 552-5.

⁹⁶ Draft Article 6 bis of Part 2 of the ILC draft articles on state responsibility.

⁹⁷ *op. cit.*

⁹⁸ იბ.თ.3.

⁹⁹ იბ. Part 2, draft article 5(3).

¹⁰⁰ Part 2, draft article 6.

¹⁰¹ იბ. R. Wolfrum, *Reparation for Internationally Wrongful Acts*, *EPIL* 10 (1987), 352-3. იბ. აგრეთვე, F.A. Mann, *The Consequences of an International Wrong in International and National Law*, *BYIL* 48 (1976-7), 1-6; G. White, *Legal Consequences of Wrongful Acts in International Economic Law*, *NYIL* 16 (1985), 137-73.

¹⁰² Part 2, draft article 6 bis.

¹⁰³ Part 2, draft article 6 bis (2).

¹⁰⁴ Part 2, draft article 6 bis (3).

¹⁰⁵ S.D. Thomson, Restitution. *EPIL* 10(1987), 375-8.

¹⁰⁶ *Ius cogens*-ის შესახებ იხ. თ.3.

¹⁰⁷ Part 2, draft article 7.

¹⁰⁸ E.H. Riedel, Damages, *EPIL* 1(1992), 929-34. იხ. აგრეთვე, D.B. Southern, Restitution or Compensation: the Land Question in East Germany, *ICLO* 42 (1993), 690-7.

¹⁰⁹ იხ. J.Y. Gotanda, Awarding Interest in International Arbitration, *AJIL* 90 (1996), 40-63.

¹¹⁰ Part 2, draft article 8. იხ. აგრეთვე თ.15.

¹¹¹ E. Riedel, Satisfaction. (1987), 383-4.

¹¹² Part 2, draft article 10(2).

¹¹³ იხ. თ.3.

¹¹⁴ იხ. R. Rosenstock, The Forty-Seventh Session of the International Law Commission, *AJIL* 90 (1996), 106.

სამართალდამრღვევმა სახელმწიფომ უნდა აღადგინოს მის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებამდე არსებული მდგომარეობა,¹⁰⁵ ასევე უზრუნველყოს, რომ ყოველივე ზემოთქმული:

- ა) ფიზიკურად განხორციელება; ბ) არ დაარღვევს საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმიდან გამომდინარე ვალდებულებას;¹⁰⁶ გ) უმძიმეს ტვირთად არ დაანება მოსარჩელე სახელმწიფოს იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულ სახელმწიფოს სარგებელი კომპენსაციის მაგიერ რესტიტუციის საშუალებით მიეცემა; ან დ) არ ჩააგდებს საფრთხეში საერთაშორისო სამართალდარღვევის ჩამდენი სახელმწიფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ეკონომიკურ სტაბილურობას. იმ პირობით, რომ არც დაზარალებული სახელმწიფო განიცდის მსგავს დაზარალებას, თუ არ მიიღებს რესტიტუციას.¹⁰⁷

თუ შესაბამისი რესტიტუციის საშუალება სახელმწიფოს არა აქვს, მაშინ კომპენსაცია უნდა გადაიხადოს მიყენებული ზარალისთვის.¹⁰⁸ კომპენსაცია ფარავს ყველა ეკონომიკურად შეფასებად ზარალს და შეიძლება შეიცავდეს პროცენტს,¹⁰⁹ ზოგჯერ კი დაკარგულ მოგებასაც.¹¹⁰

სატისფაქცია¹¹¹ დამატებითი საშუალებაა, რომელიც უმეტესწილად (მაგრამ არა ყოველთვის) მატერიალური ზარალის არარსებობის შემთხვევებში გამოიყენება (მორალური ზიანი იქნა მიყენებული) – მაგალითად, ერთი სახელმწიფოს მეთაურის მიერ მეორე სახელმწიფოს მეთაურის სერიოზული შეურაცხყოფისას. სატისფაქციას შეიძლება შემდეგი ფორმები ჰქონდეს:

- ა) ბოდიშის მოხდა; ბ) ნომინალური ზიანი; გ) დაზარალებული სახელმწიფოს უფლებების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის სერიოზულობის ამსახველი ზიანი; დ) საერთაშორისო სამართალდარღვევისას, რომელიც ოფიციალურ ან კერძო პირთა დაუდევარი ან კრიმინალური ქმედების შედეგია, პასუხისმგებელ პირთა მიმართ დისციპლინარული ზომის ან სასჯელის გამოყენება.¹¹²

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სატისფაქციის მიღების უფლება „არ ამართლებს საერთაშორისო სამართალდარღვევის ჩამდენი სახელმწიფოს ღირსების შემბლაღავ მოთხოვნებს“ (პროექტის მუხლი 8(3)). „ნომინალური ზიანი“ იმას გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევმა სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს სიმბოლური თანხა (მაგალითად, ერთი ამერიკული დოლარი) დაზარალებული სახელმწიფოს ღირსების დასაკმაყოფილებლად, რაც, ცოტა არ იყოს, მოძველდა.

რაც შეეხება რეპარაციის ბოლო ფორმას, საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მიღებულ პროექტში, კერძოდ, მის მე-19 მუხლში, ნახსენებია სამართალდამრღვევი სახელმწიფოს მიერ მსგავსი ქმედების განმეორებით ჩადენაზე უარის თქმა. საერთაშორისო სამართლის კომისიის 1995 წლის სესიამდე გადაუჭრელი რჩებოდა საერთაშორისო დანაშაულების საკითხი (რომელიც ნახსენებია პირველი ნაწილის მე-19 მუხლში¹¹³). ამ მხრივ პროგრესი განიცადა საერთაშორისო დელიქტებისა და დავების მოგვარების საკითხებმა, რომლებიც დაზარალებული სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ საპასუხო ზომებს შეეხება.¹¹⁴

საპასუხო ზომები და ღავევის მშვიდობიანი მოგვარება

საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული მუხლები, რომლებიც საპასუხო ზომებს შეეხება, პროექტის მეორე ნაწილში აისახა. კერძოდ, მე-11 მუხლი (დაზარალებული სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საპასუხო ზომები), მე-12 მუხლი (საპასუხო ზომების გამოყენების შემთხვევები), მე-13 მუხლი (პროპორციულობის საკითხი) და მე-14 მუხლი (აკრძალული საპასუხო ზომების სახეები). თავად ტერმინი „საპასუხო ზომები“¹¹⁵ სამაგიეროს გადახდას გულისხმობს, რაც ტრადიციულად აღინიშნება ტერმინით „რეპრესალია“.¹¹⁶ თუ A სახელმწიფო დაზარადა B სახელმწიფოს მიერ ჩადენილი საერთაშორისო სამართალდარღვევის შედეგად, მაშინ, როგორც წესი, გამართლებულია A სახელმწიფოს მიერ B სახელმწიფოსადმი არსებული მოვალეობების შეუსრულებლობა. გარკვეულ შემთხვევებში A სახელმწიფო უფლებამოსილია, განახორციელოს ცალმხრივი, იძულებითი ხასიათის საპასუხო ზომები B სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგალითად, A სახელმწიფოს შეუძლია დროებით შეაჩეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები B სახელმწიფოს მიმართ. შესაბამისად, A სახელმწიფოს შეუძლია მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი B სახელმწიფოს საკუთრების კონფისკაცია, რათა აიძულოს B სახელმწიფო, შეწყვიტოს სამართალდარღვევა და უზრუნველყოს რეპარაცია. ყოველივე ზემოთქმული თვითდახმარების ზომა და დეცენტრალიზებული საერთაშორისო სისტემის ჰორიზონტალური ბუნების ნიშან-თვისება.¹¹⁷ გარკვეულ შემთხვევებში მესამე სახელმწიფოსაც, რომელსაც პირდაპირი შეხება არ ჰქონია საქმესთან, შეუძლია საპასუხო ქმედების განხორციელება საერთაშორისო სამართლის ნორმის დარღვევის გამო. მაგრამ ვალდებულება, რომელიც დაირღვა, *erga omnes* ვალდებულება უნდა იყოს, რომლის დაცვაც ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი ინტერესია.¹¹⁸

რეპრესალიებს გარკვეული შეზღუდვებიც აქვს. დღეს ყველაზე გავრცელებულია სამხედრო რეპრესალიის აკრძალვა. ეს აკრძალვა გამომდინარეობს გაეროს წესდების მე-2(4) მუხლში ასახული ზოგადი ნორმიდან, რომელიც კრძალავს ძალის გამოყენებას (გამონაკლისს წარმოადგენს შეიარაღებული თავდასხმისაგან თავდაცვა).¹¹⁹ მაშასადამე, თუ A სახელმწიფომ არ შეასრულა B სახელმწიფოსთან დადებული სავაჭრო გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულებები, B სახელმწიფოს არ შეუძლია A სახელმწიფოს სანაოსნო ნავსადგურის ბლოკირება. უფრო მეტიც, საპასუხო ზომა სამართალდარღვევის უკუპროპორციული უნდა იყოს.¹²⁰ თუ A სახელმწიფო უკანონოდ დაპატიმრებს B სახელმწიფოს მოქალაქეს, ეს არ აძლევს B სახელმწიფოს უფლებას, თავისი ტერიტორიიდან გააძევოს A სახელმწიფოს ყველა მოქალაქე და კონფისკაცია გაუკეთოს მათ საკუთრებას. საერთაშორისო სამართალი კრძალავს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების და საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმების¹²¹ დამრღვევ საპასუხო ზომებს. მაგალითად, თუ B სახელმწიფომ ჩაიდინა სამართალდარღვევა, A სახელმწიფოს არ შეუძლია შური იძიოს B სახელმწიფოს მოქალაქეთა წამებით.

საინტერესოა ამ საკითხისადმი საერთაშორისო სამართლის კომისიის მიდგომა. კომისიის აზრით, ცალმხრივი საპასუხო ზომების გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს დავების მშვიდობიანად გადაჭრის მექანიზმების გამოყენება.¹²² მსგავსი მექანიზმები მიზნად ისახავს რეპრესალიებისა და საპასუხო რეპრესალიების თავიდან აცილებას. მაგრამ მსგავსი მიდგომა არარეალური და არაეფექტურია დღევანდელი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემისათვის, რომელიც სამართალდამრღვევ სახელმწიფოს დარღვევათა განხორციელების საშუალებას აძლევს და უბრალო მობოდიშებით შემოიფარგლება. მეორე მხრივ, როდესაც მოსამართლე ნეიტრალური არ არის, გადანყვე-

¹¹⁵ E. Zoller, *Peacetime Unilateral Remedies. An Analysis of Countermeasures*, 1984; Malanczuk (1987), *op. cit.*, 197-286; O.Y. Elagab, *The Legality of Non-Forcible Counter-Measures in International Law*, 1988; L.-A. Sicilianos, *Les Reactions decentralisées a l'illicite - des contre-mesures a la légitime défense*, 1990; L. A. N. M. Barnhoorn, *op. cit.* აგრეთვე, *The Arbitration between France and the United States (1978) in the Air Services Agreement case*, 18 *Harris CML*, 11-7 დაბ.

¹¹⁶ P. Malanczuk, *Zur Repressalie im Entwurf der International Law Commission zur Staatenverantwortlichkeit*, *ZaotRV* 45 (1985), 293-323; K.J. Partsch, *Reprisals*, *EPIL* 9 (1986), 330-5; Partsch, *Retorsion*, *ibid.*, 335-7. აგრეთვე, თ. 1, ¹¹⁷ იბ. თ. 1.

¹¹⁸ იბ. J. Charney, *Third State Remedies in International Law*, *Mich. JIL* 10 (1989), 57; J.A. Frowein, *Reactions by Not Directly Affected States to Breaches of Public International Law*, (1994-IV), 345-437; იბ. აგრეთვე, თ. 3.

¹¹⁹ იბ. თ. 19.
¹²⁰ იბ. *The Air Services Agreement case*, *op. cit.*; J. Delbrück, *Proportionality*, *EPIL* 7 (1984), 396-400. იბ. აგრეთვე, თ. 19.

¹²¹ იბ. თ. 3.
¹²² იბ. O. Schachter, *Dispute Settlement and Countermeasures in the International Law Commission*, *AJIL* 88 (1994), 471-7; *Symposium: Counter-Measures and Dispute Settlement: The Current Debate within the ILC*, *EJIL* 5 (1994), 20-119 (with contributions by G. Arangio-Ruiz, V.S. Vereshchetin, M. Bennouna, J. Crawford, Tomushat, D. Bowett, B. Simma and L. Condorelli).

¹²³ იბ. თ. 18.

¹²⁴ იბ. The 1995 ILC Report, UN Doc. A/50/10 (1995), 192.

¹²⁵ 1996 წლის ანგარიში ამ წიგნის წერის დროს ჯერ არ არსებობდა

ტილებაც შესაბამისი ხასიათისაა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ხშირად ძლიერი სახელმწიფოები თავად წყვეტენ, სახელმწიფოს რომელი ქმედებაა კანონიერი ან უკანონო, სუსტ სახელმწიფოებს კი სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ დაეთანხმონ ძლიერ სახელმწიფოთა მოთხოვნებს.

რაც შეეხება დავების გადაჭრას, საერთაშორისო სამართლის კომისიის მიდგომის შედეგად, ზემოთ განხილული მუხლების პროექტის ინტერპრეტაციისა და გამოყენების თაობაზე წამოჭრილი დავა ფორმალური მორიგებით უნდა დამთავრდეს. თუ მორიგება ვერ მოხერხდა, მაშინ უპირატესობა არბიტრაჟს ენიჭება, რაც პროექტის დამატებითი დებულებებითაა განმტკიცებული (თუმცა ამისათვის სახელმწიფოთა წინასწარი შეთანხმებაა საჭირო).¹²³ საარბიტრაჟო ტრიბუნალი განიხილავს როგორც თავად სარჩელს, ისე საპასუხო ზომების სამართლიანობის საკითხსაც. ამას გარდა, იმისათვის, რომ სახელმწიფოები წავაქეზოთ, მიმართონ არბიტრაჟს, დამატებითი დებულებებით გათვალისწინებულია სახელმწიფოთა მორიგება საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ იურისდიქციის გადაჭარბების შემთხვევაში გადაწყვეტილებების გასაჩივრების მთელ პროცესზე. მსგავსი ბრალდება განსახილველად საერთაშორისო სასამართლოს გადაეცემა.¹²⁴

საერთაშორისო სამართლომ პროექტის მეორე და მესამე ნაწილის განხილვა 1996 წლისთვის დაამთავრა და სახელმწიფოებს შეუძლიათ გააკეთონ შენიშვნები და კომენტარები 1998 წლამდე.¹²⁵ საეჭვოა, დათანხმდებიან თუ არა სახელმწიფოები მსგავსი კანონპროექტისთვის სავალდებულო ძალის მინიჭებაზე. მიუხედავად ამისა, პროექტი და სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკის შემცველი კომენტარები საერთაშორისო სამართლისათვის საუკეთესო სარეკომენდაციო ხასიათის წყაროა. მაგრამ ძალზე ფრთხილად უნდა განვსაზღვროთ, მიღებული შედეგის რა ნაწილია დღეს არსებული საერთაშორისო სამართლის რეალური კოდიფიკაცია და რა არის მხოლოდ „პროგრესული განვითარება“, იმ წინადადებათა თვალსაზრისით, თუ როგორი უნდა იყოს სამართალი მომავალში.

18. სახელმწიფოთა შორის დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა

სახელმწიფოთა შორის დავები, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტთან, კანონთან ან პოლიტიკასთან დაკავშირებული სარჩელებიდან და შეგებებული სარჩელებიდან, წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს და ხშირად გამხდარა შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი. სახელმწიფოებს შორის დავების მოგვარების საკითხი¹ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რათა სწორად გავიგოთ საერთაშორისო სამართლის ბუნება. დავების მოგვარება არის ქვაკუთხედი, რომელსაც ეყრდნობა სხვა წესებისა და პრინციპების მოქმედება, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის ჩათვლით. ამიტომ აუცილებელია საკითხის უფრო ღრმად შესწავლა.

როგორც მეორე თავში აღინიშნა, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის იდეა საერთაშორისო სამართალში ე.წ. „კლასიკურ“ პერიოდში განვითარდა, თუმცა მაშინ ძალის გამოყენება საერთოდ არ ყოფილა აკრძალული. გაეროს წესდება² კრძალავს ძალის გამოყენებას 2(4) მუხლში (ზოგიერთი გამონაკლისით, რაც განხილულია მე-19 თავში³) და მოითხოვს, რომ წევრი სახელმწიფოები „თავიანთ საერთაშორისო დავებს აგვარებდნენ მშვიდობიანი საშუალებებით, ისე, რომ არ შეუქმნან საფრთხე საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებას და სამართლიანობას“ (მუხ. 2(3)). ამ დებულებიდან გამომდინარე, კონკრეტული ვალდებულებები წინააღმდეგობრივია; არ არსებობს „საერთაშორისო დავის“⁴ მნიშვნელობის შეთანხმებული განმარტება. გაეროს ძირითადი მიზანია, „სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად მშვიდობიანი დაცვის საშუალებებით მოაგვაროს ანდა გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები ან ისეთი სიტუაციები, რომლებსაც შესაძლოა მშვიდობის დარღვევა მოჰყვეს“. გაეროს წესდების VI თავი ეძღვნება ამ საკითხებს, მაგრამ 33(1) მუხლის თანახმად, იგი შემოიფარგლება დავებით, რომელთა „გაგრძელებაც შეიძლება დაემუქროს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას“.

გაეროს წესდების 33(1) მუხლში ჩამოთვლილია სახელმწიფოებს შორის დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებები:

მოლაპარაკება, გამოკვლევა, შუამავლობა, შერიგება, არბიტრაჟი, სასამართლო განხილვა, რეგონული ორგანოებისადმი ან შეთანხმებისადმი მიმართვის, ან ნებისმიერი სხვა საშუალებების გზით, საკუთარი არჩევანის მიხედვით.⁵

ეს მეთოდები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ: (1) დავების გადაწყვეტის დიპლომატიური საშუალებები; (2) დავების გადაწყვეტის სამართლებრივი (სასამართლო) საშუალებები; (3) დავების გადაწყვეტის პროცედურები საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის. დიპლომატიური საშუალებებია: მოლაპარაკება, შუამავლობა, გამოკვლევა და შერიგება. მოლაპარაკებებში ჩართულები არიან მხოლოდ მოდავე სახელმწიფოები, ხოლო დიპლომატიური საშუალებების სხვა ფორმებში მონაწილეობს მესამე მხარეც, რომელსაც არ შეუძლია დავის გადაწყვეტა სამართლებრივად სავალდებულო შედეგებით. სამართლებრივი საშუალებებია არბიტრაჟი და სასამართლო განხილვა, რომელთა შედეგია სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილება. წინამდებარე თავი შეეხება დავების გადაწყვეტის დიპლომატიურ და სამართლებრივ საშუალებებს. გაეროს როლი საერთაშო-

¹ იხ. *Harris CMLL*, 908-69; *Restatement (Third)*, Vol. 2, 338-99; L.B. Sohn, *Peaceful Settlement of Disputes*, IP/M (1981), 154-6; L.B. Sohn, *The Future of Dispute Settlement*, in R.St.J. Macdonald/D.M. Johnston (eds), *The Structure and Process of International Law*, 1983, 1121-46; I. Diaconu, *Peaceful Settlement of Disputes between States: History and Prospects*, *ibid.*, 1095-1120; R. Higgins, *International Law and the Avoidance, Containment and Resolution of Disputes*, *RdC(1991-V)*, 230; J.G. Merrills, *International Dispute Settlement*, 2nd edn, 1991, 1; E. Lauterpacht, *Aspects of the Administration of International Justice*, 1991; M. Brus et al. (eds), *The United Nations Decade of International Law: Reflections on International Dispute Settlement*, 1991; W.M. Reisman, *Systems of Control in International Adjudication and Arbitration: Breakdown and Repair*, 1992; J. Taesam, *The Dynamics of International Law in Conflict Resolution*, 1992; P. Pazartzis, *Les Engagements internationaux en matière de règlement pacifique des différends entre Etats*, 1992; Chinkin, *Third Parties in International Law*, 1993; M. Brus, *Third Party Dispute Settlement in An Interdependent World*, 1995; K.-H. Bockstiegel, *Internationale Streitlerledigung vor neuen Herausforderungen*, in *FS Benhardt*, 671-86; I. Brownlie, *The Peaceful Settlement of International Disputes in Practice*, *Pac/ILR* 7 (1995), 257-79; P. Malanczuk, "Alternative Dispute Resolution" (ADR) in *International Commercial Disputes: Lessons from Public International Law*, in ICC Publishing S.A.R.(ed.), *International Commercial Disputes: New Solutions?*, Special Dossier of the ICC International Institute of Business Law and Practice (forthcoming)

² *Brownlie BDIL*, 1.

³ იხ. თ. 19.

⁴ იხ. C. Tomuschat, Article 2(3), in *Simma/CUNAC*, 97-106.

⁵ იხ. Tomuschat, Article 33, *ibid.*, 505-14.

⁶ იბ. თ. 22.

⁷ იბ. K. Oellers-Frahm/N. Wühlér (coeds.), *Dispute Settlement in Public International Law: Texts and Materials*, 1984. ⁸ *The 95th Annual Report of the Administrative Council of the Permanent Court of Arbitration*, 1995, Annex 1: text of the 1899 Convention in UKTS 9 (1901) Cd. 798; 1907 Convention. UKTS 6 (1971) Cmnd. 4575. On the Hague Peace Conferences იბ. თ. 2.

⁹ 71 UNTS 101, revised by the United Nations in 1949, UNGA Res. 268A (III) of 28 April 1949. იბ. F.v.r.J. Heydt, *Geneva Act for the Pacific Settlement of International Disputes* (1928 and 1949), *EPIL* II (1995), 499-502; Heydt, *Geneva Protocol for the Pacific Settlement of International Disputes* (1924), *ibid.*, 529-31.

¹⁰ 30 UNTS 55. იბ. de Maekelt, *Bogota Pact* (1948), *EPIL* I (1992), 415.

¹¹ 320 UNTS 243. იბ. K. Günther, *European Convention for the Peaceful Settlement of Disputes*, *EPIL* II (1995), 186.

¹² ILM 3 (1964), 1116. იბ. T. Maluwa, *The Peaceful Settlement of Disputes Among African States, 1963-1983: Some Conceptual Issues and Practical Trends*, *ICLQ* 38 (1989), 299-320.

¹³ ILM 32 (1993), 557. იბ. აგრძელებს D. Bardonnet (ed.), *The Peaceful Settlement of International Disputes in Europe: Future Prospects*, 1991; K. Oellers-Frahm, *The Mandatory Component in the CSCE Dispute Settlement System*, in M. Janis (ed.), *International Courts for the Twenty-First Century*, 1992, 195-211.

¹⁴ UN Doc. A/47/558, 98. იბ. J. Hilf, *Der neue Konfliktregelungsmechanismus der OAU*, *ZaöRV* 54 (1994), 1023-47.

¹⁵ D. Blumenwitz, *Treaties of Friendship, Commerce and Navigation*, *EPIL* 7 (1984), 484-90. იბ. აგრძელებს, თ. 15.

¹⁶ იბ. H. Fox, *States and the Undertaking to Arbitrate*, *ICLQ* 37 (1988), 1; N. Wühlér, *Arbitration Clause in Treaties*, *EPIL* I (1992), 236; H.v. Mangoldt, *Arbitration and Conciliation Treaties*, *ibid.*, 230; K. Oellers-Frahm, *Compromis*, *ibid.*, 712.

¹⁷ სუვერენიტეტის დოქტრინის შესახებ იბ. თ. 2.

¹⁸ იბ. K. Oellers-Frahm, *Arbitration - A Promising Alternative of Dispute Settlement under the Law of the Sea Convention?*, *ZaöRV* 55 (1995), 457-78, at 468 *et seq.*

რისო კონფლიქტების მოგვარებაში განხილულია 22-ე თავში.⁶

არსებობს შემდეგი ხელშეკრულებები დავების გადაწყვეტის შესახებ:⁷ 1899 წ. ჰააგის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ, რომელიც გადაისინჯა 1907 წ. ჰააგის მეორე სამშვიდობო კონფერენციაზე. თუმცა 1899 და 1907 წწ. კონვენციები 1966 წლამდე იყო ძალაში 82 სახელმწიფოსათვის;⁸ 1928 წ. საყოველთაო აქტი დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ,⁹ რომელიც მიღებულ იქნა ერთა ლიგის ეგიდით და მისი სავალდებულო ძალა მხოლოდ 23-მა სახელმწიფომ აღიარა; მოგვიანებით ესპანეთმა (1939 წ.), საფრანგეთმა, გაერთიანებულმა სამეფომ, ინდოეთმა (1974 წ.) და თურქეთმა (1978 წ.) მოახდინეს აქტის დენონსაცია. 1949 წ. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო აქტის ცვლილებები; მიუხედავად ამისა, მხოლოდ შვიდი სახელმწიფო შეუერთდა ამ აქტს.

ამ საკითხზე დადებულია მრავალი რეგიონალური შეთანხმება: 1948 წ. ამერიკული შეთანხმება დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ (ბოგოტის პაქტი),¹⁰ 1957 წ. ევროპული კონვენცია დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ,¹¹ 1964 წ. ოქმი აფრიკული ერთობის ორგანიზაციის (OAU) შუამავლობისა და არბიტრაჟის კომისიის შესახებ,¹² 1992 წ. კონვენცია შერიგების შესახებ და კონვენცია არბიტრაჟის შესახებ ეუთოს ფარგლებში¹³, აგრეთვე 1993 წ. აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის კონფლიქტის თავიდან აცილების, მართვისა და გადაწყვეტის მექანიზმი.¹⁴ გარდა აღნიშნული ზოგადი ხასიათის ხელშეკრულებებისა, არსებობს ორმხრივი (ხელშეკრულებები მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის ან უცხოური ინვესტიციების შესახებ)¹⁵ და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავს სპეციალურ მუხლებს დავების გადაწყვეტის შესახებ (ე.წ. კომპრომისულ მუხლებს).¹⁶ ეს მუხლები შეეხება განსახილველი ხელშეკრულების ინტერპრეტაციასა და გამოყენებას.

უნინ სახელმწიფოებს არ სურდათ, შეეზღუდათ სუვერენიტეტი *in abstracto* მესამე მხარისათვის დავის სავალდებულო გადაწყვეტის უფლების მინიჭებით; ხსენებული განსაკუთრებით ეხება ყოფილ სოციალისტურ და განვითარებად სახელმწიფოებს აზიასა და აფრიკაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაბატონებული ტენდენციის თანახმად, სავალდებულო დავების გადაწყვეტის პროცედურებს ექვემდებარებოდა მცირე ხასიათის კონფლიქტები და ტექნიკური ხასიათის საკითხები, საერთაშორისო თანამეგობრობის მრავალფეროვნების და აბსოლუტური სუვერენიტეტის შესახებ გაბატონებული იდეის გათვალისწინებით.¹⁷ დავების გადაწყვეტის შესახებ ხელშეკრულებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს „სამართლებრივი“ დავების სავალდებულო სასამართლო განხილვას და „არასამართლებრივი“ დავების არბიტრაჟს, მაგრამ რომელთა რატიფიცირებისაგან თავს იკავებენ რეგიონის ძირითადი სახელმწიფოები; და ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს ნებაყოფლობით სასამართლო განხილვას, როგორცაა 1964 წლის PAU-ს ოქმი. ამრიგად, დავების გადაწყვეტის შესახებ ხელშეკრულებების დიდი ნაწილი ძალიან სუსტი იყო და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ამოქმედება წარუმატებელი აღმოჩნდა.

სახელმწიფოთა მცდელობა, ძველი, ზოგადი ხასიათის ხელშეკრულებები ახლებით შეცვლილიყო და მოძებნილიყო პრობლემის საყოველთაოდ მისაღები გადაწყვეტა, უნაყოფო აღმოჩნდა. ამ დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სახელმწიფოები თანხმდებოდნენ, დამორჩილებოდნენ მესამე მხარის გადაწყვეტილებებს უფრო სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებული დავების დროს.¹⁸ 1972 წლის კონვენცია კოსმოსში გაშვებული სხეულების მიერ გამოწვეული ზარალისათვის პასუხისმგებლობის შესახებ შეიცავდა დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ სახელმწიფოებისათვის მისაღებ კომპრომისულ მიდგომას. კონვენციის თანახმად, საპრეტენზიო კომისია არის მხოლოდ მომრიგებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთან-

ხმდებიან მისი გადაწყვეტილების სავალდებულობაზე.¹⁹

მაგრამ, თუნდაც სახელმწიფოები შეთანხმდნენ დავების გადაწყვეტის კონკრეტულ მექანიზმზე, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი კონკრეტულ სიტუაციაში გამოიყენებენ ამ მექანიზმს ან დაემორჩილებან მესამე მხარის გადაწყვეტილებას; თუმცა, თუ კონკრეტულ საქმეზე სახელმწიფოები თანხმობას განაცხადებენ ტრიბუნალის იურისდიქციის აღიარებაზე, ისინი ყოველთვის იცავენ ამ პირობას; აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართალი არ იცნობს საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტურ მეთოდებს²⁰ ეროვნული სამართლებრივი სისტემების მსგავსად.

სახელმწიფოები დავების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად დიპლომატიურ მეთოდებს მიიჩნევენ, რაც მათ საშუალებას აძლევს, აკონტროლონ დავების გადაწყვეტის პროცესის შედეგები.

¹⁹ იხ. თ. 13.
²⁰ იხ. ქვემოთ.
²¹ C.-A. Fleischhauer, *Negotiation*, EPIL I (1981), 152-4.
²² *Brownlie BDIL*, 36; იხ. თ. 2.
²³ *ICJ Rep.* 1969, 3, at 47. იხ. აგრეთვე, თ. 12.
²⁴ იხ. თ. 12.
²⁵ 1982 წლის კონვენციით დავების გადაწყვეტის სისტემის შესახებ იხ. ქვემოთ.

დავების მოგვარების დიპლომატიური საშუალებები

მოლაპარაკებები

სახელმწიფოებს შორის დავების დიდი ნაწილის გადაწყვეტა ხდება მათ შორის უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკებებით,²¹ რაშიც საერთაშორისო სამართალი შიდასახელმწიფოებრივ სამართალს ემსგავსება, ვინაიდან დავების უმეტესობა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში სწორედ მოლაპარაკებების საშუალებით წყდება.

სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება, დაიწყონ მოლაპარაკებები დავის არსებობის შემთხვევაში. ამ ვალდებულების საფუძველია გაეროს წესდების 3(2) მუხლი (*ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, დავები მშვიდობიანი გზებით გადაწყვიტოს*) და 1970 წლის მეგობრული ურთიერთობების შესახებ დეკლარაცია (*ყოველი სახელმწიფო მოვალეა, აარჩიოს „საშუალება, რომელიც შეეფერება დავის ბუნებასა და გარემოებებს“*).²² როგორც საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა *ჩრდილოეთ ზღვის კონტინენტური შეღვის საქმეზე* (North Sea Continental Shelf Case), მოდავე სახელმწიფოებს შეიძლება ეკისრებოდეთ „ვალდებულება, იხელმძღვანელონ იმ შეხედულებით, რომ მოლაპარაკებებს აქვს აზრი“.²³ სპეციალური ვალდებულება გამომდინარეობს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციიდან²⁴, რომ მოდავე სახელმწიფოებმა შეინარჩუნონ ურთიერთობა და გაცვალონ მოსაზრებები დავის ნებისმიერ ეტაპზე, თვით საბოლოო გადაწყვეტილების იმპლემენტაციის დროსაც.²⁵

მაგრამ მოლაპარაკებები ყოველთვის არაა საერთაშორისო დავების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება. ნეიტრალური მესამე სახელმწიფოები იშვიათად იღებენ მონაწილეობას მოლაპარაკებებში, რაც ნიშნავს, რომ არ არსებობს ფაქტის შესახებ დავების გადაწყვეტის მიუკერძოებელი მექანიზმი. ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ არ არსებობს შემაკავებელი მექანიზმი, რაც აიძულებდა მოდავე სახელმწიფოს, თავი შეეკავებინა უკიდურესი მოთხოვნების წამოყენებისაგან, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს სახელმწიფო უფრო ძლიერია. სახელმწიფოები შეიძლება ამტკიცებდნენ, რომ კონფლიქტი არ არსებობს და მოითხოვონ წინაპირობების შესრულება მოლაპარაკებებში ჩართვისათვის.

დავების შესახებ ხელშეკრულებების დებულებების თანახმად, როგორც წესი, მოლაპარაკებები დავების გადაწყვეტის პირველი ეტაპია. თუ განსაზღვრულ ვადაში მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო, გათვალისწინებულია დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა საშუალებებიც, როგორიცაა: გამოკვლევა, შუამავლობა, შერიგება, არბიტრაჟი ან სასამართლო განხილვა.

²⁶ R.L. Bindschedler, *Good Offices*, *EPIL* 11 (1995), 601-3; R.L. Bindschedler, *Conciliation and Mediation*, *EPIL* 1 (1992), 721-5; v. Mangoldt, *op. cit.*, 230-6.

²⁷ R.L. Bindschedler, *Permanent Neutrality of States*, *EPIL* A (1982), 133; R.R. Probst, 'Good Offices' in the Light of Swiss *International Practice and Experience*, 1989.

²⁸ *ib.* E.A. Schwartz, *International Conciliation and the ICC*, *ICSID* *Rev.* 10 (1995), 98, at 100-1.

²⁹ *Beagle Channel Arbitration*, *ILM* 17 (1978), 632. *ib.* Merrills (1991), *op. cit.*, Chapter 5; K. Lankosz, *Beagle Channel*, *EPIL* 1 (1992), 359; K. Oellers-Frahm, *Beagle Channel Arbitration*, *ibid.*, 363; G.R. Moncayo, *La Mediation pontificale dans l'affaire du canal Beagle*, *RdC* 242 (1993-V).

³⁰ *ILM* 20 (1981), 223. *ib.* S.A. Riesenfeld, *United States-Iran Agreement of January 19, 1981 (Hostages and Financial Arrangements)*, *EPIL* 8 (1985), 522. *ib.* *op. cit.*, 8 და თ. 17.

³¹ ასეთი სპეციალური წესები აქვს, მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია: *Mediation, Arbitration, and Expedited Arbitration Rules*, *ILM* 34 (1995), 559; J.A. Freedberg-Swartzburg, *Facilities for the Arbitration of Intellectual Property Disputes*, *Hague YIL* 8 (1995), 69-84.

³² *ib.* *op. cit.*, 2.

³³ *ib.* *op. cit.*, 5.

კეთილი სამსახური და შუამავლობა

ზოგჯერ მესამე სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები ან გამოჩენილი პიროვნებები ცდილობენ, დაეხმარონ მოდავე სახელმწიფოებს შეთანხმების მიღწევაში. ასეთი დახმარება შეიძლება ორი სახის იყოს: კეთილი სამსახური და შუამავლობა.²⁶ მესამე მხარე (როგორც შუამავალი) სთავაზობს კეთილ სამსახურს და ცდილობს დაარწმუნოს მოდავე სახელმწიფოები მოლაპარაკებების დაწყებაში; იგი უგზავნის მოდავეებს შეტყობინებებსა და წინადადებებს და როდესაც მოლაპარაკებები დაიწყება, მესამე სახელმწიფოს როლი მთავრდება. შვეიცარია, როგორც მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფო²⁷, ხშირად ასრულებდა დამცველი ძალის როლს მშვიდობისა თუ ომის დროს, მაგ., აშშ-ს წარმოდგენა კუბაში.

შუამავალი უფრო აქტიურად ებმება დავის გადაწყვეტის პროცესში; იგი უშუალოდ მონაწილეობს მოლაპარაკებებში და შეუძლია მხარეებს შესთავაზოს დავის გადაწყვეტის საშუალებები (რასაც ხშირად შერიგებისათვის დამახასიათებელ ნიშნადაც მიიჩნევენ). ვაჭრობის საერთაშორისო პალატის შერიგების წესების თანახმად (რომელიც შეეხება კომერციულ და არა სახელმწიფოთაშორის დავებს), განსხვავება შუამავლობასა და შერიგებას შორის არ არსებობს; წესები ითვალისწინებს, რომ მომრიგებელი გადაწყვეტს, წარადგინოს თუ არა წინადადებები დავის გადაწყვეტის შესახებ.²⁸ რა თქმა უნდა, შუამავალი ორივე მხარის ნდობით უნდა სარგებლობდეს; ხშირად ძნელია ისეთი შუამავლის პოვნა, რომელიც უპასუხებს ამ მოთხოვნას. არგენტინასა და ჩილეს შორის ბიგლის არხის (Beagle Channel Award) გადაწყვეტილების იმპლემენტაციის შესახებ დავის დროს²⁹ ორივე მხარემ მიიღო კარდინალი ანტონიო სამორე შუამავლად პაპის წინადადების საფუძველზე. კეთილი სამსახური და შუამავლობა შეიძლება კომბინირებულად ამოქმედდეს და პრაქტიკაში ხშირად ძნელი გასარჩევია. ასეთ როლს ასრულებდა ალჟირი აშშ-სა და ირანს შორის 1980 წლის კონფლიქტში, როდესაც მხარეები ერთმანეთს პირდაპირ არ ელაპარაკებოდნენ. ალჟირის დახმარებით მხარეებმა მიიღეს ალჟირის ოქმი (Algiers Accord), რასაც მოჰყვა 1981 წელს ჰააგაში ირან-შეერთებული შტატების პრეტენზიების ტრიბუნალის დაარსება.³⁰

მოდავე მხარეების თანხმობა შუამავლობასთან დაკავშირებით არ არის თავიდანვე საჭირო, მაგრამ ამის გარეშე შეუძლებელია ეფექტური დახმარების აღმოჩენა. ზოგადი საპროცედურო წესები, რომლებიც სახელმწიფოებს შორის დავის დროს შუამავლობას მოაწესრიგებდა, არ არსებობს,³¹ გარდა სახელმეკრულეო საფუძვლისა. ამრიგად, შუამავლობა არის მოლაპარაკებების მოქნილი ფორმა მესამე მხარის მონაწილეობით. შუამავალს შეუძლია ფინანსური და სხვა ღირებულებების დახმარების აღმოჩენა გადაწყვეტილების შესრულების დროსაც. 1951-1961 წწ. ინდოეთსა და პაკისტანს შორის ინდოეთის აუზის შესახებ დავის დროს მსოფლიო ბანკმა წარმატებით შეასრულა შუამავლის როლი ფინანსური დახმარების გზით. ძლიერი სახელმწიფოების მიერ შუამავლის როლის წარმატებით შესრულების მაგალითებია: გერმანიის ინიციატივა 1878 წლის ბერლინის კონგრესზე,³² სსრკ-ს როლი ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში 1966 წელს, აშშ-ს მოქმედება 1978 წლის არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში კემპ-დევიდის სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, აგრეთვე უკანასკნელ ხანებში ისრაელსა და პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის მოლაპარაკებები.³³

ძველი ჩინური ანდაზა ამბობს: „შუამავალი ათას ფეხსაცმელს ცვეთს“. სახელმწიფოებს შორის კონფლიქტში შუამავლობა არ არის ადვილი, რადგან შუამავალს შეუძლია ურთიერთობა გაიფუჭოს ერთ-ერთ ან ორივე მოდავე მხარესთან. ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება ძნელია, განსაკუთრებით კი შეიარღვეული კონფლიქტების დროს. საერთაშორისო ხასიათის დავებში მესამე მხარის მონაწილეობა ხშირად წარუმატებლად დამთავრებულა იმიტომ, რომ

მესამე მხარეს არ გააჩნდა საკმარისი გავლენა. დიდ სახელმწიფოებს უფრო დიდი გავლენა აქვთ და, შესაბამისად, მათი მონაწილეობა შეიძლება უფრო წარმატებული იყოს, მაგრამ არც იმის დავინწყება შეიძლება, რომ ისინი ასეთ სიტუაციაში თავის ინტერესებსაც იცავენ. სუსტი სახელმწიფოები ან საერთაშორისო ორგანიზაციები ნაკლებად მიდრეკილნი არიან ასეთი ცდუნებისადმი, მაგრამ მათ, ამავე დროს, ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, დაარწმუნონ მოდავე მხარეები, მიაღწიონ კომპრომისს. შუამავლობა დავის გადაწყვეტის კარგი საშუალებაა მცირე ან ლოკალურ კონფლიქტებში, ჩიხში შესულ სიტუაციებში, როდესაც არსებობს ესკალაციის საფრთხე, ან როდესაც დავა უკვე გადაწყვეტილია (მაგ., ერთ-ერთი მხარის სამხედრო გამარჯვება) და განსასაზღვრია შედეგები.

ფაქტების დადგენა და გამოძიება

„ფაქტების დადგენა“ და „გამოძიება“, როგორც ფაქტების დადგენის მეთოდები საერთაშორისო სამართალში, შეიძლება სხვადასხვა მიზნებისათვის იქნეს გამოყენებული,³⁴ მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაწყვეტილების მიღებისათვის.³⁵ საერთაშორისო დავების გადაწყვეტის დროს ეს ორი ტერმინი მეტ-ნაკლებად ერთმანეთის შემცვლელია. ბევრი საერთაშორისო დავა შეეხება ფაქტის სადავო საკითხებს; მიუკერძოებელი გამოძიება კარგი საშუალებაა მხარეებს შორის დაძაბულობისა და აზრთა სხვადასხვაობის სფეროს შესამცირებლად. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მოლაპარაკებების შემდეგ, აირჩიონ მიუკერძოებელი ორგანო (ხშირად *ad hoc*, ზოგჯერ კი მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც შექმნილია კონკრეტული ხასიათის დავებისათვის) გამოძიების განსახორციელებლად; გამოძიების მიზანია სადავო საკითხებზე მიუკერძოებელი დასკვნების გაკეთება და, ამრიგად, მოლაპარაკებებით საკითხის გადაწყვეტისათვის საფუძვლის მომზადება. მხარეები არ არიან ვალდებული, მიიღონ გამოძიების შედეგები, მაგრამ, როგორც წესი, ასე იქცევიან.

ფაქტების დადგენის საქმეს შეიძლება დაემატოს ფაქტების სამართლებრივი შეფასება და დავის გადაწყვეტისათვის რეკომენდაციების მიცემა, რის გამოც ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ფაქტების დადგენა/გამოძიება, შუამავლობა და შერიგება (ცონცილიატიონი), როგორც ეს მოხდა დოგერ ბენქის საქმის დროს (case of Dogger Bank incident).³⁶ 1904 წელს რუსეთის ბალტიის ზღვის ფლოტმა, როდესაც იაპონიის ომში ჩასაბმელად მიემგზავრებოდა, ცეცხლი გაუხსნა ბრიტანულ თევზსაჭერ გემებს, რომლებიც ჩრდილოეთ ზღვის დოგერ ბენქის მიდამოებში საქმიანობდნენ. რუსები ამტკიცებდნენ, რომ მათი ქმედება იაპონური წყალქვეშა ნავების მიერ იყო გამოწვეული. მხარეებმა აირჩიეს საგამოძიებო კომისია, რომელიც შედგებოდა დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთისა და ავსტრიის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო ოფიცრებისაგან. კომისიას უნდა დაედგინა, თუ რა მოხდა (ფაქტები), აგრეთვე მოემზადებინა დასკვნა პასუხისმგებლობის საკითხებისა და ორივე მხარის იურისდიქციის ქვეშ მყოფთა ბრალის ხარისხის შესახებ.³⁷ კომისიის ანგარიშის საფუძველზე დიდმა ბრიტანეთმა უკან წაიღო თავისი მოთხოვნა, დასჯილიყო რუსეთის ადმირალი, ხოლო რუსეთი დათანხმდა, გადაეხადა კომპენსაცია 65 000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით.

ფაქტების დადგენაზე საუბარია რამდენიმე ხელშეკრულებაში. 1907 წლის ჰააგის კონვენცია აღწერს საგამოძიებო კომისიის მოვალეობას, რომ მან „ხელი შეუწყოს გადაწყვეტას... მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი გამოძიებით“ (მუხ. 9) და ზღუდავს კომისიის ანგარიშს „ფაქტების დადგენით“, რომელსაც არ აქვს გადაწყვეტილების ხასიათი (მუხ. 35). უფრო მოგვიანებით მიღებული საერთაშორისო აქტები ითვალისწინებს, რომ „ფაქტების დამდგენმა კომისიამ“ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტები და მისცეს რეკომენდაციები, მაგ.: 1949 წლის ნითელი ჯვრის კონვენციების 1977 წლის I

³⁴ R.B. Lillich (ed.), *Fact-Finding Before International Tribunals*, 1972 KJ Partsch, Fact-Finding and Inquiry, EPIL II (1995), 343-5.

³⁵ *ib.* The report of the UN Secretary-General on methods of fact-finding, UN Doc. A/6228, GAOR(XXI)of 22 April 1966 Annexes Vol. 2, Agenda item 87, 1-21.

³⁶ *ib.* *Dogger Bank Inquiry* (1905), in J.B. Scott (ed.), *The Hague Court Reports*, 1916, 403-13; P. Schneider, *Dogger Bank Incident*, EPIL I (1992), 1090; *Red Crusader Enquiry* (1962), ILR 35 (1967), 485-500; J. Polakiewicz, *Red Crusader Incident*, EPIL 11 (1989), 271.

³⁷ *ib.* *op. cit.*, 17.

³⁸ Article 90.1977 Protocol I. (1977). 1391; Article 5, Annex VII of the 1982 Convention. (1982), 1261. იბ. E. Kussbach. The International Humanitarian Fact-Finding Commission, *ICLQ* 43 (1994), 174-84. 1949 წლის ჟენევის კონვენციის შესახებ იბ. თ. 20.

³⁹ UN DOC. A/6373 GOAR (XXI), Annexes, Vol. 2, Agenda item 87, 111-4; UN GA Res. 2329 (XXII) of 18 December 1967.

⁴⁰ Partsch, *op. cit.*, at 345.

⁴¹ Article 1 of the Regulation on the Procedure of International Conciliation, *Ann. IDI* 49-11 (1961), 385-91. ლიტერატურა იბ. Merrills (1991), *op. cit.*, 59.

⁴² იბ. თ. 2.

⁴³ იბ. v. Mangoldt, *op. cit.*, at 232.

დამატებითი ოქმი და 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცია.³⁸

1899 წლისა და 1907 წლის ჰააგის კონვენციები, ასევე 1913/1914 წწ. ბრაიანის ხელშეკრულებები ითვალისწინებს, რომ ფაქტების დადგენა და გამოძიება მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს შერიგებისაგან. ეს საკითხი დღესდღეობით სადავოა. 1962-67 წწ. დაძაბული დისკუსიების შემდეგ გაერომ გადაწყვიტა, რომ განისაზღვრება ფაქტების დადგენისა და შერიგების კომბინაცია³⁹ და უარყო მოსაზრება, შექმნილიყო გამოძიების მუდმივი კომისია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა სახელმწიფოებისათვის, გაეროს ორგანოებისა და გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციებისთვის. 1967 წლის 18 დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის №2329 რეზოლუცია სთხოვდა გენერალურ მდივანს, შეედგინა ფაქტების დამდგენ პირთა რეესტრი. სახელმწიფოებმა ჩათვალეს, რომ ასეთი დებულება ნაკლებად შეზღუდვად მათ სუვერენიტეტს და ამავდროს არ მიიღეს ფაქტების დადგენის პროცედურის დაწყების ვალდებულება. 1974-77 წწ. დიპლომატიური კონფერენცია ჰუმანიტარული სამართლის შესახებ იმავე შედეგებით დასრულდა. 1991 წლის 31 მარტისათვის მხოლოდ ოცდაერთმა სახელმწიფომ მიიღო 1977 წლის I დამატებითი ოქმის 90(2) მუხლით გათვალისწინებული ფაქტების დამდგენი კომისიის კომპეტენცია. კ.-ჯ. ფარჩი ასკვნის: „ის აზრი, რომ ცალკე აღებული გამოძიება (მხოლოდ ფაქტების დადგენა) არ აწყდება სახელმწიფოებისაგან ისეთსავე სირთულეებს⁴⁰ სახელმწიფოთა სუვერენიტეტში ჩარევის გამო, როგორც გამოძიება, რომელიც კომბინირებულია შერიგებასთან, არ აღმოჩნდა მართალი, ბოლო 80 წლის პრაქტიკიდან გამომდინარე“. ორმხრივი ფაქტების დადგენის როლი საერთაშორისო დავების გადაწყვეტასა და თავიდან აცილებაში საკმაოდ უმნიშვნელო იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შემთხვევას, ძირითადად საზღვაო სამართალში. ამასთან, უნდა განვასხვაოთ ასეთი გამოძიება პოლიტიკური ორგანიზაციების, როგორც გაერო, „ფაქტების დამდგენი მისიებისაგან“.

შერიგება

1961 წელს საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა შერიგება შემდეგნაირად განსაზღვრა:

ნებისმიერი ხასიათის საერთაშორისო დავების გადაწყვეტის საშუალება, რომლის მიხედვითაც დავის გადასაჭრელად მხარეების მიერ მუდმივ ან *ad hoc* საფუძველზე ჩამოყალიბებული კომისია ანარმოებს დავის მიუკერძოებელ შესწავლას და ცდილობს, განსაზღვროს მხარეებისათვის მისლები გადაწყვეტილება ან აღმოუჩინოს მოდავე მხარეებს ნებისმიერი დახმარება, რომელსაც სთხოვენ, დავის გადაწყვეტის მიზნით.⁴¹

განსაზღვრება საკმაოდ ზუსტია, მაგრამ არ ითვალისწინებს, რომ შეიძლება მხარეებმა ერთი მომრიგებელი აირჩიონ, რაც პრაქტიკაში აქტიურ გამოყენებას არ პოვებდა.

შერიგება, როგორც დავების გადაწყვეტის მეთოდი საერთაშორისო სამართალში, სათავეს იღებს 1913-14 წწ. ბრაიან-კელოგის ხელშეკრულებებში.⁴² ამ ხელშეკრულებებში არ ჩაუდვიათ დებულებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების შესაბამისად. გაითვალისწინეს სახელმწიფოების დამოკიდებულება და მუდმივ კომისიებს მხოლოდ არასავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლება მისცეს.⁴³ 1921 წ. გერმანია-შვეიცარიის საარბიტრაჟო ხელშეკრულებისა და 1925 წ. საფრანგეთსა და შვეიცარიის შორის ხელშეკრულების მოდელის შემდეგ ბევრი ორმხრივი ზოგადი ხელშეკრულება დაიდო არბიტრაჟისა და შერიგების შესახებ, რომლებიც *inter alia* ხშირად ითვალისწინებდა ნებაყოფლობით ან სავალდებულო შერიგებას სამართლებრივი

დავების სასამართლო გარჩევამდე ან არბიტრაჟამდე, ან მხოლოდ სავალდებულო შერიგებას.⁴⁴ მართალია, სსრკ-მ აღიარა რამდენიმე შერიგების ხელშეკრულება. ერთადერთი გლობალური დოკუმენტი, რომელიც სავალდებულო შერიგებას (და სასამართლო განხილვასა და არბიტრაჟს) ითვალისწინებდა, იყო 1928 წ. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ ზოგადი აქტი, რომლის რატიფიცირება მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ მოახდინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორმხრივ ხელშეკრულებებში შერიგების როლი შესამჩნევად შემცირდა, თუმცა სავსებით არ გაუქმებულა, განსაკუთრებით შვეიცარიის პრაქტიკაში. საქმე სხვაგვარადაა მრავალმხრივ ხელშეკრულებებში – შერიგების დასახელება დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებების გვერდით ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

მესამე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ინიციატივის საკუთარ თავზე აღება სახელმწიფოთა შორის შერიგების პროცედურის დროს. მომრიგებელი შეიძლება აირჩიონ მისი ოფიციალური თანამდებობის საფუძველზე, მაგ., სახელმწიფოს მეთაური ან გაეროს გენერალური მდივანი, ან პიროვნული ღირსებებიდან გამომდინარე. კომისიების შექმნის გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფოები ასახელებენ ერთ ან ორ საკუთარ მოქალაქეს და თანხმდებიან სხვა სახელმწიფოების შეთანხმებული ოდენობის მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ პირებზე, რათა კომისიის შემადგენლობაში ნეიტრალური უმრავლესობა იყოს.

შერიგებას ხშირად აღწერენ, როგორც გამოძიებისა და შუამავლობის კომბინაციას. მომრიგებელი, რომელიც მხარეებს შორის შეთანხმებით აირჩევა, იკვლევს სადავო ფაქტებს და მხარეებს გადაწყვეტის საშუალებებს სთავაზობს. მაგრამ შერიგება უფრო ფორმალური და ნაკლებად მოქნილია, ვიდრე შუამავლობა; თუ შუამავლის წინადადებას მხარეები არ მიიღებენ, მას ახალი წინადადებების შემუშავება შეუძლია, ხოლო მომრიგებელი, როგორც წესი, მხოლოდ ერთ დასკვნასგამოსცემს (მომრიგებელი, როგორც წესი, მოდავე მხარეებს არაოფიციალურად ხვდება, რათა გაარკვიოს მათი პოზიციები და განსაზღვროს შესათანხმებელი საკითხები დასკვნის გაცემამდე). მხარეები არ არიან ვალდებული, მიიღონ მომრიგებლის მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზები (ეს მხოლოდ რეკომენდაციაა); მაგრამ შერიგება ხშირად არბიტრაჟის მსგავსად მოქმედებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დავა სამართლის რთულ საკითხებს ეხება (და ვერ გადაწყდება *ex aequo et bono*⁴⁵); მომრიგებელზე კარგი შთაბეჭდილების მოსახდენად მხარეებს უხდებათ საქმის გამარტივებული ენით წარმოჩენა ისე, როგორც არბიტრაჟის წინაშე. განსაკუთრებით დასაბუთებულად წარმოაჩენენ არგუმენტაციას.

უმეტეს შემთხვევებში, შერიგებას ახორციელებდა რამდენიმე წევრისაგან შემდგარი კომისია, რომლის წევრთა რაოდენობა განისაზღვრებოდა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებით, თუმცა სახელმწიფოები ზოგჯერ ერთ მომრიგებელს ამჯობინებდნენ, მაგ., ყოფილი სამხრეთ აფრიკის გაერთიანების ქონების გაყოფის საქმე, როდესაც კენიამ, ტანზანიამ და უგანდამ სთხოვეს შვეიცარიელ დიპლომატს დოქტორ ვიქტორ უმბრიხტს წინადადებების შემუშავება;⁴⁶ აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი შემთხვევები: საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტის არჩევა მომრიგებლად საქმეზე, რომელიც შეეხებოდა იაპონიის ომამდელ ვალს, აგრეთვე მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის მომრიგებლად არჩევა მსგავს საქმეზე.⁴⁷

მიუხედავად იმისა, რომ მომრიგებელი კომისიების პრაქტიკა დავის შესწავლისა და საკითხის გადაწყვეტისაკენ მიმართული არასავალდებულო რეკომენდაციების გაცემასთან დაკავშირებით ერთგვაროვანია, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებანი, მაგალითად, ძირითად საკითხთან მიდგომასთან დაკავშირებით, პროცესის ფორმალობის ჩათვლით.⁴⁸ ხშირად პროცედურები ძალიან

⁴⁴ Merrills. 1991. *op. cit.*, at 60.

⁴⁵ იხ. თ. 3.

⁴⁶ Merrills (1991), *op. cit.*, 65 *et seq.*; N. Wihler, *East African Community, EPIL* II (1995), 1-3.

⁴⁷ *ibid.*, 69.

⁴⁸ *Ibid.*, 67 *et seq.*

⁴⁹ v. *Mangoldt, op. cit.*, 235.

⁵⁰ *Merrills (1991), op. cit.*, 70 *et seq.*

⁵¹ I. Seidl-Hohenveldern, Conciliation Commissions Established Pursuant to Article 83 of the Peace Treaty with Italy of 1947, *EPIL I* (1992), 725-8.

⁵² *Merrills (1991), op. cit.*, 76 *et seq.*

⁵³ v. *Mangoldt, op. cit.*, at 233.

მოქნილია, რათა კარგად მიესადაგოს პრობლემის ბუნებას.⁴⁹ პროცესის კონფიდენციალობა მნიშვნელოვანი ელემენტია, როდესაც საქმეში მთავრობებია ჩართული. წინასწარ შეთანხმებული რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ, თუ მხარეები მიიღებენ შემრიგებელი კომისიის წინადადებებს, კომისია შეადგენს *proces-verbal*-ს, რომელიც შერიგებას და საკითხის გადანყვეტის პირობებს ეხება. თუ მხარეები არ მიიღებენ კომისიის წინადადებებს, მაშინ კომისია არსებობას წყვეტს და მას აღარ აკისრია ვალდებულებები მხარეების წინაშე. კომისიის ფაქტობრივი დასკვნებისა და სამართლებრივი შეხედულებების გამოყენება შემდგომ საარბიტრაჟო ან სასამართლო პროცესებში დაუშვებელია, თუ მხარეები ამაზე არ შეთანხმებულან.⁵⁰

შუამავლობას და შერიგებას აქვს უპირატესობები და ნაკლოვანებები დავების გადანყვეტის სხვა საერთაშორისო საშუალებებთან შედარებით. ორივე შემთხვევა უფრო მეტად ითვალისწინებს მხარეების სურვილებს და ახდენს მესამე მხარის ინიციატივის ნახალისებას. შესაბამისად, უფრო მოქნილია, ვიდრე არბიტრაჟი ან სასამართლო განხილვა. „შეთანხმებათა პაკეტი“ შეიძლება უფრო ადვილად იქნეს მიღებული. მხარეებს არ ელახებათ პრესტიჟი და იმიჯი, როდესაც ნებაყოფლობით (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც) იღებენ მესამე მხარის წინადადებას. პროცესის სავარაუდო შედეგებს ისინი აკონტროლებენ. პროცესი არ ქმნის სასამართლო პრეცედენტს. მესამე მხარეს არ სჭირდება მიზეზების წარმოჩენა და პროცესი შეიძლება საიდუმლოდ ჩატარდეს. ამრიგად, მთლიანი პროცესი პრაქტიკულ საკითხებზეა ორიენტირებული.

ნათელია ნაკლოვანი მხარეებიც. ძნელია შერიგებისა და შუამავლობის პროცესის დაწყება ორივე მხარის თანხმობის გარეშე. ამასთან, ისინი დამოკიდებულია ოპონენტის კეთილ ნებაზე. გარდა ამისა, შერიგებისა და შუამავლობის როლი სამართლის განვითარებაში ბევრად ნაკლებია, ვიდრე საარბიტრაჟო და სასამართლო განხილვის, მაგრამ იგი უფრო აბსტრაქტულ-სისტემატური განხილვაა. ამასთან, მხარეებისათვის მნიშვნელოვანია, რომ დავის გადანყვეტა ძირითადად დამაკმაყოფილებლად ხდება, მიუხედავად იმისა, ასახავს თუ არა კომპრომისი მატერიალური სამართლის ნორმებს.

შერიგების პრაქტიკული მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალში დამოკიდებულია შესწავლის საგანზე.⁵¹ ზოგადად, შერიგება უფრო სასურველია, როდესაც დავა უმნიშვნელოა ან მისი ძირითადი საკითხები სამართლებრივი ხასიათისაა, ამასთან, გადანყვეტილება კომპრომისი უნდა იყოს და თანაბრად უნდა იცავდეს მხარეების უფლებებს, მხარეების აზრით. შერიგების თანამედროვე სამოცდაათწლიანი ისტორია შერიგების გამოყენების მხოლოდ 20 შემთხვევას იცნობს, რაც ბევრად აღემატება გამოძიების შემთხვევებს. მაგრამ ასეთი რაოდენობა აშკარად ძალიან უმნიშვნელოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეულობით ხელშეკრულება ითვალისწინებს შერიგებას დავების გადანყვეტის საშუალებად.⁵² ჰანს ფონ ვანგოლდტმა, რომელმაც შერიგების ცამეტი საქმე განიხილა, დაასკვნა:

თითქმის ყველა შეიცავდა სამართლებრივ საკითხებს, რომელთა უმრავლესობა გადაეცა შერიგების ზოგადი ვალდებულების გამო. რვა მათგანი კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე გადანყდა. ერთის გარდა, ყველა საქმე წარმატებით დამთავრდა, რისი მიზეზიც სავარაუდოდ ისაა, რომ გათვალისწინებული იყო სავალდებულო არბიტრაჟი.⁵³

შეიძლება დავასკვნათ, რომ, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ დავის გადაუჭრელობის შემთხვევაში შერიგების მომდევნო ეტაპი იქნება პროცედურა სამართლებრივად სავალდებულო გადანყვეტილებით, მაშინ შერიგება უფრო ხშირად გვირგვინდება წარმატებულად. შერიგებისათვის მინიჭებული მნიშვნელობა აშკარაა გაეროს სახელმწიფოებს შორის დავების გადანყვეტის შესახებ 1990

ნლის წესების პროექტში⁵⁴ და ეუთოს 1992 წლის კონვენციაში შერიგებისა და არბიტრაჟის შესახებ.⁵⁵ აღსანიშნავია, რომ ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტში შერიგების გამოყენების (და სხვა) მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან შეუძლებელი იყო ისტორიული მტრობისა და ნაციონალური პრეტენზიებით განპირობებული შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარება, რაც ბოროტად გამოიყენეს ძალაუფლებისათვის მებრძოლმა პოლიტიკოსებმა.⁵⁶ უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირად პრობლემა ძნელი გადასაჭრელია მხარეების პოზიციების შეურიგებლობის გამო.

დავების გადაწყვეტის სამართლებრივი საშუალებები

ბევრი ხელშეკრულება ითვალისწინებს სასამართლო განხილვას და/ან არბიტრაჟს, რომელთა შედეგია მხარეებისათვის სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილება, თუ დავების გადაწყვეტის არასავალდებულო საშუალებები წარუმატებლად დამთავრდება. მხარეების თანხმობა საჭიროა როგორც საარბიტრაჟო, ისე სასამართლო განხილვისათვის. მუდმივი სასამართლო ახორციელებს სასამართლო განხილვას (სასამართლო გადაწყვეტა). მოსამართლეები უკვე არჩეულია, პროცედურები დადგენილი და კანონები, რომლებიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს, ასევე განსაზღვრულია. არბიტრაჟი უფრო მოქნილი მეთოდია და მასზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

სასამართლო განხილვა

მუდმივ სასამართლოებსა და ტრიბუნალებს შორის⁵⁷ საერთაშორისო სასამართლო (ICJ), უდავოდ, ყველაზე მნიშვნელოვანია.⁵⁸ სწორედ ამიტომ ქვემოთ დანვრილებითაა განხილული საერთაშორისო სასამართლო ან, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „მსოფლიო სასამართლო“.

საერთაშორისო სასამართლო (ICJ)

საერთაშორისო სასამართლოს და მისი წინამორბედი საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედ სასამართლოს (PCIJ - სმმს) ხშირად „მსოფლიო სასამართლოს“ უწოდებენ. სმმს-ს დამფუძნებელ დოკუმენტს (სტატუტს) ხელი მოეწერა 1920 წ. და ძალაში შევიდა 1921 წ.⁵⁹ მოსამართლეებს ირჩევდნენ არა მოდავე მხარეები, არამედ ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოები. უსარგებლოა სასამართლოს სტრუქტურის დანვრილებით აღწერა, რადგან იგი 1946 წელს ერთა ლიგასთან ერთად დაიშალა; გარდა ამისა, იგი ძალიან ჰგავდა საერთაშორისო სასამართლოს. მართალია, საერთაშორისო სასამართლო არ არის სმმს-ს სამართალმემკვიდრე, მაგრამ აშკარაა ორი სასამართლოს კავშირი, რადგანაც საქმეებს, რომლებიც სმმს-ს უნდა განეხილა ერთა ლიგის ეგიდით მიღებული, ჯერ კიდევ ძალაში მყოფი, ხელშეკრულებების საფუძველზე, განიხილავს საერთაშორისო სასამართლო, თუ მოდავე სახელმწიფოები საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე მხარეები არიან.⁶⁰ ეს დეკლარაციების მიმართაც გამოიყენება, რომლებიც წინა სასამართლოს ფაქულტატიური დებულებების (იხ. ქვემოთ) მიხედვით კეთდება.

საერთაშორისო სასამართლოს⁶¹ შტაბ-ბინა მშვიდობის სასახლე ჰააგაში. იგი ერთ-ერთია გაეროს ექვსი ძირითადი ორგანოდან, მაგრამ სასამართლო დამოუკიდებელია და სხვა ორგანოების იერარქია მასზე არ ვრცელდება.⁶² სასამართლოს სტატუტი, რომელიც ძალიან ჰგავს სმმს-ს სტატუტს, დართულია გაეროს წესდებაზე. ამრიგად, გაეროს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო ავტომატურად სტატუტის მხარეა.⁶³ გარკვეულ პირობებში სახელმწიფოები,

⁵⁴ ILM 30 (1991), 231.

⁵⁵ 1992 CSCE Convention, *op. cit.*

⁵⁶ იხ. თ. 22.

⁵⁷ H. Mosler, *Judgments of International Courts and Tribunals*, *EPIL* (1981), 111-8; H. Steinberger, *Judicial Settlement of International Disputes*, *ibid.*, 120-33; H. Thirlway, *Procedure of International Courts and Tribunals*, *ibid.*, 183-7; CD. Gray, *Judicial Remedies in International Law*, 1990; E. McWhinney, *Judicial Settlement of International Disputes*, 1991; G. Guillaume, *Les Formations restreintes des juridictions Internationales*, 1992; M.W. Janis (ed.), *International Courts for the Twenty-First Century*, 1992; H. Thirlway, *Evidence before International Courts and Tribunals*, *EPIL* II (1995), 302-4; Tomuschat, *International Courts and Tribunals*, *ibid.*, 1108-15; M. Kazazi, *Burden of Proof and Related Issues: A Study on Evidence Before International Tribunals*, *Studies and Materials on the Settlement of International Disputes*, Vol. I (P. Malanczuk ed.), 1996.

⁵⁸ H. Hill, *Central American Court of Justice*, *EPIL* I (1992), 551-4; P. Nikken, *Andean Common Market, Court of Justice*, *ibid.*, 159-64; K.R. Simmonds, *Central American Common Market, Arbitration Tribunal*, *ibid.*, 550-1; T. Buergenthal, *Inter-American Court of Human Rights*, *EPIL* II (1995), 1008-11; P. Pescatore, *Court of Justice of the European Communities*, *EPIL* I (1992), 852-67; W.v.d. Meersch, *European Court of Human Rights*, *EPIL* II (1995), 201-17; G. Nolte/S. Oeter, *European Commission and Court of Human Rights*, *Inter-State Applications*, *ibid.*, 144-54; ILM 34 (1995), 921; L. N. Kennedy, *The Court of Justice of the European Communities*, 1994; K.P.E. Lasok, *The European Court of Justice - Practice and Procedure*, 2nd edn 1994.

⁵⁹ იხ. თ. 2.

⁶⁰ Article 37, ICJ Statute, *Brownlie BDIL*, 438.

⁶¹ G.C. Fitzmaurice, *The Law and Practice of the International Court of Justice*, 1986; H. Thirlway, *The Law and Procedure of the International Court of Justice 1960-1989*, *BYIL* 60 (1989), 1-158; Part Two, *BYIL* 61 (1990), 1-134; Part Three, *BYIL* (1991), 1-76; Part Four, *BYIL* 63 (1992), 1-96; Part Five, *BYIL* 64 (1993), 1-54; Part Six, *BYIL* 65 (1994), 1-102; E.J.de Arechaga, *The Work and the Jurisprudence of the International Court of Justice 1947-1986*, *BYIL* 58 (1987), 1-38; R. Jennings, *The Internal Ju-*

dicial Practice of the International Court of Justice, *BYIL* 59 (1988), 31-48; S. Rosenne (ed.), *Documents on the International Court of Justice*, 1991; E. McWhinney, *Judicial Settlement of International Disputes. Jurisdiction, Justiciability and Judicial Law-Making in the Contemporary International Court*, 1991; R. Hofmann et al., *World Court Digest*, Vol. 1 (1986-1990), 1993; S. Rosenne/T.D. Gill, *The World Court. What It Is and How It Works*, 5th edn 1994; H.-J. Schlochauer, *International Court of Justice, EPIL* (1995), 1084-1107; G.Z. Capaldo, *A Repertory of the Decisions of the International Court of Justice (1947-1992)*, 1995; M. Schoder, ICJ, in *Wolfrum UNLPP* 1,673-85; A. Effinger/A. Witteveen, *The International Court of Justice 1946-1996*, 1996; V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996.

⁶⁰ იხ. ქვემოთ.

⁶¹ Articles 92 and 93 (1) UN Charter; H. Mosler, Article 92, in *Simma CUNAC*, 973-1001; Article 93, *ibid.*, 1001-3.

⁶² იხ. თ. 21.

⁶³ იხ. Elections to the International Court of Justice and the International Law Commission, *AJIL* 86 (1993), 173; Triennial Elections of Five Members of the International Court of Justice, *AJIL* 88 (1994), 178.

⁶⁴ H. Mosler, "Nationale" Richter in internationalen Gerichten, in *FS Bernhardt*, 713-31.

⁶⁵ Article 34 ICJ Statute; F. Matscher, *Standing before International Courts and Tribunals*, *EPIL* 1 (1981), 191-6; J.I. Charney, *Compromissory Clauses and the Jurisdiction of the International Court of Justice*, *AJIL* 81 (1987), 855-87.

⁶⁶ იხ. R. Jennings, *The International Court of Justice after Fifty Years*, *AJIL* 89 (1995), 493-505, at 504-5. იხ. ავრუჯე, თ. 6.

⁶⁷ იხ. თ. 2.

რომლებიც არ არიან გაეროს წევრები, შეიძლება წარდგინდეს სასამართლოს წინაშე და გახდნენ სტატუტის მხარეები (წესდების 93(2) მუხ.). ეს მუხლი ამოქმედდა შვეიცარიასთან (1948 წ.), ლიხტენშტაინთან (1950) და სან-მარინოსთან (1954) მიმართებაში. ამჟამად მხოლოდ გაეროს წესდების ორი არა-წევრი სახელმწიფო არის სტატუტის მხარე, ესენია შვეიცარია და ნაურუ.⁶⁴

სასამართლოს ორი ფუნქცია აქვს: 1) სახელმწიფოების წარდგენილი სამართლებრივი დავების გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და 2) საერთაშორისო ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილ სამართლებრივ საკითხებზე საკონსულტაციო დასკვნების მიცემა.

შემაღვენლობა

სასამართლო თხუთმეტი მოსამართლისგან შედგება; ხუთი აირჩევა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ცხრა წლის ვადით. არჩევის პროცედურა გართულებულია – მოსამართლემ გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობა უნდა მიიღოს;⁶⁵ სასამართლოს შემაღვენლობაში არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს ერთზე მეტი წარმომადგენელი; თითოეული პალატის შემაღვენლობაში უნდა შედიოდნენ მოსამართლეები, რომლებიც მსოფლიოს ძირითად ცივილიზაციებსა და სამართლებრივ სისტემებს წარმოადგენენ. არსებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს შემაღვენლობაში უნდა იყვნენ: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ოთხი წარმომადგენელი, ერთი აშშ-დან, ორი სამხრეთ ამერიკიდან, ორი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ექვსი აზიასა და აფრიკიდან. უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს ყოველთვის ჰყავს წარმომადგენელი სასამართლოში. 1996 წელს სასამართლო შედგებოდა მოსამართლეებისაგან, რომლებიც ალჟირის, აშშ-ს, იაპონიის, საფრანგეთის, გვინეის, შრი-ლანკის, მადაგასკარის, უნგრეთის, ჩინეთის, გერმანიის, სიერა-ლეონეს, რუსეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთისა და ვენესუელის მოქალაქეები იყვნენ.

მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაცია, რაც საჭიროა მათ სახელმწიფოში უმაღლესი სასამართლო თანამდებობის დასაკავებლად ან უნდა იყვნენ საერთაშორისო სამართლის სფეროში აღიარებული ავტორიტეტის მქონე იურისტები. თეორიულად, მოსამართლეები არ უნდა წარმოადგენდნენ თავიანთ სახელმწიფოებს სასამართლოში, არამედ დამოუკიდებელი მაგისტრები უნდა იყვნენ.

თუ სახელმწიფოს, რომელიც სასამართლოს წინაშე წარდგა, არ ჰყავს თავისი მოქალაქე სასამართლოს შემაღვენლობაში, მაშინ აირჩევენ *ad hoc* მოსამართლეს. *ad hoc* მოსამართლის ინსტიტუტი არბიტრის არჩევის გადმონაშთია და საჭიროა მხარის დასარწმუნებლად, რომ მის შეხედულებებს სასამართლოში გაითვალისწინებენ. ძნელია იმ მოსაზრების გაზიარება, რომ მოსამართლეები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი არიან და არ წარმოადგენენ თავიანთი სახელმწიფოების მთავრობებს.⁶⁶

იურისდიქცია სადავო საქმეებზე

მხოლოდ სახელმწიფოები შეიძლება გამოვიდნენ მხარეებად სასამართლოს წინაშე.⁶⁷ ეს აკრძალვა მოძველებულია, რადგან თანამედროვე საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოების გარდა შეეხება ადამიანებს, კორპორაციებსა და სამართლებრივ ერთეულებს; ამ აკრძალვის გამო აღნიშნულ სამართალს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები გამოიყენებენ და განმარტავენ.⁶⁸ დავის დროს სასამართლოს იურისდიქცია დამოკიდებულია მხარის თანხმობაზე; 1945 წელს სან-ფრანცისკოში⁶⁹ პატარა სახელმწიფოთა უმრავლესობას სურდა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის

აღიარება, მაგრამ დიდმა სახელმწიფოებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ასეთი დებულების მიღებას.

სახელმწიფოს თანხმობა, წარდგეს სასამართლოს წინაშე, შეიძლება რამდენიმე ფორმით განხორციელდეს. სტატუტის 36(1) მუხლის თანახმად:

სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება ყველა საქმე, რომელიც გადაიცემა მხარეების მიერ, აგრეთვე გაეროს წესდებით ან მოქმედი ხელშეკრულებებითა და კონვენციებით სპეციალურად გათვალისწინებული ყველა საკითხი.

სიტყვებს „ყველა საქმე, რომელიც გადაიცემა მხარეების მიერ“ განმარტება სჭირდება. სიტყვა „მხარეები“ მრავლობით რიცხვშია და გულისხმობს, რომ ყველა მოდავე მხარე უნდა დათანხმდეს დავის სასამართლოსათვის გადაცემაზე. ჩვეულებრივ, მხარეები სასამართლოს საქმეს ერთად გადასცემენ, სპეციალური შეთანხმების დადებით, თუმცა არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება, მხარეებმა ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს გადასცენ სასამართლოს თავისი განცხადება. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე მხარეს შეუძლია მიიღოს სასამართლოს იურისდიქცია მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ საქმე აღიძვრება; ასეთი თანხმობა შეიძლება გამოიხატოს აშკარა განცხადებაში, ასევე, თუ მოპასუხე სახელმწიფო იწყებს საქმის არსებითად დაცვას სასამართლოს იურისდიქციის გაპროტესტების გარეშე.⁷⁰

სახელმწიფოებს შეუძლიათ წინასწარ შეთანხმდნენ ხელშეკრულებით იურისდიქციის სასამართლოსათვის გადაცემის თაობაზე. ამას ითვალისწინებს 36(1) მუხლიც: „საქმე ..., რომელიც მოქმედი ხელშეკრულებით ან კონვენციებით სპეციალურადაა გათვალისწინებული“.⁷¹ რამდენიმე ასეული ხელშეკრულება არსებობს, რომლებიც ითვალისწინებს სასამართლოსათვის საქმის გადაცემას ნებისმიერი მხარის მიერ, თუ სახელმწიფოები ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების ინტერპრეტაციისა და გამოყენების თაობაზე. სიტყვები „გაეროს წესდებით... გათვალისწინებული ყველა საკითხი“ წარმოშობს პრობლემას. წესდების 36(3) მუხლის თანახმად (დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა), უშიშროების საბჭოს შეუძლია, რეკომენდაცია მისცეს სამართლებრივი დავის მხარეებს, რომ საქმე სასამართლოს გადასცენ; კორფუს არხის საქმეში გაერთიანებული სამეფო ამტკიცებდა, რომ ბრიტანეთისათვის და ალბანეთისათვის მიცემული ასეთი რეკომენდაცია საკმარისი იყო, რათა სასამართლოს განეხილა მისი სარჩელი ალბანეთის წინააღმდეგ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ალბანეთმა მიიღო სასამართლოს იურისდიქცია და მოსამართლეთა უმრავლესობამ არ ჩათვალა საჭიროდ, განეხილათ ბრიტანეთის მოსაზრებები უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თაობაზე, რომელიც რეკომენდაციას შეეხებოდა. შვიდ მოსამართლეს ჰქონდა განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმად, გაერთიანებული სამეფოს მოსაზრება მცდარი იყო, რადგან უშიშროების საბჭოს რეზოლუცია სავალდებულო არ იყო.⁷² როგორც წესი, აღნიშნულ განსხვავებულ მოსაზრებას სწორად მიიჩნევენ; თუ განსხვავებული მოსაზრება სწორია, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს საქმეები, რომლებიც „გაეროს წესდებით ... გათვალისწინებული ყველა საკითხებიდან“ გამომდინარეობს. ამ პარადოქსის ახსნა ისაა, რომ სასამართლოს სტატუტის 36(1) მუხლი მაშინ შემუშავდა, როდესაც მოელოდნენ, რომ წესდება სავალდებულო იურისდიქციას გაითვალისწინებდა. სან-ფრანცისკოს კონფერენციის მონაწილეებმა არ მიიღეს დებულება სავალდებულო იურისდიქციის შესახებ, მაგრამ დაავინწყდათ გაეუქმებინათ წინააღმდეგობრივი დებულება სასამართლოს სტატუტში.

სტატუტის 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად:

⁷⁰ *Corfu Channel case* (Preliminary Objection), *ICJ Rep.* 1948, 15-48, at 27-8; იხ. აგრეთვე, R. Bernhardt, *EPIL* I (1992), 832-4 და თ. 19 იხ. აგრეთვე, *Haya la Torre case* (Judgment), *ICJ Rep.* 1951, 71-84, at 78; K. Hailbronner, *EPIL* II (1995), 683-5.

⁷¹ იხ. S. Rosenne, *The Qatar/Bahrain Case - What is A Treaty? A Framework Agreement and the Seising of the Court*, *LJILS* (1995), 161-82.

⁷² *Rep.* 1947-8, 15, 31-2.

⁷³ R. Szafarz, *The Compulsory Jurisdiction of the International Court of Justice*, 1993.

⁷⁴ ICJYb 1978/9, 56-86.

⁷⁵ The Soviet decree of 10 February 1989. MIL 83 (1989), 457. იხ. T. Schweisfurth, *The Acceptance by the Soviet Union of the Compulsory Jurisdiction of the ICJ for Six Human Rights Conventions*, EHL 2 (1991), 110-17. იხ. აგრეთვე, G. Shinkaretskaya, *A Changing Attitude Towards International Adjudication in the Soviet Union*, LJIL 3 (1990), 59-66.

⁷⁶ R. Szafarz, *Poland Accepts the Optional Clause of the ICJ Statute*, AJIL 85 (1991), 374-5.

⁷⁷ *South West Africa case*. ICJ Advisory Opinions of 1950, 1955 and 1956: ICJ Rep. 1950, 128-45; 1955, 67-123; 1956, 23-71; ICJ Judgments of 1962 and 1966: ICJ Rep. 1962, 319-662; 1966, 6-505; ICJ Advisory Opinion of 1971. ICJ Rep. 1971, 16-345. იხ. E. Klein, *South West Africa/Namibia (Advisory Opinions and Judgments)*, EPIL 2 (1981), 260-70. იხ. თ. 19.

⁷⁸ *Electronica Sicula S.p.A. (ELSI) case (OS v. Italy)*. ICJ Rep. 1989, 15-121. იხ. თ. 17; ICJ Communiqué, No. 96/6 of 23 February 1996; იხ. აგრეთვე, თ. 13.

⁷⁹ ICJ Reports 1984, 392. იხ. The US Department of State, *Letter and Statement Concerning Termination of Acceptance of ICJ Compulsory Jurisdiction*, 7 October 1985, (1985), 1742-5. იხ. A. D'Amato, *Modifying U.S. Acceptance of the Compulsory Jurisdiction of the World Court*, AJIL 79 (1985), 385-405; A.C. Arend (ed.), *The United States and Compulsory Jurisdiction of the International Court of Justice*, 1986; M.N. Leich, *The International Court of Justice. Termination of Acceptance of Compulsory Jurisdiction*, AJIL 80 (1986), 163-5; K. Oellers-Frahm, *Die "obligatorische" Gerichtsbarkeit des Internationalen Gerichtshofs. Anmerkungen anlässlich der Zuständigkeitsentscheidung im Fall Nicaragua gegen USA*, ZaRV 47 (1987), 243; S. Oda, *Reservations in the Declarations of Acceptance of the Optional Clause and the Period of Validity of Those Declarations: The Effect of the Shultz Letter*, BYIL 59 (1988), 1 et seq.; R. Ostrowsky, *Compulsory Jurisdiction of the International Court of Justice in the Dispute between Nicaragua and the United States*, Hague YIL 1 (1988), 3-15; T. Gill, *Litigation Strategy at the International Court. A Case Study of the Nicaragua v. United States Dispute*, 1989; D.W. Greig, *Nicaragua and the United States: Conf-*

2. წინამდებარე სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ასეთი ვალდებულება იკისრა, სავალდებულოდ აღიარებენ *ipso facto*, განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე, სასამართლოს იურისდიქციას ყველა სამართლებრივ დავაში (ისინი ეხება: ა) ხელშეკრულების განმარტებას; ბ) საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ საკითხს; გ) იმ ფაქტის არსებობას, რომელიც, თუკი დადგინდება, მიიჩნევა საერთაშორისო ვალდებულების დარღვევად; დ) საერთაშორისო ვალდებულების დარღვევისათვის გადასახდელი ანაზღაურების ხასიათსა და ზომებს. – რედ. შენ.).

3. ზემოაღნიშნული განცხადება შეიძლება უპირობო იყოს, ან მოქმედებდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრივ ნაცვალგების საფუძველზე, ანდა განსაზღვრული ვადით.

ეს ფაკულტატიური პუნქტი, როგორც მას უწოდებენ, სავალდებულო იურისდიქციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის კომპრომისის შედეგად ჩამოყალიბდა.⁷³ 1978 წლის ბოლოს გაეროს ნევრმა 43-მა სახელმწიფომ მიიღო სასამართლოს იურისდიქცია ფაკულტატიური პუნქტის შესაბამისად, მათ შორის იყო დასავლეთ ევროპის თერთმეტი სახელმწიფო, ხუთი სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო, აგრეთვე შვეიცარია და ლიხტენშტაინი.⁷⁴ არც ერთ კომუნისტურ სახელმწიფოს არ უღიარებია სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია. 1996 წლის პირველი აპრილისათვის 59 სახელმწიფოს ჰქონდა აღიარებული სავალდებულო იურისდიქცია.

1988 წელს გენერალური ასამბლეის წინაშე გამოსვლისას გორბაჩოვმა წამოაყენა წინადადება, რომ ყველა სახელმწიფოს ეღიარებინა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია ადამიანის უფლებების შესახებ ხელშეკრულებებთან მიმართებაში. 1989 წელს საბჭოთა კავშირმა აღიარა სასამართლოს იურისდიქცია ადამიანის უფლებების შესახებ ექვსი შეთანხმების მიმართ.⁷⁵ სხვა სოციალისტურმა სახელმწიფოებმაც გააუქმეს დათქმები სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებით აღნიშნული სახის შეთანხმებების მიმართ. პოლონეთი იყო კომუნისტური ბლოკი სპირველი სახელმწიფო, რომელმაც 1990 წ. 25 ნოემბერს გააკეთა განცხადება ფაკულტატიური პუნქტის თაობაზე.⁷⁶ ახალი განცხადებები გააკეთეს აფრიკულმა სახელმწიფოებმაც, რომლებიც სასამართლოთი უკმაყოფილონი იყვნენ *სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საქმის* გამო.⁷⁷ მეორე მხრივ, აშშ-მ გააუქმა აღნიშნული პუნქტის თანახმად გაკეთებული განცხადება (მაგრამ მონაწილეობდა საქმეებში, რომლებზეც აღიარა სასამართლოს იურისდიქცია),⁷⁸ რაც იყო აშშ-ს რეაქცია სასამართლოს გადანიყვეტილებაზე, რომ მიიღო *ნიკარაგუის საქმე* განსახილველად.⁷⁹ ყოველი საჩივარი გაუქმების ხელახლა განხილვის შესახებ ჯერჯერობით წარუმატებელი აღმოჩნდა.⁸⁰ გარდა ამისა, ისრაელმა და ელ-სალვადორმაც გააუქმეს განცხადება. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფო არის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთაგან ერთადერთი,⁸¹ რომელმაც გააკეთა განცხადება 36(2) მუხლის თანახმად და არ გაუქმებია.

სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ სასამართლოს იურისდიქციას ფაკულტატიური დებულების თანახმად, ასე იქცევიან „მხოლოდ იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებმაც აღიარეს იგივე ვალდებულება“. ეს ცნობილია, როგორც ნაცვალგების პრინციპი.⁸² სახელმწიფო ვერ მიიღებს არასავალდებულო მუხლით გათვალისწინებულ უპირატესობებს, თუ არ აღიარებს მის მოვალეობებს. თუ A სახელმწიფომ აღიარა აღნიშნული პუნქტი, ხოლო B სახელმწიფომ – არა, მაშინ B ვერ შეიტანს სარჩელს სასამართლოში A-ს წინააღმდეგ ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. თუ მოსარჩელე სახელმწიფომ მიიღო არასავალდებულო პუნქტი დათქმებით, მაშინ მოპასუხე მხარეს შეუძლია დაეყრდნოს მოსარჩელის დათქმებს ნაცვალგების საფუძველზე. მესამე პუნქტის დებულება, რომელიც ნებას რთავს სახელმწიფოებს,

მიიღონ არასავალდებულო პუნქტი „ამა თუ იმ სახელმწიფოთა მხრივ ნაცვალ-გების საფუძველზე“, გაურკვეველი ჩანს მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე. მაგრამ *travaux preparatoire*-ის თანახმად, მე-3 მუხლში სიტყვა „ნაცვალგება“ გამოყენებულია სხვა მნიშვნელობით; მე-3 მუხლის შედგენის შემდეგ: სახელმწიფოს შეუძლია დათქმით განსაზღვროს, რომ არასავალდებულო პუნქტის მიღება მისთვის ამოქმედდება მას შემდეგ, რაც X და Y სახელმწიფოები აღიარებენ არასავალდებულო პუნქტის სავალდებულო ძალას. სანამ X და Y სახელმწიფოები არ აღიარებენ ფაკულტატიურ პუნქტს, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია სარჩელის შეტანა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც გააკეთა აღნიშნული ტიპის დათქმა მისი თანხმობის გარეშე. ჯერჯერობით ასეთი დათქმები არავის გაუკეთებია.

36(3) მუხლი ითვალისწინებს დათქმებს ნაცვალგებასა და ვადებთან დაკავშირებით.⁸³ პრაქტიკაში ცნობილია სხვა სახის დათქმებიც, რომლებიც ძალის მქონედ ითვლება. ბევრი სახელმწიფო აკეთებდა დათქმას, რომლის თანახმადაც მას ჰქონდა უფლება, გაეუქმებინა არასავალდებულო მუხლის მიღება შეტყობინების გარეშე. ასეთი დათქმა თუნდაც არ იყო გაკეთებული, სახელმწიფოს შეუძლია გააუქმოს მიღება საფუძვლის არსებობისა და წარმოჩენის შემთხვევაში.⁸⁴ თუ სახელმწიფო გააუქმებს არასავალდებულო პუნქტის აღიარებას, მაშინ სასამართლოს აღარ აქვს უფლება, მომავალში განიხილოს საქმეები ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ გაუქმება არ შეეხება უკვე დანყბულ საქმეებს.⁸⁵ ბევრი დათქმა ეხება დავებს, რომლებიც ხვდება „არსებითად“ ან „ექსკლუზიურად“ სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია დავებზე, რომლებიც, სახელმწიფოს აზრით, გავლენას ახდენს მათ სასიცოცხლო ინტერესებზე.⁸⁶ მაგალითად, აშშ-ის 1946 წლის 26 აგვისტოს განცხადებაზე (Declaration) კონელის დათქმამ გამორიცხა „დავები საქმეებზე, რომლებიც ნამდვილად ამერიკის შეერთებული შტატების იურისდიქციის ქვეშ ხვდება, როგორც ეს განსაზღვრულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ“⁸⁷. გენოციდის ხელშეკრულებაზე მიერთებისას აშშ-მ გააკეთა დათქმა IX მუხლთან მიმართებაში: „სანამ, ამ მუხლის თანახმად, დავა, რომლის მხარეცაა აშშ, გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს, აუცილებელია აშშ-ს სპეციალური თანხმობის მიღება ყველა შემთხვევაში“.⁸⁸

სადავოა, შეესაბამება თუ არა სასამართლოს სტატუსს ასეთი „ავტომატური დათქმები“, ანუ დათქმები, რომლის ფარგლებსაც სახელმწიფო ცალმხრივად განსაზღვრავს.⁸⁹ ნორვეგიული ვალის საქმეში ბრიტანელმა მოსამართლემ სერ ჰერმლოტერპაჩმა განაცხადა, რომ ასეთ დათქმას ძალა არ ჰქონდა, რადგანაც იგი ეწინააღმდეგებოდა სტატუსის 36(6) მუხლს, რომლის თანახმად, „საქმის სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის წამოჭრის შემთხვევაში საკითხი სასამართლოს განჩინებით გადაწყდება“. უფრო მეტიც, რადგან შეუძლებელი იყო დათქმის განცალკევება მთლიანად მიღების აქტისაგან, ამიტომ დათქმის გაუქმება თავისთავად განაპირობებს მიღების აქტის გაუქმებასაც.⁹⁰ მოსამართლეთა უმეტესობამ ეს მოსაზრება ღიად დატოვა და გამოიყენეს დათქმა, რადგან მხარეები არ ამტკიცებდნენ, რომ დათქმა არ იყო ძალის მქონე.⁹¹ ნორვეგიული ვალის საქმის ირონიული მომენტი ის იყო, რომ ავტომატურ დათქმას შეიცავდა მოსარჩელე სახელმწიფოს – საფრანგეთის მიერ ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების დოკუმენტი, რაც წარმატებულად გამოიყენა მოპასუხე ნორვეგიამ. ბევრმა სახელმწიფომ (ინდოეთი, პაკისტანი და გაერთიანებული სამეფო) გააუქმა ავტომატური დათქმა ნაცვალგების პრინციპისა და მოსამართლეების უარყოფითი დამოკიდებულების გამო. თუმცა ასეთი სახის დათქმები კვლავ მოქმედებს (ლიბერია, მალავი, სუდანი, ფილიპინები, მექსიკა და ა.შ.).

ამჟამად ჩვეულებრივი დათქმა შეიძლება ითვალისწინებდეს „დავების ნებისმიერი მოცემული კატეგორიის ან კატეგორიების“ გამორიცხვას გაეროს

rontation Over the Jurisdiction of the International Court. *BYIL* 62 (1991), 119-282. ნიკარაგუის საქმე იბ. თ. 3.

⁸⁰ A. D'Amato, The United States Should Accept. By A New Declaration, the General Compulsory Jurisdiction of the World Court. *MIL* 80 (1986), 331-6; G.L. Scott /C.L. Carr, The ICJ and Compulsory Jurisdiction: The Case for Closing the Clause. *MIL* 81 (1987), 57-76. On the ambivalent American attitude towards the Court generally იბ. M. Pomerance. *The United States and the World Court as a "Supreme Court of the Nations": Dreams, Illusions and Disillusion*, 1996.

⁸¹ იბ. თ. 21.

⁸² იბ. H.W.A. Thirlway, Reciprocity in the Jurisdiction of the International Court. *NYL* 15 (1984), 97-138.

⁸³ იბ. S.A. Alexandrov. *Reservations in Unilateral Declarations Accepting the Compulsory Jurisdiction of the International Court of Justice*, 1995.

⁸⁴ ნიკარაგუის საქმე. *ICJ Rep.* 1984, 392, at 420.

⁸⁵ ნიკარაგუის საქმე. *ICJ Rep.* 1953, 111.122-3. იბ. თ. 17.

⁸⁶ იბ. თ. 2.

⁸⁷ R. Dolzer, Connally Reservation. *EPIL* 1 (1992), 755-68.

⁸⁸ 132 Cong. Rec. S1377 (daily edn 19 Feb. 1986). ამ ფორმულირებას ათი სახელმწიფო არ დაეთანხმა.

⁸⁹ *Norwegian Loans case*, *ICJ Rep.* 1957, 9-100, at 68 and 75; *Interhandel case*, *ICJ Rep.* 1959, 6-125, at 104; იბ. აგრეთვე, E.K. Mertens. *Norwegian Loans Case*. *EPIL* 2 (1981), 210-11; L. Weber, *Interhandel Case*. *EPIL* 11 (1995), 1025-7 და თ. 17.

⁹⁰ *ICJ Rep.* 1957, 9, 43-66.

⁹¹ *ibid.*, 27.

⁹² Jennings, *op. cit.*, 495 with reference to the Portuguese Declaration of 19 December 1955.

⁹³ *ib. id.*, 12.

⁹⁴ Convention on Future Multilateral Cooperation in the Northwest Atlantic Fisheries (1978). (1995), 1452.

⁹⁵ Jennings, *op. cit.*, 495.

⁹⁶ ICJ Communiqués, 95/9 of 29 March 1995 and 95/12 of 2 May 1995.

⁹⁷ Jennings, *op. cit.*, 495; C.H.M. Waldock, Decline of the Optional Clause, *ib. BYIL* 32 (1955-6), 244; J.G. Merrills, The Optional Clause Revisited, *BYIL* 64 (1993), 197.

⁹⁸ *East Timor ass (Portugal v. Australia)*, judgment of 30 June 1995. ICJ Rep. 1995.90. (1995), 1581. *ib. id.*, 3 და თ. 19.

⁹⁹ *ib. id.*, 19.

¹⁰⁰ *ib. P. Lawrence. East Timor, EPIL* 11 (1995), 3-4; B.F. Fitzgerald, *Horta v. Commonwealth. The Validity of the Timor Gap Treaty and its Domestic Implication*, ICJ Q 44 (1995), 643-50.

¹⁰¹ კონტინენტური შეღების შესახებ *ib. id.*, 12.

¹⁰² *ib. id.*, 3 და თ. 19.

¹⁰³ *East Timor case, op. cit.*, judgment, paras. 29 and 37.

გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.⁹² უფრო მეტიც, ჩრდილო-დასავლეთ ატლანტიკაში⁹³ მეთევზეებთან დაკავშირებული ესპანეთის ინციდენტის დროს, 1994 წ. მაისში, კანადამ მიიღო გამაფრთხილებელი ზომები არსებული დეკლარაციების შეჩერებით და ისინი ერთი დეკლარაციით შეცვალა; ეს უკანასკნელი გამოირიცხავდა „დავებს, რომლებიც გამომდინარეობს ან ეხება კანადის მიერ კონსერვაციისა და მართვის ღონისძიებებს თევზსაჭერ ხომალდებთან მიმართებაში ჩრდილოეთ ატლანტიკის თევზსაჭერი ორგანიზაციის სამართავ არეში (NAFO Regulatory Area)“, როგორც განსაზღვრულია შესაბამის ხელშეკრულებაში,⁹⁴ და „ასეთი ღონისძიებების აღსრულებას“. დეკლარაცია ითვალისწინებდა უფლებას, რომ შეტყობინების გზით „დაემატოს, შეიცვალოს ან გაუქმდეს“ ნებისმიერი დათქმა.⁹⁵ 1995 წ. 28 მაისს თევზჭერის იურისდიქციის საქმეში, როდესაც ესპანეთმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა კანადის წინააღმდეგ, კანადამ გააპროტესტა სასამართლოს იურისდიქცია. ესპანეთმა სარჩელს საფუძვლად დაუდო 36(2) მუხლის თანახმად გაკეთებული ორივე სახელმწიფოს დეკლარაცია.⁹⁶

როგორც ჯენინგსმა აღნიშნა:

არასავალდებულო პუნქტი სადავო და ნაკლებ დამაკმაყოფილებელ საშუალებად რჩება სასამართლოს კომპეტენციის დასამტკიცებლად. ისევე, როგორც უოლდოკის არასავალდებულო პუნქტთან დაკავშირებით ცნობილი ნაშრომის გამოქვეყნების დროს, კვლავ მართალია, რომ, მიუხედავად ნაცვალგების პრინციპისა, სახელმწიფოების აზრით, არსებობს გარკვეული პოლიტიკური უპირატესობა იმაში, რომ დარჩენენ სისტემის გარეთ, რომელიც შეერთების ნებას აძლევს სახელმწიფოებს მეტ-ნაკლებად მათი ნება-სურვილის გათვალისწინებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ძნელი იქნება, თუ მთლად შეუძლებელი არა, ასეთი სისტემის შეცვლა სასამართლოს სტატუსის შეცვლის სირთულის გათვალისწინებით.⁹⁷

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს საქმის მოსმენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, როდესაც სახელმწიფოები თანახმანი არიან. როგორც აღმოსავლეთ ტიმორის საქმეზე გადაწყვიტა სასამართლომ,⁹⁸ თანხმობის მოთხოვნა საკმაოდ მკაცრია და შეიძლება არადადამაკმაყოფილებელი შედეგების მიზეზი გახდეს. 1975 წ. ინდონეზიამ მოახდინა აღმოსავლეთ ტიმორის ოკუპაცია, რომელიც იყო პორტუგალიის ყოფილი კოლონია და გაეროს სიაში მყოფი არათვითმმართველი ტერიტორია,⁹⁹ და 1976 წ. დაუმატა თავის პროვინციებს ოცდამეშვიდე ნომრით. გაერომ არ მიიღო საქმე, თუმცა აღიარა აღმოსავლეთ ტიმორის მოსახლეობის უფლება თვითგამორკვევასა და დამოუკიდებლობაზე და ინდონეზიას ტერიტორიის დატოვებისაკენ მოუწოდა. აღმოსავლეთ ტიმორი კვლავ გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ დღის წესრიგში დგას, მაგრამ ეს საკითხი 1982 წ. შემდეგ არ განხილულა.¹⁰⁰ 1991 წ. პორტუგალიამ, როგორც აღმოსავლეთ ტიმორის მმართველმა სახელმწიფომ (გაეროს წესდების XI თავის თანახმად), შეიტანა სარჩელი ავსტრალიის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოში, რადგან 1989 წ. ავსტრალიამ ინდონეზიასთან დადო შეთანხმება ავსტრალიასა და აღმოსავლეთ ტიმორს შორის კონტინენტური შეღების გამოყენებისა და ექსპლუატაციის შესახებ¹⁰¹. პორტუგალია ამტკიცებდა, რომ აღნიშნული შეთანხმება არღვევს არა მარტო აღმოსავლეთ ტიმორის უფლებას ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, არამედ პორტუგალიის, როგორც მმართველი სახელმწიფოს, უფლებებსაც. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გაიზიარა პორტუგალიის მოსაზრება, რომ ხალხთა უფლება თვითგამორკვევაზე *erga omnes*¹⁰² ხასიათისაა და ეჭვგარეშეა და რომ აღმოსავლეთ ტიმორი კვლავ „რჩება თვითმმართველობის მქონე ტერიტორიად და მის ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება“, ¹⁰³ მან არ მიიღო საქმე განსახილველად, რადგან ინდო-

ნეზიამ არ აღიარა სასამართლოს იურისდიქცია კონკრეტულ საქმეზე. სასამართლომ დაადგინა, რომ

ნორმის *erga omnes* ხასიათი და იურისდიქციაზე თანხმობის განცხადების წესი ერთმანეთისაგან განსხვავდება. როგორც უნდა იყოს გასაჩივრებული ვალდებულების ხასიათი, სასამართლომ არ შეუძლია იმსჯელოს სახელმწიფოს ქმედების სამართლიანობაზე, თუ მისი განაჩენი შეაფასებს იმ სახელმწიფოს ქმედების სამართლიანობას, რომელიც არ არის [განსახილველი] საქმის მხარე. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ არ შეუძლია იმოქმედოს, თუნდაც გასაჩივრებული უფლება *erga omnes* უფლება იყოს.¹⁰⁴

სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი *per se* არ იყო შეზღუდული, განეხილა საქმე, თუ მისი გადაწყვეტილება გავლენას მოახდენდა ისეთი სახელმწიფოს ინტერესებზე, რომელიც არ არის პროცესის მხარე.¹⁰⁵ მაგრამ სასამართლომ დაადგინა ამ საქმეზე, რომ

პორტუგალიის თხოვნის შესაბამისად გათვალისწინებული გადაწყვეტილება შეაფასებდა, რომ ინდონეზიის შესვლა და ყოფნა აღმოსავლეთ ტიმორში უკანონო იყო, რის გამოც მას არ ჰქონდა უფლება, დაედო ხელშეკრულება აღმოსავლეთ ტიმორის შელფის რესურსების განკარგვის შესახებ. სასამართლომ განსჯის საგანი იქნებოდა იმ სახელმწიფოს უფლებები და მოვალეობები, რომელსაც არ განუცხადებია თანხმობა [სასამართლოს იურისდიქციაზე]. ასეთი გადაწყვეტილება იქნებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპის წინააღმდეგი, რომელიც განსხვავებულია საერთაშორისო სასამართლოს სტატუტში, კერძოდ, სასამართლოს სახელმწიფოზე იურისდიქციის განხორციელება მხოლოდ მისი თანხმობით შეუძლია.¹⁰⁶

თოთხმეტმა მოსამართლემ მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. მოსამართლე ვერმანტრს და *ad hoc* მოსამართლე სკუბიეზესკის, რომელიც პორტუგალიამ აირჩია, განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ.¹⁰⁷ სამართლებრივი პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, სასამართლოს სტატუტის თანახმად, მოსამართლეთა უმრავლესობის აზრი სწორია, თუმცა ამჟამად, რომ სახელმწიფოს თანხმობის პრინციპი ზღუდავს სასამართლოს შესაძლებლობებს – ყოველთვის იმოქმედოს სამართლიანობის შესაბამისად.¹⁰⁸

პროცედურა

როგორც სტატუტში და სასამართლოს წესებშია (მიღებულია 1978 წ.) ჩამოყალიბებული, სასამართლოს პროცედურა დავის საქმეების განხილვის დროს მოიცავს წერილობით ფაზას, რომლის დროსაც მხარეები წარადგენენ სარჩელებს და ცვლიან განცხადებებს, და საჯარო მოსმენის ზეპირ სტადიას, რომელზეც გამოდიან მხარეების აგენტები და ადვოკატები.¹⁰⁹ სასამართლოს სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული და ყველა წერილობითი დოკუმენტი ან ზეპირი განცხადება ორივე ენაზე ითარგმნება. ზეპირი მოსმენის შემდეგ სასამართლო დამოუკიდებლად თათბირობს და გადაწყვეტილება საჯარო სხდომაზე გამოაქვს. გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

სანამ საქმეს არსებითად შეისწავლიდეს, სასამართლომ რამდენიმე წინასწარი შეპასუხების განხილვა უხდებია.¹¹⁰ წინასწარი შეპასუხების საშუალებით მოპასუხე სახელმწიფოები ხშირად აცხადებენ, რომ სასამართლომ არ გააჩნია იურისდიქცია საქმის განსახილველად. წინასწარი შეპასუხება შეიძლება სხვა ფორმისა იყოს; მაგალითად, თუ მომჩივანი სახელმწიფო საჩივარს წარადგენს მისი ერთი მოქალაქის სახელით, იგი შეიძლება შეეხებოდეს წესებს პრეტენზიის ეროვნულობის შესახებ¹¹¹ ან ადგილობრივი დაცვის საშუალებ-

¹⁰⁴ *ibid.*, para. 29.

¹⁰⁵ *Certain Phosphate Lands in Nauru Case (Nauru v. Australia)*, ICJ Rep. 1992. 261 -2.

¹⁰⁶ Para. 34 with reference to the *Monetary Gold Removed from Rome case* (1943). ICJ Rep. 1954.32. nb. N. Wiñler, *Monetary Gold Case*, EPIL 2 (1981). 195-6.

¹⁰⁷ თთხმა სხვა მოსამართლემ განსაკუთრებული აზრი გამოთქვა, რომელიც უმრავლესობის გადაწყვეტილებას უჭერდა მხარს, ოღონდ სხვა მიზეზით.

¹⁰⁸ CM. Chinkin, *The East Timor Case (Portugal v. Australia)*, ICJ 45 (1996), 712-24. nb. აგრეთვე, A. Zimmermann, *ZaoRV 55* (1995). 1051-76 and K. Oellers-Frahm, *WV 44* (1996). 67-9; Chinkin, *East Timor Moves into the World Court*, EJIL 4 (1993). 206-22; M.C. Maffei, *The Case of East Timor before the International Court of Justice - Some Tentative Comments*, *ibid.*, 223-38.

¹⁰⁹ nb. S. Rosenne, *Procedure in the International Court*, 1983; H.W.A. Thirlway, *Procedural Law and the International Court of Justice*, in *Lowe/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 389-405; R. Plender, *Rules of Procedure in the International Court and the European Court*, EJIL 2 (1991), 1-30.

¹¹⁰ nb. აგრეთვე, თ. 17.

¹¹¹ nb. A. Watts, *Nationality of Claims: Some Relevant Concepts*, in *Lowe/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 424-39. nb. აგრეთვე, თ. 17.

¹¹² იბ. თ. 17.

¹¹³ R. Bernhardt (ed.), *Interim Measures Indicated by International Courts*, 1994; K. Oellers-Frahm, *Interim Measures of Protection*, *EPIL* II (1995), 1027-34; J.G. Merrills, *Interim Measures of Protection in the Recent Jurisprudence of the ICJ*, *ICLO* 44 (1995), 90-146; S. Oda, *Provisional Measures. The Practice of the International Court of Justice*, in *Lowe/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 541-56.

¹¹⁴ S.M. Schwebel, *Ad hoc Chambers of the International Court of Justice*, 81 (1987), 831-54; S. Oda, *Further Thoughts on the Chambers Procedure of the International Court of Justice*, *AJIL* 82 (1988), 556-62; R. Ostrihansky, *Chambers of the International Court of Justice*, *ICLQ* 37 (1988), 30-52; E. Valencia-Ospina, *The Use of Chambers of the International Court of Justice*, in *Lowe/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 503-27.

¹¹⁵ *ICJ Rep.* 1984, 246-390; K. Oellers-Frahm, *Gulf of Maine Case*, *EPIL* II (1995), 647-51. ¹¹⁶ *ICJ Rep.* 1986, 554 *et seq.*; K. Oellers-Frahm, *Frontier Dispute Case (Burkina Faso/Mali)*, *EPIL* II (1995), 490-4.

¹¹⁷ *ELSI case*, *op. cit.*

¹¹⁸ *ICJ Rep.* 1990, 92.

¹¹⁹ K. Oellers-Frahm, *Überlegungen anlaßlich der Zulassung der Intervention Nicaraguas im Streit zwischen El Salvador und Honduras*, *ZaöRV* 60 (1990), 795-811; S. Rosenne, *Intervention in the International Court of Justice*, 1993; J.M. Ruda, *Intervention before the International Court of Justice*, in *Lowe/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 487-502.

¹²⁰ იბ. Jennings, *op. cit.*, 496.

¹²¹ *Ibid.*, 496.

¹²² *Certain Phosphate Lands in Nauru (Nauru v. Australia)* case. Preliminary Objections, *ICJ Rep.* 1992, 240; *Gabčíkovo-Nagymaros Project (Hungary v. Slovakia)* case, Order of December 20, *ICJ Rep.* 1994, 151. იბ. აგრეთვე, E. Honderkamp, *The Danube: Damned or Darned?* *The Dispute Between Hungary and Slovakia Concerning the Gabčíkovo-Nagymaros Project*, *LJIL* 8 (1995), 287-310; M. Fitzmaurice, *Environmental Protection and the International Court of Justice*, in *Lowe/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 293-315. იბ. თ. 3, თ. 16 და თ. 20.

¹²³ Mosler (1981), *op. cit.*, 111-18; იბ. თ. 3.

ბების ამონაწერებს.¹¹² წინასწარი შეპასუხებანი, ჩვეულებრივ, განიხილება განცალკევებით წინასწარი განხილვის დროს, მაგრამ სასამართლო ზოგჯერ მათ „საქმის არსებით განხილვას“, ანუ წინასწარ შეპასუხებებს უერთებს და საქმეს არსებითად ერთად გადაწყვეტს.

სასამართლოს შეიძლება სთხოვონ, სტატუტის 41-ე მუხლის შესაბამისად მიიღოს დროებითი ზომები „თითოეული მხარის უფლებათა უზრუნველსაყოფად“.¹¹³

ad hoc პალატები

1978 წ. შეიცვალა სასამართლოს საპროცედურო წესები, რაც ითვალისწინებდა *ad hoc* პალატების მიერ საქმეების განხილვას სტატუტის 26(2) მუხლის შესაბამისად.¹¹⁴ მაშინ, როდესაც სასამართლო საქმეს 15 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს (ზოგჯერ 16 ან 17 მოსამართლის, თუ მხარეები *ad hoc* მოსამართლეებს ირჩევენ), პალატის გამოყენება მხარეებს საშუალებას აძლევს, გავლენა მოახდინონ მოსამართლეების რაოდენობაზე, რომლებიც საქმეს განიხილავენ (სასამართლოს წესები, მუხ. 117(2)), და პალატის შემადგენლობაზე. ამით მხარეებს მეტი ნდობა აქვთ პროცესისა და მისი საბოლოო შედეგების მიმართ. ბევრი აკრიტიკებდა ამ ინოვაციას, ამტკიცებდნენ რა, რომ პალატის პროცედურები ვერ უთავსდებოდა სასამართლოს პროცედურებს და სასამართლოს დამოუკიდებლობის იდეას და რომ *ad hoc* პალატების ძალაუფლება მეტისმეტად ფართოა, რის შედეგადაც პროცესი სასამართლო განხილვის ნაცვლად საარბიტრაჟო ტრიბუნალში გაგრძელდა.

მოუხედავად ამისა, მხარეებმა *ad hoc* უპირატესობა მიანიჭეს პალატას *მაინის ყურის* საქმეში (Gulf of Main case) კანადასა და აშშ-ს შორის,¹¹⁵ ბურკინა ფასოსა და მალის შორის *სასაზღვრო დავის საქმეში* (Frontier Dispute case) (რომელიც ხუთმა მოსამართლემ გადაწყვიტა, ორი მათგანი *ad hoc* იყო არჩეული),¹¹⁶ აშშ-სა და იტალიას შორის *ELSA-ს* საქმის დროს¹¹⁷ და სალვადორსა და ჰონდურასს შორის *კონტინენტური, კუნძულისა და საზღვაო საზღვრის შესახებ დავის* (The Land, Island and Maritime Frontier Dispute case) საქმეში¹¹⁸ (ნი კარაგუა საქმეში მესამე მხარე იყო).¹¹⁹ აღსანიშნავია, რომ პირველ საქმეში, რომელშიც პალატა მონაწილეობდა (*მაინის ყურის საქმე*), კანადამ და აშშ-მ ღიად განუცხადეს საერთაშორისო სასამართლოს, რომ თუ არ ექნებოდათ უფლება, აერჩიათ პალატის მოსამართლეები საკუთარი სურვილის მიხედვით, მაშინ *ad hoc* მიმართავნენ ტრიბუნალს, რომლის შესაქმნელად საჭირო სამართლებრივი დოკუმენტები უკვე შევსებული იყო. მოუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ზოგიერთი მოსამართლე მიიჩნევდა, რომ ასეთი პროცედურა გაუმართლებელი იყო, ძნელია იმის თქმა, თუ რატომ არ შეეძლოთ კანადასა და აშშ-ს გამოეხატათ თავიანთი მოსაზრება და ამის გამო რატომ იქნებოდა სასამართლო არაობიექტური.¹²⁰ ამასთან, მას შეეძლო უარის თქმა პალატის შექმნაზე, რაც, რა თქმა უნდა, სასამართლოს მომავალ საქმიანობაზე ცუდად აისახებოდა.

მეორე მხრივ, მეორე ინოვაცია – შემაჯამებელი პროცედურების პალატა არასდროს ამოქმედებულა, თუმცა მას ყოველწლიურად ირჩევენ. ასეთივე მდგომარეობაა 1993 წლის ინოვაციასთან – საერთაშორისო სასამართლოს მიერ გარემოს დაცვის დავებთან დაკავშირებული პალატის შექმნასთან – მიმართებაშიც, რომელიც შეიძლია მოსამართლისაგან შედგება.¹²¹ სასამართლოს სრულმა შემადგენლობამ განიხილა ორი დიდი საქმე გარემოს დაცვასთან დაკავშირებით.¹²²

სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება

სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა (ისევე, როგორც საერთაშორისო სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებები).¹²³ გაეროს წესდების 94-ე მუხლი ნებას რთავს უშიშროების საბჭოს,

„მისცეს რეკომენდაციები ან გადაწყვიტოს, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად,“ თუმცა, უშიშროების საბჭოს არ გამოუყენებია ეს უფლება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.¹²⁴ უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების საბჭოს შეუძლია მიიღოს ზომები, რომლებიც გამომდინარეობს VI თავიდან და დაკავშირებულია დავის გადაწყვეტასთან და არავითარ შემთხვევაში უფრო მეტი ზომები VI თავის თანახმად, რომლებიც აშკარა საფრთხეს უქმნის მშვიდობას, სანამ სანქციები დამტკიცდება.¹²⁵ აშშ-მ ვეტო დაადო ნიკარაგუის თხოვნას უშიშროების საბჭოსადმი, რომ ამ უკანასკნელს აღესრულებინა სასამართლოს გადაწყვეტილება ნიკარაგუის საქმეზე.¹²⁶ ზოგადად, აღსრულება არც ისეთი სერიოზული პრობლემაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს; თუ სახელმწიფო დათანხმდება სასამართლოს იურისდიქციის მიღებაზე კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინ იგი თანახმაა, შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება. უფრო რთულია სახელმწიფოთა დარწმუნება, აღიარონ სასამართლოს იურისდიქცია.

საკონსულტაციო დასკვნები

სახელმწიფოთა შორის არსებული დავების გადაწყვეტის უფლებამოსილების გარდა, სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები.¹²⁷ გაეროს წესდების 96-ე მუხლის თანახმად:

1. გენერალურ ასამბლევას ან უშიშროების საბჭოს შეუძლიათ, მოსთხოვონ საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე.
2. გაერთიანებული ერების სხვა ორგანოებს ანდა სპეციალიზებულ დაწესებულებებს, რომლებსაც გენერალურმა ასამბლევამ ნებისმიერ დროს შეიძლება მისცეს ამაზე თანხმობა, აგრეთვე შეუძლიათ მოითხოვონ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები მათი მოღვაწეობის წრის ფარგლებში ნამოჭრილ იურიდიულ საკითხებზე.¹²⁸

საკონსულტაციო პროცედურა გათვალისწინებულია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და არა სახელმწიფოებისათვის. გაეროს ექვს ორგანოსა და თექვსმეტ სპეციალიზებულ ორგანიზაციას¹²⁹ აქვს უფლება, მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო მოსაზრებისათვის (სპეციალიზებული ორგანიზაციების უფლება შეზღუდულია მათ დამფუძნებელ ხელშეკრულებაში განსაზღვრული საკითხებით¹³⁰). თხოვნა უნდა ეხებოდეს აბსტრაქტულ სამართლებრივ საკითხს და არა კონკრეტულ დავას, თუმცა ხშირად სასამართლოსათვის მიმართვის მიზეზი არსებული დავაა. როდესაც თხოვნას შეიტანენ, სასამართლო იწვევს სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებმაც შეიძლება მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია და ანიჭებს მათ წერილობითი ან ზეპირი განცხადების წარდგენის საშუალებას. სხვა მხრივ პროცედურა ძალიან ჰგავს დავების განხილვის პროცედურას.

სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, საკონსულტაციო დასკვნა მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათისაა და არ არის სავალდებულო მხარეებისათვის (თუმცა ზოგიერთი დოკუმენტი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ საკონსულტაციო დასკვნა სავალდებულოა). დასკვნა ზოგჯერ პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს. ზოგიერთმა საკონსულტაციო დასკვნამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე. *inter alia*, სასამართლომ გამოსცა საკონსულტაციო დასკვნა შემდეგ საკითხებზე: გაეროში განეწიანება,¹³¹ გაეროს სამსახურში მიღებული ზიანისათვის რეპარაციები,¹³² სამხრეთ-დასავლეთ აფრიკისა (ნამიბიის)¹³³ და დასავლეთ საჰარის ტერიტორიის სტატუსი,¹³⁴ საერთაშორისო ადმინისტრაცი-

¹²⁴ A. Tanzi. Problems of Enforcement of Decisions of the International Court of Justice and the Law of the United Nations. *EJIL* 6 (1995), 539-72; H. Mosler, Article 94, in *Simma CUNAC*, 1005-6.

¹²⁵ იბ. თ. 22.

¹²⁶ S/PV 2718 of 28 October 1986. 51 (UN Doc. S/18428). იბ. 3 და თ. 19.

¹²⁷ Fl. Ago. "Binding" Advisory Opinions of the International Court of Justice. *AJIL* 85 (1991), 439-51; S.M. Schwelb, Was the Capacity to Request an Advisory Opinion Wider in the Permanent Court of International Justice than it is in the International Court of Justice?. *BYIL* 62 (1991), 77-118; H.W.A. Thirlway, Advisory Opinions of International Courts. *EPIL* 1 (1992), 38-43; R. Higgins. A Comment on the Current Health of Advisory Opinions. in *Lowe/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 567-84.

¹²⁸ H. Mosler. Article 96, in *Simma CUNAC*, 1008-17.

¹²⁹ იბ. თ. 21.

¹³⁰ იბ. The WHO case on the legality of nuclear weapons, იბ. თ. 20.

¹³¹ *Admission Case*, *ICJ Rep.* 1948, 57-119. იბ. K. Herndl, Admission of a State to Membership in United Nations (Advisory Opinions). *EPIL* 1 (1992), 35-8.

¹³² *Reparation Case*, *ICJ Rep.* 1949, 174-220; E. Klein. Reparation for Injuries Suffered in Service of UN (Advisory Opinion), *EPIL* 2 (1981), 242-4. იბ. თ. 6

¹³³ იბ. თ. 19.

¹³⁴ *Western Sahara Case*, *ICJ Rep.* 1975, 12-176; იბ. K. Oellers-Frahm. Western Sahara (Advisory Opinion). *EPIL* 2 (1981), 291-3.

¹³⁵ *Effect of Awards of Compensation Made by the United Nations Administrative Tribunal*, ICJ Rep. 1954, 47-97; *Judgments of the Administrative Tribunal of the ILO*, ICJ Rep. 1956, 77-168; *Application for Review of Judgment No. 158 of the UN*, ICJ Rep. 1973, 166-300; *Application for Review of Judgment No. 273 of the UN*, ICJ Rep. 1982, 325; *Application for Review of Judgment No. 333 of the UN*, ICJ Rep. 1987, 18; 1. Weber, M. Ruete, T. Bruha and M. Marquardt in *EPIL* 2 (1981), at 29, 156, 157 and *EPIL* III (forthcoming); Amerasinghe, *Cases of the International Court of Justice Relating to Employment in International Organizations*, in *Lowe/Fitzmaurice (eds), op. at*, 193-209; იბ. აგრეთვე, თ. 21.

¹³⁶ *Advisory Opinion on Certain Expenses of the UN*, ICJ Rep. 1962, 151. იბ. აგრეთვე, თ. 22.

¹³⁷ *Applicability of the Obligation to Arbitrate under Section 21 of the UN Headquarters Agreement*, ICJ Rep. 1988, 12. იბ. აგრეთვე, თ. 6. ¹³⁸ ICJ Rep. 1989, 177.

¹³⁹ იბ. თ. 3, თ. 16 და თ. 20. ¹⁴⁰ Jennings, *op. cit.*, 503.

¹⁴¹ Schlochauer (1995), *op. cit.*, 1099-100.

¹⁴² იბ. ზემოთ.

¹⁴³ Jennings, *op. cit.*, 493-4.

¹⁴⁴ Oellers-Frahm, *Addendum to Schlochauer*, *EPIL* II (1995), 1105.

¹⁴⁵ M.W. Janis, *An Introduction to International Law*, 2nd edn 1993, 122 *et seq.*

ციული ტრიბუნალების გადაწყვეტილებები,¹³⁵ გაეროს ზოგიერთი ოპერაციის ხარჯები,¹³⁶ გაეროს შტაბ-ბინის შესახებ შეთანხმების გამოყენება,¹ გაეროს იმუნიტეტებისა და პრივილეგიების შესახებ კონვენციის გამოყენება¹³⁸ და ატომური იარაღის გამოყენების სამართლებრივი ხასიათი.¹³⁹

მსსს-ს საკონსულტაციო იურისდიქციასთან შედარებით სასამართლო საკონსულტაციო იურისდიქცია ნაკლებად გამოიყენება დავების მოგვარების საქმეებში. 1948-1975 წწ. საკონსულტაციო დასკვნების საერთო რაოდენობა მხოლოდ თექვსმეტი იყო (1922-35 წწ. PCIJ-მ ოცდაექვსი საკონსულტაციო დასკვნა გამოსცა), ხოლო 1980-89 წწ. — მხოლოდ ხუთი, აქედან ორი შეეხებოდა სასამართლოს სააპელაციო ფუნქციას *vis-à-vis* გაეროს ადმინისტრაციულ ტრიბუნალების საკადრო გადაწყვეტილებებს. ასეთი სიმცირის მიზეზი ისიცაა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ, საკუთარი სამართლებრივი მრჩეველები ჰყავთ; აგრეთვე ის, რომ სახელმწიფოებს არ სურდათ გაეროს გენერალური მდივნისათვის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების მინიჭება.¹⁴⁰

სასამართლოს შეფასება

სასამართლოს განსახილველი საქმეები უნინ ცოტა იყო. ზემოთ აღნიშნულ საკონსულტაციო დასკვნების გარდა 1980 წ. ბოლომდე სასამართლომ ოცდაექვსი საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება.¹⁴¹ სასამართლოსათვის მიმართვა მნიშვნელოვნად შემცირდა 1970-იან წწ., როდესაც ბევრი სახელმწიფო გახდა გაეროს წევრი, მაგრამ ამჯობინებდნენ, თავიდან აეცილებინათ დავების გადაწყვეტა სასამართლო გზით. უფრო მეტიც, საერთაშორისო სასამართლოს ყოფილ პრეზიდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ *სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის* საქმეზე მითითებით,¹⁴² „ხშირად ვარაუდობენ, რომ 1966 წ. სასამართლოს უნაყოფი გადაწყვეტილება, რომელიც პრეზიდენტის ხმის მიცემით მიიღეს, სასამართლომ მუშაობის ჩავარდნის უშუალო მიზეზი იყო“.¹⁴³ 1981-1991 წწ. სასამართლომ დავების საქმეებზე თორმეტი გადაწყვეტილება გამოიტანა, თუმცა, საშუალოდ წელიწადში მხოლოდ ერთი საქმე იყო.¹⁴⁴ 1946-1990 წწ. სასამართლომ სულ 5 გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეებზე, რომლებიც წარმოიშვა სახელმწიფოთაშორისი დავებიდან, სამოცი არსებითი გადაწყვეტილება და ოცდაერთი საკონსულტაციო დასკვნა, რაც ერთად სამი საქმეა წელიწადში.¹⁴⁵ 1946 წლის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა სამოცი გადაწყვეტილება დავის შესახებ, *inter alia* სახმელეთო და საზღვაო საზღვრების, ტერიტორიული სუვერენიტეტის, ძალის გამოყენების, სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის, მოქალაქეობის უცხოური საკუთრების მითვისებისა და მშვიდობიანი გავლის უფლების შესახებ.

ეს სურათი სრულიად სხვაგვარი იქნება, თუ სასამართლო შეძლებს ფიზიკური პირებისა და კომპანიების სარჩელების განხილვას, ან თუ ეროვნულ სასამართლო შეძლებს სასამართლოსათვის მიმართვას საერთაშორისო სამართლის საკითხებზე წინასწარი დასკვნის გამოტანის შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებს ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 177-მუხლი. ამ მუხლის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებზე უფლება აქვთ, მიმართონ ევროპის სასამართლოს (European Court of Justice):

გერმანულ და იტალიურ პროცედურაზე აგებული პროცესის ასეთი ფორმა ფრანგულად ცნობილია, როგორც *renvoi prejudiciel* – მიმართვა სასამართლოსადმი გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომელიც უფრო დაწვრილებით აღწერს, თუ რას შეეხება იგი. მიზანი ისაა, რომ ეროვნულმა სასამართლომ, რომლის წინაშეც დგას გაერთიანების სამართალთან დაკავშირებული პრობლემა, მიიღოს ავტორიტეტული მოსაზრება ევროპის სასამართლოსაგან. ეროვნულ სასამართლოს ან ტრიბუნალს, რომელსაც პროცესის მიმდინარეობისას გაერთიანების სამართლის ინ

ტერაპრეტაცია ან გაერთიანების ინსტიტუტის ქმედების კანონიერების დადგენა დასჭირდება, შეუძლია პროცესის შეჩერება და საქმის [ევროპის] სასამართლოსათვის გადაცემა. სასამართლოს გადაწყვეტილება უკან ბრუნდება და სავალდებულოა ეროვნული სასამართლოსათვის საქმის გადაწყვეტისას.¹⁴⁶

ცივი ომის დამთავრების შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა.¹⁴⁷ 1995 წ. მარტში საერთაშორისო სასამართლოს განსახილველად ჰქონდა თერთმეტი საქმე.¹⁴⁸ ამის გამო წამოიჭრა საკითხი, თუ რამდენად საჭიროა თათბირის პროცედურა; ამასთან, დღის წესრიგში დადგა ახალი პრობლემა: მოსამართლეებს არ ჰყავთ იურისტი მდივნები.¹⁴⁹

საერთაშორისო სასამართლოს ეფექტურობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ პერსპექტივები და ღირებულებათა შეფასება.¹⁵⁰ სასამართლოს ორმოცდაათი წლისთავი აღინიშნა 1996 წ. 18 აპრილს ჰააგაში, სადაც უამრავი სიტყვა წარმოითქვა დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით.¹⁵¹ ავტორები ხშირად აკრიტიკებენ სასამართლოს იმიტომ, რომ სახელმწიფოები მას პატივს არ სცემენ და ხშირად საქმე სასამართლოში არ განიხილება მოპასუხე მხარის უარის გამო¹⁵², ამასთან სასამართლოს გადაწყვეტილება ზოგჯერ სრულიად იგნორირებულია.¹⁵³ მოსამართლეები უარყოფენ ასეთ მიდგომას და უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი სახელმწიფოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების საყოველთაო შესრულების მიმართ.¹⁵⁴ ნებისმიერ შემთხვევაში უკანასკნელი ხნის ცვლილებები აშკარად დამაიმედებელია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოში შესული საქმეების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამასთან საქმის მონაწილე მხარეები მსოფლიოს ნებისმიერი ნაწილიდან არიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია განვითარებადი სახელმწიფოების აქტიურობა, რომლებიც ყოველთვის აკრიტიკებდნენ სასამართლოს დასავლური ორიენტაციისა და არაობიექტურობის გამო.

ღარიბი და პატარა სახელმწიფოები თავს იკავებდნენ სასამართლოსათვის მიმართვისაგან უფულობის გამო. სასამართლოში არ არის გადასახდელი რაიმე გადასახადი, რადგან ადმინისტრაციული ხარჯები გაეროს ბიუჯეტიდან იფარება. მაგრამ დიდი ხარჯებია საჭირო იურიდიული კონსულტაციებისათვის, ექსპერტებისათვის, სამდივნოს დახმარებისათვის, ტერიტორიული დავების დროს კი – საზღვრების დემარკაციისათვის. სასამართლოს მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით 1989 წ. გენერალურმა მდივანმა შექმნა გაეროს სამეურვეო ფონდი საერთაშორისო სასამართლოში სახელმწიფოების დასახმარებლად დავების გადაწყვეტაში (UN Trust Fund to Assist States in the Settlement of Disputes through the International Court of Justice).¹⁵⁵ ფონდი ნებაყოფლობით შეწირულობებზეა დაფუძნებული, რაც მისი სისუსტის დამადასტურებელია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოები გაეროს სავალდებულო გადასახადებსაც კი უხალისოდ იხდიან.¹⁵⁶ თუმცა ფონდი გამოიყენეს საზღვრის დასადგენად ბურკინა ფასოსა და მალის შორის სასაზღვრო დავის გადაწყვეტისას.

სასამართლოს გამოყენების გზები არ არის საკმარისი კრიტერიუმი იმის შესაფასებლად, თუ რა როლი აკისრია სასამართლოს რეალურად. პირველ რიგში, სახელმწიფოთაშორისი დავების გადაწყვეტის უამრავი საშუალება არსებობს. ყველა სახელმწიფოთაშორისი დავის განხილვა საერთაშორისო სასამართლოში არ არის მოსახერხებელი (თუმცა პრაქტიკაში ძნელია „პოლიტიკური“ და „სამართლებრივი“ დავების ერთმანეთისაგან განსხვავება; სასამართლოს გასჯალობას კი, როგორც წესი, სამართლებრივი ხასიათის დავებს მიაკუთვნებენ). საერთაშორისო ურთიერთობებში ზოგჯერ შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, უმჯობესია, დავა საერთოდ არ გადაწყდეს, ყოველ შემთხვევაში, რაღაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც. როდესაც სახელმწიფო ხედავს, რომ დავა მის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესს ეხება, მაშინ მას ურჩევნია, საქმე საერ-

¹⁴⁶ D.A.O. Edward/R.C. Lane, *European Community Law: An Introduction*, 2nd edn 1995, 40-1. იხ. აგრეთვე, E. Benvenisti, *Judicial Misgivings Regarding the Application of International Law: An Analysis of Attitudes of National Courts*.

¹⁴⁷ H. Keith, *The Peace Palace Heats Up: The World Court in Business Again?*, *AJIL*, 85 (1991), 646-54.

¹⁴⁸ 1996 წლის აპრილისთვის დაუმთავრებული იყო რვა საქმე: *Maritime Delimitation and Territorial Questions (Qatar v. Bahrain)*; *Questions of Interpretation and Application of the 1971 Montreal Convention arising from the Aerial Incident at Lockerbie (Libya v. United Kingdom)* and *(Libya v. USA)*; *Oil Platforms (Iran v. USA)*; *Application of the Genocide Convention (Bosnia and Herzegovina v. Yugoslavia [Serbia and Montenegro])*; *Gabtikovo-Hagyarnos Project (Hungary v. Slovakia)*; *Land and Maritime Boundary between Cameroon and Nigeria (Cameroon v. Nigeria)*; and *Fisheries Jurisdiction (Spain v. Canada)*; იხ. აგრეთვე, *ICJ Communiqué No. 96/19 of 30 May 1996*.

¹⁴⁹ The critical report of the Study Group established by the British Institute of International and Comparative Law (D.W. Bowett, J. Crawford, I. Sinclair, A.D. Watts), *The International Court of Justice. Efficiency of Procedures and Working Methods*, Supplement *ICLQ* 45 (1996).

¹⁵⁰ იხ. R. Falk, *Reviving the World Court*, 1986; S. Rosenne, *The Role of the ICJ in Inter-State Relations Today*, *RBDJ* 20 (1987), 275-89; L.F. Damrosch (ed.), *The International Court of Justice at A Crossroads*, 1987; E. McWhinney, *The International Court of Justice and the Western Tradition of International Law*, 1987; J.P. Kelly, *The ICJ: Crisis and Reformation*, *Yale JIL*, 12 (1987), 342-74; A. Bloed/Rv. Dijk (eds), *Forty Years International Court of Justice: Jurisdiction, Equity and Equality*, 1988; J.P. Kelly, *The Changing Process of International Law and the Role of the World Court*, *Mich. JIL*, 11 (1989), 128-66; E. McWhinney, *Judicial Settlement of International Disputes. Jurisdiction, Justiciability and Judicial Law-Making in the Contemporary International Court*, 1991; E. Valencia-Ospina, *The Role of the International*

Court of Justice in Fifty Years of the United Nations, *Hague YIL* 8 (1995), 3-10; L. Condorelli, *La Cour Internationale de Justice: 50 ans et (pour l'heure) pas une ride*, *EJIL* 6 (1995).

¹⁵¹ ICJ Communiqué No. 96/15 of 19 April 1996.

¹⁵² H. Thirlway, *Non-Appeal Before the International Court of Justice*, 1985; J.B. Elkind, *Non-Appeal Before the International Court of Justice: Functional and Comparative Analysis*, 1986; J.B. Elkind, *The Duty to Appear before the International Court of Justice*, *ICLQ* 37(1988), 674; S.A. Alexandras, *Non-Appeal before the ICJ*, *Colum. JTL* 33 (1995), 41-72.

¹⁵³ Jennings, *op. cit.*, 494.

¹⁵⁴ Jennings, *ibid.*; N. Singh, *The Role and Record of the International Court of Justice*, 1989; S. Oda, *The ICJ - Retrospective and Prospects*, *AsYIL* 3 (1993), 3-13; Oda, *The International Court of Justice Viewed from the Bench (1976-1993)*, RDC 244 (1993-VII), 13-190; M. Shahabuddeen, *The ICJ: The Integrity of an Idea*, *CLB* 19 (1993), 738-53; St. M. Schwebel, *The Performance and Prospects of the World Court*, *Pacific* 6 (1994), 253-65; C.G. Weeramantry, *The World Court: Its Conception, Constitution and Contribution*, *Mont. LR* 20 (1994), 181-94; G. Guillaume, *The Future of International Judicial Institutions*, *ICLQ* 44 (1995), 848-62.

¹⁵⁵ UN Doc. A/44/PV.43, at 7-11 (1989). *ob. P. Bekker*, *International Legal Aid in Practice: The ICJ Trust Fund*, *AJIL* 87 (1993), 659-68; *The terms of reference, guidelines and rules of the Trust Fund ILM* 28 (1989), 1590.

¹⁵⁶ *ob. st.* 21.

¹⁵⁷ I. Hussain, *Dissenting and Separate Opinions at the World Court*, 1984; L.V. Prott, *Role, Consensus and Opinion Analysis at the International Court of Justice*, (1983), 75-105; F. Jhabvala, *The Scope of Individual Opinions in the World Court*, (1985), 249-77.

¹⁵⁸ K. Wellens, *Economic Conflicts and Disputes Before the World Court (1922-1995)*, *Studies and Materials on the Settlement of International Disputes*, Vol. 2 (P. Malanczuked.), 1996.

¹⁵⁹ T.M. Franck, *The "Powers of Appreciation": Who Is the Ultimate Guardian of UN Legality?*, *AJIL* 86(1992), 519-23; E. McWhinney, *The International Court as a Constitutional Court and the Blurring of the Arbitral/Judicial Processes*, *LJIL* 6 (1993),

თოდ არ გადასცეს სასამართლოს განსახილველად; პრაქტიკაში ეს სწორედ ასეც ხდება.

მეორე რიგში, სასამართლოს ავტორიტეტი სამართლის მხოლოდ იმ ვინრო სფეროში აქვს, რომელშიც მან უკვე გამოიჩინა გადაწყვეტილება. აქვე უნდა აღინიშნოს მოსამართლეთა „განსხვავებული აზრი“, რომელიც თან ერთვის სასამართლოს გადაწყვეტილებას, აუფასურებს სასამართლოს ავტორიტეტს საზოგადოების თვალში.¹⁵⁷ თუმცა მოსამართლის განსხვავებული აზრი, როგორც წესი, უფრო ნათლადაა ფორმულირებული, ვიდრე სასამართლოს მთლიანი შემადგენლობის კომპრომისული გადაწყვეტილება და შეიძლება საფუძვლად დაედოს სამართლის განვითარებას ან სხვა გადაწყვეტილებას, როდესაც სასამართლოს შემადგენლობა განსხვავებულია. თუ რამდენად შეუძლია სასამართლოს განიხილოს საქმეები, რომლებიც სამართლის ახალ დარგებს შეეხება, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. არსებობდა მოსაზრება, რომ სასამართლო ვერ შეძლებდა ეკონომიკური ხასიათის დავების განხილვას, თუმცა ასეთი შეხედულების უსაფუძვლობა დამტკიცდა კარელ ვალენის ნაშრომით.¹⁵⁸

ლიბიის სარჩელმა აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *ლოკერბის საქმეზე* (Lockerbie Incident case) და ბოსნია-ჰერცეგოვინის სარჩელმა იუგოსლავიის (სერბია და მონტენეგრო) წინააღმდეგ წამოჭრეს საკითხი, შეუძლია თუ არა სასამართლოს გაეროს უშიშროების საბჭოს ქმედების განხილვა, რომელიც განხორციელებულია გაეროს წესდების VI თავის შესაბამისად.¹⁵⁹ *ლოკერბის საქმეზე* ლიბიის მიერ წარდგენილი დავა შეეხებოდა სისხლის სამართლის იურისდიქციის შესახებ მრავალმხრივი კონვენციის ინტერპრეტაციას და სახელმწიფოთა უფლებას, უარი თქვან საკუთარი მოქალაქეების გადაცემის ღონისძიებებზე, რომლებიც განახორციელა გაეროს უშიშროების საბჭომ ლიბიის წინააღმდეგ აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს მტკიცების გამო, რომ ლიბია ჩართული იყო ტერორისტულ საქმიანობაში, კერძოდ კი „პანამ-103“ რეისის დაბომბვაში.¹⁶⁰ ბოსნია-ჰერცეგოვინის მიერ შეტანილი სარჩელი მიზნად ისახავდა, სასამართლოს განეხილა ბოსნიაზე დაკისრებული იარაღის სავალდებულო ემბარგოს კანონიერება. ბოსნია-ჰერცეგოვინა პირველი განცხადებით ითხოვდა დროებითი ღონისძიებების გატარებას იუგოსლავიის შეირაღებული ძალების მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის მოსახლეობის წინააღმდეგ საშინელი ქმედებების ჩადენის აღსაკვეთად. სარჩელი შეტანილი იყო გენოციდის კონვენციის IX მუხლის შესაბამისად, რომლის მონაწილეც იყო დავის ორივე მხარე. 1993 წლის 8 აპრილს სასამართლომ გამოსცა ბრძანება დროებითი ღონისძიებების შესახებ (Order on Provisional Measures), ხოლო 1993 წ. 16 აპრილს – ახალი ბრძანება.¹⁶¹ 1993 წ. 23 ივლისის ბოსნია-ჰერცეგოვინის მეორე სარჩელი შეეხებოდა 1949 წ. ჟენევის ნითელი ჯვრის კონვენციებს, 1907 წ. ჰააგის წესებსა და ნიურნბერგის დოკუმენტებს.¹⁶² მაგრამ, რადგან აღნიშნული დოკუმენტები არ შეიცავს დებულებებს იურისდიქციის შესახებ, სასამართლომ არ მიიღო საქმე განსახილველად და მხოლოდ კიდევ ერთხელ განამტკიცა თავისი წინა ბრძანება (Order).¹⁶³ გაეროს წესდების ისტორიიდან აშკარა ხდება, რომ სასამართლო იმ მიზნით არ შექმნილა, რომ ის კონსტიტუციური სასამართლო ყოფილიყო და უშიშროების საბჭოს პოლიტიკური გადაწყვეტილებები განეხილა; გაბატონებული შეხედულების თანახმად, გაეროს ყველა ორგანოს აქვს ავტონომია, რომელიც წესდების შესაბამისად წყვეტს თავისი კომპეტენციის ჩარჩოს საკითხს.¹⁶⁴ თუმცა ასეთი მიდგომა შეიძლება შეიცვალოს. ამასთან დაკავშირებით ორი შემთხვევა უნდა აღინიშნოს. პირველი შეეხება უშიშროების საბჭოს მიერ თავისი ფართო უფლებების განხორციელების სამართლებრივ ჩარჩოებს. მეორე საკითხია, არსებობს თუ არა სასამართლოს მიერ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების განხილვის უფლება, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას მიიჩნევენ *ultra vires*. *ლოკერბის საქმე* და ბოსნია-ჰერცეგოვინის სარჩელმა შეიძლება ნათელი მოჰფი-

ნოს ამ საკითხს. თუ მხედველობაში მივიღებთ უშიშროების საბჭოს გააქტიურებას ბოლო პერიოდში,¹⁶⁵ საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებში შედის, რომ საერთაშორისო სასამართლომ რაიმე ფორმით აკონტროლოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების კანონიერება, რათა უშიშროების საბჭომ პატივი მიაგოს საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებულ შეზღუდვებს.¹⁶⁶ აღნიშნული საკითხი მეტად რთულია გაეროს არსებული სტრუქტურის გათვალისწინებით და უმჯობესი იქნება მისი უფრო ღრმად განხილვა, რაც ამ წიგნის მიზნებს სცილდება.

არბიტრაჟი

წინამდებარე თავი შეხება არბიტრაჟს მხოლოდ სახელმწიფოებს შორის და არ განიხილავს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟებს კერძო პირებს შორის,¹⁶⁷ მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის დავების გადანყვეტის მეთოდების არევა საერთაშორისო დონეზე.¹⁶⁸ არბიტრაჟი უფრო მოქნილია, ვიდრე სასამართლო განხილვა, და მხარეებს აძლევს მეტ საშუალებას, აირჩიონ ტრიბუნალის სხდომების ჩატარების ადგილი, აირჩიონ და დანიშნონ არბიტრები, განსაზღვრონ გამოსაყენებელი პროცედურა და არბიტრების უფლებები და უფლებამოსილება (ე.წ. კომპრომისი).¹⁶⁹ კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ არბიტრაჟი შეიძლება კონფიდენციალურად ჩატარდეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არბიტრაჟსა და სასამართლოს შორის განსხვავებანი საერთაშორისო დონეზე შესუსტდა, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სასამართლოში პალატის პროცედურების შემოღების შემდეგ.¹⁷⁰

არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულებები ხშირად ითვალისწინებს, რომ ორივე მხარეს აქვს არბიტრის დანიშვნის უფლება.¹⁷¹ ასე დანიშნული ორი არბიტრი მესამე არბიტრის (ან umpire-ს) დანიშვნაზე შეთანხმდება; შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი სამი (ან მეტი) არბიტრისაგან შედგება, რომელიც გადაწყვეტილებას უმრავლესობით იღებს. რა თქმა უნდა, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, საქმე მხოლოდ ერთ არბიტრს გადასცენ, რომელიც, როგორც წესი, სხვა სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურია (ასეთი პრაქტიკა ამჟამად იშვიათად ხორციელდება). მე-19 საუკუნეში, სახელმწიფოების მიერ არჩეული არბიტრები თავს ამომრჩეველი სახელმწიფოს წარმომადგენლად მიიჩნევდნენ და არა მართლმსაჯულების მიუკერძოებელ მსახურად. ასეთი მიდგომა სულ უფრო იშვიათად გვხვდება (და, სავარაუდოდ, გაუქმდება).

სახელმწიფოები არბიტრებს დავების გადასაწყვეტად ძალიან დიდი პერიოდის განმავლობაში იყენებდნენ და თუ ამ საშუალებით გადაჭრილი საქმეების რიცხვს გავითვალისწინებთ, მაშინ აღმოვაჩინოთ, რომ არბიტრაჟი სახელმწიფოთაშორისი დავების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.¹⁷² სახელმწიფოთაშორისი არბიტრაჟის სათავეა 1794 წ. ჯაის ხელშეკრულება აშშ-სა და ბრიტანეთს შორის¹⁷³, რომლის შესაბამისადაც 1799-1804 წწ. არბიტრაჟის 536 გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. 1795-1914 წწ. 200-ზე მეტი საერთაშორისო ტრიბუნალი შეიქმნა, რომლებშიც ძირითადად აშშ ან ბრიტანეთი მონაწილეობდა.¹⁷⁴ ამის შემდეგ საერთაშორისო საჯარო არბიტრაჟის შექმნის რიცხვი მცირდება.

მუდმივმოქმედმა საარბიტრაჟო სასამართლომ (PCA – მსს), რომელიც საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ ჰააგის 1899 წ. კონვენციის თანახმად შეიქმნა¹⁷⁵, მხოლოდ ოცი არბიტრაჟი ჩაატარა 1900-1932 წწ; ამის შემდეგ იგი დაჩრდილა საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ (სმმს) და საერთაშორისო სასამართლომ (ICJ) და მან მხოლოდ რამდენიმე საქმე თუ განიხილა. ამ „სასამართლოს“ სახელმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. კონვენციის ყველა წევრ-სახელმწიფოს¹⁷⁶ შეუძლია დაასახელოს არბიტრთა კოლეგიაში ოთხი კანდიდატურა, ხოლო მოდავე სახელმ-

279-7; G.R. Watson. Constitutionalism, Judicial Review, and the World Court, *Harvard ILJ* 34 (1993), 1-45; E. McWhinney, The Inaugural Manfred Lachs Memorial Lecture - Manfred Lachs and the International Court of Justice as Emerging Constitutional Court of the United Nations, *IJIL* 8 (1995), 41-52; M. Bedjaoui, *The New World Order and the Security Council - Testing the Legality of Its Acts*, 1995; T.D. Gill, Some Legal and Political Limitations on the Power of the UN Security Council to Exercise Its Enforcement Powers under Chapter VII of the Charter, *NYIL* 26 (1995), 33-138; K. Roberts, Second-Guessing the Security Council: The International Court of Justice and Its Powers of Judicial Review, *Pace ILR* 7 (1995), 281-327; J.G. Gardam, Legal Restraints on Security Council Military Enforcement Action, *Mich. JIL* 17 (1996), 285-322; M. Koskenmaki, The Place of Law in Collective Security, *ibid.* 455-90; J.E. Alvarez, Judging the Security Council, *AJIL* 90 (1996), 1-39.

¹⁶⁰ *Libya v. US* (Lockerbie), *ICJ Rep.* 1992, 114 (Provisional Measures) and 234 (Order); *Libya v. UK* (Lockerbie), *ibid.*, 3 (Provisional Measures) and 231 (Order). On the background see F. Beveridge, *The Lockerbie Affair*, *ICLQ* 41 (1992), 907 *et seq.*; V. Gowlland-Debbas, *The Relationship between the International Court of Justice and the Security Council in the Light of the Lockerbie Case*, *AJIL* 88 (1994), 643-77.

¹⁶¹ *ICJ Rep.* 1993, 3 and 29.

¹⁶² *ib.*, 20.

¹⁶³ *ICJ Rep.* 1993, 325, at 341, para. 33. *ib.* R. Maison, *Les Ordonnances de la CIJ dans l'affaire relative à l'application de la Convention sur la prevention et la repression du crime de genocide*, *EJIL* 5 (1994), 423-39.

¹⁶⁴ *ib.* Gill (1995), *op. cit.*, 116 *et seq.*; M. Herdegen, *The "Constitutionalization" of the UN Security System*, *Vand. JIL* 27 (1994), 135-59.

¹⁶⁵ *ib.*, 22.

¹⁶⁶ K. Skubiszewski, *The International Court of Justice and the Security Council*, in *Low/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 606-29, 623-9.

¹⁶⁷ A. Redfern/M. Hunter, *Law and Practice of International Commercial Arbitration*, 2nd edn 1991; K.I. Vibute, *Settlement of*

International Trade Disputes through Litigation and Arbitration: A Comparative Evaluation, 160 *Arbitrations* (1994), 125; W.L. Craig, *Some Trends and Developments in the Laws and Practice of International Commercial Arbitration, Texas* (1995), 1; M. Hunter/A. Marriott/V.V. Veeder (eds), *The Internationalisation of Commercial Arbitration. The LCIA Centenary*, 1995; Buh-ring-Uhle, *Arbitration and Mediation in International Business*, 1996.

¹⁶⁶ იხ. J. Paulsson, *Cross-Enrichment of Public and Private Law Dispute Resolution Mechanisms in the International Arena*, *JIArb.* 9 (1992), 57-68; Malanczuk, "Alternative Dispute Resolution", *op. cit.*

¹⁶⁷ იხ. ზემოთ.

¹⁶⁸ იხ. ზემოთ და G. Abi-Saab, *The International Court as a World Court*, in *Lowe/Fitzmaurice* (eds), *op. cit.*, 3-16.

¹⁶⁹ *v. Mangoldt, op. cit.*, 230-6.

¹⁷⁰ Oellers-Frahm (1995), *Arbitration. op. cit.*, 457 *et seq.* იხ. აგრეთვე, N. Wühlker, *Mixed Arbitral Tribunals*, *BPIL* 1 (1981), 142-6; S. Schwebel, *International Arbitration: Three Salient Problems*, 1987, 394-6; V. Coussirat-Coustere/P.M. Eisemann, *Reperory of International Arbitral Jurisprudence*, 3 vols. 1989-1990; A.H. Soons (ed.), *International Arbitration. Past and Prospects*, 1990; A.M. Stuyt, *Survey of International Arbitration 1794-1989*, 1990; H.-J. Schlochauer, *Arbitration*, *EPIL* 1 (1992), 215-30; Gray/B. Kingsbury, *Developments in Dispute Settlement: Inter-State Arbitration Since 1945*, *BYIL* 63 (1992), 97; A.B. Boezek, *Historical Dictionary of International Tribunals*, 1994; R.B. Lillich/C.N. Brower (eds), *International Arbitration in the 21st Century: Towards "Judicialization" and Uniformity?*, 1994.

¹⁷¹ იხ. თ. 2.

¹⁷² Janis (1993), *op. cit.*, 111.

¹⁷³ H.-J. Schlochauer, *Permanent Court of Arbitration*, (1981), 157-63. იხ. თ. 2.

¹⁷⁴ იხ. ზემოთ.

¹⁷⁵ იხ. ზემოთ.

¹⁷⁶ იხ. თ. 13.

¹⁷⁷ იხ. PCA Optional Rules for Arbitrating Disputes Between Two States. *IB/doc/93/1. JLM* 32 (1993), 572; PCA Optional Rules for Arbitrating Disputes Between Two Parties of which Only One is a State, *IB/doc/94/1*, იხ. P.J.H. Jonkman, Introduction by the Secretary-General of the Permanent Court of Arbitration, *LJIL* 6 (1993), 199-201; J.L.

ნიფო ტრადიციული მეთოდით ირჩევს არბიტრს აღნიშნული კოლეგიიდან. ამიტომ 1899 წ. კონვენციას არ შეუქმნია სასამართლო; მან მოამზადა მექანიზმი საარბიტრაჟო ტრიბუნალების შესაქმნელად. „სასამართლოს“ შემადგენლობა იმდენად განსხვავდება ყოველი ახალი საქმის განხილვისას, რომ ძნელია მან თანამიმდევრული პრეცედენტული სამართალი შექმნას.

მსს-ს საქმიანობა უკანასკნელ პერიოდში შემოიფარგლებოდა სხვა საარბიტრაჟო ორგანოების შექმნის ხელშეწყობით, რასაც ახორციელებს მსს-ს ბიურო, მაგ., ირან-აშშ-ის პრეტენზიების ტრიბუნალი ჰააგაში¹⁷⁷ და აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოს არბიტრაჟი ჰიტროუს აეროპორტში აეროპორტის გადასახადების გამო.¹⁷⁸ მსს-მ განიცადა რეფორმები, რათა მოერგოთ იგი თანამედროვე პირობებისათვის, როდესაც არსებობს სახელმწიფოთაშორისი და კომერციული დავების გადაწყვეტის რთული საერთაშორისო სისტემა. მიღებული იქნა მსს-ს „ფაკულტატიური“ საპროცედურო წესები, რომელთა თანახმად, არანეერ სახელმწიფოს შეუძლია არბიტრაჟში ჩართვა ნეერ სახელმწიფოების თანხმობის შემთხვევაში. მომავალში იგეგმება ახალი საპროცედურო წესების მიღება საერთაშორისო დავების შესახებ, რომელშიც ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაციები. 1994 წ. მსს-ს ადმინისტრაციულმა საბჭომ დააარსა ფინანსური დახმარების ფონდი და საზედამხედველო კომიტეტი, რომელთაც უნდა შეიმუშაონ რეკომენდაციები 1899 წ. და 1907 წ. კონვენციების გადახედვის შესახებ.¹⁷⁹

მსს-ს მიერ განხილული საქმეების გარდა (მან 1899 წლის შემდეგ სულ 22 საქმე განიხილ, ხოლო 1945 წლის შემდეგ – 2 საქმე), 1900-1945 წწ. არბიტრაჟი-მა სულ 178 საქმე განიხილა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა (1945-1990 წწ. განხილულ იქნა მხოლოდ ორმოცდასამი საქმე),¹⁸⁰ მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ნევრი სახელმწიფოების რიცხვი 51-დან 185-მდე გაიზარდა.

მეორე მხრივ, საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სულ უფრო ხშირად ითვალისწინებს არბიტრაჟს დავების გადაწყვეტის ძირითად საშუალებად.¹⁸¹ გაეროს ეგიდით შემუშავებული საკოდიფიკაციო ხელშეკრულებების პროექტებიც კი უმეტესად არბიტრაჟის შესახებ დებულებებს შეიცავენ, თუმცა აქამდე არსებული პრაქტიკის თანახმად, ასეთი ხელშეკრულებები, როგორც წესი, დავების გადაწყვეტის ძირითად საშუალებად საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) მიიჩნევენ. ახალი ტენდენციის მიზეზი შემდეგში უნდა ვეძიოთ: სასამართლოში საქმის აღძვრას ხელს უშლიდა სხვადასხვა გარემოებები, როგორცაა, სახელმწიფოების დათქმები სასამართლოს იურისდიქციის აღიარებისას.¹⁸² სახელმწიფოებს არ სურთ, აღიარონ მუდმივმოქმედ სასამართლოში სავალდებულო განხილვა დავების გადაწყვეტის საშუალებად, რადგან ასეთ პროცედურას სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვად აღიქვამენ. არბიტრაჟის ამკარა უპირატესობაა, რომ მესამე მხარის სავალდებულო გადაწყვეტილება მიიღწევა პირობებში, როდესაც მოდავე მხარეები მაქსიმალურ კონტროლს ინარჩუნებენ პროცედურების მიმდინარეობაზე. თუმცა პრაქტიკასა და თეორიას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ჰანს ფონ მანგოლდტი მიიჩნევს, რომ:

ძნელია ავხსნათ განსხვავება ხელშეკრულებებში შემუშავებულ არბიტრაჟის სისტემებსა და მათ პრაქტიკულ შედეგებს შორის. სავარაუდოდ, რამდენიმე მიზეზი არსებობს: (ა) რაც ნაკლებია იმის ალბათობა, რომ წარმოიშვას დავა ორ სახელმწიფოს შორის, მით უფრო მეტად მომზადებულნი არიან ისინი არბიტრაჟში ჩასართველად; თუ კონფლიქტი უკვე არსებობს, არბიტრაჟის შესახებ დებულებებს არ ჩართავენ ხელშეკრულებაში; (ბ) სახელმწიფოები ხშირად პატივს მიაგებენ მეორე მხარის სურვილს, რომ მნიშვნელოვანი დავა არ გადასცენ არბიტრაჟს; (გ) ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოებს ურჩევნიათ, დავა მოლაპარაკებებით გადაწყვიტონ

მაშინ, როდესაც შესაძლებელია, რომ რომელიმე მხარემ ერთპიროვნულად გადასცეს საქმე განსახილველად არბიტრაჟს; (დ) პოლიტიკურად მნიშვნელოვან დავებს არ გადასცემენ არბიტრაჟს მათი პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, ხოლო პოლიტიკურად უმნიშვნელო დავებს არ გადასცემენ არბიტრაჟს იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი მეტისმეტად უმნიშვნელონი არიან ან მათი შეიძლება არბიტრების ჩარევის გარეშე გადანყვეტა.¹⁸³

კ.-ჰ. ბოკსტიეგელი (K.-H. Bockstiegel) აღნიშნულ საკითხზე შემდეგი მოსაზრებისაა:

მთავრობათშორისი არბიტრაჟის მიერ დავების გადანყვეტას დიდი ისტორია აქვს და თავისი ისტორიის მანძილზე ის ბევრჯერ შეიცვალა. სახელმწიფოები თავს იკავებდნენ, დაქვემდებარებოდნენ მესამე მხარის მიერ სავალდებულო დავების გადანყვეტის პროცედურას. უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფოები უპირატესობას არბიტრაჟს ანიჭებენ სასამართლოსთან შედარებით, მით უმეტეს, რომ მხარეებს გავლენა აქვთ არბიტრების არჩევაზე და არბიტრაჟის პროცედურების განსაზღვრავთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თუ არსებულ ტენდენციებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ორმხრივი არბიტრაჟი უფრო ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროშია მისაღები, სადაც თანამშრომლობა ყველა მონაწილე სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, თუ დავები გადაუნყვეტელი კი არ დარჩება, არამედ თავის დროზე იქნება გამოტანილი საბოლოო გადანყვეტილება.¹⁸⁴

Bleich. A New Direction for the PCA: The Work of the Expert Group. *ibid.*, 215-40, P. P. Sanders, Private Parties and the Permanent Court of Arbitration. *ibid.*, 289-96; Jonkmann, The Role of the Secretary-General of the Permanent Court of Arbitration Under the UNCITRAL Rules, *LJIL* 8 (1995), 185-92; B.E. Shifman, The Permanent Court of Arbitration: Recent Developments, *LJIL* 8 (1995), 193, and *ibid.*, 433-8. იხ. აგრეთვე, PCA: List of Current Proceedings, *LJIL* 9 (1996).¹⁸⁰ Janis (1993). *op. cit.*, 117.
¹⁸¹ L.B. Sohn, The Role of Arbitration in Recent International and Multilateral Treaties, *Virginia JIL* 23 (1982/3), 171 *et seq.* and 172, n. 1; P. Peters, Dispute Settlement Arrangements in Investment Treaties, *NYIL* 22 (1991), 91-162. იხ. აგრეთვე, თ. 15.
¹⁸² იხ. ზემოთ.
¹⁸³ v. Mangoldt, *op. cit.* at 233.
¹⁸⁴ K.-H. Bockstiegel, Dispute Settlement by Intergovernmental Arbitration, in E.-U. Petersmann/G. Jaenicke (eds), *Adjudication of International Trade Disputes in International and National Economic Law*, 1992, 59, at 74.
¹⁸⁵ იხ. S. Toope, *Mixed International Arbitration*, 1990.
¹⁸⁶ იხ. თ. 3.
¹⁸⁷ ICSID Convention, 575 UNITS 159. იხ. A.S. El-Koshery, ICSID Arbitration and Developing Countries, *ICSID Rev.* 8 (1993), 104-15; M. Hirsch, *The Arbitration Mechanism of the International Centre for the Settlement of Investment Disputes*, 1993; C.F. Amerasinghe, *Investment Disputes. Convention and International Centre for the Settlement of*, *EPIL* II (1995), 1447-51. იხ. აგრეთვე, თ. 15.
¹⁸⁸ იხ. თ. 15.

საინვესტიციო დავების გადანყვეტის საერთაშორისო ცენტრი (სდგსც – ICSID)

არბიტრაჟში შეიძლება ჩართული იყოს სახელმწიფო და უცხო ქვეყნის ფიზიკური პირი ან კომპანია, რასაც ხშირად შერეულ საერთაშორისო არბიტრაჟს უწოდებენ.¹⁸⁵ აღნიშნული საკითხი წარსულში ხშირად წარმოშობდა პრობლემას ე.წ. „გაინტერნაციონალურებულ კონტრაქტებთან“ დაკავშირებით, რომლებიც შეიცავდა „მომწესრიგებელ დებულებას“, რათა დაეცვა უცხოელი ინვესტორი მიმღები სახელმწიფოს სამართალში შეტანილი ცვლილებებისაგან.¹⁸⁶ ამ პრობლემის გადანყვეტა 1965 წ. მოხერხდა, როდესაც მსოფლიო ბანკის ეგიდით შეიქმნა საინვესტიციო დავების გადანყვეტის საერთაშორისო ცენტრი (სდგსც) ვაშინგტონში.¹⁸⁷ ბევრი ორმხრივი ხელშეკრულება ინვესტიციების შესახებ ითვალისწინებს დავის არსებობისას ამ ინსტიტუტისათვის მიმართვას.¹⁸⁸

სდგსც-ს ძირითადი მიზანია უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა, განსაკუთრებით განვითარებად სახელმწიფოებში, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის არსებული დავის გადანყვეტის ნეიტრალური საშუალების შეთავაზებით. სდგსც შექმნილია მრავალმხრივი ხელშეკრულებით, რომლის რატიფიცირება 100-ზე მეტმა სახელმწიფომ მოახდინა. ცენტრს შეუძლია, დავა მოაგვაროს ან განიხილოს საარბიტრაჟო წესით და გამოიყენოს გამაუქმებელი კომიტეტი, რომელიც ხელახლა განიხილავს სდგსც-ს გადანყვეტლებებს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ნევრი სახელმწიფოების ეროვნულ სასამართლოებს არ შეუძლიათ აკონტროლონ სდგსც-ს გადანყვეტლებების კანონიერება, მაგრამ სახელმწიფოსაც და კერძო მხარესაც შეუძლია ამ სასამართლოების გამოყენება ცენტრის გადანყვეტლებების აღსასრულებლად. სდგსც-ს სულ რამდენიმე საქმე გადაეცა განსახილველად და აქედან ყველა საქმეზეც არ გამოუტანია გადანყვეტილება.

¹⁸⁹ D.D. Caron. The Nature of the Iran-United States Claims Tribunal and the Evolving Structure of International Law, *AJIL* 84 (1990), 104-56; R. Khan, *The Iran-United States Claims Tribunal*, 1990: Chapter N. Brower. The Iran-United States Claims Tribunal, *RdC* 224(1990-V), 123-396; J.A. Westberg, *International Transactions and Claims Involving Government Parties - Case Law of the Iran-United States Claims Tribunal*, 1991; A. Avanesian. *The Iran-United States Claims Tribunal in Action*, 1993; W. Mapp. *The Iran-United States Claims Tribunal: The First Ten Years 1981-1991*, 1993; G.H. Aldrich, *The Jurisprudence of the Iran-United States Claims Tribunal*, 1996.

¹⁹⁰ *Iran-United States Claims Tribunal Reports* (since 1983).

¹⁹¹ R.B. Lillich (ed.), *The Iran-United States Claims Tribunal 1981-1983*, 1984.

¹⁹² Declaration of the Government of the Democratic and Popular Republic of Algeria (General Declaration); Declaration of the Government of the Democratic and Popular Republic of Algeria concerning the Settlement of Claims by the Government of the United States of America and the Government of the Islamic Republic of Iran (Claims Settlement Declaration); Undertakings of the Government of the United States of America and the Government of the Islamic Republic of Iran with respect to the Declaration of the Government of the Democratic and Popular Republic of Algeria (Undertakings), (1981). 224 *et seq.*

¹⁹³ *ib. id.* 17.

¹⁹⁴ *ib. id.* Executive Order No. 12170 (14 November 1979), *Federal Register* 65729 (1979).

¹⁹⁵ *Case No. B1.*

¹⁹⁶ Para. 7 of the General Declaration.

¹⁹⁷ The Decision of the Full Tribunal in *Islamic Republic of Iran v. United States of America*, DEC 12-A1 - FT (Issue 1).

¹⁹⁸ Claims Settlement Declaration. Article II (1).

¹⁹⁹ Article II (2).

²⁰⁰ General Declaration, para. 16.

²⁰¹ Para. 17.

ირან-შეერთებული შტატების საპრეტენზიო ტრიბუნალი

ირან-შეერთებული შტატების საპრეტენზიო ტრიბუნალი¹⁸⁹, რომელიც ჰააგაში იყო განლაგებული, ძალიან ბევრი საქმე განიხილა (3800 საქმე აღიძრის მის წინაშე, რომელთა საერთო ღირებულება 50 მილიარდი აშშ დოლარი იყო) ტრიბუნალის გადანაცვეტილებები საერთაშორისო საჯარო სამართლისა და საერთაშორისო კომერციული სამართლის საკითხებს მოიცავდა.¹⁹⁰ ტრიბუნალი საერთაშორისო არბიტრაჟის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან ორგანო მიიჩნევენ.¹⁹¹ ტრიბუნალი შეიქმნა ალჟირის დეკლარაციით¹⁹² 1981 წ., როგორც თეირანის მძევლების კრიზისის გადანაცვეტის ნაწილი,¹⁹³ რომელსაც ალჟირის მთავრობა შუამავლობდა: 1981 წ. 19 იანვარს, პრეზიდენტ კარტერის უკანასკნელ სამუშაო დღეს, ირანმა გაათავისუფლა ორმოცდათორმეტი მძევალი, რომლებიც დაკავებული იყვნენ თეირანში, ამერიკის საელჩოში, და აშშ-მ გადარიცხა 8 მილიარდი აშშ დოლარი – ირანის გაყინული ანგარიშები¹⁹⁴ ინგლისის ბანკში ალჟირის ანგარიშზე. ირან-შეერთებული შტატების პრეტენზიების ტრიბუნალი შეიქმნა, რათა განეხილა სარჩელები, რომლებიც ამ სახელმწიფოებს და მათ მოქალაქეებს მეორის მიმართ ჰქონდათ; სარჩელების ღირებულება რამდენიმე ათასი დოლარიდან 12 მილიარდ აშშ დოლარამდე მერყეობდა (საგარეო სამხედრო ვაჭრობის საქმე, ირანი აშშ-ს წინააღმდეგ).¹⁹⁵ ეს საერთაშორისო სარჩელების გადანაცვეტის პროცედურების ისტორიაში უპრეცედენტო მექანიზმი იყო. შეიქმნა სპეციალური „უსაფრთხოების ანგარიში“, რომელზეც ირიცხებოდა 1 მილიარდი აშშ დოლარი, გერმანიის ცენტრალურ ბანკში (ალჟირის სახელზე), რომელიც განსაზღვრული იყო ირანის წინააღმდეგ გამოტანილი ტრიბუნალის გადანაცვეტილებით გათვალისწინებული კომპენსაციების ასანაზღაურებლად, თუმცა ირანს ჰქონდა ვალდებულება, შეეცა ანგარიში, როდესაც იგი 500 მილიონი აშშ დოლარის ქვემოთ ჩავიდოდა.¹⁹⁶ ამ მიზნისათვის ირანი ი საპროცენტო განაკვეთსაც იყენებდა, რომელიც უსაფრთხოების ანგარიშს ემატებოდა.¹⁹⁷

ტრიბუნალის იურისდიქცია მოიცავდა ოთხ საკითხს, რომლებზეც ტრიბუნალს შეეძლო საბოლოო და სავალდებულო გადანაცვეტილების გამოტანა:

1. აშშ-ს მოქალაქეების სარჩელები ირანის წინააღმდეგ, ირანის მოქალაქეების სარჩელები აშშ-ს წინააღმდეგ და შეგებებული სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობს იმავე კონტრაქტიდან, მორიგებიდან და მოვლენიდან, რომელიც წარმოადგენს მოქალაქის სარჩელის საგანს, თუ ასეთი სარჩელები და შეგებებული სარჩელები არ არის გადახდილი ამ შეთანხმების დადების დღისათვის, მიუხედავად იმისა, ამ საკითხს განიხილავს თუ არა რომელიმე სასამართლო; მიუხედავად იმისა, იგი გამომდინარეობს ვალიდან, კონტრაქტიდან (მორიგების ჩათვლით, რომლებიც კრედიტი წერილისა და საბანკო გარანტიების საგანია), ექსპროპრიაციიდან თუ ნებისმიერი ქმედებიდან, რომელიც ზიანს აყენებს საკუთრებას.¹⁹⁸
2. ირანისა და აშშ-ს ოფიციალური სარჩელები ერთმანეთის წინააღმდეგ, რომლებიც გამომდინარეობს მათ შორის საქონლისა და მომსახურების ნასყიდობის შესახებ საკონტრაქტო შეთანხმებებიდან.¹⁹⁹
3. დავა იმის შესახებ, შეასრულა თუ არა აშშ-მ ვალდებულება, დაებრუნებინა ირანის ყოფილი შაჰის, რეზა ფეჰლევის ოჯახის საკუთრება.²⁰⁰
4. ალჟირის შეთანხმებების (Algiers Records) ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა დავები.²⁰¹

ტრიბუნალის იურისდიქცია არ მოიცავდა შემდეგ საკითხებს: თეირანში ამერიკის საელჩოს ხელში ჩაგდებას და ისლამური რევოლუციის დროს სახალხო მოძრაობის შედეგად ამერიკის მოქალაქეებისათვის და მათი ქონებისათვის მიყენებულ ზარალს, რადგანაც ეს არ იყო ირანის მთავრობის მოქმედების შედეგად.

დეგი; აგრეთვე პრეტენზიებს, რომლებიც კონტრაქტებიდან გამომდინარეობდა და მხოლოდ ირანის სასამართლოების იურისდიქციას ითვალისწინებდა.²⁰²

ტრიბუნალს ჰქონდა მოქმედების თავისუფლება მატერიალური სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით:

ტრიბუნალი ყველა საქმეს კანონის საფუძველზე გადაწყვეტს და საერთაშორისო და კომერციული სამართლის იმ პრინციპებსა და წესებს გამოიყენებს, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს, ამასთან, მხედველობაში მიიღებს სავაჭრო, კონტრაქტის დებულებების შესაბამის გამოყენებასა და შეცვლილ გარემოებებს.²⁰³

ტრიბუნალის კონსტიტუცია და პროცედურული წესები ჩამოყალიბებული იყო „ტრიბუნალის წესებში“,²⁰⁴ რომელიც UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესების ადაპტირებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი შეიმუშავა გაერომ 1976 წ., როგორც საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის განხორციელების მოდელი²⁰⁵ და რომელიც პირველად განხორციელდა პრაქტიკაში (თანაც წარმატებით) სწორედ ირან-შეერთებული შტატების პრეტენზიების ტრიბუნალის დროს.²⁰⁶ ტრიბუნალი 9 არბიტრისაგან შედგება – სამი ირანელი, სამი ამერიკელი და სამიც მესამე სახელმწიფოებიდან. ტრიბუნალის პრეზიდენტი მესამე სახელმწიფოების არბიტრებისგან აირჩევა. საქმეების უმეტესობას სამი წევრისაგან შედგენილი პალატები განიხილავენ. პალატის სრული შემადგენლობა (9 არბიტრი) საქმეს მხოლოდ მაშინ განიხილავს, როცა იგი ეხება ორ ქვეყანას შორის დავას, საერთაშორისო სამართალს ან განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს.

ტრიბუნალი განსაკუთრებული გარემოებების გამო შეიქმნა და განიხილავდა მხარეების განსხვავებულ იდეოლოგიურ შეხედულებებს, მათ პოლიტიკურ და სამხედრო კონფრონტაციას, სადავო ეკონომიკურ ინტერესებს, რაც აისახებოდა ტრიბუნალის საქმიანობაზე. ტრიბუნალს მოუხდა მუშაობის შეჩერება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, როდესაც 1984 წ. ორი ირანელი არბიტრი თავს დაესხა შვედ არბიტრს.²⁰⁷ მიუხედავად ირანსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტისა ტრიბუნალის გარეთ, შესაძლებელი გახდა ტრიბუნალისათვის პროფესიული სამუშაო პირობების შექმნა უსაფრთხოების წესების დაცვითა და 100 ადამიანზე მეტი პერსონალის მხარდაჭერით, რის შედეგიც იყო ძალიან ბევრი გადაწყვეტილების მიღება. 1987 წ. შემოდგომაზეც კი, როდესაც აშშ და ირანი შეიარღვრებულ კონფლიქტში იმყოფებოდნენ ირან-ერაყის ომის დროს,²⁰⁸ მშვიდობის სასახლეში ტრიბუნალი სხდომას ატარებდა და მორიგ სარჩელებს ისმენდა, რაც ეხებოდა ირანის სარჩელს აშშ-ს მიერ იარაღის ჩატანის მხარდაჭერის თაობაზე. ამ მოსმენებში მონაწილეობდნენ გენერლები და ოფიცერთა უფროსი შემადგენლობის წარმომადგენლები ორივე სახელმწიფოდან; ამასთან, ეს პროცესი ტრიბუნალის ძალისხმევით მშვიდად ჩატარდა.²⁰⁹

ტრიბუნალის სამუშაო დასასრულს უახლოვდება. მხოლოდ რამდენიმე საქმელა დარჩა განსახილველი და ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი სხვა მოვალეობის შესასრულებლად გაეროს კომპენსაციის კომისიაში გადავიდა, რომელიც ერაყის წინააღმდეგ სარჩელებს განიხილავს ყენევაში. ეს ორგანო არც არბიტრაჟია და არც სასამართლო. იგი შეიქმნა ქუვეითზე ერაყის თავდასხმის შემდეგ.²¹⁰ ტრიბუნალის წარმატება აშკარად ჩანს მრავალი კარგად დამთავრებული საქმიდან, რომელთა უმრავლესობა აშშ-ს მოქალაქეებმა და კომპანიებმა აღძრეს. 1995 წ. 31 დეკემბრისათვის²¹¹ ტრიბუნალმა გამოსცა 567 გადაწყვეტილება²¹² და 81 შუალედური გადაწყვეტილება, შეწყვიტა 877 საქმე ორდერის ან გადაწყვეტილების გამოტანით. საქმეების საერთო რიცხვი 3892 იყო. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 2300-ზე მეტი ე.წ. „პატარა სარჩელი“ (250 000 აშშ დოლარზე ნაკლები ღირებულებისა) შეწყდა 1990 წ. შეთანხმებულ პირო-

²⁰² Paras. 8 and 11.
²⁰³ Claims Settlement Declaration, Article V.
²⁰⁴ Iran-US CTR2 (1983-1), 405, amended once in 1984, Iran-US CTR 7 (1984-111), 317.
²⁰⁵ ILM 15 (1976), 701 et seq.
²⁰⁶ J.J. van Hof, *Commentary on the UNCITRAL Arbitration Rules. The Application by the Iran-US Claims Tribunal*, 1991; S.A. Bakers/M.D. Davis, *The UNCITRAL Arbitration Rules in Practice - The Experience of the Iran-United States Claims Tribunal*, 1992; I. Dore, *The UNCITRAL Framework for Arbitration in Contemporary Perspective*, 1993; D.D. Caron/M. Pellonpa, *The UNCITRAL Arbitration Rules as Interpreted and Applied*, 1995.
²⁰⁷ Iran-US CTR1 (1984-111), 281.
²⁰⁸ I.F. Dekker/H.H.G. Post, *The Gulf War of 1980-1988*, 1992.
²⁰⁹ ავტორი 1986-89 წლებში მუშაობდა ტრიბუნალის პრეზიდენტის თანამშემდ და პირველი პალატის თავმჯდომარედ (1993 წლამდე).
²¹⁰ იხ. თ. 22.
²¹¹ Iran-US Claims Tribunal Communique No. 96/1 of 22 January 1996.
²¹² საიდნაც 248 იყო "Awards on Agreed Terms" ან "Partial Awards on Agreed terms".

²¹³ Award on Agreed Terms No. 483-CLTDS/86/B38/B76/B77-FT, filed 22 June 1990.

²¹⁴ R.B. Lillich, Lump Sum Agreements, *EPIL* 8 (1985), 367-72. იხ. აგრეთვე, თ. 15.

²¹⁵ იხ. *AJIL* 84 (1990), 891-5.

²¹⁶ Award No. 306-A15(I-G)-FT.

²¹⁷ Oellers-Frahm (1995), Arbitration, *op. cit.*, 458-78; T. Treves, The Law of the Sea Tribunal: Its Status and Scope of Jurisdiction after November 16, 1994, *ibid.*, 421. იხ. R. Bernhardt, Law of the Sea, Settlement of Disputes, *EPIL* 1 (1981), 133; A.O. Adele, The System for Settlement of Disputes under the United Nations Convention on the Law of the Sea: A Drafting History and a Commentary, 1987; G. Jaenicke, International Tribunal for the Law of the Sea, in Wolfram UNLPPH, 797-804; S. Rosenne, Establishing the International Tribunal for the Law of the Sea, *AJIL* 89 (1995), 806-14; S. Oda, Dispute Settlement Prospects in the Law of the Sea, 10.044(1995), 683-712; J.I. Charney, The Implications of Expanding International Dispute Settlement Systems: The 1982 Convention on the Law of the Sea, *AJIL* 90 (1996), 69-75.

²¹⁸ T. Eitel, Comment, *ZaorV* 55 (1995), 452, at 456.

²¹⁹ Merrills (1991), *op. cit.*, 153 *seq.*, with references.

ბებზე გადაწყვეტილებით (Award on Agreed Terms),²¹³ რომელთა საფუძველი იყო ორი სახელმწიფოს მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმება, ანუ ირან-თანხმა იყო გადაეხადა დიდი თანხა²¹⁴ – 105 მილიონი აშშ დოლარი.²¹⁵ აშშ-მოქალაქეებისთვის გადასახდელი თანხა, რომელიც გადახდის იქნა უსაფრთხოების ფონდიდან 1995 წ. ბოლოსათვის, იყო 2 091 696 325 96 აშშ დოლარი 303 196 ფუნტი სტერლინგი, 297 051 გერმანული მარკა და 97 132 598 რეალ (პროცენტების გარდა). ირანისა და ირანის მოქალაქეებისათვის გადახდის მთლიანი თანხა (პროცენტების გარდა) იყო (იგი უსაფრთხოების ფონდიდან გადახდილია) 883 447 441 71 აშშ დოლარი და 7 977 343 რეალი. ამ თანხიდან დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარი ირანს გადაუხადეს ტრიბუნალი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა ნიუ-იორკის ფედერალურ შემნახველ ბანკში გაყინული ირანის ანგარიშების დაბრუნებას.²¹⁶ ფაქტს, რომ ტრიბუნალი კვლავ არსებობს და ფუნქციონირებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო არბიტრაჟის ისტორიაში. ტრიბუნალის გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები, დაახლოებით ოცდაათი ტომის წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სავაჭრო სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილ მასალათა ფასდაუდებელ კრებულს და საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს.

საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის თანახმად დავების გადაწყვეტა

1982 წ. კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ ძალაში შევიდა 1994 წ. 1 ნოემბერს. კონვენცია ითვალისწინებს დავების გადაწყვეტის შესახებ ინოვაციურ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს მესამე მხარის სავალდებულო გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ფორმით; არბიტრაჟს მხარეები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც სხვა საშუალებები წარუმატებელ აღმოჩნდება.²¹⁷ 1982 წ. კონვენცია და კონვენციის XI ნაწილის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმება (გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა 1994 წ. 2 ივლისს) დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთიან სისტემას ქმნის. კონვენციის მუხლების დაახლოებით მეოთხედი დავების გადაწყვეტას შეეხება.²¹⁸ სახელმწიფოები არ ეწინააღმდეგებიან დავების გადაწყვეტის შესახებ დებულებებს,²¹⁹ გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება ოკეანის ფსკერზე გათხრების წარმოების რეჟიმს.

უფრო ძველი კონვენციების, მათ შორის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციების, პრობლემა ის იყო, რომ დებულებები სავალდებულო გადაწყვეტილებების შესახებ ან არ გამოიყენებოდა (1958 წ. თევზჭერის შესახებ კონვენციით გათვალისწინებული *ad hoc* კომისიები), ან ჩამოყალიბებული იცა ცალკე ოქმში, რომლის რატიფიცირებას კონვენციის წევრი სახელმწიფოები უმრავლესობა არ ახდენდა (1958 წ. საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცია 1961 წ. ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, 1963 კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, 1969 წ. კონვენცია სპეციალური მისიების შესახებ). 1982 წ. კონვენციის თანახმად, რატიფიცირების შემდეგ ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულოა დებულებები რომლებიც დავების გადაწყვეტას შეეხება.

XV თავში ჩამოყალიბებული სისტემა უფრო მეტად მოქნილია და შემდეგ ნაირად შეიძლება შეჯამდეს: სახელმწიფოები ინარჩუნებენ უფლებას, აირჩიონ დაკის გადაწყვეტის საშუალება კონკრეტულ შემთხვევაში (280 მუხ.). მაშეუძლიათ აირჩიონ ისეთი მექანიზმებიც, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კონვენციის XV თავში (მუხ. 281). მუხ. 282 უპირატესობას ანიჭებს დავების გადაწყვეტის საშუალებებს, რომლებზეც მხარეები სხვა ზოგად რეგიონალურ ან ორმხრივ დოკუმენტში შეთანხმდნენ. ასეთი შეთანხმება უნ

ითვალისწინებდეს სავალდებულო გადაწყვეტილებას, საერთაშორისო სასამართლოს ფაკულტატიური მუხლის მიღების ჩათვლით.

თუ შეუძლებელი იქნება დავის გადაწყვეტა ნაწილის მიხედვით, ამოქმედდება ნაწილი 2, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო პროცედურებს სავალდებულო გადაწყვეტილებით დავის რომელიმე მხარის თხოვნით. რა თქმა უნდა, ამ ვალდებულებიდან გამორიცხულია გარკვეული ტიპის დავები (ნაწილი 3). მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფოებს შეუძლიათ დავების გადაწყვეტის სავალდებულო ოთხი საშუალებიდან აირჩიონ ერთ-ერთი წერილობითი განცხადებით (დეკლარაციით) (მუხ. 287):

1. საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ჰამბურგში;
2. საერთაშორისო სასამართლო (ICJ);
3. კონვენციის VII თავის შესაბამისად შექმნილი არბიტრაჟის ტრიბუნალი;
4. სპეციალური არბიტრაჟის ტრიბუნალი დავებისათვის, რომელიც შეეხება თევზჭერას, საზღვაო გარემოს დაცვასა და გადარჩენას, საზღვაო სამეცნიერო კვლევებს ან ხომალდების ნაოსნობასა და დაბინძურებას.

ეს სასამართლოები და ტრიბუნალები კომპეტენტურნი არიან კონვენციის თანახმად საზღვაო სამართალში მათთვის გადაცემულ ნებისმიერ საქმეზე, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საკითხებზე, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კონვენციას. გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხარეებისათვის; მათი თხოვნით გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება იყოს თანასწორობის პრინციპი და არა სამართალი. თუ სახელმწიფოები აირჩევენ ზემოჩამოთვლილი საშუალებებისაგან განსხვავებულ დავების გადაწყვეტის საშუალებას, მაშინ დავა გადაეცემა არბიტრაჟს VII დანართის შესაბამისად. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს დავების გადაწყვეტის საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება ყოველთვის, როდესაც ნაწილით გათვალისწინებული პროცედურებით ვერ ხერხდება დავის გადაწყვეტა, ან როდესაც მხარეები ვერ შეთანხმდებიან სხვა სახის პროცედურებზე.

1982 წ. საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის დავების გადაწყვეტის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მესამე მხარის სავალდებულო გადაწყვეტილებას, ამავდროს ითვალისწინებს შერიგების პროცედურას, რომელიც სავალდებულო არ არის (მუხ. 284). ეს არის ერთადერთი მეთოდი, რომელიც სპეციალურადაა აღნიშნული XV თავის I ნაწილში და აძლევს მხარეებს თავისუფლებას, აირჩიონ დავის გადაწყვეტის საშუალება. შერიგების გამოყენება შეიძლება ოკეანის ფსკერის გათხრების შესახებ დავების დროსაც (მუხ. 285). სახელმწიფოები არასდროს იჩენდნენ სურვილს, ელიარებიანთ მესამე მხარის სავალდებულო გადაწყვეტილება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხებოდა ტერიტორიულ სუვერენიტეტს ან სამხედრო საქმიანობას, თევზჭერას და კვლევებს. 298-ე მუხლით გათვალისწინებული „გამონაკლისები“ ნებას რთავს სახელმწიფოებს, გამორიცხონ გარკვეული ტიპის დავები სავალდებულო იურისდიქციის წესებიდან. თუ სახელმწიფოები არ გააკეთებენ განცხადებას, მაშინ დავის მიმართ მოქმედებს სავალდებულო იურისდიქციის დებულებები. დავები, რომელთა გამორიცხვაც შეიძლება, არის:

1. დავები, რომლებიც შეეხება საზღვაო საზღვრების დელიმიტაციის შესახებ მე-15, 74-ე და 83-ე მუხლების ინტერპრეტაციას;
2. დავები, რომლებიც ეხება ისტორიულ ყურეებს ან მათ სახელწოდებას;
3. დავები, რომლებიც შეეხება სამხედრო საქმიანობას, აგრეთვე არაკომერციული სახელმწიფო გემების ან თვითმფრინავების ამგვარ საქმიანობას;
4. დავები სამართლის აღსრულების საქმიანობის შესახებ, რომელიც შეეხება სუვერენული უფლებებისა და იურისდიქციის განხორციელებას

²²⁰ *ib. Treves, op. cit.*, at 436 *et seq.*

²²¹ Petersmann/Juenicke (eds), *op. cit.*; R. Ostrowsky, Settlement of Interstate Trade Disputes - The Role of Law and Legal Procedures, *NYLJ* 22 (1991), 163-216.

²²² ILM 27 (1988), 281. *ib. J.-G. Castel*, The Settlement of Disputes under the 1988 Canada-United States Free Trade Agreement, *AJIL* 83 (1989), 118-28.

²²³ North American Free Trade Agreement 1992, (1993), 289. *ib. J.A. Canela, ASIL Proc.* 85 (1993), 6-10; G.N. Horlick/F.A. DeBusk, Dispute Resolution under NAFTA, *JIArb.* 10 (1993), 51-61; L.B. Sohn, An Abundance of Riches: GATT and NAFTA Provisions for the Settlement of Disputes, *US-Mexico LJ* 1 (1993), 3-17 and other contributions at 19-40; J.L. Siqueiros, NAFTA Institutional Arrangements and Dispute Settlement Procedures, *CWILJ* 23 (1992-3), 383-94; J.L. Miller, Prospects for Satisfactory Dispute Resolution of Private Commercial Disputes Under the NAFTA, *Pcapp. LR* 21 (1994), 1313-89; K. L. Oelstom, A Treaty for the Future: The Dispute Settlement Mechanisms of the NAFTA, *LPIB* 25 (1994), 783-811; J.I. Garvey, Trade Law and Quality of Life - Dispute Resolution under the NAFTA Side Accords on Labor and the Environment, *AJIL* 89 (1995), 439-53.

²²⁴ Agreement Establishing the WTO, (1994), 1144; Annex 2: Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, at 1226; J.-G. Castel, The Uruguay Round and the Improvements to the GATT Dispute Settlement Rules and Procedures, *ICLO* 38 (1989), 834-49; P.T.B. Kohona, Dispute Resolution under the WTO, *JWTL* 28 (1994), 23-47; J.L. Dunoff, Institutional Misfits: The GATT, The ICJ & Trade-Environment Disputes, *Mich. JIL* 15 (1994), 1043-128; M. Reisman/M. Wiedman, Contextual Imperatives of Dispute Mechanisms - Some Hypotheses and Their Application in the Uruguay Round and NAFTA, *JWTL* 29 (1995), 5; S.P. Croley/J.H. Jackson, WTO Dispute Procedures, Standard of Review, and Deference to National Governments, *AJIL* 90 (1996), 193-213; J.H. Bello, The WTO Dispute Sett-

და რომელიც გამორიცხულია სავალდებულო იურისდიქციიდან 297-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით (საზღვაო სამეცნიერო კვლევები და თევზჭერა); და

5. დავები, რომლებზეც უშიშროების საბჭო ახორციელებს თავის ფუნქციებს გაეროს წესდების შესაბამისად.

(1) და (2) კატეგორიების საქმეებისათვის შერიგება გათვალისწინებულია დავის გადაწყვეტის საშუალებად, თუ ერთ-ერთი მხარე ამას ითხოვს.²²⁰ შერიგება სავალდებულოა დავების ზოგიერთი კატეგორიისათვის, რომლებიც გამორიცხულია სასამართლო განხილვიდან და არბიტრაჟიდან XV თავის მე-3 ნაწილით. V დანართი აყალიბებს პროცედურებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს კონვენციით გათვალისწინებული სავალდებულო და ნებაყოფლობითი არბიტრაჟის დროს. ეს დებულებები შეესაბამება ძველ მრავალმხრივ კონვენციებში ჩამოყალიბებულ წესებს.

დასკვნა

1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციამ საერთაშორისო დავების გადაწყვეტის სამართალში ახალი მიმართულება ჩამოაყალიბა. დავების გადაწყვეტის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებმა, რომლებიც ითვალისწინებს დავების გადაწყვეტის ახალ მექანიზმებს, შერიგების გარდა.²²¹ 1988 წ. კანადა-აშშ-ს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება,²²² NAFTA,²²³ ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმება (GATT) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება.²²⁴ აღნიშნული ინოვაციების მიზეზი იყო საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებების სპეციფიკური ბუნება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაა. NAFTA არ ითვალისწინებს დავების გადაწყვეტის სავალდებულო პროცედურებს და ჰგავს ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების კოლეგიის პროცედურებს. უფრო მეტიც, გენერალური შეთანხმების მხარე ბევრი აზიური სახელმწიფო ისტორიული და კულტურული ტრადიციების გამო თავს იკავებს დავების გადაწყვეტის ფორმალური საშუალებების გამოყენებისაგან და უპირატესობას ანიჭებს დავების გადაწყვეტის არასამართლებრივ საშუალებებს, როგორც დამტკიცებულია APEC-ის შეთანხმებაში²²⁵ „დავებში შუამავლობის ნებაყოფლობითი კონსულტაციური სამსახურის შესახებ“ (Voluntary Consultative Dispute Mediation Service).²²⁶ უნდა აღინიშნოს, რომ დავების გადაწყვეტის სხვადასხვა სასამართლოსა და ტრიბუნალის არსებობა ქმნის იმის საშიშროებას, რომ ამ ორგანოების გადაწყვეტილებები არ იქნება თანამიმდევრული, თანაც არ არსებობს ისეთი ზემდგომი საერთაშორისო ორგანო, რომელიც მოახდენდა საერთაშორისო სამართლის შესახებ გადაწყვეტილების კონტროლს.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ მრავალი იდეა წარმოიშვა დავების გადაწყვეტის გაუმჯობესების შესახებ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებული საერთაშორისო სამართლის ათწლეულის (1990-9) ძირითადი მიზანი იყო სახელმწიფოებს შორის დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებების ხელშეწყობა.²²⁷ ზოგიერთმა სახელმწიფომ რუსეთის მხარდაჭერით²²⁸ წამოაყენა იდეა, ათწლეულის ბოლოს (პირველი სამშვიდობო კონფერენციიდან ზუსტად ასი წლის შემდეგ) ჩატარებულიყო ჰააგის მესამე სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც განიხილავდა დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ უნივერსალური კონვენციის შემუშავების შესაძლებლობას.²²⁹ 1992 წ. გაეროს გენერალურმა მდივანმა განსახილველად წამოაყენა „მშვიდობის დღის წესრიგი“, რამაც ხელი შეუწყო ახალი ტენდენციების განვითარებას. „მშვიდობის დღის

ნესრიგი“ ითვალისწინებდა „პრევენციულ დიპლომატიას“ და მსოფლიო სასამართლოს გაზრდილ როლს დაეხმობა გადაწყვეტაში.²³⁰

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოები ნაკლები ენთუზიაზმით ხვდებიან საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შესაძლებლობას. სახელმწიფოებს არ სურთ საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარდგომა არც მოსარჩელისა და არც მოპასუხის როლში (ამ თავში სასამართლო და მოსამართლე შეიძლება არბიტრაჟსაც მოიცავდეს და ვინრო მნიშვნელობითაც იხმარებოდეს). სახელმწიფოების ასეთი თავშეკავების მიზეზი შეიძლება იყოს სურვილი, რომ საერთაშორისო სამართალი დაუსჯელად დაარღვიონ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპეტენტური საერთაშორისო სასამართლოს არარსებობამ შეიძლება გარკვეული ბიძგიც კი მისცეს სახელმწიფოს, დაარღვიოს საერთაშორისო სამართალი; მაგრამ ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი. მეცხრამეტე საუკუნეში არ არსებობდა საერთაშორისო სასამართლოები, მაგრამ საერთაშორისო სამართალი მაინც მოქმედებდა. სახელმწიფოები საერთაშორისო წესებსა და პრინციპებს არა მარტო იმიტომ ემორჩილებიან, რომ არსებობს საერთაშორისო სასამართლო განხილვის მექანიზმები. სასამართლოები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განუყოფელი ნაწილია. სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის შიშით მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანები ემორჩილებიან შიდა სამართალს. საერთაშორისო სამართალში საქმე სხვაგვარადაა, რადგან სახელმწიფოები საერთაშორისო სამართალს ისეთი მიზეზების გამო ემორჩილებიან, რომელთაც არ გააჩნიათ ანალოგი ეროვნულ სისტემებში.²³¹ საერთაშორისო სამართალი არ არის უნაკლო, რადგანაც იგი ზუსტად არ ასახავს ეროვნულ სამართალს. ეს ორი სამართალი სხვადასხვაგვარად მოქმედებს, რაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი არაეფექტურია.

სასამართლოების მიმართ სახელმწიფოების უნდობლობის მიზეზების შესწავლა მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო: 1) ასეთი შესწავლის შემდეგ შესაძლებელი იქნება სახელმწიფოების შიშის გამომწვევი მიზეზების უარყოფა; 2) თუ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი გადაწყვეტს, დაარწმუნოს სახელმწიფო მისი უნდობლობის უსაფუძვლობაში, მაშინ მას დასჭირდება ცოდნა, თუ რა სახის საფრთხეს გაუბრუნებს სახელმწიფო.

სახელმწიფოები საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის მიღებაზე უარს ძირითადად იმიტომ აცხადებენ, რომ ასეთი პროცესის შედეგები შეიძლება გაუთვალისწინებელი იყოს. ეს ხდება არა იმიტომ, რომ საერთაშორისო სამართალი არათანმიმდევრულია, არამედ იმიტომ, რომ, თუ დავის გადაწყვეტა მოლაპარაკებებით ვერ მოხერხდება, ე.ი. სახელმწიფოები ვერ თანხმდებიან ფაქტების თაობაზე ან შესაბამისი სამართლის გამოყენებაზე, საერთაშორისო სასამართლო განიხილავს სწორედ ასეთ „გაუთვალისწინებელ“ საქმეებს.

მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრება საქმეს ართულებს, რადგან, როდესაც ერთი ან ორი მოსამართლე საერთო გადაწყვეტილებისაგან განსხვავებულ მოსაზრებას აყალიბებს, მაშინ სახელმწიფოს შეუძლია ამტკიცოს, რომ საქმე შეიძლება სხვაგვარად გადაწყვეტილიყო, თუ სასამართლოს შემადგენლობა სხვა იქნებოდა. თუ მოსამართლეთა შემადგენლობაზე დამოკიდებული გადაწყვეტილება, მაშინ ჩნდება მოსაზრება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შემთხვევითობაზე დამოკიდებულია.

როდესაც სამართალი არათანმიმდევრულია, მაშინ მოსამართლე ნებით თუ უნებლიეთ პოლიტიკური გარემოებების გავლენის ქვეშ ექცევა. ეს საეჭვოს ხდის მათ მიუკერძოებლობას. სახელმწიფოებს ვერ გავამტყუნებთ, როდესაც მიიჩნევენ, რომ სასამართლოებმა კი არა, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები, როგორც წესი, არ ექცევიან გაეროს ორგანოებში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალთა გავლენის ქვეშ.²³² სასამართლო

lement Understanding, *ibid.*, 416-18; A. Porges, The New Dispute Settlement: From the GATT to the WTO, *LJIL* 8 (1995), 115-34, *nb. აგრეთვე*, თ. 15.

²² APEC-ის შესახებ *nb. თ. 15*.
²³ *ILM* 35 (1996), 1102

²⁴ GA Res. 44/23, 44 UN GAOR Supp. (No. 49), at 21, UN Doc. A/44/49 (1990).

²⁵ *AJIL* 90 (1996), 499.

²⁶ L. B. Sohn, Preparation of a New Treaty for the Settlement of International Disputes, *LJIL* 3 (1990), 51; C. M. Chinkin, The Peaceful Settlement of Disputes: New Grounds for Optimism?, in R. St. J. Macdonald (ed.), *Essays in Honour of Wang Tieya*, 1994, 165, at 167.

²⁷ *ILM* 31 (1992), 953; B. G. Ramsharan, *The International Law and Practice of Early Warning and Preventive Diplomacy*, 1991.

²⁸ *nb. თ. 1*.

²⁹ *nb. T. M. Franck, Fairness in International Law and Institutions*, 1995, 324 *et seq.*, with reference to the statistical analysis by E. B. Weiss, *Judicial Independence and Impartiality: A Preliminary Inquiry*, in Danrosch (ed.), *op. cit.*, 123.

გადაწყვეტილების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა (რაც არც შიდა სასამართლოებისთვისაა უცხო) მისაღებია უმნიშვნელო საქმის დროს, მაგრამ მიუღებელია, როდესაც საქმეს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. XX საუკუნის დასაწყისში დადებული ხელშეკრულებები არბიტრაჟის შესახებ გამორიცხავდა არბიტრაჟის წესით საქმეების განხილვას, რომლებიც შეეხებოდა სახელმწიფოს ღირსებასა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებს.²³³ 1914 წ-მდე მეცნიერები ასეთი დებულებების ახსნას იმით ცდილობდნენ, რომ „პოლიტიკური“ დავების (სხვადასხვა ავტორები ამ ტერმინს განსხვავებულად განმარტავდნენ) განხილვა სასამართლო წესით შეუძლებელია მათი ბუნების გამო. ამ მოსაზრებას დღეს აღარ ჰყავს მხარდამჭერები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ, თუ თეორიაში საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია განიხილოს სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საქმე, პრაქტიკაში სახელმწიფოები დათანხმდებიან ასეთი საქმეების საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემაზე.

დამატებითი ფაქტორია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგები მხოლოდ კონკრეტულ საქმეზე არ ვრცელდება; იგი ქმნის პრეცედენტს შემდგომი საქმეებისათვის. ზოგიერთ სახელმწიფოს არ მოსწონს საერთაშორისო სასამართლო (ICJ) იმიტომ, რომ, მათი აზრით, მისმა პრაქტიკამ ძალიან შეცვალა საერთაშორისო სამართალი. ამავე მიზეზით, გაერთიანებული სამეფო უკმაყოფილოა ევროპის სასამართლოსა და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით. რა თქმა უნდა, როდესაც მხარეებს განსხვავებული შეხედულება აქვთ სამართლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, მაშინ დამარცხებული სახელმწიფო ყოველთვის ჩათვლის, რომ სასამართლომ შეცვალა სამართალი. სახელმწიფოები სამართლის წყაროდ ხელშეკრულებას ან ჩვეულებას თვლიან და არ მოსწონთ სამართლის სხვა წყარო, კერძოდ სასამართლო პრეცედენტი.²³⁴ როდესაც საჭიროა ცვლილებების შეტანა სამართალში, სახელმწიფოებს ურჩევნიათ, თვითონ გადაწყვიტონ, თუ როგორი იქნება ახალი წესები.

სხვა სახელმწიფოებს არ მოსწონთ საერთაშორისო სასამართლოები იმიტომ, რომ მათ მეტისმეტად კონსერვატიულად მიიჩნევენ. როდესაც იცვლება ჩვეულებითი სამართლის ნორმა, ან სახელმწიფოს მიაჩნია, რომ ასეთი ცვლილება მალე მოხდება, სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც განამტკიცებს ძველ ნორმას, შეუძლია შეაჩეროს ან სამუდამოდ შეუშალოს ხელი ახალი ნორმის აღმოცენებას. მნიშვნელოვანია, რომ მდიდარი სახელმწიფოები, რომელთაც ხელს აძლევს *status quo*, უფრო ხშირად აღიარებენ სასამართლოს იურისდიქციას, ვიდრე უფრო ღარიბი სახელმწიფოები (ეს უკანასკნელნი უფრო ხშირად არ არიან კმაყოფილნი სასამართლოების გადაწყვეტილებებით). აქვე უნდა აღინიშნოს უკანასკნელ ხანს განვითარებული ტენდენცია, რომ მესამე სამყაროს სახელმწიფოების მოსამართლეები სულ უფრო ხშირად არიან წარმოდგენილნი საერთაშორისო სასამართლოებში.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები ზოგჯერ ცვლიან კანონებს, მათი ძირითადი ფუნქციაა არსებული სამართლის გამოყენება. სამართლის გამოყენების შესახებ განცხადებასა და სამართლის შეცვლის შესახებ განცხადებას შორის განსხვავება ყოველთვის არ არის აშკარა. მოლაპარაკებების დროს სახელმწიფოები განცხადებას ისე აკეთებენ, რომ არ მიუთითებენ, განცხადება არსებული კანონის გამოყენებას ეხება თუ კანონის ცვლილებას მოითხოვს.

დასასრულ, უმნიშვნელო მიზეზები არსებობს იმისათვის, რომ სახელმწიფოებს არ მოსწონთ საერთაშორისო სასამართლოები დავების გადასაწყვეტად. სასამართლო პროცესის დანყება განიხილება, როგორც არამეგობრული აქტი და სახელმწიფოებს ეშინიათ, რომ დაეცემა მათი პრესტიჟი, თუ საქმე მათ სანინაღმდეგოდ გადაწყდება. გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ წამოჭრილი საკითხების განხილვა დიდ დროსა და თანხებს მოითხოვს. ზემოაღნიშ-

ნულის გამო სახელმწიფოებს არ სურთ სასამართლოს წინაშე წარდგენენ მოსარჩელის ან მოპასუხის როლში.

რა ხდება, როდესაც სახელმწიფოს არ სურს, დავა საერთაშორისო სასამართლომ განიხილოს? ასეთი დავების უმეტესობა გადაწყდება დავების მოგვარების ისეთი პოლიტიკური საშუალებებით, როგორცაა მოლაპარაკებები და შერიგება. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი გაეროს, მნიშვნელოვანი როლი აქვთ დავების პოლიტიკური საშუალებებით გადაწყვეტაში. დავების ასეთ გადაწყვეტას ხშირად კომპრომისის²³⁵ ან „შეთანხმებათა პაკეტის“ (package deal) ფორმა აქვს, ე.ი. სახელმწიფო მიდის დათმობაზე, მაგრამ პასუხად იღებს მეორე მხარის დათმობას სხვა საქმეზე.

დავა შეიძლება ჩიხში შევიდეს. სახელმწიფოები ზოგჯერ ელოდებიან ცვლილებას კანონში ან ძალთა თანაფარდობაში, რათა დავის გადაწყვეტა მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით მოხდეს. ტერიტორიის სტატუსის შესახებ დავები შეიძლება რამდენიმე საუკუნეც კი გაგრძელდეს. ასეთი დავები ძალიან ჩახლართულია, ფაქტები ხშირად გაურკვეველია. ძნელია სასამართლოს გადაწყვეტილების წინასწარ განჭვრეტა ტერიტორიული დავის გადაწყვეტისას; ამიტომ სახელმწიფოები სულ უფრო ნაკლებად მიმართავენ საერთაშორისო სასამართლოებს მათ გადასაწყვეტად.

XIX საუკუნეში ძლიერი სახელმწიფო ძალას მიმართავდა სუსტი სახელმწიფოს არბიტრაჟზე დასაყოლიებლად. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ ამართლებს ძალის გამოყენებას საერთაშორისო ურთიერთობებში, დავების გადაწყვეტის პროცესში ომი ჩიხში შესულმა მდგომარეობამ შეცვალა. დავის გადაწყვეტის გაგრძელება საერთაშორისო დაძაბულობის გაგრძელებასაც იწვევს. მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ, რადგან დავების გადაწყვეტა სასამართლო განხილვის გზით არაა სავალდებულო, სახელმწიფოები არღვევენ საერთაშორისო სამართალს დაუსჯელობის სინდრომის გამო, რასაც აშკარა უსამართლობამდე მივყავართ.

რამდენად საფუძვლიანია ის მიზეზები, რომელთა გამოც სახელმწიფოებს არ მოსწონთ საერთაშორისო სასამართლო? ერთი მხრივ, სახელმწიფოები მართლნი არიან, რომ სასამართლოს არ შეუძლია ეფექტურად გადაწყვიტოს საქმეები, რომლებიც შეეხება მოთხოვნას სამართლის შეცვლის შესახებ. მეორე მხრივ კი, იდეა, რომ სამართალწარმოება არის არამეგობრული აქტი და აუცილებლად რთული და ხანგრძლივი პროცესი, მართალია მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოებმა აირჩიეს ასეთი მიდგომა. თუ სახელმწიფოები სამართალწარმოებას დავების გადაწყვეტის სასურველ საშუალებად ჩათვლიან და აღარ შეუშლიან ხელს სასამართლოს საქმიანობაში, მაშინ სამართალწარმოება ადვილ, სწრაფ, იაფ და მეგობრულ პროცესად გადაიქცევა.

რაც შეეხება ძირითად პრობლემას – სასამართლო გადაწყვეტილებათა წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობას, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოთა შიშს ზოგიერთ შემთხვევაში საფუძველი აქვს. ასევე, სახელმწიფოები გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საკითხებს და მათ საციცოცხლო მნიშვნელობის პრობლემად მიიჩნევენ; ის, რაც 60 წლის წინათ სასიციცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხად მიიჩნეოდა, დღეს ასეთად აღარ ითვლება. შესაბამისად, გაურკვეველია, რატომ არ უნდა გაგრძელდეს ეს პროცესი. სასამართლო პრეცედენტის, როგორც სამართლის წყაროს, მიმართ შიშიც გადაჭარბებულია. საერთაშორისო სამართალში პრეცედენტის როლი მხოლოდ დარწმუნებითი ხასიათისაა და არა სავალდებულო. ამასთან შეიძლება არაპოპულარული გადაწყვეტილების გაუქმება საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ახლად განვითარებული ჩვეულებითი სამართლის ნორმით.

დასასრულ, შეიძლება რამდენიმე მოსაზრების გამოთქმა სახელმწიფოთა შიშისა და უარყოფითი დამოკიდებულების გადასალახად: 1) თუ სახელმწიფოებს არ სურთ გარკვეული კატეგორიის საქმეების სასამართლოსათვის

გადაცემა, მაშინ მათ ზუსტად უნდა განსაზღვრონ ასეთი კატეგორიები და სხვა საქმეები დაუქვემდებარონ სასამართლოს იურისდიქციას. ეს თავიდან აგვაცილებდა ამჟამად არსებულ სიტუაციას, როდესაც სახელმწიფოების სურვილს, რომ გარკვეული კატეგორიის საქმეები არ იყოს სასამართლოს განსჯადი, შედეგად ის მოსდევს, რომ სახელმწიფო საერთოდ არ აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას ან აღიარებს მას საკმაოდ ფართო და ბუნდოვანი დათქმებით. 2) მოსამართლეების არჩევაუფრო მეტი ყურადღებით უნდა მოხდეს. იდეალური საერთაშორისო მოსამართლეა ადამიანი, რომელსაც ესმის სხვადასხვა სახელმწიფოების პოლიტიკური მისწრაფებები და რომელსაც შეუძლია პრობლემა გადაჭრას ორივე მხარისათვის მისაღები კეთილგონივრული ფორმით, როდესაც იძულებულია მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. მართალია, ისტორიას ახსოვს მიკერძოებული მოსამართლეები, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს სასამართლოს უარყოფის მიზეზი. პრობლემიდან გამოსავალი იქნება მომავალში უკეთესი მოსამართლეების არჩევა.

19. საერთაშორისო ომები, სამოქალაქო ომები და თვითგამორკვევის უფლება: *ius ad bellum*

მას შემდეგ, რაც უკვე განვიხილეთ სიტუაციები, რომლებშიც საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა შორის მშვიდობიან ურთიერთობებს არეგულირებს, ჩვენი განხილვის საგანია ის განსაკუთრებული სიტუაცია და ნორმები, რომლებიც ძალის გამოყენებასა და შეიარაღებულ კონფლიქტებს არეგულირებს¹. ტერმინს „ომის კანონები“ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს და ეხება ორივეს – როგორც შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების (*ius ad bellum*), ასევე უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტის წარმოების (*ius in bello*) მარეგულირებელ ნორმებს. ამ ორი სფეროს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხილვა გონივრულია, ვინაიდან აღიარებული პრინციპის თანახმად, *ius in bello* შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევებში გამოიყენება, იმის მიუხედავად, კანონიერია თუ კანონგარეშე კონფლიქტი *ius ad bellum*-ის მიხედვით.²

წინამდებარე თავში განხილული იქნება *ius ad bellum* და ძალის გამოყენების მარეგულირებელი ნორმები საერთაშორისო ომებში, სამოქალაქო ომებსა და თვითგამორკვევის უფლების განხორციელების დროს. იუს ინ ბელო, რომლისთვისაც ფართოდ გამოიყენება ტერმინი „შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოსაყენებელი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“ და ომის კანონების დარღვევისათვის ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ცალკე იქნება განხილული მე-20 თავში. დასასრულ, 22-ე თავში შევხებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებასა და შეიარაღებული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში, 21-ე თავში გაეროს წესდებისა და მისი ორგანოებს დახასიათების შემდეგ.

კანონიერი და კანონგარეშე ომები – 1945 წლამდე განვითარებული მოვლენები

მრავალი საუკუნის განმავლობაში დასავლეთევროპულ დამოკიდებულებას ომის კანონიერების მიმართ რომის კათოლიკური ეკლესიის მოძღვრებათა გავლენა განაპირობებდა³. ერთ-ერთი პირველი თეოლოგი, რომელიც ამ თემაზე წერდა, ნეტარი წმინდა ავგუსტინე იყო (ჩვენი წელთაღრიცხვის 354-430 წწ). მან განაცხადა:

სამართლიან ომად ითვლება ომი, რომელიც სამაგიეროს მიაგებს მიყენებული ზიანისათვის, როდესაც ქვეყანამ ან ქალაქმა, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საომარი მოქმედებები, თავისი მოქალაქეები არ დასაჯა ჩადენილი დანაშაულებებისთვის ან უარი განაცხადა იმის აღდგენაზე, რაც უსამართლოდ იყო წართმეული. ასეთი ომები უდავოდ სამართლიანია, რასაც თავად ლმერთიც ბრძანებს.

ამ იდეებს დაახლოებით 1000 წლის განმავლობაში იზიარებდნენ. ომი მიჩნეული იყო რეპარაციის მიღების საშუალებად მეორე მხარის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებებისათვის (რეპარაციის მოცულობა იზრდებოდა უკანონო

¹ Harris *CMIL*, 817-73; D.W. Bowett, *Self-Defence in International Law*, 1958; I. Brownlie, *International Law and the Use of Force*, 1963; W. Meng, *War, EPIL* 4 (1982), 282-90; F. Kalshoven, *War, Laws of. ibid.*, 316-22; A. Randelzhofer, *Use of Force. ibid.*, 265-76; O. Schachter, *The Right of States to Use Armed Force. AJIL* 78 (1984), 1620; M. Reisman, *Criteria for the Lawful Use of Force in International Law. Yale JIL* 10 (1985), 279-85; Greenwood, *The Concept of War in Modern International Law. ICLO* 36 (1986), 283-306; A. Cassese (ed.), *The Current Legal Regulation of the Use of Force*, 1986; D. Schindler/K. Hailbronner, *Die Grenzen des völkerrechtlichen Gewaltverbot. DGVZ* 26 (1986), 11-49; P. Malanczuk, *Countermeasures and Self-Defence as Circumstances Precluding Wrongfulness in the International Law Commission's Draft Articles on State Responsibility. in M. Spinedi/B. Simma (eds), United Nations Codification of State Responsibility, 1987, 197-206*; W.E. Butler (ed.), *The Non-Use of Force in International Law*, 1989; O. Schachter, *International Law in Theory and Practice*, 1991. Chapters VII and VIII; B. Asrat, *Prohibition of Force under the UN Charter - A Study of Article 2(4)*, 1991; L. Henkin *et al*, *Right v. Might - International Law and the Use of Force*, 2nd edn 1991; L.F. Dumrosch/DJ. Scheffer (eds), *Law and Force in the New International Order*, 1992; K.J. Partsch, *Armed Conflict. EPIL* 1 (1992), 249-53; Partsch, *Armed Conflict. Fundamental Rules. ibid.*, 253-6; T.D. Gill, *The Forcible Protection, Affirmation and Exercise of Rights by States under Contemporary International Law. NYIL* 23 (1992), 105-73; P. Malanczuk, *Humanitarian Intervention and the Legitimacy of the Use of Force*, 1993; Y. Onuma, *A Normative Approach to War*, 1993; A.C. Arendt/R.J. Beck, *International Law and the Use of Force Beyond the UN Charter Paradigm*, 1993; Y. Dinstein, *War, Aggression, and Self-Defence*, 2nd edn 1994; G.

Best. *War and Law Since 1945*, 1994. A. Randelzhofer. Article 2(4). in *Simma CUNAC*, 106-28; T. Brnija. Use of Force, Prohibition of in *Wilfrum UNLPP* 11, 1387-99.

² იბ. A. Roberts/R. Guelff (eds).

Documents on the Laws of War, 2nd edn 1989. Introduction. 1; Greenwood. The Relationship between *ius ad bellum* and *ius in bello*, *RIS* (1983), 221-34.

³ იბ. თ. 2.

⁴ იბ. თ. 17.

⁵ H. Grotius. *De Jure Belli ac Pads*, 1625. გროტიუსის შესახებ იბ. თ. 2.

⁶ იბ. თ. 2.

⁷ იბ. თ. 2.

⁸ იბ. თ. 2.

ქმედებების სერიოზულობის პროპორციულად).⁴ გარდა ამისა, ურწმუნოთა და ერეტიკოსთა წინააღმდეგ მიმართულ ომებს ღმერთის მიერ ნაკარნახევად თვლიდნენ (თუმცა არა ყოველთვის).

მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულისათვის თანდათან იშლება განსხვავება სამართლიან და უსამართლო ომებს შორის. თეოლოგები ძირითად ყურადღებას ადამიანის სინდისზე ამახვილებდნენ და უშვებდნენ, რომ თითოეული მხარე უდანაშაულო იყო, თუ მას გულწრფელად სჯეროდა თავისი სიმართლისა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მხარე აუცილებლად დამნაშავე უნდა ყოფილიყო (რაც ცნობილი იყო, როგორც ალბათობის დოქტრინა). უფრო მეტიც, სამართლიანი ომების კატეგორიამ სახიფათოდ მზარდი მასშტაბების შექმნა იწყო. მიუხედავად იმისა, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის ისეთი მწერლები, როგორც იყო, მაგალითად, ჰუგო გროციუსი, ტრადიციულ დოქტრინებში⁵ ცვლილებების შეტანის ცდილობენ, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში ფაქტობრივად უგულბებლყოფილ იქნა განსხვავება სამართლიან და უსამართლო ომებს შორის. ომის წარმოება გამართლებული იყო, თუ იგი ემსახურებოდა განსაზღვრული სასიცოცხლო ინტერესების დაცვას, მაგრამ თითოეული სახელმწიფო საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების იმ ერთადერთ მსაჯულად რჩებოდა, რომელიც შეუცდომლობით არასდროს გამოირჩეოდა.⁶ მართლაც, სასიცოცხლო ინტერესების მთელმა დოქტრინამ ომის კანონიერების სამართლებრივი კრიტერიუმში კი არ შექმნა, არამედ საფუძველი დაუდო პოლიტიკურ გამამართლებელ გარემოებებსა და ბრალდებებს, რომლებსაც პროპაგანდისტების იყენებდნენ. საერთაშორისო სამართლის ყველაზე „კლასიკურ“ პერიოდში (მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს) ჩამოყალიბდა ჩვეულებითი სამართლის ყველაზე რეალისტური პოზიცია, რომელიც საერთოდ არ ზღუდავდა სახელმწიფოთა მიერ ომის დაწყების უფლებას.

ზოგიერთი თანამედროვე ავტორის აზრით, სამართლებრივი სისტემა, რომელიც არ განასხვავებს ძალის კანონიერ და უკანონო გამოყენებას, არ იმსახურებს, რომ სამართლის სახელი ერქვას, რაც უდავოდ მართალია იმ შიდასახელმწიფოებრივ სამართლის სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც უარყოფს ამგვარ განსხვავებას. ადამიანი ხშირად უძლურია ფიზიკური თავდასხმის წინააღმდეგ. ყველაზე ძლიერი ადამიანიც კი იძინებს და ამ დროს მისი მოკვლა ნებისმიერს შეუძლია. თანაც არსებობს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ დამნაშავე გამოძიებას გაექცევა. შესაბამისად, ნებისმიერ საზოგადოებაში, რომელიც ადამიანებისაგან შედგება, კანონი არ უშვებს გამონაკლისს მკვლელისათვის. სხვაგვარადაა საქმე საერთაშორისო საზოგადოებაში. სახელმწიფოები დაცული არიან მათი მცირე რაოდენობისა და იმ ფაქტის გამო, რომ მოსახლეობისა და ტერიტორიებისაგან შედგებიან. ვინაიდან სახელმწიფოთა რაოდენობა მცირეა, ამიტომ ერთ სახელმწიფოზე თავდასხმა საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს, რის გამოც ისინი ეხმარებიან მას. ამის მსგავსად, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ტერიტორიისა და მოსახლეობისაგან შედგება, გამორიცხავს მისი უეცრად დამორჩილების შესაძლებლობას. სანამ ტანკებსა და თვითმფრინავებს გამოიგონებდნენ, დრო, რომელიც მტრულ არმიას სჭირდებოდა მოწინააღმდეგე სახელმწიფოში შესასვლელად, ჩვეულებრივ, საკმარისი იყო მსხვერპლის მობილიზებისა და მოკავშირეებისაგან დახმარების მიღებისათვის.

სახელმწიფოთა კავშირებს მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ მეცხრამეტე საუკუნეში – ძალთა ბალანსის კლასიკურ პერიოდში⁸. ალექსანდრე პოპის ცინიკური კომენტარის მიუხედავად – „ახლა, როცა ევროპა დაბალანსებულია, არც ერთ მხარეს არ აქვს უპირატესობა, ვინაიდან არაფერია სასწორზე დარჩენილი“ – ძალთა ბალანსის სისტემამ მართლაც მოახერხა ომების რაოდენობის შემცირება. ხარჯი, გამანადგურებელი ძალა, ომების ხანგრძლივობა და დამარცხების რისკი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ომის გაჩაღება არ ღირდა, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ამ ომით დიდ ტერიტორიას არ იძენდა. მაგრამ სახელმწიფო, რომელიც მეტისმეტად დიდ ტერიტორიებს

იპყრობდა, ძალთა ბალანსის დარღვევით საფრთხეს უქმნიდა მთელ ევროპას. ამის გამო სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ თავი შეეკავებინათ დიდი ტერიტორიების დაპყრობის მცდელობისაგან, ვინაიდან მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ამგვარი მცდელობა მათ წინააღმდეგ გააერთიანებდა მთელ ევროპას.

შედარებითი სამართლის შესწავლისას აუცილებლად წაანყდებით თემას, რომელიც ერთ ქვეყანაში სამართლის ნორმებით რეგულირდება, ხოლო მეორეში ისეთი ფაქტორებით, რომელთაც სამართალთან არაფერი აქვთ საერთო. მაგალითად, გერმანიაში ურთიერთობები პროფკავშირებსა და დამქირავებლებს შორის სამართლით რეგულირდება, ხოლო დიდ ბრიტანეთში, სადაც საწარმოო ურთიერთობათა რადიკალურად განსხვავებული გამოცდილება არსებობს, ეს ურთიერთობები არაფორმალური, არასამართლებრივი გზით რეგულირდება, რომელიც (პოპულარული შეხედულების მიუხედავად) საწარმოო მშვიდობის შესანარჩუნებლად ფაქტობრივად ისევე წარმატებულია, როგორც გერმანული მეთოდი. ამის მსგავსად, მეცხრამეტე საუკუნეში, მაშინ, როდესაც მუნიციპალურ საზოგადოებაში ძალადობის თავიდან აცილება სამართლის ნორმებით იყო გარანტირებული, საერთაშორისო დონეზე მისი მიღწევა შესაძლებელი იყო ისეთი არასამართლებრივი საშუალებებით, როგორიცაა, მაგალითად, ძალთა ბალანსი.

აუცილებლობის შემთხვევაში ძალთა ბალანსის სისტემას სამართალი ავსებდა (ხელშეკრულებების სახით). მაგალითად, 1815 და 1839 წლის ხელშეკრულებებმა შვეიცარია და ბელგია თავდასხმისაგან იხსნა. მოგვიანებით, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა რამდენიმე სახელმწიფო 1907 წლის ჰააგის მეორე კონვენციის ხელმოწერის აუცილებლობაში დაარწმუნეს ეს ხელშეკრულება კრძალავდა ძალის გამოყენებას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალის ამოღების მიზნით, იმ შემთხვევის გარდა, როცა მოვალე სახელმწიფო უარს განაცხადებდა საქმის არბიტრაჟში გადაცემაზე ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე¹⁰. 1907 წლის ჰააგის მესამე კონვენციის თანახმად, ომს წინ უნდა უძღოდეს ომის ფორმალური გამოცხადება ან ომის პირობითი გამოცხადების შემცველი ულტიმატუმი¹¹.

პირველი მსოფლიო ომის მიერ გამოწვეულმა არნახულმა ტანჯვა რევოლუციურად შეცვალა დამოკიდებულება ომის მიმართ. დღეს ხალხი (ევროპაში მაინც) ომს ყველაზე საშინელ ბოროტებად მიიჩნევს. ძნელია წარმოიდგინო, რომ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ადამიანთა უმრავლესობა (ზოგიერთი პაციფისტის გარდა)¹² ომს ისე უყურებდა, როგორც ზამთარს, რომელიც უდავოდ არაკომფორტულია, მაგრამ ბუნებრივია და თან გამოცოცხლების არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს გაძლევს. როგორც თხილამურებით სრიალია ფეხმოტეხილი მოთხილამურისათვის ცუდი, ასევე ცუდი იყო ომი დაჭრილი ჯარისკაცისათვის. ეს შეხედულებები 1914 წლის შემდეგ შეიცვალა, თუმცა სამართალს საზოგადოებრივი აზრისათვის ფეხის ასაწყობად გარკვეული დრო დასჭირდა. ერთა ლიგის წესდება, რომელსაც 1919 წელს მოაწერეს ხელი, მთლიანად არ კრძალავდა ომს. ამის მაგივრად, 12(1) მუხლი ადგენდა:

ერთა ლიგის წევრები თანხმდებიან, რომ მათ შორის ისეთი დავის წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც ალბათ (ურთიერთობების) განყვეტას გამოიწვევს, საქმეს განსახილველად გადასცემენ ან არბიტრაჟს, ან სასამართლოს, ან საბჭოს გამოძიებას. ისინი თანხმდებიან, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიმართავენ ომს, სანამ არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან, ან საბჭოს მოხსენებიდან სამი თვე არ გავა.¹³

(სამთვიანი პერიოდი ვნებათაღელვის დასაცხრობად იყო გამიზნული. 1914

¹⁰ იბ. თ. 1.

¹¹ იბ. თ. 2. არბიტრაჟის შესახებ იბ. თ. 18.

¹² იბ. თ. 2.

¹³ იბ. H.-U. Scupin, Peace, Historical Movements Towards, EPIL 4 (1982), 78-86; L.B. Sohn, Peace, Proposals for the Preservation of, *ibid.*, 91-5.

¹⁴ იბ. თ. 2.

¹⁴ Article 13(4). და Article 15(6).

¹⁵ ხელშეკრულების ტექსტი იხ. 94 LNTS 57 (1929). იხ. თ. 2. ¹⁶ *Brawnlie BOIL*, 1.

¹⁷ იხ. თ. 21.

¹⁸ *Nicaragua v. USA, ICJ Rep.* 1986. 14, 98-101. იხ. ქვემოთ.

¹⁹ იხ. Meng (1982), *op. Skubiszewski, Peace and War, EPIL* 4 (1982), 74-8. იხ. აგრეთვე, W.M. Reisman/J.E. Baker. *Regulating Covert Action: Practices, Contexts and Policies of Covert Coercion Abroad in International and American Law*; 1992.

²⁰ იხ. თ. 2.

წელს ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობის შემდეგ სახელმწიფოებს ეს სამთვიანი ვადა რომ დაეცვათ, ალბათ შესაძლებელი იქნებოდა პირველი მსოფლიო ომის თავიდან აცილება). გარდა ამისა, ერთა ლიგის წევრები შეთანხმდნენ, არ დაენწყოთ ომი ერთა ლიგის იმ წევრების წინააღმდეგ, რომლებიც დაემორჩილნენ არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილებას¹⁴.

1920-იან წლებში სახელმწიფოთა ძალისხმევა მიმართული იყო „წესდებაში არსებული ხარვეზების“ შევსებისაკენ, რაც გულისხმობდა წესდებით გათვალისწინებული ომის ნაწილობრივი აკრძალვის ტოტალური აკრძალვით შეცვლას. ომის საყოველთაო აკრძალვის მცდელობამ კულმინაციას მიაღწია ომზე უარის თქმის საყოველთაო ხელშეკრულებაში (General Treaty for the Renunciation of War) (ცნობილია, როგორც ბრიან-კელოგის ან პარიზის პაქტი), რომელსაც ხელი მოაწერეს 1928 წელს¹⁵. მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო გახდა ამ ხელშეკრულების მონაწილე, რომელმაც დაადგინა:

მაღალი ხელშეკრული მხარეები საზეიმოდ (ოფიციალურად) აცხადებენ, ... რომ ისინი გმობენ ომს, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის საშუალებას და უარს ამბობენ ერთმანეთთან ურთიერთობისას მასზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე.

მაღალი ხელშეკრული მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველი დავა, რომელიც შეიძლება მათ შორის წარმოიშვას, მისი ხასიათისა და წარმოშობის მიუხედავად, მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით დარეგულირდება.

ძალის გამოყენების აკრძალვა გაეროს წესდებაში

როგორც მეორე თავში განვმარტეთ, თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მთავარი მახასიათებელი, „კლასიკურ“ საერთაშორისო სამართალთან შედარებით, არის ნორმატიული (სამართლებრივი) მცდელობა – კონტროლი გაენიოს ძალის გამოყენებას. გაეროს წესდების 2(4) მუხლი ადგენს:

წევრი სახელმწიფოები თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებენ ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარისაგან, რომელიც მიმართულია ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს.¹⁶

ამ წესს უნივერსალური მნიშვნელობა აქვს. იგი სავალდებულოა იმ რამდენიმე სახელმწიფოსთვისაც კი, რომლებიც გაეროს წევრები არ არიან,¹⁷ ვინაიდან ეს წესი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმად იქცა.¹⁸

2(4) მუხლი კარგადაა შედგენილი, ვინაიდან აქ საუბარია არა „ომზე“, არამედ „ძალის გამოყენების მუქარაზე“. საერთაშორისო სამართალში ომს ტექნიკური (მაგრამ არაზუსტი) მნიშვნელობა აქვს, რის გამოც საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმული სახელმწიფოები ხშირად უარყოფენ, რომ ფორმალურად (ტექნიკურად) ომის მდგომარეობაში არიან.¹⁹ ამგვარ საბრძოლო მოქმედებებზე მიიჩნევა ყველაფერი, უმნიშვნელო სასაზღვრო ინციდენტიდან დაწყებული ისეთი ინტენსიური სამხედრო ოპერაციებით დამთავრებული, როგორიც იყო, მაგალითად, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ 1956 წელს სუეცის არხის მიმდებარე ტერიტორიის დაპყრობის მცდელობა.²⁰ განსხვავება ომსა და ისეთ საბრძოლო მოქმედებებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადაზრდილა ომში, მართალია, მეტად უმნიშვნელოა, მაგრამ მას

შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს. მაგალითად, ომი ავტომატურად წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობებსა და განსაზღვრული კატეგორიის ხელშეკრულებების მოქმედებას მეომარ მხარეებს შორის,²¹ მაშინ, როდესაც მსგავს შედეგებს არ იწვევს ომისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებული საბრძოლო მოქმედებები. ამის მსგავსად, ომის ფორმალურ მდგომარეობას შეიძლება განსაზღვრული შედეგები მოჰყვეს შიდასახელმწიფოებრივ სამართალშიც (მაგალითად, როცა ეს ეხება მტერთან ვაჭრობასა²² და მტრული სახელმწიფოს მოქალაქეების ინტერნირებას).²³ მუხლი 2(4) ეხება ძალის გამოყენების ნებისმიერ შემთხვევას, იმისდა მიუხედავად, ქმნის თუ არა ის ომის ფორმალურ მდგომარეობას.

მეორე მხრივ, მუხლი 2(4) ცუდადაა შედგენილი, ვინაიდან იგი კრძალავს ძალის გამოყენების მუქარას²⁴ მხოლოდ „ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება წესდების მიზნებს“. ეს ტერმინოლოგია იძლევა იმის დასაბუთების შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა მიზნისათვის (მაგალითად, ადამიანის უფლებათა დასაცავად,²⁵ სახელმწიფოს კუთვნილი რომელიმე კანონიერი უფლების განსახორციელებლად) ძალის გამოყენება კანონიერი იყო, ვინაიდან იგი არ იყო მიმართული „რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“. თუმცა ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხსენებამ არ უნდა გადაიტანოს ჩვენი ყურადღება სიტყვებიდან „ნებისმიერი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს“. თუმცა აქ, რომ წესდების პირველი მუხლი, რომელიც გაეროს მიზნებს ეხება, მხოლოდ გაკვირვებით მოიხსენიებს სამართლიანობასა და საერთაშორისო სამართალს (რომელიც შეიძლება გამოგვეყენებინა იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ ძალა, რომელიც ემსახურება საერთაშორისო სამართლისა და სამართლიანობის ინტერესების დაცვას, არ არის უკანონო), პირველ მუხლში მოხსენიებულთა შორის გაეროს ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია „საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება“, რაც უდავოდ იმაზე მიუთითებს, რომ საერთაშორისო მშვიდობის ნებისმიერი დარღვევა ავტომატურად ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს.²⁶

გაეროს წესდების სხვა დებულებების ანალიზი 2(4) მუხლის ფართოდ განმარტების საშუალებას გვაძლევს. პრეამბულაში ნათქვამია, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხები კისრულობენ ვალდებულებას, თავიდან ააცილონ მომავალ თაობას ომის უბედურება, რომელმაც ჩვენი არსებობის მანძილზე ორჯერ ენით აუწერელი ტანჯვა მოუტანა კაცობრიობას“. 2(3) მუხლი კი ავალდებულებს ნევრებს, „მათ შორის წამოჭრილი საერთაშორისო დავები მშვიდობიანი მეთოდებით ისე გადაჭრან, რომ ამით საფრთხე არ შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას“.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2(4) მუხლი ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული, განმტკიცებულია *კორფუს არხის საქმეში* (Corfu Channel Case).²⁷ ამ საქმეში, ბრიტანული სამხედრო გემები ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლისას²⁸ ნალმზე აფეთქდა და დიდმა ბრიტანეთმა დანალმული ველის გასანმენდად დამატებით გაგზავნა სამხედრო გემები (Operation Retail). ზოგადად, მშვიდობიანი გავლის უფლება არ მოიცავს განნალმვას, მაგრამ დიდი ბრიტანეთის მტკიცებით, მას ჰქონდა ინტერვენციის უფლება, იმისათვის, რომ ნალმი²⁹ მტკიცებულების სახით ნამდვილად ყოფილიყო წარდგენილი საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე. საერთაშორისო სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი:

სასამართლო ინტერვენციის უფლებას მხოლოდ ძალის პოლიტიკის დემონ-

²¹ J. Delbruck, War, Effect on Treaties, *EPIL* 4 (1982), 310-15; იხ. აგრეთვე, Steinel, *ibid.*, 303-10 და თ. 9.

²² CD. Wallace, Trading with the Enemy, *EPIL* 4 (1982), 245-9. 23 K.J. Madders, Internment, *EPIL* 11 (1995), 1403-14. იხ. აგრეთვე, J.M. Mossner, Enemies and Enemy Subjects, *ibid.*, 82-7; I. Seidl-Hohenveldern, Enemy Property, *ibid.*, 87-90.

²⁴ იხ. R. Sadurska, Threats of Force, *AJIL* 82 (1988), 239-68; Ranzelzhofer, Article 2(4), *op. cit.*, 118.

²⁵ იხ. თ. 14 და თ. 22.

²⁶ იხ. აგრეთვე, Ranzelzhofer, Article 2(4), *op. cit.*, 117-8. გაეროს წესდების 1-ლი მუხლის ტექსტის თ. 21.

²⁷ *ICJ Rep.* 1949, 4.35. იხ. R. Bernhardt, Corfu Channel Case, *EPIL* (1992), 831-4; Malanczuk (1987), *op. cit.*, 216 et seq. იხ. აგრეთვე, თ. 18.

²⁸ იხ. თ. 12.

²⁹ იხ. G. Hoog, Mines, *EPIL* 3 (1982), 283-5.

³⁰ UNGA Res. 2625 (XXV) of 24 October 1970, *Brownlie BDIL*, 36. იბ. თ. 2.

³¹ იბ. G. Arangio-Ruiz, Third Report on State Responsibility, International Law Commission, Forty-Third Session, UN Doc. A/CN.4/440/Add.1, 19 July 1991.8.

³² 1945-1985 წლებში განხორციელებული 160 შიდა და საერთაშორისო კონფლიქტის სია იბ. U. Borchardt et al., *Die Kriege der Nachkriegszeit, VN* (1986), 68; 1985-1992 წლებისთვის იბ. K.J. Gantzell, *Schwinghammer/J. Siegelberg, Kriege der Welt: Ein-systematisches Register der kriegerischen Konflikte 1985 bis 1992*, 1992.

³³ იბ. თ. 2 და თ. 22.

³⁴ იბ. T.M. Franck, Who Killed Article 2(4)? Or: The Changing Norms Governing the Use of Force by States, *AJIL* 64 (1970), 809-37; L. Henkin, The Reports of the Death of Article 2(4) are Greatly Exaggerated, *AJIL* 65 (1971), 544-8; Malanczuk (1987), *op. cit.*, at 217 *et seq.*; Schachter (1991), *op. cit.*, at 129 *et seq.*; E. Stein, The United Nations and the Enforcement of Peace, *Mich. JIL* 10 (1989), 304, at 314.

³⁵ მაგრამ იბ. G.A. Christenson, The World Court and Jus Cogens, *AJIL* 81 (1987) 93. *iurisdictio*-ის შესახებ იბ. თ. 3.

³⁶ იბ. ქვემოთ.

³⁷ იბ. თ. 22.

სტრიქებად აფასებს, რაც წარსულში სერიოზული დარღვევების საფუძველი გახდა და რომელიც, როგორც ხარვეზებიც უნდა ჰქონდეს ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციას, არ შეიძლება აისახოს საერთაშორისო სამართალში.

გარდა ამისა, სასამართლომ განაცხადა:

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ... Operation Retail-ი თვითდაზმარებისა და თავდაცვის მეთოდებს მიაკუთვნა. სასამართლოს არ შეუძლია, მიიღოს ეს არგუმენტი. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული სუვერენიტეტის პატივისცემა საერთაშორისო ურთიერთობათა საფუძველია.

უდავოა, ძლიერი სახელმწიფოსათვის შეიძლება გამაღიზიანებელი იყოს, როცა მას უკრძალავენ ძალის გამოყენებას მისი კანონიერი უფლებების შემლახველი სუსტი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგრამ გაეროს წესდება შექმნილია იმ რწმენით, რომ საერთაშორისო სამართალი არ შეიძლება აღსრულდეს საერთაშორისო მშვიდობის ხარჯზე.

იმის დადასტურებას, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში შეიარაღებული ძალის აკრძალვას ფართო ნორმატიული ხასიათი აქვს, ვხვდებით დეკლარაციაში მეგობრული ურთიერთობების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1970 წელს. დეკლარაცია ადგენს:

არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება, ჩაერიოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რა მიზეზითაც უნდა იყოს, სხვა სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო საქმეებში. ამის შედეგად, შეიარაღებული ჩარევა და ჩარევის ყველა ფორმა ან ყოველგვარი მუქარა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს სამართალსუბიექტობის ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძველების წინააღმდეგ, საერთაშორისო სამართლის დარღვევაა³⁰.

თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში ძალის გამოყენების აკრძალვა და მისი შეზღუდვები საერთაშორისო სამართალში კარგა ხანია დავის³¹ საგნად რჩება იმ უზარმაზარი სხვაობის გამო, რაც ოფიციალურ რიტორიკასა და სახელმწიფოთა არათანმიმდევრულ, რეალურ პრაქტიკას შორის არსებობს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ 1945 წლის³² შემდგომ მრავალრიცხოვან შეიარაღებულ კონფლიქტებსა და გაეროს კოლექტიური თავდაცვის სისტემის უუნარობას ცივი ომის პერიოდში³³, რამაც თავისთავად წამოჭრა შეკითხვა – შეიძლება მე-2(4) მუხლში ჩამოყალიბებული ნორმა კვლავ ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ?³⁴ თუმცა, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, წესდებამ ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ ამომწურავი წესი დაადგინა, რომელიც იუს ცოგენს³⁵ ნორმად იქნა აღიარებული და რომელიც ამ აკრძალვიდან მხოლოდ იშვიათად უშვებს გამონაკლისებს. საერთაშორისო სასამართლოს უკანასკნელი გადანყვეტილება *ნიკარაგუის საქმესთან* (Nicaragua Case) დაკავშირებით სწორედ ამ მიმართულებით მიდის და შესაბამისი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს განმარტავს, რაც დეტალურად ქვევით იქნება განხილული.³⁶

შესაბამისად, მიღებულია, რომ მუხლი 2(4) უნდა განიმარტოს, როგორც ნორმა, რომელიც მთლიანად კრძალავს ძალის გამოყენებასა და ძალის გამოყენების მუქარას. მიუხედავად ამისა, წესდების სხვა დებულებები ამ პრინციპიდან გამონაკლისებს უშვებს, როგორცაა მაგალითად, გაეროს მიერ სანქცირებული სამხედრო მოქმედებები, ან ძალის გამოყენება თავად გაეროს ან კომპეტენტური რეგიონალური ორგანიზაციის მიერ, რაც განხილული იქნება ქვევით, 22-ე თავში.³⁷

თავდაცვა

თავდაცვა ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპიდან მეორე გამო-
ნაკლისს წარმოადგენს, თუმცა ამ გამონაკლისის მოცულობა დავას იწვევს.
წესდების 51-ე მუხლი, რომელიც ნატოსა და ვარშავის პაქტის³⁸ (გაუქმდა
საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ) არსებობის სამართლებრივი საფუძ-
ველია, ადგენს:

წინამდებარე წესდებაში არაფერი ხელყოფს ინდივიდუალური ან კოლექტიური
თავდაცვის განუყოფელ უფლებას უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო
მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად ზომების მიღებამდე, თუ მოხდება
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრზე თავდასხმა. წევრების მიერ
თავდაცვის ამ უფლების განხორციელებისას მიღებული ზომების შესახებ დაუყო-
ნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს და ამან არანაირად არ უნდა ხელყოს
უშიშროების საბჭოს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული უფლება და
პასუხისმგებლობა, ნებისმიერ დროს მიიღოს ასეთი ზომები, თუ საჭიროდ მიიჩ-
ნევს მათ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და აღ-
დგენისათვის.

შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რა გარემოებების არსებობისას შეიძლება
თავდაცვის უფლების განხორციელება, ვერ იქნა მიღწეული.³⁹

პრევენციული თავდაცვა

ფრაზის „თუ მოხდა შეიარაღებული თავდასხმა“ სიტყვასიტყვით განმარ-
ტება გულისხმობს, რომ თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენებამდე შეიარა-
ღებული თავდასხმა უნდა მოხდეს. არ არსებობს წინასწარი თავდაცვის უფ-
ლება გარდაუვალი თავდასხმის საფრთხის წინააღმდეგ (ფრანგული ტექსტის
მიხედვით, „dans le cas ou un member ... est l'objet d'une agression armee“, ანუ
„სახელმწიფო შეიძლება იყოს თავდასხმის ობიექტი მანამ, სანამ შეიარაღე-
ბულ თავდასხმას ექნება ადგილი“. მაგრამ ესპანური ტექსტი („en caso de ataque
armada“) ინგლისურ ტექსტთან უფრო ახლოა).

მიუხედავად ამისა, წინასწარი თავდაცვის უფლების მომხრეები⁴⁰ აცხა-
დებენ, რომ 51-ე მუხლი არ ზღუდავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არ-
სებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია თავდაცვის უფლების განხორციელება.
ისინი უარყოფენ, რომ სიტყვა „თუ“, როგორც ეს გამოყენებულია 51-ე მუხლში,
ნიშნავს „თუ-ს და მხოლოდ თუ“-ს. ეს არგუმენტი უკიდურეს ფორმას იძენს
იმის განცხადებისას, რომ სახელმწიფოს შეუძლია ძალის გამოყენება თავისი
მრავალრიცხოვანი ინტერესების დასაცავად, მაშინაც კი, როცა არც შეიარა-
ღებული თავდასხმა ყოფილა და არც მისი გარდაუვალი საფრთხე⁴¹. ეს შეხედუ-
ლება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის „სასიცოცხლო ინტერესების“⁴² იდეებს
მოგვაგონებს, ზოგადად უარყოფილია⁴³.

სიძნელე, რომელსაც წინასწარი თავდაცვის უფლების მომხრეები თავიანთ
მიდგომაში აწყებიან, ის არის, რომ ძნელი წარმოსადგენია, რატომ შენუხდე-
ბოდნენ წესდების შემდგენლები თავდაცვის უფლების განხორციელები-
სათვის აუცილებელი პირობების დადგენით, თუ მათ განზრახული არ ჰქონ-
დათ, რომ ეს პირობები ამომწურავი ყოფილიყო. წინასწარი თავდაცვის უფ-
ლების მომხრეები ცდილობენ, ამ არგუმენტს ორი გზით უპასუხოთ: პირ-
ველი, ისინი ამტკიცებენ, რომ არ შეიძლება 51-ე მუხლში ჩამოთვლილი პი-
რობები ამომწურავად მივიჩნიოთ. სხვაგვარად, სიტყვები „თუ მოხდება
შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის წევრზე“ შედეგად მოიტანდა
აბსურდულ სიტუაციას, რომელშიც წევრ სახელმწიფოებს ეკრძალებათ

³⁸ იხ. თ. 6.

³⁹ იხ. B.-O. Bryde, *Self-Defence*, *EPIL* 4 (1982), 212-15; Malanczuk (1987), *op. cit.*; J. Mrazek, *Prohibition of the Threat and Use of Force: Self-Defence and Self-Help in International Law*, *CW*, 27 (1989), 81-111. Dinstein, *op. cit.*; D.K. Linnan, *Self-Defence, Necessity and UN Collective Security: United States and Other Views*, *Duke JCIL* 1 (1991), 51-122; D.W. Greig, *Self-Defence and the Security Council: What Does Article 51 Require?*, *ICLQ* 40 (1991), 366-402; Randalzhofer, *Article 51*, in Simma *CUNAC*, 661-78, K.C. Kenny, *Self-Defence*, in *Wolfrum UNLPPH*, 1162-70; S.A. Alexandrov, *Self-Defence Against the Use of Force in International Law*, 1996 წ. შემოთავაზებული ლიტერატურა.

⁴⁰ იხ. Malanczuk (1987), *op. cit.*, 246-51.

⁴¹ *Bowett, op. cit.*, Chapters 5.6.

⁴² იხ. ზემოთ.

⁴³ იხ. Brownlie (1963), *op. tit.*, 250-7, 281-301; R. Higgins, *The Development of International Law through the Political Organs of the United Nations*, 1963, 216-21.

⁴⁴ib. თ. 22.

⁴⁵ib. G. Ress, Article 53, in *Simma CUNAC*, 722-52; Ress, Article 107, *ibid.*, 1152-62.

⁴⁶ib. თ. 2.

არანეერი სახელმწიფოების თავ-დასხმისაგან დაცვა. პრაქტიკაში სახელმწიფოები პრეტენზიას აცხადებენ არანეერი სახელმწიფოების თავდასხმისაგან დაცვის უფლებაზე. ნატოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო დასავლეთ გერმანიის დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანია გაეროს წევრი მხოლოდ 1973 წელს გახდა. 1945 წელს მოელოდნენ, რომ ფაქტობრივად ყველა სახელმწიფო მსოფლიოში ძალიან მალე გახდებოდა გაეროს წევრი და ამიტომ ის ხან ვეზი, რომ წესდებაში არ არის ნახსენები თავდასხმა არანეერ სახელმწიფოებზე, ალბათ სწორედ ამ წინდაუხედაობის ბრალია. მეორეც, ზემოაღნიშნული ავტორები მიუთითებენ იმაზე, რომ 51-ე მუხლი თავდაცვას „განსაკუთრებულ უფლებად“ მიიჩნევს და თვლიან, რომ წინააღმდეგობრივი იქნებოდა დებულება ზღუდავდეს უფლებას და, იმავდროულად, განუყოფლად ალიკვირებდეს მას. ამ არგუმენტის უარყოფა შედარებით ძნელია და ამიტომ მ. შემდგომი განხილვა სჭირდება.

იმის შეფასებისას, თუ რამდენად ეწინააღმდეგება წინასწარი თავდაცვა გაეროს წესდებას, უპრველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 51-ე მუხლი მე-2(მუხლის გამონაკლისს წარმოადგენს, ხოლო განმარტების საყოველთაო მიღებული წესია, რომ პრინციპიდან გამონაკლისები განმარტება ვინაოდ და არა ისე, რომ პრინციპს აზრი გამოეცალოს. წესდების 53-ე მუხლი ადგენს, რა რეგიონალური შეთანხმებების⁴⁴ წევრებს უფლება აქვთ, გაატარონ იძულებითი ღონისძიებები ყოფილი მტრული სახელმწიფოების⁴⁵ „აგრესიული პოლიტიკის განახლების წინააღმდეგ“ (ეს ტერმინი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე „აგრესია“). ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს აზრი, რომ ეს დებულება საჭირო არ იქნებოდა, 51-ე მუხლი წინასწარი თავდაცვის უფლებას რომ იძლეოდეს (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დათქმა „მტრული სახელმწიფოს“ შესახებ მოძველდა ვინაიდან ყველა ყოფილი მტრული სახელმწიფო უკვე გაეროს წევრია და ალბათ მომავალში მას ამოიღებენ). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნატო და 51-ე მუხლი საფუძველზე შექმნილი მსგავსი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ არა შეიარაღებული თავდასხმის გარდაუვალი საფრთხისაგან, არამედ უშუალოდ შეიარაღებული თავდასხმისაგან დაცვას.

უფრო მეტიც, სამართლის ბევრი თეორეტიკოსისაგან განსხვავებით, აშშ-მ არ დაუმონებია წინასწარი თავდაცვის უფლება იმისათვის, რომ კუბის სარაკეტო კრიზისის დროს კუბის მიმართ დაწესებული „კარანტინი“ გაემართლებინა⁴⁶. აშშ აცნობიერებდა, რომ ამგვარი დამოკიდებულება შექმნიდა პრეცედენტს, რომელიც თავისუფლად შეიძლო გამოეყენებინა საბჭოთა კავშირს ევროპაში განლაგებული ამერიკული რაკეტების წინააღმდეგ რეალურად, ამავე არგუმენტის საფუძველზე, ფაქტობრივად, მსოფლიოში ყველა სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ მას საფრთხეს უქმნიდა მეზობელ სახელმწიფოში შეიარაღების ზრდა და აქედან გამომდინარე, შეუძლია პრევენციულ ომს მიმართოს. თუმცა ისიც მართალია, რომ კუბის სარაკეტო კრიზისი წინასწარი თავდაცვის დოქტრინის მომხრეთა მიერ განხილული ტიპური სიტუაციის კარგი მაგალითი არ არის, ვინაიდან კომუნისტების თავდასხმა ალბათ გარდაუვალი არ იყო. მაგრამ საკითხი – არის თუ არა თავდასხმა გარდაუვალი, დამოკიდებულია შეხედულებასა და თავდასხმის მასშტაბებზე. ხოლო ნებისმიერი წესი, რომელიც ამგვარი კრიტიკული რიუმის საფუძველზე იქმნება, აუცილებლად სუბიექტური იქნება. მეორე მხრივ, თავდაცვა მხოლოდ იმ შემთხვევებით რომ შემოიფარგლოს, სადა შეიარაღებული თავდასხმა მართლა მოხდა, შეცდომა აღარ იარსებებდა. შეიარაღებული თავდასხმა ის ფაქტია, რომელსაც შეგვიძლია ობიექტური კონსტროლი გავუწიოთ.

პრაქტიკული თვალსაზრისით, წინასწარი თავდაცვის უფლების გამოკრიცხვა „უდანაშაულო“ სახელმწიფოს პირველი დარტყმის სამხედრო უპირატესობას ართმევს (თუმცა სახელმწიფოთა შორის სამხედრო კონფლიქტი

დროს პირველი დარტყმის უპირატესობა ისეთი გადამწყვეტი არ არის, როგორც ეს შეიძლება პიროვნებათა შორის ჩხუბისას იყოს). თუმცა წინასწარ თავდაცვასთანაა დაკავშირებული ის სირთულე, რომ სახელმწიფო მხოლოდ იშვიათად შეიძლება აბსოლუტურად იყოს დარწმუნებული მეორე მხარის განზრახვაში. კრიზისულ წუთებში, როდესაც ვარაუდობ, რომ თავდასხმა გარდაუვალია, იშვიათადაა ინფორმაციის შემონახვის დრო. ხომ არ შეიძლება ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოს კაცობრიობის უდიდესი ნაწილის განადგურების უფლება ჰქონდეს მხოლოდ იმის გამო, რომ რადარულ სისტემას ბატის გადაფრენა მტრის რაკეტაში შეეშალა? (წარსულში რადარულ სისტემებს მართლაც მოსვლიათ ასეთი შეცდომები). საბედნიეროდ, ცივი ომის დაძაბულობის პერიოდში არც შეერთებულ შტატებს და არც საბჭოთა კავშირს არ უხდებოდათ წინასწარი თავდაცვის იმედად ყოფნა, ვინაიდან თითოეულმა მათგანმა მოიპოვა საპასუხო დარტყმის შესაძლებლობა.⁴⁷

აღბათ სახიფათო პრეცედენტის შექმნის შიშია იმის მიზეზი, რომ სახელმწიფოები პრაქტიკაში იშვიათად იყენებენ წინასწარი თავდაცვის უფლებას. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ ამ უფლების გამოყენების ნათელი მაგალითი იყო ისრაელის მიერ ერაყის ატომური რეაქტორების დაბომბვა 1981 წელს⁴⁸. ისრაელმა განაცხადა, რომ ერაყს განზრახული ჰქონდა ამ რეაქტორების გამოყენება ისრაელის წინააღმდეგ ატომური ბომბების დასამზადებლად და აქედან გამომდინარე, წინასწარი თავდაცვის მიზნით ისრაელს ჰქონდა რეაქტორების განადგურების უფლება. უშიშროების საბჭომ ერთსულოვნად დაგმო ისრაელის მოქმედება. შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა განაცხადეს, რომ წინასწარი თავდაცვა გამართლებული არ იყო ფაქტებით, *inter alia*, ვინაიდან არ არსებობდა მტკიცებულება, რომ ერაყი რეაქტორის ატომური ბომბის დასამზადებლად გამოყენებას აპირებდა. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს არ განუხილავთ საკითხი, ექნებოდა თუ არა ისრაელს წინასწარი თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენების უფლება, რეაქტორს მისთვის რეალური საფრთხე რომ შეექმნა. სახელმწიფოებმა მსოფლიოს ყველა კუთხიდან განაცხადეს, რომ წინასწარი თავდაცვა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს⁴⁹. წარსულში დიდი ბრიტანეთი წინასწარი თავდაცვის მომხრე იყო⁵⁰, თუმცა საბჭოთა კავშირი მსგავს ქმედებას უკანონოდ თვლიდა⁵¹. 1986 წელს აშშ-მ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტერორისტული აქტების წინააღმდეგ წინასწარი თავდაცვის უფლება გამოიყენა და ამით გაამართლა ლიბიის დაბომბვა.⁵² როდესაც 1967 წელს ეგვიპტემ აკაბის ყურის ბლოკადა აღადგინა, ისრაელის მიერ სინაზე განხორციელებული თავდასხმა და ოკუპაცია ბევრმა კანონიერ პასუხად ჩათვალა⁵³.

ამის გამო სახელმწიფოთა პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ არასრულია (არადამაჯერებელია). თუმცა ძალის ცალმხრივი გამოყენება უბრალოდ იმის გამო, რომ სხვა სახელმწიფოში შეიარაღების ზრდა ან შეიარაღებული ძალების მოდერნიზება ხდება, ბუნებრივია, ძალიან სახიფათოა იმისათვის, რომ ასეთი ქმედება ზოგადად დასაშვები გახდეს. თუმცა ნუთუ ვინმეს მართლა სჯერა, რომ სახელმწიფო „მჯდომარე იხვის“ პოზაში დაიცდის, სანამ „ბომბები მართლა არ ჩამოცვივა მის მიწაზე“?⁵⁴ წინამდებარე წიგნის ავტორის⁵⁵ აზრით, მეორე სახელმწიფოს ამკარად გარდაუვალი შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ, მოცემულ სიტუაციაში ხელმისაწვდომი ყველა დიპლომატიური საშუალების ამონაწერის შემდეგ, წესდება მკაცრად შეზღუდული გამოწვევის სახით უშვებს პრევენციული თავდაცვის უფლებას, იმ პირობებით, როგორც ეს ცნობილ *ქეროლაინის საქმეშია* (Caroline case)⁵⁶. ეს საქმე თავდაცვის უფლების კლასიკურ ილუსტრაციადაა მიჩნეული⁵⁷.

1837 წელს, კანადაში აჯანყების დროს, ბრიტანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი ბრძოლისთვის მზადება შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ

⁴⁷ ბირთვული იარაღის შესახებ იხ. თ. 20.

⁴⁸ Malanczuk (1987), *op. cit.*, 245-51.

⁴⁹ SC Res 487, 19 June 1981, UN Chronicle, 1981, no. 8, 5-9, 61-74, at 68; (1981), 965-97.

⁵⁰ BPL 1963, 206.

⁵¹ B. A. Ramundo, *Peaceful Coexistence*, 1967, 129-33.

⁵² იხ. ქვემოთ.

⁵³ S. Less, *Agaba, Gulf of, EPIL I* (1992), 197-202.

⁵⁴ R. N. Gardner, *Commentary on the Law of Self-Defense*, in Dautrosch/Scheffer (eds), *op. cit.*, 49-53, 51.

⁵⁵ იხ. Malanczuk (1987), *op. cit.*, 246-51, 277-8; იხ. აგრეთვე, ამ წიგნის მე-6 გამოცემა, გვ. 362.

⁵⁶ იხ. W. Meng, *The Caroline, EPIL I* (1992), 537-8; O'Connell, *International Law*, Vol. 1, 2nd edn 1970, 316; Bowett, *op. cit.*, 58-9.

⁵⁷ Greig, *International Law*, 1970, 674-5.

⁵⁸ Webster, *British and Foreign State Papers 1841-1842*, Vol. 30.1858, 193.

⁵⁹ O'Connell, *op. cit.*, 316; Greig (1970), *op. cit.*, 666-7. ნიურნბერგისა და ტოკიოს სასამართლოების შესახებ იხ. თ. 20.

⁶⁰ Greig, *ibid.*, 682

⁶¹ *Ibid.*; იხ. აგრეთვე, A. Verdross/B. Simma, *Universelles Völkerrecht Theorie und Praxis*, 3rd edn 1984, 288 *et seq.*

⁶² იხ. თ. 10.

⁶³ იხ. თ. 22.

⁶⁴ Friendly Relations Declaration 1970, *op. cit.*

⁶⁵ იხ. აგრეთვე, თ. 10.

⁶⁶ SC Res. 502 (1982), 3 April 1982, text in 21 (1982), 679. იხ. *UN Chronicle*, 1982, no. 5.5-10.

აშშ-ს მთავრობამ მის მიწაზე შეიარაღებული აჯანყების ორგანიზების ს ნააღმრესი ზომები მიიღო ხომალდ „კეროლანის“ საქმიანობის შესახებ ლად, რომელიც აშშ-ს პორტებიდან კანადაში აჯანყებულებს ამარაგებდა, ალარ ითმენდა. ბრიტანულმა შეიარაღებულმა ძალებმა კანადიდან ან საზღვარი გადაკვეთეს, „კეროლანი“ ნიუ-იორკის შტატში დააკავეს, ცეცხლს დაუკიდეს და დინების მიმართულებით ისე გაუშვეს, რომ იგი ნიაგარას რქერში ჩაიჩეხა. ხომალდზე თავდასხმის დროს ამერიკის ორი მოქალაქე დაღუპა. ამერიკის ხელისუფლებამ ამ ოპერაციის მონაწილე ერთ-ერთი ბრიტანელი დააპატიმრა, მკვლელობასა და ხანძრის გაჩენაში დაადანაშაულა.

დიდი ბრიტანეთის პროტესტის პასუხად გაგზავნილ კორესპონდენტს დანიელ ვებსტერმა იმგვარად ჩამოაყალიბა პირობები, რომელთა არსებობა დროსაც შესაძლებელია თავდაცვის დამონმება უცხო ტერიტორიაზე შეტევა რელად, რომ ეს პირობები კლასიკად იქცა. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს „თავდაცვის დაუყოვნებელი, გადაულახავი საჭიროება, რომელიც ტოვებს არც ერთ წუთს განსჯისა და საშუალებათა არჩევისათვის“. მიღებული ზომები არ შეიძლება იყოს „არაგონივრული ან გადაჭარბებული“, უნდა მოიფარგლებოდეს ამ საჭიროებით და არ უნდა სცილდებოდეს მის საზღვრებს“.⁵⁸ კეროლანის საქმე ბევრი შემდგომი შემთხვევის დროს იქნა მოწმებული. იგი ასევე გამოიყენა ნიურნბერგის ტრიბუნალმა აგრესიული ომის გაჩაღების ბრალდების განხილვის დროს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლის ავტორებს ვინცებოდათ უახლესი ისტორიის გაკვეთილები და დაჟინებით მოეთხოვათ, რომ „სახელმწიფოს მართებს დაელოდოს აგრესორის დარტყმას, სანამ თავდაცვისათვის რეალურ ზომებს მიიღებდეს“.⁶⁰ მაგალითად, ტოკიოს ტრიბუნალმა გადაწყვიტა, რომ 1941 წლის დეკემბერში გერმანიის მიერ იაპონიისათვის ომის გამოცხადება გამართლებული იყო თავდაცვის მოტივებით, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს იაპონიას გერმანიის ტერიტორიებზე შორეულ აღმოსავლეთში შეტევა განხორციელებული არ ჰქონდა. ისიც საკმარისი იყო, რომ იაპონიამ გააჩნდა საომარი მიზნები, ზემოაღნიშნული ტერიტორიების დაპყრობის ჩათვლით, რის თაობაზეც გადაწყვეტილება 1941 წლის 5 ნოემბრის იმპერალური კონფერენციაზე მიიღეს.⁶¹

თავდაცვა და პრევენციული ტერიტორიის მიმართ

თავდაცვა არ შეიძლება ტერიტორიასთან დაკავშირებული დავების განსაზღვრებად განხორციელდეს. არაკანონიერია სხვა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე თავდასხმა მაშინაც კი, როდესაც ძალად გამოიყენებელი სახელმწიფო თვლის, რომ სადავო ტერიტორიაზე მას უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე ტერიტორიის მფლობელ სახელმწიფოს⁶². გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი წევრი სახელმწიფოებისაგან დავის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრას მოითხოვს⁶³. ეს ვალდებულება ეხება ნაირად ეხება როგორც ტერიტორიულ, ასევე სხვა სახის დავებს. გენერალური ასამბლეის 1970 წლის დეკლარაციაში მეგობრული ურთიერთობების შესახებ ნათქვამია, რომ „თითოეული სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ომის გამოყენების მუქარისაგან, ... როგორც საერთაშორისო დავების, შორის ტერიტორიული დავების გადაწყვეტის საშუალებისაგან“⁶⁴.

1982 წელს, როდესაც არგენტინამ ფოლკლენდის კუნძულები დაიპყრო, უშიშროების საბჭომ გამოსცა რეზოლუცია, რომელიც კუნძულებიდან არგენტინის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა⁶⁵, რათა თავისთავად, არგენტინის მიერ ძალის გამოყენების დაგმობას ნიშნავდა, იორდანიამ და უგანდამ მხარი დაუჭირეს ამ რეზოლუციას და განაცხადეს,

რომ არგენტინის მიერ ძალის გამოყენება უკანონო იყო, მიუხედავად იმისა, რომ, მათი აზრით, არგენტინას ფოლკლენდის კუნძულებზე უფრო მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე დიდ ბრიტანეთს⁶⁷. ტერიტორიის მფლობელ სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით კონკურენტი პრეტენდენტის წინააღმდეგ ძალის გამოყენების უფლება აქვს მაშინაც კი, როდესაც კონკურენტი თვლის, რომ მას ამ ტერიტორიაზე უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე მფლობელ სახელმწიფოს⁶⁸. ორივე სახელმწიფოს, რომლებზედაც ერაცმა თავდასხმა განახორციელა ტერიტორიული პრეტენზიების საფუძველზე სპარსეთის ყურის ოროში (ირანი - 1980 წელს და ქუვეითი 1990 წელს), როგორი საფუძველიანიც არ უნდა ყოფილიყო ერაცის პრეტენზიები, მისგან თავდაცვის უფლება ჰქონდა.⁶⁹

თავდაცვა გეგმასა და თვითფრინავებზე თავდასხმის წინააღმდეგ

თავდაცვის უფლების განხორციელებისათვის აუცილებელი არაა თავდასხმა სახელმწიფოს წინააღმდეგ იყოს მიმართული.⁷⁰ 1949 წლის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-6 მუხლი ითვალისწინებს კოლექტიურ თავდაცვას „ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში ნებისმიერი წევრის ტერიტორიაზე, ... ევროპაში ნებისმიერი წევრის საოკუპაციო ძალებზე, ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონში ნებისმიერი წევრის იურისდიქციის ქვეშ მყოფ კუნძულებზე ... ან ნებისმიერი წევრის ამ ტერიტორიაზე მყოფ გემებსა და თვითმფრინავებზე შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ“. კორფუს არხის საქმეში საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრიტანეთის სამხედრო გემებს, რომელთაც თავს დაესხნენ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლის უფლების განხორციელების დროს, საპასუხო ცეცხლის გახსნის უფლება ჰქონდათ⁷¹.

საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების შეიარაღებული დაცვა

სახელმწიფოთა და ავტორთა უმრავლესობა თანახმაა იმაზე, რომ სახელმწიფოს საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეებზე თავდასხმა სახელმწიფოს არ აძლევს თავისი მოქალაქეების დაცვის მიზნით ძალის გამოყენების უფლებას უცხო სახელმწიფოს თანხმობის გარეშე (ე.წ. „სამხედრო მაშველი ოპერაციები“, როგორებიც იყო, მაგალითად, 1964 წელს ბელგიისა და აშშ-ს სტენლივილის ოპერაცია კონგოში, 1976 წლის ისრაელის მაშველი მისია ქ. ენტებეში, აშშ-ს უნაყოფო მცდელობა თეირანის მძევლების გადასარჩენად 1980 წელს)⁷². სანინააღმდეგო შეხედულების მომხრეები დაჟინებით მოითხოვენ, რომ სახელმწიფოს მოქალაქეებზე თავდასხმა საზღვარგარეთ ან მათი დაცვა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დაცვის გარეშე თავდაცვის სამართალს უნდა უთანაბრდებოდეს⁷³.

გრენადის საქმესთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც აშშ-მ კუნძულზე შეჭრის გასამართლებლად წარმოადგინა, ამერიკის მოქალაქეებისათვის მოსალოდნელი საფრთხე იყო⁷⁴. სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელმა იურისკონსულტმა მისტერ რობინსონმა განაცხადა:

საკუთარი მოქალაქეების დაცვა ძალის გამოყენების საყოველთაოდ მიღებული საფუძველია, რომელიც არ ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას. ვინაიდან აშშ-ს არ განუცხადებია, რომ მართოდ მყოფი მოქალაქეების დაცვა კოლექტიური ძალის გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს ქმნის, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს ნამდვილად ამართლებს შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გადმოსხმას⁷⁵.

⁶⁷ *Ibid.*, at 5-10.
⁶⁸ Bowell, *op. cit.*, 34-6; Brownlie (1963), *op. cit.*, 382-3.
⁶⁹ *ib. cit.*, 22.
⁷⁰ *ib. cit.*, Article 51, *op. cit.*, 670-1.
⁷¹ *ICJ Rep.* 1949, 4, 30-1. ამ საქმესახებრ. ქვემოთ.
⁷² H. Bull (ed.), *Intervention in World Politics*, 1984, 99-118; N. Ronzitti, *Rescuing Nationals Abroad Through Military Coercion and Intervention on Grounds of Humanity*, 1985; Malanczuk (1987), *op. cit.*, 218-19; Warbrick, *Protection of Nationals Abroad, ICLQ* 37 (1988), 1002; R.J. Zedalis, *Protection of Nationals Abroad: Is Consent the Basis of Legal Obligation?*, *Texas ILJ* 25 (1990), 209-70; R.B. Lillich, *Forcible Protection of Nationals Abroad: The Liberian "Incident" of 1990*, *GYIL* 35 (1992), 205; Ranzelzhofer, Article 2(4), *op. cit.*, 124-6; Ranzelzhofer, Article 51, *op. cit.*, 672. *ib. cit.* აგრეთვე, თ. 8 და 17.
⁷³ *ib. cit.*, Gardner, *op. cit.*, at 52.
⁷⁴ *ib. cit.* აგრეთვე, The Statement by Ambassador Motley, Assistant Secretary for Inter-American Affairs, *Dept. State Bull.* 84 (1984), 70 *et seq.* გრენადის აქციის სამართლებრივი შეფასებისთვის *ib. cit.* Dieguez, *The Grenada Intervention: "Illegal" in Form, Sound as Policy*, *NYUJILP* 16 (1984), 1167-204; W.C. Gilmore, *The Grenada Intervention: Analysis and Documentation*, 1984, 65-7, 74; L.S. Doswald-Beck, *The Legality of the U.S. Intervention in Grenada*, *NILR* 31 (1984), 355-77; Joyner, *Reflections of the Lawfulness of Invasion*, *AJIL* 78 (1984), 131; Moore, *Grenada and the International Double Standard*, *ibid.*, 145; Vagts, *International Law under Time Pressure: Grading the Grenada Take-Home Examination*, *ibid.*, 169; L.K. Wheeler, *The Grenada Invasion: Expanding the Scope of Humanitarian Intervention*, *BCICLR* 8 (1985), 413; M.J. Levitan, *The Law of Force and the Force of Law: Grenada, the Falklands, and Humanitarian Intervention*, *Harvard ILJ* 27 (1986), 621; S. Davidson, *Grenada. A Study in Politics and the Limits of International Law*, 1987; R.J. Beck, *The Grenada Invasion. Politics, Law, and Foreign Policy Decisionmaking*, 1993.
⁷⁵ *AJIL* 78 (1984), 664.

⁷⁶ Bryde, *op. cit.*, 217; Beyerlin, Die israelische Befreiungsaktion von Entebbe in völkrechtlicher Sicht, *ZaoRV* 37 (1977), 241.

⁷⁷ *ib.* Beyerlin, *ibid.*, 240, Randalzhofer (1982), *op. cit.*, 273.
⁷⁸ *ib.* Malanczuk (1987), *op. cit.*, 212 *et seq.*, 251-2. *ib.* *op. cit.*, 17.

⁷⁹ Principle 1, Res. 2625 (XXV), *Brownlie BDIL*, 39.

⁸⁰ Dep. State Bull. (1986), 1-2 and 8.

⁸¹ *ib.* ზემოთ.

⁸² *KCA* 1986, 34459.

⁸³ *ib.* R.A. Friedlander, Terrorism, *EPIL* 9 (1986), 371-6; G. Gilbert, The "law" and "Transnational Terrorism", *NYIL* 26 (1995), 3-32. *ib.* ფრუფუტა 7.

⁸⁴ *ib.* V.P. Nanda/T.J. Farer/A. D'Amato, Agon: U.S. Forces in Panama: Defenders, Aggressors or Human Rights Activities?, *AJIL* 84 (1990), 494-524. ნორიეგას საქმის შესახებ *ib.* 7.

⁸⁵ W.M. Reisman, The Raid on Baghdad: Some Reflections on Its Lawfulness and Implications, *EJIL* 5 (1994), 120-33; L. Condorelli, Appropos de l'attaque americaine contre l'Iraq du 26 juin 1993: Lettre d'un professeur desespere aux lecteurs du JEDI, *ibid.*, 134-44; D. Kritsiotis, The Legality of the 1993 US Missile Strike on Iraq and the Right to Self-Defence in International Law, *ICLO* 45 (1996), 162-76. სპარსეთის ყურის ომის შესახებ *ib.* 22.

⁸⁶ *ILM* 35 (1996), 809, at 823, para. 46.

⁸⁷ *ibid.* *ib.* 20.

პოლიტიკური მოტივებით არ შეიძლება მისასაღმებელი იყოს საერთაშორისო სამართლის ისეთი განვითარება, რომელიც ზემოაღნიშნულის მსგავს შემთხვევებში შეიარაღებული ძალის გამოყენების კანონიერებას ცნობს, ვინაიდან ეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენებს ძლიერ სახელმწიფოებს, რომელთაც ამგვარი ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა აქვთ. გარდა ამისა, პრეტენზია საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე შეიძლება ინტერვენციის საბაზი გახდეს, როგორც საერთოდ ხდებოდა ხოლმე ისტორიაში.⁷⁶ მიუხედავად ამისა, არსებობს მაგალითები, რომლებშიც ძნელია, მორალური და პოლიტიკური თვალსაზრისით, შეიარაღებული თვითდახმარების გამოყენება დაგმო. განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სახელმწიფოები ინონებენ ან გაგებით ეკიდებიან სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების დასაცავად განხორციელებულ სამაშველო ოპერაციებს და, მიუხედავად მათი არაკანონიერებისა, შედარებით ნაკლებად გამობენ გაეროს ორგანოები⁷⁷.

შეიარაღებული რეპრესალიები

თავდაცვა არ მოიცავს შეიარაღებული რეპრესალიის უფლებას.⁷⁸ თუ ტერორისტები ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფოდან შევლენ, პირველ სახელმწიფოს შეუძლია ძალა გამოიყენოს ტერორისტების დასაკავებლად ან გასაძევებლად, თუმცა ამის შემდეგ მას არ აქვს მეორე სახელმწიფოზე შურისძიების უფლება მასზე თავდასხმის გზით. უშიშროების საბჭო ხანდახან გამობდა ისრაელს თავისი მეზობლების წინააღმდეგ შეიარაღებული რეპრესალიების განხორციელებისათვის. 1970 წელს გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ „სახელმწიფოები ვალდებული არიან თავი შეიკავონ რეპრესალიებისაგან, რომლებიც ძალის გამოყენებას იწვევენ“⁷⁹. 1986 წლის აპრილში აშშ-მ დასავლეთ ბერლინში ამერიკელ ჯარისკაცებზე ლიბანელი ტერორისტის მიერ განხორციელებული თავდასხმის პასუხად ლიბია დაბომბა, თუმცა აშშ-ს არ უცდია დაბომბვა რეპრესალიით გაემართლებინა. პირიქით, პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, რომ დაბომბვა გამართლებული იყო წესდების 51-ე მუხლით, როგორც „(ლიბიის) ტერორისტული აღჭურვილობის წინააღმდეგ გატარებული გამაფრთხილებელი ზომა“ (ხაზგასმა დამატებულია)⁸⁰. სხვა სიტყვებით, დაბომბვა წინასწარი თავდაცვის აქტი იყო⁸¹, რომელიც მიზნად ისახავდა ლიბიის მომავალი ტერორისტული აქტების თავიდან აცილებას. მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაგმეს ლიბიის დაბომბვა, როგორც „უსაფუძვლო აგრესიის აქტი“⁸². სიტყვა „უსაფუძვლო“ მოწმობს, რომ, ამ ქვეყნების აზრით, ლიბია არ იყო დამნაშავე ტერორიზმში. ამ განმარტების საფუძველზე, მათი განცხადება ვერ წყვეტს საკითხს – იქნებოდა თუ არა აშშ-ს მიერ ლიბიის დაბომბვა სამართლებრივად გამართლებული, ლიბია ტერორიზმში დამნაშავე რომ ყოფილიყო⁸³. აშშ-ს მიერ განხორციელებული სხვა შეიარაღებული ინტერვენციების, მაგალითად, 1989 წელს პანამაში შეჭრის⁸⁴ ან 1993 წლის 26 ივნისს ბალდადის დაბომბვის მსგავსი რეპრესალიების კანონიერება ასევე საეჭვოა⁸⁵.

ატომური იარაღის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარის შესახებ თავის საკონსულტაციო მოსაზრებაში საერთაშორისო სასამართლომ არ განიხილა შეიარაღებული რეპრესალიების საკითხი მშვიდობიან დროს. მაგრამ აღნიშნა, რომ ასეთი რეპრესალიები „უკანონოდ ითვლება“⁸⁶. სასამართლომ ასევე თავი შეიკავა აგრესიული რეპრესალიების საკითხის განხილვისაგან (შეიარაღებული კონფლიქტის დროს). თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ამგვარი რეპრესალიისათვის მიმართვის უფლებას იყენებენ, თავდაცვის მსგავსად, პროპორციულობის პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდნენ“⁸⁷.

დაუყოვნებლივ მოქმედება და პროპორციულობა

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვისათვის გამოყენებული ძალა აუცილებელი, დაუყოვნებელი და შეიარაღებული თავდასხმის სერიოზულობის პროპორციული იყოს⁸⁸. ეს სალი აზრის საკითხია. სხვაგვარად, უმნიშვნელო სასაზღვრო ინციდენტი შეიძლება ყოვლისმომცველი ომის დაწყების საბაზი გახდეს. დაუყოვნებლობის პრინციპის თანახმად, თავდაცვის აქტი შეიარაღებული შეტევის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. ამ მოთხოვნის მიზანია საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტიდან საკმაოდ დიდი ხნის გასვლის შემდეგ თავდაცვის საბაზით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და თავდასხმის თავიდან აცილება. თუმცა დაუყოვნებლობის მოთხოვნისას ინდივიდუალური გარემოებებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამის გამო 1982 წელს, ფოლკლენდის კუნძულების კონფლიქტის დროს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის თვე გავიდა, სანამ ბრიტანული შეიარაღებული ძალები კონტრშეტევისათვის მოემზადებოდნენ, გეოგრაფიული მანძილის გათვალისწინებით, ბრიტანეთის პასუხი დაუყოვნებელი იყო, ვინაიდან ბრიტანულ ფლოტს ნაბრძანები ჰქონდა კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებელი გამგზავრება.

თავდაცვის უფლების ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვებია პროპორციულობისა და აუცილებლობის ტრადიციული მოთხოვნები⁸⁹. რაც შეეხება ჩვეულებით საერთაშორისო სამართალს, ნიკარაგუის საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ „საერთაშორისო სამართალში საყოველთაოდ მიღებული, სპეციალური წესის თანახმად, თავდაცვას მხოლოდ ისეთი ზომები ამართლებს, რომლებიც შეიარაღებული თავდასხმის პროპორციულია და აუცილებელია მასზე რეაგირებისათვის“⁹⁰. თავის საკონსულტაციო მოსაზრებაში ატომური იარაღის კანონიერების საქმესთან დაკავშირებით⁹¹ საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა, რომ ეს ორმაგი წესი თანაბრად ეხება წესდების 51-ე მუხლს, „მიუხედავად იმისა, შეიარაღების რა საშუალებაა გამოყენებული“. შემდეგ სასამართლომ დაადგინა:

პროპორციულობის პრინციპი თავისთავად არ გამოიცხავს ატომური იარაღის გამოყენებას თავდაცვის დროს. მაგრამ, ამავე დროს, თავდაცვის სამართლის მიხედვით, პროპორციული ძალის გამოყენება უნდა აკმაყოფილებდეს შეიარაღებულ კონფლიქტების დროს გამოყენებად სამართალს, კერძოდ, ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებსა და ნორმებს.⁹²

51-ე მუხლის მიხედვით, ძალის ნებადართული გამოყენება იმ მინიმუმით უნდა შემოიფარგლებოდეს, რომელიც აუცილებელია თავდასხმის მოგერიებისათვის, ვინაიდან შურისძიება და დამსჯელი სანქციები აკრძალულია. თუმცა ნათელი არ არის, რის მიხედვით უნდა იზომებოდეს პროპორციულობა – დასასრულის მიხედვით (შეტევის ან მისი გამეორების საფრთხის საბოლოო უკუგდება, *status quo ante*-ს დაცვა ან აღდგენა), თავდაცვისას გამოყენებული საშუალებების (ძალადობის, რომელმაც წარმოშვა პროპორციული და აუცილებელი თავდაცვის უფლება), თუ ორივეს მიხედვით. თუმცა, არსებითად, პროპორციულობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა არის თავდასხმის მოგერიების პროპორციული, თავდაპირველ შეტევასა და საპასუხო მოქმედებას შორის თანაფარდობის მოთხოვნის გარეშე.⁹³ ყოველ შემთხვევაში, 1993 წლის აგვისტოში ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანის შვიდდღიანი დაბომბვა ჩრდილოეთ ისრაელზე ჰეზბოლას სპორადული სარაკეტო თავდასხმების საპასუხოდ, აშკარად არაპროპორციული იყო. თავდაცვის სხვა შეზღუდვებს ომის სამართალი ადგენს⁹⁴.

⁸⁸ *Nicaragua v. USA, ICJ Rep.* 1986, 14, at 94 and 122-3. იხ. Malanczuk (1987), *op. cit.*, 253-5, 278, 280-2; *Ibid.*, 94; J.G. Gardam, *Proportionality and the Use of Force in International Law, AJIL* 87 (1993), 391-413; Ranzhofer, *Article 51, op. cit.*, 677.

⁸⁹ იხ. თავები 1, 4, და 17. ⁹⁰ *Nicaragua case, op.cit.*, at 94, para. 176.

⁹¹ *ILM* 35 (1996), 809, at 822, para. 41.

⁹² *Ibid.*, para. 42.

⁹³ იხ. The Dissenting Opinion of Judge Higgins, *ibid.*, 934, para. 5, with reference to Ago. იხ. აგრეთვე, The Dissenting Opinion of Judge Schwebel, *ibid.*, 839.

⁹⁴ იხ. თ. 20.

⁹⁵ იბ. Malanczuk (1987), *ibid.*, 255-6, 279; J. Delbruck, *Collective Self-Defence*, EPIL I (1992), 656-9; Rundelzhofer, Article 51, *op. cit.*, 675; Kenny, *op. cit.*, 1168-70.

⁹⁶ Bowett, *op. cit.* Chapter 10; R. Mushkat, *Who May Wage War? An Examination of an Old/ New Question*, AUJLP 2 (1987), 97-151, 146-50.

⁹⁷ ICJ Rep 1986, 14, 103-4, 105, 119-22. ამ საკმის შესახებ იხ. ქვემოთ. განსხვავებული აზრისთვის იხ. *Randelzhofer*, Article 51, *op. cit.*

⁹⁸ იბ. თ. 22.

⁹⁹ R.A. Falk (ed.), *The International Law of Civil War*, 1971; D.E.T. Luard (ed.), *The International Regulation of Foreign Intervention in Civil Armed Conflict*, RdC 142 (1974), 291; J.N. Moore (ed.), *Law and Civil War in the Modern World*, 1974; H.R. Gasser, *International Non-International Armed Conflicts: Case Studies of Afghanistan, Kampuchea, and Lebanon*, AULR 31 (1982), 911-26; A. Cassese, *La Guerre civile et le droit international*, RGDIP 90 (1986), 553-78; G. Klintonworth, *Vietnam's Intervention in Cambodia in International Law*, 1989; M. Akehurst, *Civil War*, EPIL I (1992), 597-603; A. Tanca, *Foreign Armed Intervention in Internal Conflict*, 1993; H. McCoubrey/N.D. White, *International Organizations and Civil Wars*, 1995.

¹⁰⁰ Haverland, *Secession*, EPIL 10 (1987), 384-9.

¹⁰¹ იბ. K.J. Partsch, *Israel and the Arab States*, EPIL II (1995), 1460-8; P. Malanczuk, *Israel; Status, Territory and Occupied Territories*, *ibid.*, 1468-508; A.L. Schild *et al.*, *Conflicts, Middle East*, in *Wolfrum UNLPP*, 286-310.

კოლექტიური თავდაცვა

დასასრულ, სადავოა კოლექტიური თავდაცვის ფარგლების საკითხი ნესდების 51-ე მუხლში ლაპარაკია „ინდივიდუალურ ან კოლექტიურ თავდაცვაზე“ და, ზოგიერთის აზრით, კოლექტიური თავდაცვის უფლება, უბრალოდ, თავდაცვის ინდივიდუალურ უფლებათა ერთობლიობაა; სახელმწიფოებ შეუძლიათ კოლექტიურად განახორციელონ უფლება, რომელიც თითოეულმა მათგანს ინდივიდუალურად შეეძლო განეხორციელებინა. ამ შეხედულებების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს სახელმწიფოს დაცვის უფლება, თუ მან იმავე გარემოებებში სამართლებრივად ვერ შეძლო ინდივიდუალური თავდაცვის უფლების განხორციელება. ასე რომ საბერძნეთს არ შეუძლია პერუ თავდასხმისაგან დაცვას, ვინაიდან პერუს თავდასხმა არ ლახავს საბერძნეთის უფლებებსა და ინტერესებს⁹⁶.

სახელმწიფოთა პრაქტიკა ამ შეხედულებას მხარს არ უჭერს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებისა და სხვა მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით თითოეული წევრი კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას მეორე წევრი თავდასხმისაგან. ეს ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ შემთხვევით როცა ერთ წევრზე თავდასხმა საფრთხეს უქმნის მეორე წევრის უფლებებს და ინტერესებს. საქმეში ნიკარაგუა შეერთებული შტატების წინააღმდეგ (*Nicaragua v. USA*) საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო არ აქვს სხვა სახელმწიფოს დაცვის უფლება, თუ ეს სახელმწიფო არ განაცხადებს, რომ ის შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლია და არ სთხოვს პირველ სახელმწიფოს დაცვას⁹⁷. ამგვარი დახმარების თხოვნით მიმართეს ქუვეით და საუდის არაბეთმა შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს 1990 წლის აგვისტოში, ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციის შემდეგ.⁹⁸

სამოქალაქო ომები

სამოქალაქო ომი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ომი ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ორ ან მეტ დაჯგუფებას შორის. ამასთან, შეიძლება, რომ ერთ-ერთი მეომარი მხარე მთავრობა იყოს.⁹⁹ სამოქალაქო ომი შეიძლება დაიწყოს სახელმწიფოს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ან მისი გამომწვევ მიზეზი შეიძლება იყოს მოსახლეობის ერთი ნაწილის სურვილი, გამოეყო სახელმწიფოს და შექმნას ახალი სახელმწიფო.¹⁰⁰ მართალია, სამოქალაქო ომი ეს ორი ტიპი ყველაზე გავრცელებულია, მაგრამ შესაძლებელია სხვა სახის სამოქალაქო ომის არსებობაც. მაგალითად, მემამბოხეთა მიზანი შეიძლება იყოს აიძულოს მთავრობა, რომ მან მისცეს კონცესია (ე.ი. მინიჭოს რეგიონალურ ავტონომია). სამოქალაქო ომი შეიძლება წარმოებდეს ორ მხარეს შორის, ხოლო მთავრობა ნეიტრალური და უმოქმედო დარჩეს (ლიბანი 1975-6).

1945 წლის შემდეგ გამართული ომების უმეტესობა სამოქალაქო ხასიათის იყო. თვით საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების საფუძველიც კი ხშირად სამოქალაქო ომებიდან მომდინარეობდა (მაგალითად, არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის დაპირისპირების მიზეზი იყო ებრაელები და არაბ მოსახლეობას შორის არსებული დაპირისპირება პალესტინაში ბრიტანელთა ბატონობის ბოლო ათწლეულში¹⁰¹). თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოები არ ცდილობენ, გაზარდონ თავიანთი ტერიტორია სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების დაპყრობით; ამის ნაცვლად ისინი თავიანთი გავლენის სფეროებს ზრდიან სხვა სახელმწიფოებში ისეთი ფრაქციების ხელშეწყობით, რომლებიც მათ იდეოლოგიას იზიარებენ. ისეთი იდეოლოგიის არსებობა, რომელიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს, საშიშია ორი მიზეზით: 1) ის ხელს უწყობს სამოქალაქო ომების წარმოშობას; 2) ზრდის იმ

საშიშროებას, რომ სამოქალაქო ომი გადაიზრდება საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტში, რადგან საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც უცხო სახელმწიფოს სამოქალაქო ომში ჩარევის საკითხს შეეხება, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული, როგორც, მაგალითად, ნორმები საერთაშორისო კონფლიქტების აკრძალვის შესახებ.¹⁰² ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შემდეგ მთელ მსოფლიოში გაჩაღდა მრავალი ეთნიკურ-ნაციონალისტური კონფლიქტი, რამაც კიდევ ერთხელ წამოინთა საკითხის მნიშვნელობა.¹⁰³

ინდივიდებს, რომლებსაც ახალი მთავრობის ან ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურთ, ხშირად მემბოხეებს უწოდებენ.¹⁰⁴ ამ ნაშრომშიც ეს ტერმინი იქნება გამოყენებული; ეს ტერმინი უფრო ნაკლები დაძაბულობის მატარებელია, ვიდრე სხვა ტერმინები, როგორიცაა „აჯანყებული“ ან „რევოლუციონერი“. მეორე მხარეს ხშირად უწოდებენ *de jure* მთავრობას ან *de jure* ხელისუფლებას, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იქნება „არსებული ხელისუფლება“. ტერმინი *de jure* შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს, რადგან ის გულისხმობს შეუსაბამო ქვეტექსტებს სახელმწიფოთა აღიარების სამართლის თვალსაზრისით,¹⁰⁵ ამასთანავე ის გულისხმობს, რომ საერთაშორისო სამართალი არსებული ხელისუფლების მხარეზეა, რაც ყოველთვის მართალი არ არის.

სამოქალაქო ომების კანონიერება

საერთაშორისო სამართალში არ არსებობს წესი სამოქალაქო ომების წინააღმდეგ. გაეროს წესდების 2(4) მუხლი კრძალავს ძალის გამოყენებასა და ძალის გამოყენების მუქარას მხოლოდ საერთაშორისო ურთერთობებში. შესაძლებელია, რომ სამოქალაქო ომის მხარეები ერთმანეთს მოლაღატედ თვლიდნენ ეროვნული სამართლის საფუძველზე, მაგრამ არც მემბოხე და არც არსებული ხელისუფლება არ არღვევდეს საერთაშორისო სამართალს. თუმცა, შეიძლება არსებობდეს ერთი გამონაკლისი ამ პრინციპიდან. ძალის გამოყენება თვითგამორკვევის კანონიერი უფლების უგულებელსაყოფად საერთაშორისო სამართლდარღვევად ითვლება; თუმცა ისიც გაურკვეველია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტია თუ სამოქალაქო ომი. ეს საკითხი ქვემოთ უფრო დანვრილებითაა განხილული.¹⁰⁶

უფრო რთული საკითხია უცხო სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს სამოქალაქო ომში ჩარევის კანონიერება. ეს თავი მხოლოდ მესამე სახელმწიფოების მიერ სამოქალაქო ომებში ცალმხრივ ჩარევას ეხება. სამოქალაქო ომში ინტერვენცია, რომელზეც ნებართვა გაერომ გასცა, განხილულია 22-ე თავში.

სხვა სახელმწიფოების მონაწილეობა – ვიამპონეთა დახმარება

საერთაშორისო სამართლის ნორმები განსაზღვრავს, თუ რა სახის დახმარება შეიძლება გაუწიონ ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა მეომარ სახელმწიფოს.¹⁰⁷ წესები, რომლებიც სამოქალაქო ომებში ინტერვენციას (ჩარევას) შეეხება, ნათელი არ არის.¹⁰⁸ ზოგადი წესის თანახმად, სხვა სახელმწიფოებს არ შეუძლიათ დახმარების გაწევა მემბოხეებისათვის სამოქალაქო ომში. მაგალითად, გენერალური ასამბლეის 2131(XX) რეზოლუციის თანახმად:

არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს დივერსიული, ტერორისტული და შეიარაღებული საქმიანობის ორგანიზება, დახმარება, გაჩაღება, ნაქეზება და მხარდაჭერა, თუ ასეთი საქმიანობა მიმართულია სხვა სახელმწიფოს რეჟიმის ძალადობით შეცვლისაკენ, ან არ უნდა ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს სამოქალაქო ომში.¹⁰⁹

¹⁰² იხ. L. Doswald-Beck, The Legal Validity of Military Intervention by Invitation of the Government, *BYIL* 56 (1985), 189-252.

¹⁰³ იხ. ქვემოთ.

¹⁰⁴ იხ. თ. 6.

¹⁰⁵ იხ. თ. 5.

¹⁰⁶ იხ. ქვემოთ.

¹⁰⁷ იხ. თ. 20.

¹⁰⁸ T. Oppermann, Intervention. *EPIL* II (1995), 1436-9; Ranzelzhofer, Article 2(4), *op. cit.*, 116-7. ¹⁰⁹ Res. 2131 (XX), 21 December 1965, *UNYb* 1965, 94; რეზოლუცია მიღებული იქნა 109 ხმით არცერთის წინააღმდეგ.

¹¹⁰იხ. მაგალითად, *Brownlie BDIL*, 42. and (1980), 534, para. 7.

¹¹¹ *ICJ Rep.* 1986, 14, 101-2 and 106-8; *ILM* 31 (1992), 103; *Alt* 86 (1992), 173-4; D'Amato, *Nicaragua and International Law: The "Academic" and the Real*, *Alt* 79 (1985), 657; Kahn, *From Nuremberg to The Hague: The United States Position in Nicaragua v United States and the Development of International Law*, *Yale JIL* 12 (1987), 1; M. Akehurst, *Nicaragua v. United States of America*, *Indian JIL* 27 (1987), 357; K. Highet, *Evidence, the Court, and the Nicaragua Case*, *Alt* 81 (1987), 1; G.L. Scott/J.C.L. Carr, *The ICJ and Compulsory Jurisdiction: The Case for Closing the Clause*, *ibid.*, 57; and the Appraisals of the ICJ's Decision: *Nicaragua v. United States (Merits)* by various authors, *ibid.*, 77; T. Gill, *Litigation Strategy at the International Court, A Case Study of the Nicaragua v. United States Dispute*, 1989; S.M. Schwebel, *Indirect Aggression in the International Court*, in Damrosch/Scheffer, *op. cit.*, 298-303; Greenwood, *The International Court of Justice and the Use of Force*, in V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), *Fifty Years of the International Court of Justice*, 1996, 373-85; J. Crawford, *Military Activities Against Nicaragua Case, EPIL* 111 (forthcoming).

¹¹² იხ. აგრეთვე, ტ. 3 დოკ. 18.

¹¹³ *Nicaragua v. USA*, *op. cit.*, 119.

¹¹⁴ იხ. *Randelzhofer*, Article 2(4), *op. cit.*

¹¹⁵ *Ibid.*, 83-6.

¹¹⁶ H. Lauterpacht, *Revolutionary Activities by Private Persons Against Foreign States*, *AJIL* 22 (1928), 105, 126-7.

¹¹⁷ იხ. ტ. 17.

ამ რეზოლუციაში ჩამოყალიბებული წესი განმტკიცდა მოგვიანებით მიღებულ რეზოლუციებშიც.¹¹⁰ ის განამტკიცა საერთაშორისო სასამართლომ ნიკარაგუა აშშ-ს წინააღმდეგ (*Nicaragua v. USA*) საქმის განხილვის დროს.¹¹¹ 80-იან წლების დასაწყისში ამერიკამ მიიღო ამბოხებულთა წინააღმდეგ მიმართულ სტრატეგია, რომლის მიზანი იყო ნიკარაგუაში სანდინისტების რეჟიმის დამყარებისათვის და რევოლუციური მოძრაობის მეზობელ ქვეყნებში გავრცელებისათვის ხელის შეშლა. ზენოლის შედეგად სამხრეთ ამერიკის სხელმწიფოების მეთაურებმა აშშ-ს დიდძალი სამხედრო დახმარება მიიღეს. გარდა ამისა, აშშ-მ დააარსა და დააფინანსა მთავრობის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ძალა ნიკარაგუაში, რომელსაც „კონტრასს“ უწოდებდნენ. ნიკარაგუაში აშშ-ს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა საერთაშორისო სასამართლოში. მართალია, აშშ-მ არ აღიარა სასამართლოს იურისდიქცია, მაგრამ უკანასკნელმა მაინც განიხილა საქმე და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელმაც განმარტა საკმაოდ ბევრი სამართლებრივი საკითხი.¹¹²

სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-მ დაარღვია საერთაშორისო სამართალი, როდესაც აფინანსებდა „კონტრასს“, რომელიც ნიკარაგუის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებდა. მან ასევე დაადგინა, რომ სამოქალაქო ომში მონაწილეობა „არარეგულარული შეიარაღებული ძალების ან შეიარაღებულ ბანდების ორგანიზების ან მათი ორგანიზების ხელშეწყობის გზით ... სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრის მიზნით“ ან „სამოქალაქო ბრძოლებში მონაწილეობის გზით“ წარმოადგენდა არა მარტო სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევას, არამედ არღვევდა ძალის გამოუყენებლობის პრინციპს სასამართლოს აზრით, „კონტრასის“ შეიარაღება და წვრთნა ძალის გამოყენების აშკარა საფრთხეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გადაწყვეტილება ნათელი არ არის დახმარების სხვა ფორმების სამართლებრივი შეფასებისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ „კონტრასის“ მხოლოდ დაფინანსება „ნამდვილად წარმოადგენს ნიკარაგუის საშინაო საქმეებში ჩარევას, მაგრამ თავისთავად არ ნიშნავს ძალის გამოყენებას“.¹¹³

სასამართლოს არ განუმარტავს, თუ რა სახის დახმარება ან რა შემთხვევებში წარმოადგენს ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას. ამრიგად, წესდების 2(4) მუხლის შინაარსის ფარგლები კვლავ ბუნდოვანად რჩა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალების დახმარებასთან მიმართებაში.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ნიკარაგუა არ იყო პასუხისმგებელი მისი ტერიტორიის გავლით სალვადორში ამბოხებულთათვის იარაღის გადაზიდვისათვის, რადგან ნიკარაგუის მთავრობას არ შეეძლო ტრანსპორტირების შეჩერება.¹¹⁵ ასეთი მსჯელობიდან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიკარაგუა ვალდებული იქნებოდა, შეეჩერებინა იარაღის ტრანსპორტირება, თუ ის ამას შეეძლებოდა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ჩანს, ნიკარაგუის ტერიტორიის გავლით იარაღის ტრანსპორტირებას კერძო პირებმა ახორციელებდნენ თუ სხვა სახელმწიფოს მთავრობის წარმომადგენლებმა. სავარაუდოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ საკითხს არ ჰქონდა მნიშვნელობა ნიკარაგუის სამართლებრივი პოზიციის განსაზღვრისას. ამრიგად, სასამართლომ უარყო ზოგიერთი მეცნიერის პოზიცია,¹¹⁶ რომ სახელმწიფოს არ აქვს სამართლებრივი ვალდებულება, შეაჩეროს კერძო პირების მიერ სხვა სახელმწიფოს მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებულთათვის იარაღის მიწოდება.¹¹⁷ ალბათ შეიძლება გამოთქვას იყოს შემთხვევა, როდესაც არსებულ მთავრობა იღებს საერთაშორისო დახმარებას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოები, რომლებიც მხარს უჭერენ მემამბოხეებს, აცხადებენ, რომ მათ აქვს უფლება, დაეხმარონ მემამბოხეებს, რათა მოხდეს ძალათა დაბალანსება რადგან მთავრობა დახმარებას იღებს სხვა სახელმწიფოებისაგან. 1979 წელს საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა. ეგვიპტე სამხედრო წვრთნებს უტარებდა

და და იარაღს აწვდიდა საბჭოთა კავშირის მიერ ზურგგამაგრებული მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ მემბოხე მუსლიმებს, ხოლო საუდის არაბეთი ფინანსურად ეხმარებოდა მათ.¹¹⁸ ამ უფლებას ხშირად უწოდებენ კონტრინტერვენციას და მის არსებობას იმით ამართლებენ, რომ ის იცავს ქვეყნის დამოუკიდებლობას სამოქალაქო ომის დროს ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებულმა მთავრობამ დაკარგა ხალხის თანადგომა და უცხოელი მხარდამჭერების ნებას გამოხატავს.

უფრო სადავოა განმათავისუფლებელი ომის დროს მემბოხეთათვის დახმარების განწევის უფლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დროს.¹¹⁹ ნიკარაგუა აშშ-ს წინააღმდეგ (*Nicaragua v. USA*) საქმის დროს საერთაშორისო სასამართლომ განიხილა სხვა შესაძლო გამონაკლისი იმ წესიდან, რომლის თანახმადაც, სხვა სახელმწიფომ არ უნდა გაუწიოს დახმარება მემბოხეებს.¹²⁰ აშშ ამტკიცებდა, რომ ეხმარებოდა „კონტრასს“, მაგრამ დახმარება გამართლებული იყო კოლექტიური თავდაცვის მოსაზრებებით,¹²¹ რადგან ნიკარაგუის მთავრობა იარაღით ამარაგებდა სალვადორის მემბოხეებს. სასამართლომ დაადგინა, რომ თავდაცვის უფლების გამოყენება გამართლებულია მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ¹²² და განაცხადა:

შეიარაღებული თავდასხმა უნდა გავიგოთ არა როგორც მხოლოდ მუდმივი შეიარაღებული ძალების მოქმედება საერთაშორისო საზღვრის გასწვრივ, არამედ ის მოიცავს აგრეთვე „სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით შეიარაღებული ჯგუფების, ბანდების, უკანონო ფორმირებების ან დაქირავებულთა გაგზავნას, რომლებიც ახორციელებენ შეიარაღებულ მოქმედებებს სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ“ შეიარაღებული თავდასხმის სახით. ამ აღწერას შეიცავს გენერალური ასამბლეის 3312 (XXIX) რეზოლუციაზე თანდართული აგრესიის დეფინიცია. ის არსებულ ჩვეულებით სამართალს ასახავს. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ უნდა უარყოს, რომ ჩვეულებით სამართალში არსებული შეიარაღებული თავდასხმის აკრძალვა შეიძლება გამოვიყენოთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახელმწიფო აგზავნის შეიარაღებულ ბანდებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ ასეთი ოპერაცია თავისი მასშტაბებითა და შედეგებით შეიძლება შევაფასოთ, როგორც შეიარაღებული თავდასხმა და არა უბრალოდ სასაზღვრო ინციდენტი. მაგრამ სასამართლო არ მიიჩნევს, რომ „შეიარაღებული თავდასხმის“ ცნება მოიცავს მემბოხეებისათვის დახმარებას იარაღით, მატერიალურ-ტექნიკური ან სხვა საშუალებებით.¹²³

სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული განსაზღვრება დაგმეს, როგორც მეტისმეტად ვიწრო განმარტება, მოსამართლეებმა შევებელმა (აშშ) და ჯენინგსმა (დიდი ბრიტანეთი) განსხვავებულ მოსაზრებაში.¹²⁴ სასამართლოს არ განუმარტავს, თუ რა შემთხვევაში იქნება იარაღის მიწოდება ან მატერიალურ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენა ისეთი მასობრივი ხასიათისა, რომ შეიარაღებულ თავდასხმას გაუტოლდეს.¹²⁵ როდის შეუძლია სახელმწიფოს დაიცვას თავი ასეთი არაპირდაპირი ხასიათის თავდასხმისაგან? სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ნიკარაგუა არ იყო პასუხისმგებელი სალვადორელი მემბოხეებისათვის იარაღის მიწოდებისათვის.¹²⁶ აშშ ამტკიცებდა, რომ ნიკარაგუა თავს დაესხა ჰონდურასსა და კოსტა-რიკას. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო აშშ-ს მიერ „კონტრასის“ დახმარების საფუძველი კოლექტიური თავდაცვის მიზნებისათვის, რადგან (სხვა მიზეზებთან ერთად) ჰონდურასსა და კოსტა-რიკას არ უთხოვიათ აშშ-სათვის დახმარება კოლექტიური თავდაცვის მიზნებისათვის.¹²⁷

ამრიგად, აშშ-ს განცხადება კოლექტიური თავდაცვის შესახებ უსაფუძველო აღმოჩნდა საქმეზე დადგენილი გარემოებების გამო (რადგან იარაღის მიწოდება სალვადორელი მემბოხეებისათვის არ წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას), თუმცა შესაძლებელი იქნებოდა აშშ-ს წარმატებისათვის

¹¹⁸ KCA1980, 30364, 30385.

¹¹⁹ იხ. ქვემოთ.

¹²⁰ ICJ Rep. 1986, 14, at 103-4, 105, 110-11, 118-23, 126-7.

¹²¹ იხ. ზემოთ.

¹²² წინასწარი თავდაცვის საკითხი (იხ. ზემოთ) მხარეებს არ დაუყენებიათ და ამიტომ არც სასამართლოს განუხილავს.

¹²³ ICJ Rep. 1986, 14, 103-4.

¹²⁴ Ibid., 331-47, 348-50 and 543-4.

¹²⁵ Ibid. იხ. F.M. Higgenbotham, International Law, the Use of Force in Self-Defence, and the Southern African Conflict. *Colum. JTL* 25 (1987), 529-92, 548-50; ID. Gill. The Law of Armed Attack in the Context of the Nicaragua Case, *Hague YIL* (1988), 30-58; L.A. Sicilianos, L'Invocation de la legitime defense face aux activites d'entites non-etatiques. *Hague YIL* 2 (1989), 147-68, 153; Randalzhofer, Article 51, *op. cit.*, 674.

¹²⁶ იხ. ზემოთ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ იხ. თ. 17.

¹²⁷ ICJ Rep. 1986, at 103-4, 105 and 118-23.

¹²⁸ Annex to UNGA Res. 3314 (XXIX); MIL 69 (1975), 480. იხ. T.W. Bennett, A Linguistic Perspective of the Definition of Aggression, GYL 31 (1988), 48-69; B.B. Ferencz, Aggression, EPIL 1 (1992), 58-65.

¹²⁹ ICJRep. 1986,126-7.

¹³⁰ Ibid., 127.

¹³¹ J. Stone, Conflict through Consensus, 1977, 75,183.

¹³² მაგალითად, ზემოხსენებული

მიეღწია სხვაგვარი გარემოებების არსებობისას, კერძოდ: თუ ნიკარაგუის მიერ მეამბოხეების მხარდაჭერა შეიარაღებული თავდასხმის ტოლფასი იქნებოდა (მაგალითად, შეიარაღებულ ძალებს გაგზავნიდა მათ მხარდასაჭერად), მაშინ სალვადორსა და აშშ-ს შეეძლებოდათ დახმარებოდნენ ნიკარაგუელ მეამბოხეებს კოლექტიური თავდაცვის მიზნით. სახელმწიფოს მთავრობის თანხმობის გარეშე ჯარების გაგზავნა მის ტერიტორიაზე არის შეჭრა (invasion), რომელიც გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ აგრესიის განსაზღვრების 3(ა) მუხლშია მოხსენიებული, როგორც აგრესიის ფორმა (და ამიტომაც წარმოადგენს შეიარაღებულ თავდასხმას).¹²⁸ უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მეამბოხეებისათვის იარაღის მიწოდება არ არის შეიარაღებული თავდასხმა, ეს უკანონო ქმედებაა და დაზარალებულ სახელმწიფოს შეუძლია, განახორციელოს საპასუხო ღონისძიებები დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ. მაგრამ საპასუხო ღონისძიებების განხორციელების უფლება მხოლოდ დაზარალებულ სახელმწიფოს აქვს და არა მესამე სახელმწიფოს, ვინაიდან კოლექტიური თავდაცვის უფლება წარმოიშობა შეიარაღებულ თავდასხმის შემთხვევაში.¹²⁹

სასამართლომ დაადგინა:

მართალია, შეიარაღებული თავდასხმა წარმოშობს კოლექტიური თავდაცვის უფლებას, ნაკლები სიმძიმის ძალის გამოყენება... არ წარმოშობს კოლექტიური საპასუხო ღონისძიებების ძალის გამოყენებით განხორციელების უფლებას. ქმედებები, რომლებშიც ბრაღი ედება ნიკარაგუას, ... ამართლებს პროპორციულ საპასუხო ღონისძიებებს ამ ქმედებების მსხვერპლი სახელმწიფოს მიერ ... ისინი ვერ გაამართლებენ მესამე სახელმწიფოს საპასუხო ღონისძიებებს, ... განსაკუთრებით კი ინტერვენციას ძალის გამოყენებით.¹³⁰

გადანყვეტილებიდან ისიც არ არის ნათელი, თუ რა სახის საპასუხო ღონისძიებების განხორციელება შეუძლია მსხვერპლ სახელმწიფოს. გენერალური ასამბლეის რეზოლუცია აგრესიის შესახებ აგრეთვე არ არის ნათელი ამ საკითხზე. ფრაზა „აქტიური მონაწილეობა“ რეზოლუციის ტექსტში იმიტომ შევიდა, რომ მიღწეულიყო კომპრომისი სახელმწიფოებს შორის, რომლებიც თვლიდნენ, რომ მხოლოდ ის სახელმწიფო იყო აგრესიის ჩამდენი, რომელიც გზავნიდა შეიარაღებულ ძალებს ან ჯგუფებს, და რომ აგრესია იყო სხვა სახელმწიფოში სამოქალაქო ბრძოლების მხარდაჭერაც.¹³¹ როგორც ხშირად ხდება კომპრომისულ ფრაზებთან დაკავშირებით, ამ წინადადების შინაარსიც არ არის ნათელი. „აქტიური მონაწილეობა“ უნდა მოიცავდეს იმ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო ნებას რთავს შეიარაღებულ ფორმირებებს, გამოიყენონ მისი ტერიტორია სხვა სახელმწიფოზე თავდასხმის განსახორციელებლად (აგრესიის განსაზღვრების 3(ვ) პუნქტის ანალოგიურად); არ არის ნათელი, მოიცავს თუ არა ის შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო იარაღით ამარაგებს შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც მესამე სახელმწიფოს ტერიტორიას სხვა სახელმწიფოზე თავდასხმისათვის იყენებენ. სასამართლო გადანყვეტილებიდან ნათელია, რომ მუხლი 3(ზ) მეამბოხეების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ისინი ახორციელებენ შეიარაღებულ თავდასხმას საკუთარ მთავრობაზე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან; თუ მეამბოხეები არ კვეთენ სახელმწიფოს საზღვარს, მაშინ ყველაზე აქტიური დახმარებაც კი არ არის 3(ზ) მუხლის დარღვევა (თუმცა ის შეიძლება არღვევდეს აგრესიის დეფინიციის სხვა რომელიმე მუხლს).¹³²

სსკპ სახელმწიფოების მონაწილეობა – არსებული ხელისუფლების დახმარება

თეორია, რომ არსებული ხელისუფლების დახმარება კანონიერია

სახელმწიფოები ხშირად ამტკიცებენ, რომ არსებული ხელისუფლების დახმარება ყოველთვის კანონიერია. ამ მოსაზრებას იმის საფუძველზე ამართლებენ, რომ მთავრობა არის სახელმწიფოს აგენტი¹³³ და სანამ მას საბოლოოდ ჩამოაგდებენ, ის ერთადერთი უფლებამოსილი ძალაა, რომელსაც შეუძლია მოინვიოს უცხოეთის ჯარები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მიიღოს სხვა სახის უცხოური დახმარება, მიუხედავად ასეთი დახმარების შედეგებისა.

ამ წესის მხარდამჭრები მიუთითებენ გამონაკლისზე: როდესაც ამბოხებულებს მეომარ მხარედ ცნობენ,¹³⁴ მაშინ იწყებს მოქმედებას საერთაშორისო ომების დროს მოქმედი წესები ნეიტრალიტეტის შესახებ¹³⁵ და, შესაბამისად, არსებული მთავრობისათვის დახმარება აღარ არის კანონიერი. ეს გამონაკლისი დღეს აღარ არის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე. მეომარ მხარედ აღიარება მოხდა მე-19 საუკუნეში, რამდენიმე სამოქალაქო ომში, განსაკუთრებით კი 1861-1865 წლების აშშ-ს სამოქალაქო ომში,¹³⁶ მაგრამ მე-20 საუკუნეში ის არც ერთ სამოქალაქო ომში არ გამოუყენებიათ.¹³⁷

ამ თეორიის მხარდასაჭერად ხშირად მოჰყავთ არგუმენტი, რომ ინტერვენცია არსებული კანონიერი მთავრობის მოწვევით არ წარმოადგენს დახმარებას, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს სუვერენიტეტის ცნებას.¹³⁸ მაგრამ წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები ბოროტად იყენებდნენ ე.წ. „ინტერვენციის მოწვევას“;¹³⁹ ამიტომ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა წარმოადგენს კანონიერი მთავრობის ნამდვილ თანხმობას.¹⁴⁰

მაგალითად, უნგრეთში (1956), ჩეხოსლოვაკიასა (1968) და ავღანეთში (1979) ინტერვენციის დროს საბჭოთა კავშირი ამტკიცებდა, თითქოს წინააღმდეგობა უნდა გაენათ უცხოური აგრესიისათვის. წინააღმდეგობის განხორციელების გარდა, არსებობდა მისი ჩარევის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი – აღნიშნული სახელმწიფოების კანონიერი მთავრობების მიერ მიწვევა.¹⁴¹

ანალოგიურად, აშშ (გარდა იმისა, რომ ეყრდნობოდა თავდაცვის უფლებას, ამერიკელი მოქალაქეების გადარჩენის აუცილებლობასა და OAS-ის გადაწყვეტილებებს) დომინიკის რესპუბლიკასა (1965 წელი) და გრენადაში (1983 წელი)¹⁴² სამხედრო ინტერვენციას ამართლებდა მთავრობების მიწვევით. დომინიკის რესპუბლიკის შემთხვევაში სახელმწიფოთა უმეტესობამ არ მიიღო ამერიკის გამამართლებელი საბუთები და ამერიკის ინტერვენცია შეაფასა, როგორც ჩარევა დომინიკის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.¹⁴³ გრენადის საქმის დროს კი (1983 წ.) აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი სამართლის დარგში ამტკიცებდა:

სახელმწიფოს კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიწვიონ სხვა ქვეყნის ან კოლექტიური ორგანიზაციის სამხედრო ძალები დასახმარებლად თავის ტერიტორიაზე შიდა არეულობისა და საგარეო საფრთხის მოსაგვარებლად.¹⁴⁴

მიუხედავად ამისა, გენერალ-გუბერნატორ სერ პოლ სკუნის მიერ სამხედრო ძალების მიწვევა ხშირად წარმოშობს ეჭვს. კერძოდ, სადავოა, გენერალ-გუბერნატორმა ასეთი მიწვევა ტერიტორიაზე შეჭრის წინ განახორციელა თუ მას შემდეგ; სადავოა აგრეთვე, ჰქონდა თუ არა გენერალ-გუბერნატორს ასეთი მიწვევის განხორციელების უფლება (კონსტიტუციის თანახმად მხოლოდ ცერემონიალური უფლებამოსილებები ჰქონდა).¹⁴⁵

¹³³ სახელმწიფოებისა და მთავრობების შესახებ იხ. თ. 5.

¹³⁴ E. H. Riedel, Recognition of Belligerency. *EPIL* 4 (1982), 167-71; Riedel, Recognition of Insurgency, *ibid.*, 171-3.

¹³⁵ იხ. თ. 20.

¹³⁶ P. Malanczuk, American Civil War, *EPIL* 1 (1992), 129-31.

¹³⁷ იხ. H. Lauterpacht. *Recognition In International Law*, 1947, 175-269; Rousseau, *Droit international public*, Vol. 3, 1977, 596-604.

¹³⁸ იხ. R. Jennings/A. Watts (eds), *Oppenheim's International Law*, I: Peace, 9th edn. 1992, 435-9.

¹³⁹ იხ. Jennings/Watts. *ibid.*, 436-7.

¹⁴⁰ იხ. J. L. Hargrove, Intervention by Invitation and the Politics of the New World Order, in Damrosch/Scheffer (eds), *op. cit.*, 113; R. Mullerson, Intervention by Invitation or Forced Intervention?, *NCJILCR* 16 (1991), 211; Doswald-Beck, *op. cit.*, Tanca. *op. cit.*

¹⁴¹ იხ. Mullerson. *ibid.*, 128 *et seq.*; M. Weller, Terminating Armed Intervention in Civil War: The Afghanistan Peace Accords of 1988, 1991 and 1993, *FYIL* 5 (1994), 505-689.

¹⁴² იხ. ზემოთ.

¹⁴³ იხ. Mullerson. *op. cit.*, 128-9.

¹⁴⁴ International Law and the United States Action in Grenada: A Report, *JA* 81 (1984), 331.

¹⁴⁵ იხ. ზემოთ.

¹⁴⁶ A.-M. de Zayas, Spanish Civil War, *EPIL* 7 (1984), 434-8.

¹⁴⁷ იბ. B. Nolle, Conflicts, Congo, in *Wolfm UNLPP* 1, 225-32, იბ. თ. 22.

¹⁴⁸ A.P. Higgins (ed.), *Hall's International Law*, 8th edn 1924, 347.

¹⁴⁹ კონტრინტერვენციის შესახებ ნ. ზემოთ.

¹⁵⁰ *EPIL*, 1 963, 87.

თეორია, რომ არსებული მთავრობის დახმარება უკანონოა

ხშირად სხვა სახელმწიფოები ბოროტად იყენებენ მოსაზრებას, რომ არსებული მთავრობისათვის დახმარება კანონიერი აქტია. მაგალითად, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს (1936-1939)¹⁴⁶ იტალია და გერმანია ცდილობდნენ, რომ კანონიერი სახე მიეცათ ნაციონალისტების (ამბოხებულები) დახმარებისათვის და ისინი *de jure* მთავრობად ცნეს. გარდა ასეთი ამკარა დარღვევებისა, არსებობს სიტუაციები, როდესაც ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი მხარეა არსებული ხელისუფლება და რომელი – ამბოხებულები. 1960 წელს კონგო (ახლანდელი ზაირი) დამოუკიდებელი გახდა. ამის შემდეგ ძალიან მალე პრეზიდენტი (კაზავუბუ) და პრემიერ-მინისტრი (ლუმუმბა) ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ორივე ერთმანეთის გადაყენებას ცდილობდა.¹⁴⁷ 1975 წელს ანგოლის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ორმა მტრულად განწყობილმა ნაციონალურმა მოძრაობამ ორი მთავრობა შექმნა. ასეთ შემთხვევაში ძალიან ადვილია, რომ უცხო სახელმწიფომ თავისი პროტყე გამოაცხადოს არსებულ მთავრობად, მეორე მხარე კი – მეამბოხედ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერი მეცნიერის აზრით, ტრადიციულ თვალსაზრისს უფრო სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს. ასეთი ავტორები თვლიან, რომ მთავრობა უფლებამოსილია გამოხატოს ნება, სანამ მას ჩამოაგდებენ. ეს იდეა მცდარია. მთავრობის უფლებამოსილება, რომ იმოქმედოს სახელმწიფოს სახელით არის სწორედ ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც წამოიწვეს ხოლმე, როდესაც სამოქალაქო ომი იწყება.¹⁴⁸

შესაბამისად, რევოლუციის დაწყება სადავოს ხდის აღნიშნული ტერიტორიის სტატუსს და ამიტომაც არსებული მთავრობის უფლება, მოიწვიოს სხვა ქვეყნის დამხარება ტერიტორიაზე კონტროლის შესანარჩუნებლად, შეჩერებულია.

ის იდეა, რომ სხვა სახელმწიფოები არ უნდა ჩაერიონ სამოქალაქო ომში რომელიმე მხარის მხარდაჭერის მიზნით, საკმაოდ გონივრულია. არსებული მთავრობისათვის დახმარება შეიძლება გახდეს მიზეზი სხვა სახელმწიფოსათვის, დაეხმაროს ამბოხებულებს.¹⁴⁹ სწორედ ამიტომ იყო, რომ ევროპული სახელმწიფოების უმეტესობამ ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩაურევლობა გადაწყვიტა. ასეთმა პოლიტიკამ არ გაამართლა, მაგრამ ამის მიზეზი ის იყო, რომ ფაშისტური და კომუნისტური მთავრობები უარს აცხადებდნენ მის შესრულებაზე. ჩაურევლობის პრინციპს მხარს უჭერდნენ სახელმწიფოები და მას კანონიერ ქმედებად განიხილავდნენ. 1963 წელს დიდმა ბრიტანეთმა გაეროს ექვსი კომიტეტის წინაშე განაცხადა:

თუ სახელმწიფოში სამოქალაქო ომი დაიწყო და მეამბოხეები გარედან დახმარებას ან მხარდაჭერას არ იღებენ, მაშინ უკანონოა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა კანონიერებისა და წესრიგის დასაცავად, თვით არსებული რეჟიმის მიერ მიწვევის შემთხვევაშიც კი.¹⁵⁰

მაგრამ სახელმწიფოთა პრაქტიკა ამ სფეროში თანმიმდევრული არ არის. წინა აბზაცში მოყვანილი განცხადების გაკეთებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დიდი ბრიტანეთის მთავრობა იარაღით ამარაგებდა ნიგერიის მთავრობას (1967-1970), ხოლო ამბოხებულებს უარი განუცხადა იარაღის მიყიდვაზეც კი. დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მას ჰქონდა უფლება დახმარებოდა ნიგერიის მთავრობას, რადგანაც მეამბოხეებს მეომარ მხარედ არ ცნობდა. აღსანიშნავია, რომ არსებული მთავრობისათვის დახმარება, როგორც წესი, უმნიშვნელოა, თუ მეამბოხეები უცხოურ დახმარებას არ იღებენ. მთავრობისათვის დახმარება, ჩვეულებრივ, იარაღის მიწოდებით

ამონურება და იშვიათად ხდება, რომ უცხო სახელმწიფომ არსებული მთავრობის დასახმარებლად შეიარაღებული ძალები გაგზავნოს. ასეთი თავშეკავების მიზეზი შეიძლება სამართლებრივ შეზღუდვებში ვეძიოთ, მაგრამ სახელმწიფოები უფრო მეტად თავს იმიტომ იკავებენ, რომ არ უნდათ, რამენაირად სხვა სახელმწიფოების მხრიდან ამბოხებულთა მხარდაჭერის მიზნით სამოქალაქო ომში ჩარევის პროვიცირება მოახდინონ.

¹⁵¹ იხ. ზემოთ.
¹⁵² იხ. ზემოთ.
¹⁵³ იხ. ზემოთ.
¹⁵⁴ იხ. ზემოთ.
¹⁵⁵ იხ. ზემოთ.

კოლექტიური თავდაცვა ხელისუფლების გადატრიალების წინააღმდეგ

ზემოთ ნახსენები გაერთიანებული სამეფოს განცხადება სამოქალაქო ომში ჩაურევლობის შესახებ ითვალისწინებდა ერთ გამონაკლისს: „მეამბოხეები არ იღებენ დახმარებას ან მხარდაჭერას გარედან“. ყოველი სახელმწიფო თავს ვალდებულია თვლის, რომ დაიცვას მოკავშირე ამბოხებისაგან (დახმარება შეიძლება იყოს ამბოხის დაწყების ან უკვე დაწყებული ამბოხის ხელშეწყობა).

დახმარება ამბოხების წინააღმდეგ შეიძლება განვიხილოთ, როგორც კოლექტიური თავდაცვა, რომელსაც გაეროს წესდების 51-ე მუხლი ითვალისწინებს.¹⁵¹ თავდაცვის დროს გამოყენებული ძალა მეორე მხარის მიერ გამოყენებული ძალის პროპორციული უნდა იყოს.¹⁵² ამრიგად, მთავრობისა და მეამბოხეებისათვის განეული უცხოური დახმარება პროპორციული უნდა იყოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ამბოხებულთა მოძრაობა ნაწილობრივ დამოკიდებულია შიდა დახმარებაზე, ნაწილობრივ კი – საგარეოზე. ასეთ შემთხვევაში არსებული მთავრობისათვის განეული დახმარება არ უნდა აღემატებოდეს ამბოხებულებისათვის განეულ დახმარებას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს დახმარების გაზრდა ამბოხებულებისათვის სხვა სახელმწიფოების მხრიდან. ყოველივე ამან შეიძლება იმის საფრთხის გაზრდამდე მიგვიყვანოს, რომ სამოქალაქო ომი ყოველისმომცველ საერთაშორისო კონფლიქტში გადაიზარდოს. რა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტერმინი „პროპორციულობა“ მეტად ხელოვნურია, რადგან უმეტეს შემთხვევებში შეუძლებელი იქნება ამბოხებულთათვის განეული დახმარების ზუსტი შეფასება.

51-ე მუხლი მხოლოდ შეიარაღებული შეტაკების შემთხვევაში გამოიყენება (ან თუ არსებობს შეიარაღებული თავდასხმის აშკარა საფრთხე). ნიკარაგუა აშშ-ს წინააღმდეგ საქმის (Nicaragua v. USA) განხილვის დროს საერთაშორისო სასამართლომ შეიარაღებული თავდასხმა მეტად ვიწროდ განმარტა. ამ განმარტების თანახმად, შეიარაღებული თავდასხმა არ მოიცავდა ამბოხებულებისათვის იარაღის გაგზავნას.¹⁵³ მეორე მხრივ, აშკარაა, რომ მეამბოხეთა დასახმარებლად ჯარების გაგზავნა შეიარაღებული თავდასხმა იქნებოდა.¹⁵⁴ შესაბამისად, თუ ერთი სახელმწიფო ჯარებს გზავნის ამბოხებულთა დასახმარებლად, ეს შეიარაღებულ თავდასხმაა და სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ გაგზავნონ ჯარები არსებული მთავრობის დასახმარებლად. მაგრამ თუ ერთი სახელმწიფო იარაღს უგზავნის ამბოხებულებს, ეს არ არის შეიარაღებული თავდასხმა და სხვა სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იარაღის გაგზავნა არსებული მთავრობისათვის – ეს სამართლის თეთრი ლაქაა (ამ დასკვნის გაბათილების ერთადერთი გზაა, ვამტკიცოთ, რომ ყოველთვის კანონიერია არსებული მთავრობისათვის იარაღის მიწოდება, მიუხედავად იმისა, იღებენ თუ არა იარაღს ამბოხებულები სხვა სახელმწიფოსაგან¹⁵⁵).

ნიკარაგუისა და აშშ-ს საქმის დროს განხილვის საგანი იყო ის, თუ რამდენად ამართლებდა ნიკარაგუის მთავრობის მიერ სალვადორის ამბოხებულთა დახმარება აშშ-ს დახმარებას ნიკარაგუელი ამბოხებულებისათვის, და არა

¹⁵⁶ იხ. ზემოთ.

¹⁵⁷ იხ. ზემოთ.

¹⁵⁸ იხ. R.A. Falk (ed.), *The Vietnam War and International Law*, 4 Vols, 1968-76. იხ. აგრეთვე თ. 2.

ის, თუ რამდენად ამართლებდა ნიკარაგუის მთავრობის დახმარება სალვადორელი ამბოხებულებისათვის აშშ-ს დახმარებას სალვადორის მთავრობისათვის. სასამართლოს დადგენილება, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლება მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ წარმოიშობა, ასევე შეიარაღებული თავდასხმის შეზღუდული განმარტება შეიძლება ანალოგიის წესით გამოყენებულიყო ამბოხების წინააღმდეგ კოლექტიური თავდაცვის ნებისმიერი გამოყენების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოები იშვიათად ასაბუთებენ კოლექტიურ თავდაცვას შეჭრის წინააღმდეგ პრევენციული თავდაცვის უფლებით.¹⁵⁶ უფრო ხშირად ისინი დახმარებას იმით ამართლებენ, რომ ამბოხებულები უცხოურ დახმარებას იღებენ. მაგალითად, აშშ-ს მთავრობა აცხადებდა, რომ ის ვიეტნამის ომში (1965-1973 წწ.) მონაწილეობას იღებდა სამხრეთ ვიეტნამის დასაცავად ჩრდილოეთ ვიეტნამის ამბოხებისაგან და რომ ასეთი ამბოხება დაიწყო აშშ-ს მიერ სამხრეთ ვიეტნამის დასახმარებლად ლონისძიებების გატარებამდე. აშშ-ს მოქმედების ამერიკელი კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგ ამბოხებული პირები მცირეოდენ დახმარებას იღებდნენ ჩრდილოეთ ვიეტნამიდან, ამასთან, ჩრდილოეთ ვიეტნამის მოქმედება იყო კონტრინტერვენცია აშშ-ს ქმედებების საპასუხოდ, რომელიც სამხრეთ ვიეტნამს ეხმარებოდა.¹⁵⁷ აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა 1954 წლის ჟენევის შეთანხმების შედეგებთან დაკავშირებითაც.¹⁵⁸

დასკვნა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფოს მთავრობას შეუძლია დაეხმაროს სხვა სახელმწიფოს არსებულ მთავრობას უცხო სახელმწიფოს გადატრიალების წინააღმდეგ. რაც შეეხება დახმარებას ამბოხებულთა წინააღმდეგ, სახელმწიფოთა პრაქტიკა არათანამიმდევრულია. განსხვავდება არა მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოთა პრაქტიკა, არამედ ერთი სახელმწიფო ერთ წელს ერთგვარად იქცევა, ხოლო მეორე წელს აღარ იმეორებს თავის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას. 1945 წლის შემდეგ დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად, სახელმწიფოები არსებული ხელისუფლების დახმარებას იმით ამართლებდნენ, რომ თითქოს ცდილობდნენ მთავრობის დაცვას უცხო სახელმწიფოს თავდასხმისაგან. ეს დებულება გამართლებულია აშშ-ს ქმედებებთან მიმართებაში შემდეგ შემთხვევებში: ლიბანი (1958), დომინიკის რესპუბლიკა (1965), ვიეტნამი (1965-1973), კუბის ინტერვენცია ოგადენში (1977-1978). თვით საბჭოთა კავშირმაც კი სცადა გაემართლებინა უნგრეთში (1956), ჩეხოსლოვაკიასა (1968) და ვიეტნამში (1979) ინტერვენცია იმით, რომ იცავდა აღნიშნულ სახელმწიფოებს დასავლეთის სახელმწიფოების შეჭრისაგან. ხშირად ფაქტები ეწინააღმდეგება იმას, რითაც სახელმწიფოები იმართლებენ თავს. უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ხშირად იმართლებენ სახელმწიფოები თავს და ისიც, რომ სახელმწიფოთა მსგავსი პრაქტიკიდან შეიძლება დავასკვნათ: სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევა სხვა შემთხვევებში უკანონო იქნება.

ხშირად სახელმწიფოები მზად არიან, დახმარება გაუწიონ სხვა სახელმწიფოს როგორც ამბოხებულთა, ისე გარეშე ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ეს მოხდა ნიგერიის სამოქალაქო ომის დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი იარაღით ამარაგებდნენ ნიგერიის არსებულ ხელისუფლებას 1960-იან წლებში; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დახმარება ერთი ძირითადი ნიშნით განსხვავდებოდა წინა აბზაცებში მითითებული ინტერვენციისაგან – ის არ მოიცავდა ჯარების გაგზავნას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის ახალი ჩვეუ-

ლებითი ნორმა, რომლის თანახმად, სახელმწიფოებს შეუძლიათ ფულითა და იარაღით გაუწიონ დახმარება სხვა სახელმწიფოს არსებულ ხელისუფლებას ნებისმიერი სახის სამოქალაქო ომის დროს, მაგრამ არ შეიძლება ჯარების გაგზავნა არსებული ხელისუფლების დასახმარებლად, თუ არ მიმდინარეობს უცხო სახელმწიფოს ჩარევა.¹⁵⁹

თვითგამორკვევა და ქალის გამოყენება

თვითგამორკვევის პრინციპი შეეხება მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უფლებას – განსაზღვროს თავისი ტერიტორიის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, მაგალითად, შექმნას ახალი სახელმწიფო ან აირჩიოს სხვა სახელმწიფოს ნაწილად გახდომა.¹⁶⁰ 1945 წლამდე რამდენიმე ხელშეკრულებამ მინიჭა ეს უფლება გარკვეული ტერიტორიების მცხოვრებლებს (მაგალითად, ვერსალის ხელშეკრულება იტალიისწინებდა ზემო სილეზიის მოსახლეობის უფლებას, აერჩიათ, სად სურდათ ცხოვრება – პოლონეთში თუ გერმანიაში). სავარაუდოდ, ამ დრომდე თვითგამორკვევის იურიდიული უფლება არ არსებობდა, თუ ის კონკრეტული ხელშეკრულებითარ იყო გათვალისწინებული.

გაეროს წესდების 1(2) და 55-ე მუხლებში აშკარადაა მითითებული, ხოლო 73-ე და 76(ბ) მუხლებში იგულისხმება „ხალხთა თანასწორი უფლებებისა და თვითგამორკვევის პრინციპი“.¹⁶¹ მაგრამ აღნიშნული დებულებები ბუნდოვანია და არ არის ნათელი, წარმოშობს თუ არა სპეციფიკურ უფლებებსა და მოვალეობებს. წესდება არ განმარტავს, თუ რა არის „ხალხი“ და რომელ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, არ აკონკრეტებს ამ უფლების სამართლებრივ შედეგებსაც. არც ისაა მართალი, რომ წესდების ავტორების მიერ „თვითგამორკვევის“ ცნებაში ნაგულისხმევი შედეგები შეესაბამება მოგვიანებით განვითარებულ მოვლენებს.¹⁶² ეს ავტორები „თვითგამორკვევის“ ცნების ჩამოყალიბებისას არ გულისხმობდნენ, რომ დამოკიდებული ხალხები დამოუკიდებლები უნდა გამხდარიყვნენ. კონცეფცია დაკავშირებული იყო სახელმწიფოთა (და არა ინდივიდთა) თანასწორობასთან და მიმართული იყო არსებული სახელმწიფოების ხალხის სხვა სახელმწიფოთაგან დასაცავად.

1945 წლის შემდეგ გენერალური ასამბლეის რეზოლუციებმა გააფართოვეს თვითგამორკვევის უფლების შინაარსი, რათა მნიშვნელოვნად შეეცვალა არსებული საერთაშორისო სამართალი. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო: კოლონიური სახელმწიფოებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაცია, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო 1960 წელს¹⁶³ და 1966 წლის პაქტები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ძალაში შევიდა 1976 წლის მარტში) და სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ (ძალაში შევიდა 1976 წლის იანვარში).¹⁶⁴ ორ პაქტს აქვს ერთნაირი პირველი მუხლი:

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად ადგენენ საკუთარ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.
2. ...
3. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, მათ შორის მათ, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველ და სამეურვეო ტერიტორიებზე, ხელი უნდა შეუწყონ და პატივი სცენ თვითგამორკვევის უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

1970 წლის დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ¹⁶⁵ ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს, რომ ხალხთა

¹⁵⁹ იხ. T. Farer, *Intervention in Civil Wars: A Modest Proposal*, *Colum. LR* (1967), 266.

¹⁶⁰ იხ. D. Thiirer, *Self-Determination*, *EPIL* 8 (1985), 470-80; A. Cassese, *International Law in a Divided World*, 1986, 131 *et seq.*; J. Crawford (ed.), *The Rights of Peoples*, 1992; Tomuschat (ed.), *Modern Law of Self-Determination*, 1993; H. Hannum, *Rethinking Self-Determination*, *Virginia JIL* 34 (1993), 1-69; F.L. Kirgis, Jr., *The Degrees of Self-Determination in the United Nations Era*, *AIL* 88 (1994), 304-10; M. Koskeniemi, *National Self-Determination Today; Problems of Legal Theory and Practice*, *ICLQ* 43 (1994), 241 *et seq.*; R. McCorquodale, *Self-Determination: A Human Rights Approach*, *ibid.*, 857-85; L.R. Beres, *Self-Determination: The Ironies of Self-Determination under International Law*, *Arizona JICL* 11 (1994), 1-26; A. Cassese, *Self-Determination of Peoples. A Legal Reappraisal*, 1995; P. Malanczuk, *Minorities and Self-Determination in International Law*, in N. Sybesma-Kno/I.V. Bellinggen (eds), *Naar een nieuwe interpretatie van het Recht op Zelfbeschikking*, 1995, 169-93; K. Doehring, *Self-Determination*, in *Simna CUNAC*, 56-72; A. Cassese, *The International Court of Justice and the Right of Peoples to Self-Determination*, in Lowe/Fifemaurice (eds), *op. cit.*, 351-63; J. Crawford, *The General Assembly, the International Court of Justice and Self-Determination*, *ibid.*, 585-605; K.-J. Partsch, *Self-Determination*, in *Wolfrum UNLPP II*, 1171-9; H. Hannum, *Autonomy, Sovereignty, and Self-Determination: The Accommodation of Conflicting Rights*, 1996.

¹⁶¹ იხ. კუბო.
¹⁶² R. Higgins, *Postmodern Tribalism and the Right to Secession*, *Comments*, in Brilmann/R. Lefebvre/M. Zieck (eds), *Peoples and Minorities in International Law*, 1993, 29.

¹⁶³ Resolution 1514 (XV) of 14 December 1960, UNYb 1960, 49; *Brownlie BDIL*, 307.

¹⁶⁴ *Brownlie BDIL*, 263 and 276. იხ. თ. 14.

¹⁶⁵ Friendly Relations Declaration 1970, *op. cit.*

¹⁶⁶ *Brownlie BDIL*, 431-2. ოპ.

¹⁶⁷ *East Timor ass (Portugal v. Australia)*, *ICJ Rep.* 1995, 90. ოპ. I.G.M. Scobie, *Self-Determination Undetermined: the Case of East Timor*, *LJIL* 9 (1996), 185-212; ოპ. ოპ. 3 და ოპ. 18.

¹⁶⁸ A. Whelan, *Wilsonian Self-Determination and the Versailles Settlement*, *ICLQ* 43 (1994), 99-115.

¹⁶⁹ D. Rauschnig, *Mandates*, *EPIL* 10 (1987), 288-95; F. Ermarcora, *Mandates*, in *Wolfrum UNLPP II*, 871-6.

¹⁷⁰ *Namibia Case* (1971), *ICJ Rep.* 1971, 16, 28-32.

¹⁷¹ Articles 75-91 UN Charter. ოპ. U. Fastenrath, Articles 73 and 74, in *Simma CUNAC*, 923-31; D. Rauschnig, Articles 75-85, *ibid.*, 933-62; R. Geiger, Articles 86-91, *ibid.*, 963-72; D. Rauschnig, *United Nations Trusteeship System*, *EPIL* 5 (1983), 369-76; F. Ermarcora, *Trusteeship/ Trusteeship Council*, in *Wolfrum UNLPP II*, 1259-66; W.S. Fields, *United States v. Guerrero*, 4 F.3d 749, U.S. Court of Appeals, 9th Cir., September 1, 1993, reported in *AJIL* 88 (1994), 337; A.-M. de Zayas, H. Fox, C.C. Rodriguez Iglesias and M. Fromont, *EPIL* 12 (1990). ოპ. აგრეთვე, E.W. Davies, *The Legal Status of British Dependent Territories - The West Indies and North Atlantic Region*, 1995.

¹⁷² A.-M. de Zayas, *United States: Dependent Territories*, *EPIL* 12 (1990), 388-97, at 390-1.

თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპი მოიცავს ყველა ხალხის უფლებას „გარედან ჩარევის გარეშე თავისუფლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი და იღწოდეს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის,“ აგრეთვე ყოველი სახელმწიფოს ვალდებულებას „პატივი მიაგოს ამ უფლებას წესდების შესაბამისად“. თვითგამორკვევის უფლების განხორციელების მეთოდებია: სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, სხვა სახელმწიფოში გაერთიანება ან ინტეგრაცია ან ხალხის მიერ მოწონებული სხვა პოლიტიკური სტატუსის მიღება. სახელმწიფოთა პრაქტიკის თანახმად, თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპია, რომელსაც *jus cogens* სტატუსი აქვს. საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებული სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ პროექტის მე-19 მუხლი განმარტავს, რომ „საერთაშორისო დანაშაული არსებითი მნიშვნელობის თვითგამორკვევის უფლების დაცვის საერთაშორისო ვალდებულების დარღვევა, როგორცაა ძალის გამოყენებით კოლონიური დომინიონის შექმნა ან შენარჩუნება“. ¹⁶³ როგორც ვნახეთ, აღმოსავლეთ ტიმორის (*East Timor*) საქმეში საერთაშორისო სასამართლომ თვითგამორკვევა მიიჩნია *erga omnes* ვალდებულებად ყოველგვარი შემდგომი განმარტების გარეშე. ¹⁶⁷

მაგრამ რა არის ამ პრინციპის სამართლებრივი შედეგები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საუკეთესო საშუალებაა დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული პრაქტიკის და დაჩაგრულ უმცირესობათა და ჯგუფების შესახებ არსებული მოსაზრებების განხილვა.

სამანდატო, სამეურვეო და არათვითმმართველი ტერიტორიები

სამანდატო ტერიტორიები

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ზოგიერთ მოკავშირეს სურდა მიეერთებინა გერმანიის ყოფილი კოლონიები და თურქეთის იმპერიის არაბულენოვანი ტერიტორიები; მაგრამ ამ მცდელობას წინ აღუდგა პრეზიდენტი ვილსონი, რომელსაც თვითგამორკვევის პრინციპის აღიარება სურდა. ¹⁶⁸ დროთა განმავლობაში კომპრომისს მიაღწიეს: სადავო ტერიტორიების ადმინისტრირებას მოახდენდნენ მოკავშირეები ერთა ლიგის ზედამხედველობის ქვეშ. ამ სისტემას სამანდატო სისტემა უწოდეს. ¹⁶⁹ ერთა ლიგის შეთანხმების 22-ე მუხლი ითვალისწინებდა, რომ სამანდატო ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხს უფლება ექნებოდა ესარგებლა თვითგამორკვევის უფლებით მომავალში, მაგრამ არ უთითებდა ამ უფლების განხორციელების კონკრეტულ ვადას. ¹⁷⁰

სამეურვეო ტერიტორიები

გაეროს წესდება ითვალისწინებს სამეურვეო სისტემის შექმნას ერთა ლიგის სამანდატო სისტემის მოდელის გათვალისწინებით. ¹⁷¹ 1955 წელს 15 სამეურვეო ტერიტორია იყო, რომელსაც შვიდი სხვადასხვა სახელმწიფო მართავდა. უკანასკნელმა სამეურვეო ტერიტორიამ, პალაუმი, რომელიც წყნარი ოკეანის კუნძულებზე მდებარეობს და რომელსაც აშშ მართავდა, ¹⁷² პლებისციტის გზით გადაწყვიტა აშშ-სთან გაერთიანება, რის შემდეგაც 1994 წელს უშიშროების საბჭომ შეწყვიტა პალაუს სამეურვეო სტატუსი. სამეურვეო სისტემამ ამოწურა თავისი მისია და აღარ არსებობს ტერიტორია ასეთი სტატუსით. ყველაზე რთული საქმე იყო სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის (ნამიბიის) საკითხი.

სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა (ნამიბია)

ერთა ლიგის დაშლის შემდგომ მოკლე პერიოდში ერთა ლიგის ყველა სამანდატო ტერიტორია, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის (ნამიბიის) გარდა, დამოუკიდებელი გახდა ან გაეროს სამეურვეო ტერიტორიების სისტემაში გადავიდა. ეს უკანასკნელი გერმანიის კოლონია იყო, შემდეგ კი მას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მართავდა.¹⁷³ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სტატუსი სამხრეთ აფრიკასა და გაეროს შორის გამართული ხანგრძლივი დავის მიზეზად იქცა. ამ საკითხზე საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა ორი გადაწყვეტილება და მიიღო ოთხი საკონსულტაციო მოსაზრება.¹⁷⁴

თავის პირველ საკონსულტაციო მოსაზრებაში სასამართლომ განაცხადა, რომ სამხრეთი აფრიკა არ იყო ვალდებული, გადაეცა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა სამეურვეო სისტემისათვის. ის რომ ასე არ მოქცეულიყო, სამხრეთ აფრიკას მაინც ეკისრებოდა მანდატიდან გამომდინარე ვალდებულებები, ხოლო გაეროს, როგორც ერთა ლიგის სამართალმემკვიდრეს, საზედამხედველო უფლებამოსილებები ჰქონდა.¹⁷⁵ შემდეგი ორი საკონსულტაციო მოსაზრება შეეხებოდა პროცედურას, რომლის თანახმადაც გენერალურ ასამბლეას უნდა განეხორციელებინა ზედამხედველობა.¹⁷⁶

აღნიშნული მოსაზრებები არ იყო სავალდებულო, რადგანაც საკონსულტაციო ხასიათისა იყო. შესაბამისად, სამხრეთ აფრიკამ უარი განაცხადა მათ შესრულებაზე და განაცხადა, რომ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ადმინისტრირებაზე საერთაშორისო ზედამხედველობა დასრულდა მაშინ, როდესაც 1946 წელს ერთა ლიგა დაიშალა. 1960 წელს ერთა ლიგის ორმა წევრმა – ეთიოპიამ და ლიბერიამ სარჩელები შეიტანეს საერთაშორისო სასამართლოში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ. მათ სასამართლოს სთხოვეს, დაედგინა, რომ სამხრეთი აფრიკა არღვევდა მანდატით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, როდესაც სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში დაამყარა აპართეიდის რეჟიმი. თუ სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანდა ლიბერიისა და ეთიოპიის სასარგებლოდ, მაშინ ეს გადაწყვეტილება, საკონსულტაციო მოსაზრებებისაგან განსხვავებით, სავალდებულო იქნებოდა სამხრეთ აფრიკისათვის.

1966 წელს სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სამხრეთ აფრიკა მანდატით გათვალისწინებული ვალდებულებების (კერძოდ კი, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მოსახლეობისადმი მოპყრობის შესახებ) შესრულებაზე ანგარიშვალდებული იყო ერთა ლიგის და არა მისი ცალკეული წევრების წინაშე. სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო ეთიოპიისა და ლიბერიის სარჩელები და განჩინებით დაადგინა, რომ ამ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ ისეთი უფლებებით სარგებლობა, რომლებიც არ ეკუთვნოდათ.¹⁷⁷

სასამართლოს გადაწყვეტილება კრიტიკის საგანი გახდა, განსაკუთრებით აფრიკული და აზიური სახელმწიფოების მხრიდან, რადგანაც სასამართლომ საქმე იმავე საფუძველზე გადაწყვიტა, რომელიც თავად უარყო 1962 წელს, როდესაც გამოსცა წინასწარი დადგენილება, რომელშიც უარყოფდა სამხრეთ აფრიკის საჩივრებს, რომ მას არ ჰქონდა იურისდიქცია საქმეზე.¹⁷⁸ მოსამართლეები, რომლებიც 1962 წელს უმცირესობაში იყვნენ, 1966 წელს უმრავლესობას წარმოადგენდნენ და ახალი გადაწყვეტილება გამოიტანეს ძველი გადაწყვეტილების გაუთვალისწინებლად.

1966 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც აცხადებდა, რომ „სამხრეთ აფრიკამ ვერ შეასრულა სამანდატო ტერიტორიის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვალდებულება ... და ფაქტობრივად უარყო მანდატი.“ რეზოლუციამ შეწყვიტა მანდატის მოქმედება: „სამხრეთ აფრიკას არა აქვს უფლება მართოს ტერიტორია და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა გაეროს პირდაპირი პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა.“¹⁷⁹

საერთაშორისო სასამართლომ 1971 წელს გამოიტანა მორიგი საკონსულტაციო მოსაზრება,¹⁸⁰ რომელშიც განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეა

¹⁷³ იხ. P.-T. Stall, Namibia, in Wolfrum UNLPP II, 904-12; D.S. Haase, Namibia Council, *ibid.*, 913-17.

¹⁷⁴ South West Africa case, ICJ Advisory Opinions of 1950, 1955 and 1956: ICJ Rep. 1950.128-45; 1955, 67-123; 1956.23-71; ICJ Judgments of 1962 and 1966: ICJ Rep. 1962, 319-662; 1966.6-505; ICJ Advisory Opinion of 1971, ICJ Rep. 1971.16-345. იხ. E. Klein, South West Africa/Namibia (Advisory Opinions and Judgments), EPIL 2 (1981), 260-70; Klein, Namibia. EPIL 12 (1990), 232-41. იხ. აგრეთვე, 18.

¹⁷⁵ ICJ Rep. 1950, 128.

¹⁷⁶ ICJ Rep. 1955, 67, and 1956, 23.

¹⁷⁷ ICJ Rep. 1966, 6.

¹⁷⁸ ICJ Rep. 1962, 319.

¹⁷⁹ UNGA Res. 2145 (XXI) Of 27 October 1966, 1966, 606.

¹⁸⁰ ICJ Rep. 1971, 16.

¹⁸¹ *Ibid.*, 27-45.

¹⁸² *Ibid.*, 45-50.

¹⁸³ *Ibid.*, 51-8.

¹⁸⁴ *ib.* M. Spicer, Namibia - Elusive Independence, *The World Today*, Oct. 1980, 406; R. Zucklin, The Problem of Namibia in International Law, *RdC* 171 (1981), 225.

¹⁸⁵ *ib.* *Basic Facts About the United Nations*, 1995, 240-4; Stoll (1995), *op cit*, 908 *et seq.* *ib.* აგრეთვე, E. Schmidt-Jortzig, The Constitution of Namibia: An Example of a State Emerging under Close Supervision and World Scrutiny, *GYL* 34 (1991), 413-28.

¹⁸⁶ J. Brink, Non-Self-Governing Territories, *EPIL* 10 (1987), 316-21.

ერთა ლიგის მემკვიდრეა საზედამხედველო ფუნქციების შესრულების საქმეში¹⁸¹ და, შესაბამისად, მის მიერ მანდატის შეწყვეტა კანონიერი იყო.¹⁸² სასამართლომ აგრეთვე განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკას უნდა გაეყვანა ჯარები სახმრეთ-დასავლეთ აფრიკიდან (ან ნამიბიიდან, როგორც გენერალურმა ასამბლეამ მას უწოდა) და ყველა სახელმწიფო ვალდებული იყო თავი შეეკავებინა სამხრეთ აფრიკასთან ნებისმიერი გარიგების დადებისაგან, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა მანდატის შეწყვეტასთან, უშიშროების საბჭოს სავალდებულო რეზოლუციის თანახმად.¹⁸³

1978 წელს სამხრეთ აფრიკამ განაცხადა, რომ სურდა, ნება დაერთო, რომ არჩევნები ჩატარებულიყო ნამიბიაში გაეროს ზედამხედველობით, რომელიც ამ ტერიტორიის დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. მაგრამ სამხრეთ აფრიკა ვერ შეთანხმდა გაეროსა და ნამიბიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პარტიზანებთან არჩევნების დამცავი მექანიზმების შესახებ, რათა არჩევნები სამართლიანად ჩატარებულიყო, და მრავალი წლის განმავლობაში სამხრეთ აფრიკა განაგრძობდა ნამიბიის მართვას გაეროს ნების წინააღმდეგ.¹⁸⁴ 1988 წლის დეკემბერში გაეროს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში აშშ-ს ხელისუფლების ხელშეწყობით დაიდო სამხრეთი ხელშეკრულება ანგოლას, კუბასა და სამხრეთ აფრიკას შორის. ის გახდა ნამიბიის დამოუკიდებლობის ხელშეწყობი მას შემდეგ, რაც კუბის ჯარები გამოვიდნენ ანგოლიდან და 1989 წლის ნოემბერში არჩევნები ჩატარდა ნამიბიაში გაეროს UNTAG-ის ძალების ზედამხედველობით. ამის შემდეგ სამხრეთ აფრიკის უკანასკნელმა ჯარებმა დატოვეს ნამიბია, რადგან 1990 წლის მარტში დამოუკიდებლობა გამოცხადდა.¹⁸⁵

არათვითმმართველი ტერიტორიები¹⁸⁶

გაეროს წესდების 73-ე მუხლის თანახმად:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები, რომლებიც პასუხს აგებენ ან თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას იმ ტერიტორიების მართვისათვის, რომელთა ხალხებსაც ჯერ არ მიუღწევიათ სრული თვითმმართველობისათვის, აღიარებენ იმ პრინციპს, რომ ამ ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესები უმნიშვნელოვანესია და, როგორც წმიდათაწმიდა მოვალეობას, იღებენ ვალდებულებას, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ამ ტერიტორიების მოსახლეობის კეთილდღეობას წინამდებარე წესდებით დადგენილი მშვიდობისა და უშიშროების საერთაშორისო სისტემის ფარგლებში და ამ მიზნით:

- ა) აღნიშნული ხალხების კულტურის მიმართ სათანადო პატივისცემის დაცვით უზრუნველყონ მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, პროგრესი განათლების სფეროში, სამართლიანი მოპყრობა მათდამი და მათი დაცვა ძალადობისაგან.
- ბ) განავითარონ თვითმმართველობა, სათანადოდ გაითვალისწინონ ამ ხალხების პოლიტიკური მისწრაფებანი და დაეხმარონ მათ თავისუფალი პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებაში თითოეული ტერიტორიისა და მისი ხალხებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებებისა და ამ ხალხების განვითარების განმასხვავებელი საფეხურების შესაბამისად;
- გ) განამტკიცონ საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება;
- დ) ხელი შეუწყონ აღმშენებლობითი ღონისძიებების განვითარებას, წახალისონ გამოკვლევები და ითანამშრომლონ ერთმანეთთან და, სადაც და როდესაც ეს გამართლებულია – საერთაშორისო ორგანიზაციებთან, წინამდებარე მუხლში აღნიშნული სოციალური, ეკონომიკური და სამეცნიერო მიზნების პრაქტიკულად მისაღწევად, და
- ე) რეგულარულად გადასცენ გენერალურ მდივანს ინფორმაციისათვის, ისეთი შეზღუდვებით, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს უშიშროებისა და კონსტიტუციური წესრიგის დაცვის მოსაზრებებით, სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც შეეხება ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, აგ-

რეფერენდუმების პირობებს იმ ტერიტორიებზე, რომლებისთვისაც ისინი შესაბამისად აგებენ პასუხს, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომელთა მიმართაც ვრცელდება XII და XIII თავების მოქმედება.¹⁸⁷

¹⁸⁷ იხ. Fastenrath, *op. cit.*
¹⁸⁸ *Basic Facts, op. cit.*, 234-40.
¹⁸⁹ Resolution 1541 (XV) of 15 December 1960, *UNYb* 1960,509.
¹⁹⁰ იხ. თ. 10.
¹⁹¹ Res. 1514 (XV), *op. cit.*

მუხლი 73 კოლონიებისა და მისი მსგავსი ტერიტორიების მიმართ გამოიყენება. 1946 წლის შემდეგ სულ 72 ტერიტორიას მიენიჭა არათვითმმართველი ტერიტორიის სტატუსი. ამ ტერიტორიების უმეტესობამ დღესდღეობით დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1994 წლისათვის მხოლოდ 17 არათვითმმართველი ტერიტორია იყო დარჩენილი.¹⁸⁸

გენერალური ასამბლეის 1541 (XV) რეზოლუციის თანახმად, არსებობს პრეზუმფცია, რომ 73-ე მუხლი გამოიყენება ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, „რომელიც გეოგრაფიულად გამოყოფილია და ეთნიკურად განსხვავდება მმართველი სახელმწიფოსაგან.“ ეს პრეზუმფცია ძლიერდება, თუ ასეთი ტერიტორია მმართველი სახელმწიფოს მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია.¹⁸⁹ ამრიგად, გენერალური ასამბლეა მიიჩნევს, რომ არათვითმმართველი ტერიტორიები იყო პორტუგალიის ტერიტორიები აფრიკაში, მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალია ამტკიცებდა, რომ აღნიშნული მიწები კოლონიები კი არა, ზღვის გადაღმა პროვინციები იყო. მეორე მხრივ, გენერალური ასამბლეა არასდროს განიხილავდა ჩრდილოეთ ირლანდიას არათვითმმართველ ტერიტორიად.¹⁹⁰ ჩრდილოეთ ირლანდია მცირე მანძილითაა დაშორებული დიდი ბრიტანეთის ძირითადი ტერიტორიისაგან, თანაც კულტურული და ეთნიკური განსხვავებანი უმნიშვნელოა. გარდა ამისა, ის არ არის დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, რადგანაც წარმომადგენლები ჰყავს პარლამენტში.

73-ე მუხლი უფრო ნაკლებ ვალდებულებებს აწესებს, ვიდრე დებულებები სამეურვეო სისტემის შესახებ. ეს მუხლი არ ითვლისწინებს გაეროს ზედამხედველობას. თუმცა, პრაქტიკა განსხვავებულია და გაეროს გენერალური ასამბლეა ახორციელებს ზედამხედველობას მმართველ სახელმწიფოებზე 73(ე) მუხლის ფართო ინტერპრეტაციის საფუძველზე. გაეროში ანტიკოლონიალისტური მოსაზრებების გაძლიერებასთან ერთად არათვითმმართველი ტერიტორიები დამოუკიდებელნი ხდებოდნენ და უეროდებოდნენ გაეროს სისტემას.

ანტიკოლონიალისტური მოძრაობის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1514(XV) რეზოლუცია, რომელიც გენერალურმა ასამბლემ მიიღო 960 წლის 14 დეკემბერს 89 ხმით ნულის წინააღმდეგ. ცხრამ თავი შეიკავა.¹⁹¹ დეკლარაციის თანახმად:

1. ხალხის დაქვემდებარება უცხო ძალის დაქვემდებარებასა და ექსპლუატაციისათვის წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებებზე უარის თქმას, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების წესდებას და არის დაბრკოლება... მსოფლიოს მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის.
2. ყველა ხალხს აქვს თავთვითმმართველობის უფლება, ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად წარმართავენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.
3. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და განათლების მხრივ მომზადებაში არაადეკვატურობა არ შეიძლება გახდეს საფუძველი დამოუკიდებლობის გადადებისათვის.
4. დამოუკიდებელი ხალხის მიმართ შეწყდება ყველა შეიარაღებული ქმედება ან ნებისმიერი სახის რეპრესიული ღონისძიება, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ მშვიდობიანად და თავისუფლად განხორციელონ უფლება სრულ თავისუფლებაზე; ამასთან პატივი უნდა მიეგოს მათი ეროვნული ტერიტორიის მთლიანობას.
5. დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას ნაბიჯები სამეურვეო და არათვითმმართველ ტერიტორიებზე ან ყველა სხვა ტერიტორიაზე, რომელთაც ჯერ არ მოუპოვებიათ

¹⁹² იხ. K. Oellers-Frahm, *Western Sahara (Advisory Opinion)*, *EPIL* 2 (1981), 291-3; *Basic Facts*, 244-9, ნამიბიის შესახებ იხ. ზემოთ.
¹⁹³ Res. 1541 (XV), *op. cit.*
¹⁹⁴ იხ. J. Crawford, *The Creation of States in International Law*, 1979, 367-77.
¹⁹⁵ *Western Sahara case*, *op. cit.*
¹⁹⁶ P.M. Lawrence, *East Timor*, *EPIL* III (1995), 3-4.
¹⁹⁷ იხ. Crawford (1979), *op. cit.*, 377-84; S. Oeter, *Die Entwicklung der Westsahara-Frage unter besonderer Berücksichtigung der völkerrechtlichen Anerkennung*, *ZaoRV* 46 (1986), 48 (იხ. აგრეთვე ტ. 22).
¹⁹⁸ *Eastern Timor Case*, *op. cit.*
¹⁹⁹ იხ. T. Marauhn, *Peacekeeping in a Critical Stage: The Operation in the Western Sahara*, *IP* 2 (1995), 74-8; M. Niejahr, *Conflicts, Western Sahara, in Wolfrum UNLPP* I, 330-7.
²⁰⁰ იხ. *FAZ*, 31 May 1996; *UN Chronicle* 33 (1996), no. 2, 54.

დამოუკიდებლობა, რომ ხელისუფლება გადაეცეს ამ ტერიტორიების ხალხს ... იმისთვის, რომ მათ ისარგებლონ სრული დამოუკიდებლობითა და თავისუფლებით. ნ. ქვეყნის ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი მცდელობა შეუსაბამოა გაერთიანებული ერების წესდების მიზნებთან და პრინციპებთან.

აღნიშნული რეზოლუცია წესდების 73-ე მუხლის ინტერპრეტაციაა. აღსანიშნავია, რომ თვით იმ სახელმწიფოებმაც კი, რომლებმაც 1960 წელს თავი შეიკავეს რეზოლუციის მხარდაჭერისაგან, 1970 წლისათვის აღიარეს რეზოლუცია, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ზუსტი დებულება. ამასთან, საერთაშორისო სასამართლომ მიიღო ასეთი მიდგომა ნამიბიისა და დასავლეთ საჰარის (*Namibia da Western Sahara*) საქმეების განხილვის დროს.¹⁹²

თვითგამორკვევა, ჩვეულებრივ, დამოუკიდებლობის მიღებას ნიშნავს, მაგრამ 1541 (XV) რეზოლუცია ითვალისწინებს დამოუკიდებლობის ალტერნატიულ შესაძლებლობებს, კერძოდ, დამოუკიდებელ სახელმწიფოში ინტეგრაციას ან ნებაყოფლობით განწევრიანებას.¹⁹³ „ინტეგრაცია“ იმას ნიშნავს, რომ ტერიტორია დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნაწილი გახდება, ისე, როგორც ალასკა და ჰავაია აშშ-სათვის. „განწევრიანება“ ნიშნავს, რომ ასოცირებულ სახელმწიფოს აქვს შიდა მთავრობა, ხოლო დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელთანაც გაერთიანდა, პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობებსა და თავდაცვაზე. რეზოლუცია ითვალისწინებს, რომ არათვითმმართველი ტერიტორიის მოსახლეობამ თავისუფლად უნდა გააკეთოს არჩევანი აღნიშნულ ალტერნატივებს შორის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გენერალური ასამბლეა აშკარა უპირატესობას ყოველთვის დამოუკიდებლობას ანიჭებდა თვითგამორკვევის სხვა ფორმებთან შედარებით.¹⁹⁴

ძალიან მცირე ტერიტორიებთან (კოლონიური ანკლავები) დაკავშირებით სხვაგვარი მიდგომა არსებობს. გაეროს წევრთა უმეტესობა თვლის, რომ ტერიტორია, რომელიც რომელიმე სახელმწიფოს ესაზღვრება, ამ უკანასკნელთან უნდა განწევრიანდეს, რადგან აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობა მეტად მცირერიცხოვანია იმისათვის, რომ ცალკე ხალხად ჩაითვალოს. გენერალურმა ასამბლეამ არ მიიჩნია კოლონიურ ანკლავებად აღმოსავლეთ ტიმორი და დასავლეთ საჰარა. მაროკომ და მავრიტანიამ მიიერთეს დასავლეთი საჰარა¹⁹⁵ (ესპანეთის ყოფილი კოლონია) მოსახლეობის თანხმობის გარეშე, ხოლო ინდონეზიამ – აღმოსავლეთი ტიმორი¹⁹⁶ (პორტუგალიის ყოფილი კოლონია). ისინი ცდილობდნენ თავიანთი ქმედება იმით გაემართლებინათ, რომ მოსახლეობა თანახმა იყო მიერთებაზე და, ამასთან, თვითგამორკვევის უფლება ცქონდა. ამიტომ მომხდარის გამო გაეროში წარმომობილი დავა იმას შეეხებოდა, ნამდვილად განხორციელდა თუ, პირიქით, დაირღვა თვითგამორკვევის უფლება.¹⁹⁷ აღმოსავლეთ ტიმორის საქმეზე¹⁹⁸ საერთაშორისო სასამართლომ განამტკიცა ტიმორის მოსახლეობის უფლება თვითგამორკვევაზე, მაგრამ საქმე არ მიიღო წარმობაში იურისდიქციის არარსებობის გამო.

გადაწყდა, რომ დასავლეთ საჰარაში 1992 წელს ჩატარდებოდა რეფერენდუმი, რომელიც გამოხატავდა ესპანეთის ყოფილი კოლონიის მოსახლეობის სურვილს.¹⁹⁹ 1996 წლის მაისში გაეროს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა გაეროს MINURSO მისიის გამოწვევა ტერიტორიიდან იმის გათვალისწინებით, რომ მაროკომ და პოლისარიომ (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა) ერთად განახორციელეს ობსტრუქცია კენჭისყრაში მონაწილეთა სიების წინააღმდეგ.²⁰⁰

გენერალურმა ასამბლეამ არ მიიღო ბრიტანეთის მოსაზრება, რომ ფოლკლენდის მოსახლეობას აქვს თვითგამორკვევის უფლება, რადგანაც კუნძულების 1723 ბრიტანელი მოსახლე ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ხალხად მივიჩნიოთ.

მეორე მხრივ, გენერალური ასამბლეა არც არგენტინის მოსაზრებას იზიარებდა, რომ ფოლკლენდის კუნძულები კოლონიური ანკლავია – ალბათ იმიტომ, რომ ეს ტერიტორია მეტისმეტად დიდია (4700 კვადრატული მილი) და მეტად დაშორებულია არგენტინისაგან (300 მილი). გენერალურმა ასამბლემ მიიღო რეზოლუციები, რომლებშიც არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს რეკომენდაციას აძლევდა, მოლაპარაკებები დაეწყოთ კუნძულების სუვერენიტეტის თაობაზე არსებული დავის მოსაგვარებლად და კოლონიური სტატუსის გასაუქმებლად. არგენტინა განმარტავს, რომ კოლონიური სტატუსის გაუქმება კუნძულების მისთვის გადაცემას ნიშნავს; მაგრამ რეზოლუცია შეიძლება სხვაგვარადაც განიმარტოს, კერძოდ, როგორც კუნძულებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება ან დიდ ბრიტანეთში ინტეგრაცია ან გაერთიანება.²⁰¹

²⁰¹ იხ. თ. 10, გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების დეტალები იხ. *UNYb* 1965, 578-9; 1973, 713-14; *UN Chronicle*, 1983, no. 1,4-5; 1984, no. 1.17; 1986, no. 1,8-10; *KCA* 1985, 33620. 34039.

²⁰² იხ. para. 5 of Res. 1514 (XV); *The Namibia case, ICJ Rep.* 1971, 16, 31.

²⁰³ *Brownlie BOIL*, 44.

²⁰⁴ Articles 1 (2) and 55, *Brownlie, BDIL* 3.19.

²⁰⁵ იხ. GA Res. 2396 (XXIII), *UN Chronicle*, 1969 no. 1.94; GA Res. 31/61, 1976 no. 11.38-45, at 79.

²⁰⁶ იხ. GA Res. 2672 (XXV), *UN Chronicle*, 1971 no. 1.45-8, at 46; GA Res. 3236 (XXIX), 1974 no. 11.36-74; GA Res. 33/23; 1978 no. 11, at 80; UNGA Res. 33/24, *ibid.*, at 81.

²⁰⁷ იხ. თ. 10.

ორმაგი სტანდარტები?

თვითგამორკვევის სამართლებრივი უფლება გამოიყენება არათვითმმართველი ტერიტორიების, სამეურვეო ტერიტორიებისა და სამანდატო ტერიტორიების მიმართ.²⁰² გამოიყენება თუ არა ის სხვა ტერიტორიების მიმართ, ნათელი არ არის. ერთი მხრივ, 1514 (XV) რეზოლუციის მე-2 პარაგრაფის თანახმად, ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება; მეორე მხრივ, კი რეზოლუციის მე-6 აბზაცი კრძალავს გამოყოფას (ან შესაძლო უცხოურ დახმარებას სეპარატისტული მოძრაობისათვის). 1970 წელს გენერალურმა ასამბლემ განაცხადა, რომ თვითგამორკვევის პრინციპი არ რთავს ნებას

რაიმე სახის ქმედებას, რომლის შედეგი იქნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაშლა, თუ [ეს უკანასკნელი] იქცევა ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად და ჰყავს მთავრობა, რომელიც წარმოადგენს მთელ მოსახლეობას რასის, აღმსარებლობისა და კანის ფერის ნიადაგზე დისკრიმინაციის გარეშე.²⁰³

გენერალური ასამბლეის განცხადება შეიძლება განვმარტოთ ისე, რომ, თუ მთავრობა არ წარმოადგენს მთელ მოსახლეობას, მაშინ შეიძლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაშლა.

პრაქტიკაში გაეროს ორგანოები დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობას, გარდა არათვითმმართველ, სამანდატო და სამეურვეო ტერიტორიებთან დაკავშირებული შემთხვევებისა. დასავლეთი ხშირად ბრალს სდებდა გაეროს ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში, მაგრამ ორმაგი სტანდარტები თვით გაეროს წესდებაშია ჩადებული. 73-ე მუხლი (არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ) უფრო მეტად ნათელია, ვიდრე 1(2) და 55-ე მუხლი, სადაც ბუნდოვანი მითითებებია თვითგამორკვევის პრინციპზე, თანაც საერთოდ ბუნდოვანია, წარმოშობს თუ არა ეს უკანასკნელი სამართლებრივ ვალდებულებებს.²⁰⁴

გაეროს მრავალი რეზოლუცია ითვალისწინებდა, რომ სამხრეთ აფრიკის მოსახლეობა სარგებლობდა თვითგამორკვევის უფლებით.²⁰⁵ 1970 წლის შემდეგ გენერალურმა ასამბლემ ასევე მრავალ რეზოლუციაში განაცხადა, რომ პალესტინელებს თვითგამორკვევის უფლება აქვთ.²⁰⁶ მაგრამ არც ერთი რეზოლუცია არ მიუთითებს, თუ რომელი ტერიტორია შეიძლება სარგებლობდეს ამ უფლებით. სავარაუდოდ, იგულისხმებოდა დასავლეთ სანაპირო და ღაზის სექტორი, რომლებიც 1967 წლის შემდეგ ისრაელის ჯარების კონტროლქვეშ იმყოფება, თუმცა, სამართლებრივად ისრაელის ნაწილს არ წარმოადგენს;²⁰⁷ რეზოლუციების განმარტება შეიძლება იმგვარადაც, რომ ისრაელი პალესტინის სახელმწიფომ უნდა შეცვალოს. ისრაელმა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციამ მიაღწიეს შეთანხმებას და 1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ხელი მოეწერა „დეკლარაციას დროებითი

²⁰⁸ იბ. თ. 5.

²⁰⁹ იბ. KCA 1980, 30635.

²¹⁰ იბ. თ. 5.

²¹¹ Res. 3061 (XXVIII), 2 November 1973, U.N.Y.B 1973, 143-7, at 146.

თვითმმართველობის შესახებ“. ამის შემდეგ პროცესი შემოიფარგლა ღაზის სექტორით, იერიქონის რაიონით და დასავლეთ სანაპიროთი, თუმცა გადაუწყვეტილი დარჩა ბევრი საკითხი, ინტერ ალია, პალესტინისა და სხვა ტერიტორიების მუდმივი სტატუსის საკითხი (მათ ავტონომია უნდა მიენიჭოთ თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოაყალიბონ).²⁰⁸

პალესტინელები და სამხრეთ აფრიკის მოსახლეობა (სანამ აპართეიდის რეჟიმი გაუქმდებოდა) არიან ის არაკოლონიური ხალხები, რომელთა თვითგამორკვევის უფლებაც აღიარა გენერალურმა ასამბლეამ. რამდენიმე სახელმწიფო წინააღმდეგობას უწევდა სამხრეთ აფრიკასა და პალესტინასთან დაკავშირებული რეზოლუციების მიღებას. ისინი თავიანთ პოზიციას ამართლებდნენ იმით, რომ თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ კოლონიური სახელმწიფოების მიმართ უნდა გამოიყენებოდა. (მაგრამ 1980 წელს ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ პალესტინას ჰქონდა თვითგამორკვევის უფლება²⁰⁹). მესამე მსოფლიოს ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობს გააბათილოს ეს მოსაზრება იმით, რომ სამხრეთი აფრიკა და პალესტინა „ნეოკოლონიალიზტიები“ იყვნენ; სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანი მოსახლეობის უმეტესობა კოლონიალიზტი მოსახლეობის შთამომავლები იყვნენ; 1948 წელს, როდესაც ისრაელი დამოუკიდებელი გახდა, მისი ებრაელი მოსახლეობის უმეტესობა პალესტინაში შევიდა ერთა ლიგის მანდატით გაერთიანებული სამეფოს მმართველობის დროს. იმის მიუხედავად, თუ რა იყო ძველი სტატუსი, ისრაელი და სამხრეთი აფრიკა დამოუკიდებლები გახდნენ და არ არის გამართლებული, რომ მათდამი მიდგომა განსხვავდებოდა სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებისადმი მიდგომისაგან. სამხრეთ აფრიკის მოსახლეობისათვის და პალესტინისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებამ კიდევ უფრო გაამძაფრა და არ აღმოფხვრა ორმაგი სტანდარტების პრობლემა, მით უმეტეს, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ეს უფლება სხვა არაკოლონიურ ხალხებს არ მიანიჭა.

თვითგამორკვევის უფლების დარღვევის შედეგის შედეგები

თვითგამორკვევის უფლების დარღვევა საერთაშორისო სამართლის მრავალ დარგში აისახება. თვითგამორკვევის უფლების შესახებ ახალი ნორმისა და საერთაშორისო სამართლის ძველი ნორმების ურთიერთქმედება ხშირად ნათელი არ არის, ამიტომაც ქვემოთ მოყვანილი დასკვნები ექსპერიმენტულია.

ახალი სახელმწიფოების შექმნა

ტრადიციულად, გამოყოფა არ ითვლებოდა სახელმწიფოს ფორმირების ფორმად, სანამ სეპარატისტული მოძრაობა სადავო ტერიტორიაზე მუდმივ კონტროლს არ დაამყარებდა.²¹⁰ შეიცვალა თუ არა ეს უფლება თვითგამორკვევის უფლების წარმოშობის შემდეგ? შეუძლია თუ არა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იმის მტკიცება, რომ არის ახალი სახელმწიფოს მთავრობა, სანამ დაამყარებს მუდმივ კონტროლს სადავო ტერიტორიებზე? სავარაუდო პასუხია – არა. ისიც მართალია, რომ გენერალურმა ასამბლეამ 1973 წელს გვინეა-ბისაუ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა, თუმცა სახელმწიფოები, რომლებიც ხმას აძლევდნენ რეზოლუციას, ამტკიცებდნენ, რომ გვინეა-ბისაუს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმ დროისათვის ახორციელებდა კონტროლს ტერიტორიაზე.²¹¹ აღსანიშნავია, რომ ეს რეზოლუცია ითვალისწინებდა კონტროლის შესახებ არსებული წესების გამოყენებას (თუმცა ნაკლები კატეგორიულობით) და არა არსებული წესების გაუქმებას. ნებისმიერ შემთხვევაში, გვინეა-ბისაუს რეზოლუცია ერთადერთია. გაეროს

გენერალურმა ასამბლეამ არც ერთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ აღიარა ახალი სახელმწიფოს მთავრობად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში.

მეორე მხრივ, თვითგამორკვევის უფლების დარღვევით დაარსებული სახელმწიფო საერთაშორისო სამართლისათვის არ არსებობს. 1976 წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ განიზრახა დამოუკიდებლობის მინიჭება მთელი რიგი შავი სახელმწიფოებისათვის (ბანტუსტანები)²¹² სამხრეთ აფრიკული აპარტეიდის პოლიტიკის შესაბამისად.²¹³ გენერალურმა ასამბლეამ აპარტეიდი თვითგამორკვევის უფლების დარღვევად მიიჩნია.²¹⁴ ის თვლიდა, რომ ბანტუსტანების დაარსება უკანონო და სამართლებრივად ბათილი იყო, რადგანაც აპარტეიდის იმპლემენტაციას წარმოადგენდა. გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა სახელმწიფოებს, არ ელიარებინათ ბანტუსტანები და არც ერთმა სახელმწიფომ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარდა) არ აღიარა ისინი.²¹⁵

²¹² E. Klein, South African Bantustan Policy, FP/MO (1987), 393-7. იხ. თ. 5.

²¹³ J. Delbruck, Apartheid, EPIL 1 (1992), 192-6.

²¹⁴ იხ. ზემოთ.

²¹⁵ Res. 34/93 G, UN Chronicle, January 1980, 26. იხ. Crawford (1979), *op. cit.*, 103-6, 219-27.

²¹⁶ Crawford, *ibid.*, 363-4.

²¹⁷ ICJRep. 1960, 6-114, at 39. იხ. L. Weber, Right of Passage over Indian Territory Case, EPIL 2 (1981), 244-6.

²¹⁸ იხ. ჯემოთ.

²¹⁹ იხ. თ. 11.

²²⁰ იხ. თ. 11.

²²¹ T.M. Franck, Postmodern Tribalism and the Right to Secession, in Brolmann/Le-feber/Zieck (eds), *op. cit.*, 3-27, at 9.

ტირიტორიის სამართლებრივი სტატუსი

კოლონიის მმართველი სახელმწიფო ვალდებულია, მისცეს შესაძლებლობა კოლონიის მოსახლეობას, ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით. კარგავს თუ არა სახელმწიფო კოლონიაზე სუვერენიტეტს, თუ ამ ვალდებულებას არ შეასრულებს? არსებობს სხვადასხვა შესაძლებლობა:²¹⁶ 1960 წელს საერთაშორისო სასამართლომ *გავლის უფლების შესახებ (Right of Passage)* საქმის განხილვისას განაცხადა, რომ პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითი უნდა იყოს.²¹⁷ ასეთი პრეზუმფცია მართალია. თვითგამორკვევის შედეგი ხშირად არის დამოუკიდებლობა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, კოლონიური მმართველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო არ განიხილება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სანამ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის საბოლოოდ არ დამთავრდება. მოსაზრება, რომ, თუ კოლონიურ სახელმწიფოს აღარა აქვს ძალაუფლება კოლონიაზე, მაშინ არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს სუვერენიტეტი სადავო ტერიტორიაზე მანამ, სანამ მოსახლეობა კვლავ იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, პრაქტიკასა და თეორიაში ბევრი სირთულეს ბადებს. ამ სირთულეების აღმოფხვრა შესაძლებელი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ კოლონიური სახელმწიფო ინარჩუნებს სუვერენიტეტს იმ დრომდე, სანამ დამოუკიდებლობისათვის მეტბრძოლ ხალხს მიენიჭება უფლება, ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით. მაგალითად, ითვლება, რომ პორტუგალია კვლავ ახორციელებს აღმოსავლეთ ტიმორის²¹⁸ მართვას, მიუხედავად ინდონეზიის სამხედრო ოკუპაციისა.

თვითგამორკვევა არ ხელყოფს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის საზღვრებს. როდესაც კოლონია დამოუკიდებელი ხდება, ის ვალდებულია დაემორჩილოს საზღვრებს, რომლებიც კოლონიური მდგომარეობის დროს გააჩნდა, თუნდაც არ მოსწონდეს ისინი და არსებული საზღვრები ხელოვნურად ყოფდეს ეთნიკურ ჯგუფს. საზღვრების ავტომატური სამართალმემკვიდრეობის პრინციპი უპირატესია თვითგამორკვევის პრინციპთან შედარებით.²¹⁹ აფრიკის დეკოლონიზაცია ეყრდნობოდა *uli possidetis* პრინციპს, რომელიც თავის დროზე გამოიყენეს ესპანეთის ყოფილი კოლონიების დეკოლონიზაციის დროს სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში.²²⁰ ტომას ფრენკის აზრით, დეკოლონიზაცია, ამ აზრით, ნიშნავს, რომ

კოლონიის მოსახლეებს განიხილავდნენ თვითგამორკვევის უფლების მქონე ხალხებად. განსაზღვრული იყო, რომ თვითგამორკვევა უნდა განხორციელებულიყო კოლონიურ საზღვრებში, რომლებიც ხელშეუხებელი დარჩებოდა, თუ ამ საზღვრებში მცხოვრები ხალხები ერთად არ გადაწყვეტდნენ ერთმანეთთან ინტეგრაციას.²²¹

²²² GA Res. A/Res/1514 (XV), *op. cit.*

²²³ იბ. ზეზოი.

²²⁴ იბ. A.M. de Zayas, The International Judicial Protection of Peoples and Minorities, in Brodmann/Lefebver/Zieck (eds), *op. cit.*, 253-87; G. Alfredson/A.M. de Zayas, Minority Rights: Protection by the United Nations, *HRLJ* (1993), 1-9.

²²⁵ Thurer, *op. cit.*, 474.

²²⁶ იბ. Franck (1993), *op. cit.*, at 11 *et seq.*; R. Higgins, Postmodern Tribalism and the Right to Secession, Comments, in Brodmann/Lefebver/Zieck (eds), *op. cit.*, at 33.

²²⁷ K. Ginther, Liberation Movements, *EPIL* 3 (1982), 245-9; H.-J. Uibopuu, Wars of National Liberation, *EPIL* 4 (1982), 343-6; Malanczuk (1987), *op. cit.*; H. A. Wilson, *International Law and the Use of Force by National Liberation Movements*, 1988. იბ. აგრეთვე, თ. 6.

გაეროს წესდების შესაბამისად, გაბატონებული სახელმწიფოთა პრაქტიკა, რომელიც განსხვავდება წესდების მიღებამდე არსებული სიტუაციისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ თვითგამორკვევის უფლება შემოიფარგლება კოლონიური კონტექსტით, ანუ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოების ურთიერთობით კოლონიურ სახელმწიფოებთან. გაეროს გენერალური ასამბლეის 1960 წლის A/Res/1514 (XV) რეზოლუცია ითვალისწინებდა, რომ თვითგამორკვევის უფლება შეიძლება გამოიყენებოდეს „ტერიტორიის მიმართ, რომელიც გეოგრაფიულად გამოყოფილია და ეთნიკურად და/ან კულტურულად განსხვავდება მმართველი სახელმწიფოსაგან“.²²² თუ დამოუკიდებლობა მიღწეული იყო, მაშინ ვრცელდებოდა თვითგამორკვევის უფლება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდნენ, რათა დაეცვათ არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების, აგრეთვე დეკოლონიზაციის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოების მთლიანობა და მთლიანად საერთაშორისო სისტემის სტაბილურობა. ის გავლენას ახდენდა იმ ჯგუფების მდგომარეობის დაცვაზეც, რომლებმაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა ახალ სახელმწიფოებში თვითგამორკვევის უფლების შესახებ სხვა ჯგუფების პრეტენზიების საწინააღმდეგოდ თავიანთ ტერიტორიაზე, და უგულვებელყოფდა კოლონიური სახელმწიფოების მიერ გავლებულ უსამართლო საზღვრებს აფრიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაბატონებულ მოსაზრებასაც ჰყავდა მონინააღმდეგები, მაგალითად, გერმანია ხელახალი გაერთიანების დროს. უფრო მეტიც, 1966 წლის პაქტები ადამიანის უფლებების შესახებ გასცადა კოლონიურ კონტექსტს, როდესაც მიუთითა, რომ თვითგამორკვევის უფლება არ შემოიფარგლება კოლონიების განთავისუფლებით და ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია „ყველა ხალხს“.¹²³ პრობლემა ისაა, რომ ტექსტი არ განმარტავს ამ უფლების სამართლებრივ შედეგებს, თუმცა აღსანიშნავია ადამიანის უფლებების კომიტეტის პრაქტიკა 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტების შესაბამისად.²²⁴

დეკოლონიზაციისა და თვითგამორკვევის დაკავშირება იყო მცდელობა, რომ თავიდან აეცილებინათ არსებული სახელმწიფოების დაშლა. იმ სახელმწიფოთა პრაქტიკა და საქმეები, როგორიცაა ტიბეტი, კატანგა და ბიაფრა, ადასტურებს, რომ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი არ განიხილავს გამოყოფის უფლებას თვითგამორკვევის პრინციპის სამართლებრივ შედეგად.²²⁵ ასეთი ზოგადი ხასიათის უფლების აღიარება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძირითად პრინციპებთან, როგორიცაა სუვერენული თანასწორობა, პოლიტიკური მთლიანობა და პოლიტიკური თავისუფლება. მეორე მხრივ, მართალია, საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს გამოყოფის უფლებას, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ის არც კრძალავს ამ უფლებას.²²⁶ საერთაშორისო სამართალი ამ საკითხში ნეიტრალურია და რეალობასა და ეფექტურობის პრინციპს მიჰყვება.

მთელი პრობლემის არსი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების და ასეთი მოძრაობების მხარდასაჭერად მესამე სახელმწიფოების სამხედრო ინტერვენციის კანონიერებაა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები

თუ საერთაშორისო სამართალი თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობას, ხოლო მისი მმართველი სახელმწიფო უარს აცხადებს დართოს უფლებით სარგებლობის ნება, შეიძლება წარმოიშვას იმის აუცილებლობა, რომ მოსახლეობამ აწარმოოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკაში განსახორციელებლად.²²⁷

დასავლეთის სახელმწიფოები ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს ყოველთვის სამოქალაქო ომად განიხილავდნენ, ხოლო კომუნისტური და მესამე სახელმწიფოები – საერთაშორისო ომად. კლასიფიკაციაში განსხვავება გავლენას ახდენს ომის კანონების გამოყენებაზე,²²⁸ თუმცა სხვა მიზნებისათვის ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

მეცნიერები შეთანხმებული არიან, რომ ხალხებს, რომლებსაც აქვთ თვითგამორკვევის უფლება, შეუძლიათ აწარმოონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი. თვით დასავლეთის სახელმწიფოებიც კი მხარს უჭერენ ამ პოზიციას, მხოლოდ იმიტომ, რომ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ამბოხების ამკრძალავი წესი.²²⁹ თუმცა დასავლეთის სახელმწიფოები თვლიან, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, რომლებიც მხარს უჭერენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს, პოლიტიკურად გაუმართლებელია.

სავარაუდოდ, თვითგამორკვევის უფლების განხორციელების წინააღმდეგ ძალის გამოყენება უკანონოა. გენერალური ასამბლეის 1514 (XV) რეზოლუციის მე-4 აბზაცის თანახმად, „ყოველგვარი შეიარაღებული ქმედებები ან რეპრესიული ღონისძიებები დამოკიდებული ხალხების წინააღმდეგ უნდა შეწყდეს, რათა მათ ისარგებლონ სრული თავისუფლების უფლებით“.²³⁰ მიუხედავად თავდაპირველი წინააღმდეგობისა 1960-იანი წლების დასაწყისში, თვით დასავლეთის სახელმწიფოებმაც კი აღიარეს, რომ უკანონოა ძალის გამოყენება თვითგამორკვევის კანონიერი უფლების წინააღმდეგ. თუმცა დასავლეთის სახელმწიფოები და სხვა სახელმწიფოები კვლავ ვერ თანხმდებიან ამ წესის საფუძვლის თაობაზე. დასავლეთის სახელმწიფოები თვლიან, რომ ის გამომდინარეობს თვითგამორკვევის უფლებიდან და არა გაეროს წესდების 2(4) მუხლიდან, რადგანაც ეს უკანასკნელი კრძალავს ძალის გამოყენებას საერთაშორისო ურთიერთობებში, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოები არ მიიჩნევენ ძალის გამოყენებას საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ (კოლონიური სუბიექტების ჩათვლით) ძალის გამოყენებად საერთაშორისო ურთიერთობებში. ხოლო მესამე მსოფლიოს სახელმწიფოების უმეტესობა თვლის, რომ აღნიშნული წესი ერთდროულად გამომდინარეობს 2(4) მუხლიდან და თვითგამორკვევის პრინციპიდან.²³¹

თუ სახელმწიფო უკანონოდ იქცევა, როდესაც ძალას იყენებს თვითგამორკვევის კანონიერი უფლების აღსაკვეთად, ლოგიკური იქნება დავასკვნათ, რომ სხვა სახელმწიფოებიც უკანონოდ მოქმედებენ, თუ ეხმარებიან სახელმწიფოს თვითგამორკვევის უფლების ჩასახშობ ბრძოლაში.

დასავლეთის სახელმწიფოები და სხვა სახელმწიფოები ვერ თანხმდებიან იმ საკითხშიც, კანონიერია თუ არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის დახმარების განევა. გენერალური ასამბლეის 2105 (XX) რეზოლუციის მე-10 მუხლი, რომელიც 1965 წლის 20 დეკემბერს მიიღეს სამოცდათოთხმეტი ხმით ექვსის წინააღმდეგ (ოცდაშვიდმა თავი შეიკავა),

აღიარებს კოლონიური მმართველობის ქვეშ მყოფი ხალხის მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის ლეგიტიმურობას და ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს, გაუწიოს მატერიალური და მორალური მხარდაჭერა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიურ ტერიტორიებზე.²³²

დასავლეთის სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს ამ მოსაზრებას და კენჭისყრის დროს ან თავი შეიკავეს, ან ხმა მისცეს რეზოლუციის წინააღმდეგ. სხვა რეზოლუციები²³³ ითვალისწინებს მეზრძოლი ხალხის უფლებას, მიიღოს დახმარება სხვა სახელმწიფოებისაგან; მაგრამ აღნიშნული პერიფრაზი მხოლოდ მცდელობა იყო, მიეღნია კომპრომისისათვის კომუნისტურ და მესამე მსოფლიოს სახელმწიფოებსა (რომლებიც თვლიდნენ, რომ „დახმარება“ მოი-

²²⁸ იბ. თ. 20.

²²⁹ იბ. ზემოთ.

²³⁰ GA Res. 1514 (XV), *op. cit.*

²³¹ იბ. N. Ronzitti, *Resort to Force in Wars of National Liberation*, in *Current Problems of International Law*, Cassese (ed.), 1975, *op. cit.*, 319-53.

²³² Res. 2105 (XX), 965, 554-5.

²³³ მაგალითად, Article 7 of the General Assembly's definition of aggression, *AJIL* 69 (1975), 480.

²³⁴ AJIL 65 (1971), 730-3, 1977, 233-7.

²³⁵ იხ. ზემოთ.

²³⁶ იხ. GA Res. 3236 (XXIX), UN Chronicle, 1974 no. 11, 36-44; GA Res. 31/61, *ibid.*, 1976 no. 11, 38-45, at 79; GA Res. 33/24, *ibid.*, 1978 no. 11, 52-3, at 81; GA Res. 34/44 and 34/93 A-R, *ibid.*, 1980 no. 1, 24, 79.

²³⁷ იხ. ზემოთ.

²³⁸ იხ. თ. 14.

²³⁹ იხ. ზემოთ.

²⁴⁰ იხ. თ. 2.

²⁴¹ იხ. თ. 10.

ცავდა მატერიალურ დახმარებას და/ან *materiel* (იარაღის ფორმითაც)) და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის (რომლებიც თვლიდნენ, რომ დახმარება მორალური და დიპლომატიური დახმარებით უნდა შემოფარგლულიყო).²³⁴

გენერალური ასამბლეა თვლიდა, რომ თვითგამორკვევის უფლება გამოიყენებოდა არა მხოლოდ კოლონიური მმართველობის ქვეშ მყოფი ხალხების მიმართ, არამედ პალესტინელებისა და სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის მიმართაც, როდესაც ეს უკანასკნელნი აპართეიდის რეჟიმის ქვეშ იყვნენ.²³⁵ მიუხედავად დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგობისა, გენერალურმა ასამბლემ მიიღო რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებდა სახელმწიფოებს, მატერიალური დახმარება გაენიათ პალესტინელებისათვის და სამხრეთ აფრიკის მოსახლეობისათვის თვითგამორკვევისათვის ბრძოლაში.²³⁶

ძნელია, ეს წესი მიუსადაგო ზოგად წესს, რომელიც კრძალავს მეამბოხეებისათვის დახმარების განევას სამოქალაქო ომში.²³⁷ თვითგამორკვევის უფლების დარღვევა საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. მაგრამ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის სხვა წესის დარღვევა (მაგალითად, ადამიანის უფლებების დარღვევა)²³⁸ არ ამართლებს სხვა სახელმწიფოს მიერ მეამბოხეებისათვის დახმარების განევას და არ არსებობს ლოგიკური მიზეზი, რომ თვითგამორკვევის უფლების დარღვევა განსხვავდება საერთაშორისო სამართლის სხვა დარღვევებისაგან.

თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომებს საერთაშორისო ომად და არა სამოქალაქო ომად ჩავთვლით, გენერალური ასამბლეს რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებს სახელმწიფოებს, დაეხმარონ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს კოლონიურ სახელმწიფოებში, პალესტინასა და სამხრეთ აფრიკაში, ძნელი იქნება შევათავსოთ საერთაშორისო ომების შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. ძალის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში აკრძალულია. არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, მაგრამ მხოლოდ კოლექტიური თავდაცვის უფლება შეიძლება დავუკავშიროთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომებს.²³⁹ ეს ნიშნავს, რომ თავდაცვის წესები, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის დროს, შეიძლება გავავრცელოთ იმ ხალხზე განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმაზეც, რომელიც ჯერ არ არის სახელმწიფო. ამ დასკვნას დასავლეთის იურისტების უმეტესობა არ უჭერს მხარს. სხვა სახელმწიფოები იშვიათად გზავნიან ჯარებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასახმარებლად, უფრო ხშირად ისინი იარაღისა და სამხედრო ბაზების მიწოდებით იფარგლებიან.

შესაბამისად, სხვა სახელმწიფოს ჩარევა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში მაშინ იქნება კანონიერი, თუ დამტკიცდება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა (ან ხალხი, ვის ინტერესებსაც ის იცავს) შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი გახდა. მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი ხშირად სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეიარაღებული თავდასხმით იწყება არსებული მთავრობის ჩამოგდების მიზნით. მესამე მსოფლიოს იურისტები და დიპლომატები ცდილობდნენ, აღნიშნული საკითხი ისტორიულ რაკურსში განეხილათ და აცხადებდნენ, რომ კოლონიური მმართველობის დამყარება ყოველთვის იარაღის გამოყენებაზე იყო დამყარებული და კოლონიური მმართველობა მუდმივ და განგრძობად აგრესიას წარმოადგენდა.²⁴⁰ მაგრამ ყველა კოლონია არ ყოფილა შექმნილი დაპყრობით – ზოგიერთი შეიძინეს არსებული მმართველებისაგან გამოყოფით ან სხვა მშვიდობიანი გზით. სახელმწიფოს კოლონია თუნდაც დაპყრობით შეიძინა, მაშინ დაპყრობა კანონიერი იყო არსებული საერთაშორისო სამართლის თანახმად.²⁴¹ აბსურდულია იმის მტკიცება, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ,

რომელიც განხორციელდა ძალიან ადრე და თავის დროზე კანონიერი იყო. მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დიდ ბრიტანეთს შეუძლია სამხედრო მოქმედებები დაიწყოს საფრანგეთის წინააღმდეგ ნორმანელების მიერ 1066 წელს განხორციელებული დაპყრობის გამო.²⁴²

ახალი მოსაზრებები

უმცირესობათა და ადგილობრივი მოსახლეობის,²⁴³ რომელთა შესახებაც მე-9 თავში იყო საუბარი,²⁴⁴ პრობლემებთან დაკავშირებით მიმდინარეობს დისკუსია,²⁴⁵ სარგებლობენ თუ არა ისინი თვითგამორკვევის უფლებით და ხომ არ არის საჭირო თვითგამორკვევის დეფინიციის მოდიფიკაცია უკიდურესი აუცილებლობების დროს გამოსაყენებლად. დავა გამწვავდა იუგოსლავიასა და აღმოსავლეთ ევროპაში უმცირესობების პრობლემების წამოჭრის შემდეგ, სსრ კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში.²⁴⁶ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი უმცირესობების დასაცავად გვთავაზობს მხოლოდ რუდიმენტულ ჩარჩოს, რომელიც აგებულია დისკრიმინაციის დაუშვებლობის ძირითადი წესისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის 27-ე მუხლის გარშემო. 27-ე მუხლი ითვალისწინებს:

იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები ცხოვრობენ, პირებს, რომლებიც ამ უმცირესობებს ეკუთვნიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ, ამ უმცირესობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი რიტუალები, აგრეთვე ისარგებლონ თავიანთი ენით.²⁴⁷

ის გულისხმობს, რომ უმცირესობებს არ აქვთ გამოყოფის უფლება („საგარეო“ გამოყოფის მნიშვნელობით); მათ აქვთ ავტონომიის უფლება სახელმწიფოს არსებულ სტრუქტურაში (რომელსაც ზოგჯერ „შიდა“ თვითგამორკვევას უწოდებენ).

პოლიტიკური პაქტის 27-ე მუხლი მხარს უჭერს ამ დასკვნას, რომელიც არ ანიჭებს უმცირესობებს თვითგამორკვევის უფლებას, არამედ ითვალისწინებს უფლებას „ისარგებლონ საკუთარი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ საკუთარი რელიგია და ილაპარაკონ საკუთარ ენაზე“. უმცირესობები არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები.²⁴⁸ 27-ე მუხლში ჩამოყალიბებული უფლებები ფორმულირებულია, როგორც ინდივიდუალური უფლებები, ანუ უფლებები, რომლებითაც სარგებლობენ უმცირესობების წარმომადგენლები. აღნიშნული უფლებები არ არის კოლექტიური, თუმცა ლიტერატურაში ასეთი ხედვა ხშირად გვხვდება.²⁴⁹ თვითგამორკვევის უფლება, პაქტის პირველი მუხლი, გამოიყენება „ხალხების“ მიმართ. ტექსტის სისტემატური ანალიზიდან და შემუშავების ისტორიიდან აშკარაა, რომ თვითგამორკვევის უფლება, ყოველ შემთხვევაში, გამოყოფის თვალსაზრისით, არ არის არსებულ სახელმწიფოში მცხოვრები უმცირესობების, აგრეთვე კომპაქტურად თავმოყრილი ეთნიკური უმცირესობების უფლება. ეს დადასტურდა მოგვიანებით მიღებულ დოკუმენტებში, როგორცაა მეგობრული ურთიერთობების დეკლარაცია,²⁵⁰ გაეროს 1992 წლის დეკლარაცია უმცირესობების შესახებ.²⁵¹ აღნიშნული დოკუმენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვას უმცირესობების უფლებების განხორციელებისას. 1992 წლის დეკლარაციის 8(4) მუხლი აღნიშნავს: „არაფერი ამ დეკლარაციაში არ უნდა განიმარტოს ისე, რომ ნება დაერთოს გაეროს პრინციპების, მათ შორის, სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საწინააღმდე-

²⁴² იხ. C.J.R. Dugard, *The Organisation of African Unity and Colonialism: An Inquiry into the Plea of Self-Defence as a Justification for the Use of Force in the Eradication of Colonialism*, *ICLQ* 16 (1967), 157-90.

²⁴³ B. Kingsbury, *Self-Determination and "Indigenous Peoples"*, *ASIL Proc.* 86 (1992), 383; S.J. Anaya, *The Rights of Indigenous Peoples and International Law in Historical and Contemporary Perspective*, *Harvard Indian Law Symposium*, 1990, 191-225; *Human Rights - The Rights of Indigenous Peoples*, *UNCHR Fact Sheet* 1990, no. 9; M.E. Turpel, *Indigenous Peoples' Rights of Political Participation and Self-Determination: Recent International Legal Developments and the Continuing Struggle for Recognition*, *Cornell ILJ* 25 (1992), 579-602; B.R. Howard, *Human Rights and Indigenous People: On the Relevance of International Law for Indigenous Liberation*, *GYL* 35 (1992), 105; T.v. Boven, *Human Rights and the Rights of Peoples*, *EJIL* 6 (1995), 461-76.

²⁴⁴ იხ. თ. 6.

²⁴⁵ იხ. ზემოთმითხებული ლიტერატურა.

²⁴⁶ იხ. თ. 11 და თ. 22.

²⁴⁷ *Brownlie BDIL*, 287; Tomuschat, *Protection of Minorities under Article 27 of the International Covenant on Civil and Political Rights*, in R. Bernhardt et al (eds), *Festschrift für Hermann Mosler*, 1983, 949-79.

²⁴⁸ იხ. თ. 6.

²⁴⁹ იხ. Lerner, *The Evolution of Minority Rights in International Law*, in Brblmann/Lefebvre/ Zieck (eds), *op. cit.* at 88 *et seq.*

²⁵⁰ UNGA Res. 2625 (mi), *op. cit.*

²⁵¹ UNGA Res. 47/135 of 18 December 1992, *ILM* 32 (1993), 911. იხ. თ. 6.

²⁵³ იბ. თ. 20.

²⁵⁴ იბ. R. Geiger, Kashmir. SWM2 (1990), 195-200; A. Siehr, Conflicts, Indian Subcontinent, in *Wolfrium UNLPP I*, 243-54.

²⁵⁵ Franck (1993), *op. cit.*, at 12.

²⁵⁶ Higgins, Postmodern Tribalism and the Right to Secession, Com-ments, in Brblmann/Lefebber/Zieck (eds), *op. cit.*, at 35; E. Amitai, The Evils of Self-Determination, FP89 (1992-3), 28 *et seq.*

²⁵⁷ S. Oeter, Selbstbestimmungsrecht im Wandel - Überlegungen zur Debatte um Selbstbestimmung, Se-zessionsrecht und "vorzeitige" Anerkennung, *ZaorV* 52 (1992), 741-80, at 778.

²⁵⁸ Franck (1993), *op. cit.*, 13-14.

გო ქმედებას“. თვითგამორკვევისა და გამოყოფის უფლება არ არის მოცემული დეკლარაციაში. საერთაშორისო სამართალი ასევე არ აღიარებს მეზობელი „დედა-სამშობლოს“ უფლებას, ინტერვენცია მოახდინოს მეზობელ სახელმწიფოში, რომლის მოსახლეობის ნაწილთან მას ნათესაობა აკავშირებს, როგორც ეს ჰიტლერმა გააკეთა ჩეხოსლოვაკიაში სუდეტის გერმანელებთან დაკავშირებით.

არც პაქტი და არც საერთაშორისო სამართლის რომელიმე ნორმა არ კრძალავს უმცირესობების უფლებას გამოყოფაზე. საერთაშორისო სამართლის თვალსაწიერიდან უმცირესობის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არის სამოქალაქო ომი, რომლის შედეგებსაც უნდა დაელოდო და რომელზეც ვრცელდება ჰუმანურობის პრინციპებიდან გამომდინარე შიდა შეიარაღებული კონფლიქტის წესები.²⁵² ამრიგად, მესამე სახელმწიფოებს შეუძლიათ აღიარონ უმცირესობის გამოყოფით წარმოშობილი სახელმწიფო, თუ გამოყოფა გარე ჩარევის გარეშე მოხდა. ბანგლადეშის (პაკისტანის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1971 წლის მარტში) საქმე გამონაკლისია, რადგანაც ინდოეთის ჩარევა სამოქალაქო ომში და მისი სამოქალაქო კონფლიქტი პაკისტანთან გამოიწვია, *inter alia*, ინდოეთში გაქცეულმა 10 მილიონმა ლტოლვილმა, რომელთა 90 პროცენტი ინდუსი იყო. იგივე იყო ინდოეთსა და პაკისტანს შორის ქაშმირის თაობაზე კონფლიქტის საფუძველიც (პაკისტანმა აღიარა ბანგლადეშის დამოუკიდებლობა 1974 წლის თებერვალში²⁵³).

ხშირად ლიტერატურაში უმცირესობების თვითგამორკვევის უფლებას ისე განმარტავენ, რომ სცილდება აღნიშნულ შედეგებს. ზოგიერთი მოსაზრება მეტად რადიკალურია და მხარს უჭერს „პოსტკოლონიური თვითგამორკვევის უფლების“ ახალ ინტერპრეტაციას.²⁵⁴ ასეთი წინადადებები არც სასურველია და არც რეალური. არასასურველია იმიტომ, რომ ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის დაუსრულებელი პროცესი ძირს გამოუთხრიდა საერთაშორისო სისტემას. თუ გვყავს სამი ათასი ან მეტი უმცირესობა, მკვიდრი მოსახლეობის ჩათვლით, უნდა დაგუჭიროთ თუ არა მხარი მათი სახელმწიფოების შექმნას და გაეროში განეწიანებას? და ნუთუ შესაძლებელი იქნება ასეთ პირობებში ორგანიზაციის მუშაობა? გარდა ამისა, უმცირესობის გამოყოფის უფლების აღიარებას მოჰყვებოდა ის, რომ სეპარატისტული მთავრობის მმართველობის ქვეშ სხვა უმცირესობა მოექცეოდა.²⁵⁵ ეს არარეალურია, რადგან სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიულ მთლიანობას საძირკველს არ გამოუთხრიან.

არსებობს სხვა მოსაზრებები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია უფრო ექსტრემალურ და გამონაკლის სიტუაციებზე. ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ თუ კონფლიქტი მთავრობასა და ეთნიკურ ჯგუფს შორის გენოციდში გადაიზარდა, „მაშინ გამოყოფა კანონიერ სახეს იღებს, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროს საერთაშორისო თანამეგობრობამ“.²⁵⁶

განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრება წამოაყენა ტომას ფრენკმა, რომელიც თვლის, რომ იმ პირობებში, რომლებშიც

უმცირესობას სუვერენულ სახელმწიფოში – განსაკუთრებით, თუ ის ერთ ტერიტორიაზეა – მუდმივად არ ანიჭებენ პოლიტიკურ და სოციალურ თანასწორობას და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების შესაძლებლობას... სარწმუნოა, რომ საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს ასეთ რეპრესიას, რომელიც აკრძალულია პოლიტიკური პაქტით, ისე, რომ მოხვდეს კოლონიალიზმის დეფინიციაში. ასეთი რეპრესია, რომელსაც ახორციელებს დამოუკიდებელი სახელმწიფო, მართალია, არ არის „იმპერიალისტური“, მაგრამ წარმოშობს „დეკოლონიზაციის“ უფლებას.²⁵⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ეს წინადადებები არის მხოლოდ *de lege ferenda*,

რომლებიც პრაქტიკაში განხორციელებას ვერ პოვებენ. არ არის იმედი, რომ შეიცვლება უმცირესობების დაცვის საერთაშორისო რეჟიმი, თუნდაც ევროპის დონეზე, რადგან სახელმწიფოები წინააღმდეგობას უწევენ ახალი იდეების დამკვიდრებას. რა თქმა უნდა, ასეთი ნეგატიური განწყობის მიზეზია დესტაბილიზაციისა და დეზინტეგრაციის შიში, რომელიც გავლენას მოახდენს სახელმწიფოების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. რუსეთის კრიტიკის დროს დასავლეთის სახელმწიფოები, მართალია, მიუთითებდნენ სამოქალაქო მოსახლეობის მისამართით გამოყენებული ძალის არაპროპორციულობაზე, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ეს მაინც რუსეთის საშინაო საქმე იყო.²⁵⁸ ზოგიერთმა შეიძლება მიუთითოს ქურთების ბედზე.²⁵⁹ ერიტრეის საქმის დროსაც კი, რომელიც გამოეყო ეთიოპიას მთავრობის თანხმობით, მას შემდეგ, რაც ჩამოაგდეს პოლკოვნიკი მენგისტუ, და ეთიოპიის ახალ კონსტიტუციაში თვითგამორკვევის უფლებისა და გამოყოფის უფლების აღიარების საფუძველზე, აფრიკის სახელმწიფოები არ იწონებდნენ ამ ფაქტს, რადგანაც მან დაამკვიდრა პრეცედენტი *uti posseditis* პრინციპის თვალსაზრისით.²⁶⁰

ქალის გამოყენების წინააღმდეგ თანამედროვე წესების ეფექტურობა

1945 წლის შემდეგ 50 წლის განმავლობაში მსოფლიო მეტ-ნაკლებად თავისუფალი იყო საერთაშორისო ომებისაგან, მიუხედავად არსებული პოლიტიკური დაძაბულობისა, რომელიც კინალამ გადაიზარდა ახალი ერის ომში. შეტაკებები ძირითადად სამოქალაქო ომის ხასიათის იყო, თუმცა ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ სამოქალაქო ომი საერთაშორისო კონფლიქტში გადაიზრდება, როგორც ეს მოხდა ვიეტნამში 1960-იან წლებში. არ იქნება მართებული იმის მტკიცება, რომ მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ძალისხმევით მოხდა საერთაშორისო ომების თავიდან აცილება. ამის ნამდვილი მიზეზი ომის წარმოების თანამედროვე საშუალებების უდიდესი დამანგრეველი ძალაა.

თანამედროვე წესების ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ისინი ხშირად არაზუსტია. პრაქტიკამ მცირედით თუ აღმოფხვრა ეს უზუსტობა. ბევრ სახელმწიფოს სურს შეინარჩუნოს ძალის გამოყენების შესაძლებლობა გარკვეულ სიტუაციაში, მაგრამ მათ ისიც იციან, რომ წესი, რომელიც მათ ძალის გამოყენების ნებას რთავს, ასევე სხვა სახელმწიფოებსაც აძლევს ძალის გამოყენების უფლებას მათ წინააღმდეგ. ამიტომაც წესების განმარტება ხშირად არ არის ნათელი. კრიზისის შემთხვევაში სახელმწიფოები განმარტებაში არსებულ უზუსტობებს და ხარვეზებს გამოიყენებენ; ასეთ მდგომარეობაში იკარგება ობიექტურობის გრძნობა და სახელმწიფოები თვლიან, რომ საეჭვო ინტერპრეტაცია, რომელიც კარგად შეესაბამება მათ ინტერესებს, კარგადაა დასაბუთებული. თეორიაში ითვლება, რომ გაეროს ორგანოებმა უნდა განმარტონ და გააძლიერონ წესები სახელმწიფოების ქმედების ანალიზით ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. მაგრამ ხშირად გარკვეული ქმედების კანონიერების შეფასებისას გაეროს წევრი სახელმწიფოების ხმები შუაზე იყოფა და გაერო ვერ ახერხებს რაიმე გადაწყვეტილების მიღებას.¹⁶¹ უფრო მეტიც, ზოგიერთი სახელმწიფო თვლის, რომ გაეროს ცენზურას თავიდან აიცილებს, თუ ძალას მცირე მასშტაბებით გამოიყენებს (მაგალითად, ინდონეზიის კონფრონტაცია მალაიზიასთან 1963-66 წლებში) ან სწრაფ გამარჯვებას მიაღწევს, რომელიც მსოფლიოს წინაშე წარმოჩნდება, როგორც *fait accompli* (არაბეთ-ისრაელის ექვსდღიანი ომი 1976 წლის ივნისში).

²⁵⁸ იხ. T. Schweisfurth, *FAZ*, 20 January 1995, 13; M.R. Lucas, *The War in Chechnya and the OSCE Code of Conduct*, *HM* 6/2 (1995), 32-42.

²⁵⁹ იხ. F.M. Hussein, *The Legal Concept of Self-Determination and the Kurdish Question*, 1985; P. Malanczuk, *The Kurdish Crisis and Allied Intervention in the Aftermath of the Second Gulf War*, *EJIL* 2 (1991), 114-32; U. Bring, *Kurdistan and the Principle of Self-Determination*, *GYIL* 35 (1992), 157-69; Malanczuk (1993), *op. cit.*, 17 *et seq.*; P. Akhavan, *Lessons from Iraqi Kurdistan: Self-Determination and Humanitarian Intervention against Genocide*, *NQHR* 1 (1993), 41-62; R. Falk, *Problems and Prospects for the Kurdish Struggle for Self-Determination After the End of the Gulf and Cold Wars*, *Mich.* 15 (1994), 591 - 604. იხ. აგრეთვე, ო. 22.

²⁶⁰ იხ. ო. 10.

²⁶¹ იხ. K.J. Partsch, *Israel and the Arab States*, *EPIL* (1995), 1460-8.

მართალია, ხდება ხოლმე, რომ წესები ნათელი არ არის და გაერო ბუნდოვან გადაწყვეტილებებს იღებს, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც კანონი სრულიად ნათელია და სამართალი შემზღუდავ გავლენას ახდენს სახელმწიფოთა ქმედებებზე. წესებს, შესაძლოა, გარკვეული ხარვეზები აქვს, მაგრამ მათ ყოველთვის მყარი საფუძველი აქვთ.

20. ომის წარმოება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა: *ius in bello*

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედ ნორმებს (*ius in bello*).¹ საერთაშორისო სამართლის ეს დარგი განსხვავდება ძალის გამოყენების შესახებ არსებული ნორმებისაგან (*ius ad bellum*).² საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, თუ შეუძლებელია ომის სრულიად თავიდან აცილება (რაშიც ისტორიაც დაგვეთანხმება), მაშინ ომი გარკვეული ჰუმანიტარული შეზღუდვების საფუძველზე უნდა წარმოებდეს. აღნიშნული შეზღუდვები მიზნად ისახავს სამხედრო ტყვეების, დაჭრილებისა და სამოქალაქო პირების დაცვას, ან გარკვეული სახის იარაღის აკრძალვას.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებისას გარკვეული პრობლემები წარმოიშობა. მართალია, ფორმალურად ომის დეკლარაცია აღარ წარმოადგენს არსებით კრიტერიუმს,³ მაგრამ განსხვავების გარკვევა „ომსა“ და „მშვიდობას“, შეიარაღებულ და ჩვეულებრივ კონფლიქტებს შორის საკმაოდ ძნელია. მეორე მხრივ, საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების მარეგულირებელი ნორმები ყოველთვის არ ვრცელდება არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებზე, მაგალითად, სამოქალაქო ომის დროს. ტერმინი „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“ ხშირად გამოიყენება ამ თავში განხილული მოვლენების აღსაწერად და, სავარაუდოდ, ომის კანონებისა და საერთაშორისო ადამიანის უფლებების სინთეზს წარმოადგენს.⁴ თუმცა ამ მოსაზრებას ყველა არ იზიარებს, რადგანაც გაურკვეველია, თუ რა სახის ადამიანის უფლებები მოქმედებს ომის დროს (რაც იმას არ გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებების დამცავი ყველა მექანიზმი წყვეტს მოქმედებას შეიარაღებული კონფლიქტებისა და სამხედრო ოკუპაციის დროს).

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ განიარაღებასთან და შეიარაღების კონტროლთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, მათ შორის დემილიტარიზაციისა და ნეიტრალიზაციის პრობლემა, არ წარმოადგენს ამ თავის განსჯის საგანს.⁵

ომის წარმოების კანონიერი და უკანონო გზები

გასული საუკუნეების მანძილზე საერთაშორისო სამართლის დარგში არაერთი მცდელობა იყო, რომელიც სახელმწიფოთა ომის წარმოების შეზღუდვას ისახავდა მიზნად. ამავე დროს გაიზარდა ომის წარმოების მარეგულირებელი ნორმების რაოდენობა.⁶ ეს არ იყო უბრალო დამთხვევა; იმ პერიოდში, როდესაც კანონიერი ომის იდეა ბატონობდა, როგორც წესი, ომის თითოეული მხარე მიიჩნევდა, რომ სწორედ მეორე მხარის ომის წარმოების მიზეზი იყო უკანონო, შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარეს უბრალო ყაჩაღებად აღიქვამდა, რომლებიც მოკლებული იყვნენ ყველანაირი სამართლიანი მოპყრობის უფლებას.

ადამიანების უმრავლესობისათვის პარადოქსულად ჟღერს, რომ ომის წარმოება გარკვეული წესების შესაბამისად უნდა მოხდეს, იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი კანონები და წესები ირღვევა; რატომ უნდა შეიზღუდოს თავი გადარჩენისათვის მებრძოლმა ერმა გარკვეული ნორმებით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნაწილობრივ იმით შეიძლება, რომ XVIII და XIX საუკუნეების

¹ W. Meng, *War, EPIL* 4 (1982), 28; F. Kalshoven, *War, Laws of, ibid*, 316-23; F. Kalshoven, *Constraints on the Waging of War*, 1987; F. de Mulinen, *Handbook on the Law of War for Armed Forces*, 1987; I. Dfeiter DeLupis, *The Law of War*, 1988; D. Schindler/J. Toman (eds), *The Laws of Armed Conflicts: A Collection of Conventions, Resolutions and Other Documents*, 3rd edn 1988; A. Roberts/R. Guelff (eds), *Documents on the Laws of War*, 2nd edn 1989, 491-7; H. McCoubrey, *International Humanitarian Law*, 1990; A.J.M. Delissen/G.J. Tuijta (eds), *Humanitarian Law of Armed Conflict: Challenges Ahead: Essays in Honour of Frits Kalshoven*, 1991; K.J. Partsch, *Armed Conflict, EPIL* 1 (1992), 249-53; Partsch, *Armed Conflict, Fundamental Rules, ibid*, 253-6; F. Kalshoven, *Prohibitions or Restrictions on the Methods and Means of Warfare* (with comments by R. Lagoni and G.J.F.v. Hegelsson), in I.F. Dekker/H.H.G. Post (eds), *The Gulf War of 1980-1988*, 1992, 97 et seq.; H. McCoubrey/N.D. White, *International Law and Armed Conflict*, 1992; D.A. Wells, *The Laws of Land Warfare: A Guide to the U.S. Army Manuals*, 1992; E. Playfair (ed.), *International Law and the Administration of Occupied Territories*, 1992; J.G. Gardam, *Non-Combatant Immunity as a Norm of International Humanitarian Law*, 1993; E. Benevisti, *The International Law of Occupation*, 1993; L.C. Green, *The Contemporary Law of Armed Conflict*, 1993; D. Fleck (ed.), *The Handbook in Humanitarian Law in Armed Conflicts*, 1995; H.H.G. Post (ed.), *International Economic Law and Armed Conflict*, 1994; Y. Dinstein, *War, Aggression and Self-Defence*, 2nd edn 1994; M.S. McDougal/E.P. Feliciano, *The International Law of War: Transnational Coercion and World Public Order*, 1994; H.H.G. Post, *Some Curiosities in the Sources of the Law of Armed Conflict Conceived in a General International Legal Perspective, NYIL* 25 (1994), 83-118; K.J. Partsch, *Humanitarian Law and Armed Conflict, EPIL* II (1995), 933-6;

H. Risse, Humanitarian Law in Armed Conflicts, in *Wolfrum UNLPP* 1, 638-45; A.P. Rogers, *Law on the Battlefield*, 1996.

² იბ. თ. 19.

³ იბ. თ. 19.

⁴ K.J. Parisch, Human Rights and Humanitarian Law, *EPIL* II (1995), 910-12. აღამიანის უფლებების შესახებ თ. 14.

⁵ იბ. Blacker/G. Duffy (eds), *International Arms Control, Issues and Agreements*, 1984; J.H. Barton, Disarmament, *EPIL* I (1992), 1072-6; J. Kolas, *Disarmament and Arms Control Agreements - A Study on Procedural and Institutional Law*, 1995; J. Debrucke, Arms Control, in *Wolfrum UNLPP* I, 39-47; T. Roeser, Arms, Trade in, *ibid.*, 49-54; O. Kimminich, Disarmament, *ibid.*, 407-17; W. Lang, Compliance with Disarmament Obligations, *ZaorRV* 55 (1995), 69-88.

⁶ იბ. თ. 2.

⁷ იბ. თ. 2.

⁸ C.P.G.V. Clausewitz, *Vom Kriege*, 1832-4.

⁹ A. Randelzhofer, Civilian Objects, *EPIL* I (1992), 603-6; A.-M. de Zayas, Civilian Population, Protection, *ibid.*, 606-11; Y. Dinstein, Prisoners of War, 4 (1982), 146-52; M. Bothe, Wounded, Sick and Shipwrecked, *ibid.*, 356-8. იბ. აგრეთვე, *The Trial of Pakistani Prisoners of War Case*, *ICJ Rep.* 1973, 327 and 346, და K. Oellers-Frahm, *EPIL* 2 (1981), 280-1.

¹⁰ Y. Dinstein, Military Necessity, *EPIL* 3 (1982), 274-6.

მანძილზე სახელმწიფოები არ იყვნენ დაინტერესებული მსგავსი სახის ომის წარმოებით. იდეოლოგიური მოსაზრებების გამო ომები ნაკლებად იმართებოდა და XX საუკუნის ომებისაგან განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოები ნაკლებად ერეოდნენ საკუთარი სუბიექტების საქმიანობაში, ტერიტორიების გადასვლა ერთი სახელმწიფოს მმართველობიდან მეორეში უმნიშვნელო გავლენას ახდენდა მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების წესზე. შესაბამისად, სახელმწიფოები ამ საკითხს ფილოსოფიურად უდგებოდნენ. ძალთა დაბალანსების სისტემამ⁷ შეაკავა სახელმწიფოთა ტერიტორიული ზრდის პროცესი და, შესაბამისად, შეზღუდა ომების წარმოების შედეგად მიღებული ტერიტორიული ცვლილებები. ძალთა დაბალანსების სისტემამ ხელი შეუწყო თანაფარდობის დამკვიდრებას. ამ სისტემის თანახმად, სახელმწიფოს დღევანდელი მტერი ხვალ შეიძლება მის მოკავშირედ გადაიქცეს; რა თქმა უნდა, ეს ფაქტი გარკვეულწილად ამცირებდა ომის დროს არსებულ სისასტიკეს, რადგანაც სახელმწიფოებს არ სურდათ გამოუსწორებელი შეცდომის ჩადენა შესაძლო მოკავშირე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ამ პოლიტიკურ მოსაზრებებზე უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ ფაქტი, რომ ომის კანონები ჭარბი ზიანის თავიდან აცილების მიზნით იქმნებოდა. „ჭარბი ზიანის“ მიყენება არ იძლეოდა რაიმე სამხედრო უპირატესობას, ანდა ამ გზით მიღწეული სამხედრო უპირატესობა მიყენებულ ტანჯვასთან შედარებით ძალზე უმნიშვნელო იყო. მართალია, არსებობდა რამდენიმე გამონაკლისი; მაგალითად, დაუშვებელი იყო და არის ტყვეების წამება ინფორმაციის მოპოვების მიზნით, თუმცა ამ ფაქტს უზარმაზარი სამხედრო უპირატესობის მოტანა შეუძლია. ომის კანონები ნაკლებად ირღვეოდა, რადგანაც აღნიშნული წესების დარღვევით მიღწეულ სამხედრო უპირატესობას ყოველთვის გადაწონდა ისეთი თანამდევნი ფაქტორები, როგორიცაა რეპრესალია, ნეიტრალური სახელმწიფოს კეთილგანწყობის დაკარგვა და ა.შ.

XVIII და XIX საუკუნეებში მიმდინარე ომებს შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ და არა ჩვეულებრივი მშვიდობიანი მოსახლეობა. „მტრის სამხედრო ძალების განადგურება ყველა საომარი ქმედების ქვაკუთხედი“ – წერდა კლაუზევიცი – XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი სამხედრო სფეროში.⁸ საერთაშორისო სამართლისათვის შედარებით ადვილი იყო სამოქალაქო პირების დაცვა არსებული ნორმების შესაბამისად. სამწუხაროდ, ეს დაცვა არასოდეს ყოფილა აბსოლუტური; მაგალითად, ომის დროს, ქალაქის აღების მიზნით, ჯარს შეეძლო შეენწყვიტა მოსახლეობისათვის გარედან საკვები პროდუქტების მიწოდება და შეეზღუდა სამოქალაქო პირების ქალაქის გარეთ გადაადგილების უფლება. ერთი სიტყვით, ქალაქის დამორჩილების მიზნით სამოქალაქო პირებს აშიშმილებდნენ. უფრო მეტიც, კლაუზევიცი განმარტავდა, რომ „მტრის სამხედრო ძალების განადგურებაში იგულისხმება, რომ სამხედრო ძალა იმდენად უნდა დაასუსტო, რომ ომის წარმოების თავი არ ჰქონდეს“; „ომიანობის დროს ყველა ქმედება მიმართულია მტრის განიარაღებისაკენ“. ჩამოყალიბდა ნორმათა ერთობლიობა, რომელიც შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების დაცვას ითვალისწინებდა. კერძოდ, დაცვით სარგებლობენ ავადმყოფები, დაჭრილები, ხომალდის კატასტროფაში მოყოლილი პირები, სამხედრო ტყვეები და სხვ.⁹ თუმცა კლაუზევიცმა განაცხადა, რომ ომის კანონები „შეუმჩნეველი და უმნიშვნელო“ იყო. ამის მიზეზი თავად კანონების სამხედრო აუცილებლობასთან სრულყოფილი შეფარდება გახლდათ:¹⁰ „თუკი ცივილიზებული სახელმწიფოები არ კლავენ თავიანთ ტყვეებს, არ ანადგურებენ ქალაქებსა და ქვეყნებს, ამის მიზეზი ცნობიერებაა, რამაც მათ ასწავლა ძალის გამოყენების უფრო ეფექტური საშუალება, ვიდრე ინსტინქტებზე დამყარებული უხეში ქმედებები.“

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფოებმა დაიწყეს საომარ ველზე მოქმედი ნორმების შესახებ სამხედრო სახელმძღვანელოების გამოშვება.

საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 1863 წლის ლიბერის კოდექსი. მისი ავტორია კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორი ფრანსის ლიბერი. ლიბერის კოდექსი წარმოადგენს „ინსტრუქციას ამერიკის მეერთეული შტატების ჯარების მეთაურებისათვის ბრძოლის ველზე მოქმედი წესების შესახებ.“¹¹ მსგავსი სახელმძღვანელოების შექმნა ხელს უწყობდა ომის კანონების მეტ პატივისცემასა და მათ ზუსტ ჩამოყალიბებას. ამავე დროს, მათი უმრავლესობა ჩვეულებითი სამართლის ნორმას წარმოადგენდა. შემდგომში მოხდა აღნიშნული ნორმების კოდიფიცირება რიგ ხელშეკრულებებში. პირველ ასეთ შეთანხმებას წარმოადგენდა 1856 წლის პარიზის დეკლარაცია საზღვაო სამართლის პატივისცემის შესახებ.¹² ძირითად ხელშეკრულებებს წარმოადგენდა ჟენევის 1864 წლის და 1906 წლის კონვენციები სახმელეთო ომების დროს დაჭრილ და ავადმყოფ მემომართა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, 1899 წლის ჰააგის სამი კონვენცია (რომელიც უმეტესად სახმელეთო და საზღვაო ბრძოლის წარმოების წესებს ეხებოდა) და 1907 წლის მეცამეტე ჰააგის კონვენცია, რომელიც ომის კანონების დარჩენილ საკითხებს არეგულრებდა.¹³ რა თქმა უნდა, ეს ხელშეკრულებები სავალდებულო იყო მხოლოდ მისი წევრი სახელმწიფოებისათვის. ამ ნორმების უმრავლესობა ან უკვე იყო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი, ან მოგვიანებით გახდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მრავალი ხელშეკრულება მიიღეს ომის კანონების შესახებ: ლონდონის 1930 წლის ხელშეკრულება და '1936 წლის დამატებითი ოქმი, რომელიც არეგულირებდა წყალქვეშა ნაგების გამოყენების საკითხს;¹⁴ ჟენევის 1925 წლის დამატებითი ოქმი ომის დროს აირწვეთოვანი და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.¹⁵ ჰააგაში 1954 წელს ხელმოწერილ იქნა კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ (მაგალითად, ხელოვნების ნიმუშის დაცვა);¹⁶ 1972 წლის კონვენცია კრძალავდა ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღების გამოყენებას;¹⁷ 1977 წლის კონვენცია კი კრძალავდა გარემოსთან დაკავშირებული მოდიფიცირებული ტექნოლოგიის გამოყენებას სამხედრო მიზნებისათვის;¹⁸ დაბოლოს, 1980 წელს ხელმოწერილ იქნა კონვენცია და სამი დამატებითი ოქმი, რომელიც კრძალავს სასტიკი და მიზნის განურჩევადი ხასიათის არაბირთვული იარაღის გამოყენებას, როგორც არის ასაფეთქებელი იარაღი (მაგალითად, ნაპალმი), ქვეით-სანინაალმდეგო ნალმები და ნალმების ასაფეთქებელი ხაფანგები, განსაკუთრებით მათ გამოყენებას სამოქალაქო პირების წინააღმდეგ.¹⁹ გარკვეული საკონვენციო იარაღების შესახებ 1980 წელს მიღებული კონვენციის პირველი მიმოხილვითი კონფერენცია 1995 წელს ჩატარდა, რომლის დროსაც მიიღეს დამატებითი ოქმი დამაბრმავებელი ლაზერისა და ნალმების აკრძალვის შესახებ.²⁰ თუმცა უფრო მნიშვნელოვან დოკუმენტებს წარმოადგენს 1929 წლის ჟენევის ორი კონვენცია: ავადმყოფთა და დაჭრილთა, ხომალდის კატასტროფაში მოყოლილი პირებისა და სამხედრო ტყვეების დაცვის შესახებ, აგრეთვე ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენცია: მოქმედ ჯარში დაჭრილების და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილების, ავადმყოფების და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ და ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, რომელსაც 1977 წელს ორი დამატებითი ოქმი დაემატა.²¹ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ კონვენციის მიზნები უფრო ფართოა, ვიდრე კონვენციით განმტკიცებული ნორმები. ეს კონვენცია უმეტესწილად ორი სახის სამოქალაქო მოსახლეობას იცავს: პირველი, პირებს, ვინც ომის დაწყებისას მტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, და მეორე, პირებს, ვინც ომის დროს მტრის მიერ დაკავებული და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შეადგენს. თავად კონვენცია შეიცავს რიგ დებულებებს, რომელებიც ყველა სამოქალაქო პირზე ვრცელდება.

¹¹ *nb.* P. Malanczuk, *American Civil War*, *EPIL* (1992), 129-31; Roberts/Guelff (eds), *op. cit.*, 7.

¹² (1907) Supplement 89-90.

¹³ The Geneva Conventions of 1864 and 1906, 129 CTS 361, 202 CTS 144; the 1907 Hague Conventions IV—XIII, Roberts/Guelff (eds), *op. cit.*, 43-119. *nb.* M. Bothe, *Land Warfare*, *EPIL* 3 (1982), 239-42; Y. Dinstein, *Sea Warfare*, *EPIL* 4 (1982), 201-12. *nb.* აგრეთვე, თ. 2.

¹⁴ 1930 London Naval Treaty, 112 LNTS 65; 1936 London Protocol, 173 LNTS 353, 353-7; *AIL* 31 (1937) Supplement, 137-9. *nb.* აგრეთვე, K. Zemanek, *Submarine Warfare*, *EPIL* 4 (1982), 233-5.

¹⁵ 94 LNTS 65; *AIL* 25 (1931) Supplement, 94-6. *nb.* E. Rauch, *Biological Warfare*, *EPIL* 1 (1992), 404-7; M. Bothe, *Chemical Warfare*, *ibid.*, 566-9.

¹⁶ 249 UNTS 240, 249 UNTS 358.

¹⁷ *ILM* 11 (1972), 310.

¹⁸ *ILM* 16 (1977), 88. *nb.* M. Bothe, *War and Environment*, *EPIL* 4 (1982), 290-3.

¹⁹ Conference on Prohibitions or Restrictions on the Use of Certain Conventional Weapons, Final Act, *ILM* 19 (1980), 1523. *nb.* W. A. Soli, *Weapons, Prohibited*, *EPIL* 4 (1982), 352-4; M. A. Meyer (ed.), *Armed Conflict and the New Law: Aspects of the 1977 Geneva Protocols and the 1981 Weapons Convention*, 1989.

²⁰ Text in *ILM* 35 (1996), 1206; L. Doswald-Beck, *New Protocol on Blinding Laser Weapons*, *IRRC* 36 (1996), 272-99; P. Herby, *ibid.*, 361 *et seq.*; K. Dormann, *The First Review Conference to the 1980 Convention on Prohibitions or Restrictions on the Use of Certain Conventional Weapons Which May Be Deemed to be Excessively Injurious or to Have Indiscriminate Effects - A Story of Failure?*, *HV* 8 (1995), 203-11.

²¹ 1929 Geneva Conventions *HI*, 118 LNTS 303; 1949 Geneva Conventions I-IV, 75 UNTS 31, 75 UNTS 85, 75 UNTS 135 and 75 UNTS 287; 1977 Protocols *HI*, 1125 UNTS 3 and 1125 UNTS 609; *nb.* A. Schilgel, *Geneva Red Cross Conventions and Protocols*, *EPIL* II (1995), 531-4.

²² იბ. I Meron, *The Continuing Role of Custom in the Formation of International Humanitarian Law*, *AJIL* 90 (1996), 238-49, 245 *et seq.*

²³ 1993 Chemical Weapons Convention, (1993), 800. იბ. T. Taylor, *The Chemical Weapons Convention and Prospects for Implementation*, *ICLQ* 42 (1993), 912-19; D. Bardonnet (ed.), *The Convention on the Prohibition and Elimination of Chemical Weapons*, 1994; W. Krutesch/R. Trapp, *A Commentary on the Chemical Weapons Convention*, 1994.

²⁴ *IRRC* 36 (1996), no. 311, 255.

²⁵ იბ. G.H. Aldrich, *Prospects for United States Ratification of Additional Protocol I to the 1949 Geneva Conventions*, *AJIL* 85 (1991), 1-20; T. Meron, *The Time Has Come for the United States to Ratify Geneva Protocol I*, *AJIL* 88 (1994), 678-86; A.P. Rubin, *Correspondence on United States's Ratification of Geneva Protocol I*, *AJIL* 89 (1995), 363-5.

²⁶ *IRRC* 36 (1996), no. 311, 247, 255.

²⁷ *Ibid.*, 256-7. იბ. აგრეთვე, E. Kussbach, *The International Humanitarian Fact-Finding Commission*, *ICLQ* 43 (1994), 174-84 და თ. 18.

²⁸ Roberis/Gueiff (eds), *op. cit.*, 4. A common article in each of the 1949 Geneva Conventions draws upon the text of the Martens Clause: I (Article 63), II (Article 62), III (Article 142), IV (Article 158). იბ. აგრეთვე, Article I of the 1977 Additional Protocol I and the Preamble to Additional Protocol II; T. Meron, *On Custom and the Antecedents of the Martens Clause in Medieval and Renaissance Ordinances of War*, in *FS Bernhardt*, 173-7; V. Pustogarov, *Fyodor Fyodorovich Martens (1845-1909) – A Humanist of Modern Times*, *IRRC* 36 (1996), 300-14.

²⁹ იბ. E.J. Wallach, *The Use of Crude Oil by an Occupying Belligerent State as a Munition de Guerre*, *ICLQ* 41 (1992), 387-10. 44-5. იბ. Meron (1996), *op. cit.*

მაგალითად, კონვენცია კრძალავს სამოქალაქო ხასიათის საავადმყოფოებზე თავდასხმას. 1977 წლის პირველი დამატებითი ოქმის 48-დან 60-ის ჩათვლით მუხლები სამოქალაქო პირთა უფრო ფართო დაცვას ითვალისწინებს.

სახელმწიფოების მიერ მსგავსი ხელშეკრულებების რატიფიცირების პრაქტიკა განსხვავდება.²² სახელმწიფოთა უმრავლესობა უხალისოდ აწერს ხელს ჰააგის მსგავს ხელშეკრულებებს. 1980 წლის გარკვეული სახის იარაღების გამოყენების ამკრძალველი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა 57-ს შეადგენდა 1995 წლისათვის, ხოლო ამავე კონვენციის დამატებითი ოქმების მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლებია. 1925 წლის კონვენციის ოქმს, რომელიც კრძალავს ომის დროს მგუდავი, მომწამლავი და სხვა სახის გაზებისა და ბაქტერიოლოგიური მეთოდების გამოყენებას, 145 წევრი სახელმწიფო ჰყავს (1995 წლის მონაცემებით). უახლესი კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 29 აპრილს – სამოცდამეხუთე რატიფიცირებიდან 180-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, კრძალავს ქიმიური იარაღის განვითარებას, გამოშვებას, შეგროვებასა და გამოყენებას და სავალდებულოს ხდის მის განადგურებას. 1997 წლის მონაცემების მიხედვით, ამ კონვენციას 100-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი.²³ მრავალი სახის იარაღის გამოყენება არ არის შეზღუდული ან აკრძალული სახელშეკრულებო ნორმებით. ყველზე უფრო დადებითი შედეგი უენევის 1949 წლის ოთხმა კონვენციამ მოგვცა, რომელთა რატიფიცირებამ უნივერსალური ხასიათი მიიღო (1996 წლისთვის 186 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული).²⁴ რაც შეეხება 1977 წლის პირველ დამატებით ოქმს, მას შედარებით ნაკლები მონაწილე სახელმწიფო ჰყავს (1996 წლისათვის 134 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული).²⁵ 1996 წლის 18 მარტს კვიპროსი 1977 წლის მეორე დამატებითი ოქმისადმი მიერთებასთან ერთად მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობამ 135-ს მიაღწია.²⁶ აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 47-მა სახელმწიფომ გააკეთა დეკლარაცია პირველი ოქმის 90-ე მუხლის შესაბამისად, რომლითაც მათ აღიარეს საერთაშორისო ფაქტების დამდგენი კომისიის უფლებამოსილება.²⁷

ომის კანონების კოდიფიცირების ფაქტმა არ შეამცირა ჩვეულებითი სამართლის ნორმების როლი. მათ ასახვა პოვეს „მარტენის დათქმაში“, რაც ჰააგის 1899 წლის მეორე კონვენციაში არის მოცემული:

ვიდრე უფრო სრულყოფილი ომის კანონების კოდექსი გამოიცემა, მაღალ ხელშემკვერელ სახელმწიფოებს მართებულად მიაჩნიათ, რომ მათ მიერ მიღებული ნესებით არარეგულირებადი შემთხვევები, მოსახლეობა და მეომარი მხარეები საერთაშორისო სამართლის საფუძვლების მფარველობასა და მოქმედებას ექვემდებარებიან, რამდენადაც ისინი ცივილიზებულ ხალხთა მიერ ჩამოყალიბებული ტრადიციებიდან, ჰუმანურობის კანონებიდან და საზოგადოებრივი შეგნების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.²⁸

სამხედრო ტექნიკის განვითარების პროცესს საგრძნობლად ჩამორჩება განვითარების პროცესის შედეგად მიღებული იარაღის ამკრძალავი ნორმების კოდიფიცირების პროცესი. მაგალითად, 1977 წლის I ოქმის მიღებამდე არ არსებობდა სამოქალაქო მოსახლეობის დაბომბვისაგან დამცავი სახელშეკრულებო ნორმა. აღნიშნული საკითხი ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში რომ ყოფილიყო დარეგულირებული, პრობლემა ნაკლებად წარმოიშობოდა. სახელმწიფოთა პრაქტიკა ომის კანონების შესახებ მეტწილად უშუალოდ ომის დროს ვითარდება, რის გამოც მას განგრძობადობა აკლია; ომების უმეტესობა ხანგრძლივი არ არის. ტექნოლოგიური ცვლილებები რადიკალურად ვითარდება, რის გამოც ყოველი ახალი ომი განსხვავდება წინამორბედი ომისაგან. ასევე ძნელია *opinio iuris*-ის²⁹ დადგენა, რადგანაც სახელმწიფოები იშვიათად იძლევიან ომის დროს განხორციელებული ქმედებების სამართლებრივ

საფუძვლებს. არც ომის დანაშაულების ჩამდენი პირების გასამართლები მიზნით შექმნილი სასამართლოები იძლევიან რაიმე განმარტებას.³⁰ მაგალითად, არც ერთი გერმანელი არ იქნა გასამართლებული მეორე მსოფლიო ომის დროს მასიური საჰაერო თავდასხმების ორგანიზებისათვის; ეს გასაგები მიზეზების გამო მოხდა: მოკავშირეებს არ სურდათ გერმანელების გასამართლება იმ ქმედებებისათვის, რასაც თავადაც სჩადიოდნენ. ამის გამო არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება დაბომბვის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.³¹ ჰააგის 1899 წლისა და 1907 წლის კონვენციები ჯერ კიდევ ძალაშია, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ მათი მრავალი დებულება თანამედროვე ცხოვრებაში განუხორციელებელი რჩება, სახელმწიფოებს მათი ხშირი დარღვევის საშუალებას აძლევს. არსებობს ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც XX საუკუნეში ხელს უწყობს ომის კანონების დარღვევას. პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა უფრო მეტი ტანჯვა მოუტანა კაცობრიობას, ვიდრე მანამდელმა ომებმა; ეს ომები იდეოლოგიური მიზეზების საფუძველზე და, შესაბამისად, შეუზღუდავი მიზეზებით წარმოებდა. მეომარი სახელმწიფოები არ ცდილობდნენ ძალთა დაბალანსების სისტემასთან შეთავსებას, არამედ უპირობო დამორჩილების ტაქტიკას მიმართავდნენ, რაც მეორე მხარეს სიცოცხლის ბოლომდე ბრძოლას აიძულებდა. მეორე მხრივ, მომხდარი ეკონომიური და ტექნოლოგიური ცვლილებების საფუძველზე, ომის კანონების დარღვევა სახელმწიფოსათვის სამხედრო უპირატესობის მოპოვების საშუალებას წარმოადგენდა (რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისები: მაგალითად, სამხედრო ტყვეების მოკვლა ნაკლები უპირატესობის მომტანია, რის გამოც მსგავსი შემთხვევების მარეგულირებელ ნორმებს რეალური ამოქმედების კარგი პირობა გააჩნია). დღესდღეობით, როდესაც მთელი სახელმწიფოს ეკონომიკა ომს ეწირება, განსხვავება შეიარაღებულ ძალებსა და სამოქალაქო პირებს შორის ილუზიური ხასიათისაა. ქარხნების განადგურება, და მათ შორის ქარხნის მუშაკების მკვლელობა, წარმოშობს სამხედრო უპირატესობას, რომელიც უნინ წარმოუდგენელი იყო; საჰაერო საშუალებების გამოგონებასთან ერთად მეომარ სახელმწიფოებს უფრო მეტი მსგავსი ქმედებების განხორციელების საშუალება მიეცათ.

³⁰ იხ. ქვემოთ.
³¹ იხ. T. Bruha, Bombardment, *EPIL* (1992), 419-22.
³² GA Res. 1653 (XVI), 24 November 1961, *UNYb* 1961, 30-1. იხ. აგრეთვე, UNGARes. 2936 (XXVII) of 29 November 1972; "Non-Use of Nuclear Weapons and Prevention of Nuclear War", UNGA Res. 36/92 (I) of 9 December 1981; H. Blix, Area Bombardment: Rules and Reasons, *BYIL* 49 (1978), 31-69; D. Rauschning, Nuclear Warfare and Weapons, *EPIL* 4 (1982), 44-50; I. Pogany (ed.), *Nuclear Weapons and International Law*, 1987; N. Singh/E. McWhinney, *Nuclear Weapons and Contemporary International Law*, 2nd edn 1983; E.L. Meyrowitz, *The Prohibition of Nuclear Weapons: The Relevance of International Law*, 1990; W.R. Hearn, The International Legal Regime Regulating Nuclear Deterrence and Warfare, *BYIL* 61 (1990), 199 *et seq.*; Nuclear Weapons and the Right to Survival, Peace and Development, *Denver JILP* 19 (1990), no 1 (Special Issue); B. Graefrath, Der aktuelle Stand der völkerrechtlichen Diskussion zur Legalität von Nuklearwaffeneinsätzen, *HV8* (1995), 124-7.
³³ იხ. ქვემოთ

ბირთვული იარაღი

1961 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ბირთვული იარაღის გამოყენებას უკანონოდ აცხადებდა.³² რეზოლუციას მხარი დაუჭირა 55-მა სახელმწიფომ (უმეტესად კომუნისტურმა და მესამე იარუსის სახელმწიფოებმა), წინააღმდეგი იყო 20 სახელმწიფო (უმეტესად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები), თავი შეიკავა 26-მა სახელმწიფომ (ლათინური ამერიკის ქვეყნები). კომუნისტურ და დასავლურ ბანაკებს შორის არსებული უთანხმოება გამონვეული იყო ევროპაში საბჭოთა კავშირის სიძლიერით, რომელიც კონვენციური (არაბირთვული) იარაღის არსებობას ეფუძნებოდა. დასავლური ქვეყნები (აღმოსავლეთ ევროპიდან წითელი არმიის გასვლამდე) იძულებული გახდებოდნენ, გამოეყენებინათ ბირთვული იარაღი დასავლეთ ევროპის საბჭოური ჯარების ინტერვენციისაგან დასაცავად. ამის გამო დასავლური ქვეყნები ამტკიცებდნენ, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებს. საბჭოთა კავშირმა კი შეძლო მესამე მსოფლიოს ქვეყნების კეთილი ნების მოპოვება; ის მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ბირთვული იარაღის გამოყენება უკანონო გახლდათ, რადგანაც საბჭოთა კავშირს მშვენივრად ესმოდა, რომ ის არ იქნებოდა პირველი სახელმწიფო, რომელსაც ბირთვული იარაღის გამოყენება მოუწევდა; თუკი დასავლური სახელმწიფოები მას პირველი გამოიყენებდნენ, საბჭოთა კავშირს საშუალება მიეცემოდა, თავისი საპასუხო ქმედება (ბირთვული იარაღის გამოყენება) რეპრესალიად გამოეცხადებინა.³³

³⁴ იბ. თ. 3.

³⁵ იბ. F.A.F.v.d. Heydte, Military Objectives, EPIL 3 (1982), 276-9.

³⁶ AJIL 72 (1978), 407.

³⁷ მაგრაძის თანამედროვე ინტერპრეტაციის დისკუსია ამ საკითხთან დაკავშირებით, თ. 2.

გენერალური ასამბლეის მსგავსი ხასიათის რეზოლუცია, შესაძლოა, ჩვეულებითი სამართლის ნორმის გამოხატულება იყოს,³⁴ თუმცა ამ რეზოლუციის კენჭისყრის შედეგებმა ცხადყო, რომ ის არ წარმოადგენდა ჩვეულებითი სამართლის ნაწილს. რა თქმა უნდა, დასავლურ სახელმწიფოებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ რეზოლუციას არანაირი სავალდებულო ძალა არ გააჩნია, რადგანაც ისინი მუდმივად ეწინააღმდეგებოდნენ მას.

საერთაშორისო სამართლის გარკვეული ნორმების მოქმედება, ანალოგიის საფუძველზე, ბირთვული იარაღის გამოყენებაზეც ვრცელდება. მაგალითად, ჰააგის 1907 წლის წესდების 23-ე (ა) მუხლი კრძალავს „სანამლაგის ან მომწამლაგის იარაღის გამოყენებას“, ხოლო ჟენევის 1925 წლის ოქმი კრძალავს „მხუთავი, მომწამლაგის ან სხვა სახის გაზის ან ანალოგიური თხევადი საშუალებების და მოწყობილობების გამოყენებას ომის დროს. „შესაძლოა იმის მტკიცება, რომ ბირთვული იარაღი ისევე იწვევს ადამიანის გათიშვას როგორც მომწამლაგის გაზი, მაგრამ ანალოგია არც ისე აბსოლუტურია: ბირთვული იარაღის გამოყენებისას პირის გათიშვა, მხოლოდ გვერდითი მოვლენაა, ხოლო მოწამვლისას ძირითად (თუ არა ერთადერთ) მოვლენას წარმოადგენს.

ბირთვული იარაღი შეგვიძლია შევადაროთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარ მასიურ დაბომბვებს; ამ დროს არ არსებობდა მსგავსი სახის საჰაერო თავდასხმების ამკრძალველი ხელშეკრულება. ამავე დროს ძნელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ აღნიშნული ქმედებები ჩვეულებითი სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენდა, რადგანაც მეორე მსოფლიო ომის დროს ორივე მხარე ახორციელებდა დაბომბვებს. პირველი ოქმის (1977 წელი) 48-60 მუხლები მეორე მსოფლიო ომის დროს რომ ყოფილიყო ძალაში, მრავალი დაბომბვის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი. პირველი ოქმის 48-ე მუხლი ზოგადი ხასიათის ნორმას ადგენს:

სამოქალაქო პირებისა და ობიექტების უსაფრთხოების მიზნით, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა განარჩიონ სამოქალაქო პირები და კომბატანტები, ასევე სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები, და შესაბამისად თავიანთი ოპერაციები უშუალოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ უნდა მიმართონ.³⁵

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველი ოქმის (1977) ხელმოწერისას საკუთარი აზრი გამოთქვა, რომლის თანახმად, „ოქმში განმტკიცებული ნორმები არ იქონიებდა გავლენას, ან არ დაარეგულირებდა, ან არ აკრძალავდა ბირთვული იარაღის გამოყენებას.“³⁶ მსგავსი სახის განცხადებით გამოვიდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელისუფლებაც.

ძირითადი პრინციპების თანახმად, ომი არ უნდა გახდეს ჭარბი ზიანის მიზეზი. კერძოდ, საუბარია ყოველგვარი ლიმიტების გარეშე არსებულ ზიანზე, რომელიც სამხედრო უპირატესობის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს. ბირთვული იარაღი უზარმაზარ მსხვერპლს იწვევს; ამავე დროს სამხედრო უპირატესობის მიღწევისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს; იაპონიაში 1945 წელს ბირთვული იარაღი რომ არ გამოეყენებინათ, ომი მინიმუმ კიდევ ერთი წლით გაგრძელდებოდა.³⁷ შესაბამისად, უმართებულო იქნება იმის მტკიცება, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უკანონო ქმედებას წარმოადგენს.

თუკი ჩვენ ვაღიარებთ იმ ფაქტს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება ზოგ შემთხვევაში კანონიერია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ „კონვენციური“ იარაღების გამოყენების შემზღვეველი კანონები მოძველდა. ბომბების ჩამოყრა ქალაქზე შეიძლება კანონიერი იყოს, რადგანაც სამხედრო საწარმოების, ქარხნებისა და გადაამცემი საშუალებების განადგურებით მოპოვებულმა სამხედრო უპირატესობამ, შესაძლოა, გადაწონოს მიყენებული ზიანი; მაგრამ იმავე ქალაქში გამიზნულად სკოლის ან საავადმყოფოს დაბომბვა უკანონო ქმედებას წარმოადგენს.

სანამ საერთაშორისო საზოგადოება და მათ შორის ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოები არ მიაღწევენ საყოველთაო შეთანხმებას ბირთვული იარაღის გამოყენების ან აკრძალვის შესახებ, იარაღის გამოყენებისა და საომარი მეტოდების განსაზღვრის ზოგადი პრინციპები და სხვა ჩვეულებითი ნორმები მნიშვნელობას არ კარგავენ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა არაერთხელ დაუჭირეს მხარი მათ გამოყენებას.³⁸

ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების საკითხი საერთაშორისო სასამართლოს წინაშეც დადგა, როდესაც საკონსულტაციო დასკვნა გახდა საჭირო. პირველად სასამართლოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) მიმართა 1993 წლის 3 სექტემბერს, მეორეჯერ კი გენერალურმა ასამბლეამ 1996 წლის 6 იანვარს. რადგანაც კითხვის ქვეშ დადგა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმართვის უფლების არსებობა საერთაშორისო სასამართლოსათვის სახელმწიფოთა მიერ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე,³⁹ საქმეში ჩაერთო გაეროს გენერალური ასამბლეა, რადგანაც ის უფლებამოსილია, მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე. ეს თხოვნა მოგვიანებით აისახა გენერალური ასამბლეის მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს მიღებულ რეზოლუციაში 49/75K, რომელშიც გენერალურმა ასამბლეამ, დაეყრდნო რა გაეროს წესდების 96-ე მუხლს, მიმართა საერთაშორისო სასამართლოს, რაც შეიძლება სწრაფად მიეღოს საკონსულტაციო დასკვნა შემდეგ საკითხზე: „არის თუ არა ბირთვული იარაღის მუქარა ან გამოყენება საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ყველა არსებულ შემთხვევაში?“⁴⁰

ეს საქმე საკმაოდ საინტერესოა, რადგანაც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოთა საერთო ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ძლიერი ბირთვული ძალების – ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დამარცხება. საერთაშორისო სასამართლომ მიიღო მილიონი კაცის მიერ ხელმოწერილი პეტიცია ბირთვული იარაღის გამოყენების უკანონობის შესახებ *inter alia* მარტენსის წესებზე დაყრდნობით.⁴¹ 1995 წლის 30 ოქტომბერს მშვიდობის სასახლეში გაიმართა საჯარო მოსმენა, რომელიც 15 ნოემბრამდე გაგრძელდა. მოსმენისას 21 სახელმწიფოსა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები ბირთვული იარაღის გამოყენების წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათ შორის იყვნენ ქალაქების ჰიროსიმასა და ნაგასაკის მერები.⁴²

1996 წლის 8 ივლისს საერთაშორისო სასამართლომ ორივე მოთხოვნაზე საკონსულტაციო დასკვნა გამოაქვეყნა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოთხოვნა არ იქნა მიღებული (თერთმეტი ხმით სამის წინააღმდეგ)⁴³ „სპეციალიზირებულობის პრინციპის“ გამო, რომელიც აგვარებს და ზღუდავს საერთაშორისო ორგანიზაციების უფლებამოსილებას.⁴⁴ საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაცია უფლებამოსილი არ არის, განიხილოს ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების საკითხი, მათ შორის იარაღით გამოწვეული ეფექტი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გარემოზე.⁴⁵ რაც შეეხება გენერალური ასამბლეის მიმართვას, მოსამართლეთა შორის განსხვავებული აზრი წარმოიშვა. საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობს არც ჩვეულებითი და არც კონვენციური ნორმა, რომელიც „გარკვეულ ნებართვას იძლევა ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარის ან გამოყენების“ შესახებ, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ არც „სრულყოფილი და უნივერსალური აკრძალვა“ არსებობს. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ერთხმად განაცხადა, რომ „ბირთვული იარაღის მეშვეობით ძალის გამოყენების მუქარა ან ძალის გამოყენება ეწინააღმდეგება გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფსა და 51-ე მუხლის ყველა მოთხოვნას, რის საფუძველზეც უკანონო ქმედებას წარმოადგენს“ და „არ შეესაბამება შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, კერძოდ, საერთა-

³⁸ იხ. Roberts/Guelff (eds), *op. cit.*, 18-9.

³⁹ WHO-ს ასამბლეის მიერ 1993 წლის 14 მარტის მიღებული რეზოლუციაში (WHA 46.40) დასმულია შემდეგი კითხვა: გარემოს დაცვის და დამაინთავან-ბრთვლობის თვალსაზრისით, არის თუ არა ომის ან სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოს მიერ ატომური იარაღის გამოყენება ამ სახელმწიფოს ვალდებულებების დარღვევა საერთაშორისო სამართლის დამატორის, WHO-ს კონსტიტუციის წინაშე?

⁴⁰ UNGA Res. 49/75K; M. Lailach, The General Assembly's Request for an Advisory Opinion From the International Court of Justice on the Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, *LJIL* 8 (1995), 401-29.

⁴¹ იხ. ზემოთ.

⁴² მონაწილეთა საიხ. *ILM* 35 (1996), 816.

⁴³ *ICJ Advisory Opinion on the Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, *ILM* 35 (1996), 809; *ILM* 35 (1996), 1343. ამ საქმესთან დაკავშირებით იხ. თ. შ. დათ. 19.

⁴⁴ იხ. თ. 6.

⁴⁵ *ICJ Advisory Opinion*, *op. cit.*

⁴⁶ *Ibid.*, at 831.
⁴⁷ *Ibid.*, 934, para. 2; იხ. აგრეთვე 3.
⁴⁸ 1968 Treaty on Non-Proliferation of Nuclear Weapons, *ILM* 1 (1968), 7; *ILM* 34 (1995), 959. იხ. აგრეთვე, G Bunn/R. Timerbaev/J. Leonard, *Nuclear Disarmament: How Much Have the Five Nuclear Powers Promised in the Non-Proliferation Treaty?*, 1994; G Bunn, *Extending the Non-Proliferation Treaty: Legal Questions Faced by the Parties in 1995*, 1994; *The United Nations and Nuclear Non-Proliferation*, UN Blue Book Series, 1995; M. Rosenne, *The Treaty on Non-Proliferation of Nuclear Weapons*, *Justice-IAJU*, 1995, 15-8; M.v. Leeuwen (ed.), *The Future of the International Nuclear Non-Proliferation Regime*, 1995; E. El Baradei, *Verifying Non-Proliferation Pledges: The Evolution and Future Direction of the IAEA Safeguards System*, *JLIL* 8 (1995) 347-60.
⁴⁹ იხ. I.H.v. Are, *Nuclear Tests*, *EPIL* 4 (1982), 41-4. იხ. აგრეთვე, N. Pelzer, *Nuclear-Free Zones*, *ibid.*, 38-41; P.G. Schrag, *Global Action: Nuclear Test Ban Diplomacy at the End of the Cold War*, 1992.
⁵⁰ 24 September 1996, *ILM* 35 (1996), 1439.
⁵¹ *Nuclear Tests Cases (Australia v. France)*, *ICJ Rep.* 1973, 99-133 (Interim Protection); *Nuclear Tests Cases (New Zealand v. France)*, *ICJ Rep.* 1973, 135-64 (Interim Protection). იხ. აგრეთვე, A. Berg, *Nuclear Tests Cases (Australia v. France; New Zealand v. France)*, *EPIL* 2 (1981), 216-9; I. Scobbie, *Discontinuance in the International Court: The Enigma of the Nuclear Tests Cases*, *ICLQ* 41 (1992), 808 *et seq.*
⁵² *ICJ Rep.* 1974, 253-455 (*Australia v. France*); *ICJ Rep.* 1974, 457-528 (*New Zealand v. France*). იხ. C.-A. Fleischhauer, *Declaration*, *EPIL* 1 (1992), 971-2. იხ. აგრეთვე 9.
⁵³ იხ. აგრეთვე, *The Rainbow Warrior case*, თ. 6.

შორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს, ასევე ბირთვული იარაღის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებითა და სხვა საერთაშორისო საშუალებებით აღებულ ვალდებულებებს.“ ყველაზე უფრო სადავო საკითხის შესახებ მიღებული დასკვნა (შვიდი ხმით შვიდის წინააღმდეგ, გადანონა თავმჯდომარის ხმამ) საკმაოდ ბუნდოვანია:

ზემოთ მოყვანილი მოთხოვნების თანახმად, ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა ან გამოყენება ზოგადად ეწინააღმდეგება შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებად საერთაშორისო სამართლის ნორმებს, კერძოდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. მართალია, საერთაშორისო სამართალში დღესდღეობით არსებული მდგომარეობიდან და მათ ხელთ არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, სასამართლოს არ ძალუძს იმის გადანყვეტა, იქნება თუ არა ექსტრემალურ შემთხვევებში თავდაცვის მიზნით ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა ან გამოყენება კანონიერი თუ უკანონო, როდესაც სახელმწიფოს გადარჩენაზეა საუბარი.⁴⁶

მოსამართლე ჰიგინსმა თავის განსხვავებულ აზრში განაცხადა: „სასამართლომ *non liquet* გამოაცხადა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არსებულ სამართალსა და ფაქტებზე დაყრდნობით.“⁴⁷ ძირითადი დასკვნა სრული არ არის. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ როდის ითვლება ბირთვული იარაღის გამოყენება კანონიერად და როდის უკანონოდ. ამის მაგივრად, სასამართლომ ერთსულოვნად გადანყვეტა, რომ არსებობს სახელმწიფოთა შორის გარკვეული მოვალეობა – „კეთილსინდისიერად განახორციელონ მოლაპარაკებები და მიაღწიონ შეთანხმებას ბირთვული განიარაღების შესახებ, რომელიც მკაცრ და ეფექტურ საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარება.“ ახლახანს გაურკვეველი ვადით იქნა გაგრძელებული ბირთვული იარაღის გაუვნებელყოფის შესახებ ხელშეკრულების მოქმედება. ხელშეკრულება გარკვეულ წილად პრივილეგიას ანიჭებს ხუთ ოფიციალურ ბირთვულ სახელმწიფოს, რომლებიც ამავე დროს გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს წარმოადგენენ. კერძოდ, მათ საშუალება ეძლევათ, შეინარჩუნონ თავიანთი ბირთვული იარაღის არსენალი და ამავე დროს შეამცირონ სხვა სახელმწიფოების ხელთ მსგავსი იარაღის არსებობა. ხელშეკრულება ითვალისწინებს ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოები კეთილსინდისიერად განაგრძობენ ბირთვული განიარაღების პროცესს.⁴⁸ ამ საკითხთან მჭიდრო კავშირშია (მაგრამ არ წარმოადგენს ომის კანონების საკითხს) ბირთვული იარაღის გამოცდის კანონიერების საკითხი, რომელიც მშვიდობიან პერიოდში ტარდება და მიზნად ისახავს ბირთვული იარაღის ეფექტურობის შემოწმებასა და სამომავლო განვითარებას.⁴⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით რიგი დებულებები აისახა რამდენიმე ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებაში.⁵⁰ გაურკვეველი რჩება მესამე მსოფლიოს ქვეყნების დამოკიდებულება მსგავს ცდებთან დაკავშირებით. მართალია, იმ შემთხვევაში თუ ერთი სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ცდები გავლენას იქონიებს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიასა და მოსახლეობაზე, შესაძლებელი იქნება საერთაშორისო პასუხისმგებლობის მოთხოვნა. საერთაშორისო სასამართლომ 1973 წელს განიხილა წყნარ ოკეანეში ჩატარებული ატომური ცდების საკითხი.⁵¹ მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ორი სახელმწიფო: ავსტრალია და ახალი ზელანდია, მოპასუხე მხარეს კი – საფრანგეთი. სასამართლომ საფრანგეთის წინააღმდეგ გამოიტანა გადანყვეტილება მოსარჩელეთა უფლებების დასაცავად 1973 წლის 22 ივნისს; მოგვიანებით, 1974 წლის 20 დეკემბერს, სასამართლომ განაცხადა, რომ გადანყვეტილების აღსრულება აღარ იყო საჭირო, რადგანაც საფრანგეთმა ცალმხრივი დეკლარაციის⁵² საფუძველზე განაცხადა ცდების შეწყვეტის შესახებ.

უკანასკნელ პერიოდში წყნარი ოკეანის სამხრეთით⁵³ მიმდინარე ცდების საფუძველზე ახალი სარჩელი შევიდა საერთაშორისო სასამართლოში. ახალმა

ზელანდიამ 1995 წლის 21 აგვისტოს სასამართლოს მიმართა თხოვნით „განეხილა საქმე საერთაშორისო სასამართლოს მიერ 1974 წლის 20 დეკემბერს ატომური ცდების საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების 63-ე პარაგრაფის შესაბამისად.“ ახალი ზელანდიის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა დამატებითი ზომების განსაზღვრა. ავსტრალიამ ასევე ითხოვა საქმეში ჩარევა 1995 წლის 23 აგვისტოს; მსგავსი მოთხოვნა⁵⁴ წარადგინეს სამომამ, სოლომონის კუნძულებმა, მარშალის კუნძულებმა და მიკრონეზიის ფედერალურმა შტატებმა. პირველი სარჩელის შეტანიდან ერთი თვის თავზე, 1995 წლის 22 სექტემბერს, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მოსარჩელე მხარის მოთხოვნა „არ შეესაბამება ზემოთ ნახსენებ 63-ე პარაგრაფს და, შესაბამისად, უარი უნდა განეცხადოს.“⁵⁵ სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითადი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ 1973 წლის საქმე საჰაერო ცდებს ეხებოდა, ხოლო 1995 წელს განხილული საქმე – მინისქვეშა ცდებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ბოლო ხანებში, ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, საერთაშორისო სასამართლო საქმეთა ინტერპრეტაციისას ვიწრო იურისდიქციას ავრცელებს.

სამართალი ნეიტრალიტეტის შესახებ და საზღვაო სამხედრო ხომალდების ეკონომიკური მიზნით გამოყენება

გაეროს წესდების საფუძველზე განვითარებულმა ძალის გამოყენების ნორმებმა⁵⁶ და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემამ⁵⁷ გაართულა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებული ტრადიციული კანონები ნეიტრალიტეტის შესახებ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ სხვა სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ომში.⁵⁸ მსგავსი მდგომარეობა ხასიათდება, როგორც „ქაოტური.“⁵⁹ სამართლის დარგი, სადაც ტრადიციულმა ნორმებმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა არსებული სისადავე, ეხება საზღვაო ხომალდების გამოყენებას ეკონომიკური მიზნებისათვის.

ზღვა ყოველთვის გამოიყენებოდა ვაჭრობისთვის; საუკუნეების მანძილზე საზღვაო ომების ძირითად მიზანს მოწინააღმდეგის/მტრის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება წარმოადგენდა.⁶⁰ ზღვაზე მტრის სავაჭრო ხომალდის დაკავება ნებადართულია; საზღვაო ბრძოლის წესები განსხვავდება სახმელეთოსაგან, რომლის დროსაც, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, აკრძალულია (ან აკრძალული იყო) მტრის კერძო საკუთრების კონფისკაცია.⁶¹ ამასთან ერთად, შესაძლებელია ნეიტრალური სავაჭრო გემების დაკავება, თუ მათ გადააქვთ კონტრაბანდა⁶², ან თუკი ადგილი ექნება ბლოკადის გარღვევის მცდელობას⁶³ (ნეიტრალური ხომალდების მესაკუთრეები, რომლებიც ეზიდებიან კონტრაბანდას ან არღვევენ ბლოკადას, უკანონოდ არ იქცევიან. არც მათი მოქალაქეობის სახელმწიფო იქცევა უკანონოდ, როდესაც მსგავსი ხასიათის ქმედებას ნებას რთავს. თუმცა მაინც რჩება რისკი იმისა, რომ მათი დაკავების შემთხვევაში მოხდება საკუთრების კონფისკაცია).

XVIII და XIX საუკუნეებში საქონელი სამ სახეობად იყოფოდა: აბსოლუტური კონტრაბანდა, პირობითი კონტრაბანდა და თავისუფალი საქონელი. ნეიტრალური ხომალდები, რომლებსაც მოწინააღმდეგე მხარისათვის აბსოლუტური კონტრაბანდა გადაჰქონდათ (იგულისხმება ისეთი საქონელი, რომელიც უდავოდ სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენება, როგორც არის ტყვია-წამალი), კონფისკაციას ექვემდებარებოდნენ; ნეიტრალური ხომალდები, რომლებსაც მოწინააღმდეგე მხარისათვის თავისუფალი საქონელი გადაჰქონდათ (მაგალითისათვის, ძვირფასი ნაწარმი, როგორც არის აბრეშუმში), არ ექვემდებარებოდნენ კონფისკაციას; ნეიტრალური ხომალდები, რომლებსაც სხვა სახის საქონელი გადაჰქონდათ (მაგალითად, პირობითი კონტრაბანდა, როგორც არის საკვები და ტანსაცმელი), ექვემდებარებოდნენ დაკავებას, თუკი საქო-

⁵⁴ Under Articles 67 and 63 of the Statute of the ICJ. *ib. op. cit.* 18.

⁵⁵ *ICJ Rep.* 1995, 288, 307, para. 68. *ib. M.C.R. Craven.* New Zealand's Request for an Examination of the Situation in Accordance with Paragraph 63 of the Court's Judgment of 20 December 1974 in the Nuclear Tests (*New Zealand v France*), ICM 45 (1996), 725 *et seq.*

⁵⁶ R.L. Bindschedler, *Neutrality. Concept and General Rules.* *EPIL* 4 (1982), 9-14; R.L. Bindschedler, *Permanent Neutrality of States, ibid.*, 133-8; E. Kussbach, *Neutrality Laws. ibid.*, 28-31; K.J. Madders, *Neutrality in Air Warfare, ibid.*, 14-16; K. Zemanek, *Neutrality in Land Warfare, ibid.*, 16-19; H. Miessler, *Permanent Neutrality and Economic Integration, EPIL* 8 (1985), 431-4; S. Oeter, *Ursprünge der Neutralität, ZaöRV* 48 (1988), 447; S. Oeter, *Neutralist and Waffenhandel*, 1992; G.P. Politakis, *Variations on a Myth: Neutrality and the Arms Trade, GYIL* 35 (1992), 435; S.P. Subedi, *Neutrality in a Changing World: European Neutral States and the European Community. ICLQ* 42 (1993), 238 *et seq.* ⁵⁷ *ib. op. cit.* 19.

⁵⁸ *ib. op. cit.* 22; W. Graf Vitzthum, *Article 2(6), in Simma CUNAC*, 652-3; *ib. აგრეთვე*, B.-O. Bryde, *Article 48. ibid.*, 652-3.

⁵⁹ *ib. A. Gioia, Neutrality and Non-belligerency in Post (ed.)*, 1994, *op. cit.*, 51-110.

⁶⁰ *ib. Y. Dinstein, Neutrality in Sea Warfare. EPIL* 4 (1982), 19-28; Dinstein, *Sea Warfare, ibid.*, 201-12; W. Rabus, *Boaty in Sea Warfare, EPIL* 1 (1992), 434-7; M. Ronzitti (ed.), *The Law of Naval Warfare: a Collection of Agreements and Documents with Commentaries*, 1988; D. Fleck, *Rules of Engagement for Maritime Forces and the Limitation of the Use of Force under the UN Charter, GYIL*, 31 (1988), 165-86; W. H. V. Heinegg (ed.), *Methods and Means of Combat in Naval Warfare*, 1992; H.S. Levie, *Mine Warfare at Sea*, 1992; N. Ronzitti, *Le Droit humanitaire applicable aux conflits armes en mer*, (1993-V), 13-196; L. Doswald-Beek, *Vessels, Aircraft and Persons Entitled to Protection During Armed Conflict at Sea. BYIL* 65 (1994), 211-302; L. Doswald-Beek (ed.), *San Remo Manual on International*

Law Applicable to Armed Conflicts at Sea 1995; W.H.V. Heinegg (ed.), *Visit, Search, Diversion and Capture, The Effect of the United Nations Charter on the Law of Naval Warfare*, 1995; Heinegg (ed.), *Regions of Operations of Naval Warfare*, 1995.

⁶¹ R. Lagoni, *Merchant Ships*, *EPIL* 11 (1989), 228-33; R.J. Grunawalt, 56 *Targeting Enemy Merchant Shipping*, 1993.

⁶² W. Meng, *Contraband*, *EPIL* 1 (1992), 809-12.

⁶³ L. Weber, *Blockade*, *EPIL* 1 (1992), 408-12; Weber, *Blockade Pacific*, *ibid.*, 412-15.

⁶⁴ D.H.N. Johnson, *Prize Law*, *EPIL* 4 (1982), 154-9; J.H.W. Verzijl/W.P. Heere/J.P.S. Offenhuis, *International Law in Historical Perspective. Part IX-C. The Law of Maritime Prize*, 1992; U. Scheuner, *International Prize Court*, *EPIL* II (1995), 106-8.

⁶⁵ იხ. Zemanek (1982), *Submarine Warfare*, *op. cit.*, 233-5.

⁶⁶ 13 AD 203 (1946), at 219-20.

ნელი მონინალმდეგე მთავრობისთვის იყო გამიზნული, ხოლო კერძო პირებისათვის გამიზნული საქონლის შემთხვევაში – არა. განსხვავება ამ სამ სახეობას შორის არასოდეს ყოფილა ზუსტი და ომში მონაწილე მხარეებს თავისუფლად შეეძლოთ, ესა თუ ის საქონელი აბსოლუტურ ან პირობით კონტრაბანდად ჩაეთვალოთ. პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ომისკენ იყო მიმართული, რაც მანამდე წარმოებული ომების დროს არ იყო, შესაბამისად, ყველანაირი სახის საქონელი აბსოლუტურ კონტრაბანდად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ომებში პირობით კონტრაბანდად მიიჩნეოდა ან თავისუფალ საქონელს წარმოადგენდა.

XVIII და XIX საუკუნეების მანძილზე მონინალმდეგე სახელმწიფოებს შეეძლოთ მტრის სანაპიროს ბლოკადა, სამხედრო ხომალდების გაგზავნა სანაპიროს მიმდებარე ზონაში სხვა ხომალდების პორტში შესვლისა და პორტიდან მტრის ხომალდის გამოსვლის ასალაგმად. ნეიტრალური ხომალდები, რომლებიც გაქცევას ეცდებოდნენ (რაც ბლოკადის გარღვევას ნიშნავს), დაკავებას ექვემდებარებოდნენ; მართალია, მსგავსი დაკავების უფლება მხოლოდ გამკაცრებული ბლოკადის დროს მოქმედებდა. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანული ნაღმებისა და წყალქვეშა ნაგების გამო შეუძლებელი გახდა მოკავშირეთა სამხედრო ხომალდების მანევრირება გერმანიის სანაპიროს მახლობლად, რის შედეგადაც მოკავშირეებმა ჩამოაყალიბეს „შორეულ მანძილზე მოქმედი ბლოკადა.“ ნეიტრალიტეტის მქონე ხომალდებს გერმანიის სანაპიროდან ასი საზღვაო მილის დაშორებით აჩერებდნენ და აკავებდნენ კიდევაც, თუკი გემზე მყოფი საქონელი გერმანიისათვის იყო გამიზნული. ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფოებმა თავიანთი პროტესტი გამოთქვეს ბლოკადის გაფართოებასა და კონტრაბანდის შესახებ არსებული პრაქტიკის შეცვლასთან დაკავშირებით; თუმცა ომში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობასთან ერთად ნეიტრალური სახელმწიფოების რაოდენობა შემცირდა და მათი პოზიციების დაცვაც შესუსტდა.

მონინალმდეგე მხარის სამხედრო ხომალდებს უფლება აქვთ, გააჩერონ და გაჩხრიკონ სავაჭრო გემები (გარდა ნეიტრალური ტერიტორიული წყლებისა), რათა შეამოწმონ, გადააქვს თუ არა გემს კონტრაბანდა ან არღვევს თუ არა ის არსებულ ბლოკადას; თუკი ვარაუდი საფუძვლიანი აღმოჩნდა, დაკავებული ხომალდი პორტში გადაჰყავთ, სადაც სპეციალურად შექმნილი სასამართლო მას დაკავებული სახელმწიფოს „კანონიერ ნადავლად“ აცხადებს.⁶⁴ მიუხედავად ამისა, პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს მსგავსი პრაქტიკა რამდენიმე მიზეზის გამო დაირღვა. კერძოდ, უფრო ხშირად მსგავსი ხომალდებს ძირავდნენ, ვიდრე აკავებდნენ. 1914 წლამდე არსებობდა დავა, თუ რამდენად კანონიერია მსგავსი ხომალდების ჩაძირვა. მართალია, არსებობდა შეთანხმება, რომ სამხედრო ხომალდს უნდა გადაერჩინა ჩაძირული სავაჭრო გემის ეკიპაჟი. ყოველივე ზემოთ თქმული წყალქვეშა ნაგების გამოგონებასთან ერთად შეიცვალა.⁶⁵ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 1917 წელს გერმანიის წინააღმდეგ ომის გამოცხადება პროვოცირებულ იქნა თავად გერმანიის პოლიტიკით, რომლის თანახმად, გერმანული გემები შეტყობინების გარეშე ძირავდნენ სავაჭრო ხომალდებს და არც ეკიპაჟის გადარჩენაზე ზრუნავდნენ. მიუხედავად ამისა, ორივე მხარემ იმავე წესს მიმართა მეორე მსოფლიო ომის დროსაც. ნიურნბერგის ტრიბუნალმა აღიარა, რომ მსგავსი ქმედება უკანონოა. თუმცა გერმანელი ლიდერები არ დაისაჯნენ აღნიშნული საქციელისათვის, რადგანაც თავად მოკავშირეთა ბანაკიც მსგავსი პრაქტიკას მიმართავდა.⁶⁶

სადავოდ რჩება საკითხი, თუ რამდენად შეცვალა არსებული სამართლებრივი მდგომარეობა ირანის თავდასხმებმა ნეიტრალურ გემებზე, რომლებიც ერაყისათვის იყო გათვალისწინებული პირველი ყურის ომის დროს (1980-1988), და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მესამე სახელმწიფოების ნავთობ-

ტანკერებისათვის აღმის შეცვლამ მათივე დაცვის მიზნით.⁶⁷ უკანასკნელ პერიოდში ვოლფ ჰაინშელ ვონ ჰაინეგის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ნადავლის შესახებ კანონმდებლობა არ განახლებულა სახელმწიფო პრაქტიკის საფუძველზე.⁶⁸ არსებული სამართლებრივი მდგომარეობა შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: ომში მონაწილე სახელმწიფოს ფართო უფლება-მოსილება გააჩნია ხომალდების, თვითმფრინავებისა თუ მტრისათვის გათვალისწინებული საქონლის განსაზღვრისას. როგორც წესი, ყველა გემი ნეიტრალური წყლების გარეთ, განურჩევლად მათი ეროვნებისა და მიზნებისა, გარე-რებას, ჩხრეკასა და სხვა მოქმედებებს ექვემდებარება. მტრის კერძო საკუთრება, გარდა სპეციალური დაცვით მოსარგებლე ობიექტებისა, შეიძლება დააკავონ და კონფისკაციას დაუქვემდებარონ, თუკი ისინი ნეიტრალური იურისდიქციის არეალის გარეთ აღმოაჩინეს. დაკავების და კონფისკაციის უფლება არ ვრცელდება იმ ხომალდებსა და საქონელზე, რომლებიც ხელს არ უწყობენ ბრძოლას ანდა მტრის სამხედრო განვითარებას. ნადავლის კანონი მოქმედებს შეიარაღებულ კონფლიქტებში, მიუხედავად იმისა არის, თუ არა „ომი გამოცხადებული.“ აგრესორი ან მსხვერპლი სახელმწიფოს მიერ ნადავლის მიღების მიზნით განხორციელებული ზომები არ წარმოადგენს ნეიტრალური კერძო საკუთრებისადმი რაიმე სამართლიანი უფლების წარმოშობის საფუძველს.

რეპრესალია

რეპრესალიები ერთ-ერთი საშუალებაა, აიძულო სახელმწიფოები, დაიცვან ომის კანონები და მათ შორის საერთაშორისო სამართალი.⁶⁹ რეპრესალია წარმოადგენს ისეთ ქმედებას, რომელიც, ჩვეულებრივ, უკანონო ქმედებაა, მაგრამ კანონიერ ქმედებად აღიქმება, რადგანაც მიმართულია მეორე სახელმწიფოს მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების წინააღმდეგ; ის ამ უკანასკნელის უკანონო ქმედების საპასუხო ქმედებას წარმოადგენს. რეპრესალიის გამოყენება მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ყველა სხვა საშუალება არ გაამართლებს (მაგალითად, პროტესტი და გაფრთხილება).⁷⁰

რეპრესალიებს გარკვეული შემაკავებელი ეფექტი აქვს; სწორედ რეპრესალიის შიშმა გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის დროს გაზის გამოუყენებლობა. თუმცა რეპრესალიებს ხშირად ზიანი მოაქვს უდანაშაულო ხალხისათვის და, შესაბამისად, 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენცია კრძალავს რეპრესალიებს კერძო პირების, შენობა-ნაგებობების, ხომალდების, აღჭურვილობისა და საკუთრების წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის დროს მოქმედი სამართლებრივი ნორმები

ჩვეულებითი სამართლის ნორმები არ განსაზღვრავდნენ, თუ რამდენად ვრცელდებოდა სამოქალაქო პირების, ავადმყოფების, დაჭრილების, ომის ტყვეების და სხვათა დამცავი ნორმები სამოქალაქო ომის დროს მეორე მხარის აღიარების მიუხედავად. ესპანეთის ომის სისასტიკემ ცხადყო, თუ რამდენად დაუხვეწავი იყო არსებული ნორმები; შესაბამისად, ჟენევის კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლის მიღებით სამოქალაქო ომის დროს მინიმალური დაცვის უზრუნველმყოფი ნორმების მოქმედება გავრცელდა.⁷¹ ნიკარაგუის საქმის (Nicaragua Case) განხილვისას საერთაშორისო სასამართლომ აღიარა, რომ საერთო მე-3 მუხლი უბრალო სახელშეკრულებო ნორმა არ არის. სასამართლოს აზრით, აღნიშნული ნორმა „ჭუმანიტარული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს“ წარმოადგენს, რომელიც, ხელშეკრულების მიუხედავად, სავალდებულოა ნებისმიერ შემთხვევაში. საერთო მე-3 მუხლი „ჭუმანიტარობის ელემენტარულ მოთხოვნებს“ გამოხატავს და ჩვეულებითი

⁶⁷ M. Jenkins, Air Attacks on Neutral Shipping in the Persian Gulf: The Legality of the Iraqi Exclusive Zone and Iranian Reprisals, *BCICLR* 8 (1985), 517-49; T.W.Costello, *Persian Gulf Tanker War and International Law*, 1987; M.H. Nordquist/UM.G. Wachenfeld, Legal Aspects of Reflagging Kuwaiti Tankers and Laying of Mines in the Persian Gulf, *GYIL* 31 (1988), 138-64; R.Leeckow, The Iran-Iraq Conflict in the Gulf: The Law of War Zones, *ICLQ* 37 (1988), 629; S. Davidson, United States Protection of Reflagged Kuwaiti Vessels in the Gulf War: The Legal Implications, *IJECL* 4 (1989), 173 *et seq.*; R. Wolfrum, Reflagging and Escort Operations in the Persian Gulf: An International Law Perspective, *Virginia JIL* 29 (1989), 387-99; F. U. Russo, Targeting Theory in the Law of Armed Conflict at Sea: The Merchant Vessel as Military Objective in the Tanker War, in Dekker/Post (eds), *op. cit.*, 153 *et seq.* (with comments by D. Fleck and T.D. Gill); M. Bothe, Neutrality at Sea, *ibid.*, 205 *et seq.* (with comments by Greenwood and A. Bos); A. Gioia/N. Ronzitti, The Law of Neutrality: Third States' Commercial Rights and Duties, *ibid.*, 221 *et seq.* (with comments by O. Bring); A. de Guttry/N. Ronzitti, *The Iran-Iraq War (1980-1988) and the Law of Naval Warfare*, 1993.

⁶⁸ იხ. W.H.V. Heinegg, The Current State of International Prize Law in Post (ed.), 1994, *op. cit.*, 5-31.

⁶⁹ იხ. F. Kalsboven, *Belligerent Reprisals*, 1971; F.J. Hampson, *Belligerent Reprisals and the 1977 Protocols to the Geneva Conventions of 1949*, *ICLQ* 37 (1988), 818 *et seq.*; C.J. Greenwood, *The Twilight of the Law of Belligerent Reprisals*, *NYIL* 20 (1989), 35 *et seq.*; F. Kalshoven, *Belligerent Reprisals Revisited*, *NYIL* 21 (1990), 43-80.

⁷⁰ იხ. აგრეთვე, ო. 1 და ო. 17.

⁷¹ იხ. ო. 1 და ო. 17.

⁷¹ იხ. ო. 20.

⁷² *Nicaragua v. US, ICJRep.* 1986, 14, 113-4. იხ. თ. 19.

⁷³ D.P. Forsythe, *Legal Management of Internal War: The 1977 Protocol on Non-International Armed Conflict*; *AJIL* 72(1978): 272; D. Schindler, *The Different Types of Armed Conflicts According to the Geneva Conventions and Protocols*, RdC163 (1979), 125; Y. Sandoz/C. Swinarski/B. Zimmermann (eds), *Commentaire des Protocoles additionnels*, 1986; R. Abi-Saab, *Droit humanitaire et conflits internes: origines et evolution de la reglementation internationale*, 1986; H.S. Levie, *The Law of Non-International Conflict, Protocol II to the 1949 Geneva Conventions*, 1987; T. Meron, *Human Rights in Internal Strife: Their International Protection*, 1987; Meindersma, *Applicability of Humanitarian Law in International and Internal Armed Conflict*, *Hague YIL* 7 (1994), 113-40.

⁷⁴ *UNYB* 1973, 549-50, 552-3.

⁷⁵ იხ. E. Chadwick, *Self-Determination, Terrorism and the International Law of Armed Conflict*, 1995.

⁷⁶ იხ. M. Veuthey, *Guerilla et Droit Humanitaire*, 1983.

⁷⁷ იხ. თ. ნდათ. 19. იხ. აგრეთვე, Koenig, *Der nationale Befreiungskrieg im modernen humanitaren Volkerrecht*, 1988; S. Oeter, *Terrorism and "Wars of National Liberation" from a Law of War Perspective*, *ZaoRV* 49 (1989), 445.

სამართლის მინიმალურ სტანდარტს წარმოადგენს.⁷²

1977 წლის მეორე დამატებითი ოქმი საერთო მე-3 მუხლთან შედარებით (მართალია, არა მთლიანად) სამოქალაქო ომის დროს მოქმედი ნორმების უფრო ფართო სპექტრს გვთავაზობს.⁷³ მეორე დამატებითი ოქმის გამოყენება გარკვეულ შემთხვევაში ხდება. მისი პირველი მუხლის პირველივე პარაგრაფის თანახმად, ის გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს,

რომელიც ხდება მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შეიარაღებულ ძალებსა და ანტისამთავრობო შეიარაღებულ ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც იმყოფებიან პასუხისმგებელი მხარის სარდლობის ქვეშ და ახორციელებენ კონტროლს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე, რაც საშუალებას აძლევთ, განახორციელონ განუწყვეტელი და შეთანხმებული საომარი მოქმედებები და გამოიყენონ ეს ოქმი.

მე-2 პარაგრაფი შემდეგნაირად გრძელდება:

ეს ოქმი არ გამოიყენება შიდა არეულობის ან დაძაბულობის დროს, როგორცაა ძალმომრეობის ცალკეული და სპორადული აქტები ან ანალოგიური ხასიათის ძალმომრეობის აქტები, რამდენადაც ისინი შეიარაღებულ კონფლიქტს არ წარმოადგენენ.

იდამატებითი ოქმის პირველი მუხლის მე-4 პარაგრაფი უფრო შორს მიდის, როდესაც განმარტავს საერთაშორისო ომს ამ ოქმით მოცემული ნორმების გამოყენებისათვის (ასევე, ალბათ, ომის კანონების ზოგადი გამოყენების მიზნით):⁷⁴

შეიარაღებული კონფლიქტი, როცა ხალხები იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის, უცხოელთა ოკუპაციისა და რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ და ახორციელებენ თვითგამორკვევის უფლებას.

პრაქტიკაში საერთო მე-3 მუხლმა არც ისე კარგად იმუშავა. ჯერ კიდევ დასადგენია, თუ რამდენად წარმატებული იქნება 1977 წლის დამატებითი ოქმები.⁷⁵ სამოქალაქო ომში ყოველი მხარე ცდილობს, მეორე მხარე დაინახოს, როგორც მოლაღატე, რაც არ ქმნის ნაყოფიერ კლიმატს ჰუმანიტარული ნორმების გამოყენებისათვის. უფრო მეტიც, სამოქალაქო ომებს აწარმოებენ პარტიზანები ან სხვა არარეგულარული ძალები, რაც აძნელებს განსხვავების დანახვას კომბატანტსა და სამოქალაქო პირს შორის.⁷⁶ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამოქალაქო ომი უცხო ჯარების მონაწილეობის გამო „გასაერთაშორისოებულ“ ხასიათს ატარებს, ვიეტნამის 1965-1973 წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ომის კანონებთან შესაბამისობამ საგრძნობლად არ იმატა. მართალია, რეპრესალებისა და ომის დანაშაულების ტრიბუნალების ჩამოყალიბებამ ზოგ შემთხვევაში საერთო მე-3 მუხლის დაცვა გამოიწვია. საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე ძლიერი გავლენის მოხდენამ არაერთხელ შეასრულა შემაკავებელი როლი.

70-იან და 80-იან წლებში მრავალმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა, რომელიც მესამე სახელმწიფოთა ჩარევით გართულდა (კუბა – ანგოლასა და ეთიოპიის შემთხვევაში; სამხრეთ აფრიკა – ანგოლასა და მოზამბიკის შემთხვევაში; ვიეტნამი კამპუჩიაში; სირია და ისრაელი ლიბანში; საბჭოთა კავშირი ავღანეთში), ცხადყო, რომ საერთო მე-3 მუხლი და მეორე დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მე-4 პარაგრაფი (რომელიც ასახავს მხოლოდ „ეროვნულ-განმათავისუფლებელ“ ომებს, როგორც „საერთაშორისო კონფლიქტს“) არ არის საკმარისი.⁷⁷ მართალია, იყო დებატები ინტერვენციის საფუძველზე მსგავსი კონფლიქტების „გასაერთაშორისოების“ შესახებ, მაგრამ სახელმწიფო პრაქტიკაში ისინი მაინც აღიქმებოდა, როგორც შიდა ხასიათის კონფლიქტი.

როგორც დავინახეთ, უკანასკნელი კონფლიქტების დროს ბოსნიაში, რუანდაში, ავღანეთში, ლიბერიაში და ჩეჩნეთში, სამწუხაროდ, ხშირად არსებული სტანდარტების მინიმუმის დაცვაც კი არ ხდება. თანამედროვე საერთაშორისო სამართალს ჯერ კიდევ სჭირდება მისადაგება არსებულ შიდა ომებთან.⁷⁸

შეიარაღებული კონფლიქტების საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალები

ომის დანაშაულების ჩამდენ პირთა გასამართლების მიზნით შექმნილი სასამართლოები კიდევ ერთი საშუალებაა, აიძულონ სახელმწიფოები, შეასრულონ კანონები.⁷⁹ საუკუნეების მანძილზე, შეიარაღებული ძალების ნევრები და ის პირები, რომლებიც არღვევდნენ ომის კანონებს (ან ნებისმიერ სერიოზულ დანაშაულს სჩადიოდნენ), გასამართლებას ექვემდებარებოდნენ. თეორიულად ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მათი დასჯა (უნივერსალური იურისდიქციის პრინციპის თანახმად)⁸⁰, მაგრამ რეალურად იურისდიქციას ომის მეორე მხარეს მდგომი სახელმწიფო ახორციელებს. არსებობს საფუძვლიანი შიში, რომ ოდესმე ომის დანაშაულების ჩამდენ პირთა გასამართლების მიზნით შექმნილი სასამართლოები უბრალოდ შურისძიების საშუალებად იქცევა, მეორე მხრივ კი, მსგავსი უფლების აკრძალვა მრავალი ადამიანის დაუსჯელობას გამოიწვევს. იშვიათია ისეთი სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეს ომის დანაშაულებისთვის გასამართლებს. თუმცა ეს მაინც ხდება, და ხშირად საზოგადოებრივ აზრზე დადებითი ზეგავლენის მიზნით. მაგალითად, 1968 წლის ნოემბერში ნიგერიაში გასამართლეს ოფიცერი ბიფრიანელი ტუსალის მკვლელობისათვის და ბრიტანული ტელეკამერების წინაშე დასაჯეს. ასევე შეიძლება გავიხსენოთ *მა ლაის ვიეტნამის საქმე* (Vietnam Case of Ma Lai) და მისი გასამართლება ამერიკაში⁸¹, ან ისრაელის ჯარის მიერ ლიბანში მდებარე საბრძანო და შატილას პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკების ტრაგედიის გამოძიება.⁸²

დადანაშაულებული პირები ხშირად სასამართლოს წინაშე თავს იმით იმართლებენ, რომ ისინი უბრალოდ მეთაურის ბრძანებას ასრულებდნენ, რაც იშვიათად ამართლებს. ზოგადი შეხედულების თანახმად, მეთაურის ბრძანება არ შეიძლება თავდაცვის მიზნით იქნეს გამოყენებული, მაგრამ შეიძლება სასამართლომ დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩათვალოს. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება უბრალო გადაცდომას, მეთაურის ბრძანება, შესაძლოა, დაცვის საფუძველი გახდეს.⁸³

ომის დანაშაულების ჩამდენი პირები უნდა განვასხვავოთ „პირებისაგან, რომლებიც არ სარგებლობენ მფარველობით“. ასეთი პირები არიან ჯაშუშები.⁸⁴ მათზე არ ვრცელდება სამხედრო ტყვეის სტატუსი და შესაძლოა სიკვდილით დასაჯონ, თუკი მათი სტატუსი სამართლიანი სასამართლოს მიერ დადგინდა. მართალია, პრივილეგიის არმქონე მებრძოლები და მათი დამქირავებელი სახელმწიფოები დამნაშავენი არ არიან ომის დანაშაულებისათვის; მათი დამქირავებელი სახელმწიფო ვალდებული არ არის, მათ გამო რაიმე კომპენსაცია გადაიხადოს, თუკი მათი ქმედება საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ჯაშუში, რომელიც თავის ძალებს დაუბრუნდება, არ შეიძლება ჯაშუშობისთვის დაისაჯოს; არ არსებობს მსგავსი ნორმა ომის დანაშაულის ჩამდენი პირის პასუხისმგებლობასთან მიმართებაში.

ნიურნბერგის ტრიბუნალი (ტოკიოს ტრიბუნალის მსგავსად) შეიქმნა მოკავშირეთა შეთანხმების საფუძველზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც გერმანელი მეთაურები ომის დანაშაულების, მშვიდობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისათვის გასამართლეს.⁸⁵ მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ტრიბუნალის წესდებაში განმარტებული იყო, როგორც „აგრესიული ომის ან საერთაშორისო ხელშეკ-

⁷⁸ იხ. A. Eide/A. Rosas/T. Meron. *Combating Lawlessness in Gray Zone Conflicts through Minimum Humanitarian Standards*, *AJIL* 89 (1995), 215-23. 79 H.-H. Jescheck. *War Crimes*, *EPIL* 4 (1982), 294-8; D. Schindler, *Crimes against the Law of Nations*, *EPIL* 1 (1992), 875-7; H.-H. Jescheck, *International Crimes*, *EPIL* 11 (1995), 1119-23. იხ. აგრეთვე, D.A. Weils, *War Crimes and Laws of War*, 1984; A.P.V. Rogers, *War Crimes Trials under the Royal Warrant: British Practice 1945-1949*, *ICLO* 39 (1990), 780 et seq.; F. Malekian, *International Criminal Law: The Legal and Critical Analysis of International Crimes*, 1994; *idem*, *The Monopolization of International Criminal Law in the UN*, 2nd edn 1995; Y. Dinstein (ed.), *War Crimes in International Law*, 1996. ⁸⁰ იხ. თ. 7.

⁸¹ *US v. Medina*, 20 USCMA 403.43 CMR (1971), 243.

⁸² Final Report of the Commission of Inquiry into the Events at the Refugee Camps in Beirut, 7 February 1983, *ILM* 22 (1983), 473. იხ. აგრეთვე, R. Maison, *Les Premiers cas d'application des dispositions pénales des Conventions de Geneve par les juridictions internes*, *EJIL* 6 (1995), 260-73.

⁸³ იხ. J.W. Grayson, *The Defence of Superior Orders in the International Criminal Court*, *Nordic* 64 (1995), 243-60.

⁸⁴ E. Rauch, *Espionage*, *EPIL* 11 (1995), 114-6.

⁸⁵ Trial of German Major War Criminals. 1946. Cmd. 6964, Misc. No. 12, at 65; 11 *Trials of War Criminals before the Nuremberg Military Tribunals under Control Council Law No. 10*, at 462, 533-35 (1948). იხ. Q. Wright, *The Law of the Nuremberg Trial*, *AJIL* 41 (1947), 39-72; H.-H. Jescheck, *Nuremberg Trials*, *EPIL* 4 (1982), 50-5; B.V.A. Ruling, *Tokyo Trial*, *ibid.*, 242-5; J.F. Willis, *Prologue to Nuremberg: The Politics and Diplomacy of Punishing War Criminals of the First World War*, 1982; *Le Procès de Nuremberg: Consequences actualisation*. Centre de droit international de l'Institut de Sociologie de l'Université Libre de Bruxelles, 1988; G. Ginsburg/V.N. Kudriavtsev (eds), *The Nuremberg Trial and Internatio-*

nal Law, 1990; T. Taylor, *The Anatomy of the Nuremberg Trials*, 1992; B.V.A. Roling/ A. Cassese, *The Tokyo Trial and Beyond*, 1993; G. Ginsburg, *Moscow's Road to Nuremberg: The Soviet Background to the Trial*, 1995; D. de Mildt, *In the Name of the People: Perpetrators of Genocide in the Reflection of their Post-War Prosecution in West Germany*, 1995.

⁸⁶ ბერლინის ტრიბუნალი (მაგალითად, კონტრაქტის დარღვევა მუნიციპალურ სამართალში), მაგრამ კრიმინალურ დანაშაულს არ წარმოადგენს.

⁸⁷ The Tribunal's judgment: *AJIL* 41 (1947), 172, 219-20.

⁸⁸ B.B. Ferencz, *Crimes Against Humanity*, *EPIL* 1 (1992), 869-71; M.C. Bassiouni, *Crimes Against Humanity in International Criminal Law*, 1992. The 1968 UN Convention on the Non-Applicability of Statutory Limitations to War Crimes Against Humanity (text in *IMB* (1969), 68), ratified only by 43 countries; *ib. ILM* 35 (1996), 1566.

⁸⁹ *ib. op. cit.* 14.

⁹⁰ *ib. The Eichmann case* (1961), *ILR*, Vol. 36.5, 48-9. *ib. აგრეთვე, op. cit.*

რულებით აკრძალული ომის დაგეგმვა, მომზადება, ინიცირება ან წარმოება.' ტრიბუნალის ეს პრინციპი მისი უკუქცევითი ძალის გამო გააკრიტიკეს. აგრესიული ომის წარმოება აშკარად აკრძალული იყო კელოგ-ბრაიანის პაქტის მიხედვით, მაგრამ ამავე პაქტში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, როდესაც აგრესიული ომის წარმოება წარმოადგენს დანაშაულს,⁸⁶ ან რომ პაქტი პასუხისმგებლობას აწესებს კერძო პირებისთვისაც. მართალია, ზოგიერთ ხელშეკრულება, რომლებიც არ იქნა რატიფიცირებული, და 20-იანი წლები ერთა ლიგის რეზოლუციები,⁸⁷ რომლებიც შეიძლება ჩვეულებითი სამართლის ნორმებად ჩაითვალოს, უშუალოდ განმარტავდნენ, რომ აგრესია დანაშაულს წარმოადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პასუხისმგებლობა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურებს აწესებს და არა ჩვეულებრივ ჯარისკაცებს, რომლებიც აგრესიულ ომში მონაწილეობენ.

რაც შეეხება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, პირველ „საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად“ დაკვალიფიცირდა ომის დანაშაული, რომლის ჩამდენის მიმართაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გამოიყენებოდა. ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გავრცელდა ახალ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულზეც, რომელსაც აგრესიად ეწოდება.

ტრიბუნალით გათვალისწინებული ნორმების უკუქცევითი ძალის საკითხი უშუალოდ ეხება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების წესსას.⁸⁸ ტრიბუნალის წესდებაში ისინი შემდეგნაირად განიმარტა:

მკვლელობა, განადგურება, დამონება, დეპორტაცია ან სხვა არაადამიანური ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ომამდე ან ომის პერიოდში, ან პოლიტიკურ, რასობრივ ან რელიგიურ საფუძველზე დევნა დასჯის მიზნით ან კიდევ ტრიბუნალის იურისდიქციით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, დაარღვია თუ არა დამნაშავემ თავისი ქვეყნის კანონმდებლობა.

გარკვეულწილად, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები უფრო ფართოა, ვიდრე ომის დანაშაულები; მათი ჩადენა შესაძლებელია როგორც ომამდე, ასევე ომის პერიოდში, და შეიძლება მიმართული იყოს „ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის“, მათ შორის დანაშაულის ჩამდენი სახელმწიფოს მოსახლეობის წინააღმდეგ. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების აკრძალვა წარმოადგენს გამონაკლისს ძველი წესიდან, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოექცეს თავის მოქალაქეებს.⁸⁹ აშკარაა, რომ მსგავსი განმარტება არ იყო მიღებული საერთაშორისო სამართალში 1945 წლამდე. ტრიბუნალმა შეზღუდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები „იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებით ანდა ნებისმიერ იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება ტრიბუნალის იურისდიქცია“. რაც შეეხება „ნებისმიერი დანაშაულის“ განმარტებას, ის გულისხმობს „ნებისმიერ სხვა დანაშაულს, რომელზეც ვრცელდება ტრიბუნალის იურისდიქცია“, კერძოდ კი, ომის დანაშაულებს და მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. ქმედება იმ შემთხვევაში წარმოადგენს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, თუ ხდება „მისი აღსრულება ან მისი დაკავშირება“ ომის დანაშაულთან ან მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან. მეორე მსოფლიო ომამდე გერმანიაში ებრაელთა საკუთრების კონფისკაცია წარმოადგენდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, თუ ეს საკუთრება აგრესიული ომის დაფინანსებისათვის გამოიყენებოდა (მაგრამ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მასშტაბის მსგავსი შეზღუდვა არ ყოფილა ზოგიერთ სასამართლოში.)⁹⁰

სადავო საკითხია, თუ რამდენად წარმოადგენდა ნიურნბერგის ტრიბუნალის

ლის წესდების ზოგიერთი დებულება უკუქცევითი ძალის მქონე ნორმებს. ასეც რომ იყოს, მართალია, ნორმის უკუქცევითმა ძალამ შეიძლება რიგ შემთხვევაში უსამართლო შედეგი გამოიწვიოს, ნებისმიერ პიროვნებას, ვინც ფიქრობს, რომ სამართლიანობა ნიურნბერგში გასამართლებული პირების უდანაშაულოდ ცნობას მოითხოვს, ძალზე განსხვავებული წარმოდგენა აქვს სამართლიანობის შესახებ.⁹¹ ყოველ შემთხვევაში, მომავალში საჩივრები ნორმის უკუქცევითობის შესახებ აღარ იარსებებს; ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილება წარმოადგენს პრეცედენტს მომავლისათვის. მის წესდებაში მოცემული პრინციპები და საბოლოო გადაწყვეტილება მოგვიანებით აღიარეს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ (1946 წელს) და საერთაშორისო სამართლის კომისიამ, რომელსაც გენერალურმა ასამბლეამ 1947 წელს სთხოვა, მოემზადებინა ახალი პროექტი ნიურნბერგის წესდებაზე დაყრდნობით.

ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალები მომდევნო ორმოცდაათი წლის განმავლობაში იზოლირებულ პრეცედენტებს წარმოადგენდა, მიუხედავად მრავალი აგრესიული ომისა და დარღვევისა, რომელთა შორის იყო კამპუჩიაში მომხდარი გენოციდი, რომელიც ნითელმა ქმერებმა განახორციელეს და რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო ტრიბუნალის ჩამოყალიბება. საერთაშორისო სამართლის კომისიის პროექტები⁹², რომლებიც ეხებოდა მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებს⁹³ და ომის დანაშაულების შესახებ მუდმივი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს,⁹⁴ მხოლოდ იუგოსლავიისა და რუანდის ისტორიული წინაპირობების საფუძველზე განვითარდა.

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ომის დროს წარმოშობილი მასიური დარღვევების საფუძველზე,⁹⁵ მასობრივი მკვლელობებისა და ე.წ. „ეთნიკური წმენდის“ პოლიტიკის იმპლემენტაციის, საკონცენტრაციო ბანაკების დაარსებისა და ორგანიზებული ნამებებისა და გაუპატიურების ფაქტების საფუძველზე⁹⁶ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო იძულებული გახდა, 1993 წლის 23 მაისის 827-ე რეზოლუციის საფუძველზე ჩამოეყალიბებინა სისხლის სამართლის *ad hoc* ტრიბუნალი, რომელსაც დაევალა „ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლის პირველი იანვრიდან უშიშროების საბჭოს მიერ გამოცხადებულ მშვიდობის აღდგენის დღემდე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებისათვის პასუხისმგებელი პირების გასამართლება.“⁹⁷ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გაეროს წესდების VII თავისა⁹⁸ და უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს გენერალური მდივნისაგან მოთხოვნილი ანგარიშის საფუძველზე.⁹⁹ ტრიბუნალის წესდება, გენერალური მდივნის მოთხოვნის საფუძველზე, ცვლილებების გარეშე იქნა მიღებული.

ტრიბუნალის იურისდიქცია

ტრიბუნალის იურისდიქცია შეზღუდულია როგორც ტერიტორიული, ისე დროის თვალსაზრისით.¹⁰⁰ ის არ სცილდება ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიულ საზღვრებს.¹⁰¹ მისი დროებითი იურისდიქცია ძალაში შედის 1991 წლის პირველი იანვრიდან¹⁰² და გრძელდება მანამ, სანამ უშიშროების საბჭო საბოლოოდ არ აღადგენს მშვიდობასა და უსაფრთხოებას. საწყისი თარიღი არჩეულ იქნა ნეიტრალურად, რათა გაეთვალისწინებინათ საკითხის საერთაშორისო თუ შიდა ეროვნული ხასიათი და მოეცვათ 1991 წელს ნებისმიერი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიულ ფარგლებში.¹⁰³

ტრიბუნალის იურისდიქცია შეზღუდული იქნება ადამიანურობის წინააღმ-

⁹¹ იხ. L. Mansfield, *Crimes Against Humanity: Reflections on the Fiftieth Anniversary of Nuremberg and a Forgotten Legacy*, *Nordic JIL* 64 (1995), 293-341.

⁹² იხ. თ. 3.

⁹³ იხ. Ferencz (1992), *op. cit.*

⁹⁴ B.B. Ferencz, *International Criminal Court*, *EPILII* (1995), 1123-7.

⁹⁵ იხ. აგრეთვე, თ. 22.

⁹⁶ იხ. SC Res. 780 of 6 October 1992, UN Doc. S/RES/780 (1992); T. Meron, *The Case for War Crimes Trials in Yugoslavia*, *FA* 72 (1993), 122; J. O'Brien, *The International Tribunal for Violations of International Humanitarian Law in the Former Yugoslavia*, *AJIL* 87 (1993), 639; P. Szasz, *The Proposed War Crimes Tribunal for Yugoslavia*, *NYUJIL* 25 (1993), 405; T. Meron, *Rape as a Crime under International Humanitarian Law*, *AJIL* 87 (1993), 424-8; S. Oeter, *Kriegsverbrechen in den Konflikten um das Erbe Jugoslawiens*, *ZaoRV* 33 (1993), 1-43; A. Stigmayer (ed.), *Mass Rape: The War Against Women in Bosnia-Herzegovina*, 1994; T. Meron, *War Crimes in Yugoslavia and the Development of International Law*, *AJIL* 88 (1994), 78; Chinkin, *Rape and Sexual Abuse of Women in International Law*, *EJIL* 5 (1994), 326-41; D. Petrovic, *Ethnic Cleansing - An Attempt at Methodology*, *ibid.*; O. Gross, *The Grave Breaches System and the Armed Conflict in the Former Yugoslavia*, *Mich. JIL* 16 (1995), 783-830.

⁹⁷ SC Res. 808 of 22 February 1993 and SC Res. 827 of 25 May 1993, reprinted in *ILM* 32 (1993), 1203; UN Doc. S/25704 (1993), Annex, reprinted in *ILM* 32 (1993), 1192; the Rules of Procedure and Evidence adopted by the Tribunal on 11 February 1994, are reproduced in *ILM* 33 (1994), 484, with two amendments at 838 and 1620; for the most recent version of the Rules, იხ. Doc. IT/32/Rev.8 (23 April 1996); K. Oellers-Frahm, *Das Statut des Internationalen Strafgerichtshofs zur Verfolgung von Kriegsverbrechen im ehemaligen Jugoslawien*, *ZaoRV* 54 (1994), 416-45; M.C. Busiouni, *Commentaries on the Statute and Rules Governing the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*, 1995; V. Morris/M.P. Scharf, *In-*

sider's Guide to the International Tribunal for the Former Yugoslavia: A Documentary History and Analysis, 2 vols, 1995; K. Lescault/F. Trintignac, *International Justice for Former Yugoslavia: The Workings of the International Criminal Tribunal of The Hague*, 1996; M.C. Bassiouni/R. Manikas, *The Law of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*, 1996.

⁹⁸ იბ. თ. 22.

⁹⁹ Report of the Secretary-General Pursuant to Paragraph 2 of Security Council Resolution 808 (1993), UN Doc. S/25704 (1993), reprinted in (1993), 1163; D. Shraga/R. Zacklin, *The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*, *EJIL* 5 (1994), 360-80.

¹⁰⁰ P.H. Kooijmans, *The Judging of War Criminals: Individual Responsibility and Jurisdiction*, *ML* 8 (1995), 443-8; G. Aldrich, *Jurisdiction of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*, *AM* 90 (1996), 64-9.

¹⁰¹ Article 6, Statute of the Tribunal.

¹⁰² Article 8.

¹⁰³ Alternative dates considered were 25 June 1991, the proclamation of independence by Croatia and Slovenia; 27 June 1991, the intervention of the Federal Army in Slovenia; and 3 July 1991, the first clashes between Serbian and Croatian militia; Shraga/Zacklin, *op. cit.*, 362-3.

¹⁰⁴ Articles 2-5 of the Statute.

¹⁰⁵ 50/51/130/147. Geneva Conventions 1949, *op. cit.*

¹⁰⁶ Article 2 of the Statute.

¹⁰⁷ Shraga/Zacklin, *op. cit.*, 364.

¹⁰⁸ Article 3 of the Statute.

¹⁰⁹ Article 5.

¹¹⁰ 78 UNTS 278. იბ. Article 4 of the Statute.

დეგ მიმართული იმ დანაშაულებით, რომელთა დაქვემდებარება ჩვეულებითი კანონისადმი ეჭვს არ იწვევს და რომელთაც გამოიწვიეს პიროვნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც: ჟენევის კონვენციის სერიოზული დარღვევები, ომის კანონებისა თუ წესების დარღვევები, გენოციდი და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.¹⁰⁴ ამგვარად, მიღებულ იქნა ზომები იმ აზრის თავიდან ასაცილებლად, რომ კანონში არასაკმარისი ყურადღება ექცევა პრინციპს *nullem crimen sine lege*.

ჟენევის ოთხი კონვენციის¹⁰⁵ სერიოზულ დარღვევებს შორისაა პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი აქტები ან კონვენციით დაცული კერძო საკუთრების ხელყოფა, მაგალითად, წინასწარგანზრახული მკვლელობა, წამება და არაჰუმანური მოპყრობა; წინასწარგანზრახულად გამოწვეული მძიმე ტანჯვა ან სხეულისა თუ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება; საკუთრების განადგურება ან მითვისება, რომელიც არ არის გამოწვეული სამხედრო აუცილებლობით; სამხედრო ტყვის თუ მოქალაქის იძულებით გაგზავნა მოწინააღმდეგის არმიის რიგებში საბრძოლველად; სამხედრო ტყვეებისა თუ მოქალაქეების სამართლიანი უფლებების წინასწარგანზრახულად უგულვებლყოფა; მოქალაქის უკანონო ხელყოფა, იძულებით გადასახლება ან დაპატიმრება; აგრეთვე, მოქალაქეების მძევლად აყვანა.¹⁰⁶ დამატებითი ზომები, რომლებიც დამატებით პირველ ოქმში იქნა წამოყენებული, არ იყო შეტანილი ტრიბუნალის იურისდიქციაში ოქმის ზოგიერთი დადგენილების ჩვეულებით სამართალთან შესაბამისობის საეჭვოობის გამო.¹⁰⁷

იმ სამხედრო დანაშაულებათა ჩამონათვალი, რომლებიც ტრიბუნალის იურისდიქციას ექვემდებარება, სათავეს იღებს 1907 წლის ჰააგის კონვენციიდან სახმელეთო ომის შესახებ და ნიურნბერგის ტრიბუნალის პრაქტიკიდან. ამ სიაში შესულია მომწამვლელი იარაღის ან ტანჯვის გამოწვევი იარაღის გამოყენება, ქალაქების რბევა და განადგურება, დაუცველი ქალაქების დაბომბვა, ქონების ძარცვა ან რელიგიური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ისტორიული მონუმენტების, ხელოვნების ნიმუშებისა და სამეცნიერო ნაშრომების დაზიანება, საერო თუ კერძო საკუთრების ძარცვა.¹⁰⁸ თუმცა დანაშაულთა ეს სია სრული არ არის, რადგანაც ტრიბუნალს შეუძლია განსაზღვროს სხვა სამხედრო დანაშაული, როგორც მისი იურისდიქციის დაქვემდებარებაში მყოფი.

რაც შეეხება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ტრიბუნალის წესდება ნიურნბერგის პრეცედენტსაც ითვალისწინებს.¹⁰⁹ ის შეიცავს: მკვლელობას, განადგურებას, დამონებას, განდევნას, დატუსაღებას, წამებას, გაუპატიურებას, პოლიტიკურ, რასობრივ და რელიგიურ საფუძველზე დევნას და სხვა არაჰუმანურ მოქმედებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს აღდგა და რომლებიც საერთაშორისო თუ ეროვნულ ხასიათს ატარებს და მიმართულია ცივილიზებული საზოგადოების წინააღმდეგ.

გენოციდი ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განსაკუთრებული შემთხვევაა და მასთან დაკავშირებით ტრიბუნალის წესდება ეფუძნება 1948 წლის გენოციდის კონვენციის II მუხლს.¹¹⁰

როცა წინასწარგანზრახულია ერის, ეთნიკური ჯგუფის, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფების მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურება, მაშინ გენოციდი მოიცავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტს: ჯგუფის წევრთა მკვლელობას, წევრთა ფიზიკურ ან გონებრივ დაზიანებას, ჯგუფის სასიცოცხლო პირობებისთვის წინასწარგანზრახულად ზიანის მიყენებას, რომელიც უეჭველად მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას გამოიწვევს; ქმედებებს, რომელთა მიზანია ჯგუფში შობადობის შემცირება და ერთი ჯგუფის ბავშვების მეორე ჯგუფში იძულებით გადაყვანა. ამგვარი ქმედებები იწვევს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ პირების მიმართ, ვინც ჩაიდინა დანაშაული, მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა კონკრეტულმა სახელმწიფომ გენოციდის კონვენციის რატიფიცირება, რადგანაც პრინციპები, რომლებიც კონვენციას საფუძვლად უდევს, ცნობილია, როგორც სახელმ-

ნიფოთა შორის კავშირი „ყოველგვარი კონვენციური ვალდებულების გარეშე“.¹¹¹ ამას გარდა, ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შეიძლება დაერთოს ცალკეული და დამოუკიდებელი სახელმწიფო პასუხისმგებლობა გენოციდის დანაშაულისთვის, თუ პიროვნების ქცევა სახელმწიფოს მიენერება.¹¹² ამ თვალსაზრისით, ბოსნია-ჰერცეგოვინამ საერთაშორისო სასამართლოში საქმე აღძრა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ გენოციდის კონვენციის დარღვევების გამო.¹¹³

ტრიბუნალის იურისდიქცია მხოლოდ ფიზიკურ პირებს ეხება და არა იურიდიულ პირებს, ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს.¹¹⁴ ნებისმიერი პირი, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის დაგეგმვაში, პროვოცირებაში, ბრძანების გაცემასა და შესრულებაში და ტრიბუნალის იურისდიქციას გადაეცემა, შეიძლება მიჩნეულ იქნეს სისხლის სამართლის დამნაშავედ, იმის მიუხედავად, დანაშაულის შემსრულებელია თუ თანამონაწილე.¹¹⁵ ასე რომ, გათვალისწინებულია დანაშაულის შემსრულებელთა მთელი ჯგუფი, უმაღლესი რანგის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებებით დაწყებული და პოლიციის ოფიცრებით, ჯარისკაცებით, მილიციითა თუ მოქალაქეებით დამთავრებული. დამნაშავედ ჩაითვლება ყველა – ისიც, ვინც დანაშაულის ჩადენის ბრძანება გასცა, ისიც, ვინც ამის შესახებ იცოდა (ან უნდა სცოდნოდა), მაგრამ ვერ შეძლო მისი თავიდან აცილება (როცა ეს ევალებოდა და შეეძლო), და ისიც, ვინც უშუალოდ განახორციელა დანაშაულის აქტი. ასეთ შემთხვევებში ქვეყნის მეთაურებს არ შეუძლიათ თავიანთი იმუნიტეტის¹¹⁶ გამოყენება. როგორც ნიურნბერგის ტრიბუნალის შემთხვევისას, ბრალდებულს არ შეუძლია თავის გამართლება უმაღლესი ხელისუფლების მორჩილების საბაბით, თუმცა ეს შეიძლება სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად მივიჩნიოთ.¹¹⁷

ტრიბუნალის იურისდიქცია გარკვეული სახის დანაშაულების შემთხვევაში ეროვნული სასამართლოების იურისდიქციას ემთხვევა, მაგრამ უპირატესობა ტრიბუნალს ენიჭება. მას უფლება აქვს, ჩაერიოს ეროვნული სასამართლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე და მოსთხოვოს ქვეყნის ხელისუფლებას ან სასამართლოს, მიმართოს ტრიბუნალის კომპეტენციას.¹¹⁸

ტრიბუნალის წესდების დებულებების ნაწილი უკავშირდება სისხლისსამართლებრივი პროცედურის პრინციპებს, როგორცაა ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების უფლებების დაცვა და სამართლებრივი პროცესის სხვადასხვა საფეხურების გამიჯვნა.¹¹⁹ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აქ გამორიცხულია სასამართლო პროცესის ჩატარება ინ აბსენტიო (რაც დაშვებულ იქნა ნიურნბერგის პროცესზე). ასე რომ, ჰააგის ტრიბუნალზე ბრალდებულის დასწრება აუცილებელია. წესდების შემდგენლებმა გაითვალისწინეს ის ზიანის მომტანი ზემოქმედება, რომელსაც ასეთი „საჩვენებელი სასამართლო პროცესი“ მოახდენდა ტრიბუნალზე, როგორც ისეთი ინსტიტუტისადმი რწმენაზე, რომელშიც კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოები უარს იტყოდნენ ბრალდებულის ტრიბუნალისთვის გადაცემაზე.¹²⁰ იმ პროცედურულ დებულებებს შორის, რომლებმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, არის დებულებები, რომელთა მიზანსაც მოწმეებისა და დაზარალებულების დაცვა წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ მოწმეთა გამოყენება, რომლებიც დაცვის მხარისთვის ანონიმურად რჩებიან.¹²¹ მაგრამ ეს დებულებები, საზოგადოდ, სამართლიანია, რამდენადაც ამის საშუალებას გარემოებები იძლევა. ამას გარდა, ბრალდებულსაც აქვს აპელაციის უფლება (ნიურნბერგის ტრიბუნალისაგან განსხვავებით, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იყო). ტრიბუნალის სტრუქტურა მოიცავს ორ სასამართლო პალატას (თითოეულში სამი მოსამართლით) და ერთ სააპელაციო პალატას (ხუთი მოსამართლით), რომელსაც შეეძლება მიმართოს როგორც ბრალმდებელმა, ასევე ბრალდებულმა ტრიბუნალის გადაწყვეტილების გადასინჯვის მიზნით.¹²² ისიც აღსანიშნავია, რომ განაჩენს (რომელიც უნდა გამოცხადდეს ყოფილი იუგოსლავიის სასამართლოების საერთო პრაქტიკის შესაბამისად) მხოლოდ თავისუფ-

¹¹¹ *ib.* The *Advisory Opinion of the International Court of Justice in Reservations to the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide*, ICJ Rep. 1951, 23. *ib.* E. Klein. *Genocide Convention (Advisory Opinion)*, *EPIL* II (1995), 544-6.

¹¹² *ib.* *ib.* 17.

¹¹³ *Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Yugoslavia (Serbia and Montenegro))*, ICJ Rep 1993, 3 and 325. *ib.* *ib.* 18.

¹¹⁴ Article 6 of the Statute. ¹¹⁵ Article 7.

¹¹⁶ იმუნიტეტის შესახებ *ib.* *ib.* 8;

¹¹⁷ Article 7(4) of the Statute.

¹¹⁸ Article 9; Shraga/Zacklin. *op. cit.*, 371 *et seq.*

¹¹⁹ Articles 18-28.

¹²⁰ *ib.* Shraga/Zacklin. *op. cit.*, 376-7.

¹²¹ *ib.* M. Leigh, *The Yugoslavia Tribunal: Use of Unnamed Witnesses Against Accused*. *MIL* 90 (1996), 235-8.

¹²² Article 63 of the Statute.

¹²³ Article 24.

¹²⁴ იბ. L. Vierucci, The First Steps of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, *EJIL* 6 (1995), 134-43; R. Kushen/K.J. Harris, Surrender of Fugitives by the United States to the war Crimes Tribunal for Yugoslavia and Rwanda, *AJIL* 90 (1996), 510-18.

¹²⁵ *Indictment 1*, (1995), 996.

¹²⁶ იბ. *ICTY Bull.* No. 3 of 22. 2.1996, 4.

¹²⁷ Case IT-94-1 -T. Decision on Jurisdiction (Aug. 10, 1995); *Prosecutor v. Tadic*, Case No. IT-94-1 -AR72, Appeal on Jurisdiction (2 October 1995), reprinted in *ILM* 35 (1996), 32; Meindersma, Violations of Common Article 3 of the Geneva Conventions as Violations of the Laws or Customs of War under Article 3 of the Statute of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, *NILR* 42 (1995), 375-97; Meron (1996), *op. cit.*, 238-49; L.G. Maresca, The Prosecutor v. Tadic - The Appellate Decision of the ICTY and Internal Violations of Humanitarian Law as Internal Crimes, *LJIL* 9(1996), 219-32; J.E. Alvarez. Nuremberg Revisited: The Tadic Case, *EJIL* 2 (1996), 245-64; Greenwood, International Humanitarian Law and the Tadic Case, *ibid.*, 265-83; R. Maison. La Decision de la Chambre de premiere instance no. 1 du Tribunal penale international pour l'ex-Yougoslavie dans l'affaire Nikolic, *ibid.*, 284-98; Warbrick/R Rowe. The International Criminal Tribunal for Yugoslavia: The Decision of the Appeals Chamber on the Interlocutory Appeal on Jurisdiction in the Tadic Case, *ICLQ* 45 (1996), 691-701.

¹²⁸ იბ. *ICTY Bull.* No.4 of 15.3. 1996, 3.

¹²⁹ იბ. R. Dixon, New Developments in the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia: Prominent Leaders Indicted and Jurisdiction Established, *LJIL* 8 (1995), 449-61.

¹³⁰ Articles 50-61, as amended in January 1996. *ICTY Bull. Ho.3 Of* 22. 2. 1996, 2-3.

ლების აღკვეთის სახე აქვს. სიკვდილით დასჯა გამოორციხულია, რითაც ტრიბუნალი ასევე განსხვავდება ნიურნბერგისა და ტოკიოს სასამართლოებისაგან.¹²³

ტრიბუნალის მუშაობა

ახლად ამოქმედებული ტრიბუნალის მუშაობის შეფასება ჯერ კიდევ ძალიან ადრეა.¹²⁴ თვით მისი დაარსების ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამართლის განვითარებისთვის, ხოლო მისი ამოქმედება თითქმის სასწაულად შეიძლება ჩაითვალოს. იუგოსლავიის ტრიბუნალის პირველი პლენარული სესია 1993 წლის 17 ნოემბერს გაიმართა ჰააგაში, ხოლო სასამართლო ორგანოდ მისი ფუნქციონირება 1994 წლის ნოემბერში დაიწყო დრაგან ნიკოლიჩის, ბოსნია-ჰერცეგოვინაში სუშიცის ბანაკის ყოფილი მეთაურის წინააღმდეგ საბრალდებო აქტისა და დაპატიმრების ორდერის გაცემით, აგრეთვე, გერმანიისთვის იმის მოთხოვნით, რომ სისხლის სამართლის პროცედურები განეხორციელებინა სერბ დუსკო ტადიჩის წინააღმდეგ, რომლის დანაშაულთა შესახებ ინფორმაცია ტრიბუნალს მუსლიმმა ლტოლვილებმა მიაწოდეს.¹²⁵ 1996 წლის თებერვლისთვის თერთმეტ მოსამართლეს, მათ შორის პრეზიდენტ ანტონიო კასეხესა (იტალია) და ბრალდებულებს – ჯერ რიჩარდ გოლდსტონს (სამხრეთი აფრიკა), შემდეგ კი ლუის არბორს (კანადა) ოცდათხუთმეტზე მეტი ეროვნების წარმომადგენელთაგან შემდგარი 300-კაციანი პერსონალი ემსახურებოდა.¹²⁶ ტადიჩის საქმეში უარი ეთქვა დაცვის წინადადებას, კითხვის ქვეშ დაეყენებინათ ტრიბუნალის იურისდიქციისთვის ამ ბრალდებულის დაქვემდებარების ფაქტი.¹²⁷ 1996 წლის მარტში ტრიბუნალმა ცამეტი საბრალდებო აქტი გამოსცა, რომლებითაც ორმოცდაცამეტი ადამიანი ომის დამნაშავედ გამოაცხადა.¹²⁸ ამ ბრალდებებს შორისაა პირველი საბრალდებო აქტები (1995 წლის 25 ივლისი) მაღალი რანგის პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების წინააღმდეგ, როგორებიც არიან რადოვან კარაჯიჩი, ბოსნიელი სერბების ადმინისტრაციის ლიდერი, რატკო მლადიჩი, ბოსნიელი სერბების სამხედრო მეთაური და მილან მარტიჩი, ხორვატიის სერბიული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.¹²⁹

მაგრამ, ძველი გერმანული ანდაზის თანახმად (რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნიურნბერგის სასამართლოსთან), „ნიურნბერგელები სიკვდილით არ სჯიან ადამიანს, სანამ არ დაიჭერენ“. არის თუ არა, სინამდვილეში, ტრიბუნალი უსუსური, როგორც ამას ბევრი ამბობს, მისივე პრეზიდენტის ჩჩათვლით? რა მოხდება, თუ ბრალდებულები სასამართლოს წინაშე არ წარსდგებიან და კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოები უარს იტყვიან თავიანთი ბრალდებული ლიდერების სასამართლოსთვის გადაცემაზე? ამ კითხვებზე პასუხს ტრიბუნალი თავისი პროცედურისა და სამხილის წესების მიხედვით იძლევა.¹³⁰ ეს წესები მას უფლებას აძლევს, გასცეს საერთაშორისო დაპატიმრების ორდერი და შეატყობინოს უშიშროების საბჭოს, რომ კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლება, რომელსაც ბრალდებულის საქმე უნდა განეხილა, უარს ამბობს ტრიბუნალთან თანამშრომლობაზე. ამის შემდეგ ძალისმიერი ზომების გამოყენების გადაწყვეტილების მიღება უშიშროების საბჭოზეა დამოკიდებული. ტრიბუნალისთვის მხოლოდ იმას აქვს მნიშვნელობა, რომ ბრალდებულის არგამოჩენა მხოლოდ დროებით გადადებს სასამართლო პროცესს, ვიდრე დამნაშავეს დაპატიმრებდნენ. ტრიბუნალის აზრით, ბრალდებულისთვის ისიც სასჯელი იქნება, რომ ის „საერთაშორისო დევნილი“ იქნება და „თავისუფალ პატიმრად“ იცხოვრებს ქვეყანაში, რომელიც მას შეიფარებს. ამ ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს შეიძლება ბრალდებულის შეფარებაზე უარი მოჰყვეს. საბოლოოდ, ბრალდებული ლიდერები სერიოზულად დაზარალებიან იმით, რომ მსოფლიოსთვის „ძებნილი პირები“ იქნებიან. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დაზარალებულები მნიშვნელოვან ჩვენებებს მისცემენ

ბრალდებულის წინააღმდეგ, რაც მათ საერთაშორისო სამართლისგან თავის დაღწევის საშუალებას არ მისცემს.¹³¹

რამდენად რეალურია ეს ყველაფერი, ამას დრო ვეჩვენებს. არსებობს ერთი პრობლემა – სამართლისა და მშვიდობის მოთხოვნების თანხვედრა. ჯერ კიდევ რთულია იმ ფაქტის აღიარება, რომ ამ რეგიონში მიმდინარე მშვიდობიანი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება, თუ მათ სათავეში ის ლიდერები ჩაუდგებიან, რომლებიც, ამავდროულად, ტრიბუნალის მიერ დამნაშავეებად არიან გამოცხადებული და საერთაშორისო ორდერებით იძებნებიან, თუმცა თავინთი ხალხის პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობენ. იუგოსლავიაში მოქმედი ნატოს შენაერთების¹³² უარმა, განეხორციელებინათ ტრიბუნალის სამხედრო პოლიციის ფუნქციები და დაეკავებინათ ექვიმიტანილები, მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა, ისევე, როგორც შეერთებული შტატების უარმა (1996 წლის ივნისში), მხარი დაეჭირა ტრიბუნალის პრეზიდენტის მოწოდებისთვის, განეხორციელებინათ სათანადო სანქციები იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც უარს აცხადებდნენ 1995 წლის დეიტონ-პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებით¹³³ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასა და ტრიბუნალთან თანამშრომლობაზე. ამას გარდა, თეორიულად, უშიშროების საბჭოს შეუძლია ტრიბუნალის, როგორც თავისი შვილობილი ორგანოს, ფუნქციონირების შეწყვეტა, თუმცა ასეთი გადაწყვეტი ზომების მიღება მოსალოდნელი არ არის, თუ საზოგადოების და დანაშაულის შედეგად დაზარალებულების აზრს გავითვალისწინებთ. არსებობს ტრიბუნალზე ზემოქმედების სხვა, ნაკლებად მკაცრი გზები, მაგალითად, მისთვის დაფინანსების შემცირება.

გასაკვირი არ არის, რომ ტრიბუნალს, სერბების პრეტენზიების საფუძველზე, ბრალს სდებენ „არჩევით სამართლიანობაში“ (და გულისხმობენ ხორვატი დამნაშავეების არათანაბარ გასამართლებას), აგრეთვე, იმაში, რომ ის „პოლიტიკური სასამართლო“, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები მართავენ.¹³⁴ ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით,

ომის დამნაშავეთა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა პროცედურასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ არაერთ კითხვას უნდა გასცეს პასუხი, მათ შორის, იმ ფაქტებთან დაკავშირებულ კითხვებს, რომ არ არსებობს პარლამენტი, რომელიც ტრიბუნალის მოქმედებას გააკონტროლებდა და მისი მოქმედების წესებს შეიმუშავებდა, რომ ის (უფრო ზუსტად, მისი სააპელაციო კომიტეტი) განიხილავს მისივე გადაწყვეტილებების წინააღმდეგ მიმართულ აპელაციებს, რომ მისი ქმედებები და ამოცანები როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო ხასიათს ატარებს და ა.შ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მოთხოვნა, რომ ჰააგის ტრიბუნალი გათავისუფლდეს ძლიერ ხელისუფალთა გავლენისაგან და უფრო მეტად დაემსგავსოს სასამართლოს და არა პოლიტიკური შურისძიების იარაღს.¹³⁵

სკეპტიკოსები იმასაც აცხადებენ, რომ ტრიბუნალი მხოლოდ „ლიფსიტებს“ ასამართლებს, „ლღავები“ კი მისგან თავის დაღწევას ახერხებენ. ნიურნბერგის ტრიბუნალის გამოცდილებაც ადასტურებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ იუგოსლავიის ტრიბუნალიც არ გადაიქცევა ორგანოდ, რომელიც არ ეცდება საერთაშორისო საზოგადოების იმ შეცდომების მიჩქმალვას, რომელთა გამოც შეუძლებელი გახდა იუგოსლავიაში ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარე ომისა და სისხლისღვრის შეჩერება.

ამას გარდა, საკითხავია, აძლევს თუ გაეროს წესდების VII მუხლი უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებას, დააფუძნოს სასამართლო ორგანო, როგორც ორგანო, რომლის იურისდიქციაშიც იქნება პიროვნებების გასამართლება... როგორც მე-18 თავში ვნახეთ,¹³⁶ ნებისმიერი სახის საერთაშორისო იურისდიქციის მქონე ორგანოს დაარსება დეცენტრალიზებულ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში¹³⁷ შემაჯავალ სახელმწიფოთა თანხმობას მოითხოვს. შეიძლება იმის თქმაც, რომ ასეთი დანაშაულის შემთხვევებში, რომელთაც *erga*

¹³¹ *Ibid.*, 3

¹³² იბ. თ. 22.

¹³³ (1996), 89; P.C. Szasz, *The Protection of Human Rights Through the Dayton/Paris Peace Agreement on Bosnia*, *AJIL* 90 (1996), 301-16, at 313-4.

¹³⁴ იბ. A. Faic, *The Need for a Politically Balanced Works of the Hague International War Crimes Tribunal*, *RIA*, 1044 of 15 May 1996, 8-11.

¹³⁵ *Ibid.*, 10-11.

¹³⁶ იბ. თ. 18.

¹³⁷ იბ. თ. 1.

¹³⁸ იბ. თ. 3.

¹³⁹ იბ. K. Oellers-Frahm, Die Einsetzung des "Internationalen Tribunals über Kriegsverbrechen im ehemaligen Jugoslawien" durch den Sicherheitsrat, in *FS Bernhardt*, 733-51.

¹⁴⁰ იბ. J.M. Sjoerama, The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia: Some Introductory Remarks From a Defence Point of View, *LJIL* 8 (1995), 463-74.

¹⁴¹ იბ. აგრეთვე, თ. 22.

¹⁴² რუანდის ტრიბუნალის სტატუსის შესახებ იხ. SC Res. 995, Annex, 8 November 1994, reprinted in (1994), 1602.

¹⁴³ იბ. T. Meron, International Criminalization of Internal Atrocities, 89 (1995), 554.

¹⁴⁴ იბ. The Interview with Richard Goldstone, *UN Chronicle* 1996, no. 2, 35-8, at 36 and 38-40; R.S. Lee, The Rwanda Tribunal, *LJIL* 9 (1996), 37-62; P. Akhavan, The International Criminal Tribunal for Rwanda: The Politics and Pragmatics of Punishment. *MIL* 90 (1996), 501-10.

¹⁴⁵ იბ. J. Crawford, The ILC's Draft Statute for an International Criminal Court, *MIL* 88 (1994), 140-52; Crawford, The ILC Adopts a Statute for an International Criminal Court, *MIL* 89 (1995), 404-16; S. Suikkari, Debate in the United Nations on the International Law Commission's Draft Statute for an International Criminal Court, *Nordic JIL* 64 (1995), 205-21; M.C. Bassiouni, *A Draft International Criminal Code and Draft Statute for an International Criminal Tribunal*, 1987; B. Graefrath, Universal Criminal Jurisdiction and an International Criminal Court, *EJIL* 1 (1990), 67-88.

¹⁴⁶ UNGA Res. 50/46 of 11 December 1995.

¹⁴⁷ *UN Chronicle* 33 (1996), no. 1, 66; no. 2, 70.

omnes ხასიათის მქონე ტრიბუნალი¹³⁸ იძიებს, და იმ პოლიტიკური დისკრეციის პირობებში, რომელსაც უშიშროების საბჭოს VII მუხლი ანიჭებს, საბჭოს უფლებამოსილება საკმარისია.¹³⁹ და მაინც, არის თუ არა ტრიბუნალი „დამოუკიდებელი“, ორგანო, თუკი ის, ამავე დროს, უშიშროების საბჭოს შვილობილი ორგანოა?¹⁴⁰ შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს სასამართლო ფუნქციების „გადაცემა“, როცა ასეთი ფუნქციები თვითონაც არა აქვს?¹⁴¹ ამკარაა ისიც, რომ გადანყვეტილებას, მხარი დაეჭირათ სავალდებულო რეზოლუციისთვის VII მუხლის პირობებში, და არ შეექმნათ ტრიბუნალი სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, პრაქტიკული მიზეზები ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ ხელშეკრულების დადებას დიდი დრო დასჭირდებოდა, ხოლო იუგოსლავიაში მიმდინარე სისხლისღვრა სასწრაფო ზომების მიღებას მოითხოვდა.

რუანდის ტრიბუნალი

ანალოგიურად, 1994 წლის ნოემბერში უშიშროების საბჭომ გადანყვეტი ტრიბუნალის დაარსება, რომელიც რუანდაში მომხდარ დანაშაულობებს¹⁴² განიხილავდა. თუმცა რუანდის ტრიბუნალის სააპელაციო პალატა და ბრალმძებლის აპარატი მსგავსია იუგოსლავიის ტრიბუნალისა, მაინც არსებობს გარკვეული განსხვავებები ამ ორი ტრიბუნალის იურისდიქციას შორის.¹⁴³ 1996 წლისთვის რუანდის ტრიბუნალმა სამი საბრალდებო აქტი გამოსცა ათი ადამიანის წინააღმდეგ.¹⁴⁴

იქნება თუ არა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო?

აღსანიშნავია ისიც, რომ 1994 წლის შემოდგომაზე საერთაშორისო სამართლის კომისიამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარადგინა მუდმივი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების პროექტი.¹⁴⁵ 1995 წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ დააარსა მოსამზადებელი კომიტეტი ასეთი სასამართლოს წესდების საბოლოო ტექსტის შესაქმნელად, რომელსაც საერთაშორისო კონფერენცია განიხლავდა.¹⁴⁶ კომიტეტის მოხსენება დაგეგმილია 1996 წლის შემოდგომაზე.¹⁴⁷

მუდმივი სასამართლოს შექმნა ხელს შეუწყობს იმ პრობლემების დაძლევა, რომელთაც ცალკეული საქმეებისათვის შექმნილი ad hoc ტრიბუნალების შექმნა წარმოშობს. ამას გარდა, ასეთი სასამართლი იმ ad hoc მეთოდების გარეშე იმუშავებს, რომლებიც მხოლოდ ერთი კონკრეტული საქმის განხილვას გულისხმობს. დაბოლოს, ამ სასამართლოს შექმნა სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ყველა ეჭვს გაფანტავს, რომლებიც ცალკეული საქმეებისთვის შექმნილი ტრიბუნალების იურიდიულ უფლებამოსილებას შეეხება. მაგრამ ამ სასამართლოს ერთი პრაქტიკული ნაკლიც ექნება – ის მხოლოდ იმ სახელმწიფოებთან დაკავშირებული საქმეების განხილვას შეძლებს, რომლებიც ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ. დრო გვიჩვენებს, რა დონის კონსენსუსის მიღწევა იქნება შესაძლებელი ამ სასამართლოს წესდებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის კონსერვატიული დოქტრინის არსებობის პირობებში.

(2002 წლიდან სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართალი ამოქმედდა –რედ. შენ.)

რას ველოდით მომავალში?

იურისტები ხშირად ვარაუდობენ, რომ ომის ტრადიციული კანონების ეროზია, რასაც ადგილი ჰქონდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, მომავალ ომებშიც გაგრძელდება.¹⁴⁸ 1986 წელს იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალის პრეზიდენტი ანტონიო კასეზემ აღნიშნა:

ომის საერთაშორისო სამართლებრივი კონტროლი ორგანიზებული სამხედრო ძალადობის განვითარებას ჩამორჩება. ძლიერმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს რადიკალურ შეზღუდვებზე, რის შედეგადაც სამართლის ეს ნაწილი საკმაოდ არათანმიმდევრულობით, ორაზროვნებითა და ბუნდოვანებით.¹⁴⁹

თუმცა ბირთვული იარაღის განვითარებას შეიძლება არაპირდაპირი და პარადოქსული შედეგი მოჰყვეს, მაგალითად, რამდენიმე ტრადიციული წესის ხელახლა დამკვიდრება, რომელთაც ძალა დაკარგეს ორი მსოფლიო ომის დროს. სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებაა სამოქალაქო ომებთან, „ნახევრად სამოქალაქო“ და „ნახევრად საერთაშორისო“ ომების მიმართ (მაგალითად, ვიეტნამის ომი) და ისეთ შიდა კონფლიქტებთან, რომლებიც ასე გახშირდა და ესოდენ საშიში სახე მიიღო ცივი ომის დასრულების შემდეგ.

1945 წლიდან მოყოლებული, ბირთვული ომის საშიშროება ბირთვულ სახელმწიფოებს შორის თუნდაც მცირე კონფლიქტის წამოწყებას თითქმის შეუძლებელს ხდიდა (თუ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის საზღვარზე მომხდარ მცირემასშტაბიან კონფლიქტებს არ ჩავთვლით) და ცხადია, რომ ასევე გაგრძელდება მანამ, სანამ ბირთვული წონასწორობა არსებობს. აქედან გამომდინარე, მომავალ ომებში ის სახელმწიფოები მიიღებენ მონაწილეობას, რომელთაცან ერთს მაინც ბირთვული იარაღი არ ექნება. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ სამომავლო ომებში მრავალი სახელმწიფო, ერთი ან მეტი ბირთვული სახელმწიფოს ჩათვლით, ნეიტრალური იქნება, მიუხედავად ამ სახელმწიფოების სიმპათიებისა. ამის შედეგად, მეომარმა სახელმწიფოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ნეიტრალურ მოსაზრებებს, ვიდრე ეს მსოფლიო ომების დროს ხდებოდა. მსოფლიო ომების დროს ნეიტრალური სატრანსპორტო გადაზიდვის უფლების დარღვევა ერთადერთი დანაშაული არ იყო, რომელსაც ხელს ნეიტრალური სახელმწიფოების სისუსტე და სიმცირეც უწყობდა. თუ მომავალში მათი რიცხვი კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოების რიცხვს გადააჭარბებს, მდგომარეობა სრულიად განსხვავებული იქნება. 1960-იანი წლების მიწურულს ნიგერიისა და ვიეტნამის ომებში მონაწილე სახელმწიფოები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მათი უკანონო სამხედრო ქმედებების წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებს. ბრალდებებისადმი მათი ასეთი მგრძობიარობა იმ ზეგავლენის შედეგია, რომელსაც ზოგჯერ ნეიტრალური სახელმწიფოების საზოგადოებრივი აზრი ახდენს. მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ საზოგადოებრივი აზრი ხშირად ვერ ახერხებს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულობების შეჩერებას, რომელთაც ადგილი ჰქონდა ყოფილ იუგოსლავიისა და რუანდაში.

მაშინაც კი, როდესაც ბირთვული სახელმწიფოები ერთმანეთთან არაპირდაპირად კონფლიქტში ებმებიან, კონფლიქტის ბირთვულ ომში გადაზრდის შიში მათ ფრთხილი მოქმედებებისკენ უბიძგებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღევანდელი კონფლიქტები უფრო მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების „შეზღუდულ ომებს“ დაემსგავსა, ვიდრე მე-20 საუკუნის ორ „ტოტალურ ომს“, რაც იმის იმედის საფუძველს გვაძლევს, რომ აღდგება ომის კანონების პატივისცემა, რაც მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების ომებს ახასიათებდა. თუმცა 1980-1988 წლების ირან-ერაყის სასტიკი ბრძოლები და 90-იანი წლების სხვა შეიარაღებული კონფლიქტები ჯერჯერობით

¹⁴⁸ იხ. G.I.A.D. Draper, War, Laws of Enforcement, EPIL 4 (1982).

¹⁴⁹ A. Cassese, International Law in a Divid World, 1986, 285.

¹⁵⁰ M. Meijer/H. Fischer. Keeping Hope Alive - Do the Resolutions Fulfill the Expectations?, *EPLJ* 4 (1995), 198.

¹⁵¹ M. Montani, Eine einzige Spur von Heuchelei - Wie das Vblkerrecht den modernen Krieg humanisieren will und seine Inhumanität legalisiert, *HV* 8 (1995), 216-7; M. Sassoli, Kriegsvölkerrecht: eine Heuchelei, die Inhumanität legalisiert, oder ein Minimum von Menschlichkeit für eine un menschliche Situation?, *HI/8* (1995), 218-20.

¹⁵² nb. R. Normand /C. Jochnick, The Legitimation of Violence: A Critical Analysis of the Gulf War, *Harvard ILJ* 35 (1994), 387-416 with extensive references.

¹⁵³ nb. თ. 1; nb. აგრეთვე, W. Klein (ed.), *Human Rights in Times of Occupation: The Case of Kuwait*, 1995.

¹⁵⁴ nb. თ. 22.

¹⁵⁵ nb. UNEP Governing Council, 16th Session. Nairobi. 20-31 May 1991. Introductory Report of the Executive Director, Environmental Consequences of the Armed Conflict Between Iraq and Kuwait. *UNEP/GC.16/4/Add. 10* May 1991; M. Bothe, The Protection of the Environment in Times of Armed Conflict, *GYIL* 34 (1991), 54-62; H.H. Almond, The Use of the Environment as an Instrument of War, *YIEL* 2 (1991), 455-68; G. Plant, *Environmental Protection and the Law of War: A "Fifth Geneva" Convention on the Protection of the Environment in Time of Armed Conflict*, 1992; M.A. Ross, Environmental Warfare and the Persian Gulf War, *Dick* 10 (1992), 515-39; A. Roberts, Environmental Destruction in the Gulf War, (1992), 538-53; R.C. Tarasofsky, Environmental Protection and Armed Conflict, *YIEL* 3 (1992), 217-21; K.M. Kelly, Declaring War on the Environment: The Failure of International Environmental Treaties during the Persian Gulf War, *AUJILP* (1992), 921-50; A. Leibler, Deliberate Wartime Environmental Damage: New Challenge for International Law, *CWILJ* 23 (1992-3), 67-131; R. G Tarasofsky, Legal Protection of the Environment during International Armed Conflict, *MYIL* 24 (1993), 17-79; F.P. Feliciano, Marine Pollution and Spoilation of Natural Resources as War Measures: A Note on Some

ამ იმედს აქარწყლებს.

ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა ომის „სამართლებრივად“ წარმართვა? შეუძლია თუ არა საერთაშორისო კანონმდებლობას ომის „ჭუმანიზაცია“? ხომ არ ვიქმნით ილუზიას, იმის გათვალისწინებით, რომ 1945 წლიდან 22 მილიონი ადამიანი დაიღუპა 120-ზე მეტ შეიარაღებულ კონფლიქტში?¹⁵⁰ ამ კითხვებზე განსხვავებული პასუხები არსებობს. ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ომებში ძალის გამოყენების „ჭუმანიზაციის“ ყველა საერთაშორისო მცდელობა წარსულში მარცხით დასრულდა და ომის სამართლებრივი საფუძვლის შექმნისკენ მიმართულმა საერთაშორისო კანონებმა მხოლოდ ხელი შეუწყო შეიარაღებული კონფლიქტების გავრცელებას.¹⁵¹ ხომ არ გვაქვს საქმე მხოლოდ ცინიკურ, რიტორიკულ ენასთან ომის კანონების საერთაშორისო დოკუმენტებში? 1899 წლის ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე სახელმწიფოები შეთანხმდნენ გაუმაგრებელი ქალაქების წინააღმდეგ არტილერიის გამოყენების აკრძალვაზე, მაგრამ გერმანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მისი მთავრობის აზრით, ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა „სამხედრო მნიშვნელობის“ მქონე შენობებზე. ბრიტანეთის დელეგაციამ ვეტო დაადო „დუმდუმის“ ტიპის ტყვიების გამოყენების აკრძალვას იმ საბაბით, რომ რომ მხოლოდ ეს ტყვიები, რომლებიც საშინელ ჭრილობებს იწვევდა, შეძლებდა „ველური ადამიანების“ შეჩერებას.

არაერთი კითხვა ჩნდება სპარსეთის ყურის მეორე ომთან დაკავშირებითაც, რომელსაც გაერომ მხარი დაუჭირა და რომელშიც მოკავშირეები ერაყს დაუპირისპირდნენ ქუვეითის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის აგრესიის პასუხად. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ ომს აღწერდნენ, როგორც „მაღალტექნოლოგიურ“ მოვლენას, სადაც ერაყის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ „ქირურგიული“ თავდასხმები ხორციელდებოდა. მაგრამ, შეერთებული შტატების სამხედრო უწყების ოფიციალური განცხადებების თანახმად, მიზანს ბომბების მხოლოდ 7-მა პროცენტმა მიაღწია.¹⁵² ისიც საკითხავია, ერაყის ინფრასტრუქტურისა და ენერგოსისტემის თითქმის სრული განადგურება, რამაც ომის შემდეგ ათასობით მოქალაქის სიკვდილი გამოიწვია, კანონიერი სამხედრო მიზნებით იყო გამოწვეული, თუ ერაყის მთავრობაზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების მიზანს ემსახურებოდა.¹⁵³ იყო თუ არა ეს „გარდაუვალი ზარალი“ გამართლებული სამხედრო მიზნებით, პროპორციულობის პრინციპითა და უშიშროების საბჭოს სათანადო რეზოლუციით?¹⁵⁴

სერიოზული კითხვები გაჩნდა ერაყის მიერ ნავთობის საბრძოლო იარაღად გამოყენებასთან დაკავშირებითაც (ქუვეითის ნავთობის საბადოებისთვის ცეცხლის წაკიდება და სპარსეთის ყურის ნავთობით დაბინძურება), რამაც ბიძგი მისცა შეიარაღებული კონფლიქტის დროს გარემოს დაცვის შესახებ კანონის გადამონმებას.¹⁵⁵ შეიარაღებული კონფლიქტის დროს გარემოს დაცვის შესახებ 1992 წლის რეზოლუციაში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა:

გარემოსთვის ზიანის მიყენება, რომელიც არ არის გამოწვეული სამხედრო აუცილებლობით და დაუდევრობის შედეგია, არსებულ საერთაშორისო კანონს ეწინააღმდეგება.¹⁵⁶

ანალოგიურად, საერთაშორისო სასამართლოს 1996 წლის „ბირთვული იარაღის გამოყენების სამართლიანობასთან დაკავშირებულ კონსულტაციურ მოსაზრებაში“ ნათქვამია, რომ არსებობს:

ხანგრძლივი, ფართომასშტაბიანი და მიძიმე დაზიანებისგან გარემოს დაცვის ვალდებულება; ომის წარმოების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების აკრძალვა, რომლებიც, სავარაუდოდ, ასეთ ზიანს გამოიწვევს; და რეპრესალიის საშუალებით ბუნებრივ გარემოზე შეტევის აკრძალვა.¹⁵⁷

თუმცა ეს განცხადება სასამართლოს ადრინდელ განცხადებასთან ერთად უნდა განვიხილო, რომელშიც მითითებულია, თუ „რა არის აუცილებელი და მიზანშეწონილი კანონიერი სამხედრო მიზნების მიღწევისას“, და ნათქვამია, რომ „სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებისას სახელმწიფოებმა გარემო აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ“.¹⁵⁸ ამ განცხადებასთან დაკავშირებით, სამართლებრივი პრობლემა სწორედ იმის განსაზღვრაში მდგომარეობს, თუ რას გულისხმობს „სამხედრო აუცილებლობა“ ან „კანონიერი სამხედრო მიზნები“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სადაც გასათვალისწინებელია შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მიზეზი და მასში მონაწილე მხარეების პოზიციები და ქმედებები. კანონის ეს ნაწილი უფრო დეტალურ განმარტებას მოითხოვს.

არასწორი იქნებოდა დასკვნა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ომის ლეგალიზებას ემსახურება. მისი ფუნქცია არაჰუმანიზრობის შემთხვევაში ჰუმანიზრობის მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფაა, თუმცა ბოლოდროინდელი კონფლიქტები მოწმობს, რომ ხშირად ამ სტანდარტების ყველაზე ელემენტალური ნაწილიც კი უგულვებელყოფილია. *ius in bello*-ს, უდავოდ, შემდგომი განვითარება სჭირდება. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი განვითარება იმ სახელმწიფოთა თანხმობას მოითხოვს, რომლებიც კანონებს ქმნიან და საკუთარი ინტერესების მიხედვით აყალიბებენ, ომის წარმოების საშუალებების არსებულ დონეზე შენარჩუნებასთან დაკავშირებული კანონების ჩათვლით. მიუხედავად ამისა, სასურველია, რომ უფრო მეტმა სახელმწიფომ, შეერთებული შტატების ჩათვლით, მოახდინოს 1977 წლის დამატებითი ოქმებისა და სხვა საერთაშორისო ჰუმანიტარული ხელშეკრულებების რატიფიცირება. ამასთანავე, საჭიროა ჩვეულებითი სამართლის ჰუმანიტარული კანონების შემდგომი განვითარება, რათა მოიცვას ის სიტუაციებიც, სადაც ხელშეკრულებების გამოყენება შეუძლებელია.¹⁵⁹ კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც მზარდი ყურადღება ექცევა, შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების გამოყენებასთანაა დაკავშირებული.¹⁶⁰

თუმცა ძირითად პრობლემად მაინც რჩება არა ახალი კანონების შექმნა, არამედ არსებული ჰუმანიტარული პრინციპებისა და წესების შესრულება. 1949 წლის ჟენევის კონვენციის მონაწილე მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ შეასრულა აღებული ვალდებულება და ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში შეიტანა კონვენციის მოთხოვნები, რომლებიც სამხედრო დამნაშავეების დასჯას და წითელი ჯვრის სიმბოლოს უკანონო გამოყენების აკრძალვას გულისხმობს¹⁶¹ (ამგვარ მოთხოვნებს საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს – რედ. შენ.). არსებობს იმედი, რომ ისეთი ეფექტური საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის შექმნის პროცესი, რომელიც სამხედრო დამნაშავეების გარდაუვალ დასჯას უზრუნველყოფს, წარმატებით დასრულდება, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო კანონების სერიოზული დარღვევების აღკვეთას, სადაც არ უნდა მოხდეს ეს დარღვევები.

International Law Problems in the Gulf War, in R.St.J. Macdonald (ed.), *Essays in Honour of Wang Teyu*, 1994, 285-310; H.-P. Gasser, For Better Protection of the Natural Environment in Armed Conflict, *AJIL* 89 (1995), 637-43; W.D. Verwey, The Protection of the Environment in Times of Armed Conflict, *LJL* 8 (1995), 7-40, იხ. აგრეთვე, თ. 22.

¹⁵⁶ UNGA Res. 47/37 of 25 November 1992, იხ. ზემოთ.

¹⁵⁷ (1996), 809, at 821, para. 31.

¹⁵⁸ *Ibid.*, para. 30.

¹⁵⁹ Meron (1996), *op. cit.*, 238-49; Greenwood, Customary Law Status of the 1977 Geneva Protocols, in Delissen/Tanja (eds), *op. cit.*, 93; G. Abi-Saab, The 1977 Additional Protocols and General International Law: Some Preliminary Reflections, *ibid.*, at 115.

¹⁶⁰ G.H. Aldrich/T.A.v. Baar/Ja. Conference on the Rights of Children in Armed Conflict, 1994; G.S. Goodwin-Gill/M. Cohn, *Child Soldiers: The Role of Children in Armed Conflict*, 1994.

¹⁶¹ M. Bothe et al. (eds), *National Implementation of International Humanitarian Law*, 1990; H. Fox/M.A. Meyer (eds), *Armed Conflict and the New Law: Effecting Compliance*, Vol. II, 1993. The Resolutions of the 26th International Conference of the Red Cross and Red Crescent, *HV8* (1995), 224-9.

21. გაეროს წესდება და ორგანოები

¹ იხ. თ. 2. L.M. Goodrich/ E.Hambro/A.P.Simons, Charter of the United Nations: Commentary and Documents, 3rd edn 1969; J.A. Frowein, United Nations, EPIL 5 (1983), 272-81; O. Schachter, United Nations Charter, *ibid.*, 287-93; J.-P. Co/ A. Pellet (eds), La Charte des Nations Unies, end edn 1991; Y.Z. Blum, Eroding the United Nations Charter, 1993; A. Roberts/B. Kingsbury (eds), United Nations, Divided World: The UN's Roles in International Relations, 2nd edn 1993; P.R. Bachr/L. Gordenker, United Nations in the 1990s, 2nd edn 1994; E. Luard/D. Heater, The United Nations: How it Works and What it Does, 2nd edn 1994; B. Simma (ed), The Charter of the United Nations: A Commentary, 1995; S.D. Bailey, The United Nations: Law, Policies and Practice, 2 vols, 1995; H.G. Schermers/ N.M. Blokker, International Institutional Law, 3rd edn 1995; O. Schachter/C.C. Joyner (eds), United Nations Legal Order, 2 vols, 1995; C. Tamushat (ed), The United Nations at Age Fifty, 1995; S.H. Mendlowitz/B.H. Weston (eds), Preferred Futures for the United Nations, 1995. The Text of the UN Charter is reprinted in Brownlie BDIL, 1.

² იხ. თ. 22.

³ იხ. თ. 22.

⁴ იხ. A. Roberts/B. Kingsbury. Introduction: The UN's Roles in International Society since 1945, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 1-62.

⁵ იხ. Basic Facts About the United Nations, 1995, 231-49.

აგრეთვე იხ. თ. 2 და თ. 19.

⁶ იხ. T.J. Farer, The UN and Human Rights: At the End of the Beginning, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 240-96; Basic Facts *op. cit.*, 189-214. იხ. აგრეთვე თ. 14.

⁷ იხ. Basic Facts, *op. cit.*, 217-27; A. Grahl-Madsen, Refugees, United Nations High Commissioner, EPIL 5 (1983), 255-8; E. Jahn, Refugees, EPIL 8 (1985), 452-6; P. Macalister-Smith, United Nations Relief and Work Agency for Palestine Refugees in the Near East, *ibid.*, 519-22.

⁸ იხ. K. Dadzie, The UN and the Problem of Economic Development, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 297-326; Basic Facts, *op. cit.*, 133-85. იხ. აგრეთვე თ. 15.

⁹ იხ. P. Birnie, The UN and the Environment, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 327-83.

როგორც მე-2 თავში ვნახეთ,¹ 1945 წელს გაეროს შექმნა წარმოადგენდა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების მეორე მცდელობას, რომლის არსებობის მთავარი მიზანი იქნებოდა მშვიდობის შენარჩუნება კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მეშვეობით. თუმცა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობებმა და ცივი ომმა მალე მოსპო ახალ ორგანიზაციაში დამფუძნებელ წევრებს შორის თანამშრომლობის საფუძველი. გაეროს საქმიანობა კიდევ უფრო გაართულა დეკოლონიზაციის პროცესის შემდეგ მასში ახალი სახელმწიფოების გაწევრიანებამ. მხოლოდ ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო წესრიგის ახალ ფორმას, რომელიც განსხვავებულ როლს ანიჭებდა გაეროს, რაც აისახა სპარსეთის ყურის მეორე ომში (1990-1991) – ქუვეითში ერაყის აგრესიის წინააღმდეგ მკაცრ საერთაშორისო გამოხმაურებაში, გაეროს სხვადასხვა ტიპის სამშვიდობო ოპერაციების უპრეცედენტო სიმრავლეში და გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობის სხვა ფორმებში.² ამასობაში უფრო ჯანსაღმა აზრმა დაიწყო უპირატესობის მოპოვება.

ქვემოთ განხილული იქნება გაეროს მხოლოდ ზოგიერთი ასპექტი: გაეროს წესდება და მისი განმარტების პრობლემა, გაეროში წევრობა და მისი ძირითადი ორგანოები. გაეროს ფუნქციები სახელმწიფოთა შორის დავების მშვიდობიან მონესრიგებასთან დაკავშირებით, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და გაეროს იძულებითი ხასიათის მოქმედებები და სამშვიდობო ოპერაციების პრობლემები ცალკე იქნება განხილული 22-ე თავში.³ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მთავარი საქმიანობა დაკავშირებულია საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან, გაერო სხვა მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს,⁴ რაც განხილულია წინამდებარე ნიგნის სხვა თავებში, მაგალითად, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დეკოლონიზაციასთან,⁵ ადამიანის უფლებებთან,⁶ ჰუმანიტარულ და ლტოლვილების დახმარებასთან,⁷ ეკონომიკურ განვითარებასა და მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ურთიერთობებთან,⁸ გარემოს დაცვასთან⁹ და საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან.¹⁰

გაეროს წესდება და მისი განმარტების პრობლემა

სხვა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მსგავსად, გაერო ხელშეკრულების – გაეროს წესდების – საფუძველზე დაარსდა.¹¹ წესდება განსაზღვრავს იმ მიზნებს, რისთვისაც შეიქმნა გაერო, და მას კონკრეტულ უფლებამოსილებას ანიჭებს. თუ გაერო იმოქმედებს განსხვავებული მიზნების მისაღწევად ან განახორციელებს სხვა უფლებებს, მისი მოქმედება უკანონო გახდება.

გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ გაეროს არსებობის მთელი ისტორია წარმოადგენს წესდების სწორი განმარტების შესახებ დავების სერიას.¹² ენა თავისთავად ორაზროვანია და ამიტომაც არის ხშირი დავები კანონის წესების განმარტებაზე, რომელიც სიტყვებით არის გამოხატული. რიგითი მოქალაქე ამ ფაქტმა შეიძლება გააკვირვოს, მაგრამ იურისტისთვის აქ უჩვეულო არაფერია.¹³ თუმცა არსებობს რამდენიმე კონკრეტული მიზეზი, რამაც გაეროს წესდების განმარტების განსაკუთრებით ბევრი პრობლემა წამოჭრა. წესდების ტექსტი ძირითადად პოლიტიკოსების მიერ არის შედგენილი, იურისტების ძალზე მცო-

რედი მონაწილეობით; ხშირად იგი ორაზროვანია, ან საერთოდ გამოტოვებულია რაიმე კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებული დებულებები (შემთხვევითობის ან იმის გამო, რომ მხარეებმა ვერ შეძლეს მიეღწიათ შეთანხმებისათვის რაიმე კონკრეტულ საკითხზე); წესდება ადგენს მექანიზმს, რომელიც პრაქტიკაში ვერ მოქმედებს, ასე რომ, საჭირო ხდება იმპროვიზება ასეთი ხარვეზის შესავსებად.

არსებობს წესდების ხუთი ოფიციალური ტექსტი, რომლებიც თანაბრად ავთენტიურია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, რუსული და ჩინური,¹⁴ ანუ წესდების განმარტებისათვის საჭირო „ავთენტიური“ ენები. ისინი უნდა განვასხვაოთ გაეროს „ოფიციალური“ და „სამუშაო“ ენებისაგან. 1973 წელს გენერალური ასამბლეის მიერ ერთ-ერთ „ოფიციალური“ ენად აღიარებულ იქნა არაბული, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს წესდების განმარტებასთან. სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე მოლაპარაკებები ინგლისურად და ფრანგულად მიმდინარეობდა, ხოლო დანარჩენ სამ ენაზე ტექსტი მოგვიანებით ითარგმნა; მაგრამ თავად ინგლისურ და ფრანგულ ტექსტებს შორისაც კი უამრავი განსხვავების აღმოჩენა შეიძლება. განმარტების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ განსხვავებების ერთმანეთთან შეჯერებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პროცესი, როგორც წესი, საკმაოდ რთულია.¹⁵ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინგლისური და ფრანგული სან-ფრანცისკოს კონფერენციის დელეგატთა უმრავლესობისათვის მშობლიურ ენას არ წარმოადგენდა, ასე რომ, შეცდომები ტექსტში გარდაუვალი იყო.

ქვემოთ განხილულია განმარტების სხვადასხვა მეთოდები.¹⁶ მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მეთოდები მარტივ და ზუსტ პასუხებს იძლევა განმარტებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე. განმარტება ხელოვნებაა და არა მეცნიერება. გარკვეულწილად, არსებობს მხოლოდ ვარაუდები და არა ზუსტი წესები. ვარაუდები კი ხშირად ურთიერთგამომრიცხავია. წინააღმდეგობრივ ვარაუდებს შორის არჩევანის გაკეთება, როგორც წესი, პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ ექცევა, თუმცა ზოგი სპეციალისტი მათ უგულვებლყოფას ცდილობს. პოლიტიკური და იურიდიული ფაქტორების ურთიერთგადაკვეთა ხსნის სახელმწიფოთა უარს, მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს გაეროს წესდების განმარტებასთან დაკავშირებული დავების გადასაწყვეტად.¹⁷

სიტყვასიტყვითი (პირდაპირი) განმარტება

სიტყვასიტყვითი განმარტება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ტექსტში ყურადღებას მხოლოდ სიტყვებს უთმობს და სწავლობს სხვადასხვა ვერსიებს, რათა დაადგინოს ამ სიტყვების ზუსტი მნიშვნელობა.¹⁸ მაგალითად, მიიჩნევა, რომ სიტყვა გამოიყენება თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით, თუ ტექსტიდან ნათლად არ ჩანს, რომ სიტყვა რაიმე ტექნიკური მნიშვნელობით გამოიყენებოდა. დოკუმენტი მთლიანობაში უნდა იკითხებოდეს და, როგორც წესი, ტექსტის სხვადასხვა ადგილებში გამოყენებულ ერთსა და იმავე სიტყვას ანალოგიური მნიშვნელობა აქვს; შესაძლებლობის მიხედვით, კონკრეტული დებულება ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდეს სხვა დებულებასთან, ან არ დაუკარგოს აზრი სხვა დებულებას, ან არ მისცეს ტექსტს აბსურდული მნიშვნელობა.

ყველაზე ხშირად განმარტების ეს მეთოდი გამოიყენება, მაგალითად, ინგლისელი მოსამართლეების მიერ პარლამენტის აქტებისა და სხვა დოკუმენტების განმარტებისას, ასევე, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მიერ ხელშეკრულებების ტექსტების განმარტებისას. მაგრამ საერთაშორისო სამართალი ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან, როგორც წესი, ხელშეკრულებების ენა გაცილებით უფრო ბუნდოვანი და ტექნიკურია, ვიდრე საპარლამენტო აქტების ენა; კერძოდ, ეს ეხება გაეროს წესდებას. წესდება

იხ. აგრეთვე თ. 16.

¹⁰ იხ. N. Singh, *The UN and the Development of International Law*, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 384-419; Basic Facts, *op. cit.*, 253-70.

¹¹ იხ. თ. 6 და თ. 9.

¹² იხ. R. St. J. Macdonald/D.M. Johnston (eds), *The Structure and process of International Law*, 1983, 889-912; C.F. Amersinghe, *Interpretation of Texts in Open International Organizations*, BYIL 65 (1994), 175-210; G. Res, *The Interpretation of the Charter*, in Simma CUNAC, 25-44.

¹³ ხელშეკრულებების განმარტების წესებისათვის იხ. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31-3 მუხლები, დაბეჭდილი Brownlie BDIL 388. სახელშეკრულებო სამართალზე იხ. თ. 9.

¹⁴ გაეროს წესდების 111-ე მუხლი. იხ. M. Hilf, Article 111. in Simma CUNAC. 1196-1200.

¹⁵ 1969 წლის ვენის კონვენციის 33-ე მუხლი. იხ. M. Hilf, *Die Auslegung mehrsprachiger Verträge*, 1973; L.D.M. Nelson, *The Drafting Committee of the Third United Nations Conference of the Law of the Sea: The Implications of Multilingual Texts*, BYIL 57 (1986), 169-200; C.B. Kuner, *The Interpretation of Multilingual Treaties: Comparison of Texts versus the Presumption of Similar Meaning*, ICLQ 40 (1991), 953 *et seq.*

¹⁶ იხ. B. Vitanyi, *Treaty Interpretation in the Legal Theory of Grotius and its Influence on Modern Doctrine*, NYIL 14 (1983), 41-67; E.S. Yarnbrus, *Treaty Interpretation: Theory and Reality*, 1987; R. Bernhardt, *Interpretation in International Law*, EPLI II (1995), 1416-26.

¹⁷ იხ. თ. 18.

¹⁸ იხ. ვენის 1969 წლის კონვენცია, მუხლი 31.

¹⁹ იბ. თ. 2

²⁰ 1969 წლის ვენის კონფერენცია, მუხლი 32.

²¹ მუხლი

31 (3) (b).

²² იბ. თ. 6.

²³ იბ. W. Karl, Vertrag und spätere Praxis im Völkerrecht. 1983.

²⁴ H.G. Schermers, Voting Rules in International Conferences and Organizations, EPIL 5 (1983), 395-8; H.G. Schermers, Weighted Voting, *ibid.*, 398-9.

ძირითადად პოლიტიკოსების მიერ შეიქმნა და ხშირ შემთხვევებში წინასაარჩევნო პროგრამისათვის დამახასიათებელი წინასწარგანზრახული ბუნდოვანება აქვს. წესდების სხვადასხვა თავები სან-ფრანცისკოს 1945 წლის კონფერენციის¹⁹ სხვადასხვა კომიტეტის მიერ იწერებოდა; ბევრი ცვლილება ტექსტში უკანასკნელ წუთებში შევიდა; შედეგად კი ის მივიღეთ, რომ სხვადასხვა დებულებას შორის კოორდინაცია დარღვეულია.

მხარეთა მიზნები და *travaux préparatoires*

ხელშეკრულების მხარეთა განზრახვა არა მხოლოდ თავად ტექსტის კითხვისას შეიძლება გაირკვეს, არამედ იმ ისტორიული კონტექსტის შესწავლისასაც, როდესაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ხელშეკრულების ტექსტის შესახებ; ასევე ამ მოლაპარაკებების სტენოგრამებში. ასეთ ჩანაწერებს *travaux préparatoires* (მოსამზადებელი სამუშაოები) ეწოდება და იგი ხშირად გამოიყენება საერთაშორისო სამართალში, როგორც განმარტების დამხმარე საშუალება.²⁰

travaux préparatoires გაცილებით იშვიათად გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებელი ხელშეკრულებების განმარტებისას, ვიდრე სხვა სახის ხელშეკრულებების შემთხვევაში. საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებელი ხელშეკრულებები უფრო ხანგრძლივი მოქმედებისთვისაა გამიზნული, ვიდრე სხვა ხელშეკრულებები, ამდენად, *travaux préparatoires*-ის ხელშეკრულების ტექსტის განმარტების ხერხად არჩევა შეიძლება ყოველთვის არ იყოს გამართლებული, რადგან ეს გამოიწვევდა წარსულის (შესაძლებელია, შორეულისაც) შესწავლას, ნაცვლად ანმყოსა და მომავლის გამოკვლევისა; სახელმწიფოთა მიზნები 1940-იან წლებში ნაკლები სარგებლობის მომტანია 1990-იანების მრავალი სხვადასხვა პრობლემის გადასაწყვეტად. უფრო მეტიც, თავად ფაქტი, რომ გაეროს წევრების უმრავლესობა სწორედ 1945 წლის შემდეგ შეუერთდა, ანუ დღეს არსებულ წევრთა უმრავლესობა არ მონაწილეობდა სან-ფრანცისკოს კონფერენციაში, პოლიტიკურად უხერხულსაც კი ხდის წესდების განმარტებისათვის *travaux préparatoires*-ის გამოყენებას.

პრაქტიკა

სახელმწიფოების მიერ მათი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ხარისხმა შეიძლება ნათელი გახადოს, თუ რა მიზნები ამოძრავებდა ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელშეკრულების დადების მომენტიცათვის.²¹ კერძოდ, ეს ეხება საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებელ ხელშეკრულებებს,²² რადგან ასეთი ხელშეკრულებები, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ხანგრძლივად მოქმედებს. ფაქტობრივად, გაეროს წესდების ტექსტობრივი თავისუფლების ერთ-ერთი მიზანი იყო ავტორების სურვილი, დაეტოვებინათ ადგილი მომავალში პრაქტიკის ლავირებისათვის;²³ სამწუხაროდ, წევრ სახელმწიფოებს შორის ნდობის არარსებობამ შედეგად მოგვცა არა ლავირების თავისუფლება, არამედ ტექსტის განმარტების შესახებ გაუთავებელი დავები.

როდესაც ორგანიზაცია უფლებამოსილია, გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობით მიიღოს,²⁴ მოსალოდნელია, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ გატარებული პრაქტიკა გაიგივებული იქნება თავად ორგანიზაციის პრაქტიკასთან, და გამოყენებული იქნება ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულების განმარტების მეთოდად, იმის მიუხედავად, რომ ამ კონკრეტულ პრაქტიკას ეწინააღმდეგებოდა წევრი სახელმწიფოების უმცირესობა (ბუნებრივია, სახელმწიფოები, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ცდილობენ უფრო მეტად გამოიყენონ პრაქტიკა, როგორც დამფუძნებელი ხელშეკრულების განმარტების მეთოდი, მაშინ,

როდესაც უმცირესობაში მყოფი სახელმწიფოები უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ, სიტყვასიტყვით განმარტებას, *travaux préparatoires*-ს უფრო ფართო გამოყენებით).

უფრო მეტიც, დროის გასვლასთან ერთად ფიქცია ხდება პრაქტიკის, როგორც მხარეთა თავდაპირველი განზრახვის, უბრალო მტკიცებულებად განხილვა. პრაქტიკა საკუთარ დატვირთვას იძენს, და მან შეიძლება განვითარება პოვოს მხარეთა თავდაპირველი განზრახვის საწინააღმდეგო მიმართულებითაც კი.²⁵

პრაქტიკა შეიძლება ისეც განვითარდეს, რომ წინააღმდეგობაში მოვიდეს ხელშეკრულების ტექსტთან. ჩნდება კითხვა, არის თუ არა ასეთი პრაქტიკა კანონსაწინააღმდეგო, თუ მას შეუძლია ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა? ამ მოსაზრებას მცირე დატვირთვა აქვს, რადგან კონკრეტული პრაქტიკის მიმდევრები აცხადებენ, რომ იგი უბრალოდ განმარტავს ხელშეკრულებას და არანაირი ცვლილებები არ შეაქვს მასში; მაგრამ მაშინაც, როდესაც პრაქტიკას შეუძლია დაასრულოს ხელშეკრულების მოქმედება,²⁶ არ არსებობს იმის ლოგიკური მიზეზი, თუ რატომ არ ძალუძს პრაქტიკას ცვლილებების შეტანა ხელშეკრულებაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის პრაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულების განმარტებისათვის, პრაქტიკამ არ შეიძლება მისცეს საფუძველი ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას, თუ ის ერთხმად არ იქნება აღიარებული; ყველა მხარე უნდა შეთანხმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე.

განსხვავებული სიტუაცია იქმნება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება თავად ადგენს ხმათა უმრავლესობით ცვლილებების შეტანის წესს. მაგალითად, გაეროს წესდების 108-ე მუხლი ადგენს, რომ წესდებაში ცვლილებები

ძალაში შედის გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, თუ იგი მიღებულია გენერალური ასამბლეის წევრთა ხმათა ორი მესამედით და რატიფიცირებულია... წევრთა ორი მესამედით, მათ შორის, უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის მიერ.²⁷

თუ ამ დებულების მოქმედებას ანალოგიის ძალით გავავრცელებთ პრაქტიკიდან გამომდინარე ცვლილებებზე, შესაძლებელია იმის თქმა, რომ პრაქტიკას შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებების შეტანა გაეროს წესდებაში, თუ მას აღიარებს წევრთა ორი მესამედი, მათ შორის უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი.

ეფექტიანობა და ნაგზულისხმევი უფლებამოსილება

საერთაშორისო სამართალში არსებობს განმარტების ისეთი პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულება უნდა იმდაგვარად იქნეს განმარტებული, რომ სრულად მისცეს მის მიზნებს განხორციელების საშუალება. ერთი შეხედვით, ეს პრეზუმფცია თითქოს წინააღმდეგობაში მოდის სხვა პრეზუმფციასთან, ისეთთან, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების შეზღუდულ განმარტებას, რათა არ შეიზღუდოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტი. თუმცა, რეალურად, ეს ორი პრეზუმფცია განსხვავებულ გარემოებებში გამოიყენება. შეზღუდული ინტერპრეტაციის პრინციპი ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო სასამართლოებისათვის იურისდიქციის მიმნიჭებელი ხელშეკრულებების ან ისეთი ხელშეკრულებების განმარტებისათვის, რომლებიც ერთ მხარეს უფრო მეტ ვალდებულებებს აკისრებს, ვიდრე სხვა მხარეს ან მხარეებს (ასეთ შემთხვევებში შეზღუდული ინტერპრეტაციის მიზანია, მინიმუმამდე დაიყვანოს მხარეებს შორის უთანასწორობა). მეორე მხრივ, ეფექტიანობის

²⁵ მაგალითისთვის იხ. ტექსტი ქვემოთ (შიდა იურისდიქცია).
²⁶ იხ. თ. 9.
²⁷ იხ. A. Tanzi, Note on the "Permanent Conference of Revision" of the United Nations Charter at the 50th Anniversary of the Organization, Rivista di Diritto Internazionale 1995, 723-37; M. Schöder, Amendment to and Review of the Charter, in Wolfrum UNLPP 1, 20-6; W. Kari/B. Mützelberger, Article 108, in Simma/CUNAC, 1163-78. გაეროს რეფორმებზე დისკუსიებისათვის იხ. თ. 22.

²⁸ საერთაშორისო სამართალში ამ პრინციპის განსხვავებული ძირითადი მნიშვნელობისათვის იხ. თ. 10.

²⁹ ICJ Rep. (1949), 174, at 180, 182; იხ. თ. 16, იხ. აგრეთვე G. Jaenikem Article 7, in Simma CUNAC, 201-2; Ress, *op. cit.*, 42-3.

³⁰ იხ. R. Wolfrum, Article 1, in Simma CUNAC, 49-56; A. Randelzhofer, Purposes and Principles of the United Nations, in Wolfrum UNLPP 11, 994-1002.

პრინციპი²⁸ ძირითადად ისეთი ხელშეკრულებების განმარტებისათვის გამოიყენება, რომლებიც თანაბარ ვალდებულებებს აკისრებს მხარეებს – მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებელი ხელშეკრულებები.

ეფექტიანობის პრინციპმა სერიოზული გამოყენება პოვა ზიანის ანაზღაურების საქმეში (Reparation for Injuries case), როდესაც საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ გაერო ფლობს არა მარტო წესდებით პირდაპირ აღიარებულ უფლებამოსილებას, არამედ ისეთ ნაგულისხმევ უფლებამოსილებაც, რომელიც აუცილებელია იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც იგი შეიქმნა.²⁹

თუმცა საშიში იქნებოდა ნაგულისხმევი უფლებამოსილების დოქტრინის გამოყენება საერთაშორისო ორგანიზაციებში განმარტებების ყველა პრობლემის გადასაწყვეტად. გაეროს წესდების განმარტებაზე უმეტესი დავები სწორედ ორგანიზაციისათვის პირდაპირ მინიჭებულ უფლებამოსილებებთანაა დაკავშირებული; სადავო საკითხები იყო: რომელმა ორგანომ უნდა განახორციელოს უფლებამოსილებები? რომელი პროცედურის თანახმად? ნაგულისხმევი უფლებამოსილების დოქტრინა ასეთი საკითხების გადაწყვეტაში ნაკლებად სასარგებლოა, რადგან ის დაკავშირებულია ორგანიზაციის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, უფლებამოსილებასთან და არა უფლებამოსილებათა გადანაწილების პროცესთან ორგანიზაციის შიგნით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები

საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებს უკანონოდ, თუ ის მოქმედებს არა იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც შეიქმნა (ეს ეხება *ultra vires* მოქმედებას, რომელიც სამართლებრივად ბათილს ხდის კონკრეტულ ქმედებას). ანალოგიურად, ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულების განმარტების დროს ყოველთვის უნდა იყოს მიღებული მხედველობაში მიზნების რისთვისაც შეიქმნა ორგანიზაცია. ეს კი სავალდებულოს ხდის გაეროს მიზნების ზუსტად განსაზღვრას, რომლებიც წესდების პირველ მუხლში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

1. დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება და ამ მიზნით ეფექტიანი კოლექტიური ზომები მიიღოს მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აგრესიის აქტების ან მშვიდობის სხვა დარღვევების აღსაკვეთად, და სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, მშვიდობიანი საშუალებებით მოაგვაროს ანდა გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები ან ისეთი სიტუაციები, რომლებსაც შესაძლოა მშვიდობის დარღვევა მოჰყვეს.
2. განავითაროს მეგობრული ურთიერთობები ერებს შორის ხალხების თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, აგრეთვე, მიიღოს სხვა შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად.
3. განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების მოსაგვარებლად და ადამიანის უფლებებისა და საყოველთაო ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წახალისებისა და განვითარებისათვის რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად და
4. იყოს ერების მოქმედებათა შესათანხმებელი ცენტრი საერთო მიზნების მისაღწევად.

ნათელია, რომ მიზნები ძალიან ფართო გაგებითაა განმარტებული.³⁰ დასავლელი პოლიტიკოსები ხანდახან ზედმეტადაც იყვნენ მზად, ელიარებინათ, რომ გაეროს მთავარი და ერთადერთი მიზანია საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვა; მაგრამ მესამე სამყაროს ქვეყნები იმავე მნიშვნელობას, უფრო მეტს თუ არა, ანიჭებენ „ეკონომიკური ხასიათის საერთაშორისო პრობლემების

გადაწყვეტასა³¹ და „ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის პატივისცემის“ (კოლონიური მართვის ქვეშე მყოფი ხალხების მანც) უზრუნველყოფას.³²

შიდა იურისდიქცია

წესდების ერთი დებულება, რომელიც სერიოზულად ზღუდავს, ან შეიძლება შეეზღუდა გაეროს უფლებამოსილება, მოცემულია მე-2(7) მუხლში, რომელიც ადგენს, რომ:

წინამდებარე წესდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ ანიჭებს არანაირ უფლებას, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც, არსებითად, რომელიმე სახელმწიფოს შიდა იურისდიქციას განეკუთვნება, და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისაგან, რომ ამგვარი საქმეები წარმოადგინონ წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესით მოსაგვარებლად; ეს პრინციპი საქმეს არ ხდის იძულებითი ზომების მიღებას VII თავის საფუძველზე.

მე-2(7) მუხლმა წესდების ნებისმიერ სხვა დებულებაზე მეტი წინააღმდეგობა წარმოშვა, თუმცა პრაქტიკაში მისი განმარტება კვლავ ისეთივე გაურკვეველი დარჩა, როგორც იყო.³³ ქვეყნები, რომლებიც თვლიან, რომ მუხლი მე-2(7) უკრძალავს (ან არ უკრძალავს) გაეროს, განახორციელოს გარკვეული მოქმედებები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, იყენებენ ყველა სახის არგუმენტს, რათა დაიცვან თავიანთი შეხედულება. არგუმენტების სიმრავლე კი ხელს უშლის გადაწყვეტილების მიღებას ერთიან პრეცედენტზე.

ერთა ლიგის შეთანხმების შესაბამისი მუხლი (მუხლი 15(8)) ეხება საკითხებს, „რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიერ“ მიეკუთვნებოდა სახელმწიფოს შიდა იურისდიქციას. შიდა იურისდიქციას საერთაშორისო სამართალში ზუსტი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული; ის ეხება სფეროს (მაგალითად, უკანასკნელ პერიოდამდე ასეთი იყო სახელმწიფოების მიერ საკუთარი მოქალაქეებისადმი მოპყრობა),³⁴ სადაც სახელმწიფოთა მოქმედება არ არის შეზღუდული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებებით. მაგრამ სან-ფრანცისკოს კონფერენციამ იმ მიზეზით, რომ საერთაშორისო სამართალი ჩამოუყალიბებელი იყო, განზრახ უარყო იდეა, რომ წესდებაში „შიდა იურისდიქცია“ საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით განსაზღვრულიყო. ამ კრიტიკაში სიმართლის ელემენტი ნამდვილად არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ წესდება თავად შეიცავს მთელ რიგ მითითებებს ადამიანის უფლებებზე,³⁵ თვითგამორკვევაზე³⁶ და ა.შ., რომლებიც იმდენად გაურკვეველია, რომ იმის თქმაც კი ძნელია, თუ რომელ სამართლებრივ ვალდებულებებს აკისრებს ისინი სახელმწიფოებს.

გაეროს პრაქტიკაში უამრავი ტესტი გამოიყენება იმისთვის, რომ განისაზღვროს, ხდება თუ არა საკითხი სახელმწიფოს შიდა იურისდიქციის ქვეშ. ასე რომ, საკითხი, რომელიც ეხება საერთაშორისო სამართლის დარღვევას, ან ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას,³⁷ ან კოლონიის თვითგამორკვევას,³⁸ ვერ მოხდება შიდა იურისდიქციის ქვეშ. პოლიტიკური ფაქტორები გავლენას ახდენს სახელმწიფოთა მიერ კენჭისყრისას ხმის მიცემაზე, რომელიც ყოველთვის თანამიმდევრული არ არის. მაგრამ ზოგადად პრაქტიკა ისეთია, რომ „შიდა იურისდიქცია“ განიმარტება ვიწრო გაგებით – წესდების ტექსტის შემქმნელთა განზრახვისგან განსხვავებით.

მუხლი მე-2(7) ადგენს, რომ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი³⁹ „არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იძულებითი ზომების განხორციელებას VII თავის თანახმად“. VII თავის სათაურია: „ქმედებები მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დაღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ“.⁴⁰ გაეროს უახლესი პრაქტიკის თანახმად, მე-2(7) მუხლის ბოლო დებულება აღარ არის აუცილებელი, რადგან მშვიდობისადმი მუქარა, მშვიდობის დარღვევა და აგრესიის აქტები დღეს

³¹ იხ. თ. 15.
³² იხ. თ. 19.
³³ იხ. D'Amato, Domestic Jurisdiction, EPIL 1 (1992), 10990-6; F. Ermacora, Article 2(7), in Simma CUNAC, 139-54; G. Arangio-Ruiz, Le domaine reserve - L'Organisation internationale et le rapport entre droit international et droit interne, Rdc 225 (1990-VI), 13-484; G. Arangio-Ruiz, The Plea of Domestic Jurisdiction Before the International Court of Justice: Substance or Procedure?, in V. Lowe/M. Fitzmaurice (eds), Fifty Years of the International Court of Justice, 1996, 440-64.
³⁴ იხ. თ. 14.
³⁵ იხ. თ. 14.
³⁶ იხ. თ. 19.
³⁷ იხ. თ. 14 და თ. 22.
³⁸ იხ. თ. 19 და თ. 22.
³⁹ იხ. M. Schröder, Non-Intervention, Principle of, EPIL 7 (1984), 358-61; P. Malanczuk, Humanitarian Intervention and the Legitimacy of the Use of Force, 1993, 12 et. seq.; U. Beyerlin, Intervention, Prohibition of, in Wolfrum UNLPP 11, 805-13.
⁴⁰ წესდების VII თავთან დაკავშირებით. იხ. თ. 22.

⁴¹ იხ. გაეროს წესდების მუხლი 2 და თ. 2.

⁴² ეს ნიშნავს, რომ ორივემ – უშიშროების საბჭომაც და გენერალურმა ასამბლეამაც – ხმა უნდა მისცეს ახალი წევრის მიღებას. იხ. აგრეთვე, K. Herndl, Admission of a State to Membership in United Nations (Advisory Opinions), EPIL 1 (1992), 35-8; H.-J. Schütz, Membership, in Wolfrum UNLPP 11, 877-83; K. Ginther, Article 4, in Simma CUNAC, 158-75.

⁴³ იხ. თ. 2.

⁴⁴ 1990 წლის შემდეგ წევრთა მიღების რიცხვისათვის იხ. Ginther, *op. cit.*, 172-5. რუსეთის ფედერაციის მიერ გაეროში ყოფილი სსრკ-ს წევრობის, მათ შორის უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრობის მოპოვების პრობლემებთან დაკავშირებით იხ. თ. 11.

⁴⁵ იხ. მიმოხილვა VN43 (1995), 46-8; Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, Appendix C, 530.

⁴⁶ უშიშროების საბჭოს 1994 წლის 29 ნოემბრის რეზ. 963 (1994).

⁴⁷ იხ. თ. 19.

⁴⁸ J. Kokott, Micro-State, EPIL 10 (1987), 297-9; J. Rapaport/E. Muteba/J.J. Therattil, Small States and Territories – Status and Problems, 1971; M.N. Gountner, What Happened to the United Nations Ministate Problems, AJIL 71 (1977), 110-24. აგრეთვე, იხ. თ. 5.

⁴⁹ იხ. თ. 22.

უკვე ავტომატურად განიხილება, როგორც საკითხი; რომელიც არ მიეკუთვნება შიდა იურისდიქციას.

წევრობა

გაეროს დამფუძნებელი წევრები მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეთა მხარეს იყვნენ.⁴¹ ახალი წევრების მიღება წესდების მე-4 მუხლით რეგულირდება:

1. ორგანიზაციის წევრობა თავისუფლად შეუძლია ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომელიც იკისრებს ამ წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, და რომელსაც, ორგანიზაციის აზრით, შეუძლია და სურს ამ ვალდებულებების შესრულება.
2. ნებისმიერი ასეთი სახელმწიფოს ორგანიზაციის წევრად მიღებას გადაწყვეტს გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.⁴²

დღეისათვის (1996) გაეროს წევრი სახელმწიფოების რიცხვი 185-ს აღწევს (2000 წლის ბოლოსთვის გაეროს წევრთა რაოდენობამ 189 ქვეყანა შეადგინა – რედ. შენ.), რომელთაგან მხოლოდ 51 არის დამფუძნებელი წევრი. წევრთა რიცხვის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება 1960-იან წლებში განხორციელებულ დეკოლონიზაციის პროცესს⁴³ და საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლას.⁴⁴ დღეისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო გაეროს წევრია.⁴⁵ გაეროში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო არ შედის, მაგალითად, კირიბატი, ნაურუ, ტონგა, ტუვალუ, ვატიკანი, ტაივანი და შვეიცარია (რომელიც მონაწილეობს გაეროს მრავალი ორგანოს საქმიანობაში, მაგრამ არასოდეს გაუკეთებია განცხადება წევრობაზე – 1994 წელს შვეიცარიაში ჩატარებულ რეფერენდუმში უარყოფითად დასრულდა, ხოლო 2000 წელს შვეიცარიამ რეფერენდუმით თანხმობა განაცხადა გაეროში განწევრიანებაზე – რედ. შენ.) (კირიბატი, ნაურუ და ტონგა 1999 წელს, ხოლო ტუვალუ და იუგოსლავია 2000 წელს განწევრიანდნენ გაეროში – რედ. შენ.). გაეროს წევრთა შორის არის მიკროსახელმწიფოები 500 კვ. მილზე ნაკლები ტერიტორიითა და 100 000-ზე ნაკლები მოსახლეობით, როგორცაა ანდორა, ანტიგუა და ბარბუდა, გრენადა, ნმინდა კიტი და ნევი, მიკრონეზიისა და მარშალის კუნძულები, ლიხტენშტაინი (განწევრიანდა 1990 წლის 18 სექტემბერს), სან-მარინო (განწევრიანდა 1992 წლის 2 მარტს), მონაკო და პალაუ, რომლებიც განწევრიანდნენ 1994 წლის ნოემბერში⁴⁶ და წარმოადგენდნენ გაეროს მეურვეობის სისტემის კონტროლის ქვეშ მყოფ უკანასკნელ ტერიტორიას.⁴⁷ რა თქმა უნდა, ასეთი პატარა სახელმწიფოების წევრობის პირობების თანასწორობა დიდ სახელმწიფოებთან არაერთ პრობლემას წარმოშობს, რამაც გამოხატულება პოვა გაეროში 1971 წლამდე გამართულ დისკუსიებში იმის თაობაზე, საერთოდ შეიძლებოდა თუ არა მათი განწევრიანება.⁴⁸ საბოლოოდ პატარა და დიდი სახელმწიფოების წევრობის თანასწორობის პრინციპმა გაიმარჯვა. თუმცა არ გადაწყვეტილა სახელმწიფოთა კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხი. ასევე, თავი აარიდეს საკითხს, შეუძლიათ თუ არა ასეთ ქვეყნებს რეალურად გახდნენ იმ ვალდებულებების მატარებლები, რომლებიც გათვალისწინებულია წესდების მე-4 მუხლით. მიკრონეზია და მარშალის კუნძულები, გაეროს მიერ სამეურვეო ადმინისტრირების დასრულებისთანავე შევიდნენ შეერთებულ შტატებთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაში, რომლის თანახმადაც, შეერთებული შტატები ვალდებული ხდება, დაიცვას ეს ორი სახელმწიფო. მაგრამ ეს არ განხილულა ამ სახელმწიფოებისთვის გაეროში განწევრიანების უფლებაზე უარის თქმის მიზეზად.

წევრ ქვეყანას, რომლის წინააღმდეგაც იძულებითი ღონისძიება⁴⁹ გამოი-

ყენება, შეიძლება შეუჩერდეს წევრობის უფლებამოსილება,⁵⁰ ხოლო წევრი, რომელიც მუდმივად არღვევს წესდების პრინციპებს, შეიძლება გაირიცხოს ორგანიზაციიდან.⁵¹ თითოეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე. ეს დებულებები არასოდეს ამოქმედებულა, მიუხედავად იმისა, რომ აფრიკისა და აზიის მრავალი სახელმწიფო ცდილობდა აპართეიდის პერიოდში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარიცხვას,⁵² ხოლო არაბული სახელმწიფოები და ირანი რეგულარულად იჩენდნენ ინიციატივებს, რომ ეტაპობრივად მოეხდინათ ისრაელის გაეროში ყოფნის დელეგირებისა გენერალურ ასამბლეაზე ისრაელის წარმომადგენლების უფლებამოსილების არცნობის გზით.⁵³ სამხრეთ აფრიკას მხოლოდ 1974-1993 წლებში აეკრძალა მონაწილეობა გენერალური ასამბლეის საქმიანობაში. ეს ნაბიჯი გადადგმულ იქნა გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებების კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც აცხადებდა, რომ სამხრეთ აფრიკის მთავრობა არ წარმოადგენს ქვეყნის მთელ მოსახლეობას. ამ გადაწყვეტილების კანონიერება ეჭვს იწვევს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთავრობის კანონიერება, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს გაეროში წევრობის კრიტერიუმს.⁵⁴ გარიცხვა, ნებისმიერ შემთხვევაში, არ წარმოადგენს აუცილებლად ეფექტურ სანქციას; ზოგიერთს შეუძლია ეს გაიგოს, როგორც ორგანიზაციის მხრიდან იმის აღიარება, რომ იგი უძღური აღმოჩნდა, ეიძულებინა გარიცხული წევრი, აღესრულებინა ორგანიზაციის ნება. წესდება არაფერს ამბობს წევრი სახელმწიფოს გასვლაზე. ეს უზუსტობა განზრახ არის დაშვებული, რადგან ერთა ლიგის კონვენანტში ასეთი უფლების გათვალისწინებამ მრავალ წევრ ქვეყანას მისცა ორგანიზაციიდან გასვლის ბიძგი, რამაც სერიოზულად დაასუსტა ლიგა.⁵⁵ მაგრამ 1945 წლის სან-ფრანცისკოს კონფერენციამ აღიარა გამონაკლის შემთხვევებში გასვლის უფლება. მაგალითად, „თუ... ორგანიზაცია აჩვენებს, რომ უძღურია შეინარჩუნოს მშვიდობა ან ამის გაკეთება მხოლოდ სამართლისა და სამართლიანობის ხარჯზე შეუძლია“, ან, თუ წევრის

უფლებები და მოვალეობები, როგორც ასეთი, შეიცვალა წესდების ცვლილებით იმდაგვარად, რომ იგი აღარ ემთხვევა იმას, რაც მან აღიარა და რომელსაც იგი თავისთვის მიუღებლად ჩათვლის; ან თუ ცვლილება დადგენილი წესისამებრ არის მიღებული ასამბლეის ან გენერალური კონფერენციის უმრავლესობით, მაგრამ იგი ვერ შეძლებს მისი ძალაში შესვლისათვის საკმარისი რატიფიკაციების მოპოვებას.⁵⁶

ეს განცხადება შეადგენს წესდების *travaux préparatoires*-ს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს წესდების განმარტებისათვის.

გამოსვლის საკითხი პრაქტიკაში მხოლოდ ერთხელ წამოიჭრა. 1965 წლის იანვარში ინდონეზიამ გამოთქვა გასვლის სურვილი მალაიზიის (რომლის ტერიტორიის ნაწილზე პრეტენზიას აცხადებდა ინდონეზია) უშიშროების საბჭოს დროებით წევრად არჩევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მიუხედავად იმისა, რომ მალაიზიის არჩევა ძნელად ექცევა „გამონაკლისი შემთხვევები“-ს სან-ფრანცისკოს განცხადებისეულ მნიშვნელობაში, იმ დროისათვის ინდონეზიის გასვლა სამდივნოს მიერ ამკარად კანონიერად იქნა აღიარებული.⁵⁷ მაგრამ 1966 წელს ინდონეზია დაბრუნდა გაეროში. მისი გასვლა რომ რეალური ყოფილიყო, მე-4 მუხლის თანახმად, მას მოუწევდა ხელახალი განცხადების გაკეთება წევრობაზე. ამის ნაცვლად, ის უბრალოდ დაუბრუნდა თავის ადგილს, თითქოს არც არაფერი მომხდარა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი გასვლა ფიქტიური იყო. ლოგიკის თანახმად, ინდონეზიას უნდა გადაეხადა 1965 წლის იანვრიდან 1966 წლის სექტემბრამდე პერიოდისათვის სანევრო გადასახადის მთელი დარჩენილი ნაწილი, მაგრამ, რადგან მას არ მიუღია მონაწილეობა და ამ პერიოდში არ უსარგებლია გაეროს წევრობით, შეთანხმდნენ, რომ იგი გადაიხდიდა დარჩენილი გადასახადის მხოლოდ 10%-ს.

⁵⁰ გაეროს წესდება, მუხლი 5. იხ. H.J. Schlutz, Article 5, in Simma, CUNAC, 175-85; L. Makarczyk, Legal Basis for Suspension and Expulsion of a State from an International Organization, GYL 25 (1982), 476-89.

⁵¹ მუხლი 6. იხ. O. Kimminich, Article 6, in Simma CUNAC, 185-93.

⁵² იხ. R. Suttner, Has South Africa Been Illegally Excluded from the United Nations General Assembly?, CILSA 17 (1984), 279-301; C.N. Patel, The Legal Aspects of State Expulsion from the United Nations: South Africa a Case in Point, NULR 3 (1982/3), 197-213.

⁵³ იხ. Malanczuk, Israel; Status, Territory and Occupied Territories, EPIL 11 (1995), 1468-1508, at 1488; M. Halbersmat, Excluding Israel from the General Assembly by a Rejection of its Credentials, AJIL 78 (1984), 179-82. გაეროს 1975 წლის 10 ნოემბრის რეზოლუცია 3379 (XXX), რომელმაც სონიზმი გაათანაბრა ისრაელთან და არასტრუქტურული კრიმინალისთან, გააუქმეს 1991 წლის 17 დეკემბერს, თუმცა მომხრე იყო მხოლოდ 111, 25-წინააღმდეგი, 13-მათი შეიკავა, Malanczuk, *ibid.*, at 1501.

⁵⁴ იხ. აგრეთვე, თ. 5.

⁵⁵ იხ. თ. 2.

⁵⁶ Text in the United Nations Conference on International Organization: Documents, Vol. 7, 328-9.

⁵⁷ იხ. Schwelb, AJIL 54 (1960), 661-72.

⁵⁸ Restatement (Third), Vol. 1, para. 202, Reporter's Notes, 76; Heuser, Taiwan, EPIL 12 (1990), 367-73; E.A. Danaher, The Representation of China in the United Nations, Harvard ILJ 13 (1972), 448-58; U. Fastenrath, Article 3, in Simma/CUNAC, 197.

⁵⁹ მთავრობასა და სახელმწიფოს შორის განსხვავებებისთვის იხ. თ. 5.

⁶⁰ UNGA Res. 2758 (XXCVI) of 25 October 1971. იხ. აგრეთვე Schütz, Membership, *op. cit.*, 881.

⁶¹ FAZ of 23 September 1994, 6.

⁶² იხ. ქვემოთ.

⁶³ იხ. K.J. Partsch, Belgrads leerer Stuhl im Glaspalast. Das Einfreiren der UN-Mitgliedschaft Jugoslawiens durch Sicherheitsrat und Generalversammlung, VN 40 (1992), 181-8; Y.Z. Blum, UN Membership of the "New" Yugoslavia: Continuity or Break?, AJIL 86 (1992), 830-3. იხ. აგრეთვე, the contributions on the "UN Membership of Former Yugoslavia". AJIL 87 (1993), 240-8 და Ginter, *op. cit.*, 174, იხ. თ. 5, 11 და 22.

ჩინეთის წარმომადგენლობა

ჩინეთში კომუნისტებმა ძალუფლება ხელში 1949 წლის ბოლოსთვის ჩაიგდეს, მაგრამ 1971 წლამდე ჩინეთს გაეროში ჩანკაიშის ეროვნული მთავრობა წარმომადგენდა, რომელიც ტაივანში იყო განლაგებული.⁵⁸ მთელი ამ დროის განმავლობაში მრავალი მოთხოვნა გაკეთდა ჩინეთის გაეროში „დაშვებაზე“. მაგრამ ამ საკითხის განხილვით ქვეყნები თავისდა უნებურად უპირისპირდებოდნენ შეერთებულ შტატებს, რომელიც ამტკიცებდა, რომ კომუნისტური ჩინეთი არ უნდა ყოფილიყო „დაშვებული“ გაეროში, რადგან იგი არ ასრულებდა მე-4 მუხლის მოთხოვნებს – არ იყო მშვიდობისმოყვარე, არ გამოხატავდა სურვილს, ეკისრა გაეროს წესდებით დადგენილი ვალდებულებები და ა.შ.

სწორია ანალიზი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები, და არა მთავრობები,⁵⁹ არიან გაეროს წევრები. ჩინეთის სახელმწიფო არის და ყოველთვის იყო გაეროს წევრი. საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რომელმა მთავრობამ უნდა წარმომადგინოს იგი გაეროში. მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიის პრინციპით მე-4 მუხლი შეიძლება გავრცელდეს გაეროში წარმომადგენლობაზე, უფრო ლოგიკურია იმის აღიარება, რომ წევრ სახელმწიფოს აქვს უფლება, წარმომადგენილი იყოს თავისი მოქმედი მთავრობის მიერ მანამ, სანამ მისი წევრობა არ იქნება შეჩერებული, ან არ გაირიცხება ორგანიზაციიდან. ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოვა ზოგად პრინციპებთან, რომლებიც საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოებსა და მთავრობებს შორის ურთიერთობებს არეგულირებენ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა სახელმწიფომ 1970-იანი წლების ბოლომდე არ აღიარა ჩინეთის კომუნისტური მთავრობა, იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ იგი 1949 წლის ბოლოდან ჩინეთის მოქმედი მთავრობა იყო.

განსხვავება ორგანიზაციაში მიღებასა და წარმომადგენლობას შორის მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც. კომუნისტური ჩინეთი რომ გაეროს ახალ წევრად მიეღოთ, ეროვნულ ჩინეთს (ტაივანი) შეეძლო დარჩენილიყო გაეროს წევრად (და უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრადაც) კომუნისტური ჩინეთის მიღების შემდეგაც კი. მაგრამ თუ საკითხი განიხილება, როგორც წარმომადგენლობის პრობლემა, კომუნისტების წარმომადგენლების მისვლას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ეროვნული წარმომადგენლების მიერ გაეროს ყველა ორგანოში ადგილების დატოვება, რადგან არ შეიძლება ქვეყანა საერთაშორისო ორგანიზაციაში ერთდროულად ორი მოქმედი მთავრობით იყოს წარმომადგენილი. ფაქტობრივად ასეც მოხდა 1971 წელს, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აღუდგეს თავისი ყველა უფლება და მისი მთავრობის წარმომადგენლები აღიარებულ იქნენ გაეროში ჩინეთის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლებად“.⁶⁰ 1994 წელს გაეროს წევრი ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან იყო ტაივანისათვის გაეროს წევრობის აღდგენის მცდელობა ამისათვის სპეციალური კომიტეტის დაარსების გზით, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.⁶¹

უფრო მეტიც, ახალი წევრების მიღება და მოქმედი წევრების გარიცხვა ან წევრობის დროებით შეჩერება განიხილება, როგორც არაპროცედურული საკითხები. ეს ნიშნავს, რომ უშიშროების საბჭოში გამოიყენება ვეტოს უფლება. წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება, როგორც პროცედურული, ანუ ვეტო არ გამოიყენება.⁶²

იუგოსლავიის შემთხვევა

არაპირდაპირი გარიცხვის ფორმა 1991 წლის შემდეგ გამოყენებულ იქნა ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევაში, რაც მოჰყვა ბოსნია-ჰერცეგოვინის, ხორვატიის, მაკედონიისა და სლოვენის დამოუკიდებლობას.⁶³ იუგოსლავიის დარჩენილი ნაწილის (სერბია და ჩერნოგორია) გარდა, იუგოსლავიიდან გამოყოფილმა ყველა ახალმა სახელმწიფომ მიმართა გაეროს განცხადებით გა-

წევრიანების თაობაზე. ყველა მათგანის განცხადება დაკმაყოფილდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო კონფლიქტი იუგოსლავიაში ჯერ კიდევ გრძელდებოდა და საზღვრების საკითხიც არ იყო გადაწყვეტილი. 1992 წლის 20 მაისს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სწრაფი მიღება მიზნად ისახავდა სუსტი სახელმწიფოს პოზიციის გაძლიერებას აგრესიის წინააღმდეგ. მეორე მხრივ, გაეროში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის – მაკედონიის მიღებას პრობლემები შეხვდა საბერძნეთის პროტესტის გამო, რაც გამოწვეული იყო ახალი სახელმწიფოს მიერ შეუფერებელი სახელის, „მაკედონიის“ არჩევით, რასაც საბერძნეთი განიხილავდა შესაძლო პრეტენზიად ანალოგიური სახელწოდების მქონე თავის ჩრდილოეთ პროვინციაზე. საბერძნეთმა ასევე წინააღმდეგობა გაუწია ახალი სახელმწიფოს მოთხოვნას, ალამში გამოეყენებინა ვერჯინას ვარსკვლავი (ძველი მაკედონიის დინასტიური ემბლემა). კომპრომისის შედეგად ახალი სახელმწიფო მიიღეს გაეროში 1993 წლის 8 აპრილს იმ პირობით, თუ იგი დროებით, საბერძნეთთან პრობლემების მოგვარებამდე, იწოდებოდა „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიად“.⁶⁴

გაერომ უარი განუცხადა „იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას“, რომელსაც სერბია და მონტენეგრო წარმოადგენდა, დაეკავებინა ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ადგილი. მიზეზი ის გახლდათ, რომ ეს უკანასკნელი არ განიხილებოდა იმავე სამართლებრივ ერთეულად, რადგან იუგოსლავიის ყოფილმა სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა, ხოლო ყოფილი სახელმწიფოს არსებობის გაგრძელების მოთხოვნა არ იყო აღიარებული.⁶⁵ უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტეს, რომ იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას განწევრიანების თაობაზე ახალი განცხადებით უნდა მიემართა. მანამდე მას თავი უნდა შეეკავებინა ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისაგან,⁶⁶ თუმცა ნება მიეცა, გაეგრძელებინა წევრობა გაეროს ზოგიერთ დანესებულებაში.

⁶⁴ იბ. თ. 11.

⁶⁵ იბ. თ. 5.

⁶⁶ Res. 47/1 of 22 September 1992.

⁶⁷ იბ. თ. 19.

⁶⁸ იბ. თ. 18.

⁶⁹ იბ. G Jaenicke, Article 7, in Simma CUNAC, 195-207.

⁷⁰ E.J. de Aréchaga, United Nations Security Council, EPIL 5 (1983), 345-9; R. Geiger, Article 23, in Simma CUNAC, 393-6; T. Bruha, Security Council, in Wolfrum UNLPP 11, 1147-61; K.C. Wellens (ed.), Resolutions and Statements of the United Nations Security Council (1946-1992): A Thematic Guide, 2 nd edn 1993.

⁷¹ იბ. თ. 11.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოები

გაეროს ექვსი ძირითადი ორგანო აქვს: გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება ყველა წევრისაგან; სამი საბჭო, რომელთაც უფრო სპეციალიზებული ფუნქციები აქვთ და წევრ სახელმწიფოთა შეზღუდული რაოდენობისაგან შედგება – უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო და სამეურვეო საბჭო;⁶⁷ და ორი ორგანო, რომელიც შედგება არა წევრი სახელმწიფოებისაგან, არამედ ფიზიკური პირებისაგან – სამდივნოსა და საერთაშორისო სასამართლოსაგან.⁶⁸ არსებობს ასევე ძირითადი ორგანოების მიერ შექმნილი უამრავი დამხმარე დანესებულება.⁶⁹ უშიშროების საბჭო გაეროს ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანოა.

უშიშროების საბჭო

უშიშროების საბჭო შედგება თხუთმეტი წევრი სახელმწიფოსაგან.⁷⁰ მათგან ხუთი წევრი მუდმივია: გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, შეერთებული შტატები, ჩინეთი და რუსეთი, რომელმაც 1991 წელს აცნობა გაეროს, რომ, ყოფილი საბჭოთა იმპერიის დაშლისას წარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თერთმეტი სახელმწიფოს მხარდაჭერით, ის გააგრძელებდა სსრკ-ს წევრობას გაეროს ყველა ორგანოში.⁷¹ რუსეთის ფედერაციის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანია იმით, რომ მას არ მოჰყოლია არანაირი პროტესტი გაეროს წევრი ქვეყნებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ნებისმიერს შეეძლო დაეყენებინა საკითხი, რომ უშიშროების საბჭოს შემადგენლობის შესაცვლელად აუცილებელი იყო გაეროს

⁷² სადისკუსიოდ იხ. Y. Z. Blum, *Russia Takes Over the Soviet Union's Seat at the United Nations*, EJIL 3 (1992), 354-61. იხ. თ. 11.
⁷³ იხ. J. Delbrück, Article 24, in *Simma CUNAC*, 397-407.
⁷⁴ იხ. თ. 22.
⁷⁵ იხ. თ. 22.
⁷⁶ იხ. თ. 22.
⁷⁷ ეს არ ეხება საბჭოს მიერ მიღებულ უბრალო რეკომენდაციებს, იხ. J. Delbrück, Article 25, in *Simma CUNAC*, 407-18.
⁷⁸ სანამ უშიშროების საბჭოს წევრთა რიცხვი გაზრდებოდა 1966 წელს, გადაწყვეტილება მიღებოდა შედისხით (ცხრის ნაცვლად), ამდენი წევრების ხმების ჩათვლით არაპროცედურულ საკითხებს შეხებულა. იხ. S.D. Bailey, *The Procedure of the UN Security Council*, 2nd edn 1988; Brubaker, *op. cit.*, 1151-3; R. Wolfrum, *Voting and Decision-Making*, in *Wolfrum UNLPP* 11, 1400-7; B. Simma/S. Bruner, Article 27, in *Simma CUNAC*, 430-69; M.C. Wood, *Security Council Working Methodes and Procedure: Recent Developments*, ICLQ 45 (1996), 150-61.
⁷⁹ F. Münch, *Veto*, EPIL 5 (1983), 389-92.

წესდებაში ცვლილებების შეტანა.⁷² უშიშროების საბჭოს დანარჩენი ათი წევრი არ არის მუდმივი წევრი და ისინი აირჩევა ორი წლის ვადით გენერალური ასამბლეის მიერ. არამუდმივი წევრების რიცხვი ექვსიდან ათამდე გაიზარდა 1966 წლის 1 იანვარს, წესდებაში ცვლილებების შეტანის შედეგად. იმის გამო, რომ გაიზარდა გაეროს წევრთა რაოდენობა, გადაწყდა, გაზრდილიყო უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობაც. ამით უფრო მეტ ქვეყანას მიეცემოდა საშუალება, მონაწილეობა მიეღო უშიშროების საბჭოს საქმიანობაში. დღევანდელი პრაქტიკა ისეთია, რომ ხუთი არამუდმივი ადგილი დაკავებული აქვთ აფრიკისა და აზიის სახელმწიფოებს, ორი – ლათინური ამერიკის ქვეყნებს, ერთი – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანას და ორი – დასავლეთ ევროპისა და სხვა სახელმწიფოებს (“სხვა სახელმწიფოები” ძირითადად შედგება თანამეგობრობის „თეთრი“ სახელმწიფოებისაგან – კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისაგან).

წესდების 24(1) მუხლი ადგენს, რომ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწრაფ და ეფექტიან ქმედებათა უზრუნველსაყოფად მისი წევრები უშიშროების საბჭოს აკისრებენ ძირითად პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად და უთანხმდებიან, რომ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ვალდებულებების შესრულებისას უშიშროების საბჭო მოქმედებს ორგანიზაციის წევრების სახელით.⁷³

უშიშროების საბჭოს ძირითადი ფუნქცია შედგება დავების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის რეკომენდაციების მიღებასა⁷⁴ და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებაში, როდესაც საფრთხე ემუქრება მშვიდობას და ადგილი აქვს აგრესიის აქტებს.⁷⁵ საბჭომ დიდი როლი ითამაშა აგრეთვე გაეროს სამშვიდობო ოპერაციების განვითარებაში. ასეთი ინსტიტუტი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული წესდებით.⁷⁶

წესდების 25-ე მუხლი ადგენს:

ორგანიზაციის წევრები თანხმდებიან, წინამდებარე წესდების შესაბამისად, დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი.

ამდენად, უშიშროების საბჭოს შეუძლია მიიღოს სავალდებულო გადაწყვეტილებები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის.⁷⁷

უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურა დადგენილია წესდების 27-ე მუხლით:

1. უშიშროების საბჭოს ყველა წევრს აქვს ერთი ხმა.
2. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი პროცედურის საკითხებზე მიღებულად ითვლება, როდესაც მათ ხმას მისცემს საბჭოს ცხრა წევრი.
3. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი ყველა სხვა საკითხზე მიღებულად ითვლება, თუკი მათ ხმას მისცემს საბჭოს ცხრა წევრი, საბჭოს ყველა მუდმივი წევრის თანხმდომი ხმების ჩათვლით, ამასთან, დავაში მონაწილე მხარემ თავი უნდა შეიკავოს გადაწყვეტილების მიღებისას ხმის მიცემისაგან VI თავის ... საფუძველზე.⁷⁸

27(3) მუხლის მთავარი ეფექტი არის ის, რომ თითოეულ მუდმივ წევრს აქვს „ვეტოს“⁷⁹ უფლება პროცედურულ საკითხებზე. ვეტო არ ვრცელდება არაპროცედურულ საკითხებზე. როგორ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან პროცედურული და არაპროცედურული საკითხები? სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე ოთხმა სახელმწიფომ (აშშ, სსრკ, ინგლისი და ჩინეთი) გააკეთა ჩამონათვალი ზოგიერთი იმ საკითხისა, რომელიც განიხილებოდა, როგორც პროცედურული (მაგალითად, გადაწყვეტილებები წესდების 28-32-ე მუხლების

მიხედვით, და დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები) და სხვა საკითხები, რაც განიხილებოდა, როგორც არაპროცედურული (მაგალითად, რეკომენდაციები და ვეტოს მშვიდობიან გადანყვეტაზე და გადანყვეტილებები იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ); საეჭვო შემთხვევაში, რასაც თვლიდნენ, რომ იშვიათი იქნებოდა, თავდაპირველი საკითხი (ანუ საკითხი იმის თაობაზე, იყო თუ არა კონკრეტული საკითხი პროცედურული) თავისთავად განიხილებოდა, როგორც არაპროცედურული.⁸⁰ ამას „ორმაგ ვეტომდე“ მივყავართ. უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს შეეძლო ვეტო დაედო საკითხის პროცედურულად აღიარებაზე და შემდეგ გამოეყენებინა ვეტოს უფლება ნებისმიერი რეზოლუციის პროექტზე ამ საკითხთან დაკავშირებით. „ორმაგი ვეტოს“ საშუალებით საბჭოთა კავშირს პერიოდულად ჰქონდა მცდელობა ზოგიერთი საკითხი, რომელიც ოთხი სახელმწიფოს განცხადებაში ზუსტად იყო განსაზღვრული, როგორც პროცედურული, არაპროცედურულად გადაეცია. მაგრამ თავმჯდომარის უფლებამოსილების მექანიზმი ორმაგი ვეტოს უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის პოსტი მორიგეობით უკავია უშიშროების საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს ერთი თვის ვადით. თუ თავმჯდომარე, ორმაგი ვეტოს უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, განიხილავს პირველად საკითხს, როგორც პროცედურულს, მისი გადანყვეტილება საბოლოოა, თუ სანინაალმდეგო არ იქნა დადგენილი უშიშროების საბჭოს (პროცედურული) კენჭისყრის მიერ.

დროდადრო თითოეული მუდმივი წევრი იყენებდა ვეტოს უფლებას, მაგრამ უშიშროების საბჭოს წევრთაგან ყველაზე ხშირად იგი საბჭოთა კავშირს აქვს გამოყენებული. 1945 წლიდან 1992 წლამდე ვეტოს გამოყენების სტატისტიკა ასეთია: საბჭოთა კავშირი – 114; აშშ – 69; გაერთიანებული სამეფო – 30; საფრანგეთი – 18; ჩინეთი – 3.⁸¹ 1945-1990 წლებში მთლიანობაში გამოყენებული იყო 279 ვეტო, მას შემდეგ ვეტოს იშვიათად თუ ვინმე იყენებდა. ეს მიღწევა ნამდვილად აღსანიშნავია, რადგან გაეროს დაარსებიდან 1990 წლამდე უშიშროების საბჭომ მხოლოდ 650 რეზოლუცია მიიღო, საშუალოდ წელიწადში თერთმეტზე ნაკლები, ხოლო 1990 და 1993 წლებში მიღებულ იქნა დაახლოებით 250 რეზოლუცია, საშუალოდ წელიწადში სამოცზე მეტი.⁸² 1990 წლის 31 მაისს შეერთებული შტატებმა დაადო ვეტო რეზოლუციას ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ხოლო 1993 წლის 11 მაისს რუსეთმა – კვიპროსში სამშვიდობო ძალების დაფინანსების შესახებ რეზოლუციას. ვეტოს შესახებ ოფიციალური სტატისტიკა ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ის არ მოიცავს „ფარულ ვეტოს“ (მრავალრიცხოვანი თავის შეკავების შემთხვევები), ისევე, როგორც „არაოფიციალურ ვეტოს“ (საკითხის კენჭისყრაზე გატანისათვის ხელის შეშლა).⁸³

ვეტოს უფლება ხშირად ხდებოდა კრიტიკის ობიექტი, როგორც უშიშროების საბჭოს ძალაუფლების შემზღუდავი ელემენტი. მან ფაქტობრივად შეასუსტა უშიშროების საბჭოს როლი შეიარაღებულ კონფლიქტებში, რომლებშიც მუდმივი წევრები პირდაპირ იყვნენ ჩართულნი (მაგალითად, სუეცი 1956, უნგრეთი 1956, ვიეტნამი 1946-75 და ომი ვიეტნამსა და ჩინეთს შორის 1979). ასევე ხელი შეუშალა მას სხვა მრავალ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის მიღებაში, რომლებშიც მუდმივი წევრები არაპირდაპირ იყვნენ ჩართულნი ან ჰქონდათ ინტერესი. მაგრამ ვეტოს არსებობა ძალაუფლების პოლიტიკის რეალობას აღიარებს; ეს არის ფასი, რასაც უშიშროების საბჭო იხდის თავისი უჩვეულოდ ფართო უფლებამოსილებისათვის. ასევე უნდა იქნეს აღნიშნული, რომ უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი ბირთვულ სახელმწიფოს წარმოადგენს. ვეტოს გაუქმება მცირედ ძალაუფლებას შემატებს გაეროს, რადგან, რეალურად, გაეროსთვის კვლავაც შეუძლებელი იქნებოდა, გაეტარებინა იძულებითი ღონისძიებები ბირთვული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

⁸⁰ ამასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტია ოთხი სახელმწიფოს განცხადება უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურის შესახებ, მიღებული 1945 წლის 7 ივნისს, გადაბეჭდილი Brownie BDIL, 46.

⁸¹ იხ. Roberts/Kingsbury, Introduction. *op. cit.*, 10.

⁸² S.D. Murphy, The Security Council, Legitimacy, and the Concept of Collective Security After the Cold War. Colum. JTL 31 (1994), 201-88, at 207. იხ. აგრეთვე A.W. Patil, The UN Veto in World Affairs 1946-1990: A Complete Record and Case Histories of the Security Council's Veto, 1992.

⁸³ იხ. Simma/Brunner, *op. cit.*, 466.

⁸⁴ ასეთი დასკვნა უფრო ნათლად ჩანს ფრანგულ ტექსტში: "Les décisions du Conseil de Sécurité sur toutes autres questions sont prises par un vote affirmatif de neuf de ses membres dans lequel sont comprises les voix de tous les membres permanents."

⁸⁵ [CJ Rep. 1971, 16, 22. nb. cit. 19.

⁸⁶ nb. cit. 22.

⁸⁷ nb. T. Schweisfurth, Article 28, in Simma CUNAC, 469-80.

ნებისმიერ შემთხვევაში, ვეტოს ზოგიერთი უარესი თვისება შერბილებულ იქნა პრაქტიკაში. 27(3) მუხლის პირდაპირი (სიტყვასიტყვითი) განმარტებით მივიღებდით იმას, რომ ყველა მუდმივ წევრს უნდა მიეცა ხმა რეზოლუციის პროექტისთვის, რათა ის გასულიყო. თავის შეკავება ვეტოს ტოლფასი იქნებოდა.⁸⁴ მაგრამ გაეროში, არსებობის პირველი წლებიდანვე, არსებობდა თანამიმდევრული პრაქტიკა, რომ თავის შეკავება ვეტოდ არ განიხილებოდა. ასეთი პრაქტიკა კანონიერად იქნა აღიარებული საერთაშორისო სასამართლოს მიერ *ნამიბიის საქმეში* (Namibia case).⁸⁵

მუდმივი წევრის კენჭისყრაზე გამოუცხადებლობის შედეგი უფრო გაურკვეველია, რადგან ასეთი პრობლემა მხოლოდ ერთხელ წამოიჭრა. 1950 წელს საბჭოთა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა უშიშროების საბჭოს, კომუნისტური ჩინეთის წარმომადგენლისათვის ადგილის გამოყოფის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებაზე პროტესტის ნიშნად. 1950 წლის ივნისში, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ შეუტია სამხრეთ კორეას, საბჭოთა კავშირის არყოფნამ საშუალება მისცა უშიშროების საბჭოს, მიეღო რეზოლუცია, რომელიც გაეროს წევრ ქვეყნებს აძლევდა რეკომენდაციას, გაეგზავნათ ძალები სამხრეთ კორეის დასახმარებლად.⁸⁶ საბჭოთა კავშირმა სადავო გახადა რეზოლუციის კანონიერება იმის საფუძველზე, რომ იგი მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის არყოფნის დროს. მართლაც სადავოა, შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნეს კენჭისყრაზე მუდმივი წევრის მიერ თავშეკავებასთან დაკავშირებული პრაქტიკა, ანალოგიის პრინციპით, მუდმივი წევრის არგამოცხადების შემთხვევაში; მაგრამ საბჭოთა ბოიკოტი, ალბათ, თავისთავად იყო საბჭოთა კავშირის მიერ წესდების 28(1) მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა, რომლის თანახმადაც: „უშიშროების საბჭო იმგვარად ყალიბდება, რომ განუწყვეტელი ფუნქციონირება შეეძლოს. ამ მიზნით, უშიშროების საბჭოს ყველა წევრი ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში.“⁸⁷ ამ მიზეზით მუდმივი წევრის არგამოცხადებამ ხელი არ უნდა შეუშალოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი სახელმწიფოს უკანონო ქმედებას შეუძლია უშიშროების საბჭოს მთელი საქმიანობა ჩაშალოს. ნებისმიერ შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს მიერ 1950 წლის ივნისში გატარებულ მოქმედებებს ერთი სასარგებლო შედეგი მოჰყვა: მას შემდეგ არც ერთ მუდმივ წევრს არ უცდია უშიშროების საბჭოს ამგვარი ბოიკოტირება.

წესდების 27(3) მუხლი ადგენს, რომ დავაში მონაწილე მხარემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში VI თავის თანახმად მიღებულ გადაწყვეტილებებზე. VI თავი ეხება დავების მშვიდობიან მოწესრიგებას, და აგრეთვე, ისეთი სიტუაციების მშვიდობიან მოწესრიგებას, რომელთაც შეუძლიათ წარმოშვან დავა, ხოლო განსხვავებები დავებსა და სიტუაციებს შორის ერთნაირად გაურკვეველია. უფრო მეტიც, ხშირად ძნელია იმის თქმა, თუ ვინ არის კონკრეტული დავის მხარე. მსოფლიოში შედარებით ცოტა სახელმწიფოა, რომელთა უმრავლესობა ალიანსებით და/ან სხვა მჭიდრო კავშირებითაა ურთიერთდაკავშირებული. ასე რომ, დავა შეიძლება ერთდროულად ბევრ ქვეყანას შეეხო სხვადასხვა ხარისხით. გაეროს არსებობის პირველ წლებში მოჰყავდათ არგუმენტები დავასა და სიტუაციას შორის განსხვავებების, დავის მხარის განმარტებისა და VI თავის მოქმედების ზუსტი საზღვრების შესახებ. 1950 წლის შემდეგ ასეთი სამართლებრივი არგუმენტები იშვიათი გახდა და მრავალ შემთხვევაში კენჭისყრისაგან თავის შეკავების ვალდებულება უბრალოდ უგულვებელყოფილი იყო; სახელმწიფოები ხშირად იღებდნენ მონაწილეობას იმ დავების განხილვაში, რომლის მხარესაც წარმომადგენდნენ, მაგრამ სხვა სახელმწიფოები პროტესტს იშვიათად გამოთქვამდნენ. ერთ-ერთი უახლესი მაგალითია უშიშროების საბჭოს მიერ ლიბიის წინააღმდეგ სანქციების მიღება *ლოკერბის საქმეში* მისი სავარაუდო პასუხისმგებლობისათვის, რასაც შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა და

გაერთიანებულმა სამეფომ მისცეს ხმა.⁸⁸

უკანასკნელ პერიოდში უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, ისევე როგორც კენჭისყრის პროცედურა, სერიოზული კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა იმის გამო, რომ ისინი არ ასახავს საერთაშორისო სისტემაში 1945 წლიდან მომხდარ ცვლილებებს.⁸⁹ უშიშროების საბჭოში წევრობის გაფართოებისა და წარმომადგენლობის თანაფარდობის საკითხი არამოკავშირე და განვითარებადმა სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ 1979 წელს წამოჭრეს.⁹⁰ მაგრამ ამ ინიციატივას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია ცივი ომის დასასრულამდე, როდესაც გერმანიამ და იაპონიამ, ბევრი ქვეყნის მხარდაჭერით, გამოხატეს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის თავიანთი ინტერესი. 1993 წლის ბოლოს გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა, დაეფუძნებინა „ღია სამუშაო ჯგუფი უშიშროების საბჭოში თანაბარი წარმომადგენლობისა და წევრების რიცხვის გაზრდაზე“, ⁹¹ რათა დაეწყო მოლაპარაკებები, რომლებიც ამ ნაშრომის შექმნის დროს კვლავ გრძელდება.⁹² დღევანდელი მუდმივი წევრების ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც არ ამჟღავნებენ დიდ სურვილს, დათმონ თავიანთი პრივილეგიები (და შეუძლიათ ვეტო დაადონ წესდების ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას, რომელსაც თავისთვის არასასურველად ჩათვლიან), რეფორმების პროცესი რთული უნდა იყოს. ასევე არ არის მიღწეული შეთანხმება, თუ რომელმა ქვეყანამ რომელი რეგიონი უნდა წარმოადგინოს, მაგალითად, აფრიკაში ან ლათინურ ამერიკაში. დაბოლოს, არსებობს კიდევ პრობლემა, კერძოდ, საბჭოს ეფექტურობის ინტერესებიდან გამომდინარე, არსებობს პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც, ერთი მხრივ, ძალიან ზრდის მის ეფექტურობას და, მეორე მხრივ, ძალიან ამცირებს ბირთვული სახელმწიფოების პრივილეგიებულ პოზიციას.

ნაწილობრივ, საკითხი გამუქებულია იმით, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში უშიშროების საბჭოს გაუმჯობესებული როლი და მისი აქტიურობა ბიძგს აძლევს უფრო ფართო კონსტიტუციურ საკითხებს, დაკავშირებულს საბჭოს მიერ ძალაუფლების გამოყენებასა და ამ ძალაუფლების შეზღუდვასთან. ⁹³ ეს ეხება არა მარტო P5-ის (ხუთი მუდმივი წევრი) ან P3-ს (დასავლეთის სახელმწიფოები) მიერ გადაწყვეტილებების მიღების არასაკმარის გამჭვირვალობას, რომლებიც ხშირად ატარებენ შეხვედრებს საიდუმლოდ, და შედეგად, მხოლოდ კენჭისყრის შედეგები ხვდება ოფიციალურ ჩანაწერებში.⁹⁴ ეს ასევე ეხება პრეტენზიას, რომ დღეს უშიშროების საბჭო დასავლეთის სახელმწიფოების რეალური კონტროლის ქვეშ მოექცა, კერძოდ კი, იმ მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც აშშ-ს ლიდერობით ხორციელდება.⁹⁵

გენერალური ასამბლეა

გენერალური ასამბლეა⁹⁶ შედგება გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსაგან. იმ საკითხების ფართო სპექტრზე, რომელთა განხილვაც შედის მის კომპეტენციაში, გარკვეულ იდეას იძლევა წესდების შემდეგი დებულებები:

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია, განიხილოს ნებისმიერი საკითხი ან საქმე წინამდებარე წესდების ფარგლებში, ანდა ის საკითხები და საქმეები, რომლებიც ამავე წესდებით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანოს უფლებამოსილებასა და ფუნქციებში შედის და ... შესთავაზოს რეკომენდაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ან უშიშროების საბჭოს, ანდა ორგანიზაციის წევრებსაც და უშიშროების საბჭოსაც, ნებისმიერი ასეთი საკითხის ან საქმის გამო.⁹⁷

...

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია, განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ნებისმიერი საკითხი, რომელსაც მის წინაშე დააყენებს ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი, ან უშიშროების საბჭო, ანდა ის ქვეყანა, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი ... და ... ნებისმიერი ასეთი საკითხის მიმართ რეკომენდაციები შესთავაზოს დაინტერესებულ სახელმწიფოს ან

⁸⁸ამსაქმესთან დაკავშირებით იხ. თ. 18.

⁸⁹ იხ. მაგალითად Roberts/Kingsbury, *op. cit.*, 39 *et seq.*; M. Smith, *Expanding Permanent Membership in the UN Security Council: Opening a Pandora's Box or needed Change?*, Dick. JIL 12 (1993), 173.

⁹⁰ UN Doc. A/34/246 (1979), იხ. Geiger, *op. cit.*, 396-7.

⁹¹ UN Doc. A/48/26 (1993).

⁹² იხ. E. Kourula/T. Kanninen, *Reforming the Security Council: The Interational Negotiation Process Within the Context of Calls to Amend UN Charter to the New Realities of the Post-Cold War Era*, LJIL 8 (1995), 337. სახელმწიფოების მიერ არჩეული პოზიციების დეტალებზე იხ. D. Bills, *International Human Rights and Humanitarian Intervention: The Ramifications of reform of the United Nation's Security Council*, Texas ILJ 31 (1996), 107-30.

⁹³ იხ. თ. 18 და 22.

⁹⁴ იხ. W.M. Reisman, *The Constitutional Crisis in the United Nations*, AJIL 87 (1993), 83-100, 85-6.

⁹⁵ ამ შეხვედრებსა და დაკავშირებით იხ. Bills, *op. cit.*, 117-18 და თ. 22.

⁹⁶ S.F. Vallat, *United Nations General Assembly*, EPIL 5 (1983), 323-9; C. Tornuschi, *General Assembly*, in Wolfrium UNLPP I, 547-8; S. Magiera, *Article 9*, in Simma CUNAC, 217-26.

⁹⁷ გაეროს წესდების მუხლი 10, იხ. K. Hailbronne/E. Klein, *Article 10, ibid.*, 226-42.

⁹⁸ მუხლი 11(2), იხ. K. Hailbronner/E. Klein, Article 11, *ibid.*, 242-53.

⁹⁹ მუხლი 13 (1), იხ. C.-A. Fleischhauer, Article 13, *ibid.*, 265-78. იხ. აგრეთვე თ. 3, დათ. 14.

¹⁰⁰ მუხლი 14. იხ. O. Kimminich, Article 14, *ibid.*, 279-87; J. Delbrück, *Peaceful Change*, in *Wolfsum UNLPP II*, 970-81.

¹⁰¹ იხ. R. Hülget, Article 15, in *Simma CUNAC 20/93*.

¹⁰² იხ. R. Schmidt/W. Koschorrek, Article 17, in *Simma CUNAC 293-317*; R. Wolfsum, *Budget in Wolfsum UNIPPL I*, 78-86.

¹⁰³ მუხლი 18, იხ. H. Tundashat, Article 18, in *Simma CUNAC 327-30*.

¹⁰⁴ იხ. The Independent Advisory Group on UN Financing: *Financing an Effective United Nations*, 1993; W. Koschorrek, *Financial Crisis*, in *Wolfsum UNLPP I*, 523-31.

¹⁰⁵ იხ. თ. 22.

¹⁰⁶ დეტალებისათვის იხ. A. Plaga, *VN 43 (1995)*, 30.

¹⁰⁷ *VN 43 (1995)*, 20-1.

¹⁰⁸ იხ. *UN Chronical*, 1996, no. 2, 67.

სახელმწიფოებს, ანდა უშიშროების საბჭოსაც და დაინტერესებულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებსაც.⁹⁸

გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაინყოს შესწავლა და გააკეთოს რეკომენდაციები იმ მიზნით, რომ:

- ა) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას პოლიტიკურ სფეროში და ნაახალისოს საერთაშორისო სამართლის განვითარება და მისი კოდიფიკაცია.
- ბ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ეკონომიკის, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის სფეროში და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელებას ყველასათვის...⁹⁹

...გენერალური ასამბლეა უფლებამოსილი ხდება, რეკომენდაცია მისცეს იმ სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარების ღონისძიებებს, ... რომელთაც, ასამბლეის აზრით, შეეძლოთ დაერღვიათ საერთო კეთილდღეობა ან ერებს შორის მეგობრული ურთიერთობანი.¹⁰⁰

ამ ძირითადი უფლებების გარდა, გენერალურ ასამბლეას აქვს სხვა სპეციფიკური უფლებამოსილებები. მაგალითად, ის ისმენს და განიხილავს გაეროს ყველა სხვა ძირითადი ორგანოს მოხსენებებს.¹⁰¹ ის ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტს და ადგენს თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის ბიუჯეტში სავალდებულო შესატანი თანხის ოდენობას.¹⁰² წევრ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს დავალიანება, ჩამოერთმევა ხმის უფლება, თუ მისი დავალიანება უტოლდება ან აღემატება უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ორგანიზაციაში შესატან სრულ თანხას. თუმცა გენერალურ ასამბლეას შეუძლია, არ გამოიყენოს ეს წესი, თუ ის ჩათვლის, რომ შესატანის გადაუხდელობა გამოწვეულია მიზეზებით, რომლებიც არ ექვემდებარება წევრი სახელმწიფოს კონტროლს.¹⁰³

გაეროს ბიუჯეტი ნამდვილად ქრონიკული პრობლემაა,¹⁰⁴ რომელიც გაიზარდა ცივი ომის შემდგომი საქმიანობის ფართო სპექტრთან ერთად, განსაკუთრებით, მთელი დედამიწის მასშტაბით გაზრდილი სამშვიდობო ოპერაციების გამო,¹⁰⁵ რომლებიც არ ფინანსდება მიმდინარე ბიუჯეტიდან.¹⁰⁶ გაეროს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპია „გადახდის შესაძლებლობა“ (დაკავშირებულია წევრი სახელმწიფოს ეროვნულ შემოსავალთან), რომელიც ძირითად ტვირთად აწვება უძლიერეს ეკონომიკურ სისტემებს, ისეთებს, როგორცაა შეერთებული შტატები. აშშ თავიდან ვალდებული იყო, გადაეხადა გაეროს ბიუჯეტის თითქმის 40%, მაშინ, როდესაც არგენტინასა და ბრაზილიას 2 პროცენტზე ნაკლები უნდა გადაეხადათ, ხოლო ინდოეთს – 4 პროცენტზე ცოტა მეტი. 1972 წელს შეერთებული შტატების გადასახადი თანდათანობით 25 პროცენტამდე შემცირდა, თუმცა ქვეყნის რეალური გადახდის შესაძლებლობა ამ დონეს აღემატება. 1994 წელს გაერომ 1995-2000 წლებისათვის დაამტკიცა ახალი და უფრო მოსახერხებელი, თუმცა უფრო გართულებული სისტემა. შეერთებულ შტატებს კვლავ უდიდესი ნაწილი – 25 პროცენტი უნდა გადაეხადა, მაშინ, როდესაც ოთხმოცდაათობეტი წევრი-სახელმწიფო (ნახევარზე მეტი) იხდიდა მინიმუმს – 0.01 პროცენტს, რაც მთლიანობაში ბიუჯეტის ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენდა. 185 წევრიდან თოთხმეტი 1 პროცენტზე მეტს იხდიდა და ბიუჯეტის 86 პროცენტზე მეტს ავსებდა (აშშ, იაპონია და გერმანია ერთად იხდიან 50 პროცენტზე მეტს).¹⁰⁷ 1996 წლის 30 აპრილისთვის გაეროსადმი ვალი შეადგენდა მთლიანად 2.8 მილიარდ აშშ დოლარს – 1.7 მილიარდი აშშ დოლარი სამშვიდობო ოპერაციებისათვის და 1.1 მილიარდი აშშ დოლარი მიმდინარე ბიუჯეტისათვის. თანხის ნახევარზე მეტი აშშ-ს ემართა (1.5 მილიარდი აშშ დოლარი), 400 მილიონ აშშ დოლარზე მეტი – რუსეთს და 245 მილიონ აშშ დოლარზე მეტი – უკრაინას.¹⁰⁸

გენერალურ ასამბლეაში კენჭისყრის პროცედურა მოწესრიგებულია მე-18 მუხლით:

1. გენერალური ასამბლეის ყველა წევრს აქვს თითო ხმა.
2. გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მიიღება ასამბლეაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. ამ საკითხებში შედის: რეკომენდაციები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის; უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევა; ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრების არჩევა; სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევა მ-ე მუხლის 1 „გ“ პუნქტის შესაბამისად; ახალი წევრების მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; ორგანიზაციიდან მისი წევრების გარიცხვა; მეურვეობის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები და საბიუჯეტო საკითხები.
3. გადაწყვეტილებანი სხვა საკითხების შესახებ, მათ შორის იმ საკითხების დამატებითი კატეგორიების განსაზღვრა, რომლებიც ორი მესამედის უმრავლესობით გადაწყვეტას ექვემდებარება, მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უბრალო უმრავლესობით.¹⁰⁹

¹⁰⁹ იხ. R. Wolfrum, Article 18, in Simma CUNAC, 317-27.

¹¹⁰ იხ. თ. 22.

¹¹¹ იხ. თ. 14.

¹¹² იხ. Hailbrober/Klein, Articles 10 and 11, *op. cit.*, 231-42, 243-53.

¹¹³ იხ. თ. 3.

¹¹⁴ იხ. K. Hailbronner/E. Klein, Article 12, in Simma CUNAC, 253-64.

გაეროს შიდა საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გენერალურ ასამბლევას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ წევრი სახელმწიფოებისათვის. საბიუჯეტო რეზოლუციები ამის აშკარა მაგალითია. მაგრამ სხვა საკითხებთან დაკავშირებით (მაგალითად, წევრ სახელმწიფოებს შორის დავები,¹¹⁰ ან ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები)¹¹¹ გენერალურ ასამბლევას არა აქვს სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ისევე, როგორც არა აქვს იძულებითი ღონისძიებების გამოყენების უფლება; მას მხოლოდ რეკომენდაციების გაკეთება შეუძლია.¹¹² ამ მხრივ მისი ძალაუფლება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე უშიშროების საბჭოსი, რაც ხსნის ვეტოს უფლების არსებობას უშიშროების საბჭოში და არა გენერალურ ასამბლეაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს სავალდებულო ძალა არ აქვთ, მათ შეიძლება მნიშვნელოვანი სამართლებრივი ეფექტი ჰქონდეთ.¹¹³ ისინი შეიძლება ჩვეულებითი სამართლის ან გაეროს წესდების სწორი განმარტების საფუძველი გახდეს. რეზოლუცია, რომელიც ადანაშაულებს (ამხელს) სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის დარღვევაში, წარმოადგენს კარგ საშუალებას ამ სახელმწიფოს იძულებისათვის, გადახედოს თავის პოზიციას. რეზოლუცია, რომელიც ადანაშაულებს A სახელმწიფოს B სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიაში, გულისხმობს, რომ სხვა სახელმწიფოებისათვის კანონიერია B სახელმწიფოს დაცვა, და შესაბამისად, შეიძლება წაახალისოს კიდევ ისინი ამისათვის.

წესდების ავტორებმა გარკვეული ზომები მიიღეს უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლევას შორის წამოჭრილი კონფლიქტების აღსაკვეთად. მუხლი მე-12 (1) ადგენს:

როდესაც უშიშროების საბჭო ასრულებს მისთვის წინამდებარე წესდებით დაკისრებულ ფუნქციებს რაიმე დავასა ან სიტუაციაში, გენერალურ ასამბლევას არ შეუძლია ამ დავის ან სიტუაციის შესახებ რაიმე რეკომენდაციის მიცემა, თუკი უშიშროების საბჭო არ მოსთხოვს ამას.¹¹⁴

ფაქტობრივად, მუხლი 12(1) არ ადგენს სერიოზულ შეზღუდვებს გენერალური ასამბლეისათვის. ძალიან ხშირად უშიშროების საბჭო უძღური იყო, მიეღო გადაწყვეტილება რაიმე საკითხზე ვეტოს გამო. ასეთ შემთხვევებში უშიშროების საბჭომ დაწერა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების პრაქტიკა (ასეთი გადაწყვეტილება პროცედურულია და, შესაბამისად, ვეტო არ მოქმედებს), რათა გენერალურ ასამბლევას თავისი შეხედულებისამებრ მიეღო

¹¹⁵ იბ. თ. 2 და 22.

¹¹⁶ იბ. თ. 2 და 16.

¹¹⁷ იბ. თ. 22.

¹¹⁸ იბ. P. Wiloenski, The Structure of the UN in the Post-Cold War Period, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 437, at 445-8; M. Bertrand, The Historical Development of Efforts to Reform the UN, *ibid.*, 420-36; K. Dicke, Reform of the United Nations, in Wolfrum UNLPP II, 1012-24. იბ. აგრეთვე თ. 22.

¹¹⁹ იბ. B. Lindemann/D. Hesse-Kreindler, Secretariat, in Wolfrum UNLPP II, 1129-35; T. Meron, International Secretariat, EPIL II (1995), 1376-9; J. Lemoine, The International Civil Servant - An Endangered Species, 1995.

¹²⁰ S.M. Schwebel, United Nations Secretary-General, EPIL 5 (1983), 341-5; J.E. Parber, Electing the UN Secretary-General after the Cold War, *Hastings LJ* 44 (1992), 161-84; H.v. Morf, Secretary-General, in Wolfrum UNLPP II, 1136-46.

¹²¹ იბ. ზემოთ.

¹²² მუხლი 97. იბ. W. Fiedler, Article 97, in Simma CUNAC, 1019-32.

¹²³ მუხლი 98. იბ. Fiedler, Article 98, *ibid.*, 1033-44.

საკითხზე გადანყვეტილება.

გაეროს არსებობის დასაწყისში დასავლეთის სახელმწიფოებს სურდათ, გაეზარდათ გენერალური ასამბლეისთვის უფლებამოსილება, სადაც მათ უმრავლესობა ჰყავდათ; მიუხედავად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობისა, უშიშროების საბჭოდან უფლებამოსილების ნაწილი გადაეცა გენერალურ ასამბლეას. აფრიკისა და აზიის ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა გენერალურ ასამბლეაში ქვეყნების ყველაზე დიდი ჯგუფი შექმნეს და მოქმედებდნენ, როგორც გენერალური ასამბლეის როლის გაზრდის მთავარი მხარდამჭერები. ამის გამო დასავლეთის სახელმწიფოების ენთუზიაზმი გენერალური ასამბლეის მიმართ შემცირდა. კომუნისტურმა ქვეყნებმა გააანალიზეს გენერალური ასამბლეის, როგორც პროპაგანდისა და დისკუსიების ფორუმის, მნიშვნელობა, მაგრამ არც საბჭოთა კავშირი და არც ჩინეთი არ იყვნენ მზად, რეალური ძალაუფლება გადაეცათ ორგანოსთვის, სადაც მათ ვეტოს უფლება არ ჰქონდათ. 50-იან წლებში, როდესაც დასავლეთის სახელმწიფოები გენერალურ ასამბლეაში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მათ სურდათ ასამბლეის გარდაქმნა ისეთ ორგანოდ, რომელიც მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად სამხედრო მოქმედებების განხორციელებას შეძლებდა.¹¹⁵ აფრიკისა და აზიის ქვეყნებს, რომლებიც დომინირებენ დღეს გენერალურ ასამბლეაში, არასოდეს უცდიათ გამოეყენებინათ იგი ამ მიზნისათვის. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა ბალანსი ზესახელმწიფოებს შორის, ისინი მხარს უჭერდნენ აზრს, რომ უშიშროების საბჭო ყველაზე შესაფერისი ორგანოა სამხედრო აქციების განსახორციელებლად. წარსულში ისინი არჩევდნენ, გამოეყენებინათ თავიანთი მდგომარეობა გენერალურ ასამბლეაზე, რათა მოეპოვებინათ მხარდაჭერა ეკონომიკურ საკითხებზე, კოლონიალიზმსა და აპართეიდზე თავიანთი შეხედულებებისათვის.¹¹⁶ ცივი ომის შემდგომ პერიოდში უშიშროების საბჭოს მიერ წესდების VII თავით დაშვებული სამხედრო ინტერვენციების ხშირი პრაქტიკა¹¹⁷ უფრო კრიტიკულად არის განხილული ბევრი პატარა სახელმწიფოს მიერ და უშიშროების საბჭოს რეფორმირების მოთხოვნის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს წარმოადგენს. მეორე მხრივ, გენერალური ასამბლეაც, თავისი გადატვირთული დღის წესრიგით, საჭიროებს რეფორმირებას, რათა გაუმჯობესდეს მისი საქმიანობა და ეფექტიანობა. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირედი პროგრესი იქნა მიღწეული უახლესი (საკმაოდ მოკრძალებული) წინადადებების საფუძველზე.¹¹⁸

სამდივნო

გაეროს სამდივნოში დაახლოებით 14 000 თანამშრომელი მუშაობს, რომლებიც განთავსებულნი არიან ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში და გაეროს სხვა წარმომადგენლობებში (მაგალითად, ჟენევაში). ამას გარდა, დაახლოებით 17 000 ადამიანი საქმიანობს გაეროს სხვადასხვა დამხმარე ორგანოების სამდივნოებში (1995 წლის მონაცემებით – რედ. შენ.).¹¹⁹ სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელიც აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.¹²⁰ ამდენად, გენერალური მდივნის კანდიდატმა ამ პოსტზე ასარჩევად უნდა მოიპოვოს ორივე – უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის მხარდაჭერა. არჩევნები განიხილება, როგორც არაპროცედურული საკითხი,¹²¹ და, შესაბამისად, უშიშროების საბჭოში გამოიყენება ვეტოს უფლება.

გენერალური მდივანი უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირია¹²² და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომელსაც მას ავალებს გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო და სამეურვეო საბჭო.¹²³ უფრო მეტიც, 99-ე მუხლის თანახმად, მას „უფლება აქვს, შეატყობინოს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი ისეთი საკითხის შესახებ,

რომელიც, მისი აზრით, შეიძლება ემუქრებოდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას“. 99-ე მუხლი მნიშვნელოვანია არა მარტო მასში მიღებული ცნებების გამო, არამედ იმიტომაც, რომ ის ნათელს ხდის გენერალური მდივნის ფუნქციების ზოგად ბუნებას. ის პოლიტიკური ორგანოს უზრალო მოსამსახურე კი არ არის, არამედ მისგან ელიან საკუთარ პოლიტიკურ ინიციატივებს. ყოველ შემთხვევაში, 99-ე მუხლის ასეთ განმარტებას იძლევიან დასავლეთის ქვეყნები. საბჭოთა კავშირი კი, თავის მხრივ, ყოველთვის ცდილობდა, შეემცირებინა სამდივნოს ძალაუფლება.¹²⁴ თუმცა არც ერთ დიდ სახელმწიფოს არასდროს გამოუხატავს ზედმეტად დამოუკიდებელი გენერალური მდივნის არსებობის ინტერესი .

მოკლედ რომ ვთქვათ, გაეროს გენერალური მდივნის როლი არა მარტო ადმინისტრაციულია, არამედ პოლიტიკურიც,¹²⁵ მათ შორის, საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებაში „კეთილი სამსახურის“ შეთავაზება.¹²⁶ გენერალური მდივნის გავლენა დიდად არის ასევე დამოკიდებული იმ პირზე, ვისაც ეს თანამდებობა უკავია; თუ რამდენად შეუძლია ამ პირს იტვირთოს ინტელექტუალური ლიდერობა; თავისი სურვილით მიიღოს მტკიცე გადაწყვეტილებები დიდი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მოუქცევლად და, ამავდროს, არ დაკარგოს პოლიტიკური რეალობის შეგრძნება. როგორც გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, 1986 წელს აღნიშნა ოქსფორდში ლექციაზე:

ნებისმიერი პირი, ვისაც წილად ხვდება პატივი – არჩეულ იქნეს გენერალურ მდივნად, თავისი როლის შესრულებისას ორ შეზღუდვას უნდა ერიდოს. ერთი მხრივ, ეს არის სცილა – იმის მცდელობა, რომ გააფართოოს ეს როლი წესდების ტექსტის თავისუფალი გაგებით: დაემორჩილოს სასურველ, მაგრამ ამას ფიქრს. მეორე მხრივ კი, ქარიზმა – ამ როლის შეზღუდვა მხოლოდ იმ ვალდებულებებით, რომლებიც პირდაპირ არის დადასტურებული წესდებით და რომელთაც ვერ გაექცევა. ეს ნიშნავს, დაემორჩილოს მორიდებას, თვითგამორიცხვას და წინააღმდეგობის თავიდან აცილების სურვილს. ასე რომ, ცდუნება ორივე მხარეს არსებობს. ორივე დამოკიდებულება ერთნაირად საშიშია ამ ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობისათვის.¹²⁷

ნორვეგიელი (ტრიგვ ლი, 1946-53), შვედი (დაგ ჰამარსკოლდი, 1953-61), ბირმელი (იუ ტანტი, 1961/2-71), ავსტრიელი (კურტ ვალდჰაიმი, 1972-81) და პერუელი (ხავიერ პერეს დე კუელიარი, 1982-91) გენერალური მდივნების დანიშვნის შემდეგ გაერომ 1992 წელს აირჩია ეგვიპტელი ბუტროს ბუტროს გალი, რათა მიეცა აფრიკის რეგიონისათვის საშუალება, წარმოდგენილი ყოფილიყო ამ პოსტზე. 1992 წლის ივნისში ბუტროს ბუტროს გალიმ გამოაქვეყნა მოხსენება სათაურით „დღის წესრიგი მშვიდობისათვის“, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია. მოხსენება შეიცავდა წინადადებებს წევრი სახელმწიფოებისადმი, გაეროს შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის ახალი რეალობების გათვალისწინებით. ის მოიცავდა ისეთ კონცეფციებს, როგორიცაა „მშვიდობის დამყარება“, „მშვიდობის დაცვა“, „ალმკვეთი დიპლომატია“ და „პოსტ-კონფლიქტური მშვიდობის დამყარება“.¹²⁸ შეერთებულმა შტატებმა 1996 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ნათელი გახადა, რომ იგი ვეტოს დაადებდა ბუტროს ბუტროს გალის ხელმეორედ წარდგენას (რომელიც *inter alia* დადანაშაულებული იყო (უსაფუძვლოდ) ამერიკელი ჯარისკაცების დაღუპვაში სომალიში გაეროს მიერ განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენციის დროს)¹²⁹ მომდევნო ხუთწლიანი პერიოდისათვის.

მუხლი 100 ადგენს:

1. თავისი მოვალეობების შესრულებისას გენერალური მდივანი და სამდივნოს პერსონალი არ უნდა ითხოვდნენ ან იღებდნენ მითითებებს სხვა რომელიმე ისეთი მთავრობის ან ხელისუფლებისაგან, რომელიც უცხოა ორგანიზაციისათვის. ისინი

¹²⁴ nb. Fiedler, *ibid.*, 1044-57.

¹²⁵ nb. J.P. de Cuéllar, *The Role of the UN Secretary-General*, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 125-42; R. Lavalle, *The Inherent Powers of the UN Secretary-General in the Political Sphere: A Legal Analysis*, NILR 37 (1990), 22-36; P. Szasz, *The Role of the Secretary-General. Some Legal Aspects*, NYUJILP 24 (1991), 161-98.

¹²⁶ nb. T.M.Frank/G.Noite, *The Good Offices Functions of the UN Secretary-General*, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 143-82; M.C. Bourloyannis, *Fact-Finding by the Secretary-General of the United Nations*, NYUJILP 22 (1990), 641-69; K. Skjelsbaek, *The UN Secretary-General and the Mediation of International Disputes*, JPR 28 (1991), 41-145; T. M. Franck, *The Secretary-General's Role in Conflict Resolution: Past Present and Pure Conjecture*, EJIL 6 (1995), 360-87.

¹²⁷ de Cuéllar. *op. cit.*, 126.

¹²⁸ *Agenda for Peace*, reprinted in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 468 ბუტროს ბუტროსისგან მოხსენებასა და მოხსენებას. იხ. თ. 22.

¹²⁹ იხ. თ. 22 ბუტროს გალიმ უცხოელთაგან მოხსენებას.

¹³⁰ *ib. C. Screuer, Article 100, in Simma CUNAC, 1051-76.*

¹³¹ *ib. W. Göttelmann, Article 101, ibid., 1077-1100.*

¹³² *ib. თ. 6 და 18.*

¹³³ *ib. Willenski, op. cit., 449 et seq.*

თავს უნდა იკავებდნენ ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომელიც შეიძლებოდა ასახულიყო მათი – მხოლოდ ორგანიზაციის წინაშე პასუხისმგებელი – საერთაშორისო თანამდებობრივი პირების მდგომარეობაზე.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი კისრულობს, პატივი სცეს გენერალური მდივნისა და სამდივნოს პერსონალის მოვალეობათა მკვეთრად გამოხატულ საერთაშორისო ხასიათს და არ სცადოს მათზე ზეგავლენის მოხდენა თავიანთი მოვალეობების აღსრულებისას.¹³⁰

მე-100 მუხლი ყოველთვის არ სრულდებოდა. ზოგიერთი ქვეყანა სამდივნოში მომსახურე თავის მოქალაქეებს ისე ეპყრობოდა, როგორც თავის ეროვნულ აგენტს ან წარმომადგენელს. მაგრამ მე-100 მუხლის მიერ დადგენილი პრინციპები მაინც აუცილებელია, როცა სამდივნო სწორად ასრულებს თავის მოვალეობას. სამდივნოს პერსონალს ნიშნავს გენერალური მდივანი.¹³¹ სამდივნოებში თანამდებობებზე დაქირავება, გარდა ტექნიკური თანამდებობებისა, ხორციელდება ეროვნული კვოტების შესახებ რთული წესების თანხმად, რომელიც უპირატესობას პატარა სახელმწიფოების მოქალაქეებს ანიჭებს. ნათელია, რომ კოსმოპოლიტიზმის გარკვეული ხარისხი აუცილებელია, თუ გვინდა, რომ სამდივნო რეალურად საერთაშორისო და ნეიტრალური იყოს. მაგრამ ეროვნული კვოტების შესახებ წესების შედეგად ზოგჯერ არაკვალიფიცირებული კანდიდატების დანიშვნა ხდება.

სამსახურის პირობები ძირითადად განსაზღვრულია გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ პერსონალის მართვის წესებსა და გენერალური მდივნის მიერ დამტკიცებულ პერსონალის შინაგანანწესში. ეს უფლებამოსილება მას პერსონალის მართვის წესებით აქვს მინიჭებული. პერსონალის განცხადებები მათი სამსახურის პირობების დარღვევის შესახებ ისმინება ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ, რომელსაც გენერალური ასამბლეა ქმნის. ადმინისტრაციული სასამართლო იყენებს ადმინისტრაციული სამართლის რიგ ძირითად პრინციპებს, რათა შეავსოს პერსონალის მართვისა და პერსონალის წესების ნაკლოვანებები.¹³² სასამართლოს არსებობა ნამდვილად შედის ორგანიზაციის ინტერესებში, რადგან თანამდებობის პირებს გაუჭირდებათ, ერთგულად ემსახურონ ორგანიზაციას, ან გაუძლონ წევრი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციის მიღმა სხვა ხელისუფალთა ზეწოლას, თუ მათთვის არ იქნება გარანტირებული სამუშაო პირობების დაცვა და სამართლიანი მოპყრობა.

1980-იანი წლებიდან სამდივნო დიდი ზეწოლის ქვეშ (განსაკუთრებით აღსანიშნავია შეერთებული შტატების ფინანსური ზეწოლა, რომელიც გამომდინარეობდა გაეროს მიმართ კონგრესის უარყოფითი პოზიციიდან) იმყოფებოდა, რათა მიეღოთ რაიმე ზომა დეზორგანიზაციისა და არაეფექტურობის წინააღმდეგ.¹³³ ამან გამოიწვია პერსონალის რიცხვის 14-პროცენტოანი შეკვეცა. თუმცა სამდივნოს რთული სტრუქტურის რაციონალიზაციისა და მაღალი თანამდებობის პირების დაქირავების უფრო შესაფერისი და გამჭვირვალე მეთოდის მიღებისათვის რეფორმები მომავალშიც არის აუცილებელი. როდესაც 1992 წელს ბუტროს ბუტროს გალიმ ჩაიბარა თანამდებობა, მან გარკვეული საქმიანობა დაიწყო ამ მიმართულებით, მაგრამ სამდივნოს რეფორმირება კვლავ მტკივნეულ საკითხად რჩება.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო და სპეციალიზებული დანესჯულეკები

გაეროს წესდების 55-ე მუხლი ადგენს:

1. იმ მიზნით, რომ ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემაზე დამყარებული მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობებისათვის აუცილებელი სტაბილურობისა და კეთილდღეობის პი-

რობები შეიქმნას, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს:

- ა. ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის სრულ დასაქმებას, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და განვითარების პირობებს.
- ბ. საერთაშორისო პრობლემების გადანყვეტას ეკონომიკურ, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში და სხვა მსგავსი პრობლემების გადანყვეტას; საერთაშორისო თანამშრომლობას კულტურისა და განათლების სფეროში.¹³⁴
- გ. ადამიანის საყოველთაო პატივისცემასა და მის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას ყველასათვის – რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად.¹³⁵

56-ე მუხლი ადგენს, რომ „ორგანიზაციის ყველა წევრი იღებს ვალდებულებას, ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ერთობლივად და დამოუკიდებლად იმოქმედოს 55-ე მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად“. ზემოთ უკვე განვიხილეთ, 55-ე და 56-ე მუხლები რა ზომით ადგენს სამართლებრივ ვალდებულებებს წევრი სახელმწიფოებისათვის.¹³⁶ ამდენად, „იმ ფუნქციების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა,¹³⁷ რომლებიც აღნიშნულია“ 55-ე და 56-ე მუხლებში, „ეკისრება გენერალურ ასამბლეას და, გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელობით, ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს“.¹³⁸

ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC) გაეროს ორმოცდათხუთმეტი წევრისაგან შედგება. ყოველწლიურად გენერალური ასამბლეის მიერ აირჩევა თვრამეტი წევრი სამწლიანი ვადით.¹³⁹ საბჭო გადანყვეტილებებს იღებს იმ წევრების ხმათა უმრავლესობით, რომლებიც ესწრებიან და მონაწილეობენ კენჭისყრაში.¹⁴⁰ საბჭოს შეუძლია აწარმოოს გამოკვლევები და მოამზადოს მოხსენებები, შეიმუშაოს რეკომენდაციები, მოამზადოს კონვენციების პროექტები და მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენციები;¹⁴¹ გენერალური ასამბლეის მსგავსად, საბჭოს საქმიანობის სფერო ფართოა, მისი უფლებამოსილება კი შეზღუდული, იმ გაგებით, რომ მას არ შეუძლია მიიღოს გადანყვეტილებები, რომელთა შესრულება სავალდებულო იქნებოდა წევრი სახელმწიფოებისათვის. ის ასევე ეხმარება გენერალურ ასამბლეას მისი თხოვნით,¹⁴² და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც დაკისრებული აქვს გენერალური ასამბლეის მიერ. გენერალური ასამბლეის მხარდაჭერით, საბჭოს ასევე შეუძლია შეასრულოს სხვა სამუშაოები გაეროს წევრების ან სპეციალიზებული დანესებულებების თხოვნით.¹⁴³

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების ჩატარების მიზნით.¹⁴⁴ ასეთი ღონისძიებები ასობით არასამთავრობო ორგანიზაციასთან გატარებულა, რაც მათ საშუალებას აძლევს, გააგზავნონ დამკვირვებლები საბჭოს შეხვედრებზე და (ზოგიერთ შემთხვევაში) გააკეთონ წერილობითი ან ზეპირი განცხადებები საბჭოსათვის.¹⁴⁵ აქამდე ასეთ ღონისძიებებს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია, მაგრამ ისინი ნამდვილად წარმოადგენენ გაეროსა და საზოგადოებრივ აზრს შორის კავშირის კარგ საშუალებას.

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა „სპეციალური დანესებულების“ საქმიანობის კოორდინირება. ისინი დახასიათებულია როგორც ორგანიზაციები, რომლებიც „შექმნილია მთავრობათა-შორისი შეთანხმებებით და აქვთ საერთაშორისო პასუხისმგებლობა ... ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანდაცვისა და მსგავს სფეროებში“.¹⁴⁶ ასეთი ორგანიზაცია სპეციალიზებული დანესებულება ხდება, როდესაც ის „უკავშირდება გაეროს“¹⁴⁷ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან ხელშეკრულების დადების გზით. ასეთი ხელშეკრულება გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაამტკიცოს.¹⁴⁸ შეთანხმებების პირობები დანესებულებების მიხედვით იცვლება, მაგრამ უმეტესობას რამდენიმე საერთო ნიშანი ახასიათებს. მაგალითად, თითოეულს (გაერო და შესაბამისი სპეციალიზებული დანესებულება), როგორც წესი, ენიჭება უფლება, გააგზავნონ წარმომადგენლები

¹³⁴ იხ. R. Wolfrum, Article 55 (a) and (b), in Simma CUNAC, 759-76 და იხ. თ. 15.

¹³⁵ იხ. K.-J. Partsch, *ibid.*, 776-93 და თ. 14

¹³⁶ იხ. თ. 14

¹³⁷ იხ. R. Wolfrum, Article 56, in Simma CUNAC, 793-5.

¹³⁸ იხ. W. Meng, Article 60, *ibid.*, 821-5.

¹³⁹ იხ. R. Lagoni, Article 61, *ibid.*, 827-34; J. Frederic/L. Kirgis, United Nations Economic and Social Council, EPIL 5 (1983), 310-14; R. Lagoni, ECOSOC, in Wolfrum UNLPP I, 461-9.

¹⁴⁰ იხ. Lagoni, Article 62, *ibid.*, 871-5.

¹⁴¹ იხ. Lagoni, Article 62, *ibid.*, 835-50.

¹⁴² იხ. P. Kunig, Article 65, *ibid.*, 865-7.

¹⁴³ იხ. Kunig, Article 66, *ibid.*, 867-71.

¹⁴⁴ იხ. R. Lagoni, Article 71, *ibid.*, 902-15.

¹⁴⁵ იხ. თ. 6.

¹⁴⁶ იხ. D.W. Bowett, The Law of International Institutions, 1982, 108 et seq.; E. Klein, United Nations, Specialized Agencies, EPIL 5 (1983), 349-69; D. Williams, The Specialized Agencies and The United Nations, 1987; I. Seidl-Hohenveldern, Specialized Agencies, in Wolfrum UNLPP II, 1202-8; W. Meng, Article 57, in Simma CUNAC, 796-816.

¹⁴⁷ მუხლი 57.

¹⁴⁸ იხ. W. Meng, Article 63, in Simma CUNAC, 851-9.

¹⁴⁹ იხ. თ. 18 და 20.
¹⁵⁰ მუხლი 17 (3).
¹⁵¹ იხ. თ. 6.
¹⁵² იხ. თ. 15.
¹⁵³ იხ. თ. 6 და 15.

(კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე) სხვა ორგანიზაციების ზოგიერთი ორგანოების შეხვედრებზე. სპეციალიზებული დაწესებულებების უმეტესობა თანახმაა, აღიაროს გენერალური ასამბლეის რეკომენდაციები და წარადგინოს რეგულარული მოხსენებები ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში; მრავალ ასეთ დაწესებულებას მინიჭებული აქვს უფლება, მიმართოს რჩევისათვის საერთაშორისო სასამართლოს იმ საკითხებზე, რომლებიც მათი კომპეტენციის ფარგლებში ხვდება.¹⁴⁹ დამფუძნებელ ხელშეკრულებებში ხშირად არის შეტანილი დებულება ინფორმაციისა და დოკუმენტების ურთიერთგაცვლისა და პერსონალის მართვის ანალოგიური წესების მიღების შესახებ.

წესდების 63(2) მუხლით ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, „შეათანხმოს სპეციალიზებული დაწესებულებების საქმიანობა მათთან კონსულტაციებისა და ასეთი დაწესებულებებისათვის რეკომენდაციების შემუშავებით, აგრეთვე გენერალური ასამბლეისა და ორგანიზაციის წევრებისათვის რეკომენდაციების შემუშავების გზით“. გენერალური ასამბლეა „ამონიშნავს ასეთი სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაციულ ბიუჯეტს იმ მიზნით, რომ რეკომენდაციები შესთავაზოს დაინტერესებულ დაწესებულებას“.¹⁵⁰ ასევე მოქმედებს კოორდინაციის ადმინისტრაციული კომიტეტი (დღეისათვის კომიტეტს ეწოდება „გაეროს სისტემის აღმასრულებელ ხელმძღვანელთა საკოორდინაციო საბჭო“ (CEB) – რედ. შენ.), რომელიც შედგება გენერალური მდივნისა და სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაციული ხელმძღვანელებისაგან. მაგრამ აქამდე საკოორდინაციო ძალისხმევა მცირედი წარმატებით ხორციელდებოდა.

გაეროს სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულებების შესახებ მე-6 თავში ვისაუბრეთ.¹⁵¹ დღეისათვის არსებობს გაეროსთან დაკავშირებული თექვსმეტი სპეციალიზებული დაწესებულება (CEB-ი დღეისათვის მხოლოდ თოთხმეტი სპეციალიზებულ დაწესებულებას მოიცავს – რედ. შენ.). მათ რიცხვში შედის მსოფლიო ბანკის ფინანსური დაწესებულებები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი)¹⁵² და „დიდი ოთხეული“ (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია).¹⁵³ სპეციალიზებულ დაწესებულებათა უმეტესობას არა აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც წევრებისათვის სავალდებულო იქნება შესასრულებლად, მაგრამ მათი დამფუძნებელი ხელშეკრულებები ხშირად შეიცავს წევრ ქვეყნებზე ზეწოლის განხორციელების საინტერესო საშუალებებს, რაც მათ აიძულებს, კონკრეტული მიმართულებით იმოქმედონ. მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციასა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შეუძლიათ შეიმუშაონ რეკომენდაციები და კონვენციების პროექტები; წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, აღიარონ ეს რეკომენდაციები ან კონვენციების პროექტები, მაგრამ მათ პერიოდულად უნდა მოამზადონ მოხსენებები შესაბამისი ორგანიზაციისათვის მათი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ იმ სფეროებში, რომელთაც შესაბამისი კონვენციის პროექტები და რეკომენდაციები ეხება. ზოგ შემთხვევაში კი წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ აღიარებაზე თავიანთი უარის დასაბუთება. გარკვეულ საკითხებზე WHO-ს შეუძლია შეიმუშაოს სავალდებულო წესები იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ცდილობენ, თავი აარიდონ შესაბამისი წესების შესრულებას. ასეთი უფლებამოსილება სახელმწიფოთა ინერციის დამარცხების კარგ საშუალებას წარმოადგენს, ასევე ხელს უწყობს მათ ერთობლივად მოქმედებაში.

22. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მშვიდობა და უშიშროება

გაეროს წესდების განმარტებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი ორგანოების როლის განხილვის შემდეგ ჩვენ უკვე შეგვიძლია მივუბრუნდეთ ორგანიზაციის ძირითად ფუნქციებს მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების სფეროში. მეტი მოხერხებულობისათვის ეს ფუნქციები საქმიანობის სამ ფართო კატეგორიად იქნება კლასიფიცირებული: პირველი კატეგორია ეხება გაეროს ორგანოების პოლიტიკურ როლს დავების მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში – საკითხი, რომელიც ძირითადად მიმართულია წესდების VI თავისკენ, რომელსაც „დავების მშვიდობიანი მოგვარება“ ეწოდება. საერთაშორისო სასამართლოს – გაეროს ექვსი ძირითადი ორგანოდან ერთ-ერთის (თუმცა დამოუკიდებლისა და არაინტეგრირებულის გაეროს ორგანოების სტრუქტურაში) – მართლმსაჯულებითი როლი, ისევე, როგორც საერთაშორისო დავების მოგვარების ძირითადი მეთოდები, უკვე იქნა განხილული მე-18 თავში.¹ მეორე კატეგორია მოიცავს იძულების ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს VII თავის თანახმად, რომელიც ეხება „მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ ქმედებებს“.² მესამე კატეგორია ეხება გაეროს „სამშვიდობო“ ოპერაციების განსაკუთრებულ ინსტიტუტს, რომელთაც არ აქვთ ზუსტი სამართლებრივი ბაზა წესდებაში, მაგრამ განვითარება პოვეს პრაქტიკაში და ხშირად ხასიათდებიან, როგორც დაფუძნებული „VI და ნახევარ თავზე“.³

¹ იხ. თ. 18.

² იხ. ქვემოთ.

³ იხ. ქვემოთ.

⁴ იხ. R. Wolfrum, Article 1, in *Simma CUNAC*, 49-56; Wolfrum, *Peaceful Settlement of Disputes*, in Wolfrum UNLPP II, 982-92; UN Handbook on the Peaceful Settlement of Disputes Between States, Annex to UN Doc. A/46/33 (1991), 23. S.R. Ratner, *Image and Reality in the UN's Peaceful Settlement of Disputes*, EJIL 6(1995), 426-44 და ლიტერატურა მე-18 თავში, 273 n.1.

⁵ იხ. C. Tomuschat, Article 2(3), in *Simma CUNAC*, 97-106.

⁶ იხ. თ. 21.

⁷ გაეროს წესდების 35(1) მუხლი. იხ. I. Schweisfurth, Article 35, in *Simma CUNAC*, 527-34.

დავების მშვიდობიანი მოგვარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მისჯლით (VI თავი)

გაეროს წესდების 1(1) მუხლი ადგენს, რომ გაეროს ერთ-ერთი მიზანია:

სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად მშვიდობიანი საშუალებით მოაგვაროს ან გადაწყვიტოს საერთაშორისო დავები ან ისეთი სიტუაციები, რომლებსაც შესაძლოა მშვიდობის დარღვევა მოჰყვეს.⁴

2(3) მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს:

დავები მოაგვარონ მშვიდობიანი საშუალებით ისე, რომ არ შეუქმნან საფრთხე საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებას და სამართლიანობას.⁵

გაეროს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანო დავების მშვიდობიანი მოგვარებისათვის არის უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,⁶ გაეროს გენერალური მდივანიც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტის მხარეებისათვის „კეთილი სამსახურის“ განევაში – ფუნქცია, რომელიც თავისი ეფექტურობის შესანარჩუნებლად ხშირად საიდუმლოდ სრულდება.

დავა შეიძლება შეიტანოს უშიშროების საბჭოში:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დავის მხარე;⁷

⁸ მუხლი 35(2). იხ. Schweißfurth, *ibid.*

⁹ მუხლი 11(3) და ასევე მუხლები 10 და 11(2). იხ. K. Hailbronner/E. Klein, Articles 10 and 11, in *Simma CUNAC*, 226-53.

¹⁰ მუხლი 99. იხ. W. Feidler, Article 99, *ibid.*, 1044-57.

¹¹ იხ. თ. 21.

¹² ICJ Rep. 1971, paras. 114-16; იხ. თ. 19, 328-29(?). იხ. P. Malanczuk, Countermeasures and Self-Defence as Circumstances Precluding Wrongfulness in the International Law Commission's Draft Articles on State Responsibility, in M. Spinedi/B. Simma (eds), *United Nations Codification of State Responsibility*, 1987, 197-286, at 237. მაგრამ იხ. R. Higgins, *Peace and Security: Achievements and Failures*. EJIL 6 (1995), 445-60, at 446, რომელიც მოითხოვს (სასამართლო გადაწყვეტილების 105-ეუბენზე დაყრდნობით), რომ სასამართლო „გაკეთა ძალიან მნიშვნელოვანი და კრიტიკული (რასაც ასევე გავლენა აქვს გვერდის წესდების სხვა თავებზეც), რომ განაწესებულა ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება პატივსაცემად ოპერატიული ეფექტი – რაც ნიშნავს, რომ ფაქტების დადგენა ან კანონის გამოყენება ორგანოს შიდა კომპეტენციის ფარგლებში განმარტდება“.

¹³ წესდების 36-ე მუხლი. იხ. T. Stein/S. Richter, Article 36, in *Simma CUNAC*, 534-46.

¹⁴ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებზე სასამართლოს გადაწყვეტილებებისათვის სავალდებულო ძალის მინიჭებაზე წესდების 94(2) მუხლის მიხედვით, იხ. თ. 18.

¹⁵ იხ. Malanczuk (1987). *op.cit.*, 237; J.A. Frowein, Article 39, in *Simma CUNAC*, 613.

¹⁶ ვეტოსთან დაკავშირებით იხ. თ. 21.

2. სახელმწიფომ, რომელიც არაა ორგანიზაციის წევრი, მაგრამ არის დავის მონაწილე და „წინასწარ იკისრებს ამ დავის მიმართ ... წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებას მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე“;⁸

3. გენერალურმა ასამბლეამ, რომელსაც „შეუძლია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყროს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც შესაძლოა დაემუქროს საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას“;⁹

4. გენერალურმა მდივანმა, „რომელსაც „უფლება აქვს, შეატყობინოს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი ისეთი საკითხი, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება ემუქრებოდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას“.¹⁰

თუმცა სახელმწიფოს, გენერალურ ასამბლეას ან გენერალურ მდივანს შეუძლია მხოლოდ სთხოვოს უშიშროების საბჭოს დავის განხილვა. სწორედ უშიშროების საბჭო წყვეტს, დაუჭიროს თუ არა თხოვნას მხარი და ჩასვას იგი დღის წესრიგში. ანალოგიურად, დავა უშიშროების საბჭოს დღის წესრიგიდან შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ უშიშროების საბჭოს მიერ და არა დავის მონაწილე მხარეების მიერ. ამ პრაქტიკის სისწორე კარგად გამოჩნდა 1968 წლის აგვისტოში, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც უშიშროების საბჭომ უარი განუცხადა ჩეხოსლოვაკიას (რომელიც, რა თქმა უნდა, საბჭოთა ზენოლის ქვეშ მოქმედებდა), ამოელო შეჭრის საკითხი დღის წესრიგიდან. დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები პროცედურულია, და შესაბამისად, ვეტოს უფლება არ მოქმედებს.¹¹

VI თავი უშიშროების საბჭოს უფლებას აძლევს, გააკეთოს მრავალი სახის რეკომენდაცია დავების მშვიდობიანი მოგვარებისათვის. უშიშროების საბჭოს ასევე აქვს გამოძიების წარმოების გარკვეული უფლებამოსილება. წესდების მიხედვით, გარემოებები, როდესაც უშიშროების საბჭოს შეუძლია შესთავაზოს მოგვარების პირობები, განსხვავდება გარემოებებისაგან, როდესაც მას შეუძლია შესთავაზოს დავების მოგვარების პროცედურა. მაგრამ აღნიშნული გარემოებები ძალიან ბუნდოვანია. პრაქტიკაში, უშიშროების საბჭო, ჩვეულებრივ, არ აქცევს ყურადღებას სირთულეებს და იძლევა ნებისმიერი სახის რეკომენდაციას წესდების ნებისმიერი მუხლის ციტირების გარეშე და VI თავში მოცემულ გაურკვეველ და დამაბნეველ განსხვავებებზე ყურადღების მიუქცევლად.

ლიტერატურაში ყოფილა კამათი, შეიძლება თუ არა უშიშროების საბჭოს მიერ VI თავის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულო გახდეს. უფრო ფართო შეხედულება, რომელიც გამოხატა საერთაშორისო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში *ნამიბიის საქმეზე* (*namibia case*) 1970 წელს, პრაქტიკაში არ დამკვიდრდა (სასამართლო დაობდა, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც ემყარება არა VII თავს, არამედ პირდაპირ წესდების V თავის 25-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ გაეროს წევრები „თანხმდებიან, წინამდებარე წესდების შესაბამისად დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი“, შეიძლებოდა სავალდებულო ყოფილიყო¹²). ამდენად, უშიშროების საბჭოს მიერ VI თავზე დაყრდნობით გაკეთებული რეკომენდაციები, ზოგადად სამართლებრივ ვალდებულებებს არ წარმოშობს,¹³ თუმცა მათ ხშირად დიდი პოლიტიკური გავლენა აქვთ. საბჭოს უფლება აქვს, გამოსცეს სავალდებულო გადაწყვეტილება მხოლოდ VII თავის შესაბამისად.¹⁴ თუმცა სირთულეს წარმოადგენს ის, რომ უშიშროების საბჭო ხშირად თავს იკავებს ზუსტი მითითებისაგან, წესდების რომელ მუხლს ეყრდნობა მისი გადაწყვეტილება.¹⁵ რაც შეეხება ხმის მიცემის პროცედურას, VI თავის მიხედვით გაკეთებული რეკომენდაციები არაა პროცედურული, ასე რომ გამოიყენება ვეტოს უფლება.¹⁶

გენერალურ ასამბლეას ასევე შეუძლია ჩაერიოს დავებში წესდების მე-

10, მე-11(2), მე-12 და მე-14 მუხლების თანახმად.¹⁷ გაეროს წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს გენერალურ ასამბლეას დავის განხილვის შესახებ თხოვნით; ასევე არანეგერ ქვეყანასაც, იმის გათვალისწინებით, რომ იგი შესაბამისი დავის მონაწილეა და დავის მიზნებისათვის წინასწარ აღიარებს წესდებით გათვალისწინებული მშვიდობიანი მონესრიგების ვალდებულებას. გენერალურ ასამბლეას შეუძლია მიიღოს რეკომენდაციები და დანიშნოს ფაქტების დამდგენი მისიები. სახელმწიფოები არ არიან სამართლებრივად ვალდებულნი, შეასრულონ ეს რეკომენდაციები ან ითანამშრომლონ ფაქტების დამდგენ მისიებთან,¹⁸ თუმცა გენერალური ასამბლეის რეკომენდაციებს ხშირად დიდი პოლიტიკური გავლენა აქვთ.

უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ფუნქციები დავების მოგვარებასთან დაკავშირებით „კეთილი სამსახურის“, მედიატორობის, გამოძიებისა და მორიგების ნაზავს წარმოადგენს.¹⁹ მაგრამ უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა არ არიან სასამართლო ორგანოები და არც არასდროს უმოქმედიათ ამგვარად. თუმცა ისინი მხედველობაში იღებენ სამართლებრივ ფაქტებს, ასევე იღებენ მხედველობაში პოლიტიკურ ფაქტებსაც და ხშირად მათ გადაწყვეტილებებში პოლიტიკური მოსაზრებები სამართლებრივს ჩრდილავს. უფრო მეტიც, უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის წევრები ყოველთვის არ არიან ნეიტრალურები; ცივი ომის დროს ალიანსის წევრები დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს, ხოლო პატარა ნეიტრალური სახელმწიფოები ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ ორი სუპერსახელმწიფოს წყენინებისაგან. გამოცდილებამ აჩვენა, რომ თუ ერთი და იმავე ალიანსის ორ წევრს შორის დავა წარმოდგენილი იქნებოდა გაეროში, მათი მონინალმდეგეები ცდილობდნენ კონფლიქტის გამწვავებას (ნაცვლად იმისა, რომ მხარეებისთვის მისი მოგვარებისაკენ მოეწოდებინათ) ალიანსში განხეთქილების შეტანის იმედით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლების არარსებობა განხილული უნდა იქნეს არა როგორც სისტემის ხარვეზი, არამედ როგორც წევრი სახელმწიფოების აუცილებელი დამცავი მექანიზმი.

ჩვეულებრივ, სახელმწიფოებს გაეროში შეაქვთ დავები, რათა თავიანთ მონინალმდეგეებზე მოახდინონ პოლიტიკური ზეწოლა საერთაშორისო აზრის მათ წინააღმდეგ მობილიზების გზით. თუმცა ზოგჯერ გაეროსათვის დახმარებისათვის მიმართვა სხვა მიზნებსაც შეიძლება ემსახურებოდეს. სახელმწიფო, რომელიც იმყოფება საკუთარი მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის ქვეშ, რათა გაატაროს უფრო „მკაცრი ხაზი“ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, შეიძლება შეეცადოს, დააკმაყოფილოს მოსახლეობის აზრი გაეროში მკაცრი განცხადებების გაკეთებით, რომელიმე უფრო სახიფათო ხასიათის აქციის განხორციელების ნაცვლად. ასეთ შემთხვევებში გაერო მოქმედებს, როგორც „დამცავი სარქველი“, რომელიც ქვეყნებს „ორთქლის გამოშვების“ საშუალებას აძლევს. მაგრამ სიხშირე, რომლითაც სახელმწიფოები გაეროს ამ მიზნისათვის იყენებენ, ხსნის, თუ რატომ თვლიან სახელმწიფოები ხანდახან არამეგობრულ აქტად გაეროში სხვა სახელმწიფოზე ჩივილს.

კოლექტიური უსაფრთხოება და იძულებითი ღონისძიებები (VII თავი)

ერთა ლიგის უარყოფითი გამოცდილების გათვალისწინებით,²⁰ წესდების ავტორებმა მიზნად დაისახეს მშვიდობის შესანარჩუნებლად კოლექტიური უსაფრთხოების უფრო დახვეწილი სისტემის შექმნა. მისი დედაბოძია წესდების მე-2(4) მუხლში ამომწურავად გადმოცემული ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვები,²¹ და აგრესიის წინააღმდეგ პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური იძულებითი ხასიათის ღონისძიებების კარგად

¹⁷ იხ. თ. 21.

¹⁸ იხ. A. Berg, The 1991 Declaration on Fact-Finding by the United Nations, EJIL 4 (1994), 107-14.

¹⁹ იხ. თ. 18. C. Murphy, The Conciliatory Responsibilities of the United Nations Security Council, GYIL 35 (1992), 190-204.

²⁰ იხ. თ. 2.

²¹ იხ. თ. 19.

²² VII თავთან დაკავშირებით (მუხლები 39-43) იხ. Frowein, in Simma CUNAC, 605-39; B. O. Bryde, Articles 44-50, *ibid.*, 640-61; Harris CMIL, 874-907, 1010-17; O. Schachter, *International Law in Theory and Practice*, 1991, თ. XVII; E. Stein, *The United Nations and the Enforcement of Peace*, Mich. JIL 10 (1989), 304-16; J. Delbrück, *Collective Security*, EPIL 1 (1992), 646-56; *idem*, *Collective Measures*, *ibid.*, 643-4; K. Deohring, *Collective Security*, in Wolfrum UNLPP I, 110-15; P. Malanczuk, *Humanitarian Intervention and the Legitimacy of the Use of Force*, 1993; H. Freudentzsch, *Between Unilateralism and Collective security: Authorizations of the Use of Force by the UN Security Council*, EJIL 5 (1994), 492-531; Higgins (1995), *op.cit.*; Y. Kerbat, *La Référence au Chapitre VII de la Charte des Nations Unies dans les résolutions à caractère humanitaire du Conseil de sécurité*, 1995; *Société Française pour le Droit International. Colloque de rennes: Le Chapitre VII de la Charte des Nations Unies*, 1995; J. Quigley, *The "Privatization" of Security Council; Enforcement Action: A Threat to Unilateralism*, Mich. JIL 17 (1996), 249-83; F.R. Teson, *Collective Humanitarian Intervention*, *ibid.*, 323-1; A.P. Mutharika, *The Role of the United Nations Security Council in African Peace Management: Some Proposals*, *ibid.*, 537-62; D. Bills, *International Human Rights and Humanitarian Intervention: The Ratifications of Reform of the United Nations Security Council*, Texas LJ 31 (1996), 107-30; R.E. Gordon, *Humanitarian Intervention by the United Nations: Iraq, Somalia, and Haiti*, *ibid.*, 43-56.

²³ *ib. op. cit.* 19.

²⁴ 53-2 მუხლი პრაქტიკაში კარგად ვერ ხორციელდება, იხ. ამ ნიშნის მე-8 გამოცემა, 267-8. წესდების VIII თავზე, რომელიც ეხება „რეგიონალურ შეთანხმებებს“ იხ. W. Hummer/M. Schweitzer, Article 52, in Simma CUNAC, 679-722; G. Ress, Article 53, *ibid.*, 722-52; Hummer/Schweitzer, Article 54, *ibid.*, 752-7; S.V. Schorlemer, *Blocs and Groups of States*, in Wolfrum UNLPP I, 69-77; U. Beyerlin, *Regional Arrangements*, in Wolfrum UNLPP II, 1040-51. იხ. აგრეთვე, J. Wolf, *Regional Agreements and the UN Charter*, EPIL 6 (1983), 289-95; J.A. Frowein, *Legal Consequences for International Law Enforcement in Case of Security*

დამუშავებული სისტემა, რომელიც მოცემულია წესდების VII თავში.²² იძულებითი ძალაუფლების მონოპოლიაში მხოლოდ ორი გამონაკლისი იყო დაშვებული: პირველი, ცალმხრივი ან კოლექტიური თავდაცვის უფლება 51-ე მუხლის მიხედვით,²³ და მეორე, უშიშროების საბჭოს მიერ უფლებამოსილი რეგიონალური ორგანიზაციების მიერ გატარებული უშიშროების ზომები 53-ე მუხლის თანახმად.²⁴

გენერალური ასამბლეა საერთაშორისო მშვიდობის შესანარჩუნებლად დამატებითი ფუნქციებით აღიჭურვა და გაძლიერდა. გენერალურ მდივანს უფრო სერიოზული პოლიტიკური როლი უნდა ეთამაშა, ვიდრე მის კოლეგას ერთა ლიგადან. სანამ უშუალოდ პრაქტიკაში VII თავის მოქმედებას განვიხილავდეთ, უმჯობესია, განვიხილოთ წესდების ტექსტში ჩამოყალიბებული ზოგადი ნორმატიული ჩარჩოები.

VII თავი დასათავურებულია, როგორც „ქმედებები მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ“. ²⁵ წესდება არ ცდილობს ამ ტერმინების განმარტებას (თუმცა კონტექსტიდან საკმარისად ნათლად ჩანს, რომ „მშვიდობისადმი მუქარა“²⁶ და „მშვიდობის დარღვევა“ საერთაშორისო მშვიდობას გულისხმობდა).²⁷ ნაცვლად ამისა, 39-ე მუხლი, VII თავის პირველი მუხლი, ადგენს:

უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისადმი ნებისმიერ მუქარას, მშვიდობის ნებისმიერ დარღვევას ანდა აგრესიის აქტს და იძლევა რეკომენდაციებს ან წყვეტს, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული 41-ე და 42-ე მუხლების შესაბამისად საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.²⁸

საბჭოს ასევე შეუძლია მიიღოს დროებითი ზომები მე-40 მუხლის²⁹ თანახმად, რომელიც ადგენს:

სიტუაციის გართულების თავიდან ასაცილებლად უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, რეკომენდაციების მიცემამდე ან 39-ე მუხლით გათვალისწინებული ზომების მიღებამდე, მოსთხოვოს დაინტერესებულ მხარეებს იმ დროებითი ზომების შესრულება, რომლებსაც ის აუცილებლად და სასურველად მიიჩნევს. ასეთმა დროებითმა ზომებმა არ უნდა შელახოს დაინტერესებული მხარეების უფლებები, მათი მოთხოვნები ან მდგომარეობა. უშიშროების საბჭომ დროულად უნდა დააფიქსიროს ასეთი დროებითი ზომების შეუსრულებლობის შემთხვევები.³⁰

მე-40 მუხლში გამოყენებული სიტყვების „მოსთხოვოს მხარეებს“ ინტერპრეტაციისას გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით. გაეროს რეზოლუციებში ისინი ხშირად გამოიყენება „რეკომენდაციას აძლევს“ სინონიმად, ³¹ მაგრამ, როგორც ჩანს, ორგანიზაციის წევრები შეთანხმდნენ, რომ ეს სიტყვები მე-40 მუხლში გამოყენებისას ნიშნავს „ბრძანებას“. ასეთი ინტერპრეტაცია მით უფრო დამაჯერებელია, თუ მე-40 მუხლს 25-ე მუხლთან ერთად განვიხილავთ.³² მაგალითად, როდესაც 1948 წლის 15 ივლისს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც არაბებსა და ებრაელებს ბრძოლის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა, მხარეებს კარგად ესმოდათ, რომ ამ რეზოლუციას სავალდებულო ხასიათი ჰქონდა, ანუ ეს იყო ბრძანება, რომელიც ქმნიდა დამორჩილების სამართლებრივ ვალდებულებას.³³ ბუნებრივია, რომ ასეთი რეზოლუციები ყოველთვის არ სრულდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი უზრუნველყოფილია უფრო მკაცრი ზომების გატარების მუქარით, თუ მხარეებს ჯერ კიდევ არ აქვთ გადაწყვეტილი, პოლიტიკური თუ სამხედრო მიზეზებიდან გამომდინარე, რომ ისინი შესთავაზებენ იარაღის დაყრის მისაღებ შესაძლებლობას, რათა შეინარჩუნონ თავისი რეპუტაცია.

მაგრამ, როგორც წესი, უშიშროების საბჭო მისთვის მე-40 მუხლით მინიჭებულ ძალაუფლებას იშვიათად იყენებს.³⁴ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციები ძირითადად ფორმულირებულია რეკომენდაციების და არა ბრძანებების

სახით. ეს, ალბათ, იმით არის განპირობებული, რომ უშიშროების საბჭოს წევრებს დაეკისრებოდათ მორალური ვალდებულება, გაეტარებინათ იძულებითი ზომები იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ ბრძანებას. მათ კი არავითარი სურვილი არ ჰქონდათ, ასეთი ზომები გაეტარებინათ მათი მოკავშირე ან *protégé* სახელმწიფოების წინააღმდეგ. თუმცა ხშირად მხარეებს შორის საომარი მოქმედებების შეწყვეტისას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის სახით მიღებული რეზოლუციებიც კი აღწევს წარმატებას. სახელმწიფოებს ნაკლებად აქვთ სურვილი, აუმხედრდნენ დიდ სახელმწიფოებს და, ზოგადად, საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს.

იძულებითმა ღონისძიებებმა *stricto sensu* (ეს არის ღონისძიებები, დაკავშირებული მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტებისადმი) შეიძლება მიიღოს ორი ფორმა: 41-ე მუხლი ითვალისწინებს იძულებით არასამხედრო ხასიათის ზომებს, ხოლო 42-ე მუხლი – იძულებით სამხედრო ხასიათის ზომებს.

41-ე მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, მოიფიქროს, თავის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომლებიც არ უკავშირდება შეიარაღებული ძალების გამოყენებას; უშიშროების საბჭოს შეუძლია მოსთხოვოს ორგანიზაციის წევრებს ამ ზომების შესრულება.

უშიშროების საბჭოს მიერ 41-ე მუხლის თანახმად მიღებულ გადაწყვეტილებებს ზომებზე, რომლებიც არ იწვევს შეიარაღებული ძალების გამოყენებას, მაგალითად, ითვალისწინებს ეკონომიკურ სანქციებს, უნდა დაემორჩილოს ყველა ის წევრი სახელმწიფო, რომელზეც ასეთი მოთხოვნა გაკეთდა.³⁵

42-ე მუხლი ადგენს:

თუ უშიშროების საბჭო მიიჩნევს, რომ 41-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები არ იქნება საკმარისი ანდა უკვე არასაკმარისია, იგი უფლებამოსილია, განახორციელოს ისეთი ქმედებანი საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალებით, რომლებიც აუცილებელი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ან აღსადგენად. ასეთი ქმედებანი შეიძლება მოიცავდეს დემონსტრაციებს, ბლოკადას ან ორგანიზაციის წევრების საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალების სხვა ოპერაციებს.³⁶

42-ე მუხლი განიხილება 43-ე მუხლთან ერთად, რომელიც ადგენს, რომ:

ორგანიზაციის ყველა წევრი ... კისრულობს, უშიშროების საბჭოს განკარგულებაში, მისი მოთხოვნის, საგანგებო შეთანხმების ან შეთანხმებების თანახმად, გადასცეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად აუცილებელი შეიარაღებული ძალები, დახმარება და მომსახურების სათანადო საშუალებები, ტერიტორიაზე გატარების უფლების ჩათვლით ... მოლაპარაკებები შეთანხმების ან შეთანხმებების დადების შესახებ ტარდება რაც შეიძლება მოკლე დროში უშიშროების საბჭოს ინიციატივით. შეთანხმებები დაიდება უშიშროების საბჭოსა და [ორგანიზაციის] წევრებს შორის.

გაეროს წევრ სახელმწიფოებს არასდროს დაუდვიათ 43-ე მუხლში მითითებული სპეციალური შეთანხმება და 47-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი სამხედრო-სამტაბო კომიტეტიც უფუნქციო ორგანოდ რჩება, რომელიც მხოლოდ რეგულარული რიტუალური შეხვედრების ჩატარებით შემოიფარგლება.³⁷ უშიშროების საბჭოსთან 43-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებების არარსებობა არ უშლის ხელს ორგანიზაციის წევრებს, თავიანთი ჯარები *ad hoc* გადასცენ საბჭოს განკარგულებაში. მაგრამ უშიშროების საბჭოს არ შეუძლია იმგვარადვე უბრძანოს წევრ სახელმწიფოს, მიიღოს მონაწილეობა

Council Inaction, in J. Delbrück (ed.), *The Future of International Law Enforcement*, 1993, 11-24; R. Wolfrum, *Der Beitrag regionaler Abmachungen zur Friedenssicherung: Möglichkeit und Grenzen*, ZaöRV 53 (1993), 603-7; G.Nolte, *Restoring Peace by Regional Action: International Legal Aspects of the Liberian Conflict*, ZaöRV 53 (1993), 603-37; M.Weller (ed.), *Regional Peacekeeping and International Enforcement: The Liberian Crisis*, 1994; J. A. Frowein, *Zwangsmassnahmen von Regionalorganisationen*, in FS Bernhardt, 57-69. ბოლო შეთავაზებები, რომელიც ორგანიზაციის მიერ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ უმეტესი რეგიონალური ორგანიზაცია ასეთი დავალებისთვის არ არის სათანადოდ აღჭურვილი და იმავდროულად, ისინი ხშირად არ არიან საკმარისად მიუკერძოებლები, იხ. Higgins (1995), *op.cit.*, 445-60, 450-2. რეგიონალური ორგანიზაციების შესახებ იხ. თ. 6.

³⁵ B.B. Ferencz, *Aggression*, EPIL 1 (1992), 58-65.

³⁶ H. Neuhold, *Peace, Threat to*, EPIL 4 (1982), 100-2.

³⁷ ამ ტერმინების განმარტების გაცრცელებისათვის საერთაშორისო კონფლიქტებთან დაკავშირებულ სიტუაციებში თავდაცვის საბჭოს პრაქტიკაში, იხ. ქვემოთ.

³⁸ იხ. Frowein, Article 39, in *Simma CUNAC*. 605-16.

³⁹ M. Weller, *Comments: The Use of Force and Collective Security*, in I.F. Dekker/H.H.G. Post, *The Gulf War of 1980-1988*, 1992, 69, at 82, აღნიშნავს, რომ წესებიდან და პრაქტიკიდან არ ჩანს, საჭიროა თუ არა 39-ე მუხლით დადგენილი განსაზღვრება მე-40 მუხლის ამოქმედებამდე თუმცა მე-40 მუხლის მდგომარეობა მთავრად აწვევს, რომ იგი მოითხოვს გამოყენებულს 39-ე მუხლი. იხ. Frowein, Article 40, in *Simma CUNAC*, at 618.

⁴⁰ იხ. Frowein, Article 40, *ibid.*, 617-21.

⁴¹ მაგალითად, იხ. ქვემოთ.

⁴² იხ. თ. 21.

⁴³ იხ. ქვემოთ.

⁴⁴ იხ. ქვემოთ.

⁴⁵ J.A. Frowein, Article 41, in *Simma CUNAC*, 621-3; U. Beyerlin, *Sanctions*, in Wolfrum UNLPP II, 1111-28; J. Combacau, *Sanctions*, EPIL 9 (1986), 337-41; M.P. Doxey, *International Perspective*, 1987; P. Weckel, *Le Chapitre VII de la Charte et son*

application par le Conseil de Sécurité, AFDI 37 (1991), 165-202; E.Klein, Sanctions by International Organizations and Economic Communities, AVR 30 (1992), 101-13; R.Lapidith, Some Reflections on the Law and Practice Concerning the Imposition of Sanctions, by the Security Council, *ibid.*, 114-27.

³⁶ *ib.* J.A. Frowein, Article 42, in Simma CUNAC, 628-36.

აგრეთვე, ქვემოთ.

³⁷ *ib.* D.W. Bowett, International Military Force, EPIL 3 (1982), 221; R. Sommereyns, United Nations Forces, EPIL 4 (1982), 253; J.A. Frowein, Article 43, in Simma CUNAC, 636-40.

³⁸ აშკარაა, რომ უსაფრთხოების საზღვარების დარღვევის შემთხვევაში.

³⁹ *ib.* Frowein, Article 39, *op. cit.*, 614-6.

⁴⁰ თუმცა, Frowein (იქვე 615) ამტკიცებს, რომ ნევრი სახელმწიფოს მიერ სამიზნე სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებების განხორციელება ასეთი რეკომენდაციების საფუძველზე მანაც შეიძლება გამართლებული იქნეს. კერძოდ, არარეკომენდაციური კერძო არარეკომენდაციური, არამედ უშიშროების საბჭოს, როგორც გაეროს იმ ორგანოს მიერ, რომელიც პასუხს აგებს საერთაშორისო მშვიდობის დაცვაზე, სადაც ნაგულისხმევაა სამართლებრივი შესჯდულების კანონიერება. იგი თვლის, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა იმ პირობით, რომ უშიშროების საბჭოს სწორად აფასებს ნევრი ქვეყნებისათვის რეკომენდებული ქმედების კანონიერებას. მაგრამ კითხვაა, რომელსაც ეს შესჯდულება ნაშუქრის, არის ის, თუ ვინ უნდა განსაზღვროს, აკეთებს თუ არა ამას უშიშროების საბჭო.

⁴¹ Frowein, Article 42, *op. cit.*, 633; *ib.* აგრეთვე, Frowein, Article 39, *op. cit.*, 613.

⁴² როგორც ჩანს, რეზოლუცია მიღებულ იქნა VI თავის მიხედვით; *ib.* Beyerlin, Sanctions, *op. cit.*, 1115. *ib.* აგრეთვე, ქვემოთ.

იძულებით სამხედრო ღონისძიებებში, როგორც შეუძლია უბრძანოს მას, მიიღოს მონაწილეობა იძულებით არასამხედრო ღონისძიებებში. ამის მიზეზი კი არის, რომ სახელმწიფო არ არის ვალდებული, მონაწილეობა მიიღოს 42-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში, თუ მას არ აქვს გაფორმებული „სპეციალური შეთანხმება“ 43-ე მუხლის თანახმად.³⁸

თუმცა უშიშროების საბჭოს შეუძლია სახელმწიფოს ძალის გამოყენების უფლება მინიმუმ მაშინაც კი, როდესაც ძალის გამოყენება, ჩვეულებრივ, უკანონოდ ჩაითვლება, თუ დადგება 39-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობები. 42-ე მუხლი უშიშროების საბჭოს აძლევს ძალის გამოყენების უფლებას ასეთ პირობებში, რაც *a fortiori* შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც უშიშროების საბჭოსთვის იმის უფლების მინიჭება, რომ დართოს იმავეს გაკეთების ნება სახელმწიფოებსაც. ლოგიკურია, რომ უშიშროების საბჭოს ასეთ გადაწყვეტილებას მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. მას არ შეუძლია დაავალდებულოს სახელმწიფოები, შეასრულონ რეზოლუცია სამხედრო ზომების გამოყენებაზე მათი ნების საწინააღმდეგოდ. თუმცა ის სავალდებულოა სამიზნე ქვეყნისათვის იმ სამართლებრივი შედეგით, რომ მას ეკრძალება, გამოიყენოს თავდაცვის შესახებ წესდების 51-ე მუხლი, მიმართოს რეპრესალიებს ძალის გამოყენების გამორიცხვით, ან მოგვიანებით განაცხადოს პრეტენზია ზარალის ანაზღაურებაზე გაეროს ნევრი სახელმწიფოების მიერ ძალის გამოყენების საპასუხოდ, რომლებიც ამაზე უშიშროების საბჭოს მიერ იყვნენ უფლებამოსილნი. სამართლებრივად, უშიშროების საბჭოს მიერ 42-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებს ორმაგი ბუნება აქვს. სამიზნე სახელმწიფოსათვის ეს გადაწყვეტილება სავალდებულოა, ხოლო უფლებამოსილი სახელმწიფოსათვის ასეთ გადაწყვეტილებას რეკომენდაციის ძალა აქვს, რომელიც სამართლებრივ საფუძველს უქმნის წესდების მე-2 (4) მუხლით აკრძალულ შეიარღვლებული ძალის გამოყენებას.

სადავოა საკითხი, შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს მიერ 39-ე მუხლზე დაყრდნობით გაკეთებულ ჩვეულებრივ რეკომენდაციას, 41-ე და 42-ე მუხლებზე პირდაპირი მითითების გარეშე, მოიცავდეს იძულებით ზომებს. წესდების ტექსტიდან და პრინციპებიდან, ასევე VII თავის სისტემიდან გამომდინარე, უკეთესი მოსაზრებაა, რომ ასეთი იძულებითი ზომების გატარება მოითხოვს უშიშროების საბჭოსგან ზუსტ გადაწყვეტილებას, გამოიყენოს 41-ე და 42-ე მუხლები და განსაზღვროს, რომელ მხარეებს აქვთ დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულებები.³⁹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშიშროების საბჭოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული იძულებითი ზომები სავალდებულოა შესასრულებლად გადაცდომილი სახელმწიფოსათვის და არ აძლევს მას საშუალებას, გამოიყენოს საერთაშორისო სამართლის სხვა საფუძველები, რათა უკანონოდ გამოაცხადოს, მაგალითად, ბოიკოტის ზომები. 39-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ ჩვეულებრივ რეზოლუციას არ შეიძლება მოჰყვეს ასეთი შედეგები.⁴⁰ თუმცა, პრაქტიკაში, უშიშროების საბჭო აკეთებს ზოგად მითითებას VII თავზე, როგორც ასეთზე, კონკრეტული მუხლების დაუკონკრეტებლად. ასე მაგალითად, 42-ე მუხლი არასოდეს ყოფილა გამოყენებული პირდაპირ.⁴¹ ასევე არსებობს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები, რომლებშიც საერთოდ არ არის მითითებული მათი სამართლებრივი საფუძველები. მაგალითად, 1985 წლის 26 ივლისის 569-ე (1985) რეზოლუციით უშიშროების საბჭო მოითხოვს ნევრი სახელმწიფოებისაგან ემბარგოს დაწესებას სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ, თუმცა წინასწარ არ ყოფილა დადგენილი, რომ საერთაშორისო მშვიდობას წესდების 39-ე მუხლის შესაბამისად საფრთხე ემუქრებოდა.⁴²

VII თავის რეალურ პრაქტიკაში გამოყენების მეთოდის შესასწავლად ქვემოთ გაკეთებული იქნება განსხვავება ცივი ომის პერიოდში დამკვიდრებულ პრაქტიკასა და ცივი ომის დასასრულის შემდგომ დამკვიდრებულ პრაქტიკას შორის, რადგან იგი მნიშვნელოვანი სანყისი წერტილია.

VII თავის შესაბამისად განხორციელებული პრაქტიკა ცივი ომის დროს

ცივი ომის დროს გაეროს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ფაქტობრივად გამოუსადეგარი იყო, რადგან ამისათვის საჭირო უწყვეტი თანამშრომლობა ხუთ უდიდეს მოკავშირეს შორის მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე შეწყდა. მაშინ, როდესაც სსრკ გაეროს განიხილავდა, როგორც თავიდანვე მტრული ძალების მიერ კონტროლირებად ორგანოს და გადამეტებულად იყენებდა ვეტოს უფლებას,⁴³ შეერთებული შტატები, ეყრდნობოდა რა მის „მექანიკურ უმრავლესობას“, სანყის სტადიაზე უპირატესობას ანიჭებდა წესდების დებულებებზე დამყარებულ ნორმატიულ მიდგომას. ერიკ შტიენი აღნიშნავს:

სწორედ აშშ-ს დიპლომატია იცავდა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ნორმატიულ-ინსტიტუციურ მიდგომას, განსაკუთრებით, როდესაც ეს ამერიკულ მიზნებს პასუხობდა. ამერიკის მხარდაჭერის გარეშე აზრს კარგავდა ძალის გამოყენების აკრძალვის წესდების ეული მოთხოვნა. აშშ-ს მიერ „ნორმატიულ უკან დახევასთან“ ერთად, რომელიც იმდენადვე იყო განპირობებული მსოფლიო თანამეგობრობის ცვალებადი შემადგენლობით, რამდენადაც საბჭოთა პოლიტიკითა და ამერიკის ძალაუფლების ახლად გაჩენილი საზღვრებით, გაეროს პრეტენზია მშვიდობის ცენტრალიზებული დამცველის როლზე მოკლებული იყო რეალობას.⁴⁴

ცივი ომის დროს დიდი სახელმწიფოების მიერ გაეროს ჩარჩოებს მიღმა განხორციელებულმა ძალაუფლების ბალანსის სტრატეგიამ ფართოდ ჩაანაცვლა VII თავით გათვალისწინებული პროცედურები კოლექტიური ზომებისათვის.⁴⁵ 1990 წლამდე უშიშროების საბჭოს, ფაქტობრივად, არ გამოუყენებია იძულებითი ზომები. იგი ფოკუსირებული იყო დეკოლონიზაციის ასპექტებზე და არ ეხებოდა დიდ სახელმწიფოებს ან მათ მოკავშირეებს. გენერალური ასამბლეის პერიოდულ მცდელობებს, აღედგინა კოლექტიური უშიშროება, შედეგი არ მოსდევდა.⁴⁶ 1946 წლიდან 1986 წლამდე უშიშროების საბჭომ მხოლოდ ორ შემთხვევას მისცა „მშვიდობის დარღვევის“ კვალიფიკაცია: 1950 წელს კორეის შემთხვევაში⁴⁷ და 1986 წელს ფოლკლენდის კუნძულების ომის დროს.⁴⁸ ამავე პერიოდში საბჭომ განიხილა, როგორც „აგრესია“, მხოლოდ ისრაელისა და სამხრეთ აფრიკის შემთხვევები და დაადგინა, რომ „საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას დაემუქრა“ მხოლოდ შვიდ შემთხვევაში.⁴⁹ 1945-1990 წლებში უშიშროების საბჭომ მხოლოდ ორჯერ მისცა სანქცია ძალის გამოყენებას (გარდა თავდაცვის უფლების გამოყენებისა, რაც საჭირო იყო მხარეთა თანხმობით განხორციელებული სამშვიდობო ოპერაციების მანდატის დასაცავად),⁵⁰ კერძოდ კორეისა და სამხრეთ როდეზიის შემთხვევებში. სავალდებულო არასამხედრო სანქციებიც მხოლოდ ორჯერ იქნა გამოყენებული: სამხრეთ როდეზიის ეკონომიკური ბლოკადა (1966-79) და სამხედრო ემბარგო სამხრეთ აფრიკაზე 1977 წელს. 1980 წლის იანვარში საბჭოთა ვეტოს გამო ჩაიშალა 41-ე მუხლის ძალით ირანის იძულების მცდელობა, გაეთავისუფლებინა თეირანში მძევლად აყვანილი ამერიკელი დიპლომატები.⁵¹

ასე რომ, 1990-იანი წლების ბოლომდე მომხდარი 70 საერთაშორისო ომიდან მხოლოდ რამდენიმეს⁵² მიმართ იქნა ამოქმედებული VII თავი, ხოლო ამავე პერიოდის უდიდეს საერთაშორისო კონფლიქტებზე ვერ მოხერხდა უშიშროების საბჭოს სავალდებულო გადაწყვეტილების მიღება. 1962 წლის კუბის კრიზისის დროს,⁵³ რომელმაც ორი ზესახელმწიფოს უშუალო სახიფათო კონფროტანცია გამოიწვია, აშშ-მ თავის ცალმხრივ „კარანტინს“, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციის ავტორიტეტი დაუდო საფუძვლად.⁵⁴ ვიეტნამის ომი უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ყურადღების მიღმა დარჩა.⁵⁵ არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში უშიშროების საბჭო მუდმივად იმუქრებოდა სანქციების მიღებით VII თავის საფუძველზე, მაგრამ მუქარა მუქარად დარჩა, და შესაბამისად, ყოველგვარი ნდობა დაკარგა.⁵⁶ საბჭო უძღური აღმოჩნდა,

⁴³ იხ. თ. 21.

⁴⁴ Stein, *op. cit.*, 312.
⁴⁵ იხ. N.D. White, *Keeping the Peace: The United Nations and the Maintenance of International Peace and Security*, 2nd rev. edn 1993.

⁴⁶ მაგალითებისათვის, იხ. M. Koskeniemi, *The Peace of Law in Collective Security*, Mich. Jil 17 (1996), 455-90, at 457; Beyerlin, *Sanctions*, *op. cit.*, 1113-14.

⁴⁷ იხ. ქვემოთ:

⁴⁸ SC Res. 502 (1982) მოს-თხოვარგენწინასა და დიდ ბრიტანეთს, შეწყვიტათ ბრძოლები იმპერიული პოლიტიკით, რომ ირღვევდა მშვიდობა „ფოლკლენდის კუნძულებს რეგონში“. იხ. თ. 10 და 19.

⁴⁹ იხ. Koskeniemi, *op. cit.*, 458.

⁵⁰ ისეთი, როგორც კონგოსა და ცუარუსშიც ქვემოთ.

⁵¹ SC draft resolution S/13735. 13 იანვარი 1980. იხ. UN Chronicle, 1980. no. 2, 18-26. იხ. აგრეთვე თ. 17.

⁵² იხ. თ. 19.

⁵³ იხ. თ. 2.

⁵⁴ იხ. თ. 6.

⁵⁵ იხ. თ. 2 და 19.

⁵⁶ იხ. ზემოთ.

⁵⁷ იხ. თ. 17 და 19.

⁵⁸ იხ. თ. 19.

⁵⁹ იხ. კეპოლ.

⁶⁰ იხ. თ. 21.

⁶¹ SC Res. 83 (1950)

⁶² SC Res. 84 (1950), იხ. D. Bindschedler-Robert, Korea, EPIL 12 (1990), 202-8; L. Gordenkwer, The United Nations and the Peaceful Unification of Korea: The Politics of Field Operations 1947-1959; D. B. Bowett, United Nations Forces: A Legal Study of United Nations Practice, 1964, 29-60; T. H. Yoo, The Korean War and the United Nations: A Legal and Diplomatic History, 1965; M. Hastings, The Korean War, 1993; S. Branmer, Conflicts, Korea, in Wolfrum UNLPP I, 278-85; L. Fisher, The Korean War: On What Legal Basis Did Truman Act?, AJIL 89 (1995), 21-39.

⁶³ იხ. თ. 19.

⁶⁴ იხ. ზეპოლ.

⁶⁵ იხ. J. Delbrück, Article 24, in Simma CUNAC, 397-407.

მიეღწია კონსენსუსისათვის 1979-81 წლებში თეირანის მძევლების კრიზისის (*Tehran Hostages crisis*) დროს სანქციების გამოყენებაზე.⁵⁷ ასევე, უშიშროების საბჭოს არასოდეს განუხილავს საბჭოთა ინტერვენცია ავღანეთში (1979-89).⁵⁸ ერასა და ირანს შორის პირველი ყურის ომის დროს (1980-88), თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი ომისას, უშიშროების საბჭოს შვიდი წელი დასჭირდა ეფექტური პასუხის გასაცემად.⁵⁹

ბაეროს ჯარები კორეაში

როდესაც 1950 წლის ივნისში ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეაში ("კორეის რესპუბლიკა") შეიჭრა, უშიშროების საბჭომ, ისარგებლა რა საბჭოთა წარმომადგენლის არყოფნით,⁶⁰ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ნევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევდა, „გაენათ სამხრეთ კორეისათვის ისეთი სახის დახმარება, რაც აუცილებელი იქნებოდა სამხედრო შეტევების მოგერიებისა და საერთაშორისო მშვიდობის აღსადგენად“.⁶¹ შემდეგ კი მან მიიღო ახალი რეზოლუცია, რომელიც სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევდა, შეეყვანათ თავიანთი შეიარაღებული ძალები კორეაში შეერთებული შტატების მიერ დანიშნული ერთიანი მეთაურობით.⁶²

სადავო საკითხია, კორეაში განლაგებული სამხედრო ძალები რაიმე ნიშნით მაინც თუ წარმოადგენდა გაეროს ჯარებს. მათ ყოველთვის გაეროს ძალებად მოიხსენიებდნენ, უშიშროების საბჭოს მიერ მათ უფლება მიეცათ, გამოეყენებინათ გაეროს დროშა და გენერალური ასამბლეის მიერ მიენიჭათ გაეროს მედლები. მაგრამ ყველა გადაწყვეტილებას ამ ჯარების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ აშშ იღებდა (ზოგჯერ კორეაში ჯარების გამგზავნის სხვა სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგაც), ჯარების მეთაურიც ბრძანებებს შეერთებული შტატებისაგან იღებდა და არა გაეროსაგან; ჯარების პირველი მეთაურის, გენერალ მაკარტურის გათავისუფლებისა და ახალი მეთაურის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაც შეერთებულმა შტატებმა ცალმხრივად მიიღო. უფრო მეტიც, როდესაც ბრძოლები დასრულდა და 1954 წელს ჟენევაში შეიკრიბა კონფერენცია, რომელიც კორეის გაერთიანებას ცდილობდა, „მოკავშირეთა მხარე“ შედგებოდა არა გაეროს წარმომადგენლებისაგან, არამედ კორეაში ჯარების გამგზავნი კონკრეტული სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან.

სახელმწიფოები, რომელთაც კორეაში ჯარები გააგზავნეს, შეიძლება განხილულიყვნენ, როგორც წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული კოლექტიური თავდაცვის განმხორციელებლები;⁶³ ალტერნატიულად, ისინი შეიძლება განხილულიყვნენ, როგორც უშიშროების საბჭოს მიერ დადასტურებული მანდატით მოქმედი ქვეყნები (თუ უშიშროების საბჭოს შეუძლია გამოიყენოს ძალა თავად, მას *a fortiori* შეუძლია მიანიჭოს სხვა ქვეყნებს ანალოგიური ძალის გამოყენების უფლებამოსილება).⁶⁴ მაგრამ კორეაში შესული ჯარები, ალბათ, მაინც უფრო ეროვნული ჯარები იყო და არა გაეროს ძალები.

მშვიდობისათვის გაერთიანების რეზოლუცია

უშიშროების საბჭომ კორეაში მოქმედების დაწყება საბჭოთა ბოიკოტის გამო შეძლო. მომავალში ასეთი რამ უკვე აღარ იყო მოსალოდნელი. კორეის ომის დაწყების შემდეგ დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ გენერალური ასამბლეის გაძლიერებას, რათა ისეთ სიტუაციაში, როდასაც საბჭოთა კავშირის მიერ ვეტოს გამოყენების გამო უშიშროების საბჭო უძლური იყო ემოქმედა, გენერალურ ასამბლეას შეეძლებოდა მოქმედება. წესდების 24-ე მუხლი აკისრებს უშიშროების საბჭოს „უპირველეს პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებაში“,⁶⁵ რაც იმის მტკიცების

საშუალებას იძლეოდა, რომ ეს დებულება არ უშლიდა ხელს გენერალურ ასამბლეას, ეტარებინა მეორადი ან დარჩენილი პასუხისმგებლობა ამ სფეროში – არგუმენტი, რომელიც საერთაშორისო სასამართლომ *ხარჯების საქმეში* (Expenses case) დაადასტურა.⁶⁶ 1950 წლის 3 ნოემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია მშვიდობისათვის გაერთიანების შესახებ, რათა გაეზარდა თავის მიერ ამ მეორადი თუ დარჩენილი პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობები.⁶⁷

უშიშროების საბჭოსგან განსხვავებით, რომელიც „იმგვარად არის ორგანიზებული, რომ მუდმივად შეეძლოს ფუნქციონირება“,⁶⁸ გენერალური ასამბლეა იკრიბება მხოლოდ „რეგულარულ ყოველწლიურ და სპეციალურ სესიებზე გარემოებების მიხედვით“.⁶⁹ შესაბამისად, გენერალური ასამბლეისათვის შეიძლება ძნელი აღმოჩნდეს პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც არასასესიო პერიოდში წარმოიშობა. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მშვიდობისათვის გაერთიანების შესახებ რეზოლუციით გამარტივდა გენერალური ასამბლეის მიერ სპეციალური სესიის მოწვევის პროცედურა. ამ შემთხვევაში გენერალურმა ასამბლეამ გამოიყენა „პროცედურის საკუთარი წესების მიღების“ უფლება.⁷⁰ კომუნისტური ქვეყნებიც კი, რომელთაც 1950 წელს სადავო გახადეს ამ რეზოლუციის კანონიერება, სარგებლობდნენ ამ რეზოლუციით გათვალისწინებული პროცედურით გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევის თაობაზე მოთხოვნის გაკეთებისას (მაგალითად, 1956 წელს სუეცის კრიზისის დროს).⁷¹

მშვიდობისათვის გაერთიანების შესახებ რეზოლუცია განსაზღვრავს, რომ, თუ უშიშროების საბჭო უძლური აღმოჩნდება, შეასრულოს თავისი პირველადი ვალდებულება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის შესახებ, საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს განსახილველად გენერალურ ასამბლეას, რათა მან მიიღოს რეკომენდაციები კოლექტიური ზომების გასატარებლად, საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული ძალების გამოყენების ჩათვლით; ის ასევე რეკომენდაციას აძლევს წევრ ქვეყნებს, მზადყოფნაში ჰყავდეთ შეიარაღებული ძალების საჭირო კონტინგენტი, რომელიც ნებისმიერ დროს შეძლებს იმოქმედოს, „როგორც გაეროს სამხედრო ერთეულმა ... უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით“. იმის თქმა აღარ არის საჭირო, რომ კომუნისტური ქვეყნები განსაკუთრებული კატეგორიულობით შეენინა აღმდევნენ რეზოლუციას ამ ნაწილში. და მისი კანონიერება ნამდვილად იძლევა დაეჭვების საფუძველს. წესდების მე-11(2) მუხლი განსაზღვრავს, რომ „ნებისმიერ... საკითხს, რომელიც ზომების მიღებას მოითხოვს, გენერალური ასამბლეა განსახილველად უშიშროების საბჭოს გადასცემს“, საიდანაც ნათელია, რომ ასეთი მიდგომა უშიშროების საბჭოს „მოქმედების“ მონოპოლიას ანიჭებს.⁷² *ხარჯების საქმეში* საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ „ქმედება“ ნიშნავს „იძულებით ქმედებას“ და განაცხადა, რომ გაეროს მიერ 1956 წელს შექმნილი გაეროს სწრაფი დანიშნულების ძალები ახლო აღმოსავლეთში არ ეწინააღმდეგებოდა მე-11(2) მუხლს, რადგან ის არ იყო გამიზნული იძულებითი ზომების გასატარებლად.⁷³ სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ გენერალური ასამბლეის ქმედება უკანონო იქნებოდა, თუ იგი შექმნიდა ისეთ ძალას, რომელიც მიმართული იქნებოდა იძულებითი ღონისძიებების გატარებისაკენ.

მეორე მხრივ, სახელმწიფოებს წესდების 51-ე მუხლით მინიჭებული აქვთ კოლექტიური თავდაცვის უფლება.⁷⁴ არაფერს შეუძლია ხელყოს გენერალური ასამბლეის უფლება, მისცეს სახელმწიფოებს რეკომენდაცია, გამოიყენონ ეს უფლება აგრესიის მსხვერპლთა დასაცავად; მაგრამ ასეთ შემთხვევაში რთულია სახელმწიფოს ეროვნული ჯარების წარმოჩენა „გაეროს სამხედრო ერთეულად“.

მშვიდობისათვის გაერთიანების შესახებ რეზოლუცია პირველად გამოყენებულ იქნა 1956 წელს ეგვიპტის მიერ საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის სამხედრო მოქმედებების საპასუხოდ სუეცის არხის დაკავების სანი-

⁶⁶ ICJ Rep. 1962, 151, 162-3. იხ. ქვემოთ.

⁶⁷ UNGA Res. 377 (V), UNYb 1950, 193-5. ix. H. Reicher, *The Uniting for Peace Resolution on the Thirtieth Anniversary of its Passage*, Colum. JTL 20 (1981), 1-49; E. Stein/R.C. Morrissey, *Uniting for Peace Resolution*, EPIL 5 (1983), 379-82; B. Nolte, *Uniting for Peace*, in *Wolftrum UNLPP II*, 1341-8.

⁶⁸ Article 28 UN Charter, იხ. T. Schweisfurth, Article 28, in *Simma CUNAC*, 469-80.

⁶⁹ Article 20. იხ. G. Zeiger et al., Article 20, *ibid.*, 339-59.

⁷⁰ Article 21. იხ. M. Schaefer, Article 21, *ibid.*, 360-80.

⁷¹ მაგალითებისათვის იხ. C. Tomuschat, *General Assembly*, in *Wolftrum UNLPP I*, 548-57, at 550; Nolte, *Uniting for Peace*, *op. cit.*, 1346-7.

⁷² იხ. ზემოთ.

⁷³ ICJ Rep. 1962, 151, 165, 171-2. ამ საქმესთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

⁷⁴ იხ. თ. 19.

⁷⁵ იხ. თ. 2.

⁷⁶ იხ. J.E.S. Fawcett, Security Council Resolutions on Rhodesia, BYIL 41 (1965-6), 103; R. Higgins, International Law, Rhodesia, and the UN, The World Today 23 (1967), 94; R.Zaeklin, The United Nations and Rhodesia, 1974; H.Struck, Sanctions: The Case of Rhodesia, 1978; J.Nkala, The United Nations, International Law and the Rhodesian Independence Crisis, 1985; W.Morvay, Rhodesia/Zimbabwe, EPIL 12 (1990), 319-32; V. Gowlland-Debbas, Collective responses to Illegal Acts in International Law: United Nations Action in the Question of Southern Rhodesia, 1990; P.T.Stoll, Conflicts, Rhodesia. Zimbabwe, in Wolftrum UNLPP I, 311-16.

⁷⁷ SC Res.217 (1965), AJIL 60 (1966), 924; ILM5 (1966), 167. მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუციაში გამოიყენება სიტყვა „მოითხოვს“, ეს საავტორიტეტო არ იყო; იხ. BPIL 1965, 101, 176-8.

⁷⁸ SC Res. 221 (1966), AJIL 60 (1966), 925; ILM5 (1966), 534.

⁷⁹ SC Res. 232 (1966), ILM 6 (1967), 141. თანამიმდევრული რეზოლუციები, რომლებიც 39-ე და 41-ე მუხლებს ეფუძნება, ხელახლა ადასტურებენ ამ სანქციების გადამწყვეტილებას; იხ. მაგ. SC Res. 253 (1968) და SC Res. 277 (1970).

⁸⁰ SC Res. 418 (1977), UN Chronical December 1977, 10. ამან საბჭოს მიერ 1963 წელს მიღებული ნებაყოფლობითი სამხედრო ემბარგო საავტორიტეტო გახადა; J.C.Heunis, United Nations versus South Africa, 1986; T.Roeser, The Arms Embargo of the UN Security Council Against South Africa: Legal and Practical Aspects, GYIL 31 (1988), 574-94; L.B.Sohn, Rights in Conflict: The United Nations and South Africa, 1994; Beyerlin, Sanctions, *op. cit.*, 1116-17; P.T.Stoll, Conflicts, South Africa, in Warfrum UNLPP I, 317-29.

⁸¹ იხ. UN Chronicle, 1980, no.1, 13-6.

⁸² იხ. UN Chronicle, 1994, no.4-14. აპარტეიდის დასასრულის დაკავშირებული ერების მონაწილეობის ქრონოლოგიისთვის.

⁸³ იხ. ქვემოთ.

⁸⁴ იხ. თ. 18 და ქვემოთ.

ნაღმდევოდ. შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ითანამშრომლეს და წარმატებასაც მიაღწიეს ეგვიპტიდან უცხოეთის ჯარების გამოყვანაში.⁷⁵ თუმცა გენერალური ასამბლეის მოთხოვნა უნგრეთში საბჭოთა არმიის ინტერვენციის შეწყვეტის შესახებ, რომელიც დროში დაემთხვა სუეცის კრიზისს, უპასუხოდ დარჩა.

როდეზია და სამხრეთ აფრიკა

1965 წლის 11 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის კოლონიის როდეზიის თეთრკანიანმა მოსახლეობამ ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთის აზრისა და აფრიკელი მოსახლეობის (რომელიც მთელი მოსახლეობის 94%-ს შეადგენდა) ნების გაუთვალისწინებლად.⁷⁶ უშიშროების საბჭოს პირველი რეზოლუცია როდეზიაზე, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებისთანავე იქნა მიღებული, ფაქტობრივად, უბრალოდ რეკომენდაციას აძლევდა წევრ სახელმწიფოებს, შეეჩერებინათ ზოგიერთი საქონლით ვაჭრობა როდეზიასთან.⁷⁷ 1966 წლის 9 აპრილს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც უფლებას აძლევდა დიდ ბრიტანეთს, შეემონმეზინა გემები ღია ზღვაში, რათა დარწმუნებულიყო, რომ მათ როდეზიისთვის განკუთვნილი ნავთობი არ გადაჰქონდათ.⁷⁸ 1966 წლის 16 დეკემბერს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, რომ „არსებული მდგომარეობა ... როდეზიაში საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას“ და წევრ სახელმწიფოებს როდეზიასთან გარკვეული საქონლით ვაჭრობის შეწყვეტა დაავალა.⁷⁹ „სანქციები“ შესასრულებლად საავტორიტეტო იყო. მართლაც, 1966 წლის რეზოლუცია როდეზიაზე წარმოაჩინა უშიშროების საბჭოს მიერ 41-ე მუხლის შესაბამისად გაცემული ბრძანების პირველ ნათელ კონკრეტულ შემთხვევას. როდეზიის გარდა, ცივი ომის დროს 41-ე მუხლის თანახმად მხოლოდ ერთხელ გაიცა ბრძანება: 1977 წელს უშიშროების საბჭომ საავტორიტეტო აკრძალვა დაადო სამხრეთ აფრიკაში იარაღის ექსპორტს.⁸⁰ უშიშროების საბჭომ როდეზიაზე სანქციები გააუქმა 460-ე რეზოლუციით (1979), მას შემდეგ, რაც როდეზიის „მთავრობა“ დათანხმდა, გაეუქმებინა ცალმხრივი დეკლარაცია დამოუკიდებლობის შესახებ და ელიარებინა უმრავლესობის მიერ სახელმწიფოს მართვის პრინციპი.⁸¹ საბჭომ შეზღუდვები და ემბარგო სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ გააუქმა 1994 წლის 25 მაისს 919-ე (1994) რეზოლუციით, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა სამხრეთ აფრიკის ახალი (არარასისტული და დემოკრატიული) კონსტიტუცია.⁸² 1994 წლის 23 ივნისს სამხრეთ აფრიკამ დაიბრუნა ადგილი გენერალურ ასამბლეაში.

ზოგიერთი მემარჯვენე პოლიტიკოსი დიდ ბრიტანეთში უარყოფდა, რომ მდგომარეობა როდეზიაში საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობას. მაგრამ 39-ე მუხლი ანიჭებს უშიშროების საბჭოს უფლებას, თავად განმარტოს, თუ რა ქმნის მშვიდობის საფრთხეს,⁸³ ხოლო წევრ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება. არც იმის მტკიცებაა სწორი, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება მოკლებული იყო საფუძველს და იგი მიღებული იყო საბჭოს მიერ თავისი განმარტებითი უფლებამოსილების გადამეტებით (ზოგიერთი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ბათილად ცხადდება, თუ ისინი უსაფუძვლოდ და ამ ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გადაჭარბებით არის მიღებული; მაგრამ არ არის განსაზღვრული, მოქმედებს თუ არა საერთაშორისო სამართლის ანალოგიური წესი უშიშროების საბჭოზე).⁸⁴ როდეზიაში დამოუკიდებლობის ცალმხრივი დეკლარაციის მიღების მთავარ (ერთადერთ) მიზეზს წარმოადგენდა თეთრკანიანი მოსახლეობის (რომელიც მთელი მოსახლეობის 6%-ს შეადგენდა) სურვილი, შეენარჩუნებინათ პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობა აფრიკელებზე. არსებობდა იმის აშკარა რისკი, რომ ადრე თუ გვიან როდეზიელი აფრიკელები ძალადობით

უპასუხებდნენ ამგვარ ქმედებებს, და რისკი, რომ ბრძოლა როდესაც აფრიკელებსა და თეთრ რეჟიმს შორის მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებზეც გავრცელდებოდა; მართლაც, ორივე შიში გამართლდა 1970-იან წლებში. თუ ჩანს, რომ სიტუაცია შეიძლება ასეთი შედეგებით დასრულდეს, მაშინ არ არის ჯანსაღ აზრს მოკლებული მისი შეფასება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის საფრთხის შემქმნელად.

ზოგი უშიშროების საბჭოს მოქმედებებს როდესაცთან დაკავშირებით იმის გამოც აკრიტიკებდა, რომ როდესაც არ წარმოადგენდა სახელმწიფოს⁸⁵ და, შესაბამისად, მას არ დაურღვევია საერთაშორისო სამართლის ნორმები (ეს ორი არგუმენტი ურთიერთდაკავშირებული იყო, რადგან ამტკიცებდა, რომ როდესაც ვერ დაარღვევდა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს, თუ იგი არ იქნებოდა სახელმწიფო). მაგრამ წესდებაში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ მშვიდობას საფრთხე აუცილებლად სახელმწიფომ უნდა შეუქმნას და რომ ის აუცილებლად უნდა მოსდევდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას. 39-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ უშიშროების საბჭოს ფუნქციაა „საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება“ და არა საერთაშორისო სამართლის ნორმების დამრღვევთა დასჯა.

სამხრეთ როდესიისა და სამხრეთ აფრიკის საქმეები, რომლებშიც *inter alia* ბოიკოტის დასაწესებლად ამოქმედებული იყო 41-ე მუხლი, ხშირად მოიყვანება იმის მტკიცებულებად, რომ სახელმწიფოში არსებული გარემოებები, ისეთი, როგორც ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა, თავისთავად შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მშვიდობისათვის საფრთხის შემქმნელი, რაც, VII თავის მიხედვით, სულ მცირე, კოლექტიური ეკონომიკური სანქციების გამოყენებას მაინც იმსახურებს.⁸⁶ თუმცა საეჭვოა, იძლევა თუ არა როდესიის შემთხვევის განსაკუთრებული ხასიათი ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას.⁸⁷ სამხრეთ აფრიკის აპართეიდის რეჟიმის შემთხვევასთან დაკავშირებით კი საგარეო ფაქტორების შესაფერისობა უშიშროების საბჭოს გადწყვეტილებების მიღებისათვის ასევე ბადებს სხვადასხვა კითხვებს,⁸⁸ მაგრამ ის მთლიანობაში მნიშვნელოვან პრეცედენტად რჩება. ამავე დროს, ვინმე შეიძლება ჩაუღრმავდეს ორივე შემთხვევაში „კოლონიური მდგომარეობისა“ და იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო, მიეღო იძულებითი ზომები საკმაო რაოდენობის სხვა შემთხვევებში: როდესაც გვექონდა ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები ცივი ომის დროს, ისეთი, როგორც იყო ბიაფრა (1967-70), კამბოჯა პოლ პოტის რეჟიმის დროს⁸⁹ და სხვა მრავალი.

ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილულ ორ შემთხვევაში უშიშროების საბჭოს არ მიუღია რეზოლუცია, რომელიც მიანიჭებდა ნევერ სახელმწიფოებს შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლებას ზოგადად სამხრეთ როდესიისა და სამხრეთ აფრიკის ტერიტორიებზე. როდესიის საქმეში უშიშროების საბჭოს მიერ დიდი ბრიტანეთისათვის 42-ე მუხლზე დაყრდნობით გაცემული შესაბამისი უფლებამოსილება⁹⁰ ნავთობშიდი ტანკერების წინააღმდეგ იძულებითი ზომების გამოყენებაზე სამხრეთ როდესიისათვის განკუთვნილ ტვირთთან მიმართებაში, რომელიც განსაზღვრული იყო პორტუგალიური მოზამბიკის ბეირას პორტისთვის,⁹¹ ფაქტობრივად, განსაკუთრებულ პირობებში, გამოიყენებოდა მესამე ქვეყნის – დროშის სახელმწიფოს – საბერძნეთის წინააღმდეგ.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში VII თავის შესაბამისად განხორციელებული პრაქტიკა

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, ცვალებადმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ უშიშროების საბჭო, რომელშიც დღეს წამყვანი ადგილი დასავლეთის ქვეყნებს უჭირავთ აშშ-ს ლიდერობით, ახალ და ცენტრალურ პოზი-

⁸⁵ იხ. თ. 5

⁸⁶ იხ. მაგალითისთვის, J. Delbrück, A Fresh Look at Humanitarian Intervention under the Authority of the United Nations, Indiana LJ (1992), 887-901, at 894; P. Foot, Functions and Powers, and Interventions: UN Action in Respect of Human Rights and Humanitarian Intervention, in N.S. Rodley (ed.), To Loose the Bands of Wickedness – International Intervention in Defence of Human Rights, 1992, 149-51, აღწერს უშიშროების საბჭოს დანიშნულებას როდესიის შემთხვევაში, როცა საშუალება შეეძინა საერთაშორისო უსაფრთხოებასა და მშვიდობას, როგორც „სამართლებრივ ფიქცია, რომელიც მასშუალებას აძლევდა მიემართა VII თავისთვის იმ მიზნით, რომ შეეძლებინა გაეროს პოლიტიკა კოლონიური ხალხების თვითგამორკვევასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ კლარაციის 24-ე მუხლის მიზნების უზრუნველსაყოფად, რომ ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში“.

⁸⁷ Frowein, მუხლი 39, *op. cit.*, 612, აღნიშნავს, რომ მსხველდობა მასალების სავაჭარო სიტუაცია სამხრეთ აფრიკაში, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოებთან შეიარაღებულ კონფლიქტის საშიშროებას ქმნის და რომ როდესიის შემთხვევაში გაერთიანებული სამეფო, როგორც სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იყო პასუხისმგებელი ტერიტორიაზე, დაეთანხმებოდა ზომებს.

⁸⁸ იხ. Foot, *op. cit.*, 151-3.

⁸⁹ იხ. A. Rapp/Chapter E. Philipp, Conflict, Cambodia/Kampuchea, in Wolf- rum UNLPP I, 200-8.

⁹⁰ Frowein, მუხლი 39, *op. cit.*, 615-16; მუხლი 42, *op. cit.*, 633-4. დაიბნეოდა, რომ სპეციალური გარეგნობების გამო, საქმე არ უნდა განიხილებოდა, როგორც პრეცედენტი (39-ე მუხლის თანახმად) ზომების გაძლიერების „რეკომენდაციის“ 42-ე მუხლის მიხედვით, არამედ როგორც გადწყვეტილება, მიღებული თავად 42-ე მუხლით.

⁹¹ SC Res. 221 (1966), *op. cit.*

⁹² მაგალითისთვის იხ. P. B. Stephen/B. M. Klimenko (eds), *International Law and Political Security: Military and Political Dimensions* (U. S. Soviet Dialogue Series), 1991; B. B. Ferencz, *New Legal Foundation for Global Survival: Security Through the Security Council*, 1994; D. F. Vagts, *Repealing the Cold War*, *AJIL* 88 (1994), 506-11; W. M. Reisman, *Haiti and the Validity of International Actions*, *AJIL* 89 (1995), 82-4.

⁹³ Higgins (1995), *op. cit.*, at 449.

⁹⁴ SC Res. 598 (1987), იხ. Post/Dakker (eds), *op. cit.*; I. F. Dekker/H. G. Post, *The Gulf War From the Point of View of International Law*, *NYIL* 17 (1986), 75-105; E. David, *La Guerre du golfe et le droit internationale*, *RBDI* 20 (1987), 153-83; C. Gray, *The British Position in Regard to the Gulf Conflict*, *ICLQ* 37 (1988), 420, ნაწილი 2, *ICLQ* 40 (1991), 464; G. Eibach, *Conflicts, Iran/Iraq*, in *Wolftrum UNLPP* 1, 255-61. აგრეთვე ლიტერატურათ. 20.

⁹⁵ იხ. I. Jahn-Koch, *Conflicts, Afghanistan*, in *Wolftrum UNLPP* 1, 179-88.

⁹⁶ SC Res. 435 (1978).

⁹⁷ იხ. N. Bassenge, *Conflicts, Central and South America*, in *Wolftrum UNLPP* 1, 209-24.

⁹⁸ Note by the President of the Council, *UN SCOR*, 47th Session, 3049th Meeting, *UN Doc. S/23500* (1992), *ILM* 31 (1992), 759, at 761.

⁹⁹ Koskenniemi, *op. cit.*, 458 with references.

ციაზე დააყენა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვასთან დაკავშირებით. ⁹² როგორც როზალინ ჰიგინსმა აღნიშნა:

ცივი ომის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა შეერთებული შტატების მიერ ძალის ცალმხრივად გამოყენება გაეროს გვერდის ავლით. მას შემდეგ, რაც მისი საკუთარი მიზნები დაემთხვა გაეროს მიზნებს ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობის შემთხვევაში, შეერთებულ შტატებში დანასეს გაეროს საგარეო პოლიტიკის ცენტრად გადაქცევის უპირატესობა. ძველი, მტრულად განწყობილი საბჭოთა კავშირის გაუჩინარებამ უფრო კომფორტული გარემო შექმნა უშიშროების საბჭოში. შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის მნიშვნელოვანი საერთო ინტერესი არსებობდა მშვიდობისა და უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით, რასაც ასევე ბევრი საერთო ჰქონდა რუსეთის ფედერაციის ინტერესებთანაც. ჩინეთთან დაკავშირებით სიტუაცია კვლავ რთულია, მაგრამ ის არ გრძნობს თავს საკმარისად ძლიერად იმისთვის, რომ ვეტო გამოიყენოს. ⁹³

უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს შორის ახალი თანამშრომლობის სწრაფი შედეგი იყო პირველი ყურის ომის დასრულება 1988 წლის აგვისტოში. ⁹⁴ 1989-90 წლებში საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან იმ გეგმის საფუძველზე განხორციელდა, რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი მედიატორობდა. ⁹⁵ 1989 წელს აფრიკაში კუბამ ანგოლიდან გაიყვანა ჯარები, ხოლო 1990 წლის მარტში ნამიბიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა უშიშროების საბჭოს 1978 წელს მიღებული რეზოლუციის საფუძველზე. ⁹⁶ გაეროს მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა ცენტრალური ამერიკის კონფლიქტების მოგვარებაში. ⁹⁷ თუმცა ორი ძირითადი მოვლენა, რამაც ბიძგი მისცა გაეროს როლის გაძლიერებას, იყო 1990 წლის აგვისტოში ერაყის შეჭრა ქუვეითში, რასაც 1991 წელს მოჰყვა წესდების VII თავის საფუძველზე განხორციელებული მოკავშირეთა სამხედრო აქცია, და ძირითადად ეთნიკურად ინსპირირებული, ქვეყნის საშინაო კონფლიქტებში მომხდარი მასობრივი ძალადობა, როგორც იყო ტრაგედიები იუგოსლავიაში, სომალისა და რუანდაში.

უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის ახალმა დამოკიდებულებამ გამოხატულება პოვა 1992 წლის იანვარში უშიშროების საბჭოს არსებობის მანძილზე სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა დონეზე პირველ შეხვედრაზე მიღებულ უმნიშვნელოვანეს განცხადებაში. განცხადებაში ხაზი გაესვა, რომ

არასტაბილურობის არასამხედრო წყაროები ეკონომიკურ, სოციალურ, ჰუმანიტარულ და ეკოლოგიურ სფეროებში საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას. ⁹⁸

დროის მოკლე მონაკვეთში, 1990-დან 1995 წლამდე, უშიშროების საბჭომ მანამდე არნახული აქტიურობა გამოამჟღავნა. რვა შემთხვევაში გატარდა კოლექტიური ზომები VII თავის ამოქმედებით: ერაყის, ლიბერიის, ყოფილი იუგოსლავიის, ლიბიის, სომალის, ანგოლის, ჰაიტიისა და რუანდის მიმართ. თითოეულ ამ შემთხვევაში სავალდებულო სანქციები წესდების 41-ე მუხლს ეფუძნებოდა. ⁹⁹ საბჭომ ხუთ შემთხვევაში გასცა სანქცია ძალის გამოყენებაზე (ერაყი, სომალი, ყოფილი იუგოსლავია, რუანდა და ჰაიტი). ეს უკანასკნელი ხუთი შემთხვევა ქვემოთ იქნება განხილული.

ქუვეითის დაპყრობა ერაყის მიერ

როდესაც 1990 წლის 2 აგვისტოს სადამ ჰუსეინი ქუვეითში შეიჭრა და იგი ერაყის მწვიდმეტე პროვინციად გამოცხადა, უშიშროების საბჭო დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ მოვლენას: დაადანაშაულა ერაყი მშვიდობისა და უშიშ-

როების დარღვევაში და მოსთხოვა მას დაუყოვნებლივი და უპირობო გამოსვლა ქუვეითიდან.¹⁰⁰ ერაყი არ დაემორჩილა ამ მოთხოვნებს და შედეგად უშიშროების საბჭომ ოცდაათზე მეტი რეზოლუცია გამოსცა კონფლიქტისა და მისი შედეგების შესახებ. 1990 წლის 6 აგვისტოს მან ერაყსა და ქუვეითზე *inter alia* სამხედრო და სავაჭრო ემბარგო დაანება¹⁰¹ და დააარსა კომიტეტი სანქციების შესრულებაზე ზედამხედველობის გასანებად.¹⁰² 1990 წლის 25 აგვისტოს სანქცირებული საზღვაო ბლოკადის შემდეგ,¹⁰³ 1990 წლის 28 ნოემბერს უშიშროების საბჭომ ბოლოს და ბოლოს მიიღო 678-ე რეზოლუცია. საბჭო, რომელიც „წესდების VII თავის შესაბამისად მოქმედებს „უფლებას აძლევს

წევრ სახელმწიფოებს, ითანამშრომლონ ქუვეითის მთავრობასთან ყველა საჭირო ზომის გამოყენებით 660-ე (1990) და ყველა შემდგომი რეზოლუციის შესასრულებლად და აღადგინონ საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება რეგიონში, თუ ერაყი 1991 წლის 15 იანვრამდე არ შეასრულებს მანამდე მიღებულ რეზოლუციებს პირველი პუნქტით დადგენილი წესის თანახმად.¹⁰⁴

1991 წლის 16-17 იანვარს კოალიციურმა ძალებმა აშშ-ს ხელმძღვანელობით დაიწყეს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ ერაყსა და ქუვეითში ერაყის სამიზნეებზე საჰაერო თავდასხმით, რასაც 24 თებერვალს ძირითადი სახმელეთო შეტევა მოჰყვა. 28 თებერვალს, მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა ძალებმა დაიკავეს ქუვეითი და სამხრეთ ერაყის ნაწილი, შეტევები შეწყდა.

ეჭვს არ იწვევს, რომ 678-ე რეზოლუციაში სიტყვები „გამოიყენონ ყველა საჭირო ზომა“ სახელმწიფოებს აძლევდა სამხედრო ძალის გამოყენების უფლებას. მაგრამ არსებობს უამრავი სხვა სამართლებრივი პრობლემა, რომლებიც წარმოიშვა ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ დაწყებასთან დაკავშირებით და რამაც გარკვეული ნუხილის საფუძველი წარმოშვა. ერთ-ერთი საკითხი ის არის, აქვს თუ არა უფლება უშიშროების საბჭოს, გადასცეს 42-ე მუხლის შესაბამისად სამხედრო ძალების გამოყენების თავისი უფლებამოსილება წევრ სახელმწიფოებს და მისცეს მათ უფლება, გამოიყენონ ჯარები საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, რაიმე სახის კონტროლის განხორციელების უფლების მოთხოვნის გარეშე.¹⁰⁵ სადავოა საკითხი, მოქმედებს თუ არა უშიშროების საბჭო VII თავთან ზუსტ შესაბამისობაში, რადგან იძულებითი ღონისძიებები, 46-47-ე მუხლების თანახმად, უშიშროების საბჭოსა და სამხედრო-სამტაბო კომიტეტის კონტროლით უნდა განხორციელდეს.¹⁰⁶

ამასთან აღსანიშნავია, რომ გაერო არ არის კარგად ორგანიზებული იმისთვის, რომ ეფექტურად განხორციელოს რთული სამეთაურო და მაკონტროლებელი ფუნქციები, რაც თან ახლავს კომპლექსურ სამხედრო ოპერაციებს. უფრო მეტიც, ასევე ნათელია, რომ რეალურად აშშ არ იქნებოდა მზად, ელიარებინა სხვისი კონტროლი როგორც საკუთარ ჯარებზე, ისე მოკავშირეებთან თანამშრომლობაზე. ნათელია, რომ შეერთებული შტატების მეთაურობის გარეშე, არსებულ გარემოებებში, გაეროს ეგიდით ეს აქცია საერთოდ არ განხორციელდებოდა, თუმცა შეიძლება მოკავშირეები დახმარებოდნენ ქუვეითს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად კოლექტიური თავდაცვის უფლების ფარგლებში.¹⁰⁷ მიუხედავად ამისა, კოალიციური ძალებისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭებამ წარმოქმნა იმ ბრალდების საფუძველი, რომ უშიშროების საბჭო შეერთებულმა შტატებმა „გაიტაცა“.¹⁰⁸

მეორე პრობლემა უკავშირდებოდა იმ მოსაზრებას, უნდა დალოდებოდა თუ არა საერთაშორისო თანამეგობრობა უფრო მეტ ხანს ეკონომიკური სანქციების სასურველ შედეგს, სანამ გამოიყენებდა შეიარაღებულ ძალებს შესაბამისი მძიმე შედეგებით ერაყის მშვიდობიანი მოსახლეობისათვის.¹⁰⁹ ფაქტობრივად, ეს პოლიტიკური საკითხია, რომელშიც მრავალმა სამხედრო მოსაზრებამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა (მათ შორის – რეგიონში მოკავ-

¹⁰⁰ SC Res. 660 (1990), 1323. *ob. Agora: The Gulf Crisis in International and Foreign Relations Law*, AJIL 85 (1991), 63 და 506; C.Greenwood, *Iraq's Invasion of Kuwait: Some Legal Issues*, *The World Today* (March 1991), 39; D.Raic, *The Gulf Crisis and the United Nations*, LJIL 4 (1991), 119; D. W. Greig, *self-Defence and the Security Council: What Does Article 51 Require?*, ICLQ 40 (1991), 366; N.Schrijver, *The United Nations and the Use of Force: Comparing the Korea and the Gulf Crisis from a Legal Perspective*, in P.J.v.Kieken/C.O.Pannenberg (eds), *Liber Akkerman, In-and Outlaws in War*, 1991, 255; L.C.Green, *The Gulf War, the UN and the Law of Armed Conflict*, AVR 28 (1991), 369; C.Dominicé, *La Sécurité collective et la crise du Golfe*, EJIL 2 (1991), 85; B. Conforti, *Non-Coercive Sanctions in the United Nations Charter: Some Lessons from the Gulf War*, *ibid.*, 110; *Entre les lignes: La guerre du golfe et le droit international* (Seminar of the Law Faculty University of Brussels), 1991; C. Warbrick, *The Invasion of Kuwait by Iraq*, ICLQ 40 (1991), 482, ნაწილი II, 965; E. Lauterpacht at al. (eds), *The Kuwait Crisis: Basic Documents*, Vol. I, 1991; S.Suchnirkul, *The Process of Peace-Making Following Operation "Desert Storm"*, AJPI 43 (1992), 1; R.Lavalle, *The Law of the United Nations and the Use of Force, under the Relevant security Council resolutions of 1990 and 1991, to resolve the Persian Gulf Crisis*, NYIL 23 (1992), 3-65; K.H.Kaikobad, *Self-Defence, Enforcement Action and the Gulf Wars, 1980-88 and 1990-91*, BYIL 63 (1992), 299-366; J.N.Moore, *Crisis in the Gulf: Enforcing the Rule of Law*, Vol. 1, 1992; T.Eitel, *The Escape and Parole of the Imprisoned God of War: An Overview of Second Gulf War from the Perspective of International Law*, GYIL 35 (1992), 170; P.Rowe (ed.), *The Gulf War 1990-1991 in International and English Law*, 1993; M.Weller (ed.), *Iraq and Kuwait: The Hostilities and Their Alternatives*, 1993; D.Campbell, *Politics Without Principle: Sovereignty, Ethics, and the Narratives of the Use of Force in the Gulf Crisis*, 1994; C.Gray, *After the Cease-fire: Iraq, the security Council and the Use of Force*, BYIL 65 (1994); J.A.Frowein, *Gulf Conflict (1990/1991)*, EPIL II (1995), 643-7; *The United Nations and the Iraq-Kuwait Conflict 1990-1996*, UN Blue Book Series, Vol. IX, 1996.

¹⁰¹ SC Res. 661 (1990), ILM 29 (1990), 1325.

¹⁰² *ob. P. Conlon, Lessons*

From Iraq: The Functions of the Iraq Sanctions Committee as a Source of Sanctions Implementation Authority and Practice. Virginia JIL 35 (1995), 633-68.
¹⁰³ SC Res. 665 (1990), ILM 29 (1990), 1329.
¹⁰⁴ SC Res. 678 (1990), *ibid.*, 1565.

¹⁰⁵ M. Bothe, *The Legitimacy of the Use of Force to Protect the Rights of Peoples and Minorities*, in C. Brolmann/ R. Lefeber/ M. Zieck (eds), *Peoples and Minorities in International Law*, 1993, 289-99, at 296. მისი შეხედულება იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოს სამშვიდობო ოპერაციები გულისხმობს ცალმხრივად ძალის გამოყენების რეალურ ალტერნატივას. ამდენად, არ არის უშიშროების საბჭოს როლი, მსცეს თავისი ურთავადასი ცალმხრივად მოქმედება. იხ. Schachter (1991), *International Law*, *op. cit.*, 396-9.

¹⁰⁶ იხ. მაგალითად B. Urquhart, *The UN and International Security after the Cold War*, in Roberts/Kingsbury (eds), *op. cit.*, 80, at 83.

¹⁰⁷ იხ. თ. 19, Res. 678 და ქართის 42 და 51 მუხლებს შორის ურთიერთობებზე დისპუტი იხ. Frowein, Article 42, *op. cit.*, at 634-5.

¹⁰⁸ იხ. მაგალითად Critical Article by B.H. Weston, *Security Council Resolution 678 and Persian Gulf decision-Making: Precarious Legitimacy*, AJIL 85 (1991).
¹⁰⁹ იხ. თ. 1, 5 და 20.

¹¹⁰ იხ. L. Rosenzweig, *United Nations Sanctions: Creating a More Effective Tool for the Enforcement of International Law*, AJIL 48 (1995), 161-95.
¹¹¹ Urquhart, *op. cit.*, იხ. შემდგომ D.L. Bethlehem (ed.), *The Kuwait Crisis: Sanctions and their Economic Consequences*, 1991.

¹¹² Agenda for Peace. United Nations, 1992, 24. საკითხი გადამონშებულ იქნა გაეროს ყოფილი იურიდიული მრჩეველსა და დელეგაციის სახელმძღვანელოს სსაპაროლოს მოსამართლის ს. ა. ფლაიმზაუტერის მიერ. *Wirtschaftliche Zwangsmaßnahmen in Recht und Praxis der Weltorganisation*. VN (1991), 41.

¹¹³ SC Res. 687 (1991), ILM 30 (1991), 84.

¹¹⁴ იხ. T. Maruhn, *The Implementation of Disarmament and Arms Control Obligations Imposed Upon Iraq* the security Council, ZaöRV 52 (1992), 781-803; M. Weller/ P. Hatfield (eds), *The Control and Monitoring of Iraqi Weaponry of Mass Destruction*, 1996.

¹¹⁵ იხ. თ. 10.

შირეთა ჯარების შექმნა; ამ ჯარების ყოფნა საუდის არაბეთში; კლიმატური პირობები). წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე სერიოზულ ეჭვს იწვევს ეკონომიკური სანქციების ზოგადი ეფექტურობა, რომელიც ადასტურებს, რომ ეკონომიკური სანქციები უფრო პოლიტიკური და სიმბოლური დატვირთვის მატარებელია, ვიდრე რეალური შედეგის მომტანი.¹¹⁰ მაგრამ ამასთან არსებობს სამართლებრივი საკითხებიც, კერძოდ, წესდების 42-ე მუხლის ფორმულირების თანახმად და 41-ე მუხლში გამოხატული პოზიციის გათვალისწინებით, სამხედრო ძალის გამოყენებაზე სანქციის მიცემამდე უშიშროების საბჭომ ოფიციალურად უნდა დაადგინოს თუ არა, რომ ეკონომიკური და სხვა სანქციები არაეფექტურია.¹¹¹ როგორც ვარაუდობენ, ასეთი მოთხოვნის წამოჭრამ შეიძლება ზედმეტად გაართულოს საკითხი. თუ უშიშროების საბჭო გადაწყვეტს 42-ე მუხლის შესაბამისად ზომების გატარებას, ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მან ყველა სხვა ზომა არაადეკვატურად ჩათვალა და უკვე აღარ აქვს აზრი იმის გამოკვლევას, სამართლებრივი თვალსაზრისით რა სარგებლობა შეიძლება მოეტანა ამ პოზიციის დოკუმენტურად დასაბუთებას, გარდა იმისა, რომ შეიძლება დაწყებულიყო ახალი დამატებითი დებატები სანქციების არაადეკვატურობაზე, რადგან ეს საკითხი ცალკე გადამწყვეტილების მიღებას მოითხოვს.

მესამე პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, უკავშირდება გაეროს წესდების 50-ე მუხლს, რომლის თანახმადაც უშიშროების საბჭოს მიერ იძულებითი ზომების დამტკიცების შემთხვევაში, ნებისმიერ სახელმწიფოს (და არა მხოლოდ გაეროს წევრ სახელმწიფოს),

რომელიც აღმოაჩენს, რომ ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად მას განსაკუთრებული ეკონომიკური პრობლემები ექმნება, უფლება აქვს კონსულტაციები გამართოს უშიშროების საბჭოსთან ამ პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით.

ამ მუხლის შესაბამისად, ბევრი სახელმწიფო ცდილობდა, მიეღო კომპენსაცია ზარალისათვის, რომელიც უშუალოდ მათ ან მათ კომპანიებს მიადგა ერაყის წინააღმდეგ გაეროს სანქციების განხორციელებით, მაგრამ ასეთი მცდელობები უშედეგოდ მთავრდებოდა, რამაც თავის მხრივ შეიძლება მომავალში უარყოფითი გავლენა იქონიოს წევრ სახელმწიფოთა მიერ გაეროს სანქციების შესრულებაზე. შედეგად, ამ პრობლემის გადაწყვეტისაკენ მიმართული ღონისძიებები წამოაყენა გენერალურმა მდივანმა „მშვიდობისათვის პროგრამაში“.¹¹²

ერაყს დაეკისრა მკაცრი სანქციები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1991 წლის 3 აპრილის ისტორიული 687-ე რეზოლუციით, რომელიც გაეროს ფრაზეოლოგიაში მოიხსენიებოდა, როგორც „ყველა რეზოლუციის დედა“ მისი მოცულობისა და გამოყენების ფართო სფეროს გამო.¹¹³ რეზოლუცია ერაყისაგან *inter alia* მოითხოვს მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობას ან გატანას, ბირთვული და ქიმიური იარაღისა და 150 კმ-ზე მეტი მოქმედების რადიუსის რაკეტების ჩათვლით (კოალიციასთან ბრძოლების დროს ერაყი ცდილობდა არაბული ქვეყნების დახმარებისა და მხარდაჭერის მოპოვებას ისრაელზე სარაკეტო შეტევებით, ისევე როგორც პირველი ყურის ომის დროს უტყვედა თეირანს). ერაყის განიარაღება გაეროს ზედამხედველობითა და კონტროლით ხორციელდება.¹¹⁴ სხვა საკითხები, რომელთაც 687-ე რეზოლუცია ეხება, მოიცავს ერაყსა და ქუვეითს შორის საზღვრის დადგენას;¹¹⁵ საზღვრის მონიტორინგს გაეროს ერაყ-ქუვეითის სასაზღვრო კომისიის მიერ; ქუვეითისთვის ქონების დაბრუნების კოორდინაცია; ზედამხედველობის განწევას გაეროს სანქციების კომისიის მიერ ერაყზე დადებული სამხედრო და სავაჭრო ემბარგოს შესრულებაზე, რომელიც ნავთობის ექსპორტის აკრძალვასაც მოიცავდა. ერაყისათვის საკვებისა და მედიკამენტების მნიშვნელოვანი მარაგის შეტანის მიზნით 1995 წლის 4 აპ-

რილს უშიშროების საბჭომ მიიღო 986-ე რეზოლუცია (1995), რომლის თანახმადაც, გარკვეული პირობების შესრულებისა და მკაცრი კონტროლის ქვეშ, სახელმწიფოებს ეძლეოდათ ერაყიდან ყოველ ოთხმოცდაათ დღეში 1 მილიარდი აშშ დოლარის საერთო ღირებულების ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტის უფლება. ერაყმა უარი განაცხადა, ელიარებინა გარიგება „ნავთობი პროდუქტების სანაცვლოდ“, რადგან თვლიდა, რომ ამით იბღალბებოდა მისი სუვერენიტეტი. საბოლოო შეთანხმება ამ საკითხზე მიღწეულ იქნა 1996 წლის მარტში, როდესაც ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ერაყსა და გაეროს სამდივნოს შორის.¹¹⁶

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული, ანაზღაურების რეჟიმში მომხდარი სიახლეებია, რომლებიც ერაყს ასევე VII თავის საფუძველზე დაეკისრა უშიშროების საბჭოს მიერ.¹¹⁷ უკვე 1990 წლის ოქტომბერში უშიშროების საბჭომ ერაყს შეახსენა, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, იგი პასუხისმგებელი იყო ქუვეითისათვის, სხვა სახელმწიფოების, კომპანიებისა და მოქალაქეებისათვის მიყენებულ ყველა ზარალზე, რაც ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობას მოჰყვა.¹¹⁸ ერაყის დამარცხების შემდეგ საბჭომ 1991 წლის 2 მარტს მიღებულ რეზოლუციაში,¹¹⁹ როგორც ცეცხლის შეწყვეტის პირობის ნაწილი, მოსთხოვა ერაყს მისი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების „ოფიციალურად“ აღიარება. 687-ე რეზოლუციის მე-16 პუნქტი ადასტურებდა (VII თავის თანახმად),

რომ ერაყი, 1990 წლის 2 აგვისტომდე არსებული ერაყის ვალებისა და ვალდებულებების ზიანის გარეშე, რომელიც დადგენილი წესით შესრულდება, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, პასუხისმგებელია ნებისმიერ პირდაპირ ზარალზე, ზიანზე, გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და ბუნებრივი რესურსების განადგურების ჩათვლით, ან უცხოეთის მთავრობებისთვის, კომპანიებისა და მოქალაქეებისათვის მიყენებულ ზარალზე, რაც მოჰყვა ერაყის უკანონო შეჭრას ქუვეითში და მის ოკუპაციას.¹²⁰

ამ რეზოლუციის საფუძველზე 1991 წლის 20 მაისს მიღებული რეზოლუციით უშიშროების საბჭომ შექმნა საკომპენსაციო ფონდი და გაეროს კომპენსაციების კომისია (UNCC) შექმნა.¹²¹ UNCC არის უშიშროების საბჭოს დამხმარე ორგანო, ხოლო მისი მთავარი პოლიტიკური ორგანო – მმართველი საბჭო – ზუსტად იმეორებს უშიშროების საბჭოს შემადგენლობას. ორგანოს მთავარი მიზანია, მოაგვაროს ერაყის წინააღმდეგ ასზე მეტი ქვეყნის მიერ წარდგენილი უპრეცედენტო რაოდენობის – 2,6 მილიონზე მეტი – სარჩელი, რომლებიც იწყება ერაყიდან ან ქუვეითიდან დეპორტირებული პირების, ასევე იმ პირთა მასობრივი სარჩელებით, ვინც განიცადა ფიზიკური ზიანი ან სანარმოო, ქონებრივი და საქმიანი ზარალი, გრძელდება მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მრავალი სახის სარჩელით და მთავრდება ახლად წარდგენილი სარჩელებით ერაყის მიერ გარემოსათვის მიყენებულ ზიანზე (ერაყს ბრალი ედება, რომ იგი იყენებდა ნავთობს სპარსეთის ყურის დასაბინძურებელ იარაღად და აქცევდა ან წვავდა ქუვეითის ნავთობის წყაროებს ომის პერიოდში), რამაც მთლიანობაში 160 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. არსებობდა მრავალი სამართლებრივი კითხვა ამ ახალი ორგანოს დაარსებასა და საქმიანობის ფორმებთან დაკავშირებით, რომელიც არა არბიტრაჟის ან გასამართლების ადგილია,¹²² არამედ წარმოადგენს სარჩელების ადმინისტრირების სისტემას, ხშირად მოკლე ფორმით, რომლის თანახმადაც, მოპასუხე ქვეყანას (ერაყი) ჩამორთმეული ჰქონდა ყოველგვარი სტატუსი და მას დაეკისრა ემბარგოს მოხსნის შემდეგ ნავთობის გაყიდვიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავლის 1/3-ის გადარიცხვა ფონდში. თუმცა ამ საკითხის განხილვა სცდება ამ წიგნის ჩარჩოებს.¹²³

¹¹⁶ ILM 35 (1996), 1095. იხ. აგრეთვე, UN Chronicle, no. 2, 1996, 14-18. თუმცა ეს გარიგება მოგვიანებით შეჩერდა, როდესაც 1996 წლის სექტემბერში ერაყის ძალები ქურთების ლიდერის ბარზანის თხოვნით ირაყის არმიის წინააღმდეგ აღადგინეს უსაფრთხოების ზონაში მიმდინარე ქურთების სამოქალაქო ომში, რასაც მოჰყვა აშშ-ს მიერ ცალმხრივად (ხოლოდ გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერით) საზღვარგარეთში სამხედრო სამიზნეების განადგურება.
¹¹⁷ ამ რეჟიმის კანონიერებაზე კრიტიკული შეფასებისათვის იხ. B. Gaeffrath, Iraq: Reparation and the security council ZaRV 55 (1995), 1-68. იხ. აგრეთვე E.J. Garmise, The Iraqi Claims Process and the Ghost of Versailles, NYULR 67 (1992), 840-76; A.A. Levy, The Persian Gulf War Cease-fire agreement Compared with the Japanese Peace Treaty in terms of Reparations and Reconstruction, Dick. JIL 10 (1992), 541-66.
ჩვეულებრივ, ომის შედეგად მიყენებულ ზარალზე იხ. A. Steinkamm, EPIL 4 (1982), 298-301; V. Gowlland-Debbas, Security Council Enforcement Actions and Issues of State Responsibility, ICI Q 43 (1994), para. 8.
¹¹⁸ SC Res. 674 (1990), para. 8.
¹¹⁹ SC Res. 686 (1991), para 1(b).
¹²⁰ SC Res. 687 (1991), *op. cit.*
¹²¹ SC Res. 692 (1991).
¹²² იხ. თ. 18.
¹²³ იხ. Malanczuk, International Business and New Rules of state Responsibility? – The Law Applied by the United Nations (Security Council) Compensation Commission for Claims against Iraq, in K.H.Böcksteig (ed.), Perspectives of Air Law, Space Law for the Next Century, 1996, 117-64; R.Lillich (ed.), The United Nations Compensation Commission, 1995; R.J. Bettauer, The United Nations Compensation Commission – Developments Since October 1992, AJIL 89 (1995), 416-23. ერაყის წინააღმდეგო საბრალდებო განცხადებების დოკუმენტები და UNCC გადანაცვლებები-2 არის ILM 30 (1991)-ში, 1703; UNCC გადანაცვლებები-3-13 და ასოცირებული Report-ი ხელახლა გამოცემულია ILM 31 (1992)-ში, 1009; UNCC გადანაცვლებები-14 და ასოცირებული Panel Reports და Recommendations ILM 34 (1995)-ში, 235; და UNCC გადანაცვლებები 24, 30, 35 და ასოცირებული Panel Reports ILM 35 (1996)-ში, 939 (Introductory Note by D.D. Caron).

¹³⁷ UN Doc.S/PV.2982,5. April 1991 (Provisional), 55-6.

¹³⁸ *ib. Malanczuk (1991), op. cit., at 129.*

¹³⁹ ILM 30 (1991), 862 (annex, para.6); *ib. Malanczuk (1991), op. cit., at 129-30.*

¹⁴⁰ *ib. L. Minear, Humanitarian Intervention in a new World Order, Overseas Development Council, Policy Focus (1992), 1, at 2 et seq.*

ლეობის რეპრესიებთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სერიოზულად იყო შემოფოთებული „ამით გამოწვეული ადამიანების ტანჯვის მასშტაბებით,“ მაგრამ ის ასევე კიდევ ერთხელ ადასტურებს „წევრ სახელმწიფოთა პატივისცემას ერაცისა და საერთოდ რეგიონის თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი.“

გენერალური მდივნისათვის ჰუმანიტარული ფუნქციების მინიჭების გარდა, 688-ე რეზოლუცია, პრაქტიკულად, მხოლოდ ერაცის ოფიციალური გაკიცხვით შემოიფარგლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინეთი, ალბათ, ვეტოს უფლებას გამოიყენებდა. ჩინეთმა მას შემდეგ, რაც გამოხატა თავისი წუხილი ერაცში შექმნილ სიტუაციაზე, თურქეთსა და ირანში ლტოლვილთა ნაკადსა და მის შედეგებზე ამ ქვეყნებისათვის, თავის შეკავება შემდეგი განცხადებით განმარტა:

და მაინც, ეს ძალიან რთული საკითხია, რადგან იგი ასევე ქვეყნის საშინაო საქმეებს ეხება. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უშიშროების საბჭომ არ უნდა განიხილოს ან მიიღოს ზომები საკითხებზე, რომლებიც რომელიმე სახელმწიფოს საშინაო საქმეებს მიეკუთვნება. რაც შეეხება ამ საკითხის საერთაშორისო ასპექტებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი შესაბამისი არხების მეშვეობით უნდა გადაწყდეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ გენერალურ მდივანს ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების განწვევაში შესაბამისი ორგანიზაციების მეშვეობით.¹³⁷

ასევე საინტერესოა, რომ „უსაფრთხო თავშესაფრების“ გეგმას გაეროს გენერალური მდივანი გამოეხმაურა იმ საკითხის დაუყოვნებლივ წამოჭრით, შეიძლებოდა თუ არა ქურთებისათვის ანკლავების შექმნის ვალდებულების დაკისრება ერაცისათვის მისი სუვერენიტეტის უგულვებელყოფით. 17 აპრილს მან გამოთქვა შეხედულება, რომ უცხო ჯარების ნებისმიერი შეყვანა ერაცის ჩრდილოეთში ერაცის თანხმობას საჭიროებდა.¹³⁸ ერაცმა დაგმო მოკავშირეთა მოქმედებები, მაგრამ საპასუხოდ სამხედრო ძალა არ გამოუყენებია. ის ჰუმანიტარული დახმარების განწვევაზე მოლაპარაკებებს განაგრძობდა ორივე მიმართულებით – გაეროს მისიასთან, რომელსაც ერიკ სუი (გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი) ხელმძღვანელობდა და გაეროს სააგენტოშორისო მისიასთანაც, რომელსაც ხელმძღვანელობდა სადრიდინ-ალა-ხანი (გაეროს გენერალური მდივნის აღმასრულებელი დელეგატი გაეროს ჰუმანიტარული პროგრამისთვის ერაცში, ქუვეითსა და ერაც-ირანისა და ერაც-თურქეთის სასაზღვრო ზონებში). შეთანხმებები დაიდო 1991 წლის 18 აპრილსა და მაისში.¹³⁹ ალა-ხანმა და ერაცმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს გაეროს როლთან დაკავშირებით ერაცისათვის ჰუმანიტარული დახმარების განწვევაში. ერაცის მთავრობასთან 1991 წლის 17-18 მაისს განხორციელებული განხილვების საფუძველზე ამ მემორანდუმის დანართით განისაზღვრა დაახლოებით 500 „გაეროს ზედამხედველისა“ და მათი მსუბუქი შეიარაღების განლაგების დეტალები. მაშასადამე, „გაეროს ზედამხედველების“ განლაგება ერაცის მთავრობის თანხმობას ემყარებოდა.

წარსულში ე.წ. „მესამე მსოფლიოს“ სახელმწიფოთა რეაქცია მოკავშირეთა ინტერვენციაზე გენერალური ასამბლეის 1991 წლის ნოემბრის დებატების დროს, რომელიც ჰუმანიტარული კრიზისების საპასუხოდ გაეროს შესაძლებლობების გაძლიერებას ეხებოდა, აჩვენებს, რომ გადარჩენის ოპერაციებში ბევრი ხედავდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის ფუნდამენტურ ხელყოფას ნეგატიური გართულებებით.¹⁴⁰ ერიკ სუი ასევე მიიჩნევს, რომ მოკავშირეთა ინტერვენცია შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე განხორციელებული ცალმხრივი აქცია იყო. იგი აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა ქმედებები არავის დაუგმია (რაც, რამდენადაც უშიშროების საბჭო მოიაზრება, თავისთავად მოითხოვს, დავამატოთ, რომ ნაკლებად მოსალოდნელი იყო სამი მოკავშირე

სახელმწიფოს ვეტოს უფლების გათვალისწინებით) და ასევე აცხადებს, რომ ოპერაციას მხარს უჭერდა „მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი“. მაგრამ სუი მიდის დასკვნამდე, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს მოქმედება უკანონო იყო და მას, როგორც ერთჯერად პრეცედენტს, არ შეეძლო შეექმნა ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმა.¹⁴¹

სიმართლეს შეესაბამება, რომ 688-ე რეზოლუცია, რომელიც მოკავშირეების მიერ გამოყენებულ იქნა, როგორც სამართლებრივი საფუძველი არა მარტო ქურთებთან დაკავშირებული აქციისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ გაემართლებინათ ერაყის თავზე არასაფრენი ზონების შემოღება და, ნაწილობრივ მაინც, ერაყის მიერ გაეროს რეზოლუციების დარღვევებზე დამატებით სხვა მიზეზის გამო ერაყში და ერაყის წინააღმდეგ 1992 წლის იანვარში შეიარაღებული საჰაერო დარტყმების დასაკანონებლად,¹⁴² არ იძლევა ასეთი მტკიცების საფუძველს. მაგრამ კიდევ უფრო რთულია ქურთების დაცვის მიზნით განხორციელებული ინტერვენციის კანონიერებისა თუ უკანონობის საკითხი. პირველი, კვლავ სადავოა საკითხი – შესაძლებელია თუ არა, რომ ცალმხრივი, არაუფლებამოსილი, ჰუმანიტარული ინტერვენცია ჯერ კიდევ იყოს *de lege lata* დასაშვები განსაკუთრებულ გარემოებებში.¹⁴³ მეორე, ფაქტობრივი გარემოებების უფრო დეტალურ ანალიზს უნდა გამოეკვლია, ერაყმა, ოფიციალური პროტესტის მიუხედავად, მოგვიანებით განაცხადა თუ არა ფაქტობრივად დუმილით თანხმობა¹⁴⁴ გადარჩენის ოპერაციაზე. მესამე, ასევე რთული საკითხია, შეიძლება თუ არა აქცია, როგორც ე.წ. „დამასრულებელი ზომა“, იზოლირებული იყოს სპარსეთის ყურის ომის ზოგადი კონტექსტისგან, საბჭოს მიერ იძულებითი აქციის ადრინდელი სანქციონირებისა და/ან კოლექტიური თავდაცვის განხორციელების ჩათვლით.¹⁴⁵ მიუხედავად ამისა, დასკვნა ასეთია: 688-ე რეზოლუცია თავისთავად არ წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს და, როგორც ასეთი, არ არის პრეცედენტის ძალის მქონე 42-ე მუხლის შესაბამისად იძულებითი ჰუმანიტარული ზომების გამოყენებაზე უშიშროების საბჭოს პრაქტიკისათვის.¹⁴⁶ მეორე მხრივ, მოკავშირეთა აქციის, როგორც სახელმწიფოთა პრაქტიკის, სამართლებრივი მნიშვნელობა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბებაში მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში გამოჩნდება იმ პირობით, რომ მას, როგორც პრეცედენტს, შეუძლია მოიპოვოს საერთო აღიარება სპარსეთის ყურის ომისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებების არარსებობის შემთხვევაშიც.

სომალი

სომალის შემთხვევა 1992 წელს, 37 000 უცხოელი ჯარისკაცის მონაწილეობით ოცზე მეტი ქვეყნიდან შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენციის რეალური პრაქტიკის გარდატეხის ეტაპია.¹⁴⁷ ამავდროულად ის არის ჩამოყალიბებული კოლექტიური ჰუმანიტარული ინტერვენციის მაგალითიც.

სომალი განსაკუთრებულია სამხრეთ-საჰარულ ქვეყნებს შორის, რადგან ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ერთი ეთნიკური ჯგუფისგან შედგება. მიუხედავად ამისა, ქვეყანა, რომელიც მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სამი ქვეყნის (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) კოლონიური მმართველობის ქვეშ დაიყო, კლანური სამოქალაქო ომებით იხლიჩებოდა, რამაც გამოიწვია სამთავრობო სტრუქტურების დაშლა და სომალი „არშემდგარი“ სახელმწიფოს უპირველეს მაგალითად გადააქცია,¹⁴⁸ რომელიც გაცილებით უსწრებდა წინ სხვა ქვეყნებს, ისეთებს, როგორცაა ლიბერია¹⁴⁹ და რუანდა.¹⁵⁰

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ოცდაერთი წლის მანძილზე, სომალის მართავდა პრეზიდენტი სიად ბარე, რომელიც კლანური სტრუქტურის

¹⁴¹ E. Suy, Commentaar: Humanitaire interventie-Tussen soevereiniteit en mensenrechten, Transaktie 21 (1992), at 319.

¹⁴² *ib. IHT*, 18 January 1992, 1(a White House spokesman stated that the purpose of the attack against a "nuclear installation" near Baghdad "is to seek compliance with UN resolutions"; NRC Handelsblad, 18 January 1992, 1; European and Arab support for the US-led military action against Iraq began to waver on 19 January 1992; *ib. IHT*, 20 January 1992, 4; NRC Handelsblad, 19 January 1992, 1, 5; France did not participate in the action of attacking the outskirts of Baghdad on the grounds that it exceeded the framework of Security Council resolutions, as stated by the French Foreign Minister, FAZ, 21 January 1992, 1. Russia, in consultation with Arab states, requested the United States not to take further action without express authorization by the Security Council, FAZ, 20 January 1992, 1. A Russian Foreign Ministry statement accused Iraq of flouting UN resolutions, but also said: "Our firm position is that reaction to the actions of Iraq must be proportionate and proceed from agreed decisions... The time is ripe to again review the situation in the UN Security Council", IHT, 19 January 1992, 1. *ib. აგრეთვე* 19.

¹⁴³ *ib. Malanczuk* (1993), *op. cit.*

¹⁴⁴ This seems to be the view of R. Jennings/A. Watt (eds), *Oppenheim's International Law*, I: Peace, 9th edn 1992, 443, n. 18, stating that "Iraq's attitude was ambivalent, formally protesting at the infringement of its sovereignty (e.g. UN Doc S/22459 of 8 April, S/22513 of 22 April and S/22531 of 25 April), but not resisting the action and in substance acquiescing". Delbrück, *A Fresh Look*, *op. cit.*, at 985-6, presents the different argument that the Security Council "clearly acquiesced in the temporary presence of American, British and French military forces in Northern Iraq..." (at 986). On the legal concept of acquiescence, *ib. op. cit.*

¹⁴⁵ *ib. the argument made by Schachter*, AJIL 85 (1991), *op. cit.*, at 469.

¹⁴⁶ *ib. აგრეთვე*, Rodley (1992), *Collective Intervention*, *op. cit.*, at 33; Freedman/Boren, "Safe Havens" for Kurds in Post-War Iraq, in Rodley (ed.), 1992, *op. cit.*,

at 82; E. Suy, *Transaktie* 21(1992), 317, at 319.

¹⁴⁷ Malanczuk (1993), *op. cit.*, 24 *et seq.*; J. Clark, *Debaclé in Somalia*, FA 72 (1993), 109; M. R. Hutchinson, *Note, Restoring Hope*; U.N. Security Council Resolutions for Somalia and an Expanded Doctrine of Humanitarian Intervention, *Harvard ILJ* 34 (1993), 624; და ლიტერატურაზე მოთ.

¹⁴⁸ *nb.* I. Zartman (ed.), *Collapsed States: the Disintegration and Restoration of Legitimate Authority*, 1995.

¹⁴⁹ *nb.* Nolte, *op. cit.*, 603-37; Weller (ed.), 1994, *op. cit.*

¹⁵⁰ *nb.* ქვემოთ.

¹⁵¹ *nb.* Basic Facts about the United Nations, 1995, 50 *et seq.*

¹⁵² SC Res. 733(1992), *op. cit.* This was in response to a request for an immediate Security Council Meeting to address the deteriorating security situation in Somalia, *nb.* Letter Dated 20 January 1992 From the Charge d'Affaires A.I. of the Permanent Mission of Somalia to the United Nations Addressed to the President of the Security Council, UN SCOR, 47th Sess., UN Doc. S/445(1992).

¹⁵³ SC Res. 751(1992).

¹⁵⁴ Provisional Verbatim Record of the Meeting on 3 December 1992, S/PV. 3145, 3 December 1992.

¹⁵⁵ SC Res. 794(1992), *op. cit.*

დაძლევის პანსომალური ნაციონალიზმისა და სოციალიზმის ცენტრალიზებული საბჭოთა მოდელის კომბინაციის საფუძველზე ცდილობდა, თუმცაღა თავად თავის ძალაუფლებას პირველ რიგში მერიანისა და ორ სხვა, ოგადენის და დოლბაჰანტეს, კლანზე ამყარებდა. როდესაც 1991 წელს ბარეს რეჟიმი დაემხო, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში დაიწყო ძალაუფლებისათვის ბრძოლა და კლანებს შორის დაპირისპირება. დედაქალაქ მოგადიშოში მძიმე ბრძოლებში ჩაერთვნენ, ერთი მხრივ, დროებითი პრეზიდენტის ალი მაჰდი მოჰამედისა და, მეორე მხრივ, გენერალ მოჰამედ ფარა აიდიდის (სომალის გაერთიანებული კონგრესის თავმჯდომარე) მომხრე ძალები. ქვეყანა მასობრივმა ხოცვა-ჟლეტამ და ნგრევებმა მოიცვა, რამაც ასობით ათასი ადამიანი აიძულა, დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებლები. ხუთ მილიონამდე ადამიანი იტანჯებოდა შიმშილისა და ავადმყოფობისაგან; დაახლოებით მილიონი კი მეზობელ ქვეყნებში გაიხიზნა. 1991 წლის მაისში სომალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა „სომალის რესპუბლიკის“ სახელით.

გაერო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები სომალში ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციებში ჩაერთვნენ, ხოლო გაეროს გენერალურმა მდივანმა აფრიკის ერთობის ორგანიზაციასთან (OAU), არაბეთის ქვეყნების ლიგასთან (LAS) და ისლამური კონფერენციის ორგანიზაციასთან (OIC) თანამშრომლობით პოლიტიკური ნაბიჯები გადადგა მშვიდობის აღსადგენად.¹⁵¹ 1992 წლის 23 იანვარს უშიშროების საბჭომ სომალის სამხედრო ემბარგო დაუნესა და მოუწოდა მხარეებს, შეწყვიტათ სამხედრო მოქმედებები.¹⁵² გაეროს შტაბბინაში გამართულ მოლაპარაკებებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ გაეროს გენერალური მდივანი, LAS-ის, OAU-სა და OIC-ის წარმომადგენლები, დროებით პრეზიდენტ ალი მაჰდი მოჰამედსა და გენერალ მოჰამედ ფარა აიდიდს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტაზე, რომელსაც ზედამხედველობას გაუწევდნენ გაეროს დამკვირვებლები. ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება გაეროს უსაფრთხოების გვარდიის მიერ ჰუმანიტარული დახმარების ბადრაგების დაცვაზე. 1992 წლის აპრილში უშიშროების საბჭომ შექმნა სომალში გაეროს ოპერაცია (UNOSOM), რასაც მოჰყვა გაეროს 50 სამხედრო დამკვირვებლისა და გაეროს უშიშროების ხუთასამდე პერსონალის განლაგება.¹⁵³ მოგვიანებით უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, გაეზარდა უსაფრთხოების ძალების რიცხვი 3000 ადამიანამდე, რადგან კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა და თავდასხმები ჰუმანიტარულ ოპერაციებზე. მაგრამ UNOSOM-ი უძღური აღმოჩნდა, შეესრულებინა თავისი მანდატი.

1992 წლის 3 დეკემბერს, აშშ-ს წინადადების შემდეგ, ეხელმძღვანელა ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების დასაცავი სამხედრო ოპერაციისთვის, უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო 794-ე რეზოლუცია გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად და სანქცია მისცა ყველა აუცილებელი ზომის გამოყენებას დახმარების ოპერაციებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. თუმცა, როგორც თავად 794-ე რეზოლუცია და ასევე საბჭოს სხდომაზე გამოსული მრავალი ქვეყანა აღნიშნავდა,¹⁵⁴ არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, რადგან, როგორც რეზოლუციაში იყო ხაზგასმული, „სომალში არსებული მდგომარეობის განსაკუთრებული ხასიათი“ „მის გამანადგურებელ, რთულ და ექსტრაორდინალურ ბუნებასთან ერთად მოითხოვს დაუყოვნებელი და განსაკუთრებული საპასუხო ზომების მიღებას“. ¹⁵⁵ თუმცა სომალის მხრიდან გაეროსადმი იყო გაკეთებული მოთხოვნები დახმარებაზე, ის ფაქტი, რომ სომალის არ ჰყავდა არც მთავრობა და არც მთავრობისმაგვარი რაიმე სტრუქტურა, არ უნდა იქნეს იგნორირებული მომავალში ამ პრეცედენტის მნიშვნელობის შესწავლისას.

ეს იყო დაუსრულებელი სამოქალაქო ომის ქაოსი, რომელშიც მონაწილეობდა თხუთმეტი განსხვავებული პარტია, მასობრივი შიმშილობის საფრთხის წინაშე მდგარი მილიონები, სამხედრო შეჭრა ჰუმანიტარულ დახმარებასთან

ერთად და გაეროს სამშვიდობო მისიის უძღურება, შეეცვალა რაიმე თავისი შეზღუდული მანდატით, რამაც საბჭო იქამდე მიიყვანა, რომ დაედგინა: „სომალის კონფლიქტით გამოწვეული ადამიანთა ტრაგედიის მასშტაბები, შემდგომში დამძიმებული სირთულეებით, რომლებიც ექმნებოდა ჰუმანიტარული დახმარების განაწილებას, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.“¹⁵⁶ მთელი ამ ხნის მანძილზე საბჭოს რეზოლუციაში პირველად იყო ცალსახად, ყოველგვარი გარე „შედეგების“ მოშველიების გარეშე, განცხადებული, რომ ადამიანური პრობლემების შიდასახელმწიფოებრივი ასპექტები, თუნდაც საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციასთან ერთად სამხედრო შეჭრასთან დაკავშირებული, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას და, VII თავის თანახმად, მოითხოვს სამხედრო იძულებითი ზომების გატარებას.

შემდეგი საინტერესო საკითხია ის, რომ უშიშროების საბჭომ თავის თავზე აიღო ვალდებულება, აღედგინა „მშვიდობა, სტაბილურობა, კანონიერება და წესრიგი, რათა გაეიოლებინა პოლიტიკური მოგვარების პროცესი გაეროს მფარველობის ქვეშ“, თუმცა იმ პირობით, რომ „სომალის ხალხი არის ძირითადი პასუხისმგებლობის მატარებელი ეროვნულ შერიგებასა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნაზე“.¹⁵⁷ ცნობილია, რომ შეერთებულ შტატებს, რომელიც იყო „იმედის ოპერაციის“ წამომწყები და ოპერაციის პირველი ფაზის სამხედრო ხელმძღვანელი, მაგრამ რომელიც პოლიტიკური მიზნებისათვის (გაეროს მიერ კონტროლის განხორციელების ხარისხზე არსებული წინააღმდეგობების გამო) რეზოლუციაში მხოლოდ არაპირდაპირ იყო მოხსენიებული,¹⁵⁸ ჰქონდა გენერალური მდივნისაგან განსხვავებული შეხედულებები იმ საკითხზე, თუ რამდენად შორს უნდა წასულიყო გაეროს ინტერვენცია ბრძოლის შეწყვეტისა და დახმარების მიწოდების დაცვის უზრუნველყოფის შემდეგ. რეზოლუციის ტექსტი, თუმცა კი იცავდა სუვერენიტეტის პრინციპს, უთითებდა რა სომალელი ხალხის ძირითად პასუხისმგებლობაზე, სვამდა საკითხს, თუ რა იყო ზუსტად გაეროს ხანგრძლივი მიზნები ოპერაციის მეორე ფაზაში, მოიცავდა ისინი, მაგალითად, პოლიციის ძალების შექმნას, კანონიერებისა და წესრიგის დამყარებას თუ საგანმანათლებლო სისტემისა და ეკონომიკის ადმინისტრირებას ან რეორგანიზებას.¹⁵⁹

უნდა აღინიშნოს, რომ 794-ე რეზოლუციის ერთხმად მიღების მიზეზი (განსხვავებით სხვა რეზოლუციებისგან, რომლებიც იძლეოდა სანქციას ძალის გამოყენებაზე რუანდაში, ჰაიტიზე და ა.შ.) იყო ის, რომ მასში ჩადებული იყო ოპერაციაზე გაეროს კონტროლის შენარჩუნების მექანიზმი.¹⁶⁰ გაეროს გენერალურ მდივანს უნდა გაემართა კონსულტაციები მონაწილე სახელმწიფოებთან მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე და უზრუნველყო „მონაწილე ძალებზე გაერთიანებული მეთაურობისა და კონტროლის განევა“.¹⁶¹ უშიშროების საბჭოს წევრთა *ad hoc* კომისიას უნდა მოესხენებინა მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ოპერაციის ჩატარებაზე. „რეგულარულ საფუძველზე“ მოხსენებების გაკეთება მოეთხოვებოდა როგორც გენერალურ მდივანს, ასევე მონაწილე სახელმწიფოებს.

1992 წლის დეკემბერში სომალის გაიგზავნა გაერთიანებული ოპერატიული ძალები (UNITAF), რომელიც შედგებოდა ოცდაათი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისაგან აშშ-ს მეთაურობით და 1993 წლის მარტისთვის დაახლოებით 37 000 ჯარისკაცით მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40 პროცენტი, რასაც შედეგად მოჰყვა შიმშილობის სერიოზული შემსუბუქება. 1993 წლის 26 მარტს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა UNITAF-ი გარდაექმნა UNOSOM II-ად და გაეფართოებინა მისი რაოდენობა და მანდატი. UNOSOM II VII თავის შესაბამისად უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა ძალა მთელ სომალის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. მას ასევე მიენიჭა უფლებამოსილება, დახმარება გაენია ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ხელახალ შექმნაში. 1999 წლის მარტში ადის-აბებაში გამართულ კონფერენციაზე სომალის 15 პოლიტიკური მოძრაობის ლიდერები

¹⁵⁶ Provisional Verbatim Record, *op. cit.*

¹⁵⁷ *Ibid.*

¹⁵⁸ *Ibid.* Res.794 states merely that the Council welcomes “the offer by a Member State described in the Secretary-General’s letter to the Council of 29 November 1991 (S/24868) concerning the establishment of an operation to create such a secure environment” (para. 8).

¹⁵⁹ *ib.* the document from the UN Department of Human Affairs, Review of the 100-Day Action Programme and Beyond: Key Issues for Somalia, 3 December 1992. The programme was launched in Geneva on 12 October 1992.

¹⁶⁰ *ib.* Quigley, *op. cit.*, 267.

¹⁶¹ SC Res.794 (1992), at 4.

¹⁶² იხ. Quigley, *op. cit.*, 281.

¹⁶³ Mutharika, *op. cit.*, at 548.

¹⁶⁴ იხ. J.Clark, Debauch in Somalia: Failure of the Collective Response, in L.F. Damrosch (ed.), *Enforcing Restraint: Collective Intervention in Internal Conflicts*, 1993, 205. On the lack of clarity of the mandate of UNOSOM II which contributed to the undermining of the operation იხ. R. Zucklin, *Managing Peacekeeping from a Legal Perspective*, in D. Warner (ed.), *New Dimensions of Peacekeeping*, 1995, 160.

¹⁶⁵ იხ. თ. 20, ზემოთ.

¹⁶⁶ იხ. basic Facts. *op. cit.*, 46 *et seq.*; UN Chronicle, 1996, no. 2.52-3.

შეთანხმდნენ ეროვნულ შერიგებაზე, განიარაღებასა და უსაფრთხოებაზე, რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციაზე, ქონების დაბრუნებასა და დავების მოგვარებაზე, ასევე გარდამავალი ეროვნული საბჭოს შექმნაზე.

თუმცა შეთანხმება მხოლოდ შემდგომი უბედურებების პრელუდია აღმოჩნდა. 1993 წლის ივნისში 25 პაკისტანელი ჯარისკაცი დაიღუპა მოგადიშოში UNOSOM II-ზე თავდასხმისას. UNOSOM II გახდა კონფლიქტის მხარე და ჩაერთო მოგადიშოში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში, რასაც მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობასა და UNOSOM-ის ძალებში. შეერთებულმა შტატებმა აუცილებლად ჩათვალა გენერალ აიდიდის დამარცხება და მისი ძალების წინააღმდეგ სამხედრო აქციების განხორციელება, მოგადიშოში სამხედრო შტაბზე ვერტმფრენების შეტევის ჩათვლით, რასაც 50 სამოქალაქო პირის სიკვდილი მოჰყვა.¹⁶² ამერიკელების მიდგომა საკითხისადმი გააკრიტიკეს სხვა ქვეყნებმა, განსაკუთრებით იტალიამ, რომელმაც მოუწოდა გაეროს შტაბს, შეეჩერებინათ საომარი ოპერაციები მოგადიშოში. გაეროს სამხედრო ხელმძღვანელებმა საპასუხოდ იტალიისაგან მოითხოვეს მისი სამხედრო კონტინგენტის მეთაურის შეცვლა, რაზეც იტალიამ უარი განაცხადა, მიუთითა რა თავის უფლებაზე, თავად დაენიშნა საკუთარი ძალების მეთაური. ამდენად, კონფლიქტის მხარედ გახდომამ უთანხმოება ჩამოაგდო ნევრ სახელმწიფოებს შორის და გამოიწვია ძალების ვადამდელი გამოყვანა სომალიდან.

მას შემდეგ, რაც 1993 წლის ოქტომბერში 18 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, აშშ-მ ბოლოს და ბოლოს განაცხადა სომალიდან ჯარების გამოყვანის შესახებ. ბელგიამ, საფრანგეთმა და შვედეთმაც განაცხადეს საკუთარი ძალების გაყვანაზე. 1994 წლის თებერვალში UNOSOM-ის მანდატი გადაისინჯა და ხაზი გაესვა მის როლს პოლიტიკურ გაერთიანებასა, რეკონსტრუქციასა და სტაბილიზაციაში დახმარების განევაში. უშიშროების საბჭომ აგრეთვე გადაწყვიტა UNOSOM-ის ძალების ეტაპობრივი შემცირება და განაცხადა, რომ მისი მისია 1995 წლის მარტისათვის დასრულდებოდა. მას შემდეგ, რაც 1994 წელს ჩაიშალა გაეროს მორიგი მცდელობა, მიეღწია პროგრესისათვის სომალიელი ძალების გაერთიანებაში, UNOSOM II-ის ძალების გამოყვანა დასრულდა 1995 წლის მარტში. არც სომალის წარმომადგენლებს, არც ჰუმანიტარულ სააგენტოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს არ მოუთხოვიათ UNOSOM-ის მანდატის გაგრძელება.¹⁶³ ამდენად, გაეროს მიერ განხორციელებული კოლექტიური ინტერვენცია სომალიში დასრულდა a débâcle, თუმცა ის წარმატებით ახორციელებდა ჰუმანიტარულ დახმარებას.¹⁶⁴

რუანდა

რუანდის შემთხვევა საშინაო ეთნოკონფლიქტებით გამოწვეული საშინელი ადამიანური ტრაგედიაა მასობრივი მკვლელობებით, რასაც, როგორც მე-20 თავში აღვნიშნეთ,¹⁶⁵ საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა მოჰყვა. რუანდა ჯერ გერმანიის კოლონია იყო, ხოლო შემდეგ ბელგიის კოლონიურ მმართველობაში გადავიდა, რაც 1967 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე გაგრძელდა. ქვეყანაში ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა ეთნიკურ შეჯახებებს ჰუტუს უმრავლესობასა და თუტსის უმცირესობას შორის, რომელმაც 1990 წლის ოქტომბერში მიიღო სრულმასშტაბიანი საშინაო და ტრანსსასაზღვრო კონფლიქტის ფორმა საფრანგეთის მიერ მხარდაჭერილი რუანდის მთავრობის – ჰუტუს – მიერ კონტროლირებად სამხედრო ძალებსა და უგანდიდან და ჩრდილოეთ რუანდიდან მოქმედ თუტსის მიერ მართულ რუანდის პატრიოტულ ფრონტს (რპფ) შორის.¹⁶⁶ 1993 წლის თებერვალში შეტაკებები განახლდა, მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უამრავი ხელშეკრულებისა და მხარეებს შორის OAU-სა და ტანზანიის მიერ მოწყობილი ჩაშლილი სამშვიდობო მოლაპარაკებისა. 1993 წლის 22 ივნისს, რუანდისა და უგანდის თხოვნით, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა,

შექმნა გაეროს დამკვირვებელთა მისია უგანდა-რუანდაში (UNOMUR), რათა დახმარება გაენია სასაზღვრო ზოლის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენების აღკვეთაში. მას შემდეგ, რაც 1993 წლის აგვისტოში არუშაში (ტანზანია) სამოქალაქო ომის ორივე მხარემ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, მათი მოთხოვნით უშიშროების საბჭომ 1993 წლის 5 ოქტომბერს შექმნა მეორე საერთაშორისო ძალა – გაეროს დახმარების მისია რუანდაში (UNAMIR), რათა დახმარება გაენია შეთანხმების შესრულებაში.¹⁶⁷ მისი მანდატი მოიცავდა 1995 წლის ოქტომბრისათვის არჩევნების ჩატარებასა და ახალი მთავრობის შექმნაზე ზედამხედველობას.

შეთანხმების შესრულების დროს არსებობდა სირთულეები, რაც მძიმე კრიზისში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც 1994 წლის 6 აპრილს ტანზანიაში გამართული სამშვიდობო მოლაპარაკებიდან დაბრუნებისას მათ თვითმფრინავზე საჰაერო შეტაკების შედეგად დაიღუპნენ რუანდისა და ბურუნდის პრეზიდენტები. სრულმა ქაოსმა და გენოციდის მასშტაბის მასობრივმა ეთნიკურმა ძალადობამ მოიცვა მთელი რუანდა მომდევნო კვირების მანძილზე. შეფასებებმა აჩვენა, რომ 1994 წლის სექტემბრისათვის რუანდის სამოქალაქო ომამდელი 7,9-მილიონიანი მოსახლეობა 5 მილიონამდე შემცირდა. შეტაკებებში დახოცილი ადამიანების რიცხვი ასეულობით ათასიდან მილიონამდე მერყეობდა, ადგილნაცვალ პირთა რიცხვი – 800 ათასიდან 2 მილიონამდე, ზაირში, ტანზანიაში, ბურუნდისა და უგანდაში გაქცეული ლტოლვილებისა კი 2 მილიონს აღემატებოდა.

მსუბუქად შეიარაღებულ 2 700 UNAMIR-ის დამკვირვებელთა ძალებს მკვლევლობების შეჩერების არც შესაძლებლობა ჰქონდათ და არც მანდატი. ბელგიამ გაიყვანა თავისი 440 ჯარისკაცი, ხოლო დანარჩენები ყაზარმებიდან არ გამოდიოდნენ მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრის მკვლევლობის დროს მისი დაცვის 10 ბელგიელი ჯარისკაცი სასიკვდილოდ დაიჭრა.¹⁶⁸ 1994 წლის 21 აპრილს უშიშროების საბჭომ გადანიშნა UNAMIR-ის ძალების რიცხვი 270 კაცამდე შემცირებინა, რათა მომავალში თავიდან აეცილებინა მსხვერპლი გაეროს ძალებში.¹⁶⁹ მანდატი შეიცვალა და მას დაემატა მხარეებთან მუშაობა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების მომზადებისა და დახმარების ოპერაციების განახლებაში ხელშეწყობის მიზნით.

მაისის დასაწყისში უშიშროების საბჭომ, რომელიც ინფორმირებული იყო მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გაგრძელებაზე, რუანდაში 5 000 აფრიკელი ჯარისკაცის გაგზავნის საკითხის განხილვა დაიწყო. 1994 წლის 17 მაისს უშიშროების საბჭომ დაადგინა, რომ მდგომარეობა რუანდაში საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და რუანდის წინააღმდეგ სამხედრო ემბარგო დააწესა.¹⁷⁰ მან ასევე გასცა სანქცია UNAMIR-ის რაოდენობის 5 500 ჯარისკაცამდე გაზრდის შესახებ და აღიარა მის მიერ ძალის გამოყენების შესაძლო საჭიროება იმ პირების ან ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ დაცულ ტერიტორიებსა და მოსახლეობას. თუმცა მან ვერ მოიპოვა ნევრი სახელმწიფოების მიერ ვალდებულების აღება ამ ძალების მომარაგებაზე – ერთი თვის შემდეგ მხოლოდ ეთიოპიამ გამოხატა მზადყოფნა, წარმოედგინა სრულად აღჭურვილი საჯარისო ერთეული. 1992 წლის 22 იანვარს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა რუანდაში შეჭრის სურვილი გამოთქვა, უშიშროების საბჭომ მიიღო 929-ე რეზოლუცია და VII თავზე დაყრდნობით (ათი მომხრე, არც ერთი მოწინააღმდეგე, ხუთმა თავი შეიკავა) უფლება მიანიჭა საფრანგეთს და სხვა მსურველ ნევრ სახელმწიფოებს, გამოეყენებინათ „ყველა საჭირო საშუალება“, როგორც დროებითი მრავალეროვანი ოპერაცია, რუანდაში მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარული და ნეიტრალური დავალება იქნებოდა, რუანდის მთავრობასა და რპფ-ს შორის დავის გარემოებებისათვის ყურადღების მიუქცევლად.¹⁷¹ „Opération Turquoise“-მა შექმნა უსაფრთხო დაცვის ზონა რუანდის სამხრეთ-დასავლეთში და დასრულდა 1994 წლის 21 აგვისტოს, როდესაც ზონაზე პასუხისმგებლობა გადავიდა UNAMIR-ზე

¹⁶⁷ SC Res. 872 (1993). For the background *ob. Mu-biala. L'Operation des Nations Unies pour les droits de l'homme au Rwanda. Hague YIL 8 (1995), 11-6; The United Nations and Rwanda. 1993-1996 (UN Blue Book Series), 1996.*
¹⁶⁸ *ob. Teson, op. cit., 363.*
¹⁶⁹ SC Res. 912 (1994).
¹⁷⁰ SC Res. 918 (1994).
¹⁷¹ SC Res. 929 (1994). *ob. UN Chronicle 31 (1994), no.4. 4-13.*

¹⁷² Quigley, *op. cit.*, 271-2. იხ. აგრეთვე, ანალიზი 281-2.
¹⁷³ იხ. Agora: The 1994 U.S. Action in Haiti, AJIL 89 (1995), 58-87; O. Corton, La Résolution 940 du conseil de sécurité autorisant une intervention militaire en Haïti: L'émergence en droit international? EJIL 6 (1995), 116-33; H.-J. Heintze, Volkerrecht und demokratische Staatsordnung. Zur Wiederherstellung der Demokratie in Haïti, VRU 29 (1996), 6-30; M. Weller/ A. Maclean (eds), The Haiti Crisis in International Law. On the subsequent development in Haiti იხ. UN Chronicle, 1996, no. 2, 57 იხ. აგრეთვე თ. 2 და ლტრატორაზე.
¹⁷⁴ Tesón, *op. cit.*, 355.

ეთიოპიის, განისა და ზიმბაბვეს შეიარაღებულ ძალებთან ერთად. 1994 წლის ოქტომბერში UNAMIR-ი 4270 კაცამდე გაიზარდა. სამოქალაქო ომი რუანდაში დასრულდა რბფ-ის მიერ ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტით 1994 წლის 18 ივლისს, როდესაც მან აიღო კონტროლი მთელ რუანდაზე, გარდა დაცვის ზონისა.

რუანდაში საფრანგეთის მიერ წარმართულმა ინტერვენციამ ყველაზე კარგად აჩვენა იმ ქვეყნების საკუთარი დაინტერესების პრობლემა, რომლებსაც უშიშროების საბჭო VII თავის შესაბამისად სამხედრო ძალის გამოყენების უფლებამოსილებას აძლევს. ერთი თანამედროვე ავტორის დაკვირვებით:

რუანდაში საფრანგეთის ჩარევის ისტორია სამხედრო აქციის განხორციელებისას ეჭვს ბადებდა მის კეთილსინდისიერებაში. საფრანგეთი მხარს უჭერდა ჰუტუსს მიერ კონტროლირებად რუანდის მთავრობას თუტსის მიერ კონტროლირებადი რუანდის პატრიოტული ფრონტის წინააღმდეგ სამოქალაქო ომში. საფრანგეთი უპირატესობას ჰუტუსს ანიჭებდა, რადგან მათთვის მეორე ენა ფრანგული იყო, მაშინ როცა თუტსისთვის ასეთი ინგლისური იყო. საფრანგეთს აკრიტიკებდნენ იმისთვის, რომ არ აღიარა ჰუტუსების მიერ თუტსების მასობრივი გაჟლეტის ფაქტები. საფრანგეთის ძალების დახმარება რუანდის მთავრობისათვის ხალხის ხოცვა-ჟლეტის პარალელურად გრძელდებოდა. როდესაც მიიღეს რეზოლუცია რუანდაზე, სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ ბობოქრობდა და თუტსის აჯანყებულმა ძალებმა პროტესტი განაცხადეს რუანდაში საფრანგეთის დაგეგმილ შესვლაზე და ფიცი დადეს, გაენადგურებინათ ფრანგები. მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის, ალბათ, საფრანგეთი უარესი არჩევანი იყო საინტერვენციოდ, მაგრამ საფრანგეთი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც მოქმედების სურვილი გამოთქვა.¹⁷²

მეორე მხრივ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ, როგორც ჩანს, პირადი ინტერესის გარეშე სახელმწიფოები არ გამოთქვამდნენ შორეულ ქვეყნებში სამხედრო ინტერვენციის სურვილს, ხოლო ასეთი სურვილის გარეშე გაერო უძღურია, იმოქმედოს ეფექტურად მხოლოდ საკუთარი ძალებით.

ჰაიტი

ჰაიტი განსაკუთრებული შემთხვევაა, როდესაც უშიშროების საბჭომ, VII თავის თანახმად, მისცა სანქცია ძალის გამოყენებაზე დემოკრატიული არჩევნების შედეგების ძალაში შესვლის უზრუნველსაყოფად, თუმცა არ დაუზუსტებია, რომ საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას საფრთხე ჰქონდა შექმნილი.¹⁷³ 1957 წლიდან ჰაიტის დიუვალიეების ოჯახი მართავდა. 1986 წლის თებერვალში ჟან კლოდ დიუვალიეს, „სიკვდილამდე პრეზიდენტის“, მიერ ქვეყნის დატოვებისა და რეფერენდუმის გზით ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ 1990 წელს ჰაიტის დროებითმა მთავრობამ სთხოვა გაეროს, ზედამხედველობა გაენია იქ ჩასატარებელ არჩევნებზე. ამას მოჰყვა ჰაიტიზე არჩევნების დასადასტურებლად გაეროს დამკვირვებელთა ჯგუფის (ONUVEH) შექმნა. მისმა უნმინდესობამ ჟან-ბერნარდ არისტიდმა ხმების 67%-ით გაიმარჯვა და 1991 წლის 22 თებერვალს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. 1991 წლის 30 სექტემბერს სამხედრო ხუნტამ არისტიდი თანამდებობიდან გადააყენა.

იმავე დღეს გაეროში ჰაიტის ელჩის თხოვნით უშიშროების საბჭო შეიკრიბა. მაგრამ მას ოფიციალურად არ განუხილავს სამხედრო გადატრიალების საკითხი, რადგან უმრავლესობა, საერთაშორისო სამართლის თანახმად, საკმაოდ სწორად განიხილავდა მას ქვეყნის საშინაო საკითხად, რომელიც არ უქმნიდა საფრთხეს მშვიდობას და უშიშროებას და, შესაბამისად, არ ხვდებოდა საბჭოს მიერ განსახილველ საკითხთა წრეში.¹⁷⁴ მეორე მხრივ, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ (OAS) 1991 წლის 2 ოქტომბერს ოფიციალურად დაგმო ხუნტა და რეკომენდაცია გაუწია ნევრ ქვეყნებს, გაეტარებინათ ეკო-

ნომიკური და დიპლომატიური სანქციები ჰაიტის წინააღმდეგ. როდესაც ერთი დღის შემდეგ უშიშროების საბჭო შეიკრიბა, რათა მოესმინა პრეზიდენტ არისტიდისთვის, საბჭოს ყველა წევრმა დაგმო გადატრიალება და მხარი დაუჭირა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის პოზიციას, თუმცა სახელმწიფო გადატრიალებასთან დაკავშირებით ოფიციალური რეზოლუცია არ მიუღიათ, რადგან ჩინეთი და სხვა მიუერთებელი სახელმწიფოები შეშფოთებას გამოთქვამდნენ უშიშროების საბჭოს მზარდი მონაწილეობის გამო ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც, ტრადიციულად, გაეროს წესდების მე-2(7) მუხლის თანახმად განიხილებოდა, როგორც სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციას მიკუთვნებული საკითხები და, შესაბამისად, აღარ იყო გაეროს განხილვის საგანი.¹⁷⁵

მიუხედავად ამისა, 1993 წლის 16 ივნისს უშიშროების საბჭომ ბოლოს და ბოლოს, გენერალური ასამბლეისა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წინა რეზოლუციებზე პირდაპირი მითითებით, მოქმედებდა რა VII თავის შესაბამისად, დაანესა სავალდებულო ემბარგო ჰაიტიში ნავთობის, ნავთობპროდუქტების, იარაღისა და პოლიციის აღჭურვილობის შეტანაზე და გაყინა ჰაიტის მთავრობისა და მისი სამხედრო ლიდერების ანგარიშები.¹⁷⁶ შედეგად, 1993 წლის ივლისში სამხედრო ხუნტასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, ცნობილი, როგორც Governors Island Agreement, რომელიც ითვალისწინებდა პრეზიდენტ არისტიდისათვის ძალაუფლების დაბრუნებას. გაეროს ეკონომიკური სანქციები მოიხსნა 1993 წლის 27 აგვისტოს.¹⁷⁷ ჰაიტიზე გაეროს მისია (UNMIH) ჰაიტის სამხედრო ძალების რეფორმირებისა და საპოლიციო ძალების შექმნაში დახმარების განევის მიზნით შეიქმნა.¹⁷⁸ თუმცა უშიშროების საბჭო იძულებული გახდა, განეახლებინა ეკონომიკური სანქციები 1993 წლის 13 ოქტომბერს, ხუნტის მიერ დანაპირების შეუსრულებლობისა და წინააღმდეგობის გამო, რამაც ხელი შეუშალა UNMIH-ის ჯარებს ჰაიტიზე გადასხმაში.¹⁷⁹ 1993 წლის 16 ოქტომბერს მიღებულ მომდევნო რეზოლუციაში საბჭომ ნევრ სახელმწიფოებს მისცა ძალის გამოყენების უფლება სანქციების შესრულების უზრუნველსაყოფად.¹⁸⁰ 1994 წლის მაისში საბჭომ სანქციებს სავაჭრო ემბარგოც დაუმატა, მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების გამოკლებით.

1993 წლის 31 ივლისს უსაფრთხოების საბჭომ მიიღო 940-ე რეზოლუცია, რომელიც ნევრ სახელმწიფოს უფლებამოსილებას ანიჭებდა „მრავალეროვნული შეიარაღებული ძალის შექმნასა“ და „ყველა საჭირო ზომის გამოყენებაზე, რათა ხელი შეეწყოს (დაეჩქარებინათ) სამხედრო ხელმძღვანელებისათვის ჰაიტის დატოვებაში“.¹⁸¹ შეერთებულმა შტატებმა, 1994 წლის 15 სექტემბერს პრეზიდენტ კლინტონის მიერ ამერიკული საზოგადოებისათვის გაკეთებული სატელევიზიო მიმართვის გზით, ულტიმატუმი წაუყენა ჰაიტის სამხედრო მთავრობას. 1994 წლის 18 სექტემბერს შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯიმი კარტერის, სენატორ სემი ნანის და გაერთიანებული სამხედრო ძალების ყოფილი ხელმძღვანელის კოლინ პაუელის სამედიაციო ძალისხმევამ აიძულა ხუნტა დათანხმებულიყო, დაეტოვებინა ქვეყანა 1994 წლის 15 ოქტომბრისთვის. შეთანხმება მიღწეულ იქნა მხოლოდ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მრავალეროვნული ძალების ჰაიტიზე გადასვლამდე რამდენიმე საათით ადრე. 1994 წლის 19 სექტემბერს 3 000 ამერიკელი ჯარისკაცი გადავიდა ჰაიტიზე, ხოლო რამდენიმე დღეში უცხოელი ჯარისკაცების რაოდენობამ 20 000-ს გადააჭარბა. პრეზიდენტი არისტიდი 1994 წლის 15 ოქტომბერს დაუბრუნდა ხელისუფლებას, ხოლო შეერთებულმა შტატებმა მისია გაეროს ოფიციალურად 1995 წლის 31 მარტს გადასცა. UNMIH-ის 6 000 ჯარისკაციდან, რომელთა მიზანი იყო მთავრობის დახმარება უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შენარჩუნებაში და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა, 2 400 ამერიკელი იყო.

ჰაიტის შემთხვევა დახასიათდა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პრეცედენტი, რომელიც მხარს უჭერდა დემოკრატიული მართვის საერთაშორისო

¹⁷⁵ ib. UN SCOR, 46th Sess. 3011th Meeting, UN Doc. S/PV. 3011 (1991).
¹⁷⁶ SC. Res. 841 (1993).
¹⁷⁷ SC. Res. 861 (1993).
¹⁷⁸ SC. Res. 867 (1993).
¹⁷⁹ SC. Res. 873 (1993).
¹⁸⁰ SC. Res. 875 (1993).
¹⁸¹ SC. Res. 940 (1993).

¹⁸² Tesón, *op. cit.*, 355.

¹⁸³ Provisional Verbatim Record, UN SCOR, 3413th meeting, UN Doc. S/PV.3412 (1994), 12 (Mr. Li Zhaoxing, China).

¹⁸⁴ *ib. Malanczuk, Monroe Doctrine, EPIL 7 (1984), 339-44.*

¹⁸⁵ *ib. მავალითისთვის C.E. Philipp/W. Plesmann, Conflicts, Yugoslavia, in Wolf- rum UNLPP 1, 338-49; B. Bagwell, Yugoslavian Constitutional Questions: Self-Determination and Secession of Member Republics, GLJCL 21 (1991), 489-54; M. Glenn, The Fall of Yugoslavia: The Third Balkan War, 1992; C.I.Gow/L. Freedman, Intervention in a Fragmenting state: The Case of Yugoslavia, in Rodley (ed.) 1992, *op. cit.*, 93; M. Waller, The International Response to the Dissolution of the Socialist Federal Republic of Yugoslavia, AJIL 86 (1992), 56 9; R. Higgins, The United Nations and Former Yugoslavia, IA 69 (1993), 465-83; A.L. King, Bosnia-Herzegovina-Vance-Owen Agenda for a Peaceful Settlement: Did the UN Do Too Little, Too Late, to Support This Endeavour? Ga. JICL 23 (1993), 347-75; A. D'Amato, Peace v. Accountability in Bosnia, AJIL 88 (1994), 500-6; M. Mercier, Crimes sans châtiement: L'action humanitaire en ex-Yugoslavie 1991-1993, 1994; AJIL 89 (1995), 92-4; P.C. Szasz, Peacekeeping in Operation: A Conflict Study of Bosnia, Cornell ILJ 28 (1995), 685-700; T. Varady, The Predicament of Peacekeeping in Bosnia, *ibid.*, 709; P. Akhavan/R. Howse (eds), Yugoslavia, the Former and Future, 1995; E. O'balance, Civil War in Bosnia 1992-1994, 1995; GA. Moor, The Republic of Bosnia-Herzegovina and Article 51; Inherent Rights and Unmet Responsibilities, Fordham ILJ 18 (1995), 870; A.M. Weisburd, The Emptiness of Jus Cogens, as Illustrated by the War in Bosnia-Herzegovina, Mich. JIL 17 (1995), 1; S.L. Woodward, Balkan Tragedy: Chaos and Dissolution After the Cold War, 1995; V. Brance, The Elusive Peace in the Former Yugoslavia, Cornell ILJ 28 (1995), 709-18; M. Waller, Peacekeeping and Peace-Enforcement in the Republic of Bosnia and Herzegovina, ZaRV 56 (1996), 70-177.*

¹⁸⁶ *ib. თ. 5.*

¹⁸⁷ SC Res. 713 (1991), ILM 31 (1992), 1431.

პრინციპის, ისევე როგორც კოლექტიური ჰუმანიტარული ინტერვენციის, კანონიერებას.¹⁸² მაგრამ ტრადიციული საერთაშორისო სამართლისათვის ეს არაორდინალური შემთხვევაა, რადგან მანამდე არ არსებობდა პარაქტიკა, რომ შეიარაღებული ჯგუფის მიერ დემოკრატიული მთავრობის გადაყენება განხილულიყო, როგორც საერთაშორისო ზრუნვის საგანი, თანახმად გაეროს წესდების VII თავისა. გაერო და შეერთებული შტატები არასოდეს გამოსულან სამხრეთ ამერიკის უმეტეს ქვეყანაში 1945 წლის შემდეგ სამხედრო მმართველობის დამყარების წინააღმდეგ. არ არის გასაკვირი, რომ ჩინეთმა უშიშროების საბჭოში ჰაიტის ოპერაციასთან დაკავშირებით თავი შეიკავა, ამტკიცებდა რა *inter alia*, რომ:

საბჭოს პრაქტიკა, მიანიჭოს ზოგიერთ ნევრ სახელმწიფოს ძალის გამოყენების უფლებამოსილება, კიდევ უფრო განმაცვიფრებელია, რადგან ის ნამდვილად შექმნიდა საშიშ პრეცედენტს.¹⁸³

იმის გათვალისწინებით, რომ მოვლენები დასავლეთ ნახევარსფეროში განვითარდა, ჰაიტის შემთხვევა (რომელიც ძირითადად შეერთებული შტატების მიერ განხორციელდა) უკეთესად შეიძლება იქნეს განმარტებული, როგორც მონროს დოქტრინის ცხოვრებაში გატარება, რომელიც, მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზიდენტმა მონრომ ჩამოაყალიბა 1823 წელს, გამოიყენებოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეერთებული შტატების ხშირი სამხედრო შეჭრის პოლიტიკურ საფუძვლად,¹⁸⁴ ამჯერად უკვე გაეროს ეგიდით.

იუგოსლავია

ყველაზე რთული კონფლიქტი, რომელსაც გაერო დაუპირისპირდა ცივი ომის დასრულების შემდეგ, იყო იუგოსლავიის ტრაგედია.¹⁸⁵ ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა შედგებოდა ექვსი რესპუბლიკისგან – სლოვენია, ხორვატია, სერბეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ჩერნოგორია და მაკედონია და ორი ავტონომიური რეგიონისაგან – კოსოვო და ვოევოდინა. კომუნიზმის კრახის შემდეგ დაშლის ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდა და, როდესაც 1991 წელს ხორვატიამ და სლოვენიამ იუგოსლავიისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დაიწყო ბრძოლები. სერბების მიერ კონტროლირებადი ფედერაციული მთავრობა და იუგოსლავიის სახალხო არმია ეწინააღმდეგებოდა ამ მოძრაობას და მხარს უჭერდა სერბეთის მილიციას ხორვატიისა და სლოვენიის ხელისუფლებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. შეიარაღებული კონფლიქტი გამწვავდა 1992 წლის მარტში, ბოსნია-ჰერცეგოვინის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რასაც მხარს უჭერდნენ ბოსნიელი ხორვატები და ბოსნიელი მუსულმანები, მაგრამ სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ბოსნიელი სერბები.

ევროგაერთიანება და ეუთო უძლურნი აღმოჩნდნენ, გადაეწყვიტათ იუგოსლავიის კრიზისი იუგოსლავიის კონფერენციის ჩარჩოებში, რომელსაც თავმჯდომარეობდა ლორდი ქერინგტონი, და მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ ყოფილ იუგოსლავიაში ახალი სახელმწიფოების აღიარების გართულებულ საკითხებთან დაკავშირებით.¹⁸⁶ რაც შეეხება გაეროს უშიშროების საბჭოს, მას სამი თვის მანძილზე არაფერი მოუმოქმედებია, მიუხედავად მასობრივი სისხლისღვრისა. საბჭომ მხოლოდ 1991 წლის 25 სექტემბერს მიიღო 713-ე რეზოლუცია (ერთხმად), რომელშიც შემოთავაზდა გამოხატა იუგოსლავიაში შეიარაღებული კონფლიქტებისა და მეზობელი სახელმწიფოებისათვის მათი შედეგების გამო და დაადგინა, რომ „ამ მდგომარეობის გაგრძელება საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას“.¹⁸⁷ თუმცა ეს ერთგვარი გაურკვეველი მინიშნებაა წესდების 39-ე მუხლზე. რეზოლუციის პრეამბუ-

ლაში აგრეთვე გამოცხადდა, რომ არ იქნებოდა აღიარებული ძალის გამოყენებით განხორციელებული რაიმენაირი ტერიტორიული ცვლილება იუგოსლავიის ფარგლებში. 713-ე რეზოლუცია დისპოზიციურ ნაწილში გამოხატავდა მხარდაჭერას ევროგაერთიანებისა და ეუთოს ძალისხმევისადმი და მოუწოდებდა გენერალურ მდივანს, მხარეებისათვის თავისი დახმარება შეეთავაზებინა. საბჭომ ყველა მხარეს მოსთხოვა, მკაცრად შეესრულებინათ შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მშვიდობიანად მოეგვარებინათ ერთმანეთს შორის არსებული წინააღმდეგობები იუგოსლავიის კონფერენციის ფარგლებში. უფრო მეტიც, საბჭომ წესდების VII თავის მოშველიებით გადანყვიტა,

რომ იუგოსლავიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით ყველა სახელმწიფოს დაუყოვნებლივ უნდა განეხორციელებინა საერთო და სრული ემბარგო იუგოსლავიაში იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის შეტანაზე მანამ, სანამ უშიშროების საბჭო სხვაგვარ გადანყვიტა მისი მიღებულ გენერალურ მდივანსა და იუგოსლავიის მთავრობას შორის მოლაპარაკებების შედეგად.¹⁸⁸

ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით ორი საინტერესო მომენტი იკვეთება. პირველი, ამ ეტაპზე საბჭოში დელეგაციების უმრავლესობა იუგოსლავიაში კონფლიქტს ჯერ კიდევ განიხილავდა, როგორც საშინაო კონფლიქტს, მეზობელ ქვეყნებზე გავრცელებული შედეგების გარეშე.¹⁸⁹ მეორე, სრული ემბარგო იარაღზე მოწონებულ იქნა იუგოსლავიის ცენტრალური მთავრობის მიერ (რომელიც ესწრებოდა საბჭოს შეხვედრას მაშინ, როდესაც ხორვატია და სლოვენია არ მიუწვევიათ), რადგან იგი განკარგავდა იუგოსლავიის სახალხო არმიის მდიდარ არსენალს, მათ შორის, მძიმე იარაღს. იარაღზე არადიფერენცირებული ემბარგოს შენარჩუნებამ მოგვიანებით ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომლის გაეროს წესდების 51-ე მუხლით დაცული თავდაცვის უფლება იარაღზე ემბარგოს გამო შეიზღუდა, საერთაშორისო სასამართლოში ყოფილი იუგოსლავიის (სერბია და ჩერნოგორია) წინააღმდეგ საქმის აღძვრამდე მიიყვანა, რაც არაპირდაპირ სადავოს ხდიდა ემბარგოს კანონიერებას.¹⁹⁰

713-ე რეზოლუციის მიღებიდან მალე გაეროს გენერალურმა მდივანმა თავის პირად დესპანად დანიშნა კიროს ვანსი იუგოსლავიაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებებზე მოლაპარაკებებისა და გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგებაზე საერთო აზრის შესწავლის მიზნით. თუმცა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებები ხშირად ირღვეოდა, უშიშროების საბჭომ მხოლოდ 1992 წლის 21 თებერვალს გადანყვიტა, რომ არსებული გარემოებები საკმარისი იყო იმისთვის, რათა შექმნილიყო გაეროს დამცავი ძალები (UNPROFOR) დაუყოვნებლივ განლაგებით.¹⁹¹ ეს ძალა უნდა შემდგარიყო 13 870 სამხედროსა და პოლიციელისაგან, 519 სამოქალაქო პირის თანხლებით. UNPROFOR-ი განლაგდა ოთხ „გაეროს მიერ დაცულ ზონაში“, რომლებშიც სერბები მოსახლეობის უმრავლესობას ან მნიშვნელოვან უმცირესობას შეადგენდნენ და რომლებშიც ეთნიკურმა დაპირისპირებამ შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია. UNPROFOR-ის მანდატში შედიოდა ზედამხედველობის განევა ამ ზონებიდან იუგოსლავიის სახალხო არმიის გამოყვანაზე და მის განიარაღებაში დარწმუნება, ასევე მოსახლეობის დაცვა შეიარაღებული თავდასხმებისაგან. ეს ძალები ასევე უნდა დახმარებოდნენ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს მათ საქმიანობაში და ხელი შეეწყობოთ ლტოლვილებისათვის საკუთარ სახლებში დაბრუნებაში.¹⁹²

მიუხედავად ამისა, მდგომარეობა იუგოსლავიაში უარესდებოდა, განსაკუთრებით კი 1992 წლის აპრილში ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში დაწყებული კონფლიქტის შემდეგ. როდესაც უშიშროების საბჭომ 1992 წლის 15 მაისს მიიღო საპასუხო 752-ე რეზოლუცია,¹⁹³ მას არ გაუთვალისწინებია სამშვიდობო ღონისძიებების განხორციელება, რადგან არ ჰქონდა ასეთ დროს ტრადიციულად საჭირო კონფლიქტის მონაწილე მხარეთა თანხმობა. 752-ე რეზო-

¹⁸⁸ Para 6, at 1432.

¹⁸⁹ *ib. Weller, The International Response, op. cit., 580.*

¹⁹⁰ *ib. op. cit., 18.*

¹⁹¹ SC Res. 743 (1992), ILM 31 (1992), 1447.

¹⁹² UNPROFOR-ის შესახებ დეტალებზე *ib. M. Bother, Peacekeeping, in Simma CUNAC, 565-603, 584-5.*

¹⁹³ SC Res. 752 (1992), ILM 31 (1992), 1451.

¹⁹⁴ SC Res. 757 (1992), *ibid.*, 1453.
¹⁹⁵ Basic Facts, *op. cit.*, 115.
¹⁹⁶ *ib.* J. Kramer, Bericht, VN 40 (1992), 208.
¹⁹⁷ SC Res. 764 of 13 July 1992, ILM 31 (1992), 1465 para. 10: „კვლავ ადასტურებს, რომ ყველა მხარე ვალდებულია, შეასრულოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებები, კერძოდ კი 1949 წლის 12 აგვისტოს ვენეციის კონვენცია, ბოლოს პირები, რომელთაც ჩაიდინეს ან რომელთა ბრძანებითაც განხორციელდა კონვენციის მასობრივი დარღვევები, პიროვნულად არაინპასუხისმგებლობისასეთი დარღვევების გამო“ (1467)
¹⁹⁸ UN Doc. S/24378. 4 August 1992.
¹⁹⁹ SC Res. 769 (1992), ILM 31 (1992), 1467, at 1468, para. 4. გენერალური მდივნის 1992 წლის 27 ივლისის მოხსენება (UN Doc. S/24353 and ADD1) ითვალისწინებდა UNPROFOR-ის მანდატისა და ძალაუფლების გაზრდას.
²⁰⁰ SC Res. 770 of 13 August 1992, ILM 31 (1992), 1468.

ლუცია ბოსნია-ჰერცეგოვინაში მეზობელ მხარეებს მოუწოდებდა საომარი მოქმედებების დაუყოვნებელი შეწყვეტისაკენ და მოითხოვდა იუგოსლავიის სახალხო არმიის ერთეულებისა და ხორვატული სამხედრო ერთეულების გამოყვანას. რადგან „იუგოსლავიის“ ხელისუფლებმა ვერ უზრუნველყვეს ამ მოთხოვნების შესრულება, საბჭომ 1992 წლის 30 მაისს მიიღო 757-ე რეზოლუცია, რომლითაც იუგოსლავიას, წესდების 41-ე მუხლის თანახმად, სრული ეკონომიკური სანქციები დაუნესა და მოსთხოვა ყველა მხარეს, სარაევოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინის სხვა ტერიტორიებზე მიეცათ ჰუმანიტარული დახმარების განევის შესაძლებლობა.¹⁹⁴

1992 წლის შუა ხანებში საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ინფორმაცია ძირითადად ბოსნიელი სერბების შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი ფართომასშტაბიანი „ეთნიკური წმენდისა“ და მასობრივი სექსობრივი დანაშაულების შესახებ. ლტოლვილთა რიცხვმა 2,2 მილიონს გადააჭარბა.¹⁹⁵ მართლაც, საკმაო დრო გავიდა, სანამ გაერომ საბოლოოდ აღიარა ბოსნიაში „ეთნიკური წმენდის“ მასშტაბები.¹⁹⁶ უშიშროების საბჭოს 1992 წლის 13 ივლისის 764-ე რეზოლუცია, ჯერ კიდევ ძალიან მოკრძალებულად, კვლავ ადასტურებდა ყველა მხარის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებიდან გამომდინარე ვალდებულებებს და აღნიშნავდა, რომ შეიძლება ცალკეულ პირებს ეგოთ პასუხი კანონის დარღვევებისათვის.¹⁹⁷ 1992 წლის 4 აგვისტოს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა (ნჯსკ) და სხვა ორგანიზაციებს ჰქონოდათ დაუყოვნებელი შესვლის საშუალება მუსულმან ტყვეთა ბანაკებში და შეახსენა კონფლიქტის ყველა მხარეს ჰუმანიტარული სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომელთა დარღვევა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას გამოიწვევდა.¹⁹⁸ 1992 წლის 7 აგვისტოს 769-ე რეზოლუციით საბჭომ, გენერალური მდივნის მოხსენებაზე დაყრდნობით, დაგმო „მშვიდობიანი მოსახლეობის შეურაცხყოფა, კერძოდ კი ეთნიკურ ნიადაგზე“,¹⁹⁹ მაგრამ არ ყოფილა გათვალისწინებული რაიმენაირი იძულებითი ზომების გამოყენება.

საბჭომ 1992 წლის 13 აგვისტოს 770-ე რეზოლუციაში აღიარა, რომ „ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და რომ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ჰუმანიტარული დახმარების განევა მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საბჭოს ძალისხმევაში, ალაღვინოს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება რეგიონში“. მან ღრმა შეშფოთება გამოხატა „ბანაკებში, ციხეებსა და თავისუფლების აღკვეთის ცენტრებში დაპატიმრებული სამოქალაქო პირების შეურაცხყოფის შესახებ ინფორმაციის გამო“. VII თავზე დაყრდნობით, საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ყველა მხარისადმი თავისი მოთხოვნა ბრძოლების შეწყვეტაზე და მოუწოდა ქვეყნებს, „ეროვნული ან რეგიონალური სააგენტოების მეშვეობით მიეღოთ ყველა საჭირო ზომა, რათა გაეროსთან კოორდინაციით ხელი შეეწყოს“ ჰუმანიტარული დახმარების განევისათვის. შემდეგ ის მოითხოვდა, რომ „ბანაკებში, ციხეებსა და თავისუფლების აღკვეთის ცენტრებში შეუფერხებელი და შეუწყვეტელი შესვლის უფლება დაუყოვნებლივ მიენიჭებინათ“ ნჯსკ-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და „რომ ყველა დაკავებულ პირს ჰქონოდა ადამიანური მოპყრობა, შესაბამისი საკვების, საცხოვრებლისა და სამედიცინო ზრუნვის ჩათვლით“.²⁰⁰ იმავე შეხვედრაზე უშიშროების საბჭომ მიიღო 771-ე რეზოლუცია, რომელიც პირველად გმობდა პირდაპირ „ეთნიკური წმენდის“ პრაქტიკას. პრეამბულა გამოხატავდა

სერიოზულ შეშფოთებას ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მასშტაბური დარღვევების შესახებ უწყვეტი ინფორმაციის გამო. მათ შორის იყო ინფორმაციები მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ იძულებით გაძევებასა და

დეპორტაციაზე, დაპატიმრებებზე, საავადმყოფოებსა და ლაზარეთებში ადამიანის უფლებათა დარღვევაზე, მშვიდობიანი მოსახლეობისათვის საკვებისა და მედიკამენტების მიწოდების შეფერხებაზე და ქონების უსაფუძვლო მოსპობასა და განადგურებაზე.²⁰¹

რეზოლუცია იმეორებდა საბჭოს წინა მოთხოვნებს და სახელმწიფოებისა და შესაბამისი ორგანიზაციებისაგან ჰუმანიტარული სამართლის დარღვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ითხოვდა. საბჭომ, VII თავის ამოქმედებით, დაადგინა, რომ ყველა მხარეს, ასევე სხვებსაც, ვინც დაკავშირებული იყო ყოფილ იუგოსლავიასთან, და ყველა სამხედრო ძალას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში უნდა შეესრულებინა რეზოლუცია, „წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭო იძულებული გახდებოდა, წესდების შესაბამისად მიეღო შემდგომი ზომები.“

770-ე რეზოლუცია განხილული უნდა იქნეს 1992 წლის ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში გამართული დისკუსიების ფონზე, რომელიც ეხებოდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში მასობრივი სამხედრო-განმათავისუფლებელი ოპერაციების დაწყებას არა გაეროს „ცისფერჩაფხუტიანების“, არამედ დასავლეთის არმიების ეროვნული კონტინგენტების მიერ, მაგალითად, ნატოს ეგიდით.²⁰² 770-ე რეზოლუცია შეიძლება ისე ყოფილიყო გაგებულნი, რომ იგი უფლებას აძლევდა დასავლეთის სახელმწიფოებს, დაეწყოს ამ გეგმების განხორციელება, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ნევრი ქვეყნების სამოქმედო მიზნებს ზღუდავს ჰუმანიტარული დახმარების განწვევის ხელშეწყობით. თუმცა, 1992 წლის 26 აგვისტოს ლონდონში ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილის შემდეგ ეს იდეა გაქარწყლდა. აქცია შეიზღუდა UNPROFOR-ის ცალ-ცალკე განლაგებული და დაფინანსებული 6 000 ჯარისკაცი, რომელთაც ამარაგებდა ექვსი ევროპული ქვეყანა, შეერთებული შტატები (საბრძოლო ნაწილების გარეშე) და კანადა 1992 წლის ნოემბრის დასაწყისისათვის (UNPROFOR II), რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ჰუმანიტარული ტვირთების მიწოდება.²⁰³ ამ ძალების წარმატება ბოსნიელი სერბი მილიციის შეიარღობული წინააღმდეგობის გამო მცირდებოდა.²⁰⁴ 1992 წლის ოქტომბერში უშიშროების საბჭომ ასევე დაანესა „არასაფრენი ზონა“, რომელიც კრძალავდა ნებისმიერ სამხედრო გადაფრენას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში.²⁰⁵

1992 წლის 6 ოქტომბერს საბჭომ უჩვეული ნაბიჯი გადადგა, შექმნა რა ექსპერტთა ნეიტრალური კომისია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებების გამოსაძიებლად.²⁰⁶ გენერალურმა მდივანმა 1992 წლის 23 ოქტომბერს დანიშნა კომისიის ხუთი წევრი, რომელთაც თავმჯდომარეობდა პროფესორი ფრიც კალშოვენი.²⁰⁷ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ქ. იაიეცეს გაქცეულ მოსახლეობაზე სერბეთის მილიციის თავდასხმების შემდეგ, 1992 წლის 30 ოქტომბერს, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ დაგმო ეს თავდასხმები და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყველა, ვინც ჩაიძინა ან ვისი ბრძანებითაც მოხდა ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები, პიროვნულად აგებდა პასუხს და მოითხოვა ასეთი დარღვევების შესახებ ექსპერტთა კომისიის ინფორმირება.²⁰⁸ დამატებით, 1992 წლის 14 აგვისტოს ადამიანის უფლებების კომიტეტი თავისი არსებობის მანძილზე პირველად შეიკრიბა სპეციალურ შეხვედრაზე ფენევასში, რათა კონსენსუსით მიეღო რეზოლუცია, რომელიც გმობდა „ეთნიკური წმენდის“ პოლიტიკას.²⁰⁹ პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მაჟოვეცკი დაინიშნა სპეციალურ მომხსენებლად იუგოსლავიის შესახებ და მისი მოხსენებები ადასტურებდა ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევებს.²¹⁰

საბჭო 1992 წლის 16 ნოემბრის 787-ე რეზოლუციაში, რომელიც სერბიასა და ჩერნოგორიაზე ეკონომიკური სანქციების აღსრულებას ეხებოდა, კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ყოფილ იუგოსლავიაში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის მასობრივ და სისტემატურ დარღვევებს. მან განაცხ-

²⁰¹ SC Res. 771 of 13 August 1992. ILM 31 (1992), 1470.
²⁰² Kramer, *op. cit.*, 210 აცხადებს, რომ 100 ათასიდან 300 ათასამდე ჯარისკაცის განლაგების საკითხის სერიოზულად იხილებოდა.

²⁰³ იხ. Kramer, *ibid.*, UNPROFOR-ის მანდატზე იხ. 1992 წლის 7 აგვისტოს რეზ. 769 (ILM 31 (1992), 1467). 1992 წლის 14 სექტემბრის რეზ. 776 (*ibid.*, 1472) და 1992 წლის 6 ოქტომბრის რეზ. 779 (*ibid.*, 1474). უშიშროების საბჭომ 1992 წლის 8 იანვრის რეზ. 727 (*ibid.*, 1437), 1992 21 თებერვლის რეზ. 743 (*ibid.*, 1447) და 1992 წლის 7 აპრილის რეზ. 749 (*ibid.*, 1449) გადამწყობა, ვერ გაგზავნა 50 მეკვირე და შემდეგ განლაგებინა 14 000 ცისფერჩაფხუტიანი ყოფილ იუგოსლავიაში ერთი წლის ვალდ.

²⁰⁴ J.B. Steinberg, International Involvement in the Yugoslavia Conflict, in L.F. Dauros (ed.), *Enforcing Restrain: Collective Intervention in Armed Conflict*, 1993, 27, 44.

²⁰⁵ SC Res. 781 1992 წლის 9 ოქტომბერი, ILM 31 (1992), 1477; SC Res. 786 1992 წლის 11 ნოემბერი, *ibid.*, 1479. სანამ ჩინეთმა თავი შეიკავა კენჭისყრაზე ამ რეზოლუციის დასაბრუნებლად, ერთხელ იქნა მიღებული, ჩინეთის დაუჭიბობაში მთავალში ძალის გამოყენებისათვის ნებისმიერ სანქციებზე ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში სამხედრო გადაფრენების აკრძალვის განცხადებულად. იხ. Provisional Verbatim Record of the Security Council Meeting on 9 October 1992, S/PV.3122, 9 October 1992, 7; Meeting on 10 November 1992, S/PV.3133, 11 November 1992, 8.

²⁰⁶ SC Res., 780 (1992), ILM 31 (1992), 1476.

²⁰⁷ Kramer, *op. cit.*, 208.

²⁰⁸ U Doc. S/24744, 1992 წლის 30 ოქტომბერი.

²⁰⁹ Human Rights Commission resolution 1992/S-1/1.

²¹⁰ Kramer, *op. cit.*, at 209 with reference to S/24516-A/47/418, 3 September 1992; S/24766-A/47/635, 6 November 1992; S/24809-A/47/666, 17 November 1992.

²¹¹ SC Res. 787 (1992), 16 November 1992; ILM 31 (1992), 1481. იგი მიღებული იქნა 13 ხმით არც ერთის წინააღმდეგ, ჩინეთმა და ზიმბაბუემ თავი შეიკავა.
²¹² SC Res. 798 (1992), ციტატები 1992 წლის 17 დეკემბრის UN Doc. S/24977 ტექსტის დებულებებიდან.
²¹³ UN Doc. A/47/L.47/Rev.1. 1992 წლის 17 დეკემბერი, მიღებული, როგორც რეზოლუცია 47/121.
²¹⁴ იხ. თ. 20.
²¹⁵ SC Res. 816, 31 March 1993. UNYb 1993, 463, 464.
²¹⁶ Quigley, *op. cit.*, 280.

ხადა, რომ ტერიტორიის ძალისმიერი დაკავება და „ეთნიკური წმენდის“ პრაქტიკა უკანონო იყო და ყველა გაძევებულ ადამიანს უნდა მისცემოდა უფლება, მშვიდობიანად დაბრუნებულიყო საკუთარ სახლში. მაშინ, როდესაც საბჭომ უფლება მიანიჭა სახელმწიფოებს, წესდების VI და VII თავების საფუძველზე გაეტარებინათ გარემოებების შესაბამისი ზომები, რათა გაეკონტროლებინათ გემების ტვირთები და მიმართულებები და უზრუნველყოთ 713-ე (1992) და 757-ე (1992) რეზოლუციების შესრულება, არავითარი ზომა არ იყო მიღებული ადამიანის უფლებების განუწყვეტელი დარღვევების საპასუხოდ. საბჭომ უბრალოდ სთხოვა გენერალურ მდივანს, რომ მას სხვა ორგანოებთან ერთად შეესწავლა ჰუმანიტარული მიზნებისათვის უსაფრთხოების ზონების იდეის განხორციელების შესაძლებლობები და პირობები.²¹¹ „ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ქალების მასობრივი, ორგანიზებული და სისტემატური დაკავებებისა და გაუპატიურებების შესახებ“ მოხსენებების საფუძველზე საბჭომ 1992 წლის 17 დეკემბერს მიიღო 798-ე რეზოლუცია, რომელიც წარმოადგინა ბელგიაში, საფრანგეთში და ბრიტანეთში, და მოითხოვა, რომ თავისუფლების აღკვეთის ყველა ბანაკი, ასევე ყველა ბანაკი ქალებისათვის დახურულიყო, დაგმო „ეს ენით აუნერგელი სისასტიკის აქტები“ და მხარი დაუჭირა ევროგაერთიანების დელეგაციის გაგზავნას ასეთი ფაქტების გამოსაძიებლად. მან დამატებით გადაწყვიტა, „დაეტოვებინა საკითხი აქტიურ განხილვაში“.²¹²

1992 წლის 18 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა მკაცრად შედგენილი რეზოლუცია „ეთნიკურ წმენდასა“ და თავისუფლების აღკვეთის ბანაკებზე, სერბიისა და ჩერნოგორიის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიული სუვერენიტეტის დარღვევაზე და მოუწოდა უშიშროების საბჭოს, არა უგვიანეს 1993 წლის 15 იანვრისა განეხილა წევრი სახელმწიფოებისათვის VII თავის მიხედვით უფლებების მინიჭების საკითხი „ყველა საჭირო ზომის გამოყენებაზე“ ბოსნიასთან თანამშრომლობით სერბეთისა და ჩერნოგორიის ძალების უკუსაგდებად, ბოსნიისათვის სამხედრო ემბარგოს მოხსნა და დამატებითი ზომების განხილვა, ისეთის, როგორიცაა სამხედრო დანაშაულობათა საერთაშორისო *ad hoc* ტრიბუნალის შექმნა.²¹³ უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა რეზოლუციას არც ერთი სანინაალმდეგო ხმა არ მიუღია, ორმოცდათვრამეტმა სახელმწიფომ თავი შეიკავა.

ყოფილ იუგოსლავიაში ომის მომდევნო წლები მოიცავდა კონფლიქტის დასრულების წარუმატებელ დიპლომატიურ მცდელობას (როგორც ვანს-ოუენის გეგმა იყო), უშიშროების საბჭოს მიერ სისხლის სამართლის ტრიბუნალის დაფუძნებას, რომელსაც ყოფილ იუგოსლავიაში შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების განსჯის იურისდიქცია ჰქონდა,²¹⁴ და უშიშროების საბჭოს მიერ 1993 წლის 816-ე რეზოლუციით (770-ე რეზოლუციაზე დაყრდნობით) წევრი ქვეყნების უფლებამოსილებას, მიეღოთ

ყველა საჭირო ზომა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში შემდგომი დარღვევების შემთხვევაში, რათა უზრუნველყოთ ფრენების აკრძალვა.²¹⁵

ჩინეთმა ამ რეზოლუციაზე კენჭისყრის დროს თავი შეიკავა, ხოლო რუსეთმა მოგვიანებით გააპროტესტა უშიშროების საბჭოს ბოსნიის შესახებ რეზოლუციის გამოყენება შეერთებული შტატებისა და ნატოს მიერ სარაევოს გარშემო ბოსნიელი სერბების დისლოკაციის ადგილებზე საჰაერო თავდასხმების გასამართლებლად, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ რუსეთი მათ რეალურ მიზნად უფრო სარაევოში ბოსნიის მთავრობისათვის იარაღის მისაწოდებელი გზის გათავისუფლებას მიიჩნევდა, ვიდრე ჰუმანიტარული დახმარების დაცვას.²¹⁶ 1993 წლის 6 მაისს უშიშროების საბჭოს 824-ე რეზოლუციამ სარაევო, ტუზლა, ძეპა, გორაზდე და ბიჰაკი გამოაცხადა უსაფრთხო ზონებად მას შემდეგ, რაც სრებრენიკა და მისი შემოგარენი 1993 წლის 16 აპრილის 819-ე რეზოლუციით უკვე იყო

გამოცხადებული უსაფრთხო ზონებად.²¹⁷ 1994 წლის აპრილიდან 1995 წლის თებერვლამდე ნატოს თვითმფრინავებმა ცხრა შეზღუდული თავდასხმა განახორციელეს სერბების სახმელეთო სამიზნეებზე. 1995 წლის მარტში უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება UNPROFOR-ის ჩანაცვლების შესახებ სამი დამოუკიდებელი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული სამშვიდობო ოპერაციით ბოსნია-ჰერცეგოვინაში (UNPROFOR), ხორვატიასა (UNCRO) და მაკედონიაში²¹⁸ (UNPREDEP).

მას შემდეგ, რაც მლადიჩის არმიამ და ბოსნიელი სერბების მილიციამ სრებრენიკა (1995 წლის 11 ივლისი) და ძეპა (1995 წლის 25 ივლისი) დაიპყრო, მოისპო ორი ანკლავი, რამაც კიდევ უფრო გაართულა საზღვრებზე შეთანხმება მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკებებში. უფრო მეტიც, ხორვატიის პრეზიდენტის ტუდმანის კრაინას კამპანია (1995 წლის 4-7 აგვისტო) დასავლეთ ბოსნიაში მოკავშირე ხორვატებისა და მუსულმანებისათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიული წარმატებით დასრულდა. ამდენად, დავის გადაწყვეტის ადრე შეთანხმებული ფორმულა, რომელიც ტერიტორიის 51 პროცენტს მუსლიმებისა და ხორვატებისათვის, ხოლო 49 პროცენტს სერბებისათვის ითვალისწინებდა, ახლა თითქმის ასახავდა მხარეების მიერ ტერიტორიის რეალურ კონტროლს. ამ გარემოებებმა გამოიწვია ამერიკის ახალი სამშვიდობო ინიციატივა მისიასთან ერთად, რომელსაც რიჩარდ ჰოლბრუკი ხელმძღვანელობდა, რომელმაც მხარეებთან მოლაპარაკებები გამართა 1995 წლის 15 აგვისტოს. სერბებს შესთავაზეს ორი ახალი მნიშვნელოვანი კონცესია. პირველი, მათ მოიპოვეს არჩევანის უფლება, შეექმნათ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო. მეორე, მათ იმავე პირობებით შესთავაზეს სერბეთის რესპუბლიკასთან მჭიდრო ურთიერთობის (გაერთიანების ჩათვლითაც კი) შესაძლებლობა, რომელიც ერთი წლით ადრე მიენიჭათ მუსულმანებსა და ხორვატებს. 1995 წლის 29 აგვისტოს სერბიის ლიდერები კარაჯიჩი (სერბეთის რესპუბლიკა) და მილოშევიჩი (ბოსნიელი სერბები) სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ამ პირობებით დათანხმდნენ.

ერთი დღით ადრე, 1995 წლის 28 აგვისტოს, სარაევოს მუსულმანურ ნაწილში საჰაერო თავდასხმის შედეგად ოცდათვრამეტი ადამიანი დაიღუპა, რაზეც პასუხისმგებლობა სერბეთის ძალებს დააკისრეს. ამან საფუძველი მისცა 1995 წლის 30 აგვისტოს ნატოს ოპერაციის „გააზრებული ძალის“ (Deliberate Force) დაწყებას, რომელიც 1995 წლის 14 სექტემბრამდე გაგრძელდა და რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო შენაერთების, იარაღის, სამხედრო მოწყობილობებისა და წარმოების ადგილების, ასევე სამოქალაქო საგზაო ხაზების, ავტოსტრადებისა და ხიდების დაბომბვას. ამდენად, ძნელია ამ აქციის დაკვალიფიცირება თავდაცვით აქციად²¹⁹ და რადგან ის ბოსნია-ჰერცეგოვინაში სერბების მიერ კონტროლირებად თითქმის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულ სამიზნეებზე ვრცელდებოდა, ის გასცდა გაეროს მანდატს, რომელიც მხოლოდ უსაფრთხოების ზონების დაცვას ითვალისწინებდა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნატომ ჯერ კიდევ 1995 წლის ივლისის ბოლოსთვის მიიღო გადაწყვეტილება, გაეტარებინა დამსჯელი ზომები სერბების წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც სერბების ხელში სრებრენიკისა და ძეპის გადასვლას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სამხედრო დანაშაულების ჩადენა მოჰყვა. ოპერაცია „გააზრებული ძალა“ ამერიკის იდეას წარმოადგენდა, რომელიც ნატოს ნევრებმა უხალისოდ დაამტკიცეს, და *de facto* ის ძირითადად ამერიკული ინიციატივა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციაში ნატოს ნევრი რვა ქვეყანა მონაწილეობდა, 3 500 საჰაერო შეტევის ორი მესამედი აშშ-ს საჰაერო და საზღვაო ძალების ბომბდამშენებმა განახორციელეს. ის, რომ ნატომ სამხედრო აქციით დაასრულა ომი იუგოსლავიაში, მითია.²²⁰ სერბ ლიდერებს ფაქტობრივი თანხმობა პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებაზე „გააზრებული ძალის“ ოპერაციის დაწყებამდე ჰქონდათ მიცემული. ამ ოპერაციის დაწყება საფრთხეს უფრო უქმნი-

²¹⁷ SC Res. 819 (1993), UNYb 1993, 452; SC Res. 824 (1993), *ibid.*, 455.

²¹⁸ მაკედონიასა და საბერძნეთს შორის დაჯავიხილეთ თ. 5 და 11.

²¹⁹ იბ. თ. 19.

²²⁰ იბ. R. Mutz, *Legenden auf dem Balkan, Der Spiegel* 27/1996, 114-6.

²²¹ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობაზე ძირითადი ჩარჩო-ხელშეკრულებისა და ბოსნიასა და ჰერცეგოვინის ფედერაციის იმპლემენტაციის შეთანხმების ტექსტები არის ILM 35 (1996), 75 *et seq.*, 170 *et seq.* ლონდონის შეხვედრის (1995 წლის 12 დეკემბერი) დავის ტექსტი ბოსნიის ძირითადი ჩარჩო-შეთანხმების მშვიდობიანი განხორციელების კონფერენციაზე ILM 35 (1996), 223. იხ. აგრეთვე, UN Chronicle, 1996, no. 1, 25 *et seq.*, 35 *et seq.* ყოფილი იუგოსლავიის დოკუმენტები არბიტრაჟის კომისიაზე გავრეცევათარაბების (კონფერენციის) ეგიდით სართავშორის კონფერენციაზე: მოთითვები, არბიტრაჟის კომისიის ხელახალი ჩამოყალიბება და პროცედურის წესები იხ. ILM 32 (1993), 1572. იხ. P. Gaeta, The Dayton Agreements and International alw, EJIL 2 (1996), 147-63; N. Figa-Talamance, The Role of NATO in the Peace Agreement for Bosnia and Herzegovina, *ibid.*, 176-93; E. Andersen, The Role of Asylum States in Promoting State and Peaceful Repatriation under the Dayton Agreements, *ibid.*, 193-206; J. Sloan, The Dayton Peace Agreement: Human Rights Guarantees and Their Implementation, *ibid.*, 207-25; J.R.W.D. Jones, The Implications of the Peace Agreement for the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, *ibid.*, 226-4; B. Ramcharan, The Bosnian Peace Accord, LJIL 9 (1996), 131-40.

²²² SC Res. 1035 (1995), ILM 35 (1996), 251.

²²³ SC Res. 1035 (1995), *ibid.*, 256.

²²⁴ SC Res. 1021 (1995); 1022 (1995), *ibid.*, 257, 259. შეთანხმების განხორციელების შემდგომ წარმატებებსა და პრობლემებზე იხ. UN Chronicle 33 (1996), no. 2, 24-34. უნდა აღინიშნოს, რომ ბოსნიის არჩევნები ჩატარდა 1996 წლის 14 სექტემბერს. 1996 წლის ოქტომბრის Sc Res. 1074 (1996) გააუქმა სანქციები იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე; ILM 35 (1996), 1561.

და ჰოლბრუკის მისიის წარმატებას. 1995 წლის 5 ოქტომბერს კონფლიქტის ბოსნიური მხარეები ბოლოს და ბოლოს დათანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე, რაც ძალაში ხუთი დღის შემდეგ შევიდა და რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მდგომარეობა.

საკითხი მკვდარი ნერტილიდან დაძრა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის დამყარების ძირითადმა ჩარჩო-ხელშეკრულებამ, რომელსაც პარაფირება გაუკეთდა 1995 წლის 21 ნოემბერს აშშ-ს საჰაერო ძალების ბაზაში დეიტონის ახლოს, ოჰაიოში, და ხელი მოეწერა პარიზში 1995 წლის 14 დეკემბერს.²²¹ ეს შეთანხმება არის ხელშეკრულება ყოფილი იუგოსლავიის ხუთი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოდან სამს შორის – ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკას, იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ხორვატიის რესპუბლიკას შორის, რომელიც დაამოწმა 1994 წლის მაისში მოლაპარაკებების უკანასკნელი ეტაპისათვის ხელშესაწყობად შექმნილი „საკონტაქტო ჯგუფის“ ხუთმა წევრმა (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და ბრიტანეთი) და ევროპის კავშირმა. სამშვიდობო შეთანხმების პირობების თანახმად, უშიშროების საბჭომ 1995 წლის 15 დეკემბერს გასცა სანქცია 60 000 კაციანი ძლიერი მრავალეროვანი სამხედრო ძალის (IFOR)²²² განლაგებაზე, რომელიც შედგებოდა როგორც ნატოს წევრი, ისე არაწევრი ქვეყნების ჯარებისაგან, და რომელიც 1995 წლის 20 დეკემბრისთვის გაეროს უნდა ჩანაცვლებოდა დამცავი ძალებით (ყოფილ) იუგოსლავიაში (UNPROFOR) და უზრუნველყო დეიტონ/პარიზის შეთანხმების შესრულება. გაეროს სამოქალაქო საპოლიციო ძალები ბოსნია-ჰერცეგოვინაში – საერთაშორისო საპოლიციო ძალა (IPTF) – უშიშროების საბჭომ 1995 წლის 21 დეკემბერს შექმნა.²²³ მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით, უშიშროების საბჭომ ჯერ კიდევ 1995 წლის 22 ნოემბერს გააუქმა 1991 წლის 25 სექტემბრის 713-ე რეზოლუციით (რუსეთმა თავი შეიკავა) დანესებული ემბარგო და განუსაზღვრელი ვადით შეაჩერა ეკონომიკური სანქციები იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის (სერბია და ჩერნოგორია) წინააღმდეგ.²²⁴

როგორ შეიძლება ახსნას ვინმემ უშიშროების საბჭოს თავშეკავება, სამხედრო სანქციებით (გარდა საჰაერო თავდასხმებისა) განემტკიცებინა მის მიერ 1991 წლის 25 სექტემბერს მიღებული თავდაპირველი 713-ე რეზოლუციის შემდეგ VII თავის თანახმად მიღებული გადაწყვეტილებები იუგოსლავიის შემთხვევაში? 1992 წლის ზაფხულის ლონდონის კონფერენციის შემდეგ მხარეებმა მრავალი შეთანხმება დადეს და დაარღვიეს, მაშინ, როდესაც ეთნიკური წმენდის პრაქტიკის, გაუპატიურებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტები ფენევის მოლაპარაკებების დროსაც კი გვხვდებოდა.

როგორც ჩანს, ის სახელმწიფოები, რომელთაც ამის გაკეთების საშუალება ჰქონდათ, სხვადასხვა მიზეზების გამო თავს იკავებდნენ იუგოსლავიაში სამხედრო შეჭრისაგან, განსაკუთრებით სახმელეთო ძალებით. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებს განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ, რაც ჩანს რუსეთის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებიდან სერბეთის მიმართ და საბერძნეთის პოზიციიდან მაკედონიის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ევროგაერთიანების სხვა წევრების შეხედულებებს. ასევე არ არსებობდა ცალსახა ან საერთო დასავლური პოლიტიკა ბალკანეთის მომავალთან დაკავშირებით. აგრეთვე რთული ჩანდა ჯარების სამხედრო ინტერვენციის შეზღუდული მიზნებისა და მათი მოთხოვნების ზუსტად დახასიათება. სპეციალური ტექნიკური სირთულეები ზონაში ეფექტური სამხედრო ოპერაციისათვის, თუნდაც ერთ კარგად აღჭურვილ, განვრთნილ და ჩამოყალიბებულ მონინააღმდეგე არმიასთან დაპირისპირების პერსპექტივა, და მათი ჯარისკაცების სიცოცხლის რისკი, უკვე ადგილზე მყოფი გაეროს სამშვიდობო ძალების ეროვნული კონტინგენტების ჩათვლით, სხვა, უფრო სპეციფიკურ მოსაზრებებს წარმოადგენდა. არსებობდა პარტიზანულ ომში ჩათრევის სა-

შიშროებაც, საბოლოო ხანგრძლივი ვალდებულებებით, ისეთით, როგორცაა შეიარაღებული ყოფნა ზონაში. ამდენად, შეიძლება უკეთესიც იყო სანქციებით ზენოლის გაგრძელება და მხარეების მოლაპარაკებების პროცესში ჩართვა, ადამიანთა ტანჯვის შემსუბუქებისა და კონფლიქტის გაკონტროლებისთვის მაინც, სანამ მეომარი მხარეები თვითონ არ ამოწურავდნენ საკუთარ შესაძლებლობებს. თუმცა, ბოსნიელი მუსულმანების მდგომარეობის თვალსაზრისით, გაეროსა და დასავლეთის სახელმწიფოების უმოქმედობის შედეგები მუსლიმანური სამყაროს მიმართ ღია საკითხად რჩება.

იუგოსლავიაში ომისმაგვარ რთულ ვითარებაში არ არის ადვილი პოლიტიკური არჩევანის გაკეთება ისეთ შეზღუდულ საკითხზეც კი, როგორცაა ყველა მხარეზე დაწესებული არადიფერენცირებული სამხედრო ემბარგოს მოხსნა. როგორც აღმოჩნდა, შეერთებული შტატები იუგოსლავიის პრობლემას პირველ ყოვლისა ევროპის მიერ გადასაწყვეტ საკითხად განიხილავდა და თვლიდა, რომ ამერიკის სასიცოცხლო ინტერესები²²⁵ მხოლოდ მაშინ შეილახებოდა, თუ ომი ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებზეც გავრცელდებოდა, რაც საბერძნეთისა და თურქეთის ომში ჩაბმის საფრთხეს შექმნიდა. შეერთებულმა შტატებმა მხოლოდ უკანასკნელ ეტაპზე გადამწყვიტა, გაეგზავნა თავისი საჰაერო ძალები სერბების წინააღმდეგ მასობრივი თავდასხმებისათვის და მშვიდობიანი მოგვარების მისაღწევად ზემოქმედების განსახორციელებლად. ევროპული ორგანიზაციები და სახელმწიფოები შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის გარეშე უძლურნი აღმოჩნდნენ, შეიარაღებული პასუხი გაეცათ მათ რეგიონში გაჩაღებულ სერიოზულ კონფლიქტზე. საფრანგეთის მთავრობამ კი გააკეთა რამდენიმე განცხადება თავის შესაძლო მზადყოფნაზე, ცალმხრივად გამოეყენებინა სამხედრო ძალა ბოსნიაში საკონცენტრაციო ბანაკებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გასათავისუფლებლად, მაგრამ ისინი უფრო ბუნდოვან განცხადებებად დარჩა.²²⁶ სხვა ევროპულ სახელმწიფოებს არ სურდათ, იმაზე შორს წასულიყვნენ, ვიდრე ნიდერლანდების მიერ გაკეთებული განცხადება იყო უფრო მკაცრი ზომების მიღების შესახებ. გამოცდილებამ ნათლად აჩვენა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საერთო ელემენტების გაძლიერების, დასავლეთ ევროპის კავშირის (WEU) განახლებისა და ევროპაში რეგიონალური უსაფრთხოების სხვა ასპექტების გაუმჯობესების საჭიროება.

²²⁵ ამოსაზრებასთან დაკავშირებით იხ. C.J.F. Terry, *The Criteria for Intervention: An Evaluation of US Military Policy in UN Operations*, Texas ILJ 31 (1996), 101-5.
²²⁶ IHT, 1993 წლის 11 იანვარი, 1; 1993 წლის 13 იანვარი, 2.
²²⁷ იხ. D.W. Bowett, *United Nations Forces*, 1964.
²²⁸ იხ. S.R. Ratner, *The New UN Peacekeeping: Building Peace in Lands of Conflict After the Cold War*, 1995.

გაეროს სამშვიდობო ოპერაციები

გაეროს სამშვიდობო ოპერაციები²²⁷ ტრადიციულად ცალსახად იყო გამიჯნული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ VII თავის მიხედვით სანქცირებული „იძულებითი აქციისაგან“, რადგან ისინი ყოველთვის ემყარებოდა კონფლიქტის მხარეების თანხმობას გაეროს მფარველობის ქვეშ მყოფი სამშვიდობო ჯარებისა და სამხედრო დამკვირვებლების განლაგებაზე. გაეროს „იძულებით აქციებსა“ და „სამშვიდობო ოპერაციებს“ შორის განსხვავება სულ უფრო და უფრო შეუმჩნეველი გახდა, ოპერაციების ახალი ტიპებიდან გამომდინარე (რომელთაც ხშირად მოხსენიებენ, როგორც „მეორე თაობის სამშვიდობო ოპერაციებს“ ან „შერეულ სამშვიდობო ოპერაციებს“, რომლებიც შეიძლება იძულების ზოგიერთ ელემენტს შეიცავდეს). მართლაც, გაეროს სამშვიდობო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია გაცილებით დამბნევი გახდა. უფრო მოსახერხებელია, რომ ქვემოთ განსხვავება გავაკეთოთ ცივი ომის დროინდელ „ძველ“ სამშვიდობო ოპერაციებსა და ცივი ომის შემდგომ „ახალ“ სამშვიდობო ოპერაციებს შორის. პრაქტიკაში ორივე ფორმა ერთმანეთის გვერდით აგრძელებს არსებობს.²²⁸

²²⁹ იხ. ზემოთ.

²³⁰ იხ. ქვემოთ.

²³¹ იხ. ზემოთ.

²³² Expenses case, ICJ Rep. 1962, 151, 166, 171-2, 177. იხ. ქვემოთ.

²³³ *ibid.*, 167.

²³⁴ GA Res. A/3276 of 4 November 1956. UNYb 1956, 36. იხ. Higgins, *op. cit.*, Vol. 2, 221 *et seq.*

„ქველი“ სამშვიდობო ოპერაციები ცივი ომის დროს

1945 წლის შემდეგ წესდების VII თავი, რომელიც უშიშროების საბჭოს მოქმედებას განსაზღვრავდა, პარტიკაში ნაკლებად გამოიყენებოდა და სახელმწიფოებიც პერიოდულად (განსაკუთრების 1950-იან წლებში) მიმართავდნენ გენერალურ ასამბლეასა და სამდივნოს ამ ხარვეზის შესავსებად. საბჭოთა კავშირი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ამ ტენდენციას, ასე რომ 1960 წლის შემდეგ ძალაუფლება კვლავ უშიშროების საბჭოს დაუბრუნდა.²²⁹ 1950-იან წლებში გენერალური ასამბლეა ითხოვდა გაეროს სამშვიდობო ძალების შექმნის ძალაუფლებას და რეალურად განახორციელა კიდევ იგი 1956 წელს.²³⁰ 1960 წლიდან გაეროს ყველა სამშვიდობო ძალა უშიშროების საბჭოს მიერ იყო შექმნილი და გენერალური ასამბლეის მხრიდან აღარ ყოფილა გაეროს სხვა სამშვიდობო ჯარების შექმნის არანაირი სერიოზული მცდელობა. საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა გენერალურ ასამბლეას გაეროს სამშვიდობო ძალების შექმნის კანონიერი უფლება, უკვე აღარ არის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა, თუმცა ჯერ კიდევ ღირს მისი შესწავლა, რადგან იგი ნათელს ჰფენს სხვა უფრო მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოებს შორის, წესდების 43-ე მუხლის შესაბამისად, არავითარი შეთანხმება არ დადებულა.²³¹ ამას ხელი არ შეუშლია გაეროსთვის, სამხედრო ძალები სხვა საშუალებებით შეეკრიბა. მაგალითად, ასეთი ძალები იქნა გაგზავნილი ახლო აღმოსავლეთში 1956 წელს და კონგოში 1960 წელს. საბჭოთა კავშირი დაობდა, რომ ეს ორი ძალა უკანონო ფორმირება იყო, რადგან ისინი 43-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურის თანახმად არ შექმნილა. ამაზე საერთაშორისო სასამართლომ უპასუხა, რომ ეს შეიარაღებული ძალები იძულებითი ზომების გასატარებლად არ შექმნილა, და რომ 43-ე მუხლი მხოლოდ იმ შეიარაღებულ ძალებზე ვრცელდება, რომლებიც იძულებითი ზომების გატარებისთვისაა გამიზნული; შესაბამისად, 43-ე მუხლის მოთხოვნების უგულებელყოფას არ გამოუწვევია ამ შეიარაღებული ძალების შექმნის უკანონოდ აღიარება.²³²

თუმცა, როგორც ჩანს, საერთაშორისო სასამართლოს არ უგულისხმია, რომ 43-ე მუხლით დადგენილი პროცედურის უგულებელყოფას შეეძლო გამოეწვია იძულებითი ზომების განსახორციელებლად შექმნილი შეიარაღებული ძალების უკანონოდ გამოცხადება.²³³ როდესაც 42-ე მუხლი ამბობს, რომ „ზომები ... [გაეროს] ძალებით ... შეიძლება მოიცავდეს ... ორგანიზაციის წევრების ... ძალების ... ოპერაციებს“, ის აშკარად გულისხმობს, რომ არსებობს გაეროს ძალების შექმნის ერთზე მეტი გზა.

43-ე მუხლის მიზანი იყო უშიშროების საბჭოსთვის მოქმედების გადავილება; ამ მიზნისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ 43-ე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმებების არარსებობას უშიშროების საბჭოსათვის მოქმედებაში ხელი უნდა შეეშალა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 43-ე მუხლი ადგენს პროცედურას, რომლის თანახმადაც უშიშროების საბჭოს შეუძლია იმოქმედოს, მაგრამ ის არ უშლის მას ხელს ალტერნატიული პროცედურის არჩევაში.

გაეროს პირველი სწრაფი რეაგირების ძალები ახლო აღმოსავლეთში (UNEF)

1956 წლის ოქტომბრის ბოლოს ისრაელმა, საფრანგეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ ეგვიპტეს შეუტყეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მონაწილე მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, გენერალურმა ასამბლეამ კი 1956 წლის 5 ნოემბერს ჩამოაყალიბა გაეროს სწრაფი რეაგირების ძალები (UNEF) „ბრძოლების შეწყვეტის უზრუნველყოფისა და მეთვალყურეობისათვის“.²³⁴ მოგვიანებით, როდესაც ისრაელმა, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ჯარები

გაიყვანეს, UNEF ისრაელ-ეგვიპტის საზავო ხაზის გასაპატრულებლად გაიგზავნა, რათა ხელი შეეწყოს „1949 წლის საზავო შეთანხმების ზუსტი შესრულებისათვის“.²³⁵

ეს ძალები შედგებოდა ეროვნული ჯარების კონტინგენტებისაგან, რომელიც წარმოდგენილ იქნა ოპერაციაში მონაწილე სახელმწიფოებსა და გენერალურ მდივანს შორის შეთანხმების შედეგად. გენერალურმა ასამბლეამ დანიშნა ძალების მეთაური და უფლება მისცა გენერალურ მდივანს, მიეღო რეგლამენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა მომსახურე ჯარისკაცების უფლებები და მოვალეობები. შეიარაღებულ ძალებს გაერო აფინანსებდა და ის ბრძანებებს მხოლოდ გენერალური ასამბლეისა და გენერალური მდივანისაგან იღებდა. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკითხი, მაგალითად, ისეთი, როგორცაა სამხედროების დანიშნაობა, მონაწილე ქვეყნების მიერ წყდებოდა, ეს ძალები გაეროს ძალებს გაცილებით მეტი მნიშვნელობით წარმოადგენდა, ვიდრე კორეაში გაგზავნილი ძალები.

ეს ძალები მნიშვნელოვანწილად თანხმობის პრინციპით შეიქმნა. არც ერთი ქვეყანა არ იყო ვალდებული, გაეგზავნა კონტინგენტი, თუ იგი ამას არ ეთანხმებოდა. შეიარაღებულ ძალებს არ ჰქონდათ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება მასპინძელი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე; ასე რომ, იგი მოქმედებდა მხოლოდ ეგვიპტის და არა ისრაელის ტერიტორიაზე, რადგან ისრაელმა, ეგვიპტისგან განსხვავებით, უარი განაცხადა მათ განთავსებაზე.

ეს ძალები უფლებამოსილი იყვნენ, გამოეყენებინათ იარაღი თავდაცვის მიზნით, მაგრამ არავინ ელოდა მათგან ფართომასშტაბიან შეტაკებებს საზავო ხაზის გასწვრივ; მართლაც, ის ფაქტი, რომ მათი რიცხვი არასოდეს არ აღემატებოდა 6 000 ადამიანს, ასეთ როლს შეუძლებელს გახდიდა. ძალების ფუნქციას წარმოადგენდა საზავო ხაზის პატრულირება და მის გასწვრივ შეიარაღებული ძალების გადაადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ეს ძალები ასევე გამოიყენებოდა საზავო ხაზის რეჟიმის დამრღვევი პირების დასაპატიმრებლად და ეგვიპტის პოლიციისათვის გადასაცემად. ათწელზე მეტი ხნის განმავლობაში, სანამ 1967 წელს ეგვიპტის მოთხოვნით არ დატოვეს ქვეყანა, მათმა იქ ყოფნამ ხელი შეუწყო მშვიდობიანი გარემოს შექმნას, რომელშიც საზავო ხაზის გასწვრივ პარტიზანული თავდასხმები ძალიან იშვიათი იყო.

ძალების შექმნის სამართლებრივი ბაზა ზუსტად არ იყო განსაზღვრული. კომუნისტური ქვეყნები, რომლებმაც თავი შეიკავეს ძალების შექმნასთან დაკავშირებულ კენჭისყრაზე, აცხადებდნენ, რომ გაეროს მიერ ნებისმიერი სახის შეიარაღებული ძალის შექმნა იძულებით ზომას წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ უშიშროების საბჭომ შეიძლება გაატაროს. ხარჯების საქმეში საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ UNEF-ის ოპერაციები არ წარმოადგენდა იძულებით ზომებს, რადგან ის არ იყო მიმართული არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ ამ ქვეყნის თანხმობის გარეშე.²³⁶ მაგრამ ერთია იმის ჩვენება, რომ გაეროს წესდებაში არ არის დებულება, რომელიც კრძალავს შეიარაღებული ძალების შექმნას; უფრო რთულია იპოვო დებულება, რომელიც სანქციას აძლევს ასეთი ძალების შექმნას. საერთაშორისო სასამართლომ გამოთქვა ვარაუდი, რომ შეიარაღებული ძალები შეიძლება წესდების მე-11 ან მე-14 მუხლზე დაყრდნობით შექმნილიყო.²³⁷ ამ მუხლებთან დაკავშირებული პრობლემა ის არის, რომ ისინი გენერალურ ასამბლეას უბრალოდ აძლევს უფლებას, გააკეთოს რეკომენდაცია ზომებზე, რომლებიც სხვამ უნდა განახორციელოს; ისინი არ აძლევენ გენერალურ ასამბლეას ასეთი ზომების უშუალოდ განხორციელების უფლებას. მაგრამ გენერალური ასამბლეის პრაქტიკა აჩვენებს, რომ გენერალური ასამბლეის მიერ მხოლოდ რეკომენდაციების გაკეთების შესაძლებლობის ფაქტი არ უშლის მას ხელს, დააარსოს დამხმარე ორგანოები, რომლებიც განახორციელებენ ამ რეკომენდაციებს იმ პირობით, რომ მონაწილე სახელმწიფოები თანხმობას აცხადებენ.²³⁸

²³⁵ *ibid.*, 61.

²³⁶ ICI Rep. 1962, at 171-2. ის აგრეთვე ქვემოთ: უმეტესი განმარტებები აღწერილია UNEF-ს, როგორც „სამშვიდობო ძალებს“. სამშვიდობო ძალების კონცეფცია და განსხვავებასაშვიდობო იძულებით ზომებს შორის არ არის მოცემული ამ თავში, მაგრამ როგორც ამ თავის დასაწყისში აღნიშნული, მათ განეთარება პრაქტიკაში.

²³⁷ *ibid.*, 172. ამ მუხლების ტექსტი იხ. თ. 21 ზემოთ.

²³⁸ Effect of Awards of Compensation made by the UN Administrative Tribunal, ICI Pleadings, Oral Arguments, Documents 1954, 295-301.

²³⁹ იბ. B. Notte, Conflicts, Congo, in Wolfrum UNLPP I, 225-32; D.W. Bowett, United Nations Forces: A Legal Study of United Nations Practice, 1964, 153-254; G. Abi-Saab, The United Nations Operations in the Congo 1960-1964, 1978.

²⁴⁰ SC Res. 4383 (1960), UNYb 1960, 97.

²⁴¹ *ibid.*

²⁴² იბ. თ. 21.

²⁴³ SC Res. 4424 (1960), UNYb 1960, 98.

გაეროს შეიარაღებული ძალები კონგოში (ONUC)

1960 წლის 30 ივნისს ბელგიამ დამოუკიდებლობა მიანიჭა ბელგიურ კონგოს.²³⁹ ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა კონგოს (რომელსაც შემდგომში ზაირი დაერქვა) დამოუკიდებლობისათვის შესამზადებლად. კონგოს არმია თითქმის მამინვე აჯანყდა და დაიწყო კონგოს ევროპელ მაცხოვრებლებზე თავდასხმები. ბელგიამ, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა თავისი სამხედრო ბაზები კონგოში, ევროპელების დასაცავად ჯარებს მობილიზაცია გაუკეთა, კონგოს მთავრობამ კი გაეროს მიმართა სამხედრო დახმარების თხოვნით „ბელგიის აგრესიისაგან“ თავდასაცავად. 1960 წლის 14 ივლისს უშიშროების საბჭომ სანქცია მისცა გენერალურ მდივანს, გაეწია კონგოსთვის სამხედრო დახმარება;²⁴⁰ გენერალურმა მდივანმა წინასწარვე განაცხადა, რომ ის განმარტავდა ამ რეზოლუციას, როგორც მისთვის UNEF-ის ტიპის შეიარაღებული ძალების შექმნაზე უფლების მიმნიჭებელს. მის მიერ ამ ძალების შესაქმნელად გადადგმული ნაბიჯები უშიშროების საბჭომ ერთხმად მოიწონა რვა დღის შემდეგ.²⁴¹ მიუხედავად იმ პირობებისა, რომელშიც ეს ძალები შეიქმნა, ის არ იყო გამიზნული ბელგიის ჯარის წინააღმდეგ სამხედრო აქციების განსახორციელებლად; მისი ფუნქცია იყო კონგოს მთავრობისათვის დახმარების განწევა კანონიერებისა და წესრიგის შენარჩუნებაში და ისეთი გარემოს შექმნაში, რომელშიც კონგოში მცხოვრებ ევროპელებს არ დასჭირდებოდათ ბელგიის არმიის მიერ დაცვა. ეს ძალები UNEF-ის მოდელზე შეიქმნა, მაგრამ მალე უამრავმა განსხვავებამ იჩინა თავი.

უპირველეს ყოვლისა, უშიშროების საბჭოს ვეტოს გამო წაერთვა გენერალური მდივნისათვის ზუსტი ინსტრუქციების მიცემის საშუალება, რის შედეგადაც გენერალური მდივანი იძულებული იყო, მიეღო ყველა ის გადაწყვეტილება, რომელთაც UNEF-ის შემთხვევაში გენერალური ასამბლეა იღებდა (მაგლითად, შეიარაღებული ძალების მეთაურის დანიშვნა).

მეორე, თუმცა ძალებს თავდაპირველი განზრახვით კონგოს მთავრობის თანხმობით უნდა ემოქმედათ, ამ პრინციპის დაცვა გართულდა, როდესაც კონგოს მთავრობა მეომარ დაჯგუფებებად დაიშალა. თანხმობის პრინციპიდან სხვა გადახვევა შეინიშნება უშიშროების საბჭოს მიერ 1960 წლის 9 აგვისტოს გამოცემულ რეზოლუციაში, რომელიც კონგოზე ადრე მიღებულ რეზოლუციებს ეყრდნობოდა და ახსენებდა წევრ სახელმწიფოებს, რომ მათ, წესდების 25-ე მუხლის თანახმად, ევალეზათ,²⁴² „დაემორჩილონ და შეასრულონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები“.²⁴³ ერთ-ერთი ადრეული გადაწყვეტილება, რომელზეც მითითებული იყო 1960 წლის 9 აგვისტოს რეზოლუციაში, 1960 წლის 22 ივლისის რეზოლუციაა, რომელიც *inter alia* მოითხოვდა, რომ „ყველა სახელმწიფოს თავი შეეკავებინა ნებისმიერი ქმედებისაგან...“, რომელიც ხელს უშლიდა კანონიერებისა და წესრიგის აღდგენას ... და აგრეთვე თავი შეეკავებინათ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელსაც შეეძლო შეესუსტებინა ... კონგოს ... ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა“. ეს მოთხოვნა, რომელმაც 1960 წლის 9 აგვისტოს რეზოლუციაში ბრძანების სახე მიიღო, იგნორირებულ იქნა ზოგიერთი დასავლური ფინანსური ინტერესის მიერ, რაც ხელს უწყობდა მუას ჩომბის სეპარატისტულ საქმიანობას კატანგაში, და საბჭოთა კავშირის მიერ, რომელიც მხარს უჭერდა პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას პრეზიდენტ კასავუბუს წინააღმდეგ ბრძოლაში.

მესამე, მიუხედავად იმისა, რომ ძალებს, თავდაპირველი განზრახვით, მხოლოდ თავდაცვის მიზნით შეეძლოთ იარაღის გამოყენება, შემდგომში უფლება მიეცათ, სხვა გარემოებებშიც მიემართათ იარაღისთვის – კერძოდ, სამოქალაქო ომის აღსაკვეთად და უცხოური სამხედრო დაჯგუფების განსაღეგნად. ბოლოს და ბოლოს, გაეროს ძალები ჩართულნი აღმოჩნდნენ ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციებში კატანგაში სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ.

ამ ძალების შექმნის სამართლებრივი საფუძვლები რთული და წინააღმდეგობრივია. საბჭოთა კავშირი ამტკიცებდა, რომ ძალების შექმნა უკანონო იყო ბევრი მიზეზის გამო, მათ შორის იმ ფაქტის გამოც, რომ მათ ფაქტობრივად გენერალურ²⁴⁴ მდივანი აკონტროლებდა, ნაცვლად იმისა, რომ უშიშროების საბჭოს კონტროლს დაქვემდებარებოდნენ, როგორც დადგენილი იყო. მაგრამ არ ჩანს მიზეზი, თუ რატომ არ შეეძლო უშიშროების საბჭოს, დაეთმო თავისი უფლებამოსილება გენერალური მდივნისათვის წესდების 98-ე მუხლის თანახმად, რომელიც ადგენს, რომ „გენერალური მდივანი... ასრულებს ისეთ... ფუნქციებს, რომელსაც მას აკისრებს“ უშიშროების საბჭო. ნებისმიერ შემთხვევაში, საბჭოთა პოზიცია ძნელად ესადაგება იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირმა ხმა მისცა რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც ეს ძალები შეიქმნა.

ხარჯების საქმეში საერთაშორისო სასამართლომ განაცხადა, რომ შეიარაღებული ძალების საქმიანობა არ წარმოადგენდა იძულებით ზომას.²⁴⁴ სასამართლოს ასეთი განცხადება მით უფრო გასაკვირია, თუ კატანგაში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების მასშტაბებს გავითვალისწინებთ. თუმცა კომენტატორებმა ზოგადად ოპერაციები დაახასიათეს, როგორც „სამშვიდობო აქციები“ „იძულებითი აქციების“ საწინააღმდეგოდ, მაგრამ შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული ერთ-ერთი რეზოლუცია ბრძანების ტონით იყო შედგენილი;²⁴⁵ ზოგი კომენტატორი თვლიდა, რომ ძალების შექმნა წარმოადგენდა „დროებით ზომებს“ მე-40 მუხლის ფარგლებში და ამ შეხედულებამ გაეროს სამდივნოშიც მოიპოვა გარკვეული მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ მე-40 მუხლი სტრუქტურულად VII თავშია, შეიძლება ითქვას, რომ „დროებითი ზომები“ მე-40 მუხლის მიხედვით არ წარმოადგენს „იძულებით ზომებს“; წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს, რომლისგანაც დროებითი ზომების განხორციელებას მოითხოვდნენ, შეიძლებოდა შესჩერებოდა ნევრობის მე-5 მუხლით დადგენილი უფლებები და პრივილეგიები,²⁴⁶ რაც შეუთავსებელი იქნებოდა მე-40 მუხლის პრინციპთან, რომ „დროებითმა ზომებმა არ უნდა შელახონ მონაწილე მხარეების უფლებები“.²⁴⁷

მე-40 მუხლის მოშველიება გულისხმობს, რომ მდგომარეობას კონგოში (სულ მცირე) საფრთხე უნდა შეექმნა საერთაშორისო მშვიდობისათვის.²⁴⁸ მიუხედავად იმისა, რომ კონგოს შესახებ თავდაპირველი რეზოლუციები არ შეიცავდა უშიშროების საბჭოს მიერ ასეთი ეფექტის პირდაპირ დადგენას, აშკარაა, რომ სამოქალაქო ომის საშიშროება კონგოში იმავე საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობას, რა საფრთხეც შეუქმნა მას სამოქალაქო ომმა როდესაც.²⁴⁹ უშიშროების საბჭოს მიერ მოგვიანებით, 1961 წლის 21 თებერვალს, მიღებული S/4722 რეზოლუციის პრეამბულა იმეორებს, რომ უშიშროების საბჭო იყო „ღრმად შეშფოთებული ... კონგოში ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომისა და სისხლისღვრის საშიშროებითა და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მუქარით“.²⁵⁰ მართლაც, მდგომარეობა კონგოში გაცილებით სერიოზული იყო, რადგან არსებობდა იმის რისკი, რომ სამოქალაქო ომში საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ჩაერთვებოდნენ. გაეროს ქმედებებმა ვერ შეძლო სრულად ამ რისკის თავიდან აცილება, მაგრამ რომ არა ეს ქმედებები, ორი ზესახელმწიფო შეიძლებოდა თავისი ნების საწინააღმდეგოდ კონგოში ვიეტნამის მასშტაბების ომში აღმოჩენილიყო ჩართული. ამდენად, ორივე ზესახელმწიფო, ალბათ, მოხარული იყო, რომ გაერომ შეავსო კონგოში არსებული ვაკუუმი და არ დაუშვა ერთ-ერთის კონტროლის ქვეშ კონგოს გადასვლა.

ხარჯების საქმე

როდესაც ახლო აღმოსავლეთსა და კონგოში გაეროს ძალები შეიქმნა, გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა, რომ ნევრ სახელმწიფოებს აწვავთ კანონიერი ვალდებულება, ფული გადაეხადათ ამ ძალებისათვის. თუმცა

²⁴⁴ ICJ Rep. 1962, at 177.
²⁴⁵ იხ. ზემოთ.
²⁴⁶ იხ. თ. 21.
²⁴⁷ მე-40 მუხლის ტექსტი იხ. ზემოთ.
²⁴⁸ იხ. ზემოთ.
²⁴⁹ იხ. ზემოთ.
²⁵⁰ UNYb 1961, 104.

²⁵¹ ICJ Rep. 1962, 151. იხ. M. Bothe, Certain Expenses of the United Nations (Advisory Opinion), EPIL 1 (1992), 557-60.

²⁵² იხ. თ. 18.

²⁵³ იხ. თ. 21.

²⁵⁴ იხ. T. Oppermann, Cuprus, EPIL 1 (1992), 923-6.

ძალები ფინანსდებოდა არა ჩვეულებრივი ბიუჯეტიდან, არამედ ცალკე ანგარიშებიდან (თითო ანგარიში თითოეულ შეიარაღებულ ძალაზე); ასევე გამოიყენებოდა გადასახადების განსხვავებული ნორმები, რომლებიც ამცირებდა უღარიბესი წევრი ქვეყნების გადასახად თანხას. ამ ფაქტებმა გამოიწვია ზოგიერთი ქვეყნის მიერ იმის მტკიცება, რომ ძალებისათვის გადასახდელი ხარჯები იმდენად განსხვავდებოდა გაეროს ჩვეულებრივი ხარჯებისაგან, რომ წევრი სახელმწიფოები არ იყვნენ ვალდებული, ფული გადაეხადათ ამ ძალებისათვის. კომუნისტური ქვეყნები ასევე დაობდნენ, რომ არ არსებობდა ვალდებულება ამ ძალებისათვის თანხის გადახდაზე, რადგან ისინი უკანონოდ იყო შექმნილი. მალე ნათელი გახდა, რომ გაერო დიდი ფინანსური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა და სახსრების უკმარისობამ აიძულა გაერო, 1963 წელს შეემცირებინა თავისი ძალები კონგოში, ხოლო 1964 წელს საერთოდ გამოეყვანა ისინი იქიდან.

შემდგომში გენერალურმა ასამბლეამ მიმართა საერთაშორისო სასამართლოს რჩევისათვის, იყო თუ არა ორი შეიარაღებული ძალების ხარჯები ნამდვილად გაეროს ხარჯები წესდების მე-17(2) მუხლის თანახმად, რომელიც ადგენს, რომ „ორგანიზაციის ხარჯები მის წევრებს აკისრიათ გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი განაწილების მიხედვით“. 1962 წლის 20 ივლისს სასამართლომ დადებითი პასუხი გასცა ამ კითხვას, ცხრა ხმით ხუთის წინააღმდეგ.²⁵¹ სასამართლოს წინაშე დასმული კითხვა პირდაპირ არ იყო დაკავშირებული ძალების შექმნის კანონიერების საკითხთან, და სასამართლოს მოკლე შენიშვნები მათი შექმნის კანონიერებაზე საკმაოდ საეჭვო იყო. იგი შემოიფარგლა იმის განცხადებით, რომ ძალების შექმნა, ალბათ, კანონიერი იყო, და მათი კანონიერების საწინააღმდეგო ზოგიერთი არგუმენტის უარყოფით, მაგრამ მას არ განუცხადებია, კონკრეტულად წესდების რომელი დებულება ადგენდა მათი შექმნის კანონიერებას.

სასამართლოს აზრი, როგორც სათათბირო აზრი,²⁵² არ იყო სავალდებულო, და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელიც ადრე წინააღმდეგი იყო, დაიწყო თანხების გადახდა სასამართლოს მიერ დასკვნის გაკეთების შემდეგ, საბჭოთა ბლოკი და საფრანგეთი დარჩა თავის პოზიციაზე – არ გადაეხადათ. შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები იმუქრებოდნენ წესდების მე-19 მუხლის ამოქმედებით, რომელიც ართმევს დამრღვევ სახელმწიფოს გენერალურ ასამბლეაზე ხმის მიცემის უფლებას, „თუ მისი დავალიანების თანხა უდრის ან აღემატება შესატანი წინა ორი სრული წლის ანარიცხების ჯამს“. ²⁵³ ამაზე საბჭოთა კავშირმა მუქარითვე უპასუხა, რომ დატოვებდა ორგანიზაციას, თუკი მას ჩამოართმევდნენ ხმის უფლებას გენერალურ ასამბლეაზე. საბოლოოდ, 1965 წლის აგვისტოში, შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა დათმეს და დათახმდნენ, არ ამოქმედებინათ მე-19 მუხლი. საპასუხოდ, საბჭოთა კავშირი ნებაყოფილობითი შენატანების გაკეთებას დაჰპირდა ორივე შეიარაღებული ძალების ხარჯებში.

გაეროს ძალები კვიპროსზე (UNFICYP)

როდესაც 1960 წელს კვიპროსი დამოუკიდებელი გახდა, მას რთული კონსტიტუცია ჰქონდა, რომელიც ძირითადად თურქულენოვანი უმცირესობის ინტერესებს იცავდა, 1960 წლის ხელშეკრულებაში გარანტიების შესახებ კვიპროსი დათანხმდა არ შეეცვალა კონსტიტუციის ძირითადი დებულებები და ხელშეკრულების თითოეულ მხარეს (საბერძნეთი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო) მიანიჭა უფლება, გაეტარებინათ ცალმხრივი „აქცია“ (სიტყვა, რომელიც ალბათ წინასწარვე დამაბნეველი იყო) კონსტიტუციის დასაცავად.²⁵⁴ 1963 წელს პრეზიდენტმა მაკარიოს კვიპროსელმა განაცხადა, რომ კონსტიტუცია ვერ მოქმედებდა და უნდა შეცვლილიყო. ამან კვიპროსში ბერძნულ და თურქულ თემებს შორის შეტაკებები გამოიწვია და ბრიტანეთის ჯარები ჩა-

მოვიდნენ, თითოეული მონაწილე მხარის თანხმობით, რათა შეენარჩუნებინათ მშვიდობა ორ თემს შორის. მშვიდობის შენარჩუნება იმაზე გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ბრიტანელები ელოდნენ, ასე რომ, მათ გაეროს კუნძულზე სამშვიდობო ძალების გაგზავნა სთხოვეს.

იყო იმის რეალური საშიშროება, რომ საბერძნეთსა და თურქეთს შორის ომი დაწყებულიყო კვიპროსში ბერძნულ და თურქულ თემებს შორის შეტაკებების გამო. შედეგად, 1964 წლის 4 მარტს უშიშროების საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა გაეროს ძალების შექმნა კვიპროსში ორ თემს შორის ახალი შეტაკებების თავიდან აცილების მიზნით.²⁵⁵

ძალები სამართლებრივად ძალიან ემსგავსებოდა UNEF-ს, მაგრამ რამდენიმე არსებითი განსხვავებით. უპირველეს ყოვლისა, ის ნებაყოფილობითი შენატანებით ფინანსდებოდა. მეორეც, ისევე, როგორც კონგოს ძალების შემთხვევაში, მისი შემადგენლობა და რაოდენობა გენერალური მდივნის მიერ უნდა განსაზღვრულიყო და მეთაურიც მის მიერვე უნდა დანიშნულიყო. მეორე მხრივ, გენერალური მდივნის მიმართ გარკვეული უნდობლობა ჩანდა იმ ფაქტიდან, რომ ძალები მხოლოდ სამი თვის ვადით შეიქმნა. ამის შემდეგ გენერალურ მდივანს უნდა ეთხოვა უშიშროების საბჭოსთვის, გაეგრძელებინა მათი მანდატი მომდევნო სამთვიანი ან ექვსთვიანი პერიოდით.

გენერალურმა მდივანმა ძალებს მისცა ინსტრუქცია, რომ შეენარჩუნებინათ ნეიტრალიტეტი და იარაღი მხოლოდ თავდაცვის მიზნით გამოეყენებინათ. ამ შეზღუდვებს არ შეუმცირებია ძალების სარგებლობა, როგორც ეს შეიძლება ვინმეს ეფიქრა. ძალები პატრულირებს ტერიტორიებზე, რომლებიც ყოფს მონიანალმდევე დაჯგუფებებს და ამორიშორებს ერთი თემის ხალხს მეორე თემისაგან ამ თემის მიერ დაკავებული ტერიტორიის გასწვრივ. თუ მას ამ ფუნქციების შესრულების დროს ცეცხლს გაუხსნიან, იგი უფლებამოსილია, თავდაცვის მიზნით საპასუხო ცეცხლი გახსნას. ის აგრეთვე იძიებს და აკეთებს მოხსენებებს შეტაკებების დაწყების შესახებ და შეტაკებების დაწყების შემდეგ ცდილობს მხარეების დაყოლიებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. თუმცა ეს ძალები არ იყო გამიზნული იმისთვის, რომ თავს მოეხვიათ პოლიტიკური მოგვარება მხარეებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ შეთანხმებისათვის კვიპროსის კონსტიტუციური მომავლის შესახებ. ის ასევე არ იყო გათვალისწინებული ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღებისათვის, და შესაბამისად, მას არც უცდია ჩრდილოეთ კვიპროსში 1974 წელს თურქეთის შეჭრისათვის წინააღმდეგობის განევა.²⁵⁶

როგორც ყოველთვის, რეზოლუცია, რომელიც შეიარაღებულ ძალებს ქმნის, არ უთითებს წესდების იმ მუხლებს, რომლებიც მის შექმნას ასაბუთებს. ზოგიერთი კომენტატორი თვლიდა, რომ ეს ძალები უფრო წესდების VI თავს (დავების მშვიდობიანი მოგვარება)²⁵⁷ ეფუძნებოდა, ვიდრე VII თავს (იძულებითი ზომები). ძალების შექმნის შესახებ რეზოლუციის პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ „კვიპროსთან დაკავშირებულ არსებულ მდგომარეობას შეუძლია საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას“. ეს უფრო VI თავის ენას იმეორებს („დავა ან სიტუაცია, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას“), ვიდრე VII თავის ენას (VII თავი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც უკვე არსებობს რეალური მუქარა მშვიდობისათვის, მშვიდობის დარღვევა და აგრესიის აქტები). განსხვავებით VII თავისაგან, VI თავის შესაბამისი მუხლები უშიშროების საბჭოს არ აძლევს უფლებას, მისცეს ბრძანებები სახელმწიფოებს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან რეზოლუცია, რომლითაც შეიქმნა ძალები კვიპროსში, არ ითვალისწინებდა სავალდებულო პირობებს. VI თავის უფრო მნიშვნელოვანი შეზღუდვა ის არის, რომ პირდაპირი განმარტებით, ის არ აძლევს უშიშროების საბჭოს უფლებას, რაიმე მოიმოქმედოს. ის უბრალოდ ანიჭებს მას უფლებას, ნევრ სახელმწიფოებს მისცეს

²⁵⁵ SC Res. 186 (1964), UNYb 1964, 165.

²⁵⁶ ძალების ფუნქციებზე შემდგომი ინფორმაციისათვის იხ. A.J.R. Carrion, *Thye United Nations Force in Cyprus: An Uncertain Case of Peace-Keeping*, in A. Cassese (ed.), *United Nations Peace-Keeping*, 1978, 158-60, 163-9. შემდგომ განვითარებაზე იხ. Michos-Ederer, *op. cit.*, 237; Bothe, *Peacekeeping, op. cit.*, 578.

²⁵⁷ იხ. ზემოთ.

²⁵⁸ იხ. ზემოთ.
²⁵⁹ ILM 12 (1973), 1528-30, 1537-40; ILM 14 (1975), 1450 *et seq.*
²⁶⁰ SC Res. 350 of 31 May 1974, UN Chronicle, June 1974, 26-8, at 26.
²⁶¹ SC Res. 425 and 426 of 19 March 1978, UN Chronicle, April 1978, 5-22; SC Res. S/12611, *ibid.*, 75-6.
²⁶² იხ. ზემოთ.
²⁶³ იხ. ზემოთ.
²⁶⁴ სამშვიდობო ერთეულის თავდაცვის უფლებებზე იხ. Bothe, *Peacekeeping, op. cit.*, 589, *et seq.*
²⁶⁵ IR (May 1981), 1044-7.

ზოგიერთი მოქმედების განხორციელების რეკომენდაცია. მაგრამ, თუ გენერალურ ასამბლეას შეეძლო შეექმნა UNEF მე-11 და მე-14 მუხლების საფუძველზე,²⁵⁸ ასევე არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ შეეძლო უშიშროების საბჭოს, შეექმნა ანალოგიური ძალები VI თავზე დაყრდნობით.

ახალი ძალები ახლო აღმოსავლეთში

ახალი შეტაკებები ისრაელსა და ეგვიპტეს შორის 1973 წლის ოქტომბერში დაიწყო. უშიშროების საბჭომ მოითხოვა ცეცხლის შეწყვეტა და შექმნა გაეროს სწრაფი რეაგირების მეორე ძალა (UNEF II) ცეცხლის შეწყვეტაზე მეთვალყურეობის გასანევადად. მოგვიანებით ეგვიპტემ და ისრაელმა მხარეთა დაშორების შესახებ ორი ხელშეკრულება დადო, რომელიც ადგენდა, რომ UNEF II-ს უნდა დაეკავებინა და პერიოდულად შეემონებინა ბუფერული ზონა ეგვიპტისა და ისრაელის ძალებს შორის, რათა დარწმუნებულიყო, რომ ეგვიპტე და ისრაელი იცავდნენ დაცალკევების შეთანხმებების პირობებს, რომლებიც ზღუდავდა თითოეული ქვეყნის მიერ ბუფერული ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე განსალაგებელი შეიარაღებული ძალების რაოდენობას.²⁵⁹

1974 წლის მაისში ისრაელმა დადო ძალების დაშორების შესახებ შეთანხმება სირიასთან, რომლის თანახმადაც, მან დატოვა 1967 და 1973 წლებში დაკავებული ზოგიერთი სირიული ტერიტორია, ხოლო უშიშროების საბჭომ შექმნა დაშორების შესახებ დამკვირვებელთა ძალები (UNDOF), რომელიც იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც UNEF II ასრულებდა ეგვიპტესა და ისრაელს შორის დაშორების შესახებ ხელშეკრულების თანახმად.²⁶⁰ მაგრამ UNDOF-ი მხოლოდ 1 050 კაცისაგან შედგება – UNEF II-ის 7 000 კაცისაგან განსხვავებით.

1978 წლის მარტში ისრაელის შეჭრა ლიბანში იყო რეპრესალია ლიბანიდან ისრაელზე პალესტინელი ტერორისტების თავდასხმების საწინააღმდეგოდ. უშიშროების საბჭომ მოსთხოვა ისრაელს, გამოეყვანა თავისი ძალები ლიბანის ტერიტორიიდან და გადაწყვიტა, „შექმნა გაეროს დროებითი ძალები სამხრეთ ლიბანისათვის (UNIFIL) იმ მიზნით, რომ დაედასტურებინა ისრაელის ძალების გაყვანა, აღედგინა საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება და დახმარებოდა ლიბანის მთავრობას ამ ტერიტორიაზე რეალური ხელისუფლების აღდგენაში“.²⁶¹ სამხრეთ ლიბანში მიუხედავად UNIFIL-ის ყოფნისა, გრძელდებოდა ბრძოლები მემარჯვენე ლიბანელ ქრისტიანებსა (რომლებიც იარაღდებოდნენ და ფინანსდებოდნენ ისრაელის მიერ) და მათ პალესტინელ ან შიიტ მონინააღმდეგეებს შორის. თითოეული მონინააღმდეგე მხარე პერიოდულად UNIFIL-საც უტყვედა.

UNEF II-ს, UNDOF-სა და UNIFIL-ს მრავალი საერთო თვისება ჰქონდათ. ისინი უშიშროების საბჭოს მიერ შეიქმნა, მაგრამ შესაბამისი რეზოლუციები და დებატები ვერ ხდის ნათელს, თუ წესდების რომელი დებულებები ითვალისწინებდა ამ ძალების შექმნის სამართლებრივ საფუძველებს. ერთ-ერთი ვარაუდი ისაა, რომ ძალები წესდების მე-40 მუხლის თანახმად იქმნებოდა,²⁶² მეორე ის, რომ ისინი VI თავის საფუძველზე იქმნებოდა.²⁶³ თუმცა ერთი რამ ნათელია: სამივე გამიზნული იყო, როგორც სამშვიდობო ძალა. მათ ბრძოლის უფლება მხოლოდ თავდაცვის მიზნით ჰქონდათ,²⁶⁴ ასე რომ, UNIFIL-ს არ უცდია, წინააღმდეგობა გაენია ისრაელის მეორე შეჭრისთვის ლიბანში 1982 წელს. თავდაპირველად ყველა ძალა ექვსი თვის ვადით შეიქმნა და ამის შემდეგ უშიშროების საბჭოს მიერ მათი მანდატი გრძელდებოდა მომდევნო პერიოდებით სამიდან თორმეტ თვემდე ვადით. როდესაც UNEF II-ის მანდატს უკანასკნელად გაუვიდა ვადა 1979 წლის ივლისში, ის აღარ გაგრძელებულა, რადგან საბჭოთა კავშირი იმუქრებოდა, რომ ვეტოს გამოიყენებდა მისი განახლების ნებისმიერი მცდელობისას.²⁶⁵ გენერალური მდივანი, უშიშროების საბჭოს თანხმობით, ნიშნავდა თითოეული ძალის მეთაურს და მასთან კონსულტაციით არჩევდა კონტინგენტს (სახელ-

მნიფოებიდან, რომელთაც ჰქონდათ მათი წარდგენის სურვილი). გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაეროს წევრები ვალდებულნი იყვნენ, ფული გადაეხადათ ამ ძალებისათვის, მაგრამ შესატანი, რომლის გადახდაც წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებოდათ, ეფუძნებოდა არა ჩვეულებრივ საბიუჯეტო წილებს, არამედ სპეციალურ წილებს, რომელმაც 15 პროცენტზე მეტით გაზარდა უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების გადასახადი და 80-90 პროცენტამდე შეამცირა განვითარებადი ქვეყნების მიერ გადასახდელი თანხა; თუმცა ზოგიერთმა ქვეყანამ უარი განაცხადა თავისი წილის გადახდაზე.²⁶⁶ ჩინეთმა, რომელიც ერთ-ერთი ამ ქვეყანათაგანი იყო, 1981 წლის ბოლოსთვის მაინც განაცხადა, რომ იგი გადაიხდიდა ძალების დაფინანსებისათვის საჭირო შენატანს.²⁶⁷

²⁶⁶ იხ. GA Res.

²⁶⁷ GA Res.

²⁶⁸ N.J. Prill, *Observers*, EPIL 4 (1982), 60-2.

²⁶⁹ იხ. Bothe, *Peacekeeping*, *op. cit.*, 597 *et seq.*

²⁷⁰ S. Vohra, *Impartiality in United Nations Peace-Keeping*, LJIL 9 (1996), 63-86.

სამშვიდობო ოპერაციების ახალი ფორმაები ცივი ომის შემდეგ

ცივი ომის დროს გაეროს სამშვიდობო ოპერაციების „ძველი“ ფორმები მიზნად ისახავდა შემდგომი ძალადობის თავიდან აცილებას კონფლიქტის გაყინვის გზით, მაგალითად, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის შემონახვით სამხედრო მანდატის საფუძველზე.²⁶⁸ გაეროს მონაწილეობა ამ სფეროში სამხედრო და სამოქალაქო პერსონალთან ერთად კონცენტრირებულია ცეცხლის შეწყვეტის ან მხარეთა დაშორებებზე შეთანხმებების შესრულების მონიტორინგზე, კონფლიქტის მოგვარების პროგრესირებაში და/ან ჰუმანიტარული დახმარების უსაფრთხო მიწოდებაში დახმარების მიზნით. ასეთი ოპერაციები ყოველთვის მოითხოვს მასშინძელი ქვეყნისა²⁶⁹ და კონფლიქტში მონაწილე სხვა მხარეების თანხმობას და ნეიტრალიტეტის დაცვით უნდა განხორციელდეს, ერთი ან მეორე მხარისათვის უპირატესობის მინიჭების გარეშე.²⁷⁰ ოპერაცია შეიძლება შედგებოდეს გაეროს არასამხედრო თანამშრომლების ან წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო ჯარებისაგან ან ორივე მათგანისაგან, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო თანამეგობრობა. გაეროს სამშვიდობო ძალებს შეიარაღების გამოყენება, როგორც წესი, მხოლოდ თავდაცვის მიზნით შეუძლიათ.

გაეროს არსებობის პირველი ორმოცი წლის მანძილზე ოცდაათი სამშვიდობო ოპერაცია იქნა დაწყებული; ზემოთ განხილულ ოპერაციათა გარდა, ასევე მოქმედებდა მისიები ინდოეთსა და პაკისტანს შორის (UNMOGIP 1949, UNIPOM 1965-66), დასავლეთ ახალ გვინეაში (UNSF 1962-63), იემენსა (UNYOM 1963-64) და დომინიკის რესპუბლიკაში (DOMREP 1965-66) მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით. ცივი ომის დამთავრების შემდეგ გაერომ მხოლოდ 1988-1994 წლებში ოცდაერთი სამშვიდობო ოპერაცია განახორციელა, მათ შორის, ისეთ კონფლიქტურ ტერიტორიებზე, როგორც იყო ავღანეთი და პაკისტანი (UNGOMAP 1988-90), ირანი და ერაყი (UNIMOG 1988-91), ერაყი-ქუვეითი (UNIKOM 1991-), ანგოლა (UNAVEM 1989-91; UNAVEM II 1991-95; UNAVEM III 1995-), ნამიბია (UNTAG 1989-90), ცენტრალური ამერიკა (ONUGA 1989-92), ელსალვადორი (ONUSAL 1991-95), კამბოჯა (UNAMIC 1991-92; UNTAC 1992-93), სომალი (UNOSOM 1992-93; UNOSOM II 1993-95), მოზამბიკი (ONUMOZ 1992-94), უგანდა-რუანდა (UNOMUR 1993-94), უზო სტრიპი (UNASOG 1994), დასავლეთ საჰარა (MINURSO 1991-), იუგოსლავია (იხ. ზემოთ), საქართველო (UNOMIG 1993-), ლიბერია (UNOMIL 1993-), ჰაიტი (იხ. ზემოთ), რუანდა (იხ. ზემოთ) და ტაჯიკეთი (UNMOT 1994-).

ახალი სამშვიდობო ოპერაციების ბუნებაც შეიცვალა. ისინი ჯერ კიდევ ემყარება მხარეთა თანხმობას, მაგრამ ხშირად მათი მიზანია მხარეთა შორის კონფლიქტის გადაწყვეტაზე უკვე მიღწეული შეთანხმების აღსრულება, როგორც ეს მოხდა უკანასკნელ ხანებში იუგოსლავიასთან დაკავშირებულ სამშვიდობო შეთანხმების შემთხვევაში. ამდენად, ისინი ხშირად კონფლიქტის შეთანხმებული პოლიტიკური გადაწყვეტის ცხოვრებაში გატარების მცდელო-

²⁷¹ იხ. Ratner, *op. cit.*, 22.

²⁷² იხ. თ. 11.

²⁷³ Basic Facts, *op. cit.*, 28; G.S. Goodwin-Gill, Free and Fair Elections:

²⁷⁴ იხ. Ramcharan, *op. cit.*

²⁷⁵ Boutros Boutros-Ghali, Empowering the United Nations, FA 3 (1992) at 93-4; ILM 31 (1992) 956, at 966, para 4; D. Leutdijk, A UN Rapid Deployment Brigade, 1995.

²⁷⁶ C. Tomuschat, Die Zukunft der Vereinten Nationen, EA 2 (1992), 42.

²⁷⁷ UN Chronicle, 1996, no. 1, 39.

ბის ნაწილია.²⁷¹ მანდატი ძირითადად კვლავ სამხედრო ხასიათისაა, მაგრამ ის შეიძლება ასევე სამოქალაქო ასპექტებსაც მოიცავდეს. ზოგიერთი ოპერაცია მოსახლეობის დაცვასა და ჰუმანიტარული დახმარების დარიგებაზე იყო კონცენტრირებული. სამშვიდობო ოპერაციების ეს ახალი ფორმები გაცილებით რთულია. მათში გაცილებით მეტი მხარე მონაწილეობს (პარტიზანული მოძრაობები, რეგიონალური ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი მხარეები) და გაეროსაც ხშირად უწევს წინააღმდეგობრივი როლების შესრულება, როგორც დამსჯელს, მედიატორსა და თავდებს.

სპეციალური ახალი ვალდებულება წარმოიშვა არჩევნების მონიტორინგთან დაკავშირებით. 1989 წელს ნამიბიაში UNTAG-ის მონაწილეობის შემდეგ, სადაც გაერო მთელ საარჩევნო პროცესს უწევდა ზედამხედველობას, მთავრობებმა გაეროსგან მოითხოვეს ანალოგიური დახმარების განევა ნიკარაგუასა და ჰაიტიში (1990), ანგოლაში (1992), კამბოჯაში (1993), ელ სალვადორში, სამხრეთ აფრიკასა და მოზამბიკში (1994). გაეროს მონიტორინგით ჩატარდა აგრეთვე რეფერენდუმი ერიტრეაში (1993) ეთიოპიისაგან გამოყოფის თაობაზე.²⁷² არჩევნებში დახმარების სამმართველომ, რომელიც 1992 წელს შეიქმნა გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტში, საარჩევნო საკითხებზე ტექნიკური დახმარება ორმოცდათხუთმეტ ქვეყანას გაუწია.²⁷³

უფრო მეტიც, უკანასკნელ წლებში მეტი მნიშვნელობა მიენიჭა კონფლიქტების თავიდან აცილების კონცეფციას, რადგან, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებში ან მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტები დაიწყება, ძალიან რთულია მშვიდობის აღდგენა, კერძოდ კი, გაეროსათვის. „წინასწარი გაფრთხილება“ და „აღმკვეთი დიპლომატია“, რომლებიც კონცენტრირებულია სახელმწიფოთა საშინაო მდგომარეობაზე (რაც პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპის გამო), ჯადოსნური ლოზუნგები გახდა. ²⁷⁴ გაეროს გენერალურმა მდივანმა (ბუტროს ბუტროს გალიმ – რედ. შენ) რამდენიმე ახალი წინადადება წარმოადგინა, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად სცდება გაეროს ტრადიციული სამშვიდობო ოპერაციების ფარგლებს. ისინი ითვალისწინებს შეიარაღებული თავდასხმის დროს ჰუმანიტარული ოპერაციების არა მარტო უფრო ეფექტურ სამხედრო დაცვას, არამედ გაეროს „ცეცხლის შეწყვეტის იძულებითი ერთეულების“ შექმნასაც, რაც საშინაო კონფლიქტის მხარეების თანხმობის გარეშე მოხდა, რათა სამხედრო საშუალებებით უზრუნველყოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაცვა, რომელთაც მხარეებმა ხელი კი მოაწერეს, მაგრამ არ შეასრულეს. ²⁷⁵ უფრო მეტიც, გაეროს უახლესი პრაქტიკა „მშვიდობის დამყარების“ მიზნით გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოში სამთავრობო სტრუქტურების ჩამოყალიბებას ან ხელახლა შექმნასა და კანონიერებისა და წესრიგის დამყარებას.²⁷⁶

ახალი წამოწყებით ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ სამშვიდობო ოპერაციებში გაეროს „სწრაფი რეაგირების შესაძლებლობა“, ნევრი სახელმწიფოების მოწვევით გაეროსთან ერთად შეესრულებინათ „დამხმარე მოსამზადებელი სამუშაოები“ (რომლებიც არ უნდა აგვერიოს წესდების 43-ე მუხლში აღნიშნულ კოლექტიური უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებულ სპეციალურ მოსამზადებელ სამუშაოებში), რათა ხელმისაწვდომი გაეხადათ სამშვიდობო ოპერაციებისათვის საჭირო ეროვნული ჯარების კონტინგენტი და აღჭურვილობა. თუმცა 1995 წლის 31 ოქტომბრისათვის მხოლოდ ორმოცდაშვიდმა ნევრმა სახელმწიფომ აღიარა ასეთი ვალდებულება, რაც მთლიანობაში 55 000 პირს მოიცავდა.²⁷⁷ დამხმარე მოსამზადებელი სამუშაოების თანახმად ნევრი სახელმწიფოები ინარჩუნებდნენ უფლებას, თავად გადაეწყვიტათ, ეთანამშრომლათ თუ არა შემთხვევიდან შემთხვევამდე. ნევრ სახელმწიფოთა რეალური ენთუზიაზმის სიმცირეს ამჟღავნებს ის ფაქტი, რომ, როდესაც 1994 წლის მაისში უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, რუანდაში გაეზარდა UNAMIR-ის

ძალები,²⁷⁸ იმ დროისათვის ასეთ დამხმარე მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილე ცხრამეტი სახელმწიფოდან არც ერთი არ დათანხმდა შესატანის გადახდაზე.

ახალი სამშვიდობო ოპერაციების მოთხოვნები აჭარბებდა გაეროს შესაძლებლობებს როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად. გაეროს სამშვიდობო ოპერაციების ფინანსური კრიზისიდან ნათლად ჩანს, რომ წევრი სახელმწიფოები გაეროსაგან მოელოდნენ პასუხის გაცემას მსოფლიოში მიმდინარე უამრავ კონფლიქტზე, იმ დროს, როდესაც თვითონ უარს აცხადებდნენ, გადაეხადათ სავალდებულო ფინანსური შესატანები ორგანიზაციისათვის.²⁷⁹ სომალის, რუანდისა და იუგოსლავიის გამოცდილებამ, გაეროსა და მასთან დაკავშირებული პერსონალის უსაფრთხოებისათვის ზიანის მიყენების თვალსაზრისით, საფუძველი მისცა 1994 წელს სპეციალური ხელშეკრულების პროექტის მომზადებას.²⁸⁰ მაგრამ სამშვიდობო ოპერაციების, მშვიდობის დამყარების, მშვიდობის იძულებისა და ჰუმანიტარული დახმარების ახალ ფორმებთან დაკავშირებით გაცილებით ფუნდამენტური კონცეპტუალური პრობლემა არსებობს. გაეროს გენერალური მდივნის მიერ შეთავაზებული მიდგომა, ფაქტობრივად, უარს ამბობს კონფლიქტში გაეროს მონაწილეობისათვის საჭირო მხარეთა წინასწარი თანხმობის მოთხოვნაზე.²⁸¹ გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს საშიშ მდგომარეობას ქმნის გაეროს ძალების მოქმედებასთან დაკავშირებით, როგორც გაეროს პერსონალის უსაფრთხოების, ასევე განხორციელებული საქმიანობის ეფექტურობის თვალსაზრისითაც. „შერეული სამშვიდობო ოპერაციების“ მცდელობა იძულებითი ღონისძიებების გაერთიანებისთვის ერთმანეთში ურევს, ერთი მხრივ, იძულებითი ღონისძიებების და, მეორე მხრივ, სამშვიდობო ოპერაციების განსხვავებულ სამართლებრივ ბაზასა და ფუნქციებს. გაეროს საქმიანობის ორი ფორმა ზუსტად უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისაგან.²⁸²

²⁷⁸ იხ. ზემოთ.
²⁷⁹ იხ. თ. 21.
²⁸⁰ UNGA Res. 49/59 of 9 December 1994.
²⁸¹ იხ. Higgins (1995), *op. cit.*, 445-60, 450.
²⁸² *ibid.*, 459-60.
²⁸³ იხ. თ. 10.
²⁸⁴ იხ. ზემოთ.
²⁸⁵ იხ. ზემოთ.
²⁸⁶ იხ. თ. 20.
²⁸⁷ იხ. თ. 18.
²⁸⁸ იხ. 1996 წლის 31 იანვრის აღრინდელი რეზოლუცია 1044 (1996).

დასკვნა

ცივი ომის დასრულების შემდეგ გამოჩნდა, რომ უშიშროების საბჭოს შექმნა სრულად გამოეყენებინა მისთვის VII თავით მინიჭებული ძალაუფლება არა მხოლოდ საგარეო აგრესიის აღსაკვეთად, არამედ საკმაოდ განსხვავებული მიზნების მისაღწევადაც, ისეთი როგორიცაა, საშინაო კონფლიქტებში სამხედრო ჩარევა ჰუმანიტარული მიზნებისათვის და დემოკრატიის იძულებაც კი. როგორც ვნახეთ, უშიშროების საბჭოს მიერ VII თავით მინიჭებული ძალაუფლების გამოყენება ფაქტობრივად გაცილებით წინ წავიდა. იგი მოიცავდა: საზღვრების დადგენას (ერაყი-ქუვეითი),²⁸³ განიარაღების სქემის შემუშავებას, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ამომწურავი კონტროლი და სანქციები სახელმწიფოს წინააღმდეგ (ერაყი),²⁸⁴ უშიშროების საბჭოს „დამხმარე ორგანოების“ შექმნას ომის შედეგად მიყენებული ზარალისათვის სარჩელების აღრიცხვისა და ადმინისტრირებისათვის (გაეროს კომპენსაციების კომისია ერაყის წინააღმდეგ სარჩელებისთვის),²⁸⁵ პირთა დასჯას დანაშაულის ჩადენისათვის (იუგოსლავიისა და რუანდის სასამართლოები)²⁸⁶ და სახელმწიფოს წინააღმდეგ სანქციების შემოღებას იმ პირთა გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, რომელთაც ბრალი ედებოდათ სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ ტერორიზმში (ლიბიასთან დაკავშირებით ლოკერბის საქმეში (Lockerbie case)).²⁸⁷ უფრო მეტიც, 1995 წლის 26 ივნისს ადის-აბებაში (ეთიოპია) გამართულ კონფერენციაზე, ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის მკვლელობის მცდელობის შემდეგ, უშიშროების საბჭომ, VII თავის შესაბამისად, მიიღო რეზოლუცია 1054 (1996) (რუსეთმა და ჩინეთმა თავი შეიკავეს) სუდანის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედებოდა ტერორიზმის მხარდაჭერაში. სუდანის უარი ეთიოპიისათვის მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი სამი ძებნილი პირის გადაცემაზე²⁸⁸ განიხილეს,

²⁸⁹ იხ. აგრეთვე, UN Chronicle, 1996, no. 2, 55.

²⁹⁰ იხ. თ. 2 და 19.

²⁹¹ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წელს მიღებულ აგრესიის განმარტებას არ მოუყენია ნათელი საკითხისთვის, იხ. თ. 19. ნებისმიერ შემთხვევაში, განმარტების ასეთ შემდგომ მცდელობებს არ აქვთ იგივე სამართლებრივი სტატუსი, რაც თავად წესდებას.

²⁹² იხ. მაგალითად, ტესონის არგუმენტი, *op. cit.*, 338 *et seq.*

²⁹³ ამასთან დაკავშირებით იხ. თ. 18.

როგორც „საერთაშორისო მშვიდობისათვის საფრთხის“ შემქმნელი. თუ სუდანის არ შეასრულებდა ამ მოთხოვნას „1996 წლის 10 მაისს აღმოსავლეთის სტანდარტული დროით ღამის პირველის ერთ წუთამდე“, ნევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებოდათ, სუდანის დიპლომატიურ მისიებში შეემცირებინათ პერსონალის რაოდენობა და რანგი და შეეზღუდათ დარჩენილი სუდანელი პერსონალისათვის თავიანთ ტერიტორიებზე გადაადგილება, ასევე სუდანის მთავრობის წევრებისა და სამხედრო ძალებისათვის თავიანთ ტერიტორიებზე შესვლისა და ტრანზიტის უფლება. დამატებით, საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებს მოეთხოვათ, არ ჩაეტარებინათ არანაირი კონფერენცია სუდანში.²⁸⁹

ზემოხსენებული ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ უშიშროების საბჭოს აქვს ფართო უფლებამოსილება, გადაწყვიტოს, თუ როდის გამოიყენოს კოლექტიური ზომები, წესდების VII თავის შესაბამისად, მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 39-ე მუხლში მშვიდობისადმი მუქარა არის ყველაფერი ის, რასაც უშიშროების საბჭო ასეთად მიიჩნევს, რაც პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, და როგორც პრინციპის საკითხი, არ არის სამართლებრივად იოლი შეფასების საგანი. ეს შეიძლება გასაკვირიც იყოს, მაგრამ ასეთია პოლიტიკური რეალობა. ერთა ლიგის ხელშეკრულება ავალდებულებდა ნევრ ქვეყნებს, გამოეყენებინათ სანქციები იმ ნევრ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთაც მიმართეს ომს მათი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევით, მაგრამ საკითხი, იწყებდა თუ არა მეორე ნევრი სახელმწიფო ომს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების სანინააღმდეგოდ, თითოეულ ნევრ სახელმწიფოს თავად უნდა გადაეწყვიტა; და ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვაგვარ დასკვნებს აკეთებდნენ.²⁹⁰ გაეროს წესდების 39-ე მუხლის მიზანი იყო, თავიდან აეცილებინა საქმეთა ამგვარი ვითარების გამეორება. წესდებაში განმარტებების გამოტოვება ასევე რეალისტურია; არსებობს იმის საშიშროება, რომ აგრესიის განმარტებები, უბრალოდ, ისეთ სიცარიელეს წარმოქმნის, რომელსაც მომავალი აგრესორები გამოიყენებენ.²⁹¹

თუმცა, განსაკუთრებით კი VII თავის მიხედვით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, ეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება შეუზღუდავია და მის სრულ პოლიტიკურ ნება-სურვილზეა დამოკიდებული.²⁹² უშიშროების საბჭოც შეზღუდულია წესდებით და ვალდებულია, კანონის ფარგლებში იმოქმედოს. თავის მხრივ, ასევე სამართლებრივი კრიტიკის საგანი ხდება საკუთარი კომპეტენციის გადაჭარბებით მოქმედება ან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დარღვევა. სრულიად განსხვავებული საკითხია, პროცედურის თანახმად, სჭირდება თუ არა უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სხვა ორგანოს, ისეთის, როგორც საერთაშორისო სასამართლოა, ოფიციალური სამართლებრივი შემოწმება.²⁹³

VII თავის თანახმად, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს იძულებითი ზომები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ადგილი აქვს მშვიდობისადმი მუქარას, მშვიდობის დარღვევას ან აგრესიის აქტს. ეს ეხება საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. გარდა სპეციალური შემთხვევისა, როდესაც 39-ე მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ხალხის“ შევიწროებასთან დაკავშირებით, რომელიც თვითგამორკვევის უფლებას იყენებს, შეიძლება წარმოიშვას საკითხი – შეიძლება თუ არა საშინაო კონფლიქტი და ქვეყნის შიგნით ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევა განხილულ იქნეს საერთაშორისო მშვიდობისადმი საფრთხედ ან საერთაშორისო უშიშროების ხელყოფად, ან აუცილებელია თუ არა რაიმე საგარეო ასპექტის არსებობა, შემდგომი საერთაშორისო შედეგებით, იმისთვის, რომ წარმოიშვას იძულებითი ზომების, კერძოდ კი, 42-ე მუხლის თანახმად, ძალის გამოყენების სანქციონების უფლების გამოყენება.

მართლაც, როგორც ვნახეთ, უშიშროების საბჭოს პრაქტიკაში არსებობს

ტენდენცია, საშინაო კონფლიქტები და, განსაკუთრებით კი, ადამიანის უფლებების დარღვევა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას დაუკავშირონ. უშიშროების საბჭოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი უფლებამოსილება VII თავის მიხედვით ძალის გამოყენების სანქცირებაზე არ არის შეზღუდული სამხედრო აგრესიის ან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისადმი სამხედრო საფრთხის შემთხვევებით. წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ადამიანურ ტრაგედიებში ძალისმიერი ჩარევა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საგარეო შედეგები, შეიძლება მოხვდეს VII თავის მოქმედების ფარგლებში, თუ გარემოებები იგივეა, რაც სომალისა და რუანდაში და წევრი სახელმწიფოს სამთავრობო სტრუქტურები დაშლილია. თუ ადამიანურ ტრაგედიას საერთაშორისო შედეგები მოჰყვება, ისეთი, როგორცაა ლტოლვილთა მასობრივი ემიგრაცია ან სხვა საგარეო ასპექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და უშიშროების საბჭოს მიერ ასეთად არის განსაზღვრული 39-ე მუხლის თანახმად, ძალისმიერი კოლექტიური ზომების გამოყენების საფუძველი კიდევ უფრო დასაბუთებული ხდება. მაგრამ, როგორც ქურთების კრიზისთან დაკავშირებული 688-ე (1991) რეზოლუციიდან²⁹⁴ ჩანს, ასეთი დასკვნების გაკეთება რთულდება იმ შემთხვევებში, როდესაც ქვეყანაში მთავრობა ფუნქციონირებს, იმის მიუხედავადაც კი, რომ იგი თავად შეიძლება იყოს პრობლემაზე პასუხისმგებელი. ასეთი შემთხვევა გამოდგება მტკიცებულებად ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის დაკავშირებისათვის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებასთან ზოგადად, მაგრამ არა VII თავის მიხედვით ძალის კონკრეტული გამოყენებისათვის. იუგოსლავიის შემთხვევამ კი მოგვცა უშიშროების საბჭოს მიერ ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების დასაცავად ძალის გამოყენების შეზღუდული და საკმაოდ არაეფექტური უფლებამოსილების მაგალითი.

ეფექტურობა, რომელიც ცივი ომის შემდგომ პერიოდში დაუბრუნდა საბჭოს, თავდაპირველად ბევრმა მოინონა, მათ შორის „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დადგომის ზოგიერთმა ეიფორიულად მომლოდინემაც კი. თუმცა მოგვიანებით უფრო ჯანსაღი აზრი წამოვიდა წინა პლანზე,²⁹⁵ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არიან ავტორები, რომლებიც მიესალმებიან ცვლილებებს, როგორც იმის მტკიცების საშუალებას, რომ საშინაო მშვიდობის, დემოკრატიისა და ადამიანების უფლებების პატივისცემის (დასავლური ხედვით) დამყარება „საერთაშორისო სამართლის მორალურად გამართლებული ერთადერთი საფუძველია“.²⁹⁶ საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად იქნა შენარჩუნებული კოლექტიური უშიშროების სისტემა იმ ფორმით, როგორც იგი ჰქონდათ წარმოდგენილი წესდების ავტორებს, თუ სინამდვილეში ეს სრულიად განსხვავებული პრაქტიკაა, კერძოდ, შეერთებული შტატების ლიდერობით დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გაეროს სახელის გამოყენება თავიანთი მიზნებისათვის, მათივე ხელმძღვანელობითა და კონტროლით განხორციელებული ოპერაციებისათვის.

ასე რომ, წამოიჭრა საკითხები, კერძოდ, საბჭოს „საყოველთაო მიკერძოებასთან“ დაკავშირებით.²⁹⁷ მაგალითად, ფინელი პროფესორი მათი კოსკენიემი ასეთ კითხვას სვამს:

რატომ ლიბია და არა ისრაელი? რატომ პასიურობდა საბჭო ირან-ერაყის რვანლიანი ომის უმეტეს პერიოდში? რატომ იყო საბჭოს რეაქცია აფრიკაში საგრძნობლად ნაკლებენერგიული და ეფექტური, ვიდრე სპარსეთის ყურეში? რატომ განსხვავდებოდა საბჭოს იერიშები ერაყზე (ისლამური სახელმწიფო) მისი მორიდებული მცდელობისაგან, დაეცვა მუსლიმანები ბოსნია-ჰერცეგოვინაში? მიზნის ამორჩევა, ისევე როგორც მოქმედების მანერა, ნამდვილად არ იყო ავტომატური. მიზეზი ის არის, რომ საბჭო ასახავს არა მთლიანად გაეროს წევრების კოლექტიურ ინტერესებს, არამედ მხოლოდ შეერთებული შტატებისა და საბჭოში მისი მოკავშირეების კონკრეტულ ინტერესებსა და რეალურ ძალაუფლებას.²⁹⁸

²⁹⁴ იბ. ზემოთ.
²⁹⁵ იბ. ფლ. კორვისანალოზი. The Security Council's First Fifty Years, AJIL 89 (1995), 506-39.
²⁹⁶ Tesón, *op. cit.*, 371. ადამიანების უფლებების თ. 14. იბ. S.D. Bailey, The UN Security Council and Human Rights, 1995; N.M. Blokker/M. Kleibor. The Internationalization of Domestic Conflict: The Role of the UN Security Council, LJIL 9 (1996), 7-36.
²⁹⁷ იბ. Koskenniemi, *op. cit.*, 460; O. Russbach, ONU contre ONU: Le Droit International confisque. 1994.
²⁹⁸ Koskenniemi, *ibid.*, 460-1.

²⁹⁹ Quigley, *op. cit.*, 248-83, 282-3.

³⁰⁰ იხ. ზემოთ.

³⁰¹ Weston, *op. cit.*, 523-4.

³⁰² იხ. თ. 21.

³⁰³ იხ. თ. 1.

რა თქმა უნდა, უშიშროების საბჭო არ არის სამართლებრივად ვალდებული, იმოქმედოს ყველა შემთხვევაში. მაგრამ ასეთი კითხვები ახალ მნიშვნელობას იძენს შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით განხორციელებული გაეროს სხვადასხვა ოპერაციების გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც აჩვენებს, რომ გაეროს როლი ძალის გამოყენების სანქციონირებაზე შეზღუდულია და, შესაბამისად, ქმედებას კანონიერად აღიარებს (და საერთაშორისო თანამეგობრობიდან დახმარებისა და მხარდაჭერის მოთხოვნებს) იმის განუმარტავად ან გაუკონტროლებლად, თუ რა ედო ამას საფუძვლად. საბჭოს მიერ ცივი ომის შემდეგ უფლებამოსილების ტექნიკის გამოყენების კრიტიკული ანალიზისას პროფესორი ჯონ კვიგლი ასკვნის:

წევრ ქვეყნებს, და კონკრეტულად დიდ სახელმწიფოებს, არ ჰქონიათ სურვილი, დაექვემდებარებინათ თავიანთი ქმედება ორგანიზაციისათვის და ითხოვდნენ, შეენარჩუნებინათ მოქმედების თავისუფლება, რის საშუალებასაც უფლებამოსილების ტექნიკა იძლეოდა. ასეთი ქვეყნები, ფაქტობრივად, უფლებამოსილების აღიარებით აშანტაჟებდნენ გაეროს. მათი ფარული შეტყობინება ორგანიზაციისადმი იყო ის, რომ მას ან უნდა ეღიარებინა უფლებამოსილება, ან მარტო დარჩენილიყო მშვიდობისადმი საფრთხის წინაშე. თუ უშიშროების საბჭო დაემორჩილება ასეთ შანტაჟს, ალბათ, საბჭოზე უფრო მეტად იმ ქვეყნებს დაანებებთ დანაშაულის ტვირთი, რომლებმაც ის ამაზე აიძულეს... დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც უპირატესობით სარგებლობენ უშიშროების საბჭოში, ისეთ პირობებში იმყოფებიან, რომ შეუძლიათ უზრუნველყონ ისეთი რეზოლუციების მიღება, რომელიც მათ ხელ-ფეხს უხსნის სამხედრო ძალის გამოყენებაზე.²⁹⁹

სიტუაციას ნამდვილად მოჰფენს ნათელს პორფესორ ბარნს ჰ. ვესტონის განმარტება 678-ე რეზოლუციის მიღების გარემოებებზე, რომელმაც სანქცია მისცა ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას:³⁰⁰

ლათინური ამერიკისა და აფრიკის დელეგაციების (კოლუმბია, სპილოს ძვლის სანაპირო, ეთიოპია, ზაირი) ხმების მოსაპოვებლად შეერთებული შტატები აცხადებს, რომ მათ ხანგრძლივ ფინანსურ დახმარებასა და მზრუნველობას ჰპირდებიან. მყარი საბჭოთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შეერთებული შტატები, „ახალი ამბების“ თანახმად, დათანხმდა, არ გაეტანა ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საკითხი 1990 წლის ნოემბრის პარიზის უმაღლესი დონის კონფერენციაზე და დამატებით დაჰპირდა მას, რომ დაარწმუნებდა ქუვეითსა და საუდის არაბეთს, ჩვეულებრივ გაეგრძელებინათ მოსკოვისათვის მყარი ვალუტის მიწოდება, რაც მოსკოვს ძალიან სჭირდებოდა კომერციული კრედიტორებისათვის ვადაგადაცილებული გადახდების სანარმოებლად. ასევე ითქვა, რომ ჩინეთის საშიში ვეტიოს ნაცვლად „ნებაყოფლობითი“ თავის შეკავების უზრუნველსაყოფად შეერთებული შტატები, მიუხედავად მაშინდელი თავდასხმისა პოლიტიკურ დისიდენტებზე, თანახმა იყო, მოეხსნა ტიანანმენის მოედანზე დემოკრატი აქტივისტების ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დაწესებული საგაფრო სანქციები, მხარი დაეჭირა მსოფლიო ბანკიდან ჩინეთისათვის 114,3 მილიონი აშშ დოლარის კრედიტის გაცემისთვის, და თანხმობა მიეცა ვაშინგტონში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დიდი ხნის წინ მოთხოვნილ ვიზიტზე, რაც ორ ქვეყანას შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების დაწყებას ნიშნავდა. არ უნდა გამოგვრჩეს ასევე, „საჩუქარი“, რომელიც იემენმა მიიღო თავისი წინააღმდეგობისა და სანააღმდეგო ხმის გამო: ვაშინგტონის ყოველწლიური დახმარება 70 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა.³⁰¹

ეს დაკვირვებები რეალობას ასახავს და ძალას მატებს არგუმენტებს, რომ უშიშროების საბჭოს სტრუქტურა და მის მიერ გადაწყვეტილებების მიღების მეთოდი რეფორმებს საჭიროებს.³⁰² მაგრამ ნაჩქარევი დასკვნები არ უნდა გაკეთდეს. საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა დეცენტრალიზებულია,³⁰³ შედგება არათანაბარ პირობებში მყოფი სახელმწიფოებისაგან და, უბრალოდ, არ შეიძლება უგულებელყოფილი იყოს დიდი სახელმწიფოების ინტერესები

„კოლექტიური უშიშროების“ ნებისმიერ სისტემაში. ეს არის კონცეფცია, რომელიც ამავე მიზეზებით თავისთავად საეჭვო ხდება, თუ ის აბსტრაქციონიზმის ძალიან მაღალ დონეზე დაკავშირებულია ე.წ. „საერთო ინტერესებთან“.³⁰⁴ ასეთი ინტერესები ნამდვილად არსებობს ქვეყნებს შორის, მაგრამ ისინი არსებობს აქტიურობის სხვადასხვა დონეზე, ნაცვალგების ხარისხის გათვალისწინებით. ეს ხარისხი გაცილებით უფრო დიფერენცირებულია, მაგალითად, დიპლომატიური პერსონალისა და საჰაერო შეთანხმებებიდან გამომდინარე იმუნიტეტების სფეროში, ვიდრე საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების გაცილებით უფრო სასიცოცხლო და მგრძობიარე არეალში.

მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. მედლის მეორე მხარე კი არის ის, რომ არც ერთი ქვეყნისგან არ უნდა ელოდო ისეთ ქმედებებს, რომელიც სცილდება მისი მთავრობის მიერ განსაზღვრული ეროვნული ინტერესების საზღვრებს. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ შეერთებული შტატების მიერ მიღებული დირექტივები, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავს კონკრეტულ გარემოებებს, როდესაც შეერთებული შტატების სამხედრო ძალებს შეუძლიათ განახორციელონ შეტევა უცხო ქვეყანაზე იმის მიუხედავად, ეს გაეროს ეგიდით განხორციელდება თუ არა.³⁰⁵ სამხედრო ინტერვენციას, როგორც წესი, ადამიანური, ფინანსური და პოლიტიკური ფასი აქვს, და არჩევით მთავრობას არ შეუძლია უბრალოდ უგულვებელყოს მათი ზემოქმედება ელექტორატზე, იმის მიუხედავად, რამდენად საშური შეიძლება ჩანდეს საერთაშორისო და საშინაო მორალიდან ან პოლიტიკური პერსპექტივებიდან ინტერვენცია შორეულ ქვეყნებში ძალადობის შესაჩერებლად. როგორც კი ჯარისკაცთა გვამების ჩამოსვენება დაიწყება, მედია ყველაფერს იღონებს, რომ პოლიტიკოსებმა პირველ რიგში პასუხი გასცენ კითხვაზე, თუ რატომ გაიგზავნენ ჯარისკაცები იქ. თუმცა თუ ეროვნული ინტერესი შელახულად ჩაითვლება, როგორც ქუვეითში ერაყის შეჭრისა და ოკუპაციის საწინააღმდეგოდ დასავლეთის სახელმწიფოების ინტერვენციის დროს, რაც ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობისა და მისი ნავთობპროდუქტების დაცვისკენ იყო მიმართული, მაშინ ასეთი საკითხები მეორე პლანზე გადადის. ამგვარ სიტუაციებს, უპირველეს ყოვლისა (რომ არ ვთქვათ – მხოლოდ), მართავს არა სამართლებრივი მოსაზრებები, არამედ მატერიალური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები.

ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში, თვლის, რომ გაერომ მცირე შედეგს მიაღწია. სამწუხაროდ, ასეთ ადამიანებს ძალიან გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ იმ მიზნებზე, რომელთა მისაღწევადაც შეიქმნა გაერო საერთოდ; ისინი, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ გაერო გამიზნული იყო ერთგვარი ემბრიონალური მსოფლიო მთავრობის ფუნქციის შესასრულებლად. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ზოგიერთი პოლიტიკოსი, განსაკუთრებით არჩევნების წინ, სარგებლობას ხედავს გაეროს რეალური ძალაუფლების გადაჭარბებულ წარმოსახვაში. მაგალითად, სენატორ ჯესი ჰელმსის, შეერთებული შტატების სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის სტატია დაბეჭდილი „*Foreign Affairs*“-ში (აშშ-ში არჩევნების წინ), ადანაშაულებდა გაეროს წევრი ქვეყნებისაგან ძალაუფლების უზურპაციაში და ამერიკის ინტერესებისათვის საფრთხის შექმნაში, იმ დასკვნით, რომ „შეერთებული შტატებისათვის დადგა ულტიმატუმის გაკეთების დრო: ან გაეროში ჩატარდება სწრაფი და რადიკალური რეფორმა, ან შეერთებული შტატები შეწყვეტს თავის წევრობას“.³⁰⁶ სიმართლეა, რომ წესდების დებულებები, რომლებიც იძულებით ზომებს ეხება, ორგანიზაციას მსოფლიო მთავრობის ერთ ან ორ უფლებამოსილებას ანიჭებს, მაგრამ ასევე სიმართლეა, რომ ეს დებულებები ცუდად არ მოქმედებენ. მაგრამ იძულებითი ზომების მიღება გაეროს მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქციაა. გაერომ გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწია თავისი სხვა ფუნქციების შესრულებისას: ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობა,

³⁰⁴ იხ. თ. 2.

³⁰⁵ იხ. Terry, *op. cit.*, 101-5; R.N. Haass, *Intervention: The Use of American Military Force in the Post-Cold War World*, 1994.

³⁰⁶ J. Helms, *Saving the U.N.A Challenge to the Next Secretary-General*, FA 75 (1996), 1-7, at 7.

³⁷ გაეროსთან დაკავშირებულ მშენებარეულსკოლებზე CL Willson, Changing Charter: The United Nations Prepares for the Twenty-First Century, AJIL 90 (1996) 115-26. იხ. აგრეთვე, თ. 21.

დავების მშვიდობიანი მოგვარება, დეკოლონიზაცია და საერთაშორისო სამართლის განვითარება. ყველა ამ ფუნქციას ერთი საერთო თვისება აქვს: ისინი მოითხოვენ სახელმწიფოთა თანამშრომლობას და არა გაეროს მხრიდან იძულებას. მართლაც, გამოცდილებამ აჩვენა, რომ გაეროს მოქმედება გაცილებით წარმატებულია მაშინ, როდესაც იგი საქმიანობს სახელმწიფოთა თანხმობით, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი ცდილობს, მათი თანხმობის გარეშე იმოქმედოს; მაგალითად, გაეროს სამშვიდობო ძალები, რომლებიც დაინტერესებული სახელმწიფოების თანხმობით მოქმედებენ, გაცილებით მეტ წარმატებას აღწევენ, ვიდრე გაეროს მცდელობა – გაატაროს იძულებითი ღონისძიებები.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოები ერთმანეთთან გაეროს არარსებობის შემთხვევაშიც ითანამშრომლებენ. მაგრამ გაეროს არსებობა ზრდის სახელმწიფოთა მზადყოფნას, ითანამშრომლონ ერთმანეთთან. დებატები და კენჭისყრა გაეროში ახდენს პოლიტიკურ გავლენას, რომელიც ხშირად უზიდავს უმცირესობას, უმრავლესობის სურვილისამებრ იმოქმედოს. მაგალითად, კოლონიური სახელმწიფოები ასე სწრაფად ან ასეთი მასშტაბებით არ მიანიჭებდნენ დამოუკიდებლობას თავის კოლონიებს, რომ არ ყოფილიყო გაერო და მისი პოლიტიკური გავლენა.

საბოლოო ანალიზი აჩვენებს, რომ გაეროს ეფექტურობა დამოკიდებულია წევრი ქვეყნების სურვილზე, ითანამშრომლონ, რადგან გაეროს სტრუქტურაში განხორციელებული ვერავითარი ცვლილება³⁰⁷ ვერ უზრუნველყოფს მის ეფექტურობას, თუ წევრ ქვეყნებს არ ექნებათ გაეროსთან და ერთმანეთთან თანამშრომლობის სურვილი. ფაქტობრივად, გაერო არის იმ მსოფლიოს ანარეკლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ასე რომ შეუძლებელია არსებობდეს სრულყოფილი გაერო არასრულყოფილ მსოფლიოში.